ქართული წყاროთმცოდნეობა

XIX/XX

2017/2018

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი

Editors
Giuli Alasania & Mariam Chkhartishvili

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ზურაბ თარგამაძე
ეკა კვაჭანტირაძე
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე
გიორგი ქეიშვილი

Editorial Board
Goneli Arakhamia
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
David Merkviladze
Nato Songulashvili
Zurab Targamadze
George Tcheishvili

გამომცემელი
მარიამ ჩხარტიშვილი

Publisher
Mariam Chkhartishvili

გამომცემლის საკონტაქტო მონაცემები
ელ–ფოსტა: mariam.chkhartishvili@tsu.ge
მობ. 599 71 40 15
Publisher's contact details:
E-mail: mariam.chkhartishvili@tsu.ge
Mob.: +995 599 71 40 15

© ტექსტი –ავტორები, 2017/2018
© შედგენა– გ.ალასანია, მ. ჩხარტიშვილი 2017/2018
© Text – authors, 2017/2018
© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, 2017/2018

გამომცემლობა „მერიდიანი"
ყაზბეგის 47, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: (+995) 32 2 39 15 22; 5 99 54 17 07; 5 99 23 51 78
ელ. ფოსტა: meridiani777@gmail.com

ISSN 1987 – 9563

შინაარსი
CONTENTS

რედაქტორებისაგან 12
EDITORIAL

სტატიები 13
PAPERS

ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა დინასტიური პრობლემები
ამიანე მარცელინისა და ქართული წყაროების მიხედვით 15
გივი ბოლქვაძე
Dynastic Problems of the First Christian Kings of Kartli (Iberia)
according to Ammianus Marcellinus and Georgian Sources
Givi Bolkvadze

სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის ბიბლიური პარადიგმები ჰიმნოგრაფიაში (ძლისპირებში) 26
ლამზირა ბუბუტეიშვილი
Biblical Paradigms of Three Holy Children and Jonah the Prophet in Hymnography (Hirmoses)
Lamzira Bubuteishvili

დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის და
ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები (I-V საუკუნეები) 34
პაპუნა გაბისონია
Issues of Historical Geography and Ethno-Political History of Western Georgia (1st -5th centuries)
Papuna Gabisonia

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქართველ დისიდენტთა მიერ
ე.წ.თურქი მესხების საქართველოში რეპატრიაციის საკითხის ხედვა 44
ალექსანდრა გრიჟლაკი
The Issue of Meskhetian Turks Repatriation to Georgia in the Eyes of Georgian Dissidents in 1970s
Aleksandra Gryźlak

საქართველოს ისტორიული განვითარება მეჩვიდმეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან მეთვრამეტე
საუკუნის ოთხმოციან წლებამდე: პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა 53
ზურაბ თარგამაძე
Historical Development of Georgia from 1640s until the 1780s:
Brief Overview of Political and Economical Life
Zurab Targamadze

რუსული საეკლესიო პოლიტიკა და მიხეილ თამარაშვილის ბრძოლა ქართული იდენტობისათვის 65
დავით თინიკაშვილი
Russian Ecclestiastical Policy and Michael Tamarshvili's Struggle for Georgian Identity
David Tinikashvili

სეფევიდური ირანის სომეხი ქვეშევდომების უფლება–მოვალეობანი
მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში 80
ქრისტინე კოსტიკიანი
The Rights and Duties of Armenian Subjects of Safavid Iran in 17th -18th Centuries
Kristine Kostikyan

კონფესიურობის საკითხი „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ 86
გოჩა კუჭუხიძე
მამა მიქაელი (მიხეილ ხუციშვილი)
Issue of Confession in "Life of Saint David Garejeli"
Gocha Kuchukhidze
Father Michael (Mikheil Khutsishvili)

მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით 94
ქეთევან მანია
Fatherland, Patriotism, Identity according to Iakob Gogebashvili's Publicistic Letters
Ketevan Mania

შეიარაღების ერთი ნიმუში შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში 103
ზურაბ მაღრაძე
One Example of Weapon in Georgian Middle Ages Christian Iconography
Zurab Maghradze

ხალხური და სასულიერო მმართველობის ისტორიის საკითხები განვითარებული და
გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: ხუცეცი 129
ბექა მგელაძე
The Meaning of Term *khutsetsi* in South-West Georgia in High and Late Middle Ages
Beka Mgeladze

ლაზების ეთნიკური იდენტობის საკითხისათვის 136
ნუგზარ მგელაძე
For the Issue of Ethnic Identity of Lazi
Nugzar Mgeladze

იმერეთის სამეფოს საკითხი ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში 144
დავით მერკვილაძე
The Issue of Imereti Kingdom in the Treaty of Küçük Kaynarca
David Merkviladze

ს. ბურნაშევის შრომები როგორც საისტორიო წყარო სამხრეთ კავკასიის ისტორიისათვის 151
დავით მერკვილაძე
გოჰარ მხითარიანი
S. Burnashev's Compositions as the Source for the History of the South Caucasus Region
David Merkviladze
Gohar Mkhitaryan

საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან გაგზავნილი სამძიმრის
წერილის ავტორის – გიორგი მდივნის ვინაობის დადგენისათვის 156
ლადო მირიანაშვილი
On Identification of Giorgi Mdivani, Author of a Condolence Letter Sent by Him
from Iran to Saba and Erasti Orbelianies
Lado Mirianashvili

მნიშვნელოვანი ავღანური წყარო გიორგი XI-ს შესახებ 162
ალექსანდრე მიქაბერიძე
კახა კვაშილავა
An Important Afghan Source about King Giorgi XI
Alexander Mikaberidze
Kakha Kvashilava

სამუელ გმელინის მოგზაურობის ჩანაწერები როგორც წყარო ამიერკავკასიის ისტორიისათვის 170
გოჰარ მხითარიანი
Samuel Gmelin's Itineraries as the Source of the History of the Eastern Transcaucasia
Gohar Mkhitaryan

ნაპოლეონის ემისრების ცნობები აბას მირზას ლაშქრის შესახებ
რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის (1804-1813) დროს 173
ირინე ნაჭყებია
Information by Napoleon's Emissaries About Abbas Mirza's Army during the First Russo-Persian War (1804-1813)
Irine Natchkebia

საარქივო მასალების ტექსტოლოგიური კვლევა ციფრულ ეპოქაში 182
მაია ნინიძე
მაია ჯანგიძე
Textual Study of Archival Materials in the Digital Era
Maia Ninidze
Maia Jangidze

ნადირობის ფენომენოლოგია „ვეფხიტყაოსანში" და მონღოლთა ეპოქა
(პოეტური ტექსტის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი რეცეპციები) 189
ნიკოლოზ სანებლიძე
The Phenomenology of Hunting of „The Knight in Tiger's Skin" and the Era of the Mongols
(Historical and Source-Critical Receptions of Poetic Text)
Nikoloz Saneblidze

მატენადარანში დაცული დოკუმენტები სომეხთა გენოციდის შესახებ 201
ვერა საჰაკიანი
The Documents of Matenadaran on the Armenian Genocide
Vera Sahakyan

შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ლაშქრობები საქართველოში 204
აბდურაჰმან სეჩქინი
The Aq Qoyunlu and Qara Qoyunlu of Turkmen in Georgia
Abdurrahman Sechqin

დრო როგორც კვლევითი კატეგორია მემუარული წყაროების სანდოობის დადგენისას.
ზოგი შენიშვნა მეცხრამეტე საუკუნის მემუარებთან დაკავშირებით 211
იოლანტა სიკორსკა-კულეშა
Time as a Research Category in the Criticism of the Reliability of a Memoir Source.
Some Notes on 19th-century Memoirs
Jolanta Sikorska-Kulesza

ნიკოლოზ გულაბერიძის მოღვაწეობა ათონის მთასა და იერუსალიმის ჯვარის მონასტერში 218
ნესტან სულავა
Nikoloz Gulaberisdze's Activities on Mt. Athos and at Cross Monastery in Jerusalem
Nestan Sulava

ქართული წარმართული პანთეონის კვლევისათვის 223
მაია ქუთათელაძე
For the Study of Georgian Paganism
Maia Kutateladze

მიქელ თამარაშვილი – ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიკოსი 230
მერაბ ღაღანიძე
Michael Tamarashvili, a Historian of Catholicism among Georgians
Merab Ghaghanidze

„დისწული მუჰმად ცუდ სახელისა მოციქულისა" და წყაროები დავით და კონსტანტინეს წამების შესახებ ... 244
დავით ჩიქოვანი
"Nephew of the False Prophet Muhmmad" and Sources of the Martyrdom of David and Constantine
David Chikovani

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ისტორიის უცნობი დეტალები.
პეროჟავრ სივნიელი 248
მარიამ ჩხარტიშვილი
Some Unknown Facts of Christianity Adoption in Kartli Kingdom. Perozhavr of Sivnieti
Mariam Chkhartishvili

ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა დინასტიური წარმომავლობა
(პირველწყაროს ლიტერატურული მოდელი – ფიქციიდან არაფიქციისკენ) 266
ვლადიმერ ჭელიძე
The Dynastic Belonging of Kings and Dukes of Kartli (Iberia)
Literary Model of the Primary Source – from Fiction to Non-Fiction
Vladimer Chelidze

ფრანკი მოქარავნეები საქართველოში. მეთერთმეტე საუკუნე 276
ნიკა ხოფერია
Frankish Mercenaries in Georgia. Eleventh Century
Nika Khoperia

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ტიგროსის ზემო წელში მიმდინარე
ზოგიერთი არქეოლოგიური კვლევის ზოგადი მიმოხილვა 285
ჰარუთიუნ ხუდანიანი
An Outline of Some Archaeological Studies of the Second Half of the 20th
Century in the Upper Tigris Region (General Overview)
Harutyun Khudanyan

ჟურნალ "National Geographic"-ის ორი სტატია საქართველოს შესახებ
(1918 წლის ოქტომბრის და 1919 წლის ნოემბრის ნომრები) 290
პავლე ჯაგუნავა
Two Articles on Georgia in "National Geographic". Issues of 1918 (October) and 1919 (November)
Pavle Jagunava

საერთაშორისო პრეზენტაცია 297
INTERNATIONAL PRESENTATION

დავით აღმაშენებელი შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ნარატივებში 299
მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
David the Builder in Medieval and Modern Narratives
Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

თვალსაზრისი 305
STANDPOINT

გამოხმაურება წინანდლის პრემიის 2018 წლის დაჯილდოებაზე 307
ზურაბ თარგამაძე
Notes on Tsinandali Award of 2018
Zurab Targamadze

პოლემიკა 315
POLEMICS

„სომეხი ხალხის ისტორიის" ქართული გამოცემის შესახებ 317
დავით მერკვილაძე
About Georgian Edition of "The History of Armenian People"
David Merkviladze

რას აღნიშნავს შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე გამოსახული ოთხნერტილიანი ჯვარი? 325
ლადო მირიანაშვილი
What does the Cross with Four Dots Found on Georgian Medieval Coins Depict?
Lado Mirianashvili

წიგნების მიმოხილვა 329
BOOK REVIEWS

ზოგი მოსაზრება მარიამ ჩხარტიშვილის ახლახან გამოცემულ მონოგრაფიის
„საქართველო III-V საუკუნეებში. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია"
(გამომცემლობა „ნეკერი", 2018, 303 გვ.,ISBN 978-9941-457-96-8) თაობაზე. 331
გიული ალასანია
Some Notes on Mariam Chkhartishvili's Recent Monograph "Georgia in 3rd- 5th centuries.
History of the Royal Family of Chosroids" (Nekeri Publishing, Tbilisi, 2018, 303 pp., ISBN 978-9941-457-96-8).
Giuli Alasania

ლავრენტი ჯანიაშვილის წიგნი „ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში",
თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი", 2017, 186 გვ. 333
გიორგი მამარდაშვილი
Lavrenti Janiashvili. The Question Ossetians in Kazbegi Region.
Publishing House "Mtsignobari", Tbilisi, 2017, 186 pp.
Giorgi Mamardashvili

ბაქოში გამოცემული წიგნისათვის – „XVIII საუკუნის კავკასია რუსეთის საიდუმლო აგენტის თვალით" 336
დავით მერკვილაძე
About the Book Published in Baku "The Eighteenth Century Caucasus through the Eyes of a Russian Secret Agent"
David Merkviladze

ფათჰი ჰაბაშის „ისტორიის ფურცელი" 341
მარიამ ჩხარტიშვილი
ლევან ჩხარტიშვილი
"The History Page" by Fathi Habashi
Mariam Chkhartishvili
Levan Chkhartishvili

გვიანანტიკური პერიოდის ქართლის სამეფო სახლის ამბები
(ახალი ქართველოლოგიური კვლევა-ძიების კვალდაკვალ) 345
ვლადიმერ ჭელიძე
მარიამ (მაია) ნინიძე
Royal House of Kartli in Late Antiquity (Analyzing the Recent Research in Field of Georgian Studies)
Vladimer Chelidze
Mariam (Maia) Ninidze

მოდის ისტორია: ტანისამოსი, სიმბოლოები, კომუნიკაცია 354
სოფიო ქადაგიშვილი
Fashion through History: Costumes, Symbols, Communication
Sopio Kadagishvili

ისტორია, მეხსიერება, მიძღვნა 355
სოფიო ქადაგიშვილი
Histoire, Mémoire et Devotion
Sopio Kadagishvili

აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე 356
სოფიო ქადაგიშვილი
Dynamics and Policies of Prejudice from the Eighteenth to the Twenty-First Century
Sopio Kadagishvili

ახალი „ქართლის ცხოვრება", ვახტანგისეული რედაქცია, ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,
შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი, 2017, 332 გვ. 357
ქეთევან ქუთათელაძე
"New" *Kartlis Tskhovreba* The Version Edited By King Vakhtang. Vol. 1. The critically established text,
introduction, notes and appendix by Goneli Arakhamia, Tbilisi, 2017, 332 pp.
Ketevan Kutateladze

ცნობილი ბულგარელი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული.
Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov 359
მარიამ ჩხარტიშვილი
The Collection of Research Papers in Memoriam of Eminent Bulgarian Academic.
Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov
Mariam Chkhartishvili

ქრონიკა 361
CHRONICLE

პროექტის „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული
სახელმძღვანელოების მიხედვით" წინასწარი შედეგების პრეზენტაცია 363
სოფიო ქადაგიშვილი
Project presentation: "Images of Collective Memory of Georgians according to Textbooks in National History"
Sopio Kadagishvili

საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია „ქრისტიანობიდან და ისლამიზაციიდან
(ჰეტერო) ევროპეიზაციამდე. ტრანსფორმაციები და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა
ევროპულ მარგინალიებზე" 367
სოფიო ქადაგიშვილი
International Interdisciplinary Conference „From Christianisations and Islamisations to (Hetero)
Europeanisations: Transformations of Cultural-Historical Heritage on the European Margins"
Sopio Kadagishvili

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის" XVII–XVIII გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია 369
რუსუდანი ჭოლიკაური
Presentation of Scientific Journal „Georgian Source-Studies" (volumes XVII-XVIII)
Rusudani Tcholikauri

საერთაშორისო კონფერენცია „აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე
საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე", რომი, 23-24 ივნისი, 2016 373
ეთერ ცერცვაძე
International conference „Dynamics and Policies of Prejudice from the Eighteenth to the
Twenty-First Centuries", Rome, June 23-24, 2016
Eter Tsertsvadze

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 60 376
მანუჩარ გუნცაძე
Georgian National Centre of Manuscripts 60
Manuchar Guntsadze

ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის 23–ე კონგრესი 384
გიორგი მაჭარაშვილი
23rd International Congress of Byzantine Studies
Giorgi Macharashvili

საერთაშორისო სიმპოზიუმი „წმინდა ანთიმოზ ივერიელი (†1716) ევროპული და
კავკასიური კულტურა და სულიერება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში“ 387
ზურაბ თარგამაძე
International Symposium "St. Antim the Iberian (†1716). The European and Caucasian Culture and
Spirituality from Late 17th Century and Early 18th Century"
Zurab Targamadze

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველენი“ 391
ზურაბ თარგამაძე
2nd International Scientific Conference "History and Antiquities of the Highlands of Eastern Georgia"
Zurab Targamadze

საერთაშორისო კონფერენცია „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“ 393
მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
International Conference"Research in Source-Studies and Historiography"
Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისია 404
დავით ყოლბაია
ოთარ ჯანელიძე
International Commission of Polish-Georgian Historians
David Kolbaia
Otar Janelidze

„როგორ დავნეროთ ისტორია“ – წიგნის პრეზენტაცია 410
სოფიო ქადაგიშვილი
"Making History" – Book Presentation
Sopio Kadagishvili

ჰუმანიტარ ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი 415
სოფიო ქადაგიშვილი
I International Symposium of Young Scholars in Humanities
Sopio Kadagishvili

გიორგი ჭეიშვილის მონოგრაფიის „ქუეყანა ანისისა“ პრეზენტაცია 417
ეკა კვაჭანტირაძე
Presentation of Giorgi Tcheishvili's Monograph „History and Historical Geography of Ani"
Eka Kvachantiradze

ზურაბ თარგამაძის მონოგრაფიის „ქართველთა თვითცნობიერება:
ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)“ პრეზენტაცია 420
სოფიო ქადაგიშვილი
Presentation of Zurab Targamadze's Monograph "Georgian Identity: Historical Aspects (18th Century)".
Sopio Kadagishvili

პროექტის შედეგების პრეზენტაცია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 425
ნინო ღამბაშიძე
Presentation of the Results of Research Project at the Institute of History and Ethnology
Nino Gambashidze

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის"? 427
ირაკლი ირემაძე
"Remembering the Georgian Democratic Republic 100 Years On: A Model for Europe"?
Irakli Iremadze

„პონტოელი ბერძნები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა" – წიგნის პრეზენტაცია 431
ზურაბ თარგამაძე
„Pontic Greeks in Ajara: Past and Present" – Book Presentation
Zurab Targamadze

ხსოვნა 435
IN MEMORIAM

მარიამ ლორთქიფანიძის გახსენება 437
In Memoriam: Mariam Lordkipanidze

ვალმოხდილი! 437
შალვა გლოველი
Deserved!
Shalva Gloveli

მაგალითი და უდიდესი ავტორიტეტი 441
როზეტა გუჯეჯიანი
Example and Great Authority
Rozeta Gujejiani

ისტორიკოსთა მეტრი 442
გურამ ლეგაშვილი
Meter of Historians
Guram Legashvili

ჩემი და ჩემი მასწავლებლების მასწავლებელი 444
სოფიო ქადაგიშვილი
My Teacher and Teacher of my Teachers
Sopio Kadagishvili

რევაზ კიკნაძის 95 წლისთავის გამო 445
On 95th Anniversary of the Birth of Revaz Kiknadze

მეცნიერის ღვაწლი 445
გიული ალასანია
Contribution of the Scholar
Giuli Alasania

რუსუდან ჯანაშიას გახსენება 450
Recalling Rusudan Janashia

ღირსეული და კეთილშობილი 450
ამირან ბასილაშვილი
Worthy and Noble
Amiran Basilashvili

გზამკვლევი ავტორთათვის 451
GUIDE FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ „ქართული წყაროთმცოდნეობის" ახალ გამოცემას – XIX და XX ტომებს. ჟურნალში მასალა განაწილებულია შვიდ განყოფილებაში. ყველა მათგანი ტრადიციულია ჩვენი ჟურნალისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდული გამოცემის მრავალწლიანი ისტორიის განმავლობაში ამგვარად დიდი მოცულობის ტომი, თუნდაც გაერთიანებული ნომრებისა, ჯერ არ გამოსულა. შთაბეჭდილების შესაქმენლად საკმარისია რაოდენობრივი მონაცემების უბრალოდ მოყვანა: განყოფილებაში „სტატიები" ქვეყნდება 31 კვლევითი ნაშრომი, ერთი კვლევითი ნაშრომი ქვეყნდება განყოფილებაში „საერთაშორისო პრეზენტაცია". ქართულ სამეცნიერო მედიაში ამ განყოფილების დამკვიდრება სნორედ ერთ-ერთი ჩვენთაგანის ინიციატივაა. როგორც ადრეც მივუთითებდით, ჩვენი მეცნიერები ბევრ საინტერესო მოხსენებას კითხულობენ საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, ყველა მათგანი არ იბეჭდება უმეტეს შემთხვევაში არა თავად ავტორთა მიზეზით, არამედ იმის გამო, რომ ზოგი სამეცნიერო ფორუმი არ ითვალისწინებს წაკითხული მოხსენებების პუბლიკაციას. არადა, ინტერესი ამგვარი პრეზენტაციების მიმართ საქართველოში ძალიან დიდია.

ჩვენი ჟურნალის მიერ დამკვიდრებულია ქართულ სამეცნიერო მედიაში განყოფილება „თვალსაზრისიც". აქ იბეჭდება წერილები, რომლებიც შეეხება საქართველოში აკადემიურ გარემოში არსებულ ზოგ ნაკლოვანებას. უმეტეს შემთხვევაში ეს არის პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა აკადემიური ეთიკის დარღვევის მიზეზით. სამნუხაროდ, აკადემიური ეთიკის საკითხები ჯერ არ გამხდარა ქართველ მეცნიერთა ინტენსიური განხილვის საგანი. ეს კი ისეთი თემაა, რომ მუდმივ ყურადღებას საჭიროებს.

„პოლემიკის" განყოფილებაში ამჯერად ორი ნერილია გამოქვეყნებული.

სხვა განყოფილებებთან ერთად ჟურნალის დიდ სიმდიდრეს წარმოდგენს „ქრონიკის" განყოფილება, რომელშიც ბოლო სამი ნლის განმავლობაში ქართული სამეცნიერო ცხოვრების ჩვიდმეტი ფაქტია აღწერილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში არსებული არცერთი სამეცნიერო მედია ასე ფართოდ არ ეხება აკადემიური საზოგადოების ცხოვრებას.

განყოფილება „ნიგნების მიმოხლვა" ცხრა რეცენზიით არის წარმოდგენილი. ეს, ცხადია, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც იბეჭდება და რის შესახებაც ქართველი მკითხველისათვის საინტერესო შეიძლება იყოს ინფორმაციის მინოდება, მაგრამ მაინც გარკვეული შთაბეჭდილების შემქნელია. რეცენზირების ტვირთის აღებას ბევრი მეცნიერი გაურბის. ამის მიზეზი სხვადასხვაა. ერთ-ერთი ის შეიძლება იყოს, რომ რეცენზიის დანერა და გამოქვეყნება ძალიან საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმეა, ზოგიერთ შემთხვევაში ავტორს ის სამეცნიერო პუბლიკაციად არ ეთვლება. ამგვარი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს და ნებისმიერი წერილი, რომელიც რაიმე კუთხით ეხება მეცნიერებას, ჩაითვალოს სამეცნიერო ნაშრომად.

ხსოვნის განყოფილება რამდენიმე შესანიშნავი მეცნიერების მოგონებებით არის წარმოდგენილი. ეს მოგონებანი აგრეთვე ქართული ჰუმანიტარული დარგის ისტორიაა.

ავტორები არიან როგორც ქართველები, ისე უცხოელები, როგორც დამკვიდრებული მეცნიერები, ისე დამწყებნი, თუმც ძალიან დიდი იმედის მომცემი ახალგაზრდები. ისინი მრავალ სხვადასხვა კვლევით დანესებულებას წარმოადგენენ.

როგორც ყოველთვის, რედკოლეგია ამ ტომის მომზადებაზეც დიდი სიყვარულით მუშაობდა. ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მკითხველები ამ მრავალფეროვან პუბლიკაციებში მათთვის საჭირო მასალას მოიძიებენ და ჟურნალის ეს გამოშვება მათი პროფესიული საქმიანობისათვის ხელისშემწყობი იქნება.

გიული ალასანია

მარიამ ჩხარტიშვილი

თბილისი, 24 დეკემბერი, 2018 წელი

EDITORIAL

In their notes editors Professor Giuli Alasania and Professor Mariam Chkhartishvili provide brief overview of the present edition of the journal "Georgian Source-Studies". Issues of 2017 and 2018 are published as one volume. In the long history of this academic media the present publication is the most voluminous one. The authors of the papers are representatives of many academic centers, Georgians as well as non-Georgians, already established researchers and determined and ambitious young scientists with sound knowledge in field.

სტატიები
PAPERS

ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა დინასტიური პრობლემები ამიანე მარცელინისა და ქართული წყაროების მიხედვით

გივი ბოლქვაძე

ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა საკითხი დღემდე რჩება საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის აქილევსის ქუსლად. საკითხის სირთულე განპირობებულია ძველ ქართულ თუ უცხოენოვან წერილობით (ნარატიულ, ეპიგრაფიკულ) წყაროებში ქართლის (იბერიის) მეფეთა შესახებ განსხვავებული მონაცემების არსებობით. ეს განსხვავებები და მათი ურთერთშეჯერება ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა მრავალფეროვანი ვარაუდებისა და ინტერპრეტაციებისათვის. ამის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია IV-VI სს. ქართლის მეფეთა სიის და ქრონოლოგიის ორ ათეულზე მეტი ვერსია თუ ვარიანტი, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდიან საკუთრივ იმ წყაროების მონაცემებთან და ისტორიულ კონტექსტთან რომელზე დაყრდნობითაც ისინი არიან შემუშავებულნი.[1]

წინამდებარე გამოკვლევაში განხილულია ქართული წყაროების – *ქართლის ცხოვრების* (*მეფეთა ცხოვრება, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება*) და *მოქცევაჲ ქართლისაჲ* ცნობები IV ს. პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მემკვიდრეებს შორის დინასტიური განხეთქილების შესახებ და ცნობები, *ამიანე მარცელინის ისტორიიდან* (*Res gestae*), იბერიაში IV ს. 60-70-იან წლებში განვითარებული მოვლენების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე *მეფეთა ცხოვრება* იუწყება, რომ ქართლის პირველმა ქრიტიანმა მეფე მირიანმა, უფროსი ვაჟისა და მემკვიდრის – უფლისწული რევის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო გვირგვინი თავის უმცროს ვაჟს ბაქარს გადასცა. ახლად გამეფებულ ბაქარს მისი უფროსი ძმის, უდროოდ გარდაცვლილი რევის ოჯახი დაუპირისპირდა რევის ძის თრდატის გამეფების მიზნით, რომელიც ამავე დროს დედის – სალომეს მხრივ, სომეხთა მეფის თრადტ III-ის შვილიშვილი იყო.



ტახტის პრეტენდენტების დავა საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდა, რომელშიც რევიანებს მხარს სომხები უჭერდნენ, ხოლო მეფე ბაქარის მომხრედ სპარსეთი გამოდიოდა. საბოლოოდ, ჯავახეთში გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში გამარჯვება ბაქარს დარჩა, რომელმაც დამარცხებულ რევიანებს საერისთაოდ განუწესა კუხეთი, რეზიდენციით რუსთავში და რომი-სპარსეთის შუამდგომლობით ჩამოართვა ხელწერილი, რომლიც აღიარებდა ქართლის სამეფო ტახტზე ბაქარიანების უპირატეს უფლებას (ყაუხჩიშვილი 1955: 130-131; აბულაძე 1953: 130-131). აღნიშნულის შესაბამისად, *მეფეთა ცხოვრებაში* მირიანის შთამომავალი მეფეები (ერთი გამონაკლისის – თრდატ რევის ძის გარდა) ბაქარ მირიანის ძის გენეალოგიური ხაზით არიან წარმოდგენილნი. *მეფეთა ცხოვრებისაგან* განსხვავებით *მოქცევაჲ ქართლისაჲში* მირიანის ძედ დასახელებულია მხოლოდ რევი, რომელიც ცოცხალი ჩანს მამის – მირიანის გარდაცვალების შემდეგ, თუმცაღა, მას არ უმეფია. მირიანის შემდეგ მეფობენ მისი შვილიშვილები ბაკურ რევის ძე, შემდგომ, მისი ძმა – თრდატ რევის ძე (აბულაძე 1963: 91). *მოქცევაჲ ქართლისაჲ* არ იცნობს ბაქარ მირიანის ძისა და მისი შთამომავლების მეფობას და მირიანის შემდგომ ხუთ თანმიმდევრულ მეფობაში, ერთი გამონაკლისის – IV მეფე ვარაზ-ბაკურის გარდა, მხოლოდ რევის შთამომავლები არიან მითითებულნი.



შესაბამისად, *მოქცევაჲ ქართლისაჲში* დინასტიური დაპირისპირების საკითხი არ განიხილება. თუმცაღა, ეს საკითხის ერთი, მხოლოდ გარეგნული მხარეა და მასზე მსჯელობისას გათვალსწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

მეფეთა ცხოვრებასა და *მოქცევაჲ ქართლისაჲში* ქართლის მეფეთა სიები ცალკეული განსხვავებების მიუხედავად, მთლიანობაში არსებითად შეესაბამებიან ერთმანეთს (ინგოროყვა 1978: 508,520-522; მელიქიშვილი 1958: 166); პრინციპული ხასიათის განსხვავებები მათ შორის ჩნდება პირველი ქრისტიანი მეფეების მირიანისა და მისი მემკვიდრეების ექვს თანმიმდევრულ მეფობაში, ანუ, სწორედ იმ ისტორიულ-ქრონოლოგიურ მონაკვეთში, როდესაც *მეფეთა ცხოვრება* იუწყება ქართლის სამეფო ტახტზე დინასტიური პრობლემების შესახებ. საყურადღებოა, რომ *მოქცევაჲ ქართლისაჲში* ოთხ ათეულზე მეტი მეფობის შესახებ ცნობებში ნათესაური კავშირები მითითებულია მხოლოდ 9 შემთხვევაში და მათგან 6 – უშუალოდ მეფე მირიანის მემკვიდრეებთან დაკავშირებით. ანუ, იმ დროს, როდესაც *მეფეთა ცხოვრება* იუწყება რევიან-ბაქარიანთა შორის დინასტიური პრობლემების არსებობას, მის პარალელურად *მოქცევაჲ ქართლისაჲში* მირიანისა და მისი შთამომავლების ექვს თანმიმდევრულ მეფობაში ექსკლუზიურად არის წარმოდგენილი რევიანთა უპირატესი სამეფო უფლებების დამადასტურებელი გენეალოგიური მონაცემები.

თავის მხრივ, ეს გენეალოგიური მონაცემები, გარდა იმისა, რომ არ არის სწორი და სრული, როგორც თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა მიუთითა (ჯავახიშვილი 1928: 126), ასევე არ არის თანმიმდევრული და ობიექტური; ცნობები წარმოდგენილია შერჩევით, მხოლოდ რევ მირიანის ძის შთამომავალი მეფეების შესახებ და არ არის აღნიშნული, მაგ., მირიანის შემდგომ რიგით IV მეფის ვარაზ-ბაკურის ვინაობა, ხოლო, რიგით VI მეფე ფარსმანის შესახებ, მხოლოდ მისი დედით რევიანობაა მითითებული (აბულაძე 1963: 91-92). რევიან მეფეთა გარემოცვაში მეფე ვარაზ-ბაკურის წარმომავლობის მოუხსენიებლობა, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ *მოქცევაჲ ქართლისაჲ* მას არც მამის, არც დედის მხრივ რევიანად არ მიიჩნევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ ისევე იქნებოდა აღნიშული, როგორც ვარაზ-ბაკურის ორი წინამორბედი და ორი მომდევნო რევიანი მეფის შემთხვევაში.

მოქცევაჲ ქართლისაჲს თანახმად ვარაზ-ბაკური მირიანის შემდგომ რიგით IV მეფეა, რომელიც სპარსელთაგან დევნილი „ჴიდრად უკუმოჯდა", ხოლო „ტფილისად ქალაქად, ციხედ" მოსულ სპარსთა მეფის პიტიახშს „ქართლი, სომხითი, სივნიეთი და გუასპაურაგანი" დაუხარკავს. მთავარეპისკოპოსი ყოფილა იობ. აზნაურებს მცხეთაში „ნმიდაჲ იგი ეკლესიაჲ" აუგიათ და ქართლის სოფლები და ქარდაგები შეუწირავთ (აბულაძე 1963: 91-92; ალექსიძე 2007: 16-17). ვარაზ-ბაკურის მეფობის დეტალებში კარგად გარკვეულ *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ავტორს ფრიად საეჭვოა არ სცოდნოდა მისი ვინაობა და წარმომავლობა. მითუმეტეს, რომ ინკოგნიტო ვარაზ-ბაკური და *მეფეთა ცხოვრების* ვარაზ-ბაქარ მირდატის ძე, მათი ისტორიის დეტალების მიხედვით ეჭვმიუტანლად ერთი ისტორიული პირია (ყაუხჩიშვილი 1955: 136; აბულაძე 1953: 133). მის შესახებ მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ *მოქცევაჲ ქართლისაჲში* გადმოცემულია იმავე ხასიათის (ჩვენ დრომდე მოუღწეველი) ნყაროს შემოკლებული და ფრაგმენტირებული ვერსია, რომლითაც *მეფეთა ცხოვრებას* უსარგებლია და უფრო სრული ვარიანტი გადმოუცია. ამ შემთხვევაში, ვარაზ-ბაქარ მირდატის ძე წარმოდგენილია, როგორც ბაქარ მირიანის ძის პირდაპირი შთამომავალი (შვილიშვილი), რომელმაც შიდა დინასტიური ქორწინებების მეშვეობით გააერთიანა და ხელმეორედ დაანათესავა, ჯერ კიდევ მის გამეფებამდე დაპირისპირებული სამეფო კლანები. ამ ქორწინებებიდან ის იყო VI და VII მეფეების (ნახევარძმების) – ფარსმანისა და მირდატის მამა. ხოლო *ვახტანგ გორგასლის ცხოვრების* მონაცემებით, ამავე მირდატის მეფობიდან მოყოლებული (მეფობის

გაუქმებამდე), ქართლის ტახტს პირდაპირი ხაზით ვარაზ-ბაქარის შთამომავლები ფლობდნენ (ყაუხჩიშვილი 1955: 132,135,138; აბულაძე 1953: 132-133). ამ მონაცემებით, ბაქარიანი ვარაზ-ბაქარი/ვარაზ-ბაკური გვევლინება, როგორც მომდევნო თაობის ბაქარიანების, რევიანებისა და ფეროზიანების საერთო სამეფო-საგვარეულო წინაპარი. თუმცაღა, *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, რომლიც არ იცნობს (არ ცნობს) ბაქარიანთა სამეფო საგვარეულოს არსებობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ვარაზ-ბაკურის ნარმომავლობას, მისი ბაქარიანობის გამო არ მიუთითებს. ამავე მიზეზით უნდა იყოს განყვეტილი ნათესაური კავშირები ვარაზ-ბაკურის მემკვიდრეებს (*მეფეთა ცხოვრებიდან* ვარაზ-ბაქარის შვილებად ცნობილ) VI მეფე ფარსმანსა და VII მეფე მირდატს შორის.

მოქცევაჲ ქართლისაჲში ვარაზ-ბაკურის „უშვილ-ძიროდ" მოხსენიებას, *მეფეთა ცხოვრების* გარდა, ეწინააღმდეგება სინას მთის მონასტრის ქართული ხელნაწერის (Sin-50) ცნობა „ვარაზ-ბაკურ მეფისა ხიდარელისაჲ"-ს და მისი ორი ძის (ვარაზ, ვარაზ-ჰარან) და სამი ასულის შესახებ (ალექსიძე 1991: 6-7)[7] და ასევე, – პეტრე იბერის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია, სადაც მირიანის შემდგომ IV მეფე ვარაზ ბაკური პეტრე იბერის მამად არის წარმოდგენილი (მარი 1896: 3,61), რომელსაც მკვლევართა ნანილი *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ვარაზ-ბაკურთან აიგივებს (ვახუშტი, ჟორდანია, გორგაძე, კეკელიძე, მელიქიშვილი, ნ. ჯანაშია, ჩხარტიშვილი). რაც შეეხება, ზოგადად ბაქარიანთა სამეფო-საგვარეულოს არსებობა-არარსებობის პრინციპულ საკითხს, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* სანინააღმდეგოდ და *მეფეთა ცხოვრების* სასარგებლოდ, ამ უკანასკენელის მონაცემებს ადასტურებს *ვახტანგ გორგასლის ცხოვრება* (არაუგვიანეს VIII ს.); სადაც, V საუკუნის ქართლის სამეფო დინასტია, ვახტანგ გორგასლის (და მისი უშუალო წინაპრების) სახით, წარმოდგენილია მირიანისა და მისი ძის ბაქარის მემკვიდრედ, ხოლო, ვახტანგის თანამედროვეები, კუხეთ-რუსთავის მფლობელი მირიანი და გრიგოლი, ასევე, საკუთრივ, *ვახტანგის ცხოვრების* ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანი – რევ მირიანის ძის შთამომავლებად იხსენებიან. ჯუანშერ ჯუანშერიანის რევიანობა მითითებულია *წმინდა ანჩიღის წამების* კოლოფონშიც (ყაუხჩიშვილი 1955: 159, 242, 248; აბულაძე 1953: 147) და სხვ.

აღნიშნულ ფაქტებში, რევიანთა სამეფო-დინასტიური ინტერესებისადმი *მოქცევაჲ ქართლისაჲს* მიკერძოება თვალსაჩინოა. მართებულია მოსაზრება, რომ ის, რევიანთა კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში შექმნილი თხზულება უნდა იყოს, რომელიც ქართლის მეფეებად რევიანების ნარმოდგენას ცდილობს (გოილაძე 1990: 18,28,104). ამ მცდელობებში, *მოქცევაჲ ქართლისაჲ* მიზანმიმართულად არ აღიარებს ბაქარიანთა სამეფო საგვარეულოს არსებობასა და მათთან რევიანების დინასტიურ დაპირისპირებას. თ. ჟორდანიასა და კ. თუმანოვის აზრით, ქართლის სამეფო საგვარეულოებს შორის დინატიურ ბრძოლას *მოქცევაჲ ქართლისაჲ* განზრახ, იმ მოსაზრებებით მალავდა, რათა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ოჯახის სინმინდეს ჩრდილი არ მისდგომოდა (ჟორდანია 1892:41-42, შენ. 84; თუმანოვი 1969: 25). თუმცაღა, ვფიქრობ, რევიანთა მეფობის აპოლოგეტ *მოქცევაჲ ქართლისაჲს* სარწმუნოებრივ-ეთიკური მოსაზრებების გარდა სხვა, უფრო არსებითი ხასიათის მიზეზი უნდა ჰქონდა, არ ეღიარებინა ბაქარიანთა არსებობა, რათა არ ეცნო დინასტიურ კონფლიქტში მათი ტრიუმფი და რევიანთა მარცხი.

ამგვარად, ქართულ საისტორიო მწერლობაში, პირველ ქრისტიან მეფეთა შესახებ ერთმანეთს უპირის-პირდება ორი განსხვავებული ისტორიოგრაფიული პოზიცია; მათგან ერთი, რევ-ბაქარიანთა დინასტიურ დავაში ლეგიტიმურად ბაქარ მირიანის ძის (ბაქარიანთა) სამეფო უფლებებს მიიჩნევს, ხოლო მეორე, პირველისაგან განსხვავებით, არ იცნობს ბაქარიანთა საგვარეულოს არსებობას და მხოლოდ რევიანთა სამეფო უპირატესობას მიუთითებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ რა კრიტერიუმით განსაზღვრავდა თითოეული ამ პოზიციის უკან მდგომი ავტორი, ერთი ან, მეორე დაპირისპირებული მხარის სამეფო კანონიერებას და როგორ წარმოადგენდა იმ დროისათვის არსებული მემკვიდრეობის სისტემის ხასიათს.

ამ საკითხზე, მკვლევართა ნანილი მიიჩნევს, რომ *მოქცევაჲ ქართლისაჲში* მითითებულია მემკვიდრეობის უხუცესობის წესის არსებობა (ჯავახიშვილი 1928: 123-124,126-132; სანაძე 2001: 9-10); მეორე ნანილი, კი თვლის, რომ *მეფეთა ცხოვრება*, ასევე *მოქცევაჲ ქართლისაჲ* შეიცავენ იმ ხასიათის ცნობებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ მემკვიდრეობა არა უხუცესობის წესით, არამედ ოდითგან, მამიდან უფროს ვაუზე გადადიოდა (მელიქიშვილი 1958: 164-165; გოილაძე 1990: 28,91; ჩხარტიშვილი 1987: 40, შენ. 22). საკუთრივ, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* მიხედვით, ქართლის მეფეთა ნათესაურ-დინასტიური კავშირებისა და მათ შორის მემკვიდრეობის თაობაზე მსჯელობა, როგორც ითქვა, მხოლოდ მირიანისა და შემდგომი ხუთი თანმიმდევრული მეფობის შესახებ ცნობებით არის შესაძლებელი. ამ მონაცემებით, პირველ რიგში ირკვევა, რომ მირიანის შთამომვალ ხუთ მეფეს (ბაკურ და თრდატ რევის ძეებს, ვარაზ-ბაკურს, ბაკურ თრდატის ძეს, თრდატის დის წულ ფარსმანს) ტახტი უშუალოდ მამისგან არ მიუღია; ამასთან, ინკოგნიტო („არარევიანი") ვარაზ-ბაკურისა და დედით რევიანი ფარსმანის მეფობის შესახებ ცნობები ცხადყოფენ, რომ არც ერთ ამ შემთხვევაში არ დასტურდება სამეფო მემკვიდრეობის მამიდან შვილზე გადაცემა (აბულაძე 1963: 91-92).

აღნიშნულ ხუთ მეფობაში, მხოლოდ სამ შემთხვევაში იგულისხმება ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა და სამივე სხვადასხვა ფორმით: 1. მონარქის შვილიშვილზე (მირიანიდან – ბაკურ რევის ძეზე), 2. უხუცესობით, უფროსიდან - უმცროს ძმაზე (ბაკურ რევის ძიდან – თრდატ რევის ძეზე) და 3. დედის ხაზით (ბაკურ თრდატის ძიდან – „თრდატის დის წულ" ფარსმანზე). ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში არ დგინდება, როგორ

მიიღო ტახტი ინკოგნიტო ვარაზ-ბაკურმა ან, მის შემდგომ – ბაკურ თრდატის ძემ (აბულაძე 1963: 91-92). ეს მონაცემები არ შეიცავენ საკმარის საფუძველს, რომ მემკვიდრეობის გადაცემის ერთი, რომელიმე აღნიშული შემთხვევა უპირატეს, ან დადგენილ, „კანონიერ" წესად იქნეს მიჩნეული (მაგ., უხუცესობის წესი, რომლის არსებობის პირობებში, მირიან მეფის ცოცხალი მემკვიდრის (რევის) ნაცვლად, მისი შვილი (ბაკურ რევის ძე) ვერ გამეფდებოდა და ვერც „არარევიანი" ვარაზ-ბაკური მიიღებდა მეფობას). თავისთავად, საექვოა რეალურ ისტორიულ ვითარებას ასახავდეს (ერთი დინასტიის ხუთი თანმიმდევრული, არც თუ ხანგრძლივი მეფობის ფარგლებში) მეფეთა მონაცვლეობის წესის წარმოდგენილი მრავალფეროვნება და მათი ფორმების უჩვეულო სიმრავლე. ამ მონაცემების რთული, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი საკუთრივ რევიანთა მეფობის ვერსიას უქმნის პრობლემებს და განაპირობებს მის შინაგან წინააღმდეგობრიობას. მაგალითად, ძნელია ერთმანეთს შეუსაბამოთ *მოქცევაჲ ქართლისაჲში* აღწერილი რევიანთა დინასტიური იდილია – ხუთი თანმიმდევრული, უკონფლიქტო მეფობა და მშვიდობიანი თანამონაცვლეობა სამეფო ტახტზე და, მეორე მხრივ, მეფეთა მონაცვლეობის, აშკარად კონფრონტაციული ხასიათის ფაქტობრივი გარემოებები: არც ერთ რევიან მეფეს ტახტი მამისგან არ მიუღია; ცოცხალი მამის მაგივრად გამეფდა შვილი, შემდეგ მეორე შვილი; შემდგომ ტახტს ინკოგნიტო პირი იკავებს, რომლის შემდგომ კვლავ, წინამორბედი მეფის ძე მეფობს, რომელსაც მისი მამის დის შვილი ცვლის. სამეფო მემკვიდრეობის შესახებ *მოქცევაჲ ქართლისაჲს* მონაცემების სიმწირე-ფრაგმენტულობასთან ერთად ვფიქრობ რევიანებისადმი მიკერძოება, მათი მეფობის წარმოჩენის სურვილი უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი, რაც აბრკოლებს იმის გაჯრების შესაძლებლობას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო, ან როგორ წარმოედგინა ტახტის მემკვიდრეობის პრინციპი რევიანთა სამეფო-საგვარეულო ვერსიის ავტორს.

მოქცევაჲ ქართლისაჲს ფრაგმენტული ცნობებისაგან განსხვავებით, *მეფეთა ცხოვრებაში* პირველ ქრისტიან მეფეებთან მიმართებაში, ასევე ყველა სხვა შესაბამის შემთხვევაში მითითებულია მეფეთა ნათესაურ-დინასტიური კავშირების შესახებ, სადაც სამეფო მემკვიდრეობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მამიდან უფროს ვაჟს გადაცემა. მკვლევართა ნანილი, როგორც ითქვა, ამ წესის არსებობას ანიჭებს უპირატესობას (უხუცესობის წესის სანინააღმდეგოდ). თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება VI-V სს. ქართლის სამეფოში მემკვიდრეობის თავისებური, ნინა პერიოდის წესისაგან განსხვავებული ხასიათის შესახებ (მელიქიშვილი 1958: 164-165). ხოლო, უკანასკნელი ხანის მოსაზრებებით IV საუკუნეში ქართლის პირველი ქრისტიანი მეფეები ტრადიციული, მემკვიდრეობის მამიდან უფროს ვაჟზე გადაცემის წესით სარგებლობდნენ (ჩხარტიშვილი 1987: 40,102; გოილაძე 1990: 28,91).

მეფეთა ცხოვრების თანახმად, ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფე მირიანმა, მემკვიდრედ უფროსი ვაჟი რევი დანიშნა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ მეფობა, არა გარდაცვლილი მემკვიდრის შვილს, არამედ თავის უმცროს ძეს, ბაქარს გადასცა (ყაუხჩიშვილი 1955: 129, 130; აბულაძე 1953: 129-130). ანუ, გამეფების მომენტისათვის ბაქარი იყო სამეფო ოჯახის უფროსი (ცოცხალი) შვილი და ასევე, წინამორბედ მეფესთან ნათესაურად ყველაზე ახლო მყოფი, საგვარეულოს უხუცესი წევრი. შესაბამისად, ბაქარის გამეფების სამართლებრივ საფუძვლად, მეფის გადაწყვეტილების გარდა, შეიძლება ვიგულისხმოთ მაიორატის სახელით ცნობილი მემკვიდრეობის სისტემის ის წესები, რომელიც გულისხმობს ოჯახში უფროსი ვაჟის უფლებას (მაიორატი, ვიწრო მნიშვნელობით) და ასევე, გვარში უხუცესობის (სენიორატულ) უფლებას. ხოლო, ბაქარის მეფობის მოწინააღმდე რევიანების პრეტენზიები ემყარებოდა მათი სამეფო კანდიდატის თრდატ რევის ძის პირმშობის უფლებას (პრიმოგენეტურა) და კეთილშობილი სამეფო წარმომავლობას, რომლითაც მას უნდა ესარგებლა როგორც სამეფო ტახტის გარდაცვლილი მემკვიდრის უფროს ვაჟიშვილსა და ორმხრივ მეფეთა შვილიშვილს.[3] საფიქრებელია, რომ *მეფეთა ცხოვრებას*, რომელიც მირიანის სამეფო ხელისუფლების კონცეფციას სპარსეთის სამეფოს ყაიდაზე აღწერს, მის შესაბამისად ეგულისხმა ტახტის მემკვიდრეობის ხასიათიც. მითუმეტეს, რომ ბაქარის გამეფების სირთულეების შესახებ მისი მონაცემები, არსებითად შეესაბამება ადრესასანურ სპარსეთში არსებულ მემკვიდრეობის წესებსა თუ მათ ნიადაგზე აღმოცენებულ დინასტიურ-მემკვიდრეობით პრობლემებს (ლუკონინი 1987: 132, 156-162 და შემდ.).

რევიან-ბაქარიანთა დინასტიური დაპირისპირების პოლიტიკური შედეგებს, *მეფეთა ცხოვრების* თანახმად, სამართლებრივად ამტკიცებდა სპარსთან და რომთან შეთანხმებით, მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული ხელწერილი, რომლის პირობით: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა" (ყაუხჩიშვილი 1955: 131; აბულაძე 1953: 131). შესაბამისად, შემდგომ *მეფეთა ცხოვრება*, ბაქარიან მეფეთა შორის მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიუთითებს რევიანთა მეფობას იმ თრდატ რევის ძის სახით, რომელიც თავის დროზე, თავის მამის ძმას – ბაქარს სამეფო ტახტს ედავებოდა და შემდეგ დამარცხებული, ხელწერილით აღიარებდა ბაქარიანთა სამეფო უპირატესობას. ამ ხელწერილის პირობა თუ, ერთი მხრივ, აფერხებდა რევიანთა მეფობის შესაძლებლობას, მეორე მხრივ, იმ დროისათვის ბაქარიანთა სამეფო ოჯახში შექმნილი ვითარება, იმავე ხელწერილის პირობით ლეგიტიმურ გზას უხსნიდა მეფობის მოსურნე, უკვე მოხუცებულ თრდატ რევის ძეს სამეფო ტახტისაკენ. კერძოდ, თრდატის სიძეს (ქალიშვილის ქმარს) IV მეფე ვარაზ-ბაქარ მირდატის ძეს გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი შვილები დარჩა, რომლებიც „ვერ იპყრობდეს მეფობას". ასეთ შემთხვევაში, კი ხელწერილის პირობა ითვალისწინებდა

რევიანთა გამეფების შესაძლებლობას. თუმცაღა, გარდაცვლილი ვარაზ-ბაქარის სიმამრი თრდატ რევის ძე, რომელსაც თავისი უფლისწული შვილიშვილების მეურვეობაც ეკისრებოდა, მეფედ კი არ „დაჯდა" (როგორც ამის შესახებ, ჩეულებრივ აღნიშნავს ხოლმე *მეფეთა ცხოვრება*), არამედ ის ქართლის წარჩინებულებმა საგანგებო გადაწყვეტილების შემდეგ „დასუეს მეფედ" (ყაუხჩიშვილი 1955: 137; აბულაძე 1953: 134). აღნიშნულის შესაბამისად, ის უნდა ყოფილყო არა სრულუფლებიანი მონარქი, არამედ მეურვე-რეგენტი, რომლის სამეფო უფლებამოსილება შემდგომ, კვლავ სამეფო ასაკს მიღწეულ ბაქარიანებზე უნდა გადასულიყო.

საკითხის ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რევიანმა თრდატმა სამეფო ტახტი ბაქარიანი ვარაზ-ბაქარის ძეების მცირეწლოვნების გამო დაიკავა, მაგრამ მისი გამეფება რევიან-ბქარიანთა ხელწერილის პირობას აღარ ემყარებოდა (გოილაძე 1990: 23, 33, 88-91). ხელწერილის შესახებ *მეფეთა ცხოვრების* ცნობის ამგვარი ინტერპრეტაცია არ შეიძლება, რადგან ის, როგორც სამეფო ხელისუფლების გადაცემის სამართლებრივი ნორმა, თავს იჩენს *ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში*. ვახტანგის ანდერძის თანახმად, ოსეთში ლაშქრობისას მისი შესაძლო სიკვდილის შემთხვევაში, ანუ, თუ შეიქმნებოდა ვითარება როდესაც აღარ იქნებოდა „ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა" მეფობა უნდა გადასულიყო კუხეთ-რუსთავის მფლობელ მირიანზე, რადგან ის ბაქარიან ვახტანგ გორგასალს რევიან ნათესავად მოუდიოდა (ყაუჩიშვილი 1955: 151; აბულაძე 1953: 147).

ამგვარად, ქართლის პირველ ქრისტიან მეფეთა შესახებ *მოქცევაჲ ქართლისაჲსა* და *ქართლის ცხოვრების* (*მეფეთა ცხოვრება, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, წმინდა ანჩიღის ცხვრება*) განსხვავებული მონაცემები, არსებითად დინასტიურ საკითხთა ნრეს განეკუთვნებიან და მათ მთლიანობაში, თითოეული ამ წყაროსათვის სისტემური, კონცეპტუალური ხასიათი აქვთ. შესაბამისად, ეს მონაცემები არა თუ მხოლოდ განსხვავდებიან, არამედ პრინციპულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. წინააღმდეგობა კი, როგორც ზემოთ არის ილუსტრირებული, სწორედ იმ საკითხში მდგომარეობს რომელიც *მეფეთა ცხოვრების* თანახმად რევიან-ბაქარიანთა დინასტიურ-მემკვიდრეობთი დავის საგანს ნარმოადგენდა: ვის გააჩნდა ქართლის სამეფო ტახტზე მემკვიდრეობის უპირატესი უფლება მეფე მირიანის შემდგომ და ვინ განაგებდა სამეფოს – რევის თუ ბაქარის შთამომავლები.

პირველი ქრისტიანი მეფებისა და მათ შორის დინასტიური დაპირისპირების შესახებ ქართული წყაროების მონაცემების ვერიფიკაციის კარგ შესაძლებლობას იძლევა, აღწერილი ამბების თანამედროვის, რომი-სპარსეთის ომების უშუალო მონაწილის, კარგად ინფორმირებული და სანდო ისტორიკოსის *ამიანე მარცელინის ისტორია* (*Res Gestae*). მისი ცნობები იბერიის შესახებ, ეპიზოდურობის მიუხედავად, წარმოადგენენ პირველხარისხოვან წყაროს IV საუკუნის ისტორიის კვლევისა და რეკონსტრუქციისათვის.

ამიანე მარცელინის თანახმად, 361 წ. დამდეგს სპარსეთთან წარუმატებელი ომის პირობებში, იმპერატორი კონსტანციუს II მდიდრულ საჩუქრებს უგზავნის სომხეთის მეფე არშაკს და იბერიის მეფე მერიბანეს-ს (Meribanes reges et Hiberiae), რათა მათ იმ საეჭვო ვითარებაში ირანელთა მხარე არ დაეჭირათ და არ ევნოთ რომაელთა საქმეებისთვის (Amm., XXI.6:7,8). პირველად, სენ მარტენმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ ცნობაში მერიბანეს (*Méribanès*) და მირიან (*Mirian, Mihran*) ერთი და იგივე, ღვთაება მითრას კულტიდან მომდინარე სახელებია. თუმცაღა, მისი დროისთვის მიღებული ქრონოლოგიის გამო 265 წ. გამეფებულ მირიანს, რომლმაც იბერიაში ქრისტიანობა დაამკვიდრა და 361 წ. მოხსენიებულ მერიბანესსა ერთმანეთთან არ აიგივებდა. მიიჩნევდა, რომ სახელების მსგავსების გამო, ეს ისტორიული პირები შესაძლოა, ძველ ისტორიკოსებს ერთმანეთში არეოდათ (ლე ბოო 1824a: 292 შენ. 2; 1824b: 353, შენ. 2). შემდგომ ხანებში შემუშავდა და განვითარდა, ამჯერად ჩვენთვის საინტერესო შეხედულება, *ამიანეს* მერიბანესისა და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანის იგივეობის შესახებ" (გორგაძე 1905: 31; 1908: 65, 70; ხალათიანცი 1903: 267, შენ. 2; კაკაბაძე 1924: 70; გეორგიკა 1961: 80-81,146; თუმანოვი 1969: 21; ჯანაშია 1986: 24; მუსხელიშვილი 2003: 13-14) და სხვ. ასევე, გამოთქმულია მოსაზრებები, მერიბანესის ქართლის სხვა მეფეებთან გაიგივების შესახებ (ბარათაშვილი 1895: 30; გოილაძე 1990: 80-81; ჩხარტიშვილი 2018: 106-107; ხურცილავა 2003: 11, 12, 15; გაფრინდაშვილი, ქურდიანი 2003: 21, 24) და სხვ.

თანამედროვე მედიევისტურ ისტორიოგრაფიაში ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ცხოვრებისა და მეფობის მეფობის წლები დადგენილი არ არის. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს 361 წ. მოხსენიებული მერბანესისა და მირიანის გაიგივების საფუძველზე, მისი გარდაცვალების თარიღის განსაზღვრა 361, 362 ან 363 წლებით. მითუმეტეს, რომ ეს თარიღები ან, სრულად არის მოკლებული დასაბუთებას (გორგაძე 1905: 31-32; 1908: 66, 71; კეკელიძე 1929: 141; ბოგვერაძე 1979: 22-23) ან, ემყარება ქართლის გაქრისტიანების მოძველებული თარიღის (337 წ.) შეჯერებას *ქართლის ცხოვრების* ზოგიერთი ნუსხის ქრონოლოგიურ ჩვენებასთან რომლის თანახმად, მეფე მირიანი თითქოს მოქცევიდან ოცდამეხუთე წელს გარდაიცვალა (337+25=362) (მელიქიშვილი 1958: 162; გეორგიკა 1961: 80-81; ჯანაშია 1986: 24). თუმცაღა, *ქართლის ცხოვრების* სხვა (C, Mm, B) ნუსხებში მირიანის მოქცევიდან „ოცდამეხუთე" წლის ნაცვლად, მითითებულია ოცდაექვსი, თხუთმეტი, თეიმურაზ ბაგრატიონთან – ოცდათხუთმეტი წელი, ხოლო, *ქართლის ცხოვრების* სომხური თარგმანი (XII ს.) საერთოდ არ შეიცავს ამგვარ ქრონოლოგიურ ჩვენებას (ქც 1955: 129; თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: 272; აბულაძე 1953: 129-130). ამავე მიზეზით საეჭვოა კ. თუმანოვის ქრონოლოგიური ორიენტირები: მირიანის გაქრისტიანება – 334 წ., ქართლის მოქცევა

– 337 ნ., *ამიანესთან* მერიბანესის მოხსენიება (ვ. გრუმელის ქრონოლოგით) – 360 ნ., გარდაცვალება – 361 ნ. (თუმანოვი 1963: 374-377; 1969: 20-24) და სხვ. შესაბამისად, მერიბანეს-მირიანის გარდაცვალების ამგვარი ქრონოლოგია მისაღები და გასაზიარებელი არ არის. მითუმეტეს, რომ 361 ნ. მერიბანესი არა თუ მხოლოდ ცოცხალია, არამედ მას შესწევს ძალა და ნება, იმ დროისათვის არსებულ, მძიმე საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, რომისა თუ სპარსეთისაგან დამოუკიდებლად მიიღოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები. კერძოდ, *ამიანეს* მონაცემებით, 359-360 წწ. რომის წინაღმდეგ მესოპოტამიასა და სომხეთში სპარსეთის უპირატესობით მიმდინარე საომარი მოქმედებები, 361 წლის ზამთრის დადგომის გამო იყო შეწყვეტილი და გაზაფხულის დადგომისთანავე მოელოდნენ შაბურ II-ის თავდასხმას (Amm., XXI.6: 7; 7: 1); ხოლო, დასავლეთიდან იმპერატორად გამოცხადებული იულიანე განდგომილი მოემართებოდა კონსტანციუს II-ის დასამხობად (Amm., XXI.5). ორ ცეცხლს შორის მყოფი კონსტანციუს II იბერიის მეფეს საჩუქრებს უგზავნიდა და სთხოვდა არა მოკავშირეობასა თუ დახმარებას, არამედ ნეიტრალიტეტის დაცვას – არ მიმხრობოდა სპარსელებს და არ ევნო რომის საქმეებისათვის (Amm. XXI.6: 6, 7, 8). ეს მონაცემები, უეჭველად ადასტურებენ, რომ 359-360 წწ. ომში იბერია არ მონაწილეობდა და მის მეფე მერიბანესს, რომის სასარგებლოდ არავითარი სამხედრო-პოლიტიკური ვალდებულებები არ ეკისრებოდა. ამ მონაცემებიდან, ისიც ჩანს, რომ ამ დროის იბერია პოლიტიკურად არც სპარსეთზე არ იყო დამოკიდებული, გარკვეული სუვერენუტეტით სარგებლობდა და მეომარ მხარეთა შორის ნეიტრალიტეტს იცავდა (გოილაძე 1990: 84; მუსხელიშვილი 2003: 54). ქართლის სამეფოს ამგვარი საგარეო პოლიტიკური კურსი, ცხადია, ვერ აღმოცენდებოდა სპონტანურად, მაინცა და მაინც 359-360 წლებში, როდესაც რომსა და სპარსეთს შორის სისხლისმღვრელი ომი მძვინვარებდა და ვერც 361 წელს, როდესაც საომარი მოქმედებები მხოლოდ ზამთრის დადგომის გამო იყო შეწყვეტილი. როგორც, სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართლის სამეფოს მონაწილეობა არ დასტურდება სპარსეთი-რომის 25 წლიან (338-363) ომებში (ჯანაშია 1986: 24, 73); შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ IV ს. 30-60-იან წწ. რომი-სპარსეთის ფართო მასშტაბიან სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტისაგან მნიშვნელოვნად დისტანცირებულ ქართლის სამეფოს, ხანგრძლივად და განუხრელად უნარმოება მშვიდობიანი საგარეო (და საშინაო) პოლიტიკა.

საყურადღებოა, რომ იბერია/ქართლში ნიზიბინის (I) ზავიდან 367/368 წლამდე უზენაესი სამეფო პირის ცვლილება ცნობილი არ არის; მიუხედავად იმისა, რომ 298-338 წწ. ნიზიბინის ზავის პირობებით ქართლის მეფეებს სამეფო ნიშნები რომისგან უნდა მიეღოთ (გეორგიკა 1936: 193), რომაულ-ბიზანტიური წყაროები არ იუწყებიან, რომ ამ უფლებით რომელიმე იმპერატორმა ისარგებლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (IV ს. დამდეგიდან 60-იანი წწ. II ნახევრამდე) იბერიის თანმიმდევრული და წარმატებული პოლიტიკური მმართველობის უკან, ერთი მეფე – *ამიანესთან* 361 ნ. მოხსენიებული – მერიბანესი იდგა. მას შემდეგ, რაც მერიბანესი აღარ ჩანს სარბიელზე, იბერიის პოლიტიკური კურსი მკვეთრად იცვლება. სამეფო ტახტს, ორი პრეტენდენტი ეცილება, ხოლო იბერია, რომსა და სპარსეთს შორის ხანგრძლივი უთანხმოების მიზეზი და საომარი მოქმედებების ასპარეზი ხდება. ამ კონტექსტში მერიბანესის მოუხსენიებლობის მიზეზად, შესაძლოა, 367/368 წლებამდე ახლო ხანებში მისი გარდაცვალება ვიგულისხმოთ.

ამ თვალსაზრისით, იბერიის მეფე მერიბანესი არსებითად შეესაბამება IV საუკუნის ქართლის პირველ ქრისტიან მეფე მირიანს, რომლის შესახებ არსებულ მონაცემებში (ქართული წერილობითი წყაროები, ტრადიცია, სამეცნიერო მოსაზრებები) მითითებულია მისი ხანგრძლივი მეფობა; ივარაუდება, რომ ის უნდა გამეფებულიყო ნიზიბინის ზავამდე (298 ნ-მდე) და შესაძლოა, IV ს. 60-იან წლებშიც ემეფა. მისი მეფობა, განსაკუთრებით მეორე ნახევარი, ხასიათდება წარმატებული პოლიტიკური მმართველობით, სპარსეთთან, რომთან და სომხეთთან მშვიდობიანი ურთიერთობებით, ნათესაური და კულტურულ-რელიგიური კავშირებით. ვითარება არსებითად იცვლება მირიანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი მემკვიდრე რევიან-ბაქარიანების დინასტიური დავა საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზრადა.

IV ს. 60-70 წწ. იბერიაში დინასტიური კონფლიქტის შესახებ *ამიანეს* მონაცემების თანახმად, 367/368 ნ. შაბურ II-მ სომხეთის მეფე არშაკ II-ის დატყვევების შემდგომ განდევნა საურმაკე (Sauromace), რომელსაც რომაელთა შემწეობით უნდა ემართა იბერია და მის ნაცვლად მმართველობა „ვინმე" ასპაკურეს (Aspacures) ჩააბარა და სამეფო გვირგვინის ტარების ნება მისცა, რომ რომაელთა გადაწყვეტილებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა (Amm., XXVII.12: 3, 4). იბერიიდან დევნილი საურმაკე, სარდალ ტერენციუსისა და 12 რომაული ლეგიონის თანხლებით 370/371წ. ბრუნდება იბერიაში. მდ. მტკვირის მისადგომებთნ საურმაკე და ასპაკურე (რომლებიც ერთმანეთს სისხლით ნათესავებად – ბიძაშვილებად მოუდიოდნენ), დაზავდნენ და იმპერატორ ვალენტის ნებართვით შეთანხმდენ, რომ თითოეულ მათგანს იბერიის გარკვეული, მდ. მტკვრით გამიჯნული ნაწილი ემართა (Amm., XXVII.12: 16, 17). 371-376 წწ. რომსა და სპარსეთს შორის სომხეთისა და იბერიის თაობაზე უშედეგო დიპლომატიურ დავას, შაბურის მხრიდან, 376-377 წწ. საომარი მოქმედებები მოჰყვა, რომლის მთავარ სამიზნეს სომხეთი და საურმაკეს თანმხლები რომაული გარნიზონები წარმოადგენდენ (Amm., XXX.2:1-7). 377 ნ. თრაკიაში გოთების შემოსევის გამო, ვალენტი იძულებული იყო სომხეთთან დაკავშირებით შაბურისათვის ზავი ეთხოვა (Amm., XXX.2: 8; XXXI.7: 1, 2).

მართალია, დაზავების თხოვნაში, იბერიის შესახებ პირდაპირი მითითება არ არის, მაგრამ იმ დროისათვის სომხეთ-იბერიის საკითხები იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ფრიად საეჭვოა ისინი ცალ-ცალკე განხილვის საგანი ყოფილიყო და ამ დროს უნდა აღდგენილიყო იბერიის სამეფოს მთლიანობა, ასპაკურეს სასარგებლოდ, სპარსეთის მხარდაჭერით და რომაელთა თანხმობით (ჯანაშია 1986: 28-29). ყოველ შემთხვევაში, იმპერატორმა ვალენტმა კომიტ პროფუტურესა და ტრაიანეს მეთაურობით სომხეთიდან დაუყოვნებლივ გაიყვანა რომაული სამხედრო ძალები (Amm., XXXI.7: 1, 2) და უნდა ვიგულისხმოთ, – სომხეთის მოსაზღვრედ, იბერიის სამხრეთში მყოფი 12 ლეგიონიც, რომელიც ფრიად საეჭვოა, გოთებთან დიდი ომის წინ, იმპერატორ ვალენტს საურმაკესთვის დაეტოვებინა.

ამიანეს მონაცემებს IV ს. II ნახევარში იბერიის სამეფო ტახტზე საურმაკე-ასპაკურეს დინასტიური კონფლიქტის თაობაზე, არსებითად შეესაბამება *მეფეთა ცხოვრების* მონაცემები პირველი ქრისტიანი მეფის ოჯახში რევ-ბაქარიანების დინასტიური განხეთქილების შესახებ. ამ მონაცემების შეჯერება საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართლის სამეფო ოჯახში განვითარებული დინასტიური დრამის, ორი სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა თვალით დანახული ისტორიის ერთგვაროვნებას, ცალკეული ეპიზოდებისა თუ დეტალების იდენტურობასა და ფაქტების ლოგიკას.

ამიანეს მონაცემებით, ტახტის პრეტენდენტები საურმაკე და ასპაკურე, ერთმანეთს სისხლით ნათესავებად – ბიძაშვილებად მოუდიდონენ (Amm., XXVII.12: 16, 17). ეჭვს გარეშეა, რომ ეს პირები იბერიის სამეფო დინასტიას ეკუთვნოდნენ და წინამორბედი მეფე მერიბანესის მემკვიდრეები იყვნენ. უნდა ვიფიქროთ, მათი დინასტიურ-მემკვიდრეობითი პრეტენზიების გააქტიურების მიზეზს, წინამორბედი მეფის – მერიბანესის გარდაცვალება წარმოადგენდა; *მეფეთა ცხოვრებაში* ბიძა ძმისშვილის – ბაქარ მირიანის ძისა და თრდატ რევის ძის დინასტიური კონფლიქტი, წინამორბედი მეფის მირიანის გარდაცვალებას მოჰყვა. ამ ისტორიებს და მათ მოქმედ პირებს თუ ერთმანეთთან გავაიგივებთ და იბერიის მეფე მერიბანესს, როგორც ითქვა, ქართლის პირველ ქრისტიან მეფე მირიანად მივიჩნევთ, მირიანის ძე ბაქარს (ბაქარიანთა მამათავარს) მივიჩნევთ ასპაკურედ, ხოლო, რევიან თრდატ რევის ძეს – საურმაკედ, ამ შემთხვევაში, ნათლად გამოჩნდება *ამიანესა* და *მეფეთა ცხოვრების* ერთობლივი მონაცემების აშკარა შესაბამისობა. კერძოდ, ორივე შემთხვევაში ერთგვაროვნად არის წარმოდგენილი საკითხის პოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული მხარე: იბერია/ქართლის სამეფო კარზე დინასტიური დაპირისპირება თავდაპირველადვე ქვეყნის გარედან იყო ინსპირირებული, სომხების (*მეფეთა ცხოვრება*) თუ რომის (*ამიანე*) მიერ და იბერია/ქართლის ტახტზე თავისი კანდიდატის (საურმაკე/თრდატის) დასმას ისახავდა მიზნად; სპარსეთი აქტიურად იცავდა ასპაკურე/ბაქარის სამეფო უფლებას; საომარი მოქმედებების ზონას ჯავახეთი წარმოადგენდა/ფრონტის ხაზი მდ. მტკვარის ხეობაზე გადიოდა; იბერიის/ქართლის გაყოფა დამთავრდა ასპაკურე/ბაქარის სასარგებლოდ, სპარსეთისა და რომის საერთო თანხმობით – ზავით.

ამ მონაცემებს შორის (საკუთარი სახელების გარდა) ერთადერთ არსებით განსხვავებას წარმოადგენს, მითითებები ტახტის პრეტენდენტების ნათესაობის ხარისხის შესახებ, სადაც ასპაკურე და საურმაკე ერთმანეთს – ბიძაშვილებად, ხოლო ბაქარი და თრდატი – ბიძა ძმისშვილად მოუდიოდნენ. ამჯერად, შემდგომი მსჯელობისათვის, ეს სხვაობა არსებითი არ არის, საკმარისია ცნობა მათი სისხლით ნათესაობის შესახებ (თუმცა, თავისთავად საინტერესოა, თვითონ *ამიანე* რამდენად სწორედ ერკვეოდა „ვინმე ასპაკურეს“ სისხლით ნათესაობის დეტალებში).



ამიანესა და *მეფეთა ცხოვრების* მონაცემები ერთსულოვანია ტახტის თითოეული პრეტენდენტის ლეგიტიმურობის საკითხში: ასპაკურე/ბაქარი სამეფო ინსიგნეის – გვირგვინის მფლობელია, განსხვავებით მისი მეტოქე საურმაკე/თრდატისაგან, რომელიც *მეფეთა ცხოვრებით* იყო სომეხი ნათესავებისაგან ნაქეზებული ქართლის ტახტის მაძიებელი პრინცი და რომელსაც, *ამიანეს* თანახმად, რომის შემნეობით უნდა ემართა იბერია. საყურადღებოა, რომ *მეფეთა ცხოვრებით*, ბაქარმა გვირგვინი მამისგან მიიღო გამეფებისას, ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე (ყაუხჩიშვილი 1955: 129,130; აბულაძე 1953: 129-131); ხოლო, *ამიანეს* თანახმად, ასპაკურეს გვირგვინის ტარების უფლება, შაბურმა კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე 367/368 წ. მისცა (Amm., XXVII.12:

4); ანუ, ერთხმად არის აღიარებული ასპაკურე/ბაქარის სამეფო უპირატესობა და ის, ერთი და იგივე სამეფო ინსიგენიით – გვირგვინით არის აღნიშნული. მკაცრი ეტიკეტის მქონე სპარსეთის სამეფო კარი, გვირგვინის ტარების უფლების მინიჭებით, უნდა ვიფიქროთ, ასპაკურეს მეფობასთან ერთად მის სამეფო ნარმომავლობასაც აღიარებდა (კულაკოვსკი, სონნი 1906-1908: XXVII.12: 4). ამ თვალსაზრისით, ასპაკურე, იბერიის სამეფოს ოჯახის ნევრად და, შესაძლოა, ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში ასე თვლიდა სპარსეთის შაჰი შაბურ II და თვით *ამიანეც* გვერდს ვერ უვლის მისი გვირგვინოსნობის ფაქტის აღნიშვნას, მაგრამ მას, მაინც „ვინმე ასპაკურე"-დ მოიხსენიებს (Amm., XXVII.12: 4). ვფიქრობ, IV ს. 60-იან ნნ. მიწურულს ქრისტიანი იბერიის მეფეს ცეცხლთაყვანისმცემელი შაბური, მრვალი მიზეზის გამო გვირგვინს ვერ უკურთხებდა. უფრო ის არის საფიქრებელი, რომ შაბურმა არა საკუთრივ გვირგვინი, არამედ მისი ტარების უფლება მისცა ასპაკურეს (კულაკოვსკი, სონნი 1906-1908: XXVII.12: 4; შდრ. გეორგიკა 1961: 125; ჯანაშია 1986: 73). საყურადღებოა, რომ *მეფეთა ცხოვრებაში*, სამეფო გვირგვინის გადაცემისა თუ მეფედკურთხევის ცერემონიალის მხოლოდ სამი შემთხვევაა აღწერილი; ქართლის სამეფოსა და ფარნავაზთა დინასტიის დამაარსებლი ფარნავაზის, სამეფოსა და დინასტიის ორად გამყოფი ადერკის გამეფების და ბაქარის შემთხვევაში, რომელიც პირველი იყო ქართლის მეფეთა შორის, ვინც გვირგვინი ქრისტიანული ნესითა და იდეოლოგიით მიიღო:

> შვილო... შენდა მომიცემია გკრგკნი მეფობისა ჩემისა... და მოაყვანებინა ჯუარი იგი ნმიდისა ნინოსი, რომელი პირველითგან აქუნდა, და ჩამოჰკიდა გკრკნი სამეფო ჯუარსა მას. და მოიყვანა ძე თჳისი ბაქარ. და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა; და აღიღო გკრკნი ჯუარისაგან და დაადგა თავსა ძისა თჳისასა. და აღესრულა მირიან მეფე (ყაუხჩიშვილი 1955: 129, 130; აბულაძე 1953: 129-131).

ეს მონაცემები, კიდევ უფრო, საინტერესოს ხდის ცნობას და ზოგადად საკითხს, ბაქარის სამეფო გვირგვინის შესახებ და ძალაუნებურად მივყავართ აზრთან, რომ შაბურს სწორედ იმ გვირგვინის ტარების უფლება შეეძლო მიეცა იბერიის მეფე ბაქარ/ასპაკურესათვის, რომელიც ამ უკანასკნელს, მამისგან მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული და რომელსაც, მისი მეტოქე თრდატი/საურმაკი ედავებოდა.

მეფეთა ცხოვრება, თრდატ რევის ძეს რომელიც, სომეხი ნათესავების მხარდაჭრით იბრძოდა ტახტისთვის, კანონიერ მემკვიდრედ არ მიიჩნევდა, ისევე, როგოც *ამიანეს* თანახმად, საურმაკეს მმართველობა რომის შემწეობასა და ავტორიტზე იყო დამოკიდებული (Amm., XXVII.12: 3, 4) და არა მემკვიდრეობით თუ სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში პოპულარულია მოსაზრება, რომ საურმაკე, რომელიც შაბურ II-მ ტახტიდან ჩამოაგდო, რომაელების მიერ, ნიზიბინის ზავის პირობებით იყო ქართლის მეფედ დასმული. *ამიანე*, საურმაკეს მოიხსენიებს როგორც მმართველს, გამგებლს და არა, როგორც მეფეს (Amm., XXVII.12:4; გეორგიკა 1961: 125; ჯანაშია 1986: 73). კიდევ უფრო საეჭვოა, საურმაკეს „მეფობის" შესახებ, თავისთავად უსაფუძვლო მოსაზრების არგუმენტირება 298-338 ნნ. ნიზიბინის ზავის პირობებით, რომლის თანახმად, ქართლის მეფეებს რომაელებისგან უნდა მიეღოთ სამეფო ნიშნები (გეორგიკა 1936: 193). ნიზიბინის ზავი 338 ნ. ამოინურა და მისი პირობების დადგენიდან (298 ნ.) მრავალმა ნყალმა ჩაიარა. IV ს. 50-იანი წლების მიწურულიდან შაბურის ნარმატებულმა სამხედრო მოქმედებებმა მკვეთრად შეცვალა ძველი პოლიტიკური წესრიგი, რომელიც 363 წლიდან, უკვე სამარცხვინო ზავის პირობებით რეგულირდებოდა. ამ პირობებით იმპერიამ დაკარგა 298 ნ. ნიზიბინის ზავით აღმოსავლეთში მოპოვებული სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა (Amm., XXV.7: 6-12). მართალია, 363 ნ. ზავის პირობებში იბერიის საკითხი განხილული არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ IV ს. 60-იან ნნ. იბერიასა და რომს შორის ურთიერთობები ნიზიბინის ზავის ყავლგასულ პირობებს ეფუძნებოდა და მეფეებსაც ამ ნესით სვამდნენ. ასეც, რომ ყოფილიყო, ნიზიბინის ზავის პირობებით რომაელებს მხოლოდ სამეფო ნიშნების მიცემის ვალდებულება ჰქონდათ და არა მეფის დასმის უფლება (გეორგიკა 1936: 193).

საყურადღებოა, რომ საკუთრივ *ამიანეს* ცნობის დედნისეული ლათინური ტექსტი გარკვეული ინტერ-პრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ასახულია მის სხვადასხვა თარგმანში. ქართული თარგმანებით: შაბურმა „...სავრომაკი გააძევა, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას" (გეორგიკა 1961: 125), ან, შაბურმა „...განდევნა რომაელების მიერ იბერიის მმართველად დანიშნული სავრომაკი" (ჯანაშია 1986: 73); რუსული თარგმანით: „Царь персидский Сапор изгнал Савромака, который римской властью был поставлен управлять Иверией" (კულაკოვსკი, სონნი 1906-1908: XXVII.12: 4). საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა გავიგოთ *ამიანეს* ცნობა: „...Sauromace pulso, quem auctoritas Romana praefecit Hiberiae" – სავრომაკე რომის შემწეობით განაგებდა იბერიას, თუ ის, რომის შემწეობით იყო დანიშნული იბერიის მმართველად? ზაარლანდის უნივერსიტეტის რომის სამართლის კათედრის სპეციალისტების განმარტებით:

> ზმნა praefecit ამ წინადადებაში არ გამოხატავს მიზნობრიობას, ამისათვის ის უნდა იყოს კავშირებით კილოში (კონიუნქტივში), აქ კი იგი გამოყენებულია თხრობითი კილოს ნამყო დროის დასრულებული მოქმედების ფორმით (პერფექტ ინდიკატივი). ამ დამოკიდებული წინადადების ზუსტი თარგმანია: „სავრომაკი, რომელიც რომაელთა ავტორიტეტით იბერიის სამართავად იყო დაყენებული", მაგრამ გაურკვეველია გაძევებამდე რამდენი ხნით ადრე იქნა დაყენებული და მოასწრო თუ არა მართვა.[5]

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, სავრომაკეს მმართველობა უნდა იგულისხმებოდეს 361 წლის შემდგომ, 367/368 წლამდე. ანუ, სწორედ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთში პიკს აღწევს რომის სამხედრო-პოლიტიკური წარუმატებლობა: 25 წლიანი ომის ეპოპეა 363 წ. სამარცხვინო ზავით დასრულდა, ხოლო იმპერატორმა ვალენტიმ (364-378) აღმოსავლეთისათვის, მხოლოდ 369 წ. მოიცალა. ამ ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით, ფრიად საეჭვოა, რომის იმპერიას იბერიისა და მისი მოკავშირე სპარსეთის წინააღმდეობის გადალახვის და იბერიის მმართველად თავისი კანდიდატის დაყენების შესაძლებლობა ჰქონოდა. შესაბამისად, იბერიაში პრორომაულ მმართველობას ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, დრო და ადგილი არ ეძებნება. ვფიქრობ, *ამიანე* უნდა მიუთითებდეს იბერიაში არა საურმაკეს მართველობას, არამედ რომის იმპერიის სურვილს თუ მცდელობას, რომლის განხორციელების პოლიტიკური ძალა და რესურსი, იმ დროისათვის რომს არ ჰქონდა. თავისთავად საეჭვოა, 361-368 წწ. სპარსეთს დაეშვა იბერიაში რომაული მმართველობის დამყარება (მითუმეტეს „მეფის" დასმა, რისი უფლებაც, რომს თავისი ძლიერების ხანაში, ნიზიბინის ზავის პირობებითაც კი არ ჰქონდა). აღნიშნულის კარგი მაგალითია, სომხეთში მიმდინარე სინქრონული და პარალელეური მოვლენები. დევნილი საურმაკეს, რომაული ლეგიონებითა და სარდალ ტერენციუსის თანხლებით იბერიაში დაბრუნებამდე რამდენიმე ხნით ადრე (369/370 წწ.), ვალენტმა შაბურისაგან დევნილი სომეხი უფლისწული პარა, იმავე ტერენციუსის თანხლებით სომხეთის მმართველად დააბრუნა, მაგრამ შაბურის შიშით, მისთვის სამეფო ტიტულის მინიჭება ვერ გაბედა. საპასუხოდ, ვალენტის სიფრთხილის მიუხედავად, შაბურმა პირადად უხელმძღვნელა, სომხეთში სასტიკ სადამსჯელო ლაშქრობასა და მთებში გახიზნული უფლისწულის დევნას (Amm., XXVII.12: 9, 10, 11). გამოთქმულია მოსაზრება, რომ საურმაკეს იბერიიდან განდევნისას შაბურ II-მ დალაშქრა და დაიპყრო იბერია. თუმცა, *ამიანეს* ცნობებით, არც სხვა მონაცემებით IV ს. 60-70-იან წწ. სპარსელების ინტერვენცია იბერიაში (სომხეთისაგან განსხვავებით) არ დასტურდება; არ ჩანს, რომ საურმაკეს გაძევება, მაინცა და მაინც სპარსელების სამხედრო მოქმედებებს, მითუმეტს, იბერიის დალაშქვრასა თუ დაპყრობას უკავშირდებოდა. შაბურ II-ის მიერ საურმაკეს განდევნა (რა ფორმითაც არ უნდა მომხდარიყო), იყო არა იბერიის წინააღმდეგ აქცია, არამედ ტახტის პრეტენდენტი ასპაკურეს სამეფო ინტერესების დაცვა რომის მცდელობებისაგან თავისი კანდიდატურა დაეყენებინა იბერიაში მმართველად. შაბურ II არა თუ, არ ლაშქრავდა ან იპყრობდა იბერიას, არამედ ასპაკურეს მიიჩნევდა ტახტის კანონიერ მემკვიდრედ, მის სამეფო უფლებას გვირგვინით ადასტურებდა და შემგომ, რომაული გარნიზონების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებსაც არ ერიდებოდა (Amm., XXX.2: 7). იბერიაში სპარსეთის ჯარი არ იმყოფებოდა არც 370/371 წელს, ასპაკურე-საურმაკეს მტკვართან დაზავებისა და იმპერატორთან შეთანხმებით, იბერიის გაყოფისას. შაბურ II-მ გვიან და მოულოდნელად გაიგო ამის შესახებ. მას ჯერ კიდევ დიპლომატიის იმედი ჰქონდა და იმპერატორთან სომხეთის საკითხზე ელჩები ჰყავდა გაგზავნილი (Amm., XXVII,12: 16-18). *ამიანეს* ცნობებში, იბერიის ტერიტორიაზე მხოლოდ რომაული საჯარისო ნანილები და კერძოდ, სავრომაკეს თანმხლები 12 რომაული ლეგიონი იხსენიება, რომელსაც იბერიის სამხრეთ-დასაავლეთი ნაწილი ჰქონდა ოკუპირებული და რომელიც, 376-377 წწ. სპარსეთის სამხედრო მოქმედებების სამიზნეს წარმოადგენდა (Amm., XXX.2: 1-7).

ამიანესა და *მეფეთა ცხოვრების* მონაცემების შესაბამისობა, ამ შემთხვევაში იმითაც არის საინტერესო, რომ მათში აღწერილ უტყუარ ისტორიულ ფაქტებს *მოქცევაჲ ქართლისაჲს* სრული დუმილით უვლის გვერდს. უსაფუძვლო და უსამართლო იქნება ვიფიქროთ, რომ პირველ ქრისტიან მეფეთა ცხოვრებაში ღრმად ჩახედული *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ავტორისათვის უცნობი ყოფილიყო ან ყურადღების მიღმა დარჩენოდა იმ მასშტაბისა და მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები, რომელთა შედეგად IV ს. II ნახევარში დინასტიური დაპირისპირების ნიადაგზე ორად გაყოფილი, ნანილობრივ ოკუპირებული ქართლის სამეფო საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში და სახელმწიფოებრიობის რღვევის წინაშე აღმოჩნდა. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ რევიანების დინასტიური ინტერესების გამომხატველი *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, როგორც ზემოთ იყო ილუსტრირებული, მიკერძოებული და ტენდენციურია იმ რიგის ისტორიული ფაქტების მიმართ, რომლებიც დაკავშირებული იყო დინასტიურ დაპირისპირებასთან, სადაც რევიანების მისწრაფებებმა დაუფლებოდნენ ქართლის სამეფო ტახტს, მარცხი განიცადა. თავის მხრივ, პოლიტიკურად დამარცხებულ, სოციალურად დამცრობილ – კუხეთის ერისთავებად დასმულ და პირველობისათვის „ურთიერთსა კვლითა" შემცირებულ რევიანებს საკმარისზე მეტი მიზეზი და ამბიცია უნდა ჰქონოდათ მიკერძოებული და ტენდენციურები ყოფილიყვნენ საკუთარი სამეფო საგვარეულო ისტორიისა და სამეფო უფლებების მიმართ, რამაც ასახვა ჰპოვა *მოქცევაჲ ქართლისაჲს*, ჩვენ დრომდე მოღწეულ რედაქციებში.

ქართლის სამეფოში IV ს. II ნახევარში განვითარებულმა მოვლენებმა, დინასტიურმა დაპირისპირებამ და მის ნიადაგზე წარმოქმნილმა საერთაშორისო პოლიტიკურმა კრიზისისმა, ასახვა ჰპოვა, როგორც ქართულ წყაროებში, ისე *ამიანე მარცელინეს ისტორიაში* (*Res Gestae*). ამ მონაცემების (პირდაპირი თუ ირიბი) ჩვენებით პირველი ქრისტიანი მეფის ოჯახში წარმოქმნილ დინასტიურ-მემკვიდრეობითი დაპირისპირებას უაღესად მძაფრი ხასიათი ჰქონდა და მისი შედეგები არსებითი ხასიათის გავლენას ახდენდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. სწორედ ამ მოვლენებმა თავისი მნიშვნელობისა და მასშტაბების შესაბამისად

განსაზღვრეს ეროვნული საისტორიო მწერლობის ორი უმთავრესი წყაროს – *მეფეთა ცხოვრებისა* და *მოქცევაჲ ქართლისაჲს* განსხვავებული ისტორიოგრაფიული თვალთახედვა და პოლიტიკური ორიენტაცია ქართლის სამეფო ტახტზე რევიანთა თუ ბაქარიანთა დინასტიურ-მემკვიდრეობითი პრეტენზიების სასარგებლოდ.

შენიშვნები

1 ქართლის ქრისტიან მეფეთა საკითხის ისტორიოგრაფია და ლიტერატურა იხ. გოილაძე 1990.

2 მეფე ვარაზ-ბაქარს რომელიც *მეფეთა ცხოვრებისა* და *ვახტანგ გორგასლის ცხოვრების* დახასიათებით, იყო კაცი ურნმუნო, დამტეველი სჯულისა, რომელსაც „ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი" (ყაუხჩიშვილი 1955: 135-136,146; აბულაძე 1953: 133), შესაძლოა, ორი დინასტიური ქორწინების გარდა, სხვა ცოლებიც ჰყოლოდა და უკანონო შვილებიც. ყოველ შემთხვევაში სინას მთის ხელნაწერის ცნობა იხსენიებს ვარაზ-ბაკურის შვილების დედას და არა ცოლს (ალექსიძე 1991: 6-7).

3 პირმშოობის წესის თანახმად, მემკვიდრის – სამეფო ოჯახის უფროსი სანათესაო ხაზის ასაკით უფროსი წარმომადგენლის მიერ, სამემკვიდრეო უფლების გამოუყენებლობა (წინამორბედი მონარქის სიცოცხლემივე გარდაცვალება, ან აბდიკაცია) მის შთამომავლებს არ უკარგავს ტახტის მემკვიდრეობის უფლებას (გრადოვსკი 1895: 176).

4 ვ. ბოლოტოვი და ი. ჯავახიშვილი იზიარებდნენ მერიბანესთან მირიანის იდენტურობას, მაგრამ მას პირველ ქრისტიან მეფედ არ მიიჩნევდნენ (ბოლოტოვი 1898; ჯავახიშვილი 1979: 273-274).

5 მადლობას ვუხდი ზაარლანდის უნივერსიტეტის რომის სამართლის კათედრის სამეცნიერო ასისტენტს დოქტორ ნ. კლაუსსა და მეცნიერ თანამშრომელ გ. რუსიაშვილს დახმარებისა და კონსულტაციისთვის.

დამონმებანი

აბულაძე 1953: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბილისი.

აბულაძე 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. გამომცემლლობა „მეცნიერება", თბილისი.

ალექსიძე 1991: ზ. ალექსიძე. ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის" შესახებ. *ლიტერატურული საქართველო*, № 14.

ალექსიძე 2007: ზ. ალექსიძე. მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. თბილისი.

ამიანე 1906-1908: Аммиан Марцеллин. „История". Русский перевод Ю. Кулаковского и А. Сонни, (т. 1—3). Киев.

ბოგვერაძე 1979: ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბილისი.

ბოლოტოვი 1898: Отзывы В. В. Болотова о сочинении студента Г. Гамреклова „Древная история церкви в Грузии", Христианское Чтение, 1898, вып.4.

გაფრინდაშვილი, ქურდიანი 2003: ნ. გაფრინდაშვილი, მ. ქურდიანი. კიდევ ერთხელ ქართლის მოქცევის თარიღის შესახებ ნმინდა ნინოს გარდაცველების ნლის კათოლიკურ ტრადიციასთან დაკავშირებით. *სამეცნიერო მოხსენებათა თეზისები*, VIII. გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

გეორგიკა 1936: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. III. ტფილისი.

გეორგიკა 1961: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. I. თბ.

გოილაძე 1990: ვ. გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი.

გორგაძე 1905: საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი. *„მოამბე"*, № 3. ტფილისი.

გორგაძე 1908: ს. გორგაძე. ნერილები საქართველოს ისტორიიდან. ტ., II. თბილისი.

გრადოვსკი 1895: А. Градовский. Государственное право важньйших европейских держав: лекціи, читанныя в 1885. СПб.

თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა. ქმნილი საქართველოს მეათცამეტე მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან. სპბ.

თუმანოვი 1963: – C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Washington.

თუმანოვი 1969: C. Toumanoff. Chronology of the early kings of Iberia. Traditio, vol. 25.

ინგოროყვა 1978: პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. ტ. IV. თბილისი.

კაკაბაძე 1924: ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. ტფილისი.

კეკელიძე 1929: კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული. „მნათობი" № 7. ტფილისი.

ლე ბოო 1824a: Le Beau Ch. Historie du Bas-Empire. Nouvelle edition. ment corrigee et augmentee d'apres les historiens orientaux, par. M. De Saint-Marten. T. I, Paris.

ლე ბოო 1824b: Le Beau Ch. Historie du Bas-Empire. Nouvelle edition. ment corrigee et augmentee d'apres les historiens orientaux, par. M. De Saint-Marten. T. II, Paris.

ლუკონინი 1987: В. Луконин. Древний и раннесредневековой Иран (Очерки истории культуры). Москва.

მარი 1896: ცხოვრება პეტრე ივერისა. ქართული დედანი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ნ. მარრმან. Православный Палестинский сборник Т. XVI, вып. II, СПб.

მელიქიშვილი 1958: გ. მელიქიშვილი. ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ., IV, ნაკვ., I. თბილისი.

მუსხელიშვილი 2003: დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი.

ჟორდანია 1892: თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. წ., I. ტფილისი.

სანაძე 2001: მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). „საქართველოს მაცნე", თბილისი.

ყაუჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ., I. თბილისი.

ხალატიანცი 1903: Г. Халатьянцъ. Армянские Аршакиды въ „Исторіи Арменіи" Моисея Хоренагскаго. Москва.

ხურცილავა 2003: ბ. ხურცილავა. დიდი ბაკური (ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი). თბილისი.

ჩხარტიშვილი 1987: მ. ჩხარტიშვილი. ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები – „ცხორება წმიდისა ნინოსი". თბილისი.

ჩხარტიშვილი 2018: მ. ჩხარტიშვილი საქართველო III-IV საუკუნეებში. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია. ნეკერი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1928: ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ., I. ტფილისი.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ., I. თბილისი.

ჯანაშია 1986: ნ. ჯანაშია. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბილისი.

DYNASTIC PROBLEMS OF THE FIRST CHRISTIAN KINGS OF KARTLI (IBERIA) ACCORDING TO AMMIANUS MARCELLINUS AND GEORGIAN SOURCES

Givi Bolkvadze

Over the past two centuries, one of the most complex and controversial issues in the study of the Early Medieval history of Georgia remains, the question of the first Christian kings of Georgia.

Difficulties in studying this issue are due to the diverse, often mutually exclusive information about the kings of Georgia, coming both from ancient Georgian and foreign written sources (i.e. narrative and epigraphic records).

On the other hand, more than two dozen different, mutually exclusive versions of the lists and chronology of the kings of Kartli (Iberia) of the 4th-6th centuries AD, developed in the scientific literature, are sharply debatable.

This article examines the information of Ammianus Marcellinus (Res Gestae) and ancient Georgian written sources *Kartlis Tskhovreba* (The Life of Kartli) and *Moktsevay Kartlisay* (Conversion of Kartli), about the political events and dynastic problems of the royal house that took place in the Eastern Georgian (Iberian) kingdom in the 4th century AD.

The degree and nature of the correspondence and inconsistency of the data of these sources are determined by the method of comparative analysis of texts.

It is illustrated that Ammianus Marcellinus and the *The Life of Kartli* (Life of the Georgian Kings), regardless of each other, tell the same story of the emergence of dynastic problems and the cleavage within the family of Mirian/Meribanes – the first Christian king of the kingdom of Kartli/Iberia. This dynastic cleavage evolved into a large-scale military and political crisis in 360s-370s.

The study showed that in the ancient Georgian sources the existence of significant differences in the attribution of the dynastic questions of the first Christian kings (discrepancy in their genealogy, names, successions between the reigns, their life activities, and legal norms of inheritance of the royal throne, etc) are the results of the dynastic cleavage taking place in the second half of the 4th century, which led to the occupation and division of Iberia between the warring parties – Rome and Persia. These events, in their significance, scale and resonance, fed and determined the differences in the political and historiographical views of medieval Georgian authors.

სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის ბიბლიური პარადიგმები ჰიმნოგრაფიაში (ძლისპირებში)

ლამზირა ბუბუტეიშვილი

სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის პარადიგმები რამდენიმე ნიშნით ერთიანდება: ორივე მათგანი ბიბლიური სამყაროდან მომდინარეობს. რამდენადაც გამორჩეული და შთამბეჭდავია მათთან დაკავშირებული ბიბლიურ-ისტორიული პასაჟები, იმდენად ღრმა და მრავალსახოვანია მათი თეოლოგიური და სიმბოლურ-ალეგორიული ინტერპრეტაციები. მსგავსებას ასევე განაპირობებს მათი აქტიური მონაწილეობა უძველეს ბიბლიურ გალობათა, ხოლო შემდეგ მათ მოდელზე შექმნილი ჰიმნოგრაფიული კანონის რამდენიმე გალობის (ოდის) ჩამოყალიბებაში. ეს პროცესი რადიკალურად განსხვავებულ ეპოქებში მიმდინარეობდა. ამდენად, გრძელია მათ მიერ გავლილი გზა ძველი აღთქმიდან ახალი აღთქმის ეკლესიამდე.

საგალობლების შესრულების ტრადიცია უძველესი დროიდანვე არსებობდა, თუმცა ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, როდის უნდა მომხდარიყო უძველეს ბიბლიურ გალობათა შეტანა ძველი აღთქმის ეკლესიის ღვთისმსახურებაში. ყველაზე სანდო წყაროს, ამ შემთხვევაში, ძველი აღთქმის ნიგნები წარმოადგენს, რომელთა ავტორები წინასწარმეტყველები და ნმინდანები არიან (ქვემოთ მათ კონკრეტულად მოვიხსენიებთ). მათ მიერ აღვლენილი ჰიმნები კი არის ის მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ბიბლიურ საგალობლებს. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, მათი რაოდენობა ბიბლიაში თავდაპირველად თოთხმეტი ყოფილა, ხოლო შემდეგ, V თუ VI საუკუნეში, ცხრა დაუდგენიათ, ანგელოზთა ცხრა დასთან მიმსგავსებით.

უძველესმა ბიბლიურმა გალობებმა ქრისტიანულ ეპოქაში ხელი შეუნყო საგალობლის ახალი ფორმის ჩამოყალიბებას, ჰიმნოგრაფიული კანონის სახით.

კანონი ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში გვიან შეიქმნა. დღევანდელი სახე მან VIII-IX საუკუნეებში მიიღო და ყველაზე უნივერსალური აღმოჩნდა საგალობლის ფორმათა შორის. გამორჩეული მრავალფეროვანი სტრუქტურითა და სიმყარით – კანონი დღემდე აგრძელებს არსებობას ქრისტიანულ ლიტურგიასა და ჰიმნოგრაფიაში.

ქართული ჰიმნოგრაფია, სპეციალისტთა შეფასების თანახმად, მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით სრულიად გამორჩეული და საკუთარი შემოქმედებითი მიზნების მქონე კულტურულ ფენომენად ითვლება. ამის ერთ–ერთ დასტურად სამართლიანად არის მიჩნეული ისიც, რომ მან დღემდე შემოინახა გალობათა უძველესი სახელწოდებები, რომლებიც დაუკარგავს ბერძნულს და, ალბათ, მისი გავლენით, სლავურსა და სხვა ენათა ღვთისმსახურებას. ამ უკანასკნელთა სადღესასწაულოებში ეს სახელწოდებები შეცვლილია რიცხვებით: I-უგალობდითსა, II-მოიხილესა, III-განძლიერდასა, IV-უფალო მესმასა, V-ღამითგანსა, VI-ღაღადვყავსა VII-კურთხეულარსა, VIII-აკურთხევდითსა, IX-ადიდებდითსა. „გალობების ქართული სახელწოდებებისათვის აღებულია იმ ბიბლიურ გალობათა დასაწყისი სიტყვები, რომლებიც საფუძვლად დაედო კანონის გალობებს" (ძლისპირნი 1971: 011).

სამი ყრმის უძველესმა ბიბლიურმა გალობამ[1] ჰიმნოგრაფიული კანონის VII და VIII გალობას (ოდას) დაუდო საფუძველი, ხოლო იონა წინასწარმეტყველის გალობა კანონის VI ოდის წყარო გახდა. დანარჩენმა ბიბლიურმა გალობებმა კი კანონის სხვა ოდათა თემები განსაზღვრეს. ისინი დამოუკიდებლადაც გამოიყენებიან კანონის ცალკეული ირმოსისა და ტროპრის რეფრენად. თუმცა საყოველთაო პრაქტიკაში მათი კითხვის წესი სრულიად გაუქმებულია, გარდა დიდმარხვისა, ისინი შეცვლილია საგანგებო მოკლე მისამღერებით ამა თუ იმ მოწამეზე ან დღესასწაულზე (კერნი 2009: 34).

სამი ყრმის საოცარ თავგადასავალს დანიელ წინასწარმეტყველის წიგნი მოგვითხრობს: ნაბუქოდონოსორ მეფის ბრძანებით ანანია, აზარია და მისაელი გახურებულ ბრძმედში ჩაყარეს. მიზეზი – დეირის ველზე აღმართული კერპებისთვის პატივის მიუგებლობა იყო. ღვთისმოშიში ყრმები სასნაულებრივად გადაურჩნენ ცეცხლის სიმხურვალეს. ღმერთმა მათ ზეციური ნიავი მოუვლინა და უვნებლად დაიცვა. მადლობის ნიშნად ყრმებმა თითქოს ერთი ბაგიდან იგალობეს ღვთის გამოუთქმელი დიდებულება, რომელიც ყველგან ჩნდება (დანიელი III, 26-56; 57-88).

სამი ყრმის გალობა ძველი აღთქმის ეკლესიის ღვთისმსახურებაში ადრიდანვე უნდა შეეტანათ. ჯერ კიდევ მაკაბელთა წიგნში შექებული არიან დანიელის მეგობრები, რაც გვავარაუდებინებს, რომ საგალობელი ნამდვილად სრულდებოდა იუდეველთა ეკლესიაში (გუმილევსკი 1902:40); მის პოპულარობას კი გვიდასტურებს IV საუკუნეში შექმნილი ქრისტიანული ძეგლი *ქაღწუღობის შესახებ* (ფსევდო ათანასე), სადაც იგი მოხსენებულია, როგორც ერთ-ერთი ცნობილ გალობათა შორის.

VII გალობა „აკურთხევდითსა" ღვთის მიუნვდომელ განგებულებას, მის უსაზღვრო ძალმოსილებას

ეძღვნება, რომლითაც დაცულ იქნა სამი ყრმა. გალობა აგებულია დანიელის წიგნის მე-3 თავის 26-59 მუხლებზე. ყოველი მუხლი ნათლად წარმოაჩენს ღვთაებრივ ყრმათა შინაგან სამყაროს, მათ ღრმა სინანულს ადამიანთა სისუსტეებისა და ღვთის მცნებათა უგულებელყოფის გამო, რაც მიზეზი ხდება განსაცდელში ჩავარდნისა.

გალობის საერთო განწყობილება განსაკუთრებულ ემოციას ბადებს: იგი ამაღლებული და საზეიმოა. ცოდვის დაცემის ფონზე შობილი თავმდაბლობისა და სინანულის ლირიკულ ტონს ერთგვარად ამთლიანებს და ზესივრცულისაკენ ნარმართავს მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეული მუხლები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსიკური ანაფორის მხატვრულ-სტილური ხერხი. ასეთია 52-56 მუხლების დასაწყისი „კურთხეულ ხარ" და ამავე მუხლების ბოლო ფრაზა „ზეშთა ქებულ და ზეშთა ამაღლებულ საუკუნეთა" (მცხეთური 1986: 11-12).

ეს ლექსიკური ანაფორა, როგორც ბიბლიური ენობრივი მასალა და როგორც მხატვრულ-სტილური ხერხი, დინამიურად გადადის VII ბიბლიურ გალობაში და ასევე პოპულარული ხდება ამავე გალობის მოდელზე შექმნილი ჰიმნოგრაფიული კანონის VII ოდისთვისაც.

ამავე თემას აგრძელებს VIII ბიბლიური გალობა „აკურთხევდითსა", რომელიც VII გალობისაგან განსხვავებით სამადლობელს გამოხატავს უფლის მიმართ, რომელმაც ყრმები გადაარჩინა. მას საფუძვლად დანიელის წიგნის მე-3 თავის 57-88 მუხლები უდევს, რომელთა დასაწყისი სიტყვა „აკურთხევდითსა" გალობის სახელად იქცა ქართულში.

ეს მუხლები უდიდეს ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან მათში ყრმათა განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობაა გამოხატული. მათი ყოველი სიტყვა ღვთის უნივერსალურობას, მის მიუწვდომელ საქმეთა ხოტბა-შესხმას ეძღვნება და სავსეა ღვთაებრივ-სულიერი ენერგიით.

გალობაში ჩართულია სამყაროს ყველა არსება – სულიერი თუ უსულო. ყრმათა მიმართვის ობიექტები ხდებიან: ანგელოზები, ცა, წყალი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, წვიმა, ცეცხლი, ქარი, ხვატი, ყინვა, დღე, ღამე, ბნელი, ნათელი, ღრუბელი, დედამინა, ბორცვი, მდინარეები, ფრინველები, ცხოველები, ადამის ძენი.

ცისა და მინის იდეალური კავშირის ნარმოჩენით იშლება სამყაროს მთლიანობის სურათი, იქმნება სიხარულის, ზეიმის, ზეშთამაღლების განუმეორებელი განწყობილება.

> გალობათა თხზვა თითქოს ტაძრის აშენების მსგავსად იმეორებს საყაროს შექმნას. საყოველთაო ცვალებადობის, მოძრაობის რეტრადაცია და სტატიკურობაში გადაყვანა ხერხდება მუხლიდან მუხლში განმეორებული ფრაზით: უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა (კვირიკაშვილი 1982: 48-49).

VII და VIII გალობათა საზეიმო კილოზე ყურადღებას ამახვილებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცნობილი მკვლევარი ველეში. მისი აზრით, VIII ოდა ჩვეულებრივ ეხება დღესასწაულის ობიექტებს, რომლისთვისაც კანონი დაიწერა. ეს არის უფრო მოზეიმე კილო ორივე ჰიმნისა, რომელიც აკავშირებს მათ ერთმანეთთან (ველეში 1961: 215).

სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის პარადიგმების შესწავლას შევეცადეთ ჰიმნოგრაფიული კანონის გალობის (ოდის) ძლისპირებზე დაკვირვებით. ვინაიდან ძლისპირი, როგორც გალობის პირველი ტროპარი, განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია რიტმულ-მელოდიური თვალსაზრისით და, ამავე დროს, ბიბლიური პასაჟის სხვადასხვა ინტერპრეტაციით გააზრების საშუალებასაც იძლევა. სახელმძღვანელოდ მივმართეთ ძლისპირთა პოპულარულ კრებულებს: *ძლისპიჰნი* და *ღმჰთისმშობლისანი* და *ნევმიჰებული ძლისპიჰნი,* რომლებიც ელენე მეტრეველის რედაქციითაა ცნობილი და უნიკალურ გამოცემებს წარმოადგენს ქართული მეცნიერებისათვის.

ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის წინასახე და საფუძველი ბიბლიური გალობაა, თავის გალობებში (ოდებში) აერთიანებს სამ-ოთხ ტროპარს, რომელთა შორის გამორჩეული მისია სწორედ ძლისპირს აკისრია.

> კანონის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ მისი ყველა ოდა, ყოველი მეტრი, გალობა არის ბიბლიურ გალობათა პარაფრაზი, რის გამოც ნებისმიერ ძლისპირს აქვს თავისი დამოკიდებულება ბიბლიურ გალობებში გამოხატულ იდეასთან. აქედან გამომდინარე, ძლისპირი კანონის პოეტური ფორმის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია (ველიმიროვიჩი 1980: 828).

იგი კანონის ტროპრებს აკავშირებს ბიბლიურ გალობებთან. ეს კავშირი გულისხმობს, როგორც შინაარსობრივ მხარეს, ასევე აგებულების პრინციპსაც. „ძლისპირი წარმოადგენს რიტმულ-მელოდიურ მოდელს გალობის ან სტიქარონის დანარჩენი ტროპრებისათვის" (ძლისპირნი 1971: 09).

ამგვარად, ძლისპირი კანონის რიტმულ-მელოდიური ფუძეა. მისი მარცვალთა რაოდენობა, მეტრი, მახვილთა განლაგება შესაბამისობაშია, ერთი მხრივ, ბიბლიურ გალობებთან, მეორე მხრივ კი, მათ მოდელზე შექმნილ კანონის ტროპრებთან.

ჩვენი ინტერესი, ამჯერად, ძლისპირთა ბიბლიურ-საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი ასპექტებისკენაა მიმართული: როგორ აისახება ბიბლიური გალობის თემა ძლისპირებში; რამდენად შეუძლია გალობის პირველ ტროპარს ბიბლიური პასაჟის დეტალებზე ყურადღების გამახვილება; როგორ ერნყმის პოეტ-

მელოდოსთა ბიბლიურ-თეოლოგიურ სფეროში განსწავლულობას მათივე შემოქმედებითი თვალსაწიერი, რომელთა ერთიანობით ყოველი ბიბლიური პარადიგმის დედააზრი გასაგები ხდება მკითხველისა თუ მსმენელისათვის.

1. VIII გალობის ერთ-ერთ ძლისპირში სახმილში მყოფ ყრმათა ამაღლებული სულიერი განცდებია გადმოცემული:

> ბაბილონს ყრმანი შურითა საღმრთოჲთა საჴუმილებრ აღეტყინეს და სიქადული მძლავრისაჲ მის და ალი ახოვნად დათრგუნეს და შორის ცეცხლსა დგეს ესრცთ გალობით ღაღადებდეს: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა (ძლისპირნი 1971: 125).

ძლისპირში ლაკონიურად და თანამიმდევრულად არის გადმოცემული ბიბლიური პასაჟის დეტალები. მსმენელის თვალწინ ნათლად ცოცხლდება საოცარი ისტორიის უჭკნობი ფურცელი, რომელსაც ჰიმნოგრაფის მაღალესთეტიკური გემოვნება განსაკუთრებული შთაგონებით მოსავს. „შურითა საღმრთოჲთა ყრმათა საჴუმილებრ აღტყინება", მოგიზგიზე ცეცხლის ალის „ახოვნად დათრგუნვა" – ჰიმნოგრაფის სულიერ-ესთეტიკური აზროვნების ელემენტებია, რომლებიც ხაზს უსვამენ ღვთაებრივ ყრმათა სულის სიმხურვალეს, სარწმუნოების სიმტკიცესა და სიცხოველეს.

ძლისპირში ყურადღებას იქცევს ბიბლიური სამყაროდან მომდინარე ცეცხლის სიმბოლიკა, რომელიც ორგვარი მნიშვნელობით გვხვდება: ცეცხლი, როგორც მატერიალური საგანი, რომელმაც უნდა გაანადგუროს ღვთისმოშიში ყრმები და, გადატანითი მნიშვნელობით, ცეცხლი, როგორც ყრმათა სულიერი სიკაშკაშის, სულიერი ნათლით მოსილობის ატრიბუტი. საღმრთო შურით აღვსილ ყრმათა სულიერი სიცხოველე აღგზნებული სახმილის სიმხურვალესა და სიკაშკაშეს უტოლდება, რასაც შედეგად მძლავრის სიქადულისა და ალის ახოვნად დათრგუნვა მოჰყვება.

პასაჟის ასე შთამბეჭდავად გადმოცემა ჰიმნოგრაფის განსაკუთრებულ სულიერ მისიაზე დაგვაფიქრებს. იგი ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებს საუკუნეების ნინათ აღსრულებულ ბიბლიურ მოვლენასა და მსმენელს შორის. მისი მიზანია, საუკუნო ცხოვრების პერიპეტიები დაუხატოს მსმენელს, მინას მიჯაქვული ადამიანის მზერა ზეციური, ტრანსცენდენტური სამყარისაკენ მიმართოს და მარადიულზე დააფიქროს.

ბიბლიური პერსონაჟები, ჰიმნოგრაფი და მსმენელი ერთ სივრცეში იყრიან თავს, იკვრება ნრე, რომლის ორბიტაშიც დროის ინტერვალით დიდად დაშორებული საგნები და მოვლენები ერთ მთლიან ორგანიზმად იქცევიან.

2. სამი ყრმის თავგადასავალს უზენაესი ძალა მართავს. ღვთის განგებულებას ვერავინ ჩასწვდება. მას მხოლოდ დიდება და პატივი ეკუთვნის ადამიანთაგან:

> საკვირველი დიდებული ბაბილონს შინა სახჴუმილმან აჩუენა ცუარისა ცურევითა, რამეთუ ყრმანი იჴსნა ალისაგან შემწუველისა და მოწყჳდნა ქალდეველნი წამისყოფითა სულგრძელებისაჲთა, რომელსა ვაკურთხევთ ჩვენ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე (ძლისპირნი 1971: 9-10).

ბიბლიურ-ისტორიული ეპიზოდი ძლისპირში აისახება, როგორც საკვირველი, ზეციური მადლით მოსილი მოვლენა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ამჯერად ქმნის ეპითეტთა მშვენიერი ნყვილი, რომელიც გვამზადებს ღვთაებრივი სასწაულის მისაღებად: „საკვირველი დიდებული" ზეციური ცვარის ცვრევამ გვიჩვენა. იგი ღვთაებრივ ყრმათა მხსნელად იქნა მოვლენილი და ღვთის განგებულებით მას ქალდეველთა მონყვეტა მოჰყვა.

3. ძლისპირის შემქმნელი უყურადღებოდ არ ტოვებს პასაჟის დეტალებს და აქცენტი უშუალოდ იმ სულიერ სიხარულზე გადააქვს, რაც ღვთაებრივ ყრმებს „მძლავრთა განრისხებამ" მოჰგვარა:

> განიხარეს ყრმათა შემდგომად განრისხებისა მძლავრისა მათ ზედა, რამეთუ არა მისცეს დიდებაჲ კერპსა უსულოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, და შეურაცხყვეს ცეცხლი და ანგელოზისა მიერ სხურებულ იქმნეს და იტყოდეს: ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე (ძლისპირნი 1971: 123).

უსულო კერპებისა და ცხოველი ღმერთის დაპირისპირება ძლისპირში სათანადო ეპითეტების მოხმობით არის მიღწეული. „უსულო კერპი'' „ცხოველი ღმერთის" ანტიპოდია. ყრმათა სადიდებელი სწორედ ცხოველი ღმერთისკენ არის მიმართული. ანგელოზის ხსენება ძლისპირში კი იმაზე მიანიშნებს, რომ ეს სასწაული ღვთის უშუალო ჩარევით ხდება.

4. სამი ყრმის სიმტკიცე, შეუპოვრობა, ადამიანური ნების ურყევობა, რაც ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატვაში გამოვლინდა, შესანიშნავი მხატვრული შედარებით არის აქცენტირებული ძლისპირში. სამი ყრმა ბრძმედში გამოწრთობილი ოქროს სიმტკიცეს მოაგონებს ჰიმნოგრაფს. მოელვარე ლითონის ოქროსფერი სიმბოლიკა ცნობილი მხატვრული ხერხია სასულიერო მწერლობაში. ამ ხერხს ხშირად მიმართავენ ჰიმნოგრაფები წმინდანის სულიერი პორტრეტის დახატვისას. ოქროს ბზინვარება მინიდან ცად

ამაღლებული წმინდანის სულიერი გზისა და საქმიანობის განმსაზღვრელია და უზენაესთან მიახლების, მასთან მსგავსების ფუნქცია აკისრია.

> საკუმილსა რაჲ შეთხეულ იყჯნეს ყრმანი ისმაიტელნი, ვითარცა ბრძმედისა მიერ გამოდნობილი ოქროჲ განბრნყინდეს და იტყოდეს: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე (ძლისპირნი 1971: 53).

ძლისპირის შემქმნელს ყურადღება, ამჯერად, მხოლოდ ოქროს სიმბოლიკაზე გადააქვს და მისი მოშველიებითა და მასზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით მსმენელის ინტერესს ზეციური სასწაულის მისაღებად ნარმართავს.

5. სამი ყრმის პარადიგმა სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით მრავალმხრივ გამორჩეულია, რაც მკაფიოდ იხატება ძლისპირებში.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დიდი მოლოდინი ადამიანთა ხსნისა, რაც ძველი აღთქმიდან მომდინარეობს და მანამ არსებობდა, სანამ რეალურად გაცხადდებოდა ახალ აღთქმაში. ის, ვინც სამი ყრმა იხსნა ცეცხლის სიმხურვალისაგან, მანვე იხსნა კაცთა მოდგმა ხრწნილებისაგან. ამიტომაც ღვთისმშობლისა და მაცხოვრის, როგორც ახალი აღთქმის სახეთა, ხსენება ძლისპირში ძველი აღთქმის მოვლენასთან მჭიდრო კავშირში მოიაზრება:

> ყრმანი ბრწყინვალენი საკუმილისაგან პირველად იკსნა შობილმან ქალწულისაგან, რომელთა მოასწავეს ჴსნაი ჩუენი საცთურისაგან, და ნათლითა შემოსილნი მათ თანა ვიტყოდით: უფალსა უგალობდეთ ყოველნი და უფროჲსად აღვამაღლებდეთ მას უკუნისამდე (ძლისპირნი 1971: 123-124).

6. სამი ყრმის პარადიგმის დედააზრის შესაცნობად მნიშვნელოვანი ქრისტიანულ-დოგმატური საკითხებია. ორთოდოქსულმა ქრისტიანობამ შეიმუშავა ნმიდა სამებისა და მარიამ ღვთისმშობლის ქალწულობის დოგმატები. ძველი აღთქმის სხვადასხვა მოვლენასა და სახეში არაერთი მინიშნება არსებობს ამის შესახებ, მათ შორის, სამი ყრმის პარადიგმაშიც. ძლისპირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად ითვლება ისიც, რომ ბიბლიური პასაჟის შინაარსთან ერთად მან დოგმატური საკითხებიც ნინ ნამოსწია და კანონიკური ფორმით მიაწოდა მსმენელს.

VIII გალობის ძლისპირში სამი ყრმა მარიამ ღვთისმშობლის წინასახედაა მიჩნეული.[2] ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟები აქ უვნებლობის ნიშნით ერთიანდებიან. „პარალელურ სახეთა გამოყენება ჰიმნოგრაფიაში კი იმას მიანიშნებს, რომ ღვთაებრივი ჩანაფიქრი და მოქმედება მარადიულობას სწვდება, უნყვეტია, „უჟამო ჟამია" (სულავა 2003: 9).

ბიბლიურ-ევანგელურ პერსონაჟთა სიას ახალი აღთქმის უმთავრესი სახე „უჟამო ჟამი", მაცხოვარი აგვირგვინებს, რომელიც ქალწულთან ერთად შემოდის ძლისპირში. ქალწულისაგან შობილი და განკაცებული ღმერთი ჰიმნოგრაფიაში პოპულარული საღვთო სახელით მოიხსენიება – „ცეცხლი ღმრთეებისაჲ":

> ყრმანი ბაბილონს შეუნველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშვა ცეცხლი ღმრთეებისაჲ და დაგიცვა შენ უვნებლად, უბიწოდ, ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ (ძლისპირნი 1971: 52).

7. სამი ყრმის პარადიგმის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია ერთარსება სამების წინასახედ მის გააზრებას უკავშირდება. ამდენად, პარადიგმის შინაარსი კიდევ უფრო დაიტვირთა სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით და, ცხადია, მოვლენაში ღრმად ჩანვდომისაკენ გზა გაუხსნა მსმენელს. ნმიდა სამების ნინასწარმეტყველურ მინიშნებაზე სიხარულით გვამცნობს VII გალობის ძლისპირი: „სამნი ყრმანი ბაბილონს სამებასა მიემსგავსნეს და დათრგუნეს სიმძლავრჲ საკუმილისაჲ მის და გალობით იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო" (ძლისპირნი 1971: 95).

8. ღვთის სიტყვის ამოუცნობი ძალა, მისი უძლეველობა კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული ასევე VII გალობის ერთ-ერთ ძლისპირში, რომელსაც ბიბლიური გალობის ბუნებრივი ტონი და განწყობილება ამთლიანებს:

> ღრმთისა სიტყუასა, რომელმანცა ცეცხლსა შინა შეაცურინა სამნი ყრმანი ღვთისმეტყველნი და ქალწულმან შვა, შევამკობდეთ ყოველნი და ესრეთ ვღაღადებდეთ: კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო (ძლისპირნი 1971: 12).

VII და VIII გალობათა ძლისპირები უმეტესად სრულდება ბიბლიური გალობის ცნობილი მუხლებით: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო", „ყოველნი საქმენი აკურთხევდით უფალსა და უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე". ეს სტრიქონები პირდაპირ გვაკავშირებს გალობის უძველეს ბიბლიურ არქეტიპთან, რომლის განწყობილება დინამიურად გადმოდის საგალობელში და ახალი კანონის VII და VIII ოდებს „მოაქცევს სამი ყრმის გალობისა და ყოველთა კურთხევისათვის აღძრვის ტონალობაში" (კვირიკაშვილი 1982: 48-49).

ჰიმნოგრაფიული კანონის VII და VIII გალობათა (ოდათა) ძლისპირებმა ჩვენ წინ გააცოცხლა უძველესი ბიბლიური პასაჟი, დანახული პოეტ-მელოდოსთა მიერ სხვადასხვა ვარიაციით, მოვლენის ამა თუ იმ ასპექტზე ყურადღების აქცენტირებით, შესაბამისად ჰიმნოგრაფიული ჟანრის სპეციფიკისა და მისთვის დამახასიათთებელი მოთხოვნისა. ჩვენ წინ წარმოდგა ბიბლიური სამყარო უხვი და მრავალფეროვანი პარადიგმებითა და მხატვრული სახეებით, ბიბლიურ-ენობრივი სიტყვიერი ქსოვილითა და მათგანვე მიღებული ამაღლებული, საზეიმო განნყობილებით.

სამი ყრმის გალობა უძველესი დროიდანვე სრულდებოდა ჯერ ძველი აღთქმის, ხოლო შემდეგ ახალი აღთქმის ეკლესიებში. იგი ერთ-ერთი იყო გალობათა შორის, რომელსაც „სულის აღფრთოვანებით" წარმოთქვამდნენ ქრისტიანები. „სამებას მიმსგავსებულ ყრმათა" სიტყვებს ყოველდღე იმეორებდა მთელი სამყარო: „აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა".

საგალობელი ასევე პოპულარული იყო დასავლეთში, განსაკუთრებით დღესასწაულის დღეებში. იგი ერთ-ერთი იყო გალობათა შორის, რომელიც ძველად ცისკრის გალობებში იყო შეტანილი (სკაბალანოვიჩი 2004: 346).

ბიბლიურ სიმბოლოთა ჭეშმარიტი არსი ადამიანის ხსნის იდეასთან მჭიდრო კავშირში განიხილება. აქ ყოველი სახე, პერსონაჟი, ყოველი მოვლენა თუ ეპიზოდი წინასწარმეტყველურია და მომავლის ნიშნებით აღბეჭდილი.

ბიბლიურ იონასთან დაკავშირებული პასაჟიც ამ მოტივითაა გაჯერებული. ვეშაპის მუცელში სამ დღეს დაფლული იონა ღმერთს გადარჩენას ევედრებოდა. სიკვდილის პირას მყოფი წინასწარმეტყველი თანამიმდევრულად გადმოსცემს თავის სულიერ მდგომარეობას. იონას მგზნებარე ლოცვა, ღაღადისი მიაღწევს უზენაესამდე: ვეშაპი ამოანთხევს მას (იონა: 2, 3-10).

იონას თავგადასავლის სახეობრივი მნიშვნელობა ცნობილი ხდება ევანგელური სწავლებიდან. მაცხოვარი თავად ამახვილებს ამაზე ყურადღებას სახარებაში: „რამეთუ ვითარცა იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე" (მათე: 12, 40-41).

აქედან გამომდინარე, ღვთისმეტყველთა განმარტებით, ღვთივსულიერი იონა ქრისტე ღმერთის წინასახე და მისი ვნებების განმასახიერებელია. ჯვარცმა, სიკვდილი, ჯოჯოხეთში ჩასვლა სამი დღის მანძილზე, ქრისტეს მიერ გავლილი გზაა, რაც წინაგამოსახვით კონცეტრირდება იონას პარადიგმაში :„ღაღადებდა წინასწარმეტყველი იონა უფსკრულით გამო და მოასწავა სახჱ სამ დღჱ დაფლვისაჲ და იტყოდა: მიჴსენ განხრწნისაგან იესუ, შენ, მეუფეო ძალთაო" (ძლისპირნი 1971: 116).

ყოველი ბიბლიური პარადიგმა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი ხდება მასში უფრო ღრმა, დაფარული შრეების აღმოჩენა. ამ მხრივ საგულისხმოა იონას სახე, რომელმაც კიდევ ერთი საიდუმლო გაგვიცხადა: იგი აღქმულ იქნა, როგორც სიმბოლო, საუკენეების შემდეგ აღსრულებული უდიდესი სასნაულისა ქალწულ მარიამის უვნებლად შობისა.

> იონა, როგორც ჩვილი, დედის მუცლიდან ზღვის მხეცმა ამოანთხია როგორც მიიღო, ხოლო სიტყვა, ჩასახული ქალწულში და ხორცშესხმული გამოვიდა ისე, რომ დაეცვა ღვთისმშობელი განუხრწნელად (ღვთისმშობლის ცხოვრება 2002: 33)

განგვიმარტავენ ღვთისმეტყველები. მათ კომენტარზე დაყრდნობით ჰიმნოგრაფები ასე უგალობენ მარიამ ღვთისმშობელს:

> იტვირთე სამოსა ცეცხლი ღმრთეებისაჲ უსძლოო ქალწულო და დაიცევ მის მიერ ყოლად უვნებლად, ვითარცა პირველ იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა, რამეთუ ღმერთი იშვა შენგან ჴორციითა (ნევმირებული 1982: 573).

ამდენად, იონას სიმბოლური სახე გზა და საშუალებაა ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ეპოქების დასაახლოებლად. მიზანი ერთია ადამიანის ღმერთთან მიახლება.

იონას პარადიგმის დედააზრი კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუკი მასში ცოდვისა და სინანულის ზოგად ქრისტიანულ ასპექტებს ამოვიკითხავთ და განვაზოგადებთ. ადამიანთა ცოდვით დაცემისა და გადარჩენის გზები პრიორიტეტულია ქრისტიანული რელიგიისათვის, რაც სრულად იქნა განსაზღვრული მის მიერ. ცოდვა, ქრისტიანული გაგებით, უმაღლესი სულიერი სიმაღლიდან ადამიანის დაცემას გულისხმობს. ეს არის უარის თქმა ღვთის მცნებათა მიღებაზე, ღვთისაგან ბოძებულ უმაღლეს მოწოდებაზე. ბიბლიურ მოვლენებში, პასაჟებსა თუ სახეებში ნათლად გაცხადდა ადამიანთა სულის ეს მძიმე ტრაგედია ღვთისაგან განდგომა, რომლის პირდაპირი შედეგი ცოდვის მორევში ჩაფლობაა. საგულისხმოა, რომ თეოლოგთა მიერ იონას სახე აღქმულ იქნა, როგორც სიმბოლო, ნინასახე თუ მაგალითი ღვთის მცნებათა უგულებელყოფისა.

ამდენად, ბიბლიური იონა, ცოდვილობასთან ერთად მონანული ადამიანის ხატადაც აღიქმება. საყურადღებოა, რომ იონას სახე მაგალითად იქცევა თავად ჰიმნოგრაფებისათვის. იგი დააფიქრებს მათ პირად სულიერ ცხოვრებაზე და ცოდვილობისა და სინანულის განცდას აღუძრავს.

ამის დამონმებას არაერთგზის ვხვდებით ძლისპირებში, რომლებშიც წინასწარმეტყველის მხურვალე ვედრებას, ჰიმნოგრაფთა ასევე მგზნებარე სულიერი ღაღადისი ენაცვლება:

> შთაჴდა იონა სიღრმესა მას ზღვისასა და ღაღადებდა ღვთისა მიმართ ვედრებით: აღმომიყვანე დანთქმისაგან, უფალო, ხოლო მე, ქრისტე, შენდა მომართ ვღაღადებ, უგულებელსყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლჱ (ძლისპირნი 1971: 46);
>
> ცოდვისა სიღრმეთა დამთქეს მე, ვითარცა იონა ზღვისა უფსკრულთა და ვღაღადებ შენდა მიმართ, სახიერ და კაცთმოყვარე: აღმომიყვანე, ვითარცა იგი განხრწნისა მისგან (ძლისპირნი 1971: 117).

ქრისტიანული გაგებით, ჰიროვნული ცოდვა ზოგად ასპექტში განიხილება, რადგანაც ბიბლიური პასაჟები, ისევე როგორც ზოგადად ბიბლიური ისტორია, არის ადამიანთა მოდგმის ყოველი წევრის სულიერი ისტორია – ცოდვით დაცემის, სინანულის, მიტევების კლასიკური ნიმუში. ამიტომაც იონას სახეში ასევე კაცთა მოდგმის ჩივილი და კვნესა უნდა ამოვიკითხოთ. აქედან გამომდინარე, ჰიმნოგრაფის ლირიკული განცდაც აღიქმება, როგორც ნანილი იმ მთლიანობისა, რასაც ბიბლიური ისტორია გულისხმობს და მოიცავს.

იონას პასაჟი არაერთი მხატვრული სახის ნყარო გახდა ჰიმნოგრაფიაში. განსაკუთრებული სულიერი დატვირთვა მიენიჭა ვეშაპის მუცელსაც. იგი აღქმულ იქნა, როგორც ნინასახე მარიამ ღვთისმშობლის უხრწნელი საშოსი. პარალელურ სახეთა მოხმობით ქალნულის ხოტბა არაჩვეულებრივ მხატვრულ სიმაღლეზე აპყავს ჰიმნოგრაფს:

> ორთა მუცელთა ბუნებანი შეცვალეს ვეშაპისა და ქალწულისამან დღეს. რამეთუ პირველ უხრწნელად დაპმარხა მუცელმან ნაყოფი, ხოლო აქა მუცელი დაიცვა ნაყოფმან. იგი სახჱ იყო ამისა, რამეთუ ქალწულად ჰგიეს ქალწული (ძლისპირნი 1971: 5).

თავისთავად ცხადია, რომ შობის საიდუმლოში უნდა გაცხადებულიყო ნმიდა სამებისა და მარიამ ღვთისმშობლის წინასწარმეტყველური ნიშნები, რამაც თავისებური ელფერი შეიტანა ჰიმნოგრაფიის თემატიკაში.

სრულიად ნათელია, რომ სიმბოლიკით დატვირთულ იონას სახეში ერთმანეთს გადაეწნა ცოდვით დაცემის, სინანულის, ვედრების, ადამიანთა ხსნის, გადარჩენისა და ღმერთთან მარადიული ზიარების ბიბლიურ-ევანგელური მოტივები.

ყოველივე ეს უშუალოდ იონას ბიბლიური გალობიდან მომდინარეობს და ნიშანდობლივია მის საფუძველზე შექმნილი ჰიმნოგრაფიული კანონის VI ოდისთვისაც. ოდის სახელწოდება „ღაღადვყავსა" წინასწარმეტყველის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს შეახსენებს მსმენელს: „ღაღადვყავ ჭირსა შინა ჩემსა, და შეისმინა ჩემი მუცლისაგან ჯოჯოხეთისა ღაღადებისა ჩემისა მესმა ხმისა ჩემისა" (იონა, 2, 3).

ამდენად, იონას გალობა, ღაღადისი უფლის მიმართ მთავარი ღერძია კანონის მეექვსე გალობისათვის, რაც კონკრეტულად „ღაღადვყავის" ხშირი განმეორებითაც გამოიხატება ამავე გალობის ძლისპირებში: „ღაღადვყავ დღეს ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ჩემისა და მოავლინა სოფლისა მაცხოვარმან და განჴრწნისაგან იჴსნა ცხოვრებაჲ ჩემი" (ძლისპირნი 1971:73).

იონას გალობა, ისევე როგორც სამი ყრმის გალობა, ერთ-ერთი პოპულარული უნდა ყოფილიყო ძველი აღთქმის ეკლესიაში. არ შეიძლებოდა არ შეეტანათ იგი იუდეურ ღვთისმსახურებაში, რადგანაც ისტორია იონასი მტკიცედ იყო შენახული ხალხის ხსოვნაში. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ *ტობიას* (14;4,8), *მესამე მაკაბეელთა* (6, 8), *მეოთხე მეფეთა* (14, 25) წიგნები (გუმილევსკი 1902:38, 39).

ასევე პოპულარული გახდა იონას წიგნი ახალი აღთქმის ეკლესიაში: დაკანონდა მისი წაკითხვა ვნების კვირის განმავლობაში. ძველი იერუსალიმური ლექციონარის თანახმად (VI-VIIIსს.), რომელმაც ქართული თარგმანით მოაღწია ჩვენამდე, იონას წიგნი მთლიანად იკითხებოდა მისი ხსენების დღეს, 10 დეკემბერს.

ჰიმნოგრაფიული კანონის VII, VIII და VI გალობათა (ოდათა) ძლისპირებზე დაკვირვებამ დაგვანახა მათი უშუალო და ღრმა კავშირი ბიბლიურ გალობებთან. გვიჩვენა ბიბლიური სახეების, ბიბლიურ-ენობრივი სიტყვიერი მასალისა თუ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა აქტიური მონაწილეობა ძლისპირებში; გამოკვეთა ჰიმნოგრაფთა ბიბლიურ-თეოლოგიურ სფეროში წვდომის სიღრმე, რაც, ამავე დროს, მათ შემოქმედებით დიაპაზონზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძლისპირი რიტმულ-მელოდიურ ფუნქციებთან ერთად თეოლოგიური შინაარსის მქონე, ბიბლიურ-სახიმეტყველებითი, დოგმატურ-საღვთისმეტყველო და მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციებით დატვირთულ ტროპრად წარმოგვიდგება, რომელიც წინ უძღვის კანონის ოდებს, როგორც ტროპართა იდეურ-შინაარსობრივი და სტრუქტურული მოდელი.

სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის ბიბლიური პარადიგმების აქტუალობა ჰიმნოგრაფიაში შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ:

1. სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის ბიბლიური პასაჟები საფუძვლად დაედო ძველი აღთქმის

გალობებს, რომელთა მოდელზეც ქრისტიანულ ეპოქაში ჩამოყალიბდა ჰიმნოგრაფიული კანონი. კერძოდ: სამი ყრმის გალობა გახდა კანონის VII და VIII გალობათა საფუძველი, ხოლო იონას გალობამ კანონის VI ოდის შექმნას შეუწყო ხელი;

2. აღნიშნულ გალობათა ძლისპირებში, მხატვრულ სახეთა გამოყენებით განზოგადებულია შესაბამის გალობათა შინაარსი, კომენტირებულია პარადიგმათა არსი;

3. როგორც სამი ყრმის, ასევე იონა წინასწარმეტყველის პარადიგმები უვნებლობის ნიშნით ერთიანდებიან და წარმოადგენენ ნმინდა სამებისა და მარიამ ღვთისმშობლის წინასახეებს. ამდენად, მათ თანაბარი სახეობრივი დატვირთვა გააჩნიათ.

4. სამი ყრმის პარადიგმას ჰიმნოგრაფიაში შემოაქვს სიხარულის, დღესასწაულის, ზეიმის ამამაღლებელი განწყობილება, ხოლო იონას სახე ცოდვით დაცემის, სინანულის, ვედრების, ადამიანთა ხსნის მოტივებით ამრავალფეროვნებს ჰიმნოგრაფიის თემატიკას.

სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის გალობებს ერთნაირი გზა უნდა გამოევლოთ ძველი აღთქმის ეკლესიიდან ახალი აღთქმის ეკლესიამდე. ორივე მათგანი დღესაც უცვლელად ინარჩუნებს თავის ადგილს ქრისტიანულ ღვთიამსახურებაში.

შენიშვნები

1 ბიბლიაში დანიელის წიგნი უსწრებს იონა წინასწარმეტყველის წიგნს. ამიტომაც თავდაპირველად VII და VIII გალობებზე ვამახვილებთ ყურადღებას.

2 სამი ყრმისა და იონა წინასწარმეტყველის პარადიგმები, როგორც მარიამ ღვთისმშობლისა და წმიდა სამების წინასახეები, განხილულია სადოქტორო დისერტაციაში: „საღვთისმშობლო სიმბოლიკა V–XI საუკუნეების ქართულ მნერლობაში (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია)“.

დამონმებანი

გუმილევსკი 1902: Ф. Гумилевский. Исторический обзор песнопенцев и песнопения греческой церкви. СПв.

ველეში 1961: E. Wellez. A History of Byzantine Music and Hymnography. Oxford.

ველიმიროვიჩი 1980: ნ. ველიმიროვიჩის შეხედულება დამონმებულია ნიგნიდან „უძველესი იადგარი“. გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა და ც. ქანკიევმა. თბილისი.

კერნი 2009: არქიმანდრიტი (კერნი). ლიტურგიკა. რუსულიდან თარგმნა და ქართული მასალების გათვალისწინებით კომენტარები დაურთო ე. კალანდარიშვილმა. თბილისი.

კვირიკაშვილი 1982: ლ. კვირიკაშვილი.ჰიმნოგრაფიული კანონის სტრუქტურა. თბილისი.

მცხეთური 1986: მცხეთური ხელნაწერი (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები). თბილისი.

ნევმირებული 1982: ნევმირებული ძლისპირნი. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი.

სკაბალანოვიჩი 2004: М. Скабаланович. Толковый Типикон. Москва.

სულავა 2003: ნ. სულავა. XII–XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი.

ღვთისმშობლის ცხოვრება 2002: Земная жизнь Пресвятой Богородицы. Издательский дом „Юнион-Паблик“.

ძლისპირნი 1971: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. მთ. რედ. ე. მეტრეველი. თბილისი.

BIBLICAL PARADIGMS OF THREE HOLY CHILDREN AND JONAH THE PROPHET IN HYMNOGRAPHY (HIRMOSES)

Lamzira Bubuteishvili

Biblical paradigms of Three Holy Children and Jonah the Prophet entered from the Old Testament into the hymnography. Both of them are distinguished by the miracles of historical content, as well as deep symbolic-allegorical layers.

My goal is not only to investigate the issue from mentioned standpoint but also to present the passages associated with them, which became a source for biblical hymns, and then for the odes of hymnographic canons which were created on the basis of their model.

The hymn of Three Holy Children laid the foundation of VII and VIII odes of the canon, and Jonah the Prophet's hymn became the source of VI ode of the canon.

I investigated the paradigms on the basis of studying the hirmoses of the mentioned hymns. A hirmos as the first troparion of a hymn is a connecting chain with a biblical hymn. It is a rhythmic-melodic model for other troparions of a hymn.

In the paper my interest is focused on the biblical-theological and symbolic-allegorical aspects of the hirmoses: how Biblical hymn topic is reflected in the hirmoses; how the first troparion of hymn can draw attention to the details of the Bible passage; how the knowledge of the Bible-theological issues of creators merges with their creative ability, the unity of which the basic idea of each Bible paradigm becomes clear to a reader/listener.

Observation shows that via using the biblical linguistic tools the details of the Bible passages are impressively illustrated in the hirmoses. Each of them demonstrates the depth of theoretical knowledge of hymnographers and their high-aesthetic possibilities. All these make us feel and clearly imagine the high spiritual mission of hymnographers.

The characters of Three Holy Children and Jonah the Prophet have greatly enriched the hymnography with many topics. The passage of Three Holy Children has brought the joy, mood of rejoicing into the hymnography, and Jonah's passage enriched the hymnography with the motives of sinning, repentance, imploring and salvation of people.

The paradigms of Three Holy Children and Jonah the Prophet manifest similarity in the sense that they represent pre-images of the Holy Trinity and Virgin Mary.

The hymns of Three Holy Children and Jonah the Prophet should have been brought in the Old Testament Church service from the ancient times. This can be confirmed on the basis of the Old Testament books (Maccabees, Kings).

Observation on the hirmoses assures me that the hirmos is worthy of attention from many standpoints. It perfectly reflects the contents of the Biblical hymn, as well as it is represented as a troparion that is deeply loaded with biblical-theological and artistic-aesthetic functions and which precedes odes of canons as the ideal-contextual and structural model of troparions.

დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის და ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები (I-V საუკუნეები)

პაპუნა გაბისონია

შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ეგრისად მოიხსენიებს. შესაბამისად ძველბერძნული ტერმინი: „კოლხიდა" და „ლაზიკე" მისთვის უცნობია. მხოლოდ თამარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვარის სახელით ცნობილი ავტორის ნაშრომში არის ნახსენები ტერმინი „ლაზია" სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი რეგიონის აღსანიშნავად (ქართლის ცხოვრება 1959: 142). ჟამთააღმწერელთან ამ რეგიონს „ჭანეთი" ეწოდება. ასევე ჭანეთად იცნობს ამ მხარეს ბერი ეგნატაშვილი (ქართლის ცხოვრება 1959: 343). ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს „არს ჭანეთი, რომელსა აწ უწოდებენ ლაზსავე" (ვახუშტი 1973: 689).

ძველ ბერძენ თუ რომაელ ავტორებთან ძველი და ახალი ნელთაღრიცხვის მიჯნაზე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომთა შესახებ ცნობები საკმაოდ მოგვეპოვება. ამათგან პირველ რიგში სტრაბონი უნდა გამოვყოთ.

სტრაბონს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ შემდეგი ტომები ჰყავს ჩამოთვლილი: აქეელები, ზიგები, ჰენიოხები – კერკეტებიც და მაკროპოგონებიც („გრძელწვერიანები,"– პ.გ). ჰენიოხების შემდეგ მდებარეობდა კოლხიდა კავკასიონისა და მოსხების მთებს ქვემოთ. სტრაბონი მეკობრე ჰენიოხების წარმომავლობას დიოსკურების მეეტლეებს: რეკას (კრეკასი) და ამფისტრატეს უკავშირებდა, რომელთაგანაც მათ მიიღეს სახელწოდება (ηνιοχοσ – „მეეტლე",– პ.გ.). სტრაბონთან დიოსკურია კოლხეთის შემადგენლობაში მოიაზრება, სადაც მარილის გამო თავს იყრიდა მრავალი ტომი, მათ შორის, „ფთეიროფაგებიც, რომლებმაც მიიღეს სახელი ჭუჭყისა და სიბინძურის გამო. მახლობლად არიან სვანები (Σοανες)" (ყაუხჩიშვილი 1957: 111-140).

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სტრაბონის მიხედვით ცხოვრობდნენ: ტიბარენები, ქალდები და სანები (Σαννοι), რომლებსაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს. ასევე აპაიტები, იგივე უწინდელი კერკიტები (Απαιται // Κερκιται), ჰეპტაკომეტები (Επτακωμηται). ამ მთებში მოსახლე ეს ტომები სრულიად ველურები იყვნენ. ზოგიერთები ხეზე ცხოვრობდა ან კოშკებში, ამიტომაც მათ მოსინიკებს ეძახდნენ, რადგანაც კოშკებს მოსინები ერქვა. ისინი იკვებებოდნენ ნადირის ხორცით და ხილით. კოლხეთის შიგნით, მთებში სვანები და „ფთეიროფაგები" ცხოვრობდნენ (ყაუხჩიშვილი 1957: 203-204).

აქ საინტერესოა ამ „ფთეიროფაგების" ტომის ვინაობის გარკვევა. სტრაბონს ეს ესმის როგორც „ტილისმჭამელები". Φειρ – ტილს, ასევე გირჩს აღნიშნავს. Φευροφαγοι – ეტიმოლოგია ისევეა „გირჩისმჭამელი", როგორც „ტილისმჭამელი". ამ გამოთქმაში თ. ყაუხჩიშვილი რაიმე ადგილობრივ სახელს ვარაუდობდა (ყაუხჩიშვილი1957: 203-204).

ჩვენი აზრით, ანტიკური ხანის ავტორებთან მოხსენიებული „ფთეიროფაგები" კრებითი სახელი უნდა იყოს. სტრაბონს ერთი ძალიან საინტერესო მინიშნება აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომთა კვების რაციონზე, როდესაც ის აღნიშნავს, რომ ეს ხალხი ძირითადად ნადირის ხორცით და ხილით იკვებებაო. ხილში კი მოიაზრებს თხილს, კაკალს და, რაც მეტად საინტერესოა, ნაბლს. როგორც ცნობილია, საქართველოში სიმინდი გვიან შუა საუკუნეებში შემოვიდა. დასავლეთ საქართველოში კლიმატის გამო ხორბალი ნაკლებად მოსავლიანია და პრაქტიკულად სათანადო მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ენდემური მარცვლეული კულტურა – ღომიც ნაკლებპროდუქტიულია. ამიტომ სიმინდმა ის ადვილად ჩაანაცვლა და საკვები რაციონიდან განდევნა. თითქმის XIX-XX საუკუნის მიჯნამდე, განსაკუთრებით უმოსავლიანობის პერიოდში, მარცვლეულის ჩანაცვლება ნაბლით ხდებოდა, რომლის კორომები დასავლეთ და ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დღემდე მრავლად გვხდება. ვფიქრობთ, რომ სტრაბონს და სხვა ავტორებს „ფთეიროფაგების" ანუ „გირჩიჭამიების" ქვეშ ის ტომები ჰყავდათ მხედველობაში, რომლებიც თავის რაციონში ნაბლს იყენებდნენ. ნაბლის ნაყოფი ხეზე თავისებურად გირჩს ჩამოგავს. ასე, რომ „ფთეიროფაგების" ქვეშ კონკრეტულ ტომს ვერ ვიგულისხმებთ, ისევე როგორც „მაკროპოგონების" ანუ „გრძელნვერიანების" შემთხვევაში. თუ პლინიუს უფროსს ვენდობით, „ფთეიროფაგები" ჭანები (სანები) უნდა იყვნენ „სალტიებთან" ერთად. სტრაბონი თავის ნაშრომში ძველი და ახალი ნელთაღრიცხვის მიჯნაზე ისტორიული კოლხეთის მინა-წყალზე დამკვიდრებულ ლაზების ცხობილ ტომს რატომღაც არ ასახელებს, რომელთა შესახებ ცნობებს მოგვიანებით სხვა ავტორები გვაწვდიან. რაც შეეხება მაკრონთა ტომს, სტრაბონის მიხედვით ესენი სანები ანუ როგორც ისტორიოგრაფიაშია გარკვეული – ჭანები არიან. ხის კოშკებში მცხოვრები „მოსინიკ-ჰეპტაკომეტების", ანუ შვიდსოფლელთა საცხოვრებელი არეალი პონტოს

ქედის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა. ევსტათი თესალონიკელის (XII ს.) დიონისეს განმარტებაში ვკითხულობთ: „მაკრონები, პონტოელი ხალხი,– ვეხირების სამხრეთით. მათ ჩვენ ეხლა ვუწოდებთ სანნებს ანუ უფრო მდაბიურად ქანებს... სანნების ქვეყანას ქანიკეს ეძახიან ისინი, ვინც მდაბიურ ფორმას ხმარობს" (გეორგიკა 1970: 3-16). სტეფანე ბიზანტიელი, რომელიც ადრინდელ ავტორთა ცნობებს იმეორებს გვამცნობს: „მაკრონები, რომელთაც ეხლა სანნები ეწოდებათ" (გეორგიკა 1936: 281). ის იქვე კოლხთა მეზობლად „მაკროკეფალებსაც" ანუ „გძელთავიანებს" ასახელებს.

I საუკუნის რომაელი ავტორი პომპონიუს მელა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს „ფართო ზღვასთან მცხოვრებთ მელანხელენებს, ტორეტიკას, ექვს კოლიკს, კორაქსიკეს, ფტიროფაგებს, ჰენიოხებს, აქეებს, კერკეტებს... ჰენიოხთა საზღვრებშია დიოსკურია". როგორც ამ ავტორის ქართულ ენაზე გამომცემელი ალ. გამყრელიძე აღნიშნავს, მელას სხვადასხვა ავტორთა ცნობები ერთმანეთში აქვს არეული (გამყრელიძე 1982: 12-13). ამიტომ, ამ რომაელი ავტორის მიხედვით ძნელია სხვადასხვა ტომთა საცხოვრებელი არეალის შედარებითი დადგენა. თუმცა მის ცნობებს გარკვეული ღირებულება მაინც აქვს.

უფრო მნიშვნელოვანია ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწის და ავტორის გაიუს პლინიუს უფროსის (23-79 ნნ.) ცნობები. პლინიუსის მიხედვით:

> ტრაპეზუნტიდან 140 ათასი ნაბიჯის დაშორებით არის მდინარე აფსარუსი იმავე სახელნოდების სიმაგრით შესართავთან. ამ ადგილის მთებს იქით იბერია ძევს. სანაპიროზე კი ცხოვრობენ სან-ჰენიოხები (Sannorum), ამპრევტები, ლაზები... მდინარე ფაზისი... მდინარე ქარიენტი, სალტიების (Saltiae) ტომი, რომელთაც ძველად ფთეიროფაგები ენოდებოდა და სხვები სანნები (Sanni)... აბსილთა (Absilae) ტომი... ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისი... სანიკების (Sanicarum) ტომი... ქალაქი პენიუსი და ბოლოს ჰენიოხთა ტომები, რომლებიც განირჩევიან ბევრი სახელწოდებით (ლატიშევი 1904: 178-179).

ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა II საუკუნის ავტორი კლავდიოს პტოლემაიოსი ნაშრომში „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". პტოლემაიოსი ასახელებს ახაიელების, კერკეტების, ჰენიოხების და მანამდე უცნობი „სუანო-კოლხების" (Σουαννοκολχοι) ტომებს. მისი ცნობით:

> კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები (Λαζοι), ზევით მდებარე ადგილებში მანრალები (Μανραλοι) და ეკრი[კ]ტიკის ქვეყნის მცხოვრებნი" (ლომოური 1955: 44). ლაზებს და სანიგებს ასახელებს მემნონი (1-II სს.), რომელიც პონტოს მკვიდრი იყო: „პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეში ...გაიქცნენ მითრიდატეს მომხრეები... სადაც სახლობდნენ სანიგები (Σανηγας) და ლაზები (Λαζους) (ლატიშევი 1890: 510).

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური ხანის ამ ავტორთა ცნობები მნიშვნელოვანია, ყველაზე დიდ ნდობას იმსახურებს ფლავიუს არიანეს „პერიპლუსი", იგივე შავი ზღვის სანაპიროების აღწერა. არიანემ, როგორც რომაელ მოხელემ და კაპადოკიის მმართველმა, 131 წელს საინსპექციო შემოვლა განახორციელა შავი ზღვის სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროებზე დისლოცირებულ რომაულ გარნიზონებში და ამ სანაპიროების აღნერილობა დაგვიტოვა, რომელიც ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს იმ დროის ეთნიკური ვითარების შესნავლის თვალსაზრისით. არიანე აღნერს:

> შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს (Δριλας) უწოდებს, მე კი ვფიქრობ ისინი სანები (Σαννοι) არიან... მეფე არ ჰყავთ... ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევიან... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა (Αγχιαλος). მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები (Ζυδρειτα) არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა. ლაზების მეზობლები აფსილები (Αφιλαι) არიან. მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები (Αβασκοι) არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, მასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები (Σανιγαι). არიან. მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფე სპადაგამ (Σπαδαγασ) შენგან მიიღო ტახტი. სანიგთა მიწა-ნყალი მდინარე აქეუნტამდე (თანამედროვე მდ. შახე) გრძელდებოდა, ხოლო შემდეგ „ძილქების" ანუ ჯიქების სამფლობელო იწყებოდა (არიანე 1961: 42-52).

ლაზები, როგორც ვხედავთ, პლინიუსთან, მემნონთან და არიანესთან იხსენიება. ხოლო სტრაბონი და პომპონიუს მელა მათ არ ასახელებენ. თუმცა ყველა ამ ავტორის ცნობა ძირითადად ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის ახლო ხანას ეხება, როდესაც ლაზები ისტორიის ასპარეზზე ჩნდებიან. ლაზების კუთვნილება ქანური მოდგმისათვის სამეცნიერო წრეებში უკვე სადავო აღარ არის. ქანი და ლაზი, ქანეთი და ლაზეთი (ლაზიკა) გაიგივებულია.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ეთნონიმ „ლაზის" წარმომავლობა. თავის დროზე ნ. ლომოურმა სპეციალური სტატია: „ლაზეთის სახელწოდების საკითხისთვის" გამოაქვეყნა, სადაც მან არსებითად მიმოიხილა საისტორიო წყაროთა მონაცემები და დასკვნის სახით შემოგვთავაზა შემდეგი: „IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიურ საეკლესიო და საერო დოკუმენტაციაში ლაზიკის სახელი დაუმკვიდრდა ტრაპეზუნტის

მხარეს" (ლომოური 1964: 70-85). მკვლევარი ამ საკითხზე პოლემიკაში შედის ჰ. ინგოროყვასთან, რომელმიც არსებითად იმავეს ამტკიცებდა, ოდნავ განსხვავებული პოზიციიდან.

ამ საკითხის კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო „დრილების ტომის" იდენტიფიკაციის საკითხმა. დრილებს არიანე სავსებით სწორედ „სანებად" ანუ ჭანებად მიიჩნევს. მაგრამ რატომ ენოდა ჭანების ამ ნაწილს ეს სახელი? როგორც აღმოჩნდა ძველბერძნული სიტყვა „Δριλαα" ქართულად ქიას, ქიაყელას აღნიშნავს („ნვიმის ქია" თარგმანში). „დრილების" სამოსახლო ემთხვევა სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ისტორიული ქართული მიკრო რეგიონის: მურღულის ხეობას. მურღული მეგრულად (მეგრულ-ჭანურად) სწორედ რომ ქიას, მოგრძო ქიაყელას აღნიშნავს. IX საუკუნით დათარიღებულ ბერძნულენოვან კორიდეთის სახარების მინაწერებში დაფიქსირებულია ქიასძეთა ფეოდალური გვარი. კორიდეთი კი მურღულის ხეობის ერთ-ერთი სოფელია. დღეისთვის ასევე არსებობს გვარი მურღულია, რომლის წარმომავლობა ამ მხარეს უნდა უკავშირდებოდეს.

გამოდის, რომ ანტიკური ხანის ავტორებს ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთში, ისევე როგორც სხვაგან, ადგილობრივი სახელწოდებები უთარგმნიათ, ან თავისებურად შეურქმევიათ. ვფიქრობთ, რომ „ლაზი" და „ლაზიკე" ამავე ტიპის ეთნონიმს უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ ლაზს თურქეთში მცხოვრები ჭანები თავიანთ თვითსახელწოდებად მოიაზრებენ, ეს სიტყვა მეგრულში (ასევე ჭანურში) თავისთავად არაფერს ნიშნავს. მაგალითისთვის, მეგრულში მეგრელის აღმნიშვნელი სიტყვის „მარგალის" ძირია „რგ", რომელიც რაღაცას მაინც, ამ შემთხვევაში სიტყვა „ჰგავს" აღნიშნავს. მაგრამ ძველ ბერძნულში „Λασια"- ხშირ ბუჩქნარს, „Λασιοσ"– თმა აბურძგნულს, თმა გაჩეჩილს ნიშნავს (შდრ. Λαζοι– ლაზი). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პლინიუსის ცნობა მდ. ქარიენტთან (მდ. ხობი) სალტიების (Saltiae) ტომის განსახლების შესახებ. „Saltus//salti - ლათინურად ძნელად გასასვლელ ტყიან ადგილს ნიშნავს. ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ პლინიუსმა ლათინურად თარგმნა ბერძნული „Λασια". თუმცა ის თავის ნაშრომში ლაზებსაც (ამ შემთხვევაში ბერძნული ფორმით) ახსენებს. მასთან სალტიები იგივე ფთეიროფაგები არიან.

პლინიუსის სალტიების ტომს უნდა გულისხმობდეს პასქალური ქრონიკის ცნობა (VII ს.): „ხოლო მინა-ნყალი ეგრეთნოდებული სალლებისა, რომლებსაც სანიტებსაც (Σαλλοι, Σανιται) ეძახიან, პონტომდე აღნევს, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლი, ისეს ნავსადგური და მდინარე ფაზისი" (გეორგიკა I, 1941: 10).

რა თქმა უნდა, აქ სანიტებში სანები ანუ ჭანები იგულისხმება. მრავალრიცხოვანი ჭანური გაერთია-ნებებიდან, რომლებიც პონტოს ქედსა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ვიწრო ხეობებით დასერილ, ფიზიკურ-გეოგრაფიულად რთულ რელიეფსა და სამეურნეო თვალსაზრისით ნაკლებად მოსავლიან ადგილას მოსახლეობდნენ სამოსახლო არეალის გაფართოებას ესწრაფვოდნენ (დემოგრაფიული ზრდის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ე. წ. „მთის ჩამონოლა" – ჰ. გ.). ამ გაერთიანებებიდან ერთ-ერთს ანტიკური ხანის ავტორებმა სხვა ჭანებისაგან განსასხვავებლად ლაზები შეარქვეს, ხოლო ქვეყანას ლაზიკა. სახელის შერქმევისას კოლხეთის დაბლობის პეიზაჟის აღწერილობა გამოიყენეს: ხშირბუჩქნარიანი, ხშირტყიანი. ამასთან დაკავშირებით წერდა თეოფილაქტე სიმოკატა (VII ს.), რომ მავრიკე კეისრის დროს რომანოზ სტრატეგოსი „კოლხიდაში, რომ მივიდა, რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე გადაარქვა..." (გეორგიკა 4, 1941: 23). ამრიგად, ძველ ბერძნულ მწერლობაში დამკვიდრებული კოლხიდა მდაბიურად, ანუ ხალხურ მეტყველებაში (შემდგომ უკვე მწერლობაში) „ლაზიკედ" გადაიქცა. სწორედ მწერლობაში დამკვიდრებული ნორმების გამო ხშირად გვხდება ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ტერმინი „კოლხიდა" და „კოლხი", რომელიც იმდროისთვის ფაქტობრივად დრომოჭმული იყო.

საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით პროკოპი კესარიელის (VI ს.) მოსაზრება: „ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი არიან სანები, რომელთაც ასლა ჭანები ენოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს, რომ ეძახდნენ, რომელნიც ახლა იმავე სახელს ატარებენ" (გეორგიკა 2, 1965: 120). როგორც ვხედავთ, მწერლობას თავისებურად პროკოპიც ხარკს უხდის. ამ ჭანების აღსანიშნავად ბიზანტიურ მწერლობაში უკვე შემოიტანეს „Ts" აფრიკატი, რომ ამ ხალხის სახელწოდება უფრო სწორი ფორმით გადმოეცათ. საკითხავია, რატომ დასჭირდათ რომაელებს და შემდეგ ბიზანტიელებს ჭანების ერთ-ერთი შტოსთვის ახალი სახელის დარქმევა. ვფიქრობთ, რომ საქმე პოლიტიკური მოწყობის საკითხთან გვაქვს. მთაში მცხოვრები ჭანები, თავიანთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე რომაელებისთვის და ბიზანტიელებისთვის ბოლომდე ბარბაროსებად დარჩნენ, რადგან მათ სახელმწიფოებრივი სტრუქტურა არ გააჩნდათ. ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეხება. ხოლო იმ ჭანებმა, რომელთაც ლაზები ენოდათ, თავიანთ ცხოვრებას სახელმწიფოებრივი ფორმა მისცეს. ამიტომ რომაელ-ბიზანტიელთათვის ისინი უკვე ჭანისგან (Σαννοι, Τσανικον), მთიელი ბარბაროსებისაგან განსხვავდებოდნენ. შესაბამისად, კოლხეთის ბარში დასახლებულ ჭანებს განსხვავებული სახელი ეწოდათ. ამას საგანგებოდ ხაზს უსვამს ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით... იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული... ისინი (ლაზები – ჰ. გ.) უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ენევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისთვის სახელმწიფოებრივი და კანონიერ სახე მიუციათ" (გეორგიკა 1936: 51). პროკოპი კესარიელი აღნიშნავს: „ჭანები

ზღვის ნაპირას ძალიან არიან დაშორებული (ცხოვრობენ მთებში). ამით ჭანები გამოირჩევიან, როგორც არაზღვისპირა მცხოვრებლები, კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფაზისის მდინარეზე მოსახლეობენ. ხოლო სახელი კოლხები, როგორც სხვა მრავალი ტომების, ამჟამად ლაზთა სახელით შეიცვალა" (გეორგიკა 1965: 120).

ს. ჯანაშია სავსებით მართალი იყო, როცა წერდა, რომ მეგრელი აღნიშნავდა იმ დასავლურ ქართული სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც უცხოურ მწერლობაში იწოდებოდა „ლაზიკად", ქართულ მწერლობაში „ეგრისად". ამ ქვეყანა-სახელმწიფოს ფუძიდან „ეგრ" ნაწარმოებია ძველ ქართული ენის ნორმების შესაბამისად მ-ეგრ-ელ-ი. ეს მეგრული ფორმა უნდა ვიცნათ პტოლემეს მანრალებში. Μανραλοι ფორმაში νρ ჯგუფი ალბათ მიღებულია γρ ჯგუფისაგან. ქვეყნის სახელი Εκρηκτικη გვაძლევს ფუძეს „ეკრეკტ", რაც აგრეთვე „ეგრისის" სახელწოდების ადგილობრივი ფორმის მცირედ დამახინჯებული გადმოცემაა. ამის გადმონაშთი უნდა იყოს დაცული „ერგეტაში" (ეგრეტა) (ჯანაშია 1959: 6). (εκκριτικος- ნაწარმოებია ლათინური secretum-დან, რაც გამყოფს ნიშნავს. შესაძლებელია, პტოლემაიოსი ამ სახელის ქვეშ დასავლეთ საქართველოს თვითსახელწოდებას კი არა, არამედ აზია-ევროპის გამყოფ მიჯნას გულისხმობდა – პ. გ.).

მკვლევარს მხოლოდ ერთ ნანილში არ ვეთანხმებით. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ანუ მეგრულ დასახელებაში ქვეყნის სახელწოდების ძირი იქნებოდა „რგ", რაც დაცულია იმავე ტოპონიმ ერგეტაში (თუმცა ერგეტა ბერძნულ საზღვაო ტერმინ „ერგატოსიდან" მომდინარეობს და ხომალდის ნაპირზე ამოსანევი მექანიზმის სახელია – პ. გ) და, რაც მთავარია, ძველ ტოპონიმ მარგვეთში. საერთოდ მეგრულში „რგ" ძირით რამდენიმე ზმნა იწარმოება, როცა „გრ" ძირით ზმნები იშვიათად გვხდება. სამაგიეროდ ქართულში „გრ" ძირი ჩვეულებრივია. ძველ ბერძნულშიც სიტყვები γρ ძირით გვხდება და არა პირიქით. ასე, რომ ეგრისის მეგრული ვარიანტი ე-რგ-ი-ში უნდა ყოფილიყო, რომელიც არც საისტორიო წყაროებში და არც მეგრულ სიტყვიერებაში არ გვხდება. საინტერესოა, რომ ქართულმა საისტორიო მწერლობამ ერთდროულად შემოინახა ტერმინები: მარგვი და ეგრი. სწორედ მარგვში გვაქვს მეგრული „რგ" ძირი. პტოლემეს მანრალებში „მარგალები//ფი ანუ მეგრელები უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც ჭანების იმ შტოს მოსვლამდე, რომელსაც ბერძნები „ლაზებად" მოიხსენიებდნენ, მოსახლეობდა დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნანილში და თვითსახელნოდებად „მარგალი" გააჩნდა. პტოლემეს „მანრალები" თ. ბერაძის აზრით დამახინჯებული მარგვი ანუ მარგვეთია (ბერაძე 2001: 39). აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის სვანებსაც წერილობითი წყაროები პირდაპირ სვანებად მოიხსენიებენ და მას ცვლილება არ განუცდია.

რას უნოდებდნენ საკუთარ ქვეყანას აქ მცხოვრებნი, ეს საკითხი ცალკე, ვრცელი კვლევის საგანია. ეგრისს, როგორც ზემოთ ითქვა, აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი ეძახდნენ. მეგრული ამ ტერმინს არ იცნობს. სვანები მეგრელებს „ზან"-ს, სამეგრელოს „ზანარს"-ს, ხოლო მეგრულს „ლუზნუ"-ს უნოდებენ, რამაც ს. ჯანაშია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მეგრელთა უძველესი სახელნოდება ზანი უნდა ყოფილიყო (ჯანაშია 1959: 6). ნ. მარის აზრით „ლაზი" არის ელინიზირებული ფორმა „ზანების" ქვეყნის სახელნოდებისა, „ლაზი" მოდის „ლა-ზან"-იდან, რომელიც არის ადგილის სახელის სვანური ფორმა (მარი 1913: 32). მიჩნეულია, რომ სა-თავსართი გვიანდელია, ხოლო ლა-პრეფიქსი სვანური წარმომავლობის. მეგრული „სამარგალო" აშკარად წარმოებულია ქართული მწერლობის სამეგრელოდან სა-თავსართის დახმარებით. XI-XII საუკუნის ხელნაწერის „ანდრია სალოსის ცხოვრების" ანდერძ-მინაწერში პირველად გვხდება ტერმინი „ოდიში" საკუთრივ დღევანდელი სამეგრელოს აღსანიშნავად. ოდიშის ეტიმოლოგიის გარკვევას ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი, შემდეგ იოანე ბატონიშვილი და მ. ჯანაშვილი შეეცადნენ. ნ. მარი ოდიშს ჯიქებს, ს. კაკაბაძე დიზერების ტომს, ვ. ბერიძემ ღვთაება „ოდის" უკავშირებდა. თ. ბერაძის აზრით, მეგრელებით დასახლებული ტერიტორიის ნანილს ძველთაგანვე ოდიში ენოდებოდა (ბერაძე 2001: 30-31).

ს. ჯანაშიას მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, რომ რატომ მაინცდამაინც სვანურმა შემოინახა ჭან-მეგრელების ძველი საერთო სახელი და არა თვითონ მათ. პირიქით, სვანურში ხომ არ შევიდა სახელწოდება ლაზიკა, ან ჭანი სვანურში ზანის ფორმით ხომ არ დამკვიდრდა. ეს იმ დროს, როცა მეგრულში სვანეთის სახელწოდება „შონე" დღესაც გამოიყენება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს „ქართი" ენოდებოდა, რომელიც დღეს თბილისს მიემართება. ამ ფონზე მეგრულმა ქვეყნის თვითსახელწოდება, რომ ვერ შემოინახა, ჩვენი აზრით ეს ქართული სალიტერატურო ენის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული. ფეოდალურ ეპოქაში ქვეყნის აღმნიშვნელი მეგრული ტერმინი საჭიროებას არ წარმოადგენდა და მწერ-ლობაში დამკვიდრებულმა ეგრისმა, შემდეგ ოდიშმა და ბოლოს სამეგრელომ გადაფარა. თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ ადრეფეოდალურ ხანაში მეგრელები თვითსახელწოდებად „მარგალს" იყენებდნენ. ჩვენ მოგვეპოვება უტყუარი საბუთი ატენის სიონის წარწერის სახით, სადაც სტეფანოზი მეგრელთა და ქართველთა ერისთავთერისთავის ტიტულით არის მოხსენიებული.

რაც შეეხება ლაზებს, მათი თვითსახელწოდება, როდესაც დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობა მოიპოვეს, „ჭანი" უნდა ყოფილიყო, რაც მდინარე ჭანისწყალმა შემოგვინახა. მეგრულად დღეს ამ მდინარეს „წენწყარს" ეძახიან, მაგრამ წ-ს გაჩენა ჭ-ს მაგივრად რეგრესული ასიმილაციით აიხსნება და მეორეულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს (ყიფშიძე 1914; ჯანაშია 1959: 18). შესაძლებელია მიგვაჩნია, რომ წალენჯიხაც ასეთი

ფორმით იყოს მიღებული და თავდაპირველად „ჭან//ჭენ ჯიხა“ („ჭანის ციხე“) რქმეოდა. ადგილობრივები ნალენჯიხას დღესაც შემოკლებით „წენდიხა“-ს ეძახიან, სადაც „დიხა“ მინას აღნიშნავს. თუმცა ლაზურში დაცულია სიტყვა „ნალენი“, რაც ქვემოს ნიშნავს (ინფორმაცია მოგვაწოდა გ. არახამიამ). ისტორიულ ლაზეთშივე არსებობდა სოფელი ნალენ ჩოი. ასევე საინტერესოა ტოპონიმი „ოჭანე“ დაბა ჯვართან ახლოს. ეს სახელწოდება ჭანიების გვარს, რომ უკავშირდებოდეს, მაშინ საჭანიო ან ლეჭანე გვექნებოდა, როგორც ეს სამეგრელოში კომპაქტურად დასახლებული გვარების თვითსახელწოდებების შემთხვევაში გვაქვს, გამონაკლისის გარეშე. შესაძლებელია ქაქვინჯის ციხის სახელწოდებაც ჭანებს უკავშირდებოდეს და ის ჭანების ძირს უნდა აღნიშნავდეს (მეგრული „ქვინჯი“ ძირს ნიშნავს, ხოლო „ჭა“ ჭანს უნდა აღნიშნავდეს და არა ჭას (მეგრულად „ინჭა“), წყლის საცავს, რადგან ამ შემთხვევაში ციხე-სიმაგრის სახელწოდება „ინჭაქვინჯი“ იქნებოდა. შედარებისთვის, ი. ანთელავას დასკვნით: „ჯიხან ქვინჯი, ციხე-გოჯ//არქეოპოლისის სახელია და „ძირის“ ციხეს ნიშნავს, რაც გაგებული უნდა იქნას, როგორც მთავარი ან თავადი ციხე“ (ანთელავა 1988: 11). „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ ჯუანშერის თხზულებაში დღევანდელი ნოქალაქევის (XX ს-ის 30-იან წლებამდე ნაქალაქევი) სახელწოდებად ციხე-გოჯი გვხდება (ქართლის ცხოვრება 1955). მაგრამ „ნმ. დავით და ნმ. კონსტანტინეს მარტვილობის“ უძველეს რედაქციაში (XII ს.) ეს ციხე-ქალაქი „ჯიხან ქვინჯის“ სახელწოდებით არის მოხსენიებული (ძეგლები 1971: 258). „ჯიხა ქვინჯის“ პირდაპირ თარგმანს ნარმოადგენს მისი ძველბერძნული (ბიზანტიური) სახელწოდება „არქეოპოლისი“, ანუ მთავარი ქალაქი და არა ე.წ. „ძველი ქალაქი“. ქაქვინჯის უძველეს სახელწოდებად ოდიშს მიიჩნევს ა. თორდია, საიდანც ეს სახელი შემდეგ ქვეყანას ეწოდა (თორდია 2012: 75-76).

მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი იოანე ლიდე გვაწვდის ცნობას, რომ კოლხიდას იმიტომ ჰქვია ამჟამად ლაზიკე, რომ ამ ქვეყანაში ლაზებმა მოიპოვეს ჰეგემონობა (გეორგიკა 1965: 236), დასავ-ლეთ საქართველოს სახელწოდებად ლაზიკა მაინც არ შერჩა, რაც ბუნებრივიც იყო. ადრიდანვე, ეთნონიმი „ჭანი“ (ბერძნულად „ლაზი“) მეგრელმა (მარგალი) გადაფარა. დიდი ალბათობით ადგილობრივი მეგრული მოსახლეება უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მოსული ჭანები. რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი მეგრელებს და ჭანებს ენის და ნეს-ჩვეულებების გამო აიგივებდნენ, დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ უწინდებურად მეგრს, მეგრელს, მარგვს ეძახდნენ, ხოლო ქვეყანას შესაბამისად ეგრისს, მარგვეთს. ეს, რა თქმა უნდა, ქართულ საისტორიო მწერლობაში აისახა და ამიტომ ქართული საისტორიო წყაროები ლაზს და ლაზიკას არ იცნობს. რომაელებმა და შემდეგ ბიზანტიელებმა მმართველი დინასტიის ჭანური, ანუ ლაზური წარმომავლობის გამო მთელ დასავლეთ საქართველოს ლაზიკა უწოდეს.

შემდგომში, როგორც მართებულად მიიჩნევს ნ. ლომოური, ბიზანტიური ტერმინი ლაზიკა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და მის მოსახლეობას სახელწოდება ლაზი IX საუკუნიდან დაუმკვიდრდა, მას მერე რაც ბიზანტიის საერო თუ სასულიერო ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში რეალური ძალაუფლება დაკარგა. შესაბამისად, ეს სახელწოდებები ხელოვნურად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ჭანებს მიაკუთვნა, რაც დროთა განმავლობაში მათ თვითსახელწოდებად გადაიქცა (ლომოური 1964: 86).

სანიგებზე პირველ ცნობას მემნონი გვაწვდის ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანასთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნავს, რომ პონტოს უკიდურეს მხარეში სანიგები და ლაზები ცხოვრობდნენო (ყაუხჩიშვილი 1987: 46) იპოლიტე რომაელის (III ს.) მიხედვით, კაპადოკიის შემდეგ არიან „მარცხენა მხარეებში სკვითები, კოლხები და ბოსფორელები... სავნები, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის აფსაროსი (და სებასტოპოლისი), ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი. და ვიდრე ტრაპეზუნტამდე ცხოვრობენ და გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა I, 1941: 19-20). ევსტათი კესარიელიც (260-340 წწ.) შემდეგ ცნობას გვაწვდის: სანები „რომელთაც სანიგები ეწოდებათ“ (გეორგიკა I, 1941: 32). სანიგებს ფლავიუს არიანეც ასახელებს, რომელთა მიწა-წყალზე სებასტოპოლისი მდებარეობდა, ხოლო სანიგთა მეფე სპადაგა იყო (არიანე 1961: 43). სანიგებს ასახელებს პროკოპი კესარიელი: იმპერატორ ტრაიანეს (98-117 წწ.) დროს სანიგების//საგინების „მიწა-წყლის, ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი... და იმთავითვე ჩააყენეს იქ მცველი რაზმები“ (გეორგიკა 1965: 125-126). სანიგებთან დაკავშირებულია VII საუკუნის საისტორიო წყაროს – „პასქალური ქრონიკის“ ცნობა: „ეგრეთნოდებული სალლებისა, რომლებსაც სანიტებსაც ეძახიან“ (გეორგიკა IV, 1941: 10).

სანიგების ტომის სამოსახლო არეალი, არიანეს მიხედვით, მდ. აქეუნტიდან (მდ. შახე) სებასტოპოლისამდე ემთხვევა ამ ტერიტორიაზე უფრო ადრე მცხოვრები ჰენიოხების სამოსახლოს. ჰენიოხების შესახებ ვრცელ ცნობას გვაწვდის სტრაბონი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მათ წარმომავლობას ლაკონელებს – რეკასსა და ამფისტრატეს, დიოსკურების მეეტლეებს უკავშირებს.

ჰენიოხთა ეთნიკური ვინაობის შესახებ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ სვანებად მიიჩნევს (ი. ორბელი, თ. მიქელაძე, თ. მიბჩუანი). მეცნიერთა მეორე ნაწილი ჰენიოხებს მეგრელ-ლაზებად თვლის (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ა. ურუშაძე). ჰენიოხი მერმინდელ სანიგებად მიიჩნიეს ი. ორბელმა, გ. მელიქიშვილმა, ზ. ანჩაბაძემ. ოღონდ ზ. ანჩაბაძემ სანიგები

ჯიქ-საძებს დაუკავშირა (ანჩაბაძე 1964: 173). გ. მელიქიშვილის აზრით, ჰენიოხები ურარტულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული იგანიეხები არიან. იმავე აზრისაა მ. ინაძე. ერთი მოსაზრების თანახმად ტერმინი ჰენიოხი ეთნიკური სახელი არ არის, არამედ პროფესია. ამ სახელით ბერძნები მიმართავდნენ პროფესსიონალ მზიდავებს, რომლებიც მოვაჭრეებს ემსახურებოდნენ შავიზღვისპირეთიდან ჩრდილო-კავკასიიდან გადასასვლელად (კვეზერელი-კოპაძე 1955: 30-35).

ეს საინტერესო მოსაზრება, მაგრამ მცდარი. ანტიკური ხანის ავტორთა ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ჰენიოხები მებარგულები კი არა პროფესიონალი მეკობრეები იყვნენ. ეს საქმიანობა არა იმდენად ამ საქმის სიყვარულით, არამედ სოციალ-ეკონომიკური ფაქტორით იყო გამოწვეული, რასაც სტრაბონი გარკვევით აღნიშნავს.

ჰენიოხების სახელწოდების წარმომავლობა, ჩვენი აზრით, სტრაბონს მკაფიოდ აქვს განმარტებული და ის ძველ ბერძნულ სიტყვა „Ηνιοχος“ უკავშირდება, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „მეეტლე“, „სადავეების დამჭერი“. ჰენიოხები არ უნდა უკავშირდებოდნენ იგანიეხების ტომს, რომელიც უძველეს პერიოდში ჩილდირის ტბასთან (თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი) ცხოვრობდნენ. ჰენიოხებს ეს სახელწოდება ძველმა ბერძნებმა რაღაც ტრადიციით დიოსკურების (დიოსკურიის დამაარსებელი ტყუპი ძმების) მეეტლეების: რეკასის (კრეკასი) და ამფისტრატეს სახელის მიხედვით მიანიჭეს. მაგრამ ჰენიოხების ეთნიკური ვინაობა უკვე პლინიუს უფროსისთვის ცნობილი იყო, როდესაც ის „სან-ჰენიოხთა“ ტომზე გვაწვდის ცნობას მდინარე პიქსენტის (ბზის –ჰ.გ) ნაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ჰენიოხებს ის ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც ასახელებს. „სან“-ში რა თქმა უნდა ჭანი იგულისხმება. გამოდის, რომ ესენი ჭან-ჰენიოხები ანუ ჭანების ერთ-ერთი განშტოებაა. არიანეც მაკრონების და ჰენიოხების გაერთიანებას ასახელებს ამ ტერიტორიაზე. სტრაბონის მიხედვით ვიცით, რომ მაკრონები იგივე ჭანები არიან.

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ჰენიოხებიც ჭანები უნდა იყვნენ. ამას გვაფიქრებინებს მათი ცხოვრების ნესი. ისინი ხომ განთქმული ზღვაოსნები იყვნენ. ხოლო თვალს თუ გადავავლებთ ლაზების ანუ ჭანების ნარსულს, მათი ცხოვრება ზღვასთან და ზღვაოსნობასთან ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ მათთვის (ანუ ზღვისპირას მოსახლე ჭანებისთვის) „ჰენიოხის“ სახელის დარქმევა ძველი ბერძნების მხრიდან ალეგორია იყო, რადგან ისინი დიდ დროს უთმობდნენ ზღვაოსნობას. შედარებისთვის, დიოსკურების მეეტლეებიც მუდმივ მოძრაობაში იყვნენ. ჰენიოხების სამოსახლო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იყო და ისინი ძველთაგანვე ჩანან გადასახლებული ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. თუ ჰერაკლიდე პონტოელის ცნობას ვენდობით, ისინი ჯერ ფაზისის მიდამოებში ჩანან IV-III საუკუნეებში (ინაძე 1955: 14), შემდეგ უფრო ჩრდილოეთით, ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე. ფსოუსა და მდინარე შახეს შორის ტერიტორია ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან ნააგავს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ტრაპიზონ-რიზეს შორის მინა-წყალს. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად შეიძლება გეოგრაფიული გარემოც ყოფილიყო ჰენიოხთა აქ განსახლების მიზეზი. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ნ. ლომოურმა (ლომოური 1955: 54-55).

მართებულად შეიძლება ჩაითვალოს ვარაუდი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ჰენიოხთა და სანიგთა იდენტურობის შესახებ. უკვე ახ.წ. I საუკუნიდან დაიძლია ძველი ბერძნული საისტორიო-სალიტერატურო ტრადიცია და ჰენიოხებს ალეგორიული სახელის ნაცვლად თავიანთი სახელი: სანიგი დაუბრუნდათ. თუ დავუკვირდებით ბერძნულად დაწერილი „Σαννοι“ და „Σαννιγαι“ – სანიგი ფაქტობრივად ერთი და იგივეა. თუ „Σαννοι“ ჭანს მიემართება, „Σαννιγαι“-ს შემთხვევაში „γα“ ძველბერძნულად ზოგადად მიწასაც აღნიშნავს, შესაბამისად, ქართულად ეს ჭანების მინას ნიშნავს. აქ შეიძლება შეკითხვა გაგვიჩნდეს, თუ რატომ დასჭირდათ ძველ ბერძნებს ჭანებისთვის რამდენიმე სახელის შერქმევა. საფიქრებელია, რომ ეს განპირობებული იყო მრავალრიცხოვანი ჭანური ტომების არსებობით, რომლებიც სხვადასხვა მიკრო რეგიონებში იყვნენ განსახლებულნი და ადგილობრივი თვითსახელწოდებები ჰქონდათ. ძველმა ბერძნებმა რასაკვირველია, როგორც მათში იყო მიღებული, მათ სხვადასხვა ბერძნული სახელები მიაკუთვნეს (შდრ. იტალია, ეგვიპტე, ესპანეთი). ამიტომ იყო, რომ III საუკუნისათვის იპოლიტე რომაელთან და ევსტატი კესარიელთან სანები (ჭანები) იგივე სანიგები არიან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ცნობა მის ბიჭვინთაში გადასახლებასთან დაკავშირებით. ქართულ თარგმანში ნერია: „მოიყვანის იოვანე პიტიონტად (ე.ი. ბიჭვინთა), ადგილსა ოხერსა ფრიად ტოტზანოს შინა“ ბერძნულ ტექსტში გაურკვეველი „ტოტზანოს“ ნაცვლად წერია: „Το Τζανων“ (აბულაძე 1944: 71). „Το Τζανων“ ჭანების ქვეყანას ნიშნავს და ბიჭვინთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტის მიხედვით ჭანების მიწა-წყალზე მდებარეობს. ასე რომ, სავსებით მართალი უნდა იყოს V საუკუნის ანონიმი ავტორის შემდეგი ცნობა: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის (მდ. ჭოროხი) წყლამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი (არიანე 1961: 88). თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ნაჩვენებ ბერძნული ლაზიას და ლათინური სალტიას სახელწოდებათა იდენტურობას, VII საუკუნის საისტორიო წყაროს – „პასქალური ქრონიკის“ ცნობაში ნახსენები ე.წ. სალლები, რომლებსაც სანიტებსაც ეძახიან, იგივე სალტიები, ლაზები ანუ ჭანები არიან.

რომაულ საისტორიო მწერლობაში I საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ეთნიკური ჯგუფი იხსენიება, რომელსაც რომაული და შემდგომ ბიზანტიური მწერლობა აფსილების სახით იცნობს. აფსილები პირველად პლინიუს უფროსთან არიან მოხსენიებულნი: აბსილების ტომი და მათ ტერიტორიაზე ციხე სებასტოპოლისი. აფსილების შესახებ არიანე გვამცნობს: „ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო" (არიანე 1961: 43). ე.ი. იულიანემ მეფობა არიანეს ნერილის ადრესატ რომის იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მამისგან, უფრო სწორედ მამობილისგან, იმპერატორ ტრაიანესგან (98-117 წწ.) მიიღო. აფშილებს ასახელებს აგრეთვე აგათია სქოლასტიკოსი, რომელიც 555 წელს ბიზანტიელი სარდლის სოტერიქეს ჩრდილო კავკასიაში გამგზავრებას აღწერს: „სოტერიქე ჩავიდა ეგრეთწოდებულ მისიმიანთა ქვეყანაში, რომლებიც კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ. ისინი ამ აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ" (გეორგიკა 1936: 86). იმავე აგათია ბიზანტიელების მისიმიანთა ქვეყანაში ლაშქრობისას გვამცნობს, რომ ბიზანტიელები „მივიდნენ ეგრეთწოდებული ტიბელეოსის („Τιβελεος") ციხესთან, რომელიც მისიმიელთა და აფსილიელთა ქვეყნების საზღვარზეა და მას ჰყოფს". მისივე ცნობით, აფსილიელები და მისიმიანელები მონათესავე და მეზობელი ტომებია (გეორგიკა 1936: 160-162).

პროკოპი კესარიელის ცნობით: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს („Τζιβιλην") ეძახიან" (გეორგიკა 1965: 162). შემდეგ პროკოპი აფსილთა აჯანყების შესახებ გვამცნობს, რომელიც ლაზი ნარჩინებულის, ტერდეტ მაგისტროსის მიერ აფსილთა მთავარი ციხე-სიმაგრის სპარსელებისადმი გადაცემამ და შემდეგ იქ დატრიალებულმა ამბებმა გამოიწვია. ამის გამო აფსილები ლაზებს განუდგნენ. ლაზიკის მეფე გუბაზ II-მ მათ წინააღმდეგ სამხედრო ძალა გაგზავნა და ამბოხებულები კვლავ დაიმორჩილა: „აი ასე წარიმართა აფსილებისა და წიბილის შესახებ საქმეები" – გვამცნობს ბიზანტიელი ავტორი (გეორგიკა 1965: 163-165).

568 წელს იუსტინე იმპერატორმა თავისი სტრატეგი ზემარქე ცენტრალურ აზიაში მომთაბარე თურქებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. უკანა გზაზე, ჩრდილო კავკასიაში მყოფმა ბიზანტიელმა სარდალმა მისიმიანეთის გზით წასვლა სახიფათოდ მიიჩნია და დარინის გზით აფსილიაში ჩავიდა. ეს ცნობა მენანდრე პროტექტორთან არის დაცული (გეორგიკა 1936: 234-237).

აფსილია ნახსენებია VII საუკუნის 60-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით თეოდოსი განგრელის თხზულებაში, რომელიც დასავლეთ საქართველოში მაქსიმე აღმსარებლის და მისი მოწაფეების თავგადასავალს ეხება (გეორგიკა 4, 1941: 44).

VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე II-მ (705-711 წწ.) კავკასიაში თავის სარდალ ლეონ სპათარი (ისავრიელი) გარკვეული დავალებით გამოგზავნა. ლეონ ისავრიელი ჯერ ფაზისში, შემდეგ აფსილიაში მივიდა და იქიდან კი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. უკანა გზაზე, ბიზანტიელმა სარდალმა მისიმიანეთში „რკინის ციხეს" ალყა შემოარტყა. ამ დროს ლეონთან აფსილთა უპირველესი კაცი მარინე (Μαρινος) მივიდა დახმარება შესთავაზა. ლეონი შემდეგ მარინესთან ერთად აფსილიაში მივიდა (გეორგიკა 1941: 112-113).

აფსილია „ქართლის ცხოვრებაშიც" იხსენიება აფშილეთის სახელით. საისტორიო წყარო, რომელიც ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეხება, ჯუანშერს მიეწერება. ვახტანგის შემდგომ პერიოდს, როდესაც ჯუანშერი VIII საუკუნის I ნახევრის მოვლენებს, ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის, მისი ძეების: მირის და არჩილის თავგადასავალს, ასევე საქართველოში არაბი სარდლის მურვან ყრუს ლაშქრობას ეხება, შემდეგ ცნობას გვანვდის:

> და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასიაი... და ვითარ ცან, რამეთუ მეფენი ქართლისანი (სტეფანოზი, მირი, არჩილი) და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს, შეუდგა კვალსა მათსა და შემუსრა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისისანი, და ციხე იგი სამზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა და შეელო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისაი... და ვითარცა შეელო ყრუმან კლისურაი, რომელ მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოისა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისაი ციხემი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა... რომელსა მოსდგამს სამხრით ზღუაი და ჩრდილოით ქალაკი მნყურნები. მუნ შინა იყვნეს მეფენი ქართლისანი: მიპრ და არჩილ. ხოლო მამაი მათი გარდაცვალებულ იყო და დაემარხა ეგრისსა შინა. და ერისთავი კეისრისა ლეონ შეხრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალი ოვსეთისასა" (ქართლის ცხოვრება 1955: 235, 238).

ჯუანშერის თხზულების ეს ნანილი, როგორც ფიქრობენ, ერთგვარად შეკუმშულია და სხვადასხვა დროის ამბები ერთ მთლიანობაშია მოქცეული. უახლესი გამოკვლევით მიჩნეულია, რომ მირის და არჩილის ქრონიკა ეხება 711-714 წლებს შორის მიმდინარე მოვლენებს და მურვან ყრუს მიენერა სინამდვილეში სხვა არაბი სარდლის, მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქის კავკასიაში და მათ შორის საქართველოში 714 ნლის ლაშქრობა. ხოლო ერისთავი კეისრისა არის არა, როგორც მიჩნეული იყო აფხაზთა ერისთავი ლეონ I, არამედ ბიზანტიის

იმპერატორის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში ლეონ ისავრიელი. შესაბამისად აფშილთა უპირველესი კაცი მარინე იგივე მირია, სტეფანოზის უფროსი ძე (სანაძე, ბერაძე 2004: 70-76).

ისტორიოგრაფიაში აფსილ//აფშილთა ეთნიკურმა კუთვნილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ეს საკითხი დღემდე საკამათოდ რჩება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, რომაულ საისტორიო წყაროში აფსილები პირველად I საუკუნისთვის იხსენიება, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისის შემდეგ ბიზანტიელი ავტორები ამ ტომს არ ახსენებენ. „ქართლის ცხოვრების" ჯუანშერისეული ცნობასთან დაკავშირებით აფშილებზე და მათ ქალაქ ცხუმზე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს გვიანდელ ხანაშია შეტანილი, როდესაც მთელი დასავლეთ საქართველო უკვე აფხაზთა სამეფოდ იწოდებოდა. თუ მ. სანაძის და თ. ბერაძის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ცნობა ლეონ ერისთავზე და აფშილეთზე თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებიდან უნდა იყოს აღებული. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის სახელწოდება მხოლოდ რომაულ-ბიზანტიურმა საისტორიო მწერლობამ შემოინახა. ხოლო ადგილობრივმა ტოპონიმიკამ თუ ზეპირსიტყვიერებამ აფსილ//აფშილებზე ჩვენამდე არავითარი ცნობა შემოინახა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეცნიერთა იმ ჯგუფის მოსაზრებას, რომ დღევანდელი აფსუების სახელი აფსილთა სახელწოდებას უკავშირდება, ხოლო აფსნი კი აფსილიიდან მომდინარეობს. ეს მკვლევარები ამას აფსნი//აფსუა და აფსილ//აფსილია სახელნოდებების მსგავსებით ასაბუთებენ.

ეს სახელწოდებები ერთმანეთს მართლა ჰგავს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი საისტორიო წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას რომ ეს ხორონიმები ერთმანეთს უყოყმანოდ დავუკავშიროთ. აფსუა აფხაზების თვითსახელწოდებაა, აფსნი კი აფხაზეთს ეწოდება. ისტორიულ აფხაზეთს ბიზანტიური წყაროები აბაზგიის სახელით, ხოლო აფხაზებს აბაზგების სახელით იცნობენ. ისტორიული აფხაზების, იგივე ბიზანტიური წყაროების, აბაზგების და დღევანდელი აფსუების ეთნო-კუთვნილების საკითხს ქვემოთ შეეხებით, ხოლო ეხლა გვაინტერესებს, შეიძლებოდა თუ არა დასავლეთ საქართველოში მოსახლე ერთ–ერთი ხალხის და მისი სამოსახლო მხარის სახელწოდება ისტორიის მანძილზე უკვალოდ გამქრალიყო. ვფიქრობთ, რომ არა, რადგან ამის პრეცენდენტი საქართველოს ტერიტორიაზე არა გვაქვს. სახელწოდებები შემონახულია ტოპონიმიკაში, ზეპირსიტყვიერებაში და წერილობით წყაროებში. აფსილია//აფშილეთი ამ შემთხვევაში გამონაკლისი ვერ იქნებოდა. მართალია, დღეისთვის გვარ აფშილავა/აბშილავაში შეიძლება ამ ტომის სახელნოდების დანახვა, მაგრამ გვარების წარმოქმნა შედარებით გვიანდელ პერიოდს უკავშირდება. ასევე ეს გვარი აშკარად ჭანური (ლაზური) ელფერის მატარებელია თავისი „ში" დაბოლოებით და უნდა იყოს აფიში/აბიში, ანუ აბისი. „აბი" კი პიროვნების სახელია. ასევე აფშია სოფელია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიულ ჭანეთში.

აფსილების ეთნიკური ვინაობის გარკვევისა საინტერესოა აგათიას ზემოთ მოყვანილი ცნობა, რომ მისიმიანელები, მსგავსად აფსილებისა, კოლხთა, ანუ ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არიან, მხოლოდ სხვა ენაზე მეტყველებენ. მისიმიანელები, როგორც ეს მყარად დაასაბუთებულია კოდორის ხეობის ზემოწელზე მოსახლე სვანები იყვნენ, რომელთა ეს ბერძნული სახელწოდება მიღებულია მათი თვითსახელწოდება „მუ-შუანიდან" (ყაუხჩიშვილი 1936: 227-280). ხოლო სვანების ბერძნული სახელწოდება „Σοανας", ძველ ბერძნებს და რომაელებს მეგრულ-ჭანური „შონე"-დან უნდა გადაეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ აფსილებს და კოდორის ხეობაში მოსახლე სვანებს (მისიმიანელებს) სამეზობლო და გარკვეული ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ, აფსილები სვანურად არ მეტყველებდნენ. აფსილებს რომ საკუთარი ენა ჰქონოდათ, აგათია სქოლასტიკოსი ამას აუცილებლად აღნიშნავდა, ისევე როგორც მისიმიანელების შემთხვევაში. სხვანაირად ენობრივი განსხვავების ასეთ ხაზგასმას აზრი ეკარგებოდა. ეს ამბავი ასე გვექნებოდა მოცემული: მისიმიანელები მსგავსად აფსილებისა კოლხთა მეფის ქვეშევრდომები არიან, სხვა ენაზე მეტყველებენ, ისევე როგორც აფსილები. გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, აფსილები და სვან-მისიმიანელები რომ განსხვდებიან, ამას ეს ბიზანტიური საისტორიო წყაროც ადასტურებს. ოღონდ მან ეს ტომები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნა (მელიქიშვილი 1959: 92). დ. მუსხელიშვილის აზრით, „აფშილს" გეოგრაფიულად, ქრონოლოგიურად, ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო აფსუასთან და ერთ-ერთ დასავლურ ქართულ ტომად უნდა ჩაითვალოს (მუსხელიშვილი 2000: 17-24).

ვფიქრობთ, რომ ბიზანტიელ ავტორებთან მოხსენიებული აფსილები მეგრულად მეტყველებდნენ და, საერთოდ, მეგრელები იყვნენ. ამას უნდა ადასტურებდეს აფსილთა მთავარი ციხე-სიმაგრის „Τζιβιλην" სახელწოდებაც. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა სამართლიანად ნებელდის ციხე-სიმაგრესთან არის გაიგივებული. როგორც ცნობილია, ტოპონიმი ნებელდა XIX ს-ის 30-იან წლებში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ დაამკვიდრა, როდესაც აფხაზებით დასახლებული ნაბალი და დალის, იგივე კოდორის ხეობას ნებელ-დალის (Цебелда) სახელით იხსენიებდნენ (ხორავა 2008: 10-11). აფხაზები ნებელდას ნაბალს (Цабал) უწოდებდნენ, რაც 1864 წლის სამეგრელოს რუსულენოვანი რუკით დასტურდება (რუკა 1861). ქართულში ეს სახელი ნებელდის ფორმით დამკვიდრდა, რამაც გ. მელიქიშვილი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ „ნიბელის" (ნებელდა) სახელწოდება ნიფელს დაუკავშირა. თუმცა პროკოპი კესარიელმა ამ ციხის სახელის გადმოცემისას

„TՀ" აფრიკატი გამოიყენა პირველ გრაფემად, ისევე როგორც წერდნენ ამ ხანის ბიზანტიელი ავტორები ჭანების სახელწოდების შემთხვევაში. შესაბამისად „TՀιβιλην" უნდა ნავიკითხოთ, როგორც „ჭიბილი" და არა „წიბილე", როგორც ეს „გეორგიკაშია" მოცემული. თუ აფსილთა მთავარი ციხის სახელწოდებად „ჭიბილს" წავიკითხავთ, ამ ტომის ეთნიკურ ვინაობა და სამეტყველო ენა ცნობილი გახდება, რადგან სიტყვა „ჭიბილი" მხოლოდ მეგრულში გვხდება და ის „დანებილს", „გაფისულს", ასევე „დანნულს", ზოგადად, „მტკიცედ გაკეთებულს" ნიშნავს. დღემდე შემორჩენილი ამ ციხის ნანგრევები მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, რომელიც თლილი ქვებით მტკიცედ არის აგებული და სახელს ამართლებს. საინტერესოა, რომ თანამედროვე წებელდის სამხრეთ-დასავლეთით შემორჩენილია მთისა და სოფლის სახეშეცვლილი სახელწოდება „გერზეული". ეს ტოპონიმი ასევე მეგრული სიტყვიდან „ღვირზალი" ანუ დაბღვერილიდან მოდის. ამ სახით არის აღნიშნული ის 1931-32 წლების საქართველოს საზოგადო რუკაზე. თუ სანაძე-ბერაძის მოსაზრება სწორია მარინეოსის და მირის იგივეობის თაობაზე, მაშინ გამოდის რომ მირი მეგრელთა ერისთავია, რაც მამისგან მემკვიდრეობით უნდა მიეღოთ.

თუ აფსილებს მეგრელებად მივიჩნევთ, მაშინ სახელწოდება „აფსილი" და „აფსილია" რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა მირ დამკვიდრებული ტერმინიებია და ამ თვითსახელწოდების ტომი და მხარე რეგიონში არ არსებობდა. მართლაც ძველ ბერძნულში ზოგადად „Αφιλια"//„Αφιλαι" „უმეგობროს, არახალხთმოყვარეს, ხალხთა მიმართ მტრულად განწყობილს" ნიშნავს. სავარაუდებელია, ეს ტერმინი ამ მეგრულმა გაერთიანებამ ძველ ბერძნებთან პირველი კონტაქტისას დაიმკვიდრა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მთის და მთისწინეთში მცხოვრები ხალხი იყო.

სავსებით შესაძლებელია, სწორედ ამ გარემოების გამო არ დამკვიდრდა და ჩვენამდე ვერ მოაღწია სახელწოდება „აფსილიამ" (აფშილეთი ბერძნული სახელის გაქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს) და „აფშილმა", რომელიც უცხო წარმომავლობის იყო. ადგილობრივები ამ მხარეს იმ დროს რას ეძახდნენ, ძნელი სათქმელია, რადგან შემდგომში ტერმინმა აფხაზეთმა მთლიანად მოიცვა აღნიშნული რეგიონი. თუმცა შუა ფეოდალურ ხანაში ეს ტერიტორია ცხუმის საერისთავოში შედიოდა, რომელსაც XIV საუკუნემდე ამანელისძეთა (მეგრულად ამუნასკირი) ფეოდალური გვარი განაგებდა (ანთელავა 1996: 27). ამ საუკუნეში კი ცხუმის საერისთავო ოდიშის (სამეგრელოს) მთავარმა მიიტაცა, შემდეგ კი საქართველოს მეფის გიორგი V (1318-13) ბრწყინვალის ბრძანებით დაიკანონა. ვახუშტის ცნობით, გიორგი ბრწყინვალე „შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად და მისცა ცხომისა საერისთო ბედიელს (იგულისხმება ოდიშის ერისთავი და არა ბედიელი მთავარეპისკოპოსი, – პ. გ.), „ვითარცა პირველ ცხომის იყო" (ვახუშტი 1973: 257-258). ცხუმის საერისთავო ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო და ის აფხაზთა საერისთავოს შემადგენლობაში არასდროს იყო გაერთიანებული. ამას ადასტურებს ვახუშტისვე ცნობა ლეონ II „აფხაზთა მეფის" მიერ დასავლეთ საქართველოს საერისთავოებად დაყოფის შესახებ: „ა – დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე; ბ – დასუა ცხომს და მისცა ეგრის იქითი ანაკოფია ალანითურთ; გ – დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენისწყლამდე" (ვახუშტი 1973: 796). მიუხედავად იმისა, რომ სწავლული ბატონიშვილი ცხუმის საერისთავოს საზღვრებს შეცდომით გადმოგვცემს, მისი ცნობა შესაძლებელია ძველ წყაროს ან ისტორიულ ტრადიციას ემყარება. აფსილია// აფშილეთის საზღვარი მდინარე კოდორის აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა, რაც კარგად ჩანს VII საუკუნის ბიზანტიელი ავტორის თეოდოსი განგრელის თხზულების მიხედვითაც, რომელიც დასავლეთ საქართველოში ცნობილი საეკლესიო მოღვანის, მაქსიმე აღმსარებლის გადასახლებას ეხება (გაბისონია 2016: 75-88). კოდორის სამხრეთ აღმოსავლეთით უშუალოდ ლაზების ტერიტორია იწყებოდა.

დამონმებანი

აბულაძე 1944: ი. აბულაძე. ქართული ნიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ქართულ მწერლობაში, ენიმკის მოამბე, XIV, თბილისი.

ანთელავა 1996: ი. ანთელავა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ერთი ადგილის შესახებ, საისტორიო კრებული, VI, თბილისი.

ანთელავა 1988: ი. ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო ნყაროები. თბილისი.

ანჩაბაძე 1964: З. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. Москва.

არიანე 1961: ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბილისი.

ბერაძე 2001: თ. ბერაძე. სამეგრელოს ისტორია, ჟურნ. აია, 9-10, თბილისი.

გამყრელიძე 1982: პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ (წერილები), ალ. გამყრელიძე, თბილისი.

გეორგიკა I, 1941: ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ I, (ალ. გამყრელიძე, ს. ყაუხჩიშვილი), თბილისი

გეორგიკა 1965: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ 2. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი.

გეორგიკა, 3 1936: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ 3. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი.

გეორგიკა, 4 1941: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნ. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი.

გეორგიკა 1970: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 8, თბილისი.

ვახუშტი 1973: ვ. ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი.

თორდია 1987: ა. თორდია. სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ოდიში. შ. მესხის სახ. სასნავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, #5, თბილისი.

ინაძე 1955: მ. ინაძე. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბილისი.

კვეზერელი–კოპაძე 1955: Н. Квезерели-Копадзе. Дорожные сооружения древней Абхазии. Сухуми.

ლატიშევი 1890: В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказа. т. I, СПб.

ლატიშევი 1904: В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказа. т. II, вып 1, СПб.

ლომოური 1955: ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ., 34. თბილისი.

ლომოური 1964: ნ. ლომოური. ლაზეთის სახელნოდების საკითხისთვის. მაცნე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 5, 20, თბილისი.

მარი 1913: Н. Марр. Из поездок в Сванию, ХВ, II, вып. I.

მელიქიშვილი 1959: Г. Меликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси.

რუკა 1861 : Карта Мингрелии с прилежащими землями.

სანაძე, ბერაძე, 2004: მ. სანაძე, თ. ბერაძე. VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა, X, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1957: თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1987: თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. ტ., VI. ძველი ბერძნული და თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1936: ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, ტფილისი.

ყიფშიძე1914: И. Кипшидзе. Граматика Мингрельского язика.

ძეგლები 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, თბილისი

ხორავა 2008: ბ. ხორავა. დალი, ისტორიის ფურცლები, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, ზემო აფხაზეთი, შრომათა კრებული, ტ. 2. თბილისი.

ჯანაშია 1959: ს. ჯანაშია. შრომები, III, თბილისი.

ISSUES OF HISTORICAL GEOGRAPHY AND ETHNO-POLITICAL HISTORY OF WESTERN GEORGIA (1ST-5TH CENTURIES)

Papuna Gabisonia

In the I-V centuries, ancient Greek, Roman, Byzantine authors named many ethnic groups in Western Georgia. The names of these groups often are given in ancient Greek. For example, the ethnic group Drilos is same Georgian Chani living in the Murgul valley. Chani played a major role in the processes of ethnogenesis in the eastern coast of the Black Sea. The ancient Greeks, and then the Byzantines, the Chani, who came to the lowlands of Western Georgia, called Lasi, and their country Lazika. The ancient Greek word Lassia – means dense forest, dense shrub. Roman historian Pliny speaks of the Salti tribe, who lived in western Georgia. The Latin word saltus also means thick forest. In the I-V centuries, the north-western part of modern Abkhazia was Sanigia, whose population originated from Chani. Ancient Greek Sanigia means the land of Chani. Heniokh tribe too originates from Chani. From the ancient Greek word comes Apsilia (unfriendly). It was a western Georgian tribe. They lived in the central part of modern Abkhazia.

THE ISSUE OF MESKHETIAN TURKS REPATRIATION TO GEORGIA IN THE EYES OF GEORGIAN DISSIDENTS IN 1970s[1]

Aleksandra Gryźlak

The problem of the so called Meskhetian Turks or Meskhetians has been mentioned in numerous publications and official documents – their origin, history, everyday life in exile, the issue of their repatriation to Georgia. The subject is still an ongoing issue. The aim of the present article and enclosed materials is to show how this problem was viewed by the representatives of a dissident movement in the Georgian Soviet Republic in the 1970s and how it was used by them in their struggle for the respect of human rights in the USSR.

The first dissident group in Georgia was the Initiative Group for the Defense of Human Rights, established in 1974, by the two most famous Georgian dissidents – Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava. Zviad Gamsakhurdia graduated from the Department of Philology at Javakhishvili Tbilisi State University. Later he worked in the Ministry of Culture. He was also a member of the Writers' Union of the Georgian SSR. Merab Kostava, a pianist, graduated from the Tbilisi conservatory and worked as a music teacher (Berdzenishvili 2007: 204; Rtskhiladze, Chanturishvili 2007: 210). Another important member of the group was Viktor Rtskhiladze. Raised in a family of decorated sportsmen, writers and social activists, he graduated history from Javakhishvili Tbilisi State University. He worked as a history teacher for some years and later in the Inspectorate of Historical Monuments at the Ministry of Culture of the GSSR. During his studies he met Zviad Gamsakhurdia and they became close friends (Chanturishvili 2007: 218) . Other members of the Initiative Group included Valentyna Pailodze, Bego Bezhuashvili, Irakli Kenchoshvili, Teimuraz Janelidze and the Goldstein brothers

In 1977, following in the footsteps of Russian dissidents, the Initiative Group for the Defense of Human Rights was transformed into the Georgian Helsinki Group. Initially, the group was spreading Russian samizdat, but soon it began to publish its own illegal journals. The Group's main task was to defend people's rights and to make sure that Soviet law was adhered to. The members of the Group wrote various letters and petitions in defence of people being arrested unjustly or fired, of historical monuments and of human rights, in general. These petitions were signed by other members of society and were mainly addressed to the Party hierarchy, Russian dissidents and sometimes, even to the foreign media (Interogation protocol Kenchoshvili 1997: 19-25) .

The second half of the 1970s was a period of development for the Georgian samizdat. In 1975, the journal *Okros Sawmisi* (Golden Fleece) was established in Tbilisi and four issues were eventually published. The *Golden Fleece* had a literary-cultural profile and mainly published poetry, reviews and articles devoted to literature. Only the last issue (*Okros Sawmisi* 4/1976) contained some materials that could be considered political and anti-Soviet.

A year later, another underground journal was established –*Sakartvelos Moambe* (The Georgian Herald). Its purpose was to deliver information concerning the national and social situation in Georgia and of the Soviet Union in general. The editors of both periodicals were Gamsakhurdia, Kostava and Rtskhiladze. Two issues of the Herald were published in 1976, in Georgian.

The journal was published on ordinary paper and had a sticker on the front page with the title, issue and year. The editors looked for different places and people to print and copy the journals in Tbilisi – at friends' houses, sometimes by retired professional typists. It was copied illegally in underground typographical centres in Tbilisi. The distribution took place via a broad network of friends, work colleagues, neighbours; at universities and churches. The journal was passed from person to person. Some issues were also sold. The KGB confiscated any and all copies they could get their hands on (most of them); questioning those who were caught with them. It also made its way outside the borders of the Georgian Republic. It was even received by "*Radio Free Europe*".

Gabashvili 1954: V. Gabashvili. From the History of Georgian Diplomacy. *Materials for the History of Georgia and the Caucasus*, #31. Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Gasviani 1988: G. Gasviani. Social-Political Conditions of Western Georgia and Accession with Russia, XVI-XIX cc. Tbilisi, Sabchota Sakartvelo (in Georgian).

Gatserelia 1958: A. Gatserelia. Material for the Biography of Vakhtang VI (1712-1722). *Mnatobi*, #1. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Gogoladze 1966: D. Gogoladze. Mining, Mountain-Facture Industry in Georgia and Some Issues of the Genesis of Capitalism, Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Gonikashvili 1979: M. Gonikashvili. Imereti on the Eve of XVIII-XIX centuries. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Guchua 1962: V. Guchua. For the Issue of Nature and Origin Immigrant. *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #34. Tbilisi, Sakatvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Guchua 1963: V. Guchua. Class struggle between immigrants and land lords in the period of late feudalism (Scripture II). *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #35.Tbilisi, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Gugushvili 1929: P. Gugushvili. Georgian Book in 1629-1929ss. Tbilisi, Sakhelgami (in Georgian).

Gvritishvili 1979: D. Gvritishvili. Materials for the History of Georgian Peasants. Tbilisi, Tbilisis Universitetis Gamomtsemloba (in Georgian).

Japaridze 1973: G. Japaridze. Essays from the history of Georgian Metrology. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Jamburia 1973a: G. Jamburia.Political Condition in 30-90-ies Georgia. *Essays on History of Georgian*. vol., IV. Tbilisi, Sabchota Sakartvelo (in Georgian).

Javakhishvili 2006: I. Javakhishvili. Attitude between Russia and Georgia in the XVIII Century. Tbilisi, Kompasi Sakartvelo (in Georgian).

Javakhishvili 2012: I. Javakhishvili. East Georgia in the XVII century: King Rostom. The History of Georgian Nation. vol., V. Tbilisi, Palitra L (in Georgian).

Javakishvili 1964: I. Javakhishvili. Materials for the Economic History of Georgia. vol., I. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Kacharava 1986: I. Kacharava. Actual Problems of Georgian Historiography. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Kakabazde 1950: S. Kakabadze. Documents of Imereti about Tarkhnoba. *Historical bulletin*, vol. 5. Tbilisi, 'Zaria Vostoka' (in Georgian).

Kakabadze 1940: S. Kakabadze. French Trading Capital in Georgia. *Proceedings of Tsulukidze Kutaisi State Pedagogical Institute*. vol., I. Kutaisi. Gaz. 'Industr. Kutaisis' Stamba (in Georgian).

Khizanishvili1940: N. Khizanishvili. Ethnographic Writings. Ed., G. Chitaia. Part 2. Tbilisi, SSR Metsnierebata, Akademiis Sakartvelos Filialis Gamomtsemloba (in Georgian).

Kikodze 1973: M. Kikodze. Attempts Regulation of Social Relations. Class Conflict in the first Quarter of XVIII c. *Essays on History of Georgia*, vol., IV. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Klimiashvili 1962: A. Klimiashvili. Artillery Construction in the East Georgia II Half of the XVIII Century. *Bulletin Institute of Manuscripts*, #IV. Tbilsii, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Koiava 1948: N. Koiava. Credit in the XVIII century Georgia. *Tbilisi State University Proceedings*, XXXIV a-b. Tbilisi, Universitetis Gamomtsemloba (in Georgian).

Koiava 1946: N. Koiava. Circulation of Georgian Money in the XVIII century. *Tbilisi State University Proceedings*, vol., 55. 5. Tbilisi, Universitetis Gamomtsemloba (in Georgian).

Koiava 1954: N. Koiava. Finances of Kartl-Kakheti in the XVIII Century (1701-1761). *Proceedings* of *Tbilisi State University*, vol., 55. Tbilisi, Univeristetis Gamomtsemloba (in Georgian).

Kortua 1962: N. Kortua. One rebellion of Imereti Peasants. *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #34. Tbilisi, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Kurdgelashvili 1959: Sh. Kurdgelashvili. From the History of Georgian Print House. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Kutsia 1984: K. Kutsia. Collegiums in the Cities of Georgia in XVII-XVIII cc. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Macharadze 1957: V. Macharadze. The Battle of Aspindza. Tbilisi, Sakhelgami (in Georgian).

Megreladze 1960: D. Megreladze. Materials for the History of Kartl-Kakheti in 1720s. *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #33. Tbilisi, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Megreladze 1963: D. Megreladze. Materials for the Economic History of Georgia (Book of Julabashvili). *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #35. Tbilisi, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtseloba (in Georgian).

Megreladze 1979: D. Megreladze. Class Struggle of Peasants in the feudal Georgia (XVII-XVIII cc). Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Meskhia 1955: S. Meskhia. For the History of Class Struggle in the Cities of XVIII c. *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #32. Tbilisi, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Meskhia 1982: S. Meskhia. In Search of History. vol., I. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Paichadze 1960: G. Paichadze. For the History of Relation of Georgia and Russia, Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Paichadze 1973: G. Paichadze. Political-Military Union of Kartli with Russia. *Essays on History of Georgian*, vol., IV. Tbilisi, Sabchota Sakartvelo (in Georgian).

Rekhviashvili 1978: M. Rekhviashvili. Western Georgia in XVII Century. Tbilisi, Tbilisis Univeristetis Gamomcemloba (in Georgian).

Sharashenidze1970: Z. Sharashenidze. Iran in the second Half of XVII century. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Sikharulidze 1990: P. Sikharulidze. From the History of the Moscow Cultural Center Georgia. Tbilisi, Ganatleba (in Georgian).

Soselia 1960a: O. Soselia. Category of Liberated Peasants in Georgia (to 20s Of XIX c.). *Materials for the history of Georgia and the Caucasus*, #33. Tbilisi, Sakartvelos SSR MetsnierebaTa Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Soselia 1973: O. Soselia. Class Relationship. *Essays on History of Georgian*, vol., IV. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Soselia 1960b: O. Soselia. Materials for the history straggle of class in Feudal Eastern Georgia (from the end of XII c. to 40s of XIX c.). Tbilisi, Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba (in Georgian).

Soselia, Chkhataraishvili 1973: O. Soselia, K. Chkhataraishvili. Socio-Economic Conditions of Western Georgia in 40s-60s of XVIII c. *Essays on History of Georgia*, vol., IV. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Surguladze 1970: A. Surguladze. On the stages national-liberation struggles and the Notion of Nation in Pre-revolutionary Georgia. Tbilisi, Universitetis Gamomtsemloba (in Georgian).

Tabagua 1982: I. Tabagua. Materials for the History of Georgia on the first Quarter of XVIII century. Tbilisi, Metsniereba (in Georgian).

Tatunashvili 1902: A. Tatunashvili. Condition kingdoms of Kartli and Kakheti. Translation of Al. Tatunashvili. Mogzauri #02. Tbilisi, Stamba Gazet 'Tbilisis Furclisa' da Ekv. Kheladzisa, Lor. Mel (in Georgian).

Tsintsadze 1960: I. Tsintsadze. Protective Treaty on 1783, Materials for the History of Russo-Georgian Relations. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

Tukhashvili 1973: L. Tukhashvili. Political Condition in the first twenties of XVIII.*Essays on History of Georgia*, vol., IV. Tbilisi, Sabtchota Sakartvelo (in Georgian).

საქართველოს ისტორიული განვითარება მეჩვიდმეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე: პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა

ზურაბ თარგამაძე

სტატია ეხება მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართულ სამეფო-სამთავროებში არსებულ მდგომარეობას. მისი მიზანია მაშინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარების გაცნობა უცხოენოვანი მკითხველისათვის. ისტორიული მიმოხილვა წარმოდგენილია ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ავტორების თვალსაზრისების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავდა ჩვენი დამოკიდებულებების გახმოვანებასაც, ამდენად, მკითხველი მასში ჩვენ შეფასებებსაც მრავლად იხილავს. აქვე აღვნიშნავთ იმისაც, რომ საკითხის სირთულიდან გამომდინარე დასახული ამოცანის სრულყოფილად შესრულება ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელი აღმოჩნდა. კვლევათა რაოდენობა, რომელიც ეხება შერჩეულ პერიოდს, მრავალი ათეულია. ამასთანაა დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ სტატიას თან ერთვის დამოწმებული ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი. ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესებული მკითხველი მასში იპოვის მისთვის საინტერესო ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ დიდია მემკვიდრეობა და, მათ შორის, გარკვეულ ნაშრომთა სამეცნიერო ღირებულება ფასდაუდებელიც კია, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია პოლიტიკური მოცემულობისა და არსებული იდეოლოგიური ჩარჩოს გამო, ძირითადად კონცენტრირებული გახლდათ ისტორიული პროცესის განვითარებაში ობიექტივისტური გარემოებების იდენტიფიცირებაზე. თუმცა, ისტორიული მატერიალიზმის გადასახედიდან წარსულის შეფასება ისტორიკოსის თვალსანიერს გარკვეული აზრით ზრდის კიდეც, მხოლოდ ამ თეორიული დისკურსის გათვალისწინებით რეკონსტრუირებული წარსული მაინც არაა სრულყოფილი. ამასთან, არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა კონცენტრირება დიალექტიკური მატერიალიზმის ჩარჩოში ისტორიული წარსულის გააზრებაზე ძალიან ადვილად გადაიზარდა დოგმატური ემპირიციზმით გატაცებაში.

სწორედ ამიტომ, მიუხედავად ამ ნაშრომთა ღირებულებისა ჯერ კიდევ არ გვაქვს ნათელი წარმოდგენა ქართული საზოგადოების ისტორიული განვითარების შესახებ. მაშინ მოღვაწე ქართველი ისტორიკოსების მიერ პოლიტიკური ფრაგმენტაცია და არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ძირითადად გააზრებულია და შეფასებულია, ხსენებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, იმგვარად, რომ მკითხველს ქართულ-რუსული ურთიერთობები ცალსახად პოზიტიურად წარმოედგინა. მიუხედავად კვლევებისა, სადაც ავტორები აღნიშნავენ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებების: საქალაქო ცხოვრებისა და ფულად-საფინანსო სისტემის განვითარების, კლასობრივი დაპირისპირების, თავისუფალი მოსახლეობის გამრავლების, სამართლებრივი რეფორმებისა და მანუფაქტურული წარმოების ჩამოყალიბების შესახებ, ამასთან მიუთითებენ კულტურული მოძრაობის არნახულ მასშტაბებზე, მათი უმეტესობა მაინც ქართული ერთობისა და სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლად განვითარებისათვის საქირო შინაგანი რესურსის უკმარისობაზე მიუთითებენ.

კრიზისი ფეოდალურ ურთიერთობებში, რომელიც ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ ახალი პოლიტიკური *სტატუს–კვოს* სახით გაფორმდა და, რომელიც მნიშვნელოვანნილად დაკავშირებული იყო და ვითარდებოდა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, სოციალური გარდაქმენიბისათვის ბიძგის მიმცემი იყო. საშინაო პოლიტიკური ვითარების შეფასებისას, მეფე-მთავართა დაპირისპირებაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ახალი სოციალური და სამართლებრივი წონასწორობა, რომელიც თავისი არსით ახალი დროისათვის დამახასიათებელ გარემოებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე შუა საუკუნეებისათვის. მიუხედავად ფრაგმენტაციისა, ქართული ერთობის ჰომოგენურობას უზრუნველყოფდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელიც ეფუძნებოდა ისტორიულ-კულტურულ პერცეფციებსა და ავთენტურობის ძლიერ განცდებს.

ამდენად, ჩვენ მიერ შერჩეულ პერიოდში ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ქართული სამეფო-სამთავროების ცხოვრებაში დგება ახალი დრო, რომელიც არა მხოლოდ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ კულტურული მოძრაობის მიზნებისა და ინტელექტუალური პროცესის განვითარებითაც განსხვავდებოდა ადრინდელი პერიოდებისაგან.

რუსული საეკლესიო პოლიტიკა და მიხეილ თამარაშვილის ბრძოლა ქართული იდენტობისთვის

დავით თინიკაშვილი

„ის [ხუსეთი] ბატონობს ახა მოხეუდ კოღონიებმი,
ახამედ მოსაზღვეხე ეხებს, ხომეღთაგან მხავაღი
თავისი კუღტუხეღი განვითახებით უფრო მაღღა ღგას“

ნოე რამიშვილი (რამიშვილი 2010: 37)

„ხუსების მიზანია ქახთუღი კუღტუხა
(ყველა ახახუსი ხაღხის კუღტუხა) იყოს პხიმიტიუღი,
უსახო, უფეხო ეხთგანზომიღებიანი, მოსაწყენი და
ახამიმზიდველი. ქახთუდ კუღტუხამი ახ უნდა ახსებობღეს
ახავითახი აზხთა ჭიდღიღ, შეხედუღებათა
სხვადასხვაობა, მხავაღფეხოვანება“

აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე 1990: 25)

მეფის რუსეთის იმპერიალიზმით განპირობებულ დესტრუქციულ პოლიტიკურ და რელიგიურ ვითარებაში ქართველი კათოლიკე მღვდლის მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობას საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კათოლიკური ეკლესიის ისტორიისთვის.

მღვდელი მიხეილი სამცხე-ჯავახეთის სხვა კათოლიკე სნავლულებთან ერთად (ივანე გვარამაძე, პეტრე ხარისჭირაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე) ენერგიულად იბრძოდა არა მხოლოდ ქართული კათოლიკური ტრადიციის, არამედ ზოგადად ქართული ეროვნული ღირებულებების (ენა, კულტურა, სარწმუნოება, ისტორია) დაცვისთვის. აღსანიშნავია, რომ მესხთა ნრის ხსენებულ ნარმომადგენელთა თავგანწირული ბრძოლა განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და მონონებას იმსახურებდა თერგდალეულებისგან, სახელდობრ, ილია ჭავჭავაძისგან, რომელსაც ზოგადად არამართლმადიდებელ ქართველებში ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა (ბებულაშვილი 2003ა: 442).[1]

1858 ნელს ახალციხეში, კათოლიკურ ოჯახში დაბადებულმა მიხეილ თამარაშვილმა სწავლისადმი განსაკუთრებული ინტერესი ბავშვობიდანვე გამოავლინა. ამიტომ, მამამ სათანადო აღზრდა-განათლებისთვის ის სამცხე-ჯავახეთში გამორჩეულ მოღვაწესა და განმანათლებელს, კათოლიკე მღვდელ ივანე გვარამაძეს მიაბარა. ყმანვილის გონება-მახვილობა და შრომისმოყვარეობა არც ამ უკანასკნელს დარჩენია შეუმჩნეველი. მღვდელმა პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდგომ ის სასნავლებლად სტამბოლში გაგზავნა, სადაც სხვა ცნობილ ქართველ კათოლიკე ბერს, პეტრე ხარისჭირაშვილს კათოლიკური სავანე დაეფუძნებინა და მასში სასულიერო სემინარია გაეხსნა. ამ სასნავლებელს დიდი სახელი ჰქონდა ქართველ კათოლიკეთა შორის (ჭიჭინაძე 1912: 8). მიხეილი აქ სამი ნლის მანძილზე ეუფლებოდა სხვადასხვა დისციპლინას: ქართული ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, ფრანგული და ლათინური ენები. ამ ორ უცხო ენას, როგორც ჩანს, აღნიშნულ თეოლოგიურ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ყველა კურსდამთავრებულს უნდა „შეძლებოდა ფრანგულ და ლათინურ ენებზე ნირვის აღსრულება და ფრანგულ სემინარიაში სნავლის გაგრძელება“ (ლომსაძე 1979: 77).[2]

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობამ გადანყვიტა საკუთარი ხარჯით სამიოდე ნარჩინებული მოსნავლე ესპანეთში გაეგზავნა იქაურ სასულიერო სემინარიაში სასნავლებლად. მათ შორის იქნა შერჩეული მიხეილ თამარაშვილიც. სამი ნლის სნავლის შემდგომ მიხეილი სტამბოლში ბრუნდება, საიდანაც ერთობლივი გადაწყვეტილებით და კვლავ ძმობის ხარჯით პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო აკადემიაში გზავნიან სნავლის გასაგრძელებლად სხვა მოწაფესთან, იოსებ მერაბიშვილთან ერთად.

ევროპაში ამგვარი განსწავლის შემდგომ, 1888 წელს თამარაშვილი ჯერ სტამბოლში, იქიდან კი საქართველოში ბრუნდება. მას მღვდლად თბილისში ღვთისმშობლის მიძინების ქართულ კათოლიკურ ტაძარში ამწესებენ. მაგრამ სამშობლოში რთული პოლიტიკური ვითარება იყო: ეროვნული ფასეულობების დაცვა საფრთხედ მიიჩნეოდა და საკუთარი სამშობლოს სიყვარული მეფის რუსეთის ღალატად ითვლებოდა.

მამა მიხეილი ენერგიულად შეუდგა თავის მსახურებას. რთული იყო იმის არშემჩნევა, რომ მის ქადაგებებზე მსმენელები უცნაური სისწრაფით მატულობდნენ. რაც არანაკლებ საინტერესოა კათოლიკე მღვდლის ღვთისმსახურებებს ესწრებოდნენ არა მხოლოდ კათოლიკე, არამედ მართლმადიდებელი ქართველებიც. ამის მთავარი მიზეზი ქადაგებების გამოკვეთილად ეროვნული, პატრიოტული შინაარსი და სულისკვეთება იყო, რასაც თანაბრად იზიარებდნენ სხვადასხვა რწმენის მიმდევარი ქართველები (სხვათა

შორის, ქართველი კათოლიკეების მიერ ქართული ენისა და ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებისთვის წარმოებულ ბრძოლას სოლიდარობას უცხადებდნენ მუსლიმი ქართველებიც. ეს განსაკუთრებით ჩანს სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანის ცხოვრებიდან, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ქართველი მუსლიმების კათოლიკურ ეკლესიაში „მოზიდვა და მომრავლება" (ბუბულაშვილი, 1999ა: 221). ახალგაზრდა მღვდლის სულიერ მსახურებას კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდა: ის საკმაოდ გაბედულად და აქტიურად იყენებდა მშობლიურ, ქართულ ენას.

ცხადია, ეს ყოველივე შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ მეფის რუსეთის წარმომადგენლებს კავკასიაში. ქართველი კათოლიკე მოძღვრის მოღვაწეობის ენერგიული, დამოუკიდებელი და მკვეთრად პატრიოტული ხასიათის გამო, პრელატმა მაქსიმე ორლოვსკიმ თამარაშვილს საქართველოში მსახურება აუკრძალა. მთავარმმართებელმა დენდუკოვ-კორსაკოვმა კი იმდენი მოახერხა, რომ მამა მიხეილი თბილისიდან გააძევა (ველიჯანაშვილი 1982: 23). ამის შემდეგ ის ჯერ გორში, შემდეგ ახალციხეში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა. „ნაციონალისტური პროპაგანდისთვის" მამა მიხეილს ქადაგებისა და ასევე ზოგადად ღვთისმსახურების საშუალება ნაერთვა (ბლუაშვილი 2008:61). ახალციხეში მას მხოლოდ როგორც ერისკაცს ისე შეეძლო ცხოვრება.

პრელატი მ. ორლოვსკი კავკასიის ლათინური ნესის კათოლიკეთა მმართველი იყო. შესაძლოა, მასაც არ ჰქონდა დიდი სიმპათია (როგოც პოლონელს) რუსული საეკლესიო პოლიტიკის მიმართ, მაგრამ ვალდებული იყო დაეცვა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 1844 წლის No.105 ბრძანებულება, რომელიც კათოლიკეებს ქართული ენის გამოყენებას უკრძალავდა (თამარაშვილი 2011: 524). მაღალი იერარქი თვლიდა, რომ ამგვარი ენობრივი კომპრომისი კათოლიკური ეკლესიის ინტერესებში შედიოდა და ეს უნდა გაეთვალისწინებინა მის დაქვემდებარებაში მყოფ მღვდელ მიხეილ თამარაშვილსაც (ბარდაველიძე 2011: 27). მაგრამ, როგორც ჩანს, პირველისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ნათლად აცნობიერებდა ამგვარი კომპრომისის რეალურ სამომავლო შედეგებს. ამ მიზეზით, მამა მიხეილმა საოცარი პრინციპულობა და გაბედულება გამოიჩინა, როცა იერარქიისადმი დაუმორჩილებლობა გადანყვიტა.

მამა მიხეილისთვის ყველაზე მძიმე ასატანი საკუთარ სამშობლოში დასადგურებული სრული განუკითხაობა და ეროვნული შემართების მქონე პირთა იდეოლოგიური დევნა იყო. როცა ამჩნევს, რომ საქართველოში ის ყოველმხრივ შებორკილი იქნება, საქართველოს დატოვებას გადაწყვეტს. მაგრამ, ეს დატოვება არანაირად არ გულისხმობდა „მიტოვებას", პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. მართალია, საქართველოს გარეთ მას არანაირი გარანტიები არ ეგულვებოდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყო: როგორც მინიმუმ, მოქმედების თავისუფლება ექნებოდა. 1891 წელს თამარაშვილი დიდი გაჭირვებით ახერხებს სტამბოლის გავლით რომში გამგზავრებას (კვლავ ივანე გვარამაძის დახმარებით). აქ იგი კიდევ ერთი ევროპული სასწავლებლის სტუდენტი ხდება, კერძოდ, რომის სასულიერო აკადემიისა, რომელსაც 1894 ნელს თეოლოგიის დოქტორის ხარისხით ამთავრებს.

რუსული კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე შიდა დაპირისპირების კერების წარმოქმნასაც გულისხმობდა. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი საქართველოში სამცხე-ჯავახეთის მხარე იყო, სადაც მეფის რუსეთმა სრულიად შეგნებულად ჩაასახლა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი (სომხები, რუსები, ბერძნები, თურქები). 1897 წლის აღწერით (ყრუაშვილი 2012: 16), სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მხოლოდ 1/7 იყო ქართველი.

მანამდე, კერძოდ, 1828 წლამდე ჯავახეთში ქართველი მოსახლეობა 95%-ზე მეტი იყო. რუსეთის ინიციატივითა და მხარდაჭერით (თეთვაძე 1998: 14-15) სომხების რამდენიმე ეტაპიანი ჩასახლებით, განსაკუთრებით 1830 ნლიდან (ლომსაძე 2011: 333), ქართველები ჯავახეთში უმცირესობაში აღმოჩნდნენ, რის შედეგადაც ამ მხარეში სომეხთა რაოდენობა 45,000-ზე მეტი იყო, ქართველებისა კი – 4,000-მდე. მოგვიანებით, მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე, სომეხთა რაოდენობა 45,000-დან 197,000-მდე გაიზარდა (ჯაოშვილი 1984: 68, 77).

არ გააჩნდა რა რაიმე პოზიტიური შემადგენელი, რუსულ იმპერიალიზმს საკუთარი თავი ნეგატიურ საფუძველზე მაინც უნდა შეემაგრებინა, იქნებოდა ეს ტერორი, დაშინება, ექსპლუატაცია, ძალის დემონსტრირება, დაყოფა-დანაწევრება, შუღლის ჩამოგდება და სხვა. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, ისტორიულ გარემოებათა გამო გამუსლიმებული (ჭავჭავაძე 2010: 32; ჯანაშვილი 1886:140) ქართველები თურქებად ჩათვალა. ასე შეიქმნა უმართებულო გამოთქმა „თურქი მესხები" (ჯანიაშვილი 2014: 503-506), უფრო მეტიც, ყველანაირად უნყობდა ხელს ქართველი მუსლიმების ოსმალეთში გადასახლებას. რაც შეეხება ქართველ კათოლიკეებს: ისინი ეროვნებით სომხებად გამოაცხადა. მეფის რუსეთს ეს ბუნებრივად და ადვილად განსახორციელებლად ეჩვენებოდა. ვინაიდან ქართველები ტრადიციულად მათი ერთმორწმუნენი ანუ მართლმადიდებელნი იყვნენ, ამიტომ, თვითმპყრობელი რუსეთის გადაწყვეტილებით, ქართველთა შორის „უცხო" რწმენა არ უნდა გავრცელებულიყო, თუნდაც ეს კათოლიკობა ან პროტესტანტობა ყოფილიყო, რომლებიც, მართალია, იგივე ქრისტიანობას მიეკუთვნებონდნენ, მაგრამ მათი დასავლური წარმოშობა, პირველ რიგში, პოლიტიკურ საფრთხედ მიიჩნეოდა.

ამიტომ, „ცარისტული" პოლიტიკა უფრო შემწყნარებელი იყო იმ არაერთმორწმუნე ერების მიმართ, რომლებიც მისგან აღმოსავლეთით სახლობდნენ, იქნებოდა ეს ქრისტიანული (მაგ., სომხური სამოციქულო

ეკლესია) თუ არაქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობანი. ეს გარემოება იმდენად ცხადად იგრძნობოდა რუსეთის იმპერიაში, რომ ამის შესახებ თვით ევროპელი მოგზაურებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ. მაგალითად, გერმანელი მოგზაური, მორიც ვაგნერი, იმყოფება რა მეცხრამეტე საუკუნის კავკასიაში, გაკვირვებული წერს, რომ მეფის რუსეთი, რომელიც ქრისტიანულ სახელმწიფოდ ითვლება, იმდენად მიუღებლად მიიჩნევდა კათოლიკე მისიონერებს, რომ მათ „ებრაელი და წარმართი ქვეშევრდომები" (ვაგნერი 2002: 118) ერჩივნა. ასე ცალსახად ანტიდასავლური შემართების მქონე რუსული იმპერიის შემოჭრა და დომინაცია მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ქართველი ერისთვის, რომელიც საკუთარ თავს ევროპული ცივილიზაციის ნაწილად მიიჩნევდა.[3]

ამრიგად, აშკარა იყო, გარეგნულად ქრისტიანული მეფის რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა უფრო იმპერიალისტური, ვიდრე ქრისტიანული პრინციპებით იყო შთაგონებული. ქართველებთან ორსაუკუნოვანი ურთიერთობისას ნათლად წარმოჩინდა, რომ ჩრდილოელ მეზობელს დასავლეთისგან ამგვარი თავდაცვა თავისი მახინჯი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად სჭირდებოდა და, შეიძლება ითქვას, ნაკლებად ადარდებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრებისა და ასევე საეკლესიო პრაქტიკის შენარჩუნება და მათი პატივისცემა.[4] საქართველოში რუსეთის მავნე საეკლესიო პოლიტიკაზე საუბრისას, ალბათ, არასწორია მხოლოდ ორი, მეცხრამეტე-მეოცე, საუკუნის ხსენება, რადგან მსგავსი ტენდენცია საკმაოდ ნათლად შესამჩნევი იყო მანამდეც. მაგ., ჯერ კიდევ, „თეიმურაზ მეფესა და ქართველობას თავი მობეზრებული ჰქონდა რუს დესპან-სამღვდელო პირთა მედიდურობით" (ჯავახიშვილი 1953: 47) და არა მხოლოდ ქედმაღალი დამოკიდებულებით. [5]

რუსიფიკატორული პოლიტიკა დაპყრობილი ერების დაბეჩავებასა და დასუსტებას შიდა დაპირისპირების წარმოქმნა-შენარჩუნებით ცდილობდა. ეჭვგარეშეა, ამით რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გალაშქრებისა და დამორჩილებულ ქვეყნებში შიდა კონსოლიდაციის შესაძლებლობა მაქსიმალურად სუსტდებოდა.

შიდა დაპირისპირებების ხელშეწყობის გარდა, რუსულ ინტერესებში შედიოდა აგრეთვე განათლებისა და კულტურის გავრცელებისთვის ხელის შემლა. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ აუკრძალეს ქართველებს ქართულ ენაზე სწავლა, ღვთისმსახურების აღსრულება და ქადაგების წარმოთქმა, იყო სწორედ განათლების მიღებისთვის, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისა და კულტურული დანინაურებისთვის დაბრკოლების შექმნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო დასისთვის ქართულენოვანი ღვთისმსახურების თითქმის სრულიად აკრძალვის შემდეგ (ჯავახიშვილი 2016: 32), 1886 წლის 16 იანვარს (ბუბულაშვილი 1998: 89), იმპერატორ ალექსანდრე III-ს ბრძანებულებით, ქართველ კათოლიკეებსაც აეკრძალათ მშობლიური ენის გამოყენება, რომელიც სომხურმა ჩაანაცვლა. ბრძანებულებაში აღინიშნებოდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება განპირობებული იყო სომხებსა და ქართველებს შორის არსებული „დაყოფის" დაძლევით:

> კავკასიაში მორწმუნე კათოლიკეებს, სულერთია სომხურ წესს ეკუთვნიან თუ ლათინურს, აღარ აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომეხ კათოლიკეებად (თამარაშვილი 1995: 726).

მაგრამ ამგვარმა გაერთიანების მცდელობამ უფრო გააძლიერა რეალური დაყოფა და დაპირისპირება ქართველებსა და სომხებს შორის.

აქ საჭიროა მოკლედ განიმარტოს ქართველი და სომეხი კათოლიკეების საეკლესიო ცხოვრების ორგანიზაციის სპეციფიკა. სომხეთში ტრადიციულად სომხური წესის კათოლიკობა არსებობდა, რაც ლიტურგიულ ენად სომხურის ნებადართულობას გულისხმობდა. საქართველოში კი იმ დროს ლათინური წესის კათოლიკეები მკვიდრობდნენ, რომლებიც მესსას ანუ ლიტურგიას ლათინურ ენაზე ატარებდნენ, თუმცა იმავე სატაძრო მსახურებისას გალობა, სახარების კითხვა და ქადაგება ქართულად აღესრულებოდა (იხ. ქვემოთ). იმპერატორის ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებით კი სატაძრო ღვთისმსახურების ყველა კომპონენტი ქართველებს სომხურ ენაზე უნდა აღესრულებინათ. ცხადი იყო, რომ რუსული იმპერია არ დაუშვებდა ლათინური ენის გამოყენებას ქართველი კათოლიკეების რელიგიურ ცხოვრებაში, რადგან ის დასავლელი ქრისტიანების ანუ საკუთარი იმპერიისადმი მტრულად განწყობილთა ენად მიაჩნდა.

ასიმილატორული ენობრივი პოლიტიკის შედეგი იყო ასევე სამაზრო სასწავლებლების გახსნა, სადაც სწავლება რუსულ და მეგრულ ენებზე უნდა ყოფილიყო (ლომსაძე 1984: 127).[6] რუსული აღნერით, იმერლები, გურულები, მეგრელები, ფშავლები, ხევსურები ქართველებად არ ითვლებოდნენ (ლომსაძე 1984: 126).

რუსეთის თვითმპყრობელობა ყველა დაბრკოლებას უქმნიდა კათოლიკური რწმენის გავრცელებას საქართველოში. რუსულმა მთავრობამ თავდაპირველად ქართველებს კათოლიკური რწმენის მიღება აუკრძალა (თამარაშვილი 2011: 516). 1845 წლის 2 იანვრიდან კი საქართველოში კათოლიკე მისიონერების ენერგიული გაძევება დაიწყო (პაპაშვილი 1995: 312, 314). ცხადია, ეს არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან რუსეთი მანამდეც ეეგმავდა ლათინი მისიონერების საქართველოდან საბოლოო განდევნას, კერძოდ, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ათნლეულში, როგორც ამის შესახებ კათოლიკე მღვდელი ანტონი გლახაშვილი წერდა (დობორჯგინიძე 2012ბ: 76, სქ. 9).

რუსების ამგვარი გეგმის თაობაზე კათოლიკე მღვდელი დამიანე ვიარეჯიელიც წერდა 1845 წლის 13 თებერვალს ლიონის საკონსულოსადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც „მოსკოვის მთავრობის" ამ გადაწყვეტილების შესახებ იუწყებოდა (თამარაშვილი 1995: 717). დამიანე იმავე გვერდზე წერს, რომ სწორედ რუსები აქეზებდნენ ახალციხის სომეხ კათოლიკეებს ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი კათოლიკეების წინააღმდეგ. ადგილობრივი მოსახლეობის მხურვალე თხოვნის მიუხედავად (კათოლიკე მღვდლების ახალციხეში დარჩენასთან დაკავშირებით) მეფის რუსეთმა მყისიერად დაატოვებინა საქართველო იტალიელ მისიონერებს. მან არც თავად იტალიელი მისიონერების თხოვნა გაითვალისწინა ზამთრის გავლასთან დაკავშირებით, რადგან გაუვალი გზების გამო ამგვარი ხანგრძლივი მოგზაურობა დიდ გასაჭირთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერია ევროპელ მისიონერებს არა მხოლოდ რელიგიურ მსახურებას, არამედ ექიმობასაც კი უკრძალავდა (თამარაშვილი 2011: 515). ქრისტიანი მისიონერებისადმი ასეთი სისასტიკე მუსლიმ მმართველებსაც არ გამოუვლენიათ. პირიქით, არსებობს მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ზოგიერთ მუსლიმ ხელისუფალს ლათინი ბერების უსაფრთხოების დაცვა საკუთარი ღირსების საქმედაც კი მიაჩნდათ (დობორჯგინიძე 2012ბ: 84). სხვათა შორის, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ტაძრების აბსოლუტური უმრავლესობა ოსმალეთის იმპერიის დროსაა აგებული. დავიწყებას არც ის პრივილეგიები უნდა მიეცეს, რომლებიც სულთნებმა მიანიჭეს მართლმადიდებელ პატრიარქებს კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ. ამრიგად, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობებისადმი შემწყნარებლობის თვალსაზრისით, რუსეთისა და ოსმალთა იმპერიების შედარებაც არ შეიძლება.

ამავე დროს, ცხადია, როდესაც 1578 წლიდან ოსმალეთის იმპერიამ სამცხე-საათაბაგო დაიპყრო (ლომსაძე 2011: 321) ლათინი ბერების მისიონერობა ამ მხარეში ობიექტური მიზეზებით უწინდებური წარმატებით ვეღარ მიმდინარეობდა. სამაგიეროდ, სომხური წესის კათოლიკეებს (უნიტორებს) ჰქონდათ მოქმედების თავისუფლება. მათი მეშვეობით რომის ეკლესია, ასე თუ ისე, მაინც ინარჩუნებდა რეგიონში თავის ავტორიტეტს. ქართველი თუ სომეხი კათოლიკეებისთვის რწმენის შეცვლა ოსმალებს არ მოუთხოვიათ ისე, როგორც ამას რუსები აკეთებდნენ (ცხადია, ოსმალთაგან სომეხთა გენოციდის საკითხს თავისი განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს, რასაც უფრო პოლიტიკური, ვიდრე რელიგიური მიზეზები ჰქონდა).' ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა ვახსენოთ მილეთის ფენომენი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში არსებობდა. მილეთი ენოდებოდა ამა თუ იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც ძირითადი თვითმართველობის უფლება ჰქონდა მინიჭებული და საკუთარი კანონებით განაგებდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სასამართლოს, ჰოსპიტალებს. [8]

მითია ის, რომ დიდი რუსი მეზობელი, კათოლიკე მისიონერების განდევნითა და ქართველებისთვის კათოლიკური რწმენის მიღების აკრძალვით ერთმორწმუნე საქართველოს დაცვას ცდილობდა „უცხო" სარწმუნოებისგან. რუსული იმპერიისთვის საქართველო რეალურად ისეთ პროვინციად აღიქმებოდა, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, ასენიზატორის როლიც უნდა შეესრულებინა. მაგ., 1835 წლის 27 მაისს, „მავნე სექტებად" მიჩნეული რელიგიური გაერთიანებები, სკოპცები, მოლოკნები და დუხობორები სამხრეთ საქართველოში გადმოასახლეს (როგავა 2002: 279),[9] რაც ასევე ნარმოადგენდა ასიმილაციის პოლიტიკის ნაწილს (გაბლიშვილი 2005: 35; ბლუაშვილი, 2014: 490). ამ აქტით, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის ცენტრალური ნაწილი ერეტიკოსებისგან იწმინდებოდა, მეორე მხრივ კი, საქართველოში რუსი „სექტანტების" ჩასახლებით ქართველების ასიმილაცია (გარუსება) განეზრახა (ლომსაძე 2011: 338).

რუსული ასიმილატორული გეგმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რუსიფიკაციის შემდეგ, ქართველი კათოლიკების „განეიტრალებასაც" გულისხმობდა: მათ ან სომხური რიტის მორჩილება ან თავის ინსტრუმენტად ქცეულ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გადასვლა უნდა აერჩიათ (დობორჯგინიძე 2012ბ: 90). რუსულ იმპერიალიზმს არ შეეძლო აეტანა პლურალიზმი საკუთარ საზღვრებში, მით უმეტეს, მასზე უფრო განვითარებული კულტურა.

სომეხი კათოლიკეებისთვის ხელსაყრელი იყო კავკასიაში რუსული სამეფო კარის პოლიტიკა ქართველი კათოლიკეების წინააღმდეგ. ამიტომ ისინიც ცდილობდნენ ქართველი კათოლიკეების არაქართველებად გამოცხადებაში საკუთარი წვლილის შეტანას. აქტიურად იბეჭდებოდა სტატიები, რომლის თანახმად, ქართველი კათოლიკენი თავდაპირველად სომხები იყვნენ, რომლებიც მოგვიანებით „გაქართველდნენ" მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კათოლიკობამ მანამდე მოიკიდა ფეხი, სანამ სომეხი კათოლიკეები დაიწყებდნენ მისიონერობას. ამასთან მათი ძირითადი სამისიონერო არეალი სამხრეთ საქართველო იყო. თამარაშვილის აზრით, სომეხი კათოლიკენი საქართველოში მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე არ ჩანან (თამარაშვილი 2011: 73). თუმცა ნაცვლიშვილის ვარაუდით, ეს დრო მეთოთხმეტე საუკუნემდე უნდა გადავნიოთ (ნაცვლიშვილი 2017: 274). მაგრამ გადამწყვეტი მომენტი, ალბათ, არა აღნიშნული სომხების საქართველოში შემოსვლის თარიღია, არამედ კათოლიკობაზე პირველად მოქცეულთა ეთნიკურობა და ის ენა, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოს პირველ კათოლიკურ თემში.

ამრიგად, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სომხური მხარის დაინტერესების თაობაზეც, რაც არანაკლებ როლს ასრულებდა მიმდინარე პროცესში: ქართველ კათოლიკეთა ე.წ. „გასომხებით", სომეხთა ხელში გადადიოდა ქონება: ქართული საკულტო ნაგებობები,

მათთან დაკავშირებული ტერიტორიები. კათოლიკე მისიონერების ცნობით, სომხებს არა მხოლოდ ტაძრების, არამედ თავად კათოლიკეების საცხოვრებელი სახლების ხელში ჩაგდებაც სურდათ (თამარაშვილი 1995: 712).

ქართველების სომხებად წარმოჩენის მცდელობათა შორის საკმაოდ ხშირი იყო გვარების გადაკეთება. მაგალითად, ცნობილია, თუ როგორ გადაუსწორეს სომეხმა სასულიერო პირებმა გვარი მიხეილ თამარაშვილის ნინაპრებს და საეკლესიო საბუთებში ბაინდუროვებად ჩანერეს მაშინ, როცა საერო საბუთებში კვლავ თამარაშვილებად იხსენიებოდნენ. საბოლოოდ, თამარაშვილებმა მოახერხეს საკუთარი გვარის დაბრუნება (ლომსაძე 1984: 9).

როგორც აღინიშნა, სომხებსა და ქართველებს შორის რელიგიური და ეთნიკური დაძაბულობის შენარჩუნება და გაღრმავება რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის ნაწილი იყო, რაც უკლებლივ ყველა დაპყრობილი ხალხის თანაბარ დასუსტებას გულისხმობდა. ამიტომ, ბუნებრივია, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა ბოლომდე სასარგებლო არც სომეხი კათოლიკეებისთვის აღმოჩნდა: სწორედ მათი კათოლიკური სარწმუნოების გამო.

1852 წლის 30 იანვარს სომეხთა კათალიკოსს ნერსესს რუსეთის იმპერატორის გადანყვეტილების შესახებ აუწყებენ, რომლის მიხედვითაც მარტივდებოდა ლეგალური პროცედურები სომეხი კათოლიკეების, „ამ გზააბნეული შვილების" (თამარაშვილი 1995: 724), დაბრუნება „მამების სარნმუნოებაში" ანუ სომხურ სამოციქულო ეკლესიაში. ცხადია, რუსეთის თვითმპყრობელობას არ შეეძლო შეეწყნარებინა მისი იმპერიის ფარგლებში არსებული რომელიმე რელიგიური ჯგუფი, რომელიც უცხო ავტორიტეტს, ამ შემთხვევაში, წმინდა საყდარს, პირდაპირ ექვემდებარებოდა (ფლანერი 2015: 358-359). სწორედ ამიტომ რუსეთის საიმპერატორო კარი ყველანაირად უწყობდა ხელს და აგულიანებდა მოგილევის კათოლიკე არქიეპისკოპოსებს დაემორჩილებინათ ქართველი და სომეხი კათოლიკენი, რომლებიც უნიფიცირების პოლიტიკის მიღმა რჩებოდნენ (თამარაშვილი 1995: 700). კათოლიკე მისიონერები, სანამ მათ საქართველოდან გააძევებდნენ, ღირსეულად უმკლავდებოდნენ ამგვარ უზურპატორულ მცდელობებს, რითაც ქართველ კათოლიკეებს ნარმატებით ინარჩუნებდნენ რომის ეკლესიის იურისდიქციაში. თუმცა 1845 წელს, მათი განდევნის შემდგომ, ქართველი კათოლიკეები, რომელთაც თითქმის აღარ ჰყავდათ სასულიერო პირები, იძულებულნი იყვნენ მოგილევის არქიეპისკოპოსისგან მიეღოთ პოლონელი კათოლიკე მღვდლები „კაპუცინების ადგილას" (თამარაშვილი 2011: 525). ხსენებული პოლონელი კათოლიკე ბერები რუსულ იმპერიას თავის მსახურებად ჰყავდა ქცეული, რომლებიც შეგნებულად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ კათოლიკობისთვის, როგორც ამას 1847 წელს ანტონი გვილარდოვი ნერდა (დობორჯგინიძე 2012ბ: 77, სქ. 11).

ბუნებრივია, თვითმპყრობელი რუსეთი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საკუთარ ტერიტორიაზეც ცდილობდა კათოლიკეების დევნასა და შევინროვებას (კოზლოვ-სტრუტინსკი, პარფენტიევი 2014: 247-310; ტოკარევა, იუდინი 2003, 50-60; ლიცენბერგერი 2001: 90-108; ჩაპლიცკი 2000: 105-127).[10] იდევნებოდნენ არა მხოლოდ არარუსი, არამედ რუსი კათოლიკეებიც. სხვათა შორის, თბილისში, 1876 წელს, 4.700 კათოლიკედან დაახლ. 100 რუსი ეროვნებისა იყო (ანჩაბაძე, ვოლკოვა 1990: 47). რუსეთის იმპერიაში კათოლიკეთა ენერგიული და შეუქცევადი დევნა 1830 წლიდან დაიწყო (მანამდე ამგვარ დევნას სპორადული ხასიათი ჰქონდა). 1875 წელს რუსეთში უკანასკნელი ბერძნულ-კათოლიკური ეპარქია გააუქმეს (ცუგერი 2001: 27).

ამრიგად, როგორც აღინიშნა, საბოლოო ჯამში, სომხებიც და ქართველებიც რუსული თვითმპყრობელობის მსხვერპლნი იყვნენ. ბუნებრივია, თავად „მსხვერპლობის" ხარისხი განსხვავდებოდა, მაგრამ ამ საკითხის გამორკვევა ცალკე მსჯელობის საგანია. მიხეილ თამარაშვილის სიტყვით, ქართველები „მუდამ" (თამარაშვილი 1995: 727) იჩენდნენ სტუმართმოყვარეობასა და მეგობრულ დამოკიდებულებას სომეხი ერისადმი (პაპუაშვილი 2009: 4-15). სომეხ და ქართველ ერს ხშირად უხდებოდათ ერთობლივი ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ (აბდალაძე 1982: 16). ილია ჭავჭავაძე კი განსხვავებული რნმენის მქონე ადამიანებისადმი ქართველების დამოკიდებულებაზე შემდეგს აღნიშნავდა: „ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა" (ჭავჭავაძე 2010: 33).

მართლაც, საქართველოს ისტორიაში ცნობილია პერიოდები და ვითარებანი, როცა გაჭირვების ჟამს ქართველები სომხების დახმარებას ცდილობდნენ. მაგ., როდესაც 1895 წელს თურქებმა სომეხთა დევნა-შევინროება და ხოცვა იწყეს, ქართველებმა მათ დახმარების ხელი გაუნოდეს და ათი ათასობით ლტოლვილი შეიფარეს. ამავე წელს, რომიდან სტამბოლში ჩასული მიხეილ თამარაშვილი ხმას იმაღლებს და უშიშრად ამხელს თურქულ აგრესიას (ლომსაძე 1984: 78). მართალია, ისტორიულად ქართველებსა და სომხებს შორის იყო გარკვეული დაძაბულობები, უსიამოვნებები და დაპირისიპირებანი, მაგრამ ამგვარი ურთიერთობებისგან მიღებული ზიანის შედარებაც კი არ შეიძლება იმ ტოტალურად გამანადგურებელ გავლენასთან, რაც რუსულმა იმპერიალიზმმა მოუტანა ქართველებს. ისიც ცხადი იყო, რომ რუსი მოხელეები ადვილად ახერხებდნენ სომეხი ულტრანაციონალისტების დარაზმვას ქართველთა წინააღმდეგ. ამ ეპოქის ქართველი საზოგადო მოღვაწენი შესანიშნავად ხვდებოდნენ საქმის არსს. თავად თამარაშვილი პატივისცემას გამოხატავდა როგორც ზოგადად სომეხი ხალხისადმი, ისე სომეხი მოაზროვნეებისადმი. ამიტომაც, თავის წიგნში „პასუხად სომხის მწერლებს" მკაფიოდ მიუთითებდა, რომ მხოლოდ „ზოგიერთი სომეხი მწერლის" კრიტიკას აპირებდა.

ქართველი კათოლიკეები მთავრობისგან 1886 წლის უსამართლო ბრძანებულების გაუქმებას შეეცადნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ამიტომ, 1893 წელს მათ გადაწყვიტეს არსებული ვითარების შესახებ პაპ ლეონ XIII-სთვის გაეგზავნათ ვრცელი მოხსენება. როგორც შოთა ლომსაძე აღნიშნავს „პაპი ქართველთა თხოვნისადმი ყრუ აღმოჩნდა" (ლომსაძე 1984: 24). ამ მოსაზრებას, ოდნავ შერბილებულად, ელდარ ბუბულაშვილიც იმეორებს (სავარაუდოდ, ლომსაძის ხსენებული ნაშრომის საფუძველზე, რადგან იქვე ამ შეხედულების არანაირ წყაროს არ უთითებს). კერძოდ, აღნიშნავს, რომ ქართველთა მიერ გაგზავნილი მოხსენება რუსეთსა და ვატიკანში „უყურადღებოდ" (ბუბულაშვილი 1998: 89) დარჩა. ავტორი იგივეს იმეორებს თოთხმეტი წლის შემდგომ გამოქვეყნებულ სტატიაშიც (ბუბულაშვილი 2012ა: 17). იქმნება შთაბეჭდილება, რომ რომის პაპს სრულიად არ აღელვებდა კათოლიკე მორწმუნეთა აუტანელი მდგომარეობა მეფის რუსეთში, რაც, ბუნებრივია, ეჭვს წარმოშობს. უფრო დამაჯერებელი ჩანს ნატო ყრუაშვილის მიერ შემოთავაზებული აღწერა ხსენებული სიტუაციისა, რომლის მიხედვითაც, „დოკუმენტურად დასტურდება, რომ რომის პოზიცია ქართველ კათოლიკეთა თხოვნის მიმართ კეთილგანწყობილი იყო" (ყრუაშვილი 2005: 82).

რომის ამგვარ კეთილგანწყობას ქართველთა მიმართ სხვა ისტორიული ფაქტებიც მოწმობს. მაგ., ჯერ კიდევ 1755 წელს სომეხ კათოლიკე მღვდლებს უჩივლიათ რომის პაპთან იმის გამო, რომ თბილისისა და ახალციხის კათოლიკე სამღვდელონი ქართულ ენაზე აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. აღნიშნული საჩივარი გარჩეულ იქნა რომში 1757 წლის 27 იანვარს.

> კრებამ ქართველ კათოლიკებს ორ ენაზე ღვთისმსახურების უფლება მისცა. ასეთი დადგენილებით უკმაყოფილონი დარჩნენ სომეხი კათოლიკე მღვდლები. ამიტომაც იყო, რომ 1784 წელს ახალი საჩივარი გაიგზავნა რომში. წმინდა კრებამ მომჩივანთ უჩვენა 1757 წლის კრების გადაწყვეტილება (ყრუაშვილი 2005: 27).

ქართველი კათოლიკეებისადმი რომის პაპის დამოკიდებულებაზე საუბრისას აღსანიშნავია თავად შოთა ლომსაძის მიერ ნახსენები შემთხვევა იმავე ნაშრომში: რომის პაპმა მიხეილ თამარაშვილი ოფიციალურ აუდიენციაზე მიიღო, რადგან სურდა მისგან მოესმინა საქმის რეალური ვითარება (საქართველოში შექმნილ მდგომარეობის შესახებ სომეხთა მიერ გავრცელებული დეზინფორმაციების ფონზე). მამა მიხეილთან საუბრის შედეგად, „პაპი კმაყოფილი დარჩა სიმართლის შეტყობით" (ლომსაძე 1984: 76). ზოგჯერ სომხები ცრუ ხმებსაც ავრცელებდნენ. მაგ., ივანე გვარამაძე სწორედ ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევას იხსენებს თავის წერილში, თითქოს მამა მიხეილ თამარაშვილი „პაპს შეუჩვენებია ტყვილი ისტორიების დანერისათვისო. მე არ მჯერა. სწორედ რაღაცა იმედი აქვთ (სომხებს) სანინააღმდეგო ნყაროების შოვნისა და იმისთვის ტრაბახობენ" (ფონდი #1242, 2/2).

სომხურ ტიპიკონის მარწუხებში მოქცეული ქართველი კათოლიკეების ამოცანა იყო ჯერ ლათინურ, შემდეგ კი მთლიანად ქართულ ტიპიკონზე გადასვლა. როგორც მიხეილ თამარაშვილისა და ივანე გვარამაძის მიმოწერიდანაც ჩანს (ყრუაშვილი 2012: 47), ეს აგრეთვე იმის პრევენციაც იქნებოდა, რომ ქართველი კათოლიკეების ტაძრები სომეხი კათოლიკების ხელში არ გადასულიყო.

მართალია, ამ დროს ქართველ კათოლიკეებს არ ჰქონდათ ვატიკანის ოფიციალური ნებართვა ქართულ ტიპიკონზე აენყოთ რელიგიური ცხოვრება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღვთისმსახურებაში ქართულ ენას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რადგან სახარებას ქართულად კითხულობდნენ, ქადაგებას ქართულად წარმოთქვამდნენ და საეკლესიო გალობებსაც ქართულ ენაზე აღასრულებდნენ (ლომსაძე 1984: 23). წმინდა საყდრის მიერ 1814 წელს საქართველოში წარმოვლენილი კაპუცინების ხელმძღვანელად დანიშნული კათოლიკე მღვდელი ფილიპე ფორანოელი პროპაგანდა ფიდეს აუწყებდა, რომ ქართველი კათოლიკეებისთვის მესა ლათინურად აღესრულებოდა, თუმცა „მგალობლები (იქ დიაკონებად წოდებულნი) ხმოან წირვაზე გალობენ და პასუხს აძლევენ ქართულად. აგრეთვე ამავე ნაირად ამბობენ ჟამ-კანონსა და სხვა ლოცვებს" (თამარაშვილი 2011: 503). საინტერესოა, რომ მანამდე, 1803 წელს, პროპაგანდა ფიდე ანტიქართულად განწყობილი მღვდლის, პავლე შაჰყულიანისადმი მიმართულ წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ

> უფრო შესაფერი იქმნება, იქ მყოფ ქართველ კათოლიკეებს, რაგინდ ცოტანი იყვნენ, ჰყავდესთ მღვდელი, რომელმაც საიდუმლოები და საეკკლესიო ნესები შეასრულოს მათ თავიანთ საკუთარი ტიპიკონისამებრ (თამარაშვილი 2011: 487).

იყო აგრეთვე შემთხვევები როდესაც სომეხი კათოლიკები დაბრკოლებას უქმნიდნენ ქართველი კათოლიკეების პირდაპირ კავშირს რომთან. მაგ., 1910 წელს ქრისტესია გვარამაძე თამარაშვილს სნერდა:

> ...გავიგე ტერ სარქისას ოინები. ახლა პ. რაფიელისაგან გავიგე, რომ ეპისკოპოზს ჯერ კიდევ არ გამოუგზავნია მანდ ვატიკანში ჩვენი თხოვნა. ეს ძალიან საფიქრებელია მამაო, რომ მეიძლება სულაც არ წარმოუდგინოს ის ჩვენი თხოვნა, რადგან კესლერი (იოსეფ კესლერი, ტირასპოლის კათედრას 1904-30 ნლებში განაგებდა, დ.თ.) ძალიან ხელში ჩაგდებული ჰყავს ტერ (ს.) აბრაამიანს, ყველაფერს უჯერის და ამისი თხოვნით, იმ ჩვენს თხოვნას გზას არ მისცემს. ახლა კი დარწმუნებული ვართ, რომ ეპისკოპოზსაც არ უნდა ჩვენი გადასვლა (ლათინურ ტიპიკონზე,

> დ. თ.), მაგრამ საბოლოოდ კი დიდი სიბოროტე მოხდება და მიზეზი, კესლერის და ტერ აბრაამიანის მეგობრობა გახდება (ფონდი #1259, 1/1).

1757 წელს რომში კარდინალთა საბჭომ ოფიციალურად დართო ნება ქართველთა შორის მოღვანე კაპუცინებს ლათინურისა და ქართული ენის[11] გამოყენება ღვთისმსახურებისას (თამარაშვილი 2011: 465). თამარაშვილი წიგნის ბოლოს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შესაბამის ლათინურენოვან ცნობასაც იმოწმებს ტრაპიზონში დაცული კაპუცინების არქივიდან.

როგორც ჩანს, რომს დასაშვებად მიაჩნდა ქართველი კათოლიკეების მიერ ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე წარმართვა, როგორც ეს საქართველოში კათოლიკური რელიგიური თემის დაფუძნებისთანავე ყოფილა დამკვიდრებული: 1328 წლის 9 აგვისტოს ბულით, რომის პაპმა თბილისში კათოლიკური საეპისკოპო შექმნა, რომელსაც „ქართულენოვანი ტიპიკონი ჰქონდა და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა" (ლომსაძე 1984: 109).

ამ საკითხზე საუბრისას საქართველოს ფარგლებს მიღმა მყოფი ქართველი კათოლიკეების მდგომარეობაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. მაგ.,: ახალციხელი სწავლული მღვდლის, პეტრე ხარისჭირაშვილს ვატიკანმა უფლება მიანიჭა სტამბოლში, ფერიქვეის უბანში, კათოლიკე ძმათა მონასტერი დაეარსებინა, სადაც ლურდის ღვთისმშობლის (Notre-Dame de Lourdes) სახელობის ტაძარი აიგო. 1861 წლის 10 თებერვალს რომმა კანონიკური სტატუსი მიანიჭა ამ ძმობას (პაპაშვილი 1995: 316). 1864 წელს რომის კარდინალებმა ხარისჭირაშვილის მიერ შემუშავებული დებულება დაამტკიცა (ლომსაძე 1984: 166).

ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებულ ფერიქვეის კონგრეგაციაში ლათინური და სომხური რიტი ერთმანეთის პარალელურად არსებობდა. ბერძნულ-ქართული რიტის/ტიპიკონის შემოღების უფლება კი მათთვის „საეკლესიო ხელისუფლებას ჯერაც არ მიეცა" (ჟანენი 1996: 88). თუმცა ლოცვები, რიტუალები (მაგ., ნათლობა), გალობა ქართულ ენაზე სრულდებოდა, მესა კი ლათინურად. „თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახლანდელ წინამძღვარს აქვს მიცემული ზოგჯერ, ზოგიერთი დღესასწაულის დროს, მესა შეასრულოს ნაციონალური ტიპიკონით" (ჟანენი 1996: 88). მართალია, სტამბოლის ხსენებულ მონასტერში ქართული რიტის, როგორც ასეთის, დაარსებაზე საუბარი შესაძლებელი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ფერიქვეის ქართველ კათოლიკეთა ღვთისმსახურებაში ქართული ენა იმდენად ფართოდ იყო წარმოდგენილი, რომ იმ დროის ქართველები სურვილს გამოთქვამდნენ, რომ იგივე ვითარება საქართველოშიც ყოფილიყო. მაგ., ცნობილი ქართველი მეცნიერი, ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა:

> ქართულ რიტუალს, რომელიც მიიღო კონსტანტინეპოლის ქართულმა კათოლიკურმა კონგრეგაციამ, აქვს სრული საფუძველი გავრცელდეს თბილისის, ქუთაისის, გორის, ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში (ბუბულაშვილი 1999ა: 221).[12]

აუცილებელი განმარტება: როდესაც „ქართულ ტიპიკონზე" და „ქართული წესის კათოლიკობაზე" საუბრობენ, როგორც წესი, გულისხმობენ ბერძნულ-კათოლიკური წესის/რიტის/ტიპიკონის გადმოქართულებულ ვარიანტს. ვატიკანმა ქართველ კათოლიკეებს ღვთისმსახურების ყველა კომპონენტის ქართულ ენაზე აღსრულების უფლება 1994 წელს მიანიჭა (ბარდაველიძე 2011: 29).

სხვათა შორის, მოიპოვება უფრო ადრინდელი სამი დოკუმენტი (თარიღდება 1631, 1647 და 1704 წლებით), რომლებითაც ქართველ კათოლიკეთა შორის ქართულენოვანი მესის არსებობა დასტურდება. სამივე დოკუმენტში საუბარია პაპ ურბანო მერვის მიერ კათოლიკე მღვდლის ავიტაბილესთვის მინიჭებულ უფლებაზე მესა ქართულად აღესრულებინა (დობორჯგინიძე 2012ბ: 81-82, სქ. 23). ასევე მეთხუთმეტე საუკუნეში სამცხე-ჯავახეთისა და თბილისის კათოლიკეებს „როგორც ლათინური, ისე ქართული ტიპიკონი" (ლომსაძე 1984: 52) ჰქონდათ. ამრიგად, თუკი აქვე პაპის 1328 წლის ბულასაც გავიხსენებთ თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოსთვის ქართულენოვანი რიტუალების გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ თამარაშვილის ცნობა), მაშინ მთლად მართებული არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ წმინდა საყდარმა ღვთისმსახურებისას ქართული ენის გამოყენება მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში და მხოლოდ ახალციხის კათოლიკურ სამრევლოში დაუშვა, რომ, შესაბამისად, „ეს უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი" (ნაცვლიშვილი 2015: 77),[13] როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს.

როგორც ჩანს, ამავე კონგრეგაციაში დამკვიდრებული იყო აგრეთვე „ქართულ წესზე მღვდლების კურთხევაც", რაც რომმა სტამბოლის ქართული მონასტრის წინამძღვარს 1875 წელს აუკრძალა. დ'ალესიოს მითითებით, რომი გარკვეული გარემოებების გამო გახდა იძულებული ამგვარი გადაწყვეტილება მიეღო, რომელსაც ორი მიზეზი ჰქონდა: 1) სომეხი კათოლიკეების გავლენა; 2) „უცხოეთში განვრთნილი კათოლიკე მღვდლების" კატეგორიული დაუშვებლობა რუსეთის იმპერიის საზღვრებში (დ'ალესიო 1921: 32-33). შემდეგ დ'ალესიო წერს, რომ მოგვიანებით ანუ მის დროს „ყველა ეს სიძნელე მოისპო... დანიშნა თბილისში ქართველ კათოლიკეებისათვის ცალკე ეპისკოპოზი და მოითხოვა, რომ ყველა კათოლიკეებმა მიიღონ, რაც შეიძლება ადრე, ქართული წესი" (დ'ალესიო 1921: 33).

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ტირასპოლიის ეპისკოპოსის, ედუარდ როპის ჩამოსვლა საქართველოში 1903 წელს ბათუმში აგებულ კათოლიკურ ტაძარში საზეიმო ღვთისმსახურების ჩასატარებლად. თამარაშვილი მოკლედ გვაუწყებს, რომ ამ ვიზიტით კათოლიკე „ქართველებმა დიდი შვება იგრძნეს" (თამარაშვილი 1995: 733). აღნიშნული მაღალი იერარქის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ერთი გამოუქვეყნებელი ნერილი, რომელიც ივანე გვარამაძეს ეკუთვნის:

> ...მეტად სნავლული, თავმდაბალი და საყვარელი კაცია. ჩვენი დიდი შემწე არს. სულ ლანძღამს სომხებს ჩვენის წინააღმდეგობისათვის. თბილისში რომ მოვიდა ქრისტესია [გვარამაძე] მივაგებე. ხაშურში მე დავხვდი. დიდის სიყვარულით მიმიღო. თავის ვაგონში შემიყვანა და ისე ჩავედით ბათუმში პარასკევს. ეკლესიაში დიდი ერი დახვდა. ილოცა, იგალობეს და შაბათისთვის მარხულობა დაგვავალა (ფონდი #1242, 1/1).

როგორც ჩანს, წმინდა საყდარი ერიდებოდა კათოლიკობის წინააღმდეგ უკიდურესად გამძვინვარებული რუსეთის იმპერიის დამატებით გაღიზიანებას. ამიტომ თავს იკავებდა კათოლიკეების პირდაპირი მხარდაჭერისგან ლათინურიდან აღმოსავლური წესის კათოლიკობაზე გადასვლისთვის. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია 1924 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში რემონ ჟანენის მიერ მოწოდებული შემდეგი ცნობაც:

> ათიოდე ნელია, რაც საქართველოში საკმაოდ ძლიერი მოძრაობა დაიწყო სან-პეტერბურგის ოფიციალური ეკლესიისაგან გამოყოფისათვის. მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა მთელი ერი. სეპარატისტთა უმრავლესობას უნდოდა რომის ეკლესიასთან გაერთიანება. ეს მოძრაობა სწორედ ამას ისახავდა მიზნად. სამწუხაროდ, იგი ჩაიშალა იმის გამო, რომ რომს არ უნდოდა ბერძნულ-ქართული ტიპიკონის აღიარება, ალბათ, რუსეთთან შეურიგებელი ოპოზიციის გამო (ჟანენი 1996: 87).

რუსული იმპერიის შესუსტების შემდეგ რომს საშუალება ეძლეოდა უფრო გაბედულად გაენია ანგარიში ქართველი კათოლიკეებისთვის. ამ კუთხით, საინტერესოა, რომ ვატიკანი ბავარიის მთებში, ეტალის კათოლიკურ მონასტერში გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდების სულიერ ხელმძღვანელობას აღმოსავლური წესის კათოლიკე ბერს, აღმოსავლური ბერმონაზვნობისა და ქართული ქრისტიანული კულტურის დიდ მოტრფიალეს, ჰუგო გაისერს აბარებს. ნუგზარ პაპუაშვილი რომის მიერ აღმოსავლური წესის ბერის შერჩევაში ქართველი კათოლიკეების უნიატური მისწრაფების მხარდაჭერას ხედავს (პაპუაშვილი 2014: 26-27; ავტორს იგივე აზრი აქვს გამოთქმული შემდეგ პუბლიკაციაშიც: პაპუაშვილი 2016: 62). ხსენებული ქართველი ყმაწვილები ეტალში სნორედ სტამბოლის სიხლი ფერი ქოის („ფერიქვეის") ქართული კათოლიკური სავანის რეკომენდაციით იყვნენ ნარგზავნილნი.

ეს ნიაღსვლა დაგვჭირდა იმისთვის, რომ გვეჩვენებინა ამ ეპოქის ისტორიული პერიპეტიები და ქართველ კათოლიკეებთან დაკავშირებით შექმნილი რელიგიურ-პოლიტიკური ვითარება. საჭირო იყო ქართველი კათოლიკეების ისტორიული არსებობისა და მათი რომთან ურთიერთობის საკითხი საფუძვლიანად შესწავლილიყო. ამ გზაზე პირველ მკვლევრად და ქართული პოზიციების დამცველად მაინც ივანე გვარამაძე უნდა ჩაითვალოს, რადგან სანამ მიხეილ თამარაშვილი აღნიშნულ საკითხს ფუნდამენტურად შეისწავლიდა და დოკუმენტებით დაასაბუთებდა ქართველ კათოლიკეთა ქართულ ნარმომავლობას ივანე გვარამაძემ, მის ხელთ არსებული მასალებით, ერთ-ერთმა პირველმა შეძლო სომეხი ავტორებისთვის სათანადო პასუხის გაცემა.

გვარამაძე, როგორც ჩანს, აცნობიერებდა, რომ მხოლოდ ქართულ წყაროებზე დაფუძნებით პოლემიკის ნარმოება არ იქნებოდა საკმარისი. ამიტომ მიხეილ თამარაშვილი სნორედ მისი ხელშეწყობითა და მზრუნველობით მიემგზავრება ევროპაში, რათა მას იქაური საარქივო მასალები ეკვლია. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, ივანე გვარამაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ საკვლევი თემის განსაზღვრაში, რომლის ფარგლებშიც თამარაშვილს უნდა ემუშავა ევროპის არქივებში (ყრუაშვილი 2006: 9).

ქართველი სნავლულები ნათლად აცნობიერებდნენ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისტორიული მასალების ძებნა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, რადგან ხშირად არაქართველ ავტორთა ნაწერებში უფრო ვრცლად იყო აღნერილი ქართული ისტორიული რეალობა, ვიდრე ქართულ წყაროებში. მაგალითად, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე ნერს,

> თვით XVII საუკ. ქართველთ დიდი ემიგრაცია ანუ გარდასახლება სპარსეთში 'ქართლის ცხოვრებაში' ორი სიტყვით არის მოხსენებული, ლათინის ბერებს კი ეს სამნუხარო ემიგრაცია დანვრილებით აქვსთ აღნერილი (ჭიჭინაძე 1904: 15).

მეჩვიდმეტე საუკუნის კათოლიკე მისიონერებმა დიდი სიყვარულით და საქმის ცოდნით აღწერეს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება სხვადასხვა მიმართულებით. სნორედ მათი ამგვარი ჩანაწერების გაცნობის შემდეგ ინტერესდება ევროპა ქართული კულტურითა და ისტორიით. შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ლექსიკონი და გრამატიკის სახელმძღვანელო პირველად იტალიელებმა გამოსცეს (ფეიქრიშვილი 2006: 127).[14]

საქართველოში ქართველი კათოლიკეების არსებობის უარყოფა ყოველგვარ აზრს მოკლებულად მიაჩნდათ სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეებს. ამიტომ, მამა მიხეილ თამარაშვილი იწყებს ქართველი კათოლიკეების შესახებ ისტორიული დოკუმენტების მოძიებას ევროპის სხვადასხვა წიგნთსაცავში, პირველ რიგში, ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის არქივებში. საბედნიეროდ, მას დიდი ნიჭი აღმოაჩნდა სწორედ ასეთი სახის სამუშაოსთვის. აქ არა მხოლოდ ნებისყოფა იგულისხმება, რაც აუცილებლად სჭირდება ამგვარ მკვლევარს, არამედ ასევე ის უნარი, რომლის თაობაზეც მისი თანამედროვენი საგანგებოდ მიუთითებენ. ეს იყო გაურკვეველი ხელით ნაწერის გარჩევის საოცარი უნარი. ზაქარია ჭიჭინაძე ერთი ქართველის სიტყვებს იმოწმებს, რომელიც რომში მამა მიხეილს პირადად იცნობდა: „წარმოიდგინეთ, მას ისეთი ძველი რაღაც ლათინურად, იტალიურად და ფრანგულათ ნაწერები გაურჩევია, რომ მის გაგებას ეშმაკიც ვერ მოახერხებსო“ (ჭიჭინაძე 1912: 12).

ევროპის არქივებში მუშაობის უფლების მოპოვება არცთუ ისე ადვილი იყო. კათოლიკე მღვდელი კონსტანტინე საფარაშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ თამარაშვილს ვატიკანის და ასევე სხვა ბიბლიოთეკაში არავინ შეუშვებდა, სანამ არ დარწმუნდებოდნენ მის კეთილსინდისიერებაში, პიროვნულ სინმინდესა და კვლევის ღირსეულ მიზანში. „მალე დადასტურდა ყოველივე ეს და თამარაშვილიც შეუდგა (მუშაობას)“ (საფარაშვილი 1982: 123).

ევროპაში თამარაშვილი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება. ის ერთგან წერს:

> აქ რომ მხედავენ სხვები მამულისთვის თავგანწირული, როგორ ვმუშაობ, ყველას ჰგონია, რომ საქართველოდან დიდ შემწეობას მიგზავნიან. ნამდვილი კი ის გახლავთ, რომ შემწეობას კი არა, ზოგნი ცარიელ პასუხსაც არ მაძლევენ (ლომსაძე 1984: 31).

მიუხედავად ამგვარ მდგომარეობაში ყოფნისა, თამარაშვილის მიერ გაწეული ტიტანური შრომის შედეგად, იქმნება მისი პირველი მონოგრაფია „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (გამოიცა 1902 წელს).

მამა მიხეილი თავისი წიგნის ხელნაწერ ტექსტს ისეთ ცნობილ ქართველ მეცნიერებს უგზავნის გასაცნობად, როგორებიც იყვნენ თ. სახოკია, ა. ხახანაშვილი, ა. ცაგარელი და სხვები. როგორც იქნა, ზ. ჭიჭინაძისა და პ. მირიანაშვილის ძალისხმევით „აღებულ იქნა ცენზურის ნებართვა“. წიგნი დაიბეჭდა თბილისში, სტეფანე ზუბალაშვილის დაფინანსებით. ეს ნაშრომი მეორე „ქართლის ცხოვრებად“ შეაფასეს ზაქარია ჭიჭინაძემ (ჭიჭინაძე 1904: 5) და მოსე ჯანაშვილმა (ლომსაძე 1984: 62), რომელიც წიგნს გამოსვლას გაზეთ „ივერიაში“ გამოეხმაურა.

Mans 1890: R. D. Mans. *L'estat de la Perse en 1660*. Paris.

Matthee 1991: R. Matthee. The Career of Mohammad Beg, Grand Vizier of Shah 'Abbas II (r. 1642-1666). *Iranian Studies, vol. XXIV, n.* 1-4: 17-36.

Minasyan 1985 (1363): L. Minasyan. *Two Decrees from Prophet Muhammad and Imam 'Ali*. Isfahan: New Julfa (in Armenian).

Minorsky 1943: V. Minorsky. *A Manual of Safavid Administration*. Cambridge: GMS.

Moreen 2008: V. Moreen. Jezya. *Encyclopedia Iranica, vol. XIV*.

Ormanyan 2001: M. Ormanyan. *History of the Nation, vol. 2*. Etchmiadzin: Holy See of St. Etchmiadzin (in Armenian).

Papazyan 1956: H. Papazyan. "On the Problem of the Assimilating Policy of Safavid Iran," *Bulletin of Matenadaran*, no. 3: 85-99 (in Armenian).

Papazyan 1972: H. Papazyan. *The Agrarian Relations in th Eastern Armenia in 16th-17th centuries*. Yerevan: AS ASSR (in Russian).

Papazyan 1959: H. Papazyan. *The Persian Documents of the Matenadaran, I, Decrees, vol. II*. Yerevan: AS ASSR (in Armenian).

Qaemmaqami 1348: J. Qaemmaqami. *One Hundred and Fifty Historical Documents from Jelayirids to Pahlavi*. Tehran: Artesh (in Persian).

Savalanyants 1931: T. Savalanyants. *History of Jerusalem, vol. 1*. Jerusalem: publishing haouse of St. Yakobeants (in Armenian).

Savory 1372: R. Savory. *Iran in the Safavid age, translation into Persian by K. Azizi*. Tehran: Markaz (in Persian).

Savory 2003: R. Savory. "Relations between the Safavid State and its Non-Muslim Minorities." *Islam and Christian-Muslim Relations*, vol. 14, no.4: 435-458.

Shaykh-ul-Islāmī 1356: A. Shaykh-ul-Islāmī. "Then Precepts of Legacy and Inheritance for dhimmīs from the View of Islamic Faqihs." *Nashrīyyah-i Gurūh-i Taḥqīqātī, Dānishkadah-i Allahīyyāt*, 136-169 https://journals.ut.ac.ir/article-28012-61461a215efdf1936dc882a8178b7da6.pdf last visited on 09.06.18 (in Persian).

Ter-Hovhanyants 1880: H. Ter-Hovhanyants. *History of New Julfa in Isfahan, vol. 1*. New Julfa: pub. St. All Saviour's Monastery (in Armenian).

Zaytsev, Kostikyan 2010: I. Zaytsev, K. Kostikyan. The Decree of Shah Sulayman Safavid to the Jewish community of Gilyan in the State Public Historical Library in Moscow. *Irano-Slavika*, no. 2 (22): 48-49 (in Russian).

სეფევიდური ირანის სომეხი ქვეშევდომების უფლება-მოვალეობანი მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში

ქრისტინე კოსტიკიანი

იმ სომხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ სეფევიდური სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე, ასევე მათ, რომლებიც იყვნენ ირანის ცენტრალურ რაიონებში გადასახლებულნი, მიეცათ *ზიმი* სტატუსი, რომელიც ეფუძნებოდა ჯერ კიდევ წინასწარმეტყველ მუჰამედის დროს გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაპყრობილ არამუსლიმებთან. არსებობს ამ ხელშეკრულებების პირები, რომლებიც გაკეთებულია სეფევიდურ ეპოქაში; მათში განერილია სომეხი ზიმიების უმთავრესი უფლებები და მოვალეობანი, რომლებიც განმტკიცებულია მუსლიმი უმაღლესი სასულიერო პირების ფეტვებითაც.

სტატიაში სპარსული დოკუმენტების: ბრძანებების, სასულიერო იერარქთა რეზოლუციების (ფეტვების) და ადგილობრივი შარიათის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე დეტალურადაა გამოკვლეული ამ უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელი კანონები.

სეფევიდების სახელმწიფოში მშვიდად ცხოვრების წინაპირობა, სომეხი და სხვა ზიმიებისათვის, გახლდათ გადასახადების – ჯიზიასა და ტაფავუტ–ჯიზიას გადახდა. სომხები ოფიციალურად გათავისუფლებულნი იყვნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან, ასევე მათ ჰქონდათ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება, შეეძლოთ ენარმოებინათ საეკლესიო საქმე და ჩაეტარებინათ რელიგიური დღესასწაულები, შეეკეთებინათ თავიანთი ტაძრები. მათ ჰქონდათ პირადი ქონება და მისი თავისუფლად განკარგვის უფლება სარგებლის მიღების მიზნით; ამასთან მათ ჰქონდათ მუსლიმური ხელისუფლებისაგან მიცემული დაცვის გარანტიები. ირანში ისლამის მიღება ყოველთვის წახალისებული გახლდათ, რაც ისედაც უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ ზიმიებს უბიძგებდა სარწმუნოების შეცვლისაკენ. ამ ყველაფერთან ერთად შაჰ-აბას I მმართველობის დროს გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა კანონი ზიმიების მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ, რაც ცალსახად ხელს უწყობდა მათ შორის ისლამის გავრცელებას. ამ კანონის თანახმად, რომლის ავტორობაც იმამ ჯაფარს

მიეწერება, მუსლიმს შეეძლო ზიმისაგან მემკვიდრეობით მიეღო ნებისმიერი ქონება, მიუხედავად იმისა ჰქონდა თუ არა მასთან რაიმე ნათესაური კავშირი, მაშინ, როდესაც ზიმიათა ახლო ნათესავებს იგივე უფლება ჩამოერთვათ. ამ კანონის გამოისობით, საკუთარი ნათესავებისათვის ქონების ჩამორთმევის მოსურნე მრავალმა სომეხმა მიიღო ისლამი, სხვებმა კი ასეთი ნაბიჯი საკუთარი მემკვიდრული უფლებების დაცვის სურვილის გამო გადადგეს.

ამასთან არსებობდა სხვა ისეთი ფაქტორებიც, რომლებსაც პირდაპირი გავლენა ჰქონდათ სეფევიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში მცხოვრებ სომეხთა მდგომარეობაზე: ასეთი იყო მუსლიმი სასულიერო პირების გავლენის ხარისხი სომეხთა კათალიკოსზე და ამ უკანასკნელისათვის ახალი ჯულფას მდიდარ ვაჭართა და გილდიების მამასახლისთა ხელშეწყობა. მართალია, ოფიციალურად ზიმიები დაცულნი იყვნენ მუსლიმთა ძალადობისაგან, მაგრამ ისტორიული წყაროთა მონაცემები საპირისპიროზე მეტყველებს: იძულებით ისლამზე მოქცევის შემთხვევები, ასევე სხვა აღმსარებლობების ნარმომადგენელთა დევნა ჩვეულებრივი მოვლენები იყო სეფევიდების სახელმწიფოში, განსაკუთრებით, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქვეყანაში ძლიერდება მუსლიმი სასულიერო პირების გავლენა. ახალი ჯულფას სომხური კოლონია და, განსაკუთრებით, ადგილობრივი გავლენიანი სომეხი ვაჭრები, რომლებიც ხშირად ეხმარებოდნენ სომეხ კათალიკოსს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობების მონესრიგებაში, გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ სეფევიდების ირანში სომხური ეკლესიისა და სომხების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში.

კონფესიურობის საკითხი „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში“

გოჩა კუჭუხიძე
მამა მიქაელი (მიხეილ ხუციშვილი)

„წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ არის ასეთი ეპიზოდი: უდაბნოში მცხოვრები დავითი კლდის პირას მიდიოდა ხოლმე და მარტო ლოცულობდა. ერთ დღეს ამ უდაბნოში „მოვიდა ბარბაროზი ვინმე ნათესავით ადგილთაგან რუჲსთავისათა და ინადირობდა ნადირთა“. მას თავისი სამონადირეო ქორი ერთი კაკბისათვის დაუდევნებია. შეშინებული კაკაბი იმ ადგილას დამჯდარა, სადაც ბერი ლოცულობდა. „ბარბაროზი იგი“ მისულა იქ, უნახავს ბერი და ვინაობა უკითხავს მისთვის. ტექსტის ამ ადგილას ვკითხულობთ, რომ დავითმა: „მიუგო მას სომხურითა ენითა: „მე, კაცი ვარ ცოდვილი, მონაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“; შეკითხვაზე, თუ რითი ცხოვრობს აქ, უპასუხია, რომ ღმერთი ინახავს მას, შემდეგ კი მონადირისთვის უთქვამს, რომ თავი დაენებებინა კაკბისათვის, რადგან ფრინველი სიცოცხლის გადასარჩენად ყოფილა ბერთან მისული. ამის გაგონებაზე თურმე „მიუგო ბარბაროზმან და ჰრქუა: „მე მოკუდინებაჲ შენი მნებავს და შენ ვითარ განირინო კაკაბი სიკუდილისაგან“? დავითს მიუგია, რომ ვერ შეძლებდა იგი ვერც მისსა და ვერც კაკბის მოკვლას. მაშინ თურმე „სიტყუასა მას ზედა ბერისასა ბარბაროზმან მან, მჯდომარემან ჰუნესა ზედა, იწუადა ჴრმალი, რაჲთა სცეს ზედა წმიდისა დავითისსა. და ვითარცა აღიღო ჴელი, მეყსეულად შეჰჴმა იგი და იქმნა ვითარცა შეშაჲ.“ შემდეგ ნათქვამია, რომ „მაშინ გულისჴმა-ყო ბარბაროზმან მან უკეთურებაჲ თჳსი და გარდაჰჴდა ჰუნესა და დავარდა ფერჴთა თანა ბერისათა და ცრემლითა ევედრებოდა, რაჲთა მოუტეოს ცთომილებაჲ იგი მისი“. დავითს შეწყალებია „ბარბაროზი იგი“, შევედრებია უფალს, რომ განკურნებულიყო ეს კაცი და განკურნებულა იგი. ბარბაროზი მხურვალე ცრემლით შევედრებია წმიდა ბერს, ელოცა მისი ვაჟისთვისაც, რომელიც ორივე ფეხით კოჭლი ყოფილა. ბერს მიუგია: „წარვედ სახედ შენდა და, უკუეთუ ენებოს ღმერთსა, ჰპოო ძე შენი განკურნებული“. შემდეგ ვკითხულობთ: „ხოლო იგი წარვიდა განმხიარულებული სახედ თჳსად, რამეთუ ნადირიცა ფრიად ენადირა. ხოლო ვითარცა მიიწია იგი სახიდ თჳსად, ეპა დიდებულებათა შენთა, ქრისტე! რამეთუ ყრმაჲ იგი კოჭლი ბღუნვით მავალი, სიხარულით წინა მიეგებვოდა მამასა მას თჳსსა“. მამას მადლობა შეუნირავს ღვთისთვის, შემდეგ უკითხავს: „რომელსა ჟამსა განიკურნა ყრმაჲ ესე“? მიუგიათ: „დღეს მესამესა ჟამსა აღდგა ეგე და ხლდომით ვიდოდა, ვითარცა ქურციკი“ და მაშინ თურმე გაახსენდა კაცს, რომ სნორედ „მას ჟამსა ჰრქუა მას ბერმან, ვითარმედ: „ენებოს ღმერთსა, განიკურნოს ყრმაჲ იგი შენი“. ყველა მადლობდა თურმე უფალს.

მეორე დღეს თავის განკურნებულ და სხვა ორ ძესთან ერთად დიდი ძღვენით მისულა დავითთან „ბარბაროზი“ და უთქვამს: „ჭეშმარიტად გპოვე მკურნალი სულთა და ჴორცთაჲ.“ დავითს მის ოჯახთან ერთად დაულოცავს იგი. აქ ვგებულობთ ამ კაცის სახელს: ბუბაქრი ყოფილა „სახელი ბარბაროზისაჲ მის“, რომლისათვისაც დავითს უკითხავს: „რაჲ გნებავს შენ ან, რაჲთა გიყოთ შენ?“ „ბარბაროზი“ თავისი და მთელი ოჯახის მონათლვას შევედრებია მას. დავითს უთქვამს, რომ ბერ დოდოსთან მისულიყო ბუბაქრი და მისგანაც მიეღო ნათლობის კურთხევა, ესეც დაუბარებია: პატიოსანი მღვდელი ჰყავს დოდოს და გამოგაყოლოს, რათა ნათელი გცეთ შენ და შენს ოჯახსო: „და ჰყვა მას მღდელი პატიოსანი და მიუმცნო მას, რაჲთა თანა-ნარმოგაყოლოს და მან ნათელ-გცეს შენ და ყოველთა სახლეულთა შენთა“; დავითს ბერი ლუკიანე გაუყოლებია ბუბაქრისთვის და მისი პირითაც შეუთვლია დოდოსთვის მღვდლის გამოყოლება: „მაშინ თანა-წარაყოლა ლუკიანე და მიუმცნო მას, რაჲთა თანა წარაყოლოს მღდელი, რაჲთა ნათელ-სცეს ბუბაქრს და ყოველთა სახლეულთა მისთა“.

შემდეგ ნათქვამია, რომ „წმიდამან დოდო ყო ბრძანებისაებრ ბერისა“, რომ, მას შემდეგ, რაც ნათელი იღო, ეკლესია ააშენა ბუბაქრმა, რომ „უკანაჲსკნელ წმიდამან და ღმერთ-შემოსილმან ილარიონ განავრცელა და აკურთხა“ ეკლესია... ბუბაქრი, მოხსენიებულია როგორც „შვილი იგი ნათლისაჲ“ (ძეგლები 1963: 234-236).

კორნელი კეკელიძე წმინდა იოანე ზედაზნელის, წმინდა შიო მღვიმელისა და წმინდაევაგრეს ცხოვრების მომთხრობ ძეგლებს ქართლის კათოლიკოს არსენი II-ის (X ს; კორნელი კეკელიძის დაზუსტებით, 955-980 წწ) დაწერილად მიიჩნევდა (კეკელიძე 1980: 159-163; 532-537); არსენი ზოგან ნეკრესის ეპისკოპოსად არის წარმოდგენილი, რის გამოც ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ორი სხვადასხვა პიროვნებაა ტექსტებში დასახელებული, მაგრამ, მარიამ ჩხარტიშვილის მართებული აღნიშვნით, არსენის ნეკრესელობა მის კათოლიკოსობას არ გამორიცხავს (ჩხარტიშვილი 1997: 22-23). კორნელი კეკელიძის თანახმად, ასურელთა ცხოვრების ამსახველი ზემოხსენებული ძეგლები ერთი ნაწარმოების შემადგენელი ნაწილებია, რაც იქიდან ირკვევა, რომ „შიო მღვიმელის ამბავი შეტანილია როგორც ორგანული ნაწილი იოანეს *ცხოვრებისა*“ (კეკელიძე 1980: 536), იოანეს შესახებ თხრობა „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ გრძელდება, მასშია მოთხრობილი იოანეს გარდაცვალების შესახებ (აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ეს ძეგლები ერთი ნანარმოების

შემადგენელ ნაწილებად მიიჩნიეს: ილია აბულაძემ, ენრიკო გაბიძაშვილმა). ამავე ნაწარმოების ორგანული ნაწილი ჩანს „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრება“, ავტორი იოანე ზედაზნელისა და სხვა ასურელ მამათა ცხოვრებას გადმოგვცემს, იოანეს ცხოვრების ერთი პერიოდის მოთხრობის შემდეგ სხვა მოწაფეთა შესახებ გვამცნობს იგი და ყველა მათგანის შესახებ სიტყვა „ხოლო“-თი იწყებს თხრობას, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ წინარე თხრობა გრძელდება ხსენებული სიტყვით (ეს გარემოება უკვე შენიშნულია მეცნიერებაში): „ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივ განბრძნობილი მამაჲ ჩუენი წმიდაჲ შიო მოვიდა წინამძღუარობითა სულისა წმიდისაჲთა“ (ძეგლები 1963: 217), „ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა“ (ძეგლები 1963: 229), ამავე ნაწარმოების შემადგენელ ნაწილად აღიქმება „წმიდა აბიბოს ნეკრესელის წამებაც“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მასშიც წინარე თხრობის გაგრძელებაა: „ხოლო ჯერ-არს, რაჲთა მცირედ შუა შემოვიღოთ ჴსენებაჲ წმიდისა და უბინოჲსა მღდელთ-მოძღურისა და მოწამისა“ (ძეგლები 1963: 240); წმიდა იოანე ზედაზნელის სახე ისეა დახატული, რომ იგი ამ ქვეყნიდან გარდაცვალების შემდეგაც დარჩეს ნაწარმოების მოქმედ პირად, უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ წმიდა იოანე „შემდგომად მიცვალებისაცა ცხოველ არს და აქუს კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა“ (ძეგლები 1963: 238), „წმიდა შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ ბერებს არ მოეწონათ ის ადგილი, სადაც იოანემ დაკრძალვა ინება, რომ სხვა ადგილას დამარხეს მისი სხეული, რის გამოც „იქმნეს ადგილსა მას, სადა ისხნეს ჴორცნი მისნი, სასტიკნი ძრვანი“ (ძეგლები 1963: 228) და ბერებმა შემდეგ იქ გადაასვენეს მისი ნაწილები, სადაც სურდა იოანეს. აღესრულა იოანე, სულიერ სამყაროშია, მაგრამ მისი აქ მყოფობაც იგრძნობა და, რომც არ ახსენონ იგი შემდგომ, ბერთა ცხოვრების გადმოცემისას, დავით გარეჯელისა თუ აბიბოს ნეკრესელის ამბავთა კითხვის დროს, მაინც უნდა გრძნობდეს მკითხველი, რომ სულიერად ამ ბერებთანაც იმყოფება იოანე და სხვათა ცხოვრების კითხვისას მისი სახეც უნდა მოიაზროს.

წმინდა იოანე ზედაზნელის, წმინდა შიო მღვიმელისა და წმინდა ევაგრეს, წმინდა დავით გარეჯელის „ცხოვრებებს“ მეცნიერებაში არქეტიპულ ძეგლებად მოიხსენიებენ ხოლმე იმდენად, რამდენადაც ისინი სხვა, მეტაფრასულ, ნაწარმოებებს დაედო საფუძვლად. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ „ცხოვრებათა“ შექმნამდე ასურელი ბერების შესახებ არაფერი იყო დაწერილი. კორნელი კეკელიძის აღნიშვნით, წარმოუდგენელია, რომ „ოთხი საუკუნის განმავლობაში რაიმე არ ჩაწერილიყო ამ მამათა შესახებ“, მისი თქმით, „სხვა არა იყოს რა, ამას გვაფიქრებინებს ბასილ კათოლიკოსის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ შიო მღვიმელის სასწაულები „თითო სახედ სხუათა და სხუათა მოსაჴსენებელთა შინა ჩემ მიერ პოვნილ არსო“ (კეკელიძე 1980: 162); სხვა წიგნთა არსებობის ფაქტს ადასტურებს წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების მომთხრობ ტექსტში შემონახული სიტყვები, რომელთა თანახმად, „მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან“ (ძეგლები 1963: 198); შეიძლება იმ ვარაუდის დაშვება, რომ ყველა ეს სხვადასხვა ძეგლი გააერთიანა კათოლიკოსმა არსენიმ და ეს იმგვარად გააკეთა, რომ ამ ერთ მთლიანობად ქცეულ ნაწარმოებში მთავარ ფიგურად წმიდა იოანე ზედაზნელი წარმოჩენილიყო, კარგად დაენახა მკითხველს, რომ იგი იყო ამ ბერთა სულიერი წინამძღვარი; ძეგლების გაერთიანებისას თავისი სიტყვებითა და ცალკეული ცნობებით რომ გაამდიდრებდა არსენი ტექსტს, ეს, ვფიქრობთ, ცხადია, თუმც, ვხედავთ იმასაც, რომ სტილისტურად განსხვავდება „ცხოვრებები“ ერთმანეთისგან, რაც, ბუნებრივია, იმითი უნდა აიხსნას, რომ თავის დროზე სხვადასხვა ავტორის ხელით დაინერა სხვადასხვა ასურელ მამაზე ნაწარმოებები და მათი გაერთიანებისას ნათლად შემორჩა თავდაპირველი სტილი. „ცხოვრებათა“ ურთიერთმიმართების შესწავლა, საერთოდ, ტექსტებთან დაკავშირებული პრობლემების გამოწვლილვით გამოკვლევა, სამომავლო საქმეა, ამჯერად უმთავრესი, რაც ჩვენი ყურადღების ქვეშ ექცევა, ის არის, რომ ასურელ მამათა ცხოვრების მომთხრობი ხსენებული ძეგლები პირველად X ს-ში შექმნილს არ ჰგავს და, როგორც ამას თავად საისტორიო წყაროები ცხადყოფს, სხვა ძეგლებს უნდა ეყრდნობოდეს ისინი... დავუბრუნდეთ „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების“ იმ ეპიზოდს, რომელშიც ბუბაქრის ნათლობის ამბავია გადმოცემული:

როგორც ვხედავთ, დავითი ბუბაქრს სომხურ ენაზე მიმართავს, თითქოს გამოკვეთილად, ხაზგასმულად, არის ტექსტში ყურადღება გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ სომხურ ენაზე მიუგო დავითმა ბუბაქრს: „მიუგო მას სომხურითა ენითა: „მე, კაცი ვარ ცოდვილი, მონაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“. სომხურად მიმართვის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ის არის, რომ დავითს სურს, დააწყნაროს ეს პიროვნება, რომელსაც ალბათ ატყობს, რომ სამტროდ არის მისული, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეროვნებით სომეხია ბუბაქრი და დავითის მიერ მისთვის სომხურ ენაზე მიმართვის ფაქტს სწორედ ეს გარემოება განაპირობებს.

ტექსტში გაცხადებულად არ არის ნათქვამი, რომ სომეხია ბუბაქრი, ჩანს, რომ იცის ავტორმა მისი ეროვნება, მაგრამ არაფერს ამბობს ამის შესახებ, სიტყვა „სომეხი“ ამ ტექსტში ნახსენები არ არის. რატომ, რა უნდა იყოს მიზეზი? ჩვენი აზრით, მიზეზები კონფესიურ საკითხებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ჩვენ ვითარება ასე გვაქვს წარმოდგენილი: ვფიქრობთ, რომ „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების“ ავტორის გარშემო შემოკრებილია წრე, რომელიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მონესრიგებას ცდილობს, რომელსაც უნდა, რომ ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ მათ შორის შექმნილი დაძაბული ურთიერთობის გამოსასნორებლად რაიმე გზას მიაგნონ, რამდენადაც ეს იმხანად შესაძლებელი

იქნება, იპოვონ საშუალება და როგორმე დაათბონ ურთიერთობები, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი მცდელობა ორივე მხრიდან მოდის, რომ X საუკუნის რომელიღაც პერიოდში ორივე ქვეყნისათვის სასიკეთო ტენდენციები იჩენს თავს, რომ ე. ი. ურთიერთობის მოწესრიგებას ესწრაფვიან და სწორედ ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების მთხრობელი ბუბაქრის სომხობას არ ახსენებს; შუა საუკუნეებში სიტყვა „სომეხს" არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ რელიგიური მნიშვნელობაც აქვს, ეს სიტყვა კონფესიურობასაც აღნიშნავს, მონოფიზიტის სინონიმის ფუნქციასაც ასრულებს, ვფიქრობთ, „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების" ნინარე ტექსტში სომხად იქნებოდა ბუბაქრი სახელდებული, ჩანს, ნათქვამი იყო, რომ სომეხია იგი და მოთხრობილი გახლდათ, თუ როგორ დააპირა ამ კაცმა წმიდა დავითის მოკვლა, რაც მხოლოდ მას შემდეგ არ გააკეთა, რაც წმიდა დავითის სიტყვებმა ჯერ დააავადა, შემდეგ კი განკურნა იგი, იმ ტექსტში სიტყვა „სომეხს" მონოფიზიტის მნიშვნელობაც ექნებოდა და, ცხადია, რომ ბუბაქრის სომხობა უარყოფით კონტექსტში იქნებოდა წარმოდგენილი. ისტორია იმის შესახებ, რომ მონოფიზიტი მოკვლას უპირებს წმიდა ბერს და თავს გარდამხდარი სასწაულის შემდეგ კი დიოფიზიტი ხდება და ასე შორდება ცოდვათა სიბნელეს, ცხადია, უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენდა მონოფიზიტობას და, შესაძლოა, ამის გამო აარიდა ავტორმა სიტყვა „სომეხის" ხსენებას თავი, აარიდა, რადგან, როგორც ითქვა, შესაძლოა, ურთიერთობის გამოსწორების სურვილი ჰქონდათ და მონოფიზიტობაზე უარყოფით კონტექსტში საუბარი არ უნდოდათ. ჩვენი აზრით, ამგვარად უნდა აიხსნას ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ბუბაქრთან დაკავშირებით სიტყვა „სომეხი" ნახსენები არ არის „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში", მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამაზე ძეგლი თავადვე მიგვანიშნებს, იცის ავტორმა, როგორც ჩანს, – არსენიმ, ეროვნებით სომეხი რომ იყო ბუბაქრი; ცხადია, ნინარე ტექსტიდან გაიგებდა, იქ ნაიკითხავდა იგი, რომ დავითს მოკვლა დაუპირა ერთმა სომეხმა კაცმა, რომელსაც სომხურად დაელაპარაკა დავითი, რომ ამ უკანასკნელის სარწმუნოებაზე მოიქცა ეს კაცი მას შემდეგ, რაც ისიც და მისი შვილიც განკურნა ბერმა თავისი ლოცვით; სიტყვა „სომეხს", ეთნიკურთან ერთად, კონფესიური მნიშვნელობაც, უეჭველია, ექნებოდა იმ ტექსტში.

სხვათა შორის, იგრძნობა, რომ სიტყვა „სომეხის" არსხენებას უხერხული მდგომარეობა შეუქმნია „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების" ავტორისთვის, როცა ჯერაც მოუქცეველი ადამიანის შესახებ იწერება რაიმე, უნდა იცოდეს მკითხველმა, რა აღმსარებლობის მიმდევარი იყო ეს ადამიანი მოქცევამდე, რომელი არაქრისტიანული სარწმუნოების ცოდვებში იყო გახვეული, რა აღმსარებლობა იწვევდა მის უკეთურებას, ტექსტის ავტორს, როგორც ითქვა, ჩანს, რომ ბუბაქრის სომხობის, ანუ მონოფიზიტობის, ხსენება არ უნდა, იგი ვერც იმას იტყვის, რომ ნარმართია ბუბაქრი, რადგან იცის, რომ წარმართი არ ყოფილა ეს კაცი, ვერ გვეუბნება ავტორი, კონკრეტულად რომელმა აღმსარებლობამ გამოიწვია ბუბაქრის უკეთური საქციელი, – იუდეველობასა თუ ნარმართობაში ჩარჩენამ, მწვალებლობამ, თუ რაიმე სხვა მიზეზმა და ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აგდებს და იმის საშიშროებას უქმნის, რომ გაუმართავი გამოუვიდეს ტექსტი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ, მართალია, ზოგადი ტერმინის გამოყენებით, მაგრამ გარკვეულწილად მაინც აღწევს თავს ამ მდგომარეობას ავტორი, – იმისათვის, რომ რელიგიური კუთხიდან რაიმე ახსნა მოუძებნოს ბუბაქრის საქციელს, იგი „ბარბაროზად" (ველურად, გაუნათლებლად, უსჯულოდ) იხსენიებს მას და, ასე თუ ისე, ახერხებს და უხსნის მკითხველს, თუ რად აპირებდა ბუბაქრი წმიდა დავით გარეჯელის მოკვლას, მეტ-ნაკლებად მაინც ანიჭებს ტექსტს გამართულ სახეს, ამბობს, რომ მოქცევამდე „ბარბაროზი" იყო ეს პიროვნება და იმისი დაზუსტება კი აღარ მიაჩნია აუცილებლად, თუ რას ნიშნავს „ბარბაროზობა", რომელი სარწმუნოების აღმსარებელი იყო ეს ადამიანი, ფიქრობს, რომ ზოგადი მნიშვნელობის მქონე „ბარბაროზის" ხსენება საკმარისია რთული ვითარებიდან თავდასაღნევად და ტექსტის გასამართავად. იგრძნობა, რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოსასვლელად არის მოფიქრებული ეს სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში ძალიან ზოგადია და ვერ აკონკრეტებს, კერძოდ რომელ აღმსარებლობას მიეკუთვნებოდა ბუბაქრი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების" ის ადგილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ბუბაქრი იყო „ნათესავით ადგილთაგან რუსთავისათა"; ცხადია, რომ „ნათესავი" ისეთი ტერმინია, რომელიც იმას აღნიშნავს, თუ ვისი შთამომავალია, ვისი მონათესავეა ესა თუ ის ადამიანი, აღნიშნავს იმასაც, თუ ნარმოშობით რომელი ადგილიდან არის, სად ცხოვრობს, საიდან არის გამოსული ადამიანი და სხვადასხვა; მაგრამ ეს ტერმინი უფრო მეტად, უფრო ხშირ შემთხვევაში, ტომის, ეთნოსის აღმნიშვნელია, ეროვნებას ნიშნავს და, აქედან გამომდინარე, განსახილველ ტექსტში სიტყვები – „ნათესავით რუსთაველი" არაერთმნიშვნელოვან და ცოტა უცნაურ ჟღერადობასაც იძენს (ეთნიკურობის მნიშვნელობით გაგების შემთხვევაში სიტყვები „ნათესავით რუსთავისათა" ასე ისმის, – „ეროვნებით რუსთაველი"), შესაძლოა, ამგვარად წერის მიზეზი ის იყოს, რომ მსმენელთა და მკითხველთა ყურადღების მიპყრობა და მათში ინტერესის აღძვრა სწადია ავტორს, რამდენადაც სიტყვა „ნათესავი" ეთნიკური მნიშვნელობაც ხვდება მსმენელისა და მკითხველის ყურს, არ არის გამორიცხული, რომ ეთნიკურობასთან დაკავშირებული უჩვეულო გამოთქმით („ნათესავით რუსთაველი"), ამ განსაკუთრებული საშუალებით, ბუბაქრის ეროვნებაზე ყურადღებას განსაკუთრებულად გამახვილებას ცდილობდეს ავტორი, შესაძლოა, ამ საშუალებით განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევინებს იგი ბუბაქრის ეროვნებაზე და, რადგან თვითონ არ

ამბობს ცხადად, ჩვენ გვიბიძგებს იქითკენ, რომ თვითონ ვიფიქროთ, თუ რა ეროვნების, „ნათესავით“ სადაური, უნდა ყოფილიყო ეს პიროვნება; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინტერესს გვიღვიძებს ავტორი ამ ადამიანის ეროვნების მიმართ, თითქოს გვანიშნებს ამ სიტყვებით, რომ რაღაცის თქმა უნდოდა და არკი გვითხრა და ამით დაფიქრებისკენ გვიბიძგებს და გამგებ და მცოდნე ადამიანებს კი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ფაქტობრივად ახვედრებს, რომ სომეხია ბუბაქრი, რაც იმასაც ცხადს გაუხდის მათ, რომ ანტიქალკედონელი ყოფილა წმიდა დავითთან შეხვედრამდე იგი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების“ ტექსტში განზრახ იყოს დამალული ბუბაქრის მონოფიზიტობა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილით იყოს ეს გამოწვეული. ტექსტში სიტყვა „სომეხის“ მოუხსენიებლობის მიზეზები სხვაც იქნება: თუ იმ პერიოდში, როცა „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების“ ახალი ტექსტი იწერებოდა, ეს სიტყვა უკვე არა იმდენად რელიგიური, არამედ უფრო, ეთნიკური მნიშვნელობით აღიქმებოდა ხალხში, თუ ამ პერიოდში მცხოვრებთაგან მრავალს აღარ ესმოდა, რომ ბუბაქრის კონფესიურობა იგულისხმებოდა მასში, მაშინ, წინარე ტექსტიდან სიტყვა „სომეხის“ გადატანასთან ერთად, ახსნა-განმარტებების დამატებაც მოუნევდა ავტორს იმის შესახებ, რომ რელიგიური მნიშვნელობაც აქვს ამ სიტყვას, იმისი ახსნაც დასჭირდებოდა, რომ „სომხობაში“ ის აღმსარებლობა იგულისხმა, რომელიც მაცხოვრის ადამიანურ ბუნებას არ აღიარებს და ქალკედონის საეკლესიო კრების მიერ მიღებულ სარწმუნოებას არ სცნობს და სხვადასხვა, ასეთი განმარტებები კი ძალიან შორს წაიყვანდა და გაურთულებდა ტექსტს, ძალიან გადაკეთდებოდა წინარე ტექსტი და, გარდა იმისა, რომ ამგვარი განმარტებები ორი ქვეყნის ურთიერთობის მონესრიგებას არ წაადგებოდა, მოხდებოდა ისე, რომ წმიდად ლიტერატურული თვალსაზრისითაც დაზიანდებოდა ტექსტი. ასურელ მამათა „ცხოვრებებს“ უმეტესწილად ნათელი, მარტივი და სადა სახე აქვს, მათ შესახებ თხრობის ასეთი სტილია დამკვიდრებული და რომელსამე ეპიზოდში ამ სტილიდან ძალიან დაცილება, საერთოდ, ფილოსოფიაში გადაჭრა, გაართულებდა და არ მოუხდებოდა ტექსტს; შეგვიძლია, სხვა მიზეზზეც ვისაუბროთ: თუ დავუშვებთ, რომ ეს სიტყვა X ს-ში უმეტესწილად უკვე მხოლოდ ეთნიკური მნიშვნელობით ესმოდათ ხალხში და, თუ ვივარაუდებთ, რომ ავტორს მის მნიშვნელობათა გაღარიბება არ სურდა, მაშინ ამ სიტყვის მოუხსენიებლობის მიზეზად ეს ფაქტიც შეგვიძლია მივიჩნიოთ, – განმარტებების გარეშე სიტყვის ხსენება მის მნიშვნელობათა გაღარიბებას შეუწყობდა ხელს.

მაშასადამე, ჩვენ ვუშვებთ ვარაუდს, რომლის თანახმად, „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების“ წინარე ტექსტში ის იყო ნაჩვენები, რომ დავითმა დიოფიზიტობაზე მოაქცია მონოფიზიტი და, თუ აღმოჩნდა, რომ ეს მართლაც ასეა, მაშინ კიდევ უფრო საეჭვო გახდება მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, ასურელი მამები მონოფიზიტები იყვნენ და რომ მათი ცხოვრების მომთხრობ ძეგლებში ნარხოცილია მონოფიზიტობის კვალი. ამ საკითხების შესახებ იხ. (კეკელიძე 1956: 34-44).

„წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში“, როგორც ვნახეთ, ნახსენებია „მღდელი პატიოსანი“, რომელსაც ბუბაქრისათვის ნათელი უცია. ნათლობის რიტუალი მღვდელს უნდა აღესრულებინა და ამიტომ უთხოვია დავითს ბერი დოდოსთვის მისი გამოგზავნა. სიტყვებში – „მღდელი პატიოსანი“, შესაძლოა, უბრალოდ ის იგულისხმებოდეს, რომ ნათლობის რიტუალის აღსასრულებლად წესიერი ადამიანი იყო საჭირო, თუმც არც ის არის შეუძლებელი, რომ ასურელთა წრეში იმისდა მიხედვით განარჩევდნენ პატიოსანსა და უპატიოსნო მღვდლებს, თუ რომელი მათგანი იყო ქალკედონელი და რომელი – არა (ასურელი მამები ისეთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, როცა სხვადასხვა კონფესიის მხარდამჭერები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შესაძლო იყო, ერთ წრეშიც აღმოჩენილიყვნენ) და არ არის გამორიცხული, სნორედ ამ ვითარების კვალი იყოს შემორჩენილი გამოთქმაში – „მღდელი პატიოსანი“.

აქ შესაძლოა შემოგვედავონ და გვითხრან, რომ „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების“ ეს ეპიზოდი შეიძლებოდა, სხვაგვარადაც განმარტებულიყო, – ისე, რომ სრულიად საპირისპირო ვითარება წარმოჩენილიყო; ერთი შეხედვით, ეპიზოდი, შესაძლოა, ისედაც განიმარტოს, რომ დავითი მონოფიზიტად წარმოდგეს, ყოველივე ისე დაიხატოს, რომ დიოფიზიტი მონოფიზიტობაზე მოაქცია დავითმა, ერთი შეხედვით, შესაძლებელია, დავუშვათ, რომ რეალობა ასეთი იყო: ბუბაქრი გახლდათ დიოფიზიტი ქრისტიანი და დავით გარეჯელი სომხურად იმიტომ დაელაპარაკა მას, რომ თვითონ იყო მონოფიზიტი და ბუბაქრისადმი სომხურად მიმართვით სნორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი, ე. ი. ამ შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ, რომ არ შეუშინდა და გაბედულად, გამომწვევადაც კი მოიქცა დავითი ბუბაქრის წინაშე, – გააგებინა წინ მდგომ ქალკედონელს, რომ ანტიქალკედონელი იყო თვითონ და ამით დიდი გამბედაობა და თავისი სარწმუნოების მიმართ ერთგულება გამოამჟღავნა, რის გამოც ქალკედონელმა ბუბაქრმა მოკვლა დაუპირა, მაგრამ ღმერთმა იხსნა სარწმუნოების ერთგული ბერი, გადაარჩინა იგი, შემდეგ კი, როცა დავითმა სასწაულებრივად განკურნა ბუბაქრის შვილი, ბუბაქრიცა და მთელი მისი ოჯახიც მონოფიზოტობაზე გადავიდნენ; თითქოს შეგვიძლია დავუშვათ ვარაუდი, რომ წინარე ტექსტში დახატული იყო სურათი, რომლის თანახმად, დიოფიზიტი ბუბაქრი აღაფრთოვანა მონოფიზიტმა დავით გარეჯელმა, რის გამოც მთელ ოჯახთან ერთად თავადაც მონოფიზიტი გახდა; იქნებ ეს არის რეალობა? რატომაა შეუძლებელი, ამგვარი ვითარება წარმოედგინათ ადრეულ ტექსტში,

რომ მონოფიზიტობის ერთგულ ქრისტიანად ყოფილიყო მასში დავითი დახატული, იქნებ შემდეგ წარხოცეს მისი მონოფიზიტობის კვალი, თუმც, რადგან გვამცნეს, რომ სომხურ ენაზე მიმართა ბერმა ბუბაქრს, ამით გამჟღავნდა ის სიმართლე, რომ ანტიქალკედონურ დოქტრინას უჭერდა მხარს დავით გარეჯელი? ან იქნებ ის უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივი წარმართი იყო ბუბაქრი? – წარმართი, რომელიც შემდეგ მონოფიზიტურ ქრისტიანობაზე გადაიყვანა დავითმა?

ერთი შეხედვით, არ არის შეუძლებელი, მართლაც ასე იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს ნინაშე ასეთი კითხვა ჩნდება: თუ მონოფიზიტი იყო დავითი და თუ ამ ფაქტის კვალის წარხოცვის სურვილი ჰქონდათ, მაშინ საერთოდ რატომ ახსენეს სიტყვები „სომხურითა ენითა", ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ სომხური ენის ხსენება საიმისო ეჭვს გააჩენდა, იმის საშუალებას შექმნიდა, იმგვარადაც გაგებულიყო ტექსტი, რომ მონოფიზიტი იყო იგი, რატომ შეიქმნეს ამ სიტყვების ხსენებით სახიფათო მდგომარეობა, სულ არ წარმოეთქვათ ეს ორი სიტყვა, ვინ აიძულებდათ, რისთვის ჩაიყენეს არასახარბიელო მდგომარეობაში თავი?! ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანები, რომლებსაც მონოფიზიტობასთან დავითის სიახლოვის კვალის ნარხოცვა სურთ, რომლებიც სომხურ ეკლესიასთან მისი კავშირის დამალვას ცდილობენ, ვერ ითვალისწინებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ „სომხური ენის" ხსენებით ტექსტის სხვაგვარად გაგების საფუძველს ქმნიან, ვერც იმას დავიჯერებთ, რომ სომხურ ეკლესიასთან სიახლოვის კვალს საგულდაგულოდ შლიან და იმას კი საერთოდ ვერ ამჩნევენ, წინარე ტექსტიდან სიტყვები „სომხური ენა" რომ გადმოაქვთ, რომ ასეთი, შეიძლება ითქვას, დაუდევარი ქმედებით აჩენენ დავითის მონოფიზიტობის შესახებ აზრის შესაქმნელ საშუალებას; არა, – სომხურ ეკლესიასთან სიახლოვის კვალის წარხოცვის საგანგებო სურვილი რომ ჰქონოდათ, ვფიქრობთ, სომხურ ენას საერთოდ არ ახსენებდნენ, არ შექმნიდნენ ტექსტის განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას, არ დაწერდნენ სიტყვებს „სომხურითა ენითა"; ისიც ყოვლად წარმოუდგენელია, დაუდევრობის გამო გადმოჰყოლოდათ ძველი ტექსტიდან ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, არაფერი იძლევა იმის საფუძველს, მივიჩნიოთ, რომ ამგვარი ნარხოცვის სურვილი ჰქონდათ ნმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების აღმნერთ. ასეთ შემთხვევაში გაცილებით მეტ ყურადღებას გამოიჩენდნენ ისინი, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ საამისო სურვილი, არ ჰქონდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქალკედონელი იყო დავით გარეჯელი, ყველა ქალკედონელად იცნობდა და ვერ ხედავდნენ ძეგლის შემქმნელნი იმის საშიშროებას, რომ მონოფიზიტად აღექვა იგი ვინმეს, არა, ვფიქრობთ, „სომხური ენის" ხსენების ფაქტი დავითის არა, მაგრამ ბუბაქრის მონოფიზიტობაზე კი, მართლაც, მეტყველებს, ბადებს მოსაზრებას, რომ მონოფიზიტი იყო და დიოფიზიტობაზე მოაქცია დავით გარეჯელმა იგი; ჩვენი აზრით, ძეგლიდან ნაუცბადევად არც იმ აზრის გამოტანა შეიძლება, თითქოს ჩვეულებრივი წარმართი იყო ბუბაქრი, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ალბათ პირდაპირ, გაცხადებულად იტყოდნენ ამას ნმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების მთხრობელები, სიტყვა „წარმართნი" „ნმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში" არის ნახსენები (ძეგლები 1963: 211) და მისი დანერა არც აქ გაუძნელდებოდათ, წარმართი რომ ყოფილიყო, გამოკვეთილადაც იტყოდნენ ამას, რათა სხვა რელიგიის აღმსარებელი არ ჰგონებოდა იგი შემდგომში ვინმეს, არ მომხდარიყო ისე, რომ, ვთქვათ, ამა თუ იმ მიმდინარეობის ქრისტიანად აღქმის შესაძლებლობა გაეჩინათ, ვფიქრობთ, არ იყო ბუბაქრი წარმართი, ტყუილად ვერ უნოდეს ეს სიტყვა, რომ ტექსტის გამართვის მიზნით მოიხსენიეს ბარბაროზად და ამით ახსნეს მისი საქციელი; სიტყვა „ბარბაროზს" ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მისი ლექსიკოლოგიური მნიშვნელობები ასეთია: „აფრიკის თემნი შავნი" (ორბელიანი 1949: 45), უცხოელი, არაბერძენი (სარჯველაძე 2001: 23), ველური ადამიანი, მოძალადე, კულტურის მტერი (ქეგლი 1950), „ბარბაროზს" აქვს როგორც „უცხოს", „უცხოელის", ისე – „ველურის" მნიშვნელობა, ეს სიტყვა წარმართი ადამიანის აღსანიშნავადაც გვხდება (ასეთი შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, ამ წინადადებაში: „სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი" (ქართლის ცხოვრება 1959: 48), მაგრამ მაშინაც, როცა წარმართ ადამიანზეა საუბარი, ამ სიტყვის მნიშვნელობა „ველურობასთან" „გაუნათლებლობასთან" კავშირდება და ველური და გაუნათლებელი კი არა მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება ეწოდოს, ვინც წარმართულ ტაძარს მიეკუთვნება, ვინც ქურუმთა რიტუალში ღებულობს მონაწილეობას, არამედ იმასაც, ვინც წარმართულ ტაძარში არ ლოცულობს, ვიტყვით ასე, ოფიციალური წარმართი არ არის, მაგრამ თავისი აღმსარებლობით უსჯულო და უღვთო ადამიანად არის მიჩნეული; წარმართი რომ ყოფილიყო ბუბაქრი, ჩვენი აზრით, ველურად და „ბარბაროზად" მის მოხსენიებას არ დასჯერდებოდნენ და უფრო გარკვევით, მკაფიოდ და ცხადად გვეტყოდნენ ამას, გამოიყენებდნენ ისეთ სიტყვას, რომელიც უფრო გასაგებად, დაზუსტებულად და დაკონკრეტებულად გამოხატავს სათქმელს, და მაშინ, როგორც ზემოთაც ითქვა, არ გაჩნდებოდა საფუძველი იმისათვის, რომ რომელსამე მკითხველს ამა თუ იმ მიმდინარეობის ქრისტიანად აღექვა იგი, ყალბ საფუძველს არავინ შექმნიდა, მხოლოდ ბუნებრივად შეიძლებოდა, რომ გაჩენილიყო ამგვარი აზრის გამოსათქმელი საფუძველი და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, გაჩნდა კიდეც და, აქედან და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვაძლევთ თავს უფლებას, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მონოფიზიტური მიმდინარეობის ქრისტიანი იყო ძეგლში მოხსენიებული „ბარბაროზი" და რომ მონოფიზიტობის კვალი მოჩანს ამ პიროვნებასთან დაკავშირებულ ეპიზოდში; მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში არ არის ნახსენები სიტყვა „სომეხი", როგორც ვნახეთ, დავითის მიერ ბუბაქრისათვის სომხურად

მიმართვის ფაქტი არ დაუმალავთ, სიტყვა „სომეხის“ არხსენების ფონზე კი ფრაზა, რომლიდანაც სომხურ ენაზე დავითის მეტყველების შესახებ ვგებულობთ, ტექსტში განსაკუთრებულ სახეს იძენს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რომელიღაც გარემოებაზე მიმანიშნებელი ფუნქცია ენიჭება მწერლის ამ სიტყვებს, რომ ფრაზა სომხურად მიმართვის შესახებ ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს მინიშნების ფუნქცია აკისრია მას, თითქოს მინიშნების მიზნით განზრახ დაუნერიათო ეს სიტყვები. საერთოდ, ალბათ არც უნდა იყოს სადავო, რომ ისე, უბრალოდ, არ იტყოდნენ, სომხურად რომ დაელაპარაკა ბუბაქრს დავითი, რაღაცას გვეუბნებიან, რაღაც განსაკუთრებულის თქმა უნდათ ამ სიტყვებით, თუ წინარე ტექსტიდან არის ეს ფრაზა გადმოტანილი, საფიქრებელი ხდება, რომ რომელიღაც მნიშვნელოვან გარემობაზე ჩვენი ყურადღების მისაქცევად გადმოუტანიათ იგი, და თუ მივიჩნევთ, რომ ბუბაქრის სომხობის ფაქტს გვაგებინებენ ამ ფრაზით, მაშინ შეგვიძლია, დავუშვათ ვარაუდი, რომ მის ანტიქალკედონელობაზე გვანიშნებენ, „ბარბაროზად“ მოხსენიება ვერ აკონკრეტებს ბუბაქრის კონფესიას, სომხობაზე მინიშნება კი, თუკი არის ასეთი რამ, გვაფიქრებინებს, რომ მონოფიზიტი სომეხი იყო ეს ადამიანი, რომ ბუბაქრი მონოზიფიტური, ხოლო დავით გარეჯელი დიოფიზიტური აღმსარებლობის მაღიარებელნი გახლდნენ და დავითმა თავის სარწმუნოებაზე გადაიყვანა მასთან სამტროდ მისული ეს „ბარბაროზი“ კაცი. თუ დავრწმუნდებით, რომ დავით-ბუბაქრის პირველი საუბრის ეპიზოდში სომხური ენის ხსენებით ერთ-ერთი მათგანის მონოფიზიტობაზე მართლაც არის მინიშნება გაკეთებული, მაშინ არც იმაში უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რომ ქალკედონელი ავტორი, ბუბაქრის გარდა, სხვა არავიზე გააკეთებდა ამ მინიშნებას.

ამრიგად, შეგვიძლია დავუშვათ ვარაუდი, რომ განსახილველ ტექსტში „სომხად“ იყო მოხსენიებული ბუბაქრი, რომ ე. ი. მონოფიზიტი ქრისტიანი გახლდათ იგი და, რადგანაც ძირითადად იმის გამო, რომ სომხეთთან ურთიერთობის დაძაბვა არ სურდათ, რადგან ბუბაქრის საქციელი უარყოფით კონტექსტში წარმოსახავდა მონოფიზიტობას, აღარ ახსენეს მისი სომხობა, დამალეს ბუბაქრის ეროვნება და, შესაბამისად, სჯული, თუმც მაშინ, როცა გვითხრეს, რომ „სომხურითა ენითა“ მიმართა მას დავითმა და, როცა „ნათესავით რუსთაველობა“ გვიხსენეს, ფაქტობრივად იმაზეც მიგვანიშნეს, რომ სომეხი იყო იგი, რომ მონოფიზიტური აღმსარებლობისა გახლდათ ნმიდა დავითთან ჯერ სამტროდ მისული, შემდეგ კი მის მიმდევრად ქცეული კაცი, სახელად ბუბაქრი (აქვე ვიტყვით, რომ სახელი ბუბაქრი/აბუბაქრი არაბულ სამყაროშია გავრცელებული და საინტერესოა, რომ მეექვსე საუკუნის ქართლში მცხოვრებ პიროვნებას ჰქვია იგი; გამოსაკვლევია, რამდენად იყო ეს სახელი იმდროინდელ კავკასიაში გავრცელებული; არც ის არის გამორიცხული, ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტში შეცვლილი სახით იყოს ამ პიროვნების სახელი შემონახული, შესაძლოა, სემიტური ან იქნებ არასემიტური წარმოშობის მსგავსი, ოღონდ სხვა სახელი, ერქვა მას; სანამ საკითხი დაზუსტდებოდეს, ცხადია, იმგვარად უნდა მოვიხსენიოთ ეს კაცი, როგორც ტექსტიდან ვიცნობთ).

ჩვენი ძირითადი დასკვნები ასეთ სახეს ღებულობს: ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი იმ მოსაზრების გამოსათქმელად, რომ „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი პიროვნება – ბუბაქრი ეროვნებით სომეხი, ანუ მონოფიზიტი იყო, რაც იცოდა ნაწარმოების ავტორმა, როგორც საფიქრებელია, კათოლიკოსმა არსენ მეორემ, მაგრამ გაცხადებულად არ თქვა და მხოლოდ მინიშნებებით გვითხრა ეს, რისი მიზეზიც, შესაძლოა, ის იყო, რომ არსენის წრეში ქართველ-სომეხთა ურთიერთობის მოწესრიგების სურვილი ჰქონდათ და ამ მონესრიგებას კი ხელს ვერ შეუწყობდა ნაწარმოებში ბუბაქრის ეპიზოდის იმგვარი სახით შეტანა, რომ მონოფიზიტობა უარყოფით კონტექსტში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუ აღმოჩნდა, რომ ყოველივე მართლაც ასეა, თუ დადასტურდა, რომ ბუბაქრის სახის მიღმა მისი ყოფილი მონოფიზიტობა იმალება, მაშინ უფრო დამაჯერებელი გახდება მართებულობა დებულებისა, რომლის თანახმად, ქალკედონელები იყვნენ ასურელი ბერები, როგორც ამას არაერთი მეცნიერი მიიჩნევს (ფერაძე 1928: 7; ჯავახიშვილი 1979: 410-415).

ბუბაქრი ქართული ეკლესიის მიერ, ცხადია, იმ პირთა შორის მოიაზრება, რომლებიც დიდ პატივს იმსახურებენ, ჯერ ცოდვის სიბნელეში მყოფ და შემდეგ სიკეთის ნათელში გამოსულ პიროვნებად არის იგი დანახული. ამ პიროვნების ხასიათის ზოგიერთი მხარის დანახვაში სახარებასთან გაკეთებული პარალელები გვიწევს დახმარებას. ტექსტი ისეა დაწერილი, რომ სახარებაზე მიგვანიშნონ, სახარებისეულ პარადიგმებზე დაყრდნობითაა ბუბაქრისა და მისი ოჯახის მოქცევის ეპიზოდი გადმოცემული: გალილეას კანაში მყოფ უფალთან მიდის ერთი კარისკაცი, რომელიც აგებინებს მას, რომ შვილი ძალიან ავად ჰყავს, რომ სიკვდილის პირას არის იგი და ევედრება უფალს, „რაჲთა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძე იგი მისი“. იესო მიუგებს: „უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენენ“, კარისკაცი ისევ სთხოვს: „უფალო, მოვედ პირველად სიკუდილამდე ძისა ჩემისა“ და იესო ეუბნება: „ვიდოდე, ცოცხალ არს ძე შენი“. „და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებვოდეს მას და უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს“. კაცი კითხულობს, თუ „რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა“, მიუგებენ, რომ „გუშინ მეშვდესა ჟამსა ოდენ დაუტევა იგი მჴურვალებამან“ და შემდეგ ნათქვამია, რომ „მოეჴსენა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა“ (იოანე 4: 47-53). ბუბაქრი უფლის მიერ განკურნებული ვაჟის მამასთან არის მიმსგავსებული, ორივეს სნეული ძე ჰყავს შინ, ორივეს გარედან კურნავს უფალი, ორივე კითხულობს, თუ რომელ საათზე განიკურნა სნეული და ყურადღებას აქცევენ იმას, რომ სწორედ ამ დროს თქვა, ერთ შემთხვევაში, იესომ, მეორეში კი,

იესოს წმიდანმა, განმაკურნებელი სიტყვები. ბუბაქრის მთელი ოჯახი იქცევა ღმერთისკენ, ისევე, როგორც კარისკაცისა. ბუბაქრი მათეს სახარებაში მოხსენიებულ ასისთავსაც ჰგავს; ასისთავი შინ მყოფი მონის განკურნებას სთხოვს უფალს, იესო მიუგებს მას: „მე მოვიდე და განვკურნო იგი", ასისთავი ეუბნება: „უფალო, არა ღირს ვარ მე, რაჲთამცა სართულსა ქუეშე შემოხუედ, არამედ სიტყჳთ თქუ და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი", იესო ამბობს: „ამენ გეტყჳ თქუენ: არცაღა ისრაჱლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე" და ცოტა ქვემოთ კი ნათქვამია: „და ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: ნარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ, და განიკურნა მონაჲ იგი მისი მას ჟამსა შინა" (მათე 8: 5-13). ასისთავი დიდ რწმენას ავლენს იმით, რომ სწამს, უფალი შორიდანაც განკურნავს მის მონას, უფლის მიერ მონის განსაკურნებლად სიტყვების წარმოთქმისას ინკურნება ეს მონა.

ბიბლიასა და ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში გადმოცემულ მოვლენებში პარალელების არსებობის ფაქტი იმაზე კი არ მეტყველებს, რომ ჰაგიოგრაფიაში აღწერილი ისტორიები სინამდვილეში არ მომხდარა და გამოიგონეს ისინი ჰაგიოგრაფებმა, არა, ცხადია, მოხდა ეს ისტორიები, ჰაგიოგრაფები იმას ცდილობენ, რომ ბიბლიურსა და ამ თუ იმ წმიდანის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს შორის მსგავსება იპოვონ და, როგორც კი დაინახავენ მას, მაშინვე ბიბლიაზე მინიშნებით ინყებენ ნერას, რათა კარგად დაანახონ მკითხველს, რომ ღვთისმიერ გზაზე დგას, რომ მისი მიმდევარია წმიდანი; ხშირ შემთხვევაში პიროვნულადაც გვანან ხოლმე ერთმანეთს ის ადამიანები, ვისზედაც არის ბიბლიასა და ამა თუ იმ ჰაგიოგრაფიულ საკითხავში საუბარი და ჰაგიოგრაფიის პერსონაჟთა დანახვაში ამ გზითაც გვეხმარება ბიბლია; ბუბაქრი, მაგალითად, წმენის ძალით ჰგავს სახარებისეულ კარისკაცსა და ასისთავს, ხასიათის სხვა მსგავსი ნიშნების მოძებნაც არის შესაძლებელი, რაც უკეთ დაგვანახებს „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებაში" მოხსენიებული ამ პიროვნების სახეს.

სახარებისეულ პარადიგმებთან დაკავშირებით ყურადღებას „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების" ის ადგილიც იქცევს, რომელშიც მამას შვილის განკურნების შესახებ ამცნობენ და ეუბნებიან: „დღეს მესამესა ჟამსა აღდგა ეგე"; გასაგებია, რომ აქ ნათქვამია: „დღეს, მესამე საათზე, ადგა იგი", მაგრამ სიტყვათა წყობა ისეთია, ისეთი ლექსიკაა შერჩეული, რომ სხვა ასოციაციაც დაიბადოს, ცხადია, მესამე დღეს უფლის მკვდრეთით აღდგომა გაახსენდება ხსენებული სიტყვების ნაკითხვისას არაერთ მკითხველს და მთხრობელის მიზანი სწორედ ამ ასოციაციის შექმნაა. საეკლესიო მწერლობაში ხშირად, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ავტორთა მიერ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების" ის ეპიზოდი, რომელშიც წმიდანის მიერ ქრისტესკენ ბუბაქრის მოქცევა არის აღწერილი, იმ აზრს ბადებს, რომ „წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების" აღმწერ ძველ ტექსტში წმიდა დავით გარეჯელის მიერ მონოფიზიტი ადამიანის დიოფიზიტობაზე მოქცევის ისტორია იყო გადმოცემული, რაც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ასურელი მამები ანტიქალკედონელები, მონოფიზიტები, იყვნენ.

დამოწმებანი

გაბიძაშვილი 1982: ე. გაბიძაშვილი. „ასურელი მოღვაწეების ცხოვრებათა" ე. ნ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბილისი.

კეკელიძე 1956: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი.

კეკელიძე 1980: კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ., I. თბილისი.

კუჭუხიძე 2012: გ. კუჭუხიძე. მონაზონთა გზა „წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში". *სემიოტიკა*, #12. თბილისი.

ორბელიანი 1949: სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული. ს. იორდანაშვილის გამოცემა, თბილისი.

სარჯველაძე 2001: ზ. სარჯველაძე. ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

ფერაძე 1928: G. Peradze. Die Anfänge des Mönchtums in Georgien. – Zeitschrift für Kirchengeschichte, 47, Heft 1, Stuttgart.

ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება. ტ., II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ქეგლი 1950: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. I, ტომის რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი.

ჩხარტიშვილი 1997: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის ნყაროთმცოდნეობითი (IV-VII სს. ისტორიის ამსახველი ძეგლები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ძეგლები 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნ., 1. დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ქანკიევმა და ც. ჟღამაიამ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბილისი.

ISSUE OF CONFESSION IN "LIFE OF SAINT DAVID GAREJELI"

Gocha Kuchukhidze
Father Michael (Mikheil Khutsishvili)

The article provides discussion of one of the episodes of "Life of Saint David Garejeli". Saint David lived in 6th century and the most ancient available redaction of his 'Life' is dated by 10th c. The hagiographer describes how Saint David has converted the infidel man called Bubakr into Christianity, the latter threatened David that he would kill him but after the miracle done by David he was converted to Christianity.

David talked to Bubakr in Armenian language, this might be treated that Bubakr was Armenian. But the author does not directly state Bubakr's ethnic belonging, he provides a hint only.

The author of the present atricle focuses on the fact that in the medieval Georgia, the term 'Armenian', together with the ethnic meaning was used for reffereing to confession, in particular it meant 'Monophysite'. We suppouse that in the original text that provided basis for the 10th century redaction of 'Life of Saint David Garejeli', Bubakr was described as an individual with Monophysite confession and there was demonstrated that the Monophysite man intended to kill the holy monk and he changed his mind only after healing Bubakr and his child from illness by this monk. We offer that as in the episode of Bubakr Monophysite was used in the negative context, the author of 'Life of Saint David Garejeli' has not mentioned in his work 'Armenian' at all and this, supposedly, was conditioned by the fact that this author and his circle attempted to improve relationships between Georgia (Kartli) and Armenia after church schism between them and presenting Monophysite in the negative context would do nothing good for improvement of these relationships.

მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით

ქეთევან მანია

იდენტობის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს სამშობლო მიწა, მამული, რომელსაც ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ინგლისელი მკვლევრის, ე. სმითის დაკვირვებით, აქვს „საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა ნევრისთვის საერთო უფლება-მოვალეობანი" (ჩხარტიშვილი 2004: 36). ე. სმითი მიუთითებს, ნაციების საკრალურ საფუძვლებზეც. მისი შეხედულებით საკრალურობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სამშობლო მიწის, როგორც წმინდა მიწის, განცდა, რომელიც უკავშირდება საერთო ბედისწერას, ქვეყნისათვის თავშენირულ გმირებს, რომელთა ხსოვნის რიტუალური გააქტიურება ერთობის წევრთა ცნობიერებაში ნაციონალისტ ლიდერთა მუდმივ საზრუნავს შეადგენს. ერთობის ნაციონალიზაციის პროცესში ხდება წმინდა მახსოვრობათა ტერიტორიალიზება და გმირული ისტორიული ეთნოლანდშაფტების ჩამოყალიბება (ე. სმითის თვალსაზრისს ვიმონმებ მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანიას ნაშრომიდან (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 30).

XIX ს-ის II ნახევარში ტერიტორიული მოცემულობის თვალსაზრისით, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო. მამულის, სამშობლო ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის ნინაშე დადგა ქართული იდენტობა. ქართული მინები უცხო იდენტობის ხელში გადადიოდა. ამ საშინელ მოვლენას ქართველმა სამოციანელებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, საადგილმამულო ბანკის დაარსებით გაუმართეს ბრძოლა. რუსულმა მმართველობამ დიდი გავლენა მოახდინა ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაზეც. იმდენად დაეცა ქართველთა თვითშეგნება, რომ პირად ინტერესებს ყოველგვარ საზოგადო საქმეზე მაღლა აყენებდნენ. ინდიფერენტიზმს მყარად ჰქონდა გადგმული ფესვები და საერთო ეროვნული საზრუნავის გარშემო ერთობის შედგენა ურთულეს საკითხს წარმოადგენდა. ქეშმარიტი მამულიშვილის პოვნა, ი. გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიოგენეს ფარნითაც კი შეუძლებელი იყო.

ქართული ინტელიგენციის უმთავრესი საზრუნავი მამული და საკუთარი ვინაობის დაცვა გახდა. ამ მიზნით აქტიური პროპაგანდა გაიმართა ბეჭდურ მედიაში. მედია ამ მასალებით საერთო სატკივარის გარშემო რაზმავდა მკითხველ ერთობას, აძლიერებდა მკითხველებში იდენტობის განცდას, მოუწოდებდა მათ ეროვნული იდეალებისთვის ბრძოლა-თავგანნირვისაკენ. ი. გოგებაშვილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

არაერთი მკვლევარი შეეხო იაკობ გოგებაშვილის პატრიოტული შეხედულებებს. განსხვავებული მოსაზრებები აღინიშნა მის მიერ მოზარდის ზნეობრივი აღზრდის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებზე. დ. ყიფშიძე ფიქრობდა, რომ პატრიოტულმა აღზრდამ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი იაკობთან და უარყოფდა ზნეობრივი აღზრდის რელიგიური იდეის არსებობას (ყიფშიძე 1940: 47). მართალია ი. გოგებაშვილი უპირატესობას ანიჭებდა პატრიოტულ აღზრდას, მაგრამ არ გამორიცხავდა ქრისტიანული სარნმუნოების როლს ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. ამ მხრივ, დიდი ქართველი პედაგოგის შეხედულებები გაანალიზებული აქვს გ. კვანტალიანს (კვანტალიანი 1990: 45-47). ტ. სარიშვილი მიიჩნევდა, რომ გმირობისა და სიმამაცის ისტორიული მაგალითებით ი. გოგებაშვილი მოსწავლე-ახალგაზრდობაში აღვივებდა მშობლიური ერის სიყვარულს, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანნირვისა და მტერთან შეურიგებლობის გრძნობებს (სარიშვილი 1940: 35-36). მამულიშვილობის აღზრდის საკითხს ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობაში ეხება ჟ. ბლაგიძე (ბლაგიძე 1990). პატრიოტიზმის თემა იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში განხილულია ნ. ყურაშვილის სტატიაშიც (ყურაშვილი 2008: 54-57). ამავე თემაზე არაერთი საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული თავიანთ ნაშრომებში გ. გოგოლაშვილს, შ. ძიძიგურს, ზ. ჭუმბურიძეს, ი. მეგრელიძეს, ვ. რამიშვილს და სხვებს.

ნინამდებარე გამოკვლევაში შეეეცდები განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით – ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში წარმოვადგინო ი. გოგებაშვილის მამულიშვილური ღვანლი ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მისივე პუბლიცისტური წერილების ანალიზით.

სამშობლო მიწა-ნყალს, გარდა იმისა, რომ არის საცხოვრებელი ტერიტორია, აქვს საკრალური მნიშვნელობაც. იგი არის დიდებულ მამა-პაპათა სავანე, რომლის დაცვა მამულიშვილთა უპირველესი ვალდებულებაა. თუმცა ქეშმარიტი მამულიშვილები ი. გოგებაშვილის თანამედროვეობაში არ ჩანდნენ. ამიტომაც იგი ხალხში მამულიშვილური გრძნობის გაღვიძების მიზნით, ერთი მხრივ, აქტიურ საუბრებს მართავს მკითხველებთან, მეორე მხრივ, ერსა და ინტელიგენციას შორის მჭიდრო სულიერი კავშირის დამყარების აუცილებლობაზე მიუთითებს. ერსა და ინტელიგენციას შორის კავშირის განმტკიცება და გაძლიერება კი შესაძლებელი იყო ენის, ეროვნული ლიტერატურის, ქვეყნის ისტორიის შესწავლით. სწორედ

აქეთკენ უნდა წარმართულიყო ქვეყნის გულშემატკივართა მუშაობა. საზოგადოებას უნდა ეზრუნა მოწაფის ეროვნული კულტურით დაინტერესებაზე, უნდა აღეზარდა იგი ერის გულით და სულით შეთვისებულ შვილად:

> პატრიოტად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო... ეროვნულ გრძნობას დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ეჭირება... დიაღ, სუსტია ჩვენში ეროვნული გრძნობა, მამულის სიყვარული (ივერია 1882, №1),

გულისტკივილით შენიშნავდა ი. გოგებაშვილი და ამ მხრივ ხალხში აქტიური მუშაობის გაშლისაკენ მოუწოდებს ქართულ ინტელიგენციას.

მას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ის ფაქტი, რომ მამულის სიყვარულის წმინდა გრძნობით გამსჭვალული ყოფილა ჩვენი ინტელიგენციის მცირე ნაწილი, რომელთა უმთავრესი საზრუნავი ჩვენი ეროვნობისა და ვინაობის წარმატება გამხდარა, რომლის გარეშე არცერთ ხალხს არ შეუძლია არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობდნენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ იყო გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ამ პერიოდში ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობდნენ ჩვენი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისათვის. ერთი სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულს მიუღია ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელ მიმართულებასაც დასდგომია ევროპის დაწინაურებული ნაწილი.

თუმცა, ინტელიგენციის მცირე ნაწილის მონდომება საკმარისი არ იყო. ეროვნული ნარმატების მისაღწევად საერთო, სახალხო დარაზმულობა იყო საჭირო. ქართულ საზოგადოებაში კი, როგორც ზემოთ მივუთითე, ეროვნული გრძნობის სისუსტე შეიმჩნეოდა. პრობლემის დაძლევა მამულის სიყვარულის გაძლიერებით, ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდით იყო შესაძლებელი. აღნიშნული თვალსაზრისით, ი. გოგებაშვილის შეხედულებით, უდიდეს კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა დიდი წინაპრების ზნეობრივი მაგალითების, სახელოვან მამულიშვილთა სასიკეთო საქმეების გამომზეურება და საზოგადოებისთვის მინოდება-გაცნობა:

> ერთი უპირველესი ღონისძიება პატრიოტობისა, მამულის სიყვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოქმედებისადმი, მათი ნაქეზება, გამხნევება პატივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მოქმედს პირს ერთი-ორად უმატებს ძალასა, ფრთებს უსხავს და ადვილად ატანინებს ყოველგვარ განსაცდელს იმ ეკლიან გზაზედ, რომელსაც აქამდის წარმოადგენს მამულის სამსახური (ივერია 1882, №1).

მის აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართულ საზოგადოებაში გამოიკვეთა ამ თვალსაზრისით გამოღვიძების ნიშნები, დაიწყეს საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე პირების პატივისცემის, თანაგრძნობის, დაფასების გამოცხადება. ი. გოგებაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ისეთ პირთა დაფასებაზე, რომელთაც დიდი ნვლილი მიუძღვით ჩვენი ვინაობის აღდგენასა და ეროვნულ აღორძინებაში. მაგალითად მოიხმობს ჩუბინაშვილის დახვედრას ქართული საზოგადოების მიერ. ამ ფაქტს „ეროვნული პრინციპისა" და „ხალხოსნური მიმართულებისთვის" სოლიდარობად მიიჩნევს (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 282). აქვე სიხარულით აღნიშნავს, რომ ხალხოსნური მიმართულების დაფასება ინტელიგენციის მცირე დასიდან საზოგადოებაშიც გავრცელდა და ღრმად იდგამდა ფესვს.

„ეროვნული პრინციპის" გაძლიერებისათვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული მახსოვრობის გააქტიურებას და ამ მიმართულებით ხშირი საუბრების გამართვას მკითხველთათვის. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ი. გოგებაშვილს და წარსულის ღირსების გააქტიურებით საკუთარი ვინაობის დაცვისაკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს. ევროპის მაგალითის მოხმობით (ევროპის პატარა ერებს გაუცნობიერებიათ ხალხის სიცოცხლისა და ნარმატებისათვის დედა ენისა და ეროვნობის უდიდესი მნიშვნელობა და დიდ სახელმნიფოსთან შეერთებული, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ ისინი ღირსი იყვნენ დაცულ იქმნან თავიანთი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით), მიზნის მიღწევის საუკეთესო ღონისძიებად ასახელებს წარსული ღირსების, ღვაწლის, თავისებურების გამორკვევას და გამოაშკარავებას. ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება ყოფილა ჩვენში. ავტორის თქმით, ქართველები საარაკო სიბრმავის ყოველი ღონისძიებით მალავდნენ წარსულ ღირსებას, უარყოფდნენ ყოველივე მის თავისებურებას და ღვაწლს, ამით კი ძირს უთხრიდნენ ჩვენს აწმყოსა და მომავალს... (ივერია 1890, №104).

ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობას იდენტობის დღეგრძელობისთვის, წარსული ღირსების რეპრეზენტაციის როლს ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდაში. ი. გოგებაშვილის თანამედროვეობაში არსებული ვითარების გათვალისწინებით აუცილებლობით იყო განპირობებული, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ხასიათის გამოკვლევების შექმნა, ვინაიდან საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის შესახებ აღინიშნა ნიჰილისტური დამოკიდებულება ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან, რომელთა შორის იყო ნ. მარი.

ამ საკითხს მიეძღვნა ი. გოგებაშვილის სტატია „ძირითადი უკუღმართობა", რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1890 წელს გაზეთ „ივერიაში", ბროშურის სახით კი პირველად გამოიცა 1892 წ. იმავე სათაურით,

ხოლო მეორედ 1903წ. სათაურით „ბურჯი ეროვნებისა". ამ პუბლიკაციას კრიტიკული განხილვა მიუძღვნა 1904 წელს ი. ჯავახიშვილმა წერილით „მამულიშვილობა და მეცნიერება", სადაც ი. ჯავახიშვილი არამართებულად აცხადებს ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ხასიათის თხზულებების მნიშვნელობას ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად და მავნებლად მიიჩნევს „უსარგებლო" აზრების გავრცელებას საზოგადოებაში. ადვოკატურ-გამოსარჩლებითი თხზულებები, მისი აზრით, „მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შესცვლიან... ბრნყინვალე ნარსული ვერას უშველის... ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი" (ცნობის ფურცელი 1904, №2453). ი. ჯავახიშვილი საუბრობს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე, რაც ამ დროისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა, ვინაიდან საქართველოს ისტორიის მეცნიერული ანალიზი ჯერაც არ იყო გაკეთებული. მაგრამ ამავე დროს აუცილებელი იყო ხალხში ნაციონალური სენტიმენტების გაღვივება, ქართული ერთობის შედგენა და საკუთარი ვინაობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

არაერთი გამოხმაურება მიეძღვნა ბეჭდურ მედიაში ი. ჯავახიშვილის კრიტიკულ ნერილს, რომელთა შორის აღსანიშნავია ა. ნერეთლის სტატია სათაურით „ქართველთმოძულენი". იგი ხაზგასმით მიუთითებს ი. გოგებაშვილის ღვაწლს საზოგადო საქმეში. აქვე აღნიშნავს, რომ უცხო ქვეყნებში თავიანთ გამოჩენილ პირებს და საზოგადო მოღვაწეებს პატივისცემით იხსენიებენ და საქმითაც ხელს უწყობენ. ჩვენში სრულიად განსხვავებული ვითარება ყოფილა ამ მხრივ:

> სიტყვით რომ ცამდი აჰყავთ, საქმით ქვესკნელს უთხრიან... სანამ ცოცხალია, მისს სადღეგრძელოსა ჰსმენ, ავად რომ გახდება, პარაკლისებს უხდიან, და რომ მოკვდება – პანაშვიდებს... (ივერია 1904, №130).

სხვა სტატიებიც გამოქვეყნდა პრესაში ი. ჯავახიშვილის კრიტიკულ ნერილთან დაკავშირებით. წერილი „მამულიშვილობა და მეცნიერება" ანტიქართული შინაარსის კრიტიკად იქნა დასახელებული უცნობი ავტორის მიერ (ივერია 1904, №189, №190). ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმაც მიუძღვნა წერილი ი. ჯავახიშვილის სტატიას (ცნობის ფურცელი 1904, №2472), თუმცა, მ. ჯანაშვილის გამოხმაურება უფრო განპირობებული ჩანს ი. ჯავახიშვილის მისდამი მომართული კრიტიკით.

XX ს. უკანასკნელ მეოთხედში ჯავახიშვილ-გოგებაშვილის პოლემიკა ისევ გახდა სამეცნიერო კამათის საგანი. რ. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ „... გარემოებანი, რასაც იმპერიის პოლიტიკა არასოდეს მოგაკლებს და იძულებულს გხდის ჭიდილში ხან პუბლიცისტურ გადახვევებში ეძიო გამოსავალი. ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა არ არის სწორხაზობრივი მოვლენა" (ჩხეიძე 1997:109-121). გ. ყორანაშვილის თვალსაზრისით, კი ი. გოგებაშვილი მიხვდა, რომ:

> ივანე ჯავახიშვილთან აღნიშნული საკითხის თაობაზე კამათში მას მეცნიერული საფუძველი არ ეყოფოდა და შომდეენო ნლების მანძილზე, ალბათ, საკმაოდ გააცნობიერა ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების, შეფასებაში იგი მართალი არ იყო. შესაძლოა იგი თავისი პოზიციის სისუსტესაც მიხვდა (ყორანაშვილი 1999: 81).

ჩემს მიზანს არ შეადგენს იმის გარკვევა ვინ იყო მართალი გამართულ პოლემიკაში. მე მხოლოდ შევეცდები განსხვავებული კუთხით წარმოვადგინო ი. გოგებაშვილის ღვაწლი. როგორც პუბლიცისტური ნერილების ანალიზით იკვეთება, მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში მთავარი ადგილი ხალხს, ყველა საქმეში ხალხის ინტერესის გათვალისწინებას უკავია და ამასვე მოუწოდებდა სხვებსაც. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მოგონება ი. გოგებაშვილზე. როდესაც მან გაუმხილა ი. გოგებაშვილს თავისი განზრახვა, რომ სურდა დაენერა ოპერა „რნყილი და ჭიანჭველა", ასეთი რჩევა მიუცია მისთვის „ასი სიტყვა და ერთი მოტივი შთაბეჭდილების მხრივ ერთმანეთს უდრისო. მხოლოდ ამას გთხოვ, ოპერის დანერისას, რაც შეიძლება, მეტი ხალხური მოტივი ჩაურთეო. ჩემი ნიგნები იმიტომ გადის, რომ მე ვცდილობდი მელაპარაკა ხალხთან მისთვის გასაგებ ენაზეო" (ფოცხვერაშვილი 1940: 81-84). ამიტომაც სცემდნენ განსაკუთრებულ პატივს. ამიტომაც დაისაკუთრა განსაკუთრებული ადგილი „დედა ენამ". ამას თვით ი. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა „ბ-ნ გოგებაშვილს ჩვენში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იმის აზრს და შეხედულებას საზოგადოება ყურადღებით ისმენს ხოლმე" (ცნობის ფურცელი 1904, №2453). მაგრამ ი. ჯავახიშვილის კრიტიკაში ი. გოგებაშვილი პირადი წყენის ანარეკლს ხედავს. იგი ახსენებს ი. ჯავახიშვილს 1903 წელს. მასთან დაპირისპირებას. პირველი შენიშვნა, რომელიც მისთვის უთქვამს, შეეხებოდა ნმ. ნინოს და ანდრია მოციქულის მოღვანეობას. ახსენებს ი. ჯავახიშვილს ნმ. ნინოს მიერ საქართველოს გაქრისტიანების ისტორია ხალხის არაკად რომ გამოაცხადა და ანდრია მოციქულის საქართველოში მოსვლა საერთოდ ეჭვქვეშ რომ დააყენა (ცნობის ფურცელი 1904, №2481). დღეისათვის გამორკვეულია, რომ ეს შეხედულება არამართებულია, კრიტიკული ანალიზით დადგენილია ანდრია მოციქულის და ნმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.

ი. ჯავახიშვილის და ი. გოგებაშვილის პოლემიკა თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ ეთნოსიმბოლისტური მიდგომა განსაკუთრებულია ნაციონალურ ძალთა აღორძინებისათვის. ამგვარი მიდგომის ნიშნები გამოიკვეთა ქართველ სამოციანელებში, მათ შორის ი. გოგებაშვილის ნააზრევში.

> ეს იყო დრო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივაყრილი ოჯახებში; არისტოკრატიას ერცხვენებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავის მოსანონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულად მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა... (სახოკია 1984: 38).

ასეთ ვითარებაში პირველი რიგის ამოცანას ნაციონალური გრძნობების გაღვივება და გაძლიერება შეადგენდა. ეს ის შემთხვევაა, როცა ნაციონალურ გრძნობას უნდა შეესრულებინა თავისი მისია გამთლიანების საკითხში.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ი. ჯავახიშვილის კიდევ ერთ საყვედურზე ი. გოგებაშვილისადმი:

> ბევრს ეგონა და ჰგონია კიდეც, ვითომც საკმარისია ბ-ნმა ვარიანელმა „Петербур. Вед.“-ში სტატია დაბეჭდოს და უმაღლეს სასულიერო მთავრობას აუწყოს საქმის ვითარება, ჩვენი ერთგულება და ისტორიული ღვაწლი ქრისტიანობის წინაშე („მრავალ ტანჯული ჯვაროსანი ერი“), რომ მაშინვე ეთქვათ პეტერბურგში, ეს რა ჩაუდენიათ, შემოღებულ იქმნას ქართული ენა სამეგრელოს სკოლებშიო, იმის მაგივრად ეცადნენ ყოველის ღონისძიებით იმდენად ააღორძინონ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულის ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასათვის ცხოვრებაშიც, აღებ-მიცემობაშიაც, იმის მაგივრად, რომ სამეცნიერო თუ ხელოვნურ მწერლობის წარმატების ხელის შენყობის ნყალობით ჩვენ დედაენას მტკიცე, მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ (ცნობის ფურცელი 1904, №2453).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ი. გოგებაშილის ბრძოლა დედა ენაზე სწავლების თაობაზე მარტოოდენ ქრისტიანობის ერთგულების და ისტორიული ღვაწლის ამსახველი წერილების წერით არ შემოიფარგლებოდა. მთელი იმდროინდელი პრესა ამის თვალსაჩინო დადასტურებაა, სადაც ასახულია ი. გოგებაშვილის კამათი ამ საკითხებთან დაკავშირებით იქნება ეს მასწავლებელთა თუ წერა-კითხვის საზოგადოების კრება. სნორედ მისი განთავისუფლებაც მასწავლებლობიდან ხომ ამ საკითხს უკავშირდებოდა. ნინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გეგმაც ხომ მისი შედგენილი იყო და მთავრობა იძულებული გახდა დაემტკიცებინა, ვინაიდან გეგმაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა ნათლად იყო განმარტებული. არც მისი ბრძოლა იანოვსკისთან, ლევიტსკისთან, ვოსტორგოვთან თუ სხვა გარუსების პოლიტიკის გამტარებლებთან უნდა დაგვავიწყდეს.

გარდა ამისა, როდესაც ი. გოგებაშვილი გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე ურთულესი ვითარებაა ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. პოლიტიკური თვალსაზრისით მძვინვარებს რუსული კოლონიალიზმი. კულტურული თვალსაზრისით მრავალთა შორის აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიის წყაროები მიმოფანტული იყო, არ არსებობდა ერთიანი ბაზა საქართველოს ისტორიის წყაროებისა. მხოლოდ XIX ს-ის 60-იანი ნლებიდან დაინყო ამ თვალსაზრისით აქტიური მუშაობა. ქართველი მოღვაწეების მონდომებით და დაუღალავი შრომით განხორციელდა საქართველოს ფარგლებში თუ ფარგლებს გარეთ მიმოფანტული საქართველოს ისტორიის წყაროების თავმოყრა 1879 წ. დაარსებული „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ და 1888 წ. სიონის ტაძრის ეზოში დაარსებულ საეკლესიო მუზეუმის საცავებში. ასე რომ, როდესაც ი. გოგებაშვილი გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე სხვა გამოწვევების წინაშე იდგა ქართული საზოგადოება, სხვა პირველხარისხოვანი პრობლემების დაძლევაში უწევდა მონაწილეობის მიღება. ეს იყო იდენტობის გადარჩენა-შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ეს ბრძოლა მის მიერვე შექმნილი სახალხო სახელმძღვანელოთი – „დედა ენით“ გამართა.

რაც შეეხება პერიოდს, როდესაც გაიმართა პოლემიკა ი. ჯავახიშვილსა და ი. გოგებაშვილს შორის, სხვა ვითარებაა. ამ დროისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწეების მონდომებითა და გარჯით შექმნილია საქართველოს ისტორიის წყაროების საცავები და ბაზები. დაინტერესებულ პირს შეუძლია იმუშაოს წყაროებზე და მათი კრიტიკული ანალიზით დაიცვას საკუთარი იდენტობა, გაფანტოს ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის, საერთოდ, ქართული კულტურის მიმართ. მართალია, წყაროების მოძიება-დაცვაზე ხელი ქართულ საზოგადოებას არ აუღია და კვლავაც აგრძელებდნენ ამ მიმართულებით მუშაობას, მაგრამ არსებული ბაზა იძლეოდა იმის შესაძლებლობას რომ სპეციალისტი ჩასჯდომოდა და შეექმნა განმაზოგადებელი ნაშრომები. ამ თვალსაზრისით გასწია უზარმაზარი ღვაწლი ი. ჯავახიშვილმა. მის სახელს უკავშირდება წყაროს შინაგანი კრიტიკის დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც დასავლეთ ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის ქართულ მაგალითზე მორგებით მოგვცა განმაზოგადებელი ნაშრომები. ე. თაყაიშვილი სიამაყით მიუთითებდა თავის მოგონებებში ი. ჯავახიშვილის ამ დიდ დამსახურებას: მიხარია, რომ ჩემმა მონაფემ შეძლო ის რაც მე ვერ მოვახერხე მოუცლელობით და მოგვცა განმაზოგადებელი ნაშრომებიო (თაყაიშვილი 1968: 380-381).

ამდენად, განუზომელია ამ ორი დიდი ქართველი მამულიშვილის ღვაწლი საკუთარი იდენტობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. მათი პოლემიკაც ნათელი დადასტურებაა ამისა. ი. გოგებაშვილმა „დედა ენის“ სახით „აღუხოცველი ძეგლი“ დაიდგა ქართველთა გულებში და მეხსიერებაში საუკუნოდ, ი. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის ფუნდამენტური და კომპლექსური მეცნიერული ანალიზი მოგვცა და „საქართველოს ისტორიის მამის“ სახელი დაიმკვიდრა საუკუნოდ. მათი საზოგადო და მეცნიერული ღვაწლი აისახა საქართველოს უკეთესი მომავლისთვის სამაგალითო და უანგარო ზრუნვაში.

დავუბრუნდები მთავარ საკითხს. ი. გოგებაშვილს სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ქართველების შესახებ საზოგადოებაში არსებულ უარყოფით შეხედულებებზეც უნევთ პასუხის გაცემა. მის გულისწყრომას იწვევს ერთ-ერთი ასეთი შეხედულება:

> ქართველები იმდენად უნიჭონი არიან, რომ ერს ვერ შეადგენენ და მხოლოდ თემების კრებას ნარმოადგენენო. ქართველებმა ათასის ნლის განმავლობაში ვერ მოახერხეს ერთის სახელმნიფოს შედგენაო (ივერია 1894, №134).

ი. გოგებაშვილი მოაგონებს მათ ვინც ქართველებს აუგად მოიხსენიებს:

> ჰყავთ ყველა ქართველებს, იმერებს და ამერებს, ერთი მამამთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთს ენას ხმარობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს, ყველას ეროვნულ გენიოსად და ნიჭიერად მიაჩნიათ რუსთაველი, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი ნერეთელი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი, ერთის სარნმუნოების მიმდევარნი არიან. ათასის ნლის განმავლობაში საქართველო ერთს შეერთებულს სახელმნიფოს ნარმოადგენდა ფარნაოზიდგან დანყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე, რის გამოც ყველა შესანიშნავნი მეფენი ამ ხანგრძლივ დროისა, როგორც ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრნყინვალე, ყველა ქართველებს, შაეი ზღვიდგან მოკიდებული დაღესტნის მთებამდე, მიაჩნიათ ნაციონალურ გმირებად (ივერია 1894, №134).

აი, კიდევ სხვა მაგალითიც. ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში აღნიშნული ყოფილა:

> მცხოვრებთა შედგენილობით საქართველოს საექსარხოსო ნარმოადგენს უკიდურესს სხვა-და-სხვა ფერობასა; მის ვეებერთელა ტერიტორიაზედ მოსახლობენ ყოველ გვარნი ერნი, თემნი და ხალხნი, სახელდობრ: რუსნი, პოლონელნი, გერმანელნი, ბერძნები, სხვა-და-სხვა ქართველი და მთიელი თემები (разныя грузинскія и горскія племена), სომხები, ებრაელნი, ოსმალონი, თათრები და მრავალნი სხვანი (ივერია 1894, №134).

ი. გოგებაშვილის აღშფოთებას იწვევს ის, რომ ისტორიული ქართველი ერი, რომელმაც მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და მაცხოვრის თაყვანისცემა გაავრცელა მთელს კავკასიაში, ურიცხვ მტერს გასცა პასუხი, შექმნა მდიდარი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმაღლემდე ავიდა, „იხსენიება არა ერად, არა ხალხად, არამედ თემად მაჰმადიან ჩაჩნების და ინგუშების ტოლად, რომელთაც არც ანბანი აქვთ, არც მნიგნობრობა, არც ისტორია, არც კულტურა“ (ივერია 1894, №134).

ი. გოგებაშვილის თვალსაზრისით, ქართული ერთობის ფორმირებისათვის აუცილებელი იყო როგორც საზოგადო მოღვაწეებს, ისე ერს ჰქონოდა გარკვეული მიმართულება, სამოქმედო გეგმა. აღნიშნავს, რომ ქართველებს განსაზღვრული ჰქონდა სამოქმედო მიმართულება.

მისი მითითებით, ქართველების წარმატების პირველი ბურჯი იყო პოლიტიკური მიმართულება, მეორე ბურჯი – სამშობლო ენა, მესამე ბურჯი – სკოლა, მეოთხე ბურჯი – ეკლესია. შევეხები მამულის შესახებ მისეულ ხედვას.

იგი პოლიტიკური სიმბოლოს ორ მუხლს ასახელებს. ერთ-ერთ მუხლად პოლიტიკური სიმბოლოსი ასახელებს ნაციონალური ანუ ეროვნული ძალების აყვავება-გაძლიერებას. ნაციონალური ძალის საძირკველს ნარმოადგენს ტერიტორია, მინა-ნყალი, მამული, სამშობლო.

> ბატონებო! მშობლიური მინა-ნყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთი მხრივ იჰყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს ნინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. ნაართვით ერს მისი მიწა-ნყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსნყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილს რტოსა, რომელსაც გახმობა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს (ივერია 1901, №116, №117).

ამდენად, სამშობლო მიწა-ნყალი გარდა იმისა, რომ არის საარსებო ტერიტორია, ამასთან აქვს საკრალური მნიშვნელობა. ერის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის ისტორიულ წარსულთან. ისტორიული სულით გაჟღენთილი ტერიტორიის დაკარგვის შემთხვევაში ერი ვერ გააგრძელებს არსებობას. იგი დაემსგავსება ბოგანო მაწანწალას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი კერა, მამული, რომელსაც გათელავს ყველა გამვლელ-გამომვლელი. აი ამიტომ არის აუცილებელი ქართველობამ შევინარჩუნოთ საკუთარი მიწა-ნყალი, მამული და სხვის ხელში არ გადავიდეს – ამგვარად მოძღვრავს თავის მკითხველს ი. გოგებაშვილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ საზოგადოების გამოსაფხიზლებლად ი. გოგებაშვილი მიმართავს ისეთ ხერხს, რომელიც მკითხველებში აღძრავს ნაციონალურ სენტიმენტებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებო სამაგალითო ცხოვრების ამსახველ კიდევ ერთ პუბლიკაციას წარმოადგენს „ღირსეული სახსოვარი“. პუბლიკაცია სასიქადულო იმერეთის მღვდელ-მთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის წარმოჩენასთან ერთად, ეძღვნება მისი სახელის

უკვდავსაყოფად ღირსეული სახსოვარის დაწესების საკითხს. ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, რომ განსვენებული მწყემსმთავრის ღირსება იმერთა ხალხმა ორი სიტყვით გამოხატა: „მეცნიერი არქიერი". ი. გოგებაშვილი მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ „მეცნიერი არქიერის" ღვაწლის შესაბამისი ღირსეული სახსოვარის დაწესება დიდ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას. ასეთ სახსოვარად ასახელებს სასულიერო და საერო მნიგნობრობის აღორძინებას ქართულ ენაზე „განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა და განათლებასა..." პუბლიკაციას ახლავს რედაქტორის შენიშვნა, რომელიც იუწყება, რომ ავტორმა ერთი თუმანი გამოგზავნა გაბრიელ ეპისკოპოსის სამწიგნობრო თანხისათვის (ივერია 1896, №51).

> დიდებული და აღუხოცველი ძეგლი აიგო თავის თანამემამულეთა გულში...სამაგალითო ცხოვრებით ანდერძად მოგვცა: სამშობლოს სიყვარული, სიმართლე, სათნოება, ურთიერთ შორის მშვიდობა, სიყვარული, ძმობა-ერთობა და დავრდომილთა და გლახაკთათვის ზრუნვა... საუკუნოდ და სამარადისოდ იქნება დაუვინყარი ჩვენ ქართველთათვის ხსენება შენი, ძვირფასო და სამაგალითო მოძღვართ-მოძღვარო (ივერია 1896, №56)!

იაკობ გოგებაშვილი არის მისაბაძი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის სახელობის სტიპენდიის დაარსების ინიციატორიც, რომლის საქმენი მისი გარდაცვალების შემდგომაც აგრძელებენ არსებობას. მისი სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად პირველი აგზავნის 25 მანეთს იაკობ გოგებაშვილი. ინიციატივა მიზანმიმართული იყო – სტიპენდია განკუთვნილი უნდა ყოფილიყო იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც თავიანთ მიზნად დაისახავდნენ სამშობლო ისტორიის მეცნიერულ შესწავლას (ივერია 1890, №34). ისეთ ვითარებაში, როდესაც ჩვენი ისტორიის შესახებ ნიჰილისტური თვალსაზრისი დომინირებდა, ამგვარ ინიციატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. წახალისება ხელს შეუწყობდა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევით მეტად დაინტერესებას.

გაბრიელ ეპისკოპოსისა და დიმიტრი ბაქრაძის სახელობის სტიპენდიის დაარსების შემდეგ, ვასილ პეტრიაშვილის სტიპენდიის დაარსების მნიშვნელობით იქცევს მკითხველის ყურადღებას ი. გოგებაშვილი. სტიპენდიის დაარსება განაპირობებდა საზოგადოების გულითად პატივისცემას იმ ადამიანისადმი, ვინც ჭეშმარიტად იმსახურებს პატივისცემას. იგი უკვდავყოფს იმის სახელს, რომელმაც ეს უკვდავება დაიმსახურა მადლიანი შრომით. აქვე იუწყება რომ აგზავნის ფულად დახმარებას სტიპენდიის შესამატებლად ოცდახუთი მანეთის ოდენობით (ივერია 1900, №273).

დროს და ენერგიას არ იშურებდა ი. გოგებაშვილი მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტთათვის სტი-პენდიების მოსაპოვებლად. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა კ. ფოცხვერაშვილის მაგალითი. 1907 წ. მოსკოვში ჩატარებული ქართული სამუსიკო და ლიტერატურულის საღამოს გამართვაში კ. ფოცხვერაშვილის ჩართვის და საყურადღებო მონაწილეობის შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიებით აღფრთოვანებული ი. გოგებაშვილი მეცენატებს თხოვს მატერიალური დახმარება გაუნიონ, დაუნიშნონ სტიპენდია, რათა შესაბამისი განათლების მიღება შეძლებოდა სამუსიკო ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას. აქვე ვრცლად საუბრობს ქართული სიმღერის, მუსიკის, ხოროს მნიშვნელობაზე ქართული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

> ხალხური სიმღერა უფრო ძლიერს მთაბეჭდილებას ახდენს იმის შემქმნელს ხალხზე, ვიდრე უცხოზე, იგი უძლიერებს სიხარულს, უქარვებს დარდებს, ავსებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგს მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულს გრძნობას, აერთებს ყველა ნოდებას, ყველა კლასს, ჰქმნის ერთეულს ერსა...
>
> დიაღ, ქართველ ხალხს აქვს სასიქადულო ეროვნული ჰანგები, სიმღერები, საგალობლები, რათა ეს სიმდიდრე მკვდარ თანხად არ დაგვრჩეს, რათა მან იმოქმედოს, ნინ ნავიდეს, სისრულე შეიმატოს, გახდეს ინტენსიური სიამოვნების წყაროდ ქართველთათვის და უცხოელების თვალშიაც სახელი გაგვიკეთოს, საჭიროა, უკიდურესად საჭიროა ქართული ნაციონალური ხორო (ისარი 1907, №273).

აი, ამ დიდი დანიშნულებისთვის უნდა შევუწყოთ ხელი და დავეხმაროთ ისეთ ღირსეულ ყმაწვილებს, როგორიცაა კ. ფოცხვერაშვილი – მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას. ასეთი ახალგაზრდების ხელშეწყობა ხომ ქართული ნაციონალური იდენტობის გამაერთიანებელი ქართული ხოროს დაარსება-წარმატებაზე ზრუნვას ნიშნავდა.

კ. ფოცხვერაშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნის საკითხს კვლავ უბრუნდება ი. გოგებაშვილი. ამჯერად მკითხველს აუწყებს, რომ ქართველ სტუდენტთა ოთხ ორგანიზაციას კ. ფოცხვერაშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნის „არაჩვეულებრივი შუამდგომლობით" მიუმართავს თავად-აზნაურთა წინამძღოლისთვის. ამ შუამდგომლობის გამოქვეყნების მიზანი საზოგადოებაში დახმარების და თანადგომის აღძვრის სურვილია (დროება 1908, №57). „ბიუროკრატიული თრევას" უნოდებს იაკობი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე სტუდენტთა ორგანიზაციების მოთხოვნაზე პასუხს „საკრებულომ საჭიროდ სცნო ახალი ცნობები შეკრიბოს ბ-ნის ფოცხვერაშვილის შესახებო და მერე, თანახმად ამ ცნობების მოიქცესო". გაჭიანურდა საქმე. ი. გოგებაშვილი

თავად აწვდის ინფორმაციებს კ. ფოცხვერაშვილის მიერ პეტერბურგსა და დორპატში გამართული კონცერტების, მათზე გამოხმაურებების, რეცენზიების შესახებ. მოიხმობს რუსულ გაზეთში გამოქვეყნებული რეცენზიიდან ამონარიდს, სადაც ავტორი საზოგადოებას თხოვს ყურადღება მიაქციოს ქართული მუსიკის სიმდიდრეს და მოითხოვს დაინიშნოს ყოველ წელიწადს ექსკურსია კავკასიაში ქართული მუსიკის შესასწავლად, რომელიც, მისი აზრით, „უმთავრესი განძი იქმნება მსოფლიოს მუსიკალურს საუნჯისათვის და ფრიად საპატიო ადგილს დაიქერსო". კ. ფოცხვერაშვილს აქვს ნაციონალური მიმართულება „იგი დიდ სამსახურს გაუნევს ჩვენს ეროვნულს მუსიკას, მის განვითარებას, და აამაღლებს მას თვით უცხოელთა თვალში". საქართველოს ამისთანა ნიჭიერ და მომავლიან შვილს საქველმოქმედო საზოგადოებებმა უნდა გაუწიონ დახმარება და შეუწყონ ხელი „შეიქმნას მნათობად ნაციონალურ მუსიკისა" (დროება 1909, №57). თბილისის და იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისგან უარის მიღების შემდეგ, შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე ჟდანოვიჩისთვის და ბაქოს ნავთისმწარმოებელ იაკობ მანსვეტაშვილისთვის მიუმართავს თხოვნით. მისი დიდი მონდომებით დაენიშნა შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებისა და ბაქოს ნავთის მრეწველ ი. მანსვეტაშვილისგან სტიპენდია კ. ფოცხვერაშვილს (ფოცხვერაშვილი 1940: 81-84).

ასევე ეხმარება მატერიალურად ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის ინიციატივა „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში კავკავის სახალხო სკოლის მასწავლებელს ბ-ონ ბოცვაძისათვის ფულადი (ხუთი თუმნის ოდენობით) შემწეობის თაობაზე". მისი უანგარო ღვაწლის გადმოცემით ცდილობს ავტორი მკითხველებს სოლიდარობის გრძნობა გაუღვივოს და დახმარების სურვილი აღძრას იმ თანამოძმეების მიმართ, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ეროვნული სულისკვეთების ახალგაზრდების აღზრდაში (ივერია 1894, №192).

ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საკითხს სალიტერატურო ფონდის დაარსების თაობაზე. ვინაიდან საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგად მომავალშიც არ დაგვეკარგა როგორც ეს ე. ნინოშვილის შემთხვევაში მოხდა, სამაგალითო ქართველი მოღვაწეები. ამ ნერილში ფრიად საყურადღებოა ი. გოგებაშვილის მონდომება როგორმე დახმარებოდა ფულადი შემწეობით ე. ნინოშვილს, რომელიც ყოველგვარ ფულად დახმარებაზე უარს ამბობდა. აი, როგორ დაიყოლია ნიჭიერი მწერალი (ასე მოიხსენიებს ი. გოგებაშვილი). მიუწერია მისთვის, თითქოს გამომცემლები დიდად იყვნენ დაინტერესებული მისი თხზულებების ტომებად გამოცემით, რომელსაც განახორციელებდა გამოჯანმრთელების შემდეგ, მანამდე კი თხოვდა სესხად მიეღო ყოველთვე ოცდახუთი მანეთი გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნების პირობით. როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, გახარებია მისი თხზულებებით რომ დაინტერესებულან გამომცემლები და თანხმობა განუცხადებია. ყოველთვე იღებდა დახმარებას ოთხი თვის განმავლებაში სანამ გარდაიცვლებოდა (ივერია 1904, №106).

ე. ნინოშვილის გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა ი. გოგებაშვილი. საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგად მიიჩნევდა მის გარდაცვალებას და ადანაშაულებდა ქართულ საზოგადოებას შესაბამისი დახმარება რომ არ გაუწია მის საუკეთესო შვილს. ამგვარივე შემთხვევების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით აქტიურობდა სალიტერატურო ფონდის დაარსება-გაძლიერებაზე. კიდევ ერთ მაგალითზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ამჯერად, აკაკი წერეთლის დასახმარებლად მოუწოდებს სრულიად ქართველობას გაიღოს შემწეობა. აქ საუბრობს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებაზე, სადაც ნაციონალური საჩუქარი ჰქონიათ შემოღებული გამოჩენილი მამულიშვილების დასასაჩუქრებლად. საამისოდ საჯაროდ ხელისმოწერებს და თანხას აგროვებდნენ და საჩუქარს მიართმევდნენ სახელოვან მოღვაწეს. ამის მაგალითად ასახელებს პოლონელი ბელეტრისტისთვის სენკევიჩისთვის გაკეთებულ ნაციონალურ საჩუქარს. მიუხედავად იმისა, რომ სენკევიჩი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, ხელმოწერით შეუგროვებიათ თანხა, უყიდიათ არისტოკრატული სასახლე მარნით, სადაც ღვინით სავსე ქვევრები ყოფილა და მიურთმევიათ საჩუქრად სენკევიჩისთვის.

„ეს მშვენიერი ჩვეულება გადმონერგილ იქმნას ჩვენშიაც" – აი, რა არის წერილის მიზანი, რათა ამ საუცხოო ჩვეულებამ ხელი შეუწყოს საქვეყნო მოღვაწეობის გაძლიერებას, მამულიშვილობის აღორძინებას.

უნდა გავუფრთხილდეთ ღირსეულ მამულიშვილებს, მოუწოდებს „ივერიის" ფურცლებიდან. ამ შემთხვევაში აკაკიზე აკეთებს აქცენტს ორი თვალსაზრისით და ერთ-ერთი პირველმა გაიღო ფულადი დახმარება – ასი მანეთი აკაკი წერეთლის სამკურნალოდ. კომიტეტს, რომელიც უნდა შედგეს ჰპირდება რომ ყოველთვე ათ მანეთს გადასცემს იმავე მიზნით (ივერია 1904, №249). ი. გოგებაშვილის ამ საყურადღებო ინიციატივას მოჰყვა მწერალ ეკ. გაბაშვილის გამოხმაურება. ეკ. გაბაშვილი აღნიშნავდა, რომ არ იყო აუცილებელი აკაკის სპეციალური ფონდის შექმნა. იგი სალიტერატურო ფონდის გაძლიერებაზე ზრუნვისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას, რათა აქედან გამხდარიყო შესაძლებელი სათანადო სახსრების გამოყოფა (ივერია 1904, №252). ე. გაბაშვილის საპასუხოდ ი. გოგებაშვილი მიუთითებს, ჯერ აკაკის ფონდის შედგენაზე და მერე სალიტერატურო ფონდის გაძლიერებაზე, იმ მიზეზით, რომ ორივეს ერთდროულად შეჭიდებით, შესაძლოა, ვერც ერთი დაეძლიათ და შერცხვენილები დარჩენილიყვნენ. აკაკი კი, კალმის სანიმუშო ღირსებით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, ამასობაში უყურადღებობით არ დაეკარგა ქართველებს. უნდა გავუფრთხილდეთ „თორემ ვინ იცი კიდევ ეყოლება კი საქართველოს მეორე აკაკი" – პასუხობს გულისტკივილით ი. გოგებაშვილი (ივერია 1904, №267).

ხალხის გონებრივ ამოქმედებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ავტორი ასახელებს სახალხო მასწავლებლების დამსახურებას, რომლებმაც გაავრცელეს წერა-კითხვა და მოუმზადეს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ახალი მკითხველები. უყურადღებოდ არ რჩება მასწავლებლის პატიოსნური ღვაწლის მითითება, რათა გაუკუღმართებულ საგანმანათლებლო სისტემის პირობებში ნამდვილ მაგალითებად იქცნენ და მისაბაძები გახდნენ საზოგადოებისთვის. ერთ-ერთ ასეთ მასწავლებლად ასახელებს ნინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის მასწავლებელ ხატიაშვილს. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად სკოლის ნარმატების საფუძველი ასეთი მუყაითი, გონიერი, პატიოსანი მასწავლებლების ღვაწლია (დროება 1884, №227). „ეს უჩინარნი მხვნელნი და მთესველნი გონებრივის ყანისა არ ჯილდოვდებიან არც ნივთიერად და არც ზნეობრივად...“ – აღნიშნავს ი. გოგებაშვილი და სვამს მათი ღვაწლის შესაბამისად დაფასების საკითხს, რასაც სამასწავლებლო „კასების“ დაარსება ნაწილობრივ შეუწყობდა ხელს, საიდანაც მასწავლებლებს მიეცემოდათ სამაგალითო მოღვაწეობისთვის სახალხო განათლებაში: პრემიები, ჯილდოები, შემწეობა გაჭირვებისა და უბედურობის დროს, და, გარდა ამისა, ხელი გაემართებოდათ სესხით. ამისთანა ყურადღებით გამხნევებული მასწავლებლები, მეტს მხნეობას გამოიჩენდნენ სნავლა-აღზრდაში, მეტს თანაგრძნობას და სიყვარულს ლიტერატურისა და მწიგნობრობისადმი და უფრო მეტად ეცდებოდნენ გაეძლიერებინათ საზოგადოებასა და ხალხში სნავლისა და მწიგნობრობის სიყვარული. წერილის ავტორს საამისოდ პირველი ხარჯიც გაუღია და წერა-კითხვის საზოგადოებისთვის თხუთმეტი თუმანი გადაუცია, რათა

> ეს ფული ხუთ სამთუმნიან პრემიად გაჰყოს და მისცეს პირველი პრემია სამაგალითო სახალხო მასწავლებელს გურიისას, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ჩვენში დაწინაურებულ კუთხედ სწავლა-განათლებაში, მეორე პრემია – სამაგალითო მასწავლებელს იმერეთისას რაჭითურთ, მესამე პრემია უკეთესს მასწავლებელს სამეგრელოსას სვანეთითა და სამურზაყანოითურთ, მეოთხე პრემია კახეთისას და მეხუთე – ქართლისას (ივერია 1900, №118).

შემდგომაც არაეთხელ მოუწოდებს საზოგადოებას მასწავლებლების ღვაწლის სათანადოდ დაფასებისაკენ და მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქველმოქმედო საქმიანობის გააქტიურებისაკენ (შრომა 1906, №107, 108).

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ღირსეულ მამულიშვილთა საიუბილეო საღამოების გამართვაში. ერთ-ერთი ასეთია რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო. ი. გოგებაშვილს, მართალია, ვერ მოუხერხებია სიტყვის თქმა და განმარტება თუ რა ღვაწლი მიუძღვის რაფიელ ერისთავს ქართულ პოეზიაში, მაგრამ „ივერიიდან“ განუმარტავს მის მკითხველებს თუ

> რა ადგილი უჭირავს მამულიშვილთა გუნდში, შავ ბედთან ბრძოლაში იმ მშვიდობიან არნივს ქართული პოეზიისას, რომელსაც რაფიელი ჰქვიან, რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს და ექმნება მისს საუკეთესო ლექსებს, მის ქართულს კაცთ-მოყვარეობას მოზარდი თაობისა და ხალხის აღზრდაში; მერმე უნდა შევხებოდი ჩვენი პოეზიის სხვა არნივების ღვაწლსა და ღრმა კვალსა, რომელსაც ისინი ავლებენ ქართველთა არსებობაში და გამეთავებინა იმით, თუ რა დიდი მხნეობა, დაუძინებელი ბრძოლა არსებობისათვის, დიდი სიფრთხილე, დიდი წინდახედულობა და დიდი პოლიტიკური ტაქტიკაა საჭირო ჩვენთვის, რათა თავი დავაღწიოთ საშინელს კრიზისს, რომელშიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, გავთანასწორდეთ ყოველი უფლებით ჩვენი სახელმწიფოს მთავარ ერთან და შავი ბედი თეთრ ბედად ვაქციოთ (ივერია 1895, №244).

ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის ნათელ მომავალზე, მისი ეროვნული და სოციალური ცხოვრების გაჯანსაღებაზე ზრუნვას მიუძღვნა. ჩვენი მშობლიური მიწა-ნყლის, ქართული ენის, ანბანის შენარჩუნება-განვითარებისათვის ბრძოლით, წარსული ისტორიული მეხსიერების ხალხში გააქტიურებისა და მომავლის საერთო რწმენის შექმნით საზოგადოებრივი ერთობის ფორმირებას უწყობდა ხელს. იგი წარსული სიდიადის იდეალიზაციით აწმყოში მომავალს ქმნიდა.

ი. გოგებაშვილი იყო საზოგადო საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილი, მამულიშვილობის და ჭეშმარიტი ერისკაცის განსახიერება.

დამოწმებანი

ბლაგიძე 1990: ე. ბლაგიძე. ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. თბილისი.

თაყაიშვილი 1968: ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტომი I. თბილისი: მეცნიერება.

კვანტალიანი 1990: გ. კვანტალიანი. დიდი ქართველი პედაგოგი ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობაზე მოზარდთა ზნეობრივ აღზრდაში. სკოლა და ცხოვრება, 4, თბილისი.

სარიშვილი 1940: ტ. სარიშვილი. იაკობ გოგებაშვილი პატრიოტული აღზრდის შესახებ. საიუბილეო კრებული: კომუნისტური აღზრდისათვის, № 10.

სახოკია 1984: თ. სახოკია. ჩვენი საუკუნის ადამიანები, თბილისი.

ფოცხვერაშვილი 1940: კ. ფოცხვერაშვილი. ჩემი მოგონება ი. გოგებაშვილის შესახებ. საიუბილეო კრებული: კომუნისტური აღზრდისათვის, № 10.

ყიფშიძე 1940: იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული. გ. თავზიშვილის და დ. ყიფშიძის რედაქციით. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ყორანაშვილი 1999: გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბილისი.

ყურაშვილი 2008: ნ. ყურაშვილი. პატრიოტიზმის საკითხი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში, საზრისი, №24.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: ივერია და მისი მკითხველი საქართველო,თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი.

ჩხეიძე 1997: რ. ჩხეიძე. მზის ამოსვლის წინ. თბილისი.

ჯავახიშვილი 1916: ი. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ტფილისი: ელექტრონით მბეჭდავი ქართ. ამხ.-ისა.

FATHERLAND, PATRIOTISM, IDENTITY ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVILI'S PUBLICISTIC LETTERS

Ketevan Mania

At the second half of the nineteenth century Georgian identity faced a big challenge – Russian government threatened everything Georgian – language, culture, tradition.

The main concern of Georgian cultural elite was protection of motherland and identity. For this purpose, active propaganda took place through Georgian printed media. Media was consolidating readers around common pain, calling them for fight for their national ideals.

The foundations for national identity are a land, homeland, motherland, and birthplace. The homeland has a sacral meaning. It is a residence of great ancestors. Consequently, I. Gogebashvili emphasized necessity to protect motherland and strengthen patriotic feelings among people. According to his point of view, strengthening national feelings was possible by raising patriots. I. Gogebashvili was pointing at importance of establishing noble remembrance of famous fellow countrymen's remarkable achievements. He supported founding a scholarship, conducting evening meetings and enforcing secular and spiritual education for immortalizing their names for ever.

He helped impoverished public figures. He does not leave inattentive the merit of a public teacher in the process of increasing people's perception, underlying fair value of a teacher in order that, they could become real examples and a foregoers for public in that depraved educational environment.

For the purpose of public's intellectual awaking and refining feelings, I. Gogebashvili conducted active propaganda for opening and increasing reading rooms.

Thus, I. Gogebashvili dedicated his whole life to the future of Georgian people; to the improvement its national and social life. He supported forming social unity by fighting for maintaining and developing our motherland, Georgian language, also activating collective memories among people and credence in future. He was creating future in the present by idealizing past glory.

შეიარაღების ერთი ნიმუში შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში

ზურაბ მაღრაძე

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სამეცნიერო წრეებს და საქართველოს შუასაუკუნეების შეიარაღებით დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნოს კიდევ ერთი ტიპის ცივი იარაღის ნიმუში, რომელიც გამოიყენებოდა ქართულ სამხედრო ყოფაში.

შევეცდებით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ შუა საუკუნეების იკონოგრაფიაზე და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში არსებული მოხრილი ხმლის ერთი საინტერესო ტიპი.

ქართული ქრისტიანული იკონოგრაფია შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან დეტალს, აქ გხვდება ძველი ქართული მატერიალური კულტურის სხვადასხვა ნიმუშები. ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ შუა საუკუნეების აღჭურვილობის მაგალითები და შეძლებისდაგვარად განსაზღვროთ თუ როგორი წარმოშობისა და დანიშნულებისაა ესა თუ ის ნივთი, რისთვისაც ჩვენ მოვიხმობთ არქეოლოგიურ, ხელოვნებადმცონეობით მონაცემებს, წერილობით წყაროებს.

არქეოლოგიური მასალის სიმწირის პირობებში მნიშვნელოვანია მაღალი რეალიზმის მქონე გამოსახულებები, რომლებიც შეიარაღების სხვადასხვა ელემენტების მართებულ რეკონსტრუქციის საშუალებას მოგვცემს.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს წმ. გიორგის ვერცხლზე ნაჭედი და ფერადი ქვებით შემკული ხატი (ტაბ. I) ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან[1] (საინვ. №3879/733, ზომა 36X32 სმ). რომელიც შემოსულია გელათის მონასტრიდან 1925 წელს. თარიღდება X-XI სს, ხატის არშიების ჭედურობა საკმაოდ შელახული და ნაკლული, გვიანდელი (XVI-XVIII სს) დანამატია.

ჩვენი აზრით, წმ. გიორგის ხატი გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებულ №193 ხატს[2] (ტაბ. II) უნდა წარმოადგენდეს[3] (ჩუბინაშვილი 1959: 344). ცნობილი იყო თ. კიუნეს ფოტოს მიხედვით ე. თაყაიშვილის ექსპედიციიდან, რომელსაც ავტორი რაჭისეულად თვლიდა.[4]

ხატზე წმ. გიორგი გამოსახულია მძიმედ შეჭურვილი მხედრის სახით. წმ. გიორგი ზის მაღალ ტახტიან უნაგირზე, რომელიც განკუთვნილია ნაგრძელებული შუბით ბრძოლისთვის,[5] ფეხზე მას მოგვები აცვია.[6] ჯავშანი, ხმალი, უნაგირი, ცხენის აღკაზმულობა – რეალისტურია, ამავდროულად ყველა ეს დეტალი გარკვეული ორიგინალობითაც გამოირჩევა. ყველაზე მთავარი, რამაც ჩვენი უპირველესი ყურადღება მიიქცია, ეს არის საინტერესო ფორმის გრძელი და, ამავე დროს, მცირედ მოხრილი ხმალი ე. წ. სეიბრი.[7]

ვიდრე მოცემული ნივთის განხილვას შევუდგებით, მანამდე თვალი გადავავლოთ იმ მოსაზრებებს, რაც აქტუალურია მოხრილ ხმლებთან – სეიბრებთან დაკავშირებით.

მერპერტის აზრით, სეიბრი ევრაზიულ სივრცეში (სტეპების ზონა) VII საუკუნეში, აღმომოსავლეთ ევროპაში კი VII ს. მეორე ნახევრისთვის ჩნდება (მერპერტი 1955: 160). საქართველოს მეზობელად ჩრდილოეთ კავკასიაში სეიბრს იცნობენ უკვე VIII ს. (გალიათის სამაროვანი) (მერპერტი 1955: 160). კირპიჩნიკოვი სეიბრების გაჩენას უკავშირებს ევრაზიის სტეპებს და ამ პროცესს VII – VIII საუკუნეებით ათარიღებს. მისი აზრით, მოხრილი ხმლების არეალი ალტაიდან უნგრეთამდე, ჩეხეთიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთამდე იყო გადაჭიმული (კირპიჩნიკოვი 1966: 61) და მის შექმნაში მრავალმა ტომმა მიიღო მონაწილეობა, პირველ რიგში ეს ითქმის აზიელ მომთაბარეებსა და იმ ხალხებზე, ვისაც მათთან ჰქონდა კონტაქტი. განსხვავებული პოზიცია აქვს გორელიკს: მოხრილი ხმლის ავტორად ის ავარებს ასახელებს და თარიღად IX ს. დებს (გორელიკი 2001: 174).

მერპერტის ვარაუდით, ცალკეულ შემთხვევაში სნორ ხმალს ჯავშნის უკეთ დაზიანება შეეძლო, სეიბრი კი განკუთვნილი იყო სწრაფი, მანევრული ბრძოლისთვის ნაკლებად დაცული მონინააღმდეგის გასანეიტრალებლად[8].

მერპერთთან ერთად კირპიჩნიკოვიც თვლის, რომ სეიბრი უმეტესწილად მსუბუქი ცხენოსნების იარაღია და განკუთვნილია, მანევრული, სნრაფი შეტაკებისთვის (მერპერტი 1955: 154; კირპიჩნიკოვი 1966: 61).

რაც შეეხება საქართველოში მათ გავრცელებას, ეს არა ერთხელ ყოფილა სხვა და სხვა ისტორიკოსების განხილვის საგანი. შემოგთავაზებთ რამოდენიმე მათგანის მოსაზრებას.

მამუკა ნურწუმიას სრულიად სამართლიანი მოსაზრებით „საქართველოში აღმოჩენილი უადრესი ხმალი ვანის სამარხიდან არის"; „ვანის ხმალი კი 1118-20 წლებში უნდა იყოს დამზადებული" (ავტორი ამ სამარხს ყივჩაყს მიაკუთვნებს) (ნურწუმია 2016: 450; ნურწუმია 2015: 169). „მსუბუქი, ცალპირა ხმლების პოპულარობა მომთაბარეების მიერ გავრცელებულმა სწრაფმა და მანევრულმა ბრძოლის სტილმა განაპირობა. ამ სტილის საქართველოში გავრცელების ვადები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია" (ნურწუმია 2015: 165).

ირაკლი ბაქრაძე ვარაუდობს, რომ „X-XI საუკუნეების საქართველოში მოხრილ ხმალს იცნობდნენ და იყენებდნენ (ბაქრაძე 2011: 74)", „მოხრილი ხმლის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა, ერთის მხრივ, მობილური ცხენოსანი მონინააღმდეგის, თურქ-სელჯუკების გამოჩენას და, მეორე მხრივ, დავით აღმაშენებელის სამხედრო რეფორმებს" (ბაქრაძე 2011: 76).

ჯერჯერობით ვანის ხმალი ჩვენამდე მოღწეული სეიბრების ყველაზე ადრეული ნიმუშია, თუმცა შუასაუკუნეების გამოსახულებებიდან სჩანს, რომ X-XIII სს.-ში ქართველებისთვის მოხრილი ხმალი არ იყო უცხო, კერძოდ იხ.: გელათის წმ. გიორგის ხატზე გამოსახული სეიბრი, ხმლები გოხნარის და ახალსოფლის საფლავის ქვებზე (ტაბ. III, 8) და ე. წ. შტანდარტზე რუსთავიდან (ტაბ. III, 5),[9] ხმალი მინიატურაზე იოანე ნათლისცემლის თავის კვეთის სცენით ჯრუჭის II ოთხთავიდან H-1667 ხელნაწერი (ტაბ. III, 6), ლაშა გიორგის ფრესკაზე (ტაბ. III, 7) ბერთუბნიდან (ჩოფიკაშვილი 1964: 62 სურ. 40) და დმანისში აღმოჩენილ ჭურჭელზე მხედარის გამოსახულებით XIII ს. (ტაბ. III, 8).[10] ჩვენი ვარაუდით, სეიბრებმა საქართველოში წამყვანი ადგილი დაიმკვიდრეს XIII ს. ბოლოს და XIV ს. დასაწყისში.

გვინდა შევეხოთ გოხნარის და ახალსოფლის (მაისურაძე 1970: 64-71; კეკელიძე 1974: 29) საფლავის ქვებზე გამოსახულ მშვილდს, კაპარჭს და ხმალს.

კაპარჭი[11] – შუასაუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ცილინდრული ფორმისაა, სამწუხაროდ, გამოსახულება მეტის გარკვევის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ გადაჭრით თქმა შეუძლებელია თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება: ზოგადად „აღმოსავლურს“ თუ მონღოლურს. ყოველ შემთხვევაში არ ჩანს მონღოლური კაპარჭისთვის დამახასიათებელი მინიშნებები, როგორც ამას ნმინდა მონამეთა სერგისა და ბაკხოსის[12] ხატზე ვხედავთ (მაგალითად, არ იკითხება ძვლის დეტალები).[13]

აღმოსავლეთი ამ ფორმის კაპარჭს ადრეული შუა საუკუნეებიდან იცნობს. იგი გავრცელებულია უშუალოდ ქართველების საკონტაქტო ზონაშიც (და მის გარეთაც), კერძოდ: სპარსელებთან, ალანებთან, ყივჩაყებთან და ბიზანტიელებთან. საქართველოში ცილინდრული კაპარჭი ადრიდანვე (მონღოლების გამოჩენამდე) გავრცელებულად მიგვაჩნია.[14]

როგორც აღვნიშნეთ, გოხნარის კაპარჭი მოკლებულია დეტალიზაციას, ჩვენ მხოლოდ კაპარჭის კონტურებს ვხედავთ, (ტაბ. III, 1, 2, 4, 8) იკითხება მხოლოდ კაპარჭის ჯიბე (ისრის ამოსაღები).[15] თუ შეიძლება რაიმე მსგავსებაზე იყოს საუბარი, მაშინ მოცემული გამოსახულება ყველაზე ახლოსაა ადრეულ აღმოსავლურ კაპარჭებთან (მეტნილად სადაა). მდიდარ მასალას იძლევა არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც ზუსტ ნარმოდგენას გვიქმნის საისრე ყუთების კონსტრუქციის შესახებ: ფორმა ცილინდრულია (გრძელი კორპუსით 70-90 სმ. ვინრო ყელი და შედარებით განიერი ქვედა ნანილი), მასალად იყენებენ ხეს, ტყავს და ხის კანს. კორპუსი იკვრება ბრტყელი ზურგის, ნახევარწრიული მუცლის[16] და D ფორმის ძროს ფირფიტებისგან (სიგანე 12-30 სმ.) ან შედარებით მცირე ზომის რამდენიმე ფირფიტისგან, მიღებულ ხის კონსტრუქციას გადაკრული ჰქონდა ტყავი ან ხის კანი,[17]კორპუსის გასაძლიერებლად იყენებდნენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხისავე თამასას (ვინრო და თხელი ფიცარი ან ფირფიტა), გასაფორმებლად კი ძვლის და ლითონის ორნამენტირებულ ფირფიტებს. კაპარჭი საბრძოლო ქამარზე მაგრდება მარჯვენა მხარეს ორი ზონარით (უმეტესწილად), რომელიც მაგრდება ძვლის ან ლითონის საკიდებით (სლანოვი 2007: 112-114; იერუსალიმსკაია 2012: 282-286).

აღმოსავლური კაპარჭების ცნობილი მაგალითებია: თაღ-იბოსტანის (ნიკოლი 1996: 30-31; ვილკოქსი 1986: 40) სასანური კლდის რელიეფების კომპლექსი, ერთ-ერთ რელიეფებზე გამოსახულია მძიმედ შეჭურვილი მხედარი ცილინდრული კაპარჭით (ტაბ. IV, 1) თარიღდება VII ს., ცილინდრული კაპარჭია გამოსახული პენჯიკენტის (ტაბ. IV, 2) კედლის მხატვრობაზე (იაკუბოვსკი 1954: 152, ტაბ. XXXV),[18] ხაზარული IX-X სს. ჭურჭელი (ტაბ. IV, 4), ფონდი მარჯანის კოლექციიდან „ბაზიერის“ გამოსახულებით (რუდენკო 2016: 74), IX-X სს. დათარიღებული მოოქრული ბოლშე-ანიკოვსკის თასი შვიდმდინარეთიდან[19] (ტაბ. IV, 3) მხედრები ცილინდრული კაპარჭებით (დარკევიჩი 1976: 104) და მისი ტყუპისცალი თასი ნილდინსკიდან (ბაულო 2009), ყივჩაყური ე. წ. ქვის ბაბები[20] (ტაბ. IV, 5) სხვადასხვა შეიარაღებით, მათ შორის, კაპარჭებით (პლეტნიოვა 1974: 31, სურ. 9, 26-35).

აღმოსავლური კაპარჭის ცნობილი ნიმუშებია: კაპარჭები მოშჩევაია ბალკიდან (ტაბ.V 1) (იერუსალიმსკაია 2012: 282-285; კამინსკი, კამინსკაია-ცოკური 1997: 65), დიმიტრიევსკის არქეოლოგიური კომპლექსიდან (ტაბ.V 2) (პლეტნიოვა 1989: 7, სურ. 32; ცეიხგაუზი №22. 2006), ზმეისკაიას კატაკომბური სამაროვნიდან (კუზნეცოვი 1962: 37; კუზნეცოვი 1963: 16, ტაბ. II, 2), კაპარჭი კაროს III სამაროვნიდან (უნგრეთი) (ტაბ. V, 3), რომელიც იმეორებს მოშჩევაია ბალკის და დიმიტრიევსკის კაპარჭების ფორმას[21] – გამოირჩევა ლითონის დეტალებით (ვისი 2003:340-341; ფოდორი და სხვები 1996: 309-310 სურ. 2), უნგრული ცილინდრული კაპარჭის მსგავსია ძველ რუსეთში აღმოჩენილი X ს. დათარიღებული კაპარჭებიც (რამდენიმე ათეული) (მიხაილოვი, კაინოვი 2011: 239-240 სურ. 61), XI ს. სარკელის ნაქალაქარის სამაროვნის კაპარჭები (ფლიოროვა 2000: 105-114). ცილინდრული კაპარჭია გავრცელებული ბიზანტიაშიც (დოუსონი 2009: 7, 33).

მშვილდი – ერთრკალიანია (ტაბ. VI, 1),[22] შედგენილი (რთული). ასეთ მშვილდებს ვხედავთ: ქვაჯვარის ფრაგმენტზე ნათლისცემლიდან VI-VII სს მიჯნა (ტაბ. VII, 1) (მაჩაბელი 2008: სურ. 15), ნებელდის კანკელზე (ტაბ. VII, 2) დათარიღებულია VII-VIII საუკუნეებით, გოხნარის და ახალსოფლის ქვებზე (ტაბ. VII, 3, 4, 5), ბიზანტიურ X-XII სს. ძვლის ზარდახშაზე, მშვილდით გამოსახულ მხედარზე (მომთაბარე ?) (ტაბ. VII, 6) (იდენტურია გოხნარის და ახალსოფლის ქვების მშვილდების), 1180-1210 წლების ასტროლოგიური ტრაქტატის A-65 ხელნაწერის 182r მინიატურაზე (ტაბ. VII, 7), აგრეთვე ცნობილ დავითნის H-1665 (ტაბ. VII, 8) და H-75 მინიატურებზეც.[23]

ატენის სიონის რელიეფზე (ტაბ. VIII, 1) ასევე ჯრუჭის II ოთხთავის H-1667 ხელნაწერის 111r (ტაბ. VIII, 2) და 186v

მინიატურებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში პარალელურად არსებობდა ორრკალიანი მშვილდებიც (ტაბ.VI 2). ამათგან ზემოთ ხსენებული H-1667 ხელნაწერის 111r მინიატურა ციხის ალყის სცენით, დაქვეითებულ მეომრებს ხელთ უპყრიათ ასიმეტრიული მშვილდები[24] (ზედა გრძელ მხრიანი და ქვედა მოკლე მხრებიანი მშვილდი). მშვილდის ეს ფორმა წარმოადგენდა მხედართა აღჭურვილობას, მისი ასიმეტრიულობა გამოწვეულია ცხენზე მანევრული ბრძოლის სანარმოებლად. აღნიშნული ფორმის მშვილდს პარალელური მასალა ეძებნება ჰუნთა სამხედრო კულტურაში (ლოადს 2016: 13-14, ნიკონოროვი, ხუდიაკოვი 2004: 193-197, 203 სურ. 44, 2; სურ. 46, 6).

ხმალი – გამოსახულება მარტივია, მოკლებულია ხელმოსაჭიდ ზუსტ დეტალიზირებას. თუ რამეზე შეიძლება საუბარი, ისიც მხოლოდ ვარაუდის დონეზე. ჩვენი აზრით, მოცემული ხმლები ატარებს როგორც X-XI სს. ხმლის ნიშნებს, ასევე შედარებით გვიანი ვანის ხმლის ნიშნებსაც, კერძოდ: ვანის ხმლის სასარგებლოდ მიუთითებს სწორი ტარის პირი და ბურთულისებრი ტარის ქუდი. აგრეთვე, საბრძოლო პირისკენ დახრილი ვადის ფრთები,[25] ხმალი მცირედ მოხრილია.[26] ადრეული დათარიღების ვარიანტზე კი მიუთითებს იგივე ტარის ქუდი, რომელშიც შეიძლება ვივარაუდოთ ე. ნ. მსხლისებრი ტარის ქუდი კირპიჩნიკოვი – II ტიპი, კოჩკაროვი – II ტიპი B ქვეტიპი (ტაბ. IX) (კირპიჩნიკოვი 1966: 63; კოჩკაროვი 2005: 144), თუმცა ტარის პირი სწორია, (ჩვენ გვაქვს მონაცემები ამ პერიოდის სწორი ტარის პირებზეც (სავენკო 1986: 84 კომპლექსი №1), ვადა მსგავსია I A ტიპის კირპიჩნიკოვი, II ტიპის A ქვეტიპის კოჩკაროვი, ევგლევსკი, პოტემკინა I ტიპი 2 ვარიანტი (ტაბ. X) (კირპიჩნიკოვი 1965: 63, სურ. 13; კოჩკაროვი 2005: 144, ტაბ. XVI; ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 129 სურ. 4-2). სალტე საკიდებიც, რომელიც მთლიანია ან U ფორმის იმიტაცია, ადრეული დათარიღების კიდევ ერთი არგუმენტია. რაც არ უნდა იყოს მოცემული ხმალი და საერთოდ გოხნარის და ახალსოფლისქვები არ ცილდება XII ს.

გელათის ხმალი

გელათის წმ. გიორგის ხატზე გამოსახული ხმლის დეტალები უდავოდ მისი სეიბრობის განმსაზღვრელია, კერძოდ: მცირედ მოხრილი ხმლის პირი, ტარი, რომელიც დახრილია საბრძოლო პირისკენ, ვადის ფორმა და კონსტრუქცია,[27] აგრეთვე ქარქაშის სალტე საკიდები, ყველა ეს ნიშანი ეხმიანება და აშკარა მსგავსებას ავლენს თავისი ეპოქის არტეფაქტებთან და არქეოლოგიურ მასალასთან.

VIII-XI სს. სეიბრების პროპორციები მერყეობს: სიგრძე 65-90 სმ., სიგანე 2.9-3.5 სმ., შაშარი 14-25 სმ., ტარის სიგრძე 7-12 სმ., ტარის დახრის კუთხე 0-8 (კოჩკაროვი 2005: 111-113). მართებულია ი. ბაქრაძის შენიშვნა „მათი დამზადების ადგილთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული აზრი არსებობს: მათ ალანურ, უნგრულ, კიევურ თუ აღმ. ევროპულ პროდუქციად მიიჩნევენ“ (ბაქრაძე 2011: 69).

როცა ვსაუბრობთ მოხრილ ცალპირლესულ ხმალზე – სეიბრზე, არ შეიძლება არ შევეხოთ მასთან ახლოს მყოფ ასევე ცარპირლესულ ხმალს ე. ნ. პალაშს.[28] მოხრილ და ცარპირლესულ სწორ ხმლებთან დაკავშირებულ „ისტორიულ“ დებატებში არ ჩავერთვებით და ამ ეტაპზე მხოლოდ საჭირო მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

სეიბრთან და პალაშებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, სად გადის ზღვარი ამ ტიპის იარაღებს შორის? სამხედრო ისტორიოგრაფიაში ეს კითხვა დღემდე დავის საგანია და მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ გვაქვს. თითოეული ავტორი მასში დებს თავისეულ განსაზღვრებას (ერთგვარი აღრევა ხდება ცნებების).

მაგალითად, ვ. ა. მოგილნიკოვს განმასხვავებელ ნიშნად ადრეულ სეიბრის პალაშისგან, დახრილი ტარის პირი მიაჩნია, ლ. კოვაჩიკი, პირიქით, დახრილ ტარის პირს მეორეხარისხოვან ნიშნად თვლის, ხოლო ა. მ. გოლუბევი და ი. ვ. გოლუბევასთვის სეიბრის საბრძოლო პირის მოხრილობა იყო ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი პალაშისგან, თუმცა ი. ს. ხუდიაკოვი ზოგიერთ „სწორ“ ხმალს სეიბრებს მიაწერს (ვლადიმეროვი 2017: 57).

ვფიქრობთ, სეიბრი— თავის არსებობის ადრეულ პერიოდში არის: ფხისკენ დახრილი ტარით, თითქმის სწორი (შვეტი)— სუსტად მოხრილი საბრძოლო პირით, ზოგჯერ წვერისკენ ორლესული დაბოლოებით ე. ნ. შაშარით (ქრილში ლინზისებრი ან რომბისებრი). ასე ესმის ამ ნივთის არსი კოჩკაროვს (კოჩკაროვი 2005: 22), მერპერტის მიხედვით— ცალპირლესული, სუსტად გამორჩეული მოხრილობით, ერთი შეხედვით, ადვილი შესამჩნევი არ არის, გრძელია, შედარებით ვინრო და მჩატეა. ტარის პირი ჯერ კიდევ მცირედ დახრილია თითქმის სწორია (მერპერტი 1955: 132-134). იგივე აზრისაა ვ. ა. კუზნეცოვი, რომლის თანახმადაც „დამახასიათებელია თითქმის სწორი საბრძოლო პირი, მცირედ მოხრილი ტარი და მომრგვალებულ ბოლოებიანი ვადა“ (კუზნეცოვი 1962: 36). გ. ფ. კორზუხინას შეფასებით:

> საბრძოლო პირები სწორია ან მცირედ მოხრილი, ცალპირლესული, ორლესული ბოლოთი 1/4 დან 1/3 მდე პირის სიგრძისა, ტარი დახრილია ფხისკენ, სიგანე საბრძოლო პირის 0,03 მ. ეს არის ე. ნ. „ხაზარული“ ტიპის ხმლები, ჩვენთვის ნაცნობი მრავალი ეგზემპლიარის მიხედვით ჩრდილოეთ კავკასის და სალტოვის ხმლებიდან VIII-IX სს. ამ სეიბრების პირები ისე მცირედ არის მოხრილი, რომ ხანდახან მათ სწორად თვლიან (კორზუხინა 1950: 75).

კირპიჩნიკოვი თავის ცნობილ ნაშრომში საბრძოლო პირის მოხრილობის და პირისკენ ტარის დახრის გამო, სეიბრს მსერავ თვისებებს მიაწერს (კირპიჩნიკოვი 1966: 62).

ევგლევსკის და პოტიომკინას სამართლიანი მოსაზრებით „სავარაუდოდ პასუხი სეიბრისა და პალაშის დარტყმის ხასიათის პრინციპულ განსხვავებაში უნდა ვეძიოთ" (ევგლევსკი, პოტიომკინა 2000: 118).

„ერთი შეხედვით როგორ განვსაზღვროთ შეუძლია თუ არა ამა თუ იმ ხმალს განახორციელოს სეიბრის დარტყმა (მითუმეტეს, თუ საბრძოლო პირი შვეტი (სწორია)? ყველაზე დამაჯერებელი ექსპერიმენტის გზაა" (ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 118).

გელათის ხმალსა და მის თანადროულ ხმლებს შორის მსგავსების უკეთ დასანახავად განვიხილოთ ამ ტიპის ზოგიერთი ცნობილი ხმალი, აგრეთვე ხმლის დეტალები, კონკრეტული მაგალითების ჩვენებით.

ვადა

ვადის უპირველესი ამოცანაა დაიცვას ხელი დაზიანებისაგან, მოწინააღმდეგის ხმალთან კონტაქტის დროს დაცურებული ან ასხლეტილი დარტყმებისგან, ამავდროულად ხელს იცავს საბრძოლო პირზე დაცურებისგან (კოჩკაროვი 2005: 31).

ვადა მზადდებოდა რკინისგან ან ბრინჯაოსგან (კირპიჩნიკოვი 1966: 69; ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 122), იშვიათად ხისგან ან ძვლისგან განყობილი ლითონის ფირფიტებით (ალექსინსკი და სხვები 2005: 200). შუა ნანილში გააჩნია ორმხრივი ოვალური ჩაღრმავება (ფიქსაციისთვის), ფიქსაცია ხმალზე ხდება ორი მხრიდან: „ხეტარის" მიჭერით ზევიდან და, მეორეს მხრივ, საბრძოლო პირთან მიბრჯენით, ზოგჯერ ვადას უკეთ დაფიქსირებაში ლითონის მჭიდიც ეხმარება. მჭიდი შეიძლება ყოფილიყო რკინის ან ბრინჯაოსი, თუმცა მისი არსებობა სავალდებულო არაა (კოჩკაროვი 2005: 31; კირპიჩნიკოვი 1966: 68; ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 122). ხშირია მოოქრული ბრინჯაოს ან რკინის მოვერცხლილი ორნამენტირებული ვადები.

VIII-XIII სს. ვადები რამდენიმე ტიპად იყოფა. ჩვენ გამოვყავით ყველაზე გავრცელებული და ამავე დროს ქართული რეალიებისთვის აქტუალური ტიპები: სწორი მაქოსებრი ფორმის, ბოლოებში ბურთულის მაგვარი დაბოლოებებით, ძირითადად გვხვდება ჩრდილო კავკასიურ სიძველეებში,[29] სიგრძე 7-11 სმ. (ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 130; სურ. 4, 1; კოჩკაროვი 2005: 32; ტაბ. XVI; კირპიჩნიკოვი 1966: 68; სურ. 13), ვადის განვითარების შემდეგ ეტაპად ითვლება მისი მოხრის ტენდენცია საბრძოლო პირთან მიმართებაში. რკალისებრი – მოხრილი ვადა, აქაც ბურთულის მაგვარ დაბოლოებებით, რაც ქართული მასალებიდანაცაა ცნობილი. სიგრძე 8,8-11 სმ. ასეთი ხელის დაცვა კავკასიის გარდა გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპაში, ურალის, ვოლგისპირეთის და კამისპირეთის ხალხებში (ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 129; სურ. 4, 1; კოჩკაროვი 2005: 32; ტაბ. XVI; კირპიჩნიკოვი 1966: 68-69; სურ. 13). მესამე – ვადა ცენტრში რომბიანი გაფართოებით და ტრადიციულად ბურთულისებრი ბოლოებით, შეიძლება ყოფილიყო როგორც სწორი ისე დახრილი ფრთებით. აულ კაზაზოვოში აღმოჩენილი ვადის მაგალითზე(მოხრილია): სიგრძე 8 სმ, სიმაღლე 1.7 სმ. ფართოდ იყო გავრცელებული VIII-XI სს. განსაკუთრებით ხაზარო-უნგრულ სამხედრო კულტურაში.[30] (ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 129-131; სურ. 4, 9; კოჩკაროვი 2005: 32; კირპიჩნიკოვი 1966: 69; ფოდორი და სხვები 1996; დმიტრიევი 2003: 206; ტაბ. IX; კოჩკაროვი 2010).

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე გელათური ხმლის ვადის ტიპოლოგია შემდეგნაირად გვესახება: ხელის დამცავი მაქოსებრი ფორმის ვადისგან ნანარმოებად მიგვაჩნია – შედგება სწორთან მიახლოებული[31] ორი თანაბარი ფრთისგან, შუანელში შეინიშნება კუთხოვანი ნანაზარდი. ამ მონაცემებით გელათის ხმლის ვადა, ჩვენთვის ცნობილი ვადების ტიპოლოგიების გათვალისწინებით, ეხმიანება ადრეული პერიოდის ვადებს.[32] ასეთი ვადები თარიღდება VIII-XIII საუკუნეებით. გავრცელების არეალი მოიცავს: ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიას, აგრეთვე, უნგრეთ-ხაზარეთს, ძველ რუსეთს, (კირპიჩნიკოვი 1966: 69; კოჩკაროვი 2005: 31-32). და ტიპოლოგიურად ახლოსაა (ტაბ. X): კირპიჩნიკოვის, ევგლევსკის, პოტემკინას I ტიპთან (კირპიჩნიკოვი 1966: 68; სურ 13; ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 129-130) და კოჩკაროვის I ტიპთან და V ქვეტიპთან (კოჩკაროვი 2005: 32; ტაბ. XVI). ყველაზე დიდი მსგავსებას გელათის ხმლის ვადა, ცენტრში კუთხოვანი წანაზარდების გამო, ავლენს ვენის და კოლოსოვკა 1 ხმლებთან (ტაბ. XI, 2) (დიტლერი 1958).

ტარი

სეიბრის ტარის დამახასიათებელი ნიშანი არის მისი დახრა საბრძოლო პირთან მიმართებაში. ტარის პირზე მაგრდებოდა მისი შემავსებელი ხე ან ძვალი, ზევიდან ჩამოცმით (ალექსინსკი და სხვები 2005: 200) დამატებით ფიქსაცია ხდებოდა ერთი ან ორი მოქლონით. ტარი შეიძლება განყობილი ყოფილიყო ტყავით, ქსოვილით, ზოგჯერ ვერცხლის დაწნული მავთულით (სავენკო 1986: 77-78) ან დამატებით ლითონის ფირფიტებით და მცირე „კბილანებითაც"[33]კი (გელათის ხმლის შემთხვევაში ეს დეტალი არ ჩანს).

ტარის შემავსებელზე ზემოდან მაგრდება (თუმცა არა ყოველთვის) ქუდი. მისი ფიქსაცია არ იყო დამაკმაყოფილებელი, რაც დაკარგვის და დაზიანების მიზეზი ხდებოდა. ქუდები ძირითადად რკინისგან მზადდებოდა, ვხვდებით ვერცხლის და მოოქრული ბრინჯაოს ქუდებსაც (კამინსკი, კამინსკაია-ცოკური 1997: 63)

კირპიჩნიკოვის და მასთან ერთად ლ. კოვაჩის აზრით, სეიბრის ტარის ქუდი იცავდა შემავსებელს მექანიკური და კლიმატური ზემოქმედებისგან და ამასთან დეკორატიულ ფუნქციასაც ასრულებდა. განსხვავებით სწორი ხმლისგან მას საპირწონის ფუნქცია არ გააჩნია. შესაძლოა ფუნქციური დატვირთვა მსხლისებრი ქუდებს[34] ჰქონდათ და ხელის მაჯის საყრდენი ყოფილიყო (კირპიჩნიკოვი 1965: 68; კოჩკაროვი 2005: 28-29). იშვიათია ქუდზე დამაგრებული ტემლაკის სამაგრი რგოლი.

X საუკუნიდან მოყოლებული ყველაზე გავრცელებული იყო დაბრტყელებულ ცილინდრული (სათითისებრი) ფორმის ქუდები (ტაბ. IX), გვაქვს ორი სახის – მოკლე: სიმაღლე 1.3-2.8 სმ.; დიამეტრი 2.7-4.8 სმ. და გრძელი ფორმის სიმაღლე 2.4-5 სმ.; დიამეტრი 1.8-3.6 სმ. ტარზე ფიქსირდებოდა ლურსმნით ან ტემლაკის სამაგრი მოქლონით (ევგლევსკი, პოტიომკინა 2000: 131-133 სურ. 5, 1-6).

ასევე მრავლადაა ელიფსური ფორმის (ტაბ. IX), ორ შვერილიანი ქუდები კუთხოვანი დაბოლოებით, რომელიც ტარზე ჰორიზონტული გამჭოლი მოქლონით ფიქსირდება. მათი სახე ორნაირია – მოკლე 2-5 სმ. და გრძელი სიმაღლე 4-7 სმ., დიამეტრი 3-3 სმ. აღნიშნული ტიპის ქუდები გავრცელებულია ხაზარ-უნგრელებში აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიაშიც. განხილული დეტალების ნარმოშობის თარიღი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია VIII-X სს (კორზუხინა 1950: 77; ტაბ. III; ევგლევსკი, პოტიომკინა 2000: 133; სურ. 5, 7-9; ფოდორი და სხვები 1996: 79-80, 113-114, 121-122).

ძალიან საინტერესოა მსხლისებრი ფორმის ქუდები (ტაბ. IX), რომელიც დამახასიათებელია ჩრდილოეთ კავკასიური (კავკასიაში XIV ს. ჩათვლით) და, ნაწილობრივ, უნგრული სიძველეებისთვისაც (კირპიჩნიკოვი 1965: 68; კოჩკაროვი 2005: 28-29; ნოვიჩიხინი 2008: 32-33; სურ. 5, 1 B). გამოიყენებოდა საქართველოშიც – ვანის ხმალი, გოხნარის ქვა (წურწუმია 2015: 169). გელათის ხმლის ტარის ქუდი მიეკუთვნება მსხლისებრი ქუდებს, რომლის ცნობილი მაგალითებია: კარლოს დიდის, ზმეისკაიას და კოლცო-გორას ხმლები. ტიპოლოგიების მიხედვით ვღებულობთ შემდეგ სურათს: კირპიჩნიკოვი II ტიპი, კოჩკაროვი II B ქვეტიპი.

აღსანიშნავია, რომ გელათის ხმლის ქუდი უფრო ახლოსაა ვანის ხმლის ქუდთან, ვიდრე ტრადიციულ მსხლისებრი ქუდებთან, რომელთაც არ ახასიათებთ ასეთი მკვეთრი სიმრგვალე.

ქარქაში

ქარქაში გამოიყენება ხმლის სატარებლად და შესანახად, ამავე დროს არის მისი მფლობელის სტატუსის მაჩვენებელიც. სეიბრის ქარქაში სწორი ხმლის მსგავსად მზადდებოდა: იკვრება ორი ხის ნანილისგან, ჯერ ეხვევა ქსოვილში, ხოლო შემდგომ იკვრებოდა ტყავის კალაპტში (კოჩკაროვი 2005: 33; მუჟუხოევი და სხვები 2017: 180).

ზოგიერთ ხმალზე ამა თუ იმ ფორმით ქარქაშის ნანილები შეიმჩნევა, რაც საშუალებას იძლევა დავადგინოთ გამოყენებული ხის ჯიშები: მაგალითად, ვერხვი და ცაცხვი (ევგლევსკი, პოტემკინა 2000: 122). ქარქაშზე მონტაჟდებოდა ლითონის დეტალები: სალტე საკიდები და ქარქაშის ბუნიკი. ბუნიკი ორი ფორმისაა: ცილინდრული (სათითისებრი) და მსხლისებრი. გამოყენებული მასალა: რკინა, ბრინჯაო, ვერცხლი, ზოგიერთი მათგანი შემკულია მდიდრული და მაღალი ოსტატობით შესრულებული ორნამენტებით.[35]

ქამარზე ხმალი სალტე საკიდებით და ორი საკიდი თასმით მაგრდებოდა (კოჩკაროვი 2005: 33; ევგლევსკი, პოტიომკინა 2000: 122). სალტე საკიდებიდან ერთი მდებარეობს ქარქაშის ზედა ნანილში, ვადასთან ახლოს ან მასთან მიბჯენითაც კი, ხოლო მეორე ცენტრისკენ. სალტე საკიდების რამდენიმე ფორმა არსებობს: „მთლიანი მრგვალოვანი",[36] ლათინური U, E, რუსული Г და ცულისებრი მოყვანილობის.[37]

ქარქაშის ბუნიკის ძირითადი ფუნქციაა, გარდა დეკორატიულისა, ხმლის მჭრელი პირისგან ქარქაშის დაცვა. სწორი ხმლის შემთხვევაში ხმლის ქარქაშში ჩადებისას დარტყმა ქარქაშის ძირზე მოდის, ამიტომ, მისი ბუნიკიც პატარა და მასიურია, ხოლო სეიბრის შემთხვევაში ეს „დარტყმა" ქარქაშის მოხრილ მხარეს მჭრელი პირისკენ (ფხისკენ) ხდება (კორზუხინა 1950: 86). ამიტომაც მოხრილ ხმლებს ხშირად ღრმა ბუნიკს უკეთებდნენ. ბუნიკის სიგრძე ზოგჯერ 35-40 სმ. აღწევდა (კოჩკაროვი 2005: 33; ტაბ. XVII-2).

გელათის ხმლის შემთხვევაში ვხედავთ ქარქაშს, რომელიც იმეორებს ხმლის სიგრძეს და მოხრილობას, „მთლიან" სალტე საკიდებს, პირველი მდებარეობს ვადასთან ახლოს, ხოლო მეორე ქარქაშის პირველი მესამედის ბოლოს, ქარქაში ლითონის ბუნიკით ბოლოვდება, რომელიც იდენტურია I ტიპის B ქვეტიპის ბუნიკის, №24 ხმალი (ტაბ. XI 1) სტანიცა მოლდოვანოვკიდან[38] (კოჩკაროვი 2005: 34; ტაბ. XVI, XVIII; ტარაბანოვი 1992; ნოვიჩიხინი 2008: 34-36).

კარლოს დიდის სეიბრი იგივე ვენის სეიბრი[39]

უპირველესი ნიმუში და ამ ტიპის ყველაზე ცნობილი ეგზემპლარი არის ე. წ. კარლოს დიდის სეიბრი (ტაბ. XII), რომელიც დიდი ალბათობით აღმოსავლური წარმოშობისაა და დასავლეთ ევროპაში გარკვეული პერიოდის წინ მოხვდა. ხმალს უკავშირდება ბევრი ფანტასტიური ისტორია და ლეგენდა.[40] წყაროები

ადასტურებენ, რომ ხმალი 1794 წლამდე ინახებოდა ქ. აახენში, 1801 წელს კი ქ. ვენაში გადაიტანეს. XVIII ს. ბოლომდე ხმალი გამოიყენებოდა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორად კურთხევის კერძოდ ხმლის შემორტყმის ცერემონიის დროს (ფოდორი და სხვები 1996: 68-69, 71; კირპიჩნიკოვი 1965: 268).

ხმლის საერთო სიგრძე-90.5 სმ.-ია, საბრძოლო პირის-78.8 სმ. გამოირჩევა გრძელი შაშარით (ელმანით) დაახლოებით-56.8 სმ. და თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება გამოკვეთილი ფართო ღარი (დოლი). ქარქაშის სიგრძე 86.5 სმ (ფოდორი და სხვები 1996: 67-68; კირპიჩნიკოვი 1965: 268; კომ. 1).

ვენის ხმალი კარლოს დიდის მეფობის შემდგომ პერიოდში შეიქმნა. მისი დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მოყოლებული IX ს. ვიდრე XI ს. ჩათვლით, ამავე დროს მის აღმოსავლურ წარმოშობაზე ეჭვი არავის ეპარებოდა.

ვენის ხმალი გამოირჩევა თავისი მდიდრული მორთულობით, ტარის და ქარქაშის შესამკობად გამოყენებულია სპილენძის მოოქროვილი მოგრძო და ვიწრო ორნამენტირებული ფირფიტები (კირპიჩნიკოვი 1965: 270 კომ. 15). ხმალს აშკარად ეტყობა გვიანი შეკეთების და შემკობის კვალი (კირპიჩნიკოვი 1965: 270 კომ. 15). გასაკვირი არცაა, რომ ვენის ხმალი, რომელიც სააღლუმე – საზეიმოდ გამოიყენებოდა, სახელმწიფო მნიშვნელობისაა და მისი იდეოლოგიის ნანილს ნარმოადგენს.

კირპიჩნიკოვი ხმლის შექმნას ორ რეგიონს რუსეთს და უნგრეთს უკავშირებს (კირპიჩნიკოვი 1965: 275). მკვლევრის აზრით, ხმალი შეიძლება დათარიღდეს არა უგვიანეს XI ს. 950-1025 წლებით.[41] ეს დასკვნა ემყარება ხმლის არსებული ორნამენტის სტილს და მორთულობის ფორმებს, რომელსაც რუსულ სამყაროს უკავშირებს. თავის მხრივ, უნგრელი სპეციალისტები უნგრელი ოსტატის ნახელავად მიიჩნევენ, X ს. ერთ-ერთი მთავრის კარზე. ამასთანავე აღიარებენ იმ ფაქტსაც რომ ხმლის ორნამეტში შეიმჩნევა სლავურ-ვარანგული[42] მხატვრული მოტივებიც, რომელსაც ხსნიან ოსტატის მიერ კიევურ მხატვრული სკოლის ცნობადობით (ფოდორი და სხვები 1996: 71).

ცნობილი მკვლევარი მ. ვ. გორელიკი ამ ხმალს კაბარებს (გორელიკი 2001: 180)[43] (ხაზარ-უნგრელებს) მიაკუთვნებდა და მასთან ერთად კოლოსოვკა 1 სეიბრსაც ერთი სახელოსნოს ნანარმად აცხადებდა (გორელიკი 2001: 176, 177 სურ. 1).

დ. ნიკოლი ამ ხმალს თავის ნაშრომში კარლოს დიდის სეიბრს რუსულს ან უნგრულს უნოდებს და 950-1025 წლებით ათარიღებს (ნიკოლი 1999ბ: 36). ერთ-ერთ ილუსტრაციაზე ეს ხმალი რუსი ბოიარის შეიარაღების ნაწილია (ნიკოლი 1999ბ: 46; სურ. D). წარმოების ადგილად სამხრეთ რუსეთს მოიაზრებს (ნაკლებ სავარაუდოდ ადრეულ უნგრელებს მიუთითებს), თუმცა მომთაბარულ ტრადიციებში შესრულებულად თვლის (ნიკოლი 1999ა: 90) (როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში დ. ნიკოლი კირპიჩნიკოვის მოსაზრებას ემხრობა) და ფიქრობს, რომ ხმალი დასავლეთ ევროპაში რუსეთიდან დიპლომატიური საჩუქრის სახით მოხვდა 1075 წელს.

ჩვენი კარლოს დიდის სეიბრი მიგვაჩნია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში[44] შექმნილად, რაზეც მთელი რიგი ნიშნები მიუთითებს: გაფორმების ელემენტების და ხმლის საერთო ფორმის გარდა, ვადა, ტარის ქუდი და ქარქაშის ბუნიკი, რომელიც ნაკლებ დამახასიათებელია უნგრული სიძველეებისთვის.

ხმლები ზმეისკაიას კატაკომბური სამაროვნიდან

ზმეისკაიას კატაკომბური სამაროვანი მდებარეობს დღევანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე. 1957-1959 ნნ. სამაროვანზე კვლევის შედეგად გამოვლინდა 88 კატაკომბა. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. ამათგან ჩვენთვის საინტერესოა № 3, 9 (ტაბ. XIII, 2), კატაკომბების სეიბრები (სულ კატაკომბებში ნაპოვნია 26 სეიბრი).

ვ. ა. კუზნეცოვი მათ „სპეციფიკურ ალანურ იარაღს" უნოდებს, თუმცა ხაზარულ ტიპს მიაკუთვნებს (ვენის ხმალთან ერთად) (კუზნეცოვი 1962: 36). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხმალი (ტაბ. XIII 1) № 14 კატაკომბიდან[45] (სიგრძე 90 სმ.) თარიღდება XI ს. (კუზნეცოვი 1962: 36; სურ. 7; გაბუევი 2005: 135, 149) თუმცა სამარხი XII ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის. იარაღი აშკარად სტატუსურია, ტარი, ვადა და ქარქაში შემკულია მოოქროვილი ვერცხლით, ორნამენტირებულია მხოლოდ სახიანი მხარე, თავისი ფორმით და მორთულობით ახლოსაა ვენის სეიბრთან (ე. ნ. კარლოს დიდის სეიბრი). ვენის ხმლისგან განსხვავებით არ გააჩნია გამოკვეთილი შაშარი (ელმანი) და ღარი (დოლი) ამავე დროს ხმლის პირი სამკობი ორნამენტის გარეშეა (კუზნეცოვი 1962: 36-37).

კოლცო გორას ხმლები

კოლცო გორას სამაროვანი მიკვლეული იქნა 1957 ნ. არქეილოგიური ექსპედიციის დროს ქ. კისლოვოდსკის რაიონში სტავროპოლის მხარე (რუსეთის ფედერაცია). 1981-1984 წლებში განახლებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა დამატებით 48 სხვადასხვა სამარხი, მათ შორის 40 კატაკომბური.

განსაკუთრებული მდიდრული ინვენტარით გამოირჩეოდა № 1, 41 სამარე სადაც აღმოჩნდა მაღალი ოსტატობით შესრულებული ხმლები.ხმლები თარიღდება XI ს. დასასრულით და XII ს. დასაწყისით.

ხმალი № 1 კომპლექსიდან საერთო სიგრძე 96 სმ., სიგანე ვადასთან 3.8 სმ, ტარის პირის სიგრძე 14 სმ. თითქმის სწორია, მოხრილია მხოლოდ წვერის მონაკვეთი. ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომელიც მას პალაშს უწოდებს (სავენკო 1986: 76). ხმლის ტარის ქუდი ვერცხლისაა, მოოქროვილი, (ტემლაკის სამაგრი რგოლით) 2 სალტე-საკიდი და ქარქაშის ბუნიკი (12 სმ.) გამოირჩევა მდიდრული მორთულობით.

№ 41 კატაკომბის ხმალი (ტაბ. XIII, 3) მცირედ მოხრილია, საერთო სიგრძე 98 სმ. დახრილი ტარით სიგრძე 16.2 სმ., საბრძოლო პირი 75 სმ. ხოლო სიგანე 3.4 სმ. მდიდრულადაა მორთული (შესრულებულია მოოქროვილი ფირფიტებით), ტარის ქუდი (ქუდზე დამაგრებული იყო ტემლაკის რგოლი) და ვადა. ტარის ხის შემავსებელი განყობილი იყო ვერცხლის დაწნული მავთულით. ორნამენტირებული იყო სალტე-საკიდები და ქარქაშის ბუნიკი სიგძე 19.1 სმ. (სავენკო 1986: 77-78; სურ. 4, 4-5; კამინსკი, კამინსკაია-ცოკური 1997: 63; სურ 3).[6]

ჩვენამდე მოღწეული მასალის და გამოსახულებათა რაოდენობის სიმწირის მიუხედავად, ზემოთ განხილული მონაცემებიდან ჩანს, რომ მოხრილ ხმალს – სეიბრს X-XI სს. მოყოლებული იყენებდნენ საქართველოში.

რა თქმა უნდა მხოლოდ გამოსახულებითი მონაცემების საფუძველზე საბოლოო დასკვნის გაკეთება ძნელია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ X-XII საუკუნეებით დათარიღებული ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი სეიბრების მსგავსი ხმალი არა მასიურად, მაგრამ მაინც გავრცელებული იყო ჩვენში. რისი ერთ-ერთი კერძო შემთხვევის ასახვაც მოხდა გელათის წმ. გიორგის ხატზე.

გასათვალისწინებელია ინტენსიური კავშირები ჩვენსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში (კულტურულ, სამხედრო და სავაჭრო სფეროში). საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება ინტენსიურად იყენებდა მათ ძალას სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სამხედრო აქციაში. ეს კონტაქტები მხოლოდ მეომართა ჩამოყვანით არ შემოიფარგლებოდა, რასაკვირველია ყურადღება ექცეოდა და მიექცეოდა კიდეც მათ კუთვნილებაში მყოფ აღჭურვილობას.

გელათის ნმინდა გიორგის ხატზე გამოსახული ხმალი უდავოდ წარმოადგენს ზემოთ ნახსენები კონტაქტების შედეგს.

შენიშვნები

1 განეული დახმარებისათვის და პუბლიკაციისათვის საჭირო მასალის მონოდებისათვის მადლობას ვუხდით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ომარ ლანჩავას და ამავე მუზეუმის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ქალბატონ ნონა ქარციძეს.

2 „Втарая известна мне только по фото Т. Кюне (размером 13х18) из экспедиции Е. С. Такаишвили – по видимому тоже из Рачи (см. фото 193)", „И вторая, неизвестная" (ჩუბინაშვილი 1959: 344-345).

3 წმ. გიორგის (საინვ. №3879/733) ხატი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან სრულ მსგავსებას აჩენს წმ. გიორგის (№193) ხატთან ჩუბინაშვილის მიხედვით. კერძოდ: ხატის ცენტრალური არეს სრული დამთხვევაა, იკონოგრაფიულად, სკულპტურულად, ფიგურების პროპორციებით, პოზა და ჟესტი, პირისახის ნაკვთები, ჩაცმულობა, იარაღი, ცხენის აკაზმულობა, სადა ფონი და ზემოთ ტრიუმფატორი მხედრისგან მამარტებელი ოთხი მთავრული ასო ნიშანი. ასევე ემთხვევა დაზიანებული ადგილებიც: წმ. გიორგის თავის არეში, ნაკლულია ცხენის უკანა მოსართავი ღვედის – საძუეს ერთი ნაწილი, აგრეთვე ემთხვევა მცირე დაზიანებები და ლაქაბიც კი. იდენტურია ხატის არშიების ფერადი ქვებით გაფორმებული ჭედურობა (XVI-XVIII სს), რომელიც შელახული და ნაკლულია.

4 გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნაწილი ნივთებისა რომელიც დაფიქსირებული იყო ერთ- ერთ პუნქტში, გარკვეული დროის შემდეგ სხვა ადგილზე იქნა მიკვლეული. ასევე მსგავს ვითარებაშია ნაპოვნი მიქაელ კათოლიკოსის ოქროს ენკოლპიონიც (ჩუბინაშვილი 1959: XI).

5 ნურნუმია 2011: 186-220. მ. ნურნუმია ნაგრძელებული შუბით ბრძოლის ნესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება. საისტორიო კრებული I, წელიწდეული. თბილისი, მხედარი.

6 მაღალყელიანი ფეხსაცველი – „ჩექმა თურქთ(ა) ენაა, ქართულად **მოგვი** ენოდების" (ლექსიკონი 1993: 319); „ორნი დაშნანი იქით და აქეთ მოგშვიგან ესხმიენ" (ხონელი 1969: 30), დაშნა – „მოკლე ხრმალი" (ლექსიკონი 1991: 207), ფეხსაცმელი მაღალ ყელიანია, ნინააღმდეგ შემთხვევაში დაშნა ვერ მოთავსდებოდა.

7 ხშირ შემთხვევაში ადრეული ჰერიოდის სეიბრებს თითქმის სწორი ან მცირედ მოხრილი საბრძოლო პირი აქვს, ამიტომ ჩვენ არ გამოვიყენებთ ტერმინს – მოხრილი ხმალი, რადგან თავი დავიზღვიოთ გაუგებრობისგან. პალაშის – ცალპირ ლესული სწორი ხმლების მსგავსად, რომელიც ამ ბოლო დროს იწყებს დამკვიდრებას ჩვენს ისტეორეოგრაფიაში (ნურნუმია 2016: 442), მოხრილ ხმლებს ჩვენც სეიბრად მოვიხსენიებთ, აქ ნახსენები ხმალი სეიბრის მნიშვნელობით იქნება, ნინააღმდეგ შემთხვევაში მივუთითებთ: სწორ, ორლესულ ან ცალპირლესულ ხმალს.

8 ეს სამართლიანი იქნება სეიბრების განვითარების ადრეულ ეტაპზე, როცა ისინი შედარებით მოკლე, ვინრო და მსუბუქია.

9 კრებული რუსთავი III, ტაბ. XLIV 2005: 78-79. აღმოჩენილია რუსთავის ციტადელის გათხრების დროს 1974 ნელს, სასახლის №1 ოთახში XIII ს. დათარიღებულ ფენაში. არ გამოვრიცხავთ და ვვარაუდობთ რომ უფრო ადრეულ პერიოდს ეკუთვნის. ამჟამად ინახება ეროვნულ მუზეუმში.

ხმალი მცირედ მოხრილია, ქარქაშზე შეიმჩნევა ორი მთლიანი სალტე-საკიდი, ბუნიკი ცილინდრული ტიპის უნდა იყოს – მსხლისებრის მსგავსი – ბუნიკის მომრგვალებული ბოლო მცირედ აღემატება ქარქაშის კალაპოტს (კოლოსოვკა 1 ხმალი, I ტიპი B ქვეტიპი – კოჩაროვი 2005: 144-145).

10 გაწეული კონსულტაციისთვის და მასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების კურატორს ბატონ ჯიმშერ ჩხვიმიანს.

ჭურქელი ნაპოვნია 2007 წ. დმანისის მეჩეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე. გამოსახულია მსუბუქად შეიარაღებული მხედარი, ტანთ აცვია ჯაჭვის პერანგი (თევზის ფხის წყობის მაგვარი ნახევარწრიული ნაკაწრები), ხელში უჭირავს მოხრილი ხმალი რკალისებრი ვადით, ნელზე შემორტყმული აქვს ცილინდრული კაპარჭი. თავზე ახურავს თავსაბურავი, კეფასთან შეინიშნება დინამიკური ხაზი. აღნერილობის გათვალისწინებით ჩვენი ნინასწარული ფრთხილი ვარაუდით საქმე შეიძლება გვქონდეს ყივჩაყ მეომართან. ასეთი დინამიურ ხაზებს და მცირე ზომის ქუდებს ვხედავთ ყივჩაღურ ქვის ქანდაკებებზეც (პლეტნიოვა 1981: 265 სურ 88; ბორელიკი 2012: 115).

11 ისრების სატარებელი და შესანახი ყუთი. „ისარის ქარქაში" (ლექსიკონი 1991: 352).

12 მონღოლურად თვლის ამ კაპარჭს მ. ნურნუმია და, შესაბამისად, უფრო გვიანი თარიღით XIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (ნურნუმია 2016: 451; ნურნუმია 2013: 338-343).

13 მონღოლებამდეც, არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს კაპარჭების ძვლის დეტალებს დიმიტრიევსკის და სერკელის ნაქალაქარის სამაროვანზე, თუმცა მათი ორნამენტი მონღოლურთან შედარებით მარტივია. ძვლით ინკრუსტირებული კაპარჭები მზადდებოდა თბილისშიც მონღოლების გამოჩენამდე – (კიკნაძე 1979: 29) „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

14 საქართველოში მონღოლების გამოჩენამდე ცილინდრული კაპარჭების გავრცელებაზე წერილობითი წყაროები მიგვანიშნებენ, კერძოდ, „სამყაროს საკვირველებათა" მიხედვით თბილისში ძვლით ინკრუსტირებული საისრე ყუთები მზადდებოდა. ამასთან საქართველოს ლაშქარში სხვადასხვა სახით (მონასპა, როქისსპა, ყმადნაფიცი) ხვდებოდა ალანურ, ყივჩაღური, თურქული, რუსული თუ სხვა კონტიგენტი (ჩხატარაიშვილი 1966: 161-186; მარგიშვილი 2006: 117-121; ნურნუმია 2016: 62-66, 78), რომელთა შეიარაღების ნანილიც მშვილდი და ცილინდრული კაპარჭია, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ქართული სამხედრო კულტურისთვის ამ ტიპის კაპარჭი არ იყო უცხო. სამნუხაროდ, XIII ს. ადრეული გამოსახულება ცილინდრული კაპარჭისა არ მოგვეპოვება.

15 კაპარჭის თავზე გამოყოფილია ჰორიზონტალური ხაზით (ტაბ. III, 1, 8).

16 მოკლეა ზურგის ფირფიტაზე, მათი ზომის სხვაობის შედეგად მიიღება ისრის ამოსაღები ერთგვარი ჯიბე.

17 როგორც ვარიანტი: D ფორმის ძრო და მთლიანი ტყავის კორპუსი, ძვლის ან ლითონის დეტალებით. კორპუსის მასალა ცაცხვი იშვიათად მურყანი, D ფორმის ძრო – ვერხვი. კონსტრუქციის შემაკავშირებელია ნებო და ლითონის ლურსმნები.

18 პენჯიკენტის ნაქალაქარი მდებარეობს დღევანდელი ტაჯიკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პენჯიკენტის რაიონში, მდ. ზარავშანის მარცხენა ნაპირზე. სამარყანდიდან 65 კმ-ზე. პენჯიკენტი VI-VIII სს. სოგდიანას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრია. VIII ს. შენყვიტა თავისი არსებობა არაბთა შემოსევების შედეგად. ქალაქი ცნობილია თავისი კედლის მხატვრობით.

19 მდებარეობს ყაზახეთში, ტბა ბალხაშიდან ჩრდილოთით ტიანშანის მთათა სისტემამდე სამხრეთში (ბაიპაკოვი 1986: 7-8).

20 ყივჩაყური ქვის ქანდაკებები (XI-XIII სს.) გამოსახავდნენ მამაკაცებს და ქალებს მდგარ ან მჯდომარე პოზაში დაკავშირებულია ნინაპართა კულტთან, მიმოფანტულია ევროპული სტეპების ზონაში, დგამდნენ ყორღანებზე, სტეპში გზების და მდინარეების გადაკვეთაზე, ამაღლებულ ადგილზე. ქვის ქანდაკებები დამახასიათებელია სხვა ხალხებისთვისაც (პლეტნიოვა 1974).

21 იხ.: https://vk.com/id297080806?z=photo297080806_370940406%2Falbum297080806_216764738

22 პირობითად ერთრკალიანი ვუნოდეთ. თავისი ფორმით და ზომით ახლოსაა ე. ნ. თურქულ მშვილდებთან. (ლოადს 2016: 13-14), რა თქმა უნდა სხვადასხვა დროში შექმნილი ეს მშვილდები განსხვავდებოდა ზომით და ცალკეული დეტალის ტექნიკური გადაწყვეტით.

23 ჩვენი აზრით, H-1665 ხელნაწერის მინიატურები, მთელი რიგი ნიშნების გათვალისწინებით უნდა თარიღდებოდნენ XIII ს. ბოლო მეოთხედით და XIV ს. პირველი ნლებით. აქვე აღვნიშნავთ მინიატურების დათარიღების პრობლემა საკვლევ თემას სცდება და აქ არ ჩავუღრმავდებით.

24 მშვილდის გამოსახულება (ცალკეულ დეტალების ჩათვლით) რეალისტურია და მაღალ ოსტატობითაა შესრულებული, ჯრუჭის II ოთხთავის სხვა მინიატურებზე გამოსახული მშვილდებისგან განსხვავებით გამოირჩევა მეტი სიზუსტით, მაგალითად 186v. მინიატურა ციხის იერიშის სცენით (ნურნუმია 2016: 621).

შეიმჩნევა ქვედა ძლიერი მოხრილი და ზედა გაშლილი მხრები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ასიმეტრიულობის ნიშანია, აგრეთვე მშვილდის ჭერის პოზიციაც ქვედა მხართან ახლოს მდებარეობს, რაც ასევე ასიმეტრიულობის მსაზღვრელია. კარგად იკითხება გოზის (მშვილდის მნვერვალი, მშვილდის რქა (ლექსიკონი 1991: 165) რქის ნანილები, მათი მდგომარეობა სწორად ასახავს მშვილდის მოხრილობას. თუმცა ჰუნური მშვილდისგან განსხვავებით ეს ნანილები შედარებით მოკლეა, რაც მათ აახლოვებს მოშჩევაია ბალკის და დმიტრიევსკის მშვილდის გოზებთან (კამინსკი 1982: 49; ფეოდოროვი, პლეტნიოოვა 2006: 1). მშვილდზე არსებული კოპლები კი არყის ხის ფაქტურის იმიტაციაა (მილოვანოვი, იერუსალიმსკაია 1976: 40-41; ბორელიკი 2002: 10, 18). ასიმეტრიული მშვილდის გამოკვეთილი გამოსახულება ჩვენ სხვაგან არ შეგხვედრია. დროში სხვაობის გარდა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ მხატვრის უნებლიე შეცდომასთან გვაქვს საქმე. გადაჭრით ვერ ვიტყვით, მაგრამ ჩვენთ ხელთ არსებული მნირი ინფორმაციიდან გამომდინარე მოცემული გამოსახულების ერთმნიშვნელოვნად უგულებელყოფა არ იქნება მიზანშენონილი.

25 ერთ-ერთ ინტერნეტ რესურსზე ჩვენი ყურადღება მიიქცია შავი არქეოლოგების მიერ მიკვლეულმა მცირედ მოხრილმა ხმალმა ტაბ. XIV (ტარის დახრაც უმნიშვნელოა). ხმალს გამოარჩევს მასიური არკისებრი, ბოლოში ბურთულებიანი ძლიერ მოხრილი ვადა. ასეთი ვადები უფრო ახლოსაა საქართველოში არსებული ხმლების ვადებთან. ვადის შუა ნანილში არსებული ნანაზარდიც არა რომბისებრი, როგორც ეს გვხდება ხაზარ-უნგრულ სამხედრო კულტურაში არამედ წრიული ფორმისაა. ყურადღებას იმსახურებს ამავე ხმლის მოვერცხლილი ორნამენტირებული ტარის დეტალები.

26 მისი მოხრილობა საგრძნობი შაშარისკენ არის. ადრეულ გრაფიკულ გამოსახულებებშიც ასე გამოხატავდნენ კიდეცთუმცა პროპორციები და ფორმები აშკარად დარღვეულია. მაგ.: (რამიშვილი 2003: 419 სურ: 3, 5; ართილაყვა 1976: 242, სურ. 2).

27 X-XV სს. დათარიღებულ რამდენიმე ათეულ ქედურ ხატზე ჩვენმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საქმე არ გვაქვს ოსტატის რაიმე უნებლიე შეცდომასთან.

28 „სწორ ცარპირლესულ მახვილს პალაში ენოდება. პალაში მჩეხავ-მჩხვლეტავი იარაღია ცალპირა სწორი პირით და სწორი ან დახრილი ტარით" (წურწუმია 2016: 442), რაც შეეხება დახრილ ტარს, ზოგიერთი სპეციალესტი სეიბრის ნიშნებში ათავსებს.

29 გამონაკლისიც არის, მაგალითად, ასეთი ვადა ნაპოვნია დონეცკის ნაქალაქარზე.

30 კაროს II სამაროვანი სამარხი №11 და 52 გვ. 86-87, 96-97, სურ. 9-10, 23-25; კაროს III სამაროვანი სამარხი №11, სურ. 41-44 გვ. 106-107, IX-X სს.; ტიმაფიურედი სამარხი გვ. 289, სურ. 1, X ს.; ტისაშუი სამარხი გვ. 293, სურ. 1, X ს.; სეკეშფერხერვარი სამაროვანი სამარხი №6, გვ. 374, სურ. 1, X ს.; კალი სამაროვანი სამარხი №2, გვ. 397 სურ. 1, X ს.; ასეთივე ვადაა სწორ ორლესულ ხმალზე რაკამაზის სამაროვნიდან, X ს. სამარხი C, სურ. 12. (ფოდორი და სხვები 1996).

31 არ გამოირიცხება მცირე დახრა საბრძოლო პირისკენ, როგორც ამას კარლოს დიდის ხმლის შემთხვევაში ვხედავთ.

32 მაგალითად, ვადა დონეცკის ნაქალაქარიდან ან ზმეისკაიას კატაკომბიდან.

33 მერპერტის ვარაუდით ეს ხელის უკეთ ფიქსაციისთვის არის საჭირო-დაცურების სანინააღმდეგოდ (მერპერტი 1955: 134 სურ 1, 5); იგივე (კორზუხინა 1950: 76-77: ტაბ. II, სურ. 1a და 1b კობანი ჩრდ. კავკასია, ტაბ. III, სურ. 2b და 2 ზემო სალტოვო კატაკომბა № 1, სურ. 4a ზაგრებინო, სეიბრი № 1).

34 რაც სწორი ხმლის გავლენის შედეგია.

35 ხმალი კოლოსოვკიდან, კარლოს დიდის ხმალი, ხმალი კოლცო-გორადან და სხვ.

36 სეიბრი თავის თავში აერთიანებს მრავალ სხვადასხვა ხალხთა კულტურის მონაპოვარს. მათ შორისაა ნახევარწრიული „მთლიანი" და მისი მონათესავე ლათინური P ფორმის საკიდები, დიდი ხნის ისტორიის გარდა მათ ფართოდ გავრცელების არეალიც ახასიათებს – ალტაიდან იტალიამდე და შუა აზიიდან მცირე აზიამდე. მაგალითისთვის სკვითური ქარქაშები, ქსერქსეს სასახლის რელიეფებზე გამოსახული მეომრების დაშნები ან თუნდაც არმაზის სამაროვნის დანის საკიდები (კორზუხინა 1950: 86-88). ქართულ შუასაუკუნეების რეალიებშიც „ხმლის ქარქაშზე, იქ სადაც ხმლის ჩამოსაკიდი ზონრებია გამობმული, დამახასიათებელ ნახევარმთვარისებურ ან არკისებურ მვერილებს ვხედავთ" (ბაქრაძე 2011: 69).

37 „მთლიანი" სალტე საკიდები: კარლოს დიდის ხმალი, ზმეისკაიას კატაკომბის № 14 ხმალი, კოლცო გორას № 41 სამარხის ხმალი; U ფორმა: კობანის 1a ხმალი, სალტოვის ხმალი (კორზუხინა 1950; ტაბ. II, 1a, 16; ტაბ. III -2, 26), ს. ტარსკოეს კატაკომბა № 9 ხმალი (გაბუევი 2005: 52), ზმეისკი № 9 კატაკომბის ხმალი (გაბუევი 2005: 70; კუზნეცოვი 1962; სურ. 7); E ფორმის: ხმალი კრასნოდარიდან; Г ფორმის:, ბაგირის ხმალი-2 ყორღანი-ეილიგ ხემის III სამაროვანი (გრაჩი 1998: 27), ცულისებრი: კაროს III სამაროვანი სამარხი №11 (იშტვან ფოდორი და სხვები 1996: 106-107).

38 სიგრძე 70.5 სმ., სიგანე 3 სმ., მოხრილობა 0.2 სმ., შაშარი 14.7 სმ., ტარის პირი 10.5 სმ. (კოჩკაროვი 2005: 111, 118).

39 აგრეთვე ცნობილია ატილას ხმლის სახელითაც (ფოდორი და სხვები1996: 68).

40 ერთ-ერთი შუასაუკუნოვანი ევროპული წყაროს მიხედვით 1063 ნ. უნგრეთის დედოფალმა ანასტასია კიეველმა მეფე ანდრიაშ I ქვრივმა გადასცა ატილას ხმალი ოტო ნორდჰეიმელს-ბავარიელ უფლისნულს გაწეული დახმარებისთვის, რომელიც მან აღმოუჩინა მის შვილს მეფე სოლომონს ტახტისთვის ბრძოლის დროს (ფოდორი 1996: 68). ეს ცნობა არც ამტკიცებს და არც გამორიცხავს იმას რომ ბოძებული ხმალი ზუსტად „კარლოს დიდის" სეიბრი იყო.

41 XI ს. ათარიღებს გ. ფ. კორზუხინაც.

42 ვარანგულ ელემენტებს ხედავდა მასში მ. გორელიკიც (გორელიკი 2001: 176-177).

43 კაბარი-ხაზართა ნანილი რომლებიც კარაისტული იუდაიზმის მიმდევრები იყვნენ. თვით სიტყვა კაბარი თურქულია და „ჰარტიას", კრებას ნიშნავს (გორელიკი 2001: 180).

44 გარკვეულნილად ჩრდილო კავკასიურიც და უნგრულიც „ხაზარულ" ტრადიციებით საზრდოობს, ამის გამო, რიგ შემთხვევაში ზღვარის გავლება რთულია.

45 ხმალზე შეიმჩნევა ინტენსიური გამოყენების კვალი (კუზნეცოვი 1962: 37).

46 ავტორის აზრით, კარლოს დიდის, კოლოსოვკა 1, ზმეისკაიას სამაროვნის და კოლცო გორას სეიბრებს აქვთ საერთო ნიშნები, როგორც ფორმების მხრივ, ისე დიზაინის თვალსაზრისით (ტარის და ქარქაშის), შესრულების ტექნიკით და ორნამენტის ელემენტებით, ამავე დროს მსგავსია სამაროვნის თანხმლები მასალაც. ეს საერთო ნიშნები შეიძლება აიხსნას საერთო ხელოსნური ტრადიციებით ან წარმოების საერთო ცენტრით (სავენკო 1986: 79).

დამოწმებანი

ალექსინსკი და სხვები 2005: Д. П.Алексинский. Жуков К. А., Бутягин А. М., Коровкин Д. С. Всадники войны: Кавалерия ЕвропыСанкт-Петербург. Полигон.

ართილაყვა 1976: В. Е. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. Мецниереба.

ბაულო 2009: А. В. Бауло. Легендарное Нильдинское Блюдо. Журнал: *Наука из первых рук* №2, том 26.

ბაქრაძე 2011: X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით). *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IV, თბილისი.

ვილკოქსი 1986: P. Wilcox. (Osprey Men-at-Arms 175) Rome's Enemies (3) Parthians & Sassanid Persians. Osprey Publishing.

ვისი 2003: Z. Visy. Hungarian Archaeology at The Turn Of The Millennium. Ministry Of National Cultural Heritage, Teleki László Foundation Budapest.

ვლადიმიროვი 2017: С. И. Владимиров. Вооружение и военное дело населения Доно-Донецкой лесостепи во второй половине VIII – начале X вв. (салтово-маяцкая культура). автореферат Диссертации на соискание кандидата исторических наук, Воронеж.

გაბუევი 2005: Т. А. Габуев. Аланский всадник. Сокровища князей I–XII веков: Каталог выставки. (Владикавказ). Москва, ГМИНВ.

გორელიკი 2001: М. В. Горелик. Образ мужа-воина в Кабарии-Угрии-Руси. Культуры Евразийских степей второй половины I тыс. н.э. (из истории костюма). Том 1. Самара: Самарский областной историко-краеведческий музей им. П.В. Алабина.

გორელიკი 2002: М. В. Горелик. Серия Униформа Армий Мира. Армии Монголо-Татар X-XIV Веков. Воинское Искусство, Снаряжение, Оружие. Библиотека Журнала "Техника-Молодежи". Москва Ея., Ооо Восточный Горизонт.

გორელიკი 2012: М.В. Горелик. Воины и полководцы Калкской битвы (вооружение, снаряжение). БАТЫР №1-2 (№4-5). Традиционная военная культура народов Евразии. Москва.

გრაჩი 1998: А. Д. Грач, Д. Г. Савинов, Г. В. Длужневская. Енисейские кыргызы в центре Тувы (Эйлиг-Хем III как источник по средневековой истории Тувы) М.: "Фундамента-Пресс". ხელმისაწვდომია: http://kronk.spb.ru/library/grach-ad-1998-05.htm

დარკევიჩი 1976: В. П. Даркевич. Художественный металл Востока. Произведения восточной торевтики на территории европейской части СССР и Зауралья, Москва, Ленинград, Наука.

დიტლერი 1961: П. А. Дитлер. Могильники в районе поселка Колосовканар. Фарс. СМАА.Том II. Майкоп.

დმიტრიევი 2003: А. В. Дмитриев. Могильник Дюрсо — эталонный памятник древностей V-IX вв. Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья IV- XIII вв. Серия: *Археология*, Москва, Наука.

დოუსონი 2009: T. Dawson (Osprey Warrior 139). Byzantine Cavalryman C. 900-1204. Osprey Publishing.

ევგლევსკი, პოტიომკინა 2000: А. В. Евглевский, Т. М. Потёмкина. Восточноевропейские позднекочевнические сабли, Степи Европы в эпоху средневековья, т. 1. Донецк.

იაკუბოვსკი და სხვები 1954: А. Ю. Якубовский, А.М. Беленицкий, М.М. Дьяконов, П.И. Костров. Живопись древнего Пянджикента. [сборник], Академии наук СССР, Москва.

იერუსალიმსკაია 2012: А. А. Иерусалимская Мощевая Балка. Необычный археологический памятник на Северокавказском шёлковом пути. СПб: Изд-во Гос. Эрмитажа.

კამინსკი 1982: В. Н. Каминский. О конструкции лука и стрел северокавказских аланов, Краткие сообщения Института археологии. Вып. 170.

კამინსკი, კამინსკაია-ცოკური 1997: В. Н. Каминский, И. В. Каминская-Цокур. Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье. Историко-археологический альманах Т. 3. Армавирский краеведческий музей. ხელმისაწვდომია: http://annales.info/kavkaz/small/kam-tzok.htm

კეკელიძე 1974: რ. კეკელიძე. საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან. *ძეგლის მეგობარი*; კრ., 34.

კიკნაძე 1979: „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბილისი.

კირპიჩნიკოვი 1965: А. Н. Кирпичников. Так называемая сабля Карла Великого. *Советская археология*, № 2.

კირპიჩნიკოვი 1966: Кирпичников А. Н. Древнерусское оружие. Выпуск первый. Мечи и сабли IX-XIII вв. — Археология СССР., М.-Л.: Наука.

კორზუხინა 1950: Г. Ф. Корзухина. Из истории древнерусского оружия XI века, Советская археология. XIII. Издательство академии наук СССР, Москва.

კოჩკაროვი 2005: У. Ю. Кочкаров. Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья (оружие ближнего боя). Москва. Таус.

კოჩკაროვი 2010: У.Ю. Кочкаров. Кинжалы Северо-Западного Предкавказья VIII-X вв. [журнал] Российская археология. №1. ვებ-გვერდი http://kronk.spb.ru/library/kochkarov-uyu-2010.htm

კუზნეცოვი 1962: В. А. Кузнецов. Аланские племена Северного Кавказа. Москва.

კუზნეცოვი 1963: В. А. Кузнецов Исследования Змейского катакомбного могильника в 1958 г. Средневековые памятники Северной Осетии (Материалы и исследования по археологии СССР №114) Издательство Академии наук СССР.

ლექსიკონი 1991: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ., 1. თბილისი, მერანი.

ლექსიკონი 1993: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ., 2. თბილისი, მერანი.

ლოადსი 2016: M. Loades. (Osprey Weapon 043) – The Composite Bow, Osprey Publishing.

მაისურაძე 1970: ზ. მაისურაძე. ისტორიის ქვის ფურცლები. *ძეგლის მეგობარი*, #20.

მარგიშვილი 2006: ს. მარგიშვილი მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბილისი, სიესტა.

მაჩაბელი 2008: კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაკვარები. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მერპერტი 1955: Н. Я. Мерперт. Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье. *Советская археология*, XXIII. Издательство Академии Наук СССР, Москва.

მილოვანოვი, იერუსალიმსკაია 1976: Е. А. Милованов, А. А. Иерусалимская, Лук из Мощевой Балки. Сообщения Государственного Эрмитажа. [Вып.] XLI. Л. ხელმისაწვდომია: http://kronk.spb.ru/library/milovanov-ierusalimskaya-1976.htm

მიხაილოვი, კაინოვი 2011: K. A. Mikhailov, S. Yu. Kainov. Finds of structural details of composite bows from Ancient Rus'. *Acta Archaeologica Academiae Scientiarum Hungaricae*, 62.

მუჟუხოევი და სხვები 2017: М. Б. Мужухоев, Е. И. Нарожный, Д. Ю. Чахкиев (Назрань, Армавир, Магас, Россия). Воинское Погребение № 33 Келийского Могильника (Горная Ингушетия) Археология Евразийских Степей, № 5.

ნიკოლი 1996: D. Nicolle. Sassanian Armies. The Iranian Empire Early 3rd To Mid-7th Cent. Montvert Publications.

ნიკოლი 1999ა: D. Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia. vol., 2. London, Greenhill Books.

ნიკოლი 1999ბ: D. Nicolle. Armies of Medieval Russia 750-1250. Osprey Publishing.

ნიკონოროვი, ხუდიაკოვი 2004: В. П.Никоноров, Ю. С. Худяков. Свистящие стрелы Маодуня и "Марсов меч" Аттилы, Военное дело азиатских хунну и европейских гуннов. СПб.

ნოვიჩიხინი 2008: А. М. Новичихин. Воинский кенотаф с захоронением боевого коня на средневековом могильнике Андреевская щель. Военная археология: Сборник материалов семинара при Государственном историческом музее. Москва, Квадрига.

პლეტნიოვა 1974: С. А. Плетнёва. Половецкие каменные изваяния. Москва, Наука, (Археология СССР. Свод археологических источников. Вып. Е4-02).

პლეტნიოვა 1981: С. А. Плетнёва. Кочевники восточноевропейских степей в X-XIII вв. Степи Евразии в эпоху средневековья. Серия: Археология. Москва, Наука.

პლეტნიოვა 1989: С. А. Плетнева. На славяно-хазарском пограничье (Дмитриевский археологический комплекс). Москва. Наука.

რამიშვილი 2003: Р. М. Рамишвили. Грузия в эпоху развитого средневековья (X-XIII вв.). Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья IV- XIII вв. Серия: *Археология*, Москва, Наука.

რუდენკო 2016: К. А. Руденко. Редкие находки эпохи Хазарского каганата, Теория и практика археологических исследований. Барнаул: Изд-во Алт. ун-та. №3 (15).

საველკო 1986: С. Н. Савенко. (Грозный). Этнокультурная характеристика багатих погребений конца XI – первой полевины XII вв. могилника кольцо-гора. Этнокультурные проблемы эпохи бронзы Северного Кавказа. Орджоникидзе: СОГУ.

სლანოვი 2007: А. А. Сланов. Военное дело Алан I-XV вв. Владикавказ: Сев.-Осет. ин-т гум. и соц. исслед. им. В. И. Абаева.

ტარაბანოვი 1992: В. А. Тарабанов. Раскопки средневекового кремационного могильника у с. Молдавановское Крымского района в 1989 г. археологические раскопки на Кубани. в 1989-1990, г. Ейск.

ფეოდოროვი, პლეტნიოვა 2006: О. Федоров, С. Плетнева. Аланы. Комплекс вооружения воинов Хазарского каганата. *Журнал Цейхгауз*, №22.

ფლიოროვა 2000: В. Е. Флёрова (Нахапетян). Костяные детали луков, колчанов и налучий Белой Вежи. // Степи Европы в эпоху средневековья , т. 1, Донецк.

ფოდორი და სხვები 1996: I. Fodor, L. Révész, M. Wolf, I. M. Nepper (eds). The Ancient Hungarians. Budapest: Hungarian National Museum.

ჩოფიკაშვილი 1964: ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIVსს.), საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩუბინაშვილი 1959: Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства., *Сабчота Сакартвело*, Тбилиси.

ჩხატარაიშვილი 1966: ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, 1966.

წურნუმია 2011: მ. წურნუმია. წაგრძელებული შუბით ბრძოლის ნესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება. *საისტორიო კრებული*, I, ნელიწდეული. თბილისი, მხედარი.

წურწუმია 2013: მ. წურნუმია. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტომი I. მხედარი.

წურნუმია 2015: მ. წურნუმია. შუა საუკუნეების ხმლები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. თბილისი. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IX, თბილისი.

წურწუმია 2016: მ. წურნუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბილისი, მხედარი.

ხონელი 1969: მ. ხონელი. ამირანდარეჯანიანი. რედ., ი. აბულაძე, მ. ებრალიძე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი, მერანი.

ფედოროვ: О. Федоров. Стрелковый пояс, колчан и налучье из Карос 3, рисунок-реконструкция О. В. Федорова 2011 г. ხელმისაწვდომია: https://vk.com/wall-59381051?z=photo-59381051_368492742/wall-59381051_279 (წაკითხული: 15.03. 2018)

ONE EXAMPLE OF WEAPON IN GEORGIAN MIDDLE AGES CHRISTIAN ICONOGRAPHY

Zurab Maghradze

The present work aims to introduce to scientific circles and the society interested in the Georgian medieval weaponry the pattern of cold weapons, which was used in the Georgian military life.

On the basis of the medieval iconographic and archaeological data we want to bring in scientific circulation the one interesting type of the Sabre existing in Georgia. Georgian Christian iconography contains many important details; there are various samples of old Georgian material culture.

Our attention was attracted to Gelati Monastery St. George silver icon from the National Historical Museum in Kutaisi. In our opinion, St. George Icon should represent the Icon №193 published by G. Chubinashvili, It was known as T. Kiune photo from E. Takaishvili expedition.

In the Icon St. George is portrayed as heavily armed horseman. His armour, sword, saddle, horse harness is realistic and is distinguished by its originality. The most important thing that made us pay attention to this image is the curved sword - so-called sabre.

In our view, the sword hilt depicted on Gelati St. George icon, by its design and structure, as well as slightly curved combat blade, with the suspension loops, shows and reveals the obvious similarity with its epoch artefacts and archaeological material and undoubtedly wears the sabre signs.

Sabre hilt – sword pommel belongs to the pear-shaped pommels (which's known examples are: Vienna Sabre – crossguard consists of two equal wings, in the middle part is observed angular crest and Gelati sabre guard shape is very similar to the sabres of Vienna and Colosovka 1.

Scabbard – in case of Gelati sabre we see the Scabbard, that repeats the length and curving of the sabre, Scabbard ends with metal chape, which is identical to the №4 sabre chape from the stanitsa Moldavanovka.

From the images of Georgian medieval times appears, that for Georgians in X-XI centuries was not unknown the curved sword. Of course, it is difficult to make a final conclusion on the basis of based solely on iconography. However, we can say that sabre (similar sabres discovered in the North Caucasus are dated by X-XI centuries) though not massively but were spread in Georgia. Gelati St. George icon might be used as eloquent testimony to this.

This fact shows that Georgians and inhabitants of Northern Caucasus during the medieval times had intensive interrelations. The sword depicted on Gelati St. George icon undoubtly represents the result of above mentioned contacts.

ტაბულები

ტაბ. I.

გელათის ნმ. გიორგის ჭედური ხატი X-XI სს. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

ტაბ. II.

ნმ. გიორგის ხატი „№193 რაჭა“ (ჩუბინაშვილის მიხედვით).



1 2 3 4

5

6



7

8

ტაბ. III. სეიბრი

1. 2. 3. გოხნარის და ახალსოფლის ქვები (ი. ბაქრაძის მიხედვით).
4. გოხნარის ქვა (შ. წურწუმიას მიხედვით).
5. შტანდარტი რუსთავიდან.
6. ჯრუჭის II ოთხთავი H1667 ხელნაწერი, იოანე ნათლისცემლის თავის კვეთის სცენით (შ. ამირანაშვილის მიხედვით).
7. ლაშა გიორგის ფრესკა ბერთუბნიდან (ნ. ჩოფიკაშვილის მიხედვით).
8. ჭურჭელი მხედარის გამოსახულებით დმანისიდან XIII ს.



ტაბ. IV. კაპარჭების გამოსახულებები

1. თაღ-ი ბოსტანი რელიეფი VII ს. (ფრაგმენტი).
2. პენჯიკენტის კედლის მხატვრობა (ფრაგმენტი).
3. IX-X სს. ბოლშე-ანიკოვსკის თასი.
4. ხაზარული IX-X სს. ჭურჭელი, ფონდი მარჯანის კოლექციიდან (ფრაგმენტი).
5. ყივჩაყური ქვის ბაბები (პლეტნიოვას მიხედვით).



ტაბ. V. კაპარჭები

1. მოშჩევაია ბალკა (ვ. კამინსკი და ი. კამინსკაია-ცოკურის მიხედვით).
2. დიმიტრიევსკის არქეოლოგიური კომპლექსი (ო. ფეოდოროვის და ს. პლეტნიოვას მიხედვით).
3. კაპარჭი კაროს III – უნგრეთი (ო. ფეოდოროვის მიხედვით).



ტაბ. VI. მშვილდის სახეობა

1. ერთრკალიანი/თურქული (ლოადსის მიხედვით).
2. ორრკალიანი/ჰუნური (ლოადსის მიხედვით).

1

2


3 4 5

6

7

8

ტაბ. VII. მშვილდები

1. ქვაჯვარის ფრაგმენტი ნათლისცემლიდან VI-VII სს მიჯნა (კ. მაჩაბელის მიხედვით).
2. ნებელდის კანკელი VII-VIII სს (ავტორის ფოტო).
3. 4. გოხნარის დაახალსოფლის ქვა (ი. ბაქრაძის მიხედვით).
5. გოხნარის ქვა (მ. ნურნუმიას მიხედვით).
6. ძვლის ზარდახშის ფრაგმენტი მხედრის გამოსახულებით, ბიზანტია X-XII ს. (ი. ჰელტის მიხედვით).
7. ასტროლოგიური ტრაქტატი, A-65 მანუსკრიპტის 182r მინიატურის ფრაგმენტი (მ. ნურნუმიას მიხედვით).
8. დავითნის H-1665 212v მინიატურის ფრაგმენტი (მ. ნურნუმიას მიხედვით).

1

2

ტაბ. VIII. ორკალიანი მშვილდები

1. ატენის სიონის რელიეფი, ფრაგმენტი ნადირობის სცენიდან.
2. ჯრუჭის II ოთხთავი H1667 ხელნაწერი 111r მინიატურა XII ს. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).

ტარის ქუდების ტიპოლოგია



ცილინდრული / სათითისებრი

I ტიპი: კირპიჩნიკოვი
I ტიპი: ევგლევსკი, პოტიომკინა
I ტიპი: კოჩკაროვი



ოვალურ შვერილიანი

II ტიპი: ევგლევსკი, პოტიომკინა
II ტიპი A **ქვეტიპი: კოჩკაროვი**



მსხლისებრი

II ტიპი: კირპიჩნიკოვი
II ტიპი B **ქვეტიპი: კოჩკაროვი**

ტაბ. IX. ქუდები

1. ცილინდრული/სათითისებრი
2. ელიფსური შვერილით
3. მსხლისებრი

ხმლის ვადები



მაქოსებრი

I ტიპი: კირაპიჩნიკოვი

I ტიპი 1 ვარიანტი: ეეგლევსკი, პოტიომკინა

I ტიპი V ქვეტიპი: კოჩკაროვი

რკალისებრი

I A ტიპი: კირაპიჩნიკოვი

I ტიპი 2 ვარიანტი: ეეგლევსკი, პოტიომკინა

II ტიპი A ქვეტიპი: კოჩკაროვი

რომბიანი

I B ტიპი: კირაპიჩნიკოვი

II ტიპი 2a ქვევარიანტი: ეეგლევსკი, პოტიომკინა

II ტიპი B ქვეტიპი: კოჩკაროვი*

*** სნორი ფრთების შემთხვევაში I ტიპი A ქვეტიპი**

ტაბ. X. ვადები

1. სნორი-მაქოსებრი
2. დახრილ ბოლოებიანი-რკალისებრი
3. ცენტრში რომბიანი გაფართოებით



ტაბ. XI. ცალკეული დეტალები

1. მოლდოვანოვკა (უ. კოჩკაროვის მიხედვით).
2. კოლოსოვკა 1 (უ. კოჩკაროვის მიხედვით).



ტაბ. XII. კარლოს დიდის სეიბრი

1. სეიბრი (ა. კირპიჩნიკოვის მიხედვით).
2. დეტალები (ი. ფოდორის მიხედვით).

ტაბ. XIII. ჩრდ. კავკასიური სეიბრები

1. ზმეისკაია (თ. გაბუევის მიხედვით).
2. №9 კატაკომბა (თ. გაბუევის მიხედვით).
3. კოლცო-გორა (კამინსკი, კამინსკაია-ცოკურის მიხედვით).

ტაბ. XIV. შავი არქეოლოგების მონაპოვარი (ჩრდ. კავკასია ?).

ხალხური და სასულიერო მმართველობის ისტორიის საკითხები განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: ხუცეცი

ბექა მგელაძე

კაცობრიობის სამართლებრივი აზროვნების ისტორია უძველესი ხანიდან იღებს სათავეს. ჯგუფში ადამიანს საკუთარი სოციალური, პოლიტიკური და, განსაკუთრებით, სამართლებრივი სტატუსი ყოველთვის აინტერესებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარების ნებისმიერ საფეხურზე, დაწყებული ქვის ხანიდან დღემდე, ადამიანი ცდილობდა და, დღესაც ცდილობს, საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობა, როგორც მიკრო, ისე მაკრო-სოციალურ სეგმენტში განსაზღვროს, შესაბამისად, საზოგადოებებსა და ცივილიზაციებში –სახელმწიფოებრივ სისტემებში, ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის სამართლებრივი ცნობიერება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ამისათვის საკმარისია დავასახელოთ შუამდინარული სახელმწიფოები და „ხამურაბის კანონების" უმთავრესი პუნქტები, ადრეულ ახლო აღმოსავლეთში ასურეთისა და ურარტუს სახელმწიფოთა ხედვა ადამიანის უფლებებზე, ანტიკური და ელინისტური ხანის შეხედულებები ავტორიტარიზმსა და დემოკრატიულ ფასეულობებზე.

ქართველური სამყარო, ბუნებრივია, შუასაუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივი სისტემაც, მსოფლიოს ორგანული ნაწილი გახლდათ, რაც მოსახლეობის, როგორც ადათობრივ, ისე სამართლებრივ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში აისახებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში ცალკეული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი, უმთავრესად, მთიან რეგიონებში, სახელმწიფოებრივი სისუსტის ხანაში, სათემო ცხოვრებისა და თემის ადათობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ეს პირველ რიგში სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო ორგანიზაციას ეხებოდა, თუნდაც, განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბექა-აღბუღას ფეოდალური კანონმდებლობის სახით. იმდროინდელი ქართული ფეოდალური სამართლის ამოსავალი ჩვეულებითი სამართალი იყო. მაშინ, როცა საქართველოში სახელმწიფოებრივი კრიზისი იწყებოდა, უხუცესთა – ხევისბერებისა და დეკანოზების საბჭოების, ხევისთავებისა და ეროვანების თანადგომით, პრიორიტეტული სახალხო სამართალი ხდებოდა. წარსულში ეს „მოყრიანობისა" და „ოლქობის" და მათი წინამძღოლების, აჭარაში „ხუცესისა"და „წინაᲲ კაცების" სახელწოდებებით იყო ცნობილი. ჩვეულებათა მსგავს ციკლს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ტრადიციული ტრანსმისიის სახე Ჰქონდა მიღებული – სამართლებრივი კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყველაფერი ეს არა მარტო წერილობით წყაროებში, არამედ საქართველოში ბოლო პერიოდის ეთნოგრაფიულ წყაროებშიცაა ასახული, რა თქმა უნდა, ისტორიული რეპრეზენტაციის თვალსაზრით ფოლკლორული პანორამაც მნიშვნელოვანია.

წარსულში საქართველოში თემთან და ეკლესიასთან მმართველობითი და სამართლებრივი ხასიათის ისეთი საკითხები იყო იდენტიფიცირებული, როგორებიც სამოქალაქო და სისხლის სამართალი გახლდათ, კერძოდ, სათემო და საეკლესიო მიწისმფლობელობა, მიწის თუ სხვა ტიპის საკუთრებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების, თემთა შორის კონფლიქტების დარეგულირება, სისხლ-მესისხლეობის, სხვადასხვა ტიპის ადათობრივი ნორმებისა თუ საეკლესიო დოგმების დარღვევის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოწესრიგება, რაც საერო და სასულიერო მმართველობითი ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების კომპეტენციასა და განკარგვის სფეროში შედიოდა. ასე იყო განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეს კარგად ჩანს განვითარებული შუასაუკუნეების სამცხე-საათაბაგოსა და გვიანი შუა საუკუნეების – აჭარის სამართლებრივ ცხოვრებაში. მმართველობის აღნიშნული სისტემა სამცხე-საათაბაგოში „ხუცის" (ხუცესის), ხოლო აჭარაში – „ხუცეცის" სახელოსთან იყო გაიგივებული, რომლებიც, როგორც ჩანს, შუასაუკუნეებში სასულიერო და საერო მმართველის ფუნქციებს აერთიანებდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხუცი საერო-საკანონმდებლო ფუნქციას და ამ მოვალეობის აღსრულებასთან ერთად სასამართლო ფუნქციასაც რომ ითავსებდა, ეს წერილობით წყაროებშიც კარგად ჩანს. ტერმინი ხუცი (ხუცესი) გარკვეულ საკანონმდებლო პროცედურებთან მიმართებაში განვითარებული შუა საუკუნეების ძველ-ქართულ წერილობით წყაროებში, კერძოდ, ბექასა და აღბუღას სამართლად წოდებულ წიგნშიცაა დადასტურებული. ეს წიგნი კი XIII-XIV საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან სამცხის სოციალური და სამართლებრივი რეალობის ამსახველი იყო. ხუცის მიმართ ჩადენილი დანაშაული საკმაოდ მაღალი საურავით ფასდებოდა. მაგალითად, სჯულდების 41 მუხლი „ხუცის" (ხუცესის) ცოლის განქიქებას ეხებოდა. სამართლის A ვერსიით:

> თუ კაცი ხუცის ცოლთან დასტურად ყოფილ იყოს და ხუცესმან შეიგნეს, თუ წირვა დადვას, ცოლი არ დააგდოს, სრული სისხლი ნირვისათჳს დაუურვოს. თუ დააგდოს, – ნახევარ[ი] სისხლი ცოლის განქიქებისათჳს, ამად რომე ძნელსა ყოფასა დაებმის.

B ვერსიით კი:

> თუ კაცმან ხუცისა ცოლსა ეაშიყოს და დასტურად თანა-ყოფა გამოჩნდეს, და ხუცესმან შეუგნეს, თუ წირვა დააგდოს, ცოლი რისათვიმე არა დაადგოს, სრული სისხლი ნირვისა დაგდებისათვის დაუურვოს და [თუ ცოლი დააგდოს] ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვის დაუურვოს და თუ კიდევ ნაეგვაროს, მამინაც სრული სისხლი დაუურვოს, ამად რომე ძნელსა ყოფასა დაებმის, – ანუ ჩოჭასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგნობითა და კრძალვით [იქნების].

როგორც ვხედავთ, ხუცის ცოლთან მოარშიყე კაცი ვალდებული იყო თავად ხუცის გადაწყვეტილების შესაბამისად საურავი გაეღო (დოლიძე 1953: 316; ძეგლები 1969: 440). იმ შემთხვევაში თუ ხუცი წირვაზე ხელს აიღებდა და სასულიერო საქმიანობას შეწყვეტდა, ამასთან, ცოლს არ გაეყრებოდა, მაშინ მისთვის სჯულში სრული სისხლის საურავი იყო განკუთვნილი; თუ ანაფორასაც გაიხდიდა და ცოლსაც გაეყრებოდა, ხუცობის მიტოვებისათვის კუთვნილ სისხლთან ერთად დამატებით სისხლის ნახევარსაც მიიღებდა. დანაშაული კიდევ უფრო მძიმდებოდა თუ მოძალადე ხუცესს ცოლს მოსტაცებდა. მოტაცების შემთხვევაში მომტაცებელს ორმაგი სისხლის გადახდა მართებდა: ერთი იმისათვის თუ ხუცესი სასულიერო მოღვაწეობას შეწყვეტდა, მეორეც – ცოლის მოტაცებისათვის (ითონიშვილი 2001: 57).

ნიშანდობლივია ხუცთან და ხუცესთან დაკავშირებული ტერმინები შესაბამისი სოციალური და სამართლებრივი დატვირთვით უახლოესი წარსულის აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც რომ შემოინახა. საერთოდ, ტერმინი *ხუცეცი*, იგივე, *ხუცესი* (ხ-ც>ც-ც), საქართველოს არაერთ კუთხეში დასტურდება და იგი ბექა-აღბუღას სამართლის ძეგლის გარდა სხვა ძველი ქართული ნერილობითი წყაროებიდანაც კარგადაა ცნობილი. სამცხე-ჯავახეთში და აჭარაში მისი გამოვლენა ბუნებრივი მოვლენაა, რადგან განვითარებულ შუა საუკუნეებში ზემო ქართლად ნოდებული ეს სამი რეგიონი ერთიანი საქართველოს ეთნიკური, სამართლებრივი და რელიგიური სივრცის ორგანული ნაწილი იყო. ამიტომ ეთნიკური, სამართლებრივი და რელიგიური ტერმინოლოგიაც, ხშირად, საქართველოს ამა თუ იმ ადმინისტრაციულ პუნქტში მსგავსი ვარიაციებით იყო წარმოდგენილი. ისტორიულ საბუთებშიც გამოიყენებოდა ის ტერმინოლოგია, რომელიც განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამართლის სფეროში იყო მიღებული და დამკვიდრებული. ამას არაერთი ნერილობითი წყარო, მათ შორის, სვანეთში დაცული დოკუმენტებიც გვიდასტურებს (იოსელიანი 2004: 163-177; ძეგლები 1986), თუმცა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ყოფაში ეთნოგრაფიის დონეზე ეს არ გამორიცხავდა სხვა ტიპის ტერმინთა მრავალფეროვნებასაც, მაგრამ ზოგად შტრიხებში, ისტორიული კატაკლიზმების გამოისობით უცხო ეთნიკური და სოციალურ-პოლიტიკური გავლენების მიუხედავად, ისინი ქართული ენის საერთო ნორმებსა და საერთო სამართლებრივ ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ადათობრივი ნორმებისათვის ნიშანდობლივი ტერმინი *ხუცესი* ვლადიმერ მგელაძის მიერ „ხუცეცის" ფორმით აჭარის მთიანეთში – დოხეკის ხეობაში დაფიქსირდა. საველე-ეთნოგრაფიული წყაროებით ირკვევა, რომ ოსმალობამდე დოხეკის – ბეღლეთისწლის ხეობის, სოფელ ჯვარიქეთში მჯდომი *ხუცეცი*, ხალხური წარმოდგენით „გამგებელი" ყოფილა (მგელაძე 2014: 241-242). ბუნებრივია, ტერმინი *ხუცეცი* ბოლო ხანებამდე ლექსიკის პასიურ ნაწილად იყო ქცეული, შესაბამისად, მისი შინაარსი მოსახლეობის მეხსიერებაში ბუნდოვნად იყო გამოხატული. გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს სიტყვა ამავე ხეობაში ეთნოგრაფიული ექსპედიციების პერიოდში ზოგიერთი თანამხლები სამართლებრივი ნორმის დაზუსტებით კვლავ დადგინდა. ასევე, ნიშანდობლივია, იგი კინტრიშის ხეობაშიც „ხუცეცის" (ხუცესის) სახით რომ გამოვლინდა. სოფელ კვირიკეში ინაიშვილთა ხანდაზმულ გვარის ნევრთა მონათხრობით, ხუცესი ქალიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია, როცა საგვარეულოს თავკაცად განსაზღვრულ ვითარებაში შეიძლებოდა ხანდაზმული ქალიც ყოფილიყო მიჩნეული. სოფელ კვირიკეში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ინაიშვილთა გვარის წარმომადგენლები შეკრებილან და ქრისტიანულად მონათლულან. მონათვლის სურვილი გვარში ასაკით ყველაზე უფროსმა ქალბატონმაც გამოთქვა. მას დაეკითხნენ – მოინათლებოდა თუ არა და მისგან შემდეგი პასუხი მიუღიათ: „ხომ ვარ თქვენი ხუცეციო, მოვინათლები, ეს ჩემი გადაწყვეტილებაოო" (მთხრობელი: სულიკო ინაიშვილი, სოფელი კვირიკე, 1935 ნელს დაბადებული) (მგელაძე 2015).

ხუცესთან დაკავშირებული სიტყვები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში საკმაოდ ფართოდაა ნარმოდგენილი. მაგალითად, *ხუციგორი* (ტყე: სოფელი ქათამური, ჭახათი – ქობულეთი), *ხუცური* (1. სასაფლაო: სოფელი ვარჯანაული, ჭახათი – ქობულეთი; 2. სათესი: სოფელი კობალთა, დღვანი – შუახევი; 3. საძოვარი: სოფელი მახალაშვილები, სხალთა – ხულო; 4. დასახლების უბანი, დიდაჭარა – ხულო), *ხუცუბანი* (სოფელი კინტრიშის ხეობაში, ქობულეთი), *ქუციქეთი* (სათესი: სოფელი ბრევეთი, მარადიდი), *ქეციქეთი* [(ქედიქეთა) ბუჩქნარი: თხილნარი, სიმონეთი, გონიო], *ხუციენთი* (დიდაჭარის თემის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი), *ხუციშვიღები* (დასახლება: დიდაქარა – ხულო), *ხუცივაკე* (სათესი: სოფელი დავლაძეები, ღორჯომი – ხულო). იგი ისეთ გვარსახელებსა და ბუდე-ნათესაობის, მემკვიდრეობით სახელებშიცაა ასახული, როგორებიცაა *ხუციშვიღი* (სამცხე, აჭარა...), *ხუციენთი* (აჭარა, დიდაჭარის თემი. დანვრილებით იხ. (სიხარულიძე 1958: 47-140; სიხარულიძე 1959: 45-66). მას ჭოროხის ხეობის ქართული მოსახლეობის ადგილთა გეოგრაფიულ

სახელწოდებებშიც გამოკვეთილი ადგილი ეკავა, სადაც იგი ორმნიშვნელობიანი შედგენილი სიტყვების სახითაცაა წარმოდგენილი. ტაოში, პარხლის ხეობაში დასახლებული ჰუნქტი *ხუცეკახი* არსებობს, რომელიც ხუცესის სოფელს, ხუცესის უბანს ნიშნავს (მგელაძე 2017). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ასევე, როგორც აღინიშნა, ფართოდაა ცნობილი გვარი *ხუციშვიღი*. ამ მხრივ, XIX საუკუნის პერიოდულ პრესაში ქართველ კათოლიკეთა ცალკეული გვარეულობის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა გვხვდება. ლ. ისარლოვის მიერ *ივეხიის* ფურცლებზე აღნიშნული იყო, რომ ართვინის მახლობლად, მდინარე ჭოროხის სანაპიროზე მდებარე სოფელ კორძულში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის 1501 წლის 1 იანვრის პერგამენტზე შეწირულობათა ტექსტში იხსენიება გვარები: ხანავა, დადიავა, არნელი, ციციანი, ჭელიძე, რომელთა შორის გვარი *ხუციშვიღი* გამოიყოფა. საბუთში დასახელებული ყველა გვარი ქართული წარმოშობის იყო (*ივეხია*, №157, 1891).

თავისთავად ინტერესს აღძრავს ტერმინ „ხუცესის" შინაარსობრივი მხარე. ბუნებრივია, ამ ტერმინის ეტიმოლოგიით ქართველი ენათმეცნიერებიც რომ დაინტერესდნენ, რადგან მის არსთან არაერთი მნიშვნელოვანი სოციო-რელიგიური, სამართლებრივი და ისტორიული მოვლენა იყო დაკავშირებული. „ხუცესის" ადრინდელი მნიშვნელობა „ასაკით უფროსი" ადამიანი ყოფილა, რაც ავთანდილ არაბულის აზრით, ხარისხის გაქვავებული ფუძიდან აღმატებითი ხარისხის ისეთ ნარმოებაში აისახა, როგორიცაა *უ-ხუცეს-ი*: ასაკობრივი და გამოცდილი ადამიანი ხანდაზმული და ბრძენი ადამიანი. იგი „ცოდნის" ზმნურ *-ც* ძირთანაა დაკავშირებული. *ხუცესი*–საგან ჩანს ნაწარმოები არა მარტო აღმატებითი ხარისხის ისეთი ფორმა, როგორიცაა *უხუცესი*, არამედ მიმღეობური წარმოება – *მოხუცებული* (არაბული 2014: 5-7). უხუცესობა – ხანდაზმულობა და უფროსობა სოციალური სტატუსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო და ძველ საქართველოში საოჯახო ქონების სეგმენტაციის პროცესში ქონებრივი წილის სახითაც კონპენსირდებოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას *საუფროსო* ეწოდებოდა, ხოლო ბექა-აღბულას სამართლის მიხედვით – *საუხუცესო* ერქვა. კანონმდებელთა თხზულებაში ნათქვამია: „ძმისაგან მეტი წესის ერთსა საუხუცესოსა არა მართებს". ავთანდილ არაბულის დაკვირვებით, *ხუცეს* მეგრულში *უჩამ*-ი შეესაბამება, ხოლო სვანურში *ხოშ*-ას. *უჩამ*-ი ისე, როგორც *ხოშ*-ა, მეგრულსა და სვანურშიც „უფროსს" აღნიშნავს, შესაბამისად, სვანეთში ამ მხრივ ინტერესს აღძრავს ტერმინი – *მახუშ*-ი, რომელიც უფროსს, სახლის უფროსს აღნიშნავს, მაგალითად სიტყვათა ისეთ კომბინაციაში, როგორიცაა *ქოხა მახუშ'*ი. ფონეტიკურად იგი *ხოშ*-ასთანაა დაკავშირებული [*მახუში* (უფროსი) – ხოშა (უფროსი)]. აქ აშკარაა *ხუცეს*-ისა და *მახუშ*-ის სოციალური მსგავსებაც. ეთნოგრაფიული რაკურსითა და სოციალური დატვირთვით მახვში უფრო ხევისბერს ენათესავება, რომელიც ოჯახის, სახლეულის, სოფლისა და თემის მეთაური, ნინამძღოლი, ზნეობრივი მსაჯული იყო. ხუცესის მოვალეობას იგი თითქოსდა არ ასრულებდა, მაგრამ ყურადღებას იქცევს საუქმო-სადღეობო რიტუალთა აღწერილობები, ტაბლისა და სხვა შესანირი ლოცვები, სადაც ლოცვათა თქმა ყველგან და ყოველთვის მას ევალებოდა მდრ. (ბარდაველიძე 1934). ქართულ მეტყველებაში ადრე *უცესი* (*ჰუცესი*) უნდა ყოფილიყო და არა – *ხუცესი* თუ *უხუცესი*, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ ძველი სიტყვაა და *უხუცცსი*-ს სახით წერილობით წყაროებშიც არაერთხელ გვხვდება (ქრესტომათია 1946: 87), შესაბამისად, საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების გარიჟრაჟზე, ხანმეტობის დონეზე, ხუცესი გაქვავებულ ფორმად ჩამოყალიბდა, ხოლო მისი საწყისი მნიშვნელობა ისტორიის სიღრმეში დარჩა. ენათმეცნიერების მიხედვით, ამ დერივატის საკულტო შინაარსით დატვირთვა, მართალია, ქრისტიანობამდელია, მაგრამ შემდგომი მისი სემანტიკური განვითარება შედარებითი გვიანდელი ფაქტი უნდა იყოს. ტერმინის საკრალური მნიშვნელობა ფხოველთა, კერძოდ, ხევსურთა ტრადიციულ ღვთისმსახურებაში გამოვლინდა, სადაც ტერმინები *ხუცი* და *ხუცუხი*, როგორც ხატ-ჯვარის კულტის მსახურის, სახატო რიტუალების შემსრულებლის აღმნიშვნელი სიტყვა, არაერთხელ დადასტურდა (მაკალათია 1984: 240-241), შესაბამისად, ფუძე – *ხუცეს*, რომელიც ხანმეტი სახელური ფუძის მოქმედების შედეგად მიღებული სიტყვაა, უძველეს სოციალურ ტერმინთა რიგს განეკუთვნება, რასაც, როგორც ვხედავთ, არა მარტო ლინგვისტური, არამედ წერილობითი და ეთნოგრაფიული წყაროებიც უშუალოდ ადასტურებს (არაბული 2014: 5-8).

საქართველოს მთიანეთის საეკლესიო იერარქიაში წარსულში ხუცესს სათანადო ადგილი ეკავა. მაგალითად, ერთი წყაროს მიხედვით სვანეთში სეტიელების გვარი, რომელიც გლეხური წარმომავლობისა იყო სასულიერო წრეში აღზევებულან და მესტიის მთავარმონამის მემკვიდრეობით ღვთისმსახურები გამხდარან (გასვიანი 1991: 77). როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მათი ნაწილი დეკანოზის, ხუცესისა და ქორეპისკოპოსის ტიტულამდეც ამაღლებულა და ქონების მფლობელებიც გამხდარა (იოსელიანი 2003: 200). საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხის წარსული ეთნოგრაფიული რეალობიდან გამომდინარე ხუცესის სოციალურ სტატუსში თითქოსდა სახლეულის უფროსობა არ შედიოდა, როგორც ამას სვანური *მახუში*-ს შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, და ხუცესის მოვალეობა მხოლოდ სათემო კულტ-მსახურებითა და თემში სოციალურ-სამართლებრივი სივრცის მონიტორინგით და კანონის აღსრულებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ტერმინის პირდაპირ კავშირს უხუცესთან და მოხუცთან, მაშინ დავინახავთ, რომ იგი წარსულში საოჯახო-სამართლებრივი პროცესების მომწესრიგებელი და სახლეულის, მათ შორის, დიდი სახლეულის წინამძღოლის აღმნიშვნელი სახელწოდებაც უნდა ყოფილიყო, კერძოდ, საოჯახო და სათემო მმართველობაში იმ ადგილისა, რომელსაც ტრადიციულად სახლეულის მამაკაცები ხუცობას ასაკის, ცოდნისა

და გამოცდილების მეშვეობით აღწევდნენ. ასევე იყო აჭარის მთიანეთშიც, სადაც *სახლის დიდი* – უხუცესი და, როგორც ჩანს, ადრე *ხუცესი*, როგორც ეს ქობულეთის რეგიონის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ მეხსიერებას შემორჩა, არა მარტო მრავალრიცხოვან ჯალაბობას, არამედ თემში სხვა სახლეულის უხუცესებთან ერთად თემის მმართველობით ორგანოს – უხუცესთა საბჭოს ქმნიდა და ეს ხუცესები მთელ თემს მართავდნენ. თემის მმართველობაში ხუცესების ასეთი მონაწილეობა *ხუცესი*-ს სახელწოდების მატარებელი სასულიერო პირის იმავე თემში კულტ-მსახურებასაც არ გამორიცხავდა. უნდა ვივარაუდოთ, ასეთივე განლაგებისაა უნდა ყოფილიყო ხუცობა სამცხეშიც, სადაც დიდი სახლეულის წინამძღოლნი, ასაკის განმსაზღვრელი სახელწოდებებითაც აღინიშნებოდნენ. მსგავსი ტერმინით აღინიშნებოდა თემის თვითმართველობითი ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც იმავდროულად, შესაძლოა, სასულიერო წინამძღოლიც ყოფილიყო. შემთხვევითი არ იყო სამცხურ სახლეულში მათი ქონებრივი წილი „საუხუცესოდ“ რომ იწოდებოდა. ასე, რომ ხუცესების კომპეტენცია ადრე სასულიერო, საერო და სასამართლო სფეროებს მოიცავდა. ისინი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერის ფუნქციითაც უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილნი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ხუცესის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სამცხესა და აჭარაში ნარსულში ნარმოდგენილი პარადიგმის ფარგლებში უნდა განვითარებულიყო. ამის საფუძველს, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული წყაროებიც გვაძლევს, სადაც სათემო ადათებისა და სათემო კანონების აღსრულებაზე თვალყურის დევნებაც ხუცესის მოვალეობაში შედიოდა შდრ. (კანდელაკი 1975; კანდელაკი 1981; ერიაშვილი 1982). ასე რომ, ხუცესიცა და ხევისბერიც ადრე სასულიერო და საერო წინამძღოლის ფუნქციებს აერთიანებდა – ფშავში *ჴევისბეჩი* იყო ხატში დამწყალობელი, ხოლო ხევსურეთში – *ხუცესი (//ხუცეზი)* ხატის მთავარი ღმერთ-მსახური, დამწყალობელი, ისე როგორც მთიულეთში – *ღეკანოზი* (მარი 1911-1914:360-361; დაწვრილებით იხ. (შანიძე 1981: 289). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეში „ხუცესისა“ და „ხევისბერის“ თანაარსებობა ტერმინთა სინონიმურობით იხსნება (ჭინჭარაული 2005). ზოგან, *ხუცესი* მხოლოდ კულტ-მსახური იყო, ხოლო *ხევისბეჩი* – ფართო სოციალური ფუნქციის მატარებელი. იგი თემის უფროსი, ხევის თავის მოვალეობასაც ასრულებდა. ამდენად, ხუცესი ფშავში *ხევისბეჩი* იყო, რომელიც მთავარ ხატსაც ემსახურებოდა. ხუცობისას იგი საკლავების დაკვლის დროს ხატს დაადიდებდა, სანთლებს აანთებდა და ზარებს დარეკავდა, ასევე, დღეობებში, ქორწილებსა და ნათლობებში საკლავების დახოცვაზე დიდებას წარმოთქვამდა, დამწყალობლებს, მთისა და ბარის სალოცავებს მოიხსენიებდა (ხორნაული 2000). ხუცესების მსგავსად ჴევისბერებიც სათემო, მათ შორის, სამხედრო-პოლიტიკური პრობლემების ორგანიზაციითაც იყვნენ დაკავებულნი. თუ თავ-ჴევიბერს საკლავის დაკვლა და სანთლების ანთება ევალებოდა, მაშინ მეორე ჴევისბერი, პირიქით – შესაძლოა მედროშე ყოფილიყო და დროშის ამბა-აბძანებით ყოფილიყო დაკავებული, ლაშქრისათვის ენინამძღოლა, მესამე ჴევისბერი კი – მეთაური იქნებოდა, რომელსაც თასების შენახვა ებარა (გოგატიშვილი 2016: 206). ავთანდილ არაბულის მასალებით და შესაბა-მისი ლიტერატურის მიხედვითაც, სახატო ნესრიგის დაცვისას მნიშვნელოვანი ყოფილა დღეობათა ციკლის მანძილზე ხვნა-თესვაზე თვალყურის დევნებაც. სასოფლო და სათემო საკითხების ორგანიზაცია,ლაშქრობის დადგენა და სალაშქროდ ნასვლაც მის მოვალეობაში შედიოდა. ხუცების, ხატში მთავარი კულტ-მსახურების მიერ, ჯვარ-ხატებთან მედიტაციის – საკულტო ტექსტების მათივე პირით წარმოთქმა ხდებოდა და ისინი სხვა სარიტუალო პროცესებსაც წარმართავდნენ. უკვე დადგენილია, რომ ხუცესის კულტ-მსახურების ფუნქცია უფრო ძველი ჩანს და იგი ერთიანი ფხოვის დროინდელ პერიოდს უნდა ასახავდეს. ისტორიულ ფხოვში – ხევსურეთში დიდხანს შემორჩა ისეთი რიტუალის ზმნური ფორმა, როგორიც *ხუცობა* იყო, რომელმაც ამ ნარმოების (*-ხუც*) ხუცობის სახით უფრო არქაული ფორმა შემოგვინახა, რაც ხუცესის მიერ საკლავზე რისამე ანდა ვისიმე კურთხევის დროს ლოცვების წარმოთქმა იყო. დაწვრილებით იხ. (არაბული 2014: 6); შდრ. (ერიაშვილი 1982: 35). თავად *ხუცობა* ჯვართ ენის სასულიერო წარმოსათქმელი იყო, ისე როგორც *შესახეღება, ჯვა*ᲰᲗ *გადიდება* დაწვრილებით იხ. (ოჩიური 1997: 209).

აქვე უნდა წარმოვაჩინოთ საკულტო ხასიათის ისეთი ტერმინის არსი, როგორიცაა *ჯვა*ᲰᲗ*ანი*, იგივე, *ჯვა*ᲰᲗ*ანა*, რომელიც წარსულში, ვფიქრობთ, აჭარაშიც ხუცობის ინსტიტუტთან უშუალო კავშირში იყო. ამ სახელწოდების ქრისტიანული სალოცავის – ერთნავიანი ბაზილიკის ნანგრევები დღეს ზემო აჭარაში აგარისა და საციხურის თემთა გზასაყარზე მდებარეობს, დოხევიდან, სადაც ტერმინი *ხუცეკი* და მისი ფუნქციური დანიშნულება გამოვლინდა, არც თუ ისე შორს. ამიტომ მას ზოგჯერ როგორც აგარის, ისე საციხურის ნაეკლესიარად მოიხსენიებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იგი ვანაძეების საყდრად მიაჩნდათ. ამ ტიპის საყდრების – თავდაპირველად მცირე ზომის ხის ეკლესიების– ადგილას, შესაძლოა, ასევე საყდრად ნოდებული წარმართული სალოცავები ყოფილიყო აღმართული, სადაც ხუცები და უხუცესები ქადაგებას აღავლენდნენ. ჯვართანა ნარიანი ფორმით დასაშვებია მრავლობითობის გამომხატველი იყო, მაგრამ ასევე არაა გამორიცხული იგი ჯვართენის ერთ-ერთი ფონეტიკური ნაირსახეობაც ყოფილიყო. მსგავსი ადგილების გეოგრაფიული სახელწოდებები და სალოცავებისადმი მათი კუთვნილებითი ხასიათი საქართველოს მთის ამა თუ იმ კუთხეში უკვე კარგა ხანია შენიშნულია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, განსაკუთრებით, ხევსურთა სანესო ტექსტებში შემჩნეულია ლექსიკის გარკვეული შრე, რომელიც „ჯვართენად“ იწოდებოდა.

ჯვართენას, ზურაბ კიკნაძის დაკვირვებით, გამოყენების მკაცრად განსაზღვრული სფერო გააჩნდა. მსგავსი ლექსიკა ხუცობისა და ქადაგობის – ნაქადაგართა ტექსტებში ვლინდებოდა, რაც ყოველდღიურ მეტყველებასა და ყოფა-ცხოვრებაში გამორიცხული იყო. ეს იყო „ენა“ – სიტყვები და შესატყვისანი, რომლითაც ჯვარისადმი მიმართვაში მხოლოდ ხუცესი, ასევე, ქადაგი სარგებლობდა მაშინ, როცა იგი ადამიანებს ჯვრის ნებას უცხადებდა. ირკვევა, რომ ჯვარისა და საყმოს საზღვარზე ერთმანეთის გვერდით მეზობლობდა ადამიანური და ჯვარული ენა, რაც მათ ერთიანობას გამოხატავდა, რამდენადაც თავად მათი კრებული, საზოგადოება ჯვარის საყმო იყო. ამდენად, ქადაგს, ხუცესს ამ ენით საზოგადოებრივი, მათ შორის, სამართლებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეეძლო შეღწევა, რადგან ეს ენა, მართალია ყველასათვის, ვინც ჯვარის კარზე იკრიბებოდა, ხელმისაწვდომი არ იყო, მაგრამ იგი არც საიდუმლო ენად იყო მიჩნეული. ხუცობისა და ქადაგობის სიტყვები ყველას გასაგონად და გასაგებად წარმოითქმოდა. მიზანი კი იყო, რომ საყმოს გაეგო თუ რას ეხვენებოდა ხუცესი ჯვარს და ჯვარი რას აცხადება. აქედან გამომდინარე, ჯვარისა და საყმოს ურთიერთობები განსაზღვრულად რეგლამენტირებული იყო. ჯვარი ყოფიერების სფეროში – სივრცეში, დროში, საგნებში, საზოგადოებაში, ადამიანებში, ადამიანთა საქმიანობაში და, რაც მნიშვნელოვანია, ადამიანთა ენაში შეჭრითაც მის ყველა კომპონენტს გავლენის სფეროში აქცევდა. ადამიანთა საზოგადოებაში ასეთი შესვლით ჯვარი „ნამებულს“ – ხუცესსა და ქადაგს გამოარჩევდა დანვრილებით იხ. (კიკნაძე 1997: 147-148), შესაბამისად, სხვა სტატუსთან ერთად ხუცესის სამართლებრივი სტატუსიც სიცოცხლისუნარიანი და მაღალი ხდებოდა, ეს აზრი კიდევ უფრო დამაჯერებლობას მაშინ იძენს, როცა დღეს ხუცესისა და ქადაგის როლი და ფუნქციები თითქმის ყველა ასპექტში სათანადოდაა გაანალიზებული, სადაც აქკარად იკვეთება, რომ ხუცესი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო არა მარტო მთიელთა რელიგიურ, არამედ საზოგადოებრივ თუ სოციალურ ცხოვრებაშიც. იგი რელიგიურ სივრცეს ანესრიგებდა და გართულებულ თუ ძნელად მოსაგვარებელ საქმეებში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა (ოჩიაური 1997: 207).

როგორც ცნობილია, საქართველო ხევებად იყო დაყოფილი. მისი სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ისტორიაც ხევების ისტორიის ფონზე განვითარდა. *ხეობა* – გეოგრაფიული, ხოლო *ხევი* – თემის აღმნიშვნელი ცნება იყო. ზემო აჭარაში ხევს ამ მხრივ ტერმინი *ღელე* შეესაბამებოდა. ჭვანის ხეობაში დღესაც არსებობს გამოთქმა – „ჭვანის ღელის ხალხი“, რაც ისევ – „ჭვანის ხევის ხალხს“ ნიშნავს. საკუთრივ ხევი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაშიც ხშირად ფიგურირებს. ასეთებია აჭარაში *ქოხევი* (დასახლებული პუნქტი ზემო აჭარაში), *შუახევი* (დასახლებული პუნქტი ზემო აჭარაში) და სხვა მრავალი. ხევი ზოგჯერ ერთი ანდა რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა და ერთ თემს წარმოადგენდა, მაგრამ ხევში, შესაძლოა, რამდენიმე თემიც არსებულიყო. ასეთ დროს ერთი ხევის ფარგლებში საერთო სახეობო პოლიტიკური, მმართველობითი, სამართლებრივი ორგანოთი თემთა კავშირი ყალიბდებოდა, რომელიც ცალკეული თემის, ხოლო თემი ცალკეული სოფლის მსგავს, შედარებით პატარა ორგანოებს ეფუძნებოდა. ისინი ზოგჯერ არჩევითი ხასიათის იყო, ხოლო ზოგან კი მათი არსებობა მხოლოდ პიროვნებათა ასაკზე, შესაბამისად, უხუცესთა გამოცდილებასა და ავტორიტეტზე იყო დამოკიდებული. ამ დონეებზე მმართველობითი ორგანოები უფრო სამეურნეო-ეკონომიკური კორპორაციული ჯგუფის სახეს ატარებდა და სამართლებრივსა თუ პოლიტიკურ საკითხებს თითქოსდა ნაკლებად წყვეტდა. ეს პირები სოფლისა თუ თემის ფარგლებში გზების გაყვანისა თუ დაზიანებული ხიდების აღდგენის, საქონლის ყიშლასა და მთაში საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის ორგანიზაციით იყვნენ დაკავებულნი. საქართველოს მთიანეთში ხევისბერებად სწორედ ასეთ თემთა და ხევთა თავები – წინამძღოლები იწოდებოდნენ. ნინათ აჭარაში *ხუცეცები* და *წინაჲ კაცები* თუ *წინაჲ პიჩები* ხევის უხუცესთა – ავტორიტეტულ და გონიერ ადამიანებთან, ტრადიციული სამართლისა თუ ადათების და ხალხური ჩვეულებების უბადლო მცოდნეებთან ერთად „მოყრიანობისა“ და „ოლქობის“ წევრები იყვნენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კი ისინი ასეთი გაერთიანებების წინამძღოლებს წარმოადგენდნენ და, ერთდროულად, როგორც პოლიტიკურ, ისე სამართლებრივ ფუნქციებს პიროვნულად ითავსებდნენ. ამასთან, აჭარაში, ისე როგორც მთლიანად საქართველოს მთიანეთში, ხუცესის სახელოს არსებობის ზოგადი ქრონოლოგიური საზღვრების განსაზღვრაც შესაძლებელია. ვფიქრობთ, *ხევისბეჩი* უფრო წინარე-ქრისტიანულ ეპოქაში გაჩენილი და ქრისტიანულში შემონახული სახელო უნდა ყოფილიყო, ისე როგორც *ხუცეცი*, ხოლო *წინაჲ კაცები* თუ *წინაჲ პიჩები* – ადრე და გვიან შუა საუკუნეებში იყო ჩამოყალიბებული. ამიტომაც ოსმალთა იმპერიის ფარგლებში აჭარის მთიანეთის მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებას მათგან ინფორმაცია უფრო „წინაჲ კაცებისა“ თუ „წინაჲ პირების“ უფლება-მოვალეობათა შესახებ შემორჩა.

ხევისბერობის სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი ადრე სამხრეთ საქართველოსთვისაც რომ ყოფილა დამახასიათებელი, ამის შესახებ ისტორიული ლაზეთისა და ჭოროხის ხეობის შესახებ არსებული წერილობითი და ეთნოგრაფიული წყაროებიც მოგვითხრობს. აქედან გამომდინარე, ხევისბერთან და, შესაბამისად, ხუცესებთან მიმართებაში, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ოსმალობის დროინდელ სამხრეთ საქართველოში – ჭოროხის აუზის მოსახლეობაში, ასევე, ისტორიულ ლაზეთში ყურადღებას „დერებეის“ სოციალურ-წოდებრივი ინსტიტუტი იქცევს, რაც საქართველოს მთიანეთთან ერთად ამ სოციალურ-

სამართლებრივი სასულიერო სახელოს ერთიან, ზოგად-ქართულ ბუნებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. აქ, გვიან შუა საუკუნეებში, ოსმალთა მმართველობის ხანაში, თითოეულ ხევს – თემს საკუთარი *დერებეი* ჰყავდა, რომელთა შესახებ ცნობები ქართულ პერიოდულ პრესაში, ისტორიულ ნარკვევებსა და მოგზაურთა ჩანანერებში უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა. ლაზების სათემო სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას დერებეების შესახებ ცნობებს გიორგი ყაზბეგიც გვანვდიდა. მისი დაკვირვებით ლაზებმა „პირველყოფილი კულტურა" და „გვაროვნული ნყობილება" დიდი ხნის განმავლობაში შემოინახეს. ლაზეთის მიკრორაიონები თემებად ჩამოყალიბდნენ და არსებობის შესანარჩუნებლად მეზობლებთან გამუდმებით ჰქონდათ ომები (ყაზბეგი 1877:3 4). მოგზაურის მიხედვით, XIX საუკუნის დამდეგს ლაზეთი თერთმეტ სამფლობელოდ – თემად იყოფოდა. ამ სამფლობელოებს „დერებეიამს" უწოდებდნენ (ყაზბეგი 1960: 97). „დერე"– ღელეს, ხევს, ხეობას, ხოლო „ბეი"(ბეგი) – თავადს, უფროსს ნიშნავდა, ე. ი. ისინი „ღელის, ხევის თავები" იყვნენ. ჰეტრე უმიკაშვილი, რომელსაც ასევე უაღრესად საყურადღებო მასალები ჰქონდა შეკრებილი ჭოროხის აუზის მოსახლეობის ისტორიული წარსულისა და სათემო ყოფა-ცხოვრების შესახებ, გვამცნობდა, რომ ქანეთი (ლაზეთი) წარსულში თორმეტ თემად – ხევად იყოფოდა. თითოეულ თემს ხევისთავი (ხევისბერი) ჰყავდა, რომლებიც ოსმალთა მმართველობის დროს „დერებეის" სახელით იყვნენ ცნობილნი (ივერია №23, 1877). ჭოროხის აუზში მოგზაურობისას დერებეების – ხევისთავების არსებობა არც ნიკო მარს გამორჩენია მხედველობიდან. იგი რესპოდენტ ფევზი-ბეის დამონმებით წერდა, რომ

> у лазов существовало в старину сословие одной степени ниже дворянства, называемися «чеб-и". Сеичас в живых имеется один такой «чеб-и". Еще при Кохе вовсем Лазистане было 15 «дере-беи". Термин «дере-беи" беи ущелья представляет по смыслу соответствие грузинскому «хевис-бери" – старец ущелья (მარი 1910: 626).

ამდენად, როგორც ვხედავთ, წარსულში სამხრეთ საქართველო ხევებისაგან – თემებისაგან შედგებოდა. თემს ხევისბერი განაგებდა, რომელიც, როგორც ჩანს, ოსმალთა მმართველობის დროს ფეოდალის – ბეგის რანგამდე აღზევდა. ნიკო მარით დერებეიები ჩებეთა ფენიდან გამოდიოდნენ. საზოგადოების ეს ფენა აზნაურობაზე დაბლა იდგა, თუმცა არც გლეხთა წრის წარმომადგენელი იყო. „ჩებე" გლეხობასა და აზნაურობას შორის გარდამავალი საზოგადოებრივი ფენა უნდა ყოფილიყო (მგელაძე 2014: 240-242). სამწუხაროდ, აღნიშნული წოდების-სოციალური ფენის აგებულების სრული რეკონსტრუქცია დღესდღეობით დამატებითი სათანადო წყაროების უქონლობის გამო რთულდება, თუმცა სამხრეთ საქართველოში „ხუცეცის" (ხუცესის) სახელოს ანალიზი ხალხური მმართველობის ამ სფეროში არსებულ ხარვეზს მეტ-ნაკლებად ავსებს. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ „დერებეები" და „ხუცეცები" წარსულში ერთიდაიმავე ფუნქციის შემსრულებელი პირები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცნობილი „ხევისბერისა" და „ხევისუფალის" ტიპოლოგიური შესატყვისები იყვნენ. მათ რიგში უნდა განვიხილოთ ოსმალობისდროინდელი უკვე ფეოდალური ნრის წარმომადგენელი „დერებეიც", იგივე, „დერებეგი". მართალია, ისინი მსგავსი ფუნქციების შემსრულებლები იყვნენ, მაგრამ უფლებრივი, სოციალური და პილიტიკური მდგომარეობით ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებოდნენ. *დერებეგი* ოსმალეთში სახელმნიფო მოხელე, ფეოდალი იყო, ხოლო *ხევისბერი* – ხალხის რჩეული, თუმცა ისიც ცნობილია, რომ მათგან ზოგიერთი გვიანდელ პერიოდებში ფეოდალის რანგშიც აღზევდა და „ჩაირბეგად" ანუ „ხევისბეგად"გადაიქცა.

ამრიგად, „ხუცეცის" სოციალურ-რელიგიური და სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც სასულიერო და სათემო მმართველობის თემატიკას განეკუთვნება, წარსულში სამცხისა და აჭარის ტრადიციულ ყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და დაახლოებით ისეთივე შინაარსის უნდა ყოფილიყო, როგორადაც მისი ცალკეული ელემენტით იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოციალურ-სამართლებრივ და სოციალურ-რელიგიურ სისტემას ხუცესის, ხევისბერისა და დეკანოზის სახით შემორჩა, თუმცა მსგავსებასთან ერთად მის ცალკეულ ელემენტში განსხვავებულობაც ანუ მხარეებისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურებებიც შეიმჩნევა.

დამონმებანი

არაბული 2014: ა. არაბული. *ხუცეს* ტერმინისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსისათვის ისტორიულ ფხოვში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში. II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ნანილი I. ბათუმი.

ბარდაველიძე 1934: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი.

გასვიანი 1991: გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბილისი.

გოგატიშვილი 2006: გ. გოგატიშვილი. ფშაური ლექსიკა, თბილისი.

დოლიძე 1953: ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბილისი.

ერიაშვილი 1982: ე. ერიაშვილი. უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში. თბილისი.

ითონიშვილი 2001: ვ. ითონიშვილი. ბექასა და აღბუღას სამართალი, როგორც ეთნოგრაფიული კვლევის წყარო. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, III. თბილისი.

ივერია 1877: გაზეთი *ივერია*. №23.

ივერია 1891: გაზეთი *ივერია*. №157.

იოსელიანი 2003: ხ. იოსელიანი. სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან სვანეთში (წერილობითი წყაროების მონაცემებით). ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, V. თბილისი.

იოსელიანი 2004: ხ. იოსელიანი. სასჯელთა და გარდასახდელთა ფორმები შუა საუკუნეების სვანეთში (წერილობითი ძეგლების მიხედვით). ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI. თბილისი.

კანდელაკი 1975: მ. კანდელაკი. ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVII. თბილისი.

კანდელაკი 1981: მ. კანდელაკი. ქართველ მთიელთა სოციალურ-რელიგიური სტრუქტურის საკითხი („*ჯვარი*" და „*ხატი*"), მაცნე, ისტორიის სერია, №3. თბილისი.

კიკნაძე 1997: ზ. კიკნაძე. „ჯუართენის" შესწავლისათვის. ქართველური მემკვიდრეობა, I (ქუთაისური საუბრები), ქუთაისი.

მაკალათია 1984: ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბილისი.

მარი 1911-1914: Н. Я. Марр. Яфетические элементы в языках Армении. "ИАН", I-VIII.

მარი 1910: Н. Я. Марр. Из поездкив Турецкого Лазистан. II. Территория. "Изевстия Императорского Академии Наук", №7, VI серия, С.-Петербург,

მგელაძე 2014: ვ. მგელაძე. პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის დროინდელი სამხრეთ საქართველო. ბათუმი.

მგელაძე 2015: ნ. მგელაძე. საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.

მგელაძე 2017: ნ. მგელაძე. 2017 წლის ტაოს კომპლექსური ექსპედიციის დღიურები (პარხლის ხეობა). რვეული 1 (იხ. ბათუმის მოთა რუსთაველის ქართველოლოგიური ცენტრის არქივი).

ოჩიაური 1997: თ. ოჩიაური. ჯვართენის შესახებ. ქართველური მემკვიდრეობა, I (ქუთაისური საუბრები), ქუთაისი.

სიხარულიძე 1958: ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წიგნი, I. ბათუმი.

ქრესტომათია 1946: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1 (შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ). თბილისი.

ყაზბეგი 1960: გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. წიგნში: გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი.

ყაზბეგი 1877: Г. Казбег. Военно-статистический и стратегический очерк лазистанского санджака. Тбилиси.

შანიძე 1981: ა. შანიძე. თხზულებანი. ტ. II. თბილისი.

ძეგლები 1969: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1. თბილისი.

ძეგლები 1986: სვანეთის ნერილობითი ძეგლები, ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბილისი.

ჭინჭარაული 2005: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბილისი.

ხორნაული 2000: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბილისი.

THE MEANING OF TERM *KHUTSETSI* IN SOUTH-WESTERN GEORGIA IN HIGH AND LATE MIDDLE AGES

Beka Mgeladze

The paper discusses the term "khutsetsi" (ხუცეცი) related to the popular authority in Samtskhe-Saatabago in the High Middle Ages and in Ajara in the Late Middle Ages. According to the old Georgian written sources, it can be concluded that "khutsetsi" was person who performed clerical as well as secular duties. The literal meaning of the word was "elder" or "chief".

ლაზების ეთნიკური იდენტობის საკითხისათვის

ნუგზარ მგელაძე

ქართველური მოდგმის ზანთა სატომო განშტოების – ლაზების – ვინაობისათვის. ბიზანტიურ წყაროებში ლაზეთის აღმნიშვნელად „ლაზიკე“ ფორმა დასტურდება (გეორგიკა 1965: 102), ხოლო „ლაზია“, როგორც მიიჩნევენ, ქართულ ლიტერატურაში ბიზანტიურიდან მწიგნობრობის გზით დამკვიდრდა. ეთნონიმი *ლაზი* კოლხეთში შედარებით გვიან, ანტიკური პერიოდის შემდეგ ჩაისახა. შუა საუკუნეებში ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილი იყო *ლაზეთი* „ლაზების“ სახელწოდების მატარებელი მოსახლეობით, ხოლო ოსმალთა შემადგენლობაში აღნიშნული ტერიტორია „ლაზისტანად“ იწოდებოდა (ლომოური 1964: 86). მიღებული შეხედულებით *ლაზი* „ზანის“ სახეშეცვლილი ფორმა იყო. ლაზები იგივე ზანები იყვნენ (სიხარულიძე 1959: 26; შდრ. ვანილიში, თანდილავა 1964:5).

როგორც წერილობითი დოკუმენტებით ცნობილია, ტრაპეზუნტი ლაზთა ქალაქი იყო. კოლხური დასახლებები ჩვენს წელთაღრიცხვამდელ ბერძნულ წყაროებში არაერთხელ იხსენიება, მაგრამ იქვე ჩამოთვლილ სათემო თუ სატომო დაჯგუფებებს შორის კონკრეტულად ეთნონიმ „ლაზის“ მატარებელი ტომები არ სახელდება, თუმცა ზოგიერთი ავტორი ცდილობს უძველესი სატომო გაერთიანების სახელწოდება „ლოსში“ (ლოსი – ლუსა – ლუშა) *ლაზი* ამოიკითხოს (მელიქიშვილი 1952: 210; მელიქიშვილი 1970; შდრ. (უშაკოვი 1940: 261).

ბუნებრივია, ეს ფაქტი ახსნას მოითხოვს. შესაძლებულია ლაზთა ეთნოგრაფიული გაერთიანება ანტიკურ პერიოდში, მართლაც, სხვა ეთნონიმით იყო ცნობილი ანდა მის სახელს ჰეგემონი, უფრო ზუსტად, დომინირებადი სატომო გაერთიანების სახელწოდება ფარავდა. ქსენოფონტე, რომელიც ტრაპეზუნტს კოლხთა მინაზე აღწერს და ქალაქის მეზობლად მაკრონებსა და დრილებს, ტრაპეზუნტის დასავლეთით კი – ზღვის სანაპირო ზოლის მცხოვრებლებს – მოსინიკებს, ხალიბებსა და ტიბარენებს ასახელებს, ლაზებს არ იხსენიებს.

ლაზთა წარმომავლობის შესახებ ყურადღებას ბერძნულ წერილობით წყაროებში გავრცელებული შეხედულებებიც იქცევს. ამ შეხედულებებით, ეთნონიმი *ლაზი* „პელაზგს უკავშირდება. როგორც ჩანს, ამ კავშირის აღიარებისათვის აღნიშნულ ეთნონიმთა სიტყვიერ მსგავსებასაც (შდრ. *პე-ლაზ-გი*) უნდა შეეწყო ხელი. დღეს ძნელია გადაჭრით ამტკიცო იყო თუ არა ეს ფაქტი ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საკმაოდ ძველი ეთნიკური პროცესების ამსახველი და მიუთითებს თუ არა იგი პელაზგთა გარკვეული ჯგუფის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გადმოსახლებასა და ავტოქტონური კოლხური მოდგმის მოსახლეობაში შერწყმაზე. ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ ბერძნების ნაწილი ლაზების ნაწილს ეთნიკურად ბერძნებად რომ თვლიდნენ დაწვრილებით იხ. (ბაწაში 1988). უფრო ზუსტად, ბევრი ახლანდელი ბერძენი ლაზებს თავის წინაპრებად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძლიერი ბიზანტიური კულტურის გავლენით უნდა აიხსნას, მაგრამ არც ისაა გამორიცხული ამას ისიც განაპირობებდა, რომ ადრე ბერძენთა ტერიტორიის დიდი ნაწილი დასახლებული ყოფილიყო ტომებით, რომელთაც „ლაზები“ და „პელაზგები“ ეწოდებოდათ, ტომებით, რომლებიც ბერძნებთან ეთნიკურ ნათესაობაში არ იმყოფებოდნენ, თუმცა ბერძნების მოსვლისა და ხმელთაშუაზღვისპირეთში – არკადიაში – მათი დამკვიდრების დღიდან აბორიგენულ მოსახლეობას, როგორც მათ წინაპრებს, ისე განიხილავდნენ. სტრაბონი ევრიპიდეს ცნობაზე მიანიშნებდა და ამბობდა, რომ ელადის მცხოვრებთ ადრე „პელაზგები“ ეწოდებოდაო. პელაზგების ნაწილი – ბერძნებისათვის პროტო-ბერძნები, ალბათ, ისე როგორც, თავის დროზე, ნესიტი ხეთებისათვის პროტოხეთები იყვნენ, თანდათანობით, შავიზღვისპირეთამდე დავიწროვდა, საბოლოოდ კი – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარკვეულ მონაკვეთში განსახლდა და ადგილობრივ, შესაძლოა, ეთნიკურად და ენობრივად მონათესავე მოსახლეობას – ჭანებს შეერია. არსებობს ცნობები, რომლებიც მიუთითებს, რომ ტრაპეზუნტი მდებარეობდა არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იქ, სადაც ჭან-ლაზებისა და, საერთოდ, ზანური მოდგმის თემთა ლოკალიზაცია ხდება, არამედ – არკადიაში. ნერილობითი ტრადიციის მიხედვით ირკვევა, რომ არკადიის მკვიდრი პელაზგები ამავე სახელნოდების მატარებელ ქვეყანაში – პელაზგიაში ცხოვრობდნენ. პელაზგ-არკადიელების ქალაქებს შორის ცნობილი იყო არკადიის ტრაპეზუნტი. ტრაპეზუნტელები არკადიელებს ამოუწყვეტიათ. გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილს პონტოს ტრაპეზუნტისათვის მიუშურებია. ადგილობრივ მცხოვრებლებს გამოქცეულები მიუღიათ, რადგან ისინი მათი მეტროპოლიიდან იყვნენ და მათ სახელს ატარებდნენ. რისმაგ გორდეზიანი დაწვრილებით მიმოიხილავს ანტიკურ წყაროებსა და სხვა ცნობებს, რომლის საფუძველზეც კავკასიაში, კერძოდ, კოლხეთში (ევმელოს კორინთელი – ძვ. წ. VIII საუკუნე; პავსანია ლიკოფრონი – ძვ. წ. III საუკუნე; აპოლონიოს როდოსელი – ძვ. წ. III საუკუნე; სტრაბონი – I საუკუნე) ეგეოსური მიგრაციების კვალს ადგენს.

დგინდება, რომ ეგეიდან ასეთი ადგილმონაცვლეობა უკვე ტროას ომამდე დაწყებულა, ხოლო ტროას ომის შემდეგ სისტემური ხასიათი მიუღია (გორდეზიანი 1985: 144, 148). საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას ძვ. წ. III საუკუნის პოეტის ლიკოფრონის ცნობა იქცევს, რომლის თანახმადაც, აიეტი აიასა და კორინთოს გამგებელი იყო შდრ. (მგელაძე, ტოტოჩავა 2011: 60-63). რისმაგ გორდეზიანის დაკვირვებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ კორინთო ანუ ეფირე პელასგთა თავდაპირველი გავრცელების უძველესი რეგიონი იყო, მაშინ აღნიშნულ ინფორმაციაში პელასგურსა და კოლხურ მოსახლეობას შორის არსებულ კავშირზე მინიშნება უნდა დავინახოთ. ავტორის მიხედვით, ამ ვერსიით აიეტი კოლხეთში ეფირედან გადმოსულა, მაგრამ უფრო ძველ ვერსიაზე დაყრდნობით არც ის არის გამორიცხული, რომ ჰელიოსმა ეფირე აიეტს გადასცა, რომელიც უკვე კოლხეთს განაგებდა და სწორედ ამიტომ მან მამისგან ნაბოძები ქვეყანა ბუნეს დაუტოვა. ბერძნული მითოლოგიური ტრადიციით ეს ამბები, კერძოდ, აიეტის ეფირედან კოლხეთის ქვეყანაში წასვლა თუ უკან დაბრუნება, ტროას ომამდე ორი თაობით ადრე, ძვ. ნ. XIV საუკუნეში უნდა მომხდარიყო (გორდეზიანი 1975; 1978: 191; 1985: 144-145).

ასევე, ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობა, რომელიც ჰენიოხიას ლაკონელების მიერ დასახლებულ ადგილად თვლიდა, ხოლო დიონისიოს პერიეგეტის მიხედვით, ჰენიოხები და ძიგები – პელაზგური ქვეყნის ნაშიერები იყვნენ (გორდეზიანი 1985: 144-145). ანტიკური წყაროები პელასგურ ტომად მაკრონებსაც მიიჩნევდა შდრ. (ურუშაძე 1964: 125). რისმაგ გორდეზიანმა ყურადღება აპოლონ როდოსელის იმ ცნობაზე გაამახვილა, რომელიც პონტოში მცხოვრები ტომის მაკრისელთა ლაშქარს ეხება და ეს მაკრისელები მან სრულიად ლოგიკურად ერთ-ერთ ქართველურ ტომად – „მაკრონებად" ჩათვალა. ამ ტომს აპოლონიოსი პელასგურად მოიხსენიებდა. „არგონავტიკის" სქოლიასტი შესაბამის ადგილთან დაკავშირებით ამბობს: „მაკრისელების ლაშქარი პელასგურად მოიხსენია [პოეტმა], ვინაიდან ისინი (მაკრისელები) ევბეელთაგან არიან გადმოსახლებულნი..." (გორდეზიანი1985: 145). ევბეას მდებარეობის გამო *მაკhისი* ერქვა, თუმცა იქვე აპოლონ როდოსელი მაკრონებს, რატომღაც, სკვითურ ტომად ასახელებს. რისმაგ გორდეზიანი, რომელიც დამატებით მიმოიხილავს რიგ წყაროს, მათ შორის, ანტიკურ წყაროებს, მაგალითად, ვერგილიუსის „გეორგიკების" 1, 58-ე ტაეპს, სადაც თვით ხალიბებსაც, როგორც პონტოში მცხოვრებ ტომს, რომელმაც რკინა აღმოაჩინა და სახელი ხალიბიმიუდან, ევბეის სოფლიდან მიიღო, ევბეადან გადმოსახლებულად მიიჩნევდა. საბოლოოდ, რისმაგ გორდეზიანი ასკვნის, რომ დაახლოებით ძვ. ნ. XIV საუკუნიდან მოყოლებული კავკასიაში ადგილი ჰქონდა ეგეიდიდან და ეგვიპტიდან ხალხთა სხვადასხვა ტალღების გადასახლებას. მისი ვარაუდით, ამ თვალსაზრისს გარდა წერილობითი წყაროებისა, გარკვეულწილად, ენობრივი მონაცემებიც უჭერს მხარს, კერძოდ, ქართველურ ენებში და ქართულ ენობრივ სამყაროში ცალკეული ეგეოსური ტიპის ტერმინი გამოიყოფა, რომლებიც არც საერთო-ქართველური, არც ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე არ აღდგებიან, მაგრამ ქართველური ენების მიერ საკმაოდ ადრე ჩანან შეთვისებულნი. რისმაგ გორდეზიანის მტკიცებით, ამ ტერმინთა ნმინდა ნინარებერძნულ-ეგეოსურ ხასიათზე ის მიუთითებს, რომ თითოეული მათგანი ეგეიდაში ფართოდ არის გავრცელებული (გორდეზიანი 1985: 144-148).

როგორც ვხედავთ, ძველ წყაროებში მითითებულია არკადიისა და პონტოს ტრაპეზუნტების – ერთი მეტ-როპოლიის ქალაქების ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ეს, ბუნებრივია, არაა საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ პონტოს ტრაპეზუნტის მოსახლეობას, შესაძლოა, ჭანების ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ განტოტებას, ეთნონიმი *ღაზი* არკადიის ტრაპენზუნტიდან მიგრირებულმა მონათესავე პელაზგებმა დაუმკვიდრა, თუმცა მართლაც საინტერესოა ძველბერძნულ წყაროებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები მოსახლეობის აღმნიშვნელად თუ რატომ არ გვხვდება და დასტურდება *სანი* (სანიკე/სანიგები), იგივე, *ჭანი*, რომელიც „ლაზის" თანაბარია. ეს ყველაფერი თითქოს გვიბიძგებს იქითკენ, ვიფიქროთ, რომ არკადიიდან მოსული პელაზგებს ადგილზე მათი მონათესავე ჭანები დახვდნენ, რომლებიც დროთა განმავლობაში ლაზებში აითქვიფნენ და საერთო სახელწოდებად ეთნონიმი *ღაზი* დაიმკვიდრეს. თავდაპირველად, ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ლაზი ზანის ელინიზებული ფორმა იყო და წარმომავლობით სიტყვა *ღა-ზან*–ს უკავშირდებოდა, რაც ზანებისა და ზანთა სამკვიდრებელის აღმნიშვნელი სვანური სახელი იყო, თუმცა ნიკო მარმა ბოლოს შეცვალა ეს აზრი და განავითარა შეხედულება *ღაზ*-ის, *ღაზგ-გ*-ისა და *პეღას-გ*-ის საერთო ფუძის შესახებ. საერთოდ, ფუძე *ზან*-ი სიტყვიერად ჩრდილო კავკასიაშიც გვხვდება. ა. დირრე გვამცნობდა, რომ ყაბარდოელები სამეგრელოს ტერმინ *ზანე*-თი აღნიშნავდნენო. დაწვრილებით იხ. (სიხარულიძე 1959: 26). აქ, განსაკუთრებით საყურადღებოა აზრი, რომლის მიხედვითაც „ლაზი" „ზანის" ელინიზირებული ფორმა უნდა იყოს. შესაძლოა, ამის გამოც მოხდა ნერილობითი წყაროებისათვის ადრე უცნობი ეთნონიმი *ღაზი*, შესაბამისად, *ღაზიკე*, უკვე ახალი წელთაღრიცხვიდან რომაულ-ბერძნულ წყაროებში ინტენსიურად რომ ჩნდება. სახელწოდება *ღაზი* არა მარტო წერილობითი ტრადიციების ანარეკლია, არამედ თვითსახელწოდებაც. ამ ეთნონიმს ლაზური მოსახლეობა კარგად იცნობს და საკუთარ თავსაც ამდაგვარვე აღნიშნავს. თუ აღნიშნული სქემა სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაზ-პელაზგებში ათქვეფილი ჭანების ერთი ნაწილი მთაში, მთის ჭანურ თემებში განსახლდა, ხოლო ზღვის სანაპირო ტერიტორიები ახალმა ერთობამ – ლაზებმა დაიმკვიდრნენ, თუმცა პონტოს მთებში ფეხმოკიდებული ჭანები, დროთა ვითარებაში, სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების პროცესში, მონათესავე ეთნიკურ გაერთიანებებს შეერწყნენ.

მიუხედავად რიგი ვარაუდისა, საკუთრივ ეთნონიმ „ლაზის“ ეტიმოლოგიური ამოსავალი, მაინც, ქართველურ ენებში უნდა დაიძებნოს. სვანურს სიტყვა *ზანა*-სა და *ღაზან*-ში პრო-ქართული ენისათვის დამახასიათებელი **ზან** ფუძე უნდა ჰქონდეს შემონახული. სვანები მეგრელებს *ზანა*-ს უწოდებდნენ (ჩიქობავა 2000: 250, 286). თავის დროზე, იოსებ ყიფშიძეც, ტერმინ „ლაზს“ სვანური წარმოებისად თვლიდა, როგორც ამას ნიკო მარი ვარაუდობდა, რომელსაც *ღაზი* სვანური *ღაზან*-იდან და *ღაზნ*-იდან გამოჰყავდა (დანელია 1985: 57). *ღა* სვანური თავსართია, რომელიც ზანურში, კერძოდ, მეგრულში სვანურიდან გავრცელდა და ქართულ *სა*-ს შეესატყვისება. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე დადგენილია *-ღე* და *-სა* პრეფიქსების გამოყენების არეალები. მიჩნეულია, რომ გვარის საცხოვრისის აღსანიშნავად *ღე*-ს გამოყენება ქრონოლოგიურად უფრო ძველი მოვლენაა და სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, ე. ი. მთიან სამეგრელოს ოდიშის პლატოს მოიცავდა. კოლხეთის ზღვისპირა ვაკე, უმთავრესად, საზამთრო საძოვრებად იყო გამოყენებული და მისი მასობრივად დასახლება გვიან შუა საუკუნეებში დაიწყო. ამიტომაც, პაატა ცხადაიას დაკვირვებით, აღნიშნულ არეალში, გვარის საცხოვრებელი ტერიტორიის სახელის სანარმოებლად გამოყენებულია მხოლოდ *-სა* პრეფიქსი, რომელმაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიურ-პოლიტიკური გაერთიანებისა და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის შემდეგ, თანდათანობით, თავის დროზე, სვანურიდან შეთვისებული *-ღე* თავსართი შეცვალა (ცხადაია 1985; ცხადაია 2000: 5). ამდენად, თუ *ღაზან*-ში ჩვენ *სა-ზან-ო*-ს შესაბამისი ცნება უნდა ამოვიკითხოთ, მაშინ *ღაზან* ესაა ზანთა ის სამოსახლო ადგილი, სადაც ლაზების მონათესავე ზანთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული განშტოება – მეგრელები სახლობდა და სახლობს. იგი ისეთივე სახით ინარმოება, როგორც, მაგალითად, *საქართველო*, *სამეგრელო*, *სამცხე*. ამა თუ იმ საგვარეულოს სამოსახლოს აღმნიშვნელი სახელწოდებებიც ზემოთ მითითებული წარმოების ანალოგიურია. ასეთია: *საჭიდაო* – სოფელ მარანის ერთ-ერთი ძველი დასახლებული პუნქტი (აბაშის რ-ნი). აქ თითქოს ნინააღმდეგობა გვაქვს მხოლოდ იმაში, რომ ამგვარი ნარმოება ახასიათებდათ არა ეთნონიმებს ანდა ეთნო-ტერიტორიულ ჯგუფთა სამოსახლო მხარეებსა და ქვეყნებს, არამედ საგვარეულოთა სამოსახლოებს (შეადარეთ, ვთქვათ, *ღესიჭინე* – სიჭინავების საცხოვრისი...). პაატა ცხადაია გვარსახელისა და შტო-გვარსახელისაგან მიკრო-ოიკონიმებისა და ოიკონიმების სანარმოებლად მეგრულში მხოლოდ და მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელის გასაფორმებლად გამოყენებულ *-ღე* აფიქს მიიჩნევს (ცხადაია 2000: 39-43).

შეგვიძლია თუ არა ჩვენ სვანურ სიტყვა *ღაზან*-ში *-ღაზ* ფუძე გამოვყოთ? მართალია, უფრო სარწმუნოა *ღაზან* ლექსემაში გამოიყოს არა *-ღაზ*, არამედ *-ზან* ფუძე, მაგრამ, ვფიქრობთ, არც პირველი და არც მეორე ფაქტი სატომო სახელწოდება „ლაზთან“ მისი დაკავშირების შესაძლებლობას სრულებითაც არ გამორიცხავს. მიუხედავად ამისა, მაინც ეთნონიმ „ლაზში“ *-ღა* პრეფიქსი ჩანს, ხოლო მოცემულ ტერმინში *-ზ* ძირი (*ღა-ზ-ი*) *ზან*–ის ნაკვალევი უნდა იყოს. დასახელებული პრობლემატიკის თვალსაზრისით, ასევე, ყურადღებას იქცევს ლექსიკური ფორმა „ლაზანთ“, ანუ „ლაზები“, რომელსაც ბერძნული ენის პონტოურ-ლაზურ დიალექტზე მოლაპარაკე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნები ეთნონიმების გასაფორმებლად იყენებდნენ და ეს გაფორმება ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ *-იან* და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ *-თ* სუფიქსებითაა წარმოდგენილი (ბაწაში 1988: 9). *-ზან* ფუძით ნაწარმოები სიტყვები საქართველოში დამონმებულ გეოგრაფიულ სახელებსა და ჰიდრონიმებში ხშირად გვხვდება, მაგალითად, *ზანა* – მდინარე აბაშაში; *ზანავი* და *საზანო*.

პროკოპი კესარიელის მოღვაწეობის პერიოდისათვის ეთნონიმი *ღაზი* გაცილებით ფართო შინაარსს ატარებდა, ვიდრე მისი კონკრეტული ვინრრო მნიშვნელობა იყო. ამიტომაცაა, რომ ახალი ნელთაღრიცხვიდან ბიზანტიური წყაროები მათ კოლხებად, კოლხთა შთამომავლებად რომ მიიჩნევდა. ისე, არაა გამორიცხული ანტიკური პერიოდის კოლხეთში, სადაც წერილობითი დოკუმენტები ეთნონიმ „ლაზს“ არ ასახელებდა, ხოლო კოლხებს ორი – ვინრრო და ფართო მნიშვნელობით გვაცნობდა, ვინრრო მნიშვნელობის კოლხში *ღაზი* ამოგვეცნო, თუმცა არიანე II საუკუნის თავის ცნობილ აღწერილობაში კოლხებს, ბუნებრივია, ვინრრო მნიშვნელობით და ლაზებს ერთმანეთის მახლობლად ცალ-ცალკე მოიხსენიებს (კეჭაღმაძე 1961: 43) თუმცა სხვები ზოგჯერ კოლხებსა და ლაზებს ერთმანეთთან აიგივებდნენ, მაგალითად, იოანე ლიდე VI საუკუნის მეორე ნახევარში, 554 წელს გადმოგვცემდა, რომ: „კოლხები, რომელთაც აგრეთვე ლაზები ეწოდებათ, ალანები არიან“ (გეორგიკა 1965:242).

ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: რომაული და ადრე-ბიზანტიური ხანის წყაროების *ღაზი* იმავე ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ფართო მნიშვნელობით ძველბერძნულ კოლხს გააჩნდა. აგრეთვე, ჩვენი ნელთაღრიცხვის I-II საუკუნეებიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და, შესაბამისად, იბერიაში (ქართლში) მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად, ეთნონიმ „ლაზის“ ფუნქცია დავიწროვდა და, დროთა განმავლობაში, უკვე XI საუკუნისათვის, ზანური ტომის ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფის გამაერთიანებელ შემკრებლობით ზოგად პოლიტიკურ ტერმინად *მეგრელი* ჩამოყალიბდა. ამის გამო იყო XI საუკუნის მემატიანე, ლეონტი მროველი, როცა ქრისტიანობის გავრცელების მიზნით ანდრია მოციქულის კოლხეთსა და იბერიაში მიმოსვლის ამბებს აღწერდა, ბუნებრივია, მისი ეპოქის გეოგრაფიული გადასახედიდან და ადმინისტრაციული რეალობიდან გამომდინარე, ტრაპეზუნტთან I საუკუნეში არსებულ დასახლებებს „მეგრელთა სოფლებად“ მოიხსენიებდა შდრ. (მგელაძე, ფაღავა 2013/2014: 140-143; სიხარულიძე 1999; ნარიმანაშვილი, მგელაძე 2011: 5-17; მგელაძე, ქურდიანი 2008).

უკვე დიდი ხანია ჭანისა და ლაზის იგივეობისა და განსხვავების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსიაა და რამდენიმე შეხედულებაა ჩამოყალიბებული. ახ. წ. II საუკუნეში არიანე ერთმანეთის გვერდით „სანებსა“ და „ლაზებს“ ცალ-ცალკე ასახელებს, ე. ი. იმ დროს ეს ორი მონათესავე ეთნოგრაფიული დაჯგუფება თანაარსებობდა. არიანეს დაკვირვებით,

> ...ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი ... ამათ გვერდით არიან მაკრონები და პენიოხები ... მაკრონებისა და პენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან ... ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან (კეჭაღმაძე 1961: 43).

ასევე, ბიზანტიელი ავტორი, პროკოპი კესარიელი, ჭანსა და ლაზს ერთმანეთისაგან განასხვავებდა. ეს ირკვევა პროკოპის შემდეგი ტექსტიდანაც, სადაც აღნიშნულია:

> ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე სახელად ბოასი, რომელიც მის შემდეგ რაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზების სოფლების მახლობლად გასნევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ექვსინის პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ენოდება ბოასი ... მას სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსისს უნოდებენ (კეჭაღმაძე 1961: 67).

წყაროში აკამფსის ნაცვლად ზოგან ფაზისია დასახელებული (ყაუხჩიშვილი 1965: 105, 122; ყაუხჩიშვილი 1936). აქ ნათლად ჩანს, რომ პროკოპი კესარიელის დროსაც *ჭანი* და *ლაზი* არსებობდა. ჭანი მთაში, ხოლო ლაზი – ზღვისპირეთში. საერთოდ, ჭანთა მთიელობის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში ახალი არაა და იგი მოგვიანო პერიოდის ბერძნულ წყაროებშიც კი დაისვა. ნ. ნაჭყებიას *ძველბერძნულ* წყაროებზე გაკეთებული კომენტარების თანმახმად, სატომო სახელწოდება *ჭანი* უპირატესად ტრაპიზონის მხარეში, პონტოს მთიანეთში მოსახლე მთიელებს ეკუთვნის (კეჭეღმაძე 1961: 63, 73). თავისთავად, პროკოპის მი-ერ ჭანეთის მთების, ჭანების, ლაზთა სოფლებისა და ლაზების ურთიერთგვერდით მოხსენიება მათ ურთიერთმონათესაობასაც გულისხმობს, რაც სხვა ცნობებითაც დასტურდება, მაგრამ ამავე დროს ზემოთ მოყვანილი მონაცემები, ჭანისა და ლაზის თვისობრივ იდენტიფიკაციის შესაძლებლობას სრულებითაც არ გამორიცხავს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი ფიქრობდა, რომ ჭანეთი და ლაზეთი თანაბარი ცნებები იყო, ოღონდ დიაქრონული მნიშვნელობით. იგი წერდა: „ხოლო ბაიბურდისა და ფოჩხის სამჭრით, ჭანეთის მთას იქით, არს ქანეთი, და აწ უნოდებენ ლაზსავე“ (ვახუშტი 1941: 142). გასული საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოგზაურობის დროს შეკრებილი საველე მასალების საფუძველზე ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ჭანები თავს ლაზებს უწოდებენო (მარი 1910: 608). როგორც ჩანს, „თურქეთის საქართველოში“ მოგზაურობის დროს ნიკო მარი იმ პირებს შეხვედრია, რომლებიც *ჭანი* ეთნონიმის მატარებლები იყვნენ, მაგრამ დღემდე ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ამ სახელწოდების მატარებელმა ჯგუფმა თითქოსდა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა თანამედროვე საველე-ეთნოგრაფიული წყაროები თურქეთში კვლავ გვიდასტურებს, რომ მოსახლეობაში ეთნონიმი *ჭანი* დღესაც ცოცხალია, მაგრამ ასევე იმავე თურქეთში, ხშირად, ეთნოფორი *ჭანი* და *ლაზი* ერთმანეთთან გათანაბრებულია. -*ჭან* ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები არა მარტო ზანური ენის ლაზურ და მეგრულ, არამედ *ქართ*-ულის სხვადასხვა დიალექტებშიც გვხვდება, მაინც ამ ფუძით, ძირითადად, ტოპონიმები და გვარსახელებია ნაწარმოები. მაგალითად, გეოგრაფიულ სახელწოდებებში ასეთია: *ჭანიეხი* (სოფელი მაჭახლის ხეობაში), *ჭანიეთი* (სოფელი გურიაში), *ჭანჭათი*, *ჭანიკი* (ოლქი ტრაპეზუნტთან). გვარსახელებში: *ჭანიშვიღი*, *ჭანუყვაძე*, *ჭანია*, *ჭამბა*, *ჭანჭაღეიშვიღი* (სიხარულიძე 1977: 18-19; 1999); შდრ. (ბაწაში 1988). იოსებ ყიფშიძეს ტერმინი *ჭან-ი კ/ჭ* ბგერათშენაცვლების საფუძველზე ბიბლიური *კაენ*-ისგან გამოჰყავდა (ყიფშიძე 1911: 40-49), თუმცა დებულება, *ჭან-ის კაენ*-ისაგან მომდინარეობის შესახებ, არა მარტო ისტორიული, არამედ ფონეტიკური თვალსაზრისითაც, დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა, რის გამოც მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მიერ იგი არ იყო გაზიარებული (დანელია 1985: 57). სიმონ ჯანაშია ფიქრობდა, რომ ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი *ღაზი* ეთნონიმ „ჭანს“ ჩაენაცვლა (ჯანაშია 1937: 188). წიგნში „ქანები“ – ამავე თვალსაზრისს, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, იური სიხარულიძეც ავითარებდა. იგი აღნიშნავდა, რომ სატომო სახელ „ჭანს“ მოგვიანებით *ღაზი* დაუპირისპირდა, რომელიც თანდათანობით იმდენად გაფართოვდა, რომ თვით ჭანებსაც კი დაავინყა თავიანთი ძველი სახელი. მისი სიტყვებით, ამ ტერმინმა აქა-იქ ქართულშიც კი შემოაღწია, მაგრამ აქ ტრადიციის ძლიერ კედელს დაეჯახა და ჩვეული წარმატება ვერ მოიპოვა (სიხარულიძე 1977: 19), თუმცა ჩვენთვის გაუგებარია ასე დაბეჯითებით თუ რატომ მიაჩნია ავტორს, რომ *ჭანიკე*, მისი სიტყვებით, „ეს ზანური (კოლხური) ტომი ადრეფეოდალური ხანიდან გამოდის ისტორიულ სარბიელზე და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს – თავის პოლიტიკურ ჰეგემონიას ის ჯერ იმ „სანიკეზე“ავრცელებს, რომლის წიაღშიც აღმოცენდა, ხოლო შემდეგ – მეზობელ მხარეებზეც და თანდათან შავი ზღვის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ჭანეთად აქცევს. მართალია, ეს გარემოება იმ სიღრმით ვეღარ ხორციელდება, რომ მრავალდიალექტიანობა

გადალახულიყო და, საერთოდ, ჭანური მეტყველება შექმნილიყო, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და ჭანთა ისტორიულ როლს ჩრდილს არ ჰფენს" (სიხარულიძე 1977: 18-19). თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ეთნონიმი *ჭანი* ქართულია, ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილი ტრადიციული სიტყვაა, ხოლო *ღაზი* ბერძნულ-რომაული და ქართულში გადმოხმავანებული. ამდენად, *ჭანი* ქართულში გავრცელებული ტერმინია, რაც ცოტა ბუნდოვანი ჩანს, მაგრამ ამ აზრს, ბუნებრივია, არსებობის უფლება გააჩნია. ისე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოვლენები პირიქით განვითარდა. ეთნონიმი *ღაზი*, I საუკუნიდან დანყებული ადრე-შუასაუკუნეებშიც ჰეგემონებს და დანარჩენ ზანურ ტერიტორიულ ჯგუფებს ფარავს. *ჭანი* ნაკლებად ფიგურირებს და, როგორც ჩანს, მოცემულ პერიოდში ისინი ლაზებთან შერწყმის პროცესს გადიან. ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროებით, ადრე შუა საუკუნეებშიც პოლიტიკურ სარბიელზე ლაზის პრიორიტეტული მდგომარეობა ჭანთან შედარებით აშკარად ჩანს. ეს ასეა, მაშინაც, როცა საუბარი არა მარტო ეთნონიმ „ჭანის" „ლაზით" შეცვლაზე ანდა ჭანში ლაზის ჩანაცვლებაზე მიმდინარეობს, არამედ მაშინაც თუ ლაპარაკია საკუთრივ ჭანების, როგორც ზანების ერთ-ერთი ეთნოგრაფიული განტოტების ლაზებში შერწყმაზე. ამიტომ, ზანური – კოლხური ტომი ჭანის სახელნოდებით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ჭანეთად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აქცევდა. ასეთი იყო ლაზური გაერთიანება, რომელშიც, ბუნებრივია, ჭანებიც მოიაზრებოდნენ. თავისთავად, ლაზების, რომლებიც თავის თავში ჭანებსაც მოიცავდა, პოლიტიკური განვრცობის პროცესი ადრეფეოდალური ხანიდან კი არ დაწყებულა, არამედ ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, პონტოს მთებსა და, საერთოდ, ანატოლიაში რომაელთა ექსპანსიის ხანაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დასახელებულ პრობლემასთან დაკავშირებით ძველ წყაროებში და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ძირითადი თვალსაზრისია გამოკვეთილი: 1. *ჭანი* და *ღაზი* ისტორიულ ხანაში თანაარსებობდნენ, ურთიერთმონათესავე გაერთიანებები იყვნენ, ე. ი. ორ სხვადასხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფს აღნიშნავდნენ, რომელთაგან ერთ-ერთმა – ლაზმა, დროთა განმავლობაში, პირველი გადაფარა და გენეტიკურადაც აითვისა; 2. ეს ორი ეთნონიმი იყო არა სინქრონული, არამედ დიაქრონული ნარმონაქმნები. ისინი ზანური სატომო გაერთიანების ერთი და იმავე ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ დაჯგუფებას აღნიშნავდნენ. ანტიკურ პერიოდში ამ გაერთიანებას *სანი*, იგივე, *ჭანი* ეწოდებოდა, ხოლო, როგორც ჩანს, ელინისტიური ხანიდან, ახ. წ. II საუკუნიდან, რომაელთა ექსპანსიის ხანაში, მას *ღაზი* ჩაენაცვლა. ამას მეტ-ნაკლებად არა მარტო წერილობითი წყაროები, არამედ ტოპონიმები და, საერთოდ, ლექსიკაც მხარს უჭერს, რომ *ჭანი* და *ღაზი* ურთიერთმონათესავე, მაგრამ ორი სხვადასხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი იყო, არიანესა და პროკოპის ხანებში მაინც. ჭანები პონტოს მთის მკვიდრნი იყვნენ, ხოლო ლაზები შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მიმდებარე გორა-ბორცვების ტერასებზე, ამ გორათა მცირე ხეობებში ბინადრობდნენ. დროთა განმავლობაში, სავარაუდოა, ლაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდიდან, ეთნონიმ „ლაზს" არა მარტო ეთნონიმი *სანი* (ჭანი) შეერწყა, არამედ *ჰენიოხი*, *მაკრონი*, *ძიდხიტი*. შემდგომში მათი ნაწილი, განსაკუთრებით, მთის ჭანები გაქართდა, ხოლო ნაწილი – ლაზებში აითქვიფა. ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში და საისტორიო მწერლობაში კოლხთა აღნიშნული განშტოებები მითითებულ გეოგრაფიულ არეალებში, უპირატესად, „ჭანის", ანტიკური ეპოქის ძველბერძნულში – „სანის", ხოლო ელინისტური პერიოდის რომაულ და ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში – „ლაზის" სახელწოდებითაა ცნობილი. ნიშანდობლივია კინტრიშის ხეობაში ლაზიშვილების გვარის წარმომადგენელებს „ჭანებს" რომ ეძახიან. მთელს ანატოლიაში ამ უძველეს კოლხურ დაჯგუფებებს დღესაც ხან ლაზებს, ხან ჭანებს უწოდებენ, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე *ჭანი* „ლაზის" თანაბარ ცნებად იქცა ანდა მიანიშნებს იმ პერიოდის რეალობაზე, როცა „ლაზმა" *ჭანი* გენეტიკურად გაითავისა. აქვე გასათვალისწინებელია რიგი ეთნოგრაფიული დაკვირვებაც, მაგალითად, ის, რომ ლაზები ჭანობას უკადრისობენ, რაც, თუ ეს ფაქტი ობიექტური ისტორიული რეალობის ასახვაა, ოდესღაც, ორივე ეთნონიმის, მთაში – ჭანების და ბარში – ლაზების თანაარსებობას უნდა გულისხმობდეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჭანეთისა და ლაზეთის, ჭანებისა და ლაზების იგივეობისა და განსხვავების საკითხი ისტორიოგრაფიაში ახალი არაა და, როგორც აღინიშნა, ამ პრობლემის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბევრნი ფიქრობს, რომ ჭანები ზანური ტომის მთის რეგიონის დაჯგუფება იყო, ხოლო ლაზები – ბარის. პროკოპი კესარიელის წყაროდან მკაფიოდ ირკვევა, რომ ჭანები მთაში მცხოვრებ ზანთა გაერთიანებას ნარმოადგენდა. თუ ეს ასეა მაშ ვინ ცხოვრობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე? უფრო სავარაუდოა, რომ ჭანური დაჯგუფება, დროთა განმავლობაში, ლაზთა სამეფოსა და ლაზების სხვა ზანურ გაერთიანებებზე ჰეგემონობის პერიოდიდან ლაზებში აითქვიფა და, შესაბამისად, „ლაზმა" ეთნონიმი *ჭანი* გადაფარა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გვიანდელი ლაზისტანის ტერიტორია კოლხეთის სახელმწიფოში არ შედიოდა. ძვ. წ. VI საუკუნეში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩამოყალიბებული სახელმწიფოს სამხრეთი საზღვარი მდინარე ჭოროხის შესართავის ზოლში გადიოდა. ამდენად, იგი ჭოროხის სამხრეთი სანაპიროს არ მოიცავდა (ლომოური 1964: 71); შდრ. (გრიგოლია1994), მაგრამ

ჩვენ ვიცით V-VI საუკუნეების ავტორის პროკოპი კესარიელის აზრი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ლაზები კოლხები იყვნენ და თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ, ცხოვრობდნენ მდინარე ფაზისის მიდამოებშიც, ე. ი. გაცილებით ფართო ტერიტორიაზე, ვიდრე ისინი წარმოდგენილნი იყვნენ შუა საუკუნეში იქ, სადაც ჭოროხის აუზის ქვემო წელი და ტრაპეზუნტის სანახებია, თუმცა ეს აზრი თითქოს მართებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ თუ ჩვენ პროკოპის ფაზისში ჭოროხს ვიგულისხმებთ. ნოდარ ლომოურის მიხედვით პროკოპი ლაზებს არათუ ტრაპეზუნტელებად, არამედ მათ მეზობლებადაც კი არ მიიჩნევდა და ტრაპეზუნტელებსა და ლაზებს შორის აღმართულ ციცაბო მთას გვიხასიათებდა, რომელშიც ქანები ყოფილან განსახლებულნი (ლომოური 1964: 71). ბუნებრივია, ესეც ლოკალიზაციის სუბიექტური მცდელობაა. ტრაპეზუნტი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ზღვის იმ ზონაში, სადაც ლაზები იყვნენ განსახლებულნი. ამდენად, ტრაპეზუნტსა და ლაზებს შორის ვერანაირად ვერ იარსებებდა ციცაბო მთა ისე, რომ ციცაბო მთის აქეთა ლაზებს ტრაპეზუნტელებთან მეზობლობა არ შესძლებოდათ. გარდა ამისა, დასახელებული პერიოდი ის ხანაა, როცა მთელ შავიზღვისპირეთში, მათ შორის, რიონისა და სუფსის ხეობებსა და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილში, ზანური მოდგმის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფები, მიუხედავად „ქართიზაციის" გაღრმავებული პროცესებისა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმული ქართების მიერ ახალი პოლიტიკური უჯრედების ჩამოყალიბების კონტურები უკვე ნანილობრივ იხაზებოდა, ჯერ კიდევ ფუნქციური იყო. ამიტომ, აღნიშნულ ეტაპზე, რიონის მიდამოებშიც მეგრელებთან ერთად კოლხთა ლაზური განშტოების განსახლების, მეგრელებისა და ლაზების განსაზღვრულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით, ბუფერულ ზონებში თანაცხოვრების და თანაარსებობის შესაძლებლობა არ უნდა გამოვრიცხოთ. საერთოდ, მეცნიერთა დიდი ნაწილი ლაზების ლოკალიზაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახდენს. ბუნებრივია, ლაზების ტერიტორიული საზღვრები ისტორიულად მდგრადი არ ყოფილა. ცვლადი იყო ეთნოგრაფიული მიჯნებიც, უფრო ზუსტად, მათი საცხოვრისის პოლიტიკური და ეთნოგრაფიული ჩარჩოები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვეოდა. განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში, მათ შორის, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის, განსახლების არეალი, ძირითადად, ტრაპიზონსა და მდინარე ჭოროხს შორის არსებულ მიწა-წყალს – შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და ამ სანაპირო ზოლზე აღმართულ გორა-ბორცვებზე შეფენილ დასახლებებს მოიცავდა. ნოდარ ლომოური, როგორც ზემოთაც ითქვა, კი ფიქრობდა რომ აღნიშნული ტომი ლაზები და ქვეყანაც – ლაზეთი სრულიად სხვა ადგილასაა დამოწმებული. ეს სახელი აღნიშნულ ოლქსა და მის მცხოვრებთ თითქოს შედარებით გვიან დაუმკვიდრდათ (ლომოური 1964: 1). ლუი გრანჟეს მიერ 1616 წელს შედგენილი წერილით გონია ბათუმის სამხრეთ-დასავლეთით 15 ვერსში მდებარეობდა, სადაც შემორჩენილი იყო დანგრეული ციხე-სიმაგრე, ხოლო მაკრიალი – გონიოდან სამხრეთ-დასავლეთით 9 მილში (კრებული 1915: 37). XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი ქანების საცხოვრისს შემდეგნაირად შემოსაზღვრავდა: ძველი ქანეთი, ხოლო ვახუშტის დროინდელი ლაზეთი „არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიოს დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე, ქანეთში გამომდინარე ქანეთის მთისა, რომელი მდებარეობს ქანეთსა და ფორჩხის ჴეობას შორის, და მოდის ჩდილოთ...". ქართველი გეოგრაფის დაკვირვებით, XVIII საუკუნეში, მდინარის იქით, ზღვისპირას ქალაქი *ხოფჯა* და ამავე სახელწოდების მდინარე მდებარეობდა, რომელიც მისივე მთიდან გამოედინებოდა. ამდაგვარადვე იგი ახასიათებს ხოფჯას, შემდეგ ბაიბურდსა და ქანეთს შორის მდებარე ქანეთის მთიდან გამომდინარე მდინარეს, რომელიც, ასევე, ზღვას ერთვოდა. ვახუშტის თქმით, ამ მდინარის დასავლეთით, ზღვის პირას მდებარე ქალაქ რიზასთან „მუერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ, ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა კნინღა ზღვამდე, ქანეთის მთიდამ". ვახუშტი საქართველოსა და საბერძნეთს შორის არსებულ საზღვარს სწორედ აქ ასახელებს და *ჩკინის პაღო* მას აქვე ეგულება. იგი წერდა, რომ „აქავ არ სატყეპელა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამენმან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა (ვგონებ რიზას)". აგრძელებს რა ვახუშტი ბაგრატიონი ქანეთის გეოგრაფიული და ისტორიული საზღვრების დახასიათებას, ამბობს: „მთა ქანეთსა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივალს ვიდრე ჭოროხამდე". საბოლოოდ, ვახუშტი ასკვნის – „ხოლო მზღვრის ქანეთს: აღმოსავლეთით გონიის საზღვარი; სამხრით მთა ქანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ქანეთს შორი; დასავლით მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ ზღვა შავი" (ვახუშტი 1941: 142). კ. დერჟავინის თანახმად, ბათუმის ოლქი დასახლებული იყო გურულებითა და აჭარლებით, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისში მდინარე კინტრიშის აყოლებით, აჭარაში, მაჭახელაში და ჭოროხის ქვედა დინების გვერდით ხეობებში, ხოლო მაწილობრივ ზღვის წადევნებით, ჭოროხის ქვედა დინების მინა-წყალზე ცხოვრობდნენ, ისე როგორც მაკრიალისა და იჩხელის ხეობებში ლაზები ბინადრობდნენ (დერჟავინი 1906: 21). ამდენად, კ. დერჟავინიც ლაზებისა და მისი მონათესავე ქართული ეთნო-ტერიტორიული ჯგუფების – აჭარლებისა და გურულების განსახლების არეალს მკაფიოდ მიჯნავდა, რაც, ამ შემთხვევაშიც, უთუოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული რეალობის ამსახველია. გრიგოლ ვეშაპელი ლაზების კულტურისადმი რუსულ ენაზე მიძღვნილ წიგნში – „თურქეთის საქართველო", ლაზთა განსახლების ტერიტორიულ საზღვრებს ახასიათებდა და XX საუკუნის დასაწყისის ვითარებიდან გამომდინარე მიუთითებდა, რომ ლაზისტანი და მთელი

ტრაპეზუნდის ვილაეთი შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარეობდა. იგი შემდეგ პონტოს მთის გრეხილით, რომელიც გაჭიმული იყო სინოპიდან ბათუმამდე, ტერიტორიულად ჭოროხის მხრიდან გამოიყო. აღნიშნული მასივის პარალელურად უხვწყლიანი და ჩქარი მდინარე ჭოროხი მოედინებოდა, რომელიც მთელ ბაიბურდის სანჯაყს, თორთუმისა და კისკიმის კაზებს გაივლიდა და ბათუმთან ახლოს შავ ზღვაში ჩაედინებოდა. ავტორის მონაცემებით, მთლიანად ეს ოლქი 38.608 კვ. ვერს ფართობს მოიცავდა – ტრაპეზუნდის ვილაეთი: 23.758 კვ. ვერსი, ბაიბურდი: 8. 646 კვ. ვერსი, ხოლო ორი კაზა: თორთუმი და კისკიმი – 5.215 კვ. ვერსი (ვეშაპელი 1916: 21). გრიგოლ ვეშაპელი, ასევე, იმდროინდელი თურქეთის საქართველოს ადმინისტრაციული დარაიონების სურათს აღგვიწერს. ავტორის მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისის თურქეთის საქართველო (ლაზისტანი, ტრაპეზუნდი და ჭოროხის მხარე) ტრაპეზუნდის ვილაეთის ოთხი სანჯაყის ტერიტორიაზე (ლაზისტანი, ტრაპეზუნდი, გიუმიუშ ხანე, ჯანიკი), ერზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში, ბაიბურდის სანჯაყისა და მიმდებარე ორი კაზის – თორთუმისა და კისკიმის (ლივანა) მინა-წყალზე განივრცობოდა. ოსმალეთის იმპერიის (გრიგოლ ვეშაპელით თურქეთის იმპერია) ადმინისტრაციული დაყოფა ვილაეთებად, სანჯაყებად და კაზებად 1866 წელს ფრანგული მოდელის მიხედვით მოეწყო. ვილაეთი დეპარტამენტის ნაირსახეობის იყო, რომლის სათავეში პრეფექტი, ე. ნ. ვალი იდგა. შემდეგი საოლქო დანაყოფები სანჯაყი, რომელსაც მუთესარიფი მართავდა და კაზა იყო კაიმაკამით სათავეში. ყველაზე დაბალ ადმინისტრაციულ უჯრედს ნახიე – სასოფლო გაერთიანება წარმოადგენდა (ვეშაპელი 1916: 21).

ამრიგად, ლაზთა ეთნიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესწავლა დანამდვილებით გვიჩვენებს, რომ ლაზები ქართველური მოდგმის ეთნიკური გაერთიანებაა, რომლებიც თურქეთსა და საქართველოში კომპაქტურადაა დასახლებული. ამასთან, ბერძნულ-ბიზანტიური და ლათინურ-ქართული წყაროები მკაფიოდ მიანიშნებს, რომ ლაზების სახით ქართველური წარმომავლობის კოლხურმა განშტოებამ ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართველი ხალხის ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

შენიშვნები

1 ბერძნების მიერ ლაზები ამჟამადაც შეუდარებელ მეზღვაურებადაა აღიარებული. ხალხური ეტიმოლოგიით პე-ღაზ-გოს თურმე ზღვის მკვიდრს ნიშნავდა (რევაზ ბაქრაძესთან ფოტულა იანაკოპულოს საუბრის ჩანაწერები იხ. წიგნში (არდაშელია 1978: 78).

2 ლაზების განსახლებისა და ლოკალიზაციის საკითხებს ნ. კეჭეღმაძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც მის მიერ თარგმნილ არიანეს თხზულებას დაურთო (კეჭეღმაძე 1961: 63).

3 წყაროები პირველს ლაზს, როგორც კონკრეტულ ტომს ისე წარმოგვიდგენს, ხოლო მეორეს – კოლხს მონათესავე ტომების გამაერთიანებელ განმაზოგადებელ ეთნონიმად, რომელსაც ასევე პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა.

4 ცნობა შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ნაილე ჩელებაძემ მოგვაწოდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

დამოწმებანი

არდაშელია 1978: ც. არდაშელია. ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი. თბილისი.

ბანაში 1988: წ. ბანაში. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბილისი.

გორდეზიანი 1975: რ. გორდეზიანი. ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები" (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტისტიკა). თბილისი.

გორდეზიანი 1978: Р. В. Гордезиани. Проблемы гомеровского эпоса. Тбилиси.

გორდეზიანი 1985: რ. გორდეზიანი. ნინაბერძნული და ქართველური. თბილისი.

გრიგოლია 1994: გ. გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბილისი.

დანელია 1985: კ. დანელია. იოსებ ყიფშიძე . ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბილისი.

დერჟავინი 1906: К. С. Державин. Историко-географический очерк Батумского края. „Батуми его окрестности". Батуми.

ვანილიში, თანდილავა 1964: მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი. თბილისი.

ვახუშტი 1941: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი.

ვეშაპელი 1916: Г. Вешапели. Турецкая Грузия – Лазистан, Трапезунт и Чорохский край. Москва.

კეჭეღმაძე 1961: ნ. კეჭეღმაძე. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბილისი.

კრებული 1915: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XLIV. Тифлис.

ლომოური 1964: ნ. ლომოური. ლაზეთის სახელნოდების საკითხისათვის. „მაცნე" (ისტორიის სერია), №5. თბილისი.

მგელაძე, ტოტოჩავა 2008: ნ. მგელაძე, გ. ტოტოჩავა. ვეშაპის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ვეშაპოიდების მესწავლის ისტორიისათვის. „სამუზეუმო მაცნე" (ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი), I. ბათუმი.

მგელაძე, ტოტოჩავა 2011: ნ. მგელაძე, გ. ტოტოჩავა. არგონავტების ვინაობა და კოლხთა მეფის აიეტის ასული მედეა.- ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმნიფო მუზეუმის „მაცნე", IV. ბათუმი.

მელიქიშვილი 1952: Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси.

მელიქიშვილი 1970: გ. მელიქიშვილი. ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. – „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I. თბილისი.

მიქელაძე 1967: თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი". თბილისი.

მიქელაძე 1967: თ. მიქელაძე. სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთის მელითონე ტომების ისტორიისათვის. „*მაცნე*" (ისტორიის სერია), №1.

ნარიმანაშვილი, მგელაძე 2011: გ. ნარიმანაშვილი, ნ. მგელაძე. აჭარისწყლის ხეობა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების სისტემაში. „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი" (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში)", II. ბათუმი.

სიხარულიძე 1959: ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წიგნი II. ბათუმი.

სიხარულიძე 1977: ი. სიხარულიძე. ქანეთი (ლაზეთი). „საისტორიო გეოგრაფიის მასალები", I. ბათუმი.

სიხარულიძე 1999: ი. სიხარულიძე. ლაზები. თბილისი.

უშაკოვი 1940: საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი ნლების აღმოჩენები. *საქართველოს მუზეუმის მოამბე*, XB.

ყაუხჩიშვილი 1936: ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. III. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1965: გეორგიკა (ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტომი II (ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა). თბილისი.

ყიფშიძე: 1911: ი. ყიფშიძე. ქანეთი და ჭანები. „ნაკადული მოზრდილთათვის", №8.

ცხადია 1985: პ. ცხადაია. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი). თბილისი.

ცხადია 2000: პ. ცხადაია. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი.

ჯანაშია 1937 : ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი. „ენიმკის მოამბე", ტ. 1. თბილისი.

FOR THE ISSUE OF ETHNIC IDENTITY OF LAZI

Nugzar Mgeladze

Lazi is one of the ethnic groups of Georgian origin. They live compactly in Turkey and Georgia. The work discusses the ethnic history, culture and life of the Lazi on basis of Latin, Greek Byzantine and Georgian written sources. In Byzantine sources, we meet the word "Lazike" to express "Lazeti"; in the Georgian literature, the word "Lazia" came through Byzantines. The ethnonym "Lazi" was introduced in Colchis relatively late, after Antiquity. In the Middle Ages the name "Lazeti" with its population "Lazians" was known for the Georgian historiography; under the Ottoman rule this territory was called "Lazistani". According to the accepted opinion, the word "Lazi" is the changed form of "Zani". Therefore, the Lazians were the Zani. Besides, Greek, Byzantine, Latin, Georgian sources clearly indicate that the Lazians – the Colchian branch of the Georgian origin – played the significant role in the ethnogenesis of the Georgian people.

იმერეთის სამეფოს საკითხი ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში

დავით მერკვილაძე

1768 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის არსებული მწვავე დაპირისპირება დიდ ომში გადაიზარდა. რუსეთის ხელისუფლებამ თავისი იმპერიული მიზნები ქრისტიანობის დაცვის სურვილად შეფუთა და ომში ჩასართავად ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიან ხალხთა გამოყენებისათვის დაიწყო ზრუნვა (მაჭარაძე 1988: 70). ომში რუსეთის სასარგებლოდ ყველა მათგანს თავისი მისია ეკისრებოდა. ვინაიდან ზედმეტი ხარჯებისაგან თავის ასარიდებლად რუსული სამხედრო გეგმა კავკასიაში ფრონტის გახსნას არ ითვალისწინებდა, ეკატერინე II-ის კარი ქართველთა ჯარით ქართული სამეფოების მომიჯნავე ოსმალურ სამფლობელოებში, ფაქტობრივად კი სამხედრო ძალებისაგან მოშიშვლებულ მტრის ზურგში რაც შეიძლება ამაოხრებელი და შორეული ლაშქრობების, ე.წ. „დივერსიების“ მოწყობას განიზრახავდა (ცაგარელი 1891: 471). ამ გზით მოწინააღმდეგეს კავკასიის მხრიდან დამატებითი სირთულეები და შეჭირვება უნდა ეწვნია, რაც რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ფრონტზე მისი ძალების შესუსტებას გამოიწვევდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რუსული გეგმა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს იმთავითვე უსპობდა შესაძლებლობას, ამ ომში ჩართვით გაეთავისუფლებინათ ოსმალეთისაგან მიტაცებული ქართული მხარეები, რაც მეფეთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

ომში ჩართვის შესაგულიანებლად რუსეთის საიმპერატორო კარი იმერეთის მეფე სოლომონ I-სა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს აიმედებდა, რომ „მთელი საქრისტიანოსათვის საერთო სარგებლობის განევის“ შემთხვევაში ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაში ისინი დავიწყებულნი არ იქნებოდნენ და მათი ქვეყნების უსაფრთხოება თურქთაგან დაცული იქნებოდა (ცაგარელი 1891: 7-8, 471).

ოსმალებთან ისედაც დაპირისპირებული სოლომონის შეგულიანება რუსეთში უფრო იოლ საქმედ ესახებოდათ, ვიდრე პორტასთან მშვიდობიან ურთიერთობაში მყოფ ერეკლე მეფისა, რომელიც „თურქეთის მეზობლობის სიმძიმეს ვერ გრძნობდა“. თუმცა იმედოვნებდნენ, რომ ქართველებისათვის დამახასიათებელი „სარწმუნოებრივი მხურვალების“ გათვალისწინებით ერეკლეს სიჯიუტეც შეიძლებოდა დაძლეულიყო (ცაგარელი 1891: 6-7). საბოლოოდ, ორივე ქართველი მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება და მათზე დაკისრებული სამხედრო საქმეც ნარმატებით შეასრულეს.

1774 ნელს ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა და 10 ივლისს (ძვ. სტილით) სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში (ამჟ. ბულგარეთში) ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. ზავის 23-ე მუხლი უშუალოდ ეხებოდა დასავლეთ საქართველოს:

> საქართველოსა და სამეგრელოს ნანილში მდებარე ციხეები: ბაღდათი (Богдадчик), ქუთათისი (Кутатис) და შორაპანი (Шегербань), რუსეთის იარაღით მოპოვებულნი, რუსეთის მიერ ცნობილი იქნება იმათ საკუთრებად, ვისაც ისინი ეკუთვნოდა, ისე რომ, თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე ან ძველი დროიდან იყო ბრწყინვალე პორტას მფლობელობაში, აღიარებული იქნება მის საკუთრებად. ხოლო წინამდებარე ტრაქტატის გაცვლისას, დათქმულ დროს რუსეთის ჯარები გავლენ საქართველოსა და სამეგრელოს ხსენებული მხარეებიდან. ბრწყინვალე პორტა კი თავის მხრივ ვალდებულებას იღებს, პირველი არტიკულის შინაარსის შესაბამისად, მიანიჭოს სრული ამნისტია ყველას, ვინც ამ მხარეში მიმდინარე ომის განმავლობაში რაიმე სახით შეურაცხყო იგი. საზეიმოდ და სამუდამოდ ის უარს ამბობს ხარკის მოთხოვნაზე ვაჟებითა და ქალიშვილებით და ყველა სახის სხვა გადასახადზე; ვალდებულებას იღებს, მათგან არავინ არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად მათ გარდა, რომლებიც ძველთაგანვე მას ეკუთვნოდნენ. ყველა ციხე და გამაგრებული ადგილი, მყოფი ქართველთა და მეგრელთა მფლობელობაში, დატოვოს მათივე სადარაჯოსა და მმართველობაში, ისევე როგორც არ უნდა შეავიწროვოს რწმენა, მონასტრები და ეკლესიები და ხელი არ შეუშალოს ძველის შეკეთებას, ახლის აგებას, და ნუ იქნებიან [ისინი] შევიწროებულნი რაიმე მოთხოვნით ჩილდირის გუბერნატორისა და სხვა მოხელეთა და ოფიცერთაგან, მათი მამულების ჩამორთმევით. მაგრამ რადგანაც ხსენებული ხალხები იმყოფებიან ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომობაში, ამიტომ რუსეთის იმპერიას არ შეუძლია მათ [საქმეებში] ჩაერიოს, ანდა შეავიწროვოს ისინი.[1]

როგორც ვხედავთ, აქ იმერეთი ნახსენები საერთოდ არ არის. წერია: „საქართველო და სამეგრელო“, „ქართველთა და მეგრელთა სამფლობელოები“ (აქვე დავძენთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ ეკატერინე II-ისათვის შედგენილ ერთ დოკუმენტში სამეგრელო იმერეთთან და გურიასთან ერთად ქართულ ქვეყნად არის განხილული (ცაგარელი 1891: 10). მაგრამ შინაარსი ცხადყოფს, რომ „საქართველოში“ აქ ძირითადად სწორედ იმერეთის სამეფო იგულისხმება (გამოთქმულია აზრი, რომ მოლაპარაკების ნარმართველთა მხრიდან საქართველოს საქმეებში ჩაუხედავობის გამო 23-ე მუხლით, მისი ორაზროვნების მიუხედავად, მთელი საქართველო, ქართლ-კახეთის სამეფოს ჩათვლით, შეცდომით ოსმალეთის ქვეშევრდომად იქნა გამოცხადებული (ლენგი 2003: 189). „საქართველოში“ შეიძლება მოიაზრებოდეს ასევე

აღმოსავლეთ საქართველოც. მაგრამ სწორედ ქვეშევრომობის აღმნიშვნელი ეს უკანასკნელი დებულება გამორიცხავს ქართლ-კახეთის სამეფოს ოსმალთა ქვეშევრდომად წარმოდგენას).

საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების იმ მუხლებში, რომლებიც ეხება ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ქრისტიან ხალხებს, რომელთა მხარდაჭერითაც მათი მინა-წყალი რუსული ჯარის მიერ იქნა დაკავებული, თითოეული დებულება პუნქტობრივად არის განერილი, მაშინ როცა 23-ე მუხლში ყველაფერი ამგვარი დაყოფის გარეშე, ერთიანი სახით არის ნარმოდგენილი.

როგორც ხელშეკრულების ტექსტის შესაბამისი მუხლის ანალიზი ცხადყოფს, ერთი მხრივ, ოსმალეთს გარკვეული აკრძალვები დაუწესდა იმერეთის სამეფოს მიმართ. კერძოდ: 1. ოსმალეთს პასუხი არ უნდა მოეთხოვა იმერლებისათვის, სოლომონის მეთაურობით, მათ წინააღმდეგ 1768-1774 წლებში რუსეთის მხარეს ომში მონაწილეობისა და ოსმალეთისათვის ზიანის მიყენების გამო; 2. ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთ-სამეგრელოდან როგორც ყმაწვილების, ასევე ყველა სხვა სახის ხარკის მოთხოვნაზე; 3. ციხეები და სხვა სიმაგრეები უნდა დარჩენილიყო ადგილობრივ ქართველ მფლობელთა ხელში ანუ ოსმალებს ერთმეოდათ მათი დაკავების მცდელობის უფლება (მაგრამ დაშვებული იყო გამონაკლისიც, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ); 4. ოსმალეთს ეკრძალებოდა მეგრელ-იმერელთა შევინროება სარნმუნოებრივი თვალსაზრისით (რელიგიურ ცხოვრებასა და ღვთისმსახურებაში რაიმე სახით ჩარევა, ეკლესია-მონასტერთა აღდგენა-შეკეთებისა თუ ახლის აგებისათვის ხელის შეშლა); 5. ოსმალო დიდმოხელეებს (ფაშებს და ა.შ) უფლება არ ჰქონდათ, აქაური ქართველებისათვის მამულები ჩამოერთმიათ.

აღსანიშნავია, რომ საზავო ხელშეკრულებით, დოკუმენტში დაფიქსირებულ სხვა ქრისტიან ხალხთან შედარებით იმერეთის მდგომარეობა თვალსაჩინოთ უკეთესად არის წარმოჩენილი. ამ ვითარებას განსხვავებული პოლიტიკური სინამდვილე განაპირობებდა. მაგ., ვლახეთისა და მოლდავეთის სამთავროები ოსმალების მიერ იყო დაპყრობილი, მათგან სრულად კონტროლდებოდა და მხოლოდ შეზღუდული ავტონომია ჰქონდათ. ეგეოსის ზღვის ბერძნული კუნძულების მკვიდრთ კი ამგვარი ავტონომიაც არ ჰქონდათ. შესაბამისად, ხელშეკრულება ვლახეთ-მოლდავეთის ქრისტიანებს, თავის მხრივ, მეტ უფლებებს ანიჭებდა (მუხლი მე-16), ვიდრე „არქიპელაგის" ბერძნებს (მუხლი მე-17). იმერეთის მეფე სოლომონ II-ს კი დიდი ძალისხმევისა და თავდაუზოგავი ბრძოლის ფასად უკვე მოეხერხებინა სამეფოს ოსმალთა ბატონობისაგან სრული გათავისუფლება და სულთნის მიმართ სხვადასხვა ვალდებულების შესრულებაზეც კარგა ხანია, უარი ჰქონდა ნათქვამი. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, იმერეთის ეს მოპოვებული მდგომარეობა საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით ერთგვარად თითქოს განამტკიცა კიდეც (პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი 1973: 663; ჭუმბურიძე 2016: 203). ისტორიკოსთა ნანილის აზრით, მისმა პირობებმა სამეფოს მეტ-ნაკლები სარგებელიც კი მოუტანა (რეხვიაშვილი 1982: 140; მაჭარაძე 1997: 89-91; ლენგი 2003: 189). მაგრამ ამ თვალსაზრისით, საქმის ვითარება არც ისე ერთმნიშვნელოვანი იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

ოსმალეთის მიერ მის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის რუსეთის მოკავშირეთა მიმართ შურისგების დაუშვებლობა არ იყო განერილი საგანგებოდ მხოლოდ ქართველთათვის. როგორც ეს მითითებული არის 23-ე მუხლში, იგი პირდაპირ მომდინარეობდა 1-ლი მუხლის (არტიკულის) დებულებიდან და მის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. კერძოდ, 1-ლ მუხლში აღნიშნული იყო, რომ „გულითადი მეგობრობის განახლების" ნიშნად ორივე მხარე უცხადებდა სრულ ამნისტიას და საერთო პატიებას თავის ყველა ქვეშევრდომს, რომლებმაც რაიმე სახით ერთი ან მეორე მხარის წინააღმდეგ რაიმე დანაშაული ჩაიდინეს (დრუჟინინა 1955: 350; დოკუმენტების კრებული 1992: 80). მე-16 და მე-17 მუხლების პირველი პუნქტებით სრული ამნისტია ეძლეოდათ ბალკანელ ქრისტიანებსაც.

იმერელთათვის თავისუფლების მინიჭება საეკლესიო-სარწმუნოებრივ საკითხებში და მათთვის მამულების ჩამორთმევის აკრძალვა, ცხადია, სრულიად ფორმალურად იყო შეტანილი 23-ე მუხლში (სავარაუდოდ, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის გავლენით) და რაიმე სიახლე ოსმალეთისა და იმერეთის დამოკიდებულებაში არ შეჰქონდა. შესაძლებელია, იმერეთ-სამეგრელოსთან დაკავშირებით აღნიშნული დებულების ჩართვაში რუსეთის მიერ „ქრისტიანობის დამცველის" მისიის გამართლების მცდელობაც კი დავინახოთ. ოსმალები, მათ მიერ უშუალოდ დაპყრობილი და მიერთებული მინებისაგან განსხვავებით, იმერეთ-სამეგრელოს სარწმუნოებრივ საკითხებში საერთოდ არ ერეოდნენ. ისინი ასევე არ ერეოდნენ სამეფოს შიდა საქმეებში და ოსმალო დიდმოხელეთა მიერ იმერელი თავად-აზნაურობისათვის მამულების ჩამორთმევაც, ჩვეულებრივ, არ ხდებოდა. რაც შეეხება ხარკის მოთხოვნაზე უარის თქმას, სოლომონ I დიდი ხანია, სულთანს ხარკს ისედაც აღარ უგზავნიდა. ცნობილია მისი განსაკუთრებით მკაცრი დამოკიდებულება ყმაწვილების ოსმალეთში გაგზავნის თაობაზე. მეფემ ტყვეთა სყიდვასაც კი სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და ამის გამო მის მიმართ სულთნის რისხვასაც არ შეეპუა.

ამ მხრივ ბალკანელი ქრისტიანების საკითხი ხელშეკრულებაში შემდეგნაირად წყდებოდა: ქრისტიანული აღმსარებლობის თავისუფლების კონტექსტში ახალი ეკლესიების აგებისა და ძველის განახლების უფლებას, „როგორც ეს აქამდე იყო", ხაზი ესმებოდა ვლახეთ-მოლდავეთთან დაკავშირებულ მუხლშიც (მუხლი 16.2), არქიპელაგის მცხოვრებთ კი მხოლოდ ძველის განახლების უფლება ეძლეოდათ, ვინაიდან ახლის

აგებაზე აქ არაფერია ნათქვამი (მუხლი 17.2). ხელშეკრულება ოსმალებს ასევე ავალდებულებდა ვლახეთ-მოლდავეთში მათ მიერ მონასტრებისა და „პარტიკულარული“ პირებისთვის უსამართლოდ ჩამორთმეული და „რაიებად“ (უშუალოდ სულთნის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადასულ მიწებად) გადაქცეული მამულების მფლობელთათვის უკან გადაცემას (მუხლი 16.3). ყველა დასახელებული ბალკანელი ქრისტიანი თავისუფლდებოდა მხოლოდ ომის დროინდელ და ხელშეკრულების გაფორმებიდან კიდევ ორი ნლის განმავლობაში გადასახდელი თანხისაგან (მუხლი 16.7 და 17.3).

23-ე მუხლის იმ ნაწილის შესახებ კი, რომელიც ოსმალებს იმერეთში თითქოს ციხე-სიმაგრეთა დაკავებას უკრძალავდა, უნდა ითქვას, რომ ეს ყველა ციხესა და ქალაქს ნამდვილად არ ეხებოდა. ხელშეკრულება ოსმალებს უფლებას აძლევდა, დაეკავებინათ ომის დროს „რუსეთის იარაღით მოპოვებული“ იმერეთის სამი ციხე: ბაღდათის, ქუთაისისა და შორაპნის ციხეები. იგულისხმებოდა, რომ ომამდე ეს ციხეები ოსმალთა ხელში იყო და რუსეთი მონინააღმდეგეს ომის დროს წართმეულ ციხეებს უკან უბრუნებდა.

როგორც ჩანს, იმერეთის ციხეების საკითხი საკმაოდ აქტუალური იყო. ამ საკითხის მნიშვნელობას ისიც მიანიშნებს, რომ საქართველოსთან დაკავშირებული ხელშეკრულების მუხლი სნორედ ოსმალთა ამ უფლების აღნიშვნით ინყება. ომის დროს მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს იგი ერთ-ერთ სავაჭრო თემად განიხილებოდა. ფოქშანის კონგრესზე (1772 წ.) რუსი ელჩებისადმი გაგზავნილი ინსტრუქციის მიხედვით, ოსმალთაგან განთავისუფლებული ციხეები იმერლებს უნდა დარჩენოდათ. მოგვიანებით კი, ჯერ კიდევ ბუქარესტის კონგრესზე, რუსეთი ამ მხრივ დათმობაზე წავიდა (დრუჟინინა 1955: 295-296). კაინარჯის საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულებაში ეს დათმობა საბოლოოდ გარკვეული დათქმით აისახა: რუსეთი მზადყოფნას აცხადებდა ეცნო ეს ციხეები და ქალაქები ოსმალთა საკუთრებად, „თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე ან ძველი დროიდან იყო ბრწყინვალე პორტას მფლობელობაში.“ იმ პირობებში, როცა საზავო დოკუმენტში განუმარტებელი იყო სიტყვების – ძველთაგანვე ან ძველი დროიდან – არსი, აღნიშნული სამი ციხის შესახებ განმარტება ტექსტს ორაზროვნებას ანიჭებდა შდრ. (ცინცაძე 1960: 19-20). კერძოდ, ოსმალეთს სრული საფუძველი ეძლეოდა, საზავო ხელშეკრულების ამ მუხლის საფუძველზე თავისუფლად განეცხადებინა აღნიშნული ციხეების დაბრუნების პრეტენზია, მაგრამ ამ უფლების განაღდების გარანტია არც ისე ერთმნიშვნელოვანი იყო.

აღსანიშნავია, რომ ოსმალთა რაზმები იმერეთის სამეფოში ომამდე იდგნენ ოთხ სტრატეგიულ ციხეში: ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნისა და ცუცხვათის ციხეებში, რომლებიც მათ ზემოხსენებული ომის მიმდინარეობისას დაკარგეს. თუმცაღა ხელშეკრულების ტექსტში, როგორც ვნახეთ, გამონაკლისის სახით საუბარია მხოლოდ სამი ციხის თაობაზე. მეოთხე, ოკრიბაში მდებარე ცუცხვათის ციხე ნახსენები არაა. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების ტექსტში ხასგასმითაა მითითება „რუსეთის იარაღით მოპოვებულ“ ციხეებზე. ცუცხვათის ციხე იმერეთის მეფემ თავისი ძალებით აიღო. მის აღებაში რუსის ჯარს მონანილეობა არ მიუღია (ცუცხვათისთვის რუსული ჯარის მეთაურ გენ. ტოტლებენს თვალიც არ შეუვლია). ამ მიზეზით, ეს ციხე ხელშეკრულების ტექსტში რუსული იარაღით მოპოვებულ ციხეთა ჩამონათვალში, ცხადია, ვერ მოხვდა. მაგრამ სოლომონ მეფემ შორაპნის ციხეც რუსების დახმარების გარეშე აიღო (ამ ციხეს ტოტლებენმა იმერეთში პირველი გადასვლისას იმერლებთან ერთად ალყა შემოარტყა, მაგრამ როცა სოლომონი მის სამეფოში შემოჭრილი სამეგრელოს მთავრისა და ოსმალთა ჯარის მოსაგერიებლად გაემართა, რუსმა გენერალმა ციხეს ალყა მოხსნა და ქართლში გაბრუნდა). იმერეთის მეფემ ასევე დამოუკიდებლად, თავისი ძალებით გაათავისუფლა ქალაქი ქუთაისიც და მისი ციხეც გარემოიცვა. ამის შესახებ მეფე ატყობინებდა ეკატერინე II-ს და საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელს, ნ. პანინს (პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი 1973: 652, 655; მაჭარაძე 1997: 39). იმერელთა და რუსთა ჯარებმა ერთობლივად აიღეს ქუთაისისა და ბაღდათის ციხეები. საქმე ისაა, რომ გენ. ტოტლებენმა შორაპნის ციხისა და ქალაქ ქუთაისის აღებაც თავის თავს მიაწერა (მაჭარაძე 1997: 40). ეკატერინეს კარზეც ბაქია და ამპარტავან რუს გენერალს უფრო დაუჯერეს, ვიდრე ქართველ მეფეს. ამგვარად ხელშეკრულების ტექსტში იმერეთის ზემოდასახელებული სამი ციხე აღინიშნა, როგორც "რუსული იარაღით მოპოვებული".

მაშასადამე, უკვე განთავისუფლებულ ციხეებზე, რომელთა გასათავისუფლებლადაც სოლომონ მეფეს თავი არ დაუზოგავს, რუსეთი ოსმალთა უფლებებს აღიარებდა. მართალია, ამ უფლების აღსრულებისათვის ოსმალებს უნდა დაესაბუთებინათ, რომ ეს ციხეები მათ „ძველი დროიდანვე“ ეკუთვნოდათ. მაგრამ იმ ვითარებაში, როცა ზავის დადების შემდეგ ნლების განმავლობაში რუსეთი ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნებას ესწრაფვოდა, აღნიშნული პირობა მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენდა და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ იარაღის ძალაზე ხდებოდა დამოკიდებული. თუ სულთნის ხელისუფლება იმერელთა წინააღმდეგობას დაძლევდა და მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებას აუცილებლად გაინაღდებდა. ასეთ შემთხვევაში იმერეთს, „თუ ხელსაყრელი ვითარებაც იქნებოდა, რუსეთის მიერ ხელის გამოღების“ იმედი ობიექტურად არ უნდა ჰქონოდა,[2] ვინაიდან ამის აღბათობა პრაქტიკულად ნულს უახლოვდებოდა: თუ ოსმალეთს ძალა ეყოფოდა, რუსეთისათვის „ხელსაყრელი ვითარების“ დადგომამდე (რომელიც უცნობი იყო, როდის დადგებოდა და დადგებოდა თუ არა საერთოდ) ხელშეკრულებით მისთვის ბოძებულ ამ შესაძლებლობას

ხელიდან არ გაუშვებდა. რუსეთი ამ „უმნიშვნელო“ და ისიც საორჭოფო საკითხის გამო, დიდი გარჯის ფასად მიღწეულ სანატრელ ზავს, რასაკვირელია, არ დაარღვევდა. გარდა ამისა, იმერეთის ციხეების საკითხი რუსეთისათვის პრინციპული მნიშვნელობის რომ ყოფილიყო, საზავო მოლაპარაკებისას ასეთ დათმობაზეც არ წავიდოდა.

საგულისხმოა, რომ იმ პირობებში, როცა რუსეთი დასავლეთ საქართველოში ოსმალებს ომის დროს დაკარგულ ციხეებს „დიდსულოვნად“ უბრუნებდა, ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ამავე ომის მსვლელობისას (1772 წელს) ოსმალების მიერ დაპყრობილი ქვემო გურიის (ქობულეთის მხარის) შესახებ. წინა წელს იმერეთის მეფის დაქვემდებარებაში მყოფი ეს სამთავრო მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებებში ოსმალთა ჯარის წინააღმდეგ. მაგრამ რუსეთის ჯარმა დასავლეთ საქართველო ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე დატოვა. ოსმალებმა ამით ისარგებლეს და როცა გურიაში მთავრის ტიტულისათვის ცილობა იყო გაჩაღებული, სამთავროს შეუტიეს და ქობულეთის მხარე დაიკავეს. გამარჯვებულმა რუსეთმა ომში მისივე ნაქეზებით ჩართული გურიის ამ მძიმე დანაკლისს საერთოდ ნაუყრუა და ხელშეკრულებაში ამ საკითხის შეტანა საჭიროდ აღარ უცვნია.

ერთი მხრივ, თითქოს ბურუსით რჩებოდა მოცული სულთნის ქვეშევრდომობის საკითხიც, როცა ხელშეკრულება სულთნის ხელისუფლებას ავალდებულებდა, არავინ მიეჩნია თავის ქვეშევრდომად „მათ გარდა, რომლებიც ძველთაგანვე მას ეკუთვნოდნენ“. აქაც გაურკვეველი რჩებოდა, რა იგულისმებოდა სიტყვაში „ძველთაგანვე“ და საიდან იყო მისი ათვლის წერტილი.

ამ ფონზე 23-ე მუხლის ბოლო წინადადების დასაწყისი იმერლებსა (ტექსტში „ქართველებს“) და მეგრელებს სრულიად გარკვევით და ცხადად აღიარებს ოსმალთა ქვეშევრდომობად. მთელს მუხლში ეს წინადადება მოიცავს ერთადერთ ვალდებულებას (თუ არ ჩავთვლით „დათქმულ დროს“ იმერეთ-სამეგრელოდან რუსეთის მიერ ჯარის გაყვანის საკითხს. თუმცა ხელშეკრულების დადების დროისათვის დასავლეთ საქართველოდან რუსული ჯარის ნაწილი უკვე დიდი ხნის გასული იყო), რომელსაც რუსეთი იღებს იმერეთისა და სამეგრელოს მიმართ: რუსეთი არ უნდა ჩაერიოს, მათ საქმეებში და არ უნდა შეავინროვოს ისინი, ვინაიდან „ხსენებული ხალხები იმყოფებიან ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომობაში“. ეს ფრაზა უსარგებლოს ხდის მანამადე ტექსტში არსებულ რიგ ბუნდოვან დებულებებს. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ჩანაწერი ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობისას მიმდინარე დიპლომატიური ჭიდილის დროს უკვე შედგენილ მესაბამის არტიკულს ბოლოს მიემატა და მანამდე შეთანხმებულ ტექსტთან, ანუ 23-ე მუხლის არსებულ ძირითად ნაწილთან ამ მინანერის შესაბამება საჭიროდ აღარ მიეჩნიათ. მაგრამ უფრო სარწმუნოდ მოჩანს, რომ საზავო მოლაპარაკებისას მხარეთა მიერ „ძველთაგანვე“ სულთნის ქვეშევრდომთა შორის იმერეთის სამეფო იმთავითვე მოიაზრებოდა. მაგალითად, ომის დასაწყისში 1768 წლის ნოემბერში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ შედგენილ დოკუმენტებში იმერეთი ნარმოდგენილია თურქეთის ქვეშევრდომობაში „ძველი დროიდანვე“ (из давных лет) (ცაგარელი 1891: 1) და „ძველთაგანვე“ (издавна) (ცაგარელი 1891: 10) ჩავარდნილ ქვეყნად (подверженной турецкому поддаству).

ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული იმერეთის ისევ სულთნის ქვეშევრდომად აღიარება რუსეთის მხრიდან ასევე ერთგვარ მორიგ დათმობას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა ასევე ომის დროს მისი ჯარის მიერ დაკავებული ბესარაბია, მოლდავეთი, ვლახეთი და ბერძნული კუნძულები. ფრონტზე რუსული ჯარის უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა პუგაჩოვის აჯანყების გაძლიერებით შეშფოთებულ ეკატერინეს კარს ოსმალეთთან ომის გაგრძელების ინტერესი დაკარგვოდა და მოწინააღმდეგის მიმართ გარკვეული დათმობებისთვისაც განნყობილიყო. რუსეთისათვის უმთავრესი იყო, თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ყირიმისა და შავ ზღვაზე ნაოსნობასთან დაკავშირებული მისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები. რუსული დიპლომატიის კატეგორიული მოთხოვნით, კაინარჯის ხელშეკრულებაში დაფიქსირდა ყირიმის სახანოს ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობა. რუსეთის ხელში გადავიდა ქერჩის, ენიკალესა და კინბურგის ციხეები, რომელთა ფლობა რუსეთს ყირიმის სახანოს სრული გაკონტროლებისა და აზოვის ზღვაზე ერთპიროვნული ბატონობის საშუალებას აძლევდა. რუსულ სავაჭრო ხომალდებს გზა გაეხსნათ შავი ზღვაში მიმოსვლისათვის, გაჩნდა აქ რუსული სამხედრო ფლოტის შექმნის პერსპექტივაც (დრუჟინინა 1955: 259, 270, 280-281.). ასეთ პირობებში რუსეთს აღარ გასჭირვებია ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში თავისი მოკავშირეები ოსმალთა ქვეშევრდომობაში დაეფიქსირებინა („სრული ამნისტიის“ პირობით), სამაგიეროდ, სულთანს ერთგული ქვეშევრდომი, ყირიმის სახანო გამოგლიჯა ხელიდან. ასე რომ, სოლომონ I-ის (და არა მარტო) ინტერესებისადმი გამოჩენილი გულგრილობის ფასად ყირიმის დამოუკიდებლობა იქნა შეძენილი (მარკოვა 1966: 194).

ამ ვითარებაში ძნელი ასახსნელი აღარაა, როგორ აღმოჩნდა, რომ კაინარჯის ტრაქტატმა თავისუფლებისათვის თავგანნირულად მებრძოლი იმერეთი სულთნის ვასალობაში დატოვა, როცა დამოუკიდებლობა მიანიჭა ყირიმის სახანოს შდრ. (ცინცაძე 1960: 21), რომელიც ამ სტატუსს საერთოდ არ ესწრაფვოდა და, მეტიც, მნიშვნელოვანნილად ეწინააღმდეგებოდა კიდეც (მადადაუოკებელი რუსეთის პირისპირ დაუცველად დარჩენა სახანოს კარგს არას უქადდა). ამრიგად, პოლიტიკურ დაფაზე ოფიცრის განირვით საიმპერტორო

კარმა დედოფალი გამოიჭირა. სულთნის ხელისუფლებას კი ერთგული და საიმედო ყმის ნაცვლად ამაყი და დაუმორჩილებელი ფორმალური ვასალი შერჩა ხელთ.

კაინარჯის ტრაქტატში ასახული იმერეთის საკითხის გასაანალიზებლად ყურადღებას იქცევს საიმპერატორო კარზე შედგენილი ორი დოკუმენტი. 1774 წლის 5 სექტემბერს რუსეთის იმპერატრიცა იმერეთის მეფეს ნერილობით აცნობებდა, რომ დადებული ზავის პირობებით, საიმპერატორო ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად მისი სამეფო იმყოფებოდა „საუკეთესო მდგომარეობაში", რაც კი მის ვითარებაში შეიძლებოდა ესურვა. საიმპერატორო სიგელში ხასგასმული იყო იმერეთის სასარგებლოდ პორტას მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და ამ ფონზე, ვითომც არაფერი შენიშნული იყო, რომ ოსმალები „უნდა დასჯერდნენ მხოლოდ იმ ციხეებს, რომლებიც მათ ადრიდანვე ეკუთვნოდათ". ეკეტერინე II აქვე აღნიშნავდა, რომ, მართალია, სოლომონ მეფე ჯერ კიდევ ომამდე ეწინააღმდეგებოდა სულთნის მიერ მოთხოვნილ ხარკს, მაგრამ ამიერიდან ოსმალეთის ხელისუფლება ოფიციალურად ამბობდა უარს ხარკის მოთხოვნაზე, სოლომონის ქვეყნისა და „ქართველი ხალხის სარგებლობისათვის" „მისთვის (პორტასათვის: – დ. მ.) თითქმის მხოლოდ იმ ერთადერთი უფლების მინიჭებით, რომ მიიჩნიოს ამ ხალხთაგან თავის ქვეშევრდომად ისინი, ვინც ძველითგანვე მას ეკუთვნოდნენ". დედოფალი დელიკატურად ითხოვდა იმერეთის მეფისაგან, რომ „მთელი საკადრისი მადლიერებით" მიეღო მისადმი ამგვარი „მზრუნველობა". იქვე ეკატერინე II მეფეს ახსენებდა, რომ ეხლა „სხვა დრო" დამდგარიყო და მოუწოდებდა, რომ თურქებს იმდაგვარად მოპყრობოდა, რომ მათთვის არ მიეცა „სამართლიანი უკმაყოფილების მიზეზი". იგი ამას ელოდა მეფის „ცნობილი კეთილგონიერების" იმედით, რათა სოლომონის ქვეყნისათვის მინიჭებული სიმშვიდე და უსაფრთხოება ურღვევი დარჩენილიყო (ცაგარელი 1891: 410-411).

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი ნ. პანინიც იმავე დღეს შედგენილ წერილში სოლომონ I-ს „გულითადად ულოცავდა" იმპერატრიცას მოწყალების შედეგად მეფისა და „მთელი საქართველოსათვის სარგებლის მომტან ამ შეუფასებელ ბედნიერებას" და სოლომონს ასევე მოუწოდებდა, რომ, როგორც სამშობლოს დაცვისას გამოიჩინა თავი ვაჟკაცობითა და სიმტკიცით, ასევე არანაკლებ ესახელებინა თავი მშვიდობიანობის დროსაც და მორიდებოდა ყველაფერს, რაც ოსმალეთის მთავრობას მისადმი უკმაყოფილების მიზეზს მისცემდა. ვინაიდან სანამ პორტა თავის დანაპირებს ასრულებს, განაგრძობდა პანინი, მეფეს, ამჟამინდელი ვითარების მიხედვით, არ აქვს არაფერი, რაც ამჯობინებდა იმ საფრთხეს, რომელიც ამ ძლიერ სახელმწიფოსთან ახალ დაპირისპირებისას შეიძლებოდა ეწვნია (ცაგარელი 1891: 412).

მაშასადამე, პეტერბურგში კარგად ხვდებოდნენ, რომ ასეთი „საუკეთესო მდგომარეობით", რომელიც სულთნის ქვეშევრდომობიდან თავდაღწეულ იმერეთს უწინდელ მდგომარეობაში აბრუნებდა და სამი მნიშვნელოვანი ციხის დათმობასაც აიძულებდა, სოლომონი დიდად კმაყოფილი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა. ამიტომ მეფისგან დაბეჯითებით მოითხოვდნენ, უპრეტენზიოდ დამორჩილებოდა კაინარჯის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელსაც იმერეთის ბედი უკვე გადაეწყვიტა. ომიანობის ხანა მშვიდობიანობით შეცვლილიყო, ამიტომ იმერეთის მეფე მისი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ამ ახალ პირობებს უნდა შეგუებოდა და თავისი ამბიციები მოეთოკა, თორემ სულთნის „სამართლიანი" რისხვა დაატყდებოდა თავს და მაშინ რუსეთისაგან მხარდაჭერის იმედი ვერ ექნებოდა. სოლომონ I-ის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორი დიდი იმპერიის ურთიერთმორიგება არად ჩააგდო, არც რუსეთის ხელისუფლების მითითება-გაფრთხილებებს, მიეღო მათგან „მოწყალებითი" ბოძებული არასახარბიელო „ბედნიერება", არ დამორჩილდა და არც თავისუფლების ბრძოლის გზიდან გადაუხვევია.

გადაჭარბებული გვეჩვენება დასკვნა, რომ ხელშეკრულების 23-ე მუხლი გარკვეულწილად რუსეთის უფლების აღიარებაა იმერეთზე და რომ იმერეთის ქვეშევრდომობის საკითხის თაობაზე ტექსტისეული ორაზროვნება რუსეთს საშუალებას აძლევდა საჭიროების შემთხვევაში ოსმალეთ-იმერეთის ანუ ვასალ-სიუზერენის ურთიერთობაში ჩარეულიყო იხ. (ცინცაძე 1960: 21-22). ისევე გაუმართლებელია კაინარჯის ხელშეკრულების მიერ იმერეთზე ოსმალეთის უფლების საეჭვოდ ქცევა და მის სადავო ქვეყნად გამოცხადება. შდრ. (ბურჯანაძე 1961: 128-129; მაჭარაძე 1968; 69).

როგორც ვნახეთ, ტექსტის არსებულ ერთგვარ ორაზროვნებას მთლიანად აქარწყლებს ბოლო წინადადება, რომელიც გარკვევით აცხადებს იმერეთს „თურქეთის ქვეშევრდომად". მართალია, აქვე ვასალ-სიუზერენის ურთიერთობაც რეგულირდებოდა, მაგრამ იმავე მუხლით იმერეთის, როგორც ოსმალეთის ქვეშევრდომის, საქმეებში ჩარევა რუსეთს ასევე მკაფიოდ ეკრძალებოდა და მით უმეტეს, ოსმალურ-ქართულ ურთიერთობებში ჩარევის ნება მას არ ჰქონდა (თუკი, რასაკვირველია, თვით ოსმალეთი არ დაარღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს). მაგრამ ოსმალეთმა არა თუ გადააჭარბა თავის ვალდებულებებს იმერეთის მიმართ, არამედ მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაც კი ვერ შეძლო. შემდგომმა მოვლენებმა ასევე აჩვენა, რომ რუსეთი სწორედ 23-ე მუხლმა დააბრკოლა, მისი დიდი სურვილის მიუხედავად, თავის მფარველობაში მიეღო იმერეთის სამეფო (დუბროვინი 1886: 55). ასე, რომ იმერეთზე რუსეთს არანაირ უფლებას კაინარჯის ხელშეკრულება არ უტოვებდა და მისი უფლებები ზოგადად მხოლოდ შეთანხმებული პირობების გაკონტროლებისა და მეორე მხარის მიერ მისი დარღვევის შემთხვევაში კი პასუხის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა.

მაშასადამე, ოსმალეთთან ომში გამარჯვებულმა რუსეთმა კაინარჯის ტრაქტატით ამ ომში თავისი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე სულთნის ქვეშევრდომად ოფიციალურად აღიარა იმ პირობებში, როცა თავად სოლომონ მეფე თავს სულთნის ქვეშევრდომად არაფრის დიდებით არ ცნობდა და მისი ძალით დაქვემდებარების ყველა მცდელობას ხმლით სცემდა სათანადო პასუხს. ოდესღაც „ყმა სულთნისა" უკვე „მტერთ სისხლმჩქეფე, ლომებრ მყეფე იმერთ მეფედ" ქცეულიყო. იმერთა მეფის ამგვარი თავდაჯერებული განნყობა არსებული პოლიტიკური ვითარებითაც ცხადად დასტურდებოდა: რუმინული სამთავროების საპირისპიროდ, ოსმალეთისათვის იმერეთი ხელმიუწვდომელ ქვეყნად რჩებოდა შდრ. (სამსონაძე 1988: 205). მაშინაც კი, როცა სულთნის ხელისუფლებამ დაუდეგარი და დაუმორჩილებელი სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად რუსეთთან ომის დაწყებამდე, 1766 წელს გადამწყვეტ ღონისძიებებს მიმართა, რის შედეგიანობაში ეჭვიც არ ეპარებოდა, სამხედრო ძალების სრული უპირატესობის მიუხედავად, მისი მოლოდინი არ გამართლდა. იყო ეპიზოდური წარმატებები, მაგრამ ამ ორგანიზებული სამხედრო ექსპედიციით საბოლოო მიზანი ვერ იქნა მიღწეული. სამაგიეროდ, ამ მცდელობამ გაოგნებულ სულთნის კარს დამატებითი საჯავრებელი და ახალი საზრუნავი გაუჩინა.[3] მოგვიანებით რუსეთთან ომში განცდილი მძიმე მარცხი კი ოსმალებს სოლომონის დამორჩილების შესაძლებლობას კიდევ უფრო უმცირებდა და, ფაქტობრივად, შეუძლებელსაც კი ხდიდა (პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი 1973: 663). ზემოაღნიშნული ვითარება ცხადს ხდის, რომ სოლომონ I-ის ბრძოლით მოპოვებულ წარმატებებს რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის ხელშეკრულება არაფერს ჰმატებდა და გარკვეულწილად აკნინებდა კიდეც (ავალოვი 2011: 104).[4]

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებას იმერეთის სამეფოსათვის, მისი იმჟამინდელი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაიმე მნიშვნელოვანი სარგებელი არ მოუტანია (ხოსიტაშვილი 1972: 148), როგორც ამის წარმოჩენას თავის დროზე ცდილობდა საიმპერატორო კარი და რასაც მეტ-ნაკლებად იზიარებდა ზოგიერთი მკვლევარიც, ამიტომ იმერეთისათვის 23-ე მუხლის „დიდ წარმატებად" შეფასებაც იხ. (რეხვიაშვილი 1982: 140) მეტად გადაჭარბებულია. ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ადასტურებდა მანამდე დიდი ბრძოლის ფასად სამეფოს უკვე მიღნეულ წარმატებებს (მაგ., ხარკის გადახდის შეწყვეტა), თუმცა, მეორე მხრივ, სამეფოს ნამგებიან მდგომარეობაში აყენებდა: ოსმალეთს უტოვებდა იმერეთის მნიშვნელოვანი განთავისუფლებული ციხეების უკან დაბრუნების „კანონიერ" უფლებამოსილებას და იმერეთს (სამეგრელოსთან ერთად) ოსმალეთის ქვეშევრდომობაში აღიარებდა, რაც არსებულ ვითარებას არ ასახავდა და ქართველთათვის აშკარად საზარალო იყო. სხვა საკითხია, რომ რუსეთთან წარმოებული ომით დაძაბუნებულ ოსმალეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა არ მიეცა (ისევ სოლომონ მეფის სიმტკიცის წყალობით). მესამე მხრივ, 23-ე მუხლი ასევე შეიცავდა სამეფოსათვის არაფრის მომცემ ფორმალურ დებულებებსაც, რომლებიც მხოლოდ მოჩვენებითად „იცავდა" ოსმალთაგან იმერელთა უფლებებს საეკლესიო-სარწმუნოებრივ საკითხებში და მამულის საკუთრების თვალსაზრისით.

შენიშვნები

1 ტექსტის რუსულენოვანი ორიგინალები იხ.: (დრუჟინინი1955: 356; დოკუმენტების კრებული 1992: 88; Из документов ტების კრებული 2014: 115). მოიპოვება შესაბამისი მუხლის ქართული თარგმანიც (იხ.პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი 1973: 662-663), თუმცა დედნის უფრო ადექვატურად გადმოცემის მიზნით ვამჯობინეთ, იგი ახლიდან გვეთარგმნა რუსულიდან.

2 ამის საპირისპიროდ, „ხელსაყრელი ვითარების" შემთხვევაში იმერეთის დასახმარებლად რუსეთის მიერ ხელის გამოღებას დასაშვებად მიიჩნევდა ვ. მაჭარაძე (მაჭარაძე 1997: 90).

3 ამის შესახებ ოსმალეთის დედაქალაქიდან იტყობინებოდა რუსეთის ნარმომადგენელი ალექსი ობრესკოვი (ცაგარელი 1891: 2).

4 ამგვარ შეხედულებას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ვ. მაჭარაძე (მაჭარაძე 1997: 89).

დამოწმებანი

ავალოვი 1906: З. Авалов. Присоединение Грузии к России. СПб.

ბურჯანაძე 1961: შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო, 1768-1784 ნლებში. *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, III. თბილისი.

დოკუმენტების კრებული 1992: Под стягом России: Сборник архивных документов. Москва.

დოკუმენტების კრებული 2014: Из истории российско-грузинских отношений. *сборник документов*. Москва.

დრუჟინინა1955: Е. Дружинина. Кючук-Кайнарджийский мир. Москва.

დუბროვინი 1886: Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. II.

ლენგი 2003: დ. ლენგი. საქართველოს სამეფოს უკანასკნელი ნლები. თბილისი.

მარკოვა 1966: О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва.

მაჭარაძე 1968: ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბილისი.

მაჭარაძე 1988: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნანილი III, ნაკვეთი I, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 ნლებში და საქართველო. თბილისი.

მაჭარაძე 1997: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნანილი III, ნაკვეთი II, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 ნლებში და საქართველო. თბილისი.

პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი 1973: გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი. 1768-1774 ნლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო. ნიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბილისი.

რეხვიაშვილი 1982: მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბილისი.

სამსონაძე 1988: მ. სამსონაძე. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბილისი.

ცაგარელი (რედ.) 1891: Грамоты и другіе историческіе документы XVIII столетія, относящіеся до Грузіи. Томъ I, выпускъ II. съ 1768 по 1774 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб.

ცინცაძე 1960: ი. ცინცაძე. 1783 ნლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი.

ქუმბურიძე (რედ.) 2016: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეებში, დ. ქუმბურიძის რედაქტორობით, ნ. I. თბილისი.

ხოსიტაშვილი 1972: ს. ხოსიტაშვილი. ასპინძის ომი. თბილისი.

THE ISSUE OF IMERETI KINGDOM IN THE TREATY OF KÜÇÜK KAYNARCA

David Merkviladze

In 1768 a war between Russian and Ottoman empires began. Christian peoples of the Balkans and the Caucasus were involved in the war by Russian authorities. According to Russian plan the Georgian troops should organize military raids, so called "Diversions", in neighboring Ottoman dominions.

Russian court gave the hope to the king of Imereti Solomon I and the king of Kartli-Kakheti Erekle II that their interests would be taken into account in the resultant text of the agreement with Ottomans.

In 1774 the war ended with the victory of Russia and on July 10 the peacekeeping agreement was signed in the village Küçük Kaynarca (in today's Bulgaria). Article 23 of the treaty was related to western Georgia – Imereti kingdom.

The analysis of the treaty of Küçük Kaynarca shows that it did not bring any significant benefits to Imereti kingdom. On the one hand, the successes that were already achieved (e.g., refusing payment of tributes to Ottomans) by the kingdom were confirmed, but, on the other hand, the treaty put the kingdom in worse situation: 1. Against the exsisted reality Imereti was recognized as the Ottoman's subordinate political unite; 2. The already liberated by Georgians castles were given to Ottomans, though Ottomans being weakened in the war with Russia were not able to use this and some other rightes identified in the agreement.

The article 23 included formal provisions (the protection of the rights of the population of Imereti in religious and land ownership matters) as well, but this actually did not change anything in the life of western Georgia.

S. BURNASHEV'S COMPOSITIONS AS THE SOURCE FOR THE HISTORY OF THE SOUTH CAUCASUS REGION

David Merkviladze
Gohar Mkhitaryan

Colonel of the Russian army Stephan Burnashev was appointed as the Special Envoy (commissioner) of the empress Catherine II at the court of the king of Kartl-Kakheti kingdom Erekle II and the king of Imereti Solomon I by the royal court of the Russian empire in spring of 1783. At this time the decision to sign the treaty with Erekle II of taking him "under the protection of Her Highest Imperial Majesty" had already been received in St. Peterburg (Burnashev 1901:1-2). It is evidenced by the order of Grigory Potemkin-Tavrichesky preserved in Burnashev's archive dated to 1783, April, 3. Besides, S. Burnashev also was ordered to lead two Russian battalions, which entered Georgia on November 2, of the same year under the conditions of the Treaty of Georgievsk.

Thus, during his stay in Georgia S. Burnashev combined military and political activities. He participated in several battles, but his battalions were not enough at all to deal with the problems caused by entering Russian troops in the Kartl-Kakheti Kingdom.

Russian colonel was in Georgia four and a half year. Burnashev, who was encamped at Ganja with his battalions and Georgian army leaded by Erekle II in 1787, September 13 received an order of Gregory Potemkin-Tavrichesky dated to August 29 to leave Georgia together with Russian army and return back to Russia.

S. Burnashev had personal relations with Georgian kings: Erekle II and Solomon I. He also constantly corresponded with the military commander of the Caucasian line, Lieutenant-General Pavel Potemkin. From P. Potyomkin Burnashev constantly received detailed instructions. From his side P. Potemkin had been carrying on policy of imperial Russia in the Caucasus by the guidance of the most influential person of those days Russia, Field-Marshal Grigory Potemkin. With the recommendation of A. Tsagareli most of the letters sent to S. Burnashev had been published by his descendent in 1901 (Burnashev 1901). These letters obviously show Russian-Georgian relations of those days, political interests of Russia in Georgia and in the South Caucasus generally, as well as significant deterioration of political situation of the Kingdom of Kartl-Kakheti after it became under the protection of Russia.

S. Burnashev published his work "Picture of Georgia or the Description of the Political Situation of the Kingdoms of Kartl-Kakheti" after his returned back to Russia, in 1793 in Kursk, where he was appointed as governor after retirement from military service (Burnashev 1793 a).

The work consists of two parts: "The Political Situation of Georgia" and "The Political Situation of Imereti". Of course "Georgia" means Kingdom of Kartl-Kakheti and "Imereti" the whole West Georgia. The first part of the book is much larger than the other one, because Burnashev while being in Georgia was mainly in eastern Georgia and that's why he knew the situation in this region better. Besides, the attention of the imperial court of the Russia had been focused on the Kingdom of Kartl-Kakheti. This can be proved by signing protectional agreement with King Erekle II, while Solomon I, the king of Imereti was refused to sign the same kind of agreement by Russian imperial court.

S. Burnashev wrote his work "The Picture of Georgia or the Description of the Political Situation of the Kingdoms of Kartl-Kakheti" being in Georgia. According to publication it had been written in Tbilisi, in 1786. Supposedly, S. Burnashev started writing this work in the second half of 1784, because King Solomon I (he died in 1784, April 23), according to the text, seems to be dead already. The invasion of Omar-Khan in Kakheti in 1785, September is described from the standpoint of the eyewitness as well. There is also the story about the defeating of the loyal men of David, son of Archil (who claimed the throne of Imereti) in 1786, January by David II King of Imereti. However, S. Burnashev could add some additional material and changes to his work next year as well before he left Georgia (Merkviladze 2016: 146).

The mentioned work by Burnashev might be a kind of summarizing special report written by order for the imperial court. In 1783, June 16 G. Potemkin sent a secret order to S. Burnashev where he was writing:

> From the place of your present stay, it is much more convenient to give us better information than we had before about the borders of Georgia, their state, relations of Georgia with its neighboring peoples and about its internal and foreign situations. I recommend you to arm yourself with this knowledge and report it to me (Burnashev 1901: 3).

The active military and political interference in the affairs of the South Caucasus had already been decided at the imperial court. In this direction Russian government already had far-reaching plans and aims and that's why it was decided, as much as it was possible, to have an entire picture of the political, economic, military situation of those days Caucasus.

Though S. Burnashev's data do not always reflect precisely those days reality, but his "Picture of Georgia" undoubtedly is a historical source of much significance for the social, political and economic history of the 1780's Georgia (in some cases of its neighbors as well). This historical source is significant also because it is written by well-educated Russian officer and observant eyewitness of the ongoing events. S. Burnashev narrates events taking place in those days Georgia from different sides.

The data of social character about the Kartl-Kakheti Kingdom population (religious and ethnic structure of the population, social and class conditions, peculiarities of people living in this kingdom) is worth to be mentioned. According to S. Burnashev the main inhabitants of Kartl-Kakheti were Georgians of the "Greek faith" it means Orthodox Christians and belonged to three classes: clergy, nobility and peasants. Armenians "followed the Gregorian tradition" and consisted of the following classes: noblemen, merchants, craftsmen and peasants. Greeks were only merchants, craftsmen and mostly ore-miners. Local Muslims had three mosques and all social classes. The author specially notes that they were not prohibited to confess their faith and openly observe their religious right. Mountaineers "predisposed to war" were all peasants. There were also Kurds, some of them pagans and "almost without faith" and some Muslims. They were nomads. Nearly 30 Catholic families lived in Tbilisi. Divine service for them was conducted by Catholic priests sent from Rome who also had been engaged in medical activities as well.

In the mentioned work the data of economic character is also given. In the Kartl-Kakheti Kingdom metallurgy was developed. With the help of the Greeks, resettled from the Ottoman Empire, the kingdom mined and produced gold, silver, copper and small amount of iron. From agricultural crops they grew: bread, rice, barley, maize and cotton. Attacks of Dagestanis hindered development of cattle breeding. The silk was produced in a big amount. Merchants were intermediary traders between Russia and Oriental countries (Persia, India). Trade relations with the neighboring peoples and countries mostly carried out with the help of Tbilisi merchants (ethnic Armenians).

As for the government, king ruled the country autocratically. But he had his council consisted of king's sons, bishops and aristocracy ("regional nobility"). Usually king was receiving important decisions after consulting with this council.

S. Burnashev also describes the sources of the government income. The sources of the government income were: monetary taxes and agricultural goods from subordinates, from the mines of the non-ferrous metals, from customs fee and irrigation system. Substantial revenues in the kingdom were coming from the subordinated khanates (Ganja and Erevan) and also in the form of gifts sent by other khans.

S. Burnashev's information about the royal family is significant. He portraits Erekle II as an experienced king who everyday busily and permanently is involved in the state affairs. S. Burnashev particularly focuses his attention on the character of Erekle's son, his heir Giorgi. According to S. Burnashev prince Giorgi was honorable, especially pious and a man of peace, but less educated and was not good at warfare either. S. Burnashev characterizes the elder son of George, Prince David, unlike his father, as energetic, smart, brave young man and passionate warrior, who also was eager to study European martial arts. Burnashev did not miss one more circumstance: after numerous children of queen Darejan grew up and married members of the noble families of the kingdom, she formed the family clan and became its head. Thus, she became so influential that not a single governmental issue was solved without her assent and because she disliked her step-son, Prince Giorgi, heir of the throne was isolated from the governmental affairs.

Great attention is also paid to the military affairs of the kingdom: armament of the army and military capability of the kingdom, combat capability and local diversities of the art of battle. While writing about military matters, Burnashev, as a professional, discusses the subject mostly according to his personal observation. Of course, an officer of an army formed in a European way disliked feudal army of not so well disciplined troops of the Caucasian states and criticizes them. While writing about other matters, it seems that he rely on other sources as well. The author does not mention his sources. It is because of the specificity of the work and its aim. The aim of the Russian officer and diplomat is to send collected and checked materials to above ranking recipient.

S. Burnashev shortly writes about Erekle's relations with neighboring rulers and peoples. The great majority of Azerbaijanian khans honored the Georgian king because of his success and as a token of friendship often sent him gifts. Among them was Karabakh khan who was the main political ally of the king. Some of them (khans of Erevan and Ganja) were directly subordinated to Erekle II and paid him homage. S. Burnashev emphasizes that the Azerbaijani khans even united (the probability of this could not even be imagined by the Russian officer-diplomat) cannot do much harm king Erekle, which proves the strength of Kartl-Kakheti kingdom. As the Russian author notes, even the enemy forces of the Dagestanians were not in themselves dangerous for the country, if the Ottomans did not stand behind them. Although, according to him, Erekle had friendly neighboring relations with pasha of Akhaltsikhe as well. After defeating khan of Avaria the Georgian king had already settled his relationship with most of Dagestan communities and even summoned some of them in his army against his enemies. Although, the second part of Dagestanians robbed and continued sneaky attacks against the inhabitants of the kingdom which caused serious damages to the state. S. Burnashev notes that if King Erekle had enough money it won't be difficult for him to solve the problem of the attacks of Dagestanians and

furthermore, he could use their military force for his own interests. Opposite to Dagestanians Ossetians and Kabardians were known with their loyalty to the Georgian king and fought in his army as hired warriors.

The Russian officer and diplomat separately describes political situation within and around the Kartl-Kakheti Kingdom before signing protection treaty with Russia. His conclusion about signing treaty of protection with Russia, which in fact was the treaty of subordination, is worth of mention. Despite old Georgian kings, straitened from the side of the Muslim countries, for a long time were seeking support of Russia sharing the same religion, Burnashev does not think they would like to find themselves in the same relationship with Russia as Erekle II. Here he also gives his viewpoint what made Erekle had that "famous relationship" with Russia. The reason of it was the activeness of Prince Alexander (the grandson of king of Kartli Vakhtang VI) living in Russia to seize the throne of Kartli, which was a subject of the king Erekle's great concern. Colonel S. Burnashev separately considers the political situation in the kingdom after signing the treaty. The author rightly considers that the treaty of Georgievsk was a kind of turning point for the eastern Georgian kingdom. This description obviously shows how political situation of the Kartl-Kakheti kingdom worsened after signing treaty of protection with Russia (Merkviladze 2012:79). The description by Burnashev is rather objective and remarkable and represents political analysis worthy to be taken into consideration

On the other hand "the picture of Georgia..." is the significant primary source for studding Russian-Georgian political relations of the 1780's. The author is an eyewitness and contemporary of the main ongoing processes which are described in the work. Besides, at the same time, as specially authorized by empire, he is an executor of the instructions of the Russian imperial court.

S. Burnashev titled the description of the political situation of the Islamic khanates located in South Caucasus and even more south "Description of the regions of Azerbaijan in Persia and their political status". The voluminous monograph with this headline was published in 1793 in Kursk. Paying tribute to his historical memory the author uses the name of Azerbaijan for the covered areas. Talking about it the author meant the administrative unit of Azerbaijan in the four administrative-political and financial system of Safavid state (16th-18th centuries), which are: Iraq, Fars, Azerbaijan and Khorasan (Tadhkirat al-Muluk 1943: 162). The administrative unit of Azerbaijan united the khanates of Atropatene (the center Tabriz), Chukhursaadi (the center Erivan), Karabakh and Shirvani (Tadhkirat al-Muluk 1943: 164-168).

Taking into account the following circumstance S. Burnashev called "khans of Azerbaijan" not only the governors of Maragha, Tabriz, Ardabil, but also the khans of Yerevan, Shaki, Shirvani, Baku, Nakhichivan, Ganja and Karabagh (Burnashev 1793). This circumstance causes misunderstanding in the Soviet historiography. Thus, in his study of "The historical review of the Azerbaijan in XVIII century", V. Leviatov used this fact to justify the thesis of the Soviet historiography, according to which the historical-geographical term of Azerbaijan included also the territories (the political borders of the Soviet, but now the Republic of Azerbaijan) that stretched north from the Aras river by "ensuring" the existence of so-called Northern and Southern Azerbaijan and their historic right to reunite.

According to V. Leviatov, S. Burnashev's composition was not based on the information of Arabic and Persian written sources, but on the reports of the contemporaries who knew Azerbaijan well. Consequently, his work seemed to be focused on the pragmatic composition. Then he concluded that when S. Burnashev wrote his composition the contemporaries perceived the "ethnic commonality" of the people of Northern and Southern Azerbaijan which made possible for the two territories to unite (Leviatov 1948: 144-145). The inaccuracy of the following thesis on the Soviet historiography is also affirmed by the fact that in the main map of Persia made by S. Burnashev in 1786 Azerbaijan was included in the Iranian state borders as an administrative and political inseparable part (Burnashev 1786).

Finally, being a Russian high-ranking military and statesman, in the political orientation authorities of the South Caucasus S. Burnashev also does not overlook the Turkish factor. He observes the interests of the Ottoman Empire in the territories of the former Iranian state in the Russian-Turkish relations in 1780-s. In fact, his works was written in the 1780-s, during the period between the two Russian-Turkish war, when the Turkey had to abide the Treaty of Kuchuk Kainarji (1774).

Moreover, the Russian military-political forces were strengthened by the Treaty of Georgievsk (1783). However, the biggest political blow to the Ottoman Empire was the loss of Crimean Khanate. The supporters of the Caucasian policy of Turkey were the peoples of Dagestan (lezgins, avars and others) following the same religion and South Caucasian khanates. In this complicated geopolitical region, Ottomans were focused on the above-mentioned, using religious and confessional identity. In addition, they did not ignore the Kingdom of Imereti. After the death of king Solomon I, an agha from the Ottoman empire came to the Kutaisi for recognizing the Sublime Porte's power. In 1784 without waiting for the answer from Imereti the general field marschall G. Potemkin ordered S. Burnashev to leave Tbilisi and visit Kutaisi for preserving the stability of the imperial power by all means (РГВИА: 56-57).

During the writing process S. Burnashev was focused both on the political views of the above mentioned khanates and authorities on the Kingdom of Kartli and Kakheti, and their trade-economic significance for the latter. He analyzes many issues of the political history of South Caucasia based on the interests of the Russian empire. Being the witness

and the active performer of the historical events, he did concise, often subjective, political analyzes. He strongly criticizes the "anti-Georgian" policy of the South Caucasian khans sometimes giving subjective qualifications. However, this does not mean that the author has misrepresented the historical events and facts.

S. Burnashev called khans and leaders "sovereign" or "dependent" indicating the political position and the status they had in the region. The orientation of the Russian and Ottoman empires and Iran to any khan depended on how they take into consideration the fact of the existence of that power and its political role. The author divides the South Caucasian "sovereign" rulers into "powerful" and "less powerful" conditioned by the circumstance how many fighters they could take to the battlefield and apply for the help of mercenaries including mountain dwellers (in the original lezgins). Speaking about Fath-Ali Khan of Quba and Derbent, S. Burnashev rightly mentioned that he was descended from the Dynasty of Ghaytaghs. This fact proves that author accurately presents the history of the region pursuing a thorough study of the political events. This is considered to be one of the most remarkable features of S. Burnashev's work.

S. Burnashev's language is precise and the speech is laconic. He wrote his thoughts in a laconic way with no allegory. From that perspective his work essentially differs from the writings of travelers, scientific expeditions, and trading agents of the time being free from the literary outpouring. However, in his brief composition he succeeded in presenting the political history of the region almost completely. It should be noted that being in Tbilisi, S. Burnashev has been able to give an accurate description of the political history of the region, the relationships between the khans, as well as details regarding their political orientation towards major countries in the region. Probably, the spy network reports were considered to be the informational base for S. Burnashev. According to one source, G. Potemkin wrote empress Catherine II (1762-1796) about a young Assyrian who arrived in Tbilisi from Urmia (РГВИА 52: 57). It seems that Russian representative in Tbilisi used king Erekle's spy network to collect information about Azerbaijani khanates and Iranian governors. Nowadays the following information can be clarified with help of Iranian sources.

S. Burnashev's composition mainly covers the political events and, as a military man, the author focuses his attention on the information about the armed forces of the South Caucasian khanates. In parallel with the brief presentation of the political situation of khanates, S. Burnashev gives a general idea of the number of the houses of Christians living in the South-Eastern Caucasus. As mentioned above, S. Burnashev's composition differs from the works of other researchers and military men of the time with purely political description. Consequently, the basic information about Christians was conditioned by the importance of a reliable ethnic element in the region to the Russian Empire. Therefore, the presence of Christians in the South Caucasus in the second half of the 18th century was included in the context of the Russian military-political interests.

In addition, the composition was written on the assignment by empress Catherine II as an inseparable part of S. Burnashev's political and diplomatic activities when being in the South Caucasus. So he has realized his "mission".

S. Burnashev has also a number of unpublished works, including cartographic works (Burnashev 1901: 53-54). When being in Georgia, he makes six maps of the region. The geographical knowledge of regions conveyed strategic and political significance aimed at facilitating the movement of Russian troops across the region. So S. Burnashev has created the map (1783) of the road stretched across the Caucasus Mountains leading to Tbilisi from Mozdok. The accompanying maps of the important territories of Kakheti, Imereti as well as the roads leading to Tbilisi from Kutaisi and to Pambak from Tbilisi were important for quick orientation and movement in the region. Additionally, he has created the main map (1784) of the peoples living in Caucasus Mountains, Guria and Samegrelo, neighboring regions that belong to the Kingdom of Imereti and its authorities, as well as the map of Kartli and Kakheti Kingdom. In 1786 S. Burnashev also made the main map of Persian empire emphasizing all the territories of Azerbaijan and other nearby territories.

References

Burnashev 1793a: С. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния Царств Карталискаго и Кахетинскаго, Курск.

Burnashev 1793b: С. Бурнашев, Описание областей Адребижанских в Персии и их политического состояния, Курск.

Burnashev 1786: Генеральная катра Персии с показанием границ, главных ее разделений, больших дорог, всех владений в Адребижане, всех владельческих городов в Араке и некоторых других областях. Сочинена полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786 году.

Burnashev 1901: Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев, под редакцией проф. А. Цагарели, С.-Петербург.

Leviatov 1948: В. Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, Баку.

Merkviladze 2012: დ. მერკვილაძე, რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არქივის მიხედვით (1783-1787 წწ.), ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV.

Merkviladze 2016: დ. მერკვილაძე, სტეფანე ბურნაშევი და მისი ნაშრომი „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა", ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII.

Tadhkirat al-Muluk 1943: Tadhkirat al-Muluk, A Manual of Safavid Administration (circa 1137/1725), Persian text in facsimile (B. M., Or. 9496), Translaled and explained by V. Minorsky, London.

РГВИА: Russian State Military Historical Archive 52, disc. 1, № 29.

სტეფანე ბურნაშევის შრომები როგორც საისტორიო წყარო სამხრეთ კავკასიის ისტორიისათვის

დავით მერკვილაძე
გოჰარ მხითარიანი

პოლკ. ს. ბურნაშევი 1783-1787 წლებში იყო ეკატერინე II-ის წარმომადგენელი ქართველი მეფეების, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე. აქ იგი ერთმანეთს უთავსებდა პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობას.

ს. ბურნაშევის ნაშრომი: „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა" შედგება ორი ნაწილისაგან: „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა" და „იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა". იგი უნდა იყოს საგანგებო დავალებით შედგენილი ერთგვარი შემაჯამებელი მოხსენება, როგორც ეს შეიძლება დავასკვნათ გ. პოტიომკინის ერთ-ერთი საიდუმლო ორდერის საფუძველზე.

„საქართველოს სურათი" უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი წყაროა XVIII ს-ის 80-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისათვის და რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის შესწავლისათვის.

ს. ბურნაშევის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა, სოციალური და ნოდებრივი მდგომარეობა, სახელმწიფო შემოსავლები, მმართველობის ფორმა, ეკონომიკური ვითარება, შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, ურთიერთობა მეზობლებთან, სამხედრო შესაძლებლობები და ა. შ. მოცემულია მეფისა და სამეფო ოჯახის წევრთა პიროვნული დახასიათება.

გეორგიევსკის ტრაქტატი ს. ბურნაშევის მიერ ერთგვარ გარდამტეხ მიჯნადაა აღქმული ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. მისი ობიექტური პოლიტიკური ანალიზიდან თვალსაჩინოდ ვლინდება, თუ როგორ დამძიმდა სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმების შედეგად. აღსანიშნავია, რომ ერეკლე მეფის რუსეთთან „ცნობილ დამოკიდებულებაში" (ს. ბურნაშევის ტერმინი) შესვლის მიზეზად დასახელებულია ალექსანდრე ბაქარის ძის გააქტიურება ქართლის ტახტის დასაუფლებლად.

პოლკოვნიკ ბურნაშევის მეორე ნაშრომი – „აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერა სპარსეთში და მათი პოლიტიკური მდგომარეობა" ეხება სამხრეთ-კავკასიასა და მის სამხრეთით მდებარე ისლამურ სახანოებში არსებულ ვითარებას. თხრობა აქ ბევრად უფრო ლაკონიურია. მასში ავტორი ყურადღებას ამახვილებს თითოეული ხანის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, მის დამოკიდებულებაზე ერეკლე II-ის მიმართ. ისლამური სამხრეთი კავკასიის საკითხები განხილულია რუსეთის საიმპერიო კარის ინტერესების შესაბამისად. მართალია, ს. ბურნაშევი ამ დროს კავკასიაში მიმდინარე ბევრი ისტორიული მოვლენის უშუალო მოწმე და მონაწილეც იყო, მაგრამ მისი, როგორც რუსეთის იმპერიის წარმომადგენლის, სამხრეთ კავკასიის სახანოებთან დაკავშირებით მოცემული პოლიტიკური ანალიზი, გასაგები მიზეზების გამო, ცალკეულ შემთხვევებში აშკარად სუბიექტურია. ავტორისათვის მიუღებელია ცალკეული ხანის „ანტიქართული" პოლიტიკა, ვინაიდან ერეკლე II, რეგიონში რუსეთის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს ცხადად გამოკვეთოს ყველა ის ისტორიული მოვლენა თუ ცალკეული საკითხი (ხანების ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები, პოლიტიკური კავშირები, ქრისტიანთა რაოდენობა), რომელიც რუსეთის საიმპერიო კარის პირდაპირი ინტერესების საგანს წარმოადგენდა.

საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან გაგზავნილი სამძიმრის წერილის ავტორის – გიორგი მდივნის ვინაობის დადგენისათვის

ლადო მირიანაშვილი

წინამდებარე სტატია ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-1688 წწ., 1703-1709 წწ.) ერთ-ერთი მდივან-მწიგნობრის ვინაობის დადგენას ეძღვნება.

მეფის კარის მდივან-მწიგნობრობა ერთ-ერთი უძველესი თანამდებობაა: ის „მეფის მწერლის" ფორმით ბიბლიაშია დამოწმებული: „როცა ნახავდნენ, რომ ბევრი ვერცხლი დაგროვდა, ამოვიდოდნენ მეფის მწერალი და მღვდელმთავარი, გადმოყრიდნენ და დაითვლიდნენ უფლის სახლში შეგროვებულ ვერცხლს" (4 მეფეთა 12:11). ნმ. შიო მღვიმელის ცხოვრებაში დაცულია მეტად საინტერესო ცნობა, რომლის თანახმად მეფე ფარსმანმა „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათგან და დაწერა ჴელითა თჳსითა თავისუფლებაჲ მათი" (აგიოგრაფია 1971: 143). ამ წინადადებაში მეფე ფარსმანის მიერ წყალობის სიგელის საკუთარი ხელით დაწერის ამბავის ხაზგასმა იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი ქმედება უზენაესი სუვერენის მხრიდან გამონაკლისი იყო და საბუთის განსაკუთრებულობას უსვამდა ხაზს. ტერმინი „მწიგნობარი" გვხვდება გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში":

> მივიწიენით ფოთს და მიერ საჴედრითა ქუთათისს ჴამსა სთულისასა. ხოლო აცნობეს მსწრაფლ მეფესა, რამეთუ ზემოთა ქუეყანათა იყო. და ვითარცა ეუნყა, განიხარა სიხარულითა დიდთა და მეყსეულად ნარმოგზავნა მწიგნობარი თჳსი (აგიოგრაფია 1967: 159).

XV საუკუნიდან ისტორიულ დოკუმენტებში მწიგნობრის პარალელურად მკვიდრდება ტერმინი „მდივანი". სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" H-1429 ხელნაწერი ნუსხის განმარტებით, მდივანი „უსტართა მწერალია", S-2498 ნუსხის თანახმად – „მწიგნობარია", ხოლო H-416 ნუსხის მიხედვით – „კაი მწიგნობარი". როგორც ვახტანგ VI-ის დასტურიდამაღიდან ჩანს, ქართლის სამეფოში ორი მთავარი მდივანი იყო: „მეფის მდივანი" და „დედოფლის მდივანი". ამათ გარდა, სამეფო კარს კიდევ რამდენიმე მდივანი ჰყავდა.

Credit: the Walters Art Museum.

Credit: the Walters Art Museum.

საისტორიო საბუთებში ხშირად გამოიყენებოდა კომბინირებული ტერმინი „მდივან-მწიგნობარი". მდივან-მწიგნობრობა სამეფო კარზე ერთ-ერთი საჰასუხისმგებლო თანამდებობა იყო. ეს მოხელე ოფიციალურ დოკუმენტებს – სიგელ-გუჯრებს წერდა. ამასთან ერთად, მდივან-მწიგნობრები ხელნაწერებსაც გადაწერდნენ. მაგალითად, გიორგი XI-ის მდივნის, გივი თუმანიშვილის მიერაა გადანერილი ხელნაწერები S-424 (კრებული – მეფე არჩილის იამბიკოები და სხვ.), H-3061 (ვეფხისტყაოსანი) და Q-164 (ვახტანგის სამართალი).

XIV საუკუნის წერილობითი ძეგლის,[1] *ხეიმწიფის კახის გახიგებიდან* ვიცით, რომ მეფეს ჰყავდა სანოლის, საჭურჭლისა და ზარდახნის მწიგნობრები. მწიგნობართაგან სანოლის მწიგნობარი ერთადერთი იყო, ვისაც უფლება ჰქონდა ვაზირების სხდომებს დასწრებოდა: „სანოლის მწიგნობარი ჭყონდიდელისაკენ დგას, კეფლის ძირსა; საწერელი აქვს თავისი" (გარიგება 1993: 31). სხვა მწიგნობრებთან შედარებით მის მაღალ მდგომარეობაზე ისიც მეტყველებს, რომ პურობის დროს სანოლის მწიგნობარი მსახურთუხუცესის გვერდით იჯდა (გარიგება 1993: 30), და ამასთან ერთად, მას ექვემდებარებოდა „ზედამდგომელი მეჭურჭლე" (გარიგება 1993: 16). სხვა მწიგნობრებისაგან გამორჩეული იყო ზარდახნის მწიგნობარიც: „პურობის დროს „ზარდახნის მწიგნობარი სანოლის მწიგნობრის გვერდით დგას; ეგრეთვე საწერელი აქვს ღლიასა... სხვანი მწიგნობარნი, ოცდაოთხნი, საწერლებით – ჭყონდიდელის მჴარს" (გარიგება 1993: 28). *ხეიმწიფის კახის გახიგების* თანხმად (XIV ს-ის პირველი ნახევარი), სამეფო კარს ოცდაექვსი მწიგნობარი უნდა ჰყოლოდა. იოჰან გიულდენშტედტის ცნობით კი (XVIII ს-ის მეორე ნახევარი), ქართლ-კახეთის მეფის კარზე ექვსი მდივანი მოღვაწეობდა (გიულდენშტეედტი 1962: 231).[2]

XII-XIII საუკუნეების ისტორიული საბუთების თანახმად, სანოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი ხშირად ერთი და იგივე პირი იყო. XV საუკუნის საბუთებიდან კი ირკვევა, რომ მწიგნობრის თანამდებობას, ზოგჯერ, მესტუმრე ითავსებდა. მაგალითად მოვიყვან მეფე ალექსანდრე I-ის 1438 წლით დათარიღებულ საბუთს: „ჴელითა მესტუმრისა და კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლაჩასძისათა" (კაკაბაძე 1913ა: 19) და მეფე გიორგი IX-ის 1448 წლის სიგელს: „ჴელითა ფრიად საწყალობელისა მესტუმრისა და კარისა ჩუენისა მწიგნობრისა კლიმი კაკლაჩასძისათა" (კაკაბაძე 1913ა: 29). XVI საუკუნეში მწიგნობართა უხუცესი და მესტუმრე კახთა მეფე ლეონის მიერ 1537 წელს ბოძებული სიგელის თანახმად ერთი და იგივე პირი ყოფილა: „ჴელითა მწიგნობართა უხუცესისა და მესტუმრისა ლაზარეთისა" (კაკაბაძე 1913ბ: 36).

თავდაპირველად, მდივან-მწიგნობრები მხოლოდ სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ, შემდგომ კი გაჩდნენ კათოლიკოსის, ერისთავებისა და მთავრების პირადი მდივან-მწიგნობრებიც. მდივან-მწიგნობარი სახლთუხუცესის უწყებას ეკუთვნოდა.

მდივან-მწიგნობრობა დოკუმენტების შედგენასა და წერაში დახელოვნებას მოითხოვდა. სამდივნო წიგნებმა სიგელების „დანერილობის" სპეციალურად შემუშავებული წესები შემოგვინახა. მდივან-მწიგნობრობა, მეტნილად, საგვარეულო პროფესია იყო და თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი გვარი, რომელიც სამეფო კარს მდივან-მწიგნობრებით ყველაზე უხვად ამარაგებდა, თუმანიშვილების გვარი იყო.

მეფე გიორგი XI-ის ერთ-ერთი მდივან-მწიგნობარი ვინმე მდივანი გიორგი იყო, რომლის სახელი მის მიერ საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან მიწერილ წერილში იხსენიება. ამ წერილით იგი ზემორე პირებს უმცროსი ძმის – ვახუშტის გარდაცვალებას უსამძიმრებს. ცნობილია, რომ ვახუშტი ორბელიანი გიორგი XI-ს ირანში ახლდა თან და 1707 წელს ქალაქ ყანდაარში სრულიად ახალგაზრდა, სავარაუდოდ ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. ამის გათვალისწინებით, სამძიმრის წერილი 1707 წლით უნდა დათარიღდეს. ის პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა *საქართველოს სიძველენის* მეორე ტომში გამოაქვეყნა (თაყაიშვილი 1909: 217). ნახსენები წერილი მამისა ბერძნიშვილმა შესაბამისი კომენტარების თანხლებით 1989 წელს გამოცემულ *ქართული ეპისტოლური წყაროების კოხპუსის* პირველ ტომში შეიტანა (ბერძნიშვილი 1989: 33-34).

ჩვენთვის საინტერესო პირის სახელი ნერილის დასაწყისშივე შემდეგ კონტექსტში არის ნახსენები: „თქვენთან პირ შავი, ამის გაჭირვების დღის მოუხმებელი მდივანი გიორგი მოგახსენებ." მ. ბერძნიშვილმა, არგუმენტების მოუხმობლად, მდივანი გიორგი საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობართა ცნობილი გვარის – თუმანიშვილთა ჩამომავლად მიიჩნია (ბერძნიშვილი 1989: 117 და 119).

მეფე გიორგი XI-ის მდივან-მწიგნობრებიდან თუმანიშვილთა საგვარეულოდან გამოსული ოთხი პირის სახელებია ცნობილი. ესენი არიან: გივი, სულხანი, ოთარი და გიორგი, იგივე გიორგი ბეგი. ამ უკანასკნელის მიერ დაწერილი ბოლო დოკუმენტი 1679 წლით თარიღდება. შესაბამისად, იგი მეფის სამსახურში გიორგი XI-ის ზეობის მხოლოდ პირველ ნახევარში, ანუ 1688 წლამდე უნდა მოვიაზროთ. მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო მდივანი გიორგი, რომელიც საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან მინერილ ნერილშია ნახსენები? ამის გარკვევაში უოლტერსის ხელოვნების მუზეუმში დაცული, ქართული მინიატურული სახარების მინანქრით გაფორმებულ ოქროს ბუდეზე შესრულებული ნარნერა დამეხმარა (სურ. 1). ეს ნარნერა მხედრულით არის შესრულებული. ის სახარების ოქროს ბუდის სამ ფრთას ორ სტრიქონად შემოუყვება, თანაც ისე, რომ სახარების ბუდის გვერდითა ტექსტის პირველი სტრიქონი ბუდის მოკლე, ზედა ფრთაზე იწყება, გვერდითა გრძელ ფრთაზე გრძელდება და ქვედა მოკლე ფრთაზე სრულდება, რის შემდეგ, ტექსტის მეორე სტრიქონი კვლავ ზედა მოკლე ფრთაზე იწყება და, პირველი სტრიქონის მსგავსად, დანარჩენ ორ ფრთას შემოუყვება. წარნერა ნაკლებად განაფული ხელითაა შესრულებული.

ეს ნარნერა პირველად, 1926 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1991: 77), მეორედ კი, 1960 წელს, ვახტანგ ჯობაძემ (ჯობაძე 1960: 111 და 117) გამოაქვეყნეს.[1] ტექსტის ექვთიმე თაყაიშვილისეული და ვახტანგ ჯობაძისეული ნაკითხვები თითქმის იდენტურია (იხ. ქვემოთ). ნარნერა თარიღიანია: ქკნ ტჟე = 1707. მასში ნახსენებია, რომ სახარება შაჰნავაზის, ანუ გიორგი XI-ის მდივანმა გიორგი კვინიხიძემ მოაჭედვინა. ეს არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ გიორგი XI-ის ირანში ყოფნისას მისი მდივან-მწიგნობარი იყო არა გიორგი თუმანიშვილი, როგორც ეს მამისა ბერძნიშვილს მიაჩნდა, არამედ გიორგი კვინიხიძე.

კვინიხიძეების გვარის შესახებ ისტორიულ წყაროებსა და საბუთებში საკმაოდ მნირი ინფორმაციაა. ეს გვარი ვერ მოხვდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში შესულ, მწიგნობრებისადმი მიძღვნილი სტატიისადმი დართულ მდივან-მწიგნობართა სიაში (სურგულაძე 2017), აგრეთვე, ამავე ცენტრის მიერ მომზადებულ ონლაინ-ცნობარში „ისტორიული დოკუმენტების დამწერნი" (შემდგენელი გ. მჭედლიძე).[2]

კვინიხიძეები იმერელი აზნაურები იყვნენ. გიორგი XI-ის მიერ იმერელი კაცის მდივან-მნიგნობრად აყვანას შემდეგ ისტორიულ გარემოებას ვუკავშირებ: როგორც ცნობილია, მას შემდეგ რაც 1688 წელს ირანის შაჰმა გიორგი XI მეფობიდან გადააყენა, ეს უკანასკნელი იმერეთში გადავიდა და იქიდან, თავის პოლიტიკურ მოკავშირე პაპუნა რაჭის ერისთავის დახმარებით, სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა. როგორც ჩანს, უტახტო მეფემ თავის მდივნად გიორგი კვინიხიძე სწორედ იმერეთში აიყვანა და ირანშიც თან იახლა.

გიორგი კვინიხიძე უნდა იყოს ყარაბაღის ბეგლარბეგის, ქალბალიხანის მიერ კათალიკოზ იოვანესათვის 1696 წლის აპრილში მიცემული შეწირულობის წიგნის დამწერი. ამ საბუთის ბოლოში ნერია, რომ „დაინერა ნიგნი და სიგელი ესე ჭელითა მდივნის მწიგნობრის გიორგისათა" (ფუთურიძე 1955: 377). გიორგი კვინიხიძის მიერაა დაწერილი 1706 ნლის საბუთი, რომელსაც გიორგი XI-ის ძმისნული, იესე ამონმებს (ცსსა 266, #96); ვიმოწმებ ვ. ჯობაძის მიხედვით (ჯობაძე 1960: 111, სქოლიო 59).

გიორგი კვინიხიძის ხელით დაწერილი აღმოჩნდა 1712 წლის 28 აპრილს ვახტანგ VI-ის მიერ ინდო გაბაშვილისადმი ბოძებული სიგელი (თაყაიშვილი 1910: 151), რაც იმაზე მიუთითებს, რომ გიორგი XI-ის გარდაცვალების შემდეგ (1709 წელს) გიორგი კვინიხიძე საქართველოში დაბრუნებულა და ვახტანგ VI-ის კარზე კვლავ მდივან-მწიგნობრის რანგში გაუგრძელებია მოღვაწეობა. გიორგი კვინიხიძის ვახტანგ VI-ის კარზე მოღვაწეობის ფაქტს ადასტურებს ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის ცნობაც. როგორც ცნობილია, 1712 წელს სეხნია ჩხეიძე თან ახლდა ირანში გამგზავრებულ ვახტანგ მეფეს. აი, რას წერს იგი:

> გამოხდა დღენი რაოდენი-მე და დაადახა ღამესა ერთსა ხელმწიფე მან იჯდა თალარსა შვენიერსა დახჯდა ხელმნიფე მხიარულისა პირითა, უბრძანა ნყალობისა სიტყვები, დაალევინა აზარფეშა დიდი, თქვენმა მზემა, ჩავიდოდა ღვინო ლიტრა ერთი, შესვა უტყუვრათ. უბრძანა ყმათა მისთა შეყვანა, იყო ავალიშვილი ზაზა, მოლარეთ ხუცესი სეხნია, ციცი შეილი ბაგრატ, მდივანი გიორგი. ასვა ღვინო და უბოძა ოთხასი თუმანი (ჩხეიძე 1913: 29).

საინტერესო ცნობას კვინიხიძეთა გვარის მდივან-მწიგნობრობასთან დაკავშირებით, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძში მივაკვლიე. 1758 წელს იესე ბარათაშვილი მოლარეთუხუცესის თანამდებობიდან გადააყენეს და კალიგრაფ-მდივნად დანიშნეს. ამასთან დაკავშირებით იგი შემდეგს ნერს: „მდივნობა მიბოძა ბატონმა, კვინიხიძის ქართველის მდივნის ნილი" (განხახილველი ტექსტის საძიებელში „ქართველის" ნაცვლად „ქართლის" ნერია) (ცხოვრება-ანდერძი 1950: 67). ეს კვინიხიძე გიორგი კვინიხიძის შთამომავალი უნდა იყოს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვინიხიძეების გვარიდან რამდენიმე მდივან-მნიგნობარი იყო გამოსული და ისინი ქართლის მეფის კარზე მოღვაწეობდნენ.

XVII საუკუნეში მოღვაწეობდა მღვდელი გიორგი კვინიხიძე, რომელიც კალიგრაფიც ყოფილა: მას გადაუწერია ჟამნი (A-1741): „მოიჴსენე და შეუნდვენ ჟამნისა მწერალი გიორგი კჳნიჴიძე და მეუღლე მისი მანიაჲ (166v)" (ენციკლოპედია 2007).

ჩატარებული კვლევიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: 1. გიორგი XI-ის ირანში მოღვაწეობის პერიოდში მისი მდივან-მწიგნობრის მოვალეობას იმერელი აზნაური გიორგი კვინიხიძე ასრულებდა; 2. გიორგი კვინიხიძის გიორგი XI-ის მდივნის რანგში მოღვაწეობის პერიოდად, სავარაუდოდ, 1688-1709 წლები უნდა განისაზღვროს; 3. გიორგი XI-ის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი კვინიხიძე საქართველოში დაბრუნდა და ვახტანგ VI-ის მდივან-მწიგნობრად გააგრძელა მოღვაწეობა. 1712 ნელს იგი ვახტანგს ირანის შაჰის კარზე ყოფნის დროსაც თან ახლდა. 4. კვინიხიძეების გვარიდან რამდენიმე მდივან-მწიგნობარი იყო გამოსული, რომლებიც ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ.

ზემორეს გათვალისწინებით, გიორგი კვინიხიძემ და ზოგადად ამ გვარმა, მეფის მდივან-მწიგნობართა გრძელ რიგში კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს.

კვინიხიძეები შემდგომ პერიოდშიც ჩანან, ამჯერად დიპლომატების რანგში. მაგალითად, დავით კვინიხიძე, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი იყო. იგი ფლობდა იმერეთის მდივანბეგის სახელოს და იყო მეფე სოლომონ I-ის ოფიციალური წარმომადგენელი რუსეთის საიმპერატორო კარზე (ცქიტიშვილი 1980: 40). XIX საუკუნეში, ძმები ქაიხოსრო და როსტომ კვინიხიძეები დადიანის მიერ პავლე ციციანოვთან წარმოებული მოლაპარაკებების პროცესში თავადის ინტერესებს წარმოადგენდნენ (ხომერიკი 2012: 69).

ორიოდე სიტყვით შევეხოთ გიორგი კვინიხიძის წარწერას, რომელიც მისივე საფასით დამზადებულ, ქართული მინიატურული სახარების, მინანქრით გაფორმებულ ოქროს ბუდეზეა შესრულებული. ამჟამად, ეს ბუდე, როგორც ითქვა, უოლტერსის ხელოვნების მუზეუმშია დაცული. თავის დროს მასში მოთავსეული სახარება დაკარგულია.[3] აქვე, მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო უოლტერსის ხელოვნების მუზეუმის მზრუნველთა საბჭოსადმი, რომლის გადაწყვეტილებით შესაძლებლობა მომეცა მემუშავა სახარების ბუდეზე შესრულებული წარწერის ციფრულ ვერსიაზე და გამომექვეყნებინა ბუდისა და წარწერის ფოტოები.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს წარწერა სულ პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. მისი წაკითხვა შემდეგია:

1. ქ. ნებითა: და: შემნევნითა: მღთისა: ჩვენ: ფრიად: ცო
2. დვილმან: დიდისა: და ზეშთა: აღ
3. მატებულისა: ქართლისა: მეფეთ: მეფისა: სრულიად: ერ
4. ანისა: სპასალარისა: ყანდარის: და ქირმნ
5. ის: ბეგლარ: ბეგისა გიორგი: ყოფილისა: პატრონისა შაჰნვაზის
6. მონამნ: მდივანმა: კვინიხიძემა
7. გიორგიმ: მვაჭედინეთ: პატიოსანი: სახარება: ეს:
8. სულითა: და: ხორცითა: საოხად: ამინ: ქკს: ტჟე

წარწერა მეორედ ვახტანგ ჯობაძემ გამოაქვეყნა. მისი წაკითხვა ასეთია:

1. ქ. ნებითა: და: შენევნითა: მღთისათა: (sic) ჩვენ: ფრიად: ცო
2. დვილმან: დიდისა: და ზეშთა: აღ
3. მატებულისა: ქართლისა: მეფეთ: მეფისა: სრულად: ერ
4. ანისა: სპასალარისა: ყანდარის: და ქირმნ
5. ისა: ბეგლარ: ბეგისა გიორგი: ყოფილისა: პატრონისა: შაჰნვაზის
6. მონამან: მდივანმა: კვინიხიძემა
7. გიორგიმ: მოვაჭედინეთ: პატიოსანი: სახარება: ეს:
8. სულთა: და: ხორცთა: საოხად: ამინ: ქკნს: ტჟე

წარწერა XVII საუკუნისთვის დამახასიათებელი კალიგრაფიითაა შესრულებული. განკვეთილობის ნიშნები: თითოეული სიტყვის შემდეგ ორნერტილი, გამონაკლისის სახით – სამნერტილი. რამდენიმე სიტყვაში ერთეული ასო გამოტოვებულია, თუმცა ქარაგმის ნიშანი გამოყენებული არ არის.

წარწერაზე მუშაობის პროცესში, გამოქვეყნებულ ტექსტებში გარკვეული უზუსტობები შევნიშნე და მათში კორექტივი შევიტანე. ცალკე გამოვყოფ ტექსტის იმ ფრაგმენტს, რომელშიც შაჰნავაზია ნახსენები. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ აქ წერია არა შაჰნავაზი, არამედ შჰანავაზი (სურ. 2). ტექსტის ორივე გამომქვეყნებელს – როგორც ე. თაყაიშვილს, ისე ვ. ჯობაძეს – როგორც ჩანს, ეს დამწერის შეცდომად მიუჩნევიათ და წარწერის გამოქვეყნებულ ტექსტში „შჰანავაზის“ ნაცვლად „შაჰნავაზი“ ჩაუწერიათ, თანაც ისე, რომ ამ ცვლილების შესახებ ისინი არსად უთითებენ. მე ამგვარი ინტერპრეტაცია უმართებულოდ მიმაჩნია და აი რატომ: ურბნისის ტაძრის სამრეკლოს დაახლოებით ამავე პერიოდის, კერძოდ, 1706 წლის საალმშენებლო ლაპიდარულ წარწერაში, რომელიც გიორგი XI-ის შვილიშვილის, ბატონიშვილი ვახტანგის ბრძანებითაა შესრულებული, სწორედ „შჰანავაზის“ ფორმაა გამოყენებული (თაყაიშვილი 1907: 50). ვფიქრობ, ამ სიტყვის ერთნაირი ფორმით მოხმობა ორ თანადროულ წარწერაში, არა შეცდომაზე, არამედ იმ დროისთვის დამახასიათებელი დაწერილობის ფორმაზე მიუთითებს.

„შპანავაზი“ შაჰნაოზი / შაჰნავაზის პარალელური ტერმინია. შესაბამისად, სახარების ბუდის ნარნერის ჩემეულ ნაკითხვაში შესაბამის სიტყვას „შპანავაზის“ ფორმით ვიძლევი, ისე როგორც წარნერაშია. წარნერის ტექსტში კიდევ რამდენიმე მცირედი შესწორება შევიტანე: კერძოდ, ადრე გამოქვეყნებული ტექსტებისაგან განსხვავებით, რეალურ წარნერაში აღდგენილი გრაფემები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. გიორგი კვინიხიძის წარნერის ჩემეულ ნაკითხვას, გამოტოვებული გრაფემების აღდგენისა და შეცდომით ნაკითხული სიტყვის სწორი ნაკითხვის გათვალისწინებით, შემდეგი სახე აქვს:

1. ქ. ნებითა: და: შენ[ე]ვნითა: მღრთისათა:[1] ჩვენ: ფრიად: ცო
2. დვილმ[ა]ნ: დიდისა: და ზეშთა: აღ
3. მატებულისა: ქართლისა: მეფეთ: მეფისა: სრულიად: ერ
4. ანისა: სპასალარისა: ყანდარის: და ქირმნ
5. ისა: ბეგლარ: ბეგისა გიორგი: ყოფილისა: პატრონისა: შპანავაზის
6. მონამ[ა]ნ: მდივანმა: კვინიხიძემა
7. გიორგიმ: მ[ო]ვაჭედინეთ: პატიოსანი: სახარება: ეს:
8. სულთა: და: ხორცთა: საოხად: ამინ: ქრკნს:[7] ტჟე

შენიშვნები

1 ექვთიმე თაყაიშვილმა *ხელმწიფის კარის გარიგება* გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდით (1314-1346 წწ.) დაათარიღა.

2 იოჰან გიულდენშტედტი ცნობას მეფის კარზე ექვსი მდივნის მოღვაწეობის შესახებ ქართლის მეფის მოხელეებისადმი მიძღვნილ ქვეთავში იძლევა. როგორც ცნობილია, ი. გიულდენშტედტმა საქართველოში 1771-1772 წლებში იმოგზაურა, ანუ იმ დროს, როცა ქართლ-კახეთის სამეფო გაერთიანებული იყო და ერეკლე II ზეობდა (ქართლ-კახეთი მეფე 1762-1798 წწ-ში).

3 ე. თაყაიშვილის მიერ განსახილველი წარნერის გამოქვეყნების ფაქტი ვ. ჯობაძეს თავის სტატიაში მითითებული არ აქვს. ეს იმ დროს, როცა ე. თაყაიშვილს ამავე სტატიაში განხილულ რამდენიმე სიძველესთან დაკავშირებით იმონმებს.

4 ვებ-გვერდი *ისტორიული დოკუმენტების დამწერი* მომზადდა კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: http://ka.georgica.ac.ge/w/index.php?title=%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90:%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9B_%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%98&pagefrom=%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98#mw-pages

5 დაკარგული სახარების აღნერისთვის იხ.(თაყაიშვილი 1991: 75-76).

6 სიტყვაში გამორჩენილი „რანი“ დაუმატებიათ „ღანსა“ და „თანს“ ზემოთ, მათ შუა ხაზზე, თანაც ისე, რომ 900-ით მარჯვნივ შეუბრუნებიათ (ჰორიზონტალურად დაუნვენიათ).

7 სიტყვაში გამორჩენილი „რანი“, ზედა მაგალითის მსგავსად, ზემოთ აუტანიათ და თითქმის 900-იანი კუთხით მარჯვნივ შეუბრუნებიათ.

დამონმებანი

აგიოგრაფია 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი II (XI-XV სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, „მეცნიერება“.

აგიოგრაფია 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.). დასაბეჭდად მოამზადეს †ილ.აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, †ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, „მეცნიერება“.

ბერძნიშვილი 1989: ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I: ქართული ეპისტოლური წყაროები – XV ს.-1762 ნ., თბილისი, „მეცნიერება“.

გარიგება 1993: ხელმწიფის კარის გარიგება. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ. თბილისი, თსუ გამომცემლობა.

გიულდენშტედტი 1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

ენციკლოპედია 2007: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რედ. ენრიკო გაბიძაშვილი, ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, თბილისი.

თაყაიშვილი 1907: ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ნიგნი I, ტფილისი.

თაყაიშვილი 1909: საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, სიგელი №177, ტფილისი.

თაყაიშვილი 1910: საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, სიგელი #174, ტფილისი.

თაყაიშვილი 1991: დაბრუნება, I, გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, თბილისი, „მეცნიერება".

კაკაბაძე 1913ა: სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, ნიგნი III, ტფილისი, ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა.

კაკაბაძე 1913ბ: სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, ნიგნი II, ტფილისი, ელექტრო-მბეჭდავი არტემ მ. კერესელიძისა.

სურგულაძე 2017: ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო ნყობა შუა საუკუნეების საქართველოში, რედ. მ. სურგულაძე, თბილისი, სეზანი.

ფუთურიძე 1955: ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

ჩხეიძე 1913: ს. ჩხეიძე. „ცხოვრება მეფეთა", საქართველოს ცხოვრება, თბილისი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

ცქიტიშვილი 1980: ზ. ცქიტიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მოღვანენი: XVIII ს. II ნახევარი – XIX ს. დამდეგი, თბილისი, „მეცნიერება".

ცხოვრება-ანდერძი 1950: იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

ხომერიკი 2012: მ.ხომერიკი. იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1920 ნლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები. თბილისი, „უნივერსალი".

ჯობაძე 1960: Wachtang Djobadze, Notes on Georgian Minor Art of the Post-Byzantine Period. The Journal of the Walters Art Gallery, vol. 23.

ON IDENTIFICATION OF GIORGI MDIVANI, AUTHOR OF A CONDOLENCE LETTER SENT BY HIM FROM IRAN TO SABA AND ERASTI ORBELIANIES

Lado Mirianashvili

Secretary Giorgi is mentioned in a condolence letter sent by him from Iran to Georgia. It is evident from the letter that Giorgi was a member of the retinue of Giorgi XI, king of Kartli, during his stay in Iran. His was a private secretary to the king. It was accepted in the scholarship that Giorgi was representative of a famous family of secretaries to the roya lcourt – the Tumanishvilis, though there was no evidence for this. I paid attention to the supplication inscription found on a golden book cover, now at the Walters Art Museum. On the four wings forming the hinged lateral sides of the book cover is a two-line inscription (Fig. 1). The inscription begins on the vertical wing located on the extreme left of the cover and runs from left to right twice around the cover. The inscription is executed in Georgian Mkhedruli script. It reads in translation: "With the permission and help of the Lord, we, very sinful Giorgi Kvinikhidze, secretary and slave of the great and elevated King of Kings of Kartli, Spassalar of all Iran, Beglar Beg of Kirman and Kandahar, the former Lord Giorgi, now Shahnavaz, had this Holy Gospel made to save [our] souls and bodies. Amen. Chronicon [was] Tze." By "King of Kings of Kartli... the former Lord Giorgi, now Shahnavaz" is meant Giorgi XI (Shahnavaz II) who ruled twice. His first reign was from 1676 until 1688, when Erekle I deposed him; the second reign was in absentia and extended from 1703 to 1709 while he was serving as a commander-in-chief in Iran. Taking into consideration text of the above inscription, we can say with certainty that the private secretary of king Giorgi XI during his stay in Iran was Giorgi Kvinikhidze.

Position of a private secretary was very important. This profession in medieval Georgia was inherited. Unfortunately, available reference literature on secretaries and copyists at the royal courts in Georgia does not mention Giorgi Kvinikhidze or the Kvinikhidzes' in general among the private secretaries of the royal court neither in Imereti, from where Giorgi was by descent, nor in Kartli. I have found several charters with the mention of secretary Giorgi Kvinikhidze and his descendants, which are presented in the article.

Finally I give the reading of the inscription with some corrections to its earlier publications; e.g. the word clearly written as Shhanavaz (two consonant sounds together) (Fig. 2) was substituted by Shahnavaz in earlier publication, since it was considered more appropriate. I give an example of a lapidary inscription executed in 1706 on the order of king Giorgi XI's grandson on a belfry wall, Urbnisi church, which uses the same form of the word – Shhanavaz.

Acknowledgments

I gratefully acknowledge help received from the Board of Trustees of the Walters Art Museum in Baltimore, Maryland and generous sharing of high definition digital photos of the golden book cover with Georgian inscription exhibited in the museum. I would also like to thank Ruth Bowler, Photo and Digital Imaging Coordinator for the invaluable help I have received.

მნიშვნელოვანი ავღანური წყარო გიორგი XI-ს შესახებ

ალექსანდრე მიქაბერიძე
კახა კვაშილავა

ქართლის მეფე გიორგი XI (შაჰნავაზ II) ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში.[1] ანტიირანული გამოსვლების ლიდერს საბოლოოდ სპარსეთის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლა მოუწია შორეულ ავღანეთში, სადაც ის გურგინ-ხანის სახელით იყო ცნობილი.

შაჰნავაზ II-ს მოღვაწეობის შესასწავლად, უმთავრესად გვაქვს სეხნიასა (ჩხეიძე 1854) და ვახუშტის შრომები (ვახუშტი 1973), ასევე სპარსეთში მოღვაწე იეზუიტი ბერის, თადეუშ კრუშინკის ცნობები (კრუშინსკი 1740; დიუ სერსო(I) 1733; დიუ სერსო(II) 1733) და ილია ტაბაღუას მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები : იოსებ ქართველის (აბესალამიანი) მიერ შედგენილი რელაციები (ტაბაღუა 1982) .[2]

გასული საუკუნის 60-იან წლებში ი. ტაბაღუა სამეცნიერო მივლინებით ავღანეთის სამეფოში იმყოფებოდა, სადაც მკვლევარმა სცადა ქართველებთან დაკავშირებული ადგილების მონახულება და ავღანელ კოლეგებსაც გაესაუბრა. ამასთან ერთად, მან ავღანეთიდან, დოქტორ საქი აჰმად ფარჰადის მეშვეობით, რამდენიმე ნიგნი (*მიჰ ვეისი* (პუშტუს ენაზე) და ზოგიერთი სხვა მასალა ჩამოიტანა (ტაბაღუა 1982: 32). როგორც ჩანს, მკვლევარმა შემდგომ ამ ნაშრომების თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ვერ მოახერხა. ამდენად, მათი შემდგომი ბედი, სამწუხაროდ, უცნობია.

თავისსავე ნაშრომში ი. ტაბაღუა, 63-ე სქოლიოში, წერს: არსებობს ლექსად დაწერილი ნიგნი პუშტუს ენაზე – ფატა ხაზანა („შემონახული ხაზინა"), რომლის შემდგენელს თვითონ უნახავს გურგინ-ხანი. აქ მოთხრობილია ყანდაჰარში გიორგის მმართველობისა და მის წინააღმდეგ მირ ვეისის მოქმედებაზე. იხ. მუჰამედ პოტაგი (ნიგნში კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს *„ჰოთაკი"* – ა.მ., კ.კ.), ფატა ხაზანა (პუშტუს ენაზე). ანოტირებული ხელნანერი გამოაქვეყნა პროფ. ა. ჰ. ჰაბიბიმ ქაბულში 1944 ნელს (ტაბაღუა 1982: 28).

სამწუხაროდ,ჩვენ მკვლევრის მიერ დასახელებულ სხვა ავღანურ წყაროებს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ვიპოვეთ ფატა ხაზანას იტალიური და ინგლისურენოვანი თარგმანები, რომლიდანაც, წინამდებარე წერილში, გიორგი მეფის შესახებ არსებულ ცნობებს წარმოვადგენთ. ისინი პირველად შემოგვაქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით ხელთ ჩაგვივარდა ფატა ხაზანა დარის ენაზე, რომელიც ზემოხსენებულ თარგმანებთან ერთად, ვაჩვენეთ ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ) მოღვაწე ირანისტებს. მათი თქმით, დარის ენაზე წარმოდგენილ ნაშრომთან ძალიან ახლოს დგას იტალიურენოვანი თარგმანი.

ფატა ხაზანა (فتح خزینه) წარმოადგენს პუშტუნური პოეზიის კრებულს, რომელიც ავღანელმა ისტორიკოსმა და ქაბულის უნივერსიტეტის პროფესორმა აბდულ ჰაი ჰაბიბიმ (Abdul Hai Habibi[3]) 1940-იან წლებში აღმოაჩინა. მისი თქმით, ამ კრებულის ავტორია ავღანელი პოეტი მუჰამად იბნ დაუდ იბნ ქადერ ხან ჰოთაკი, რომელსაც ნაშრომი 1728-1729 ნლებში უნდა შეექმნა, როდესაც ის შაჰ ჰუსეინ ჰოთაკის (1725-1738წწ.) კარზე მოღვაწეობდა.

ნიგნი შედგება სამი ნანილისაგან, რომელსაც ავტორი „საგანძურებს" უწოდებს. პირველ „საგანძურში" შესულია შუა საუკუნეების პუშტუნური პოეზია, მეორეში – მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების პოეტები, ხოლო მესამე ნაწილში პუშტუნი ქალი პოეტების ნაშრომები. წიგნის დასასრულს მუჰამედ ჰოთაკი საკუთარი ცხოვრების ძირითად მიღწევებზე საუბრობს.

აბდულ ჰაი ჰაბიბის თქმით, 1943 ნელს, დაბა ფიშინში (დასავლეთ პაკისტანი) ყოფნისას ის შემთხვევით წააწყდა ფატა ხაზანას ხელნანერს, რომელიც 1886 ნელს გადაწერილა. მან თარგმნა ხელნანერი სპარსულ (სპარსული – დარი) ენაზე, დაურთო მას ანოტაციები და გამოაქვეყნა ავღანეთში 1944 წელს.[4]

სამწუხაროდ, ჰაბიბის არ გაუსაჯაროვებია თვით ხელნანერის დედანი, რის გამოც მის ავთენტურობასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა წარმოიშვა. ტექსტის ორთოგრაფიის და სინტაქსის ანალიზის საფუძველზე, ევროპელი ირანისტები (ლოი 1987; მაკენზი 1997) და პაკისტანელი მკვლევრები (მოჰმანდი 1988) აცხადებენ, რომ ფატა ხაზანას წარმოადგენს XIX საუკუნის II ნახევრის (მაკენზის მოსაზრებით კი, 1930-იანი ნლების) ყალბ ხელნანერს, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი არ გამორიცხავს ამ კრებულში ავთენტური პოემების არსებობასაც (ბაუსანი 1968).

სამეცნიერო წრეებში არსებული კრიტიკის მიუხედავად, ფატა ხაზანა სარგებლობს დიდი პოპულარობით ავღანეთსა და პაკისტანში. კრებული ითარგმნა რამდენიმე ენაზე, მათ შორის, იტალიურად და ინგლისურად (ლოი1987; ჰაბიბი 1997). სწორედ ამ უკანასკნელთა საფუძველზე მომზადდა ქართული თარგმანი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისური თარგმანი უფრო თავისუფალია. მთარგმნელს არაერთგზის აქვს შეცვლილი სიტყვათა წყობა ან ჩამატებული სტრიქონები აზრის უკეთ გადმოსაცემად. ქართულ თარგმანში ეს ჩამატებები ამოღებულია.

ფატა ხაზანა შესულია რამდენიმე ათეული პუშტუნელი პოეტის ნამუშევარი, ზოგიერთი სრულად, ზოგი კი – მხოლოდ ამონარიდის სახით. ყოველ პოემას ნინ უძღვის ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, რომელიც, სავარუდოდ, დაწერილია კრებულის შექმნელის მოჰამედ ჰოთაკის მიერ.

კრებულში თავმოყრილ პოეტთა შორის ჩვენთვის საყურადღებოა მხოლოდ ერთი – რედეი ხან მოჰმანდი, რომელიც იყო მირ ვეისის თანამებრძოლის, ვინმე ღიასუდინ ხანის შვილი, წარმოშობით დაბა მოჰმანდიდან. XVIII საუკუნის დასაწყისში რედეი ხან მოჰმანდმა სახელი გაითქვა თავისი კალმით. 1724 წელს მან იმგზავრა ისფაჰანში და შეხვდა ავღანთა ბელადს მაჰმუდ ჰოთაკის (1717-1725 წწ.), რომელსაც საჩუქრად გადასცა 14 000 კუპლეტიანი პოემა *მაჰმუდნამა*, სადაც მირ ვეისის და მაჰმუდის საგმირო საქმეებს აღნერს და ადიდებს. მაჰმუდი, ეტყობა, მეტად კმაყოფილი დარჩა საჩუქრით და უხვად დაასაჩუქრა პოეტი. როდესაც მუჰამედ ჰითაქიმ დაიწყო ფაშა ხაზანას კრებულის შექმნა, მან თხოვნით მიმართა რედეი ხანს, ნება დაერთო პოემის ნაწილის გამოყენებაზე. საპასუხოდ ავტორმა გამოაგზავნა პოემის ის ნაწილი რომელიც გურგინ ხანის დაღუპვას აღწერს, რის შედეგად ის კრებულში აღმოჩნდა და მან ჩვენამდეც მოაღწია.

ქვემოთ წარმოვადგენთ ტექსტს და ჩვენს კომენტარებს.

1. ამბავი გურგინ ხანის სიკვდილისა და სამადლობელი სიმღერა ჰაჯი მირ ხანის სახელზე.
მინდა გიამბოთ დიდი ამბავი,
ტკბილი ამბავი ერთი სიკვდილისა,
სიკვდილის გურგინ ხანისა.
როდესაც მირ ხანი[1] ისპაჰანს ჩავიდა,
ქაბას მხარეს დაიწყო მან ლოცვა.
ხელმწიფეს [შაჰს][2] მან მოახსენა პაშტუნთა რთულ ხვედრზე,
მათ გაჭირვებასა და გურგინ ხანის სისასტიკეზე.
ხელმწიფემ უპასუხა: „არ ძალმიძს
გურგინ ხანის ძალადობის შეჩერება,
უბრალოდ დათხოვნით ის [გიორგი] არ წავა და
ყანდაარის ხალხს არ დაანებებს თავს.
გურგინი არს ვითარცა მშიერი მგელი, რომელიც
მთელს ფარას შესჭამს თუ მიეცა საშუალება. მე არ ვიცი, რა ვუყო ამ ადამიანს
ურწმუნოს, სომეხთა[3] მოდგმიდან,
ის არ იცავს მორწმუნის ნესს და რიგს,
არამედ იესოს ანუ ქრისტიანთა მიმდევარია[4].
ვშიშობ, რომ ღმერთის რისხვა დაგვატყდება თავს
და ჩემი მთელი სამეფო არაფრად იქცევა“.

მირ ხანმა უპასუხა: „შაჰ ჰოსეინ, ისმინე,
ამ მტარვალს ხალხი ვეღარ გაურბის;
ეს მგელკაცა[5] ჩვენს შორის თარეშობს,
გურგინის ძალადობას და სისასტიკეს საზღვარი აღარ აქვს, ამის ატანა ჩვენ აღარ ძალგვიძს,
და არც ამ სომეხი[6] მტარვალის მოთმინებით მოპყრობა არ შეგვიძლია, უკვე მეოთხედ[7] გეახლებით, ხელმწიფევ,
რათა [გურგინის] უამრავ სისასტიკიზე შემოგჩივლოთ.
ხელმწიფევ, თუ არ შეისმენ ამ თხოვნას
მტარვალი უფრო გაძლიერდება და
ხალხის დაბეჩავება გაგრძელდება.
როდესაც უსამართლობა იზრდება, სახელმნიფო ინგრევა,

ურნმუნოს[8] შეუძლია ქვეყნის მართვა
თუ ის სამართლიანი და მოწყალეა,
მაგრამ მტარვალი ვერ შეძლებს ტახტზე ასვლას,
ვინაიდან ღმერთის სიკეთე ყველასთვის ცნობილია.
მოწყალე უფალი ხელმწიფებას გადასცემს იმათ,
რომელნიც თავიანთ გულს სიკეთით აღავსებენ.
ჰოი, ხელმწიფევ, ყური დაუგდე ამ სიტყვებს,
ნუ დაჩაგრავ უმნეოს.
მტარვალების ბედი ბეჩავი და განწირულია,
და [ჯოჯოხეთის] ალი მათ ყველას შთანთქავს.
ისმინე ხელმწიფევ, ეს არის ჩაგრულთა სულის ყვირილი,
ტირანის სასახლეში ცეცხლი მუდამ გიზგიზებს
მაგრამ ბოროტების ეს კოშკიც მალე ალში გაეხვევა.
მჩაგვრელი დამუნჯდება, ხოლო
მის ყველა მიმდევარს სიდუხჭირე არ ასცდება.
მტარვალი სინანულით უნდა აღივსოს
რათა სამყაროსა და საკუთარ თავს ბედნიერება უნიოს.

ჰოი, ხელმნიფევ, თავი შეიბრალე და
უფრთხილდი, რომ შენი ტახტი და ოჯახი განსაცდელში არ ჩააგდო".

ამ სიტყვით მიმართა მირ ხანმა ხელმწიფეს
მაგრამ ხელმნიფემ არ მოუსმინა მას და არად ჩააგდო ეს რჩევა.
ყანდაარში მან დატოვა ბოროტი გურგინი,
რომელიც კვლავ დაუნდობლად ჩაგრავდა ხალხს.
[შაჰმა] ეს მგელკაცა ფარის მწყემსად დატოვა,
რათა ხალხში ველური და სასტიკი მგელივით ეთარეშა.
[ამის შემდეგ] მირ ხანი ჰიჯაზში გაემგზავრა,
რათა მონინებით ეთხოვა სამართალი თვით მოციქულისგან.[11]

2. მირ ხანი სამართალს ითხოვს მოციქულისგან
იასრიბში[14] ჩასულმა ერთ ღამეს თვით მოციქულს შესჩივლა,
„ხალხი განსაცდელშია,
შენი [მუჰამედის] მიმდევრები ჩაგვრას განიცდიან,
დაე, შეისმინე მათი ვედრება, მოციქულო.
პაშტუნებმა ბევრი რამ იმსხვერპლეს საშენოდ,
მონყალების ანგელოზო, ისმინე მათი ვედრება,
იხსენი ისინი ამ უსასრულო ტანჯვისგან და მტარვალის მუშტისგან,
და გურგინ ხანი სასიკვდილოდ გასნირე!
შენს სახელზე პაშტუნები ლოცულობენ,
შენს ქადაგებებს ისინი არ გადაუხვევენ,
რწმენისათვის ისინი, ყველანი, სიცოცხლეს განირავენ,
შენი ნყალობისათვის ყველაფერს გაიღებენ.
არ დაგვიიწყო, ო, დიდო მხსნელო,
ორივე სამყაროს სიამაყევ და ჭეშმარიტი გზის სინათლევ!
შენს წმინდა კართან მე მწარედ ვტირი,
რადგანაც ვხედავ ჩემს ხალხს ბოროტი ცეცხლის ორომტრიალში განნირულს,
შენი მზერა მოგვაქციე და გვიხსენი ამ საშინელი ბედისგან,
როდემდის უნდა გვტანჯავდნენ მტარვალები?
შენი სიყვარული და სათნოება საყოველთაოდ ცნობილია
და შენი მოწყალება ყველა ჩვენგანის გულში სუფევს.
მაგრამ შენი შემწეობის გარეშე,
პაშტუნები სასიკვდილოდ არიან განნირული
და მშვიდობას ვერ ეღირსებიან.
ო, წმინდა მოციქულო, შორი მხარიდან შენთან მოვედი,
ჩემი ვედრება გადაეცი უფალს და იყავ ჩემი მონყალე,
დაე, უფალმა ყველა ჩვენთაგანს უბოძოს მონყალება
და დაგვეხმაროს, ჩვენი ღირსება დავიცვათ,
რათა მტარვალს ბოლო მოვუღოთ
და ამ ბინძური ტირანიის ჭაობი დავაშროთ.
პაშტუნთა შორის უფლის კანონი მუდამ უმაღლესია,
ბოლო მოუღე უსამართლოს და იხსენ პამტუნები.
[მოცუქილო,] ესე არს ჩემი მუდარა
და მე შენგან ვითხოვ სათნოებას, სხვას არაფერს.
მოწიწებით მოგმართავ ამ თხოვნით,
შენ, არაბთა და სპარსთა ხელმნიფევ.
პაშტუნები მხოლოდ შენ გიმხელენ
საკუთარი ცხოვრების დარდს და მნუხარებას,
მხოლოდ შენგან ელიან უსამართლობისგან ხსნას და გახარებას,
რადგან უღირსმა ტირანმა დაგვაქცია.
მოციქულო, გევედრები, გადმოგვხედე, შენიშნე ჩვენი მწუხარება
შენიშნე ტირანია, შენიშნე მტარვალიც,
ამ სომეხს ხომ არც ნამუსი გააჩნია
და არც შენი რიდი არ აქვს, და არც ისასი,[15] რომელმაც [ასევე] მართალი სიტყვა თქვა.
ესე არს ჩემი ამბავი, ჰოი, მოციქულო,
დაგვეხმარე ამ სამართლიან ბრძოლაში.

3. მირ ხანის სიზმარი დიდებულ მედინაში და ტირანიისგან განთავისუფლების ნიშანი.
მირ ხანმა ვედრება რომ დაასრულა,
ტანჯვასაც მოეღო ბოლო.
[იმ ღამით] მირ ხანს დაესიზმრა სადიქი[16], მშვიდობა მის სახელს!
რომელსაც თან ახლდა ფარუკ უმარი[17], მშვიდობა მის სახელს!
მათ უთხრეს, „შენ, მოხუცებულო, ნუღარ მოინყენ,
[შენი] ხალხი გათავისუფლდება და მწუხარებას მალე მოეღება ბოლო.
ნადი და აცნობე შენს ხალხს
რომ მჩაგვრელის ტირანიას ბოლო მოეღება.
უფალი ყველა პაშტუნს თავისუფლებას,
პატივს და მონყალებას არ მოაკლებს
[რათა] იდღეგრძელონ, ღვთის მადლით.
უფლის ერთგულები ვიდრე იქნებიან,
საქვეყნოდ მოიხვეჭენ ისინი დიდებას.
არა, მათ ვერავინ დაამცირებს, ვერც ვერავინ დაიმორჩილებს.
უფლის სიტყვა სნორედ მათვის ჟღერს!
უფლისთვის სიცოცხლის გასანირად მზად უნდა იყვნენ,
და მათი სახელი დავინყებას არასოდეს მიეცემა!“[18]

4. მირ ხანი იჯერებს ხილვას და საღმთო კაცებს გამოაქვთ დასკვნა
ასეთი კეთილი ამბები შეიტყო მირ ხანმა სიზმარში
და დიდად ეამა ამ ორი ღვთის კაცის სიტყვები.
იგი ქალაქის საღმრთო კაცებს, მოსამართლეებს
მოხელეებს და ქალაქის თავკაცებს შეხვდა
და მიმართა ვედრებით,
უამბო მათ მუხანათი გურგინის შესახებ,
და ითხოვა მათი დახმარება და შენევნა.
მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება,
და შემდეგი დასკვნა გამოიტანეს:
„დაშვებულია ტირანიის და მტარვალის დამხობა,
მითუმეტეს თუ ეს ურნმუნოთა ტირანიაა.“[19]
როდესაც შემდეგ წელს მირ ხანი სახლში დაბრუნდა,
მშობლიური ერი მას კვლავ მტარვალის ხელიდან
დაჩაგრული და შევიწროვებული დახვდა,
და მონობიდან მის
დახსნაზე დაინყო მან ზრუნვა.[20]
მირ ხანმა ყველა ტომის თავკაცი შეკრიბა[21]
და უამბო მათ თავისი მოგზაურობის შესახებ,
გაუზიარა მათ თავისი ლოცვის, სიზმრის, და [საღვთო კაცთა] განჩინების ამბავი
და სამართლიანობისათვის ბრძოლაზე
ყველანი შეთანხმდნენ.[22]
როდესაც გურგინმა შეიტყო, რასაც მირ ხანი აკეთებდა,
იგი მიხვდა, რომ ხანს შეეძლო თანამემულეთა გაერთიანება.[23]
ამიტომ დიდი სისასტიკით განენყო სუსტ და დაუცველ [ავღანელთა] მიმართ.
იგი ქეშმარიტ მხეცად იქცა საბრალო ხალხის მიმართ.
მან [ავღანელ] ტომთა თავკაცები დააპატიმრა
მაგრამ ამით ისინი კიდევ უფრო აღაზევა.

5. მირ ხანის საბჭო, ფიცი ყურანზე და გურგინ ხანის სიკვდილი
მირ ხანმა შეკრიბა კვლავ საბჭო,
ხალხიც შეკრიბა თავისთან
და ყველამ ყურანზე ფიცის დადო
რომ სომეხი მტარვალის ზეობას სამუდამოდ დაასრულებენ.
მათ შორის იყვნენ საიდ-ალ-ნასრი და ბაბო ჯან ბაბი,
ასევე მირ ხანის მხარდასაჭერად მოვიდა ბაჰადურ ხანი,
ხოლო უსუფი გაუძღვა სურელებს[24] და ყველა ჰოთაკს[25].
აზიზ ნურზაი მოვიდა დელარამიდან,
[ასევე] გულ ხან ბაბერი და ნურ ხან ბარეიში,
და ნისარ ალ-კუზაი ჯალდაკიდან.

ყველანი შეუდგნენ სამხედრო მზადებას,
გვერდში დაუდგნენ მეომრებს, მხცოვანს თუ ყმანვილს.
ასევე მოვიდნენ იაჰია ხანი და მისი შვილი მუჰამედ ხანი
და ერთხმად ფიცი დადეს: გურგინ ხანს ისინი მოკლავდნენ!
იუნუს კაკერი გურგინ ხანს თავს დაესხა,[26]
და პაშტუნები ქართველებს[27] ეძგერნენ.
გურგინი მოკლულ იქნა და ყველა ქართველიც დაიღუპა.[28]
ამრიგად, პაშტუნებმა თავისუფლება დაიბრუნეს.
მირ ხანმა თავისი ვაჟკაცობით ყანდაარი აიღო
და შეკრიბა ყველა თავისი მეომარი და
სიტყვით მიმართ მათ:
„მტარვალი მკვდარია და ჩვენ თავისუფლები ვართ!
უფალი არასოდეს მიატოვებს პაშტუნებს.
მაგრამ შაჰიც ხომ ტირანია და
ჩვენს ნინააღმდეგ სალაშქროდ ამზადებს ჯარს
და ჩვენ ამ ახალი ტირანიის ნინააღმდეგ საბრძოლველად უნდა მზად ვიყოთ.
შაჰს ისფაჰანს დიდი ლაშქარი ჰყავს
მალე ათასობით მისი მხედარი აქ მოვა,
რათა ყველა პაშტუნი მოკლას და
ავღანელთა სახელი და ღირსება შელახოს.
მტერი ძალიან ძლიერია, ამიტომ მოდით, გავერთიანდეთ!
იყავით მუდამ მხნედ, შუღლი და განხეთქილება უკან მოიტოვეთ!"
ყანდაარში შეკრიბა მან ყველა ტომის ნარჩინებული და ბელადი.
თითოეულმა ტომმა გაგზავნა ახალგაზრდა მხედრები,
ყველა მათგანი ძლიერნი და მეომრულად განწყობილნი

ქალაქის შუაგულში შეიკრიბა ოცი ათასი მხედარი,
ყველანი მზად იყვნენ შეესრულებინათ მირ ხანის ნებისმიერი ბრძანება.
მირ ხანი სამართლიანად მოექცა მათ ყველას,
ხანშიშესული და ბრძენი კაცი იყო.
მისთვის ყოველი ტომი შვილივით იყო და თავს ევლებოდა მათ.
ასეთი იყო დიადი ჰაჯი მირის საქმენი საგმირონი,
რომლებმაც პაშტუნთა ღირსება დაიცვეს.
ამრიგად, ათას ას ცხრამეტ ნელს[29]
ყანდაარში გურგინის ტირანია დაემხო.
ჰოი, მსოფლიოვ, ტირანიას სუსტი საფუძველი აქვს,
ძალადობაზე დამყარებული ხელისუფლება ვერ აყვავდება
თუ ტირანიის ალი აალდა, ის მთელს სამყაროს ააოხრებს
მაგრამ საბოლოოდ ამ ალშივე იღუპება თვით ტირანიც და მტარვალიც,
რომლებიც თავისივე ხელით ითხრიან საფლავს
და საბოლოოდ თავისივე ბოროტი საქციელს ემსხვერპლებიან".

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნარმოდგენილი ავღანური ნყარო მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის გიორგი XI-ს ყანდაარში მოღვაწეობისა და მისი უკანასკნელი დღეების შესახებ. მართალია, აქ მოცემული ზოგიერთი ეპიზოდი და ფაქტი სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება, სამაგიეროდ, აქ ვხდებით 1709 ნლის ანტისპარსული აჯანყების მომზადების დეტალებსა და მისი ლიდერების ვინაობას ვეცნობით.

ამდენად, ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი საისტორიო დოკუმენტია ჩვენი სახელოვანი მეფის მოღვაწეობის გარკვეული სურათის აღსადგენად.

შენიშვნები

1 მისი მოღვანეობის შესახებ ჩვენი კვლევა ორ სტატიაში ნარმოვაჩინეთ ამ ბოლო ხანებში. იხ.: (კვაშილავა 2015: 77-96, კვაშილავა 2016: 316-351).

2 აქ არ ვეხებით ჯ. ჰანვეისა და სხვათა ნაშრომებს, რომლებიც, როგორც ჩანს, უმთავრესად მაინც კრუშინსკისა და იოსებ ქართველის რეალიციებს ეფუძნებიან.

3 იხ. მისი ბიოგრაფია (ადამეცი 2012: 181-182).

4 ნიგნი გამოიცა რამდენიმე რედაქციით 1960, 1977, 1979 1994 ნლებში.

5 იგივე – ყანდაარის ქალანთარი მირ ვეისი. გიორგი მეფეს, ყანდაარში ჩასვლისთანავე, მასთან კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. თუმცა მალე, სპარსეთის მთავარსარდალს ქალანთარის მიმართ გარკვეული და, არცთუ უსაფუძვლო, ეჭვი გაუჩნდა, რის გამოც მირ ვეისი ისპაპანში გაიგზავნა და საიდუმლო მინერილობით, ხელისუფლებას მისი დაპატიმრება ურჩია გურგინ-ხანმა. ყანდაარის ქალანთარის ისპაპანში გაგზავნა 1706 წელს უნდა მომხდარიყო (კვაშილავა 2015: 95).

6 იგულისხმება სეფიანთა დინასტიის ნარმომადგენელი შაჰი სოლთან-ჰოსეინი (1694-1722).

7 თეირანის უნივერსიტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ჭულუხაძის ცნობით, სპარსულში ეთნონიმ „სომეხს" ორმაგი დატვირთვა აქვს. ის აღნიშნავს რა აღნიშნულ ეთნოსს, იმავდროულად ქრისტიანის სინონიმიცაა. ამდენად, მირ ვეისი შიიზმმიღებულ გურგინ-ხანს ქრისტიანობაში სდებდა ბრალს.

8 პოემაში ეს სიტყვები შაჰს ეკუთვნის.

9 სპარსულად „გურგ" მგელს ნიშნავს. ეტყობა, „გურგინ", რომელიც „გიორგი"-დანაა ნანარმოები, აქ სიმბოლურ დატვირთვას ღებულობს და ავტორი ყანდაარის ქართველ ბეგლარბეგს მგელს ადარებს.

10 ისევ და ისევ გაუგებარია, რატომ მიიჩნევს ავტორი გიორგი მეფეს სომხად.

11 საინტერესოა, რას ნიშნავს ეს „მეოთხედ"? ისტორიულ საბუთებში არ ჩანს, რომ მირ ვეისი ისპაპანში გიორგის ნინააღმდეგ საჩივრებით სამჯერ ჩასულიყოს. როგორ ჩანს, აქ უნდა იგულისხმებოდეს შაჰთან რიგით მეოთხე აუდიენცია, რადგან ნყაროებში ჩანს, რომ მას შაჰნავაზ II-ს მოწინააღმდეგე დასი დიდ მფარველობას უნევდა და ცდილობდა სოლთან-ჰოსეინთან ყანდაარის ქალანთარი ხშირად მოხვედრილიყო.

12 საინტერესო თეზაა. როგორც ნესი, ისლამურ სახელმნიფოში არამუსლიმი სახელმნიფო სამსახურში და, მით უფრო, ასეთ მაღალზე, როგორც ბეგლარბეგია, არ იმყოფებოდა. ამას არც ისლამური კანონმდებლობა უშვებდა, რომლისათვის არამუსლიმი, რეალურად, უუფლებო ადამიანი იყო.

13 წმიდა ქალაქ მექაში ჩასვლა და მისი მოლოცვა ანუ ჰაჯი ისლამის მეხუთე ბურჯია, რომლის შესრულება, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, მუსლიმისთვის, ძირითადად მაინც შეძლებულისათვის, სავალდებულოა. სრული პილიგრიმობის (ყველა სათანადო რიტუალის) შესრულების შემდეგ, მორწმუნე იღებს საპატიო ტიტულს – „ჰაჯი" – და თეთრი ფერის ჩალმის ტარების უფლება ეძლევა. ისლამის წმიდა ქალაქები – მექა და მედინა – 1516 წლიდან ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოაქცია სულთანმა სელიმ I იავუზმა (1512-1520). ეს სტამბოლის მნიშვნელოვანი ნარმატება იყო ისლამურ სამყაროში, ვინაიდან წმიდა ქალაქების ფლობა ძალიან ზრდიდა მის პოლიტიკურ, კულტურულ და იდეოლოგიურ გავლენას მუსლიმებში. ჰაჯის აღსრულების მოვალეობა ერთნაირად ეკისრებათ როგორც სუნიტებს, ასევე – შიიტებს. ცნიერმა მირ ვეისმა, როგორც ზემოთ აღნიშნა, ჰაჯის აღსრულება მხოლოდ და მხოლოდ მისი მომავალი სამხედრო და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გადაწყვიტა. ბუნებრივია, აქ ანტისპარსული აჯანყება იგულისხმებოდა. ჰაჯზე ნასვლა ქვეყნის საზღვრების დატოვებას და ირანის მონინააღმდეგე ოსმალეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ არაბეთში ჩასვლას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ მირ ვეისს ისედაც მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა მის თანამემამულეებში, მან მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, რათა კიდევ უფრო გაემყარებინა მისი მომავალი მოქმედებები. ამგვარად, მისი ანტიირანული აჯანყება რელიგიური ომის ხასიათს მიიღებდა, რაც საყოველთაო ერთიანობას გამოინვევდა, როგორც ავღანელებში, ასევე – სხვა სუნიტებში, უმთავრესად კი, ყველაზე მნიშვნელოვან და ძლიერ სახელმნიფოსთან, როგორიც ოსმალეთის იმპერია იყო. ამ მიზნის მიღწევა კი მუსლიმის სამართალმცოდნეების სანქციით შეიძლებოდა.

14 ქალაქ მედინას თავდაპირველი სახელი.

15 საუბარია ისლამში ცნობილი ერთ–ერთი მოციქულის ისა იბნ მარიამ ალ მასიპის იგივე ქრისტიანობის იესო ქრისტეს შესახებ.

16 სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ისლამის მიხედით პირველი მართლმორწმუნე ხალიფა აბუ ბაქრი (632-634), რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ას-სადიქს" ანუ „მართალს".

17 სავარაუდოდ, საუბარია ისლამის მიხედით მეორე მართლმორწმუნე ხალიფაზე ომარზე რომელიც არაბთა სახალიფოს ხელმძღვანელობდა 634-644 წლებში.

18 საინტერესოა, რომ მექაში მყოფ ყანდაარის ქალანთარს სიზმრად ევლინება ისლამური სამყაროს ორი უდიდესი ნარმომადგენელი. ამასთან კი, ალი, ამავდროულად, შიიტებისათვის ერთ-ერთი სათაყვანებელი წმინდა მოღვანეა. როგორც ჩანს, რედეი-ხანს ამით სურდა მირ ვეისის ანტისპარსული ანუ ანტიშიიტური გამოსვლისათვის ალის მხარდაჭერის ჩვენება, რაც ირანელთათვის „მჩაგვრელთა" (ანუ შიიტ სპარსელთა ხელისუფლება ყანდაარში) წინააღმდეგ ავღანელთა აჯანყების გამართლების საფუძველი უნდა ყოფილიყო.

19 როგორც ვხედავთ, მირ ვეისმა მუსლიმ ულემებს სათანადო ფათვა გამოაცემინა, რაც ავღანელთა მომავალ ანტისპარსულ აჯანყებას სამართლებრივ საფუძველს აძლევდა. ამასთან ერთად, ეს იყო მათ მიმართ ოსმალთა ირიბი მხარდაჭერის ასახვაც.

20 სამშობლოში 1708 წელს (წყაროებში და ზოგიერთ სპეციალურ ლიტერატურაში მირ ვეისის ყანდაარში დაბრუნების თარიღად 1709 წელია მოცემული, რაც არ დასტურდება) დაბრუნებული ჰაჯი მირ ვეისი იმთავითვე აქტიურად შუუდგა დასახული გეგმის – გურგინ ხანის მოკვლა და ყანდაარის ქართულ-სპარსული გარნიზონის ამონყეეტა – რეალიზებას.

21 ეს კონსპირაციული შეხვედრები მირ ვეისის ყანდაარის მახლობლად მდებარე მამულში იმართებოდა.

22 ცნობილი ავღანელი ისტორიკოსი მირ ღოლამ მოჰამად ღობარი (1897-1978) ამ თავყრილობას ლოია ჯირგად მოიხსენიებს. როგორც წესი, ლოია ჯირგა სრულიად ავღანთა უხუცესების კრებაა, რომელიც მნიშვნელოვანი სახელმნიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად მოინვევა. მის კომპეტენციას შეადგენს სახელმნიფოს მეთაურის არჩევა და უცხოელი დამპყრობლების ნინააღმდეგ ომის გამოცხადება. ამ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით, სახელმნიფოს ლიდერის არჩევას ადგილი არ ჰქონია, განსხვავებით მეორე საკითხისაგან, რომ შეკრებილებს ერთიანი აზრი ჰქონდათ. კრებაზე გადაწყდა, რომ გურგინ ხანზე ძლევა მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა: თუკი ყანდაარის ვალის ციხე-სიმაგრიდან გამოტყუება მოხერხდებოდა.

23 სამწუხაროდ, გიორგიმ ამჯერად ვერ განჭვრიტა მირ ვეისის ცბიერება. მართალია, ისპაჰანიდან დაბრუნებულ და თანამდებობაზე აღდგენილ ქალანთარს ის არ ენდობოდა, მაგრამ, ბოლოს, მაინც ისევ დაიახლოვა, რაც ყანდაარის ქართველი ვალისათვის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა.

24 სური (პაშტოს ენაზე: ნითელი) არის პუშტუნთა ისტორიულად მნიშვნელოვანი ტომი. XVI საუკუნეში შერ შაჰ სურმა (1532-1545) შეძლო ამ ტომის აღზევება და ჩრდილოეთ ინდოეთში ე.წ. სურის იმპერიის დაარსება. სურელთა ზეობა დასრულდა 1555 წელს, როდესაც დიდ მოღოლთა იმპერატორმა ნასირ-უდ-დინ მოჰამად ჰომაიონმა, სპარსელთა დახმარებით, შეძლო მათი დამარცხება სირჰინდის ბრძოლაში.

25 ჰოთეკი/ჰოთაკი არის პუშტუნთა ერთერთ-ერთი ტომი.

26 რედეი ხან მოჰამადის ცნობით, ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ავღანელ ტომთა ლიდერები და გავლენიანი სასულიერო პირები: ნასარის ღილზაელთა ტომის თავკაცი და ჰოთაკის ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი საიდ ალ ნასირი; სახელგანთქმული პუშტუნი ფალავანი და, ასევე, ჰოთაკის ლაშქრის ერთ-ერთი მეთაური ბაბოჯან ბაბაი; ცნობილი ყანდაარელი სარდალი ბაჰადურ ხანი; პუშტუნთა სულიერი ლიდერი მოლა პირ მ. მიანჯი; ქ. სიორაის მმართველი იუსუფ ხან ჰოთაკი; აბდალთა ტომის ნურზაის კლანის თავკაცი აზიზ ნურზაი დელარამიდან; ბაბარის (ბაბორი) პაშტუნური ტომის ბელადი გულ ხანი; ბარაიჩის პაშტუნური ტომის ბელადი „ლომთა სნორი“ ნურ ხანი; ნასრო ხან ალეკოზაი ჯალდაკიდან; მირ ვეისის ძმა იაჰია ხან მის ძე მუჰამედ ხანთან ერთად; კაკარის პაშტუნური ტომის ბელადი იუნუსი. აღსანიშნავია, რომ არცერთ სხვა წყაროში ჩვენ არ გვხდება ანტისპარსული აჯანყების მომზადების ამგვარი ცნობები, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

27 პოეტი პირველად აღნიშნავს, რომ გურგინ ხანის ჯარი ქართული იყო.

28 გიორგი მეფისა და ქართული გარნიზონის ნაწილის ამონყვეტის ამგვარი ნარმოდგენა არ ეთანხმება სხვა ნყაროებში დაცულ ცნობებს.

29 თარიღი მოცემულია ჰიჯრით; გრიგორიანული კალენდრით 1707 ნელი. გიორგი 1709 ნელს იქნა მოკლული. ამდენად, ამ ნყაროში მოცემული ეს თარიღი, რომელიც ზოგ სხვა ნყაროსა და სპეციალურ კვლევაშიც გვხდება, მცდარია.

დამოწმებანი

ადამეკი 2012: Adamec, Ludwig W. Historical Dictionary of Afghanistan. Lanham, MD: The Scarecrow Press.

ბაუსანი 1968: A. Bausani. Le letterature del Pakistan e dell'Afghanistan. Florence: Sansoni.

დიუ სერსო (I) 1733: The History of the Late Revolutions of Persia: Taken from the Memoirs of FatherKrusinski, Procurator of the Jesuists at Ispahan. Done Into English, from the Original, Just Published with the Royal License at Paris by Father Du Cerceau. In Two Volumes. Vol. 1. The Second Edition. London, 1733.

დიუ სერსო (II) 1733: The History of the Late Revolutions of Persia: Taken from the Memoirs of FatherKrusinski, Procurator of the Jesuists at Ispahan. Done Into English, from the Original, Just Published with the Royal License at Paris by Father Du Cerceau. In Two Volumes. Vol. 2. The Second Edition. London, 1733.

ვახუშტი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი. აღნერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი IV. თბილისი.

კვაშილავა 2015: კ. კვაშილავა. სეფიანთა ირანისა და დიდ მოღოლთა ურთიერთობები XVIII ს. დასანყისში და გიორგი XI: ყანდაარის პრობლემა. საისტორიო კრებული. V. თბილისი.

კვაშილავა 2016: კ. კვაშილავა. გიორგი XI სპარსეთში (1700-1709). ბრძოლა საქართველოსათვის. შოთა მესხია – 100. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმნიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. თბილისი.

კრუშინსკი 1740: I. Krusiński. Tragica vertentis belli Persici historiam, Lwów.

ლოი 1987: Lucia Serena Loi. Il tesoro nascosto degli Afghani. Bologna: Cavaliere Azzurro.

მაკენზი 1997: D. N. Mackenzie. The Development of the Pashto Scripl. In Shirin Akiner and Nicholas Sims-Williams, eds., Languages and Scripts of Central Asia. London: School of Oriental and African Studies.

მოჰმანდი 1988: Q. Mohmand. Pata khazāna fi'l mīzān. Peshawar.

ტაბაღუა 1982: ი. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბილისი

ჩხეიძე 1854: ს. ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნანილი II: ახალი მოთხრობა, 1469 ნლიდგან, ვიდრე 1800 ნლამდე. გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან. სანქტ-პეტერბურღი.

ჰაბიბი 1997: The Hidden Treasure: A Biography of Pashtoon Poets. Translated and edited by K. Habibi. Lanham MD: University Press of America.

AN IMPORTANT AFGHAN SOURCE ABOUT KING GIORGI XI

Alexander Mikaberidze
Kakha Kvashilava

King Giorgi XI (*Shahnawaz II*; in Afghanistan he is known as *Gurgin (Gorgin) Khan*) of Kartli is one of the least studied historical figures in the history of Georgia. Once a vocal anti-Iranian leader, he ended up defending Iranian interests in Afghanistan, where he earned notoriety under the name of Gurgin Khan.

In the 1960s, while on assignment in the Kingdom of Afghanistan, Georgian scholar Ilya Tabaghua tried finding places connected to the Georgian activities in Afghanistan and conducted interviews with Afghan scholars. Tabaghua returned from Afghanistan with several sources and other materials, which he intended to translate and introduce into Georgian scholarship. Unfortunately, he was unable to complete this task and the subsequent fate of this material remains unknown.

We were unable to locate the Afghan sources that Tabaghua had mentioned in his work but we did obtain the Dari, Italian and English versions of *Pata Khazana*, the well known but disputed manuscript of epic poems written in Pashto language that was discovered and translated by Abdul Hay Habibi, Afghan historian and Professor of the Kabul University. We translated one of the poems that provides interesting insights on the Afghan perceptions of King Giorgi of Kartli, and now introduce it for the first time to the Georgian scholarship. Unlike other sources, this poem offers interesting details on the 1709 Afghan uprising against Iran. On the eve of the uprising, the Afghans organized several clandestine meetings in the tribal territory of their leader Mir Ways. The famed Afghan historian Mir Ghulam Mohammad Ghobar went as far as to describe these meetings as loya jirga attended by all tribal elders and that was intended to settle crucial tribal issues, including selection of a new leader or declaration of war against a foreign power. In the case of the 1709 Afghan uprising, the assembly did not select a supreme leader but rather focused its deliberations on waging war against the occupying forces of Iran. The assembly had agreed that defeating Gurgin Khan would only be feasible if he (and his garrison) were lured out of the fortress of Kandahar. Reddei Khan Mohmand, the poem's author, speaks of various Afghan tribal and religious leaders taking part in this meeting: Saidal Nasir, the leader of Nasar Ghilzai (Ghilji) and one of the commanders of the Hotaki host; the famed Pashto warrior and also Hotaki commander Babojan Babei; the Kandahar commander Bahadur Khan; the Pashto spiritual leader Mullah Pir M. Miyajji; the ruler of Syoray, Yusuf Khan Hotaki; Aziz Nourzay of Delaram; Gul Khan of Baber; Nour Khan of Barech (Barreitsch); Nasro Khan Alekoza from Jaldak; Mir Ways' own brother Yahya Khan and his son Mohammad Khan. No other source offers such details on the preparations of the Afghan uprising, which adds importance to this literary source.

The Afghan poem, thus, contains important details on king Giorgi XI's activities in Kandahar. While some episodes and facts cannot be confirmed by other sources, this source still offers sufficient details on the Afghan preparations and identities of the Afghan leaders, and can serve as an important document on fill in gaps in the life and career of one of Georgia's most illustrious rulers.

SAMUEL GMELIN'S ITINERARIES AS THE SOURCE OF THE HISTORY OF THE EASTERN TRANSCAUCASIA

Gohar Mkhitaryan

In the second half of the 18th century, thanks to academician Samuel Gottleb (Georg) Gmelin (Polievktov 1935 : 116-119), the study of the northern regions of the Eastern Transcaucasia and Iran is put on an academic level. S. Gmelin's expedition left St. Petersburg on June 26, 1768 for a long journey. His way passed through the Moscow-Voronezh-Tsaritsin-Astrakhan and made the journey from Caspian Sea to Derbent-Baku, then to Shamakhi and Salyan. The expedition went away from there moving to the seaport of Anzali-Rasht-Balfrush. In 1771 S. Gmelin returned to Astrakhan. During that time, S. Gmelin visited Mozdok then in 1774 he moved to the eastern coasts of the Caspian Sea to explore the lagoons of Astrabad and Anzali (Mkhitaryan 2018). It is noteworthy that S. Gmelin's expedition should follow a strictly defined schedule and explore the western coast of the Caspian Sea for about a half year. In October, the expedition was supposed to return to the Caucasus in order to join J. Güldenstädt's expedition and then make the passage to the Ghezlar. On January 8, 1774 in a letter addressed to the Ghezlar Superintendent's Office from Baku, S. Gmelin asked for four comfortable apartments for the expedition members and Professor Güldenstädt's apartment for him (Archive 1912: 69).

However, on the way back, a little bit farther away from Derbent (4 day-distance) the expedition along with the 20 Cossacks was captured by the ruler of Khaïtakes on February 5. The negotiations between the Russian authorities and the Utsmi on releasing the academician were delayed for 6 months. Eventually, S. Gmelin died from fever in July 27. It should be noted that S. Gmelin managed to convey his travelling notes to the members of expedition student Ivan Mikhailov and translator Fyodor Baur who were released from captivity. They sent report entitled "The death of Academician S. G. G. Gmelin captivated by the Caucasian ruler" to the Imperial Academy's Committee from Ghezlar in August 3, 1774 (Readings 1867:11-16) 42 manuscripts written in Russian, German and Latin, are preserved in Gmelin's personal fund of the St. Petersburg Branch of the Archives of the Russian Academy of Sciences. Thus, S. Gmelin's expedition explored a vast territory from Saint Petersburg to the western shores of the Caspian Sea and the northern regions of Iran. He could hardly explore the geographical location of these areas, natural resources, information on the previously known and unknown species of flora and fauna with illustrations and graphics. S. Gmelin had to strictly follow the assignments (Fradkin 1950: 216-217) and requirements of the Academy, composing daily travelling notes and periodically sending them to Saint Petersburg.

Of course, the travelers of all time have written their itineraries while S. Gmelin's records were not amateur and cognitive notes. Those were the scientific studies based on reliable information addressed to the Imperial Academy in the form of reports. That was a matter of concern to the scientist who did not find enough time for properly elaborating the collected materials. In the introduction of the first part of the work, he hoped to complete the notes by making the necessary corrections after returning from a journey (Gmelin 1771: 1). Academician S. Gmelin's work entitled "Travelling" was first published in German (Gmelin 1770-1784) by the Imperial Academy in 1770-1784 during his trip. This work involved four parts and five volumes. In parallel with this, in 1771-1785 the work was translated into Russian and presented to the Russian readers in the same volume (four parts, five volumes) (Gmelin 1771-1785). The description of the region located on the western coast of the Caspian Sea includes the first part of the third volume of the work. The Russian imperial approaches to the rulers of Dagestan, the Eastern Transcaucasia and the northern regions of Iran are vividly reflected in the itinerary. Thus, he wrote about the ruler of Khaïtakes as rogue and venal governor who was not sincere to the Russian Empire and expressed his positive attitude only through words related to the security issues. Then, S. Gmelin noted that even if by the command of the ruler the foreign travelers were accompanied by guides, from past experience it was known that the ruler sent a large number of armed forces to rob the travelers (Gmelin 1771: 26). It becomes clear from the review that after visiting the region, S. Gmelin had a clear idea of the local khans, including the ruler of Khaïtakes who would later capture the scientist and other members of the expedition. Speaking about rulers, khans or governors, he revealed their political attitude towards the Russian empire, pointing out the potential benefits of their domains for the Empire. Paying tribute to the historical past, Gmelin considered the Caucasian Khans, including Fath Ali Khan of Kubbeh and Derbent, to be the "Persian ruler" viewing the region as an integral part of the Iranian state (Gmelin 1771: 42). He thoroughly examined the political influence of Fatah Ali Khan in the Eastern Transcaucasia. For example, the merchants passing through Shamakhi, had to pay Fath Ali Khan for the pilgrimage to Mecca and Medina. According to the academician, the reputation of the Hajis in Shirvan was so high that no significant decision was made without their permission.

However, the Khan of Guba deprived Shamakhi Hajis of their titles and carried them captive to Derbent and Guba (Gmelin 1785: 96-97). So they wanted to emphasize the absolute power of Fath Ali Khan on the Shamakhi people as an example to the inhabitants of other domains that are subject to Guba. Fath Ali Khan could freely appoint a governor in the regions that recognized his supreme power and intervene in the khanate's inner affairs. The commandant of Shamakhi was the khan's brother Abdulla Bek who was dismissed for double taxation and immoral life. Thus, the new governor of the Shamakhi was the khan of Baku, but he was also deprived of his power because of the complaints of the Shamakhi people (Gmelin 1785: 97). After the capture of Shamakhi (1769) Fath Ali Khan's distrust of Shamakhi people was obvious from his rare visits to Shamakhi. During his visits the khan spent the night in a village a bit far away from Shamakhi where he hunted a hawks. Being the witness to the following situation, S. Gmelin argued that Fath Ali Khan considered the Shamakhi Khanate to be the invaded state that he governed not as "the father of the people" but through the conqueror's right (Gmelin 1785: 97). The rulers of Baku and Shamakhi (Mkhitaryan 2013), who recognized the sovereignty of Guba's khan, were obliged to pay him income tax (money) and provide necessary provisions and send soldiers to protect the khanates from the Caucasian mountaineers and "other Persian khans". The Khan of Guba was even authorized to bring troops to Shamakh if the khan of Shamakhi refused to pay the tax. Fath Ali Khan's responsibility for other khanates S. Gmelin called "patronage".

The khan of Baku who was Fath Ali Khan's son-in-law did not temporarily pay some taxes (except for the army and food) and with the permission of khan kept the income 35000-40000 earned from the salt and oil. However he was "the princeling protected by the Khan of Guba". Moreover, S. Gmelin noticed that the following condition could not prevent Fath Ali Khan from appointing the khan of Baku to fill the mayoral seat at any time (Gmelin 1785: 83-84). S. Gmelin noted that Fatah Ali Khan considered himself a Shia Muslim but since he had "intentions" toward Lezgins and Tatars (to reveal the consequences of being mercenaries), he tolerated Sunnis. Those who were close to the khan were claimed that he did not obey any "law" (Gmelin 1785: 49). The unlimited power of the ruler of Guba and Derbent did not affect the lezgins living in the villages. Leaving the Guba the expedition moved to the west passing through the five lezgian villages the first of which (the name was not mentioned) was the hereditary domain of Fath Ali Khan. Despite the fact that the above mentioned villages were under the control of Guba Khan, he did not have any administrative, political and economic lever to suppress the people (Gmelin 1785: 50). It should be noted that in the second half of the 18th century, in parallel with the Russian Caucasus policy, the Russia's ruling circles undertook the conquest of the Caucasus from "inside". The expedition settled in the Eastern Transcaucasia during the Russian-Turkish war, in 1768-1774, and the members' lives were endangered. In his letter addressed to G. Miller in 1770 academician P. Pallas expressed his concern about S. Gmelin's expedition. S. Gmelin's "Georgian" journey was mindless for him noting that no new discovery in those territories was worth putting the expedition at risk (Osipov 1993: 111). Indeed, the Transcaucasian and Dagestan governors were suspicious of assurances about the about the friendship of the Russian Empire. By that logic, the reception of the expedition by the khan of Derbent and Guba Fath Ali Khan should also be considered. When S. Gmelin handed the recommendation letter to Fath Ali khan sent from the governor of Astrakhan, the khan stood up and bowed down after reciting the imperial title while reading the letter. On the other hand, he refused to provide horses for the expedition so that they could move to Baku from Derbent, as he was anxious that in that way they would be able to investigate the territory thoroughly. According to S. Gmelin, the Armenians living in Derbent who were always aware of the surroundings of khan, assured him that he was considered to be a spy. For that reason, the "Persians" thought S. Gmelin visited the region especially during the Russian-Turkish war not for the scientific research but for the observation of the area. Moreover, at the end of the journey, Fath Ali Khan told S. Gmelin that his initiative to carry out scientific research was fictitious hinting at his political intentions (Gmelin 1785 : 42-44, 109). The khan of Baku obviously evinced the negative attitude toward the expedition (Gmelin, Puteshestvie po Rossii dlya issledovaniya trech carstv estestva, 1785, pp. 61-62). Besides, when the khan was informed of Gmelin's visits to the oil wells, he wondered whether the foreigners in Russia were allowed to visit such places. All the attempts made by the academician to explain the true intentions of his visit were in vain. During his stay in Baku, S. Gmelin always noticed some people around his lodgment spying the Russian ship (Gmelin, Puteshestvie po Rossii dlya issledovaniya trech carstv estestva, 1785, p. 77). Academician J. Güldenstädt's expedition also overcame such obstacles in Dagestan by Tarki's shamkhal in the 1770s (Guldenshtedt 1809: 116-117). One of the values of S. Gmelin's work is the veracity of the information. S. Gmelin noted only what he had seen with his own eyes. So he always criticized the transmission of unreliable information which was not seen with the author's own eyes. Due to his observation skills S. Gmelin could precisely distinguish between primary and secondary information in the extensive description by emphasizing the most valuable.

Thus, S. Gmelin conveys eyewitness information on the relations between Transcaucasian and Iranian khans, their internal and external policies, their relations with the Russian Empire and finally analyzes them by giving political assessments. Summing up S. Gmelin's studies in the first half of the 1770s, we can state that he has sometimes deviated from the recommendations of the Russian state officials, academics and governors and approved his personal observation guided by the sense of duty of the scientist toward the science and the society.

References

Archive 1912: Russkiy archiv. Akademik Gmelin.

Gmelin 1770-1784: S.-G. Gmelin. Reise durch Russland zur Untersuchung der drei Natur-Reiche. Vols. I-IV. SPb.

Gmelin 1771: S. Gmelin. Puteshestvie po Rossii dlya issledovaniya trech carstv estestva. vol. I. SPb,

Gmelin 1785: S. Gmelin. Puteshestvie p oRossii dlya issledovaniya trech carstv estestva. vol. III/I. SPb.

Guldenshtedt 1809: Guldenshtedt, J. Geograficheskoe i statisticheskoe opisanie Gruzii i Kavkaza, iz puteshestviya cherez Rossiyu i po Kavkazskim goram v 1770–1773. SPb.

Fradkin 1950: N.Fradkin. Instrukciya dlya akademicheskich ekspediciy 1768-1774 gg. *Voprosi* geografiy.

Mkhitaryan 2013: G. Mkhitaryan, Severo-Vostochnoe Zakavkaze v konlekste vnewney politiki Rossii v 70-x gg. XVIII v. *Caucasica* 2 .

Mkhitaryan 2018: G. Mkhitaryan, S. Gmelin"s travel to the Eastern Transcaucasia and Northern regions of Iran. The Contouties and Peoples of the Near and Middle East, *XXXI*.

Osipov (ed.) 1993 : Nauchnoe nasledie P. S. Pallasa (Pisma. 1768-1771) .

Polievktov 1935: Polievktov M. Evropeyskie puteshestvenniki XIII-XVIII vekov o Kavkaze. Moskva.

Readings 1867: O smerti akademika S. G. G. Gmelina v plenu u odnogo gorskogo kavkazskogo vladetelya. (1867, iyul-sentyabr). Chteniya v imperatorskom obshestve istorii i drevnostey rossiyskich pri moskovskom universitete.

სამუელ გმელინის მოგზაურობის ჩანაწერები როგორც წყარო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ისტორიისათვის

გოჰარ მხითარიანი

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სამუელ გმელინის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შესწავლის მიზნით მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციები არა მხოლოდ რეგიონში არსებული ეთნიკური სურათისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სრულყოფილ აღწერას გვაძლევს, არამედ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის სამთავროებში არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და მათი საგარეო პოლიტიკის შესახებაც. თავისი მოგზაურობის ჩანაწერებში აკადემიკოსი ს. გმელინი ნათლად წარმოაჩენს აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და დაღესტნის მმართველთა მიმართ რუსულ იმპერიალისტურ მიდგომას. თითოეულ მათგანზე საუბრისას ის ეხება ამ მმართველთა პოლიტიკურ დამოკიდებულებას რუსული სახელმწიფოსადმი და ხაზგასმით აღნიშნავს ამ დომენების პოტენციურ სარგებელს იმპერიისათვის.

ნაპოლეონის ემისრების ცნობები აბას მირზას ლაშქრის შესახებ რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის (1804-1813) დროს

ირინე ნაჭყებია

შესავალი. XIX საუკუნის პირველ წლებში ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ინგლისელთა ინდურ სამფლობელოებზე ლაშქრობის გეგმა იყო, რომელშიც სპარსეთს სტრატეგიული მოკავშირის ფუნქცია მიეკუთვნა. ამიტომ, საფრანგეთის იმპერატორი დაინტერესებული იყო სპარსეთის სამხედრო შესაძლებლობების დადგენით ხელსაყრელ შემთხვევაში მისი თავისი მიზნებისთვის გამოსაყენებლად. თავის მხრივ, რუსეთ-სპარსეთის პირველი (1804-1813) ომის დასანყისშივე განცდილმა მარცხმა თეირანის კარს ნათლად აჩვენა სამხედრო სფეროში დანინაურებული მიღნევების ათვისების საჭიროება და ისეთი ძლიერი ევროპელი პარტნიორის მოძებნის აუცილებლობა, რომელიც სამხედრო სისტემის პროგრესის გზაზე დაყენებაში დაეხმარებოდა.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ ნაპოლეონის წარგზავნილთა ცნობებს ფათჰ-ალი შაჰის (1797-1834) მეოთხე ვაჟის, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი აზერბაიჯანის გუბერნატორის, აბას მირზას (1789-1833),[1] ლაშქრის შესახებ. გამოკვლევა ეყრდნობა საფრანგეთის არქივებში დაცულ და XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოცემულ თვითმხილველთა რელაციებში არსებულ ცნობებს.

გენერალ რომიეს ცნობები სპარსეთის სამხედრო შესაძლებლობების შესახებ. 1805 ნლის სექტემბერში სპარსეთში ჩასული ნაპოლეონის ემისრის, გენერალ ალექსანდრ-ანტუან რომიეს[2] მიერ ადგილზე მიღებული ცნობების თანახმად, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს რომიეს ცნობები სპარსეთის სამხედრო მდგომარეობის შესახებ. მისი ცნობით, შაჰი თუმცა კი უყვარდა ხალხს, მაგრამ სძულდა ჯარს „სიძუნნისა და მათი საგმირო საქმეების დაუფასებლობის გამო". ფრანგი ემისრის ცნობა იმის შესახებ, რომ შაჰი ჯარს ფულს არ უხდიდა, მაგრამ ამავე დროს დიდ თანხას (1 000 000 ფრანკი) იხდიდა სამკაულებში, ხაზს უსვამს ჯარისადმი მის გულგრილ დამოკიდებულებას. ნაპოლეონის ოფიცრისათვის ეს სრულიად გაუგებარი იყო და ამიტომაც წერდა, რომ შაჰს არავითარი სამხედრო ნიჭი არ ჰქონდა, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი სპარსეთის ლაშქარი კი დაიშლებოდა, რომ არა ტახტის მემკვიდრე აბას მირზა, რომელიც მებრძოლებს უყვარდათ, შაჰს მისი რეპუტაციის არ შურდა და ენდობოდა მას. ჩანს, შაჰის შესახებ ამგვარი შთაბეჭდილება რომიეს რუსეთის ნინააღმდეგ ომის ნარმოების მეტად ახალგაზრდა აბას მირზასათვის მინდობის საფუძველზე შეექმნა. გენერალი გაოგნებული იყო სპარსეთის სამხედრო სისუსტის გამო: რუსეთს საქართველოში 8 000 მებრძოლზე მეტი არ ჰყავდა და მნიშვნელოვანი წარუმატებლობის გარეშე ასეთი მცირერიცხოვანი ძალებით უწევდა წინააღმდეგობას სპარსელების 40 000-80 000 კაციან ლაშქარს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის არტილერია მშვენივრად მოქმედებდა, ყოველი დანადგარი ხუთჯერ ისროდა, სპარსელებისა კი მხოლოდ ერთხელ და თვრამეტ კაცამდე იყო საჭირო ერთი დანადგარის სამართავად. რომიეს აზრით, გამოუცდელი სპარსელებისთვის ევროპული ტიპის იარაღის მიცემა მეტად საშიში იყო, მაგრამ მას არწმუნებდნენ, რომ სპარსელი მებრძოლი მამაცი იყო და თუ განვრთნიდი, მისგან კარგი ჯარისკაცი დადგებოდა. გენერლის დასკვნით, თუ რუსეთი მთელი ძალით მიიტანდა იერიშს სპარსეთზე, ქვეყნის ცენტრამდეც ადვილად შეაღნევდა, მაგრამ თუ სპარსელებს ევროპულად განვრთნილი ინფანტერიისა და არტილერიის ნანილები ეყოლებოდათ, ნარმატებით შესძლებდნენ მტერთან დაპირისპირებას (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 27, fol. 57r-60v).

ჟოზეფ რუსოს ცნობები აბას მირზას ლაშქრის შესახებ. ბასრაში საფრანგეთის კონსულის, ჟოზეფ რუსოს[3] თოთხმეტი თავისგან შემდგარი თხზულების – *Tableau général de la Perse moderne ou mémoire géographique, historique et politique sur la situation actuelle de cet Empire*, 1807 – XI თავი უშუალოდ სპარსეთის სამხედრო მდგომარეობას ეძღვნება. ავტორის ცნობით, სამხედრო ნაწილების რაოდენობა, ისევე როგორც მათი მეთაურებისა, განსაზღვრული არ იყო. ყოველი ნაწილი თავისი ოლქის ან ტომის სახელს ატარებდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ტომების ნარმომადგენელთა ცნობიერებაში ტომობრივ კუთვნილებას ეროვნული იდენტიფიცირების ადგილი ეჭირა: ირანელობა უფრო პოლიტიკური ქვეშევრდომობის საკითხთან იყო დაკავშირებული, ხოლო ტომობრიობა – ეთნიკურთან. თუმცა სპარსეთში „სამხედრო საქმეს უდიდეს პატივს სცემდნენ", მოლაშქრეებს ხელფასს ცუდად უხდიდნენ, ხოლო მოუნესრიგებელ სამხედრო ნანილებს მეთაურობდნენ ცუდად შერჩეული ოფიცრები, რომლებსაც ბრძოლის დროს თან უამრავი მსახური მიჰყავდათ. ამიტომ, 40 000 კაციან ლაშქარში მებრძოლი დაახლოებით 20 000 კაცი თუ იყო. რუსეთთან ბრძოლაში მუდმივი წარუმატებლობის გამო, ლაშქარი სულიერადაც დაცემულიყო და სიმამაცეც დაეკარგა. რუსოს აზრით, ვინაიდან სპარსეთში არ ჰყავდათ სამხედრო ინჟინრები, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მთავრობას უნდა მიენვია და ხელფასი გადაეხადა სამხედრო ხელოვნებაში განსწავლული უცხოელი ინსტრუქტორებისთვის, რომლებიც შესძლებდნენ სამხედრო ნაწილების

განვრთნას, შეასწავლიდნენ მათ საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას და სამეფოს ტოპოგრაფიული რუკის შედგენას. თუ ევროპელი ინსტრუქტორები თავდაპირველად 100 სპარსელ ოფიცერს მოამზადებდნენ, მათი დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა ერთი წლის მანძილზე ევროპულ ყაიდაზე 15 000-20 000 მებრძოლის განვრთნა (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 145r-150r).

ამედე ჟობერის ცნობები აბას მირზას ლაშქრის შესახებ. 1806 წლის მაისში ფათჰ-ალი შაჰთან მიმავალმა ნაპოლეონის ემისარმა, ამედე ჟობერმა[4] რამდენიმე დღე მუღანში, აბას მირზას ბანაკში, გაატარა. ფრანგი ემისრის ცნობით, სპარსელები ნაპოლეონში ხედავდნენ არა მხოლოდ ევროპის არბიტრსა და ბატონს, არამედ აღმოსავლეთის შეცვლისთვის მოწოდებულ პირსაც. ახალგაზრდა მეფისწულისში ბონაპარტის დიდება განსაკუთრებულ გაოცებასა და აღტაცებას იწვევდა, იგი მეტად განიცდიდა რუსებთნ ომში თავის სრულ უსუსურობას და იმასაც, რომ „ვერაფერს აკეთებდა დასავლეთის გმირის, ნაპოლეონის, პატივისცემის დასამსახურებლად". მისი შეფასებით, ბანაკში დაახლოებით 60 000 მოლაშქრე იყო, მეფისწულის კავალერია კი კარგი გარეგნობის მამაკაცებით, შესანიშნავი ცხენებითა და იარაღის ჟღარუნით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე დისციპლინით. რუსეთის ჯარი, რომელიც არაქსსა და მტკვარს შორის მდებარე მხარეებს დაჰპატრონებოდა და უკვე დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნებას ცდილობდა, 10 000 ჯარისკაცს არ აღემატებოდა. ჟობერის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს თავრიზის გუბერნატორის, აჰმედ ხანის,[5] პროგრესული დამოკიდებულება სამხედრო საქმის მიმართ. ნაპოლეონის ემისართან საუბარში მან განაცხადა, რომ მტკიცედ იყო დარწმუნებული სპარსეთის ლაშქრის რეფორმირების აუცილებლობაში, ხოლო თუ საფრანგეთის იმპერატორი სპარსეთში ფრანგ ოფიცრებს, ინსტრუქტორებსა და არტილერისტებს გაგზავნიდა, შესაძლებელი იქნებოდა სამხედრო რეფორმის გატარებაც. ამგვარი დახმარების მეშვეობით თავრიზის ხანი ერთი წლის განმავლობაში იმედოვნებდა სპარსეთის ჯარის გაძლიერებას და რუსებისთვის ნამდვილი ჯარის დაპირისპირებას „ნაცვლად იმ უდისციპლინო ურდოებისა, რომლებიც იმდროინდელ სპარსეთის სამხედრო ძალას შეადგენდნენ" (AN, AF IV, 1686. doc. 16, fol. 3-8, 19-20; ჟობერი 1821: 169, 188). აქ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ფათჰ-ალი შაჰს ნაპოლეონთან კავშირის დამყარება პირველმა აჰმედ ხანმა ურჩია (ტანკუანი 1819: I, 130).

კაპიტან ოგიუსტ-ფრანსუა დე ბონტამ-ლეფორის ცნობები აბას მირზას ლაშქრის შესახებ. საინჟინრო საქმეთა კაპიტანი, ოგიუსტ დე ბონტამ-ლეფორი[6] სპარსეთში 1807-1809 წლებში საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანის (1766-1818) მისიაში 1807 წლის აპრილში ჩარიცხეს. იმავე წლის ივნისში იგი გაგზავნეს სპარსეთში ფათჰ-ალი შაჰისა და აბას მირზასთვის ნაპოლეონის წერილების გადასაცემად და მეფისწულის ლაშქარში სამხედრო რეფორმის დასაწყებად, რაც საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების (4.05.1807) მე-7 მუხლით[7] იყო გათვალისწინებული. პირველი დავალების შესრულების შემდეგ, კაპიტანი ამავე მისიის მეორე დრაგომანთან, ოგიუსტ-ანდრეა დე ნერსიასთან ერთად, 1807 წლის 24 ივნისს თავრიზის მახლობლად მდებარე აბას მირზას ბანაკში ჩავიდა. მეფისწულის უმთავრესი მიზანი კაპიტნის დახმარებით რუსების წინააღმდეგ ბრძოლის მომზადება და სექტემბერში საქართველოზე ლაშქრობა იყო, მაგრამ მას ამის უფლება ფათჰ-ალი შაჰმა არ მისცა (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 155, fol. 296r-296v).

მეფისწულის ლაშქარში სამი სახეობის სამხედრო სამსახური იყო: კავალერია, ინფანტერია და არტილერია. სპარსელ კავალერისტებს კარგი ცხენები ჰყავდათ, მაგრამ შეიარაღებულები იყვნენ მოუხერხებელი გრძელი თოფებით, მსუბუქი ხმლებით, რომლებსაც ბრძოლის დროს ვერ ხმარობდნენ, რაც დიდი ნაკლი იყო და ტყავგადაკრული ან სპილენძით დაფარული ხის ფარებით, რომლებსაც ძირითადად სამკაულის ფუნქცია ჰქონდა. ინფანტერიაც ძალიან ცუდად იყო შეიარაღებული მძიმე თოფებით და არ ჰქონდათ ხიშტები. არტილერია ძირითადად აქლემის ზურგზე მოთავსებული ზამბურაქებისგან[8] შედგებოდა; ეს დანადგარი ისევე ტლანქი, მოუხერხებელი და გამოუსადეგარი იყო, როგორც რუსებისთვის ნართმეული ძალიან ძველი მოდელის ოციოდე ზარბაზანი[9]. სპარსეთში არ ჰქონდათ ფურაჟის სანყობები, ამიტომ ლაშქარს მხოლოდ ბალახის ამოსვლის დროს კრებდნენ, სექტემბრის პირველ დღეებში კი შლიდნენ და სახლებში უშვებდნენ. სპარსეთში არ იყო ყაზარმები, ისევე, როგორც სამხედრო სამედიცინო სამსახური – სამხედრო ჰოსპიტლები და საველე საავადმყოფოები. დაჭრილ მებრძოლებს მკურნალობდნენ დალაქები, რომლებმაც მათი მოვლა არ იცოდნენ და ამიტომ „დაჭრილი მებრძოლი, მკვდარი კაცი იყო". კაპიტანმა ყურადღება მიაქცია მეტად მნიშვნელოვან საკითხს – სპარსელებს ომის ეშინოდათ, არ ჰქონდა არც დიდების მოთხოვნილება და არც ეროვნული სიამაყის, პატრიოტიზმის, სირცხვილისა თუ ღირსების გრძნობა.

კაპიტანი მეფისწულსა და მის მიერ არჩეულ რვა ახალგაზრდას ზარბაზნის მართვას, კავალერისტებს კი ხმლის ხმარებას ასწავლიდა. ოგიუსტ დე ნერსია, რომელსაც გავლილი ჰქონდა სამხედრო მომზადება, კაპიტანს ახალნვეულების წვრთნაში ეხმარებოდა, თარგმნიდა სამხედრო ინსტრუქციებს და ბრძანებებს ვარჯიშის დროს. ამას გარდა, ბონტამ-ლეფორმა მოანესრიგა აბას მირზას ბანაკი, ქვეითებს თოფის ვაზნების დამზადება ასწავლა, ლაშქარი ზედმეტი ბარგისგან გაათავისუფლებინა, არტილერისტებს ყუმბარების ნონის შემცირების ხარჯზე ზარბაზნის დატენვის სიმძლავრე შეუმცირა, დაადგინა სხვადასხვა სამხედრო ნოდებებისთვის წლიური ხელფასები და შექმნა უნიფორმის მოდელი, რაც სპარსეთში აგრეთვე არ არსებობდა და სხვ.

1. აბას მირზა. თავისი პორტრეტი მეფისნულმა კაპიტან ოგიუსტ დე ბონტამ-ლეფორს 1807 წლის 1 ნოემბერს უსახსოვრა „ნიშნად მეგობრობისა და იმ სურვილითაც, რომ საფრანგეთშიც სცოდნოდათ საფრანგეთის გულითადი მეგობარი პრინცის სახის ნაკვთები“ (ბონტამ-ლეფორი 1807: 179).

აბას მირზას სამსახურში კაპიტანი 1807 წლის 1 ნოემბრამდე, სპარსეთში გენერალ გარდანისა და მისი მისიის ჩასვლამდე დარჩა (AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 36, fol. 72r-75v; Bontems, S. d.: 4, 104-108, 124-136, 153-174).

ამგვარად, სპარსეთში ნაპოლეონის მიერ ნარგზავნილ ოფიცერთაგან აბას მირზას ლაშქრის რეორგანიზების პირველი ეტაპი კაპიტანმა დე ბონტამ-ლეფორმა დაიწყო.

გენერალ გარდანის მისიის ოფიცრების საქმიანობა აზერბაიჯანში. ფათჰ-ალი შაჰის პირველ ვეზირს, მირზა შაფისა და საფრანგეთის სრულუფლებიან მინისტრს, გენერალ გარდანს შორის 1808 წლის 20 თებერვალს გამართული მოლაპარაკებების დროს სპარსეთში ევროპული (ფრანგული) სამხედრო რეფორმის გატარების მიმართ თეირანის კარს ფრთხილი დამოკიდებულება გამოჩნდა. გენერლის კითხვაზე, კვლავ დაბეჯითებით სურდა თუ არა შაჰს თავის ჯარში ევროპული სამხედრო სისტემის შეტანა, ვეზირმა უპასუხა:

> რადგან ეს მნიშვნელოვანი საქმე სირთულეებითაა სავსე და ვნახეთ, რომ მისი უმაღლესობა სულთანი[10] დაიღუპა, რადგან ამ ინოვაციის წინააღმდეგ აჯანყებულმა ჯარმა ის ტახტიდან ჩამოაგდო, ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ამ საკითხს დიდი სიფრთხილით მივუდგეთ. ამ სისტემას ჯერ მისი სამეფო უმაღლესობა აბას მირზა გაატარებს აზერბაიჯანში, ხოლო როდესაც სპარსელები თავად მიიჩნევენ თავიანთ ლაშქარში ამ რეფორმის მიღების ჭეშმარიტ უპირატესობას, როდესაც ამ ახალ წესს თვალიც შეეჩვევა, მისი უმაღლესობა შაჰი მხოლოდ მაშინ უბრძანებს ამ სამხედრო სისტემის მთელ იმპერიაში შემოღებას (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 25, fol. 177r-178r).

ამ მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ თეირანის კარის ასეთი მიდგომა მხოლოდ ოსმალეთის იმპერიაში განვითარებული მოვლენების მაგალითით არ იყო გამოწვეული: 1809-1811 წლებში სპარსეთში ინგლისის მისიის მდივნის, ჯეიმს მორიერის ცნობით, ფრანგები მეტად მონდომებულები ყოფილან ლაშქრის შირაზში გაწვრთნით, ბუშეჰრში კი თავიანთი რეზიდენტის გაგზავნით, მაგრამ ეს შაჰმა არ ისურვა, რათა „სპარსეთის ყურეში ინგლისელებს ფრანგების მეტოქეობა არ აღმოეჩინათ“ (მორიერი 1812: 30). ამგვარად, ფათჰ-ალი შაჰი სამხედრო რეფორმის გასატარებლად არა მხოლოდ სპარსელთა დარწმუნებას უცდიდა, არამედ თავისი სამხრეთელი მეზობლის – ოსტ-ინდოეთის კომპანიის მესვეურების გაღიზიანებასაც ერიდებოდა. აზერბაიჯანში ახალი სამხედრო წესების დანერგვა კი შაჰის მხრიდან პრაგმატული გადაწყვეტილება იყო: ის ამ გზით იმედოვნებდა რუსებისგან მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების გამოხსნას და საქართველოს დაბრუნებას.



2. ოგიუსტ დე ბონტამ-ლეფორის მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი, AMFAE, MD/Perce, vol. 7, doc. 36

ამგვარად, თეირანის კარის გადაწყვეტილებით, 1807 წლის ნოემბერში გენერალ გარდანის მისიის წევრ ოფიცრებს აბას მირზას ლაშქრის განვრთნა დაევალათ. ჰუსართა პოლკის კაპიტანმა, შარლ პეპენმა, აბას მირზას ცხენოსნების ერთი ბატალიონი განვრთნა (დიუმა 1915: 61). კაპიტანმა ვერდიემ[11] სამი ფრანგი სერჟანტის – ფინოს, მარეშალისა და დამრონის დახმარებით ევროპული ყაიდის ინფანტერიის ექვსი ბატალიონი ჩამოაყალიბა და გააუქმა მოლაშქრეთა მათრახით დასჯა, მეფისნულმა მასვე დაუქვემდებარა 150 რუსი დეზერტირიც. ფრანგი ოფიცრების ძალისხმევით განვრთნილი ჯარისკაცები – სარბაზები,[12] 1808 წლის მაისში უკვე შეიარაღებულები იყვნენ თავრიზში დამზადებული ფრანგული მოდელის თოფებით. ამ ახალი ნაწილების უნიფორმაც მიახლოებული იყო ფრანგულთან და შედგებოდა გულზე თეთრი მეტალის ღილებიანი ყავისფერი ქურთუკის, ცისფერი შარვლისა და მოკლეყელიანი ჩექმებისგან, მაგრამ მებრძოლები კვლავ შავი კარველის ასტრახანულ ქუდებს ატარებდნენ და უფრო მეტი მხედრული იერის მისაცემად მას ფრთით რთავდნენ (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 305r-305 v; აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, 1982: 227; ტანკუანი 1819: II, 163-1654). გენერალ გარდანის ადიუტანტის, ლეიტენანტ ტრეზელის[13] ცნობით, სპარსეთში ინფანტერია ყოველთვის ნაკლებად იყო დაფასებული, მაგრამ გენერალ გარდანის დირექტივებისა და კაპიტან ვერდიეს მიერ ჩატარებული წვრთნის შემდეგ ჯარის ამ სახეობის ღირსება ძლიერ ამაღლდა და „მას ისეთი მნიშვნელობა მიეცა, როგორიც მანამდე არასოდეს არ ჰქონია აღმოსავლეთში“ (AMFAE, MD/Perse: vol. 3, doc. 4, fol. 119v; vol. 6, doc. 30, fol. 188r-188v). 1808 წლის მაისში ნაპოლეონისადმი გაგზავნილ წერილში აბას მირზა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა კაპიტანი ვერდიეს სამსახურის გამო და იმპერატორს მის დაწინაურებას სთხოვდა (AMFAE, CP/Perse, vol. 17, doc. 74, fol. 87r-88r).

პირველი სამხედრო სკოლის დაარსება სპარსეთში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია გენერალ გარდანის მისიის წევრის, კაპიტან არმან-ფრანსუა ლამის[14] მიერ შედგენილი ნარკვევი თავრიზში სამხედრო სკოლის ჩამოყალიბების შესახებ, რომლის მიზანი სპარსული რეგულარული საჯარისო ნაწილების ოფიცრების მომზადება იყო (*Essai sur un projet d'Ecole militaire dont l'objet seroit de former des officiers pour les troupes persanes régulièrement organisés*, 12.11.1807). ეს გეგმა პირველ რიგში ითვალისწინებდა ზუსტი მონაცემების დადგენას საჯარისო ნაწილების, ოფიცრების წოდებების, მათი გავლენისა და ფუნქციების შესახებ. კაპიტანი ლამი მიიჩნევდა, რომ სპარსელ ოფიცრებს აუცილებლად უნდა

შეესწავლათ: 1. გეომეტრიის ელემენტები გეგმებისა და ფორტიფიკაციის რუკების დასახაზად; 2. ადგილის აგეგმვა დაზვერვის მიზნით; 3. საველე ფორტიფიკაციის, ბანაკის ნახაზისა და საველე ტიპის თავდაცვითი ნაგებობების მოკლე დახასიათების მომზადება; 4. შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება; 5. ლაშქრობის დროს ხიდების შენება და მდინარეზე გადასვლა; 6. ადგილზე ფორტიფიკაციების მეტად მოკლე აღნერა, მათი დაზვერვისა და მასზე იერიშის მიტანის საშუალებები; 7. კარგად დასაბუთებული მოხსენება ერთ-ერთი უკანასკნელი ომის შესახებ. სპარსელ ოფიცრებს უნდა შესძლებოდათ: 1. მოკლე ინფორმაციის მომზადება ადგილებსა და ბანაკებში სამსახურის სამაგალითოდ ორგანიზების, წარმართვისა და შიდა პოლიტიკის შესახებ; 2. ინფანტერიის მანევრირებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების შესწავლა მის პრაქტიკულად განხორციელებამდე; 3. მოწინააღმდეგის ქვეყნის შესწავლა და გეოგრაფიული რუკის მნიშვნელობის განმარტება სამხედრო დაზვერვის მიზნით; 4. მკაფიო წარმოდგენის შექნმა არტილერიის გამოყენების დიდი საჭიროებისა და ეფექტურობის შესახებ; 5. მკაფიო წარმოდგენის შექმნა საველე ფორტიფიკაციისა და მისი გამოყენების შესახებ; 6. საფრანგეთის ჯარის ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძოლის ანგარიშის განხილვა, ყოველი მოქმედების დაწვრილებით განმარტება, მტრების შეცდომების ჩვენება. ამას გარდა, ეს პროგრამა ითლისნინებდა ყოველდღიურად, ზუსტად განსაზღვრულ დროს, ფრანგულის გაკვეთილების ჩატარებას იმ ოფიცრებისთვის, რომელთაც კარგი ჯარისკაცების მომზადება ენდომებოდათ (AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 32, fol. 39v-40r). საინჟინრო საქმეთა კაპიტანმა ლამიმ ათ ახალგაზრდა სპარსელს შეასწავლა ფორტიფიკაციის წესები, ტოპოგრაფიული ნახაზების მომზადება და ფრანგულად წერა-კითხვა, მრავალგზის დაზვერა არაქსის საზღვარი და იქ საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩაატარა, 1809 ნლის გაზაფხულზე მისი გეგმით თავრიზში, მეფისნულის სასახლემდე მისასვლელ მოედანსა და აგრეთვე ნახჭევანის მახლობლად აშენდა ყაზარმები (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 305r). 1819-1821 ნლებში აბას მირზას სამსახურში მყოფი ნაპოლეონის ყოფილი ოფიცერი, თეოდორ ეტიე წერდა, რომ აბას მირზას პირადი მდივანი მირზა მასუდი საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად, რაც კაპიტან ლამის დამსახურება იყო (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29, fol. 250r).

აღსანიშნავია, რომ მოლაშქრეების კარგად გასაგვრთნელად კაპიტნებმა ვერდიემ და ლამიმ, აგრეთვე სამივე სერჟანტმა სპარსული ენა შეისწავლეს (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 305r-305v).

აბას მირზას ლაშქარში ევროპული (ფრანგული) სამხედრო რეფორმის შედეგი. გენერალ გარდანისა და მისი მისიის წევრი ოფიცრების მიერ აბას მირზას ლაშქარში გატარებული რეფორმების შესახებ არაერთი სამხედრო პირი თუ დიპლომატი წერდა. 1812 წელს აბას მირზასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი რუსი დიპლომატი ვილჰელმ ფონ ფრეიგანგი აღნიშნავდა, რომ სპარსელთა ლაშქარში წესრიგი გენერალმა გარდანმა შეიტანა (ფრეიგანგი 1816: 252). 1812-1813 ნლებში აბას მირზას სამსახურში მყოფი პოლკოვნიკი გასპარ დრიუვილი წერდა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები აბას მირზას ლაშქარში მხოლოდ გენერალ გარდანის მისიის ოფიცრების ჩასვლის შემდეგ დაიწყო, თორემ რუსეთის ჯარს არაფერი არ შეუშლიდა ხელს თეირანზე გალაშქრებაში (დრიუვილი 1825: II, 74, 76). ინგლისელი დიპლომატი, ჯეიმს მორიერი ობიექტურად აფასებდა სპარსეთში ფრანგების დამსახურებას და აღნიშნავდა, რომ არდებილის უკიდურესი სამხრეთით ევროპული ტიპის კვადრატული ფორტი და ხოის ფორტიფიკაცია გენერალი გარდანის ოფიცრების აშენებული იყო (მორიერი 1818: 253, 305). 1817 ნელს სპარსეთში წარგზავნილი რუსეთის ელჩის, საფრანგეთთან რუსეთის მონანილეობით წარმოებული ყველა ომის მონაწილე გენერალ ალექსეი ერმოლოვის აზრით, ფრანგები მეტ ხანს რომ დარჩენილიყვნენ სპარსეთში და მათთვის ჩვეული ხელოვნებით სპარსელებში პატივმოყვარეობა გაეღვიძებინათ, მათი მიდრეკილებებისათვის კი შესაბამისი მიმართულების მიცემის საშუალება ჰქონოდათ, სპარსეთი სასიკეთოდ შეიცვლებოდა (პოგოდინი 1864: 677). 1839-1841 ნლებში სპარსეთში გრაფი ედუარდ სერსეის მეთაურობით მივლინებული საფრანგეთის ელჩობის წევრი, ცნობილი ფრანგი მხატვარი ეჟენ ფლანდინი მიუთითებდა, რომ გენერალ ტრეზელის დამსახურება იყო სპარსეთის შესახებ მეცნიერული ნაშრომების შექმნა, ხოლო გენერალ ფავიეს[15] მიერ ისფაჰანში დაარსებულმა არსენალმა დასაბამი დაუდო იმ მსუბუქი არტილერიის წარმოებას, რომელიც მოჰამად შაჰს (1834-1848) ჰქონდა იმჟამად (ფლანდინი 1851(I) : 497). 1844-1854 ნლებში სპარსეთში ინგლისის ელჩი, გენერალი სერ ჯასტინ შეილი აგრეთვე დადებითად აფასებდა სპარსეთში გენერალი გარდანის მისიის საქმიანობას (შეილი 1856: 380).

ცნობილი ირანელი ისტორიკოსი, საიდ ნაფისი საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებას უარყოფითად აფასებდა და მას ირანის პოლიტიკურ მარცხს უნოდებდა (შარაშენიძე 1984: 105). მართალია, ამ ხელშეკრულებას სპარსეთისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური შედეგი, კერძოდ კი, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისნინებული საქართველოს დაბრუნება არ მოჰყოლია, მაგრამ უნაყოფოდაც არ ჩაუვლია. აღნიშნული ხელშეკრულების თექვსმეტი მუხლიდან საფრანგეთმა პრაქტიკულად მე-7 მუხლი შეასრულა და, ამგვარად, გენერალი გარდანი და მისი მისიის წევრი ოფიცრები გარკვეულწილად რუსეთ-სპარსეთის შეიარაღებული დაპირისპირების მონაწილეები აღმოჩნდნენ, რაც ტილზიტში საფრანგეთსა და რუსეთს შორის (7.07.1807) დადებულ საზავო ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა.



3. კაპიტან არმან-ფრანსუა ლამის მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი, AMFAE, MD/Perce, vol. 7, doc. 32

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ენ ლემბტონის აზრით, ევროპული სამხედრო მისიების გავლენა სპარსეთის შეიარაღებულ ძალებზე მცირე იყო (ლემბტონი 1993: 151). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ ნაპოლეონის ოფიცრების მიმართ, რადგან კაპიტნების – ბონტამ-ლეფორის, ლამის, ვერდიეს, პეპენის, აგრეთვე სერჟანტების – ფინოს, მარეშალისა და დამრონის მონდომება საკმარისი აღმოჩნდა დროის მცირე მონაკვეთში აბას მირზას ლაშქარში საგრძნობი ცვლილებების შესატანად, რუსეთთან საომარი მოქმედებების დაწყების დროისთვის კი კაპიტან ლამის მიერ რუსეთის საზღვართან უკვე ჩატარებული იყო საფორტიფიკაციო სამუშაოები.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ერევნის ციხის ალყის დროს მისი გარნიზონის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება, რაც, აგრეთვე, ფრანგი ოფიცრების აზერბაიჯანში ყოფნით იყო გამოწვეული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფრანგი ოფიცრები აზერბაიჯანში მხოლოდ „პასიური სტუმრების სტატუსით“ არ შემოფარგლულან. მართალია, მათ მხოლოდ აზერბაიჯანის ლაშქრის გაწვრთნის ნება მისცეს, მაგრამ თეირანის კარის ეს ნაბიჯი ისევ სპარსეთისთვის აღმოჩნდა მეტად სასარგებლო. 1808 წლის 11 დეკემბერს გენერალი გუდოვიჩი[16] ერთ-ერთ წერილში ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ერევნის ციხისა და ეჩმიაძინის მონასტრის დასათვალიერებლად საგანგებოდ იყო გაგზავნილი სამხედრო საინჟინრო საქმეთა კაპიტანი (კაპიტანი ლამი – ი.ნ.), ერევნის ციხე კი ევროპული ნესით იყო გამაგრებული ორი კედლით, ნინ თხრილით და ზარბაზნებით, რასაც სპარსელები ადრე არასოდეს არ აკეთებდნენ (აქტები 1869: III, 249, 508-510, 515-516). ის ფაქტი, რომ 1808 წლის შემოდგომაზე გენერალმა გუდოვიჩმა ერევნის ციხე ვერ აიღო და ოცი წლით გახანგრძლივდა ერევნის სახანოს სპარსეთის შემადგენლობაში დარჩენა,[17] დიდწილად სწორედ ფრანგი ოფიცრების მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგი გახლდათ. გენერალ რომიეს ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსელი მებრძოლი წვრთნას საჭიროებდა, ხოლო 1806 წელს თავრიზის ბეგლარბეგის აპმედ ხანის ვარაუდი, ევროპულ ყაიდაზე განვრთნილი სპარსელი მეომრის შესაძლებლობის შესახებ, 1808 წლის ნოემბერში გამართლდა: ერევნის ალყის შემდეგ გენერალ გარდანი წერდა, რომ სპარსელი მეომარი მხოლოდ ხელმძღვანელობას და პირად მაგალითს საჭიროებდა (AMFAE, MD/Perse: vol. 6, doc. 19; vol. 7, doc. 3; გარდანი 1865: 127).

გენერალმა გარდანმა და ფრანგმა ოფიცრებმა ამგვარ საომარ ვითარებაში ჩაუყარეს საფუძველი ყაჯართა ლაშქარში ევროპული სამხედრო სისტემის დამკვიდრებას, აზერბაიჯანი კი სპარსეთის სამხედრო ინოვაციის ცენტრი გახდა.

ეს იყო სპარსელებისთვის ომში გაწეული პირველი ევროპული დახმარება.

შენიშვნები

1. მეფისნულ აბას მირზას წოდება იყო ნაიბ-ოს სალთანე (*nâyeb-os saltaneh*) ანუ მეფის ნაცვალი, რაც მას თავისი მამის – ფათჰ-ალი შაჰის სახელით უცხოელებთან მოლაპარაკებების წარმოების უფლებას აძლევდა (ებრაჰიმნეჯადი 1999: 272, 289).
2. ანტუან-ალექსანდრ რომიე (1764-1805) – გენერალი, საპატიო ლეგიონის ოფიცერი, 1802-1804 წლებში კორფუში საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობათა გენერალური კომისარი. იგი 1805 წლის 24 სექტემბერს ჩავიდა თეირანში, სადაც 12 ოქტომბერს გარდაიცვალა (გოტერი 1993: № 468, 412-413). იმუამად ოსმალეთში მყოფ ფრანგ და რუს რეზიდენტთა ცნობების თანახმად, ალექსანდრე რომიე ინგლისელებმა მოანამვლინეს (AMFAE: CP/Perse: vol. 8, doc. 163, 164, 165, 169; vol. 9, doc. 8, 10, 18, 52; MD/Perse, vol. 6, doc. 19; AN, AF IV, 1686, doc. 16, fol. 12). გენერალ გარდანის ვაჟი, ალფრედ დე გარდანი წერდა, რომ ფრანგი ოფიცრის სიკვდილს თეირანის კარზე პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნევდნენ (გარდანი 1865: 69).
3. ნაპოლეონის სურვილის შესაბამისად, საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრმა, ტალეირანმა, 1804 წელს ბაღდადში საფრანგეთის კონსულს, ჟან-ფრანსუა ქსავიე რუსოს, სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მასალის მომზადება დაავალა. ამ თხზულებას ხელს აწერს ჟ.-ფ. რუსოს ვაჟი, ჟოზეფ რუსო. ამ ხელნაწერის შესწავლა მოწმობს, რომ ის 1806 წლის მარტის შუა რიცხვებში დასრულდა, მინისტრს კი 1806 წლის აგვისტოში ჰქონდა ხელთ (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 41, fol. 83r-83v). ამიტომ ვფიქრობთ, რომ მასზე მითითებული თარიღი, 1807 წელი, საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტროში არქივში მისი გადაცემის დროს აღნიშნავს. ჟან-ბატისტ-ლუი-ჟაკ (ჟოზეფ) რუსო (1780-1831) იყო საფრანგეთის გენერალური კონსული ბასრაში (1805-1808), ალეპოში (1808-1814), ბაღდადსა (1814-1824) და ტრიპოლიში (1824-1831). აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში განეული სამეცნიერო მოღვაწეობისათვის არჩეული იყო საფრანგეთის დამწერლობისა და სიტყვიერების აკადემიის წევრად, ხოლო მრავალი წლის მანძილზე აღმოსავლეთში საფრანგეთისათვის განეული დიპლომატიური სამსახურისათვის მთავრობამ მას ბარონის ტიტული უბოძა (რუსო 1899: iv-xv; დეერენი 1930: II, 26-27).
4. პიერ-ამედე-პრობ-ემილიენ ჟობერი (1779-1847) საპატიო ლეგიონის ოფიცერი, საფრანგეთის პერი (1845), თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე იყო. 1829 წელს მან დიდად შეუწყო ხელი ადრიანოპოლის ხელშეკრულების დადებას, რამაც დაასრულა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 ნლების ომი. იგი იყო საფრანგეთის დამწერლობისა და სიტყვიერების აკადემიის წევრი (1830), პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი (1835), პარიზის სააზიო საზოგადოების პრეზიდენტი (1838) და პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების სკოლის დირექტორი (1838). მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები (ჟობერი 1997: 6-12).
5. პოლკოვნიკ გასპარ დრიუვილის ცნობით, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთში მრავალი რუსი დეზერტირი გაიქცა და სნორედ მათ ჩაიტანეს იქ პირველი ცოდნა ევროპული სამხედრო ტაქტიკის შესახებ. თავრიზის ბეგლარბეგის აჰმად ხანის ხელშეწყობით ისინი ოფიცრებად დაუნიშნავთ და მათგან რამდენიმე ბატალიონიც ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ ისინი იმდენად არასრულყოფილი ყოფილა, რომ მალევე დაშლილა (დრიუვილი 1825: II, 67).
6. ლეიტენანტმა ოგიუსტ-ფრანსუა დე ბონტამ-ლეფორს (1782-1864) 1805 ნლის შემოდგომაზე აუსტელიცთან მიმდინარე ბრძოლების დროს გამოჩენილი მამაცობისთვის კაპიტნის ჩინი მიანიჭეს და საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოვეს. მისი ეს საგმირო საქმე ასახულია პარიზში ვანდომის მოედანზე მდგარ კოლონაზე. შემდგომში საპატიო ლეგიონის კომანდორი პოლკოვნიკი ბონტამ-ლეფორი ჟენევის ნარმომადგენლობითი საბჭოს წევრი (1814, 1831), შვეიცარიის კანტონების ასამბლეის დეპუტატი (1832, 1833, 1835) იყო (ლეკონტი 1864: N 9, 132-136).
7. „მუხლი 7. მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფე ვალდებულებას იღებს მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორის ნინაშე, რათა იმ რაოდენობით გაგზავნოს არტილერიის, საინჟინრო საქმეთა და ქვეითი ჯარის ოფიცრები, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორი ადგილების გასამაგრებლად და სპარსული არტილერიისა და ქვეითი ჯარის ევროპული სამხედრო ხელოვნების მიხედვით ორგანიზებისათვის" (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 97, fol. 166v).
8. პატარა ზარბაზანი, ზამბურაქი, აქლემის კუზის ნინა მხარეს მაგრდებოდა და მას აქლემის კუზის უკან მუდარი ზამბურაქჩი მართავდა. სროლის დროს აქლემს აჩოქებენ. ამ დანადგარს უფრო სააღლუმო დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე საბრძოლო და სხვა სარგებლობა, გარდა მცირე ხმაურისა ფათჰ-ალი შაჰის ცხენზე შეჯდომის მომენტში, არ ჰქონდა. ამ სამსახურში 500 აქლემი იყო გამოყენებული, რაც დიდ ხარჯს მოითხოვდა (AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 4, fol. 119v, 121r; SHAT, 1M, n° 1673, N 11, fol. 121; დიუპრე 1819: II, 297; ტანკუანი 1819: II, 76-78; გარდანი 1868: 124-125).
9. ფათჰ-ალი შაჰის მმართველობის დროს სპარსეთის უმაღლეს სამხედრო იერარქიაში, სადაც ნამყვანი ადგილი ყაჯარებს და სამხედრო ნომადურ არისტოკრატიას ეჭირა, აბას მირზას არტილერიას მეთაურობდა „ქართველი სენიორი, თიმურათ-ხანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის ოჯახიდან" (ტანკუანი 1819: II, 165-166). 1808-1811 ნლებში საქართველოს მთავარმართებელი, გენერალი ტორმასოვი ერთ-ერთ თავის მოხსენებით ბარათში ნერდა, რომ „ქართველი ბატონიშვილი თეიმურაზი, უკანასკნელი მეფის, გიორგის ვაჟი, სპარსეთში მთელ არტილერიას განაგებდა" (აქტები 1870: IV, д. 1445, №187, 948). ჩანს, ერეკლე II-ს შვილიშვილის ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშვნა პოლიტიკური მიზეზითაც იყო განპირობებული, რადგან სპარსეთში გადახვენილი ანტირუსული ორიენტაციის ქართველი ბატონიშვილისა და ყაჯართა ინტერესები ჯერ კიდევ ემთხვეოდა ერთმანეთს.
10. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა სულთან სელიმ III-ის (1789-1807) მიერ დასავლური ტიპის სამხედრო რეფორმის – „ნიზამი ჯედიდის" ანუ „ახალი სისტემის" – გატარების დაწყება იყო. რეფორმის დაწყება სულთანმა იანიჩართა მრავალრიცხოვანი კორპუსის განადგურებით გადაწყვიტა, რომელიც ხელშეუხებელ ინსტიტუტად ითვლებოდა და მის არსებობასა და ინტერესებზე თავდასხმა „ლამის ერის არსებობასა და ინტერესებზე თავდასხმის ტოლფასი იყო". სელიმ III რეფორმების გატარებას შეეწირა, მაგრამ მისმა ნამონყებამ ბიძგი მისცა ოსმალეთში ევროპული, კერძოდ კი, ფრანგული განმანათლებლური იდეების დამკვიდრებას (ჟუანენი 1849(IV): 228-232).; გიგინეიშვილი, 1963: 12; სვანიძე, 2002: 115-122).

11. კაპიტანი ვერდიე შემდგომში ინდრასა და ლუარას ლეგიონის პოლკოვნიკი იყო (ტანკუანი 1819: I, 129).
12. სარ-ბაბი (სპ.) სიტყვასიტყვით „თავთან მოთამაშეს“ ნიშნავს. ეს ტერმინი აღნიშნავდა მამაცს, თავგანწირულს, უშიშარს.
13. კამილ-ალფონს ტრეზელი (1780-1866), საპატიო ლეგიონის ოფიცერი, შემდგომში დივიზიის გენერალი (1837), საფრანგეთის პერი (1846) და სამხედრო მინისტრი (1847-1848) იყო (დიუმა 1915: 8; ბროკი 1992: 423).
14. არმან-ფრანსუა ლამი (1781-1839), საპატიო ლეგიონის ოფიცერი, შემდგომში გენერალი, დეპუტატი და ლუი-ფილიპეს (1830-1848) ადიუტანტი იყო (დებიდური 1904: 27).
15. გენერალ გარდანის მისიის წევრმა, არტილერიის ლეიტენანტი ფავიემ ლეიტენანტ რებულთან ერთად (რომელიც ესპანეთში მოკლეს) ისფაპანში არსენალი დააარსა და იქ 40 ზარბაზანი ჩამოასხა. შარლ-ნიკოლა ფავიე (1782-1855) – საპატიო ლეგიონის ოფიცერი, 1823 ნელს აჯანყებულ ბერძენთა მხარეს იბრძოდა როგორც ფრანგ მოხალისეთა ლეგიონის მეთაური, 1826-1827 წლებში ათენის აკროპოლისს იცავდა თურქთა შემოსევისაგან, არის საბერძნეთის ეროვნული გმირი. შემდგომში იგი გენერალი (1839), საფრანგეთის პერი (1845) და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი (1849) იყო (დებიდური 1904: 50; ბროკი 1992: 177).
16. ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი (1741-1820) – რუსეთის არმიის ფელდმარშალი (1807), დაიპყრო ბაქო, შაქისა და დარუბანდის სახანოები, 1807 წელს ოსმალთა ჯარი დაამარცხა არფაჩაისთან, მაგრამ ვერ აიღო ახალქალაქი (1807) და ერევანი (1808).
17. რუსეთ-სპარსეთის პირველი (1804-1813) ომის შემდეგ დადებული გულისტანის საზავო ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა ამიერკავკასიის დიდი ნაწილი და კასპიისპირა სახანოები მიიერთა, ხოლო ერევნისა და ნახჭევანის სახანოები რუსეთის იმპერიის ფარგლებში თურქმანჩაის (1828) საზავო ხელშეკრულებით რუსეთ-სპარსეთის მეორე (1826-1828) ომის დასრულების შემდეგ მოექცა.

დამოწმებანი

აბდ ორ-რაზაყ დომბოლი 1982: აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, მეფეთა საგმირო საქმეები. სპარსულიდან ქართულად თარგმნეს, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთეს ზ. შარაშენიძემ და ა. ჭეიშვილმა. თბილისი (ხელნაწერი დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. ნერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

აქტები, 1870: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, под ред. Ад. Берже, т. III, Тифлис, 1869.

აქტები, 1870: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, под ред. Ад. Берже, т. IV, Тифлис, 1870.

ბონტამ-ლეფორი 1807: Bontems-Lefort. Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année.

ბროკი 1992: N. Broc. Dictionnaire illustré des explorateurs et grands voyageurs français du XIXe siècle, vol I-II, Asie, avec la collaboration de Gérard Siary, Paris.

გარდანი 1895: Alfred de Gardane. Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire, Paris.

გარდანი 1809: Ange de Gardane. Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808, suivi d'un Vocabulario Italiano, Persico et Turco par le Prince Timurat-Mirza. Paris-Marseille.

გიგინეიშვილი, ო. 1963: ო. გიგინეიშვილი. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი.

გოტერი 1993: N. Gotteri, "Antoine-Alexandre Romieu (1764-1805), général et diplômʒt". In: Revue drômoise, archéologie, histoire, géographie, t. 88, trimestriel, № 468, pp. 411-456, Paris.

დებიდური 1904: A. Debidour. Le général Fabvier, sa vie militaire et politique, Paris,.

დეერენი 1929-1930: Henri Dehérain. La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate, 1742- 1824. Tome I-II, Paris (1929-1930).

დიუმა 1915: Général J.-B. Dumas. Un fourrier de Napoléon vers l'Inde, Les papiers du Lieutenant Général Trézel. Paris.

დიუპრე 1819: A. Dupré. Voyage en Perse, fait dans les années 1807, 1808 et 1809. Vol. I-II, Paris.

დრიუვილი 1825: G. Drouville. Voyage en Perse, fait en 1812 et 1813. Vol. I-II, Paris.

ებრაჰიმნეჯადი 1999: Ebrahimnejad, H., Pouvoir et succession en Iran. Les premiers Qʒjʒr, 1726-1834. Société d'histore de l'Orient. L'Harmattan. Paris.

ვენსენის არქივი: Chʒteau de Vincennes. Service historique de l'Armée de Terre, (SHAT). Perse 1807-1857, 1M n° 1673, doc. 11.

კალმა 1935: Н. Кальма. "Коммерческие замыслы Грибоедова", Литературное наследство, Москва, т 19-21, сс. 143-176.

ლეკომტი 1864: F. Lecomte. Le Colonel Auguste Bontems. Nécrologie. Revue Militaire Suisse, N 9, 27 Avril. Imprimerie Pache, Lausanne.

ლემბტონი 1993: A. K. S. Lambton, "Social Change in Persia in the Nineteenth Century", in: The Modern Middle East, London, Tauris.

მორიერი 1812: J. Morier. A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809. London.

მორიერი 1818: J. Morier. A Second Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor to Constantinople, Between the Years 1810 and 1816, London.

პოგოდინი 1864: М. Погдинъ. "А. П. Ермолов. Матеріялы для его біографіи". Оттиск из журнала Русскій Вестник, Москва.

ჟუანენი 1847(IV): Joseph Jouannin et Jules Van Gaver, 1849: Histoire de Turquie. Avec des notes. Série historique – IV. Bruxelles: V. Devriede, Editeur.

ჟობერი 1821: P. Am. Jaubert, Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806. Paris.

რუსო 1899: J.-B. Louis Jacques, Rousseau. Voyage de Bagdad à Alep (1808). Publié d'après les manuscrits inédits de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris. Paris .

საფრანგეთის ეროვნული არქივი: Archives Nationales (AN): AF IV, 1686, doc. 16.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Correspondances Politiques, Perse (CP/Perse): vol. 8, 163, 164, 165, 169; vol. 9, doc. 8, 10, 15, 27, 41, 52, 97, 155, 198; vol. 11. doc. 181; vol. 17, doc. 74.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Mémoires et Documents, Perse (MD/Perse): vol. 2, doc. 29; vol. 3, doc. 2, 4; vol. 6, doc. 19, 25, 30; vol. 7, doc. 32, 36.

სვანიძე 2002: მ. სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ტ. II, თბილისი.

სოლთან აჰმად მირზა 1997: Soltān Ahmad Mīrzā. Tārīkh-e Āzādī, ta'līf-e Shāhzādeh Āzād-oddouleh Soltān Ahmad Mīrzā, bā touzīhāt va ezāfāti az doktor 'Abdolhoseyn Navā'ī. Tehran.

ტანკუანი 1819: J. M. Tancoigne. Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie. Vol. I-II, Paris.

ფლანდინი 1851: E., Flandin, P. Coste, 1851: Voyage en Perse de MM. Eugène Flandin, peintre, et Pascal Coste, architecte attachés a l'' ambassade de France en Perse pendant les années 1840 et 1841, Tomes I- II, Relation du voyage par M. Eugène Flandin, Paris: Gide et J. Baudry.

ფრეიგანგი 1816: Freygang. Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse, en 1812, Hambourg.

შარამენიძე 1984: ზ. შარამენიძე. ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში. თბილისი.

შეილი 1856: Lady Mary Leonora Sheil. Glimpses of Life and Manners in Persia. – With Notes on Russia, Koords, Toorkomans, Nestorians, Khiva, and Persia. With Illustrations. London, John Murray, Albemarle Street, London.

INFORMATION BY NAPOLEON'S EMISSARIES ABOUT ABBAS MIRZA'S ARMY DURING THE FIRST RUSSO-PERSIAN WAR (1804-1813)

Irine Natchkebia

The paper focuses on information provided by Napoleon's emissaries about the Persian army in the first decade of the 19th century. The article is based on historical documents preserved in the French archives. First information about military weakness of Persia is given in the letter of General Alexandre Romieux (1805), in the *Tableau de la Perse* by Joseph Rousseau (1806), and in the reports by Amédée Jaubert (1807).

Captain Auguste de Bontems-Lefort, a member of General Gardane's mission in Persia (1807-1809), began the military reform in the absolutely disordered military units of Abbas Mirza. The captain liberated the army of extra baggage, trained recruits, drawed plans for fortifications, led the various repair works, etc. Thus, among the officers sent to Persia by Napoleon in 1805-1809, it was Captain Bontemps-Lefort who began the first stage of the reorganization of the Crown Prince militia. The other members of the same mission, the infantry captain Verdier and three sergeants with great effort trained six battalions of infantry in Azerbaijan. Captain Pépin trained one batalion of Abbas Mirza's cavalry. The engineering captain Lamy established the first European style military-engineering school in Tebriz where he taught fortification rules, topographic drafts and French language to some of Persia's young elite.

The famous Iranian historian Said Nafisi wrote that the Franco-Persian Treaty (4.05.1807) had no results for Persia. However, though this Treaty had no significant political results, it was not fruitless for Persia. Of the sixteen articles of Treaty, France practically only fulfilled article 7, to send as many officers and engineers as the Fath-Ali Shah requested for the fortification of his fortresses and reorganization of his army in the European style. The fact that General Gudovich could not take the Yerevan fortress in the fall of 1808, and the Khanate of Yerevan stayed in the hands of Persia for another twenty years, it was mostly the result of the work done by the French officers during one year.

This was the first European aid given to the Persians during the war.

საარქივო მასალების ტექსტოლოგიური კვლევა ციფრულ ეპოქაში

მაია ნინიძე
მაია ჯანგიძე

თხზულებათა ტექსტოლოგიური კვლევისა და აკადემიურად გამოცემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საარქივო მასალების ანალიზს. ეს დოკუმენტები უმრავლეს შემთხვევაში ყველაზე სარნმუნო ნყაროებია როგორც ტექსტის დასადგენად, ისე მისი ისტორიის შესასნავლად. სასულიერო ხასიათის უძველესი ტექსტები, ისევე, როგორც შუა საუკუნეების მხატვრულ თხზულებათა დიდი ნანილი, შემორჩენილი გვაქვს ხელნანერების სახით, რომელთა უდიდესი ნაწილი პოლიგენური და უნიკალურია. ამის გამო თითოეულს შეიძლება დამოუკიდებელი გამოცემაც კი ვუნოდოთ.

უძველესი ხელნანერები ავტოგრაფები არ არის. ინტერვალი ტექსტის შექმნასა და შემორჩენილ ნყაროებს შორის შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" 951 ნელს შექმნილმა ტექსტმა ჩვენამდე XII საუკუნით დათარიღებული ერთადერთი ხელნანერის სახით მოაღნია, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტმა კი მისი შექმნიდან ოთხი საუკუნით და უფრო გვიან გადანერილი ასლებით. ტექსტის ტრანსმისიის ტრადიცია შეიძლება იყოს დინამიური, ანუ იგი რეგულარულად მრავლდებოდეს, ან სტატიკური – დიდი ხნის განმავლობაში სულ რამდენიმე ნყარო შეიქმნას. ამას ძირითადად განაპირობებს ტექსტის შინაარსი და მისი აქტუალობა. თუ უძველესი ტექსტების ხელნანერ ასლებს ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს, გვიანდელ ტექსტებთან მიმართებით ასეთი ღირებულება აქვს ძირითადად ავტოგრაფებს და ავტორის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებს.

ნერილობით მემკვიდრეობას, როგორც მრავლისმომცველი ინფორმაციის ნყაროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული და ფილოლოგიური კვლევებისათვის. ტექსტი არ არის მატერიალური საგანი. იგი აბსტრაქტული კონცეფცია, აზრი, იდეაა, მაგრამ ტექსტსა და მის არტეფაქტებს შორის სასიცოცხლო კავშირია. რამდენადაც უძველესი ტექსტების ტრანსმისია ხდებოდა მხოლოდ ხელნანერების სახით, მათი რაოდენობა კი შეზღუდული იყო, თუ არსებული ნყაროები იკარგებოდა, მათთან ერთად ქრებოდა თავად ტექსტიც. თითოეულ დაკარგულ ხელნაწერს თითქოს თან გაჰყვა ჩვენი ისტორიის ნაწილი, რომელსაც ვეღარ აღვადგენთ. ამიტომ, მე-19 საუკუნეში, როდესაც ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა სრულად გააცნობიერეს ისტორიის მნიშვნელობა და დაიწყეს მისი მეცნიერული კვლევა, იმთავითვე შეუდგნენ ზრუნვას ხელნაწერთა შეგროვებასა და საიმედოდ დაცვაზეც. ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე წერდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ თვალსაზრისით იერუსალიმსა და ათონის მთაზე დაცულ ხელნანერებს:

> ...იერუსალმეთში და ათონის მთაზე არის მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც ვინ იცის რამდენ ძვირფას მასალას შეიცავს ჩვენი ძველ ისტორიისა და ლიტერატურისათვის. სულის საქმეს გარდა, ეს ორი გარემოება უნდა გვაიძულებდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს ჩვენ, ახლანდელ ქართველებსა და გვაფიქრებინებდეს ამ ჩვენ ძვირფას საუნჯის უკან დაბრუნებაზედ. ვიმეორებთ, იერუსალმეთისა და ათონის მთისაკენ მარტო სულის საქმე კი არ მიგვიზიდავს, არამედ საერო საქმეც (ჭავჭავაძე: 2007: 308).

ილიას მოწოდებას, რომ დაგვეცვა ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული ჩვენი ნერილობითი მემკვიდრეობა, მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ქართველ მამულიშვილთა ძალისხმევით შეუძლებელი იყო. მართალია, ორიოდე მეცნიერმა შეძლო ამ განძისთვის თვალის შევლება, მაგრამ იმის გამო, რომ მათი საქართველოში ჩამოტანა ვერ მოხერხდა, ადგილზე კი სათანადოდ არ იყო დაცული, ბევრი უძველესი ხელნანერი ფურცელ- ფურცელ გაიყიდა სხვადასხვა ქვეყანაში.

ხელნანერები სათანადოდ დაცული არც საქართველოს ტერიტორიაზე იყო. ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ნიჟარაძე გულისტკივილით წერდა სვანეთის უმდიდრესი ნერილობითი საგანძურის მდგომარეობის შესახებ:

> ...როდესაც სვანეთში ქრისტეს სნავლა აღყვავებული ყოფილა... მაშინ თითოეულს საყდარს ჰქონია ყველა საღვთო ნერილის ნიგნები ტყავზე დაწერილი. ამ 30 ნლის წინეთაც რომ შესულიყავით რომელიმე მიყრუებულ სოფლის ეკლესიაში, კუთხეში ან თავისებურ სანიგნეებზე ნახავდით გროვა-გროვად დანყობილ საღვთო ნერილის ნიგნებს პერგამენტზე დაწერილს, ყდიანსა და უყდოს, ახლა კი დიდ სოფლების შუაგულ ეკლესიაშიც ვეღარ ჰპოულობთ მათ. მანუსკრიპტები ან აფუშულ-დამპალან ანდა ვისაც მოუსწრია, ნაუღია (ნიჟარაძე 1904: 1).

ბესარიონ ნიჟარაძემ სხვადასხვა ეკლესიის გადასაყრელ ნივთებში მიაგნო ძვირფასი ხელნაწერების ცალკეულ ფურცლებს, ადიშის მაცხოვრის ტაძარში კი საარყე ქვაბში არჩვის რქების, ძველი ხატებისა და

ჯვრების ნამტვრევების გროვაში იპოვა 897 ნელს გადაწერილი სახარება. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ჩვენი ისტორიის ამსახველი ნერილობითი წყაროების დასაცავად საჭირო იყო მათი მუზეუმებსა და საგანგებო საცავებში განთავსება. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა:

> ...გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად. რაც შეიძლებოდა, მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში – იმ რწმენით, რომ როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში (თაყაიშვილი 1958: 162).

სწორედ, ამ წინაპრებისა და მათი თანამოაზრეების, დამსახურებაა იმ უმდიდრესი მემკვიდრეობის არსებობა, რომელიც დღეისათვის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ არქივში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმსა და სხვა საცავებში ინახება. დრო გადის, მეთოდები და ტექნოლოგიები ვითარდება და მეცნიერებს საშუალება ეძლევათ უფრო ღრმად და მრავალმხრივ შეისწავლონ წინაპართა დანატოვარი.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად დაიხვეწა ხელნაწერთა გენეტიკური კვლევის მეთოდოლოგია და უსაზღვროდ გაფართოვდა ტექსტოლოგიის ამ მიმართულების შესაძლებლობები. უძველესი ძეგლების დიდმა ნაწილმა ჩვენამდე ერთმანეთისგან განსხვავებული წყაროების სახით მოაღწია. განსაკუთრებით დიდ ცვლილებებს განიცდიდა ტექსტები ხელით გადაწერისას, ბეჭდვის შემოღებამდე. ზოგჯერ იცვლებოდა თხზულებათა სტრუქტურა და შეიძლება რამდენიმე ნანარმოებიც გაერთიანებულიყო. გენეალოგიური კვლევისას ტექსტოლოგი ეყრდნობა წყაროთა მონაცემებს, აჯგუფებს მათ, არკვევს ჯგუფებს შორის და მათ შიგნით ტექსტების ურთიერთშიმართებას, ადგენს არქეტიპს და აგებს წყაროების გენეალოგიურ ხეს (stemma codicum).

გენეალოგიური ხის შედგენა რთულდება, როცა შუალედური ტექსტები – შუალედური რგოლი აკლია, მაგრამ ამ სირთულის დასაძლევად საუკეთესო საშუალებაა ახალი მეთოდი, რომელიც ქალაქ მიუნსტერში ჩამოაყალიბა და ახალი აღთქმის კათოლიკე ეპისტოლეების ბერძნულენოვანი ტექსტების საკვლევად გამოიყენა გერმანელმა მეცნიერმა გერდ მინკმა და რომელსაც კოჰერენტულობაზე დამყარებულ გენეალოგიურ მეთოდს უნოდებენ. მეთოდი ითვალისწინებს ყველა არსებული ვარიანტული ნაკითხვის ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე ტექსტის არქეტიპისკენ გზამკვლევი სტრუქტურების კვლევას და ამ არქეტიპული სახის შექმნას. მეთოდის მთავარი პრინციპი ის არის, რომ ტექსტურ მონმეთა ურთიერთშიმართება ემყარება მათ ვარიანტულ ნაკითხვათა ურთიერთშიმართებას. თუ „ა" ტექსტის ნაკითხვები წინ უსწრებს „ბ" ტექსტისას, ჩნდება ვარაუდი, რომ „ა" შეიძლება იყოს „ბ"-ს წინამორბედი, ანუ ტექსტი მიედინება „ა"-დან „ბ"-სკენ (გარი 2016: 675-89).

კარლ ლახმანისეული „მსგავს შეცდომებზე" დამყარებული გენეალოგიური მეთოდი არქეტიპის რეკონსტრუქციას ახდენდა დედუქციით, კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი კი არქეტიპს მოზაიკასავით ანყობს ცალკეული მონაცემებიდან. იგი ეყრდნობა არა ხელნაწერების, როგორც არტეფაქტების, არამედ მათში დაცული ტექსტების, ე. წ. ტექსტური მოწმეების შესწავლას, რადგან ტექსტი, რომელსაც ხელნაწერი შეიცავს, გენეალოგიური თვალსაზრისით შეიძლება ბევრად უფრო ადრეული იყოს, ვიდრე თავად ხელნაწერი ან ეკუთვნოდეს სხვადასხვა პერიოდს. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ, სხვა გენეალოგიური მეთოდებისაგან არამსგავსად, კოჰერენტულობაზე დამყარებული მეთოდი ორიენტირებულია კონტამინაციით გამოწვეული წინააღმდეგობების დაძლევაზე (ვეტჩელი 2015; პარკერი 2011:84-94).

ძველი ტექსტების გადაწერა-გავრცელებისას ხშირად მიმართავდნენ კონტამინაციას ანუ ტექსტს ინერდნენ არა ერთი წყაროდან, არამედ რამდენიმედან. გადამწერს შეიძლება წერის მთელ პროცესში პარალელურად ესარგებლა რამდენიმე ანტიგრაფით და ტექსტის თითოეული ფრაზის ჩანერამდე შეეჯერებინა ერთმანეთთან მის ხელთ არსებული მონაცემები, შემდეგ კი სკრიპტორიუმის პრინციპების ან საკუთარი შეხედულებისამებრ, აერჩია თითოეული ნაირნაკითხვის ის ვერსია, რომელსაც დაეყრდნობოდა. მეორე მხრივ, შეიძლებოდა, რომ ტექსტის ერთი ნაწილი გადაეწერა ერთი წყაროდან, სხვა კი – სხვიდან. ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო თუნდაც ერთ-ერთი ხელნაწერის რაღაც ნაწილის დაზიანება ან ნაკლულობა. შეიძლება ტექსტის გადამწერს ესარგებლა ერთი ანტიგრაფით, მაგრამ თავად ეს წყარო ყოფილიყო კონტამინაციის გზით შექმნილი. რამდენიმე წინამორბედი წყაროდან წარმომავლობა ძალიან ართულებს ტექსტური მოწმეების გენეტიკური ურთიერთშიმართების გარკვევას. რაც უფრო მეტჯერ გადაიწერებოდა ტექსტი, მით უფრო შორდებოდა იგი პირველწყაროს. სტემატური სურათის აღსადგენად, როგორც აღვნიშნეთ, დიდ პრობლემებს ქმნის რომელიმე შუალედური რგოლის – შუალედური ტექსტური მონმის ჩვენამდე მოუღწევლობა. მეორე პრობლემური საკითხი, რომელიც ასევე ართულებს ტექსტურ მონმეებს შორის გენეტიკური ურთიერთშიმართების გარკვევას, არის

შემთხვევითობები, როდესაც ორ ყოველმხრივ განსხვავებულ ტექსტურ მოწმეში გვხვდება ცალკეული ერთნაირი ნაირწაკითხვები და ამის მიზეზი შემთხვევითობაა და არა კონტამინაცია.

ტექსტური მოწმეების ისტორიასთან და გენეალოგიურ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით გამოთქმული ნებისმიერი ჰიპოთეზა უნდა ითვალისწინებდეს ორსავე ასპექტს, როგორც კონტამინაციას, ისე ვარიანტული წაკითხვების შემთხვევით თანხვედრას. როდესაც ერთ ტექსტს ვადარებთ სხვას, ყოველთვის უნდა ვიფიქროთ, რომ მათგან თითოეულში შეიძლება იყოს როგორც მეორეზე ადრეული ვარიანტული წაკითხვები, ისე უფრო გვიანდელი. ტექსტოლოგიური ჰიპოთეზის გონივრულობაზე ერთ-ერთი მიმანიშნებელი არის მონაცემთა განმეორებადობა, მაგალითად, როდესაც კონკრეტული დოკუმენტის ტექსტი არაერთ ვარიანტულ წაკითხვაში უსწრებს წინ მეორე დოკუმენტისას.

შინაგანი კოჰერენტულობა (coherence – ერთიანი მთლიანობის ქმნადობის თვისება) ახასიათებს მთელ ტექსტუალურ ტრადიციას, მაგრამ ტექსტის მდგომარეობის ინდივიდუალურ გამოვლინებებს შორის კავშირი განპირობებულია სხვა სახისა და ხარისხის კოჰერენტულობით. ტექსტის მდგომარეობის განვითარებასთან ერთად, ტრადიციაში ჩნდება ძირითადი ტექსტური ნაკადი, რომლის ამა თუ იმ ადგილსაც იკავებს ინდივიდუალური ტექსტური მოწმე. ამა თუ იმ მოწმის შედარებითი პოზიციის მიმართება სხვასთან შეიძლება განისაზღვროს ამ ტექსტურ ნაკადში მისი პარამეტრების შესნავლით. განსახილველი მეთოდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კოჰერენტული ჯაჭვების შესნავლა და ტექსტური ნაკადის ანალიზი. მეთოდის სპეციფიკაში რომ გავერკვეთ, წინდაწინვე უნდა შევეხოთ მისთვის ფუნდამენტური კონცეპტების რაობას, ესენია: პრეგენეალოგიური კოჰერენტულობა, გენეალოგიური კოჰერენტულობა, ტექსტური ნაკადის დიაგრამა, სტემატური დიაგრამა და გლობალური სტემა.

პრეგენეალოგიური კოჰერენტულობა არის კონკრეტული ნაშრომის ორი წყაროს ვარიანტული თან-ხვედრების პროცენტული მიმართება ამავე ნაშრომის ყველა წყაროში დაფიქსირებული ნაირწაკითხვების საერთო რაოდენობასთან. იგი ერთნაირად ითვალისწინებს ნებისმიერი სახის სხვაობას, მცირესაც და დიდსაც. ტექსტურ მოწმეებს შორის ძლიერ პრეგეანოლოგიურ კოჰერენტულობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მათ ვარიანტებს შორის დიდი თანხვედრაა. პრეგენეალოგიური კოჰერენტულობის არარსებობა მიგვანიშნებს ვარიანტების შემთხვევითობაზე. მაგალითად, როდესაც ორ ტექსტს შორის თანხვედრები საერთოდ არ არის გარდა ერთადერთი შემთხვევისა, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს თანხვედრა შემთხვევითი იყოს.

კათოლიკე ეპისტოლეების ტექსტების კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდით კვლევის პირველი შედეგები გამოქვეყნდა 2012-2014 წლებში. მასში აღნიშნულია, რომ 123 ტექსტურ მოწმეში ფიქსირდება 3046 ნაირწაკითხვა. მეოთხე საუკუნის ორი ხელნაწერი, ვატიკანისა და სინური ამათგან 2999 და 2613 შემთხვევაში ერთმანეთს თანხვდება ზოგად ვარიანტულ ნაკითხვებში. შესაბამისად, ამ ტექსტური მონმეების გენეალოგიური კოჰერენტულობა არის 87.1 % (2613 x 100:2999).

პრეგენეალოგიური კოჰერენტულობის ობიექტურ მოცემულობას ვიყენებთ კოჰერენტულობის მეორე ტიპის გენეალოგიური კოჰერენტულობის საკვლევად. იგი მნიშვნელოვანი საშუალებაა ვარიანტების ადგილობრივი სტემების განსასაზღვრად. ადგილობრივი სტემა ჰიპოთეტურად ასახავს, როგორ განვითარდა კონკრეტული პასაჟის ვარიანტი და როგორია ტექსტური ნაკადის ძირითადი მიმართულება. ის ითვალისწინებს ვარიანტების ადგილობრივი სტემების პირველ გამოვლინებას და საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თითოეული ტექსტური მონმის პოტენციური წინამორბედი. როდესაც ერთი ვარიანტის დიაგრამას ვადგენთ, ტექსტურ მოწმეთა შორის წინამორბედობა დგინდება იმის მიხედვით, თუ რამდენ შემთხვევაში აქვს ამ ტექსტს სხვაზე ადრეული ვარიანტული ნაკითხვა. სქემაში ყველა ტექსტს ერთი წინამორბედი შეესაბამება – ის, რომელიც მასთან პრეგენეალოგიური კოჰერენტულობით ყველაზე ახლოს დგას.

ეპისტოლეთა ტექსტების ადგილობრივი სტემების საკვლევად ყველა არსებული ვარიანტის ნაირწაკითხვები დაყვეს შემდეგ კატეგორიებად:

1. ა უფრო ადრეულია, ვიდრე ბ (ა → ბ)
2. ბ უფრო ადრეულია, ვიდრე ა (ა ← ბ)
3. ისინი თანხვდებიან (ა = ბ)
4. მათი ურთიერთკავშირი არაპირდაპირი ან ძნელი გასარკვევია (ა ? ბ).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვატიკანის ტექსტი უფრო ადრეულია 250 შემთხვევაში, სინური კი – 89 შემთხვევაში, მათ შორის გაურკვეველი მიმართებაა 36 შემთხვევაში, ხოლო არავითარი პირდაპირი კავშირი არ იკვეთება 15 შემთხვევაში. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვატიკანის ტექსტი უფრო ადრეულია სინურზე, ხოლო ის წაკითხვები, რომლებიც სინურში უფრო ადრეულია, გამოიწვია კონტამინაციამ, ეს წაკითხვები მოდის არა ვატიკანურიდან, არამედ სხვა წინამორბედიდან. კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდით კვლევის შედეგად გასნორდა ეპისტოლეთა 34 ადგილი. მეტწილად ეს უმნიშვნელო სნორებებია, მაგრამ ზოგს აქვს კონცეპტუალური მნიშვნელობაც.

როდესაც გენეალოგიური კოჰერენტულობის დადგენის გზით მოპოვებული ინფორმაცია გროვდება, შესაძლებელი ხდება ვარიაციის ცალკეულ ადგილებში ტექსტურ მოწმეთა კოჰერენტულობის განსაზღვრა.

ტექსტურ მოწმეებს შორის ჩვენ მიერ დადგენილ ურთიერთმიმართებას ვიყენებთ ვარიანტული წაკითხვების ყველაზე მეტად მოსალოდნელი ურთიერთმიმართების გასარკვევად. კვლევის ეს ეტაპი ხორციელდება ე. წ. „ძირითადი ტექსტური ნაკადის დიაგრამებით". ეს დიაგრამები აკავშირებს ტექსტურ მოწმეებს თავიანთ პოტენციურ წინამორბედებთან და გვაჩვენებს ტექსტის განვითარების იმ გზებს, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობაშია არსებულ მონაცემებთან. ეს მონაცემები არის როგორც ობიექტური, როცა საქმე ეხება პრეგენეალოგიურ კოპერენტულობას, ისე სუბიექტური, როცა ჩვენ მიერ არის დადგენილი ინდივიდუალურ ლოკალურ სტემებთან მიმართებით (ვასერმანი, გარი 2017: 17-21).

არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც შეუძლია შეადგინოს ნებისმიერი კონ-კრეტული წაკითხვის შემცველი ტექსტური ნაკადის გენეალოგიურ კოპერენტულობაზე დამყარებული დიაგრამა, სადაც ნაჩვენები იქნება, რომელ ტექსტურ მოწმეებში გვაქვს ასეთი წაკითხვა და რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან ეს ტექსტური მოწმეები ანუ რომელი რომლიდან მომდინარეობს. ეს დიაგრამა არ ითვალისწინებს გადამწერის მიერ იმ წყაროდან გადახვევას, რომელიც მიჩნეულია მის წინამორბედად, მაგრამ არსებობს ამ მონაცემის ფიქსირების შესაძლებლობაც. საშუალება გვაქვს შევასუსტოთ არქეტიპის არჩევანის შეზღუდვა ტექსტური ნაკადის ე. ნ. „დაკავშირებადობის" რიცხვის შემცირებით. ეს ცვლადი სიდიდე განსაზღვრავს, რამდენად ახლოს უნდა იყვნენ დიაგრამაში წარმოდგენილი ტექსტური მოწმეები ერთმანეთთან. როცა „დაკავშირებადობა" 10-ის ტოლია, ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული წაკითხვისთვის კომპიუტერი სხვა წინამორბედის ძებნას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს, თუ ყველაზე ახლო წინამორბედებად აღიარებული 10 ტექსტური მოწმიდან ეს წაკითხვა არცერთში არ დაფიქსირდა. ის, თუ რამდენად ახლოს დგას ესა თუ ის წინამორბედი ტექსტურ მოწმესთან, დიაგრამაში აისახება დახრილი ხაზის შემდეგ წარმოდგენილი ციფრით ერთიდან ათამდე, მაგალითად 130/2, სადაც პირველი ციფრი ხელნაწერი წყაროს ნომერია, მეორე კი – ტექსტების სიახლოვის დონე. თუ ხელნაწერის ნომერს დახრილი ხაზი და მარჯვენა რიცხვი არ ახლავს, ეს იმის ნიშანია, რომ განსახილველი ნაირნაკითხვა უახლოეს წინამორბედთანვე ასეა წარმოდგენილი.

ტექსტური ნაკადის დიაგრამაზე ტექსტურ მონმეთა შემაკავშირებელი ისრები ერთი მიმართულებითაა მიმართული – წინამორბედიდან მომდევნოსკენ, წინაპრიდან შთამომავლისკენ. ეს არის ძირითადი ტექსტური ნაკადი, მაგრამ კონტამინაციების შემთხვევაში არის ნაკადის საწინააღმდეგო მომართულებაც, რადგან ყველა პოტენციური შთამომავალში შეიძლება იყოს ვარიანტები, რომლებიც წინ უსწრებს თავის პოტენციურ წინაპარს.

სტემატური კოპერენტულობა წარმოადგენს ოპტიმალური ქვესტემის განმსაზღვრელ სტემატურ კავშირს და მიგვანიშნებს ტექსტის კონტამინაციურ წარმომავლობაზე. ოპტიმალურ ქვესტემაში „შთამომავლის" ვარიანტები, რომლებიც წინ უსწრებს ერთ სტემატურ „წინაპარს", მიიჩნევა დამოკიდებულად სხვა რომელიმე უშუალო სტემატურ წინაპარზე. ძიებისას აღმოჩნდება, რომ მისი ნაკითხვა ან რომელიმე სხვა წინაპრისას ემთხვევა, ან ცვლის ერთ-ერთი მათგანის ტექსტს. ოპტიმალურ ქვესტემაში შედის მხოლოდ ის წინამორბედი, რომელიც უკავშირდება ტექსტური მოწმის ერთ ინდივიდუალურ ფორმას. ეს წინამორბედი არის სტემატური წინამორბედი და არა პოტენციური წინამორბედი. ამიტომ ტექსტუალური ნაკადის დიაგრამა არ უნდა ავურიოთ სტემატურში. ტექსტური მოწმეები, რომლებიც გენეალოგიურად კოპერენტულია ტექსტუალური ნაკადის დონის მიხედვით, არ არის ავტომატურად სტემატურად კოპერენტულიც (გარი 2016: 675-89).

გენეალოგიური კოპერენტულობისა და ტექტუალური ნაკადის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, ტექსტუ-ალური ნაკადის სიძლიერისა და მისი მიმართულების სტაბილურობის საფუძველზე სტემისმაგვარი გრაფიკის სახით ნარმოვადგინოთ ძირითადი ტექსტური ნაკადები. ეს მტკიცებულებები ასახავს უფრო მაღალი დონის გენეალოგიურ კოპერენტულობას და გვაძლევს გონივრულ მინიშნებას სტემაზე, რომელიც გვთავაზობს სტემატურ კოპერენტულობას. სტემატური კოპერენტულობის განსასაზღვრად და ოპტიმალური ქვესტემების შესაქმნელად, რომლებიც შედგება სავალდებულო წინაპრის ოპტიმალური ქვესტემების ყველაზე მცირე შესაძლო კომბინაციებისგან და მთლიანობაში ქმნის გლობალურ სტემას, უნდა განისაზღვროს, ერთი პოტენციური წინამორბედის ტექსტუალურ ნაკადში შემავალი ვარიანტები შედის თუ არა სხვა წინამორბედის ტექსტუალურ ნაკადში. პოტენციური წინამორბედის თანხვედრის დაბალი დონის შემთხვევაში იძებნება ვარიანტები, რომლებიც გვთავაზობს სტემატურ კოპერენტულობას.

გლობალური სტემა არის ყველა ტექსტური მონმის ოპტიმალურ ქვესტემებზე დამყარებული ჰიპოთეზა, რომელიც ასახავს ტექსტის შედარებით ქრონოლოგიურ განვითარებას. მისი გრაფიკული სახე ნარმოადგენს დატოტვილ სქემას, რომლის სათავეში არის ჰიპოთეტური არქეტიპი. მისგან დაშვებული ისრები უკავშირდება სხვადასხვა ტექსტური მოწმეების აღმნიშვნელ ციფრებს, რომლებიდანაც, თავის მხრივ, ეშვება ახალი ისრები და უკავშირდება უკვე ამათგან გამომავალ სხვა ტექსტურ მოწმეებს. როდესაც გლობალურ სტემაში რეკონსტრუირებულ საწყის ტექსტთან პირდაპირ არის დაკავშირებული კონკრეტული ტექსტი, ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთი რეალურად არსებული სხვა ტექსტი მასთან ისე ახლოს არ დგას, როგორც რეკონსტრუირებული. თუ გლობალურ სტემაში თითოეულ ტექსტთან მივაწერთ საუკუნეს, რომელსაც ეკუთვნის მისი ხელნაწერი, დავინახავთ, რომ ყველაზე ძველი ხელნაწერები შეიძლება სულაც არ მოხვდეს სქემის ზედა საფეხურებზე.

ეს იმის დამადასტურებელია, რომ ხელნაწერის ასაკი სხვა ცნებაა და მისი შემადგენელი ტექსტური მონმისა – სხვა.

თუ წარმოვიდგენთ, რომ შემორჩენილია ტექსტის ყველა ასლი, ცნობილია თითოეული მათგანის წინამორბედი ტექსტი ან ტექსტები (კონტამინაციის შემთხვევაში) და ყველა ასლის ყველა ნაირნაკითხვის ნარმომავლობა, ტექსტურ მონმეთა გლობალურ სტემაში, ვარიაციის ნებისმიერ ადგილზე გამორჩნდება ყველა ვარიანტს შორის არსებული გენეალოგიური ურთიერთკავშირები, როგორც ტექსტურ მონმეებს შორის კოჰერენტული ველების გენეალოგიური ურთიერთკავშირის ამსახველი.

ურთიერთკავშირი თითოეულ ტექსტსა და მის წინარე წყაროს (კონტამინაციის შემთხვევაში წყაროებს) შორის, უნდა ჩანდეს ვარიაციის ნებისმიერ ადგილას, კერძოდ, როგორც ურთიერთკავშირი იმ ტექსტურ მონმეებს შორის, რომლებშიც იგივე ვარიანტი გვხვდება ან ურთიერთკავშირი იმ ტექსტურ მონმეებს შორის, რომელთა შორისაც მოხდა ამ და წინამავალ წყაროს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი ვარიანტის შეცვლა. რამდენადაც ყველა ტექსტური მონმე შეიძლება თავადაც გახდეს სხვა ტექსტური მონმეების წინამორბედი, კოჰერენტულობის ჯაჭვები წარმოიშვება ფაქტობრივი მტკიცებულებების შიგნით. ეს ჯაჭვები გვეხმარება გავარკვიოთ, ვარიანტი უნიკალურია, თუ ერთზე მეტ წყაროში გვხვდება. იქ, სადაც ტექსტურ მონმეებს შორის ჩნდება განსხვავება, კოჰერენტულობის ჯაჭვები ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ვარიანტების ფაქტობრივ მტკიცებულებებს.

გლობალურ სტემაში ტექსტურ მონმეთა შორის ურთიერთმიმართება ვარიაციის ნებისმიერ ადგილას თავსებადია გლობალურ სტემაში მათ ურთიერთმიმართებასთან. რამდენადაც ვარიანტული მტკიცებულებები სტემაში ჩნდება კოჰერენტული ველის სახით, ნებისმიერი ვარიანტის ერთიან მტკიცებულებათა ურთიერთ-დამოკიდებულება სხვა ვარიანტის ერთიან მტკიცებულებებთან და, შესაბამისად, თავად ვარიანტების ურთიერთდამოკიდებულება, თავსებადია გლობალურ სტემასთან ვარიაციის ნებისმიერ ადგილას.

ზემოთ აღვნიშნეთ, როგორი იქნებოდა ისეთი წარმოსახვითი ტექსტური ტრადიციის კოჰერენტულობაზე დამყარებული კვლევა, რომლის ყველა საჭირო საკვლევი მასალა გვექნებოდა ხელთ, მაგრამ რეალურად ასე თითქმის არ ხდება, რადგან ტექსტურ მონმეთა დიდი ნაწილი დაკარგულია. შესაბამისად, არსებულ ტექსტურ წყაროებში ტექსტის მდგომარეობებს შორის ურთიერთმიმართება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც გენეალოგიური ჰიპოთეზა. ასეთი ჰიპოთეზა ობიექტურად ვერ მოახდენს ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციას, მაგრამ ტექსტოლოგის ამოცანაა იპოვოს სტრუქტურა, რომელიც ყველაზე პირდაპირი გზით ასახავს გენეალოგიურ ურთიერთკავშირს ტექსტის ხელმისაწვდომ სახეებს შორის. ასეთი სტრუქტურა ძალზე რთული და კომპლექსურია, მაგრამ მისი შექმნა ხელმისაწვდომი ხდება იმდენად, რამდენადაც ტექსტურ მონმეთა გლობალური სტემა შედგება ნაკლები სირთულის სტრუქტურებისაგან – ვარიანტების ადგილობრივი სტემებისაგან, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი (ვეტჩელი 2015; პარკერი 2011:84-94).

ქართველი ტექსტოლოგები ჯერჯერობით მოკლებულნი ვართ ისეთი ტიპის ციფრულ პროგრამებს, რომლებიც მსგავსი კვლევების სრულყოფილი სახით განხორციელების საშუალებას მოგვცემდა, მაგრამ ცალკეული პრინციპები და ტექსტური მოწმის ცნება ძალზე მნიშვნელოვანია თუნდაც ტრადიციული საშუალებებით განხორციელებული გენეტიკური კვლევისთვის (ნინიძე 2017).

მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ერთი, მის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი, ლექსის შემოქმედებითი ისტორიის შესასწავლად, რომელსაც სხვადასხვა საარქივო წყაროში სხვადასხვა სათაური აქვს: „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“, „ელეგია განშორებისა“ და „ასპინძა“ ზემოხსენებული მეთოდის გამოყენებით გამოვყავით ცხრა ტექსტური მონმე და გავარკვიეთ მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ამაში თავად ტექსტების ავტოგრაფებთან ერთად დაგვეხმარა არქივში დაცული სხვა დოკუმენტებიც, მაგალითად, ავტორის მიერ სხვადასხვა გამოცემებისთვის შედგენილი თხზულებათა ჩამონათვალები, სადაც ტექსტი განსხვავებული დასახელებებით იყო წარმოდგენილი. ამან დაგვარწმუნა, რომ მსგავსი ტიპის კვლევებისას უნდა ვეყრდნობოდეთ არა წყაროს ზოგად მონაცემებს, არამედ თითოეული ტექსტური მონმისას.

დღემდე ქართველ მწერალთა თხზულებების აკადემიურ გამოცემებში ვარიანტების განყოფილებაში ხდებოდა მხოლოდ წყაროთა შორის არსებული სხვაობების აღნუსხვა. ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვარიორუმში აისახებოდეს არა წყაროებს, არამედ ტექსტურ მონმეებს შორის არსებული სხვაობა, რაც გაცილებით უფრო ზუსტად ნარმოაჩენდა თითოეული ტექსტის ისტორიას.

არ შეგვიძლია აქვე საგანგებოდ არ აღვნიშნოთ საარქივო მასალების გაციფრულების მნიშვნელობა. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მკვლევარებს არაჩვეულებრივი წინაპირობები შეუქმნა მწერლის არქივის დიგიტალიზაციით. იმ ინფორმაციას, რასაც დღეს მკვლევარი ორიოდე წუთში მოიპოვებს, ამ ციფრული არქივის შექმნამდე დღეები და, შესაძლოა, თვეებიც კი დასჭირვებოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მასალის გაციფრულებას, რომლებიც არა სახელმწიფო, არამედ კერძო არქივებშია დაცული. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციის“ წამოწყება, რომელიც მიზნად ისახავს ქართველ მწერალთა და

საზოგადო მოღვაწეთა ოჯახებში დაცული არქივების გაციფრულებას. გურამ რჩეულიშვილის მემკვიდრეთა თანხმობითა და მხარდაჭერით ასოციაციამ უკვე დაიწყო მისი არქივის დიგიტალიზაცია. უკვე გაციფრულებულია ათასზე მეტი ფურცელი, რომლებიც ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევის არაჩვეულებრივ საშუალებას იძლევა. ციფრული ფორმატი გვეხმარება არა მხოლოდ გაკრული ხელით ნაწერი და მრავალგზის ნასწორები ავტოგრაფების ამოკითხვაში, არამედ ტექსტების გენეტიკური ურთიერთმიმართების გარკვევასა და საბოლოო, ყველაზე სარწმუნო ვარიანტის დადგენაში (ჯანგიძე 2017).

ყველა მწერლის არქივი მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ როდესაც იგი მდიდარია არა მხოლოდ მხატვრული, არამედ დოკუმენტური მასალითაც, მას კულტურულთან ერთად განსაკუთრებული ისტორიული ღირებულებაც ენიჭება. გურამ რჩეულიშვილის პირადი წერილები და დღიურები სწორედ ამ ღირებულების მატარებელია. ამასთან ერთად ისინი ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს სხვა ტექსტებისა და მოვლენების დასათარიღებლად.

ვფიქრობთ, საარქივო მასალების დიგიტალიზაცია და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ქართული წყაროთმცოდნეობისა და ტექსტოლოგიური კვლევებისათვის სრულიად ახალ პერსპექტივებს ქმნის და მნიშვნელოვანია, რომ ამ ასპექტების განვითარებას სამეცნიერო დანესებულებათა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს (ჯანგიძე 2018).

დამოწმებანი

ვასერმანი, გარი 2017: Tommy Wasserman, Peter J. Gurry. A New Approach to Textual Criticism: An Introduction to the Coherence-Based Genealogical Method, SBL Press.

გარი 2016: Peter J. Gurry. How Your Greek Nt Is Changing: A Simple Introduction To The Coherence-Based Genealogical Method (CBGM), The Journal of the Evangelical Theological Society, JETS 59/4.

ვეჩტელი 2015: Klaus Wachtel. The Coherence Method and History, A Journal of Biblical Textual Criticism, volume 20, http://rosetta.reltech.org/TC/v20/TC-2015-CBGM-history.pdf

პარკერი 2011: David C. Parker. Textual Scholarship and the Making of the "New Testament", Oxford University Press.

ნინიძე 2017: მ. ნინიძე. მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის მოსე და აარონი, XI საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომანტიზმი ლიტერატურაში. ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე, მასალები, თბილისი.

ჯანგიძე 2017: მ. ჯანგიძე. კვლევები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი, თსუ.

ჯანგიძე 2018: M. Jangidze. Personal Archives and Life and Work Chronologies of Writers, Georgian Electronic Journal of Literature – Litinfo, vol. 12 (მიღებულია დასაბეჭდად).

თაყაიშვილი 1958: ე.თაყაიშვილი. მოგონებები, „მნათობი", 1958, N7.

ნიჟარაძე 1904: ბ.ნიჟარაძე. სვანეთის ხელნაწერები, ჟურნალი „მოამბე", N9. 1.

ქავქავაძე 2007: ი. ქავქავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 15.

კვლევა განხორციელდა შოთა ხუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი # DP2016-18, პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა").

TEXTUAL STUDY OF ARCHIVAL MATERIALS IN THE DIGITAL ERA

Maia Ninidze
Maia Jangidze

The nineteenth century Georgian public figures Ilia Chavchavadze, Ekvtime Takaishvili, Besarion Nizharadze and others made great efforts to gather old Georgian manuscripts and create archival repositories for them. They fully realized that it was very important for the development of Kartvelological studies and for the representation of Georgian history.

Old Georgian manuscripts are preserved in a number of copies and it is very important to reveal their genetic interrelations. Many researches study this problem but the development of the digital technologies and the *Coherence-based Genealogical Method* worked out in Munster can broaden perspectives for more fundamental investigations.

This method has not been used by Georgian scholars up to now because the texts were not digitized and they do not had the appropriate computer program compatible with Georgian unicode; however, some concepts and principles of the *Munster Method* might be used even with traditional technologies. The most important of them is textual *witness*. We consider that it is a very important concept for textual historical studies and it will be more informative if the scholarly editions would represent variant readings of witnesses and not sources. This very concept helped us to investigate creative history of Galaktion Tabidze's and Guram Rcheulishvili's works that had a great number of witnesses and even more: enabled us to identify with due confidence the authors' artistic images and the main ideas of the works.

ნადირობის ფენომენოლოგია „ვეფხიტყაოსანში“ და მონღოლთა ეპოქა (პოეტური ტექსტის ისტორიულ-ნყაროთმცოდნეობითი რეცეპციები)

ნიკოლოზ სანებლიძე

ვეფხისტყაოსნის გარკველ პასაჟებზე დაკვირვება წარმოაჩენს, რომ მისი ავტორი კარგად იცნობს მონღოლებს. კერძოდ, პოეტს უნდა ჰქონდეს სრული წარმოდგენა მათ ცხოვრებასა და სამხედრო ნესებზე. შესაბამისად, ახლებურად ისმის თხზულების დათარიღების პრობლემა (ქელიძე 2017: 74-96).

მონღოლებმა ჩინგიზ-ხანის მეთაურობით შექმნეს სახელმწიფო, რომელიც ტერიტორიით ყველაზე დიდი სახმელეთო იმპერია იყო მსოფლიო ისტორიაში. მათ ეს ძირითადად სამხედრო სტრატეგიისა და მხედრული მოქმედების სიახლით შეძლეს. შუა საუკუნეების ვერცერთმა ცნობილმა ქვეყანამ ვერ მოახერხა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. სწრაფი მანევრირება, უზანგისა და მშვილდ-ისრის ვირტუოზული ფლობა უდიდეს უპირატესობას აძლევდა მონღოლთა მხედრობას მძიმედ აღჭურვილი, მოუქნელი და მანევრირების არმქონე ჯარების ნინაშე. მსუბუქად შეჭურვილი, ზუსტი სამხედრო დანაწილებისა და მკაცრი დისციპლინის მქონე მონღოლები, რომლებიც გაჭენებული ცხენიდან ისარს ზუსტად ისროდნენ და უსწრაფესი მანევრირება შეეძლოთ, იოლად უმკლავდებოდნენ ფეოდალური ტიპის ლაშქარს, რომელსაც მხოლოდ ნომინალურად ჰყავდა ერთიანი სარდლობა და საველე მთავარსარდალი (დელბრიუკი 1996: 140-141).

ცხადია, სრულიად სამართლიანია უამთააღმწერლის პრეტენზია ქართველი მხედართმთავრების მიმართ, რომ მათ ვერ გამოიჩინეს შესაფერისი მხედრული ცოდნა და განვრთნილობა. თუმცა მათ გამამართლებელ გარემოებად ის შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომ მონღოლებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერც ვერავინ გაუწია. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა, რომელსაც მონღოლები მისდევდნენ, სრულიად უცნობი და მოულოდნელი აღმოჩნდა (ყარალაშვილი 2017: 3-16).

უკვე ითქვა, რომ მონღოლთა უპირატესობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტი უსწრაფესი მანევ-რირება და უზანგის ვირტუოზული ფლობა იყო. ეს მათ საშუალებას აძლევდა გაჭენებული ცხენიდან ზუსტი სროლით მონინააღმდეგე მწყობრიდან გამოეყვანათ. მართალია, მონღოლური ისრის შეღწევადობა ისეთი არ იყო, როგორც დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ ინგლისელ ქვეით მოისართა დარტყმის ძალა, როცა მათ აზინკურის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს ფრანგი რაინდები. თუმცა მონღოლური ისარი უაღრესად ეფექტური, პირდაპირ თავზარდამცემი იარაღი აღმოჩნდა მტრისათვის (მანევრულობასთან ერთად).

ამ თვალსაზრისით გადავხედოთ *ვეფხისტყაოსანს* და გავიხსენოთ როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა. მივაქციოთ ყურადღება, რომ დადებული პირობის თანახმად, მეფე და სპასპეტი ერთმანეთს უპირველესად მშვილდოსნობაში ეჯიბრებიან – მეფე „ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად“, ავთანდილი – „ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა“. ნადირობა კი შეჯიბრის (ასპარეზობის) სნორედ ის ფორმაა, სადაც მშვილდოსანი ყველაზე უკეთ ავლენს საკუთარ ხელოვნებას. მან ხომ უსწრაფესად მოძრავ სამიზნეს (სიცოცხლის შესანარჩუნებლად თავგანწირვით გაქცეული ნადირს), გაჭენებული ცხენიდან უნდა მოარტყას, ლეტალური შედეგი კი მომენტალურად უნდა დადგეს (როგორც ეს ხდება კიდეც მეორე თავში). უეჭველია, რომ გაჭენებული ცხენიდან ისეთი ფეხმარდი ნადირის სასიკვდილოდ დაჭრა, როგორიც არის ირემი, გარეული თხა, კანჯარი (გარეული ვირი) და ქურციკი, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონადირენი ფლობენ უდიდესი სისწრაფით გაქანებული ცხენიდან ისრის მიზანში ზუსტად სროლის ხელოვნებას, რაც ნიშნავს, რომ მოასპარეზენი კარგად იცნობენ მონღოლთა საბრძოლო გამოცდილებას.

გავიხსენოთ შესაბამისი სტროფი, თუმცა, რა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს ერთგვარ პოეტურ გადამეტებასთან (ნათაძე 2011: 25-26):

> ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს.
> მიხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასმიდეს,
> რა ისარი დაელივის, მონანი – ყე მიართმიდეს.
> მხეცნი, მათგან დაკოდილნი, ნაღმა ბიჯსა ვერ ნარსდგმიდეს (76, 1-4).

უეჭველია, რომ ამ სტროფის დამწერი კარგად იცნობს მონღოლთა ბრძოლის ნესებს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნადირობა უბრალო გართობა არასოდეს ყოფილა. ის სამხედრო ვარჯიშის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ხშირი ნადირობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ სამხედრო განვრთნილობის მაღალი დონის მიღწევა იყო. როსტევანი ავთანდილის ოდენ მონადირულ სიმარჯვეს როდი ამოწმებდა. ამ სცენაში კარგად გამოჩნდა სპასპეტის მაღალი პირადი სამხედრო პოტენციალი – ისრის ვირტუოზული ფლობა და სნრაფი მანევრირების უნარი.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ მეომართა განვრთნილობაში ძალიან სერიოზული ცვლილება

მომხდარა. ჩანს, უზადო მოისრობა ბრძოლის ველზე სასიცოცხლოდ აუცილებელი გამხდარა, როგორც მეომრისთვის, ისე სარდლისთვის. ამიტომაც ნადირობა აღმოჩნდა კარგი საშუალება სწორედ უებრო მოისარის გამოსავლენად. მეფე როსტევანი ნადირობის შემდეგ კმაყოფილებით და იმედით აღსავსეა, რადგან ჯარის ღირსეული მეთაური მოიძებნა. არაბული ნადირობა (თამაშობა) ნათლად აჩვენებს, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშის დროსაც (ომში) ავთანდილი გამორჩეული და ყოველმხრივ შემკული მხედარი იქნება. სხვათა შორის, ამ სამეფო ნადირობას სწორედ „თამაშობას" უნოდებს ტარიელი, რომელმაც თავადაც კარგად იცის ამგვარი საქმიანობის ფასი და დანიშნულება („თქვენ მორჭმულნი თამაშობდით").[1] ერთი სიტყვით, გაჭენებული ცხენიდან დევნილი ნადირის მშვილდისრით მომენტალური მოკვდინება, როგორც ასპარეზობაში გამარჯვების პირობა, დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, შესაბამის უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ეს კი ნიშნავს, ერთი მხრივ მონღოლთა მხედრული წესების ცოდნას, და, მეორე მხრივ, იმას, რომ **ამ** ჩვევების დაუფლება სასიცოცხლოდ აუცილებელი გამხდარა ნებისმიერი სამხედრო წოდების მქონე მებრძოლისათვის.

ახლა კარგად დავუკვირდეთ, თუ რაში აჯობა ავთანდილმა როსტევანს. მეფე მეტოქესთან იმდენად მიზნის სიზუსტეში კი არ დამარცხდა (ზემოთ ციტირებული ტაეპი ხომ ორივე მოასპარეზეს თანაბრად შეეხება – მხეცები ვეღარ მოძრაობდნენ როგორც მეფის, ისე სპასპეტის ისრის მოხვედრის შემდეგ), რამდენადაც მანევრირებაში. საფიქრებელია, რომ როსტევანმა, სულ მცირე, იმდენივე ისარი გაისროლა, რამდენიც ავთანდილმა. მეფე მეტოქეს სულ ოცი მოკლული ნადირით ჩამორჩა, ეს კი ნიშნავს, რომ ზუსტ (მომაკვდინებელ) გასროლათა შეფარდება არის 90/110. ჯამში ორივე მხრიდან შედეგიანია 200 გასროლა. მონათა შეტყობინების გათვალისწინებით კი („თქვენი მრავალი მინითა გასვრილი გაგვიხოცია") შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ როსტევანი ავთანდილს სროლის სისწრაფეში კი არ ჩამორჩა (110 ისარი მან ყველა შემთხვევაში გაისროლა), არამედ საბრძოლო ილეთის დროის ერთეულში ზუსტად შესრულებაში ანუ წარმატებულ მანევრირებაში.

სპასპეტის ამგვარი უპირატესობა მისი ახალგაზრდობით (და სიმარდით) ვერ აიხსნება. ახალგაზრდობა ხომ გამოუცდელობას, ნაკლებ განვრთნილობას გულისხმობს. ავთანდილის სიჭაბუკეს (დღევანდელი გაგებით შუა თინეიჯერულ ასაკს), რუსთველი მისი გაცნობისთანავე გვამცნობს „ჯერთ უნვერული". ამიტომ ასპარეზობისას მეფესთან შედარებით მის უპირატესობაზე (ახალგაზრდა//ჭარმაგის კონტექსტში) ლაპარაკი არ შეიძლება. უწვერული ავთანდილი სწრაფად და იმავდროულად წარმატებით მოქმედებს (სწორედ ეს უკანასკნელი კომპონენტი აკლია მეფეს და არა „ცარიელი" სისწრაფე). ეს კი ნიშნავს, რომ სპასპეტი მანევრირების უმაღლეს ხელოვნებას ფლობს. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ სტროფის დასაწყისი („ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა ნაუხმიდეს"). ამ გასაოცარი პოეტური ძალის ტაეპის სიუჟეტური ფუნქცია ნადირობის ზღვრული ტემპის ჩვენებაა. ავთანდილის უპირატესობას კი განსაზღვრავს თავბრუდამხვევ ტემპში ზუსტი ილეთის კონსტანტური მეტრით შესრულება (მუსიკალური ტაქტის მსგავსად), რაც მეფის ძალებს აშკარად აღემატება. მონღოლთა უპირატესობის თაურფენომენიც სწორედ ეს იყო. ამგვარ სცენას უბრალო ყურისა და თვალის მოკვრით ვერ დადგამ. პოეტურ ოსტატობასთან ერთად ღრმა ცოდნაა საჭირო, – მხედრულ განსწავლულობაზე დაყრდნობილი ცოდნა.

ცოტა ხნით მივუბრუნდეთ ახალგაზრდობის გამოუცდელობისა და გაწვრთნილობის ურთიერთმიმართებას. გავიხსენოთ პირველ თავში როსტევანის მოწყენილობის მიზეზი. მეფემ კარგად უწყის ავთანდილის გამორჩეულობა („ცოტასა შემწევს ავთანდილ, ჩემგანვე ნაზარდობითა"), მაგრამ მიაჩნია, რომ არასაკმარისი გამოცდილების (გაწვრთნილობის) გამო ავთანდილი ჯერ მზად არ არის უმთავრესი ამოცანების შესასრულებლად. ნადირობა მეფის წუხილს მთლიანად გააქარნყლებს. ის მცირე მოცულობის (ჯერადობასა და ხანგრძლივობაში) ვარჯიშები, რაც ავთანდილმა მეფის მეთაურობით გაიარა, საკმარისი აღმოჩნდა სპასპეტის უმაღლესი დაოსტატებისთვის. ეს კი მეფისა და მისი მხლებლებისთვის სრულიად მოულოდნელი შეიქნა. ვფიქრობთ, **რომ** ავთანდილი დამოუკიდებლადაც განაგრძობდა ვარჯიშს (რაც სპასპეტისათვის ბუნებრივია). აქ მის დიდ სამხედრო ნიჭზეც შეიძლება ვილაპარაკოთ.

ნადირობის კიდევ ერთი სტრუქტურული კომპონენტი, რომელსაც ჩვენი ხედვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, არის მსხვერპლის მყისიერი მოკვდინების მოთხოვნა და ამ კონტექსტში კაპარჭის როლი. მართლაც, ხსენებულ სტროფში ორგზის არის ხაზგასმული, რომ მონადირეთა ისრები მომაკვდინებელია („მიხოცდეს და მიისროდეს") და („მხეცნი მათგან დაკოდილნი წაღმა ბიჯსა ვერ ნარსდგმიდეს"). თუმცა ამ ტაეპებს შორის არის მნიშვნელოვანი ნიუანსური სხვაობა. მეორე ტაეპი გვაუწყებს, რომ მონადირენი შეუბრალებლად ხოცავენ ნადირს, ბოლო კი აზუსტებს, რომ მხეცები მომენტალურად კვდებიან. მაშასადამე, მოძრაობის ტემპით, ილეთების შესრულების სწრაფი რიტმითა და ამოცანის საერთო სირთულით ნადირობა მაქსიმალურად უახლოვდება მხედართა მანევრულ ბრძოლას. აქედანვე მომდინარეობს **სამიზნის** მწყობრიდან გამოყვანის აუცილებლობაც (რაც ნადირობის დროს მხეცის მყისიერ მოკვდინებას ნიშნავს). მართლაც, მოწინააღმდეგისაკენ ზღვრული სისწრაფით მოძრავი მხედრისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზუსტ სროლას; და არა უბრალოდ ზუსტ სროლას, არამედ მტრის მწყობრიდან გამოყვანას. არასაკმარისად ზუსტი ან, (მით უარესი), აცდენილი გასროლის შემთხვევაში, მხედარს მომაკვდინებელი საფრთხე მოელის. ამიტომაც

აქცევენ ასეთ ყურადღებას მეფის ხელმოცარვას მსახურები („თქვენი მრავალი მინითა გასვრილი გაგვიხოცია“). ეს შესანიშნავი მხატვრული ტროპი ფუნდამენტურ-ონტოლოგიურ ვითარებას ააჭკარავებს, რასაც შეიძლება ეწოდოს – ადამიანი საფრთხის წინაშე. ისარი მინით არ უნდა ისვრებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, მსროლელი მინის ლუკმა შეიქნეს უდროოდ. ნადირობა მეომარი – მოისრის საფრთხეთა „გათამაშებას“ წარმოადგენს და ამიტომაც ნადირობა – თამაშის აუცილებელი პირობა მხეცის მომენტალური მოკვდინებაა. ნათელია, რომ ამ პასაჟის ექსისტენციური დონე მოითხოვს მოკვდინების თაობაზე ორგზის მითითებას, რასაც ტავტოლოგიასთან კავშირი არ გააჩნია (რაც შეეხება მხატვრული განსახოვნების დონეს, აქ ტავტოლოგიაზე ლაპარაკიც ზედმეტია). სცენას ფონად გასდევს სისხლით მორწყული დიდი ველი. ეს უბრალო დეკორაცია როდია, იგი მომაკვდინებელი საფრთხის, ვითარცა ბრძოლისა და ნადირობის ხდომილების საზრისის გამომვლინებელია ინდივიდუალურ დონეზე (საფრთხე უპირატესად სიკვდილს მოასნავებს, როგორც საომარი შეტაკების, ისე წარმატებული ნადირობის დროს).[2]

საზოგადოდ, *ვეფხისტყაოსნის* გმირები ხშირად დგანან შეუვალი საფრთხის წინაშე. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ფიზიკური საფრთხეები (რომელთა სახელიც ლეგიონია), არამედ საშიშროება ნუთისოფლიდან ისე ნასვლისა, რომ ვერ მოასწრონ საკუთარი სპეციფიკურად ადამიანური, ინდივიდუალური მისიის აღსრულება. ეს განსაკუთრებით ტარიელზე ითქმის. იგი ხშირად არის ძრწოლისა და სასონარკვეთის მდგომარეობაში; თანაც ეს ტერმინები (ძრწოლა და სასონარკვეთა) სხვადასხვა სიტუაციაში მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე კი არ მიგვანიშნებენ, არამედ ჰოემის მთავარი პერსონაჟის ექსისტენციურ-ონტოლოგიურ რაობას ამჟღავნებენ, ყოფნა-არყოფნის დაპირისპირებულთა ურთიერთგამსჭვალვის დინამიკის სიღრმისეული აზრით. მოისარი-მონადირე-მეომრის საფრთხის წინაშე დგომის სცენა, მისი ტემპი და რიტმი, მანევრირება და სიღრმისეული საზრისი გვამზადებს და განგვაწყობს მიჯნურთან შესახვედრად, ვინც ყველაფერი დაკარგა მეომრის თვისებების გარდა და რომელიც ყოველმხრივ საფრთხეებით არის გარშემორტყმული (ამ კონტექსტში აუცილებელია მოისარი-მონადირე-მეომარი გრაფიკულად ორი ტირეთი გამოისახოს. ორივე ტირე მნიშვნელოვანია. მოისარი-მონადირე-მეომარი ერთი და იგივე ადამიანია. თანაც იგი იმდენად არის მოისარი-მონადირე, რამდენადაც მოისარი-მეომარია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოისარი-მეომარი არის მოისარი-მონადირის არსებობის საფუძველიც და მიზანიც).

ერთი შეხედვით, შესაძლოა, გადაჭარბებად გეჩვენოთ მოასპარეზე-მონადირის, მეომრისა და რუსთველური მიჯნურის საფრთხეთა შეფარდება ერთმანეთთან, მაგრამ ეს ასე არ არის. სამივემ შეიძლება წააგოს თამაში და სიცოცხლეც წააგოს. მიჯნურსა და მეომარზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რაც შეეხება მოასპარეზეს, მასაც აქვს შანსი თავის წაგებისა. ასეთია მეფის ყველა მეტოქის ხვედრი. ავთანდილს ეს კარგად ესმის, ამიტომაც შესთხოვს იგი როსტევანს („არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამასზეო“). თუ რა ზომის საფრთხე ემუქრება ადამიანს აკლების შემთხვევაში, ამას კარგად აჩვენებს ვეზირის გამონათქვამი ("სჯობს სიკვდილი აკლებასა, ამას თავსა ანვე ვსნვრთიო"). ასე რომ, საფრთხეები მსგავსია, მსგავსია ქცევის ნესებიც.

ახლა მივუბრუნდეთ კაპარჭსა და მის მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ ნადირობისა და ბრძოლის სიღრმისეულ სტრუქტურათა მსგავსების მიუხედავად, მოასპარეზე-მოისარს ერთი უეჭველი უპირატესობა აქვს მეომარ-მოისართან შედარებით, რასაც გარეშე დამკვირვებლის თვალი იოლად ვერ შეამჩნევს. საქმე სწორედ კაპარჭს შეეხება, მხედრის აღჭურვილობის აუცილებელ ატრიბუტს, სადაც ისრები ინახება. მეომარი კაპარჭში ისრების განსაზღვრულ, სასრულ რაოდენობას ინახავს. ეს მის ამოცანას ძალზე ართულებს და ზუსტი სროლის აუცილებლობაც ომის სამკვდრო-სასიცოცხლო გარემოში უსაზღვროდ იზრდება. მოასპარეზეს მეომართან შედარებით ის მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, რომ ისარი მუდმივად (მთელი ნადირობის მანძილზე) არ ელევა და ამისათვის რაიმე განსაკუთრებული „გარჯა“ არ სჭირდება. ამ საფუძველმდებელ გარემოებას გახაზავს მესამე ტაეპი („რა ისარი დაელივის, მონანი – ყე მიართმიდეს“). ასე რომ ამ კომპონენტში ნადირობა არ არის ბრძოლის კორელატური (პირობები უფრო გაიოლებულია). თუმცა თამაშის მიზნის გათვალისწინებით, პირობები სავსებით ადეკვატურად უნდა მივიჩნიოთ.

ციტირებული სტროფის სტრუქტურული კარკასი ასეთ სურათს გვაძლევს: ნადირობის (თამაშობის) ტემპი მაქსიმალურია, ისეთი, რომ გავლენას ახდენს გარემოზე (ლანდშაფტზე). ნადირობის (თამაშობის) დროს მზე დაბნელდება (რაც კონკრეტულ მითოლოგიურ, ისტორიულ და კულტურულ-ცივილიზაციურ ასოციაციებს აღძრავს). ცოცხალი სამიზნე მოკვდინებულია და „თამაშობის“ ველი სისხლით არის მორწყული. უმთავრესი საბრძოლო საშუალება (ისარი) ულევია, თუმცა უანგარიშო არ არის (რაც სცენის რაობის გასაგებად მნიშვნელოვანი ნიუანსია). ბოლო ტაეპს კი შემოაქვს ფუნდამენტური ტემპორალური კომპონენტი სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერო წამის თვალსაზრისით. საბედისწერო წამის თემა ძალზე მნიშვნელოვანია ბრძოლისას და ნადირობის დროსაც. ამგვარი წამი ნადირობისა და ბრძოლის სიღრმისეული სტრუქტურის მოუცილებელი ელემენტი კი არ არის მხოლოდ, არამედ ამ სცენათა საზრისის ძირითადი მაკონსტრუირებელი კომპონენტია – სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერო თამაშის დინამიკის მაჩვენებელი.[3] ზემოხსენებული დინამიკა ნადირობის სცენაში შემდეგ სახეს იღებს – იმ ცოცხალი არსებებისათვის, რომელთაც საფრთხე მეფისგან ემუქრებათ, ამ დინამიკას (სიკვდილი თუ სიცოცხლე) რეალური მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან,

როგორც მსახურთა შეტყობინება გვაუწყებს, ამ ცხოველთა ნანილი სიკვდილს გადაურჩა (ცოცხალი დარჩა), საფრთხე თავიდან აიცილა. ავთანდილის შემთხვევაში კი ზემოხსენებული ექსისტენციური ალტერნატივა არ მოქმედებს (ყველა ცხოველი იხოცება).

სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფი საბედისნერო წამის დესკრიფციას სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული ონტოლოგიური დატვირთვით *კვლავაც შევხვდებით ვეფხისტყაოსანში*. მაგალითად, ტარიელის გამიჯნურებისას ყველა ჩამოთვლილი ატრიბუტი აშკარაა (საბედისნერო ნამში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს მიახლება). ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული დინამიკა პირველად ნადირობის სურათში ნამდვილდება (როგორც მოისრისა და მისი მსხვერპლის (ნადირობისას) ან მეტოქის (ომში) ხვედრი)" და მისგანვე ამოიზრდება. ამ უმნიშვნელოვანესი ვითარების რეალური ისტორიული საფუძველი უნდა იყოს ის გარდატეხა, რაც ახალი საფრთხეების გამოჩენისა და ამ საფრთხეების თავიდან აცილების თვალსაზრისით გააჩინეს მონღოლებმა, მათმა სისწრაფემ, მანევრულობამ და სამყაროსადმი დამოკიდებულებამ საერთოდ. მონღოლთა გამოჩენამ საბოლოოდ შეცვალა მეომრის სამყარო. უფრო სახიფათო და მრავალგანზომილებიანი გახდა იგი. შუა საუკუნეების ყოფაში მეომრის ბედის დიდი მნიშვნელობის გამო შეიცვალა თვით ეს ცხოვრებაც. სნორედ ამ ცვლილებებზე მიგვანიშნებს ზემოხსენებული სტროფი (და ნადირობის მთელი სცენა).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას არაბული ნადირობის საერთო ფონზე, რომელსაც ქმნის თავბრუდამხვევი ტემპი. ამასთან, უშუალოდ ნადირობის აღწერას ეთმობა სამი სტროფი. არის კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, შესავალი სტროფი, სადაც ნადირთა ჩამონათვალი გვაქვს. ამ უკანასკნელის უმთავრესი სიუჟეტურ-ინფორმაციული ფუნქცია არის ასპარეზობის სირთულისა და გამარჯვებისათვის მაქსიმალური სისწრაფის განვითარების აუცილებლობაზე მითითება: „მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუნვდომელი, ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლად მხლტომელი" – ძალზე საგულისხმო ჩამონათვალია. ირემი, თხა და კანჯარი მაქსიმალურ სისწრაფეს ავითარებენ (მით უმეტეს სამკვდრო-სასიცოცხლო დევნის პირობებში). ცხადია, ეს მშვილდისრით მათ მომენტალურ მოკვდინებას ძალზე ართულებს. *ქურციკი* კი რუსთველის თანახმად, მშვილდით მოასპარეზეთათვის თითქმის გადაულახავ ნინააღმდეგობას ქმნის, – სწრაფად სირბილის დროს მინას სწყდება და მაღლა ხტება. ასეთ ვითარებაში მეფისა და სპასპეტის დაუშრომელმა მკლავმა, მართლაც, სამაგალითო გაწვრთნილობა და მოხერხებულობა უნდა გამოიჩინოს. თავად ნადირობის სამივე სტროფში საგანგებოდ არის ხაზგასმული მთელი ასპარეზობის უსწრაფესი ხასიათი. *ვეფხისტყაოსნის* სპეციფიკიდან გამომდინარე („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის") თითქოს ერთხელ მითითებაც საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ არა. ეს თავისებურება იმით ჩანს ნაკარნახევი, რომ ჩვეულებრივი ნადირობა არითმიული პროცესია. მაქსიმალური სისწრაფის განვითარებას კარგა ხნის შეყოვნება მოსდევს ხოლმე. საპირისპიროა *ვეფხისტყაოსნის* მეორე თავში აღნერილი ვითარება. აქ დაყოვნება სიკვდილის ტოლფასია. ეს სცენა თავდაუზოგავი ჭენებისა და სრბოლის არენაა (რომლის გაფართოებაც პოტენციურად უსასრულოდ შეიძლება). ნათელია, რომ შესაბამისი ბრძოლაც უჩვეულო ტემპორალურ ძალისხმევას მოითხოვს. კიდევ უფრო ძნელია ამ დროში უნაკლო ილეთის შესრულება. მით უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს და თვალსაჩინო ადგილს იმსახურებს გამარჯვებული, სწორად მართული მონარქიული სახელმწიფოს (სამხედრო) იერარქიაში (როგორიც არის *ვეფხისტყაოსნის* არაბეთი).

როდესაც სამეფო ნადირობის სცენის პოტენციურად უსასრულო გაფართოებაზე ვსაუბრობთ, (რაზედაც მიანიშნებს აგრეთვე გამოთქმა „და მკლავი დაუშრომელი") წარმოგვიდგება ვრცელი ტრამალების ლანდშაფტი, სადაც „ნადირნი ტყესა შეესწრნეს" უბრალოდ შეუძლებელია. ამგვარი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო კი სნორედ მონღოლთა ეთნიკური ერთობისა და მათი ცხოვრების წესის (ფართო გაგებით, რაშიც სამხედრო განვრთნილობაც იგულისხმება), ჩამოყალიბების ნინაპირობა გახდა. ნიშანდობლივია, რომ *ვეფხისტყაოსნის* ნადირობის აქტიური ფაზაც სნორედ ლანდშაფტური თავისებურებების გამო ნყდება (ნადირი ტყეს შეაფარებს თავს), და არა იმიტომ, რომ მოასპარეზენი საკუთარი ნებით ასრულებენ მას.

საყურადღებოა, რუსთველური დახასიათება საკუთარი პერსონაჟებისა უშუალოდ ნადირობის აქტიური ფაზის შემდეგ: „იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს რაზომცა მხნენია" (78, 4).

აქ ორმაგ მდგომარეობაზე არის მითითება. ჯერ ერთი, სიტყვა „მაშვრალნი" მიგვანიშნებს, რომ მეფეცა და სპასპეტიც საკმაოდ დაიღალნენ. თუმცა იმავდროულად პოეტი გვეუბნება, რომ ისინი მხნედ გამოიყურებიან. ეს კი ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში (ველი რომ უფრო დიდი ყოფილიყო ან მითუმეტეს, ომის დროს), მათ „თამაშის" გაგრძელება ისეთივე ინტენსივობით შეუძლიათ, რაც პოტენციური გაფართოების საფუძველს იძლევა. როგორც ჩანს, სცენის ავტორისეული საზრისის გასაგებად ეს დეტალი მნიშვნელოვანია. დამატებით ყურადღებას მოითხოვს სიტყვა „მაშვრალნიც". იგი უბრალოდ იმაზე კი არ მიგვითითებს, რომ მოასპარეზენი დაიღალნენ, არამედ მიგვანიშნებს, რომ ეს მოხდა სერიოზული საქმის გასრულების შემდეგ (არა მხოლოდ შესასრულებლად რთული, არამედ მნიშვნელოვანი საქმისა).

გავიხსენოთ ტარიელის გამონათქვამი, როცა იგი საკუთარ მდგომარეობას ახასიათებს ხვარაზმშას შვილის დასახვედრად გაწეული შრომის შემდეგ: „მე დავშვერ ვითა წესია საურავ-გარდახდილისა/შინა ნამოვე, მაშვრალსა ქმნა მომნდომოდა ძილისა" (553, 12).

აქ ტარიელი მიუთითებს დაღლაზე, რაც გამოიწვია მისთვის უკიდურესად შეუფერებელი მოვალეობის

შესრულებამ. ამის შემდეგ იგი სახლში მისვლასა და ძილს აპირებს (იოლად წარმოვიდგენთ, ასე რომ მომხდარიყო, რა კოშმარად ექცეოდა მას ამგვარი „მოსვენება“). რუსთველური სამყაროს თავისებურებაც სწორედ ის არის, რომ ესოდენ „დამაშვრალი“ ტარიელი ნესტანის მკვახე შეძახილის შემდეგ იპოვის საკუთარ თავში ძალას დაიწყოს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ თავის ცხოვრებაში – სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიჯნურობისა და ძალაუფლების სახელით. ფიგურალური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იგი საერთოდ აღარ დაიძინებს, ვიდრე სანადელს არ მიაღწევს. ეს კი ნიშნავს, რომ მთავარი გმირის მდგომარეობის და ქცევის სიტუაციურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია რუსთველური მიდგომის ნათელსაყოფად არ გამოდგება. ამასთან უფრო გასაგები ხდება სიტყვა „მაშვრალის" გამოყენების წესი არაბული ნადირობის სცენაშიც. მოასპარეზეთა დახასიათებაში აქ გამოვლენილი ერთგვარი წინააღმდეგობაც (მაშვრალნი // მხნენი) უაღრესად პროდუქტიული აღმოჩნდება – ნადირობის მთავარი გმირები საკმარისად მხნენი არიან იმისათვის, რათა როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გაუმკლავდნენ უდიდეს გამოწვევას, რაც მათ სულ მცირე ხანში მოელით. ცხადია, ეს უპირველეს ყოვლისა, ავთანდილზე ითქმის. იგია შეჯიბრში გამარჯვებული და ამიტომ „დატვირთვაც“ მეტი ექნება. თუმცა, მეფესაც აღმოაჩნდება ძალა მოთმინებისა და გაძლებისა. იგი არ შეიცვლის საკუთარ დამოკიდებულებას ავთანდილის ან თინათინის მიმართ და არაფერს ჩაიდენს ისეთს, რომ მათი თავისთავად რთული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმოს. არ შეიძლება როსტევანის როლის დაკნინება იმ მიმართებითაც, რომ ავთანდილს სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნებამდე ქვეყანა „მტერთაგან დაულეწელი“ დახვდა (ცხადია, მხოლოდ შერმადინისა და ავთანდილის გარემოცვის სხვა დიდებულების ძალისხმევა არ იკმარებდა საამისოდ).[5] როსტევანის ქცევა განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ფარსადანთან მისი კონტრასტული შეპირისპირებისას. ასე, რომ პასიურობა უმოქმედობას სულაც არ ნიშნავს. როსტევანი ზუსტად ირგებს საკუთარ როლს პოემაში და ეს მისი, როგორც მეფის, ძლიერი მხარეა.

დავაკვირდეთ რუსთველის პოეტურ ხელოვნებას. იგი დაპირისპირებულთა ორმაგ წყვილს (მაშვრალი // დაუშრომელი; მაშვრალნი // მხნენი) ოსტატურად იყენებს ნადირობის სცენის მთელი სიღრმისა და მნიშვნელობის საჩვენებლად. ამასთან, შესანიშნავად ნარმოადგენს საკუთარი გმირების სულიერი ნყობის (მაშვრალნი // მხნენი ორივე მოასპარეზის პიროვნულ მდგომარეობას ინტეგრალურად ნარმოსახვას) და მათი ფიზიკური მზადყოფნის (დაუშრომელი მკლავი) ურთიერთშემავსებელ ელფერს. რასაკვირველია, დაუშრომელი მკლავი ნებისმიერი მებრძოლისათვის აუცილებელია რაგინდარა ომში. თუმცა საქმეც ისაა, რომ როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა წარმოგვიოდგენს კონკრეტულად უებრო მოისართა მკლავის უსწრაფეს ძალისხმევას.

ასე რომ, მეფისა და სპასპეტის დამაშვრალობის მიღმა დიდი სიმხნევე იფარება. რუსთველისეული დახასიათება ზუსტი და ლაკონიურია. ამ მოკლე თქმაში გამოიხატება სიტუაციის მთელი სერიოზულობაც (მართლაც, მეფე და სპასპეტი ამაოდ ხომ არ დაშვრებიან). აქვე ისახება მათი უსასრულო პოტენციური შესაძლებლობანიც, რომელთა განამდვილებასაც მთელი პოემა ნარმოადგენს.

ძალზე მნიშვნელოვანია ნადირობის აქტიური ფაზის შემდეგ ლანდშაფტზე მითითებაც. მონიშნულია „ტყე" და „წყალი" (მდინარე). თანამიმდევრობა ამგვარია: – მინდორს ასრულებს მდინარე („წყალი"), მდინარის იქით კი ხშირი ტყეა („საცა ვერა რბის ცხენია"). მდინარე დიდი არ უნდა იყოს (სხვაგვარად ნადირს გაუჭირდებოდა ტყისათვის თავის სწრაფად შეფარება და ვერც ტარიელის ცხენი დაიკარგებოდა ასე იოლად. ცხენმა და მხედარმა თავი ხომ სწორედ ტყეს შეაფარეს მდინარის გავლით, ავთანდილისა და როსტევანის ფრონტალური პოზიციის საპირისპიროდ).[6]

ამგვარი „ლანდშაფტური მონაცემები" (პატარა, არცთუ წყალუხვი მდინარე და ხშირი ტყე), ტრამალის ლანდშაფტის მკვეთრ ნყვეტას, დასრულებას ნიშნავს (ტრამალის ლანდშაფტისათვის მცირე რაოდენობის, მაგრამ წყალუხვი მდინარეები არის დამახასიათებელი. ტყე კი, როგორც წესი, საერთოდ არ არის). ნყლის ნაპირას ჩამოსხდომით მეფემ და სპასპეტმა ტრამალთან კავშირი განყვიტეს, როგორც ქცევის მხრივ (დაამთავრეს ასპარეზობა), ისე ლანდშაფტურად (წყალი და ტყე).

ასე, რომ წყვეტა პრინციპულია. ეს კი ნიშნავს რომ „დიდი მინდორი" (ტრამალი) *ვეფხისტყაოსნის* არაბეთში იშვიათობაა და, შესაბამისად, იმ ტიპის ნადირობისათვის, აქ რომ გაიმართა, ტერიტორიის სპეციალური მომზადება არის საჭირო. ამას ადასტურებს კიდეც პირველი თავის ბოლო სტროფი:

> მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
> დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით.
> ლაშქარნი სამზოდ ანვივნეს: „მოდით და მოიჯარენით" (71, 1-3).

აშკარაა, რომ მინდვრები საასპარეზოდ (და მეომრული გაწვრთნილობისათვის) *ვეფხისტყაოსნის* არაბეთში წინასწარ არის შერჩეული (და მომზადებული). ისინი მკაცრ აღრიცხვაზეა და, შესაბამისად, უვლიან კიდეც. თუმცა ეს სხვა რამესაც ნიშნავს – *ვეფხისტყაოსნის* არაბეთი ტრამალების ქვეყანა არ არის და უზარმაზარი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რათა ეს ლანდშაფტური ოდენობები შეინარჩუნო და შესაბამისად გამოიყენო. სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ნადირობის სცენაში იმაზე მითითება, რომ: „იგი მინდორი დალივეს, მართ

მათგან განარბენია“ – ანუ ეს იგივე მინდორია, სადაც მეფე და სპასპეტი ხშირად ყოფილან (უნდა ვიფიქროთ, რომ უნადირნიათ ან/და სამხედრო თამაშები ჩაუტარებიათ).7 ტრამალური ლანდშაფტის ქვეყნებში დიდ მინდორს სპეციალურად არ ეძებენ და არ უფრთხილდებიან. ეს არაბუნებრივი იქნებოდა.

ამ მტკიცების სიზუსტეს ადასტურებს პოზიცია, სადაც ეს ინფორმაცია არის მოწოდებული – სამეფო ნადირობის აქტიური ფაზის დასკვნით ნაწილში. მართლაც, ტყუილად ხომ არ ამბობს რჩეული საზოგადოების თანდასწრებით როსტევანი: „ცოტასა შემნევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითაო“. სპასპეტის გამოზრდისათვის ნადირობა თვითკმარი მოცემულობა ხომ არ არის! სწორედ ამ (და სხვა ამგვარ) მინდორზე დახელოვნდა ავთანდილი ისრის ტყორცნაში ისე, რომ ბოლოს მეფესაც შეჰკადრა გამოწვევა და დაამარცხა იგი. როსტევანმა ავთანდილი გამორჩეულ სპასპეტად აღზარდა, ნადირობა კი ამ მიზნის მისაღწევი წვრთნა იყო. *ვეფხისტყაოსნის* მეორე თავი გვიჩვენებს, რომ ავთანდილს, შესაძლოა, მეტი პრეტენზიები ჰქონდეს, სარდლის თანამდებობას აღმატებული.

უფრო მეტიც – ნადირობის თავში არის სპეციალური მითითება თუ რა აუცილებლობით არის გამოწვეული ამგვარი ძალისხმევა (რატომ ეძებენ და ამზადებენ დიდ მინდორს და ატარებენ იქ შეჯიბრებას მოისრობაში). აი, ეს მითითებაც: „დახოცეს და ამონყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“ – მოისარი-მოასპარეზენი მხეცებს ცის რისხვად მოევლინენ. ეს კი ნიშნავს, რომ ამგვარი ნადირობისა და ასპარეზობის გარეშე მოსალოდნელია ქვეყანას ღვთის რისხვა დაატყდეს თავს უსწრაფესი ტემპით მოისართა სახით. იმისათვის, რათა ეს არ მოხდეს, უებროდ მოისარი მეფე და სპასპეტი უსწრაფეს ნადირს რისხვად უნდა მოევლინონ. ამის გამო „დაშვრომაც“ არ არის დასაძრახი. მეტიც – სწორედ ამგვარი „დაშვრომა“ შეეფერებათ მეფესა და სპასპეტს, ეს მათი მოვალეობაც არის, რადგან ასე თუ არ მოიქცევიან (და ლაშქარსაც შესაბამისად არ მოამზადებენ), არაბეთს დიდი საფრთხე დაემუქრება.[6]

ამიტომ შეიძლება გავაფართოვოთ „დაშვრომის“ მოქმედების არეალი და იგი მეფის ქვეშევრდომებზეც გავავრცელოთ. ერთი სიტყვით, ვისაც არაბული ნადირობა არ ძალუძს (და მის სრულყოფაში არ „დაშვრება“), დიდი განსაცდელი მოელის არაკონტაქტურ ომში, სადაც მოისარნი მთავარ როლს შეასრულებენ. ამგვარი ომისათვის მოუმზადებელი ქვეყნები კი ნადირობის ობიექტების (ქურციკის, ირმისა და კანჯარის) მსგავსად მოისართა ნინაშე სრულიად უმწეონი შეიქნებიან.[7]

ამ კონტექსტში მეფის მიერ მშვილდის (მშვილდისრის) დახასიათება („მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემ-დით, ისარსა მოგვართმიდითა“) ავტორისეული გამოთქმის „ცათა ღმერთი შეარისხეს” წინაპირობად აღიქმება. მართლაც, ღვთის რისხვის იარაღი „ფიცხელი” (სასტიკი, შეუბრალებელი და იმავდროულად სწრაფი, მყისიერად მონევნადი) უნდა იყოს.

ზემოთქმულის შემდგომ, ვფიქრობ შეიძლება ითქვას, რომ არაბული ნადირობა არაკონტაქტური ბრძოლისათვის მზადებას წარმოადგენს. მეფისა და სპასპეტის დონეზე ამგვარი მზადების დომინანტად ქცევა მონღოლების ეპოქაზე მიუთითებს.

არაბეთში ნადირობისადმი ამგვარი დამოკიდებულების საპირისპიროდ *ვეფხისტყაოსნის* ინდოეთში ნადირობისათვის არანაირი ნინასწარი მზადება არ შეიმჩნევა (რასაც თავისი ახსნა აქვს. ქვემოთ ამ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ).

დიდი მინდორი, ტრამალი ის გეოგრაფიული ლანდშაფტია, სადაც უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული, ხოლო ასპარეზობის ამგვარ გეოგრაფიულ გარემოში განგრძობა (პროლონგაცია) პოტენციურად დაუსრულებლად არის შესაძლებელი (მუსიკალური თემის ვარიაციების მსგავსად).

ამგვარ თემატურ ვარიაციად წარმოგვიდგება ტარიელის მოკლე მინიშნება საკუთარ ამბავზე, სადაც ომი და ნადირობა ერთ კონტექსტში თავსდება და გმირის სულიერი და ფიზიკური მომწიფების გარკვეულ ეტაპს აღნიშნავს:

> იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესვლა ომსა;
> მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მნთომსა,
> მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქენ ამა ზომსა;
> ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა (328, 1-4).

ამ სტროფში მაქსიმალურად შემჭიდროებულად არის მოცემული ყველა თემა, რომელიც ვარიაციულად გაიშლება ინდოეთის „ამბავში“ (სიყვარულის ობიექტზე მითითება, მეფობის საკითხი, პროტაგონისტის სრულასაკოვნება, დაბოლოს, ნადირობა და ომი). ყველაფერს ერთბაშად ვერ მივადევნებთ თვალს. ამჯერად ყურადღებას მივაქცევ ომისა და ნადირობის სინტაგმატურ კონტექსტს („მე შემეძლო შესვლა ომსა“ და „ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა“). ორი მოვლენის (ნადირობა და ომი) ორგანული კავშირი აშკარაა. თანაც ომში წარმატებული შესვლა ლომთა კატასავით დახოცვის ანალოგიურია10. ეს სინტაგმატური ბმა უნდა გადავიტანოთ პარადიგმატულ კონტექსტში და მივუთითოთ, რომ ქურციკის, კანჯარისა და ირმის მაქსიმალურ ტემპში დახოცვა აგრეთვე ომში წარმატებული შესვლის წინაპირობაა, ოღონდ, ამჯერად ავთანდილისათვის.

ასე რომ, სახეზე გვაქვს ინდურ-არაბული „პარადიგმატული სამონადირეო ვარიაცია“. ამ ვარიაციას საკუთარი „პოლიფონიური“ მომენტებიც ახლავს. კერძოდ, როცა როსტევანი გულისტკივილს გამოხატავს ღირსეული მემკვიდრის არყოლის გამო, ის მშვილდოსნობასთან ერთად ბურთაობასაც ახსენებს. „მშვილდოსნური ვარიაციები“ უფრო არაბული „თამაშობისათვის“ არის დამახასიათებელი, „ბურთაობის ვარიაციები“ კი უფრო ინდური სამყაროს ნილია, ორივე ერთად კი ზოგადად ნადირობის პოლიფონიად გაიშლება. იმ პოლიფონიად, ზუსტად რომ შეესაბამება სხვადასხვა ტიპის ომს, კერძოდ, კონტაქტურს (ინდოეთისთვის) და არაკონტაქტურს (არაბეთისთვის).[11] ამგვარი ვარიაციების საფუძვლებს ქვემოთ უფრო დანვრილებით განვიხილავთ, თუმცა ომისა და ნადირობის არსისმიერ მიმართებას ტარიელის „ამბავიც“ ეჭვმიუტანლად ადასტურებს.

ომისა და ნადირობის სუბსტანციურ ერთიანობაზე მოკლედ, მაგრამ ზუსტად მიუთითებს ავთანდილი შერმადინთან საუბარში, როცა მას აკისრებს საკუთარი მოვალეობის შესრულებას და ფაქტობრივად სრულად გადააბარებს საქმეებს. ავთანდილი შერმადინს ეუბნება: „ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაამსგავსე“ (157, 1).

ლაშქრობა აქ ომში ნასვლას (თუ გნებავთ, შესვლას) ნიშნავს. როგორც ჩანს, ავთანდილი აქ თავდასხმით (პრევენციულ) ომს გულისხმობს („ურჩნი ყოველნი ავატიროს“ კონტექსტში). ნადირობა ლაშქრობისათვის აუცილებელ მზადებად განიხილება. იგი, ასე ვთქვათ, ლაშქრობის მეტონიმიური დავინროებაა, ნანილი მთელის ნაცვლად. ოღონდ ეს იმგვარი ნანილია, მთელის ბაზისური სტრუქტურის არსებით კომპონენტებს რომ წარმოაჩენს და არა ნებისმიერ, შემთხვევით ელემენტებს, რასაც მოდერნისტული, უფრო მკვეთრად კი პოსტმოდერნისტული პოეტიკა გულისხმობს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უფრო ზუსტად შეიძლება ე.წ. დასვენების მიზანსცენის ინტერპრეტაცია („იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირთა ხეთასა“ „თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა“).

ეს ჭვრეტა სრულიად უზრუნველი არ არის. იგი უფრო ონტოლოგიური პაუზაა ტრამალური ასპარეზობის შემდეგ და ახალ (მშობლიურ) ლანდშაფტზე ყურადღების გადატანას ნარმოადგენს, რაც სულიერი და ფიზიკური ძალების კონცენტრაციას მოასნავებს. ეს არის დასვენება მნიშვნელოვანი დამღლელი საქმიანობის (დაშვრომას რომ ინვევს) შემდეგ. დასვენება „ცარიელი“ კი არ არის, არამედ არსისმიერი ძალების „თავისუფალი თამაშის“ შედეგია. მასში გეოგრაფიული ლანდშაფტი, პროტაგონისტთა ქცევისა და საქმიანობის წესი და თამაშის მონაწილეთა მთელი ექსისტენციურ-სამყაროული რიგი მონაწილეობს. ამიტომაც ეს პაუზა (დასვენება) ძალთა მოკრების ონტიური წერტილია. რასაც უშუალოდ განვითარებული მოვლენები დაადასტურებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე რუსთველისეული მითითება ლანდშაფტზე არაბეთიდან ტარიელისკენ ხელმეორედ მიმავალი ავთანდილის მგზავრობის დროს. როგორც ჩანს, კლიმატი და გეოგრაფიული გარემო ნელ-ნელა იცვლება (უფრო ცხელი და მშრალი ხდება). აქ ეს პირდაპირ არის მითითებული („ღამე ილხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასვლასა მზისასა;/ რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა“). ავთანდილს ძალიან ეჩქარება, ამიტომ ცხენის ჭენებაში დღე და ღამეს ასწორებს. მგზავრობის დასაწყისში იგი ორგზის მიმართავს მზეს. თუმცა გარკვეული დროის გავლის შემდეგ სპასპეტი უკვე მთვარისადმი აღავლენს აჯას. სწორედ ამას მოსდევს მითითება, რომ მზის მხურვალება უკვე ძალიან აწუხებს მოგზაურს. თანაც წყალიც ისე იშვიათი გამხდარა, რომ რამდენჯერაც ავთანდილი წყლის ნაპირას აღმოჩნდება, იმდენჯერ ისვენებს და მაცოცხლებელი წყლის ჭავლს სიამოვნებით (და ძალების მოსაკრებად) უმზერს. ამგვარი დასვენება დროის ამაო ხარჯვად, ფლანგვად არ ითვლება, ისეთი დროში მაქსიმალურად შეზღუდული მოგზაურისთვისაც კი, როგორიც ავთანდილია. პირიქით, რუსთველი ტევადად აღნერს დასვენების სცენას და ავთანდილის განწყობას. აქ ტიპოლოგიურად ისეთივე ხერხია გამოყენებული, როგორც როსტევანისა და მისი სპასპეტის ნადირობის დროს. დაშვრომის შემდეგ დასვენება და ძალების მოკრება ლანდშაფტურ ცვლილებებთან ორგანულ კავშირშია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გეოგრაფიული გარემოს მიმართ რუსთველის მზერა ძალზე მგრძნობიარეა.

უაღრესად საინტერესოა დაშვრომის, ნადირობისა და თამაშობის ფარსადანისეული ინტერპრეტაცია. დიდი ომის შემდეგ დამაშვრალ ტარიელს იგი მშობლიურ (ინდურ) ლანდშაფტში სანადიროდ ინვევს. თანაც სანადირო გარემოზე მითითება საკმაოდ დანვრილებითია (მინდორი, მთისა და გორის ძირი).

ნიშანდობლივია, რომ გეოგრაფიული მრავალფეროვნება ერთგვარად ნინააღმდეგობაში მოდის დროის ნაკლებობასთან, რაც ბოლოს მანიფესტირებულია იმით, რომ დამაგვირგვინებელი ბურთაობა არ გაიმართება (რასაც ნადირობის წესი მოითხოვს). იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ისედაც დაღლილმა ტარიელმა მხოლოდ სისხამ დილით გაიგო ნადირობის ამბავი,[12] ცხადი ხდება, რომ ფარსადანი ნადირობას ტარიელის ყოფიერებითი ძალების „მისაძინებლად“ და ნადირობა-თამაშის გართობად გადასაქცევად იყენებს. ეს კი ნიშნავს, რომ ნადირობის ისეთი ბაზისური კომპონენტები, როგორიც არის „დამაშვრალი“, „ლანდშაფტი“, „თამაში“, ფარსადანს შენარჩუნებული აქვს (როგორც ჩანს ისინი ვეფხისტყაოსნის ნადირობის სცენების ბირთვული ტერმინებია), თუმცა ფარსადანი საზრისს უცვლის მათ. ტარიელის უცხო ქვეყანაში დაშვრომის

შემდეგ ნადირობას ფარსადანი ტარიელის საწინააღმდეგოდ და საკუთარი მიზნებისათვის იყენებს. შეიძლება ითქვას, რომ ინდოთ მეფე ნადირობის წესის პროფანაციას ახდენს, რითაც სურს ტარიელის სულიერი ძალების გაფანტვა, დეკონცენტრაცია გამოინვოს. ამ საბედისწერო სურვილით შეპყრობილი მეფე ნადირობას უღირს „კარის თამაშად" აქცევს (არაბული ნადირობის საპირისპიროდ).

ინდური ნადირობის საზრისის ინვერსია კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მოცემულობასთან მიმართებით ჩანს. ეს არის „ომი", „ბრძოლა". როგორც ვთქვით, არაბული ასპარეზობის უმთავრესი საზრისი ომის გარკვეული სახეობისათვის მზადებაა. ამგვარ ომში შესაძლო წარმატება კი გამორჩეულობის (პირველყმობის) ნიშანი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ინდოეთში კი დიდ ომში წარმატებით დაშვრომა ტარიელისათვის სამეფო კარიდან ჩამოცილების, მისგან გარიყვის საფუძველი ხდება, რისი პირველი მაუწყებელიც სამეფო ნადირობაა. ომსა და ნადირობას შორის ჩვეული თანაფარდობის დარღვევა, მისი არსისმიერი დეფორმაცია იმგვარი „კარის თამაშის" დასაწყისი აღმოჩნდება, რაც ფარსადანისათვის საბედისწერო გახდება და სასიცოცხლო საფრთხეს შეუქმნის ინდოეთის სამეფოს არსებობას. ამ ვითარებაში, ცხადია, სახეს იცვლის ნადირობის ყველა სხვა ბაზისური კომპონენტი. საგულისხმოა, რომ ნადირობისადმი ამგვარი დამოკიდებულება მიგვანიშნებს ფარსადანის მმართველობის ხასიათზე (წესზე). იგი აღმოჩნდება იმ ზამბარის პირველი რგოლი, რომლის მოქმედებაში მოყვანითაც იწყება მეფის თვითნებური და ყოველმხრივ სახიფათო გეგმის განხორციელება.

ინდოეთისთვის ორგანული ჩანს თამაშობის ამგვარი სტრუქტურა-ნადირობა-ბურთაობა. ნადირობისა და ბურთაობის წესი ცხადყოფს, რომ ეს სტრუქტურა კონტაქტური ომის „გათამაშებას" წარმოადგენს. ბურთაობის თვითნებური „ამოგდებით" ფარსადანი ორ მნიშვნელოვან ვითარებას ააშკარავებს. უპირველესად მას სურს ომით დამაშვრალ ტარიელს გონზე მოსვლის დრო არ მისცეს, რათა ამ უკანასკნელმა ნესტანთან მოულოდნელი შეხვედრისას საკუთარი გრძნობები გაამჟღავნოს. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება არის თავად ბურთაობის „ამოღების" ფაქტი, რაც ადასტურებს, რომ ნადირობის თავდაცვით-სამხედრო ფუნქციას მეფე (ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი) ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს (ინდური ნადირობის ზოგიერთი არსებით მახასიათებელს ქვემოთ განვიხილავთ).

რაც შეეხება არაბული ნადირობის შემაჯამებელ (ფინალურ) სტროფს, სადაც მსახურები მიუდგომლად აფასებენ შეჯიბრების შედეგებს, იგი ბევრი რამით არის საინტერესო.

ორივე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია:
არ დასცთომია ერთიცა რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მინითა გასვრილი გაგვიხოცია (81, 1-4).

აქ მიჯრით არის მოცემული რაოდენობრივი მახასიათებლები, რომლებიც ეჭვმიუტანლად (თვლით) ადასტურებენ ავთანდილის უპირატესობას. თუმცა ყურადღებას იპყრობს რამდენიმე გარემოება. „მშრალი რიცხვის" (20) კლაუზულაში მოქცევით (ოცია-ხოცია-ტყორცია-გვიხოცია) ამ რაოდენობრივ ერთეულს პოეტი დინამიურობას ანიჭებს (დინამიურ კატეგორიად აქცევს). ამგვარი სახეცვლილება ძალზე მნიშვნელოვანია ამ თავისთვის მთლიანად. ვერტიკალური (მინი პარადიგმატული) კონტექსტის გარდა საგულისხმოა ჰორიზონტალური (სინტაგმატური) ბმები. სიტყვა-გასაღებს (ათჯერ) ოცს პირველ ტაეპში უკავშირდება ვნებითი გვარის მიმღეობა (მოკლული) და უაღრესად მნიშვნელოვანი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „ყველაი".

მოკვდინება ნადირობის (ასპარეზობის) უმთავრესი მიზანია. ათჯერ ოცი მხეცი უკლებლივ ყველა მოკლულია. ანუ ათჯერ ოცი ნადირი ქმნის მოკლულ მხეცთა სრულ სიმრავლეს. ამ სიმრავლის მნიშვნელობა არის „მოკლული". მაგრამ იგი საერთოა (მეფისა და სპასპეტისათვის). საჭიროა მისი ორად გაყოფა.[11]რასაც უზრუნველყოფს მეორე ტაეპი: „ავთანდილს ოცითა უფროსი (მეტი) დაუხოცია". მეორე ტაეპი გვეუბნება, რომ ავთანდილის ქვესიმრავლის მოცულობა ოცით მეტია (მეფისაზე). თუმცა აქ გადამწყვეტია არა რაოდენობა (ქვეკლასის მოცულობა), არამედ მისი გამოყოფის წესი (საზრისი). უმთავრესი ისაა, რომ ეკვივალენტურობის მიუხედავად (მოკლულია // დაუხოცია ნიშნის მიხედვით იდენტურ, მოკლულთა, დახოცილთა კლასს შემოსაზღვრავს), შეცვლილია მოდალობა, დინამიკა. პასიური დახასიათება (მოკლულია) ადგილს უთმობს აქტიურს (დაუხოცია), იმიტომ, რომ გამოჩნდა აგენსი (ავთანდილი), რომლის ქმედების შედეგიც არის დახოცილთა ოცით მეტი ქვესიმრავლე.

მაშასადამე, ანალიტიკური თვალთახედვით, ამ სიმრავლის საზრისი და მისი გამოყოფის საფუძველი დინამიურობაა. აგენსი აქტიურია, აქტიურია ზმნის ფორმაც (ავთანდილს – დაუხოცია), ხოლო შესაბამისი სიმრავლე დინამიურთა კატეგორიას განეკუთვნება.[14]

ამგვარად, სინტაგმატურ კონტექსტში შემოდის დინამიკა და იგი მრავლდება პარადიგმატულ (კლაუზულით გამოხატულ) დინამიკაზე.

მესამე ტაეპი გვეუბნება, რომ ავთანდილისეული ქვესიმრავლის თითოეული წევრი ცალ-ცალკე და ყველა ერთად ზუსტი (აუცდენელი) სროლის შედეგია (რუსთველი აქ საკვირველი სიზუსტით იყენებს ძველ ქართულ

რაოდენობრივ ოპერატორს „ოდენ“). „შეუტყორცია“ ორმაგად აქტიურ ქმედებას აღნიშნავს (აქტიურია როგორც მსროლელი, ისე ისარი). ოღონდ აქ აქცენტი გადატანილია მეორე წევრზე (ისარზე). მესამე ტაეპი გვიჩვენებს ავთანდილის ისარს, როგორც ქვესიმრავლის შემოსაზღვრის იარაღს, პატრონის ხელში. აქ ზუსტი თანაფარდობაა, ერთ ისარს ერთი (მოკლული) ნადირი შეესაბამება. ამგვარად, აუცდენელი ისრის მეშვეობით ავთანდილის ქვესიმრავლე ორმხრივად შემოისაზღვრება როგორც მაქსიმალურად შემჭიდროებული დინამიკის მქონე (ავთანდილს დაუხოცია // ისარი შეუტყორცია, ისარს ტაეპში გამოთქმა „რაც ოდენ“ ცვლის).

აქ რუსთველი მართლაც გასაოცარ პოეტურ ხელოვნებას იჩენს. ზუსტად გასროლილ ისარს (აქტიურ აგენსს) რაოდენობრივი ოპერატორით (რაც ოდენ) გამოხატავს, რითაც მათ ორგანულ მთლიანობას აღწევს და ზემოხსენებულ სტროფს უნიკალურ მხატვრულ საზრისს ანიჭებს. ჩვენს წინაშეა მაღალი სქოლასტიკისა და ამგვარივე პოეზიის ერთიანობის ეტალონური ნიმუში.

მაგრამ მეფეც ხომ ქმნის თავის სიმრავლეს. როსტევანიც ხომ აქტიურია – იქნებ ნაკლებ, მაგრამ მაინც აქტიური? საქმეც ისაა, რომ მსახურების დახასიათებით მეფე ეგრეთ წოდებული ცარიელი სიმრავლის „შემოქმედად“ გვევლინება. იგი დახასიათებულია არა იმით, რამდენი მოკლა, არამედ იმით, რომ ბევრი ვერ მოკლა (ნიშანი გააცუდა). ეს სიმრავლე საკმარისად დიდი მოცულობის მქონეა. იგი ასეც აღინიშნება („მრავალი“). ამ სიმრავლეში არცერთი მოკლული ცხოველი არ არის. მეფე მონიშნულია როგორც არაპროდუქტიული, ამცდენელი. ერთი შეხედვით, ეს მართლაც უცნაურია. ნადირობისას როსტევანი ხომ ძალზე აქტიური და წარმატებულია (მან 90 ნადირი მოკლა). მიუხედავად ამისა, მაინც სტროფის კონტექსტის თანახმად, მოკლული ნადირის მთელ სიმრავლეს (რომლის მოცულობაც ათჯერ ოცია) ყოფს ავთანდილი და არა როსტევანი.

ეს ვითარება ახსნას მოითხოვს.

მოკლულთა სიმრავლის ამგვარი გაყოფის მათემატიკური საფუძველი არის ის, რომ ორად გაყოფას ორი ოპერაცია არ სჭირდება (ერთიც საკმარისია). როგორც ზემოთ მივუთითეთ, მეფე ამ სტროფში მხოლოდ ცარიელი სიმრავლის „შემოქმედია“. ავთანდილს კი ეს ავბედითი სიცარიელე საერთოდ არ გააჩნია. მისი მოქმედება მაქსიმალურად შემჭიდროებულია, უპაუზოა,[1] წარმატებულია.

ის რომ მეფე ცარიელი სიმრავლის შემოქმედია, მიგვანიშნებს, რომ მოკლულთა სიმრავლის (200 დახოცილი ნადირის) „მისეული ნილი“ (რაოდენობრივად 90) „აღუვსებელი ნამებით“, შეუვსებელი პაუზებით არის გაჯერებული. ონტოლოგიურად ამგვარი პაუზები არარას გამომვლინებელია. უძრაობის, სიკვდილის მომასწავებელი. სწორედ ამიტომ აღვნიშნეთ ზემოთ, რომ რიცხვითი ოდენობები ონტოლოგიურ მოდალობებს ააშკარავებენ. ავთანდილისანი – აქტიურს, მეფისანი კი – პასიურს.

წარმატება-წარუმატებლობის ეს სურათი თავის ახსნას გამარჯვება-მარცხის დინამიკაში ჰპოვებს. ბრძოლის დროს დამარცხებული შეიძლება ძალიან აქტიურიც იყოს და ერთგვარად წარმატებულიც (ბევრი მტერი მოკლას, ცოცხალი დარჩეს, ტყვედ არ ჩავარდეს და სხვა), მაგრამ მისი მოქმედება მაინც არარადან, ცარიელი კლასიდან ამოსვლით გაიგება. დამარცხებამ ოდნაობითი ხარისხი არ იცის. დანაკარგი აბსოლუტურია, დამარცხებულის სიცოცხლე – უსაზრისო. სხვათა შორის, ზოგი ხალხის ტრადიციით ნადირობაში გამარჯვებულს მთელი ნადავლი ეკუთვნის. ამიტომაც რიცხვი „ოცი“ ავთანდილის გამარჯვების და მეფის დამარცხების სიმბოლოდ გვევლინება, რომლის მიღმაც გადამწყვეტი ყოფიერებითი რეალიები ილანდება. ერთი სიტყვით, დამარცხებასაც თავისი ფაქტურა გააჩნია, რომლის ყოველ ტაქტს არარა განწონის (მათემატიკურად ცარიელი სიმრავლე რომ ჰქვია). სწორედ ეს ვითარება აისახება ნადირობის დროს. იგი ნათელყოფს მეფის როლს ამ პროცესში. აქ (ბრძოლის მსგავსად) დამარცხება აბსოლუტურია. მსახურები სწორად და გაბედულად წარმოაჩენენ სიტუაციას. ამ ანალიზის შემდეგ, ვფიქრობ, ცხადია, რომ რიცხვით ოდენობებს აქ ონტოლოგიური დატვირთვა აქვთ და გამარჯვება-დამარცხების ომისეულ ონტოდიალექტიკას ამჟღავნებენ.

დიდი გამბედაობა სჭირდება მეფის ასეთ პირუთვნელ დახასიათებას (როგორც „ცარიელი სიმრავლის შემოქმედის“, „არარას გამომჩინებელის“ და დამარცხებულისა). როსტევანის ხელქვეითები ყველაფრისთვის მზად არიან. აკი ეუბნებიან კიდეც მეფეს: „... მართალსა გკადრებთ და ნუ გემცთარებით/აწეცა დაგვხოც, ვერა ჰგავ, – ვერათ ვერ მოგეხმარებით“ (80, 1-2).

ეს პასაჟი, ერთის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ არაბეთში მეფეს (და ზოგადად უფროსს) ყოველთვის სიმართლეს მოახსენებენ (რაც ქვეყნის სიძლიერის ნიშანია). თუმცა ეს, აგრეთვე, უნდა მიუთითებდეს, რომ მსახურებს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ასპარეზობის შედეგები, რომ მის დაფარვას დიდ დანაშაულად თვლიან. საქმის არსის გამოაშკარავების საფასურად მზად არიან საკუთარი სიცოცხლეც კი საფრთხეში ჩააგდონ („აწეცა დაგვხოც“). ამ ადამიანებს გათვალისწინებული აქვთ არაბული ასპარეზობის დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა.

საგულისხმოა, რომ მეფესა და სპასპეტს შორის ასპარეზობისას უბრალო მეომრის ბედი კი არ იჭედება, არამედ მეთაურის, მთავარსარდლის. ეს კი ნიშნავს, რომ ლაპარაკი მეომრის ინდივიდუალურ ბედზე არასაკმარისია (რაზეც აქამდე მივუთითებდით). წარუმატებელი მხედართმთავარი წაგებულ ბრძოლას (ომს) ნიშნავს, რაც მეომართა ინდივიდუალურ ბედზე ბევრად აღმატებული კატეგორიაა. მეომრის წარმატება//

წარუმატებლობა უმეტესად ინდივიდუალურ სიკვდილ-სიცოცხლეს მოასწავებს. სპასპეტისა – ბევრის, მთავარსარდლისა – ყველასი და ეს ნაგებულ ომს ნიშნავს. არაბული ნადირობის შეფასებისას ეს ვითარება უნდა გავითვალისწინოთ.

ერთი სიტყვით, რუსთველური ნადირობის (ბრძოლის) ტემპორალობა არ არის ერთგვაროვანი და ერთმნიშვნელოვანი. მას მხოლოდ აღმავალი ან დაღმავალი ხაზი არ გასდევს, არამედ ტეხილი და დინამიურად არათანაბარი. მის ნარმოსაჩენად რუსთველი ოსტატურად (როგორც პოეტი) და უცდომლად იყენებს რაოდენობრივ მახასიათებლებს, როგორიც არის: „ერთი", „მრავალი", „ყველა", „თითოეული" (ცალკეული ერთი, „ოდენ" ერთი). მათი მეშვეობით არაბული ნადირობის სურათი განიშლება უნიკალური ენერგიითა და უზუსტესი ონტოლოგიური მოდალობით, სადაც ოდენობითი კატეგორიები განსაკუთრებულ ყოფიერებით ხდომილობებზე მიანიშნებენ და მათგან ამოიზრდებიან. ვიმეორებ, რაოდენობის ენობრივ საშუალებათა გამოყენება კონცეპ-ტუალური ანალიზის თვალსაზრისით, უნაკლოა. თუმცა, საქმეც ის არის, რომ მას (ანალიტიკურ კომპონენტს) დაქვემდებარებული ხასიათი აქვს. ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება განაპირობებს იმას, რომ ოდენობის ოპერატორების მოხმარებას მთლიანად განსაზღვრავენ ონტოლოგიური ხდომილებანი, რომელთა „ქროლვაც" ნარმოქმნის და ანანილებს ოდენობით კატეგორიებს (და მათი გამოხატვის საშუალებებს). ამგვარი ტემპორალობა და ტემპერაცია (შინაგანად დამუხტული და ტეხილი) მიუთითებს ყოფიერების დინამიკის (სიცოცხლე // სიკვდილი; გამარჯვება // დამარცხება; წარმატება // წარუმატებლობა) ორივე კომპონენტის თანაბარ წვდომასა და განაწილებას, რაც გარდამავალი ეპოქებისათვის არის დამახასიათებელი. საერთოდ რუსთველი ექსტენსიური და ინტენსიური კონტექსტების ერთმანეთში გადასვლის ჩვენების, ათი თამაშის წარმოსახვის ნამდვილი ოსტატია.[16]არაბული ნადირობა კი გამარჯვება-დამარცხების ონტოდიალექტიკის მაუწყებელ გრანდიოზულ სურათად გაიშლება.

გავიხსენოთ ნადირობის მეორე სცენა ვეფხისტყაოსანში, სადაც კვლავ ავთანდილი გამოავლენს საოცარ მოხერხებულობას. იგულისხმება ფრიდონთან პირველი შეხვედრის ეპიზოდი, როცა ავთანდილი ხვდება სანადიროდ გამოსულ მულღაზანზარის მეფეს. აქ იგი ისეთ განვრთნილობას გამოიჩენს, რომ ყველას გააკვირვებს. გავიხსენოთ ეს სტროფი:

> მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;
> ყმამან ცხენი შეუტია, გაამაყდა, არ შეშინდა,
> შუხტყორცნა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,
> გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, ნყნარად შეჯდა, არ აქშინდა (980, 1-4).

დავაკვირდეთ პირველ და მეორე ტაეპებს. გაფრენილი ორბის ჩამოგდება ძალზე ძნელია (თუ შეუძლებელი არა), თუმცა ზმნა „გარდმოფრინდა" მიუთითებს მიმართულებას იქიდან აქეთ და, რაც მთავარია, თითქოს ორბი დაფრენას უნდა აპირებდეს, ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ სიმაღლეზე უნდა იყოს, რომ ისრით მისი მიწვდენა სავსებით შესაძლებელია. არც ფრინველის სასტარტო სისწრაფე უნდა იყოს მაღალი (შეადარეთ წინა ციტირებულ სტროფს, სადაც ცხენთა სწრაფი ჭენების მიზეზით დაყენებული მტვერი მზის სინათლეს ფარავს).

ყოველივე ზემოთქმული ამ სცენის რეალურობის შთაბეჭდილებას აძლიერებს. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ტაეპი, სადაც მითითებულია, რომ ავთანდილი ორბს გაჭენებული ცხენიდან ესვრის. ეს კი მის ამოცანას შეუდარებლად ართულებს.

როგორც ჩანს, სნორედ გაჭენებული ცხენიდან მფრინავი ორბის ისრით ჩამოგდება ტოვებს მნახველებზე ნარუშლელ შთაბეჭდილებას, ისეთს, რომ ისინი სანადირო ნრეს დაშლიან და ავთანდილს მიაჩერდებიან, რითაც საკუთარი მეფის (ფრიდონის) რისხვას იმსახურებენ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ეს სცენა მოკლებულია ყოველგვარი ზებუნებრივის განცდას. ჩვენს წინაშეა ძალიან კარგი მოისრისა და მეომრის, შესაძლოა, უნიკალური, მაგრამ არა ზებუნებრივი მოქმედება. ავთანდილს ზეციური ძალები არ ეხმარებიან და არც ღვთის ნების გამოვლინებას გვიჩვენებს ხსენებული სცენა. ამის საპირისპიროდ გავიხსენოთ თუნდაც ოდისევსის გამოჩენა ფეაკებთან, სადაც იგი ბადროს ტყორცნაში საოცარ შედეგს აჩვენებს ქალღმერთ ათენას დახმარებით.

ამგვარი სცენა შეიძლება აღნეროს პოეტმა, რომელსაც რეალურად უნახავს მონღოლები და დაჰკვირვებია მათი მხედრული ქცევის წესებს.

შენიშვნები

1 *ვეფხისტყაოსნის* ავტორი გამოთქმას „ლაშქართა თამაში“ სწორედ სამხედრო წვრთნის აზრით იყენებს. ტარიელი ავთანდილს უამბობს, რომ „სამიჯნურო სენის“ შეყრის მიზეზით მეომართა წვრთნას ჯეროვან ყურადღებას ვეღარ აქცევდა („ვეღარ ვუჭვრეტდი ლაშქარსა, მინდორს თამაშად მავალთა“), რაც მისი, როგორც ამირბარისა და ამირსპასალარის, ძირითადი მოვალეობა იყო.

2 მუა საუკუნეების ომებში დახოცილთა რაოდენობა დიდი არ იყო (გაცილებით დიდ პრობლემას ნარმოადგენდა დაჭრილთა პოსტტრავმული მკურნალობა). თუმცა *ვეფხისტყაოსანში* იდეალური ვითარებაა აღნერილი (გმირები აუდღენლად და მომაკვდინებლად ისვრიან). გასათვალისნინებელია ისიც, რომ ახალი ტიპის ბრძოლაში (არაკონტაქტურ ომებში), რომელიც მონღოლებმა იმდროინდელ სამყაროს მოახვიეს თავს, თავდამსხმელთა სტრატეგიისა და ტაქტიკის არცოდნის გამო, აგრეთვე მოულოდნელობის ეფექტის გათვალისნინებით, დახოცილთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა.

3 როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა-ჰაეჭრობის მოუცილებელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ ანგარიში მათი მხედრული ასპარეზობის აუცილებელი კომპონენტია. ამასთან, თვლა სხვადასხვა მახასიათებლების გამოსავლენად აღმოჩნდება საჭირო. უეჭველია, რომ როსტევანსა და ავთანდილს ერთნაირი რაოდენობის მხეცი რომ დაეხოცათ (მაგ. 90/90), მაშინ გამარჯვებული აღმოჩნდებოდა ის მხარე, რომელიც ნაკლებ ისარს გაისროდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, ნაკლები ისრის გამოყენება შეეიბრის რელევანტური კომპონენტია და მისი მნიშვნელობა შეუდარებლად იზრდება ბრძოლაში. ამ გარემოებას ასპარეზობის ნინასნარ დათქმული პირობებიც ითვალისნინებს. ნადირობის დანყების ნინ მეფე თორმეტ რჩეულ მსახურს უბრძანებს –„ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“. მისი სიტყვებიდან აშკარა ხდება, რომ ორივე პირობა თანაბარძალოვანია. ყურადსაღები ამ შემთხვევაში ისაა, რომ ულევი ისარი არის ერთადერთი პრინციპული დათმობა, რაც ასპარეზობის პირობებით მონადირეთა მიმართ დაიშვება. ნადირობის ყველა სხვა ბაზისური ელემენტი ემთხვევა დისტანციური ბრძოლის ბაზისურ ელემენტს (თუმცა, ცხადია, არ ამონურავს მას). სკრუპულოზური ანგარიში (თვლა) ნადირობისას საჭიროა იმიტომ, რომ იგი (რაოდენობა) ომში დანაკარგების კორელატურია. ეს კი მნიშვნელოვნად განაპირობებს გამარჯვება-დამარცხების ფინალურ დინამიკას, როგორც ომში, ისე ასპარეზობისას.

4 ნადირობის მსხვერპლის ბედის გათვალისნინებით შეგვიძლია ცხადად დავინახოთ თავად მოისრისა და მისი მეტოქის შესაძლო ბედი ბრძოლის დროს. ხოლო ნადირობის სცენიდან (მისი რაოდენობრივი, ტემპორალური და სხვა მახასიათებლებიდან) შეგვიძლია ნათლად ნარმოვიდგინოთ ბრძოლის სცენა (ყველა მის უმთავრეს კომპონენტსა და კომპოზიციაში).

5 *ვეფხისტყაოსნის* არაბეთს მხოლოდ ერთი სასაზღვრო ზოლი ხომ არ აქვს (სადაც ავთანდილის ქალაქია და მისი ხელქვეითები ცხოვრობენ).

6 ტარიელმა ნამდვილად ტყეს შეაფარა თავი. ეს აშკარა ხდება მისივე ნაამბობიდან, როცა დროზე ადრე გამოქვაბულში მობრუნებული ასმათს უყვება თუ როგორ აირიდა უცხო მეფესთან კიდევ ერთი არასასურველი შეხვედრა: „მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე“. ამ ვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ზმნა „შემოვბრუნდი“, რაც უნდა ნიშნავდეს – უკან გამოვბრუნდი და ტყეში შევედი (ისე, რომ უცხო ადამიანებს პირისპირ არ შეხვედრივარ). სწორედ ასე იყო როსტევანთან და მის მხლებლებთან შეხვედრის ფინალშიც. ამიტომაც რუსთველურ მითითებას – „ნადირნი ტყესა შეესნრნეს, სადა ვერა რბის ცხენია“, აზრობრივი მახვილი მოუდის შესიტყვებაზე „ვერა რბის“. და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხენს ტყეში გადაადგილება არ შეუძლია. თუ ტარიელის ცხენის განსაკუთრებულობას მივიღებთ მხედველობაში, მოსალოდნელია რომ მას ხშირ ტყეში სწრაფი გადაადგილებაც შეეძლოს. ამას ფრიდონის ნაამბობიც უნდა ადასტურებდეს..

7 ამ შეტყობინების მნიშვნელობას ტაეპში ხაზს უსვამს ნანილაკი „მართ“. იგი მიუთითებს, რომ მოცემულ ინფორმაციას განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ.

8 ზოგადად შეიძლება შევნიშნოთ, რომ რუსთაველი თავის გმირებს მუდვივად „ფორმაში ყოფნას“ აიძულებს (რაც განსაზღვრავს ნვრთნის დიდ მნიშვნელობას). ტარიელს, შექმნილი ვითარების გამო, ეს ყველაზე მეტად უჭირს. თუმცა ჰოემის „სხვა პერსონაჟების“ შემნეობით (ეს უპირველესად ავთანდილზე ითქმის, თუმცა ასმათიცა და ფრიდონიც საკმარისად დაშრეხიან ამ საქმისთვის). იგი ამ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს.

9 მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ ცხოველების ისრით დახოცვა ადვილი არ არის. არაკონტაქტური ბრძოლისთვის მოუმზადებელი მეომრებიც, შესაძლოა ინდივიდუალურად ძალზე მოხერხებულნი, მშვენიერნი და მამაცნიც იყვნენ, მაგრამ მათი ბედი ამგვარ დაპირისპირებაში მაინც გადაწყვეტილი იქნება. უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ზემოხსენებული ტაეპის („დახოცეს და ამონყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“) მართებული ნაკითხვის პრეროგატივა მთლიანად ეკუთვნის ბ-ნ თამაზ ვასაძეს. ეს ზუსტი მიგნებაა. სამაგალითოა, რომ მკვლევარმა, ესოდენ მცირე მონაცემების საფუძველზე, უნაკლო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა (ვასაძე 2014: 21).

The first, indeed natural, factor to take under consideration in assessing the reliability of information found in a memoir in terms of time is the faculty of memory. The assumption that time works to the detriment of memory springs not only from common experience. Research in psychology as supported by neurology has yielded much data regarding the physiological and other mechanisms connected with memory, i.e. the processes of creating, storing and recalling memories. It is, however, not easy for a historian to use this knowledge. On the level of a general assessment of memoirs as a certain genre of statement it is possible to enumerate, based on the research by psychologists and neurologists, the factors that influence the "good" or "weak" memory of their authors; in concrete cases, however, especially when the extent to which the given event is remembered is at stake, the assessment is in a great degree doubtful. It is difficult for

a historian to resolve this doubt, since – in contrast to a psychologist – he is unable to ask his source, i.e. the author, any additional questions. All that can be done is an analysis of the text itself and of its author's biography.

Memoir-writers often more or less directly mention their own memory. This is often done in the introductory declarations that precede the text, and more rarely in the description of an actual event. A question that so far remains without an answer – mainly because it would require an analysis of an appropriately large number of texts – it the relationship between the diarist's reference to his or her own memory and the age in which this person wrote the memoir. It is also possible that the author's activeness in his or her old age is a more important aspect, as it was in the case of the outstanding social worker and essayist Bolesław Limanowski, who remained extremely active throughout all his long life; in the introductory notes to his memoirs, which we wrote when he was 77 to 82 years of age, Limanowski noted the factors that influenced his choice of subject matter, but did not mention any problems resulting from memory loss (Limanowski 1957: 17).

The nature of memory may have been the factor that caused some authors to write the memoirs at a specific time. The confession made by Leonard Mężyński, a master carpenter, insurrectionist and deportee to Siberia, seems extremely sincere; to him, writing was a method of retaining his memories, which otherwise would have threatened to fade away:

> The recollections of my tribulations and adventures during the 1863 uprising and the following years, so dear to me now when I am in the twilight of my life, I wrote down so that they are remembered; I wrote them the way I could, simply, not forcing myself to use a literary style, but only trying to faithfully represent the events. – I wanted to leave [these recollections] to my children; I did not intend to publish them in print (Mężyński 1910: 6.)

To the outstanding writer Jarosław Iwaszkiewicz, in turn, the weakening of memory seems to be a justification for writing his memoirs at the age of only forty-seven:

> In my view, the present moment is both inwardly and outwardly appropriate for starting to write a memoir. On the outside, we seem divided from the bygone years by cataclysms that transform even the near past into distant history. Personally, in turn, I am in the moment of my life when my memory is still serves me very well, but I am already beginning to sense the possibility of its fading – at the same time, a certain focus and inwards withdrawal makes it possible to recognise in the fluid substance of life a closure to an era that is suitable for being shaped into artistic totalities (Iwaszkiewicz 2010: 6).

Generally speaking, when authors of memoirs consider the flaws in their memory, they tend to cite the passage of time as the reason why the details of events are no longer clear to them. They see the natural character of human memory as a justification for the absence of some information on past events, its inexactness or flaws in chronology. They focus on gaps in their memory, and, consequently, lacunas rather than alterations in the image of the past as reported in their text; this is obvious, for otherwise they would put the worth of their own text in question. However by the same token the memoir writers, whether consciously or not, guarantee that what they write down is what they remember well and thus, paradoxically, they reinforce the reliability of their recorded memories. For instance, in the introduction to his memoirs Father Mateusz Wejt, who was deported to Siberia after the uprising of 1863, seems to make a tacit assumption that one writes down what one remembers:

> I have decided to recall these transitory moments of my past life and record them here with all the simplicity and frankness, as they are lodged in my memory. [...] I have decided to describe them insofar as I saw, experienced, went through and recollect them (Wejt 2016: 127).

A historian, who has the duty to ensure the reliability of a given piece information, does not always find its confirmation in other sources. In most cases the memoir is the only source for this information; this fact arises from its nature of, firstly, a source which does not have to be created (in contrast to, for instance, official documents) but springs from the author's act of will, and secondly, of an account of events as reported from the perspective of the author, i.e. a witness of events. It is worth remembering that one of the arguments in support of the great informative value of memoirs is that their contain information not reported by other sources, for instance personal descriptions of emotions or the material world of everyday life, and that they relate events as observed from a viewpoint that other sources, e.g. official texts, naturally cannot register. This, however, means that the greatest informative asset of memoirs as sources is at the same time their greatest weakness, because the assessment of the veracity of information contained therein must out of necessity be based on uncertain, indirect and speculative premises.

The memoirs of Zygmunt Mineyko (1840–1925) may serve as an excellent example of methodological ambush generated by the assessment of a memoir's veracity (Mineyko 1971). Mineyko was a Pole born in a gentry family in Lithuania. He participated in the uprising against Russia in the year 1863 (the January Uprising) and was deported to Siberia as a result. He managed to escape from Siberia to France; later, he worked as an engineer in Bulgaria and Greece, where he became a notable railway constructor, and he has gone down in history as the discoverer of the temple of Zeus in Dodona in Epirus.

I read Mineyko's memoirs when I was researching the issue of the degradation in rank which the minor gentry was subjected to for about seventy years, from the late 18th century until the 1860s, in Lithuania and Belarus. Gentry families that failed to prove their status in a procedure imposed by the Russian authorities were downgraded to the non-privileged social classes, thereby losing privileges they had earlier enjoyed (Sikorska-Kulesza 1995: 53). In the 1840s and 1850s the Russian state seemingly abandoned this endeavour and only repeatedly, in a succession of ukases, prolonged the deadlines for submitting the documents. It was not easy to understand and describe the course of events solely on the basis of the only sources available to me during research, i.e. the official normative acts. Discussing his earliest childhood memories, Mineyko writes that when in the 1840s the "Muscovites", as he calls them, were rounding up members of the minor gentry to conscript them into the army, those men would go into hiding to avoid conscription. At this point Mineyko alleges that the landowners helped the fugitives (Z. Mineyko 1971: 22). Other sources said nothing at all about the activity of the state authorities and direct official repressions or – an equally important point – about the solidarity between members of the affluent gentry and the minor gentry. The crucial question, however, was whether Mineyko remembered the story correctly; whether he had the dates right. There were several arguments against the veracity of his information:

(a) the resoundingly anti-Russian tone of Mineyko's recollections;

(b) inaccuracies regarding other matters from the same period (for instance that the period of army service for men originating from the demoted gentry was thirty-five years, instead of fifteen), which were intended to indicate the scale of the Russian repressions against Poles in Lithuania;

(c) the fact that Mineyko reportedly observed the events in question when he was eight years old, and he began writing his memoirs at seventy-seven; he himself admitted that "many things had faded" from his memory;

(d) the discrepancy between Mineyko's information and the facts established in my research up to that point; it must be remembered that the archives in Russia and Lithuania were not available at the time.

Considering all the above arguments led me to the conclusion that Mineyko unthinkingly superimposed events from some other period, which he perhaps only heard about, on the events of the year 1848, i.e. the period of the uprising in the Grand Duchy of Poznań, or that he simply invented a coherent story. However, an analysis of official documentation generated by the local authorities confirmed Mineyko's information as true; his memory did not fail him. Had the relevant official documents perished, the logical train of argumentation would have led to a very different assessment of the reliability of the information given by Mineyko in this particular matter. This serves to illustrate the role of particular situations.

Sometimes the memoir-writers accentuate the good condition of their memory. In the cases when the author is aware that the reader may have doubts as to the veracity of their report, this serves to confirm their own reliability to the reader. For instance, Władysław Zahorski, describing events from the years 1861–1863, when he was 3 to 5 years old, writes:

> The dates and the order of subsequent events have faded from my memory, but many of them I remember as clearly as if they had happened yesterday and I could render the figures, the scenes and the surroundings in a pencil [drawing]. Thus, in this account I must of necessity dig in my memory for loose facts, just as they are lodged in it, not knowing whether they occurred in the years 1861–1862 or in 1863, in summer or in winter (Zahorski 1926: 8).

Whether these events really happened; whether he truly remembered them or recalled them only because they had been a frequent topic of conversation at home, we cannot be sure. Certainly his intention was to present his parents' patriotic stance during the January Uprising of 1863.

Wacław Lasocki, a medical doctor deported to Siberia after the same uprising, points to a different aspect of human memory. He sees a positive side in the fact that it grows weaker as time goes by, or that some facts are not remembered at all; in his view, too good a memory might result in the text getting weighted down with unnecessary detail and thus the truly important issues would become obscured or diluted:

> I do not have any notes from that period and I do not regret their absence, for instead I accentuate the vivid moments and people who became more deeply etched on my memory. Materials of which I can avail myself are as follows: a sufficiently good memory, several certain dates, several hundred letters, mostly from the period of my incarceration and deportation, many occasional texts from various periods, never published in print, a considerable hoard of photographs, drawings, etc (Lasocki 1933: XVIII).

2. The formal factor: genre

In the criticism of a memoir source, the issues associated with the faculty of memory should be linked with the aspect of genre. The time difference between the moment the observation is made and the moment it is described constitutes one of the criteria in the formal distinctions regarding this type of literature. This distinction is as follows: on the one hand, the diary (and its cognates), that is records of the ongoing events made on the day-to-day basis or in

short intervals; on the other, a memoir or a commemorative text, that is a text which is generated after a much longer period – a period reckoned in decades (Głowiński 1989: 108, 339).

The historians emphasise that when it comes to relating facts, a diary is far more detailed and far more reliable precisely because of the nature of memory. It is quite obvious that the probability of remembering an event after a few hours or days is greater than after several years. But even our everyday experience indicates that the very act of turning our attention, noticing, something may be individual in its character; the short span of time is not a guarantee that this thing would be recorded "objectively" (or, in fact, be recorded at all). We can point here to the role of emotions, social position, education, powers of observation, knowledge about the observed reality, and most probably many other factors that may enhance or distort the process of observing and remembering (Wojtkowiak 2001: 104-106). However, when assessing a source, we are not always able to gain reliable knowledge of the factors that may, or may not, have influenced the future memoir-writer in a given situation.

Memoirs written as competition entries have their specific features as well; even more so commemorative notes, defined as retrospective texts shorter than memoirs and usually referring to a concrete event. Such aspects of criticism as the manner of formulating the topic and the intention of the competition, the award etc., must be ignored here as irrelevant to the current topic. However the circumstances in which a memoir intended as a competition entry is written favour the process of recalling from memory – and thus remembering – details which the author would not have recalled, and thus not written about (or, remembering, would not have considered worth recording), if the text had been created in different circumstances. The case of testimonies and interviews, i.e. sources generated by living persons in response to a researcher's request and created during contact with the researcher, or at least under the researcher's control, is similar. Here, the role played by the initiator of the act of telling the story, i.e. the researcher, is even greater, because the researcher is able to ask further questions and thus, in a sense, bring back events or emotions until then lost in the recesses of the interviewee's memory. Thus, the choice of memories to be recorded during an interview to some extent depends on the initiator of the interview.

The memoir-writer's own memory may not be the only source of the recorded recollections. For this reason it is crucial to research the circumstances in which the given memoir was written. The historian's trust in the veracity of the recorded events increases considerably if it is known that the writer had some notes from the period of the described events, entries in a logbook or any similar documentation. Also, it does happen that the author is familiar with the memoirs by other authors referring to the events he or she is describing, or with historical analyses; as a result, he or she may, quite unwittingly, replace their own memories with those belonging to other people. See (Wojtkowiak 2001: 118-120).

3. The historical context

This leads to another very important problem, namely, to the impact of the historical context at the time in which a person is recording their recollections and describing their life. His or her past experiences and the political or cultural environment may influence how the events from the past are selected to be described (or omitted). For instance, the topic of sexuality, which is of interest to historians today, was very rarely touched upon by the memoir-writers who recorded their recollections in the nineteenth century. When that aristocratic lady Maria Czapska (1894–1970), who in her youth lived in Belarus, described her sexual education – which she did in her memoir *Europa w rodzinie* (Czapska 1970). – she might have done so because she was writing her memoirs in England in the 1960s, in the era of the sexual revolution. The historical context seems to have played a role here.

Another aspect influenced by the historical context of the memoir-writer's life at the time of writing is the self-censorship, or even the act of inventing past reality, in answer to social expectations or the current political climate. A good example are two memoirs written by Poles who in the nineteenth century voluntarily served in the tsar's army. The first, entitled *Na służbie rosyjskiej* is by the Lithuanian-born Pole Bronisław Grąbczewski (1855–1926), a general, a traveller, and – as we know today – also an English spy. The second, *Polak w carskim mundurze* is by Aleksander Skolimowski (1817–1895), born in the Kingdom of Poland, who in the 1850s was the commander of Fort-Perovsky (the former Ak-Mechet); this was a high office in a strategically important region of the Russian Empire. (Grąbczewski 1990; Skolimowski 2000). The period in which their memoirs were written may have (only *may* have – we cannot speak of any certainly here) seriously influenced some of the subject matter discussed therein. It may have even altered the entire tone of their tale of their own lives. This refers especially to the issue of the two writers' self-identification in terms of nationality.

Grąbczewski begins his memoirs with an apology for choosing his career that is service in the Russian army. He writes about the tender parting with his father, a former participant in the January Uprising of 1863, who on his deathbed made his son swear he would never forget his nationality and would never fight against Poland. Grąbczewski writes that

is it for this reason that he chose to serve in the Far East .See (Cegielski 2015). The other writer, Aleksander Skolimowski, does not see any problem with his choice of career. To him fatherland means the little stretch of land where he was born. He condemns the uprising of 1831, which he witnessed while at school in Warsaw, and he does not mention the uprising of 1863 at all, even though he must have been aware of it. His identity may be categorised as an imperial one. He does not evince any sense of duty towards Poland. This fact is interesting in itself; yet the question crucial to the present reflections is whether the difference in their approaches was influenced by the fact that Grąbczewski wrote after Poland had regained its independence and actually in Poland (where he returned, chased out of Russia by the revolution of 1917), whereas Skolimowski wrote in Russia in the late nineteenth century, when nothing indicated that the empires that had partitioned Poland might fall. The fact that no other source records the conversation between Grąbczewski and his father does not necessarily mean that it is a confabulation. And had Skolimowski lived long enough to see Poland regain its independence, and especially had he written his memoirs after having returned to the free country – would he have presented his career in a different light? Would he have referred to various issues connected with Poland; for instance, would he have written about Poles he had met in distant corners of Russia? Answers to these questions can only be hypothetical, but it is impossible not to consider the factor of time and the events which it brings. On the other hand, bearing in mind that some people tend to yield to external influence, while others express autonomous opinions and make independent choices, the personality of the writer may neutralise all the above points.

Another element that may interfere with the veracity of a memoir's contents is the historical circumstances in which it is published. Work on new editions of memoirs first printed in the nineteenth century sometimes reveals the impact of the historical context on the final shape of the printed text. The first edition, published in Paris, of a memoir written by Jan Bartkowski, a Polish émigré from the period of the November Uprising, is an example of editorial censorship. The editor removed or rephrased all the remarks that may have shown the November insurgents in a bad light, for instance that they drank or stole chickens from peasants. The myth of a heroic insurgent fighting for free Poland required the picture to be immaculate. The author did not subscribe to this image and did not censor his own text.

In conclusion, it is worth stressing that it is easy to create a list of factors which may have impacted the author's perception in the period between an experience and the act of writing about it – factors which may have influenced the reality presented in the printed text or even erased some elements of it; but it is far more difficult to gain a certainty that it was really so, or in which direction the change went. We are often left with the insight that given factors may have influenced the veracity of the text (the objective veracity, that is; not the author's awareness), and the historian must make do with that.

Notes

1 The article concerns those expectations of a historian towards a source which require a traditional research practice, i.e. the search for objective facts which necessitates subjecting the source evidence to appropriately rigorous criticism. In other research areas, the narrativistic philosophical and methodological conception, which abandons such categories as "objectivity", seems more useful.

2 The recently introduced term is "ego-document", but this concept encompasses more types of sources, different from the ones mentioned above in many respects (e.g. their origin), including private letters or curricula vitae written for official purposes; hence I retain the traditional terminology here.

3 We may actually speak of a *sui generis* social movement here; local communities are very actively recording the history of their "little fatherlands'. The largest collection of biographic accounts is held at the Oral History Archive kept by the History Meeting House and the KARTA Center (see websites: relacjebiograficzne.pl; www.audiohistoria.pl).

4 Masterpieces of memoir writing in early-modern Poland include those by Jan Chryzostom Pasek and Jędrzej Kitowicz.

5 The 19th- and 20th-century memoir literature is still awaiting a monographic study from the historical perspective; a full list of bibliographic references does not exist either. E. Maliszewski's bibliography is continued in Skrzypek 1976. Research pertaining to the subsequent period must be based on bibliography referring to the history of Poland.

6 With the exception of research in the field of oral history.

7 Factual errors were corrected in the editor's notes. Those errors were few and, of course, not all of them were necessarily linked with the issue of memory.

8 Nowadays such research is conducted in a very professional manner, taking various factors into consideration, in order to obtain a statement that is as authentic as possible.

References

Bartkowski 1967: Bartkowski, Jan. Wspomnienia z powstania 1831 roku i pierwszych lat emigracji. (ed. E. Sawrymowicz). Warsaw: Państwowy Instytut Wydawniczy.

Cegielski 2015: Cegielski, Maks. Wielki Gracz. Ze Żmudzi na Kraj Świata. Warsaw: Wydawnictwo Karakter.

Cieński 1981: Cieński, Andrzej. Pamiętnikarstwo polskie XVIII wieku., Wroclaw: Zaklad Narodowy im. Ossolińskich.

Czapska 1970: Czapska, Maria. Europa w rodzinie. Paris: Libella.

Głowiński 1989: Głowiński, Michal [et al.]. Slownik terminów literackich, Wroclaw: Zaklad Narodowy im. Ossolińskich.

Grąbczewski 1990: Grąbczewski, Bronisław. Na służbie rosyjskiej, Warszawa: Przedświt.

Iwaszkiewicz 2010: Iwaszkiewicz, Jaroslaw. Książka moich wspomnień. Poznań: Zysk i S-ka Wydawnictwo.

Kubis 2014: Kubis, Barbara. Refleksje nad literaturą dokumentu osobistego jako źródłem historycznym. Jej znaczenie w badaniach i edukacji historycznej. in: Człowiek, społeczeństwo, źródło. Studia dedykowane profesor Jadwidze Hoff. Rzeszów: Wydawnictwo Uniwersytetu Rzeszowskiego.

Lasocki 1933: Lasocki, Waclaw. Wspomnienia z mojego życia. (ed. Janik, M. and Kopera, F). vol. I: W kraju, Cracow.

Limanowski 1957: Limanowski, Bolesław. Pamiętniki (1835-1870). Warsaw: Książka i Wiedza.

Łepkowski 1960: Łepkowski, Tadeusz. „Pamiętnik Jana Bartkowskiego o powstaniu listopadowym – bez retuszu." Kwartalnik Historyczny 67(1): 141-145.

Maliszewski 1928: Maliszewski, Edward. Bibliografia pamiętników polskich i Polski dotyczących. (Druki i rękopisy). Warsaw: Towarzystwo Miłośników Historii.

Mężyński 1910: Mężyński, Leonard. Wspomnienia z powstania styczniowego i sybirskiej katorgi 1863-1869, Tarnopol.

Mineyko 1971: Mineyko, Zygmunt. Z tajgi pod Akropol. Wspomnienia z lat 1848-1866. (ed. Kozłowski, E. and Olszański, K.). Warsaw: Państwowy Instytut Wydawniczy.

Sajkowski 1964: Sajkowski, Alojzy. Nad staropolskimi pamiętnikami. Poznań: Uniwersytet im. Adama Mickiewicza.

Sierakowska 2014: Sierakowska, Katarzyna. Kobiecy dokument osobisty z czasów I wojny światowej jako źródło historyczne. in: Człowiek, społeczeństwo, źródło. Studia dedykowane profesor Jadwidze Hoff, Rzeszów: Wydawnictwo Uniwersytetu Rzeszowskiego.

Sikorska-Kulesza 1995: Sikorska-Kulesza, Jolanta. Deklasacja drobnej szlachty na Litwie i zachodniej Białorusi. Pruszków: Ajaks.

Skolimowski 2000: Skolimowski, Aleksander. Polak w carskim mundurze. Wspomnienia. (ed. Caban, W. and Szczepański, J.). Kielce: Wydawnictwo Uniwersytetu Jana Kochanowskiego.

Skrzypek 1976: Skrzypek, Józef. (ed.). Bibliografia pamiętników polskich do 1964 roku. Warszawa: Polska Akademia Nauk.

Wejt 2016: Wejt, Mateusz. Wspomnienia z 1863 roku, in: Polacy z Wilna i ze Żmudzi na zeslaniu. Pamiętniki Józefa Boguslawskiego i księdza Mateusza Wejta. (ed. Nowak, M.). Kielce: Wydawnictwo Uniwersytetu Jana Kochanowskiego.

Wojtkowiak 2001: Wojtkowiak, Zbyslaw. Nauki pomocnicze historii najnowszej. Źródloznawstwo. Źródla narracyjne. Pamiętnik, tekst literacki. Poznań: Wydawnictwo Poznańskie.

Zahorski 1926: Zahorski, Wladyslaw.Moje wspomnienia, vol. I, National Library, ms. II 10.455.

დრო როგორც კვლევითი კატეგორია მემუარული წყაროების სანდოობის კრიტიკის თვალსაზრისით. რამდენიმე შენიშვნა მეცხრამეტე საუკუნის მემუარების შესახებ

იოლანტა სიკორსკა-კულეშა

როდესაც ისტორიკოსები აფასებენ მემუარული წყაროების სანდოობის საკითხს, დროის მონაკვეთი სტატიის/მემუარების დანერის მომენტსა და ნარსულს შორის, როცა მოვლენა მოხდა, ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო გადამწყვეტ ფაქტორად. აღნიშული ფაქტორი მნიშვნელობს ფართოდ გაგებული მომავალი წყაროს შექმნის და მისი ნარმოების პროცესის ყველა ეტაპზე, რომელიც იწყება იმ მომენტიდან, როცა დღიურის მომავალი შემქმნელი მონაწილეობას იღებს მოვლენაში, როცა ის წერს მემუარებს და გრძელდება ვიდრე მემუარის (ან ჟურნალის ან მოსაგონარი შენიშვნის და ა.შ.) ბეჭდურად გამოქვეყნებამდე.

ამ სტატიის ავტორი მეცხრამეტე საუკუნის პოლონურ მემუარებს იღებს როგორც მაგალითს და მათ საფუძველზე იმ დროის კატეგორიასთან დაკავშირებული ფაქტორების განხილვით, რომელშიც ეს ტექსტები წარმოიშვნენ, წარმოადგენს მცდელობას, შეაფასოს წყაროსმიერი ინფორმაციის „ნამდვილობა".

პირველი, ბუნებრივად მნიშვნელოვანი ფაქტორი, დროის თვალსაზრისით, რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ მემუარებში მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის შემონმებისას, არის მახსოვრობის

შესაძლებლობები. შეხედულება, რომ დრო მეხსიერების საწინააღმდეგოდ მუშაობს, არ არის ზოგადი გამოცდილების შედეგი. კვლევებმა ფსიქოლოგიაში, როგორც ნევროლოგიაც ადასტურებს, მრავალი მონაცემი მოგვცა მეხსიერებასთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ და სხვა მსგავს მექნიზმებზე, პროცესის მიმდინარეობის, მისი შენახვისა და მოგონებების გაცოცხლების შესახებ. თუმცა ისტორიკოსისათვის ადვილი არაა ასეთი ცოდნის გამოყენება. მემუარების, როგორც გარკვეული მოგონებათა ჟანრის, ზოგადი შეფასების დონეზე, ფსიქოლოგთა და ნევროლოგთა კვლევებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ჩამოთვალოთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ავტორთა „კარგ" და „სუსტ" მოგონებებზე; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემთხვევა, რომლის მეშვეობითაც მოცემულ მოქმედებას იხსენებენ, დიდწილად საკამათოა. ისტორიკოსებისათვის რთულია ამ ეჭვებთან გამკლავება, ეს კარგად ჩანს ზიგმუნდ მინეიკოს მოგონებების მაგალითზე, რომელიც მოგონებათა სიზუსტის შეფასებისას შეიძლება ჩაითვალოს მეთოდოლოგიური ჩასაფრების თვალსაჩინო ნიმუშად.

მემუარული წყაროების კრიტიკისას, საკითხები, რომლებიც უკავშირდება მეხსიერების შესაძლებლობებს უნდა მიებას ჟანრობრივ ასპექტს (ტექსტის ტიპს: ერთი მხრივ, ჟურნალს/დღიურს, მეორე მხრივ, მემუარს ან მოგონებათა ტექსტს).

სხვა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა ისტორიული კონტექსტის გავლენა იმ დროში, რომელშიც ადამიანები იმახსოვრებენ საკუთარ მოგონებებს და აღწერენ თავიანთ ცხოვრებას: გავლენა, რის მიხედვითაც აღწერისათვის ირჩევა (ან უგულებელიყოფა) წარსულის მოგონებები/ თემის შერჩევა; თვითცენზურა ან თუნდაც წარსულში მომხდარი ამბის გამოგონება, სოციალური მოლოდინებისა ან არსებული პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებით; ისტორიული გარემოებები, რომელშიც ის გამოქვეყნდა (მაგ. „პატრიოტული ცენზურა").

აქ განხილული შემთხვევები არის დემონსტრირება იმისა, რომ ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, გავლენის ანალიზი, რომელიც დროის ფაქტორს შეიძლება ჰქონდეს მოგონებათა ტექსტის ჩამოყალიბებაზე, არ არის აუცილებელი, ემყარებოდეს ცალსახა დასკვნას და საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებას დავინყების პროცესის შესახებ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რაზეც ისინი მიუთითებენ: კერძოდ, იმას, რომ შესაძლებლობები დროსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორების შეფასებისას ხშირად შეზღუდულია.

ნიკოლოზ გულაბერისძის მოღვაწეობა ათონის მთასა და იერუსალიმის ჯვარის მონასტერში

ნესტან სულავა

ნიკოლოზ გულაბერისძის 1177-1178 წლებში კათალიკოსობიდან გადადგომის შემდეგ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ათონის ქართველთა მონასტერთან, სადაც იგი 1178 წელს ჩასულა. კათოლიკოსყოფილს იერუსალიმს წასვლა ჰქონია განზრახული, მაგრამ ათონზე მომხდარი ტრაგიკული ამბის – კელიების გადაწვის – გაგების შემდეგ განზრახვა შეიცვალა და ათონისაკენ გაემგზავრა. ივირონის მონასტრის ხელნაწერები მოწმობენ, რომ ამ წელს ათონზე ქართველთა მონასტერს დიდი უბედურება ეწვია, ხანძარი გაჩნდა და „კელიები" გადაიწვა. ქართველი დიდებულები ძლიერ შეწუხდნენ და შესანირავები გაგზავნეს მონასტრებისა და სხვა შენობათა შესაკეთებლად.

1170 წლიდან ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი იყო მამა პავლე, რომელიც ენერგიულად შეუდგა აღმშენებლობით საქმიანობას, რათა გადაერჩინა ქართული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ჯერ კიდევ იყო ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. „ივირონის აქტების" გამოცემას უაკ ლეფორმა დაურთო გამოკვლევა, რომელშიც საგანგებოდ მსჯელობს პავლესა და ნიკოლოზის ურთიერთობისა და ათონზე მოღვაწეობის შესახებ. სწორედ ათონური აღაპების საფუძველზე შეაფასა მათი დამსახურება ივირონის მონასტრის აღდგენა-რესტავრაციის, მოვლა-პატრონობის, მწიგნობრული საქმიანობის განახლების საქმეში, გაარკვია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, მამა პავლეს ათონზე მოღვაწეობის ქრონოლოგია, მის მიერ გაწეული სამუშაოების დიაპაზონი; დააზუსტა მამა პავლესადმი ნიკოლოზ გულაბერისძის თანადგომის დეტალები, დოკუმენტებზე დაყრდნობით განსაზღვრა მისი წვლილი ათონის მონასტრის ეკვდერების აღდგენის, გადახურვის, ფრესკებით მოხატვის, ბოსტნისა და სხვა დამხმარე მეურნეობის შესაქმნელად გაღებული ნყალობის შესახებ (ლეფორი 2008: 51-55). ჟ. ლეფორმა აღნიშნა, რომ:

> ნიკოლოზ გულაბერისძემ მთავარანგელოზთა სახელობის ჩრდილო ეკვტერიც შეაკეთებინა, ფრესკებითა და მოზაიკით შეამკობინა (ნ. 144). n. 165 მოსახსენებლის ცნობები აბრეშუმის ქსოვილზე, რომელიც ამკობდა [ღმრთისმშობლის] ეკლესიის კარს, და დიდ საკურთხეველზე გადაფარებული ოქროქსოვილის შესახებ ხაზს უსვამს იმას, თუ რაოდენი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღმრთისმსახურების სილამაზეს (ლეფორი 2008: 54).

ე. მეტრეველმა თავის გამოკვლევაში – „ათონის მონასტრის სააღაპე წიგნი" – უფრო ვრცლად შეისწავლა და განიხილა მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის თანამოღვაწეობა, რამაც მცირე ხნით შეაჩერა ბერძენთა პრეტენზიები ათონის ქართველთა მონასტერთან დაკავშირებით და შეანელა მათი შეტევები, რადგან

> მამა პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა გამოირჩევა აქტიური თავდაუზოგავი საქმიანობით ქართველთა მონასტრის განადგურებისაგან გადარჩენისათვის. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს იმ ვითარების ფონზე, რაც მამა პავლეს დახვდა მისი წინამძღვრად არჩევის ჟამს (მეტრეველი 1998: 93-94).

მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა. მამა პავლეს წინამძღვრად არჩევის დროს „ეკონომიურად და უფლებრივად დაუძლურებული, „ვალთა უფალი" და „მრავალი ჭირის მნახველი" (მეტრეველი 1998: 94) ათონის მონასტერი ძველი დროის აჩრდილადღა იყო გადაქცეული. იოანე კალაკალასა და იოანე თაფლაისძის მოღვაწეობის შემდეგ იგი თანდათან დაკნინდა, მისი კუთვნილი მიწები და სოფლები ვალებში აღმოჩნდა, ქართველები მონასტერში ყოველგვარ უფლებებს, უპირველესად მფლობელობისა და მართვის უფლებებს, კარგავდნენ, რადგან ბერძნები ყოველმხრივ ავიწროებდნენ და უპირისპირდებოდნენ. მონასტრის მდგომარეობის გამოსწორება თითქმის შეუძლებელი იყო, მიუხედავად მეცენატების მიერ გაღებული შესანირებისა. ათონის მონასტრის აღაპთა ნიგნის რამდენიმე მოსახსენებელი გვამცნობს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა მამა პავლემ მონასტერი. აღაპი №165 მოგვითხრობს მამა პავლეს აღმშენებლობითი და სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ე. მეტრეველმა აღაპის საფუძველზე თვალსაჩინოდ აღნუსხა და შეაფასა მისი დამსახურება ათონის მონასტრის წინაშე. მან ისინი პირველ ათონელ წმინდა მამებს შეადარა:

> მისი გასაოცარი ენერგია, პიროვნული ძალა, საქმიანობის მასშტაბურობა, დაუოკებელი მიზანსწრაფვა აღედგინა მონასტრის წარსული დიდება – ყოველივე ეს მოგვაგონებს პირველ ათონელ ქართველ მამათა მონუმენტურ ფიგურებს (მეტრეველი 1998: 94).

ათონზე ჩასული ნიკოლოზ გულაბერისძე მყისვე მხარში ამოუდგა წინამძღვარს – მამა პავლეს და მასთან ერთად იზრუნა მონასტრის გადასარჩენად. მათი ერთობლივი მოღვაწეობა საწინდარი გახდა გაჩანაგებული მონასტრის აღორძინება-აღდგენისათვის, სამნიგნობრო საქმიანობის განახლებისათვის. მართლაც, მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის თანამოღვაწეობის შედეგად აღორძინდა ქართველთა სიამაყე – ივირონის მონასტერი. მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობის, მათი საქმიანობის მჭიდრო კავშირის შესახებ მოგვითხრობს მამა პავლეს მიერ ნიკოლოზისათვის განწესებული აღაპი №105/144. აღაპის ტექსტი „აქტებიდან": „№ 105 სეკტენბერი პირველი, აღაპი არს ჭყონდიდელისა გაზრდილისა ნიკოლოზისა [გულაბერისძის] (განგება ნ. 144-ში, 1178-1184)" (აქტები, 2008: 11) . ეს აღაპი ის ძირითადი წყაროა, რომელიც ათონზე ნიკოლოზის მოღვაწეობას გვაცნობს. მან აღადგინა „მთავარანგელოზთა ეკლესია მოხატვით, გამოჭიქვით, დაჭრელებით, გალავნის ერთ-ერთი კუთხე კოშკად („ბურღოდ") „აღამაღლა" (მეტრეველი 1998: 101). მანვე შეადგინა თამარ მეფის სახელზე დადებული ორწევრა აღაპი, რომელიც, როგორც ე. მეტრეველმა აღნიშნა, სამეფო აღაპის პირობაზე საკმაოდ ღარიბია, რასაც მკვლევარი თამარის მიერ გაგზავნილი ევლოგიის სიმცირით ხსნის: თამარის პირველი ევლოგია – 20 დუკატი და 2 დიდი სტავრა – ათონიდან საქართველოში საგანგებოდ მოვლენილმა მოკალმასე ბერებმა ჩაიტანეს, მეორედ – ნიკოლოზ გულაბერისძემ 20 პერპერა ჩაიტანა. ნიკოლოზის ხელით შესრულებული აღაპის გასნვრივ მინანერში იკითხება: „მას [თამარს] სხუაჲცა უფროსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა ჰავთა ღორთა კაცთა არა დაეკლო" (მეტრეველი 1998: 101). აქ არაა დასახელებული, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები. რაც შეეხება აღაპისათვის შეუფერებელ, უხერხულ გამოთქმას „ჰავთა ღორთა კაცთა", მას ახსნა უნდა მოეძებნოს. ნიკოლოზის მიერ თამარის აღაპის საკუთარი ხელით ჩატანა და მონასტრისათვის გადაცემა განაპირობა მისმა დამოკიდებულებამ გიორგი მესამისა და თამარისადმი, იგი მთელი თავისი მოღვაწეობით სამეფო იდეოლოგიის მომხრე, მეფეთა ინტერესების დამცველი და მათი ერთგული იყო. ნიკოლოზსვე გადაუცია მონასტრისათვის აბულასან ქუთათელის მიერ გაგზავნილი ევლოგია 40 პერპერა. თუ ვინ უნდა ყოფილიყო აბულასანი, ცნობილი არ არის. ნ. ბერძენიშვილის აზრით, იგი სასულიერო პირი არ უნდა იყოს, რადგან მას ჰრქმევია „ნმინდა არაბულ-მუსლიმური სახელი" (ბერძენიშვილი 1967: 320-321). მისივე შეხედულებით:

> ეს აბულასან ქუთათელი ვიღაც დიდი კაცია. ეს იქითგან ჩანს, თუ ვისი ხელით ჰგზავნის იგი შესანირავს მონასტერში. ნიკოლოზ გულაბერის ძეს, პატრიარქობითგან გადამდგარს თამარ დედოფლისა და აბულასან ქუთათელის შესანირავი მიაქვს ათონს (ბერძენიშვილი 1967: 320-321).

ათონის აღაპებში მოხსენიებულ თამარ დედოფალთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული შეხედულებაც (სარგის კაკაბაძე, 1966; ჩიკვაიძე, 2009: 225-226), რომლის მიხედვით, აქ ეჭვს იწვევს თამარ მეფის ტიტულატურა და აღაპში დასახელებული თამარ დედოფალი თამარ მეფე არ უნდა იყოს, იგი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის ასული თამარი, რომელიც შირვანის შაჰზე იყო გათხოვილი და რომელმაც დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა თიღვის ტაძარი ააგებინა.

ვფიქრობ, რომ საკითხი დაზუსტებას კიდევ ერთხელ მოითხოვს. დავიმონმებ „ივირონის აქტების" გამოცემიდან ორი აღაპის ტექსტს, რომლებშიც თამარი დედოფლად მოიხსენიება: „აღაპი № 95, თუესა ივლისსა კე [25], აღაპი არს თამარ დედოფლისაჲ (თანამეფე 1178 ნლიდან, მარტო მეფობდა 1184-1213 ნნ; განგება ნ. 153-ში; ნიკოლოზ გულაბერისძის ხელი, 1178-1184)" (აქტები, 2008: 10):

> აღაპი №153. თუესა ივლისსა კე [25],... განგჳნესებია თამარ დედოფლისადა (1184-1213) აღაპი, რამეთუ ოდეს კელინნი დაგუცნუნეს და [ივირონის] მონაზონნი აღმოსავლეთს გავგზავნენით, თამარს მოეცა ევლოგიად კ [20] დუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოც-ოცსა დრაკანსა სჯობდეს, და კუალად ნიკოლოზ გულაბერისძემან მოგუცა მისივე კ [20] პერპერაჲ რუხსა წარჴდომილისა შესაკაზმავად და წისქჳლისა და ბოსტნისა შესაქმნელად... მას სხუაჲცა უფროსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკეთუმცა ჰავთა ღორთა კაცთა არ დაეკლო (ნიკოლოზ გულაბერისძის ხელი, 1178-1184 ნნ.) (აქტები 2008: 17).

ს. კაკაბაძის მოსაზრებით, თამარი მეფედ კი არ იწოდებოდა, არამედ დედოფლად. ეს თვალსაზრისი განავითარა ე. ჩიკვაიძემ, რომლის ვარაუდით, იქნებ აღაპებში ნახსენები თამარი მართლა დავითის ასულია და არა თამარ მეფე. მანვე აღნიშნა, რომ ამ აღაპებში ნიკოლოზი მარტივად, მხოლოდ სახელით მოიხსენიება. ამიტომ დასვა კითხვა, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ჯერ არ იყო კათალიკოსი? *„ნიკოლოზ გულაბერისძე ყველგან (აღაპებში) იხსენიება მარტივად, სახელით. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ჯერ არ იყო კათალიკოსი?"* (ჩიკვაიძე, 2009: 226. ხაზგასმა ავტორისაა. ნ.ს.). მანვე ყურადღება გაამახვილა მ. საბინინის „საქართველოს სამოთხის" გამოცემაზე დართულ მითითებაზე, რომელიც მ. საბინინს ეკუთვნის: „სვინაქსარი ესე კათალიკოზ ნიკოლაოზ პირველისაგან 1160 წელს შედგენილ არს ძუელით მატიანეთაგან" (საბინინი 1882: 117). მკვლევარი აღნიშნავს, რომ უცნობია, თუ რას ემყარება მ. საბინინის თვალსაზრისი. იგი წერს: „თუმცა, ასეთი დათარიღება გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა გულაბერისძე იყო ორჯერ საბერძნეთში (მოსაზრებას საბერძნეთში საკითხავის დაწერამდე ყოფნის შესახებ ბერძენთა ნათესავის, მისი ხასიათისა

და წეს-ჩვეულებათა შესახებ მსჯელობაც განგვიმტკიცებს...), ან თარიღი მისი საბერძნეთში ყოფნის შესახებ მცდარია" (ჩიკვაიძე 2009: 228).

ამ თვალსაზრისის გაზიარება გაჭირდება, რადგან თამარი მეფედაც იხსენიება და დედოფლადაც, რის გამოც ეს იმის საბუთად ვერ გამოდგება, თუ ვინ შეიძლება ვიგულისხმოთ თამარ დედოფალში, თამარ დავით აღმაშენებლის ასული თუ თამარ მეფე, გიორგი მესამის ასული. საამისოდ თუნდაც თამარ მეფის ჯვრის წარწერის დამონმებაც კი საკმარისი იქნებოდა, რომელშიც თამარ გიორგი მესამის ასული იხსენიება როგორც მეფე და დედოფალი: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინანარძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს" (ქრონიკები, 1892: 269). ამ წარწერის შემცველ ჯვარს თამარ მეფე ატარებდა. რაც შეეხება ნიკოლოზ გულაბერისძის ათონზე ორჯერ ყოფნას, დოკუმენტურად არ ვიცით, თუმცა, ვარაუდის დაშვება შეიძლება. მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის, რადგან ივირონის აღაპები ნათლად მოწმობს წინამძღვარ პავლესა და ნიკოლოზის ერთდროულად მოღვაწეობას ათონზე (მეტრეველი1998: 174; აქტები, 2008: 16), რაც შესაძლებელი იყო XII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც ათონის ქართველთა მონასტერში კელიები გადაინვა და ნიკოლოზმა გადაწყვიტა ათონზე წასვლა იქაური ვითარების გამოსასწორებლად. საინტერესოა ისიც, რომ აღაპებში ნიკოლოზ გულაბერისძე მხოლოდ სახელით მოიხსენიება და არა კათალიკოსის ტიტულით, რაც, ვფიქრობ, სავსებით ბუნებრივია, რადგან ივირონის მონასტერში ყოფნისას იგი აღარ იყო კათალიკოსი, უკვე გადამდგარი გახლდათ და, ცხადია, კათოლიკოსის ტიტულით არც უნდა მოხსენიებულიყო. მის მოსახსენებლად შეიძლებოდა გამოყენებულიყო „კათალიკოსყოფილი", მაგრამ ეს არ დასტურდება. ისიც მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აღაპის მიხედვით ნიკოლოზი სვიმონ ჭყონდიდელის გაზრდილია. დავიმონმებ მთელ აღაპს:

> №144. სეკდენბერსა ა[1], ... განუნესეთ პანაშჳდი ნიკოლოზს [გულაბერისძეს], სჳმეონ ჭყონდიდელისა გაზრდილსა, მამამან პავლე და ყოველთა ძმათა. ვინაჲთგან მოინია ნმიდასა ამას უდაბნოსა, დიდი ერთგულობაჲ და გულმოდგინებაჲ აჩუენა ამას ადგილსა ზედა, რამეთუ ეკლესიაჲ მთავარანგელოზთაჲ აღაშენა ყოვლითურთ მოხატვით, გამოჭიქვით, დაჭრელებით; და მერმე, გარეთსა ლაკუასა დამართებით, იგი კუთხი ბურღოდ აღამაღლა, რამეთუ დია მდაბალი იყო, და სხუაჲ შემოსწირა ეკლესიასა პერპერაჲ კდ [24]; ამის ყოვლისათჳს განგჳწესებია სეკდენბერი პირველი, რაჲთა ყოვლითა გულმოდგინებითა გარდაიჴდებოდის – მნუხრსა ლოცვითა, ხილითა და კრასოვულითა და სამხრად ჟამისნირვითა და ძმათა ტრაპეზის დია ნუგეშინისცემითა; და ვინცა უდებ ყოს ესე განწესებული ჩუენი, თანამდებ არს სასჯელსა და გეენიასა, და აღმასრულებელთა ზედა კურთხევაჲ იყოს საუკუნოდ. ქ. ამანვე, ძმამან ჩუენმან ნიკოლოზ, ამასვე სეკდენბერსა ერთსა დაწესებულისა პანაშჳდისათჳს მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა მუტრუკი, ნასყიდი პერპერად იე [15] და უღელნი ჴარნი, ნასყიდნი პერპერად ზ [7] ... 1183/1194 ნნ. მახლობლად) (აქტები 2008: 16).

უთუოდ უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ათონის მონასტრის სააღაპე წიგნში, რომლის შედგენა X საუკუნის 80-იან წლებიდან დაიწყო და XII საუკუნეში გადაიწერა, ხოლო აღაპები შემდეგშიც ივსებოდა, შემონახულია ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით დაწერილი რამდენიმე აღაპი. მათ შორისაა იოანე მწიგნობართუხუცესის სახელზე შედგენილი აღაპი.

ათონზე, ივირონში, მამა პავლეს, მოძღვრის, – ე. მეტრეველი მოძღვარში თვით ნიკოლოზს გულისხმობს, – ე. ი. ნიკოლოზ გულაბერისძეს, დეკანოზისა და მთელი საკრებულოს თანადგომითა და დავალებით შეუდგენია აღაპი №155 იოანე მწიგნობართუხუცესისათვის იმ დამსახურების გამო, რომელიც მას მიუძღოდა ივირონის მონასტრის წინაშე კელიების გადაწვის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ იოანე მწიგნობართუხუცესს ნიკოლოზის კათოლიკოსობიდან გადადგომის შემდეგაც უჭირავს ეს სახელო. ეს ფაქტი იოანესა და ნიკოლოზის ურთიერთდამოკიდებულებას და მათ შორის თბილ, მეგობრულ ურთიერთობას წარმოაჩენს. იოანემ მდიდრული ევლოგია შესწირა ათონის მონასტერს: „პერპერაჲ ლიტრაჲ" 4 და 1 ოქროს ფარჩა" (მეტრეველი 1998: 259). აღაპში შეფასებულია იოანე მწიგნობართუხუცესის ღვაწლი და დამსახურება საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრების წინაშე, ნარმოჩენილია გიორგი მესამის თანამედროვე მწიგნობართუხუცესის სახე, როგორც მეფის პოლიტიკის თანამზრახველისა და თანამოღვანისა. ე. მეტრეველის შეხედულებით, სწორედ ამიტომაა სავსებით ბუნებრივი, რომ იოანე მწიგნობართუხუცესისათვის აღაპის შედგენა ნიკოლოზ გულაბერისძემ იკისრა. მას იგი დაუწერია 1179 წლის ახლო ხანებში, რადგან ნიკოლოზი ათონზე 1178 ნელს წასულა. აღაპი განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიიჩნიეს ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც იგი „სრული აღაპის" სახეობად მიიჩნია (დამოწმებულია: მეტრეველი, 1998: 323), და ე. მეტრეველმა, რომლის შეხედულებით, აღაპი საყურადღებოა „განგების მრავალფეროვნებითა და კომპოზიციის სისრულით. ამ თვალსაზრისით მის ანალოგს ვერ ვპოულობთ ვერც ათონისა და ვერც იერუსალიმის სააღაპე წიგნებში" (მეტრეველი 1998: 261).

ე. მეტრეველმა ათონის მონასტრის სააღაპე წიგნში იოანე მწიგნობართუხუცესის აღაპი მიიჩნია ერთადერთ აღაპად, რომელშიც ნინამძღვრის შემდეგ მოძღვარია დასახელებული, რაც მის განსაკუთრებულ სტატუსს უნდა ნიშნავდეს, ხოლო აქ მოხსენიებულ მოძღვრად ნიკოლოზ გულაბერისძე უნდა ვიგულისხმოთ. „მოძღვარი, როგორც ჩანს, მისი ოფიციალური სტატუსი იყო ქართველთა მონასტერში. ეს სტატუსი

გულისხმობდა მონასტრის დიდად დამსახურებულ, განსწავლულ და განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, რომელსაც ხელენიფებოდა ძმობის წევრთა დამოძღვრა და განსწავლა. ამ რანგის მწიგნობარი და სულიერი მამა XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მამა პავლეს თანამოღვაწეთა შორის, ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოში სხვა არავინ გვეგულება, ნიკოლოზ გულაბერისძის გარდა. ამიტომაც მიგვაჩნია იგი ამ აღაპის დამნერად" (მეტრეველი 1998: 260). ამ აღაპის მიხედვით ნიკოლოზ გულაბერისძე ნარმოგვიდგება ფილოსოფიურად მოაზროვნე და ღრმად დაკვირვებულ მწერლად, რადგან მან იოანე მწიგნობართუხუცესის ქველმოქმედების მასშტაბების განსაზღვრისას თეოლოგიური საფუძვლები მოიძია და აღნიშნა, რომ უფალმა დაუწესა ადამიანებს სახე მოღვაწისა, „თუ როგორი უნდა იყოს საუკუნო ცხოვრებისაკენ მარადიული სწრაფვა კეთილმოქმედების გზით, რათა ადამიანები ნათლის შვილები გავხდეთ იესო ქრისტეს აღდგომის ჟამს" (მეტრეველი 1998: 102).

ნიკოლოზ გულაბერისძე მამა პავლეს მხარში ედგა ათონის ქართველთა მონასტრისათვის მძიმე პერიოდში და როგორც კი ვითარება გამოსწორდა, იგი იერუსალიმის გზას გაუდგა, რაც საქართველოდან წასვლისას ჰქონდა ჩაფიქრებული. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმში დიდხანს არ დარჩენილა, ნმინდა ქალაქში მის ხანმოკლე მოღვანეობას იერუსალიმური სამონასტრო დოკუმენტები ნათლად წარმოაჩენს და აჩვენებს, რომ კათოლიკოსყოფილი ნმინდა მინაზეც დაუღალავად და გულმოდგინედ იღვწოდა. მან იზრუნა, რომ თავისი სამეურნეო და სააღმშენებლო საქმიანობით მოეწესრიგებინა იერუსალიმის ქართული სავანეების მდგომარეობა. ჯვარის მონასტრის აღაპთა წიგნში ნიკოლოზ გულაბერისძისათვის განკუთვნილ მოსახსენებელში № 127 აღნიშნულია, რომ ნიკოლოზმა ჯვარის მონასტრის კუთვნილი ვენახი გამოისყიდა, რომელიც მიტაცებული ჰქონდა იერუსალიმის ლათინთა მეფეს ბალდუინ IV-ეს (მეტრეველი 1998: 104-106). ყოველივე ეს 1183-1184 წლებით თარიღდება, როდესაც კათოლიკოსყოფილი ნიკოლოზი იერუსალიმში იმყოფებოდა.

ამრიგად, 1170 ნლიდან ათონის ქართველთა მონასტრის ნინამძღვარი მამა პავლე ენერგიულად შეუდგა აღმშენებლობით საქმიანობას, რათა გადაერჩინა ქართული სამონასტრო კომპლექსი, ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რადგან ამ დროისათვის ათონის მონასტერი ძველი დროის აჩრდილადღა იყო გადაქცეული. ათონურ აღაპთა წიგნის რამდენიმე მოსახსენებელი გვამცნობს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა მამა პავლემ მონასტერი. ამავე აღაპების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა, ჟაკ ლეფორმა, ე. მეტრეველმა შეაფასეს მისი დამსახურება ივირონის მონასტრის ისტორიაში, დააბუსტეს მამა პავლესადმი ნიკოლოზ გულაბერისძის თანადგომის დეტალები და შეისწავლეს მათი თანამოღვაწეობა, რამაც მცირე ხნით შეაჩერა ბერძენთა პრეტენზიები ათონის ქართველთა მონასტერთან დაკავშირებით და შეანელა მათი შეტევები. კათალიკოსობიდან გადადგომის შემდეგ ათონზე ჩასული ნიკოლოზ გულაბერისძე მხარში ამოუდგა წინამძღვარს – მამა პავლეს და მასთან ერთად იზრუნა მონასტრის გადასარჩენად. სნორედ მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის თანამოღვაწეობის შედეგად აღორძინდა ივირონის მონასტერი. ამის შესახებ მოგვითხრობს მამა პავლეს მიერ ნიკოლოზისათვის განწესებული აღაპი №105/144, რომელიც ის ძირითადი წყაროა, რომელიც ათონზე ნიკოლოზის მოღვაწეობას გვაცნობს.

ნიკოლოზმა შეადგინა თამარ მეფის სახელზე დადებული ორნევრა აღაპი, რომელიც, როგორც მეცნიერებმა შენიშნეს, სამეფო აღაპის პირობაზე საკმაოდ ღარიბია. საყურადღებოა ევლოგიის გამღების დედოფლად მოიხსენიება. ზემოთ აღინიშნა, რომ ათონის აღაპებში მოხსენიებულ თამარ დედოფალთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ტრადიციულისაგან განსხვავებული შეხედულება, რომლის მიხედვით, აღაპში დასახელებული თამარ დედოფალი უნდა იყოს არა თამარ მეფე, არამედ დავით აღმაშენებლის ასული თამარი. ჩვენ სნორედ ამ საკითხების გარკვევას შევეცადეთ წინამდებარე ნაშრომში და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ივირონის აღაპების, სხვა დოკუმენტური წყაროების საფუძველზე სავსებით ნათელია თამარის მოხსენიება როგორც მეფისა და როგორც დედოფლისა. ასევე, აღაპებში ნიკოლოზ გულაბერისძე მხოლოდ სახელით მოიხსენება და არა კათალიკოსის ტიტულით, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ივირონში ყოფნისას იგი აღარ იყო კათალიკოსი, უკვე გადამდგარი იყო და კათოლიკოსის ტიტულით არც უნდა მოხსენიებულიყო. ისიც გარკვეულია, რომ აღაპთა ტექსტის მიხედვით, ნიკოლოზმა თავად ჩაიტანა თამარის გაგზავნილი ევლოგია, ხოლო მის მიერ ჩატანა და მონასტრისათვის გადაცემა განაპირობა მისმა დამოკიდებულებამ გიორგი მესამისა და თამარისადმი, იგი მთელი თავისი მოღვანეობით სამეფო იდეოლოგიის მომხრე, მეფეთა ინტერესების დამცველი და მათი ერთგული იყო, რასაც მონმობს ნიკოლოზის თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოასა და კათოლიკე ეკლესიისაჲ" დაცული ცნობებიც. მის მიერ შედგენილი აღაპების მიხედვით ნიკოლოზ გულაბერისძე წარმოგვიდგება თეოლოგიურად, ფილოსოფიურად და სახისმეტყველებითად ღრმად მოაზროვნე პიროვნებად, დაკვირვებულ, გამოცდილ მწერლად.

დამოწმებანი

ბერძენიშვილი 1967: ნ. ბერძენიშვილი. ათონის კრებულის რედაქცია, წიგნში: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი.

გულაბერისძე 2007: ნიკოლოზ გულაბერისძე. თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, თბილისი.

კაკაბაძე 1966: ს. კაკაბაძე. შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი.

ლეფორი 2007: ჟაკ ლეფორი. ივირონის მონასტრის ისტორია XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე. წიგნში: ივირონის აქტები, საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ ვასილიკი კრავარისა და ე. მეტრეველის თანაავტორობით, II, XI, თბილისი.

მეტრეველი 1998: ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი.

საბინინი 1882: მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი.

ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ჩიკვაიძე 2009: ე. ჩიკვაიძე. ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი" და ნმინდა ნინოს ცხოვრება, კრებული „წმინდა ნინო ცხოვრება და ქართლის მოქცევა", ლიტერატურის ინსტიტუტის მეგზური, თბილისი.

ჯავახიშვილი 1977: ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი VIII, თბილისი.

ჯავახიშვილი 1982: ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თხზულებანი, VI, თბილისი.

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი.

ჯავახიშვილი 1984: ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, ნიგნი მეორე, თხზულებანი, VII, თბილისი.

NIKOLOZ GULABERISDZE'S ACTIVITIES ON MT. ATHOS AND AT CROSS MONASTERY IN JERUSALEM

Nestan Sulava

On the basis of authentic sources the paper represents activities of eminent Georgian ecclesiastic Nikoloz Gulaberisdze on Mt. Athos and at Cross Monastery in Jerusalem.

After resigning from the cathedra of Catholicos in 1177 Gulaberisdze linked his activities to Ivironi – Georgian monastery on Mt. Athos. He came there in 1178. Right away after his coming Nikoloz Gulaberisdze began supporting the Abbot of the monastery Paul in restoring the monastery. In result of their joint activities the monastery began functioning normally and the writing activities renewed. The evidences on joint efforts of Nikoloz Gulaberisdze and Abbot Paul are given in special commemorative record (№105/144) compiled by Paul. The author displays many facts concerning the joint activities of Abbot Paul and Nikoloz Gulaberisdze. Gulaberisdze's journey to Jerusalem also is described with due insights. In Jerusalem Gulaberisdze took care for Georgian monasteries.

ქართული წარმართული პანთეონის კვლევისათვის

მაია ქუთათელაძე

ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ საკმაოდ მწირი და ფრაგმენტულია. იმის მიუხედავად, რომ ქართული წარმართული პანთეონის პრობლემატიკას ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ვრცელი გამოკვლევები მიეძღვნა, კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ამ საკითხს. ვფიქრობთ, ქართული და უცხოური წყაროების ანალიზი ქართველთა უძველესი რელიგიური წარმოდგენების შესახებ ზოგიერთი საკითხისა და პრობლემის ახლებურად გააზრება-დამუშავების საშუალებას იძლევა.

ქართული წარმართული პანთეონის სათავეში დგას არმაზის ღვთაება, რომლის კულტის გავრცელების ტრადიცია ნერილობითი წყაროების მიხედვით, ფარნავაზთანაა დაკავშირებული (ყაუხჩიშვილი 1955: 25). ღმერთების პანთეონში მეორე ადგილზეა ზადენი, რომლის ანტროპომორფული გამოსახულება ქართლის მეფე ფარნაჯომმა ზადენის გორაზე აღმართა (აბულაძე და *სხვები* 1962: 190). კიდევ ორი კერპის – გაცისა და გაიმის თაყვანისცემის დამკვიდრება მეფე აზოს სახელს უკავშირდება, რომელმაც ისინი „არიან ქართლიდან" მოიტანა. ქართული წერილობითი წყაროები არაფერს ამბობს საქართველოს ტერიტორიაზე მაზდეანობის გავრცელებისა და ღვთაება მითრას თაყვანისცემის შესახებ, თუმცა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა ნათლად მეტყველებს ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი და საჭიროა კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ამ თემას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ნინაქრისტიანული ხანის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში მითრას კულტს გარკვეული ადგილი ეჭირა. მაგალითად, ს. მაკალათია მიიჩნევდა, რომ ქართული არმაზი სხვა არაფერია, თუ არა მითრა. ამ დასკვნამდე იგი მიიყვანა არმაზისა და მითრას ღვთაებრივი ატრიბუტების მსგავსებამ. უცნობი ქართველი მემატიანის მიერ აღწერილი არმაზი ასეთია:

> კაცი ერთი სპილენძისაი: და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროისა: და ჩაფხუტი ოქროისა: და სამხარნი ესხნეს: ფრცხილი და ბივრიტი და ხელსა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული... და მარჯულ მისა ედგა კერპი ოქროისა, და სახელი მისი გაცი: და მარცხლ მისა...კერპი ვერცხლისაი: და სახელი მისი: გა: რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეთ მამათა თქუენთა არიან ქართლით (აბულაძე *და სხვები* 1962: 56).

ასევეა წარმოდგენილი არმაზი ლეონტი მროველის თხზულებაშიც:

> კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი და თვალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა... (ყაუხჩიშვილი 1955: 195).

იკონოგრაფიულად არმაზი ღვთაება მითრასთან მეტ სიახლოვეს იჩენს, რადგან მასაც „ლესული ხმლით" გამოსახავდნენ. მითრაც ასევეა წარმოდგენილი თითქმის ყველა დღემდე აღმოჩენილ ბარელიეფზე – მხედარი, რომელსაც ასხია სამხარე, თავზე ახურავს ჩაფხუტისებრი ქუდი და ხელში ალესილი ხანჯალი უჭირავს, რომლითაც იგი ხარს კლავს (კეკელიძე 1945: 351). ამასთანავე, *იესთ-საღეს* ერთ-ერთმა ჰიმნმა შემოგვინახა ღვთაება მითრას აღწერილობა, რომელიც ძალზე წააგავს ქართული წყაროების არმაზის კერპს: „მითრა ვერცხლის ჩაფხუტიანი მხედარია, ტანზე აცვია ოქროს აბჯარი, ჰკიდია განმგმირავი ხანჯალი, ხელში უჭირავს მახვილი და თეთრ ცხენზე ზის"(ქუმონთი 1895: 99; კუნი 1922: 106).

არმაზთან დაკავშირებით, ს. მაკალათიას სხვაგვარი მოსაზრებაც გააჩნია. *ქახთღის ცხოვრებასა* და *მოქცევაი ქახთღისაის* მატიანეში მოხსენიებული ქართველთა მთავარი ღვთაება არმაზი, მკვლევარის აზრით, იგივე აპურამაზდაა (მაკალათია 1927: 183). იგი იმოწმებს სომეხ ისტორიკოსს მოვსეს ხორენაცის, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველები არმაზს (აპურამაზდას) დილაადრიანად თავიანთი სახლების ბანიდან სცემდნენ თაყვანს (აბდალაძე 1984: 86). აპურამაზდასთან არმაზის კავშირი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სრულიად მარტივი მიზეზის გამო: ქართული საისტორიო ტრადიცია ქრისტიანული ხანის ქართველთა ღმერთებს, პირველ რიგში, ანტროპომორფულ ღვთაებებად წარმოგვიდგენს (აფაქიძე 1970: 665), ხოლო *ავესტაში* დაცული იმ ტექსტების გათვალისწინებით, სადაც აპურამაზდაა მოხსენიებული, ღვთაების წარმოდგენა ანტროპომორფული სახით გამორიცხულია. ძველირანულ ხელოვნებას შემოუნახავს აპურამაზდას გამოსახვის მხოლოდ სიმბოლური ნიშნები – ფრთოსანი მზის ნრე.

მიუხედავად ამისა, ქართული წერილობითი წყაროების გადმოცემით, ქრისტიანობის შემოღებისას

მცხეთაში იდგა არმაზის კერპი, მხედრის ატრიბუტებით, რომელიც ჩვენი წინაპრების მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. ქართული არმაზის ამ ფორმით (ანტროპომორფული) გამოსახვას ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი მაზდეანობის ქართულ ნიადაგზე გარდასახვით ხსნიან. ი. ჯავახიშვილს უცილობლად მიაჩნდა დროის გარკვეულ მონაკვეთში საქართველოში მაზდეანობისა და, მასთან ერთად, აპურამაზდა-არმაზის კულტის გავრცელებაც. თუმცა, მისივე ვარაუდით, სპარსული მაზდეანობა ჩვენში კერპთაყვანისმცემლობად ქცეული სარწმუნოება არ უნდა ყოფილიყო. უფრო ზუსტად კი, „საქართველოში სპარსული მაზდეანობა ადგილობრივი კულტურის ნიადაგზე შეცვლილი სახით არსებობდა" (ჯავახიშვილი 1979: 145).

კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ უფრო ახლო ვიქნებით სამართლესთან თუ ვიფიქრებთ, რომ გულუბრყვილო მემატიანემ ტყუილად მონათლა არმაზის სახელით ის კერპი, რომელიც ნამდვილად წარმოადგენდა მითრას ბარელიეფს, მის გამოხატულებას. მართლაც, ღვთაება მითრა ყველა ბარელიეფზე წარმოდგენილია, როგორც მხედარი: მას ასხია სამხარე, თავზე ახურავს ჩაფხუტისებრი ქუდი და ხელში ალესილი ხანჯალი უჭირავს, რომლითაც იგი ხარს კლავს (კეკელიძე 1945: 351).

ქართულ მეცნიერებაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, კერძოდ, ძველირანული მითრას ნიშან-თვისებებს ქართული ნარმართული პანთეონის მეორე ღვთაებას ზადენს მიანერენ. ნ. მარს მიაჩნდა, რომ ქართული ზადენი „ავესტას" „yazata"-ს, სპარსულ yazdan-ს, კეთილ გენიას, მითრას ანუ მიჰრს და საზოგადოდ კი, ღმერთს უნდა ნიშნავდეს. მისი აზრით, ქართულ მატიანეებში არმაზის შემდეგ, მეორე ადგილას ზადენ-მითრას მოხსენიება სრულიად ეთანხმება იმას, რომ მითრა მაზდეანურ მოძღვრებაში აპურამაზდას შემდეგ ერთი უმთავრესი ღვთაებათაგანია (მარი 1902: 7).

ანალოგიური თვალსაზრისი ეკუთვნის ლ. მელიქსეთ-ბეგს. ამასთანავე, მეცნიერი ქართულ ღვთაებათა წყვილის არა მარტო სპარსულ, არამედ მეზობელი სომხეთის წარმართული პანთეონის წყვილთან იდენტობაზეც მიგვანიშნებს. სპარსულ „არმაზი ზადენის გვერდით მოიხსენიება, მსგავსად ირანული პანთეონისა, სადაც ორმუზდთან (აპურამაზდა) ერთად იდგა მითრა, სომხურში კი, არამაზდთან ერთად – მიჰრი" (მელიქსეთ-ბეგი 1938: 39).

ამ პოზიციის სანინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებდა მ. ნერეთელი. იგი ნერდა: „yazatan", საიდანაც მარს გამოჰყავს „ზადენ", ანგელოზები იყვნენ, ზოროასტრიზმის განყენებულ ცნებათა განხორციელებანი და არა მითრა. ამიტომაც, ზადენს ვერ დავისახავთ კეთილ გენიად – მითრად, რადგან ზადენის საკურთხეველზე მსხვერპლნი „ბილწნი შეინირებოდნენ". მეცნიერი ფიქრობს, რომ სახელი მთვარის ღმერთისა არმაზ, შეიძლება ნამდვილად უდრიდეს სპარსულ ორმუზდს, ე.ი. აპურამაზდას. თუმცა, ქართული წყაროებში გადმოცემული არმაზის კულტის ხასიათი მეტ სიახლოვეს აპურამაზდასთან კი არა, ხეთების ცისა და სინათლის, ელვა-ჭექისა და ატმოსფეროს ღმერთთან, თეშუბთან პოულობს. იმ განსხვავებით, რომ წვეტიანი ქუდისა და ორპირი ნაჯახის მაგივრად, არმაზს „ჩაფხუტი", და „ხრმალი" ჰქონია. მ. ნერეთლის გამოკვლევით, ხეთიდან, გინდა მცირე აზიიდან არის შემოტანილი არა მარტო არმაზი (ხეთური თეშუბ), არამედ ხის კულტიც, ეგზომ გავრცელებული ძველ საქართველოში. ხეთური თუ მცირეაზიულია აფხაზური აზაჰარა ანუ აშახარა (ხეთური იშხარა), ალბათ, ქართული ტაროსი (ხეთურად ტარო), ზადენი (ხეთურად ზანდონ), გაცი ანუ გატი, გა (იშხარა), აინინა და დანინა ანუ ნანა და სხვ. „სწორედ უცხოეთიდან შემოჭრილ ამ უცხო სჯულს ზოროასტრისას ებრძოდა ადგილობრივი ქართული ანუ ხეთური ნარმართობა" – დასძენს მეცნიერი (ნერეთელი 1924: 94-95).

მ. ნერეთლის თეორიას სრულიად ეთანხმება ნ. სამსონია და მიიჩნევს, რომ მისი მოსაზრებანი ქართული ნარმართული სარწმუნოებისა და ხეთური რელიგიის ურთიერთობის შესახებ დღეისათვის უმეტესად გამართლებული და გაზიარებულია. მცირე აზიაში გამოვლენილმა მატერიალური კულტურის ძეგლებმა გაამყარა მისი ვარაუდი არმაზის კერპის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც კერპის აღწერილობაში არმაზი წარმოდგენილია მეომარი ღვთაების სახით, რასაც წყაროების სხვა მონაცემების გათვალისწინებით, ასევე ამინდის ღვთაებათა ფუნქციაც უნდა ჰქონოდა შეთავსებული (სამსონია 1999: 19-21).

მ. თარხნიშვილის თანახმად, ქართული არმაზი იგივე ხეთური ღვთაება „არმა" უნდა იყოს, რომელიც მთვარეს ნიშნავს. არმაზს არავითარი საერთო აპურამაზდასთან არა აქვს, იგი ხეთური ღვთაებაა და უკავშირდება პროტო-ხეთების უძველეს ხანას, იმ დროს, როცა ქართველებს შეუთვისებიათ არმაზის სახელიცა და მისი კულტიც. მეცნიერი იმასაც ვარაუდობს, ქართველთა წინაპრებისა და ხეთების უძველესი ურთიერთობისა და შესაძლებელია, ნათესაობის გამო, ხეთური სამყაროდან შემოვიდა არა მარტო არმაზი, არამედ ბევრი სხვა რამეც, უფრო კი, მათი პანთეონის ზოგიერთი სხვა ნევრიც (თარხნიშვილი 1994: 260).

არმაზის კერპი ხეთური სამყაროდან შემოტანილად მიაჩნდა გ. გიორგაძეს. მისი აზრით, ქართული არმაზი უახლოვდება მცირეაზიულ (ხეთურ-ხურიტულ) ომისა და ტაროსის (თეშუბი) კულტებს. მასში ამ ორი ანატოლიური ღვთაების თვისებებია თავმოყრილი. არმაზის სახელის ეტიმოლოგიის ყველაზე დამაჯერებელ ვარაუდად მკვლევარს არმაზის ხეთურ-ლუვიურ სიტყვასთან „არმა(ს)" – მთვარე დაკავშირება მიაჩნია, თუმცა, არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ სახელწოდება არმაზი აპურამაზდასაგან მომდინარეობდეს. საბოლოოდ, არმაზის კერპის „აღწერილობაში", ეს კერპი მეომარ ღვთაებადაა წარმოდგენილი, რომელსაც წყაროთა სხვა მონაცემების გათვალისწინებით, ამინდის ღვთაების ფუნქციაც უნდა ჰქონოდა შეთავსებული (გიორგაძე 1988: 150).

ქართული წარმართული ღვთაებების არმაზისა და ზადენის თვისებები, მათი ფუნქციები შეიძლება ამოვიკითხოთ *ნინოს ცხოვრების* შატბერდისეულ ნუსხაში, სადაც მეფე მირიანი შემდეგი სიტყვებით მიმართავს წმინდა ნინოს: „აჰა ესერა ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემნი, სოფლისა მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქვეყნისა ნაშობთა გამომზრდელნი, ქართლისა იგი ღმერთნი არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი და ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაცი და გა"(აბულაძე და სხვები 1962: 59). როგორც გ. გიორგაძე მიიჩნევს, „სოფლის მპყრობელნი"-ში ხაზი ესმება არმაზის ღვთაების მეომარ ხასიათს, „წვიმის მომცემელნი"-ში კი, სავარაუდოდ, ტაროსის ღვთაების ერთ-ერთი ნიშანი უნდა იგულისხმებოდეს (გიორგაძე 1988: 149).

ვეთანხმებით გ. გიორგაძეს, რომ „სოფლის მპყრობელნი"-ში ღვთაების მეომარი ხასიათი იგულისხმება. „წვიმის მომცემელნი"-ში კი არ არის აუცილებელი ხეთური ტაროსი დავინახოთ. ინდოელთა *ხიგ-ვედასა* და პართიელების *ავესტას* მიხედვით, ინდოირანული ღვთაება მითრა, რომელიც წყაროებში „სიცოცხლის მომნიჭებელის" ეპითეტით მოიხსენიება, ავსებს წყლებს, მისი ძალისხმევითვი მოდის წვიმა, იზრდება მცენარეული საფარი (ელიზარენკოვა 1972: 108). ქართული წყაროს მიხედვით, „ქვეყნისა ნაყოფთა გამომზრდელნი". „ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი"-შიც მითრაა საგულისხმებელი, რომლის ფუნქციებში ნესრიგის, სიმართლის, კანონიერების დაცვა შედის. იმავე *ხიგ-ვედასა* და *ავესტას* თანახმად, არაფერი რჩება დაფარული კანონიერების სადარაჯოზე მდგომი, მარად ფხიზელი გუშაგის – მითრას ყურადღების მიღმა. აქვე დავძენთ, რომ ქართველი მემატიანის სიტყვებში, უპირველეს ყოვლისა, ღვთაების ნაყოფიერების ბუნებაა ხაზგასმული – „დიდთა ნაყოფთა მომცემნი". ნაყოფიერების ფუნქცია კი ერთ-ერთი უპირველესია მითრას მრავალრიცხოვან მოვალეობათა შორის. რაც შეეხება ქართული კერპის მეომარ ბუნებას – „სოფლის მპყრობელნი". აქაც მითრა შეიძლება ვიგულისხმოთ. იგი ხომ, პირველ რიგში, მეომარი ღვთაებაა, მთელი თავისი ატრიბუტიკითა და ფუნქციებით, რისთვისაც ზემოთ მოყვანილი *იემთ-საღეს* ერთ-ერთი ჰიმნისეული მითრას აღნერილობაც იკმარებს.

მ. სანაძის მოსაზრების მიხედვით, ქართლში ფარნავაზის მიერ აღმართულ არმაზის კერპს არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო ხეთურ ღვთაებასთან. ხოლო „ქართლის ცხოვრების" მემატიანის სიტყვები, რომ „ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქუა", ასე უნდა იშიფრებოდეს: ის, რასაც ჩვენ „ქართულად" ფარნავაზს ვუწოდებთ, სპარსულად არმაზი-აპურამაზდაა. მკვლევრის აზრით, ამ შემთხვევაში არქაულ მაზდეანურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა გვქონდეს საქმე (სანაძე 2001: 82).

თ. დუნდუას თანახმად, ქართული წარმართული ატრიბუტიკა ირანულია. მაზდეანული სიმბოლიკაა ძალისისა და ბიჭვინთის მოზაიკაზეც. არმაზი იგივე აპურამაზდაა. აქ აპურამაზდას ტრიადულ დიალექტიკურ აღქმას აქვს ადგილი: არმაზი, გაცი და გა. არმაზისა და მისი პოლითეიზაციის დამფუძნებელი აზოა, ხოლო კონკრეტული ანტროპომორფიზმის მამტკიცებელი კი – ფარნავაზი. ქართულ ნარმართობაში მითრას კავშირი აპურამაზდასთან უცილობელია. მითრას სოციალური კონტაქტებიდან გამომდინარე (მაზდეანობაში მითრა სამართლის ღვთაების ფუნქციასაც ასრულებს) დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში სა-მართ-ალ-ი, მართ-ვა, რაც არქაული პოლიტიზაციის ადეკვატურ ფონეტიკურ-სტრუქტურულ ევოლუციად მიიჩნევა, ხოლო გმირის ტბის ფსკერზე დაბადების ფოლკლორული თემა ზოროასტრიზმის რემინისცენციაა, სადაც გმირი, იგივე გა-მირია – მითრა (დუნდუა 1994: 238-241).

ს. მაკალათიას მიაჩნია, რომ მითრა იაზატანისა და ქართული ზადენის იგივეობა სარწმუნოა. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ქართველ ხალხში დაცული ნარმართული ხასიათის სალოცავები და რიტუალები, რომლებიც განსაკუთრებით კარგადაა შემონახული დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში – „მირსობის", სვანეთში – „მეისარიბისა" და გურიაში – „მოისარობის" დღესასნაულის სახით. მეცნიერი ცდილობს, საქართველოს სინამდვილეში დღემდე შემორჩენილი „მირსობა", „მეისარიბი" და „მოისარობა"-ს სალოცავი და რიტუალური წესები ქართულ ნარმართულ პანთეონში დღემდე ცნობილ უმთავრეს ღვთაებებს არმაზსა და ზადენს დაუკავშიროს. ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით, მეცნიერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქრისტიანობის წინამორბედ ნარმართ ღვთაებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულმა მითრაიზმმა თავისი გავლენა ჰპოვა არმაზისა და ზადენის კულტში, განსაკუთრებით კი, ზადენის ღვთაებაში. ამ მოსაზრების დამადასტურებლად მას მიაჩნია ქართულ ფოლკლორში შემონახული, მითრაისტული რწმენისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებშიც ნითელი ზოლივითაა გატარებული დაუსრულებელი ბრძოლის იდეა კეთილ და ბოროტ ძალებს შორის, ხოლო თავად ბოროტება დევ-გველეშაპების სახითაა ნარმოდგენილი (თქმულება ამირანზე, კოპალაზე, ათარზე და ა.შ.) (კეკელიძე 1945: 190). ქართული ლეგენდის თანახმად, ამირანი, რომელსაც გველეშაპი გადაყლაპავს, მზის სიმბოლოა, ისევე, როგორც მისი ძმები, ბადრი და უსუპი მთვარესა და ვარსკვლავებს განასახიერებენ.

ქართული მითოლოგიის ამირანს ღვთაება მითრას უკავშირებს მ. სანაძეც. ამირანი იგივე ამიჰრანი, იგივე მითრა ანუ მზეა, რომელიც ებრძვის დევებს, იტაცებს ყამარს (ცის-კამარას), აძლევს ხალხს ცეცხლს... მისი მოსაზრებით, სნორედ „ავესტას" გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო ქართულ ფოლკლორში ავი სულების შესატყვისი ისეთი ცნებები, როგორიცაა დევები და ეშმაკები, რომლებიც თავისებურად გარდაიქმნენ

და მაზდეანული ბოროტი სულების – დაევების (daevas) ნაცვლად, მრავალთავიანი, ბოროტი, ბუმბერაზი, ადამიანთა მსგავსი არსებების – დევების სახე მიიღეს (სანაძე, ბერაძე 2003: 70).

გ. ლორთქიფანიძე იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, არმაზი ხეთების მთვარის ღვთაება იყო და ჩვენშიც იგივე ფუნქციას ასრულებდა. მკვლევარი ყურადღებას აქცევს არმაზისა და ირანული აჰურამაზდას სახელნოდებების ფონეტიკურ სიახლოვეს და ამასთანავე იმასაც აღნიშნავს, რომ არმაზი იკონოგრაფიულად მეტ მსგავსებას ირანულ მითრასთან ამჟღავნებს, ვიდრე აჰურამაზდასთან. მისი შენიშვნით, საქართველოში საკმაოდ ადრე იკვლევს გზას ზოროასტრიული სიმბოლიკა, ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოროასტრიზმს საქართველოში კარგად განვითარებული ასტრალური კულტი დახვდა – მებრძოლი მხედრის იკონოგრაფიული სახე, რომელსაც მოგვიანებით წმინდა გიორგი ცვლის. არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ ირანული მითრა იკონოგრაფიულად ქართულ მზის ღვთაებას შეერწყა, მაგრამ მისი საბოლოოდ გამოდევნა ვერ შეძლო (ლორთქიფანიძე 1984: 167).

მსგავსი მოსაზრება გამოთქვა გ. დუნდუამაც ბიჭვინთაში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი სპილენძის საქალაქო მონეტების იკონოგრაფიის შესწავლასთან დაკავშირებით. ტრაპეზუნდის მონეტების ზურგზე გამოსახული მითრა-მხედარი არის ასტრალურ ღვთაებათა (მზე, მთვარე, ვარსკვლავი) ფუნქციების გამაერთიანებელი სინკრეტული ღვთაება, რომელიც ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და უშუალოდ წინამორბედია წმინდა გიორგის კულტისა ქართველურ სამყაროში (დუნდუა 1976: 346).

ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნია მ. გველესიანს. იგი მიიჩნევს, რომ ღმერთ არმაზის აღწერილობაში ხაზგასმულია მისი მეომრული ასპექტი: ჩაფხუტი (მუზარადი), ჯაჭვი (აბჯარი), სამხარნი და ხმალი, რომელთა შეჯერება ცალკეულ ღვთაებათა და გაღმერთებულ მეფეთა გამოსახულებებთან საგულისხმო იკონოგრაფიულ პარალელებს წარმოაჩენს. კერძოდ, ამგვარი აღჭურვილობა, რომელიც ბერძნულ-ეგვიპტურსა და სირიულ ღვთაებებს, ბიბლიურ პერსონაჟებსა და ისტორიულ პირებს მოსავთ, ელინისტური ეპოქის წარმონაქმნია და შემდგომ რომაელი იმპერატორებისათვის ხდება დამახასიათებელი. ავტორი ეჭვქვეშ აყენებს არმაზის მითრასთან გაიგივების შესაძლებლობასაც, ამ უკანასკნელისათვის მსგავსი სამოსის სრული არანიშანდობლიობის გამო (გველესიანი 2001).

გ. ლორთქიფანიძისა და გ. დუნდუას მსგავსად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითრა და წმინდა გიორგი ერთმანეთს დაუკავშირეს კ. კეკელიძემ (კეკელიძე 1945: 342-353), ა. ცანავამ (ცანავა 1990: 102-103), ნ. აბაკელიამ (აბაკელია 1991; აბაკელია 1985), დ. ნინიძემ.

დ. ნინიძის თანახმად, წმინდა გიორგის კულტი ქართველთა ძველ წარმართულ ღვთაება მთვარესა და ამ დროს პოპულარულ მითრას ჩაენაცვლა. ფუნქციებისა და ნიშან-თვისებების დამთხვევა-შესაბამისობამ ხელი შეუნყო იმას, რომ წარმართულ კულტთა თაყვანისცემა გადაეტანათ წმინდა გიორგიზე. აერთიანებდა რა ამ ძველ და ახალ კულტთა ელემენტებს, წმინდა გიორგის კულტში შეიკრიბა ყველა ის მთავარი ნიშანი, რომელიც გარკვეულად მისაღები იყო საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის და პასუხობდა მათ იდეალებს (ნინიძე 1991: 167-168).

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დასტურდება მხედრის თაყვანისცემის ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მას არა მზის, არამედ მთვარის თაყვანისცემასთან დაკავშირებულად მიიჩნევს. მაგალითად, მ. ხიდაშელის მოსაზრებით, ანტიკური ხანის ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე გამოსახული მხედარი წარმოადგენს ქართული ასტრალური პანთეონის ერთ-ერთ ძირითად ნევრს, მთვარის ღვთაებას, რომელსაც ქრისტიანობის ხანაში წმინდა გიორგის კულტი ჩაენაცვლა (ხიდაშელი 1972: 85).

მეომარი მხედრის თაყვანისცემის ტრადიცია უძველესია და იგი მრავალი ეთნოსის სულიერი კულტურისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებით საყურადღებოა გ. კოშელენკოს თვალსაზრისი, რომ მითრას კულტის ჩასახვა ბევრად უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ამას მეცნიერები ვარაუდობენ. მითრას კულტის გენეზისს მკვლევარი ინდოევროპულ ენათა ერთობის პერიოდს (ძვ.წ. V-III ათასწლეულები) მიაკუთვნებს, როდესაც ინდოევროპულ ენათა ერთობისათვის ერთი ღვთაებისადმი თაყვანისცემა იყო დამახასიათებელი. ინდოევროპელების რელიგია ამ ადრეულ საფეხურზე ანიმისტური იყო. შემდგომში ღვთაება მითრას ანიმისტური ბუნების ტრანსფორმაცია მოხდა. მან პიროვნული ღვთაების შტრიხები შეიძინა. მისივე აზრით, ინდოეთსა და ირანში მითრას აღიქვამდნენ, როგორც მეომართა, უფრო კონკრეტულად კი მომთაბარე მეომართა ღვთაებას. სამხედრო-დემოკრატიის პერიოდში ღვთაება მითრა კიდევ ერთ თვისებას იძენს, იგი მჭიდროდ უკავშირდება ზეცას, სინათლესა და განსაკუთრებით მზეს – სიცოცხლის საყოველთაო წყაროს. ამასთანავე მითრა წარმოადგენდა ღვთაებას, რომელიც იცავდა კოსმიურ და მორალურ წესრიგსა და ადამიანურ კანონიერებაზე დამყარებული იგი სიმართლისა და სამართლიანი ძალების იდეებთან იყო გაიგივებული (კოშელენკო 1972: 84). ზეცასთან მითრას დაკავშირება, იმავე გ. კოშელენკოს მოწმობით, გამოწვეული იყო უძველესი ხალხების რწმენით, რომ მზე სიცოცხლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ამავე პერიოდში მოხდა მისი ტრანსფორმაცია ომებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ღვთაებად. მკვლევარი კიდევ

ერთ მომენტს აქცევს ყურადღებას, *ხიგ-ვედაში* მითრა ყოველთვის ძირითადი ღმერთის – ვარუნას გვერდით მოიხსენიება (მითრა-ვარუნა). ვარუნასა და მითრას გარჩევა თეთრისა და შავის იდეებთან იყო გაიგივებული. ალბათ ასევე უნდა ყოფილიყო ადრეირანულ რელიგიურ შეხედულებებში, ასეთივე წყვილი უნდა ყოფილიყო *ავესტაში* მოხსენიებული აპურამაზდა-მითრა.

თუ მივიღებთ გ. კოშელენკოს მოსაზრებას, რომ მითრას კულტის ჩასახვა ინდოევროპულ ენათა ერთობის პერიოდში უნდა მომხდარიყო, ამასთანავე ვუშვებთ, რომ ქართველური და ინდოევროპული ტომების უძველესი კონტაქტის ასპარეზად კავკასიაც არის ნავარაუდები, მაშინ გამოდის, რომ სწორედ, ძვ.წ. IV-III ათასწლეულში ქართველურ და ინდოევროპულ ენათა კონტაქტის გზით პოულობს ახსნას უძველესი ქართველური ენის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური სიახლოვე ინდოევროპულთან და ქართველური ტომების სულიერ ცხოვრებაში შესული მომთაბარე მეომართა ღვთაება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მზესთან, როგორც სიცოცხლის საყოველთაო წყაროსთან, ასევე ზეცასთან და სინათლესთან.

ქართული წარმართული პანთეონის შესახებ საინტერესო ცნობა V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის *სომხეთის ისტორიაშია* დაცული. ხორენაცის მიხედვით, ქართველთა ქვეყანაში გავრცელებული ყოფილა ვაჰაგნის კულტი (აბდალაძე 1984: 95). არმენისტიკაში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ სომხეთში ვაჰაგნი უფრო მეტად მზის ღვთაებად იყო აღიარებული, თუმცა, ამასთან ერთად, მას ღრუბელთა, წვიმის, ჭექა-ქუხილის ღვთაებადაც მიიჩნევდნენ. ვაჰაგნი მამაც მეომრად ითვლებოდა და ომის ღმერთის გარკვეული, თუმცა სუსტად გამოხატული თვისებებიც ჰქონდა შეძენილი (ხალათიანცი 1896: 206-208). სომეხ მკვლევართა მიერ საყოველთაოდ გაზიარებულია კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ძველ სომხეთში ხდებოდა ღვთაება მითრას ვაჰაგნთან გაიგივება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ა. აბდალაძე მიიჩნევს, რომ მოვსეს ხორენაცის ცნობაში, ქართველთა ქვეყანაში ვაჰაგნის კულტის არსებობის შესახებ, სინამდვილეში ასახული უნდა იყოს საქართველოში ღვთაება მითრას აღიარების ფაქტი. რადგან სომხეთში ვაჰაგნი არა მარტო ჭექა-ქუხილის, არამედ მზის ღმერთადაც იყო მიჩნეული, ხოლო ქართველთა ქვეყანაში, მოვსეს ხორენაცისვე თანახმად, „ჭექა-ქუხილის მომვლინებელ" ღვთაებას არამაზდი (არმაზი) ნარმოადგენდა და არა ვაჰაგნი. აქედან გამომდინარე, საქართველოში გაღმერთებული ვაჰაგნი სინამდვილეში მზის ღმერთი, მითრა უნდა იყოს (აბდალაძე 1984: 52).

ვ. გოილაძის მოსაზრებით, *მოქცევაი ქართღისაისა* და *ქართღის ცხოვრებაში* აღწერილი არმაზი – მზის ღვთაება, მზის მიწიერი განსახიერება უნდა ყოფილიყო, ხოლო „ლოცვად არმაზ ღმერთისა" დღესასწაული, სავარაუდოდ, ზაფხულში – 21-22 ივნისს იმართებოდა (გოილაძე 1991: 74-77). სრულიად ვეთანხმებით ვ. გოილაძეს, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ არმაზს არა მთვარის, არამედ მზის ღვთაების განსახიერებად მიიჩნევს. რადგან არმაზის ღვთაების აღწერილობაში ყველაზე მეტად სწორედ უძველესი ინდო-ირანული მზის, სინათლისა და სამართლიანობის ღმერთის მითრას იკონოგრაფია იკითხება.

მკვლევარი იმასაც ფიქრობს, რომ ივნისის შუა რიცხვებში მცხეთაში არმაზისადმი მიძღვნილი დღესასწაული-ბაზრობა მოსავლის აღებასთან დაკავშირებული აგრარული დღეობა უნდა ყოფილიყო, რომლის სახეშეცვლილ გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს ნ. მარის მიერ ლაზეთში მოგზაურობისას აღწერილი „ლიტროპი" („მითრობა"), რომელსაც ამ მხარის მოსახლეობა 24 ივნისს ზღვაში განბანვით აღნიშნავდა ხოლმე (მარი 1910: 629). ნ. მარის მიერ გამოთქმულ ამ თვალსაზრისს ავითარებს ბ. კუფტინი და დასძენს, რომ ლაზიკაში შემონახული დღესასწაულის მსგავსად, სწორედ ზაფხულის ბუნიობისას ძველ ქართლის სახელმწიფოში მითრას კულტისადმი მიძღვნილი დღესასწაული იმართებოდა (კუფტინი 1950: 206).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ღვთაება მითრასთან კავშირზე არა ერთი მეცნიერი მიუთითებს. ამაზე გარკვეულწილად ქართული წერილობითი წყაროების მასალაც მეტყველებს. უცნობი ავტორის *მოქცევაი ქართღისაიში*, ლეონტი მროველის *მეფეთა ცხოვრებაში*, მოვსეს ხორენაცის *სომხეთის ისტორიაში*, ინდოელთა *ხიგ-ვედასა* და პართიელების *ავესტაში* დაცული ინფორმაციების შესწავლა, მათი სისტემატიზება და ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში მაზდეანობის ორი უმთავრესი ღვთაების – აპურამაზდასა და მითრას ერთგვარ შერწყმას ჰქონდა ადგილი. აღნიშნულმა სინკრეტულმა ღვთაებამ კი მითრას გამოსახულება შეიძინა, რადგანაც აპურამაზდას ანტროპომორფული სახით გამოსახვა გამორიცხული იყო. აპურამაზდა-მითრას თაყვანისცემა ქართლში განსაკუთრებით ქართლის მეფის ფარნავაზის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმის შემდეგ განმტკიცდა. ფარნავაზმა აღმართა არმაზის კერპი და იგი ქართლის სამეფოს მთავარ ღვთაებად აღიარა. არმაზის ღვთაების იკონოგრაფიაში კი მოხდა ინდო-ირანული მზისა და სამართლიანობის ღმერთის – მითრას აღწერილობის გადმოტანა. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ქართული არმაზისა და სპარსული მითრას იკონოგრაფიული მსგავსება. ამაზე მეტყველებს უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში შემორჩენილი ქართული წარმართული პანთეონის ძირითადი ღვთაებისა და ინდო-ირანულ ლიტერატურაში დაცული მითრას აღწერილობების სრული იდენტურობა. ვფიქრობთ, რომ ქართველთა ძირითადი ღვთაებების ბუნების შესახებ ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ინფორმაცია ზედმიწევნით შეესატყვისება *ავესტასა* და *ხიგ-ვედას* მიხედვით მითრასათვის

განსაზღვრულ ფუნქციებს. ამასთანავე, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ საქართველოში მითრასა და ზოგადად, მებრძოლი მხედრის კულტის თაყვანისცემის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ გარკვეულწილად წმინდა გიორგის თაყვანისცემაში განაგრძო არსებობა.

დამოწმებანი

აბაკელია 1985: ნ, აბაკელია. ქრისტიანული რწმენები დასავლეთ-ქართულ რწმენა-ნარმოდგენებში (წმინდა გიორგი), „მაცნე“ N3, თბილისი.

აბაკელია 1991: ნ, აბაკელია. ქრისტიანული წმინდანების კულტი დასავლეთ საქართველოში ან კიდევ ერთხელ იან დაცეშის შესახებ, თბილისი.

აბდალაძე 1984: მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი.

აბულაძე და სხვები 1962: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა და სხვ., ტ. I. თბილისი.

აფაქიძე 1970: ა. აფაქიძე. ანტიკური ხანის ქართული ნარმართული პანთეონი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი.

გველესიანი 2001: მ. გველესიანი. ღმერთ არმაზის იკონოგრაფიისათვის, ნინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება, II სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

გიორგაძე 1988: გ. გიორგაძე. ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ციეილიზაცია), თბილისი.

გოილაძე 1991: ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი.

დუნდუა 1976: გ. დუნდუა. კიდევ ერთხელ ტრაპეზუნდის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ, დიდი პიტიუნტი, ტ. II, თბილისი.

დუნდუა 1994: თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი.

ელიზარენკოვა 1972: Ригведа, *Избранные гимны*, Перевод, коментарий и вступительная статья Т. Я. Елизаренковой, Москва.

თარხნიშვილი 1994: მ. თარხნიშვილი. ქართული ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბილისი.

კეკელიძე 1945: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი.

კოშელენკო 1972: Г. Кошеленко. Ранние этапы развития культа Мифры, Сб., „Древний Восток и античный мир“, Москва

კუნი 1922: А. Кунн. Предшественники христианства, Москва.

კუფტინი 1950: Б. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси.

ლორთქიფანიძე 1984: გ. ლორთქიფანიძე. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის ისტორიისათვის, კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი“, თბილისი.

მაკალათია 1927: ს. მაკალათია. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, ‚საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბილისი.

მარი 1902: Н. Марр. Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам, ЗВОРАО, т. XIV, Санкт-Петербург.

მარი 1910: Н. Марр. Из поездки в турецкий Лазистан. Известия Императорской Академии наук, Санкт-Петербург.

მელიქსეთ-ბეგი 1938: Л. Меликсет-Беков. Армази. Материалы по истории Грузии и Кавказа, Тбилиси.

ნინიძე 1991: დ. ნინიძე. წმინდა გიორგის კულტის ისტორიისათვის საქართველოში, მნათობი N11-12, თბილისი.

სამსონია 1999: ნ. სამსონია. არმაზის კერპის პრობლემა მიხეილ წერეთლის შემოქმედებაში, კლიო (საისტორიო ალმანახი) N6, თბილისი.

სანაძე 2001: მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბილისი.

სანაძე, ბერაძე 2003: მ. სანაძე, თ. ბერაძე. საქართველოს ისტორია, ნიგნი I, თბილისი.

ქუმონთი 1895: F. Cumont. Textes et monument figures relatifs aux mysteres de Mithra, V, I-III, Bruxelles

ცანავა 1990: ა. ცანავა. ქართული ფოლკლორის საკითხები, თბილისი.

წერეთელი 1924: მ. ნერეთელი. ხეთების ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი.

ხალათიანცი 1896: Г. Халатьянц. Армянский эпос в „Истории Армении'' Моисея Хоренского, Москва.

ხიდაშელი 1972: მ. ხიდაშელი. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები), გამოკვლევა და კატალოგი, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი.

FOR THE STUDY OF GEORGIAN PAGANISM

Maia Kutateladze

Nowadays many researches about cults circulating in ancient Georgia are available. One of the often visited topics is a spread of Mithraism in Georgia. Though Georgian written sources do not privide direct information about worshiping to Mithra, numerous archaeological artifacts attest fact of Mithraism existence in Georgia. We think that the investigation Georgian and foreign narrative sources in parallel would allow us to give more details about Mithraism in pre-Christian Georgia and present religious history of Georgians in a new light .

After comparing and analyzing data kept in the *Conversion of Kartli*, Leonti Mroveli's *Life of Georgian Kings*, Movses Khorenatsi's *History of the Armenians*, *Rig Veda* and *Avesta*, the author comes to conclusion that in the image of local pegan god Armazi the scincretization of Mithra and Ahura Mazda had taken place. It has look of Mithra (Ahura Mazda was not anthropomorphic). Mithras's cult was result of king Pharnavaz's religious reform. Pharnavaz created the idol of Armazi, identical to Ahura Mazda/Mithra which was recognized as main deity of the kingdom of Kartli. This statement can be proved by the information which is preserved in old Georgian historical writings about pagan pantheon and in Indo-Iranian literature about Mithras. The both Georgian and Indo-Iranian information and description of Mithra are identical. We think that the accounts about Georgian main deity in the work of Leonti Mroveli fully correspond to the characteristics of Mithras that is attested in *Avesta* and *Rig Veda*. After the advancement of Christianity in Georgia, a long-lasting tradition of venerating Mithras and military horseman was transformed in veneration of Saint George.

მიქელ თამარაშვილი – ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიკოსი

მერაბ ღაღანიძე

მიქელ თამარაშვილის ადგილისათვის ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში. არსებობს ისტორიული სახელები, რომელთაც რომელიმე რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ჯგუფის სათქმელის გამოხატვა არა მარტო ყველაზე უკეთ და ყველაზე მკაფიოდ შეძლეს, არამედ ამ სახელებმა დროთა განმავლობაში წარმომადგენლობითი დანიშნულებაც შეიძინეს როგორც თავად ამ ჯგუფების შიგნით, ასევე – გარეშე მაყურებლისათვისაც. ამდენად, ამ ჯგუფების წარდგენაც და ამოცნობაც ხშირად სნორედ ამ სახელების მეშვეობით ხდება.

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი არსებობისა და მრავალმხრივი საქმიანობის განმავლობაში ამგვარ სახელად აღიარებულია მამა მიქელ თამარაშვილი (1858-1911; ევროპაში იგი ასე იწოდებოდა: Michel Tamarati), რომელიც მისი გამორჩეული ცხოვრებისა და სიკვდილის, ღვაწლისა და დანატოვრის გამო ქართველ კათოლიკეთა მეტყველ ნიშნადაა მიჩნეული. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ ქართველი კათოლიკენი – რომაული თუ ქართული წესისანი – საუკუნეთა განმავლობაში რჩებოდნენ საქართველოში რელიგიურ უმცირესობად, ხოლო ყოველი ამგვარი უმცირესობისათვის უფრო ჩვეულია სნორედ ერთი ნიშნეული სახელის ირგვლივ შემოკრება. ამავე დროს, თამარაშვილის ნაწერები ქართველ კათოლიკეთა სანუკვარ სათქმელს ამბობს, – გამოხატულს ისტორიული საბუთიანობით, პოლემიკური პათოსით, მემკვიდრეობის მძაფრი და ინტეგრალური განცდით.

მიქელ თამარაშვილის არცთუ ხანგრძლივი ცხოვრება აღბეჭდილი იყო სარწმუნოებრივი და პატრიოტული მგზნებარებით, სულიერი და აკადემიური ძიებების სულისკვეთებით, გაბედული ხასიათითა და თავდაუზოგავი შრომით, მრავალი განბილების განცდითა და ყოფითი მიუსაფრობით, და მაინც – საკუთარი საქმის განხორციელების მტკიცე და შეუპოვარი ნებით.

მიქელ თამარაშვილის ვინაობა. თამარაშვილები სამხრეთ საქართველოში, ქალაქ ახალციხეში, რაბათის კათოლიკურ უბანში სახლობდნენ (მათი გვარი ზოგ ადრეულ საბუთში ბაინდურაშვილად არის მოხსენიებული). მომავალი მოძღვრის მამას პეტრე ჰრქმევია, დედა კი გაიანე ბათმანიშვილი ყოფილა, სოფელ არალიდან. მათი ათი შვილიდან მეცხრე – ალექსანდრე, რომელსაც შემდგომში საეკლესიო სახელი მიქელი მიენიჭა, ახალციხეში, 1858 წლის 11 სექტემბერს დაიბადა.[1] ოჯახი საღვინე ტიკების ვაჭრობით ირჩენდა თავს, რომლებიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოში იყიდებოდა (მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი და სამხრეთი საქართველო ნაწილ-ნაწილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა; ახალციხეც ამ დროს – 1828 წლიდან – უკვე რუსეთს ეკუთვნოდა). როცა ქალაქის წმიდა იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური სკოლის 14 წლის გულმოდგინე მონაფეს მამა გარდაეცვალა, იგი იძულებული გამხდარა სწავლა მიეტოვებინა და ძმასთან ერთად ხელოსნობას შესდგომოდა ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდგომ – ხაშურში. მაგრამ იმის მერმე, რაც საოჯახო სახელოსნო გაკოტრებულა, იგი ისევ ახალციხეში დაბრუნებულა. იქაურმა მღვდელმა და იმდროინდელმა ცნობილმა პუბლიცისტმა იოანე გვარამაძემ დიდად იზრუნა, რომ მის ყოფილ მონაფეს, იმჟამად უკვე ოცი ნლის ნიგნიერ ჭაბუკს თავისი სანატრელი სურვილი აღესრულებინა და სნავლა განეგრძო კონსტანტინოპოლში (სტამბოლში), ქართული ნესის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სკოლაში, რომელსაც სავანის წინამძღვარი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი დაუცხრომელი მზრუნველობით ხელმძღვანელობდა. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულია ამ მონასტრისა და ამ სკოლის მნიშვნელობაც და ღვაწლიც როგორც ქართველ კათოლიკეთა, ისე, ზოგადად, ქართული სულიერებისა თუ კულტურის ისტორიაში (ღაღანიძე 2016: 238-243).

სკოლის დამთავრებისთანავე, გამორჩეულ მონაფეთა შორის, თამარაშვილი ესპანეთში გაგზავნეს სემინარიაში სასნავლებლად. სამი ნლის შემდეგ იგი ისევ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, მაგრამ მღვდლად კურთხევის შემდეგ მან ისევ დატოვა მონასტერი და სნავლა იმჯერად პარიზში განაგრძო.

1888 ნელს იგი ამთავრებს სამღვდელო განსნავლას და – მცირე ხნით კონსტანტინოპოლში შეყოვნების შემდეგ – ტფილისში გამოემგზავრება, სადაც წმიდა მარიამის ზეცადაღყვანების ტაძრის მოძღვარი ხდება. შემონახულა გადმოცემები, რომ მისი ქართული ქადაგებები მგზნებარე და შთამაგონებელი ყოფილა. მაგრამ აქ მას მოუნევს მეტად დაძაბული ურთიერთობები როგორც საეკლესიო, ისე საერო მმართველობასთან.

იმ დროს საქართველოში, ფაქტობრივად, უქმდება ქართულ-ბიზანტიური კათოლიკური ნესი, რაკი 1886 ნლიდან რუსეთის იმპერიის კავკასიის რეგიონში, – რომელსაც ეკუთვნოდა ქართული გუბერნიებიც, – ნებადართულად ცხადდება მხოლოდ ლათინური ან სომხური წესი, რაკი ღმრთისმსახურებისას კათოლიკეებს არ შეეძლოთ იმავე ლიტურგიული ნესის გამოყენება, რომელსაც იყენებდა ოფიციალური სახელმნიფო ეკლესია – „მართლმადიდებელი ბერძნულ-რუსული ეკლესია", ანუ „რუსეთის აღმოსავლურ-

მართლმადიდებელი ეკლესია". ქართველ კათოლიკეთათვის ქართული წესის აკრძალვა ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა, რომ ტფილისში მსახურ თამარაშვილს მკვეთრად გაურთულდა ურთიერთობა პრელატ მაქსიმილიან ორლოვსკისთან, რომელიც იმჟამად მეთაურობდა კავკასიის კათოლიკეებს:

> წარსული საქართველოდგან 1879-ს, მოვბრუნდი ტფილისში 1886-ს, იმედით და დიდი მოწადინებით, რომ მეც ჩემი შეძლებისდაგვარ მეშრომა თუ სულიერს და თუ ხორციელს საგანში, მაგრამ ქართველი კათოლიკების მტერმა არლოვსკიმ [sic!] კაი თვალით ვერ შემომხედა, რადგან ჩემში შენიშნა ერთგულება და შამულის მოყვარულობა,

– წერდა მიქელ თამარაშვილი მოგვიანებით თავის ჩანაწერებში (ლომსაძე 1984: 14); შდრ.: „ერთი დიდი ნიგნი შესდგება, ყოველივე რომ ჩამოვთვალოთ, რაც ორლოვსკიმ ქართველ კათოლიკების წინააღმდეგ სთქვა და ჩაიდინა" (თამარაშვილი 1904: 192).

ამავე დროს, მისთვის დიდი დაბრკოლება აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის 1845 წლის საგანგებო დადგენილება, რომელიც იმპერიის ფარგლებში – და, მათ შორის, საქართველოში – საეკლესიო საქმიანობას უკრძალავდა უცხოეთიდან ჩამოსულ კათოლიკე სასულიერო პირებს. ამ საფუძველზე 1890 წლის მიწურულს პოლიციის მოხელემ გუბერნატორის სახელით თამარაშვილს ტფილისის დატოვება მოსთხოვა. ქალაქიდან განდევნილი მოძღვარი მის თავს გადამხდარ ამბებს ასე აღწერდა მღვდელ იოანე ანტონაშვილს:

> სინამდვილეში არავითარი კანონიერი დანაშაულობისა არა მაქვს, მაგრამ ორლოოვსკი სიბრაზისაგან არ დასცხრა, მთავრობას ჩემზე ახალი დანოსი მისცა, მთავრობამაც გამოგზავნა კაცი და გამოიძია ჩემი გარემოება. გამოძიებამ საქმე „სერიოზულად საშიშად" ჩათვალა და გუბერნატორმა პოლიციის საშუალებით 30, გავლილს დეკემბერს, გამომიცხადა, რომ, რადგან შენ უცხოეთში ნაკურთხი მისიონერი ყოფილხარ და აქ მთავრობის უნებართვოდ და უდოკუმენტოდ მღვდლობის ვალდებულებას ასრულებ, უნდა ნახვიდე ახალციხეს საცხოვრებლად და არავითარი მღვდლობის სამსახური არ უნდა აღასრულოვო (ლომსაძე 1984: 15).

ტფილისიდან გაძევების შემდეგ იგი ჯერ გორში ჩადის, მერმე – ახალციხეში, იქიდან – კონსტანტინოპოლში. 1891 წელს თამარაშვილი სწავლის გასაღრმავებლად გაემგზავრება რომში, სადაც 1894 წელს თეოლოგიის დოქტორის ხარისხს მოიპოვებს. იმავე წელს იგი კონსტანტინოპოლში ბრუნდება და ქართული მონასტრის სკოლაში იწყებს მასწავლებლობას, მაგრამ 1897 წელს ისევ რომში გაემართება, ადრევე დაწყებულ კვლევა-ძიებათა გასაგრძელებლად.

ამ ხანებიდან მიქელ თამარაშვილი მთელ თავის ინტელექტუალურ საქმიანობას, – მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, მუდმივი გაჭირვებისა და მტკივნეული მიუსაფრობისა, – ახმარს არქივების შესწავლას, უცნობი დოკუმენტური მასალების მოძიებას, წყაროთა დამუშავებასა და გამომზეურებას, ისტორიულ მოვლენათა დალაგებასა და გააზრებას. იგი მიზნად დაისახავს, არაფერი გაიპაროს მისი ყურადღების მიღმა, არაფერი დარჩეს შეუმჩნეველი და შეუსწავლელი ევროპულ, მაგრამ უწინარესად რომაულ თუ სხვა იტალიური ქალაქების არქივებში, რაც კი საქართველოს შეეხება.

> მანდეთგან ნამოსვლისთანავე აღვიბეჭდე გულში, რომ საქართველოს შორითგან შევწეოდი. ამის გამო პირველად მოველ რომში თუ არა, [...] მაშინათვე დავიწყე ძებნა და შემოკრეფა ქართველობაზე სხვადასხვა ცნობებისა, რაც კი ევროპაში დაუწერიათ საქართველოზედ,

წერდა იგი ისტორიკოს ზაქარია ჭიჭინაძეს (ლომსაძე 1984: 26).

აღსანიშნავია, – რაც განვლილმა საუკუნემაც დაადასტურა, – რომ მიქელ თამარაშვილის მიზანი და ჩანაფიქრი, შეიძლება ითქვას, შესრულებული აღმოჩნდა. დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან ქართულ სამეფო-სამთავროთა ურთიერთობის დამადასტურებელ წყაროთა რაოდენობა ევროპულ საცავებში ისტორიკოსის ძიებათა შემდგომ მნიშვნელოვნად არც შეცვლილა და არც გაფართოებულა. ამავე დროს, მისი კვლევის შედეგებმა თვალსაჩინოდ შეცვალა ქვეყნის წარსულის სურათი და არაერთი შემდგომი შესწავლის ბიძგი თუ საფუძველი აღმოჩნდა.

თამარაშვილის დაუღლელი საქმიანობა სამი დიდი ნაშრომით დაგვირგვინდა: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" (1902), „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)" (1904), – ორივე წიგნი ტფილისში, ქართულად გამოქვეყნდა, – და „L'Eglise géorgienne des origines jusqu'a nos jours" („ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე") (1910), მოზრდილი ტომი, რომელიც რომში ფრანგულად გამოიცა.

პირველი მათგანი უმთავრესად ევროპის სხვადასხვა ქალაქების არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში აღმოჩენილ საბუთებს ემყარება და მიზნად ისახავს მათს შეკრებას, გამოცემას, ქართულად თარგმნას, ამავე დროს, მათს განხილვასა და მათთვის კონტექსტის მიჩენას; ამდენად, აქ მიზნად დასახულია აქამდე უცნობი წყაროების გამოქვეყნება და, შესაბამისად, მათს საფუძველზე კათოლიკობის ისტორიის წარმოჩენა საქართველოში, – ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და სხვადასხვა პერიოდში; ისტორიკოსის თხრობა უმთავრესად ვითარდება იმ მსჯელობებით, რომლებიც ამ ახალგამომზეურებულ საბუთებს შორის თავსდება.

მეორე ნაშრომი უმეტესწილად განმსჭვალულია პოლემიკური სიმწვავით და უფროიმ მონინააღმდეგეებთან დასაპირისპირებლადაა დანერილი, რომლებიც საჭოჭმანოდ მიიჩნევდნენ ქართველებს შორის კათოლიკური ისტორიული ტრადიციის ხანგრძლივ და უწყვეტ არსებობას; წიგნი, ამავე დროს, ირიბად და მინიშნებით ეპასუხება დროის მწვავე გამოწვევას – ქართული წესის აღიარებასა და დამკვიდრებას ქართველ კათოლიკეთა შორის.

მესამე, – ფუნდამენტური გამოკვლევა „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე", რომელიც უნინარესად არაქართველი მკითხველისთვისაა განკუთვნილი, – საქართველოში ქრისტიანობის ისტორიის ერთიანი, გაბმული თხრობაა, მაგრამ მანამდე, ამ თხრობამდე, ნაშრომის პირველი სამი თავი ქვეყნის გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და პოლიტიკური ისტორიის სურათს წარმოაჩენს, ხოლო ბოლო სამი თავი კი კონკრეტულად კათოლიკე ეკლესიის მისიონერულ საქმიანობას აღწერს ამა თუ იმ ქართულ კუთხეში საუკუნეთა განმავლობაში; ეს ნაშრომიც, ბუნებრივია, ემყარება მრავალრიცხოვან საბუთს, თავად თამარაშვილის მიერ აღმოჩენილ-გამოქვეყნებულს, ანდა სამეცნიერო მოხმარებაში მის მიერ შემოტანილსა და ყურადღებამიქცეულს. უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობის ისტორია ქართულ ნიადაგზე, გადმოცემული ამგვარი სისრულითა და მომცველობით, მაგრამ, ამავე დროს, მონოდებული დოკუმენტურად და კომპაქტურად, არც ამ ნიგნის გამოცემამდე და არც შემდგომ, არც ქართულად და არც უცხო ენაზე აღარასოდეს დანერილა ან გამოცემულა.

ურთიერთობა რომში მყოფ თამარაშვილსა და კონსტანტინოპოლის ქართულ კონგრეგაციას შორის თანდათანობით იძაბებოდა. ამ დაძაბულობის უმთავრესი მიზეზი მარტივი იყო: მკვლევარ ისტორიკოსს არ სურდა ევროპაში მის მიერ ნამოწყებული მნიშვნელოვანი კვლევა-ძიებების მიტოვება, ანუ არქივებიდან და საარქივო სამუშაოდან მოწყვეტა, კონგრეგაცია კი მისგან კონსტანტინოპოლში, მონასტერში დაბრუნებას ითხოვდა, რათა მას იქ აღესრულებინა თავისი სამოძღვრო და სამასწავლებლო მოვალეობები. ბოლოს და ბოლოს, 1900 წელს მან სამოწესეო აღთქმისაგან თავი გაითავისუფლა და საძმოს ჩამოშორდა. რომში დარჩენილმა ქართველმა მოძღვარმა და ისტორიკოსმა იქ ნირვის ჩატარებისა და ისტორიული დოკუმენტების საცავებში მუშაობის უფლება შეინარჩუნა.

1911 ნლის ზაფხულის მინურულს მამა მიქელ თამარაშვილი რომთან ახლოს, სანტა მარინელაში ისვენებდა. 2 სექტემბერს, მეგობარ იტალიელ მღვდელთან ერთად ზღვის ნაპირას სეირნობისას, იგი წყალში გადაეშვა იმ უცნობი ადამიანის გადასარჩენად, რომელიც დახმარებას ითხოვდა. წყალნაღებული მაშველებმა იხსნეს, თამარაშვილი კი ზღვაში დაიხრჩო. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ჩივიტა ვეკიას სასაფლაოზე დაკრძალეს. საქართველოში ფართო და უაღრესად მტკივნეული გამოხმაურება მოჰყოლია 53 ნლის მღვდლისა და მკვლევრის ტრაგიკულ სიკვდილს, თუმცა მაშინ ვერანაირად ვერ მოხერხდა უმალვე დაგეგმილის განხორციელება: ვერც მისი გადმოსვენება და ვერც მისთვის ძეგლის დადგმა სამშობლოში. მხოლოდ მოგვიანებით, 1978 ნლის ნოემბერში მიქელ თამარაშვილი საქართველოში, თბილისში ჩამოასვენეს და მისი ნეშტი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვანეთა პანთეონში დაასაფლავეს.

ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ისტორიკოსის ყველა წიგნი რამდენჯერმე ხელახლად გამოიცა.

ქართული ეკლესიის ისტორიის ჩამოყალიბების შესაძლებლობანი. მიქელ თამარაშვილი, რომელსაც განსაკუთრებული, გამორჩეული ღვანლი მიუძღვის ქართული ეკლესიის ისტორიის შესნავლის საქმეში, განეული შრომის შედეგად მკაფიოდ ხედავდა და განსაზღვრავდა ამ ველზე საკუთარ თუ საზოგადო შესაძლებლობებს. თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მისი ნაშრომების მოცულობა ყოველთვის სცილდება ოდენ ეკლესიასთან დაკავშირებულ ამბავთა თუ მოვლენათა კალაპოტს და, ზოგადად, საქართველოს ისტორიას, მის ცვალებადობას, მის სახესხვაობას, ქვეყნის წარსული კვლევის სხვადასხვა გეზს მოიცავს. ამიტომ თამარაშვილის დასკვნები საერთოდაც – ქართველ ისტორიკოსთათვის – მნიშვნელოვანი და ღირებულია.

ეკლესიის ისტორიკოსს მიაჩნდა, რომ უპირველესი დაბრკოლება მისთვის და საქმისთვის, – სავარაუდოდ, როგორც საეკლესო, ისევე საერო ისტორიის კვლევისას, – იყო წყაროების უკიდურესი სიმწირე, განპირობებული იმით, რომ

> ქართული ეკლესიის თავს დამტყდარი აურაცხელი გაჭირვების შედეგად განადგურდა ბევრი საბუთი, ხოლო ამ საბუთების არსებობა კი საშუალებას მოგვცემდა, ისტორია უფრო ცხადი გაგვეხადა და ის უფრო მეტ წყაროებზე დაყრდნობით დაგვენერა (თამარაშვილი 1995: 734).[2]

თუმცა, ამავე დროს, მკვლევრის განცხადებით, მას არაფერი გამორჩენია ყურადღების არიდან („არაფერი მიგვიფუჩჩებია" – თამარაშვილი 1995: 734): იგი თავად გაეცნო ყველა იმ წყაროს, რაც კი ხელმისაწვდომი და, ამასთანავე, აუცილებელი იყო ისტორიული სურათის დასახატავად.

მას ღრმად სჯეროდა, რომ იგი შეეხო ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რაც შესწავლისა თუ განხილვის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ მან მხარი აუქცია იმგვარ თემებს, რისი დამადასტურებელი არავითარი წყარო არ არსებობდა, – მას არასოდეს ჩაურთავს კვლევაში არც ვარაუდები და არც საკუთარი წარმოსახვა („არ გვინდოდა, საქმეში ფანტაზია ჩაგვერთო" (თამარაშვილი 1995: 734).

ამგვარად, საქართველოს ისტორიის ნებისმიერი მკვლევრის ნინაშე აღმოცენებულ მთავარ ხელის-

შემშლელ მიზეზად თამარაშვილს მიაჩნდა წყაროთა შესამჩნევი ნაკლებობა, რაც, ფართოდ გავრცელებული აზრით, გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქვეყანაში მომხდარი პერიოდული ფიზიკური თუ ისტორიული კატასტროფებით. მაგრამ მას, – დროის კვალობაზე, – არ წამოუჭრია, ერთი მხრივ, საკითხი, თუ როგორი იყო კონკრეტულ კულტურულ ტრადიციაში უწყვეტი ისტორიული მეხსიერების მყარად შენარჩუნების აუცილებლობის განცდა (გამოხატული – დამოუკიდებლად გარემო პირობებისაგან – თუნდაც ადგილობრივი არქივების შექმნა-მონესრიგებით) და, მეორე მხრივ, თვით მოღნეულ-გადარჩენილ წყაროთა სანდოობის საკითხი. თუკი ქართული ან საერო, ან საეკლესიო არქივების სისტემური უქონლობის პირობებში ქართული ეკლესიის ისტორიკოსმა საუკეთესო გონივრული გამოსავალი მონახა და შესამჩნევი დანაკლისი ევროპულ არქივებში მოპოვებული აღმოჩენებით შეავსო: („ჩვენის საეკკლესიო ისტორიულის ნაკლის შესავსებლად განვიზრახეთ, შეგვეკრიფა წინა საუკუნეთა საბუთები. მაგრამ სად უნდა გვეძებნა? რა თქმა უნდა, არა საქართველოში, სადაც, ძველის არხივების უქონლობის გამო, მათი კვალიც კი აღარა სჩანს. უნდა მიგვემართა ისევ იტალიისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქების არხივებისთვის“ (თამარაშვილი 1902: 3), მან გადაუჭრელად დატოვა კითხვა, რამდენად იყო შესაძლებელი, განადგურებისაგან თავდაღნეულ საბუთებში შემონახული ცნობები მიჩნეული ყოფილიყო ისტორიულ დასკვნათათვის სანდო და უცდომელ დასაყრდენად. სხვა თუ არაფერი, შემდგომი დროის მკვლევრებს არაერთგზის გასჩენიათ ეჭვი, რამდენად ზუსტი და სრულია საქართველოდან თუნდაც რომში ან პარიზში მიწოდებული ამბები.

მეორე არსებითი საკითხი, რომელიც ისტორიკოსმა უნდა გადაჭრას, თამარაშვილის თვალსაზრისით, წყაროთა ამოწურვაა და არა ნებისმიერი ამორჩევა. მისთვის მეთოდურად მიუღებელი იყო და იქნებოდა ყოველი იმგვარი სელექციური კვლევა, როცა განკერძოებული ფაქტობრივი კონკრეტიკა, – შეზღუდული რეგიონალური, ეპოქისეული თუ სოციალური ფარგლებით, – ფართო განზოგადებას ემსახურება და განყენებული (ხშირად – თვით ფილოსოფიური) დასკვნების გამოტანის საშუალებად იქცევა. თავად თამარაშვილის გამოქვეყნებული ნაშრომების გაცნობა საფუძველს იძლევა, ითქვას: მიკროისტორიული კვლევები უცხო იყო მისთვის. ასევე, როცა იგი, ვთქვათ, რომელიმე ისტორიულ პერსონაჟს შეეხება, მის ვინაობასა და საქმიანობას აღწერს, არასოდეს ცდილობს მისი ინდივიდუალური, პიროვნული პორტრეტის დახატვას, მისი ქმედებების ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური ძირებისა თუ ბიძგების წარმოჩენას, არამედ ყოველთვის ამ პერსონაჟთა სახითა და საშუალებით ეპოქასა თუ მოვლენას განჭვრეტს ფართო დროით და სივრცობრივ გარემოში.

მესამე საკითხი იყო მკაფიო უარის თქმა ისტორიის რეკონსტრუქციაზე. თამარაშვილისათვის, – რომლისთვისაც ყოველი კვლევისას უპირატესობა ენიჭება საბუთს და მხოლოდ მასზე დაყრდნობილ მსჯელობას, – წესად რჩება, არ იმსჯელოს, არაფერი ივარაუდოს იმის შესახებ, რასაც პირდაპირ და უშუალოდ არ იუწყება ხელმისაწვდომი წყაროები. მას, როგორც მკვლევარს, მიაჩნია, რომ მის დასკვნებს განსაზღვრავს მხოლოდ თავად ტექსტი და მისი კონტექსტი, მაგრამ არა სავარაუდო ქვეტექსტი. ამ თვალსანიერიდან, მეტყველებს მხოლოდ ტექსტი და არა ტექსტის მკითხველი; და კიდევ, შესწავლა გამორიცხავს წარმოსახვას.

ამასთანავე, თავისი ფრანგულენოვანი ნაშრომის წინასიტყვაობაში ისტორიკოსი პირობას იძლევა, რომ ყოველ ისტორიული პერიოდი წიგნში ნაჩვენები და წარმოჩენილი იქნება მისი არსებობის სამივე ეტაპზე: წარმოშობისას, განვითარებისას, დაცემისას (თამარაშვილი 1995: 14). ამდენად, თამარაშვილს მიაჩნდა, რომ ისტორიულ ციკლებს აუცილებლად განაპირობებდა ეგრეთ წოდებული ბიოლოგიური ციკლები, და მოვლენებს თავიანთი გარდაუვალი, შინაგანი ლოგიკა წარმართავდა: დაბადებიდან – აღმასვლის გზით – დაღმასვლამდე. თუმცა, უნდა ითქვას, ნაშრომის ცალკეული მონაკვეთები არცთუ ცხადად ეყრდნობა ამ დეკლარაციულად გამოთქმულ თვალსაზრისს, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნეშიც ჰყავდა მომხრეები, ხოლო მეოცე საუკუნეში – განსაკუთრებით ისტორიის ფილოსოფიის კვლევისას – საკმაოდ ფართო გავრცელება ხვდა წილად.

ეროვნულობისა და რელიგიურობის ურთიერთობის საკითხი. კვლევითს თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ხანაში ის ქართველი, რომელიც რელიგიურად არ ეკუთვნოდა უმრავლესობის სარწმუნოებას, ანუ ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობას, არ მოიხსენიებოდა ქართველად: მუსლიმს მოიხსენიებდნენ „თათრად“, ლათინური წესის კათოლიკეს – „ფრანგად“, სომხური წესის კათოლიკეს ან სომხური ეკლესიის წევრს – „სომხად“.

ბატონიშვილი ვახუშტი (1696-1757) თავის უზარმაზარ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745) ერთგან ცდილობს, გაარკვიოს სახელმწიფოებრივი თუ ეროვნული ერთიანობის ის მახასიათებელი ნიშნები, რაც მის დროს, საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის ჟამს, კიდევ შემორჩენილიყო საერთო ისტორიული მეხსიერების სახით. ყოველი ქართველი პიროვნების სახელმწიფოებრივ-ეროვნული კუთვნილების განმსაზღვრელად – სხვა რამდენიმე ნიშანთან ერთად – სწავლული ბატონიშვილი მიიჩნევს „რჯულით“ ქართველობას: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერკახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: ქართველი“ (ვახუშტი 1973: 291).[3]

მიქელ თამარაშვილი თავის მძაფრად პოლემიკურ ნიგნში „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (1904), საგანგებოდ განიხილავს ეროვნულობისა და რელიგიურობის ურთიერთობის საკითხს. პრობლემის პირადი თუ საკრებულო სიმწვავე განპირობებული იყო ქართველ

კათოლიკეთა გაორებული მდგომარეობით. თუ ლათინური წესის ქართველ კათოლიკეებს სამეტყველო ენაში ბოლო ხანებამდე „ფრანგებს" უწოდებდნენ („უნინ აღმოსავლეთში უფრო ფრანგებმა მოპფინეს რომის ეკკლესიის სარწმუნოება და წესი. ამისთვის აღმოსავლეთის სხვადასხვა ტომის კათოლიკებს ეწოდათ სახელად ფრანგი" (თამარაშვილი 1904: 218-219), მაგრამ მათ რეალურად არავინ აღიქვამდა დასავლეთევროპელ ფრანგებად (Français) და საზოგადოდაც აშკარა იყო, რომ ეს მხოლოდ მათი კონფესიური სახელდება იყო, ბევრად უფრო მტკივნეულად იყო საქმე აღმოსავლური ნესის ქართველი კათოლიკეებისათვის: ქართული ნესის აღიარება დიდ დაბრკოლებას აწყდებოდა როგორც რომის საყდრის მხრივ, ისე ოსმალეთის მმართველთაგან, ხოლო მეცხრამეტე საუკუნემდე, სამხრეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, სწორედ ოსმალეთში ცხოვრობდა ქართველ კათოლიკეთა უმეტესი ნაწილი, რომელთა მდგომარეობა, თამარაშვილის აზრით, ცხადი გახდება, „უკეთუ მხედველობაში ვიქონიებ[თ] ოსმალეთის უნინდელ მტარვალობას, რომლის წყალობითაც მოსპობილა ქართველთ კათოლიკების წესი" (თამარაშვილი 1904: 218) (თუმცა კათოლიკობის ისტორიკოსი და კათოლიკე მოძღვარი არ უგულებელყოფდა ქართული ნესის მიმართ, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომიდან წამოსულ-წარმოშობილ არაერთ დაბრკოლებასა თუ შეყოვნებას). ოსმალეთში აღიარებულ – როგორც რომის საყდრის, ისე ოსმანთა პორტის მხრივ – აღმოსავლურ კათოლიკურ ნესად რჩებოდა სომხური ნესი (ანუ ტიპიკონი, ან რიტი, ანდა რიტუსი [ლათ. ritus]), რომელიც, სხვა გამოსავლის უქონლობის გამო, მიიღეს მკვიდრმა ქართველმა კათოლიკეებმა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამცხისა თუ სხვა მეზობელ მიწათა ქართველ ბინადართათვის ლათინურ წესზე უფრო ახლობლად და მონათესავედ – ქართული ნესის აკრძალვის პირობებში – სომხური ნესი გამოჩნდებოდა. ხოლო „ოსმალეთის მოხელეები ეკკლესიის ნესსა და ტიპიკონს ხედავდენ და ამას ყურადღებას აქცევდენ და არა გვარტომობას" (თამარაშვილი 1904: 218).

როცა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ის ქართველები, ვინც კათოლიკობას აღიარებდნენ, რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდნენ, იქაც და იმჯერადაც გაუმიჯნავი აღმოჩნდა ადამიანების სარწმუნოება (ამ შემთხვევაში ლიტურგიკულ-კანონიკური ტრადიცია) და ეროვნება. ისტორიკოსი დარწმუნებულია, რომ

> უნინ ასე სარწმუნოებას და გვარ-ტომს ხშირად ერთმანეთში ურევდენ და ერთის სახელს მეორის მაგიერად ხმარობდენ. ამ საზოგადო ჩვეულების გამო, ქართველ ტომის კათოლიკებსაც, რომლებსაც სომხის ნესი მიეღოთ, სომხის კათოლიკები უნოდეს (თამარაშვილი 1904: 219).

სომხური ნესის ქართველ კათოლიკეთა „სომხებად" მოხსენიება, თამარაშვილის აზრით, შესაბამის ანალოგიას პოულობს მისიონერთა მიერ არაკათოლიკე თუ არასომეხი ქართველი ქრისტიანების სახელდებისას „ბერძნებად", რაც საბუთობრივ დასტურდება:

> ამასვე ცხადად ვხედავთ მისიონერების ნერილებში მართლმადიდებელი ქართველების შესახებ, რომელთაც ხშირად უწოდებენ ბერძნებად (Greci), რადგან ბერძნის ტიპიკონი აქვსთ, თუმცა ბერძნის ტომისა არაფერი აცხიათ. მსგავსადვე მისიონერები, თვინიერ ტომის გარჩევისა, ზოგჯერ, მარტო ტიპიკონის გამო, უნოდებენ სომხებად იმ კათოლიკეებს, რომლებსაც სომხებისა მარტო ტიპიკონი აქვსთ. უნინ ასე სარწმუნოებას და გვარ-ტომს ხშირად ერთმანეთში ურევდენ და ერთის სახელს მეორის მაგიერად ხმარობდენ (თამარაშვილი 1904: 219).

ისტორიული ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული – როგორც მცხეთის, ისე აფხაზეთის – საკათოლიკოსოების სამწყსოს წევრებს, რომელთაც ბერძნებთან არაფერი აკავშირებდათ (არც ენა და არც ეროვნება!), ლიტურგიულ-კანონიკური წესის ერთიანობის გამო „ბერძნებად" მოიხსენიებდნენ, ხოლო სომხური ნესის ქართველ კათოლიკეებს, შესაბამისად, „სომხებს" უწოდებდნენ.

ამდენად, ისტორიკოსს მიაჩნია, რომ არსებობს მკაფიო ზღვარი ამა თუ იმ ეროვნულობის მატარებელთა და ამა თუ იმ სარწმუნოების, თუნდაც სარწმუნოებრივი რიტუალის მიმდევართა შორის, მაგრამ შესაძლოა, ამა თუ იმ ეროვნების ნარმომადგენელს სნორედ რიტუალის მიხედვით ჰქონდეს მინიჭებული სახელი, რადგან „უნინ სარწმუნოება და ტიპიკონი საზღვრიდა გვარ-ტომის სახელსაც და სდებდა ხშირად გვარ-ტომობის სახელად თვის სახელს"(თამარაშვილი 1904: 218). თუმცა თავად იმ პიროვნებისათვის, რომელიც რომელიმე ერს აკუთვნებს საკუთარ თავს, პირველადი და ამოუძირკვავია ეროვნული თვითგანცდა, ხოლო ეს თვითგანცდა, მკვლევრის აზრით, ადამიანის დაბადებიდანვე თანდაყოლილ ინსტინქტს, ბუნებრივ მიდრეკილებას წარმოადგენს (თამარაშვილი მას ხან „ბუნებრივ ინსტინქტს", ხან კი „ბუნების ინსტინქტს" უწოდებს (თამარაშვილი 1904: 5, 221, 252), – ხშირად, შესაძლოა, რაციონალურად გააზრების გარეშეც კი.

სამაგალითოდ, თამარაშვილი მოიხსენებს იმ ართვინელი კათოლიკეების – როგორც საერო, ისე სამღვდელო პირთა – შემთხვევას („ჩვენმა მნერლობამ ართვინელების ქართველებზედ ბევრჯერ ილაპარაკა" (თამარაშვილი 1904: 239), რომლებიც „ამბობენ და აღიარებენ ქართველ მოდგმას და ჩამომავლობას" (თამარაშვილი 1904: 239) და მათი ეს განცხადება თუ განცდა ისტორიკოსისათვის ყველაზე მყარი მტკიცებულებაა მათი მიჩნევისათვის ქართველებად. შესაბამისად, იგი სწორედ მათს ამ განცდაში ხედავს „ცხოველ მონმეს და ჭეშმარიტს საბუთს, რომლებიც ართვინელების ქართველობას ამტკიცებენ" (თამარაშვილი 1904: 239). მას ისიც სჯერა, რომ ამგვარი გრძნობის გაქრობა, შეცვლა ან ამოშანთვა სრულიად შეუძლებელია:

> ვითომ ამ ოცი წლის ნინად ლათინის წესის მღვდლებს ჩაეგონებინოთ კათოლიკეებისათვის, რადგან დიდი ხანია, რაც საქართველოში სცხოვრებთ და დაივიწყეთ თქვენი სომხური დედა ენა და ზნე-ჩვეულება, ამისთვის ქართველობა დაიჩემეთო, რადგან საქართველოს მცხოვრები ხართ და სხ. ესრეთი აზრი ხომ მთლად შემცდარია. ამნაირის მსჯელობით კაცი ბავშვსაც ვერ დაიყოლიებს, რადგან თვით ბუნებრივ ინსტიკტსაც [sic!] ეწინააღმდეგება, კაცმა უარყოს ის, რაც არის. ამას კაცი აზრადაც ვერ ნარმოიდგენს (თამარაშვილი 1904: 251-252).

ეროვნული ერთიანობის განცდისათვის თამარაშვილს მნიშვნელოვნად ან გადამწყვეტად არ მიაჩნია არც ენა და არც სარწმუნოება. მას, ერთი მხრივ, მაგალითად მოჰყავს ის სომხები, რომლებიც მოშორებულნი არიან სამშობლოს და ამის გამო დაკარგული აქვთ ენა, მაგრამ თავიანთი ეროვნული კუთვნილების შეგნება მაინც შეუნარჩუნებიათ: „სხვადასხვა ადგილის სომხები, რომლებსაც ენა აღარ შერჩენიათ, მაგრამ კი იცვენ თავიანთ ნესსა და ერობას" (თამარაშვილი 1904: 221). ამ შემთხვევაში გარეშე გარემოებანი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, გინდაც ცალკეული ადამიანისთვის ეროვნების შენარჩუნება იმჟამად მეტად საზარალო იყოს: „ისინი ნამდვილი სომხები არიან და თავიანთი ვინაობისათვის ვერ უღალატნიათ, თუმცა ამისთვის გარემოება ძლიერ ხელს უწყობს" (თამარაშვილი 1904: 221). რაც შეეხება, მეორე მხრივ, სარწმუნოების დაკარგვას, იგი ამგვარ შემთხვევასაც განიხილავს: იხსენებს სპარსეთში გადასახლებულ ქართველებს, რომელთაც – სრულ ისლამურ გარემოცვაში – ვეღარ შეუნარჩუნებიათ ქრისტიანობა, ბუნდოვნად ახსოვთ თავიანთი ოდინდელი სამშობლოც, მაგრამ ეროვნული თვითგანცდა არ დაუკარგავთ.

> ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად კმარა დავასახელოთ სპარსეთში ძველ დროდგანვე გადასახლებული, უკეთ თქვათ, ტყვედ ნაყვანილი ქართველები, რომელთაც საქართველოსი აღარასფერი ახსოვსთ, სარნმუნოებაც დაჰკარგეს. მაგრამ ერთი რამ კი შერჩენიათ: ღრმად ჰგრძნობენ თავიანთ ბუნებაში, რომ ისინი თავიანთ მეზობელ და თანამერჯულესავით სპარსელები არ არიან, არამედ გურჯები – ქართველები,

ნერს თამარაშვილი (თამარაშვილი 1904: 222), ხოლო სხვაგან, სხვა შემთხვევის განხილვისას, იგი ისევ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ამ ქართველებმა თუ სარწმუნოება უარყვეს, გვარტომობა უარ არ უყვიათ" (თამარაშვილი 1904: 238); ეროვნების დაკარგვის შედეგად, ადამიანებს მოუნევდათ, „უარ ეყოთ თავიანთი სისხლი და ხორცი, მამა-პაპა, ზნე-ჩვეულება, ენა და თვისება" (თამარაშვილი 1904: I(3)).

საკამათო არ უნდა იყოს, ქართველი კათოლიკე ისტორიკოსისათვის ადამიანის ეროვნების განსასაზღვრავად იმდენად არაარსებითი ნიშანია სარწმუნოება, რომ იგი ამ თვალსაზრისით სავსებით თანაბრად უყურებს მისთვის ახლობელ ქრისტიანობასაც და მისთვის შორეულ ისლამსაც.

აღსანიშნავია, ეროვნული კუთვნილებისათვის არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება არც საერთო სამკვიდ-რებელს, რაკი ეს ზემორე გამონათქვამიც სამაგალითოდ მეტყველებს, რომ ქართველებად გრძნობენ თავს ისინიც, რომლებიც დიდი ხნის წინათ მოწყვეტილან მშობლიურ მიწას და ხსოვნაც კი მის შესახებ მეტად ბუნდოვანი აქვთ.

თვალსაჩინოა ისიც, რომ ისევე როგორც უცხოთა შორის მყოფ სომხებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულთ, ასევე სპარსეთში გადასახლებულ ფერეიდნელ ქართველებს პრაქტიკული „ინტერესი", ანუ სარგებელი თითქოს უბიძგებდა, უარი ეთქვათ თავიანთი ეროვნული კუთვნილების გამოხატვაზე (რაც კიდევ უფრო გაადვილებული იყო პირველების მხრივ ენის დავიწყებით, ხოლო მეორეთა მხრივ – სარწმუნოების დაკარგვით), მაგრამ ეს არ მოხდა სნორედ მათი მკაფიო ეროვნული თვითგანცდის გამო. ისტორიკოსის აზრით,

> დიდი სიკეთე იქნებოდა მათთვის, რომ ეს გვაროვნობაც (ჩამომავლობა) უარეყოთ, მაგრამ ბუნებამ ყველას სძლია. ამისთვის ძალაუნებურად დარჩნენ იმად, რაც იყვნენ (თამარაშვილი 1904: 222).

საფიქრებელია, თამარაშვილი აქ სავსებით გააზრებულად იყენებს სიტყვას „ძალაუნებურად", რითაც ყურადღებას მიაქცევს თვისებას, რომელსაც ადამიანი საკუთარი ნებით, ნებისმიერად არ გამოიმუშავებს და არ ირჩევს: თვისებას ვერ შეენაცვლება უნარი. მისი აზრით, ადამიანის მიერ საკუთარი ეროვნების განცდაც და შენარჩუნებაც განპირობებულია სნორედაც ბუნებრივი „ინსტინქტით", რომელიც მიზეზთა თუ გარემოებათა, სურვილთა თუ მისნრაფებათა, მოგებათა თუ ნარჩინებათა მიუხედავად მოქმედებს.

როგორც ჩანს, ისტორიკოსი მაინც გამოყოფს და ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ ინსტინქტს, რომლებიც ბიძგს აძლევს ადამიანის ქმედებებს: ერთია – თვითგადარჩენისა, რომელიც ყველა ცოცხალ არსებას გარემოსთან შეგუებისაკენ მოუწოდებს, ხოლო მეორე – საკუთარი მეობის შენარჩუნებისა, რომელიც უფრო მეტად პიროვნულია და რომელსაც უნარი აქვს, არცთუ უმნიშვნელო დანაკარგების ფასადაც კი, უფრო ძლიერი აღმოჩნდეს პირველთან შედარებით, და, როცა საჭირო გახდება, დაძლიოს კიდეც ის.

როცა მკვლევარ-პოლემისტი ახსენებს იმ ქართველებს, რომლებიც იმჟამად იცილებდნენ თავიანთ „სომხურ" სახელდებას და ადარებს მათ იმ სომხებს, რომელთაც ვერანაირმა გარეშე იძულებამ ვერ დაათმობინა საკუთარი ეროვნება, იგი დაასკვნის, რომ – თუ არა ეროვნების ბუნებრივი განცდა – ქართველებიც გულგრილნი უნდა დარჩენილიყვნენ მათთვის არაბუნებრივი სახელდების მიმართ, თუნდაც მას მხოლოდ ლიტურგიკული ნესისადმი მათი მიკუთვნება აღენიშნა. თუკი სომხები არ თმობენ თავიანთ სომხობას,

> ბუნების ინსტინქტის ძალით, რასაკვირველია, ამნაირადვე უნდა მოქცეულიყვნენ საქართველოს კათოლიკებიც, უკეთუ ესენიც მათსავით სომხის ჩამომავალნი ყოფილიყვნენ. დღეს თუ ესენი უარყოფენ სომხობას, იმიტომ, რომ სომხები არ არიან და თავიანთ ბუნებაში სომხისას არასფერს ჰგრძნობენ. მათი მოქმედება სხვა არაფრით არ აიხსნება, თუ არ თავიანთი ბუნებრივის მიდრეკილებით, რადგან ყველა არსებას ბუნებითი მიმართობა და ინსტინქტი აქვს, რომ დაშთეს იმ არსებასა და ვინაობაში, რაზედაც ღმერთს გაუჩენია (თამარაშვილი 1904: 221).

თამარაშვილის პოლემიკური ნაშრომის დასასრულისკენ გამოთქმული ეს თვალსაზრისი შეესატყვისება ნაშრომის დასაწყისში განვითარებულ ავტორისეულ შეხედულებებს, რომ როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების თანდაყოლილი სწრაფვაა, შეინარჩუნოს საკუთარი მეობა:

> უტყუარი და ჭეშმარიტი პრინციპია, რომ ბუნებრივის ინსტინკტით ყოველი არსი მიდრეკილია, თავის თავი დაიცვას და დარჩეს იმად, რაც არის და გაამარადისოს თავისი თვისება. […] ყველა კერძო, თვითეული ინდიეიდუუმს თანასდევს გაუყრელად ესეთი პრინციპი, ამიტომ საზოგადოებაზედაც, რომელსაც თვითეული ინდივიდუუმი შეადგენს, შეუცელელად გადადის ესრეთი პრინციპი. ამის გამო არის, რომ არა მარტო ყველა ინდივიდუალ არსებას, არამედ ყველა საზოგადოებასაც უნდა და ცდილობს დარჩეს იმად, რადაც ყოფილა იმ თავიდგანვე (თამარაშვილი 1904: 5-6).

ან კიდევ,

> ყველა ტომს უნდა და კიდევაც რჩება იმ ტომად, რომლათაც გაჩენილ-დაბადებულა, რადგან ეს ნათესავ-ტომობა ერთი ბუნებრივი თვისებაა და თან ჰყვება კაცს დაბადებიდგანვე (თამარაშვილი 1904: 6).

ამდენად, თამარაშვილს მიაჩნია, რომ, ერთი მხრივ, პიროვნება დაბადებისთანავე ბუნებრივად ეკუთვნის რომელიმე ერს, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ ამგვარი თვითგანცდის მატარებელ პიროვნებათაგან იქმნება ერი. ამიტომაც იგი შეუძლებლად მიიჩნევს ეროვნებისადმი მიკუთვნების პოლიტიკურ არჩევანს, რადგანაც ღრმად სჯერა, რომ პიროვნება ვერასოდეს მოიშორებს (და ვერც შეიცვლის) წინაპართაგან გადმოცემულ ეროვნებას:

> თუმცა პოლიტიკურად შეიძლება კაცმა გამოიცვალოს თავისი დაბადების ტომი და სხვა ტომის სახელი დაირქვას, მაგრამ ნამდვილად და ბუნებრივად კი ის იქმნება მუდამ იმ ტომისა და სისხლ-ხორცისა, რა ტომის დედ-მამისაგანაც შობილა (თამარაშვილი 1904: 7).

ღირსშესანიშნავია, რომ ამგვარი თვალსაზრისი ცხადად უპირისპირდება იმ ხანებში ევროპაშიც და საქართველოშიც ეროვნების შესახებ მეტად გავრცელებულ კონცეფციას, რომელიც ეკუთვნოდა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მეტად პოპულარულ ისტორიკოსსა და პოზიტივისტ ფილოსოფოსს ერნესტ რენანს (1823-1892). თავის გახმაურებულ ნაშრომში „რა არის ეროვნება?" („Qu'est-ce qu'une nation?", 1882) იგი ეროვნების განცდის (და ეროვნული ერთიანობის) საფუძვლად მიიჩნევდა საერთო ისტორიულ ნარსულს.[4]

სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის თანამედროვენი მწერლის თვალსაზრისს ეროვნების შესახებ სნორედ ამ რენანისეულ ეთნოისტორიულ პოზიციასთან აკავშირებდნენ, – თუნდაც არაუშუალო, ნინმსნრები გადაძახილითა თუ თანხვედრით, – როცა იგი გამოკვეთილად აცხადებდა („ოსმალოს საქართველო", 1877), რომ ეროვნული ერთიანობა არა იმდენად სარწმუნოებრივ საფუძველს, რამდენადაც საერთო ისტორიული წარსულის გამოცდილებას ემყარება და უნდა ემყარებოდეს.[5]

მაგრამ მიქელ თამარაშვილი, როგორც ისტორიკოსი და როგორც კათოლიკე ღმრთისმეტყველი, დაუბრკოლებლად მოიპოვებს პასუხს კითხვაზე, თუ რა განაპირობებს ეროვნების განცდას, – როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების მიერ. მისი პასუხია, რომ ეროვნულობას აყალიბებს არა ენა, არა სარწმუნოება, არა საერთო ტერიტორია, არა საერთო ნარსული, არამედ ეროვნულობის განცდა ბუნებრივად სუფევს ადამიანში ჩასახვისთანავე, ხოლო მისი ამ განცდის ერთადერთი წყაროა ღმერთი. ადამიანს კი, როგორც ღმრთის ქმნილებას, ბუნებრივად სურს, დარჩეს „იმ არსებასა და ვინაობაში", როგორადაც იგი „ღმერთს გაუჩენია" (თამარაშვილი 1904: 221).

ამიტომ, მიქელ თამარაშვილი თავის უფლებადაც და მოვალეობადაც მიიჩნევს, განაცხადოს არა მხოლოდ როგორც კათოლიკობის ისტორიკოსმა, არამედ როგორც კათოლიკემ და კათოლიკე მოძღვარმა:

> სწორედ ამ აუცილებელის პრინციპის ძალით ჩვენ, საქართველოს კათოლიკენი, ვამბობთ და აღვიარებთ, რომ ჩვენ ქართველნი ვართ, რადგან ქართველი დედ-მამისგან ვშობილვართ, ამიტომ ჩვენს არსებაში ვგრძნობთ ჩვენს ქართველობას, ქართველის სისხლსა და ხორცს (თამარამვილი 1904:7).

მიქელ თამარაშვილისათვის პიროვნების ეროვნული კუთვნილების განსასაზღვრავად, – ენის, სარწმუნოების, სამკვიდრებლისა და ისტორიული ერთიანობის გამოცდილების გამორიცხვით, – ყველაზე ნამდვილი და ყველაზე მყარი საფუძველია ბუნებრივი ეროვნული თვითგანცდა, რომელიც ადამიანს ღმრთისაგან აქვს მინიჭებული.

ქართული კათოლიკობის მომავალი, დანახული წარსულიდან. შეუძლებელი იყო მიქელ თამარაშვილის, როგორც კათოლიკე მღვდლისა და კათოლიკობის ისტორიკოსის, წინაშე ცოცხლად არ წამოჭრილიყო საკითხი საქართველოს დამოკიდებულების შესახებ რომის კათოლიკე ეკლესიასთან, – როგორც წარსულის შედეგთა თავმოყრის, ისე სამომავლო გზების წარმოსახვის თვალსაზრისით. მეოცე საუკუნის დასაწყისში მას აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ „ვერ მოხერხდა ქართველების საბოლოო დაკავშირება კათოლიკე ეკლესიასთან, რაც ასე სასურველი იყო და რისი არაერთი მცდელობა ყოფილა" (თამარაშვილი 1995: 735). შესამჩნევია, ამჯერადაც, – როგორც სხვა დროს კვლევებისას თუ დასკვნების გამოტანისას – იგი მეთოდურად მტკიცედაა დაჯერებული, რომ მისი ეს ზოგადი მსჯელობაც არ უნდა გასცდეს დოკუმენტურ საფუძველს („საბუთად გამოდგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი მრავალი ტექსტი" (თამარაშვილი 1995: 736).

პირველ ამგვარ მიზეზად მკვლევარი მიიჩნევდა ქართულ მიწათა განუწყვეტელ ძნელბედობას, უსასრულო მტრულ შემოსევებს და მუდმივ შიდა მოუწესრიგებლობას, ანუ ისტორიულ „მოუცლელობას" იმისათვის, რათა ქვეყანას, მის სახელმწიფოებრივ თუ საეკლესიო მმართველობას, ქრისტიანულ საკრებულოებს ერთხელ და საბოლოოდ გაერკვიათ და დაელაგებინათ თავიანთი დამოკიდებულება საყოველთაო ეკლესიასთან, მყარი კალაპოტი მიეჩინათ ურთიერთობისათვის რომის საყდართან (თამარაშვილი 1995: 736). შესამჩნევია, რომ ამგვარ მიზეზად არაა დასახელებული არც გეოგრაფიული დამორება კათოლიკური ცენტრებიდან და არც სრული ისლამური გარემოცვა, რასაც უნდა განეპირობებინა ქვეყნის მოწყვეტა ქრისტიანული სამყაროსაგან. ისიც სათქმელია, რომ ომები თუ სხვადასხვაგვარი მძიმე განსაცდელი არცერთი ქვეყნისათვის არ ყოფილა უჩვეულო საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ქართველები მაინც მიჩნეულია არაჩვეულებრივად დაჩაგრულად სარწმუნოებისა და ეროვნების დამცველ ერთა შორის:

> არცერთის ტომის ხალხს და არცერთს ქვეყანას გამოუვლია იმოდენი შეწუხება და ომი, რაც საქართველომ გამოიარა თავის სარწმუნოების და თავის უფლების დასაცველად. ერთის სიტყვით, ჩვენს ისტორიაში ვერ შეხვდებით ისეთ მცირე დროს, როცა საქართველო შეიარაღებული არ ყოფილიყოს და ომი არა ჰქონოდეს ამა თუ იმ მტერთან. თუ როდისმე თავის მხნეობით გარეულ მტრებს მოიგერიებდა, საუბედუროდ, შიგვე თავის შვილებშივე აღმოუჩნდებოდა არეულობა და ომი (თამარაშვილი 1904: 112).

აღსანიშნავი და ბუნებრივია, რომ ამ მსჯელობაში მომხდურ მტერთა შემოსევების განსაცდელს – მძიმე შედეგების თვალსაზრისით – არანაირად ჩამორჩება შინაომები და დაპირისპირებანი თავად ქვეყნის შიგნით, რაზეც ისტორიულ პასუხს თავად ქვეყნის მკვიდრნი აგებენ.

მეორე მიზეზს ისტორიკოსი ხედავდა იმ შევინროებასა და დევნაში, რაც გაჩაღებული ჰქონდათ სომხური ეკლესიის წარმომადგენლებს არა მარტო ქართველ კათოლიკეთა, არამედ, ასევე, ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელთა წინააღმდეგ (ლათინური თუ ქართული ნესის თუნდაც არაქართველ და თუნდაც ქართველ კათოლიკეთა ეს დევნა – როგორც სომხური არაკათოლიკური საკრებულოების, ისე სომხური წესის კათოლიკეთა მხრივ – დაწვრილებითაა გადმოცემული თამარაშვილის წიგნში „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)", 1904). თავისი წიგნის – „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე" – ბოლო, დასკვნით თავში მკვლევარი წერს:

> სომხებს რომ თავი დაენებებინათ მისიონერებისათვის, უეჭველია, კათოლიკური სარწმუნოება შესამჩნევად გავრცელდებოდა და საქართველოს ყველა კუთხე თავისი ნებით მიიღებდა ამ სარნმუნოებას (თამარაშვილი 1995: 736).

შესამჩნევია, რომ ისტორიკოსს საქართველოში რომაული ტრადიციის ქრისტიანობის გავრცელებისათვის დაბრკოლებად არ წარმოუდგენია ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობისა და მისი საკათოლიკოსო სტრუქტურების არსებობა (როგორც მცხეთის, ასევე აფხაზეთის კათოლიკოსთა მეთაურობით). როგორც ჩანს, მის ამ მყარ შეხედულებას განაპირობებდა ქართული ეკლესიის მეთაურთა უმეტესად უაღრესი კეთილმოსურნეობა რომის საყდრისა და მისი წარმომადგენლების მიმართ საუკუნეთა განმავლობაში, – ფაქტობრივ, მეთვრამეტე საუკუნემდე, ანუ მანამდე, სანამ ქართული ეკლესიის შიდა საქმეებში სულ უფრო ქმედით ჩარევას შეუდგებოდა რუსული ეკლესია და სნორედ ის გახდებოდა საქართველოში საეკლესიო ცხოვრების განმაპირობებელი ბევრად ადრე, ვიდრე რუსეთის იმპერია იარაღის ძალითა თუ მოსყიდვის ხერხით ქართული მიწების თანდათანობით ანექსიას მოახდენდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ქართული მწიგნობრობის ფარგლებში საგანგებო ანტირომაული პოლემიკის სულ ორიოდ ნიმუში არსებულა: ბერძნულიდან მეთორმეტე საუკუნეში გადმოთარგმნილი და იმავდროულადვე უზარმაზარ დოგმატიკურ კრებულში „დოგმატიკონში" შეტანილი მოკლე თხზულება – ევსტრატი ნიკიელის „მოსაჴსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განირჭრნეს" (რაფავა 2014: 98- 157) და ქართველი კათოლიკოსის, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის (1724-1737) მოზრდილი ნიგნი „გრდემლი: სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან მათი განყოფილება" (ბესარიონი 2013). თავისთავად,

ანტირომაულ-ანტილათინური პოლემიკის ამგვარი სიმწირე ქართულად უკვე მრავლისმეტყველია (ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურის შესახებ – კეკელიძე 1923: 77, 530-532; შდრ. კეკელიძე 1980: 79, 486-487). ძველი ქართული ლიტერატურის გამორჩეული მცოდნე კორნელი კეკელიძე ამგვარად ხსნიდა ამ მიმართულებით პოლემიკური მუხტის უკიდურეს სისუსტეს:

> საქართველოს ეკლესია არ იზიარებდა საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატიულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ; აქ იმთავითვე ბატონობდა მეორე მიმართულება, ლიბერალურ-სპირიტუალური, რომლის მკვეთრად გამომხატველია გიორგი მთანმიდელი. [...] ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცილებით გვიან, ვიდრე რომისა და საბერძნეთის განყოფა მოხდა, და ისიც თანდათანობით, თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია აქ, როგორც საბერძნეთში (კეკელიძე 1923: 530-531); შდრ. (კეკელიძე 1980: 486).

მიქელ თამარაშვილი დარწმუნებული იყო, რომ, საეკლესიო მწყემსმთავართა გარდა, ზოგადად, ქართველები და, კერძოდ, მათი საერო მეთაურებიც არა მარტო კეთილგანწყობილნი იყვნენ კათოლიკე მისიონერთა მიმართ, არამედ ხანდახან მხარდამჭერასაც უწევდნენ მათ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი კათოლიკობასაც აღიარებდნენ:

> ქართველმა ერმა დიდათ დააფასა მისიონერების შრომა და ყოველგვარი თანაგრძნობა აღმოუჩინა; გარდა ორი-სამი შემთხვევისა, მუდამ დაიფარა ისინი მათის მტერის ნინააღმდეგ. არც ქართველი მეფენი იყვნენ იყვნენ ნაკლები მათნი მფარველნი. თუ მეფე თეიმურაზ მეორეს არ ჩავაგდებთ ანგარიშში, თითქმის ყველა მეფენი მათ თანაუგრძნობდენ და ბევრნაირადაც ეწეოდენ; ეგრეთვე რამდენმამე მეფემაც მიიღო კათოლიკე სარწმუნოება (თამარაშვილი 1902: 559).

მესამე მიზეზად, რამაც გამოინვია, რომ ქართველების უმრავლესობა ან თუნდაც მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეუერთდა რომის კათოლიკე ეკლესიას, თამარაშვილს მიაჩნდა კათოლიკური საეკლესიო სტრუქტურის უქონლობა საქართველოში, ანუ საეპისკოპოსო კათედრის არარსებობა. მისი აზრით, ადგილობრივი კათოლიკური საყდრის ეს საჭიროება განპირობებული იყო იმ ტრადიციული მდგომარეობითაც, რომ საქართველოში მანამდე უკვე არსებობდა მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო იერარქია, ყოველი შემადგენელი საფეხურით, დამთავრებული კათოლიკოსის საერთოეროვნული ინსტიტუტით (თუნდაც ორმაგი, მაგრამ მაინც არათანაბარი უმაღლესი საყდრით: ცალკე – აღმოსავლეთ და ცალკე – დასავლეთ საქართველოში). ისტორიკოსის აზრით (რომელიც ამჯერად ტექსტში არც თავის კათოლიკურ სარწმუნოებრივ მგზნებარებას ახშობს), ეპისკოპოსის ყოფნა აუცილებელი იყო, ჯერ ერთი, კათოლიკე ეკლესიის ადგილობრივი სტრუქტურის სწორი და მძლავრი ჩამოყალიბება-მონესრიგებისათვის, მეორე, ბიზანტიური ტრადიციის საეკლესიო სტრუქტურის მიმართ არააგრესიული, მაგრამ სიმეტრიული დაპირისპირებისათვის, მესამე, მხოლოდ კათოლიკე ეპისკოპოსის ინსტიტუტს შეეძლო,

> გაევრცელებინა სარწმუნოება, ნინ აღდგომოდა კათოლიკობის მტრებს, ჩაენერგა ძალისა და დიდების განცდა მორწმუნეთათვის, მალამოდ დასდებოდა ტკივილსა და უწესრიგობას, რაც შესაძლოა აღმოცენებულიყო როგორც საერო, ისე სასულიერო პირებს შორის (თამარაშვილი 1995:736).

ამდენად, თამარაშვილი, რომელიც პიროვნულად თან ატარებდა არა მარტო ისტორიკოსის, არამედ პრაქტიკული მოძღვრის გამოცდილებას როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ, ქართველებს შორის კათოლიკობის გავრცელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობადაც და საფუძვლადაც მიიჩნევდა ქმედითი საეკლესიო დიოცეზისის არსებობას ადგილობრივად მმართველი ეპისკოპოსის მეთაურობით შდრ. „[საქართველოში] კათოლიკობა საკმაოდ გავრცელებულა, ვინაიდგან კათოლიკე სარწმუნოების საეკკლესიო იერარქია დაწესებულა და ეგოდენნი ლათინთ ეპისკოპოსნი და მოძღვარნი ყოფილან" (თამარაშვილი 1902: 557-58). მისი აზრით, საქართველოს კათოლიკეები მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობდნენ თავს დაცულად, და თანაც ისინი ამით ეზიარებოდნენ და გაიზიარებდნენ კათოლიკე ეკლესიის ნესრიგსა თუ სიდიადეს, მფარველობასა თუ ძალმოსილებას.

მეოთხე მიზეზად, რამაც ხელი შეუშალა ქართველების გადამწყვეტი რაოდენობის შეერთებას კათოლიკე ეკლესიასთან, მიქელ თამარაშვილი ასახელებს უკვე არა გარე პირობებს, არამედ ევროპიდან საქართველოში ჩამოსულ თვით მისიონერთა ზოგიერთ ნაკლსა და მანკს. იგი სავალალო შეცდომას უძებნის მისიონერთა გამომგზავნელებსაც და თავად გამოგზავნილებსაც, რაკი, როგორც მას მიაჩნია, საქადაგებლად შერჩეულნი იყვნენ იმგვარნი, რომელთაც არ აღმოაჩნდათ არც უნარი და არც მგზნებარება (მათ ბრალად ედებათ სწორედ „უუნარობა და ნაკლები მონდომება" (თამარაშვილი 1995: 736) იმ საქმისათვის, – კათოლიკობის გასავრცელებლად, – რისთვისაც ისინი იყვნენ მოვლენილნი. თუმცა ისტორიკოსს მხედველობიდან არ გამორჩენია სხვადასხვა ორდენის (ქართული სიტყვათხმარებით: ნესის) განსხვავებული მისია და შედეგები.

თავდაპირველად, მეცამეტე საუკუნიდან, დომინიკელთა და ფრანცისკელთა – წიგნიერებითა და

მასწავლებლობით განთქმული საძმოების – შემოსვლა საქართველოში დიდ განათლებას უქადდა ადგილობრივ მცხოვრებთ, მათ რომ უწყვეტი მოღვაწეობის საშუალება მისცემოდათ:

> საქართველო იმ დროშივე მიაწვდა განათლების უმაღლეს ნერტილსა, რადგან ლათინის მოძღვრები წმიდა დომინიკეს და წმიდა ფრანჩისკეს ნესისა, რომლებიც ხშირად და გუნდ-გუნდათ მოდიოდნენ საქართველოში, ყოველის მხრით მეტად განვითარებული პირები იყვნენ. მსოფლიო ისტორიიდან ვიცით, რომ ევროპაში შუა საუკუნეში სნორედ ამ ორდენების მონაზონებმა დაიცვეს და განავრცელეს ყოველგვარი განათლება. იმისთანა ბედნიერი დღე მოელოდა საქართველოსაც, ამ მონაზონებს რომ შესძლებოდათ მუდამ გავრცელება ჩვენში თავიანთი სნავლა-მოძღვრებისა (თამარაშვილი 1902: 558).

შემდგომ, დროითი ნყვეტის შემდეგ, მეჩვიდმეტე საუკუნიდან, საქართველოში გამოემგზავრნენ თეატინელი მონესეები, მაგრამ მათს მისიონერულ საქმიანობას მრავალი დაბრკოლება დახვდა წინ: ერთი, სპარსელების იმდროინდელი მრავალგზისი და გამანადგურებელი შემოსევები; მეორე, მძაფრი დაპირისპირება მათი საქმიანობის წინააღმდეგ და ყოველმხრივი ხელის შეშლა სომეხი სამღვდელოების მხრივ; მესამე, თეატინელები დაფრთხნენ აღმოსავლეთი საქართველოს მძიმე ვითარების გამო და მალე მთლიანად გადაბარგდნენ დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოში; მეოთხე, მათი შესაძლებლობები გაიფანტა, რადგან მცდარი გათვლების გამო მათი ძალები – თუნდაც რაოდენობრივად – საკმარისი არ აღმოჩნდა ერთდროულად საქართველოსათვისაც და ინდოეთისათვისაც. თუმცაღა კი მათი მისია – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით – მაინც განსაკუთრებული იყო, რადგან, ფაქტობრივად, სნორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ევროპულ ცოდნას საქართველოს შესახებ (თამარაშვილი 1902: 558-559). ამავე დროს, საქართველოს გვიანდელი ისტორიის მემატიანეები ხშირ შემთხვევაში თეატინელები აღმოჩნდნენ და არც ისე იშვიათად ეპოქის შესახებ ერთადერთ წყაროს მათ მიერ შესრულებული და შენახული აღწერები თუ ჩანაწერები წარმოადგენს.

ბოლო მისიას, რომელმაც საქართველოში იმავე მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ თავისი საქმიანობა შეწყვიტა მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში (იმჯერად რუსეთის იმპერიის გადანყვეტილებით, რაკი იმ დროს საქართველოს უმთავრესი ნაწილი უკვე იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა), წარმოადგენდნენ კაპუცინთა ორდენის მონესენი, რომელთაც, თამარაშვილის შეხედულებით, მეტად მოკრძალებული ინტელექტუალური შესაძლებლობებიც ჰქონდათ და ვერც ვერაფერი შეძლეს სომხური სამღვდელოების შემოტევებისაგან თავის დასაცავად.

> ამნაირის უსამართლო და ბარბაროსულის დევნით სომხებმა მარტო კათოლიკე სარწმუნოებას კი არ ავნეს, არამედ სრულიად საქართველოსაც დიდი ზარალი მიაყენეს, რადგან უმეტეს შემთხვევაში კაფუცინებს ხელი შეუშალეს და არ მიუშვეს ექმნათ ის სიკეთე საქართველოსათვის, რისი ქმნაც კი შეეძლოთ (თამარაშვილი 1902: 559).

მიქელ თამარაშვილი, ამავე დროს, ლათინ კათოლიკე მისიონერებს უსაყვედურებს, რომ მათ ვერ მოახერხეს, ამოეძირკვათ ბერძენთა მიერ ქართველების გულში ჩანერგილი მტრობა კათოლიკური სარწმუნოების მიმართ და ვერ დაარწმუნეს „კათოლიკობისადმი უკვე მიდრეკილი ქართველი ერი, რომ კათოლიკე და მართმადიდებელი [sic!] სარწმუნოებას შუა არაფერი არსებითი დოგმატური განსხვავება იყო“ (თამარაშვილი 1902: 559-560). მოძღვარ-მქადაგებელთა ამ უძლურებას ისტორიკოსი საკმაოდ მკაცრად უწოდებს „მისიონერთა უხეირობას“ (თამარაშვილი 1902: 559). საყურადღებოა, რომ, მისი თვალსაზრისით, განსხვავება აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროთა, ანუ ბიზანტიისა და რომაული ტრადიციების დოგმებს შორის არაა არსებითი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კათოლიკე ეკლესიას უკვე გამოცხადებული ჰქონდა აღმოსავლეთისათვის სრულიად მიუღებელი დოგმები: წმიდა მარიამის უბინოდ ჩასახვის შესახებ (1854) და პაპის უცდომლობის შესახებ მოძღვრებისა და ზნეობის საკითხებში (1870). როგორც ჩანს, მას არ მიაჩნდა, რომ ქართული არაკათოლიკური საკრებულოებისათვის მიუღებელი იქნებოდა ეს დოგმები, და ამ შემთხვევაში იგი შთაგონებულია წარსულიდან „წმიდა გიორგი მთანმიდელის მაგალითით, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებას ისე შეუცვლელად აღიარებდა, როგორათაც დაუცავს საქართველოს ეკკლესიასა“ (თამარაშვილი 1902: 560).[6] ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა ძველი საქართველოს ამ ცნობილი სულიერი მოღვაწის გამონათქვამს, წარმოთქმულს სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, ბიზანტიის კეისრის წინაშე:

> ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს, [...] ხოლო ჰრომთა, ვინაჲთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს ნვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის (ძეგლები 1967: 179).

მას სჯეროდა, რომ სნორედ ეს სახელი – სახელი გამოჩენილი ქართველი მონაზვნისა, მნერლისა, მთარგმნელისა, მნიგნობრისა გიორგი მთანმიდელისა (1009-1065) – უნდა გამხდარიყო შთამაგონებელი ნიმუში საქართველოს ეკლესიის ქართველ ქრისტიანებს შორის კათოლიკობის გასავრცელებლად.

თამარაშვილს ეჭვი არ ეპარებოდა, „კაფუცინებს საკმაო ნიჭი რომ ჰქონოდათ, უეჭველად, თუ ერთიან

საქართველოს არა, მის უმეტეს ნაწილს მაინც მიაღებინებდნენ კათოლიკობას" (თამარაშვილი 1902: 560). საფიქრებელია, რომ იგი ამ შემთხვევაში კათოლიკურ მოძღვრებასთან მოქიშპეებად საგანგებოდ ასახელებს ბერძნებს და საერთოდ არ ეხება რუსებს, თუმცა ცნობილია თუნდაც იმ რუსი ემისრების როლი კათოლიკეების მიმართ მოგვიანებით ქართული საეკლესიო წრეების დამოკიდებულებაში, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან ჩნდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მიზეზი ამ მოუხსენებლობისა, ალბათ, ისაა, რომ მიქელ თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" მაინც ტფილისშია დაბეჭდილი, ხოლო წიგნის გამოცემისას, 1902 წელს, ქალაქი მძლავრი ცენზურული პირობებით შებოჭილ რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა (ცარისტულ სახელმწიფოში ზოგად ცენზურაზე კიდევ უფრო მკაცრი იყო საეკლესიო ცენზურა).

თუმცა, რაკი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე" 1910 წელს რომში იბეჭდებოდა, ისტორიკოსი ამ წიგნში უფრო ღიად და შეუფარავად აღწერდა მოვლენათა განვითარებას და იმასაც, თუ როგორი მტკიცე ზღუდე აღმართა რუსეთის იმპერიამ რომის საყდარსა და საქართველოს კათოლიკეებს შორის:

> რუსეთის მთავრობა საქართველოში გაბატონების დროიდან მუდამ ცდილობდა მისიონერთა თავიდან მოშორებას. ის ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას, მათს პირდაპირ კავშირს რომთან და განსაკუთრებით პროპაგანდის გავლენას. [...] პეტერბურგმა გადაწყვიტა, თავისი გეგმები აღესრულებინა და მისიონერებს ისეთი მიუღებელი პირობები დაუწესა, რომ მათ ვეღარ შეძლებოდათ საქართველოში დარჩენა. საბოლოოდ მისიონერებს იმპერატორის მიერ ხელმოწერილი დადგენილება მოუვიდათ, რომლის ძალითაც მათ ქვეყანა უნდა დაეტოვებინათ. [...] 1845 წლის დამდეგს ისინი საქართველოდან გააძევეს (თამარაშვილი 1995: 716).

ფაქტობრივად, ამით დამთავრდა რომის საყდრის მიერ ქართველთა შორის კათოლიკობის საქადაგებლად მოვლენილ მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში.

სხვათა შორის, როცა მსჯელობაა კათოლიკე მისიონერების ჩანაფიქრთა თუ წარუმატებლობათა, განზრახვათა თუ მარცხთა შესახებ, სავარაუდოდ, საყურადღებო უნდა იყოს დამოწმება სიტყვებისა, – დროით არცთუ დაშორებული თამარაშვილის ნაწერს, – რომელიც ეკუთვნის თან ძველი საქართველოს გამოჩენილ მკვლევარს და თან ერთ დროს მართლმადიდებელ მღვდელს, კორნელი კეკელიძეს (1879-1962), რაკი ეს ქვემორე სიტყვები განსხვავებულად – და კონფესიურად გარედან – ხედავს კათოლიკე ეკლესიის მიერ წარმოგზავნილ მისიონერთა ღვაწლს საქართველოს ისტორიაში:

> ისტორია კათოლიკეთა მისიისა საქართველოში იწყება მეცამეტე საუკუნეში; ამ საუკუნიდან მოყოლებული ჩვენში მოდიან და ერთმანეთს სცვლიან სხვადასხვა ორდენთა მისიონერები: დომინიკიანები, ფრანჩისკიანები, თეათინელნი და კაფუცინები, რომელნიც აარსებენ აქ საკუთარ კათოლიკეთა ეპარქიას Diocesis Thefelenciensis სახელით, იჩენენ საკუთარ ეკლესიებს, მონასტრებს, ქონებას და დაუღალავ კულტურულ მუშაობას ეწევიან. ხშირად გაუგებრობაც ხდებოდა მათ და ქართველებს შორის, ხშირად მათ ავინროებდნენ კიდევაც, მაგრამ საერთოდ ისინი დიდი წარმატებით მოქმედობდენ აქ, კათოლიკობაზე გადმოპყავდათ არა უბრალო მორწმუნენი საქართველოს ყოველ კუთხეში, არამედ კათოლიკოზ-მღვდელმთავრები და მეფეებიც, რომელნიც, ზოგი ფარულად, ზოგი ცხადად, იღებდნენ ახალ მოძღვრებას. მათი მნიშვნელობა და პოპულარობა ჩვენში თანდათან იზრდებოდა და მეთვრამეტე საუკუნეში ისინი პირდაპირ აუცილებელ საჭიროებად იქცენ საქართველოში. [...] ამასთან ერთად მისიონერები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდენ ჩვენს ნინაპრებზე თავისი მომზადებით და სწავლა-განათლებით, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობით და იმ დახმარებით, რომელსაც ისინი უწევდნენ ხალხს, როგორც ექიმები. მათ მოღვაწეობას დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის (კეკელიძე 1923: 74).[7]

ასევე, ღირსშესანიშნავია, თუ როგორ წარმოაჩენდა, თავის მხრივ, კათოლიკეთა მისიას ქართველებს შორის გამოჩენილი ისტორიკოსი, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მეთაური, ნიკო ბერძენიშვილი (1894-1965):

> კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული ნარმატება ხვდა. ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, მისი აღდგენისა და განთავისუფლებისთვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა". მეფე, უფლისწული, კათალიკოს-ეპისკოპოსები, თავადები მზად იყვნენ პაპის უზენაესობა აღიარებინათ და ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინათ და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინათ [...]. საქართველოში მისიონერები ჩქარა ჩაებნენ პოლიტიკურსა და კულტურულ მოღვაწეობაში. [...] მისიონერები მხარს უჭერდნენ საქართველოს ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფე-მთავართა შეთანხმებას. მათ მოღვაწეობას, უეჭველად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლი ქართველობის განმტკიცებისათვის, მაჰმადიანობის გავრცელების შეფერხებისათვის. [...] მისიონერთა მოღვაწეობა სულ უფროდაუფრო თვალსაჩინო ხდებოდა. თანდათან „ფრანგებმა" დიდი სახელი მოიხვეჭეს. მათი მეცნიერებისა სჯეროდათ. კათოლიკე პატრებთან სწავლობდნენ მოქალაქენი, თავად-აზნაურნი, მეფის ძენი და თვით მეფენი. [...] ევროპამ შემოიხედა „დავინყებულს" ქვეყანაში და ქართველი საზოგადოება ხარბად დაენაფა „ფრანგულ სწავლას" (ბერძენიშვილი 1967: 298, 299, 302, 303).

ზემორე მოტანილი ორივე მოზრდილი ამონანერი ნათლად აჩვენებს, თუ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის მიმართ კათოლიკე მღვდლის მიქელ თამარაშვილის დამოკიდებულებაცა და

შეფასებაც, – იდეური განწყობითაც და საზოგადოებრივი მდგომარეობითაც მისგან სრულიად განსხვავებულ, მაგრამ მეტად სანდო ავტორებთან შედარებით, – რამდენად საღი, მოზომილი და მწვავედ კრიტიკული იყო.

კათოლიკური მისიის სარწმუნოებრივი წარმატება საქართველოში და ქვეყნის ქრისტიანი მოსახლეობის მიერ კათოლიკობის აღიარება თამარაშვილს მიაჩნდა არა მარტო სანუკვარ სულიერ მონაპოვრად, არამედ, მისი ღრმა რწმენით, ამგვარი კონფესიური არჩევანი – შესაძლებელი განხორციელების შემთხვევაში – მყარად განაპირობებდა ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციასაც, რითაც ქართული სახელმწიფოებრიობა ნამდვილად დაცული აღმოჩნდებოდა და გადარჩებოდა რუსული ოკუპაციისაგან.

> აქ გამოგზავნილ ყველა მისიონერს რომ ჭეშმარიტი მოციქულებრივი სიბეჯითე და სათანადო უნარი ჰქონოდა, ისინი ეკლესიას მოუპოვებდნენ შეუპოვარ და ერთგულ ხალხს, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოსაც შეუნარჩუნებდნენ ძველისძველ სამეფოს, რომელიც რუსულმა მმართველობამ მთანთქა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (თამარაშვილი 1995: 736-737).

მოვლენათა ამგვარი დაკავშირებისას, მიზეზთა და შედეგთა ამგვარად გადაჯაჭვისას თამარაშვილს მკაფიო ისტორიული გამოცდილება ჰქონდა თვალხილულად და ხელშესახებად: მან, როგორც ისტორიკოსმა, შესანიშნავად იცოდა, თუ რა როლი ითამაშა ქართველებისათვის თავს მოხვეულმა ეგრეთ წოდებულმა „ერთმორწმუნეობის" საცდურმა საქართველოს ცალკეულ მიწების რუსეთის მიერ დაპყრობისას, ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმებისას და მათი რიგ-რიგობით მიერთებისას რუსეთის იმპერიისათვის. [8]

ისიც სათქმელია, რომ თამარაშვილი სრულად აცნობიერებდა რუსეთის იმპერიის პირობებში კათოლიკობის გავრცელების შეუძლებლობას ქართველებს შორის და ადგილობრივი კათოლიკე სამღვდელოების უპირატეს მოვალეობად საქართველოში უკვე არა მისიონერულ საქმიანობას, არამედ კათოლიკური საკრებულოების სულიერ სამსახურს – მათს მოვლასა და დაცვას – მიიჩნევდა:

> ვინ არ იცის, რომ მრთელ რუსეთის საბრძანებელში სასტიკად აკრძალულია მართლმადიდებლების გაკათოლიკება? ამისთანა გარემოებაში ფიქრადაც ნარმოსადგენი არ არის ქართველების გაკათოლიკება. რომისა და ქართველი ჰატრების ზრუნვა და ცდა მხოლოდ იმაშია, რომ კათოლიკებს შეუარონ და მათში დაიცვან კათოლიკური სარნმუნოება (თამარაშვილი 1904: 256).

დაბოლოს, წარსული გამოცდილების გააზრების შემდეგ, მიქელ თამარაშვილი ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობას მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მეტად უნუგეშოდ ხატავს:

> ისინი ისევ განმხოლოებული და მიტოვებული არიან ყველა თვალსაზრისით. მათ არა აქვთ არც საეპისკოპოსო, არც მისიონი, არც არავითარი დანესებულება, რომლის მიზანი იქნებოდა სარწმუნოების შენარჩუნება და მისი განმტკიცება, ქველმოქმედების გამოღვიძება, უპოვართათვის შვების მოგვრა, ახალგაზრდებისათვის მფარველობის განევა. ამგვარად, ქართველები სრულიად მოკლებულნი არიან გულმოწყალების ყველა იმ სიკეთეს, რომელსაც კათოლიკური სამყარო მთელი დედამიწის ზურგზე ანვდის ყველაზე ველურ და ყველაზე შორეულ ხალხებსაც კი. ქართველებს არა აქვთ არავითარი საკუთარი და პირდაპირი ურთიერთობა რომთან. მათ არაფერი იციან, რა ხდება სხვაგან, რაც ჩვენს წმიდა რელიგიას შეეხება. სულიერი თვალსაზიერიდან, ქართველი კათოლიკეები მსოფლიოს ყველაზე უბედური ხალხია (თამარაშვილი 1995: 737).

თამარაშვილის მიერ ნარმოდგენილი სურათი მართლაც მეტად მძაფრია, მძიმეა, ტრაგიკულია, – მით უმეტეს, იმის ცოდნით, თუ როგორი შებოჭილია ყოველი კათოლიკისა თუ ყოველი კათოლიკური საკრებულოს ცხოვრება და საქმიანობა რომის საყდართან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე. მაგრამ ამ სიტყვების დანერიდან და თამარაშვილის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ საქართველოში – ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთის მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შედეგად – დამყარდა სამოცდაათწლიანი კომუნისტური რეჟიმი (1921-1991), რომელიც თავის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად მიიჩნევდა საერთოდ ყოველგვარი რელიგიურობის ამოძირკვას ადამიანების ცნობიერებიდან თუ ყოფიდან, რისი განხორციელებაც, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, ეკლესიის ფიზიკური განადგურებით უნდა უზრუნველყოფილიყო. მართალია, ეკლესია არ განადგურებულა, მაგრამ მას უზარმაზარი, მრავალმხრივი დარტყმები ხვდა წილად. თუმცა ის, რაც ეკლესიის ამ სამოცდაათწლიან „ბაბილონის ტყვეობას" მოჰყვა და როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის ამ დროის შემდეგ, უკვე დღევანდელი დღეა, რომელიც მომავალმა ისტორიკოსმა უნდა განსაჯოს და შეაფასოს, მაგრამ ამ განსჯას და შეფასებას აუცილებლად დასჭირდება მიქელ თამარაშვილის ისტორიული ღვაწლისა თუ მისი მტკივნეულად განცდილი ნაფიქრის გათვალისწინება, და მაშინ უაღრესად გამოსადეგი გახდება მისი წიგნების მეშვეობით გავლებული ორნატი.

შენიშვნები

1. ბიოგრაფიული მონაცემები მიქელ თამარაშვილის შესახებ უმეტეს შემთხვევაში ეყრდნობა ყველაზე ვრცელ და მომცველ მონოგრაფიას მის შესახებ იხ.(ლომსაძე 1984).
2. აქ და შემდგომ, დამოწმებისას, ტექსტის თარგმანი გასწორებულია ხოლმე მისი ხშირი, თვალშისაცემი გაუმართავობის გამო; ნაშრომის ორიგინალი: Michel Tamarati, *L'Eglise géorgienne des origines jusqu'a nos jours*, Rome: Société Typographico-Editrice Romaine, 1910.
3. საკითხის შესახებ ვრცლად იხ. (ღაღანიძე 2018).
4. მიქელ თამარაშვილის თანამედროვე ისტორიკოსი და პუბლიცისტი გრიგოლ ყიფშიძე მოკლედ ასე გადმოსცემს რენანის კონცეფციას: „ერთის ერის ერად შემქმნელი, ერთ ერად გარდამქცევი საერთო წარსულია, იმ წარსულში გამოვლილი ჭირი და ლხინიაო" (ყიფშიძე 1914: XL; შდრ. (ილია 1987: 68). ამ კონცეფციის ახლანდელი ინტერპრეტაცია: სმითი 1998/ 2003: 9-10.
5. ეროვნების შესახებ ილია ჭავჭავაძისა და ერნესტ რენანის კონცეფციათა ეს ნათესაობა, როგორც ჩანს, პირველად შენიშნა ილიას პირველმა ბიოგრაფმა, გრიგოლ ყიფშიძემ. დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ იხ. (ღაღანიძე 2007: 134-145).
6. შდრ. (თამარაშვილი 1902: 22-23); „ნმიდა გიორგის ესრეთი პასუხი ცხადათ ამართლებს ლათინებს და ამტკიცებს მათი სარნმუნოების შეუცვლელობას" (თამარაშვილი 1902: 23); საკითხთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე (კიკნაძე, ღაღანიძე 2014: 40-41).
7. შდრ. ნაშრომის ბოლო გამოცემა (კეკელიძე 1980: 77), სადაც ტექსტი შეცვლილი და შემოკლებულია კომუნისტური ცენზურის კონიუნქტურის გამო.
8. ამ ისტორიული მონაკვეთის ცალკეული ეპიზოდების მოკლედ გადმოცემა ავტორს მოუხდა წიგნში (ღაღანიძე 2010).

დამოწმებანი

ბერძენიშვილი 1967: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი IV, თბილისი, მეცნიერება.

ბესარიონი 2013: ბესარიონ კათალიკოსი (ბარათაშვილ-ორბელიშვილი), *გხედმღი: სიტყვისგებაჲ ღათინთა მიმართ ჩვენ მართდმადიდებელთა მიერ თუ რაი არს ჩუენგან მათი განყოფიდება*, ტექსტი ხელნაწერ S-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშვილმა, თბილისი.

ვახუშტი 1973: *ქართლის ცხოვრება*. ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

თამარაშვილი 1902: მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი.

თამარაშვილი 1904: მ. თამარაშვილი. *პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას*, თბილისი.

თამარაშვილი 1995: მ. თამარაშვილი. *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, რედაქცია გაუკეთეს, ნინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, კანდელი.

ილია 1987: ილია: *მოგონებები გარდასული დღეთა*, თბილისი, მერანი.

კეკელიძე 1923: კ. კეკელიძე. *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტომი 1, ტფილისი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა .

კეკელიძე 1980: კ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტომი 1, თბილისი, მეცნიერება.

კიკნაძე, ღაღანიძე 2014: ზ. კიკნაძე, მ. ღაღანიძე. *განსაკუთრებული საყოველთაომი*, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლომსაძე 1984: მ. ლომსაძე. *მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი*, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

რაფავა 2014: მ. რაფავა. ნმ. არსენ იყალთოელისეული თარგმანი ევსტრატი ნიკიელის ანტიკათოლიკური ნაშრომისა: „მოსაჭსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განირჭრნეს" (გამოკვლევა და ტექსტი), *საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები*, V, თბ.: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა.

რენანი 1882: E. Renan. *Qu'est-ce qu'une nation?: conférence faite en Sorbonne, le 11 mars 1882*, Paris: Calmann Lévy.

სმითი 1998: A. D. Smith. *Nationalism and Modernism: A critical survey of recent theories of nations and nationalism*, London-New York: Routledge (1998/2003).

ღაღანიძე 2007: მ. ღაღანიძე. ილია ჭავჭავაძის „ოსმალოს საქართველო": ეროვნული ერთიანობის კონცეფცია, *ლიტერატურული ძიებანი*.

ღაღანიძე 2010: მ. ღაღანიძე. *ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე: ლიტერატურული პოლემიკები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების აღმოსავლიდან*, თბილისი, მემკვიდრეობა.

ღაღანიძე 2016: მ. ღაღანიძე. პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვანლი, *ლიტერატურული ძიებანი*.

ღაღანიძე 2018: მ. ღაღანიძე. „ბატონიშვილი ვახუშტი ერთიანი საქართველოს პირველი ნიშნის – რჯულით ქართველის – გამო", *ლიტერატურული ძიებანი*, 39.

ყიფშიძე 1914: გ. ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე 1837-1907: ბიოგრაფია, წიგნში: ილია ჭავჭავაძე, *თხზულებანი*, ტფილისი.

ძეგლები 1967: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი.

MICHAEL TAMARASHVILI, A HISTORIAN OF CATHOLICISM AMONG GEORGIANS

Merab Ghaghanidze

The essay aims to show the life and scientific work of Michael Tamarashvili (Michel Tamarati – 1858-1911), a Georgian Catholic priest and historian. The results obtained by the researcher, which mostly rely on the numerous historical documents found in the archives and libraries of Europe and published by him for the first time, are described and analyzed in his three long works published during his short lifetime: "History of Catholicism among Georgians" (1902), "In Response to the Armenian Writers Who Disclaim Catholicism of Georgians (Historical Survey)" (1904) and "The Georgian Church from the Beginning to the Present" (1910).

The present essay describes not only the life and researching merit of the historian, but it also defines his place in the history of the Georgian Catholics.

A special accent is made on the study methods, sources and intentions used by the scholar. The essay explores the importance of Tamarashvili's works for the studies of the Georgian history in general and for the spread of Catholicism among the Georgians and relations of the Georgians with the Holy See from the ancient times to the beginning of the twentieth century in the first instance.

At the same time, the article considers Tamarashvili's methodological views of the options of the establishment of the history of the Georgian Church: the researcher thinks that when writing a historiographic work, any ideas not based on the historical documents must be denied and it is necessary to exhaust all available sources, not just to select among them. At the same time, he denies the method of historical reconstruction. In Tamarashvili's view, a historian must see any event at three stages of its existence: at origination, during its development and at declining.

The works by the historian, following the severity of the given question in that period, consider the issue of relationship between the nationality and the religiosity. Tamarashvili, as a historian and Catholic theologian, finds the answer to the question as what gives a person or society the feeling of one's nationality. His answer is that the nationality is formed not by one's language, denomination, common territory, or common past, but every person naturally carries the feeling of his nationality right from the moment of his conception, and the only source of this feeling is God.

The essay considers the views of Tamarashvili of the stages of the Catholicism spreading among the Georgians for centuries and the historical conclusions the historian made after studying the relationship of the Georgian kingdoms, princedoms and some Georgian men with the Holy See. Tamarashvili tried to find historical answers to the question about the reasons impeding the wide spread of Catholicism among the Georgians and gave his own view of this issue.

„დისნული მუჰმად ცუდ სახელისა მოციქულისა“ და წყაროები დავით და კონსტანტინეს წამების შესახებ

დავით ჩიქოვანი

დავით და კონსტანტინეს წამების თარიღთან დაკავშირებით დღემდე არაერთი მოსაზრება გამოთქმულა, მიუხედავად ამისა, „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში“ ასახული მოვლენების ერთიანი ანალოგია ვერ იქნა წყაროებში ნაპოვნი, ამიტომაც მათი წამების არათუ წელი, არამედ საუკუნეც კი დავის საგანი იყო და არის მეცნიერთა შორის.

„მარტვილობის“ მიხედვით, მოციქულმა მუჰამედმა (570-632) სიკვდილის წინ ძალაუფლება თავის დისნულს „მურვან ყრუს“ გადასცა, რომელმაც ილაშქრა საბერძნეთსა და სომხეთში, შემდეგ მოვიდა სამცხეში, გადავიდა არგვეთში, სადაც მას არგვეთელი მთავრები დავით და კონსტანტინე შეებრძოლნენ, მაგრამ დამარცხდნენ ტყვედ ჩავარდნენ და არაბმა სარდალმა მათ რჯულის შეცვლა მოსთხოვა. უარის შემდეგ კი ანამა და მოაკვლევინა (აბულაძე *და სხვები* 1971:251-260). ს. ჯანაშიამ იმას, რომ „მარტვილობის“ მიხედვით, ეს არაბთა პირველი ლაშქრობა იყო, ამგვარი ახსნა მოუძებნა: „არაბთა ამ ლაშქრობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ შემდეგში იგი მიჩნეული იქნა, საზოგადოდ, არაბების პირველ შემოსევად“ (ჯანაშია 1952:372).

„მარტვილობის“ სათაურში არაბი სარდლის სახელი ამგვარად იწოდება: „რომელნი იწამნეს (...) უღმრ-თოდსა მის მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ-კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ, რომელი იყო დისნული მუჰმად ცუდ სახელისა მოციქულისა“ (აბულაძე *და სხვები* 1971:248).

ნათელია, რომ სათაურშივე დასახელებულია სამი სხვადასხვა პიროვნება:

1. მურვანი, რომელიც მიჩნეულ იქნა მურვან იბნ მუჰამედად (გარდ. 750); 2. აბულ-კასიმი, რომელიც „მატიანე ქართლისას“ მიხედვით აბუ საჯის ძე ყოფილა (ყაუხჩიშვილი 1955:262), იგი არის იუსუფ იბნ აბუ საჯი, არმენია-აზერბაიჯანის მმართველი, რომელმაც 914 ნელს ილაშქრა თბილისსა და მთელ ქართლში, კახეთში, სამცხეში, ჯავახეთში (ყაუხჩიშვილი 1955:262; სილაგაძე 1991:165-168). 3. მოციქულ მუჰამედის დისნული. შესაძლოა, რომ მურვანი სწორედ მის სახელად მიგვეჩნია, მაგრამ რაკიღა ცნობილი იყო, რომ მუჰამედს არც და და არც დისნულები არ ჰყოლია, ეს ცნობა გაუგებრობად ჩაითვალა და კითხვა, თუ რატომ უნოდებს „მარტვილობის“ ავტორი არაბ სარდალს მუჰამედის დისნულს, დღემდე პასუხგაუცემელია.

გ. აბრამიშვილის აზრით, „მურვან ყრუ“ ვერ გამოდგება მარტვილობის თარიღის დასადგენად, რადგან „ცხოვრების“ ავტორს მურვანი მუჰამედ მოციქულის დისშვილად წარმოუდგენია (აბრამიშვილი 1977: 33).

მ. სანაძემ მუჰამედისა და არაბი სარდლის ნათესაობას ასეთი შენიშვნა დაურთო:

> ტექსტში არაერთხელაა ხაზგასმული, რომ ვითომ „მურვან ყრუ“ იყო მუჰამედის დისშვილი, რაც არასწორია. მერვანს მუჰამედისგან მთელი საუკუნე აშორებს. თუმცა მუჰამედი და მერვანი არაბთა ერთიდაიგივე – ყურეიშიტების ტომიდან წარმოდგებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა საგვარეულოებიდან – მუჰამედი ხაშიმიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, მერვანი კი არაბთა ხალიფების ტახტზე პირველი, ომაიანთა დინასტიის მერვანიანთა შტოს... აუხსნელი რჩება, თუ რატომ იწოდება მერვანი ... მუჰამედის დისწულად. იმ დროს, როდესაც, მუჰამედს დები და დისშვილები საერთოდ არ ჰყავდა (სანაძე, არახამია 2013:86, შენ. 16).

ამასთან, მანვე ივარაუდა, რომ რაკიღა წყაროში არაბების გვერდით იხსენიება „სპარსებიც“, მომხდარი ამბები უნდა ეხებოდეს არა არაბთა, არამედ სპარსთა ლაშქრობას და, შესაძლოა, სპარსი სარდალი, მართლაც, ყოფილიყო სპარსეთის შაჰის დისნული (სანაძე, არახამია 2013: 21-25; 87.).

მართლაც, ნაწარმოებში მრავალგზის, დაჟინებით არის მითითებული, რომ არაბი სარდალი მუჰამედის დისწული იყო: „.. *მუჰმედ უსჯულოდსა, დაუტევა მთავრობაჲ თჳსი თჳსსავე მსგავსსა უკეთურებითა მუჰჳან ყჰუსა, დისწუღსა თჳსსა*“ (აბულაძე და სხვები 1971:250). „ვინ არს მკადრე, რომელმცა წინა-აღუდგა დიდსა *მოციქუღსა მუჰმადსა, ედღის ძმასა ჩემსა?*“ (აბულაძე და სხვები 1971:252). „*დიდად ადიდა ედღის ძმაჲ თჳსი მუჰმედ*“. (აბულაძე და სხვები 1971:252) „*არა იცითა ვითარმედ დიდისა მოციქუღისა მუჰმედის დისწუღი ვარ*“ (აბულაძე და სხვები 1971:252). „*ხოლო ედღის ძმისა შენისა მუჰმედისი*, რომლისა მიერ იქადი“ (აბულაძე და სხვები 1971:253). „*ურცხჳნოდ აგინებთ დიდებულსა* და სახელგანთქმულსა *მოციქუღსა მუჰმადს, ედღის ძმასა ჩემსა*“ (აბულაძე და სხვები 1971:253). „*დაემორჩილენით სჯულსა რჩეულისა მუჰმად მოციქუღისა, ედღის ძმისა ჩემისასა*“ (აბულაძე და სხვები 1971:253).

მართლაც, დასაფიქრებელია ეს მრავალგზისი ცნობა არაბთა სარდლის მუჰამედის დისშვილობაზე, მაგრამ იგი აუხსნელი დარჩებოდა, რომ არა სომხური წყაროები: „წმიდა ნერსეს პართევის ისტორია“ და იოანე მამიკონიანის „ტარონის ისტორია“.

„წმიდა ნერსეს პართელის ისტორიაში“ მოთხრობილია, რომ:

სომეხთა ნელთაღრიცხვის ოთხმოც წელს ბერძენთა მეფე ჰერაკლე შეებრძოლა სპარსთა მეფე ხოსროს და მოკლა იგი. რვა წლის შემდეგ *მუჰამედის დისშვილი აბდრაჰიმი* (Արդրահիմ բեռորդին Ամիմնան) მოვიდა სომხეთში 18 ათასი კაცის თანხლებით ხარკის ასაკრეფად და ქრისტიანთა ჯარის ამოსანყვეტად, რომელიც ტარონის გავარში იმყოფებოდა. გადავიდა ჰარქსა (Հարք) და ბასიანში (Բասեն), ქართლში (*Վիրք*), ჯავახეთსა (*Ջաւախք*) და ვანანდში (Վանանդ), აიღო ხარკი და არაბეთში დაბრუნდა (ისტორია 1853: 43-44).

ამ ამბავს უფრო ვრცლად მოგვითხრობს იოანე მამიკონიანი:

იმავე წელს გამოვიდა ჰერაკლე და მოკლა ხოსრო. მას ახსოვდა ფიცი, რომელიც ტირანთან ჰქონდა დადებული, მან დაადგინა ტირანი სრულიად სომეხთა მარზპანად, თვითონ კი კონსტანტინეპოლში ნავიდა. 8 ნლის შემდეგ მოვიდა *მუჰამედის დისშვილი აბდრაჰიმი* თვრამეტ ათასიანი კავალერიით და მოითხოვა ხარკი სომხებისგან. ტირანმა შეტყობინება დაგზავნა, რომ საომრად შეკრებილიყო სრული არმია. ქართველთა მთავარმა ჯოჯიკმა, ვაშდენის ძემ (վրաց Ջոջիկ իշխաւոր՝ Վաշդենեի որդին) იხელთა დრო და ააჯანყა სომხეთი ისე, რომ ისინი არ ნასულიყვნენ ტირანთან. როდესაც დაინახა ტირანმა, რომ ყველაფერი დასრულებული იყო, რვა ათასიანი არმიის წინაშე, რომლებიც თავისი ნებით გამოცხადდნენ, წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „ჰოი, ქრისტეს ხალხო, ჩემთვის უმჯობესია მოვკვდე, ვიდრე ღვთის ეკლესია დაექვემდებაროს არაბებს“.

მომდევნო დღეს შეიკრიბნენ გრგურის (Գրիգոր) მთის ძირში და იბრძოდნენ ბარში სამხრეთისკენ დილიდან ვიდრე მესამე ჟამამდე. სანამ ისინი აგრძელებდნენ არაბთა განდევნას, უცებ საპური, ანძეაცის მთავარი (Անձևացեաց Սահուն իշխանը) აჯანყდა, გამოეყო რიგებს და საკუთარი მახვილი სომეხი მეომრების წინააღმდეგ მიმართა. ტირანი გახელებული გაიქრა მეომრებს შორის, შეეჯახა საპურს და უთხრა: „შეჩერდი, მოღალატე საპურ, რადგან ქრისტემ ხელში ჩაგიგდო შენი თავი“. და საპურს ხმლით თავი მოკვეთა. შემდეგ თვითონაც ხმლით მოიკლა ორ მთავართან ერთად. ამის შემდეგ სომეხთა ჯარი ალყაში მოექცა და ყველა ჯარისკაცი დაიხოცა. თუმცა ზოგიერთმა მოახერხა გაქცევა და გააღწია წანქრობიან ქალაქში. სპარსთაგან (უნდა იყოს არაბთაგან-დ.ჩ.) მოკლულნი წამებულთა სიაში ჩაიწერნენ, რომელსაც ეწოდა წმიდა ლაშქარი (Սուրբ Բանակ). შემდეგ აბდრაჰიმი გადავიდა ჰარქში (Հարք), ბასიანში (Բասեն), ქართლში (*Վրաստան*), ჯავახეთსა (*Ջավախք*) და ვანანდში (Վանանդ), აიღო ხარკი და დაბრუნდა არაბეთში“ (მამიკონიანი 1941: 285-286; ბეღროსიანი 1985: 70-71).

პირველი და მთავარი, რაშიც „მარტვილობა“ და ზემოთ მოყვანილი სომხური წყაროები ერთმანეთს ეთანხმებიან, არაბი სარდლის „მოციქულ მუჰამედის დისწულად“ მოხსენიებაა, რაც არც ერთ სხვა წყაროში არ ფიქსირდება და სწორედ ამით გაოცებასაც უნდა ინვევდეს ისეთი პიროვნების გამოჩენა, რომლის არსებობაც აქამდე უცნობი იყო. აკი ქართველ მეცნიერთა შორის გაკვირვებას იწვევდა, რომ „მარტვილობა“ ასე დაუინებით მიუთითებდა არაბთა სარდლის მუჰამედთან ნათესაობას. რამდენად გამოდგება ამ სამი წყაროს ერთობლივი ჩვენება ამის სამტკიცებლად, რომ მუჰამედს ნამდვილად ჰყავდა და და დისწული, ეს ცალკე საკითხია. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, არაბი სარდლის „მუჰამედის დისწულად“ მოხსენებას ანალოგი ეძებნება სომხურ წყაროებში. ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ მუჰამედის დისშვილი არც ერთი სხვა წყაროთი არაა ცნობილი, მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ ქართულ და სომხურ წყაროებში აღწერილია ერთი და იგივე მოვლენა, ოღონდ განსხვავებული ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა აქცენტებით: იოანე მამიკონიანი ხაზს უსვამს ტარონში განვითარებულ მოვლენებს, ხოლო „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“ არგვეთში მომხდარ ამბებს.

თუკი კარგად დავაკვირდებით მარტვილობასა და სომხურ წყაროთა მონათხრობს, გარდა მთავარ მოქმედ პირთა („მუჰამედის დისწული“) მსგავსებისა, სხვა საერთოსაც აღმოვაჩენთ. სამივე მათგანში ჰერაკლეს ისტორიას უშუალოდ მოსდევს არაბი სარდლის მოსვლა. მართალია, მარტვილობაში ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგ ნახსენებია ხატმებრძოლი მეფე-პატრიარქები და არაბთა მიერ ეგვიპტისა და პალესტინისა დაპყრობა, მაგრამ შემდეგ მოთხრობილია მუჰამედის გარდაცვალების ამბავი (*აბულაძე და სხვები* 1971:250). რაც 632 წელს, მაშასადამე ჰერაკლეს სიცოცხლეშივე მოხდა, შესაბამისად, ხატმებრძოლ მეფე-პატრიარქთა შესახებ ცნობა შემდეგი დროის ჩანართი უნდა იყოს „მარტვილობაში“.

„დავით და კონტანტინეს მარტვილობის“ მიხედვით ეს ლაშქრობა არაბთა პირველი ლაშქრობაა, ხოსრო ფარვიზი 628 წელს მოკლეს (ნელდეკე 1879: 382, ასევე იხ. იქვე, შენ. 2). მაშასადამე, იოანე მამიკონიანის ცნობით მუჰამედის დისწული აბდრაჰიმი სომხეთსა და საქართველოში მოსულა ხოსროს მოკვლიდან 8 ნლის შემდეგ (628+8=636) 636 ნელს.

სომხური ნელთაღრიცხვით 80 ნელი (551+80=) 631 ნელია, მაშასადამე „წმიდა ნერსეს პართელის ისტორიაში“ ხოსროს მკვლელობის თარიღი (631) შეცდომითაა დასახელებული, ამ ცნობის მიხედვით აბდრაჰიმს 639 ნელს უნდა ელაშქრა. ე. ცაგარეიშვილის თქმით, 636 ნელს ნაადრევი ჩანს არაბთა მიერ სომხეთისა და მით უმეტეს, ქართლისა და ჯავახეთის დალაშქვრა. ვინაიდან არაბებს სომხეთამდე მიღწევა მხოლოდ შუამდინარეთის და მისი მოსაზღვრე მხარეების დაპყრობის, ე.ი. 639 ნლის შემდეგ შეეძლოთ (ცაგარეიშვილი 2012:25), სამაგიეროდ

იოანე მამიკონიანის მიერ დასახელებულ თარიღს მხარს უჭერს ის, რომ მინორსკის მითითებით, ადრეული არაბული წყაროები სამხრეთ კავკასიაში არაბთა პირველ ლაშქრობას ჰიჯრის 15 /636 წელზე სდებენ (მინორსკი 1958:18). თუმცა მინორსკი არ ასახელებს ამ წყაროებს, რომ მათი გადამოწმება შესაძლებელი ყოფილიყო. რომელი თარიღიც არ უნდა დავუშვათ, 636 თუ 639, ეს ლაშქრობა, მართლაც არაბთა, პირველი შემოსევა გამოდის, რადგანაც ყველა სხვა წყაროს მიხედვით, სომხეთში არაბები გამოჩნდნენ 640 წელს. მხოლოდ სტეფანოს ტარონაცის აქვს ცნობა 640 წელზე ადრე სომხეთში არაბთა ლაშქრობაზე, იგი წერს: „86 წელს (637 წელი) იყო არაბთა პირველი შემოსევა სომხეთში, ომარ ალ-მამუნის ბრძანებით" (ასოღიკი 1864 :70). შესაძლებელია, სტეფანოზი სწორედ იმ ლაშქრობას გულისხმობს, რომელიც აღწერილი აქვს იოანე მამიკონიანს.

მაშასადამე, აბდრაჰიმის ლაშქრობა, მართლაც, პირველი ყოფილა სამხრეთ კავკასიაში და ამაშიც „მარტვილობა" და სომხური წყაროები ერთმანეთს ეთანხმებიან.

გარდა ამისა, „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის" ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით არაბმა სარდალმა „გამოილაშქრა დასაბამითგან წელთა ექუს ათას ორას ორმეოცდამესა ნელსა" (გაბიძაშვილი 1968: 360). თუკი თარიღს ქართული დასაბამითგანით ვიანგარიშებთ, არაბთა ლაშქრობის თარიღად მივიღებთ მართლაც (6243-5604=) 639 წელს. როგორც ვხედავთ, „მარტვილობის" ცნობა ლაშქრობის თარიღშიც ეთანმხება სომხურ წყაროს.

მიუხედავად წყაროთა ამგვარი თანხმობისა, რაკიღა სხვა არც ერთი წყარო არ იცნობს ამ ლაშქრობას, რთულია იმის გადაჭრით თქმა, იყო თუ არა მსგავსი ლაშქრობა 639 წლის მახლობელ ხანებში და ხომ არ არის იგი რომელიმე სხვა ლაშქრობის გამოძახილი. ერთი რამ კი ნათელია, ქართველი ავტორი არ არის ერთადერთი, ვინც არაბ სარდალს „მუჰამედის დისწულად" მოიხსენიებს. შესაძლოა, მას სწორედ რომელიმე ამ სომხური წყაროთიც კი ესარგებლა. ყოველ შემთხვევაში, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში, არსებულა ცნობა მუჰამედის დისწულის ამიერკავკასიაში ლაშქრობის შესახებ.

დამოწმებანი

აბრამიშვილი 1977: გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული ნარნერა ატენის სიონში, თბილისი.

აბულაძე და *სხვები* 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III. (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, თბილისი.

ასოღიკი 1864: Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия, переведена с армянскаго и обьяснена Н. Эминымь, Москва.

ბედროსიანი 1985: John Mamikonean's History of Taron. Trans. Robert Bedrosian. New York.

გაბიძაშვილი 1968: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა. თბილისი.

ისტორია 1853: Պատմութիւն Սրբոյն Ներսէսի Պարթեւի Հայոց Հայրապետի, Վենետիկ.

მამიკონიანი 1941: Հովհան Մամիկոնյան. Պատմութիւն Տարոնոյ.Մասնագիտական խմբագիր Ն. Տեր-Միհաթյան, Երևան.

მინორსკი 1958: Minorsky. A History of Sharvan and Darband in the 10th-11th centuries. Cambridge.

ნელდეკე 1879: T. Nöldeke. Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden aus der arabischen Chronik des Tabari: Übersetzt und mit ausführlichen Erläuterungen und ergänzungen Versehn, Leiden.

სილაგაძე 1991: ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, თბილისი.

სანაძე, არახამია 2013: მ. სანაძე, გ. არახამია. VI ს. ისტორიული ქრონიკა „დავით და კონსტანტინეს წამებაში", თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ცაგარეიშვილი 2012: ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ წყაროებში, თბილისი.

ჯანაშია 1952: ს. ჯანაშია, შრომები, II, თბილისი.

"NEPHEW OF THE FALSE PROPHET MUHMMAD" AND SOURCES OF THE MARTYRDOM OF DAVID AND CONSTANTINE

David Chikovani

Up to now many opinions have been suggested about the torture and torturers of the princes of Argveti, David and Constantine. The scientists were especially surprised that Arabian commander was mentioned as "the nephew of apostle Muhammad" in the text of "Martyrdom", because it was known that Muhammad had no sisters or nephews. The author of this article reveals that "David and Constantine's Martyrdom" is not only text that refers to Muhammad's nephew. Armenian sources "History of Saint Nerses the Parthian" and John Mamikonean's „History of Taron" also provide information about the Arabian commander's invasion to Armenia, Kartli and Javakheti in 636-639 and the Arab commander is referred to as "Mahmet's sister's son". The Georgian and Armenian sources have a common understanding that Mohammed's nephew's invasion was the first Arab invasion in Armenia and Kartli. One of the copy of the Martyrdom, as well as the Armenian source, indicates the date of Arab invasion: it is 639.

Thus, it became clear that both Georgian and Armenian sources have information about the invasion of Mohammed's nephew in the South Caucasus.

ქართლში ქრისტიანობის მიღების ზოგი უცნობი ფაქტის შესახებ. პეროჟავრ სივნიელი

მარიამ ჩხარტიშვილი

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება მეოთხე საუკუნის ოცდაათიან (ზოგი თვალსაზრისით ოციან) ნლებში არის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ამ მოვლენის სრულყოფილი რეპრეზენტაცია დარგის სპეციალისტების ნინაშე მდგარი ერთ–ერთი მთავარი ამოცანა გახლავთ.

წინამდებარე გამოკვლევაში სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას (მხოლოდ ნანილობრივ, ცხადია) ვისახავ მიზნად. თავიდანვე მინდა აღვნიშნო: ჩემ მიერ აღდგენილი დეტალები აქამდე უცნობი მასალის აღმოჩენის შედეგი არაა. ისინი უკვე ცნობილი მონაცემების ახლებური გააზრებით დადგენილი ფაქტებია.

ძირითადი წყარო

გამოკვლევის ძირითადი წყარო არის „წმინდა ნინოს ცხოვრების" პროტოგრაფული რედაქცია ანუ ძეგლი, რომელიც გაქრისტიანებიდან უახლოეს ხანებში შეიქმნა. თავდაპირველად „წმინდა ნინოს ცხოვრების" პროტოგრაფული რედაქცია, ჩანს, ცალკე თხზულებას წარმოადგენდა, მაგრამ შემდგომში ის ჩართულ იქნა ვახტანგ გორგასლის ინიციატივით შექმნილ თხზულებაში – „მოქცევაჲ ქართლისაჲში" და დღეს შემოგვრჩა მხოლოდ როგორც ამ უკანასკნელის შემადგენელი ნანილი.

მრავალი ნლის ნინ „წმინდა ნინოს ცხოვრების" ციკლის აღწერისას ამ ძეგლს მე „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქცია ვუწოდე, რათა ის განმესხვავებინა ქართველთა გაქრისტიანების შესახებ იმ მცირე მოცულობის ნარატივისაგან, რომელიც, აგრეთვე, „მოქცევაიჲ ქართლისაჲს" ნაწილია.

ამგვარად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ანუ თხზულება, რომელშიც დღეს განმანათლებლის ბიოგრაფიის აღმწერი უძველესი ტექსტია დაცული, არის საკმაოდ თავისებური სტრუქტურის ქმნილება: ის წარმოადგენს ქართლის ისტორიის ქრონიკას მასში ჩართული „წმინდა ნინოს ცხოვრების" მცირე რედაქციით და მასზე (იგულისხმება ქრონიკა) თანდართული „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციით.

წმინდა ნინოს „ცხოვრების" ვრცელი რედაქციას ქართველთა განმანათლებლის და მისი თანამოღვანეების მოგონებების კრებულის ფორმა აქვს. ის ინყება განმანათლებლის გარდაცვალების ეპიზოდის აღნერით: სამისიონერო ექსპედიციის დროს წმინდა ნინო დასნეულდა. ამის გამო იძულებული გახდა შეჩერებულიყო კუხეთის დაბა ბოდში. აქ მასთან გამოსათხოვრად მივიდნენ ქვეყნის წარჩინებულები და ხალხი. წმინდა ნინომ გარდაცვალების წინ დამსწრეთ უამბო თავისი ცხოვრების შესახებ. ანუ თხზულებაში თხრობა განმანათლებლის ბიოგრაფიის უკანასკნელი ფაქტის – გარდაცვალების – უშუალო წინა პერიოდით იწყება, ამის მერე მოგვეწოდება განმანათლებლის ბიოგრაფია დაწყებული მისი დაბადებიდან და შემდგომ თხრობა უბრუნდება გამოსათხოვარ თავყრილობას. ანუ ქრონოლოგიის თვალსაზრისით თუ მივუდგებით, თხზულებას აქვს წრიული კომპოზიცია.[1]

წმინდა ნინოს ხსენებულ ჰაგიობიოგრაფიაში წარმოდგენილ ნარატივს ახასიათებს სხვა თავისებურებაც: იმის გამო, რომ ქმნილება მოგონებათა კრებულია და ერთიდაიმავე ფაქტებს სხვადასხვა მთხრობელი ეხება, ზოგჯერ ადგილი აქვს გამეორებებს და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დარღვევასაც. მაგრამ სნორედ ამგვარი კომპოზიციის წყალობით წარმოდგენილი სურათი განსაკუთრებული შთამბეჭდავობით გამოირჩევა. მკითხველი ფაქტებს ხედავს ერთდროულად სხვადასხვა კუთხიდან. ამიტომ ჩვენს თვალწინ არის სინამდვილის, ასე ვთქვათ, „სტერეო" გამოსახულება. ამასთან ფაქტების გამეორება მათ დამახსოვრებას უწყობს ხელს.

ამგვარად, სამწერლობო ხელოვნების თვალსაზრისით თხზულების კომპოზიცია უხადოა, ის განაპირობებს ისტორიული სინამდვილის ცხოველმყოფელ გადმოცემას. თუმც მიმაჩნია, რომ ამგვარი კომპოზიცია მხოლოდ ლიტერატურული ხერხი არ არის, არამედ რეალურ ვითარებას ასახავს. ანუ იმის თქმა მინდა, რომ თავყრილობას, სადაც შესაბამისი მოგონებანი (განმანათლებლის და მის თანამოღვანეთა) გაჟღერდა, მართლაც, ჰქონდა ადგილი (ჩხარტიშვილი 1985:124–130; ჩხარტიშვილი 1987; ჩხარტიშვილი 1989:11-19).

მოგვიანებით ამ წრიული (და ამიტომაც, ჩანს, ერთგვარად, უჩვეულო) კომპოზიციის მქონე რეპრეზენტაციის შეცვლა და თხრობის ერთიანი ხაზის დაცვა სცადეს ლეონტი მროველმა და წმინდა ნინოს „ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის ავტორმა. პირველი მათგანი ცდილობდა მის მიერ გამოყენებული „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქცია „ქართლის ცხოვრების" კრებულის დასაწყის ტექსტთან ანუ „ქართველ მეფეთა ცხოვრებასთან" შეესატყვისებინა; მეორე, როგორც ეს კარგად ჩანს მისივე ანდერძმინანერიდან, ეკლესიაში საკითხავად გამოსადეგი ტექსტის შექმნის მიზნით გაისარჯა: მოგონებების კრებულის ფორმის

მქონე თხზულების ეკლესიაში საკითხავად გამოყენება მოსახერხებელი არ იყო (ჩხარტიშვილი 1980:114–121). ჟამისნირვისას კი, ეტყობა, სწორედ ვრცელ „ცხოვრებას“ კითხულობდნენ, რადგან, როგორც ცნობილია, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები გვიანდელია (გაბიძაშვილი 1968: 125–134;181–184).

როგორც ვხედავთ, ვრცელი რედაქციის აღნიშნული კომპოზიცია და ფაქტების ფიქსირებისას ამით განპირობებული თავისებურებანი გვიანდელ რედაქტორთა მხრიდან ცვლილებას დაექვემდებარა არსებითად არა იმიტომ, რომ ის თავისთავად ნაკლოვანი იყო, არამედ გარკვეული დანიშნულებისათვის ტექსტის მოდიფიცირების მიზნით; ერთ შემთხვევაში ეს იყო, ისტორიოგრაფიული თხზულების წერის სტანდარტი, მეორე შემთხვევაში ლიტურგიაში ტექსტის გამოყენებით წარმომდგარი საჭიროებანი. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ შუა საუკუნეებში მოღვაწე ავტორებს ანუ ლეონტი მროველს და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორს უმართებულოდ მიაჩნდათ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ პროტოგრაფის კომპოზიცია და ამ მიზეზით შეცვალეს ის.

კრიტიკული დამოკიდებულება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის კომპოზიციისადმი გაჩნდა ახალ დროში. მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბების დასაწყისში მკვლევართა მიერ აღნიშნული კომპოზიცია ვერ იქნა გაგებული ადექვატურად: გამოითქვა თვალსაზრისი თხზულების დაუმუშავებლობის ანუ მისი, როგორც ლიტერატურული ძეგლის, უხარისხობის, აგრეთვე, როგორც ნყაროს, არასანდოობის შესახებ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაღვევის და ერთიდაიგივე ფაქტები გამეორების გამო. შესაბამისი დისკურსის შესახებ იხ. (ჩხარტიშვილი 1987:63–89). მაგრამ ეს რომ მოგონებათა კრებულის შემდგენლის იდეის გაუგებრობის შედეგია, დღეს, ვფიქრობ, გასაგებია ყველასათვის. განსახილველი ნყაროს ავთენტურობა და ინფორმატულობა განსაკუთრებულად ხელშესახები ხდება სწორედ იმ მიზეზით, რომ მას არაერთი თვითმხილველის მოგონება აქვს დაფიქსირებული. მოგონებათა ერთი ნანილი იქვე ჩანს ჩაწერილი, ნაწილი კი მოგვიანებით მოუპოვებია კრებულის შემდგენელს ანუ სალომე უჟარმელს.

როცა ვსაუბრობ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩართულ ვრცელი რედაქციის მასში აღნერილი ფაქტის თითქმის თანადროულობის თაობაზე, ცხადია, არ ვგულისხმობ, რომ დღეს არსებულ ხელნაწერთაგან რომელიმემ სრულიად უცვლელი სახით დაინარჩუნა პროტოგრაფი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვადასხვა ვერსიაში ჩართული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ნანილში დაფიქსირებული განსხვავებები გვიქმნის წარმოდგენას ტექსტის განვითარების ისტორიაზე. სწორედ ამ ცვლილებების გათვალისწინებით ხერხდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვადასხვა ვერსიის იდენტიფიცირებაც. მაგალითად, სოჯი დედოფლის მონათვლის შესახებ თავს არ შეიცავს შატბერდული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ნანილობრივ, სწორედ ამ ფაქტის მხედველობაში მიღების საფუძველზე ჩემს ერთ ადრეულ ნაშრომში გავაკეთე დასკვნა, რომ უნდა არსებულიყო იმ ხანად ჩვენთვის ცნობილთაგან განსხვავებული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვერსია, რომელსაც პროტოჭელიშური ვუნოდე იმის გამო, რომ იგი მეტ სიახლოვეს ჭელიშურთან ამჟღავნებდა (ჩხარტიშვილი 1978:97–106). დადგინდა, ამ ვერსიის ტექსტს იყენებდა მეტაფრასული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორი და, როგორც წინასწარმა დაკვირვებამ მიჩვენა, სინური „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ამ ვერსიასთან უნდა დავაკავშიროთ.

განმანათლებლის ბიოგრაფიის ჩამწერნი

ქართველთა განმანათლებლის გადაწყვეტილება წარმოეჩინა საკუთარი ბიოგრაფია გამოწვეული ყოფილა კითხვებით, რომელსაც მასთან გამოსათხოვარ თავყრილობაზე სალომე უჟარმელი და პეროჟავრ სივნიელი მას უსვამდნენ: „ეტყოდეს დედოფალი სალომე უჟარმელი და პეროჟავრი სივნიელი. და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს“ (აბულაძე 1963:106) . ამ ქალბატონებსვე ჩაუწერიათ წმინდა ნინოს ნაამბობი: „მაშინ მო-ხოლო-იხუნეს საწერელნი სალომე უჟარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი. და იწყო სიტყად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“ (აბულაძე 1963:106).

ნყაროს ინფორმაცია ორი ჩამწერის შესახებ ივანე ჯავახიშვილმა გაიგო, როგორც რიგ-რიგობით წერა. ანუ მისი აზრით, ორი ჩამწერის ძალისხმევით გაკეთდა ერთი ჩანანერი: „მწერალი ორი ყოფილა, ალბათ, როცა ერთი დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა წერას“ (ჯავახიშვილი 1900:59). მრავალი წლის წინ გამოვთქვი აზრი იმის შესახებ, რომ ეს შეხედულება არ არის სწორი (ჩხარტიშვილი 1987:72–73). ახლაც გავიმეორებ: ნყაროდან ჩანს, რომ აქ მორიგეობით წერაზე არაა საუბარი, არამედ ერთდროულად ორი მწერლის მიერ განმანათლებლის ნაამბობის დაფიქსირებაზე. ანუ გაკეთებულა ორი პარალელური ჩანაწერი.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ის ვერსია, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, ეფუძნება სალომე უჟარმელის ჩაწერილ ტექსტს და თხზულების გაფორმებაც აშკარად მისი ნახელავს ნარმოადგენს. ამის დამადასტურებელია თავების ზედწერილები: „თავი დ. აღწერილი მისვე სალომე უჟარმელისაჲ“ (აბულაძე 1963: 111); „თავი ვ. მოწევნაჲ ნმიდისა ნინოჲსი მცხეთად. აღწერილი მისვე სალომე უჟარმელისაჲ“(აბულაძე 1963:118); „თავი იე. წიგნი, რომელი აღწერა მირიან მეფემან ქართლისამან ჟამსა სიკუდილისასა. აღწერა

ჭელითა იაკობ მთავარებისკოპოსისაღთა და მისცა სალომეს უჟარმელსა, ძის ცოლსა თჳსსა, რომელი მეცნიერ იყო ყოველსავე ჭეშმარიტად" (აბულაძე 1963: 157).

როგორც ვხედავთ, გამოსათხოვარ თავყრილობაზე წარმოთქმული სიტყვების ნაწილი უშუალოდ სალომეს ჩანაწერია, ზოგი მოგონება კი სალომეს მიანდეს მოგვიანებით. არის ისეთიც, რომელიც უკვე ჩაწერილი მიიტანეს თავყრილობაზე და იქ გამოაქვეყნეს. ასეთი იყო, მაგალითად, აბიათარის მოგონება, რომელიც ბოდში მისმა ასულმა სიდონიამ წარმოთქვა. ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ აბიათარი ბოდში არ იმყოფებოდა (ჩხარტიშვილი 1987:70).

მოკლედ, სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, წყაროს მიხედვით აშკარაა, ქართლის განმანათლებელთან გამოსათხოვარ თავყრილობაზე მისი მოგონების ორი ჩანაწერი გაკეთდა. ჩვენს ხელთ არსებული „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქცია სალომესეულია, პეროჟავრ სივნიელის ტექსტი კი არ გვაქვს.

სალომე იყო მირიან მეფის რძალი: მისი ძის, რევის მეუღლე. სალომეს, ასე ვთქვათ, „თანამდებობრივად" ეკუთვნოდა განმანათლებელთან გამოსათხოვარ თავყრილობაზე ყოფნა და შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება. ის ქართლის გაქრისტიანების ფაქტის ინიციატორის და, შესაბამისად, მისი სათანადო დაფიქსირებით დაინტერესებული, ქვეყნის მმართველი ელიტის წარმომადგენელი გახლდათ და, ამის დამატებით, როგორც ქალი, ნინო განმანათლებელთან, სავარაუდოდ, მამაკაც პოლიტიკოსებზე მეტად დაახლოებულიც უნდა ყოფილიყო. სალომეს ყველა მასალაზე ექსკლუზიურად მიუწვდებოდა ხელი. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ზემოთ უკვე მითითებულ მირიან მეფის მოგონება, რომელიც ამ გამოსათხოვარი თავყრილობის შემდგომ უშუალოდ მეფისაგან მის მიერ მოპოვებული ტექსტია და რომელიც, როგორც უკვე მივუთითე, ცალკე თავის სახით გვხდება თხზულებაში. ასე რომ, სალომეს აქტიურობა აღნიშნულ თავყრილობაზე, მისი მიერ გამოჩენილი ინიციატივა ტექსტის ჩაწერისა, სრულიადაც არ იწვევს გაოცებას. ვის თუ არა სალომეს, უნდა ეტვირთა წმინდა ნინოს ნაამბობის ჩაწერის საპატიო მისია.

მაგრამ ვინ იყო მეორე ჩამწერი ანუ სივნიელი პეროჟავრი?

თუ გავყვებით ზემოთ დაფიქსირებულ ლოგიკას, სალომეს მსგავსად ეს ქალბატონიც არ შეიძლება შემთხვევით აღმოჩენილიყო ამ თავყრილობაზე. ქართლის პოლიტიკური ელიტის მიღმა მყოფი პიროვნება ვერ იქნებოდა სალომეს გვერდით; პეროჟავრ სივნიელს განმანათლებლის ნაამბობის ჩანაწერის გაკეთების საშუალებაც არ ექნებოდა ქართლის მმართველო ნრისაგან მიცემული შესაბამისი „აკრედიტაციის" გარეშე. ამგვარად, მეორე ჩამწერის მაღალი სოციალური სტატუსი სრულიად უეჭველია. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის გარკვევაა საჭირო კონკრეტულად როგორ უკავშირდებოდა ეს პიროვნება ქართლის პოლიტიკურ ელიტას.

რას გვეუბნება მისი ზედწოდება „სივნიელი"?

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ პეროჟავრი არისტოკრატიის უმაღლესი ფენის წარმომადგენელი ჩანს, უნდა ვიფიქროთ: ზედნოდება „სივნიელი" არ მიუთითებს ამ ქალბატონის დაბადების ქვეყანას ან მის ეთნიკურ კუთვნილებას. ეს არის ტიტული, რომელიც მაჩვენებელია, რომ აღნიშნული პიროვნება იყო სივნიეთის მთავართა სახლის წევრი. სალომეს შემთხვევაში ატრიბუტი „უჟარმელი" ხომ აშკარაა, რომ მისი, ანუ უფლისწულის მეუღლის, ტიტულია, რომელიც წარმომდგარია საუფლისწულო დომენის ცენტრის ქალაქ უჯარმის (უჟარმის) სახელნოდებიდან. სალომე დაბადებით უჟარმელი რომ არ ყოფილა, ეს კარგადაა ცნობილი: ის სომეხთა მეფის თრდატის ასული გახლდათ (ყაუხჩიშვილი 1955:70).

ამგვარად, პეროჟავრისათვის „სივნიელობა" არის ტიტული. თუმც ეს ფაქტი, ცხადია, იმას არ გამორიცხავს, რომ ის დაბადებითაც სივნიელი ყოფილიყო.

ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ლ. პატარიძე, რომელსაც ეკუთვნის ნერილი პეროჟავრ სივნიელის ვინაობის შესახებ, სივნიელობას მხოლოდ ქალის წარმომავლობის მაჩვენებელ ატრიბუტად მიიჩნევს: „ნოდება 'სივნიელი' მისი წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელია, განსხვავებით, მაგ., 'უჯარმელისაგან', რომელიც სალომეს მისი საგამგეო ტერიტორიის მიხედვით შეერქვა" (პატარიძე 2010: 140).

სინამდვილეში, როგორც უკვე აღვნიშნე, წყაროში გაცილებით მეტია თქმული, ვიდრე პეროჟავრის წარმომავლობა, კერძოდ, ის რომ პეროჟავრის სახით საქმე გვაქვს არა უბრალოდ ქართლის სამეფოს მეზობელი პოლიტიკური ერთეულში ანუ სივნიეთში მცხოვრებ ადამიანთან, რომელიც დაბადებით უკავშირდება ამ ქვეყანას, არამედ ამ ქვეყნის მმართველი სახლის წარმომადგენელთან. „სივნიელობა" არის ამ პიროვნების სოციალური სტატუსის და არა ეთნიკური თუ რეგიონალური იდენტობის გამომხატველი სიტყვა.

ამგვარად, ქართლის მეზობელი სამთავროს მმართველი ელიტის წარმომადგენელი ქალბატონი ქართველთა მოქცევის უაღრესი მნიშვნელობის ფაქტს დასწრებია და სათანადო ჩანაწერიც გაუკეთებია. ეს ჩანაწერი, როგორც ვთქვი, არ შემოგვრჩა.

სივნიეთის სამთავროს წარმომადგენლის ყოფნა ქართლში და ქართველებისათვის იმგვარად მნიშვნელოვანი ღონისძიებაში მონაწილეობა, როგორიც განმანათლებელთან გამოთხოვებაა, უჩვეულოდ და არადამაჯერებლად არ მოგვეჩვენება თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ კონტექსტს. ამ ეპოქაში სივნიეთის და, აგრეთვე, მისი მეზობელი ვასპურაკანის სამთავროები მჭიდროდ ყოფილან დაკავშირებულნი ქართლის სამეფოსთან თავიანთი პოლიტიკური ბედით. ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიული ქრონიკის

მიხედვით ქართლის მეოთხე ქრისტიანი მეფის ვარაზ–ბაკურის დროს ანუ მეოთხე საუკუნის 80–იანი წლების მიწურულს სპარსთა დამანგრეველ შემოსევას ქართლში, ქვეყნის დახარკვა მოჰყვა. მემატიანე საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ იგივე ბედი ეწიათ სივნიეთსა და ვასპურაკანს: „და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“ (აბულაძე 1963: 92).

პეროჟავრ სივნიელი და სოჯი დედოფალი

განმანათლებლის მოგონების წერილობით ფიქსირებასთან დაკავშირებით, როგორც ვნახეთ, პეროჟავრ სივნიელი ორჯერ არის მოხსენიებული: ერთხელ, როგორც წმინდა ნინოსათვის სალომე უჟარმელთან ერთად შეკითხვის დამსმელი, მეორედ, როგორც განმანათლებლის ნაამბობის ჩანაწერის გამკეთებელი. ეს არის და ეს. ამ მონაცემით იმაზე მეტს, რაც უკვე აღვნიშნეთ (პეროჟავრის მაღალი სოციალური სტატუსი და ქართლის მმართველი ელიტის მიერ მისი მიღება საკუთარ წრეში), ვერაფერს ვიტყვით. საბედნიეროდ, „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ამ ქალბატონის სახელი მესამედაც გვხდება: ეს ხდება ზემოთ უკვე ნახსენებ თავში სოჯი დედოფლის მონათვლის და მცხეთაში მისი ვიზიტის კონტექსტში. ითქვა, რომ აღნიშნული თავი მთლიანად ეძღვნება სოჯ დედოფალს: მის ურთიერთობას განმანათლებელთან, მის ვიზიტს მცხეთაში; აღწერილია დიდი პატივით აქ მისი მიღება.

უკვე აღინიშნა, რომ ეს თავი არ მოეპოვება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ იმ ვრცელ რედაქციას, რომელიც შატბერდელ „მოქცევაჲ ქართლისაჲშია“. ის სრულად აქვს ჭელიშურ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არსებულ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციას (აბულაძე 1963:99–104) და ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ სინურ ვარიანტსაც. სინურ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია ამ თავით იწყება ანუ ზემოთ ხსენებული შესავალი ნერილი აქ არ არის (ალექსიძე 2007:21–27). ციკლის სტემის ამავე შტოდან მომდინარე მეტაფრასული „წმინდა ნინოს ცხოვრება“ ასევე შეიცავს ინფორმაციას სოჯი დედოფლის მოქცევის შესახებ, ოღონდაც ის ცალკე თავად არაა გამოყოფილი (აბულაძე 1971:42–45). ინფორმაცია სოჯი დედოფლის შესახებ აქვს ნ. გულაბერიძის საუფლო კვართის შესახებ დაწერილი თხზულებასაც. მასში მხოლოდ ის ეპიზოდია აღწერილი, რომელიც სოჯი დედოფლის მიერ ადიდებული არაგვის გადმოლახვას უკავშირდება. ეს ფაქტი შედარებულია სახარებისეულ სასწაულთან და აღრიცხულია სვეტიცხოვლის და საუფლო კვართის სასწაულთა შორის, სწორედ ამ სიწმინდეების მოსახილველად მიდიოდა სოჯი დედოფალი მცხეთაში (საბინინი 1882: 106–107).

და აი, ამ თავში სრულიად მოულოდნელად, არის ნახსენები პეროჟავრ სივნიელი. რამდენადაც ამ პიროვნების ეს ანუ მესამე მოხსენიება ჩვენი ძიების გასაღებია, ამიტომ განვიხილოთ დეტალურად აღნიშნული ცნობა და მთლიანად ის თავი, რომელშიც იგი არის ჩართული.

მაგრამ მანამდე გავარკვიოთ სიტყვა *სოჯი/სუჯის* მნიშვნელობა.

ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ზოგი რედაქციის ავტორს „სოჯი“ ესმის, როგორც საკუთარი სახელი: „მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის“ (აბულაძე 1971: 77). მ. საბინინს *სუჯის* რომ სახელი ჰგონია, ეს უკვე აშკარაა: „დედოფალი ვინმე ყოფილ არს, სახელით სუჯის“ (საბინინი 1882:106).

ლ. ჯატარიძე ასე ხედავდა ამ საკითხს: „რისი აღმნიშვნელი უნდა იყოს სახელი სოჯი? ბუნებრივია, არა წარმომავლობის, არამედ მისი საგამგეო ადმინისტრაციული ან სატომო ერთეულის სახელწოდების“(ჯატარიძე 2010: 140).

ჩემი აზრით, ესაა *სოჯებად /სუჯებად* სახელდებული ეთნიკური ერთობის წინამძღოლის აღმნიშვნელი ტერმინია ანუ ეს სიტყვა ტიტულია.

ამ კუთხით ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩართულ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქცია. დედაქალაქის მოქცევის შემდგომ ქართლის განმანათლებელმა მიაშურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს:

> და გარდავიდა ერნუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ–სცა ერნუ–თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკანაჲსკნელ იპოვნეს; თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა. და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კანარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით (აბულაძე 1963:89).

აქედან ჩანს, რომ *სოჯები/სუჯები კუხების/კოხების* სიახლოვეს მცხოვრები ხალხის სახელწოდებაა, რომ მათ მთავრებს, ეწოდებათ *სოჯნი/სუჯნი*. ისევე, როგორც კუხების მთავართ – *კხოელნი*.

კიდევ რომ დავაზუსტო: ერთის მხრივ, *კხოელნი* ნიშნავს კოხეთის/კუხეთის მხარის მაცხოვრებელთა სიმრავლეს, მეორეს მხრივ, ამ სიმრავლის წინამძღოლებსაც. როგორც წყაროდან ამონარიდით ჩანს, მათ ჰყავთ *ეხი* ანუ ამალა ანუ ქვეშევრდომები. ზუსტად იგივე ვითარებაა *სოჯი/სუჯის* შემთხვევაშიც. ამგვარად, *სოჯი/სუჯი* ისევე როგორც ზემოთ განხილული *სივნიეი* კოლექტიური კულტურული იდენტობებით შეკავშირებული ჯგუფების წინამძღოლის (მთავრის ან ერისთავის) აღმნიშვნელი ტერმინებია.

ასეთია, ვითარება სხვადასხვა ტექსტებში სოჯი დედოფლის მოხსენიებასთან დაკავშირებით. ახლა გადავიდეთ აღნიშნული თავის ანალიზზე.

„წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქცია იხსნება შესავლით, რომლის ავტორი არ არის ზედწერილში მითითებული. ამას იმიტომ ვაქცევ ყურადღებას, რომ მომდევნო მონაკვეთებს უმეტესწილად აქვს ზედნერილები, რომლებიც მონაკვეთის ძირითადი თემის, აგრეთვე, ავტორის შესახებ გვანვდის ინფორმაციას. ავტორი ამ მონაკვეთისა, რომელიც აშკარად ნარმოდგენილ ტექსტთან დაკავშირებით მკითხველის თავიდანვე დაკვალიანებას ისახავს მიზნად, უნდა იყოს კრებულის შემდგენელი ანუ თავად სალომე უჟარმელი. აქ წმინდა ნინოს ღვაწლი დახასითებულია კომპაქტურად. ანუ ეს არის ქართველთა განმანათლებლის შესახებ მოგონებათა კრებულისათვის ერთგვარი შესავალი წერილი. შატბერდულში და ჭელიშურში ეს მონაკვეთი სხვადასხვა მოცულობისაა (ჭელიშურში უფრო ვრცელია), თუმც ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ლიტერატურული ფუნქციის მატარებელია: მას მკითხველი საქმის კურსში შეჰყავს (აბულაძე 1963: 98–99).

ვრცელ „წმინდა ნინოს ცხოვრების" იმ ვერსიაში, რომელიც შატბერდულ „მოქცევაჲ ქართლისაჲშია" წარმოდგენილი, ამ შესავალს მოსდევს მცხეთის გარეთ წმინდა ნინოს სამისიონერო მოღანეობის და მისი დასნეულების ფაქტის აღნიშვნა; შემდეგ მასთან გამოსათხოვარი თავყრილობის აღწერა. ანუ, როგორც უკვე ითქვა, განმანათლებლის ბიოგრაფიის ქრონოლოგიურად გვიანდელი ფაქტები თხზულების დასაწყისშია და მერე ხდება (თვითმხილველთა მოგონებების საშუალებით) წარმოდგენა უფრო ადრინდელი ფაქტებისა.

ხსენებულ შესავალ ნაწილში ზოგადად არის აღნიშნული განმანათლებლის მიერ ქართლის სხვადასხვა კუთხეების მოხილვა, თუმც „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მკითხველი მაინც არ განიცდის სათანადო ინფორმაციის ნაკლულებას, რადგან გარკვეული დეტალები წმინდა ნინოს სამისიონერო ექსპედიციის შესახებ მთიანეთში და კახეთში მას მანამდე ეძლევა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" საისტორიო ქრონიკაში ჩართული „წმინდა ნინოს ცხოვრების" მცირე რედაქციის საშუალებით.

განსხვავებით შატბერდული „მოქცევაჲ ქართლისაჲგან", ჭელიშურ „მოქცევაჲ ქართლისაჲში" ნარმოდ-გენილ „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელ რედაქციაში ამ შესავალ ნერილს მოსდევს არა ბოდში განმანათლებელთან გამოსათხოვარი თავყრილობის აღწერილობა, არამედ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო თავი სოჯი დედოფლის შესახებ. ის შემდეგნაირად არის დასათაურებული: „და იყო მათვე ჟამთა შინა მირიან მეფისათა, რაჟამს მოინათლა სოჯი დედოფალი და მის თანა მთავარნი მრავალნი ჴელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა" (აბულაძე 1963: 99).

ეს ტექსტი წინარე ნათქვამის შესაბამის ადგილას არის ჩასმული: სოჯი დედოფალი მიდის ბოდში მყოფ წმინდა ნინოსთან და მერე აქედან წამოემართება მცხეთისაკენ. ანუ დროის თვალსაზრისით მისი მცხეთაში ვიზიტი ემთხვევა ბოდში დასნეულებული განმანათლებლის ყოფნას; ამგვარად, ამ თავში აღწერილი ამბავი სინქრონულია თხრობის ძირითადი ხაზის მიხედვით მანამდე აღნერილი ფაქტისა. ამის მიუხედავად, მაინც აშკარაა ამ ტექსტის გვიანდელობა თხზულების თავდაპირველი ჩანაფიქრთან მიმართებით. ის არის საკმაოდ ვრცელი გადახვევა დაწყებული თხრობიდან, რაც აჩვენებს მის არაორგანულობას ძირითად ტექსტთან. ჩემს ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც ამ თავს მე გვიანდელ შენაზარდად განვიხილავ. ასევე თვლიდა ლ. პატარიძე. ის ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ აქ სვეტიცხოველს ეწოდება „წმინდა სიონი" და იმონმებდა სპეციალურ ლიტერატურას იმასთან დაკავშირებით, რომ სვეტიცხოვლის სიონად წოდებას ადგილი აქვს მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა აქ ახალი ტაძარი ააგო და საკათალიკოსი კათედრა დაადგინა ანუ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. ამიტომ ფიქრობდა მკვლევარი, რომ ეს თავი ამ დროზე უადრესი არაა:

> უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სახელნოდება წმინდა სიონის კათოლიკე ეკლესიისა მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარს მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მოღვანეობის დროს დაერქვა: ...თ. მგალობლიშვილს არაერთგზის აღნიშნული აქვს, რომ მოცემულ ტექსტში ნმ. სიონის ხსენება აქ გვიანდელი შრეების დამადასტურებელია. ეს მართლაც ასეა, თხზულება იმ სახით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღნია, V ს–ის მიწურულზე ადრე ვერ დაიწერებოდა (პატარიძე 2010: 141–142).

თუ ამ დათარიღებას მივიღებდით მხედველობაში, იგი დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ზემოთ გამოთქმული იმ აზრისათვის ძირითად ტექსტთან მიმართებაში თავის არაორგანულობის შესახებ. მაგრამ ლ. პატარიძის ამ დაკვირვებას ვერ მივიჩნევთ სოჯი დედოფლის შესახებ თავის დამათარიღებელ საკმარის საბუთად. საქმე ისაა, რომ, როგორც ითქვა, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ვახტანგ გორგასლის ინიციატივით შედგა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ზემოთ აღწერილი სტრუქტურით: ქრონიკა „წმინდა ნინოს ცხოვრების" ორი რედაქციით. ძეგლის შემადგენელი ცალკეული ნაწილები ამ დრომდეც არსებობდნენ. ყოველ შემთხვევაში ისტორიული ქრონიკა და „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქცია. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ნანილებს „მოქცევაჲ ქართლისაჲში" გაერთიანების დროს უნდა განეცადათ გარკვეული რედაქციული ცვლილებები. საფიქრებელია, რომ სვეტიცხოვლის „წმინდა სიონად" მოხსენიება, სწორედ ამ ეპოქის შესაბამისი კორექტივია.

ამგვარად, თუმც თავი სოჯი დედოფლის შესახებ არ მიმაჩნია პროტოგრაფული ტექსტის კუთვნილებად და მას გვიანდელ ჩანართად მივიჩნევ, მის უსათუოდ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ შექმნის შესახებ აზრს ვერ გავიზიარებ. ამჟამად რაც უეჭველია, ესაა ამ თავის ჩამატების ფაქტი უკვე არსებულ „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელ რედაქციაში. საყურადღებოა, რომ ამ მოგონებას არც ავტორი უჩანს და ის ბოდში ნარმოთქმულ სიტყვასაც აშკარად არ ნარმოადგენს. ანუ ამ მხრივაც იგი განსხვავებულია „წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის დანარჩენი ნაწილებისაგან.

ამიტომ, ვფიქრობ, ცდება გ. კუჭუხიძე, როცა თვლის, რომ ეს თავი დანარჩენი ტექსტის ორგანული ნაწილია (კუჭუხიძე 2004:26-35). მკვლევარი სწორად მიუთითებს, რომ ეს თავი თხზულების კომპოზიციას არ არღვევს. მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ტექსტის ადგილი თხზულებაში შინაარსის გათვალისწინებით არის გაკეთებული, მაგრამ ძირითადი სათქმელისაგან იმდენად ვრცელ გადახვევას ნარმოადგენს, რომ შეუძლებელია ის დახვეწილი და კარგად მოფიქრებული პროტოგრაფის („წმინდა ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქცია კი სწორედ ასეთია) ნაწილად ნარმოვიდგინოთ.

მაგრამ მოდით მოვიყვანოთ ამონარიდები ამ თავიდან:

> აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და სურვილითა წმიდისა სიონისა კათოლიკე ეკლესიისათა, რომელი–იგი წმიდისა ნინოჲს მიერ მიენიჭა სოფელსა ცნობად ნათელი ჭეშმარიტი. მაშინ დედოფალი იგი სოჯი ნარემართა ხილვად და თაყუანის–ცემად წმიდისა სიონისა და წმიდისა მახარებელისა, მოციქულთა სწორისა ნინოჲსა. და სლვასა მისსა შინა იტყოდა მონლედ: „ვითარ მამათა ჩუენთა ვერ გულისჴმაყვეს გზაჲ ესე ჭეშმარიტი, რომელი–იგი გჯთხრიან ვაჭართა ჰრომთა და ბერძენთა, ვითარმედ: ჩუენნი მეფენი ესრეთ მეფობენ და ესრეთ არიან ეკლესიანი და ჯუარსა ქრისტესს თაყუანისცემენ? და ვითარცა მესმის, მარადის შევისუარი ცრემლითა ცხელითა, ვითარცა სისხლითა, ხოლო ან თუალითა ჩემითა ვიხილე ნათელი გამობრნყინვებად ნარმართთა ზედა. ხოლო ან რაიმე შევსნირო შენდა, წმიდაო სიონ, გარნა თუ ესე – პირველად: შევსნირო თავი ჩემი შენდა შვილითურთ და ნათესავით სარწმუნოებით ჩემით, და მეორედ: ქალაქნი კნინ(!) ბართიანი და დაბაჲ დიდი ბოდისი შენდა შევსნირნე" (აბულაძე 1963:99).

ამის მერე ის ეტლში აღარ ჩამჯდარა და ფეხშიშველი წამოსულა, მოუღწევია მდინარე არაგვამდე, რომელიც ძალიან ადიდებული ყოფილა. ყველა უფრთხოდა ამგვარ მდინარეს. მაგრამ სოჯი დედოფალი ისე ესწრაფვოდა მცხეთაში მისვლას, როგორც ჩვილი დედის ძუძუსთან მიახლებას. მდინარის ნაპირის მეორე მხრიდან სოჯი დედოფალს უყურებდნენ მთავარეპისკოპოსი იოანე და მცხეთელები: ხედავდნენ, რომ დიდი ამალით მოსულია ვიღაც. და ურჩევდნენ არ გადმოსულიყო ადიდებულ მდინარეზე. მაგრამ დედოფალმა ილოცა, ამხედრდა სახედარზე და შევიდა ნყალში. ნყალი განიზღუდა და დედოფალი უვნებლად გადავიდა მეორე მხარეს. აქ მას მიეგებნენ მცხეთაში მყოფნი:

> და მიეგებვოდეს მას ერნი ეკლესიისანი და მეფენიცა და სალომე უჟარმოელი დედოფალი. და ყოველნი მიეგებვოდეს მას. და შემოვიდა იგი მტირალი, ვითარცა აქუს ჩუეულებაჲ მორწმუნეთა. და ოდეს შემოვიდა საყდრად, აღდგა მეფე პალატ–ბანაკითურთ მისით და მთავარეპისკოპოსი ერითურთ. და შევიდეს ეკლესიად და ყვეს ლიტანია და ლოცვაჲ, რამეთუ ზარისა მისგან ქალაქი იგი ძრწოდა; და ეკლესიას მიისნრაფდეს, რამეთუ პეროჟავრი დედოფალი ქართლისა ერისთვისა დედაჲ იყო (აბულაძე1963: 100).

სოჯი დედოფალმა მეფეს გადასცა წმინდა ნინოს წერილი, რომელშიც შეჯამებული იყო განმანათლებლის მოღვაწეობა, დახასიათებული იყო თავად სოჯი დედოფალი, როგორც განსაკუთრებული მოღვაწე და იყო თხოვნა, რომ ბოდში მთავარეპისკოპოსი გაეგზავნათ, რადგან წმინდა ნინო უკვე ხედავდა თავის ახლო აღსასრულს (აბულაძე1963: 100–102).

ამგვარად, ამ ტექსტის მიხედვით, დრო, რომელიც აღწერილია ამ თავში, არის განმანათლებლის ბოდში ყოფნის დრო. ჯერ გამოსათხოვარი თავყრილობა არ არის შემდგარი: იოვანე მთავარეპისკოპოსი და სალომე უჟარმელი ჯერ კიდევ მცხეთაში იმყოფებიან.

ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ამონარიდით ირკვევა, რომ პატარა ქალაქი ბართიანი და დიდი დაბა ბოდისი სოჯ დედოფალს შეუნირავს სვეტიცხოვლისათვის. ანუ ბოდი მისი სამფლობელო ყოფილა. შესაბამისად, გასაკვირიც არაა, რომ ის ასე მყისიერ მისულა განმანათლებელთან.

ზემოთ მოყვანილი სხვა ამონარიდით კი ირკვევა, რომ სოჯი დედოფალი იგივე პეროჟავრ სივნიელია. სივნიელი პეროჟავრის ამ კონტექსტში მოულოდნელად მოხსენიებას („...რამეთუ ზარისა მისგან ქალაქი იგი ძრწოდა; და ეკლესიას მიისწრაფდეს, რამეთუ პეროჟავრი დედოფალი ქართლისა ერისთვისა დედაჲ იყო") მხოლოდ ეს ახსნა შეიძლება მოეძებნოს.

ამაზე პირველად ყურადღება გაამახვილა ლ.პატარიძემ:

> თავისი არსით, ეს ფრაზა შენიშვნაა და განმარტავს თუ რატომ ხვდა ამგვარი დახვედრის პატივი დედოფალს. ამ სიტყვებიდან ვიტყობთ იმასაც, რომ სოჯი დედოფალი და პეროჟავრი სივნიელი ერთი და იმავე პიროვნებად ჰყავს ნარმოდგენილი ავტორს (პატარიძე 2010:139).

ეს ფრაზა, მართლაც, შენიშვნა გახლავთ, მაგრამ არა იმ ნანილისათვის, რომელიც სოჯი დედოფლისა და პეროჟავრ სივნიელის გაიგივებას ეხება: როცა ტექსტი იქმნებოდა ამ თავის მკითხველმა იცოდა (ტექსტის ავტორი დარწმუნებული იყო, რომ იცოდა) სოჯი დედოფლისა და პეროჟავრ სივნიელის იგივეობა და ამიტომაც ყოველგვარი კომენტარის გარეშე ავტორმა ერთ ადგილას სიტყვები „სოჯი დედოფალი" ჩაანაცვლა სიტყვებით „პეროჟავრ სივნიელი" ანუ გაიაზრა ისინი როგორც სინონიმები.

განმარტება ეხება მცხეთაში სოჯი დედოფლის განსაკუთრებული მიღების ფაქტს. ტექსტის ავტორის განმარტება იმაში მდგომარეობს, რომ სოჯი დედოფალი/პეროჟავრ სივნიელი არის ქართლის ერისთავის დედა.

ჩვენ ჯერ არ ვიცით რატომ, მაგრამ ამ თავის ავტორის აზრით, მისი მკითხველებისათვის სამეფო კარის მიერ სოჯი დედოფლის/პეროჟავრ სივნიელის ამგვარი დიდებული დახვედრის ფაქტი გასაგები გახდებოდა თუ იგი მათ დაუზუსტებდა, რომ ამ ქალბატონის შვილი ქართლის ერისთავი იყო.

ამგვარად, ქვეყანაში ქართლის ერისთავის პოზიცია ყოფილა სრულიად განსაკუთრებული. სოჯი დედოფალი ანუ იგივე პეროჟავრ სივნიელი თავადაც არ ჩანს უმნიშვნელო სოციალური პოზიციის მქონე პიროვნება (სივნიელ მთავართა სახლის ნარმომადგენელი სოჯთა ნინამძღოლი ყოფილა), მაგრამ მის ამგვარად მისაღებად (მეფესთან პირადი აუდიენცია და მთელი მმართველი ელიტის და დედაქალაქის მოსახლეობის სრული მობილიზება მის დასახვედრად), ტექსტის ავტორის აზრით, მაინც იმით ყოფილა განპირობებული, რომ ის ქართლის ერისთავის დედა იყო.

სოჯი დედოფლისა და სივნიელი პეროჟავრის გაიგივების მხარდასაჭერად ლ. ჰატარიძე მიუთითებს საანალიზო თავში დაცულ სხვა ცნობებზეც; როგორც ითქვა, წმინდა ნინომ სოჯ დედოფალს ანუ სივნიელ პეროჟავრს მეფისათვის გადასაცემად გაატანა წერილი. აი, სწორედ ამ წერილის დასაწყისში მითითებულია, რომ ბოდში დასნეულებულ წმინდა ნინოს სანახავად ჩასულ სოჯ დედოფალს, მას შემდეგ რაც გაქრისტიანდა, წერილები მიუნერია სივნიეთში თავისი ასულისა და ძმისათვის და ვასპურაკანში სტერეონ მთავრისადმი. ამ უკანასკნელთან მისი ნათესაური კავშირი არაა გაცხადებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს მთავარიც მისთვის ახლობელი იყო. სხვაგვარად, წერილის მინერის ფაქტი გაუგებარი იქნება. სოჯი დედოფლის/ პეროჟავრ სივნიელის დასახელებული წერილის ადრესატები ჩასულან ბოდში, იქვე გაქრისტიანებულან და მერე სწორედ მათი თანხლებით სოჯი დედოფალი წამოვიდა მცხეთისაკენ. აი, შესაბამისი ამონარიდიც:

> ხოლო მე ესერა მოვინიე ქუეყანასა კუხეთისასა და დაბასა ბოდისისასა. და ან ჴსენებულმცა არს დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შერითა საღმრთოჲთა და ლენად კერპთა და მოქცევად ერისა მათისა საერისთვოჲსა. და ნარავლინნა მსნრაფლ სივნიეთად ძმისა და ასულისა და გუასპურაგნად სტერეონისა. და მოიყვანნა იგინი და ნათელ–იღეს ყოველთა ბოდს შინა...და ესე ყოველნი მოისწრაფიან მანდა (აბულაძე1963: 101).

სოჯი დედოფალს და მის თანხლებთ ყველა სიწმინდე აჩვენეს მცხეთაში, ყველა სასნაულის შესახებ დეტალურად აცნობეს. საინტერესოა, რომ ვასპურაკანელი მთავარი დამოუკიდებლადაც იძიებდა ყოველივეს. ეს კარგად ჩანს მისი საუბრიდან ყოფილ მცხეთელ რაბინთან აბიათარ მღვდელთან, რომელიც იყო წმინდა ნინოს მოწაფე.

> მაშინ მოუნოდა აბიათარს ასტირონ მთავარმან გუასპურაგნელმან ფარულად და პრქუა: 'მაუნყე, საყუარელო, შენ არა ჰურიათა მღდელი იყავ ნილით ხუედრებული მკჳდრი, რამეთუ არიან წელნი ვინაჲთგან მამანი თქუენნი აქა მოვიდეს :ფ- გ: და ბაგ-ენისანი იყვენით, არსადა ვის ასმია მათგანსა ქებაჲ ქრისტიანეთაჲ, ხოლო შენ ან ესერა შენ გხედავ, შენ და ასულსა შენსა, რამეთუ ყოველიცე დაგიტევებიეს და ყოველი ერი შენი სიტყჳთა შენითა განგიბნევია და ხე იგი მუენიერი დაგიცემია და ბაგინი დაგიმჴობია და უფროჲს ყოველთასა ხარ შენ მოსნრაფე, ქრისტეს მსახურებისა ქადაგ, აწუევ და ასწავებ და მნებავს სმენად ძალი სიტყუათა შენთა (აბულაძე1963: 102–103).

ანუ სოჯი დედოფლის ამალის წევრები თავადაც მოიპოვებდნენ თურმე ინფორმაციას ქართლის გაქრისტიანების შესახებ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთი მათთაგანი დაინტერესებულა ებრაელთა მოქცევის საკითხით. აღნიშნული ეპიზოდი გვაფიქრებინებს, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო ვასპურაკანელი მთავრის პირველი ვიზიტი ქართლში. აბიათარს სტერეონი აშკარად მანამდეც იცნობდა, უწყოდა მისი იუდაური წარსულის შესახებ.

სოჯი დედოფლისა და სივნიელი პეროჟავრის გაიგივება ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს წყაროებში მათ შესახებ არსებული მონაცემები შევკრიბოთ და ასე შევქმნათ ქართველთა განმანათლებლის ერთ-ერთი ბიოგრაფის სახე. ეს კი ინფორმაციის იმგვარი სიმწირის ვითარებაში, როგორიც ამ შემთხვევაში გვაქვს, ძალიან მნიშვნელოვანია.

პირველი მონაცემი, რომელსაც აღნიშნული გაიგივება გვაძლევს, არის შემდეგი: განმანათლებლის მოგონებათა მეორე ჩამნერი მეტად უჩვეულო ბიოგრაფიის პიროვნება ყოფილა: სოჯთა ნინამძღოლი ამავე დროს სივნიელთა სამთავრო სახლთანაც დაკავშირებული ჩანს. იოლი არაა იმ ვითარების ნარმოდგენა, რომლის დროსაც სივნიელი მთავართა სახლის შვილი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ტერიტორიულ–

ადმინისტრაციული ერთეულის წინამძღოლი ხდება და მეტიც: ის არის განსაკუთრებული გავლენის მქონე მოხელის – ქართლის ერისთავის დედა. ამგვარად, საქართველოს ისტორიაში თუმც ცნობილი, მაგრამ დღემდე სრულიად ჩრდილში მყოფი ეს ქალბატონი გასაოცარი პოლიტიკური კავშირების მქონე პიროვნებად წარმოგვიდგება.

ქართლის ერისთავი

ვინ იყო დედოფლის შვილი? სინურში, მართალია, ეს სიტყვა მრავლობითშია (ალექსიძე 2007:22), მაგრამ ეს არ არის აშკარად დედნისეული. უბრალოდ გვიანდელმა რედქტორმა (გადამწერმა) წარმოიდგინა, რომ ამ კონტექსტში დედოფალს ყველა შვილის გაქრისტიანებაზე უნდა ეთქვა. მაგრამ პროტოგრაფში აშკარად ის ერთზე ლაპარაკობს იმაზე, რომელიც ქართლის ერისთავია. ეტყობა, იმიტომ რომ სწორედ ამ შვილის გაქრისტიანებას (ჩანს მისი პოზიციის გამო) აქვს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

ოღონდაც რას ნიშნავს ეს ტიტული?

ჩვენ ვიცით, ქართლში იყვნენ ერისთავები, მაგრამ გვიან ანტიკურ პერიოდში „ქართლის ერისთავი" ასეთი მოხელე, წყაროებით არ დასტურდება. შიდა ქართლის გამგებელი ინოდებოდა სპასპეტად. მოგვიანო პერიოდში იოანე მარუშის ძე, მართალია, „ქართლის ერისთავად" ინოდებოდა, მაგრამ ეს სულ სხვა ვითარების ანარეკლი იყო: შიდა ქართლს თავისი მოხელის მეშვეობით მართავდა აფხაზთა მეფე და ამიტომ ეწოდებოდა მას ქართლის ერისთავი. გვიან ანტიკურ პერიოდში შიდა ქართლის მმართველი იწოდებოდა სპასპეტად და არა „ქართლის ერისთავად".

თავად საანალიზო წყაროს მიხედვით „ქართლის ერისთავის" შესახებ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სახელოს მფლობელს ჰქონდა სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტი სამეფო კარზე. მეორე ისაა, რომ დედამისის მცხეთაში ვიზიტის დროისათვის, იგი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქრისტიანობაზე მოქცეული ჯერ არ ყოფილა: ზემოთ მოყვანილი ამონარიდის მიხედვით ხომ სოჯი დედოფალი სხვა ვალდებულებებთან ერთად საკუთარი შვილის მოქცევის პირობასაც დებდა. ეს, მართლაც, გასაკვირია, რადგან ამ დროისათვის ცენტრში მყოფი ქართლის პოლიტიკური ელიტა უკვე გაქრისტიანებული იყო.

ძიება უნდა დავიწყოთ, ცხადია, ტიტულ „ერისთავის" განხილვით. ძველ საქართველოში ეს ტიტული ადგილობრივ მმართველის აღმნიშვნელი იყო. თუმც ჩვენი წყაროს მიხედვით აშკარაა, რომ პეროჟავრის შვილი არ გახლდათ რიგითი ადგილობრივი ხელისუფალი, მას, როგორც ითქვა, საერთო საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონია.

თუმც „ქართლის ერისთავი", ასეთი სახელო არ არსებობდა გვიანაანტიკურ ქართლში მაგრამ არსებობდა „ქართლის პიტიახში". ასე იწოდებოდა ქვემო ქართლის მმართველი, რომელიც წარმოადგენდა ქართლის სამეფოს განაპირა, სხვა მხარეებთან შედარებით მეტი ავტონომიურობის მქონე, ადმინისტრაციულ ერთეულს. პიტიახში ადგილობრივი მოხელე იყო და ამ ნიშნით ის ერისთავს ემსგავსებოდა, თუმც პიტიახშები უფრო წარმატებულად, ვიდრე ჩვეულებრივი მოხელეები, ახერხებდნენ თავიანთი თანამდებობის საუკუნეების მანძილზე მემკვიდრეობით გადაცემას. ამ გარემოებათა გამო ქართლის პიტიახშების ლოიალობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი ძალიან არამყარი იყო, ისინი ხშირად სეპარატიზმს ავლენდნენ. ამის მაგალითებია მეხუთე საუკუნეში მოღვაწე პიტიახშები: არშუშა პირველი და მისი ძე ვარსქენი.

ქვემო ქართლის პიტიახში, მართალია, მთელი ქვეყნის მასშტაბის მოხელე არ იყო, მაგრამ ის ქართული პოლიტიკური ელიტის ვიწრო ჯგუფის წევრი კი ჩანს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული „ნმინდა ევსტათის მარტვილობაში", რომელიც მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრის – მეშვიდე საუკუნის დასაწყისის ვითარებას აღნერს; როცა ქართლში მეფე არ იყო, და ირანთან გარკვეული საკითხის მოგვარება გადაწყვიტეს ქართველებმა, სამი წარმომადგენელი ეახლა ირანელ მოხელეს: ქართლის კათალიკოსი, ქართლის მამასახლისი და ქართლის პიტიახში:

> რაჟამს ამჴედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოსი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფენულნი და მარზპანსა ჰრქუეს (აბულაძე 1963: 34).

აქ დასახელებული პირველი ორი მოხელე ანუ კათალიკოსი და მამასახლისი, საერთო საქვეყნო პოზიციის მქონე პიროვნებანი არიან, მესამე კი არა, მაგრამ რახან ამ სიაში დასახელებულია, ცხადი ხდება, რომ მას რეალურად ადგილობრივ მმართველზე მეტი გავლენა ჰქონდა. და პირველი ორის მსგავსად მოიაზრებდნენ. .ეს არის არშუშა მეორე, სავარაუდოდ, ვარსქენის ძე და არშუშა პირველის შვილიშვილი. ეს პიროვნება ჩანს ქართველ და სომეხ სასულიერო და საერო იერარქთა ოფიციალურ მიმონერაშიც, რომელიც მიმდინარეობდა ამ ორ ქვეყანაში საეკლესიო განხეთქილების უშუალოდ წინა პერიოდში (ჩხარტიშვილი 1994:33–41) .

ქრისტიანულ ხანაში ქვემო ქართლის პიტიახშებს ქართლის სამეფოში განსაკუთრებული სტატუსი

რომ ჰქონდათ, ამას ტრადიციაც განაპირობებდა: ესენი ხომ არმაზელი პიტიახშების, იგივე არმაზელი მეფეების მემკვიდრეები იყვნენ იმ აზრით, რომ მათი საგამგებლო ტერიტორია გარკვეულწილად ემთხვეოდა წინაქრისტიანულ ხანაში ე.წ. ორმეფობის დროს წარმოქმნილ არმაზის სამეფოს. საინტერესოა, რომ დაახლოებით იგივე ტერიტორიის ხელისუფალნი სამშვილდის ერისთავებადაც იწოდებოდნენ, ხოლო სამშვილდის ერისთავობა, როგორც ეს შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (ბახტაძე 2003: 44, 48, 53–54), განსაკუთრებით საპატიო იყო.

ამგვარად, ქართლის პიტიახშები (ქვემო ქართლის მმართველები) არ წარმოადგენდნენ „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეებს, კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველნი იყვნენ, მაგრამ მათი რეალური მდგომარეობა იყო „საქვეყნო" ანუ მთელი სახელმწიფოს მასშტაბისა.

საანალიზო თავში მოხსენიებული „ქართლის ერისთავი" ზუსტად ასეთი ჩანს. ეს ტიტული, როგორც ვხედავთ, ორი სიტყვისაგან შედგება: „ერისთავი" მიუთითითებს იმას, რომ რეგიონის მმართველს ეხება საქმე, ატრიბუტი „ქართლის" კი იმას, რომ ეს მოხელე „საქვეყნოდ გამრიგეა". ასეთი პარადოქსული პოზიცია გვიანანტიკური ეპოქის ქართლის სამეფოში ჰქონდა მხოლოდ ქვემო ქართლის გამგებელს ანუ ქართლის პიტიახშს.

ეს ვითარება მიბიძგებს დავასკვნა, რომ საანალიზო წყაროს „ქართლის ერისთავი" გულისხმობს „ქართლის პიტიახშს".

ამ დასკვნას მხარს უჭერს წყაროებში დაფიქსირებული ვითარება: მართალია, თავისი რეალური შინაარსით „პიტიახში" ზუსტად არ ემთხვევა „ერისთავს", ქართულ წყაროებში ამ სიტყვების სინონიმური გამოყენების ფაქტები უხვად დასტურდება. ამის ერთ-ერთი მაგალითია მეხუთე საუკუნეში მცხოვრები სპარსთა მეფის მოხელის ბარზაბოდის მოხსენიება ქართულ წყაროებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით ის იყო „პიტიახში": „და მერმე მეფობდა მირდატ, და მთავარეპისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს" (აბულაძე1963:92). „ქართლის ცხოვრების" მიხედვით კი იგივე პირი იწოდება „ერისთავად": „მას ჟამსა შინა იყო რანს ერისთავად ბარზაბოდ" (ყაუხჩიშვილი 1955:141).

ამ შემთხვევაში, ცხადია, ქვემო ქართლის პიტიახშს არ ეხება სიტყვა, არამედ ირანის შაპის მოხელეს სამხრეთ კავკასიაში. მაგრამ ეს მაგალითი აღნიშნული სამოხელეო ტერმინების სინონიმური გამოყენების საჩვენებლად მოვიყვანე. მ.ბახტაძე თავის მონოგრაფიაში ერისთავობის ინსტიტუტის შესახებ ვრცლად მსჯელობს *პიტიახშისა* და *ერისთავის* ურთიერთმიმართებაზე, მიუთითებს ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს, იმის შესახებ, რომ ეს იგივეა, თუმცა თავად ამ აზრს არ იზიარებს და ასკვნის, რომ ეს ერთიდაიგივე არაა (ბახტაძე 2003:16, 20,27).

როგორც ითქვა, რეალურად ეს სახელოები ქართულ სახელმწიფოში საკმაოდ განსხვავდებოდა ერთ-მანეთისაგან, თუმც ემთხვეოდა კიდეც იმ აზრით, რომ ორივე რეგიონალური მმართველის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. ვლაპარაკობ რა „ქართლის ერისთავის" და „ქართლის პიტიახშის" იგივეობაზე, მხედველობაში მაქვს სიტყვების „ერისთავისა" და „პიტიახშის" სინონიმებად გამოყენების ფაქტი. ძველი ქართველი ავტორები უცხოური „პიტიახშის" გადმოსაცემად ზოგჯერ (და არა ყოველთვის) „ერისთავს" იყენებენ. სხვათა შორის, ისინი იგივეს აკეთებდნენ „მარზპანის" შემთხვევაშიც. აქედანაც ჩანს, რომ ამ პოზიციების აღმნიშვნელი სიტყვების სინონიმებად გამოყენება ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ რეალურად ამ სახელოების შინაარსი იდენტური იყო ძველ ქართლში, არამედ იმიტომ ქართულად სხვა უფრო შესატყვისი ტერმინის გამონახვა ვერ ხერხდებოდა.

ამგვარად, ვფიქრობ, უეჭველია, რომ განსახილველ წყაროში ნახსენები „ქართლის ერისთავი" იგივე „ქართლის პიტიახშია".

მაგრამ წმინდა ნინოს სიცოცხლეში ქვემო ქართლს დამოუკიდებელი მმართველი რომ არ ჰყავდა?

ამის შესახებ ჩვენ დანამდვილებით ვიცით: მოსე ხორენელი პირდაპირ მიუთითებს, რომ ქართველთა წინამძღოლი მიჰრანი ამავე დროს იყო გუგარელთა ბდეშხიც ანუ პიტიახში (აბდალაძე 1984: 184). ამგვარად, მირანის დროს ეს კუთხე უშუალოდ ქართლის მეფის დაქვემდებარებაში იყო.

ეს კითხვა რეზონულია, თუმც ის ზემოთ აღნიშნულ დასკვნას ვერ შეარყევს: განმარტება – პეროჟავრ სივნიელი ქართლის ერისთავის დედაა – გაკეთებული ჩანს მაშინ, როცა ქვემო ქართლს უკვე ჰყავდა დამოუკიდებელი მმართველი პიტიახშის სახით.

ეს კი მოხდა მირიანის უშუალო მემკვიდრის, მისი შვილიშვილის ბაკურ რევის ძის დროს. სწორედ ამ მეფემ „სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმე აბოცისა" (ყაუხჩიშვილი 1955:130–131) მისცა მეფეთა ნათესავ ფეროზს. ეს ფეროზი მირიანმა თავის დროზე სპარსეთიდან ჩამოიყვანა და საკუთარი ასული მიათხოვა. ბაკურ რევის ძისათვის ის იყო მამიდის მეუღლე.

ქართლის მოქცევის შემდეგ ქვემო ქართლის საპიტიახშო დინასტიის დამფუძნებელი რომ ნამდვილად ფეროზი იყო, ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება, რომელთა მიხედვითაც, პიტიახშები არიან „ნათესავით ფეროზიანნი". ამგვარი ინფორმაცია არის, მაგალითად სამშვილდის სიონის წარწერაში. როგორც ცნობილია, სამშვილდის შიდა ციხის ტერიტორიაზე სამი ეკლესიაა. VIII ს-ში აგებული გუმბათიანი ტაძარის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების ფასადზე ამოღარულია შემდეგი შინაარსის ასომთავრული წარნერა:

ქრისტე, აღეშენა შენევნითა ქრისტესითა კაცთმოყუარებითა, საყოფელი ესე ნმიდისა ღმრთისმშობელისაჲ სალოცველად ... ქრისტე შეიწყალენ ... ნათესავით პიტიახშნი. ნელსა კ მეფობისა კოსტანტინესა დაიდვა საძირკველი ხელითა მათითა ... იწყო ამის სტოვისა შენებაჲ. ვარაზ-ბაკურ შეისუენა და მისი უკუან ის ... იოვანე ისწრაფდის. აესრულა იგიცა ... იქმნა სრულიად აღშენებაჲ ნმიდისა ამის ეკლესიისაჲ ... და სტოვათა. და წელსა გ ლეონ მეფისა, დღესა ენკენიასა ყო სატფურებაჲ სამი დღე დიდითა კრებითა, განშუენებად ...“ (შოშიაშვილი 1980: 235, 236).[7]

გვიანი ანტიკურობის ეპოქის ქვემო ქართლის პიტიახშთა (მომდევნო ხანის სამშვილდის ერისთავთა) ფეროზიანობა „ქართლის ცხოვრებითაც“ დასტურდება:

ხოლო არჩილ მოუნოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისნულნი მისნი: ერთი მისცა მამის ძმისნულსა მისსა, შვილსა გუარამ კუროპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი; მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს (ყაუხჩიშვილი 1955:241).

როგორც ვხედავთ, ამ ამონარიდით ჯერ ერთი ის დასტურდება, რომ პიტიახში არის ფეროზის ნათესავი, ამასთან ისიც, რომ „ერისთავი“ და „პიტიახში“ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სინონიმები.

ზემოთ მითითებული განმარტებითი ფრაზა (და სავარაუდოდ, საანალიზო თავიც) არაა დაწერილი მირიანის სიცოცხლეში. აშკარაა, რომ ამ თავის ავტორი საანალიზო კომენტარს მაშინ აკეთებდა, როცა ქვემო ქართლს უკვე ჰყავდა დამოუკიდებელი ხელისუფალი „ქართლის ერისთავის“ ანუ „ქართლის პიტიახშის“ სახით.

ამ თავის რამდენადმე გვიან შექმნა კი ისედაც სავარაუდო იყო ძირითადი ტექსტისათვის მისი არაორგანულობიდან გამომდინარე. როგორც უკვე ითქვა, ლ. პატარიძე ამ თავის დანერას ვახტანგ გორგასლის დრომდე არ ვარაუდობდა. მე არ გავიზიარე ეს თვალსაზრისი და ახლა შესაძლებლობა მეძლევა დავაზუსტო ამ თავის შექმნის დრო: ეს არის მირიანის უშუალო მემკვიდრის, მისი შვილიშვილის, მეფის ბაკურ რევის ძის ზეობის ხანა, ანუ დრო, როცა ქვემო ქართლი მეფის უშუალო დაქვემდებარებიდან უკვე გამოსულია და მას მართავს „ქართლის ერისთავი“ ანუ „ქართლის პიტიახში“.

ამგვარად, ამ მონაცემთა მიხედვით ფეროზი გამოდის სოჯი დედოფლის/პეროეავრ სივნიელის შვილი, რადგან „ქართლის ერისთავი“ იგივე „ქართლის პიტიახშია“ და ქართლის (ქვემო ქართლის) პირველი პიტიახში მირიან მეფის სიძე ფეროზი იყო.

ამ იდენტიფიკაციისათვის ძალიან ნიშანდობლივია სოჯი დედოფლის/სპეროეავრ სივნიელის პირობაც მისი შვილის ანუ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის, გაქრისტიანების მოქცევასთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ ფეროზის სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ საგულისხმო ცნობას გვაწვდის ლეონტი მროველი, რომლის მიხედვით მაშინ, როცა ქართლის მთელი პოლიტიკური ელიტა გაქრისტიანდა, ფეროზმა არა ნათელ–იღო და ოდენ ხორციელად მსახურებდა მეფეს:

და ესრეთ სახედ ნათელ იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თჳნიერ ხოლო არა ნათელ–იღეს მთიულთა, კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე. და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ– იღეს, გარნა ბარბიანთა ნათელ–იღეს ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ. ამისთჳსცა დიდ იქმნეს წინაშე მეფისა; და მიუბოძა მათ დაბა, რომელსა ჰქჳან ციხე–დიდი. არამედ არა ნათელ–იღო ფეროზ, სიძემან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიან მეფისაგან; არცა ერმან მისმან ნათელ–იღო, არამედ ხორციელ ოდენ მსახურებდა მირიან შეფესა (ყაუხჩიშვილი 1955:116–117).

ცხადია, ფეროზის ამგვარი ქცევა მირიანთან შეთანხმებული, გარკვეული სარწმუნოებრივი პოლიტიკის გამოხატულება იყო, თორემ ფეროზს მეფესთან დაპირისპირებას ვერ დავწამებთ. ამ გეგმას ჰქონია შემდეგი გაგრძელება: დედაქალაქის მოქცევის შემდგომ მირიანის სამისიონერო გეგმა, ასევე გარკვეული პოლიტიკური გათვლების საფუძველზე, ერთ–ერთ უმთავრეს მიზნად სახავდა ფეროზის ძალადობრივად მოქცევას:

მაშინ რქუა მეფემან ნმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახჳლითა მოვაქცივნეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა“. მაშინ რქუეს: ‘არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახჳლისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანნებელი ცხოერებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა. და წარვიდა წმიდა ნინო (ყაუხჩიშვილი1955:125).

ახლა ამ თავისებური პოლიტიკის რაობაზე (ვგულისხმობ მეფის ერთგული პიროვნების ანუ ფეროზის გარკვეული დროით ქრისტიანობის დემონსტრაციულად არმიღების ფაქტს და შემდგომში მისი ძალინ მოქცევის გეგმას) სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ჩემთვის ამჯერად მთავარი ისაა, რომ გაქრისტიანებასთან დაკავშირებული საკუთარი პოზიციით ფეროზი, გამორჩეულია იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში. ანუ ქრისტიანობის არმიღება მას შემდეგ რაც ქართლის მმართველი ელიტა დედაქალაქში გაქრისტიანდა,

ფეროზის ბიოგრაფიის ექსკლუზიური მარკერია. შესაბამისად, ეს ნიშანი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მისი იდენტიფიცირების საშუალება. ფეროზის ბიოგრაფიის სწორედ ეს ექსკლუზიური ფაქტი სოჯი დედოფლის პეროჟავრ სივნიელის შვილის ბიოგრაფიის ფაქტს ემთხვევა და ამით კიდევ უფრო გვიმტკიცდება აზრი იმის შესახებ, რომ ქრისტიანობისათვის თავდადებული ამ ქალბატონის ქართლის ერისთავი შვილი სწორედ ფეროზთან უნდა გავაიგივოთ.

ამგვარად, სოჯი დედოფლის ნათქვამი იმის, შესახებ, რომ მისი შვილი გასაქრისტიანებელია, ზუსტად თავსდება ამ მონაცემთან და ჩემი დასკვნებიც იმის შესახებ რომ „ქართლის ერისთავი" ეს იგივე „ქართლის პიტიახშია" და ეს პიტიახში ფეროზია, მეტ დამაჯერებლობას იძენს.

ზედმეტი არ იქნება აქვე შევნიშნოთ, რომ ფეროზი გაქრისტიანდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვემო ქართლის მმართველი გახდა ანუ მირიანის მემკვიდრის ბაკურ რევის ძის მეფობაში: „მაშინ–ღა ნათელ–იღო ფეროზ და ერმან მისმან. და მოირთეს ძალი ხუასროთაგან და ეწყუნეს სომეხთა ჯავახეთს: სძლეს და იოტნეს სომეხნი"(ყაუხჩიშვილი 1955:130–131).

ბაკურ რევის ძე ანუ მირიანის უშუალო მემკვიდრე ქართლის სამეფო ტახტზე[1] ზეობდა მეოთხე საუკუნის შუა ხანებში. სწორედ ეს დრო უნდა მივიჩნიოთ ფეროზიანთა დინასტიის დასანყისად ქვემო ქართლში."

მაგრამ საინტერესოა ისაა, რომ ქართლში ჩამოსვლისთანავე ფეროზისათვის ქვემო ქართლის გამგებლობა არ ჩაუბარებიათ. მას მისცეს რანი ბარდავამდის:

> მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაზართასა, და მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა თან სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თჳსი ცოლად. და მისცა ქუეყანა ხუანითან ბარდავადე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინან ერისთავად მუნ (ყაუხჩიშვილი 1955:68–69).

სხვაგანაც იმეორებს ძველი ავტორი იგივე ცნობას:

> ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისასა, აქუნდა ქუეყანა, რომელი ზემო ვახსენე მიცემულად მირიანისაგან, და იყო მუნ ერისთავად (ყაუხჩიშვილი 1955:71).

მაგრამ შემდგომ გარკვეული ვითარების გამო ფეროზის თავდაპირველი სამფლობელო გაუცვალეს ქვემო ქართლზე:

> ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმე აბოცისა. მაშინ–ღა ნათელ–იღო ფეროზ და ერმან მისმან. და მოირთეს ძალი ხუასროთაგან და ეწყუნეს სომეხთა ჯავახეთს: სძლეს და იოტნეს სომეხნი (ყაუხჩიშვილი 1955:130–131).

რაზე შეთანხმებულან ქართლის მეფე და ირანის მეფე? იმაზე, რომ ირანს ფეროზის ადრინდელი საგამგებლო ქართლის მეფისათვის დაეთმო (აქედან ფაქტობრივად ის დასტურდება, რომ ფეროზის ზეობა ამ რეგიონში ირანის გავლენას ნიშნავდა), რისი სანაცვლოც უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლი.[5]

ანუ რანის ნანილზე უშუალო კონტროლის დასამყარებლად ბაკურ რევის ძემ ფეროზის სასარგებლოდ დათმო პაპამისის ანუ მირიანის მიერ მოპოვებული ქვემო ქართლის ბდეშხობა ანუ პიტიახშობა. ქართლის ამ მეფისათვის აღნიშნული მხარის უშუალო ფლობა უფრო აქტუალური გამხდარა, ვიდრე ქვემო ქართლის უშუალო ფლობა. რატომ? ამ საკითხზე ვრცლად საუბარს, ბუნებრივია, ახლა არ ვაპირებთ. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ, ქართლის მოქცევის შემდგომ პერიოდში ფეროზი ქვემო ქართლის პირველი პიტიახშია.

ნარმოდგენილი დასკვნის (ანუ იმის, რომ სოჯი დედოფლის/სივნიელი პეროჟავრის შვილია ფეროზი) სასარგებლოდ შეგვიძლია სხვა ფაქტებიც მოვიყვანოთ.

პირველი უკავშირდება სახელ „პეროჟავრს". ეს სახელი შედგება „პეროჟ" საკუთარი სახელისაგან და „ავრ" საზოგადო სახელისაგან, რაც სპარსულად (და სომხურადაც) „ქალიშვილს" ნიშნავს. ანუ ფაქტობრივად მთლიანად ეს სახელი ნიშნავს „პეროჟის ასულს". მაგრამ „პეროჟი" „ფეროზის" ფონეტიკური ინვარიანტია. ეს აზრი განსაკუთრებულ მტკიცებას არც ითხოვს, მაგრამ მაინც შეიძლება დავიმონმოთ „ქართლის ცხოვრების" ცნობა, რომლის მიხედვითად ფეროზს აუგია ციხე სიმაგრე პეროჟა-კაფა:

> ნარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად. და მიინიენეს სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ჴსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი: სივნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ, გრიგოლის შენებულითა ქალაქისაგან – თრდატ, ნათესავისაგან დიდისა თრდატისა. და მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქუა კარასპოლა, ხოლო ან ენოდების კარნუ-ქალაქი (ყაუხჩიშვილი 1955:159).[6]

„კაფა" მრავალ სხვადასხვა ტოპონიმში გვხდება, მაგალითად, ასე ენოდებოდა ყირიმში ქალაქ ფეოდოსია. კაფა ციხის აღმნიშვნელი სიტყვა რომ არის, შენიშნულია კიდეც სპეციალურ ლიტერატურაში (ყიფიანი 28).

ამჯერად ჩვენს მსჯელობას არ ეხება, მაგრამ ზემოთქმულთან კავშირში ამ ამონარიდში მკითხველის ყურადღება იმაზეც მინდა გავმახვილო, რომ ვახტანგის ეპოქაშიც სივნიეთი და ვასპურაკანი კვლავ ქართლთან

პოლიტიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ სამთავროებად ჩანან. როგორც ცნობილია, ისინი სომხეთში შედიოდნენ, მაგრამ ახასიათებდათ მიდრეკილება განკერძოებისკენ. ეს გარემოება ქართლის სამეფოსთან მათ ესოდენ მჭიდრო კავშირებშიც ნათლად ისახება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის ძირითად ხაზს. ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ქალბატონს ანუ პეროჟავრს (იგივე სოჯ დედოფალს) რქმევია სახელი, რომლის მნიშვნელობა იყო „ფეროზის ასული".

საკმაოდ ხშირად ქალის სახელში მამაკაცის სახელი იმეორებდა ქალის მამის სახელს. ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სივნიელი *პეჰოჟ–ავჰის* ანუ იგივე *ფეჰოზ–ავჰის* მამას ფეროზი რქმეოდა.

მეორეს მხრივ, არსებობს დიდი ალბათობაც იმისა, რომ ქალს შვილისათვის მამის სახელი დაერქმია. მაგალითად, სალომე უჟარმელის მეორე ძეს ანუ ქართლის მესამე ქრისტიან მეფეს ერქვა სალომეს მამის სახელი ანუ თრდატი.

ამგვარად, ქალს, რომელსაც ერქვა პეროჟავრი, დიდი ალბათობით შეიძლებოდა ჰყოლოდა მამა ფეროზი და ამის გამო, ასევე დიდი ალბათობით შეიძლებოდა საკუთარი ძისათვის მამის სახელი ანუ ფეროზი დაერქმია.

ამ ფაქტებთან მიმართებაში ინტერესს იწვევს სოჯი დედოფლის (//სივნიელი პეროჟავრის) საგამგებლოს ანუ სუჯეთის საკითხიც. აშკარაა, რომ ეს ტერიტორიულ–ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობდა კუხეთის ქვეყანაში ჰერეთის მოსაზღვრედ. კაწარეთში გაჩერებულმა ნმინდა ნინომ კუხი და სუჯი მთავრები ხომ ერთად მოიხმო და ერთადვე გააქრისტიანა. მეორეც, დაბა ბოდისი, რომელიც ეკუთვნოდა სოჯ დედოფალს და სადაც გარდაიცვალა და დაიკრძალა ნინო, წყაროს ცნობით, იყო კუხეთში. აქედან გამომდინარე სრულიად არაა გასაკვირი, რომ ზოგიერთ წყარო სოჯ დედოფალს კახეთის დედოფალს უნოდებს. საინტერესოა, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების" პერიფრაზულ რედაქციაში წმინდა ნინო სახელდებულია, როგორც ქართლის, კახეთისა და ჰერეთის განმანათლებელი (აბულაძე 1971: 79). მ. საბინინი წმინდა ნინოს უწოდებს სრულიად ქართლის განმანათლებელს, ამავე სქოლიოში მიუთითებს, რომ ნმინდა ნინომ გააქრისტიანა კახეთიც ალვანითურთ. ალვანეთში ანუ ალბანეთში, ცხადია, ჰერეთი იგულისხმება. ამ უკანასკნელ ფაქტებს ის სნორედ ნმინდა ნინოს ბოდში მოღვაწეობას უკავშირებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მსჯელობას; ისმის შემდეგი კითხვა: სივნიეთის სამთავრო სახლის ნევრი, ისიც ქალბატონი (გვიან ანტიკურ ქართლში თუ ერისთავების ვინაობის მიხედვით ვიმსჯელებთ, აშკარად არსებობდა გენდერული დისბალანსი მამაკაც მოხელეთა სასარგებლოდ) ქართლში რა ვითარებაში უნდა გამხდარიყო ქართლის სამეფოს ამ ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი?

ზემოთ წარმოდგენილი ჩემი დაკვირვება იმის შესახებ, რომ პეროჟავრის შვილი ეს იგივე მირიან მეფის სიძე ფეროზია (ანუ პეროჟავრი და მირიანი მძახლები არიან), ამ კითხვაზე პასუხის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ის შემდეგი ვითარების ნარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა: ქართლში ჩამოსულ ფეროზს თან ჩამოჰყვა დედა. ფეროზს მირიანის მიერ მიეცა რანი ბარდავამდის ანუ ჰერეთის ნანილი, ხოლო ფეროზმა დედამისს, (ცხადია, მეფის დასტურით) უშუალო მმართველობაში გადასცა კუხეთისა და ჰერეთის საზღვარზე არსებული სუჯეთი, რომელიც ან ფეროზის საგამგებლოს ნაწილს წარმოადგენდა ან, როგორც მომიჯნავე ტერიტორია, მისი გავლენის სფერო იყო. პეროჟავრ სივნიელის სოჯ დედოფლად გადაქცევის სხვა ვითარების წარმოდგენა შეუძლებელია, პასუხი არ ეძებნება კითხვას, თუ როგორ გახდა სივნიელ მთავართა სახლის შვილი პეროჟავრი სოჯი მთავარი ანუ ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელი.

მაგრამ რატომ შეიქმნა ქართლის მეფისათვის აუცილებელი მისი მძახალი (მისი მოხელის ფეროზის დედა) პეროჟავრ სივნიელი გაეხადა სოჯი დედოფალი?

ამ კითხვაზე ჩემი სავარაუდო პასუხი შემდეგია: ჩემი დედაქალაქის და სამეფო კარის გაქრისტიანების შემდეგ ქრისტიანიზაციის პროცესის ქვეყნის განაპირა მხარეებში გავრცელებით მირიანს, ჩანს, მისი ძალუაფლებისათვის პოლიტიკურად დაქვემდებარებული რაიონების ქართულ ცივილიზაციაში კულტურული ინტეგრირება სურდა. ამ გეგმაში აუცილებელი გამხდარა სუჯეთის ერთგვარი გამიჯვნა ფეროზის საგამგებლოს დანარჩენი ნაწილისაგან. ჩანს, იმიტომ რომ ქრისტიანობის საფუძველზე კუხეთისა და ჰერეთის ღრმა კულტურული ინტეგრირებისათვის სხვადასხვა შესაძლებლობა იყო და, აქედან გამომდინარე, ქართლის მესვეურებმა ამ მხარეების მოსაქცევად განსხვავებული ტაქტიკური სქემები შექმნეს. ჩანს, კუხეთის შემდეგ მისი უშუალოდ მომიჯნავე სოჯეთის მოქცევა უფრო იოლ ამოცანად ესახებოდათ, ვიდრე ბოდს მიღმა არსებული ჰერეთისა. მხოლოდ პირველი ამოცანის გადანყვეტის შემდგომ ანუ კუხეთისა და სუჯეთის მოქცევის შემდგომ მოაზრებდნენ შესაძლებლად სამისიონერი ექსპედიციას ჰერეთის/რანის/ალბანეთის სიღრმეში (ბარდავამდე და ვინ იცის, იქნებ, იმის იქითაც) გავრცელებას. ამან განაპირობა სოჯი დედოფლის (პეროჟავრ სივნიელის) მოქცევის ისტორიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართლის გაქრისტიანების ისტორიაში. სუჯეთის გაქრისტიანება იყო მირიანისეული, მეტად ამბიციური (ქართლს გარდა სამხრეთ კავკასიის სხვა პოლიტიკური ერთეულების მომცველი) პროექტის დასაწყისი ეტაპის დამაგვირგვინებელი ფაქტი.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის მიხედვით გაირკვა შემდეგი:

ქართველთა განმანათლებლის მოგონების ერთ–ერთი ჩამწერი პეროჟავრ სივნიელი იყო ქართლის პირველი პიტიახშის ფეროზის დედა. ის გახლდათ ქართლის მეზობელი პოლიტიკური ერთეულის – სივნიეთის სამთავროს – მმართველი სახლის ნარმომადგენელი. ქართლში ის უნდა ჩამოჰყოლოდა მის შვილს ფეროზს, რომელიც თავიდან ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილის მმართველი იყო და სწორედ თავის გავლენის სფეროში არსებული ადმინისტრაციული ერთეულის – სუჯეთის მმართველად დასვა დედამისი. ეს ფაქტი განპირობებული ჩანს ქართლის მმართველი წრეების სურვილით, მოექციათ ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. სუჯეთის მოქცევა იყო მნიშნელოვანი ეტაპი ამ გეგმაში.

ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რაოდენ მასშტაბურად ჰქონდათ ნარმოდგენილი გაქრისტიანება იმდრინდელ ქართლში: მირიანისეული პროექტი გულისხმობდა ერთიანი ქრისტიანიზებული სივრცის შექმნას სამხრეთ კავკასიაში. აქ მოაზრებოდა არა მარტო ქართლის სამეფო, არამედ მეზობელი ალბანეთისა და სომხეთის პოლიტიკური ერთეულებიც.

P.S.

ვიდრე ამ წერილს დავამთავრებდე, მინდა მკითხველს ყურადღება მივაქცევინო ერთ ფაქტზე, რომელიც ზემოთქმულთან ქრონოლოგიურად გარკვეულად დაშორებულია, მაგრამ იხსნება სწორედ ზემოთქმულით და ამიტომ მიზანშეწონილი იქნება მისი განხილვა წარმოდგენილ მსჯელობასთან კავშირში.

სინას მთის ერთ ქართულ ხელნაწერში (Sin -50) გვაქვს უაღრესად საინტერესო ინფორმაცია: საუბარია მეფე ვარაზ-ბაკურის და მისი ოჯახის ნევრების (ორი ძისა და სამი ასულის) ნეშტების ხიდარიდან ზედაზნის ეკლესიაში გადასვენების შესახებ: „ერთი იგი ლუსკუმაი ვარაზ-ბაკურ მეფისა ხიდარელისაი არს. და ორნი ძენ მისნი – ვარაზ და ვარაზ-ჰარან და სამნი ასულნი და დედაი მათი სიმენავრი გუასპურაგნელი მთავართა შვილი" (ალექსიძე 1991) ეს ვარაზ-ბაკურ ხიდარელი უნდა იყოს იგივე ვარაზ ბაკური – ქართლის მეოთხე ქრისტიანი მეფე (ჩხარტიშვილი 2018:119–127). ზემოთ აღნიშნულ მინაწერში მითითებულია ვარაზ-ბაკურის მეუღლის ვინაობა: „სიმენავრ, გუასპუარგნელ მთავართა შვილი" ანუ სიმენავრ ვასპურაკანელი. სწორედ ეს ფაქტი იქცევს ამჯერად ჩემს ყურადღებას.

მინდა ავხსნა, რატომ გადავწყვიტე ამაზე საუბარი ზემოთ აღწერილ ამბებთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ ვარაზ-ბაკურს ორი ცოლი ჰყავდა: ერთი იყო ხოსროვანი პრინცესა ბაკურდუხტია. ის მირიანის შვილთაშვილი – თრდატ რევის ძის ასული გახლდათ. მეორე იყო აგრეთვე მირიანის შვილთაშვილი, ოღონდაც, ქალიშვილის ხაზით – მირიანის ასულის ძის ქალიშვილი. მირიანის ასულის ქმარი კი, როგორც ითქვა, იყო ფეროზი. ამგვარად, ვარაზ-ბაკურის ერთ-ერთი მეუღლე იყო ფეროზის შვილიშვილი. „და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი – ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა; და ერთი – ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა" (ყაუხჩიშვილი 1955: 132).

შესაბამისად, „ქართლის ცხოვრებაში" მეორედ მოხსენიებული ვარაზ-ბაკურის მეუღლე ყოფილა არა მარტო მირიანის, არამედ პეროჟავრის შვილთაშვილიც. პეროჟავრს, როგორც ვნახეთ, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვასპურაკანის სამთავრო სახლთან. მისი ძე ფეროზიც, ბუნებრივია, ჩართული ყოფილიყო ვასპურაკანის საშინაო საქმეებში. ამიტომ სულაც არაა მოულოდნელი, რომ მას იქ თავისი ძე გაემთავრებინა. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ „ძისნული ფეროზისი" – ეს იგივე სიმენავრ ვასპურაკანელია.

საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ირანელებმა ვარაზ-ბაკურს ჩამოართვეს რანის ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე იყო მითითებული, სპარსელებთან შეთანხმების თანახმად ბაკურ რევის ძემ ქვემო ქართლში გაუცვალა ფეროზს.

> და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს და მოაოჯრეს სომხითი და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისა. მაშინ ვარაზ-ბაკურ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშჯდობა. ხოლო ერისთავმან სპარსთამან პრქუა მას: „პირველად მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისაგანთა არს, რომელნი სრულიად შვილნი არიან სპარსთა მეფეთანი და სხენან საყდართა მამათა მათთასა; და თქუენდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მჴევლისანი. გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა მეფეთა ხუასროვანთა. მაშინ ვარაზ-ბაკურ ვერღარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი... ამისა შემდგომად განდგნეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან (ყაუხჩიშვილი 1955: 137).

> და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი. მანვე ერისთავმან სპარსთამან ნარიყუანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულისნულნი მირიანისნი, მორნმუნისა მეფისანი, და ქუეყანა იგი საზღვარი ქართლისაი , მოსცა ვარაზ-ბაქარსავე (ყაუხჩიშვილი 1955: 138).

ახლა სპარსელები რანს კვლავ ართმევენ ქართლის მეფეს და სანაცვლოდ ისევ ქვემო ქართლს ანუ ფეროზის ქვეყანას აძლევენ. ფეროზიანი მეუღლის ყოლა მის მმართველობას ამ მხარეში აშკარად მიანიჭებდა გარკვეულ ლეგიტიმურობას.

ჩემს ბოლოდროინდელ მონოგრაფიაში ხოსროვანთა სამეფო სახლის შესახებ (ჩხარტიშვილი 2018) ვარაზ-ბაკურზე ბევრს ვმსჯელობ და მის სრულიად განსაკუთრებულ პოზიციას გვიან ანტიკურ ხანის ქართლის პოლიტიკურ ელიტაში წარმოვაჩენ. თუმც მისი ფეროზიანი ცოლის შესახებ თითქმის არაფერი მაქვს ნათქვამი. არადა, როგორც ვხედავთ, ამ ქალბატონის ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია ვარაზ-ბაკურის პოლიტიკური წონისა და ამბიციების სრულყოფილად გასაგებად.

იმ მკითხველისათვის, რომელიც ჩემს დასახელებულ წიგნს არ იცნობს, ეპოქის უკეთ აღსაქმელად ხსენებული ნაშრომიდან მომყავს ორი სქემა. მათზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეების ქართლის მმართველები და სამეფო ოჯახის წევრებია წარმოდგენილი.

ამ სქემათა მოყვანის აუცილებლობას ჩემთვის ისიც განაპირობებს, რომ ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული გ. ბოლქვაძის წერილი სხვაგვარად (ჩემი აზრით, მცდარად) წარმოადგენს ამ პერიოდში ქართლის პოლიტიკურ ისტორიას და ამ გარემოებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს წინამდებარე სტატიაში მოცემული მსჯელობის აღქმას.

ადრე გამოქვეყნებულ სქემებს აქ ერთს დავუმატებ. აქ გრაფიკულად ასახულია ფეროზიანთა შესახებ ჩემი თვალსაზრისი; ჩანან ვარაზ-ბაკურის მეუღლეები ანუ მირიანის შვილთაშვილები ვაჟისა და ქალის ხაზით.

IV – V საუკუნეებში ქართლის მმართველთა თანამიმდევრობა

მირიანი ბაკური (რევის ძე) = ბაქარი = „დიდი ბაკური“	IV საუკუნის I ნახევარი
თრდატი (რევის ძე) = მირდატი = მერიბანესი საურმაგი = სავრომაკი ვარაზ-ბაკური (ხიდარელი) = ასფაგური = ბოზმარიოსი / ბუზმიჰრი ბარზაბოდი	IV საუკუნის II ნახევარი
ბაკური (თრდატის ძე) = „ფრიად სარწმუნო კაცი“ ბაკური ფარსმანი (რევის ასულის ძე) მირდატი (რევის ასულის ძე ?) არჩილი (რევის ძე) = არსილიოსი = არძილი მირდატი (ვარაზ-ბაკურის ძე = არჩილის შვილობილი) = ულტრა	V საუკუნის I ნახევარი
ვახტანგ გორგასალი	V საუკუნის II ნახევარი

ხოსროვანთა სამეფო ოჯახი IV – V საუკუნეებში



მეფე ვარაზ-ბაკური და ფეროზიანები



შენიშვნები

1 სულ სხვა მონაცემების გათვალისწინებით თხზულების კომპოზიციის წრიულობას მიუთითებს ე. აბაშიძე (აბაშიძე 1993: 41).

2 ვიმონმებ „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის მიხედვით". იხ. (გამყრელიძე 2013: 445).

3 „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით მირიანის შემდეგ ტახტზე მის ძეს კი არა მის შვილიშვილს ვხედავთ. „ქართლის ცხოვრება" იგივე პიროვნებას (მის სახელს ნარმოადგენს „ბაქარ" ფორმით) მირიანის შვილად მიიჩნევს. ბევრი მკვლევარი, მათ შორის, გვიანი ანტიკურობის ეპოქის სამეფო ოჯახის შესახებ ამ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი გ. ბოლქვაძე სნორედ „ქართლის ცხოვრების" მონაცემზე დაფუძნებით აგებს თავის კონცეფციას. მაგრამ „ქართლის ცხოვრება" ამ შემთხვევაში მცდარ ცნობას გვანვდის. ამის მიზეზია ძველი ისტორიკოსის მიერ ფაქტის თავისებური ინტერპრეტაცია. აღნიშნული საკითხისათვის იხ.(ჩხარტიშვილი 2018: 93–99). ჩემს ამავე ნაშრომში ბაკურ რევის ძის ანუ მირიანის შვილიშვილის ზეობის ქრონოლოგიის დასაბუთებაც არის ნარმოდგენილი და მირიანის ზეობის თარიღიც. ჩემი აზრით, ბაკურ რევის ძე (პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების" „დიდი ბაკური") მეფე იყო მეხუთე საუკუნის შუა ხანებში. გ. ბოლქვაძეს (სხვა ბევრი მკვლევრის მსგავსად) მისი ზეობა გადააქვს მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან ამიანე მარცელინეს მიერ მოხსენიებულ ქართლის მეფე მერიბანესს აიგივებს მეფე მირიანთან. ამ გაიგივების მცდარობის შესახებაც მითითებულია ჩემს ხსენებულ წიგნში (ჩხარტიშვილი 2018: 102–108).

4 მირიანის მომდევნო მეფის ზეობის დროის შესახებ მსჯელობს მ. ბახტაძეც. ის იხრება იქითკენ, რომ ესაა მეოთხე საუკუნის 40–50-იანი ნლები, თუმც საბოლოო პოზიციის დაკავება მაინც უჭირს, რადგან მკვლევარი გადაჭრით მაინც არ გამორიცხავს მირიანი და მერიბანის იგივეობის შესაძლებლობას (ბახტაძე 2003 :39).

5 მოგვიანებით, მეოთხე საუკუნის ოთხმოციან ნლებში ქართლის მეფეს, ამჯერად, ვარაზ-ბაკურს ირანალებმა კვლავ დაათმობინეს ეს ტერიტორია. საკომპესაციოდ ფეროზის ქვეყანა დაუბრუნეს. ფეროზის შვილები კი ტყვეებად წაასხეს: „და დარჩა ვარაზ-ბაკურს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი. მანვე ერისთავმან სპარსთამან ნარიყვანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულის ნულნი მირიანისნი, მორნმუნისა მეფისანი, და ქუეყანა მათი – საზღვარი ქართლისა – მოსცა ვარაზ-ბაქარსავე (ყაუხჩიშვილი 1955: 137). შემაქვს ჩემი კორექტივი გამომცემლის პუნქტუაციაში: „საზღვარი ქართლისა", როგორც ვხედავთ, გამოყოფილია. ეს კი გამოცემაში არ არის.

ამონარიდში პუნქტუაცია ჩვენია. გამოცემაში პუნქტუაცია დასმულია შინაარსის გაუგებრობის საფუძველზე: „ნარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად. და მიინივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ჭსენებულსა ფერროზს, ერისთავნი სომხთისანი: სივნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ გრიგოლის შენებულითა ქალაქისაგან, თრდატ, ნათესავისაგან დიდისა თრდატისა. და მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქუა კარასპოლა, ხოლო აწ ენოდების კარნუ-ქალაქი". ამ პუნქტუაციით არ ჩანს, რომ აქ ჩამოთვლილია შემდეგი პირები (ყველანი სომხითის ერისთავები): არევ სივნიელი, ჯუანშერ ვასპურაკანელი, გრიგოლ ტარონელი და თრდატ მეფის ნათესავი თრდატი, რომელიც ყოფილა გრიგოლის შენებული ქალაქიდან. ანუ გამოცემაში არსებული პუნქტაციის გამო თრდატს აღარ უჩანს წარმომავლობის ქალაქი, რადგან ქალაქი დაკავშირებულია ამაზასპთან. არადა, წყაროში აშკარად მითითებულია, რომ ამაზასპი ტარონიდანაა და მისი მიკუთვნება გრიგოლის მიერ აშენებული ქალაქისათვის, აღარაა საჭირო. ამ უკანასკნელიდან ნარმომავლობს თრდატი, რომელიც ყოფილა მეფე თრდატის ნათესავი.

დამოწმებანი

აბაშიძე 1993: ე. აბაშიძე. „ქართლის ცხოვრების" წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბილისი, მეცნიერება.

აბდალაძე 1984: მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მომზადდა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. ნიგნი 1, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნიგნი 3 (მეტაფრასული რედაქციები (XI-XIII სს.). დასაბეჭდად მომზადდა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

ალექსიძე 1991: ზ. ალექსიძე. ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის" შესახებ. ლიტერატურული საქართველო, №14.

ალექსიძე 2007: „მოქცევაი ქართლისაი"-ის ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და ნინასიტყვაობა დაურთო ზ. ალექსიძემ, თბილისი. საქართველოს საპატრიარქო.

ბახტაძე 2003: მ.ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი. https://www.academia.edu/28618932/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

გაბიძაშვილი 1968: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნიგნი 4, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.). გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

გამყრელიძე 2013: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=1245

კუჭუხიძე 2004: გ. კუჭუხიძე. ვინ იყო სუჯი დედოფალი? ლიტერატურული ძიებანი, XXV. https://datospdf.com/download/-who-was-queen-suji--5a45034eb7d7bc422ba3c3f9-pdf.

პატარიძე 2010: ლ. პატარიძე. პეროჟავრ სივნიელის ვინაობისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, XII.

საბინინი 1882: საქართველოს სამოთხე. სრული აღწერაი ღუანლთა და ვნებათა საქართუჱლოს ნმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურღი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი.

ყიფიანი: გ. ყიფიანი. ბოლნისის სიონი (სამი უადრესი წარნერა) https://semioticsjournal.wordpress.com/2010/11/25/%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98---%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1/

შოშიაშვილი 1980: ქართული წარნერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 1: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1978: მ. ჩხარტიშვილი. „ნმ. ნინოს ცხოვრების" პროტოჭელიშური რედაქცია – მეტაფრასული რედაქციის წყარო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), №4.

ჩხარტიშვილი 1980: მ. ჩხარტიშვილი. მეტაფრასი „ნმ. ნინოს ცხოვრების" „ქართლის ცხოვრებისეული" რედაქციის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), №4.

ჩხარტიშვილი 1985: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან („მოქცევაი ქართლისაი"). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), №3.

ჩხარტიშვილი 1987: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხორებაი წმიდისა ნინოისი"), თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1989: Обращение Грузии (Редакционная обработка перевода с древнегрузинского Е. Такайшвили, исследование и комментарии М. Чхартишвили). Тбилиси, Мецниереба.

ჩხარტიშვილი 1994: მ. ჩხარტიშვილი. „მარტვილობაი და მოთმინებაი ნმიდისა ევსტათი მცხეთელისაი". „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაი" (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 2018: მ. ჩხარტიშვილი. საქართველო III-V საუკუნეებში. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია, თბილისი, ნეკერი.

ჯავახიშვილი 1900: ი. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქულისა და ნმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, მოამბე, 1900, V.

SOME UNKNOWN FACTS OF CHRISTIANITY ADOPTION IN KARTLI KINGDOM. PEROZHAVR OF SIVNIETI

Mariam Chkhartishvili

Kartli kingdom was a Georgian polity established by king Pharnavaz (4th-3rd cc BC).

In 330s (according to other opinion in 320s) Christianity was adopted as official religion of this kingdom. At first the new faith was spread among the inhabitants of the capital city of Mtskheta. King Mirian his family, his retinue, common people were converted and baptized; afterwards the Illumenetrix Saint Nino accompanied with archbishop and group of royal militants visited highlands and eastern regions of the country and preached the new faith. During this missionary expedition Saint Nino became mortally ill and had to stop at the village Bodi. At her deathbed Saint Nino's disciples and followers, ordinary believers rounded her. All of them hoped to receive blessing from her. Being inspired by questions of the people regarding her personality the Illuminatrix decided to share with this audience her memories and recalled her biography from time of her childhood including missionary activities in Kartli. Her story about conversion of Georgians was supplemented by memories of her close co-workers and disciples. This event was leaded by two women: Salome Ujarmeli (Salome of Ujarma) and Perojavr Sivnieli(Perojavr of Sivnieti). These women wrote down Saint Nino's story. Thus, were created two parallel records of memories on conversion of Kartli. However, only one of them is available now. The preserved text belongs to Salome; Parojavri's text was not been found yet.

Salome Ujarmeli was king Mirian's daughter-in law, i.e. member of the royal family. Thus, one could expect from her initiative of recording the speech of Illuminatrix. But, we do not know who was the second woman – Perojavr Sivnieli. Why was she allowed to be active (lead the event) and along with Salome make record of delivered speeches?

The paper is an attempt to answer this question. As a result of the research important facts of Perojavr's biography are established. Perojavr Sivnieli was representative of principality of Sovnieti (Syunik) ruling house and governor of province of Sujeti in Kartli Kingdom. Perojavr Sivnieli and Queen Soji of the sources are one and same person who was mother of Peroz , a very influential official of king Mirian: he was appointed by king on position of eristav in Hereti (Albania) and then as vitaxae of Kvemo (Low) Kartli. The first position of his son made possible for Perojavr to become a governor of Sujeti.

This rather strange set of biographical details (representative of Sivnieti ruling house becomes Georgian king's official) in case of reading facts in relevant context can shed new light on history of the conversion of Kartli as far as these facts can help to reveal in full Georgian ruling elite's scale of ambitions and range of activities in the Christianization process: Mirian aimed at creating homogeneous religious space which would include not only whole Kartli, but also political unites of neighboring Armenia and Albania.

ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა დინასტიური წარმომავლობა (პირველწყაროს ლიტერატურული მოდელი – ფიქციიდან არაფიქციისკენ)

ვლადიმერ ჭელიძე

ადრეული ხანის ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა შესახებ მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო მონაცემებია ასახული ქართულ საისტორიო თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და საისტორიო თხზულებათა კრებულში „ქართლის ცხოვრება" (ჭელიძე 2015: 14-23). ეს მონაცემები მომდინარეობს ორიგინალური პირველწყაროებიდან, რაც არსებითად წარმოადგენს უტყუარ და სანდო საინფორმაციო კომუნიკაციის საშუალებებს (ჭელიძე 2016ᲒᲐ : 44-45).

ამ თხზულებათა დეტალური შესწავლისა და ინტეგრირებული კვლევა-ძიების საფუძველზე შესაძლებელია სხვადასხვა გრაფიკულ ცდომილებათა გასწორება, ცალკეულ აზრობრივ-ტექსტობრივ სხვაობათა დადგენა, იდეოლოგიურ სახეცვლილებათა წარმოჩენა, მწიგნობრული ხასიათის ჩანართთა გამოყოფა (ლიტერატურული ფიქცია), მეფეთა და ერისთავთა ვინაობის (არაფიქცია) დაზუსტება (ჭელიძე 2015-2016, 270-283; ჭელიძე 2016 ა:167-180).

ქართლის (იბერიის) თანადროული რეალობის აღდგენა შესაძლებელია ქართულ და უცხოურ (ბერძნულ-რომაულ, სომხურ და სხვა) საისტორიო წყაროთა მონაცემების ერთმანეთთან შედარების შედეგად მოძიებული პარალელებით (ჭელიძე 1998: 31-36; ჭელიძე 1999: 153-163), რაც ქართლის (იბერიის) სამეფოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრობლემათა სრულად წარმოჩენის, ასევე ეთნოგენეტიკურ და რელიგიურ-კულტურულ იდენტობათა დადგენის საშუალებას იძლევა (ჭელიძე 2016ᲑᲐ : 63-69).

„მეფეთა ცხოვრების" ქართლის მეფეთა სიაში ცალკეული შეუსაბამობები ვლინდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ლეონტი მროველმა თავისი თანადროული ეპოქის – XI საუკუნის – სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან გამომდინარე, პირველწყაროში (კერძოდ, როგორც ჩანს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ჩვენამდე არმოღწეულ ვრცელ ვარიანტში), როგორც თვითონ აღნიშნავს, ჩაურთო ეპიზოდები სხვადასხვა უცხოური (სპარსული – „ცხოვრება სპარსთა", ბერძნული – „ცხოვრება ბერძენთა", სომხური – „ცხოვრება სომეხთა") საისტორიო თხზულებებიდან, რომლებიც ქართლის ისტორიასთან მიმართებაში ანაქრონისტულია და, ამდენად, ისტორიულ სინამდვილესაა მოკლებული. ამგვარი შეუსაბამობა ერთი შეხედვითაც ვლინდება, როცა თხზულების ავტორი ცდილობს „ქართლის ცხოვრების" მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი (კერძოდ, სხვადასხვა ისტორიულ მოვლენას ლეონტი მროველი საზღვრავს ნაბუქოდონოსორის, ალექსანდრე მაკედონელის, პართიის სამეფოს დაარსებისა და არშაკიდების დინასტიის მეფობით, სომხეთში არშაკის გამეფებით, ქართლში ფარნავაზიანთა გარდა უცხო ქვეყნების სამეფო დინასტიების – ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა წარმომადგენლების მოღვაწეობით და სხვა). ორიგინალური და უცხოური წყაროების გამთლიანებით, ახალი იდეოლოგიური მიზანდასახულობის შესაბამისად მწიგნობრული ლეგენდების (კავკასიის ხალხთა ერთი საერთო წინაპრიდან წარმომავლობისა, ქართლში ფარნავაზიანთა გარდა მეზობელი ქვეყნების სამეფო დინასტიების – ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა წარმომადგენლობის მოღვაწეობისა) შეთხზვით, იქმნება ისტორიული ჟანრის ახალი, კომპოზიციურად ერთიანი და მთლიანი ლიტერატურული ნაწარმოები, რაც მხედველობაში უნდა გვქონდეს ლეონტი მროველის თხზულების კვლევის დროს (ჭელიძე 2005: 51).

„მეფეთა ცხოვრების" გადმოცემების შესაბამისი ეპოქის უცხოურ (ბერძნულ-რომაულ და აგრეთვე სომხურ) საისტორიო წყაროებთან შედარების შედეგად ვლინდება, ერთის მხრივ, ორიგინალური, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩანართი ტექსტები. ხოლო თანადროული ისტორიული რეალიების შესაბამისად, შესაძლებელია გენეალოგიურ თანამიმდევრობათა და ქრონოლოგიურ მიმართებათა დადგენა,

ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ თანამიმდევრობათა მიხედვით, ისტორიულ პირთა აღდგენილ სიაში მეფეთა და ერისთავთა სამი დინასტიური შტო გამოიყოფა. პირველ შტოს წარმოადგენენ მეფე *მიჰვან* (არიან, იარედოს) და მისივე *ძე აჰსოკ* (აზო[რკ], აზონ), რომელთა სახელებიც სამშვილდის ერისთავთა საგვარელო სახელთა მსგავსია, რაც მიანიშნებს მათ საერთო დინასტიურ წარმომავლობაზე. მომდევნო შტოს წევრებია – შემდგომი მეფისა *საუჰმაგ* (მთავარი მამამძუძის სახლიდან, სამარ/სარამ/სა[უ]რმ[აგ] მამასახლისი) და მისი ძე *ფაჰსმან* (ფარსმან ავაზ, ფარნავაზ), რომელთა სახელები დაერქვა ახალგაერთიანებული ქართული სახელმწიფოს (სამცხისა და ეგრის-სვანეთის) – ქართლის (იბერიის) სამეფო დინასტიის (*ფაჰნავაზიანთა*) მემკვიდრეებს. ხოლო მესამე შტოს მიეკუთვნებიან ეგრისის ერისთავის შემკვიდრეები – *ქაჰძამ* (ქართამ) და მისი ძე *აჰტოკ* (არიკ, როკ, დეროკ, არტაგ, ადერკი), რაც, ფარნავაზიანთა და ეგრისის ერისთავთა შვილების დინასტიური ქორწინების შემდგომ (კერძოდ, ორმეფობის ხანიდან), ასევე სამეფო სახელები გახდა. ქართლის

მეფეებს ერქვათ მეტსახელებიც – ფარსმან ავაზ (ფარნავაზ), ფარსმან [ჯუან] (ფარნაჯობ, ფარნაჯომ), ფარსმან [*კაოს*] და ფარსმან *ქუეღი*. მეტსახელები სამეფო სახელებადაც დამკვიდრდა – *ბაჰტამ* (ბრატმან), *ამაზასპ*, *მიჰდატ*, *ჰევ მაჰთაღი* (რევ[ნიზ]), *ვაჩე*, *ვაჰაზ*-ბაკურ (ასფაგურ) და სხვა (ქელიძე 2017ბ: 48).

სავარაუდოდ, მირვანის ძის არსოკის შემდგომ სამეფო ტახტს ეუფლება შემდგომი მეფისა ფარსმან ავაზ (ფარნავაზ). აღნიშნული ორი ადგილობრივი საგვარეულოს (ფარნავაზიანთა და სამშვილდის ერისთავთა) წარმომადგენელთა მძაფრ ურთიერთდაპირისპირებასა და ერთმანეთთან ბრძოლას (ქელიძე 2015-2016: 270-283), რეალური საგარეო საფრთხიდან გამომდინარე, ტახტის მაძიებლების შთამომავალთა (აბეშურასა და მირიანის) დინასტიური ქორწინება მოჰყვა. აქედან გამომდინარე, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიის გენეალოგიური მიმართებები შეიძლება შესაბამისი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით იყოს გრაფიკულად წარმოდგენილი:

მირვან (არიან, იარედოს) საურმაგ (სამარ)

1. არსოკ (აზო[რკ], აზონ)	2. ფარსმან ავაზ (ფარნავაზ)	ქარძამ (ქუჯი)
3. მირვან	4. საურმაგ	არტოკ
5. არსოკ	6. ფარსმან ჯუან (ფარნაჯომ)	ქარძამ
7. მირვან	8. საურმაგ ბარტომ	არტოკ
	ასული ბარტომისა –	ქარძამ
9. არსოკ	10. არტოკ (არტაგ, Arthoces)	
	11-12. ქარძამ – ბარტომ	
	13-14. ფარსმან კაოს – არტოკ	
	15-16. ქარძამ ამაზასპ – საურმაგ (ამაზაერ)	
	17-18. ფარსმან ქველი – არტოკ მირდატ	
	19. ქარძამ (ღადამ, Radamistus) და მისი ცოლი ზენობია	
	20. მირდატ (ΦΛ˜ ΔΑΔΗΣ) და მისი ძმა ამაზასპ	
	21. ფარსმან (ხუასრო ფარსმან ვარაზ-ბაკურ, ხსეფარნუგ)	
	22. … .	23. … .
	24. … .	25. … .
	26. … .	27. … .
	28. ამაზასპ	29. … – და ამაზასპისა
	30. ბაკურ	31. არსოკ (რევ მართალი)
	32. მირდატ	33. მირვან ვაჩე
	34. ვარაზ-ბაკურ (ასფაგურ)	35. რევ
	აბეშურა –	36. მირიან (მირვან, Meribanes)

ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროთა მონაცემების მიხედვით, როგორც ჩანს, სრულიად შესაძლებელია ადრეული პერიოდის ქართლის (იბერიის) სამეფოს თანადროული რეალიების ლიტერატურული მოდელის, კერძოდ, მისი ისტორიული პირველსახის გარკვეულწილად აღდგენა და ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ თანამიმდევრობათა შესაბამისად წარმოჩენა, რაც გარკვეულად არსებითი ხასიათის წარმოდგენას ქმნის ამ ეპოქაში განვითარებული მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ (ქელიძე 2002: 53-56; ქელიძე 2017ა : 45-56). აი, ეს პროტოტექსტი, როგორც მას ჩვენ მოვიაზრებთ:

„კავკასიის ჩრდილოეთითა და სამხრეთით ოდითგანვე სახლობდნენ მესხეთისა და ეგრის-სვანეთის, რანისა და მოვაკანის, ლეკეთისა და კავკასიის სხვა ქვეყნების, კერძოდ, დურძუკეთისა და ჯიქეთის მკვიდრნი. ხოლო შემდგომ აქ დასახლდნენ სომეხნი და ოვსნი.

მესხეთის მკვიდრნი სახლობდნენ მდინარე ევფრატის სათავესთან მდებარე მხარეში. კიმირიელთა შემოსევების შედეგად ისინი წამოვიდნენ და დამკვიდრნენ მდინარეების – ჭოროხისა და მტკვრის ხეობებში, სვანებისა და ზანების მხარეებში, რომლის საზღვრები იყო აღმოსავლეთით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯი; დასავლეთით – პონტო, რომელსაც ქართულად სპერის ზღვა ერქვა; სამხრეთით მდებარე მთებიდან ერთი მიჰყვებოდა მდინარე ბერდუჯის სათავეს, მეორე დასავლეთით იყო მიმართული და მესამე, ორეთის მთა ნარმოადგენდა საზღვარს ამ მხრიდან; ხოლო ჩრდილოეთით მდებარეობდა კავკასიის შტო – მცირე მთა ღადო, რომლის წვერი ღადოს დასასრულს სნვდებოდა ლიხის მთას. მისი მხარეები იყო – სამცხე, ჯავახეთი, ზენა სოფელი, გარდაბანი, გაჩიანი, კუხეთი, კახეთი და ჰერეთი. სამცხე იყო კლდოვანი მხარე, ტასისკარიდან ვიდრე ორეთის მთამდე, სადაც მდებარეობდა ორი ციხე-ქალაქი – ოძრხე და თუხარისი. ჯავახეთი გრძელდებოდა ფანავრიდან ვიდრე მტკვრის თავამდე. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო ჰური. არაგვიდან და არმაზიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრამდე იყო ზენასოფელი, სადაც მდებარეობდა ციხე-ქალაქები – უფლისციხე კასპისა და ურბნისი. გარდაბანი იწყებოდა აღმოსავლეთით ბერდუჯიდან და სწვდებოდა დასავლეთით გაჩიანს, ხოლო სამხრეთით მთას ბერდუჯის გასწვრივ და ჩრდილოეთით მტკვარს. მისი მთავარი ციხე-ქალაქი

იყო ხუნანი. გაჩიანი იყო სკვირეთიდან ვიდრე მთების თავამდე, რომელიც იყო ტაშირი და აბოცი, სადაც მდებარეობდა ორბის ციხე. კუხეთი იყო არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე, რომელიც გრძელდებოდა კახეთის მთის თავამდე და მტკვარს სნვდებოდა. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო რუსთავი. კახეთი მდებარეობდა კავკასიისა და კახეთის მთებს შორის, არაგვიდან ვიდრე ტყეტბამდე, რომელიც იყო ჰერეთის საზღვარი. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო ჩელეთი. რომელსაც პირველად ბერ ერქვა. ჰერეთი მტკვრის ჩრდილოეთით იყო, მცირე ალაზნის შესართავიდან ვიდრე ტყეტბამდე – გულგულამდე, მისი მთავარი ქალაქი ხორანთა ორივე ალაზანის შესაყარს შორის მდებარეობდა.

ზანეთი (ეგრისი) და სვანეთი სპერის ზღვის მხარეს მოიცავდა, რომლ;ის საზღვრები იყო – აღმოსავლეთით ლიხის მთა, დასავლეთით ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიის დასავლეთი ნაწილის მდინარე, სადამდეც სნვდებოდა ამ მთების წვერი. მთავარ ქალაქს ერქვა ბედია.

მტკვრისსამხრეთით,ბერდუჯიდანმტკვარისადაარაქსისგასაყარისმიმდებარედიყვნენდამკვიდრებულნი რანნი, რომელთა მთავარი ქალაქი იყო ბარდავი. მოვაკანელნი სახლობდნენ მტკვრის ჩრდილოეთით, მცირე ალაზნის შესართავიდან ვიდრე გურგანის ზღვამდე. კავკასიის ჩრდილოეთით მკვიდრობდნენ ლეკნი. მათი ტერიტორია ინყებოდა გურგანიდან, რომელსაც ერქვა დარუბანდის ზღვა, ვიდრე მდინარე ლომეკამდე, ხოლო აღმოსავლეთით კავკასიის დიდ მდინარემდე. ლომეკის დასავლეთით – დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე იყვნენ დურძუკნი. აქედან მოკიდებული ვიდრე კავკასიის მთების დასასრულამდე მკვიდრობდნენ ჯიქნი. დურძუკთა მახლობლად გადმოსახლდნენ ოვსნი. ორეთის მთის სამხრეთით, მასისის მთისა და არარატის მხარის მიმდებარედ დასახლდნენ სომეხნი.

მესხეთში, კერძოდ, სამცხეში მირვანის მეფობის დროს, სომხეთში გამეფდა იარვანდ. მან თავისი სპით გადმოლახა სასაზღვრო მდინარე ახურიანი, რომელიც ერთვის მდინარე მტკვარს, სძლია მირვანის სპას და დაიპყრო ციხე-ქალაქი ჯური. იარვანდმა მას სახელად ქაჯატუნი – ქაჯთა ქალაქი უწოდა, რომელიც „დევთა-სახლად" ითარგმნება. შემდგომ ის დაეუფლა არტაანის მხარეს მტკვრამდე, სადაც სანადიროდ გააშენა ტყე, რომელსაც უწოდა ნუნდა.

მირვან მეფემ ვერ შეძლო მისი ქვეყნის წართმეულ მხარეთა დაბრუნება და წამოვიდა სამეფო ციხე-ქალაქ ოძრხიდან ქვეყნის აღმოსავლეთით მტკვრის გასწვრივ მდებარე მხარისკენ, რომელსაც ერქვა ჟინვალი (ჟინაბანი) – ზენა სოფელი.

მეფემ წამოიყვანა მისი ცოლი, ბარდავის ერისთავის ასული, და მათი ძე, არსოკ. მცირე ერისაგან მასთან ერთად იყვნენ უფლის მონანი. მირვანს თან ახლდა მდაბიოთა (დაბის მკვიდრთა) სახლიდან ათი ათასი მკვირცხლი (ქვეითი), ხოლო მოქალაქეთაგან (ქალაქის მკვიდრთაგან) აზნაურთა სახლის ათი ათასი მხედარი. მანვე სამეფო სახლის მთავართაგან ნამოიყვანა მამამძუძის სახლი – შემდგომი მეფისა საურმაგ და მისი ცოლი, ბარდავის ერისთავის მეორე ასული, მათ ძესთან ფარსმანთან და ორ ასულთან ერთად, რომლებიც იყვნენ არსოკ უფლისნულის დედის დისნულნი. მეფემ წამოიყვანა კერპთა ქურუმნი.

პირველად ის მოვიდა ხერკის მხარეში მდინარე არაგვის პირას ნყაროსთან, რომელსაც ერქვა ზანავი (წყლიანი ადგილი). აქ დამკვიდრდა საურმაგ მამამძუძის სახლი. მან აღაშენა ციხე-დიდი სარკინე, საიდანაც თვალყურს ადევნებდნენ გარემო მხარეს.

ხერკიდან მირვან მეფე წამოვიდა და მოვიდა იმ ადგილას, სადაც შეერთვის არაგვი მტკვარს, რომელსაც ზანარნი (ზანავის ოდინდელი მკვიდრნი) უწოდებდნენ მცხეთას, რადგან ეს ადგილი იყო ხერთვისი. მირვან მეფე იქვე მდებარე მთის ფერდოზე დასახლდა, რომელსაც ზანართა მიერ ჰქონდა დარქმეული *ქახთა* (მთის ფერდობიანი ადგილი), ხოლო ამ მხარეს – გარდაბანი (მთიან ფერდობთა უბანი). ამ მთის ფერდობზე მან პირველად შექმნა ციხე-სიმაგრე, სადაც აღაშენა სამეფო სახლი. ახალ სამეფო ქალაქს ქართლი დაერქვა. და მეფობა მირვანმა ახალი სამეფო ქალაქიდან განაგრძო. სამეფო ციხე-ქალაქის სახელი *ქახთღი* ეწოდა შემდგომ მთელ ქვეყანას (ხუნანიდან და ბერდუჯიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა).

ამავე დროს ასურასტანის მეფის, ანტიოქოს ეპიფანე სელევკოსის წინააღმდეგ მაკაბელნი აჯანყდნენ, რის გამოც მრავალი ჰურია იძულებული გახდა თავისი სამშობლო დაეტოვებინა და სხვა ქვეყნებისთვის შეეფარებინა თავი. ქალდეველთაგან დევნილი ჰურიანი მოვიდნენ ქართლშიც. ისინი საურმაგმა დაასახლა ზანავსა და ქართლის სხვა დაბა-ქალაქებში. ახალ სამკვიდროს მათ უწოდეს იბერია (მთის გადაღმა მხარე). სნორედ ამ დროიდან ეწოდება ქართლს ჰურიათაგან შერქმეული სახელი – *იბერია*. და ამის შემდგომ გავრცელდა ეს სახელი სხვა ქვეყნებში.

მცირე ხნის შემდგომ სუმბატ ბივრიტიანმა მოკლა იარვანდ და სომხეთის მეფედ მისი ძმა არტაშან დასვა. მირვან მეფე დაელოდა და შეარჩია მარჯვე დრო, რომ თავისი ქვეყნის წართმეული მხარენი დაებრუნებინა. სომეხთა სპის შეკრებამდე, მან საბრძოლველად შეკრიბა თავისი სპა, შემდეგ მოუწოდა და კავკასიის ჩრდილოეთიდან გადმოიყვანა ოვსნი და დურძუკნი. ერთიანი ძალით შევიდნენ ისინი სომხეთში, შირაკუანი და ვანანდი ბასიანის მიმდებარე ბაგრევანდის მხარემდე შემოვლეს, შებრუნდნენ და გადაიარეს დაშტი ნახჭევანამდე, ხოლო ბოლოს გადმოიარეს ფარისოსის გზა. სუმბატ ბივრიტიანმა სნრაფად შეკრიბა სომეხთა სპა, რომლებიც მეფე არტაშანის ნინამძღოლობით გამოემართნენ და შემოვიდნენ ქართლში. სომეხთა

სპასპეტმა ღადოს მთის მოკიდებულ ადგილას ააშენა დემოთის ციხე. ხოლო სომეხთა სპა საბრძოლველად გაემზადა. მათ ქართლის რამდენიმე ციხე-ქალაქი დაიპყრეს ექვს თვეში და მიადგნენ ხერკის მხარეში მდინარე ნოსტეესთან მდებარე ადგილს - ნასტაკისს. აქ გაიმართა სომეხთა და ქართველთა მთავარი ბრძოლა, რომელშიც სძლიეს მეფე არტაშანმა და სუმბატ ბივრიტიანმა მირვან მეფესა და საურმაგ მამამძუძეს.

ა. და მეფედ დადგა არსოკ, მირვანის ძე. ის პირველი იყო, ვინც ახალ სამეფო ქალაქში გამეფდა. მან შემდგომად მეფისა დაადგინა თავისი ძუძუმტე ფარსმან, საურმაგის ძე. არსოკ მეფემ შექმნა ორი კერპი – ოქროსა გაცი და ვერცხლისა გა. და აღმართა მან ეს კერპები ქართლის მთაზე.

მომხდურ მტერთან ბრძოლა ისევ განახლდა. თვითონ არტაშან სომეხთა მეფე მდინარე ქსანზე დადგა, ხოლო მისი სპა ზანავთან ციხე-ქალაქს გარს შემოერტყა და თერთმეტი თვე ცდილობდნენ სომეხნი მის აღებას. არსოკ მეფემ გადაწყვიტა სამეფო საგანძურიდან წამოეღო სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა, რომ დასახმარებლად სხვებიც მოეხმო. ეს ამბავი მან ფარსმანს გაანდო. მეორე დილით შემდგომი მეფისა ალყაშემორტყმული ციხე-ქალაქიდან სრულიად შეუმჩნევლად გავიდა და მივიდა დიღმის ველზე. აქედან ის გაემართა ტფილისის ღირღალთა შორის, კლდის ძირს აუყვა და მიადგა იმ გამოქვაბულს, რომელშიც ქართლად მოსვლის დროს მირვან მეფემ სამეფო განძი გადამალა. მისი კარი იყო ამოქოლილი, რომელიც სიძველისგან ადგილ-ადგილ ჩამოშლილიყო. ფარსმანმა ამოიღო ჩუგლუგი, გამოშალა ამოქოლილი კარი, შევიდა გამოქვაბულში და დაინახა მრავალრიცხოვანი განძი – ოქრო და ვერცხლი. მან თანმხლებთა დახმარებით ხუთ ღამეში შეძლო სამეფო განძის გამოკრება და მარჯვე ადგილას დაგულვება. ამის შემდომ სარკინეს დამცველებმა დააცარიელეს და დატოვეს ციხე-ქალაქი, გადაიარეს კავკასიონი და მის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას შეაფარეს თავი. არსოკმა და ფარსმანმა სამეფო განძი ორ ნაწილად გაყვეს და დახმარების საძიებლად სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. არსოკ მეფე წავიდა და გამაგრდა კლარჯეთის ციხე-სიმაგრეებში, რადგან ეს მხარე შეუვალი და მიუდგომელი იყო ტყეებითაც და კლდეებითაც. ხოლო კლარჯეთის მკვიდრები მხნედ და მედგრად მებრძოლები იყვნენ – მხედრებიცა და მკვირცხლნიც (ქვეითები). ფარსმანმა მისი ცოლი, დურძუკთა მეფის ასული, და მათი ძე, სამი ნლის საურმაგ, ნარგზავნა დურძუკეთს. თვითონ დედასა და ორ დასთან ერთად გადავიდა ეგრისში (ქვეყანაში ზღვის ყურისა). ფარსმანმა ეგრისის მთავარს ქარძამს ცოლად მისცა თავისი ერთი და, ხოლო მეორე და – ოვსთა მეფეს. და ასე დაუმოყვრდა მათ. მაშინ მან და ქარძამ ეგრისის მთავარმა მოუხმეს თავიანთ ძალებს, მოეთათბირნენ ოვსებსა და დურძუკებს, რომლებთან ერთადაც მრავალრიცხოვანი სპა შეკრიბეს ეგრისში. შემდეგ ორი სხვადასხვა მიმართულებით გაემართნენ. ქარძამის მეთაურობით გადავიდა ეგრისელთა სპა არსოკ მეფესთან კლარჯეთში, საიდანაც ერთად უტევდნენ სომხეთის საზღვარს, რომ დაებრუნებინათ ტაოს მხარის მიტაცებული მთიანი ნაწილი პარხალი. ისინი ასევე ებრძოდნენ ნუნდელთაც და დემოთელთაც. ქართლის სპა და კავკასიის ჩრდილოეთიდან მოწვეული მებრძოლნი ფარსმანის წინამძღოლობით ლიხის მთის აღმოსავლეთით ნამოვიდნენ და გზადაგზა მედგრად ერკინებოდნენ სომხებს, რომლებმაც ვეღარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და თავიანთი საზღვრისაკენ დაიწიეს. მეორე წელს არსოკ მეფემ ისევ მოუხმო ქარძამსა და მის სპას. ისინი ერთობლივად მიეგებნენ სომხებს არტაანში ჰურის ნაქალაქევთან – ქაჯთა ქალაქთან, სადაც გაიმართა დიდი ბრძოლა. ხოლო ფარსმანმა ხელახლა შეკრიბა ოვსნი და დურძუკნი ჩრდილო კავკასიიდან და აბოცის მთის გზით შეუპოვარი ბრძოლით გადავიდა სომხეთში. მან მედგრად შეუტია მტერს და მუსრს ავლებდა მათ. მაგრამ ამ დროს გაიგო, რომ ციხე-ქალაქ ჰურთან შერკინებისას მოკლეს არსოკ მეფე. ამიტომაც შემობრუნდა და არტაანისკენ გაემართა. აქ ფარსმანის წინამძღოლობითა და ქარძამის თანადგომით შეუპოვარი ბრძოლა გაგრძელდა. მომხდურთა ნანილმა გაქცევით უშველა თავს, დანარჩენები დაატყვევეს. საბოლოოდ, დაზავდნენ და ფარსმანმა დააბრუნა ტყვე სომეხნი, ხოლო არშტაშან სომეხთა მეფემ დაუბრუნა ნუნდა და დემოთის ციხე, ჯავახეთი და არტაანი.. ფარსმანი საბრძოლველად წარემართა საბერძნეთის საზღვრის მისადგომებთანაც ანძიანძორამდე, შემდგომ შემობრუნდა ეკლეციით და მოვიდა კლარჯეთში, საიდანაც თან წამოიღო სამეფო განძის არსოკ მეფის ნაწილი და წამოვიდა სამეფო ქალაქში. ამ დიდი გამარჯვებისათვის უწოდეს მას სპარსულად *ფარსმანავაზ*, ხოლო ქართულად – *ფარნავაზ*. მან ქარძამთან შეთანხმებითა და მისივე თანადგომით ქვეყნის ორივე ნაწილი (მესხეთი და ეგრის-სვანეთი) გააერთიანა და გაამთლიანა, რომელიც ვრცელდებოდა ჩრდილოეთით კავკასიის მთებიდან მოკიდებული, სამხრეთით ვიდრე ორეთის მთამდე, აღმოსავლეთით ჰერეთიდან და მდინარე ბერდუჯიდან, დასავლეთით ვიდრე სპერის ზღამდე და მდინარე ეგრის-ნყლამდე. ეგრის-ნყალს ქვემოთ მდებარე ტერიტორია – ვიდრე კავკასიის დასავლეთ ნანილის მდინარემდე, სადაც სნვდება კავკასიის მთის ნვერი, ბერძნებს დარჩათ. ხოლო აღმოსავლეთით ჰერეთს სპარსნი განაგებდნენ.

ბ. და დადგა მეფედ ფარნავაზ, რომელიც გაერთიანებული ქვეყნის პირველი მეფე იყო. მან დაადგინა რვა ერისთავი და ერთი სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვისის ერისთავად და მას რიონს ზემოთ მისცა მხარე ლიხის მცირე მთიდან, ვიდრე ზღვამდე, სადაც ფარნავაზმა ააშენა ორი ციხე-ქალაქი – შორაპანი და დიმნა. მეორე გაგზავნა კახეთის ერისთავად და მას მისცა მხარეები – კახეთი და კუხეთი. მესამე გაგზავნა ხუნანის ერისთავად და მას მისცა გარდაბანის მხარე. მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერისთავად, რომელსაც ერქვა სანადირო ქალაქი, და მას მისცა გაჩიანის მხარე. მეხუთე გაგზავნა ნუნდის ერისთავად და მას მისცა კლდოვანი მხარეები

– ჯავახეთი, კოლა და არტაანი, ფანავარიდან ვიდრე მტკვრის თავამდე. მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მას მისცა მხარე – სამცხე და აჭარა, ტასისკარიდან არსიანამდე, ნოსტის თავიდან მთამდე. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად და მას მისცა მხარე არსიანიდან ზღვამდე. მერვე ქარძამ დაამტკიცა ეგრისის ერისთავად და მას მისცა ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე, რომელიც არის ეგრისი და სვანეთი. და იქ მან ააშენა ციხე-ქალაქი, რომელსაც ზანარ-ეგრისელთა უნოდეს ციხე-გოჯი (ციხე გორისა – ჯიხან ქვიჯა). ხოლო ერთი დააყენა სპასპეტად და მას მისცა მხარე ქართლის მთიდან და არაგვიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარამდე. ხოლო სპასპეტი იყო შემდგომი მეფისა, რომელიც მთავრობით განაგებდა ერისთავებს. ამ ერისთავების ქვეშევრდომად, ადგილ-ადგილ, გაამწესა ციხისთავები და ათასისთავები, რომელთაგან მოდიოდა ხარკი სამეფო და ხარკი საერისთავო. ფარნავაზმა მოქმნა სამეფო ციხე-ქალაქის ზღუდე წყლის მხრიდან მტკიცედ, ხოლო მტრისაგან მოოხრებული ქართლის სხვა ციხე-ქალაქები ხელახლა აღაშენა. მან შექმნა არმაზის დიდი კერპი, აღმართა ის ქართლის მთის თავზე – კლდის ქიმზე და გამართა დიდი დღესასწაული აქ აღმართული კერპისთვის. ამ ციხე-ქალაქს ეწოდა არმაზი.

ოცდაშვიდი წლისა გამეფდა ფარნავაზ და სამოცდახუთ წლამდე მეფობდა ნებიერად. თავისი მეფობის დღეები მშვიდობით გაატარა, აღაშენა და აღავსო გამთლიანებული ქვეყანა. ის გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს დაჰყოფდა სამეფო ქალაქში, ზამთრის თვეებს – გაჩიანში, ხოლო ზაფხულის თვეებს – ნუნდაში. დროდადრო მიდიოდა ეგრისში და კლარჯეთში და მოიკითხავდა ამ მხარეთა მკვიდრთ. და ასე განაგებდა ერთიან სამეფოს. ფარნავაზმა განავრცო სამცხე-ქართლის ენა სამეფოს დასავლეთ მხარეს (ეგრის-სვანეთში). და იზრახებოდა მესხურ-იბერიული ქართული მთელი სამეფოს ენად. და მანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული. ფარნავაზ მეფის მემკვიდრეს, მის მომდევნო მეფეებს შემდგომ ეწოდათ *ფარნავაზიანები*.

გ. და შემდგომად მეფედ დადგა მისი ძე საურმაგ, რომელმაც არსოკ მეფის ძეს მირვანს, თავისი დედის დისწულს მისცა გაჩიანი და სამშვილდის საერისთაო, ხოლო ქარძამის ძეს არტოკს, თავისი მამის დისწულს – ეგრისის საერისთაო. საურმაგმა შექმნა კერპი აინინა და აღმართა სამეფო გზის პირას. მანვე დაინყო არმაზის აღშენება და განამტკიცა ქართლის სხვა ციხე-სიმაგრეებიც. მაშინ ქართლის ერისთავებმა საურმაგის ნაცვლად მირვანის გამეფება განიზრახეს. იგრძნო ეს საურმაგმა, მოეთათბირა დურძუკთა და ოვსთა მეფებს. მან სთხოვა მათ შემწეობა და ისინიც წამოვიდნენ მის დასახმარებლად. საურმაგმა შეკრიბა და გამოემართა გაერთიანული სპით. მან დაიკავა კახეთი და შიდა ქართლი. მაშინ მირვანმა მოუწოდა და შემოკრიბა ქართლის ერისთავნი მთელი სპით – მხედარნიცა და ქვეითნიც. და შემდგომ გაიმართა ძლიერი ბრძოლა. სძლიეს საურმაგს, ხოლო დურძუკნი და ოვსნი საომარ შერკინებას გაეცალნენ და გაიქცნენ. თავისი სპით მიჰყვა მათ უკან მირვან და კავკასიის მთის გადასასვლელს შეაბა ქვითკირის კარი, რომელსაც უნოდა დარუბალი.

დ. და შემდგომ მეფობდა მირვან. მან შექმნა კერპი დანინა და აღმართა სამეფო გზის ნინ. და მანვე აღაშენა არმაზი. მეფობის დასაბრუნებლად მას შერკინებით სძლია საურმაგის ძემ და ფარნავაზ (ფარსმან ავაზ) მეფის ძისწულმა, რომელიც იყო მამის მამის მოსახელე და მას სპარსულად *ფარსმან ჯუან* (ახალგაზრდა), ხოლო ქართულად *ფარნაჯომ* ეწოდა.

ე. და შემდგომ მეფობდა ფარნაჯომ. მან შექმნა კერპი სახელად ზადენი და აღმართა მთაზე სამეფო გზის მოპირდაპირე მხარეს, სადაც აღაშენა ციხე ზადენი და განაახლა სხვა ციხე-ქალაქების შენება. და მანვე დაიწყო კახეთში ახალი ქალაქის – ნეკრესის შენება. ხოლო ამის შემდგომ ფარნაჯომმა შეიყვარა სპარსთა რჯული – ცეცხლის მსახურება და დაიწყო კერპთა გმობა. მან მოიყვანა სპარსეთიდან ცეცხლისმსახურნი და მოგვნი. იმ ადგილს, სადაც ისინი დასახლდნენ, დაერქვა მოგვთა. ამისთვის განუდგნენ მას ქართლის მკვიდრნი. მაშინ შეითქვნენ ქართლის უმრავლესნი ერისთავნი და ტაშირში შეიკრიბნენ მირვანის ძის არსოკის წინამძღოლობით. ხოლო ფარნაჯომიც მისგან განდგომილთ იქვე, ტაშირში მიეგება. მათ შორის ძლიერი ბრძოლა გაიმართა და არსოკმა სძლია ფარნაჯომს.

ვ. და შემდგომ მეფობდა არსოკ, რომელიც დაეუფლა მთელ ქვეყანას. მან სამეფო ქალაქს ზღუდეები მოაქმნნა და განაახლა ქართლის სხვა ციხე-სიმაგრენი. უმეტესად შემოამტკიცა ციხე-ქალაქ წუნდას ზღუდენი ჯავახეთში. საურმაგმა, ფარნაჯომის ძემ განიზრხა არსოკთან შებრძოლება მეფობის დასაბრუნებლად და სძლია მას.

ზ-ჱ. და შემდგომ მეფობდა საურმაგ. მეფობდა იგი ნებიერად და ამისათვის მეტსახელად მას სპარსულად *ბაჰტომ* ეწოდა. მან სამეფო ქალაქს ახალი ზღუდენი მოაქმნნა და განაგრძო ქართლის ციხე-სიმაგრეთა შენება. მას ჰყავდა ერთი ასული, რომელიც ცოლად მისცა ქარძამს, არტოკის ძეს და ეგრისის მთავრის ქარძამის შთამომავალს. ამის შემდგომ საურმაგ და არტოკ ორ ნელ ოდენ ერთად მეფობდნენ და განაგებდნენ მთელ ქვეყანას – ქართლსა და ეგრისს. საურმაგმა დაიწყო ქალაქ მცხეთის შენება. ხოლო არტოკმა არმაზს შიდა ციხე აღაშენა. მაშინ მძლავრობით გამეფება განიზრახა არსოკის ძემ მირვანმა, რომელიც გამოემართა სამშვილდიდან, შეებრძოლა ბარტომსა და ქარძამს და სძლია მათ. ხოლო არტოკმა ნაიყვანა ეგრისს საურმაგის ასული, სადაც მას უფლისწული შეეძინა, რომელსაც უნოდეს არტოკ.

თ. და შემდგომ მეფობდა მირვან. მან აღაშენა ქალაქი მცხეთა.

ი. და შემდგომ მეფობდა მირვანის ძე არსოკ. მან კახეთის ქალაქი ნეკრესი აღაშენა და კასპს დაეუფლა,

სადაც უფლის-ციხე განაგო. მანვე განამტკიცა ეს სიმაგრე. არტოკ მეფის თანადგომით არტოკმა, მისმა ძისწულმა, საურმაგის ასულისწულმა და ქარძამის ძემ მეფობის დაბრუნება განიზრახა. მან არსოკსა და მის მომხრეთა წინააღმდეგ შებრძოლება გადაწყვიტა. ისინი შეიკრიბნენ თრიალეთში და ერთმანეთის მახლობლად დაიბანაკეს. გაიმართა ბრძოლა და სძლია არტოკმა არსოკს.

ია. და შემდგომ მეფობდა არტოკ. მისცა სომხების მეფემ მას თავისი ასული ცოლად. მან განაახლა ქართლის ციხე-სიმაგრენი და ციხე-ქალაქნი. ხოლო უმეტესად შემოამტკიცა ქალაქ მცხეთის ზღუდენი ნყლის იმიერ და ამიერ. მანვე მთლიანად დაასრულა მცხეთის აღშენება. და შემდგომ ის დაჯდა მცხეთაში. არტოკ ოცდაათი წლის გამეფდა და ორმოცდაჩვიდმეტ წლამდე მეფობდა კეთილად მთელ ქვეყანაში – ქართლსა და ეგრისში. მას ჰყავდა ორი ძე, რომლებსაც ერქვათ სახელად ერთს ქარძამ და მეორეს ბარტომ. მისი მეფობის დროს ჰრომთა მხედართმთავარ პომპეუსს ქართლის დაპყრობა ჰქონდა განზრახული. არტოკმა მასთან მოციქული გაგზავნა და მეგობრობა შესთავაზა. პომპეუსმა ზავის დადება აღუთქვა, მაგრამ შეთანხმების დადებამდე გაიგო, რომ შებრძოლებისთვის ემზადებოდნენ იბერნი. მისი გადაწყვეტილებით გაზაფხულზე მოულოდნელად ჰრომთა ლეგიონნი ქართლში შემოვიდნენ და არმაზის ციხე-სიმაგრეს მოადგნენ. ხოლო იბერებმა არმაზციხე დატოვეს, მტკვრის მეორე მხარეს გადავიდნენ და ხიდი დანვეს, რომ ჰრომთა ლეგიონთა წინსვლა შეეჩერებინათ. პომპეუსი ჯერ არმაზციხეს და შემდგომ მტკვრის მარჯვნივ მთელ მხარეს დაეუფლა. არტოკმა პომპეუსს ზავის დადება შესთავაზა და ხიდი აღადგინა, მაგრამ ჰრომნი მაინც გადავიდნენ მტკვარზე. იბერნი არაგვს მიადგნენ და ეს ხიდიც დაწვეს. იბერთა სპის გარკვეული ნაწილი ხეობას აუყვა და ტყეში განლაგდა, საიდანაც მტერს ისრებს ესროდნენ. ქვეყნის დასაცავად იბრძოდნენ იბერიელი ქალებიც. პომპეუსმა თავის მებრძოლებს ტყე გააჩეხინა და ცეცხლი წაუკიდა. ისინი არაგვზეც გადავიდნენ და სძლიეს იბერთა სპას. არტოკმა ჰრომთა მხედართმთავარს ძღვნად ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროს მაგიდა მიართვა, რის შემდგომ ისევ ზავი შესთავაზა. ქართლის მეფემ პომპეუსის მოთხოვნა გაითვალისწინა, მძევლებად შვილები გაუგზავნა და ზავიც დაიდო, რომლის მიხედვითაც თავის ძეებს გაუყო არტოკმა ქართლის სამეფო. და მეფობა ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს – იმიერ და ამიერ: ქალაქი მცხეთა და შიდა ქართლი, მუხნარის მხარის ქალაქი და მთელი ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, ჰერეთიდან ვიდრე ქართლის და ეგრისის თავამდე – ეს მისცა ქარძამს, თავის ერთ ძეს. ხოლო არმაზის მხარის ქალაქი, მტკვრის სამხრეთი ქართლი, ხუნანიდან ვიდრე მტკვრის თავამდე და მთელი კლარჯეთი მისცა ბარტომს, თავის მეორე ძეს. ქართლი ჰრომთა „მოკავშირედ და მეგობრად" დადგინდა.

იბ-იგ. და შემდგომ მეფობდნენ არტოკის ძენი. ქარძამ მცხეთას განაგებდა და ხოლო არმაზს – ბარტომ. ქართლიდან პომპეუსი ეგრისში გადავიდა, რომელიც ჰრომთა პროვინციას პონტოს შეურთა. მისი გადაწყვეტილებით ეგრისს არისტარქე განაგებდა. ეგრისიდან ის ჯერ სომხეთში და შემდეგ პონტოს სამეფოში ნავიდა. აქედან პომპეუსი სირიისკენ გაემართა, ხოლო სირიიდან დაიძრა პალესტინისაკენ, დაიპყრო იუდეის სამეფო და იგი ჰრომთა პროვინციად გადააქცია. ამ დროს იუდეაში სამეფო ტახტისათვის ერთმანეთს ორი ძმა – ჰირკანი და არისტობულე ებრძოდა. ჰირკანს მხარს უჭერდნენ ფარისეველნი, ხოლო არისტობულეს – სადუკეველნი. პომპეუსი მიემხრო ჰირკანს. ხოლო არისტობულე შეიპყრეს და დაიწყო სადუკეველთა დევნა. დამარცხებული სადუკეველნი, რომელთაც სამშობლოში უკვე აღარ დაედგომებოდათ, იერუსალემიდან მცხეთაშიც მოვიდნენ. დევნილნი ჰურიანი ძველადვე მოსულ თანამოძმეთა გვერდით დასახლდნენ. მაშინ ტიგრან სომეხთა მეფემ შეკრიბა სპა და მისცა თავის ძეს, ზარენს და გამოაგზავნა ქართლში საბრძოლველად. ხოლო ქართლის სპა მომხდურ მტერს ჯავახეთის მხარეში მიეგება, სადაც შეებრძოლა მათ, სძლია და გააქცია. ზარენსა და მთელ მის სპას ქართლის მეფეებმა სომხეთის საზღვრამდე სდიეს. მეფის ძე ზარენ შეიპყრო ქარძამ მეფემ იმ ტბის პირას, რომელსაც ერქვა ცელი, საიდანაც ის უკან ნამოიყვანა და შეპყრობილი დარიალანის ციხეში ჩასვა, რომელიც ვეღარ იპოვნეს და ვეღარ დაიხსნეს ტყვეობიდან სომეხთა. მესამე წელს თავისი ძმის ტყვეობიდან დასახსნელად სომეხთა მეფის ორი ძე, არტავაზ და ტირან ნამოვიდა სომხეთის მთელი სპით. მაშინ ქართლის მეფეებმა გაამაგრეს ციხე-ქალაქნი. მოვიდნენ სომეხნი და დადგნენ თრიალეთში. ხოლო ჩადგნენ მათ შორის შუამავალნი. მისცეს შეპყრობილი მეფის ძე და ასე დაზავდნენ.

იდ-იე. და შემდგომ მეფობდნენ: ამიერ ქარძამის ძე, რომელსაც სპარსულად ეწოდა ფარსმან კაოს და იმიერ – ბარტომის ძე, არტოკ.

ივ-იზ. და შემდგომ მეფობდნენ: ამიერ – ქარძამ და იმიერ – საურმაგ. ქარძამ მეფე იყო მხნე მხედარი და მონადირე-ხელოვანი, ასპარეზისა და ცხენებით ნავარდობის ძლიერ მოყვარული. ამისათვის მას სპარსულად ეწოდა მეტსახელი *ამაზასპ*.

იჱ-ით. და შემდგომ მეფობდნენ: ამიერ – ფარსმან და იმიერ – არტოკ. ფარსმანმა სომხეთს გაამეფა არტოკ. პონტოს დიდი მეფის მითრიდატესადმი თაყვანისცემისათვის მას მეტსახელად ეწოდა მისი სახელი, რომელიც ქართულად იყო მირდატ. და მოაკლდა არმაზს სამეფო უფლებანი და მცხეთას ოდენ იყო მეფობა. მირდატის სომხეთში გამეფებამ განარისხა სპარსნი, რომელნიც გამოემართნენ ძლიერი სპით ფარსმანისკენ, რომელმაც შეკრიბა თავისი სპა, შემოიერთა მებრძოლნი სომხეთიდან და მომხდურ მტერს მიეგება რკინის ხევთან. ბრძოლის დროს სპარსთა უფლისწულმა სთხოვა პირისპირ ბრძოლა ფარსმანს. ხოლო ის სიხარულით

აღიჭურვა და გავიდა. ორივემ შეუტიეს ერთმანეთს და დაიწყეს ბრძოლა ხმლით. სძლია მას ფარსმანმა, მობრუნდა თავისი სპის მხარეს და ასე შესძახა მათ: „აჰა, მხნენო მხედარნო და შემმართებელნო ბრძოლისა, ძლეული მტერი!~. მაშინ შეუტიეს ქართველთა და სომეხთა, რომელთაც გააქციეს და დაატყვევეს სპარსნი. მეორე წელს კვლავ მოვიდნენ სპარსნი უძლიერესი სპით და დადგნენ ჯაჭუს. ხოლო ფარსმან ქველმა შეკრიბა თავისი სპა, მხედარნი და ქვეითნი და დადგა მცხეთაში, სამეფო ქალაქში. ფარსმან მეფე თავისი გულის სიფიცხით აღარ მოერიდა მტრის სიმრავლეს, გავიდა განთიადისას და შეუტია მათ. და ფარსმანს კვლავაც მისცა ბედმა სპარსთა ძლევის შესაძლებლობა და მან თავისი სპით გააქცია ისინი. იგი ქართლისა და სომხეთის სპათა წინამძღოლი გახდა. ვეღარ აღუდგებოდა წინ ვერავინ ფარსმან მეფეს – ვერც სპარსნი და ვერც ჰრომნი. ამ გამარჯვებათა გამო დიდად განითქვა ქართლის მეფის სახელი და მას ქართულად ეწოდა *ფახსმან ქვეღი*. მაშინ მიიწვიეს მირდატ მეფე ჰრომთა და დაატყვევეს. რამდენიმე წლის ტყვეობის შემდგომ ის იძულებული გახდა, რომ მათ მხარეს გადასულიყო ფარულად. მირდატ კვლავ დააბრუნეს მეფედ სომხეთში. ფარსმან ქველი მიხვდა ჰრომთა განზრახვას და მან თავისი ძე ქარძამ წარგზავნა სომხეთს. ქარძამმა ფარულად მიიმხრო წარჩინებულნი სომეხნი, სძლია მირდატს და თვითონ გახდა სომხეთის მეფე. მისი სახელის წარმოთქმა უჭირდათ ჰრომთა, რომელთაც მას უწოდეს რადამ, ხოლო სომეხთა – ღადამ. შემდგომ მასვე აუმხედრდნენ წარჩინებულნი სომეხნი და მათგან დევნილი, ქართლს გამოემართა. ქართლში დაბრუნებულ ღადამს ჰრომთა ფარული განზრახვით ეწადა გამეფება, რამაც ძლიერ განარისხა ფარსმან მეფე და მან თავის ძეს სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

კ. და სამ წელ ოდენ მეფობდა ღადამ სომხეთში. მას ჰყავდა ორი ძე – მირდატ და ამაზასპ.

კბ. და შემდგომ მეფობდა მირდატ, ძისწული ფარსმან ქველისა. ახლო ურთიერთობა დაამყარა მან ჰრომთა იმპერატორ ვესპასიანე ფლავიოსთან, რომელმაც იბერთა მეფეს თანადგომა აღუთქვა და სამეფო ქალაქის – მცხეთის ციხე-სიმაგრე განამტკიცა. ხოლო მას ვესპასიანეს პატივის მისაგებად მეტსახელად ეწოდა *ფლავიოს-ღაღე*. ამ სახელით უნყალობა ნვეულობის დროს ვერცხლის ლანგარი მან ბერსუმ პიტიახშს. მირდატ მრავალ წელს განაგებდა თავის სამეფოს.

კა. და შემდგომ მეფობდა ფარსმან, მირდატის ძე. ფარსმანს ჰრომთა იმპერატორმა ადრიანემ, რა დროსაც ის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში იმყოფებოდა, მოციქული აახლა და თავისთან მიიწვია, თან ძვირფასი ძღვენი – საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი კოჰორტა მიართვა. ქართლის მეფემაც მდიდარი ძღვენით გაისტუმრა მოციქული, მაგრამ იმპერატორს არ ეწვია, ამან ადრიანე მეტად განარისხა, რადგან მასთან იმყოფებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყანათა მეფენი, ხოლო ქართლის მეფე ფარსმანი არ წარსდგა მის წინაშე. ადრიანემ ქართლის მეფის მიერ მიძღვნილი ოქროს მოსასხამები არენაზე გამოსულ სამას გლადიატორს ჩააცვა და აბრძოლა ერთმანეთთან, რამაც ფარსმანის გულისწყრომა გამოიწვია. მან გააღო ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელი – არაგვის კარი, რომელსაც სპარსულად ერქვა დარი-ალან, ხოლო ქართულად – „ოვსთა კარი", საიდანაც ოვს-ალანნი წინა აზიას შეუსია. მათ შემოვლეს ალბანეთი, მიდია, სომხეთი და კაპადოკია, რის შემდგომაც ალაფით დატვირთულნი შემობრუნდნენ და გადაიარეს ზღვის კარი – დარუბანდი, რომელიც ითარგმნება – „დახშა კარი~. ფარსმანმა ჰრომთა იმპერატორს ასე გადაუხადა სამაგიერო, რამაც დიდად დაძაბა მათი ურთიერთობა. ადრიანეს შემდგომ ახალი იმპერატორი ანტონინუს პიუსი გახდა. მან სრულად შეცვალა ქართლის მეფისადმი დამოკიდებულება და ეს ურთიერთობაც მნიშვნელოვნად გამოსწორდა. მან გაუდიდა ფარსმანს სამფლობელო, მხოლოდ ქართლის მეფე მიიწვია თავისი ამალით ჰრომთა საიმპერატორო ქალაქში, ნება დართო მას კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეენირა და დაესწრო ფარასმანის, მისი ძისა და სხვა ნარჩინებულ იბერთა საომარ ნვრთნას. ხოლო ცხენზე ამხედრებული იბერთა მეფის ქანდაკება დადგეს ბელონის ტაძარში – მარსის მოედანზე. ის იყო სახელოვანი მეფე და ამისათვის ეწოდა სპარსულად *ხუასხო ფახსმან ვახაზ-ბაკუხ*, ხოლო ქართულად *ხსეფახნუგ*.

კგ-კდ. და შემდგომ მეფობდნენ ...

კე-კვ. და შემდგომ მეფობდმემ ...

კზ-კᲗ. და შემდგომ მეფობდნენ ...

კთ. და შემდგომ მეფობდა ამაზასპ, რომელიც იყო ძლიერი და დიდი, მსგავსი ფარსმან ქველისა. მაშინ გადმოვიდნენ ოვსნი დიდი სპით დვალეთის გზაზე. მაგრამ ვერ იგრძნო ამაზასპ მეფემ ოვსთა გადმოსვლა, ვიდრე მათ მთა არ გადმოიარეს. მოვიდნენ ოვსნი და დადგნენ ლიახვზე. ბრძოლის წინ რვა დღე დაისვენეს და არსად გავიდა მათი მარბიელი მებრძოლნი, რადგან გადმოვიდნენ ქალაქ მცხეთის შესამუსრად. ამაზასპმა მოუწოდა და მოვიდნენ ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა და ერისთავი სამშვილდისა. და შეიკრიბნენ სპასპეტის მხედარნი. დასავლეთის ერისთავთა მოსვლამდე ოვსნი მოვიდნენ ქალაქის ჩრდილოეთით მუხრანის მხრიდან. ხოლო ამაზასპ მეფემ გაავსო ციხე-სიმაგრენი და მცხეთის კარიბჭენი სპით. საომრად ემზადებოდა ოცი ათასი მებრძოლი – ათი ათასი ქვეითი და ათი ათასი მხედარი. ამაზასპმა გაანაწილა ქვეითნი მდინარე არაგვის იქით და აქეთ, კარიბჭეთა სიმაგრეებში. ხოლო მხედრებით გავიდა საფურცლეს, დაიჭირა ზურგად ქალაქი და კარიბჭეთა გარშემო დაყენებული ქვეითნი. თანდათან მოემატნენ საერისთაოებიდან მხედარნი და განიზრახეს თავდასხმა მტერზე. ამაზასპმა განთიადისას შეუტია მომხდურთ,

მათ მეფეს სძლია და გააქცია გადამთიელნი. მეორე წელს მან მოირთო სომეხნი, შეკრიბა მთელი თავისი სპა, გადავიდა ოვსეთში და ვერავინ აღუდგა წინ. მოაოხრა ოვსეთი და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. ამაზასპმა ახლო ურთიერთობა დაამყარა პართიის მეფე შაპურ სასანიანთან, რის შემდეგაც შეუჩნდა სილაღე, შეიყვარა სპარსნი და დაიწყო მოსისხლეობა. მაშინ მას განუდგა დასავლეთის ხუთი ერისთავი: ეგრისის ორი, ერთი ოძრხის, ერთი კლარჯეთისა და ერთი ნუნდის. შეითქვნენ ისინი და განიზრახეს მეფედ ამაზასპის დისნული, სამშვილდის ერისთავი დაესვათ. ისინი მოვიდნენ და შეუერთდნენ განდგომილ ქართლის ერისთავებს. ხოლო გამოემართა ამაზასპ და მოეგება თავისი სპით გუგუთის ხევში. შეებრძოლნენ ერთმანეთს, იძლია ამაზასპ და გაიქცა მისი სპა.

ლ. და შემდგომ მეფობდა ამაზასპის დისწული, სახელად არსოკ, რომელმაც მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ლეგატის ასული, სახელად სეფელია. სეფელიამ მოიტანა თან კერპი, სახელად აფროდიტოს და აღმართა მცხეთის თავზე. არსოკ მეფე თუმცა იყო წარმართი, მაგრამ იყო მოწყალე და გაჭირვებულთა შემწე. რადგან გაგონილი ჰქონდა სახარება ჩვენი უფლის იესო ქრისტესი და ჰქონდა ცოტა რამ ქრისტეს სიყვარული. სწორედ ამისთვის ეწოდა მას სპარსულად რევნიზ, ხოლო ქართულად რევ მართალი. და მეფობდა რევ კეთილად.

ლა. და ამის შემდგომ მეფობდა ბაკურ, ამაზასპის ძე.

ლბ-ლგ. და ამის შემდგომ მეფობდნენ ქართლის სხვადასხვა მხარეს – ბაკურის ძე, მირდატ და რევის ძე, მირვან, რომელსაც მეტსახელად ეწოდა ვაჩე.

ლდ. და შემდგომ მეფობდა მისი ძე, ბაკურ, რომელსაც ეწოდა სპარსულად ვარაზ-ბაკურ, ხოლო ქართულად ასფაგურ. მან აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. მაშინ დაიპყრო სომხეთი სპარსთა მეფემ და შემოვიდა ქართლში. ასფაგურ მეფე ოვსეთში დახმარების საძიებლად წავიდა, რომ სპა შეეკრიბა და გაემაგრებინა ციხე-ქალაქნი. როცა შევიდა ასფაგურ ოვსეთში, მოკვდა იქ. ასფაგურს არ ჰყავდა ძე, არამედ მხოლოდ ერთი ასული. შეიკრიბნენ ქართლის ერისთავნი მაეჟან სპასპეტთან მცხეთაში. მათ ერთად მოითათბირეს, სამშვილდიდან მოიყვანეს ერისთავ რევის ძე და მეფე ვაჩეს ძისნული, შვიდი ნლის მირიანი და დანინდეს ასფაგურ მეფის ასულზე, რომელსაც ერქვა აბეშურა.

ლე. და შემდგომ დადგა განმგებლად რევ, მირიანის მამა. მან შემატა და მოამტკიცა ქართლის ციხე-სიმაგრენი, ხოლო უმეტესად ციხე-ქალაქ ნეკრესის ზღუდენი. როდესაც გახდა თხუთმეტი წლის მირიან, ის დასვეს სამეფო ტახტზე.

ლვ. და შემდგომ მეფობდა მირიან".

ამგვარია, სხვადასხვა მონაცემის გათვალისწინებით ჩვენ მიერ მოაზრებული ტექსტი. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის თვითშეგნების ჩამოყალიბებას წინაქრისტიანულ ხანაში ჩაეყარა საფუძველი, რამაც ადრექრისტიანული ეპოქიდან სახელმნიფოებრივი და საზოგადოებრივი აზროვნების შემდგომი განვითარება განაპირობა.

დამოწმებანი

ქელიძე 1998: ლ. ქელიძე. საისტორიო გადმოცემები ფარსმან ქველზე, კრებული – კლასიკური და თანამედროვე ქართული მნერლობა, თბილისი.

ქელიძე 1999: ვლ. ქელიძე. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება" და უცხოური საისტორიო გადმოცემები, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბილისი.

ქელიძე 2002: ვლ. ქელიძე. ადრეული ხანის ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების ეტაპები, ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერეცია, მოხსნებათა შინაარსები, თბილისი.

ქელიძე 2005: ლ. ქელიძე. ლეონტი მროველმან აღნერა („მეფეთა ცხოვრების" სიუჟეტური ერთიანობა და კომპოზიციური მთლიანობა), კლასიკური და თანამედროვე ქართული მნერლობა, თბილისი.

ქელიძე 2015: ლ. ქელიძე. ძველი ქართული საისტორიო პროზის ადრეული პერიოდი, „ორი თარიღი: პიროვნებისაც, ნიგნისაც", თბილისი.

ქელიძე 2015-2016: ვლ. ქელიძე. ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები, ნაწილი პირველი, ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII, თბილისი.

ქელიძე 2016ა: ვლ. ქელიძე. ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები, ნაწილი მეორე, სჯანი, 17, თბილისი.

ქელიძე 2016ბ: ვლ. ქელიძე. ქართველური იდენტობის ვექტორები (ჩვენი თვითსახელნოდების ნარმომავლობა), „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია", პირველი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ქელიძე 2016გ: ვლ. ქელიძე. ადრეული პერიოდის ქართული (ქართველური) წერილობითი კულტურის ტრადიციები (ნინაანბანური და ანბანური დამნერლობები – საინფორმაციო კომუნიკაციის საშუალებები), კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი.

ჭელიძე 2017 ა: ლ. ჭელიძე. სამეფო სახლის ამბები. ჟურნალი „ცისკარი", № 7, თბილისი.

ჭელიძე 2017 ბ: ლ. ჭელიძე. ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა დინასტიური წარმომავლობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ნყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები". პროგრამა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

THE DYNASTIC BELONGING OF KINGS AND DUKES OF KARTLI (IBERIA) LITERARY MODEL OF THE PRIMARY SOURCE – FROM FICTION TO NON-FICTION

Vladimer Chelidze

According to the data of the Georgian historical writings (anonimous „The Conversion of Kartli" and „The Life of the Kings" by Leonti Mroveli) and foreign (Greek-Roman and Armenian) written sources, it is possible to determine the historical realities of the periods of the complicated epochs of Kartli Kingdom. The historico-literary analysis of separate plots and stories of the topics concerning the kings of Iberia (Kartli) of the early period described in the original historical monuments have made it possible to reveal ideological-literary insertions (literary fiction) in these narrations. On the basis of the mentioned analysis the conjectural model of the whole narrative framework of different episodes of the initial section has been reconstructed. Besides, the detailed study of the various textual differences have resulted in an establishment and more precise definition of the real prototypes (historical persons) of the literary characters. The data resulted from such an anlysis gave us the possibility of representing the literary model of the the primary source (of non-fiction) describing the contemporary historical process in its whole and full form. The episodes arranged and studied in their chronological order unify and bring together the narrative framework that in itself gives the initial section of the historical text its correct and completed sense as well as a coherent and whole composition. Early primary literary model unifies and combines different stories and realities of the contemporary era. Accordingly, the future reconstruction of the literary model of the primary source (the non-fiction) will be also possible through the preservation of chronological principles. Three dynastic branches of kings and dukes are allocated in the restored list of historical persons according to chronological-genealogical sequences. The first branch is represented by the king Mirvan (Arian, Iaredos) and his son Arsok' (Azo[rk'], Azon), whose names are similar to the names of the Dukes of Samshvilde, which indicates to their common dynastic origins. The members of following branch are the subsequent person after king— Saurmag (Samar) and his son Parsman (ParsmanAvaz, Parnavaz), whose names were given to the successors of newly united Georgian state (Samtskhe and Egrisi-Svaneti) the Kartli royal dynasty (Parnavazians) . And the third branch is composed of the successors of Egrisi dukes Kuji— Kardzam (Kartam) and his son Artok'(Arik', Rock', Derok', Artag, Aderk'i). These names became royal names after the dynastic marriage between Parnavazians and the descendants of Egrisi Dukes. These kings also had nicknames – Farsman *avaz*. (Parnavaz), Farsman [*Juan*] (Farnajob, Parnajom), Farsman [*K'aos*] and Farsman *Kveli* (the Valiant). Some of the nicknames later became royal names – Bart'om (Brat'man), Amazasp', Mirdat', Rev *Martali* (the Righteous, Rev[niz]), Vache, Varaz-Bakur (aspagur) and others. Presumably, after the reign of Mirvani's son Arsok', the royal throne was acquainted by the subsequent person after king Pharsman Avaz (Parnavaz). The confrontation between the representatives of mentioned two dynasties (Parnavazians and Dukes of Samshvilde), based on a real foreign threat, was followed by the Royal intermarriage between the descendants (Abeshura and Mirian) of the throne seekers. After detailed study and integrated research chronological-genealogical structure of Georgian kings acquire following form:

Mirvan (Arian, Iaredos)	Saurmag (Samar)	
1. Arso k' (Azo[rk'], Azon)	2. Parsman Avaz (Parnavaz)	Kardzam (Kuji)
3. Mirvan	4. Saurmag	Artok'
5. Arsok'	6. Farsman [*Juan*] (Farnajob, Parnajom)	Kardzam
7. Mirvan	8. Saurmag Bart'om (Brat'man)	Artok'
	Daughter of Bart'om –	Kardzam (Kartam)
9, Arsok	10. Artok' (Artag, Arthoces)	
	11-12. Kardzam (Kartam) – Bart'om (Brat'man)	
	13-14. Farsman K'aos – Artok'	
	15-16. Kardzam Amazasp' – Saurmag (Amazaer)	
	17-18. Parsman the Valiant – Artok' Mirdat'	
	19. Kardzam (G'adam, Radamistus) and his wife Zenobia	
	20. Mirdat' (ΦΛ˘ ΔΑΔΗΣ) and Amazasp', Brother of Mirdat'	

21. Farsman (Khuasro Parsman Varaz-Bakur, Khsefarnug)

22.	23. ... .
24.	25. ... .
26.	27. ... .
28. Amazasp'	29. ... – Sister of Amazasp'
30. Bakur	31. Arso k' (Rev the Righteous)
32. Mirdat'	33. Mirvan Vache
34. Varaz-Bakur (aspagur)	35. Rev
Abeshura –	36. Mirian (Mirvan, Meribanes)

These renderings show that the national unity and territorial integrity of the Georgian state and the idea was due to public opinion, which, in turn, laid the foundation in the early period of the literary process correctly and in a purposeful manner.

ფრანკი მოქარავნეები საქართველოში. მეთერთმეტე საუკუნე

ნიკა ხოფერია

XI საუკუნის დასანყისიდან დასავლეთ ევროპელი მოქირავნე მეომრები ბიზანტიის ჯარის მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ. ისინი ემსახურებოდნენ იმპერატორებს, მონაწილეობდნენ ბიზანტიურ სამხედრო კამპანიებში. ხშირად მათი აჯანყებები საფრთხესაც კი უქმნიდა იმპერიას (რიჩარდი 1952: 171). მოქირავნე ფრანკების გამოყენება აღმოსავლეთში სხვა ქრისტიანულმა და ისლამურმა სახელმწიფოებმაც დაიწყეს, მათ შორის, საქართველომაც. განსაკუთრებით ცნობილია 1121 წელს, დიდგორის ბრძოლაში, ფრანკების მონაწილეობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევა XI საუკუნის საქართველოს ისტორიაშიც შეიძლება მოვიძიოთ.

ვინ იყვნენ „ფრანკები" ბიზანტიელებისა და ქართველებისთვის?

ტერმინი „ფრანკი" და თავად ფრანკები (ე.ი. ზოგადად დასავლეთ ევროპელები), აღმოსავლურმა სამყარომ ჯვაროსნების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე გაიცნო, როდესაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან წამოსულმა მოქირავნე მეომრებმა X საუკუნის მიწურულიდან მასიურად დაიწყეს მოზღვავება აღმოსავლეთის ქვეყნებში. ასეთი ფრანკებით („ფრანგებით"), რომელთაც არავითარი კავშირი არ გააჩნდათ არც ჯვაროსნულ მოძრაობასთან და არც ჯვაროსანთა სახელმნიფოებთან და მხოლოდ ქვეყნიდან ქვეყანაში მოსიარულე, იღბლისა და სამხედრო სამსახურის მაძიებელ, ჩვეულებრივ მოქირავნეებს წარმოადგენდნენ, სავსე აღმოჩნდა მთელი რიგი ქვეყნები, პირველ რიგში – ბიზანტია (მარგიშვილი 2006: 111). მუსლიმთა და ბერძენთა თვალში, XI საუკუნის დასავლეთ ევროპელები იყვნენ ხმაურიანი, გაუთლელი ბარბაროსები, რომელთაც მხოლოდ ბრძოლა და იარაღის დამზადება შეეძლოთ (კინი 1999: 59). XI საუკუნემდე სახელი „ფრანკის" მნიშვნელობა და კუთვნილება გარკვეულწილად იცვლებოდა ბიზანტიელთათვის. VIII-IX საუკუნეებში, როდესაც პიპინ მოკლე და კარლოს დიდი ფრანკთა ძლიერ იმპერიას ქმნიდნენ, ბიზანტიელები მათ ფრანკებად იხსენიებდნენ, თუმცა ზოგადად მიიჩნევდნენ, რომ ფრანკი და გერმანელი ერთი და იგივე იყო. X საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენეტი ფრანკებს გამოყოფს „უცხო ტომთაგან": მანამდე კონსტანტინე დიდის რეგულაციის მიხედვით, რომის იმპერატორებსა და უცხოელებს შორის ქორწინებები იკრძალებოდა, ახლა კი ფრანკები გამონაკლისის სახით დაუშვეს, როგორც რომაელებთან რეგულარულ ურთიერთობაში მყოფი ხალხი. კონსტანტინე პორფიროგენეტის თვალსაწიერში ფრანკები არამხოლოდ ყოფილი გალიის საზღვრებს მიღმა მცხოვრები ტომია, არამედ კონკრეტული ხალხია, რომელიც ალპების როგორც ჩრდილოეთით ცხოვრობს, ისე შეიძლება, ჩრდილოეთ იტალიაშიც (კაჟდანი 2001: 89). XI საუკუნეში იოანე სკილიცე არდუინ მილანელს და მის ხუთას ფრანკ მეომარს, რომლებიც ბიზანტიელი სარდლის გიორგი მანიაკეს ლაშქართან ერთად იბრძოდნენ სიცილიაში, ტრანსალპელ გალებად მოიხსენიებს, მაგრამ იტალიური წყაროებიდან ჩანს, რომ ისინი ნორმანები არიან. სხვა მონაკვეთებშიც, სკილიცესთან სახელნოდება „ფრანკი" სამხრეთ იტალიელი ნორმანების აღსანიშნავად გამოიყენება. ანა კომნენე იყენებს „ფრანკებსაც" და „ლათინებსაც". ასევე გამოყოფს „ჩვენს ფრანკებს" ანუ ბიზანტიელებისთვის უფრო ნაცნობებს, რომლებთან ერთადაც ბრძოლის გამოცდილებაც ჰქონდათ (კაჟდანი 2001: 90-91).[1] დასავლეთ ევროპელები, ზოგადად, ბიზანტიური გავლენით, ფრანკებად ან ფრანგებად მოიხსენიებიან ქართულ წყაროებშიც. მაგალითად, „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია" (ქართლის ცხოვრება 2008: 309) – წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. „ფრანგნი და ბერძენნი ზღუასა შინა მყოფნი მენავენი ნიავკეთილობათა შინ(ა) თამარის ქებათა იტყოდიან" (ქართლის ცხოვრება 2008: 518) – აღნიშნავს ბასილი ეზოსმოძღვარი. ეს დასახელებები გვხვდება სხვა ცნობებშიც. „ფრანგებს" ქართველები მაშინ და შემდეგაც, დიდი ხნის მანძილზე, ევროპელებს ეძახდნენ (მესხია 2016: 152-153). ქართველი მემატიანეები ერთმანეთში არასდროს ურევენ „ვარანგებს" და „ფრანკებს". ვარანგები ქართულ წყაროში მხოლოდ ერთხელ იხსენიება „მატიანე ქართლისაში" და ის, რომ მათში ნამდვილად ვარანგები იგულისხმებიან, ფაქტობრივად, ეჭვს არ ინვევს.[2] ამავე დროს, ქართულ წყაროებში არ გვაქვს ცნობა ბაგრატ IV-ს სამსახურში ფრანკი მოქირავნეების შესახებ. შუა საუკუნეების ქართველი მემატიანეებისთვის ასეთი დეტალების ყურადღების მიღმა დატოვება არცთუ იშვიათი მოვლენაა. ამის მაგალითია თუნდაც დიდგორის ბრძოლა, რომელშიც ფრანკთა მონაწილეობის შესახებ მხოლოდ უცხოური წყაროებიდან ვიტყობთ (გოტიე ანტიოქიელი, მათეოს ურჰაეცი).

მოქირავნე ჯარი შუა საუკუნეების ევროპასა და ბიზანტიაში

მოქირავნეები ეწოდებათ მეომრებს, რომლებიც იბრძვიან არა ნაციონალური თუ პოლიტიკური მიზნებისთვის ან სამხედრო ვალდებულებისთვის, არამედ პირადი სარგებლის მისაღებად. სამხედრო სამსახურის ეს ტიპი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან არსებობდა, „მაგრამ მოქირავნეებზე ყოველთვის ცოტა იწერებოდა, მათი როლი ხშირად იყო მივიწყებული" (ფრანსი 2008: 1). მოქირავნე ჯარისკაცებს იყენებდა რომის იმპერიაც, განსაკუთრებით გვიანდელი იმპერიის დროს, როდესაც რომაელები ხშირად ქირაობდნენ რაზმებს იმავე ბარბაროსებისგან, რომლებთანაც უნევდათ ხანგრძლივი ომების ნარმოება.

მოქირავნეთა ერთგულება შუა საუკუნეებში მყიფე იყო და დამოკიდებული გახლდათ რეგულარულ ჯამაგირზე, განსაკუთრებულ სარგებელზე, ასევე ომში ცოცხლად გადარჩენის შანსებზეც. შუა საუკუნეებში გამოკვეთილად ჩანს სხვაობა თავისუფალი რაზმების თავგადასავლების მაძიებლებსა და სასახლის რაინდებს ან ხანგრძლივ სამსახურში მყოფ გვარდიებს შორის. ხანგრძლივი სამსახური ამყარებდა მოქირავნესა და დამქირავებელს შორის ურთიერთობას და ისეთივე მტკიცეს ხდიდა, როგორიც ვასალსა და ლორდს შორის კავშირი იყო (კინი 1999: 210). შუა საუკუნეების სარაინდო რომანები წარმოგვიდგენენ რაინდებს, რომლებიც ქვეყნიერების გარშემო მოგზაურობენ, იბრძვიან ნებისმიერი შესაძლებლობისას, მიუხედავად იმისა, არსებობს საამისოდ მიზეზი თუ არა (რიჩარდი 1952: 172). მოქირავნეები იყენენ ამაყები, მკვეხარები და ყოველთვის უკმაყოფილოები თავიანთი ჯამაგირით. ასევე მიდრეკილები ამბოხებისკენ (რიჩარდი 1952: 173).

ბიზანტიის სამხედრო ისტორიაში მოქირავნე ჯარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იმპერია გვიანანტიკური ხანიდანვე იყო დამოკიდებული დაქირავებულ ჰუნებზე, ავარებზე, ჰაჭანიკებზე; სკანდინავიელებსა და სლავებზე, ნორმანებზე, ანგლო-საქსებსა და სხვა ევროპელ ხალხებზე. უფრო გვიან იტალიელებსა და თურქებზეც. დროთა განმავლობაში უცხოელი მოქირავნეები, განსაკუთრებით სკანდინავიელები, რომელთაც ბიზანტიაში ვარანგებს უწოდებდნენ, იმპერატორის დაცვის განუყოფელ ნაწილად იქცნენ და მათგან ჩამოყალიბდა მძლავრი, ელიტური სამხედრო შენაერთი – *Tágma tón Varángōn* – ვარანგთა გვარდია. ვარანგების პარალელურად, ოდნავ უფრო გვიან, დაიწყეს ფრანკების დაქირავებაც.

> დასავლეთ ევროპის არისტოკრატული ნაწილი უფრო აგრესიული საზოგადოება გახდა, რომელშიც რაინდებმა და მათმა მსახურებმა, მშვილდოსნებმა და მეარბალეტეებმა უკან მოიტოვეს საკუთარ სამფლობელოთა საზღვრები და დაიძრნენ აღმოსავლეთით სლავებისკენ, იერუსალიმისკენ, სამხრეთით, ბერძნული და მუსლიმური სამხრეთ იტალიისკენ, ჩრდილოეთით და დასავლეთით ინგლისისკენ, უელსისკენ და ირლანდიისკენ (კინი 1999: 59).

როგორც სოსო მარგიშვილი აღნიშნავს, XI საუკუნეში, ნორმანები წარმოადგენდნენ ეთნიკური ნიშნით გაერთიანებულ ერთგვარ რაინდულ კასტას, რომლებიც, როგორც ვიკინგების შთამომავლები, არ ითქვიფებოდნენ სხვა ევროპელებში, მათ ჰქონდათ გამორჩეული ფსიქოლოგია, რომელიც სამხედრო გამარჯვებების თითქმის ერთსაუკუნოვან უწყვეტ ციკლზე იყო დაფუძნებული. მცირერიცხოვან ნორმანთა მიერ ინგლისის, სამხრეთ იტალიის და სიცილიის დაპყრობებმა, წარმატებულმა შეტევებმა ბიზანტიის იმპერიაზე და შემდგომში ანტიოქიის სამთავროს შექმნამ, ჩამოაყალიბა ნორმანი რაინდისა და ძლევამოსილი მეომრის გამოკვეთილი ტიპი, რომელიც სამხედრო გამარჯვებების სნრაფვითა და დამარცხებასთან შეუგუებლობის ნიშნით ხასიათდებოდა (მარგიშვილი 2006: 130). სნორედ მათი სიმამაცისა და ბრძოლისუნარიანობის გამო ფასობდნენ ისინი განსაკუთრებულად აღმოსავლეთში. მათი ხასიათი, თავდაჯერებულობა, სიმამაცე და ბრძოლისუნარიანობა კარგად ჩანს სიმონ დე სან-კვენტინის (XIII ს.) ცნობებშიც: „ერთმა იტალიელმა, პიაჩენცადან, მცირე აზიაში, ერზინჯანში არეულობისას თურქი მოკლა და ჩამოხრჩობა მიესაჯა, მისი 700 თანამებრძოლი თავდასხმით დაემუქრა რამდენჯერმე მრავალრიცხოვან თურქებს მათ გარშემო, რის შემდეგაც მკვლელს დანაშაული შეუნდეს"; ერზინჯანში მონღოლებმა ტყვედ იგდეს ორი ფრანკი – გულიელმო ბრინდიზელი და რაიმონდ გასკონელი და გადანყვეტილი ჰქონდათ მათი ორთაბრძოლა მოეწყოთ, მაგრამ ტყვე რაინდებმა ერთმანეთთან ბრძოლის ნაცვლად, მაყურებლებს შეუტიეს და თხუთმეტზე მეტი კაცი შეიწირეს (რიჩარდი 1952: 173).

მოქირავნე ჯარი შუა საუკუნეების საქართველოში

მოქირავნეობის ტრადიცია ანტიკური ხანიდან არსებობდა საქართველოში. შუა საუკუნეებში მოქირავნე ჯარი, ფაქტობრივად, ქართული ლაშქრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ქველი ჩხატარაიშვილი აღნიშნავს, სელჩუკების გასადევნად და იმ დიდი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც XI საუკუნის მიწურულს წინა აზიაში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ საქართველოს წინაშე დააყენა, ქართული ლაშქარი საკმარისი აღარ იყო. საჭირო გახდა დამხმარე სამხედრო ძალების გამონახვა (ჩხატარაიშვილი 1966: 162). მოქირავნე ჯარს საქართველოში „როქის სპა" ეწოდებოდა. „როგა" (როქა) ბერძნული ტერმინია და ქართულად

ნიშნავს „ქირას", „ჯამაგირს" (გოგოლაძე 2015: 41-42). სხვადასხვა დროს ქართული არმიის რიგებში ვხედავთ დაქირავებულ ვარანგებს (ვიკინგებს), ფრანკებს, მუსლიმებს, მაგრამ უმთავრესად მოქირავნეები – ალანები ყივჩაღები, ჩერქეზები, ლეკები – ჩრდილო კავკასიიდან გადმოჰყავდათ, რომელიც საქართველოსთვის ასეთი რაზმების ტრადიციული წყარო იყო (ნურწუმია 2016: 78). ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ფართოდ არის გააზრებული ვარანგი მოქირავნეების მონაწილეობა XI საუკუნის შუა ხანებში, ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს შორის მიმდინარე ომში. ზოგიერთი ავტორი 1121 წელს, დიდგორის ბრძოლის მონაწილე ფრანკებსაც კი ვარანგებად მიიჩნევს. ეს მოსაზრება საფუძვლიანად და დასაშვებად მიიჩნია ქველი ჩხატარაიშვილმა, რადგან ის თვლიდა, რომ 1119 წელს მუსლიმებთან განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ და ასევე, ფაქტობრივად, საკომუნიკაციო გზების არარსებობის გამო, ჯვაროსნები ვერ შეძლებდნენ დამხმარე ჯარის გამოგზავნას (ჩხატარაიშვილი 1966: 178-179). დიდგორის ბრძოლაში ფრანკების მონაწილეობის თაობაზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი მოსაზრება არსებობს: 1. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებით, დავითის ლაშქარში მყოფი 100 თუ 200 ფრანკი, ჯვაროსანი მოკავშირე იყო და არა მოქირავნე (მესხია 1972/2016; თინიკაშვილი, კაზარიანი 2014; გოგოლაძე 2015 და სხვ.); 2. დიდგორის ბრძოლის მონაწილე ფრანკები იყვნენ მოქირავნე მეომრები (მარგიშვილი 2006). მარგიშვილის მოსაზრებას განიხილავენ დავით თინიკაშვილი და იოანე კაზარიანი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ იმ დროს ტერმინი ჯვაროსანი არ არსებობდა და ფრანკში იგულისხმებოდა ყველა ლათინი ახლო აღმოსავლეთში, ასე რომ მარგიშვილის ახსნა რომ ისინი ფრანკი მოქირავნეები იყვნენ და არა ჯვაროსნები, უადგილოა (თინიკაშვილი, კაზარიანი 2014: 10). ჩემი აზრით, აქ საკითხი არ არის მთლად სწორად შეფასებული. ვინაიდან მარგიშვილი სხვა პრობლემის ახსნას ცდილობს: რომ დავითის სამსახურში მყოფი ფრანკები იყვნენ მოქირავნეები, ჯამაგირზე დამოკიდებული მეომრები და არა დასახმარებლად მოსული მოკავშირეები და ეს პრაქტიკა გავრცელებული იყო თანადროული პერიოდის ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთში. ვფიქრობ, საქართველოში ფრანკთა დაქირავების პირველი შემთხვევა, რომელიც ისტორიულ წყაროებში დაფიქსირდა და რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, კიდევ უფრო განამტკიცებს დიდგორის ბრძოლაში ფრანკი მოქირავნეების მონაწილეობის ფაქტს.

ფრანკი მოქირავნეები XI საუკუნის ქართულ ლაშქარში

XII საუკუნის მუსლიმი მემატიანე, „სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის" („აქბარ ალ-დავლა ალ-სალჯუქია") ავტორი, სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი, საინტერესო ცნობას გვაწვდის საქართველოში სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის ლაშქრობის (1068 წელი), ბაგრატ IV-სა და კახეთის მეფის აღსართანის შესახებ. ნოდარ შენგელიას მიერ ალ-ჰუსაინის თხზულების თურქულენოვანი ვარიანტის ქართულ თარგმანში წერია, რომ 460 წელს, მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ ბარდას „მუსლიმთა ერთ-ერთ ქვეყანათაგანს" შეუტია, სულთანმა საპასუხო ლაშქრობა მოაწყო „აფხაზთა ქვეყანაზე". „აფხაზთა ჯარი შედგებოდა რუმთა ქვეყნების მამაცი ადამიანებისაგან. ესენი ეფრენჩის და შექის მცხოვრებლები იყვნენ. შექი ერთი ნაჰიეა და მისი მელიქი აღსართანი იყო"... ეფრენჩის, იგივე შექის მელიქი ეს აღსართანი მრავალი ცხენოსნით მოვიდა და სულთნის სასახლის წინ დადგა" (შენგელია 1976: 192). კომენტარში, მთარგმნელი აღნიშნავს, რომ „ეფრენჩი" აღმოსავლურ წყაროებში ევროპელს ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, კონტექსტის მიხედვით, „ეფრენჩი" და „შექი" ერთმანეთის სინონიმებია (შენგელია 1976: 195). ალ-ჰუსაინის თხზულების ამ ფრაგმენტის თარგმანს აღმოსავლეთმცოდნეები ზია ბუნიათოვი და ვლადიმირ მინორსკი მცირედი განსხვავებით გვაძლევენ. ზია ბუნიათოვის თარგმანის მიხედვით: „ყველაზე მამაცები რუმელი მებრძოლებიდან [იყვნენ] ფრანკები (ал-фараидж) და ქვეითი მეომრები შაქიდან" (ბუნიათოვი 1980: 54). კომენტარებში კი შედარებით განსხვავებულ ვერსიას გვაძლევს: „ფრანკები რუმის ქვეყნიდან" (ბუნიათოვი 1980: 192). მინორსკი: „ქრისტიანთა არმია შედგებოდა „ვაჟკაცებისგან რუმიდან რომლებიც არიან ფრანკები (Franj) და ხალხი შაქიდან, რომელთა მეფე იყო აღსართანი"... „ალფ-არსლანი მივიდა დედაქალაქში აღსართანისა „ფრანკთა ანუ შაქის მეფისა"(მინორსკი 1953: 65). მინორსკის ინგლისური თარგმანი ერთ შემთხვევაში ბუნიათოვის რუსულ თარგმანს ემთხვევა, მეორე შემთხვევაში – ქართულს. მინორსკის მიხედვით, შაქი კახეთს ნიშნავს, რუმი – მათ ბერძნულ აღმსარებლობას. ასევე, არ გამორიცხავს, რომ ამ ფრაგმენტში შეიძლება გრაფიკულ აღრევასთან გვქონდეს საქმე და ამ შემთხვევაში „ფრანკების" „ქურჯებად" აღდგენა უფრო გამართლებული ჩანს (მინორსკი 1953: 65). კიდევ ერთ თარგმანში, რომელიც ინგლისელ აღმოსავლეთმცოდნეს, კლიფორდ ბოსვორთს ეკუთვნის, ეს ეპიზოდი შემდეგნაირად არის მოცემული: „აფხაზთა მეფის ჯარი შედგებოდა უმამაცესი მეომრებისგან რუმის მინიდან (რომელთაც ეწოდებათ Faranj) და შაქელებისგან... მეფე ფრანკებისა, რომელიც არის მეფე შაქისა, აღსართანი, მოვიდა სულთნის კარზე..."(ბოსვორთი 2011). ბოსვორთის თარგმანში, ისევე, როგორც მინორსკისთან, რუმის ქვეყნის მეომრებად ფრანკები არიან მოხსენებულები, შაქელები კი მათ შემდეგ ცალკე წერია, შენგელიას და ბუნიათოვის თარგმანში კი რუმის ქვეყნის მეომრებში ითვლებიან ფრანკებიც და შაქელებიც. ფრანკებისა და შაქელების მეფედ, მბრძანებლად ჩანს აღსართანი ყველა თარგმანში.

ალ-ჰუსაინის დასახელებული „ალ-ფარანჯის" განმარტებისთვის, ზია ბუნიათოვი წერს: „ჩვენი ავტორი სავარაუდოდ მიუთითებს 3 ათას მეომარ ვარიაგზე (ვარანგზე), რომლებიც ქართველთა (აფხაზთა) მეფის ბაგრატ IV-ს სამსახურში იმყოფებოდნენ" (ბუნიათოვი 1980: 192). ამ მოსაზრებას ეთანხმება მინორსკიც და თვლის, რომ თუ აქ გრაფიკულ აღრევასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ ეს სიტყვა შეიძლება გულისხმობდეს არა ფრანკებს, არამედ ვარანგებს, ვინაიდან მათ შეეძლოთ სამსახური გაეწიათ აღსართანისთვისაც, ისევე როგორც 3 ათასმა ვარანგმა სამსახური გაუწია მეფე ბაგრატ IV-ს (მინორსკი 1953: 65). მინორსკის კომენტარს ეყრდნობა კლიფორდ ბოსვორთიც (ბოსვორთი 2011). იგივე თვალსაზრისი გაზიარებულია ისტორიკოს ვასილ მოსიაშვილის დისერტაციაში, რომელიც საქართველოში თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებს ეხება (მოსიაშვილი 2012: 145-146). ტექსტში მოცემული „ფრანკების" „ვარანგებად" მიჩნევის კიდევ ერთი მაგალითი XI საუკუნის სომეხი ავტორის არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორიაში" მოცემული ცნობაა, რომელშიც 1054 წელს, ხალდიაში, სპერში, ბაბერდის ციხესთან მომხდარი ბრძოლაა აღწერილი: „[მტრები] შეიჭრნენ ტაოში, დაიპყრეს მთელი ქვეყანა, მივიდნენ მდინარე ყორრხამდე, გადალახეს იგი, უკან მობრუნდნენ და წავიდნენ ქალდიის ქვეყანაში. მათ ხელთ იგდეს ქვეყნის ტყვე და ნადავლი, უკან მობრუნდნენ და მოვიდნენ ბაბერდის ციხე-ქალაქამდე. იქ მათ შეხვდა ჰორომთა ჯარის ერთი გუნდი, რომელიც ვარიაგებად ინოდებოდა; ისინი შეებრძოლნენ მტრებს. ღვთის წყალობით ჰორომთა ჯარებმა დაამარცხეს მტრები და მათი სარდალი მრავალ სხვა [მებრძოლთან] ერთად მოკლეს... (ლასტივერტეცი 1974: 89-90). ქართულ თარგმანში, რომელიც ე. ცაგარეიშვილს ეკუთვნის, გათვალისწინებულია კ. იუზბაშიანის სტატია, რომელშიც ის, არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულების ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით, რომელშიც ფრანკის ნაცვლად „ვრანგ" იკითხება (სხვა ხელნაწერებში ყველგან „ფრანკები" არიან მოხსნიებულები), ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში სწორი იქნება თუ „ჰორომთა (ბიზანტიელთა) ჯარის ერთ გუნდში" ვარანგებს ვიგულისხმებთ და არა ფრანკებს. იუზბაშიანი ითვალისწინებს ს. ერემიანის მოსაზრებასაც, რომელიც დიდგორის ბრძოლის (1121 წელი) შესახებ მათეოს ურჰაეცის თხზულების ხელნაწერს აანალიზებს და თვლის, რომ დავით IV-ს ვარანგები უნდა ჰყოლოდა და არა ფრანკები (ერემიანი 1946: 390). იუზბაშიანი მიიჩნევს, რომ არისტაკეს ლასტივერტეცის მიერ აღწერილი ბრძოლა ბაბერდის ციხესთან, იგივე უნდა იყოს, რაც იოანე სკილიცესა და გიორგი კედრენეს დასახელებული მიხაელ აკოლუთოსისI3 გალაშქრება თურქების წინააღმდეგ, რომელშიც ბიზანტიელებმა მოქირავნე ფრანკები და ვარანგები გამოიყენეს (იუზბაშიანი 1959: 15-16; სკილიცე 2010: 442; კედრენე 1963: 81).

ერემიანის მოსაზრება ნაკლებადაა გაზიარებული ისტორიოგრაფიაში, ჩვენ მიერ ხსენებული ავტორებიდან (მესხია, მარგიშვილი და სხვ.), ფაქტობრივად, ყველა იზიარებს დიდგორის ბრძოლაში დავით IV-ს ჯარში ფრანკების და არა ვარანგების ყოფნას. ამას გარდა, მათეოს ურჰაეცი ერთადერთი ავტორი არ არის, ვინც ქართულ ჯარში ფრანკების შესახებ მოგვითხრობს. ამასვე ადასტურებს დავითის მეფობის თანადროული ავტორის, ანტიოქიის კანცლერის, გოტიეს ცნობაც: „მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი (Milites Francigenas) რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემად" (ავალიშვილი 1989: 46-47). რაც შეეხება იუზბაშიანის მოსაზრებას, უფრო მისაღები ჩანს და შეიძლება არისტაკეს ლასტივერტეცთან, მართლაც, ვარანგები იყოს მოხსენიებული და არა ფრანკები. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სომეხი მემატიანის თხზულების ეს მონაკვეთი იმავე ამბავს აღწერს, რომელსაც იოანე სკილიცე (სკილიცე 2010: 442), როდესაც მიხეილ აკოლუთოსის ფრანკულ-ვარანგული ჯარის სელჩუკებთან ბრძოლას აღნიშნავს. ამ შემთხვევაში, ბაბერდის ციხესთან შეტაკებაში, სავარაუდოდ, ფრანკებიც უნდა ყოფილიყვნენ და ვარანგებიც, რომელთაგან სომეხმა ავტორმა ერთ-ერთი დაასახელა, ბიზანტიელმა ავტორმა კი, რომელსაც, ალბათ, მეტი ინფორმაცია ჰქონდა ამ სამხედრო კამპანიაზე, ორივე რაზმი – ფრანკებისაც და ვარანგებისაც.

დავუბრუნდეთ ალ-ჰუსაინის ცნობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ-ჰუსაინის თხზულების თურქული და არაბული ტექსტების ოთხივე თარგმანი – შენგელიას, ბუნიათოვის, მინორსკის და ბოსვორთის, გარკვეულნილად განსხვავებულია. მათგან, შენგელია ფაქტობრივად, დარწმუნებულია, რომ „ეფრენჩი" და „შექი" სინონიმებია. სხვა მთარგმნელები გამოთქვამენ ვერსიებს, რომ „ფარანჯ" შეიძლება იყოს ვარანგი ან, თუ გრაფიკულ აღრევასთან გვაქვს საქმე, როგორც მინორსკი აღნიშნავს, ქართველიც კი იგულისხმებოდეს. მიმაჩნია, რომ ალ-ჰუსაინი არ გულისხმობს არც ვარანგებს, არც ქართველებს. „ფარანჯის" ანუ ფრანკების მოხსენიება ბაგრატ IV-ს ჯარში, როგორც რუმის ქვეყნის ვაჟკაცებად, შემთხვევითი არ უნდა იყოს და არც გრაფიკულ აღრევასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამავე დროს, სხვა ეპიზოდში, აღსართანის მოხსენიება როგორც შაქელების, ისე ფრანკების მეფედ, არ უნდა მიგვანიშნებს პირდაპირ იმაზე, რომ „შაქი და ეფრენჩი" ერთი და იგივეა, როგორც ამას შენგელია წერს. ალ-ჰუსაინი სხვაგანაც მოიხსენიებს ფრანკებს (Faranj) იმავე ფორმით, როდესაც ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ IV დიოგენეს ლაშქარს აღწერს: „სომხები, სპარსელები, პაჭანიკები (al-Bajanak), ოღუზები (al-Ghuzz) და ფრანკები (al-Faranj)" (ბოსვორთი 2011). როგორც ვიცით, რომანოზ IV-ს დაქვემდებარებაში სულ მცირე 500 ფრანკი მოქირავნე იყო, მათ შორის, ცნობილი ფრანკი მეთაური რუსელი (ჰალდონი 2007: 399). ალ-ჰუსაინი აშკარად მათზე მიუთითებს, ვინაიდან მას, როგორც ამ პერიოდის სხვა მუსლიმ ავტორებს, თავისუფლად შეუძლია დასავლეთ ევროპელების ანუ ფრანკების გამიჯვნა სხვა ხალხებისგან (კიონიგი 2015: 189-229), განსაკუთრებით ისლამური სამყაროსთვის ასევე კარგად ცნობილი კავკასიელი ხალხებისგან.

1068 წელს, ბაგრატ IV-ს ლაშქარში ფრანკების მოხვედრა რომ შესაძლებელი იყო, ეს ბიზანტიის იმპერიაში მოქირავნე ფრანკების დისლოკაციიდანაც ჩანს. ფრანკ მეთაურს ჰერვეს, რომელიც XI ს. 50-იან წლებში მოღვაწეობდა, მამული ჰქონდა არმენიაკონის თემში, სადაც ფრანკთა სამხედრო ნაწილები იყო განლაგებული (ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფია4). არმენიაკონის თემი, რომელშიც XI ს. 50-იან წლებში მოქირავნე ფრანკთა რაზმები იყო განლაგებული, მოცავდა აღმოსავლეთ ანატოლიას კაპადოკიიდან შავ ზღვამდე და ევფრატამდე. არმენიაკონის მნიშვნელობას განსაზღვრავდა მისი ზომა და სტრატეგიული მდებარეობა. IX საუკუნეში არმენიაკონი დაყვეს სამ ნაწილად – არმენიაკონად, ხარსიანონად და კაპადოკიად. X საუკუნეში, ხალდია ცალკე თემად გამოეყო. ის მოიცავდა დასავლეთ პონტოურ სანაპიროს, ისევე, როგორც მთებს და ველებს სამხრეთით. დედაქალაქი იყო ამასია (კაჟდანი1991: 177). არმენიაკონის თემი საქართველოს სამეფოს სიახლოვეს მდებარეობდა და ხმელეთზე მათ მხოლოდ ხალდიის თემი აშორებდა. 1053 წელს, მიხაელ აკოლუთოსმა, იბერიასა და ხალდიაში მიმოფანტული ფრანკები შეკრიბა სელჩუკების წინააღმდეგ. სკილიცეს გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ მოვლენებს არისტაკეს ლასტივერტეციც აღწერს, რომელიც ბაბერდის ციხესთან, ხალდიაში ფრანკების ან ვარანგების გამარჯვების შესახებ საუბრობს. ხალდია მოიცავდა პონტოს აღმოსავლეთ ნაწილს, შიდა დაბლობების ჩათვლით; მისი დედაქალაქი იყო ტრაპიზონი. ჰქონდა დიდი სამხედრო და სავაჭრო მნიშვნელობა (კაჟდანი 1991: 405). იბერიის თემი ბიზანტიის იმპერიის უკიდურესად ჩრდილო-აღმოსავლეთ მდებარეობდა. ის ბასილი II-მ შექმნა დავით III კურაპალატის მემკვიდრეობიდან. თავიდან მასში შედიოდა დავითის დომენი, რომელიც გადაჭიმული იყო სამხრეთით, ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივ და ცენტრალურ არმენიაში, სადაც ის მოიცავდა ქალაქ მანასკერტსაც. 1045 წელს შირაკის ბაგრატიდთა სამეფო იბერიის თემის ნაწილი გახდა და ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი ანისი იქცა. სელჩუკებმა ქალაქი 1064 წელს დაიკავეს, მაგრამ 1064/5 წლები, ყარსის ბაგრატიდთა სამეფოც, რომელშიც ტაო, ბასიანი და ყარსი შედიოდა, თემს მიუერთდა, სანამ 1070 წელს, სელჩუკთა შემოტევების შემდეგ, პოლიტიკური რუკიდან საერთოდ არ გაქრა (კაჟდანი 1991: 971). ფრანკი მოქირავნეების მეთაური რობერტ კრეპინი (კრისპინი) 1068-69 წლისთვის კოლონეიაში იყო, სადაც მაუროკასტრონი (იგივე კოლონეია) დაიკავა და ფრანკთა რაზმის ნაწილი იქ დატოვა (ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფია5). კოლონეია, პატარა სამხედრო ოლქი, მოიცავდა ჩრდილოეთ კაპადოკიას, სამხრეთ პონტოს და შედიოდა არმენიაკონის თემში. კონსტანტინე VII პორფიროგენეტის მიხედვით, კოლონეია პატარა თემი იყო, რომელსაც ძლიერი ციხე-ქალაქი კოლონეიას მიხედვით ეწოდა სახელი (კაჟდანი 1991: 1138). არმენიაკონის თემაში მოქმედებდა კიდევ ერთი ფრანკი მეთაური რუსელიც (ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფია6). მათ გარდა, აღმოსავლეთის პროვინციებში იყვნენ ფრანკი მეთაურები რადულფი, ოთონი, რემბო (ბიზანტიური სამყაროს პროსოპოგრაფია,' გრავეტი 2006: 63). როგორც ვხედავთ, 50-70-იან წლებში, ნორმანი მოქირავნეების საკმაოდ მრავალრიცხოვანი შენაერთები არიან ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლურ თემებში, რომლებიც საქართველოს სამეფოს ემეზობლებიან – იბერიასა და ხალდიაში ან სიახლოვეს – არმენიაკონში, კოლონეიაში.

ვინაიდან ალ-ჰუსაინის ცნობაში, ბუნდოვნად არის ნაჩვენები, თუ რომელი ქართველი მეფის, ბაგრატ IV-ს თუ აღსართანის ლაშქარში უნდა ყოფილიყვნენ ფრანკები, ამის განსასაზღვრად ერთ დეტალს შეიძლება მივაქციოთ ყურადღება. ალ-ჰუსაინის ცნობით, 1068 წელს „ბაგრატი ბარდას (ბარდავს) შეესია და იავარჰყო. ბარდა მუსლიმთა ერთ-ერთი ქვეყანათაგანი იყო. თავისი მტკიცე სურვილის მიხედვით, სულთანმა გადაწყვიტა მოეწყო აფხაზთა ქვეყანაზე გალაშქრება“ (შენგელია 1976: 192). როგორც ვიცით, 1064 წელს ალფ-არსლანი უკვე ლაშქრობდა საქართველოზე, 1066 წელს, ბაგრატ IV-მ სულთანს ცოლად თავისი დისწულიც მისცა. 1068 წელს კი, მეფე ხელახლა ჩაება სელჩუკებთან ომში. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ალფ-არსლანი ანატოლიასა და აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეების მოგვარებას შეუდგა, სამხრეთ კავკასიაში კი მისი ქვეშევრდომი, ანისის გამგებელი აბულდასვარი მოქმედებდა (ნარკვევები 1979: 145-146). იმავე 1068 წელს, გაზაფხულზე, ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ IV დიოგენემ სამხედრო კამპანია დაიწყო სელჩუკების წინააღმდეგ. მისი არმია დაიძრა სირიისკენ, მაგრამ სანამ კესარიეას მიაღწევდა, შეიტყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოჭრილ თურქმანთა მარბიელი რაზმების შესახებ. იმპერატორმა არმიის დიდი ნაწილი სებასტიაში დატოვა და თავისი საუკეთესო რაზმებით თურქმანებისკენ დაიძრა. თურქმანებმა უკან დაიხიეს, რის შემდეგაც, რომანოზმა გააგრძელა ლაშქრობა სამხრეთისკენ. საბოლოოდ ეს კამპანია ვერ გამოდგა ბიზანტიელთათვის ნარმატების მომტანი და იმპერატორი იძულებული გახდა უკან დაეხია (ნიკოლი 2013: 15). ვინაიდან ორივე სამხედრო კამპანია – ბაგრატ IV ბარდავზე გალაშქრება და რომანოზ IV დიოგენეს შეტევა სირიის მიმართულებით, თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში ხდება, შესაძლებელია, რომ ბიზანტიის იმპერატორი და საქართველოს მეფე შეთანხმებულები ყოფილიყვნენ, რათა სელჩუკების წინააღმდეგ ერთობლივად ემოქმედათ. ამ შემთხვევაში ბაგრატ IV-ს ლაშქარში ფრანკების გამოჩენა უფრო ადვილად წარმოსადგენია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რომანოზ IV-ს ჯარში ფრანკი მოქირავნეების საკმაოდ მნიშვნელოვანი კონტინგენტი იყო, რომელსაც რობერტ კრეპინი სარდლობდა. ეს რაზმი სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თურქმან მარბიელთა წინააღმდეგ იბრძოდა

(ნიკოლი 2013: 15). ფრანკები როგორც 1068 წლის, ისე შემდგომ კამპანიებში და მანასკერტის ბრძოლაშიც (1071 წ.) ჰყავდათ ბიზანტიელებს. რომანოზ IV-ს მიერ სელჩუკების წინააღმდეგ შეკრებილ სამხედრო ძალებს შორის, ბიზანტიელი ავტორები განსაკუთრებით „ფრანკებისა და ვარანგების" მნიშვნელობას უსვამენ ხაზს (ბლონდალი 2007: 113). ამ სამხედრო ნანილების მნიშვნელობა ჩანს უფრო ადრეული პერიოდის კამპანიებშიც. სკილიცეს გადმოცემით, 1049 წელს, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე IX შეკრიბა მთელი დამხმარე ძალები – ფრანკები და ვარანგები (სკილიცე 2010: 439-440).

საინტერესოა, რომ XI საუკუნეში, ფრანკებსა და ქართველებს, ერთი დროშის ქვეშ ბრძოლის საშუალება არაერთხელ მიეცათ. ქემალ ად-დინის მიხედვით, 1030 წელს, ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III არგიროსის ლაშქარში, რომელიც ალეპოს მირდასიანთა საამიროს ჯარს ებრძოდა, სხვა ხალხებთან ერთად, იყვნენ აფხაზები, ხაზარები და ფრანკებიც (როზენი 1883: 317-318). ასეთი შემთხვევა გვაქვს უფრო გვიანაც: იმპერატორ ალექსი I კომნენოსის ქრისობულაში, რომელიც 1088 წლით თარიღდება, ნახსენებია იმპერატორის ლაშქარში მომსახურე სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მეომრები, მათ შორის, ფრანკები და ქართველები (ბლონდალი 2007: 123).

ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნული ფაქტები, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბაგრატ IV-ს ჯარში და ზოგადად, XI საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს მეფის დროშის ქვეშ ფრანკი მოქირავნეებიც იდგნენ.[8]

ფრანკ მოქირავნეთა რაზმების რიცხოვნობა აღმოსავლეთში

იმის გასასაზღვრად, თუ რამდენი ფრანკი მეომარი შეიძლებოდა ჰყოლოდა ბაგრატ IV-ს 1068 წელს, სელჩუკებთან საომრად, საჭიროა მიმოვიხილოთ XI საუკუნის განმავლობაში მათი რიცხოვნობა ბიზანტიის წინააღმდეგ და ასევე საიმპერიო არმიის რიგებში ბრძოლისას.

1041 წელს, ოლივენტოსთან ბრძოლაში, ბიზანტიელთა ლაშქარი, რომელსაც მიხაელ დოკეიანოსი მეთაურობდა და ვარანგებიც ახლდა ჰარალდ ჰარდრადას სარდლობით, ნორმანი მეთაურის, უილიამ პოტვილის ჯართან ბრძოლაში დამარცხდა. ნორმანთა ჯარში სულ 300 რაინდი და 600 ქვეითი იყო (ბრაუნი 2003: 42). იმავე წელს, მონტემაჯორესთან ბრძოლაში, უილიამ ჰოტვილს და მეორე ნორმან მეთაურს რაინულფს 700 რაინდი ჰყავდა (ჰამბლი 1989: 78). XI ს. 70-იანი წლების დასაწყისში, ფრანკი მოქირავნების რაზმი რუსელის მეთაურობით, 500-მდე მეომრისგან შედგებოდა (ჰალდონი 2007: 399). კალავრიეს ბრძოლაში, 1078 წელს, ნიკიფორე III ბოტანეიატეს ლაშქრის მეთაურს, ალექსი კომნენოსს, აჯანყებული მეთაურის ნიკიფორე ბრიენოსის წინააღმდეგ, რამდენიმე ასეული ფრანკი ჰყავდა (ბირკმაიერი 2002; ტობიასი 1979: 198-200). ამავე დროს, ნიკიფორე ბრიენოსის ძალებში თითქოს 5 ათასიანი ფრანკების შენაერთი იყო, მაგრამ ეს რიცხვი აშკარად ხელოვნურად გაზრდილი ჩანს, რადგან საიმპერიო ჯარებში ამ პერიოდში არასდროს ყოფილა რამდენიმე ასეულზე მეტი ფრანკი მეომარი. 1081 წელს, დირაქიუმის ბრძოლაში, ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ, ნორმანი რობერტ გვისკარის ლაშქარში, მსუბუქი მხედრებისა და ქვეითების გარდა, 1300 რაინდი იყო (ჰალდონი 2007: 421). 1089 წელს, ალექსი კომნენოსს ჯარში 500 ფლამანდიელი მოქირავნე რაინდი ჰყავდა (ჰალდონი 2007: 412). XIII საუკუნეში, მცირე აზიაში თურქებს 700 მოქირავნე ფრანკი ჰყავდათ სამსახურში (რიჩარდი 1952: 173). ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებს, რომლებიც ქართველებისა და ბიზანტიელებისათვის, ჩვეულებრივ, ფრანკები იყვნენ, თურქებთან ბრძოლებში დაახლოებით იგივე რაოდენობის რაინდების გამოყვანა შეეძლოთ – მაგალითად, ანტიოქიის ტბასთან ბრძოლისას – 700, ასკალონთან – 1200, იაფასთან – 200, რამლასთან – 200-260, ათარიბი – 700, ჰაბი – 700, ნაზარეთი – 1100 (მარგიშვილი 2006: 77). რეალისტურად გამოიყურება ფრანკების რაოდენობა დიდგორის ბრძოლაში 1121 წელს და ერთ ან რამდენიმე ასეულს არ აღემატება (მარგიშვილი 2006: 110-114; მესხია 2016: 151-153). შუა საუკუნეების არმიების მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, მძიმედ აღჭურვილი რაინდების თუნდაც ასეული საკმაოდ დიდი ძალა იყო. ამას ადასტურებს ჯვაროსნების მიერ დაარსებული სამეფო-სამთავროების გამარჯვებები მუსლიმებზე მეტად მნირი რესურსებით და ასევე ზემოთ მოყვანილი ცნობები XI საუკუნის ბიზანტიის ლაშქარში მათი რიცხოვნობის შესახებ. ასეთივე რაოდენობით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილები ფრანკები 1068 წელს ბაგრატ IV-ს ლაშქარშიც, დაახლოებით – 100-დან 700 მეომრამდე.

დასკვნა

ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის კვლევისა და შეჯერების შედეგად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ალ-ჰუსაინის ცნობაში მოხსენებული „ფარანჯ" პირდაპირ ფრანკებს უნდა ნიშნავდეს და მიუთითებდეს 1068 წლის ომის დროს, ქართველი მეფის ლაშქარში მყოფ ფრანკ მოქირავნეებზე. ასევე ისიც, რომ ისინი წარმოშობით ნორმანები იყვნენ, რადგან XI საუკუნის ბიზანტიაში, მოქირავნე ფრანკები, უმეტეს შემთხვევაში,

„პარტიების გარკვეული ნაწილი ბუკლეტებს ბეჭდავს, სადაც მოცემულია პარტიის პოზიციები ბევრ საკითხთან მიმართებაში, სწორედ ამის მეშვეობით ხალხი ცდილობს მოცემულ 16 პარტიას შორის საუკეთესო პროგრამა აარჩიოს“. „ხშირად ერთი პარტიის პოსტერი გადაფარულია მეორე პარტიის პოსტერით (ზეგ აქვს გადაკრული)“ (უილიამსი 1918: 255). აქვე ჩამოთვლილია ყველაზე რეიტინგული პარტიები თბილისში (რა თქმა უნდა, მისივე ინტერპრეტაციით): „ნომერი I სოციალ დემოკრატების მენშევიკური ფრთა, სომეხი ფედერალისტები, ბოლშევიკები, რომელთა ამომრჩევლების ძირითად ნანილს შეადგენენ ჯერ კიდევ თბილისში დისლოცირებული რუსული ჯარის ნაწილები“. „... კადეტები, სიონისტების პარტია, რომელმაც არჩევნებში 781 ხმა მიიღო, აგრეთვე პარტია სახელწოდებით სრულიად რუსეთის მუსლიმთა გაერთიანება რომელიც მეცამეტე ნომრად იყო განთესილი არჩევნებში“ (უილიამსი 1918: 256).

საბოლოო ჯამში, მოცემული სტატიის შეფასების კუთხით უნდა ითქვას, რომ ავტორი მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას და ამერიკულ საზოგადოებას და არა მარტო მას (ჟურნალ National Geographic-ს მკითხველი სხვა ქვეყნებშიც ჰყავდა, ძირითადად ევროპაში და კოლონიებში) აცნობს საქართველოს, რომელსაც მისი აქ ყოფნის დროს ჯერ არ ჰქონდა დამოუკიდებლობა გამოცხადებული, მაგრამ დიდი ალბათობით სტატიის დაბეჭდვის დროს მას უნდა ჰქონოდა ინფორმაცია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

National Geographic-ის 1919 წლის ნოემბრის ნომერი

საქართველოს შესახებ კიდევ ერთი სტატია ჟურნალ National Geographic-ში გამოქვეყნდა 1919 წლის ნოემბერში, სტატიის ავტორია მელვილ ჩეთერი, ფოტოების ნაწილი მასვე, ნაწილი კი მეინარდ ოუენ უილიამსს ეკუთვნის. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სტატიის მთავარი ნაწილი ეთმობა სომხებს, მათი გენოციდის ამბებს და ამერიკულ კომიტეტს, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა გაჭირვებაში მყოფ სომეხ ხალხს. როგორც ცნობილია სომეხთა რბევა თურქების მხრიდან მეფის რუსეთის ინსპირირებით XX საუკუნის დასაწყისში ახალ ფაზაში გადავიდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი საქართველოში, კერძოდ, თბილისში სომეხი ლტოლვილების მომრავლებისა.

> 1919-1922 წლებში თურქეთის ჯარისა და სხვა ბანდების მიერ მოეწყო სომეხთა ახალი მასობრივი რბევა აღმოსავლეთ და დასავლეთ სომხეთში, თურქეთის ცენტრალურ პროვინციებში, კილიკიაში, იზმირში და სხვა ადგილებში. თავისი სამკვიდრებლიდან დევნილმა 800 ათასმა სომეხმა თავი შეაფარა კავკასიას, არაბეთის აღმოსავლეთს, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებს. დაახლეობით 350 ათასამდე სომეხი რუსეთის იმპერიაში შემოვიდა, აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში აღმოჩნდა (თეთვაძე 1998: 90).

მელვილ ჩეთერი განსაკუთრებულ ყურადღებას სნორედ სომეხთა საკითხს უთმობს. სტატიის დასაწყისში მოყვანილია თბილისის ფოტო, რომელიც მთაწმინდიდან არის გადაღებული და კარგად მოჩანს თბილისის ძველი უბნების ნაწილი. ფოტოს ავტორია მეინარდ ოუენ უილიამსი, ფოტოს ახლავს კომენტარიც:

> თბილისი, ჭრელი და მხიარული დედაქალაქი ახლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკისა, პლოსკაიას (PLOSKAYA) მაღლობიდან (პლოსკაიას მაღლობში სავარაუდოდ უნდა იგულისხმებიოდეს მთაწმინდის მიმდებარე ტერიტორია,– ჰ.ჯ.), სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ზაფხულის ცხელ დღეებს ატარებს. თბილისი ბევრი ასპექტით არის მაგალითი თანამედროვე დასავლური მეტროპოლიისა. მაგალითად, ქალაქის საქმიან ცენტრში გოლოვინის გამზირზე არის კაფეები, რესტორნები, სამკაულების და ხელოვნების სხვა ნიმუშთა მაღაზიები, აქვეა ოპერის სახლი და მეფისნაცვლის სასახლე (ჩეთერი 1919: 394).

სტატიის ავტორი თხრობას იწყებს ზოგადი ინფორმაციით და ამერიკული წარმოდგენებით კავკასიის და საქართველოს შესახებ. ის წერს, რომ თუ ათ ამერიკელს ჰკითხავთ თუ რა იციან მათ საქართველოს შესახებ, მხოლოდ ერთი თუ შეძლებს მინიმალური ინფორმაციის მოწვდენას თქვენთვის (ჩეთერი 1919: 393). ამის შემდეგ, ავტორი პირდაპირ მოგზაურობის პერიპეტიებს გვიყვება, თუ როგორ მოხვდა ის საქართველოში. ჩეთერი გემზე ოთხდღიანი მოგზაურობის შემდეგ მოხვდა ბათუმში, საიდანაც ის გამოემგზავრა თბილისისკენ და მისი თანამგზავრი იყო ბრიტანელი ჯარისკაცი. აქ ის საინტერესო ფაქტს აღნიშნავს:

> ბევრ ადგილას წითელი დროშა ფრიალებდა, რაც მანიშნებელი იყო იმისა, რომ ჩვენ იმ დროს მოგვინია მოგზაურობა, როდესაც აღინიშნებოდა რუსეთი რევოლუციისა და საქართველოს მეორე დაბადების დღე (ჩეთერი 1919: 396-397).

აქ, შესაძლოა, რომ ჩეთერი 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან ორი წლის აღნიშვნის ცერემონიის მომსწრე იყო.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორი მკითხველთაგან ბევრისთვის უცნობ კავკასიას მათ გასაგებ ენაზე აცნობს და უყვება დეტალურად თუ რა პოლიტიკური სიტუაციაა ადგილზე. მაგალითად: „რევოლუციის შედეგად აქ გაჩდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები: საქართველო, რომელსაც გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე, აზერბაიჯანი, თათრების სახელმწიფო, რომელსაც კასპიის ზღვაზე აქვს გასასვლელი და სომხეთი, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს“ (ჩეთერი 1919: 396-397).

ერთ-ერთ თავში ავტორი საუბრობს ტრანსკავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სადაც ის აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუციის შემდეგ აქ სამი რესპუბლიკა აღმოცენდა: სომხეთი, საქართველო და თათრული სახელმწიფო აზერბაიჯანი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს სამი ხალხი ერთ სახელმწიფოდ არსებობდა (ავტორი აქ ამიერკავკასიის კომისარიატს და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკას გულისხმობს,–ჰ.ჯ.), რომელსაც ისინი „ტრანსკავკასიის კომისარიატს“ (ამიერკავკასიის კომისარიატი,– ჰ.ჯ.) ეძახდნენ, თუმცა მისი არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. საქართველომ მოკავშირედ გერმანია აირჩია, აზერბაიჯანმა – თურქეთი, ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად რუსულმა ჯარმა დატოვა კავკასია და იქ სრული ბატონპატრონი დარჩა თურქეთი, თავის მხრივ, კი სომხეთიც უარს ამბობდა შეერთებოდა სამთა კავშირს, თურქეთი სომხეთს უტევს, თუმცა ომის დამთავრებიდან მალევე სომხებს (და არა მარტო მათ) მხსნელებად ბრიტანელები მოევლინენ, დაიკავეს ტრანსკავკასია და გაანთავისუფლეს ის გერმანელებისა და თურქებისგან (ჩეთერი 1919: 397-399).

სტატიის ერთ-ერთი თავი დასათაურებულია შემდეგნაირად: „რეგიონი, სადაც ასზე მეტი განსხვავებული ხალხი ცხოვრობს“. იქ აღნიშნულია რომ ამიერკავკასიაში ას ოცი განსხვავებული ხალხი ან ტომი ცხოვრობს, რაც გაცილებით მეტია ვიდრე ბალკანეთში. აქვე საუბარია მოცემულ ხალხთა შორის არსებულ ურთიერთობებზე და მაგალითისთვის მოყვანილია რეგიონის ორი დიდი ხალხის სომხების და ქართველების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. აქ

ავტორის თანამგზავრი ბრიტანელი ოფიცერი ჩეთერს უყვება ქართულ-სომხური დაპირისპირების/ომის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის დეკემბერში, ოფიცერი შემდეგ რამეს უყვება ავტორს:

> მათ შორის დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა გასულ დეკემბერს, როდესაც ქართულ-სომხური კონფლიქტი, რომელიც სასაზღვრო დავების გამო დაიწყო და გადაიზარდა ომში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ომში ჩვენი ოფიცრები ჩაერთვნენ და ორივე მხარესთან გამართეს მშვიდობიანი მოლაპარაკება. ამგვარად, ბრიტანელმა თორმეტმა ოფიცერმა შემოიტანა სამშვიდობო ნინადადება და მოხდა სადავო ტერიტორიის ჩვენ მიერ ოკუპირება (ბრიტანელების მიერ, – პ.ჯ.), ორივე რესპუბლიკამ დააბა აშვებული ომის ძაღლები და კვლავ მშვიდობამ დაისადგურა (ჩეთერი 1919: 399).

განსაკუთრებით საინტერესოა სტატიის ის ნაწილი, სადაც ავტორი საუბრობს თბილისის საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის შესახებ. თბილისის დახასიათებისას ვხვდებით ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა კავკასიის ჰაბი, მეტროპოლია, ევროპული ქალაქი და ა.შ. რაც გამოხატავს თბილისის მნიშვნელობას არა მარტო საქართველოსთვის და კავკასიისთვის, არამედ ზოგადად რეგიონისთვის თავისი ფართო განმარტებით. თბილისს ეძღვნება ერთ-ერთი ქვეთავი სათურით: „თბილისი – სიურპრიზების ქალაქი", სადაც ავტორი წერს, რომ აქ სტუმრობისას არ უნდა ელოდოთ მხოლოდ ქარავნებს და აქლემების წყებას და რომ თბილისი საკმაოდ განვითარებული, ევროპული ქალაქია. „გოლოვინსკის გამზირი, რომელიც საქართველოს დედაქალაქის გულში გადის არის ულამაზესი, მსგავსის ნახვა სხვაგან შეუძლებელია. აქ არის კაფები, რესტორნები, აქვეა ძვირფასეულობის და ხელოვნების ნიმუშების მაღაზიები, თავისი ოპერის სასახლით და ყოფილი მეფისნაცვლის, რომანოვების დინასტიის ნარმომადგენლის სასახლით, რომლის თავზეც დღეს საქართველოს რესპუბლიკის შავ-ალუბლისფერი დროშა ფრიალებს". ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ თბილისის ეს ქუჩა განსაკუთრებული ელეგანტურობით და სილამაზით გამოირჩევა. აქვე აღწერილია თბილისის მოსახლეობაც: „აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და საქმიანობს. რუსები, ქართველები, სომხები და მთის სხვადასხვა ხალხები ენევიან აქ თავიანთ საქმიანობას". ასევე ავტორი საუბრობს მათ ჩაცმულობაზე და ის აღფრთოვანებას გამოხატავს კავკასიური სამოსის გამო. განსაკუთრებით აღნიშნავს იარაღს, რომელიც კავკასიური ტრადიციული სამოსის თანმხლებ ფუნქციას ასრულებდა (ხანჯალი თუ სხვა ცეცხლსასროლი იარაღი) (ჩეთერი 1919: 401).

სტატიაში არის ერთ-ერთი ქვეთავი, რომლის სათაურიც არის: „როგორ ერთობიან ქართველები", სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველები ცნობილნი არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით და გულუხვობით. ადგილობრივები სტუმრებს ყოველთვის მოუწოდებენ „თბილისში თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში". გარდა ამისა, ავტორი წერს ქართველთა კვების რეჟიმზეც, აქვახშამი 2:30 საათზე იწყება და 5 საათამდე გრძელდება. მას ყოველთვის თან ახლავს ღვინოების სხვადასხვა სახეობა. გარდა ამისა, ქართველები ძალების აღდგენას და განტვირთვას იწყებენ საღამოს 9 საათზე, როდესაც იწყებენ ცეკვების საღამოს. ეს პროცედურა გრძელდება იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც გაძლებენ და სანამ არ დაიშლებიან". აქვე აღწერილია ქართული ცეკვაც: „ერთი კონკრეტული სივრცე არის განთვისუფლებული ხანჯლით მოცეკვავეებისთვის, აქ ბარბაროსული და სანახაობრივი პერფორმანსი იდგმება რითმული აკომპანიმენტით, რომელსაც ფეხზე მდგომარე ადამიანები აკეთებენ ტაშის დაკვრით" (ჩეთერი 1919: 402).

სტატიის ერთ-ერთ თავში საუბარია ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქ საუბარია საქართველოს ცარისტული და პოსტ ცარისტული საზოგადოების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ: „საქართველომ თავის სასარგებლოდ აითვისა რუსული დიდებული ცივილიზაციის საუკეთესო მხარეები, მას შემდეგ, რაც ის დაპყრობილ იქნა რუსეთის მიერ 1801 წელს, რუსული ცარიზმის დაცემამდე". აქვე აღნიშნულია, რომ ქართულ საზოგადოებას ყოველთვის ეტყობოდა აღმოსავლური გავლენა (თურქული; სპარსული), „თბილისი იყო საქარავნე, სავაჭრო გზის ცენტრი – აღმოსავლეთის და დასავლეთის გზაგასაყარი". ამავე თავში ავტორი საინტერესო დასკვნებს აკეთებს, როდესაც ის აკრიტიკებს ქართულ თავადაზნაურობას. ის წერს, რომ ქართული თავადაზნაურობა, რომელიც მოშვებული იყო და სიამოვნებას იღებდა ფეოდალიზმის ბენეფიტებისგან, საბოლოოდ დაშლის პირას მივიდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამოუწურავ ბუნებრივ რესურსებზე, კერძოდ, ის ამბობს, რომ აქ არის უდიდესი რესურსი საძოვრებისა, ვენახებისა, ამოუწურავი მარგანეცის მაღაროები და ეს მხოლოდ მეათედია იმ რესურსებისა, რაც აქ მოიპოვება. აქ ყურადღება ისევ გამახვილებულია ქართულ თავადაზნაურობაზე, „რომელიც რუსულ ფუფუნებას არის მიცემული და სულაც არ ზრუნავს ამ რესურსების კარგად გამოყენებაზე და მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს". საზოგადოების ეს ნაწილი ავტორმა ბაბილონის ლეგენდარულ მეფეს ბალთაზარსაც კი შეადარა (ჩეთერი 1919: 403).

როგორც დასანყისშიც აღვნიშნეთ, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სომეხ ლტოლვილებს. მათი რაოდენობა, ავტორის აზრით, 20 000 იყო თბილისში: „თბილისის ქუჩებში დაახლოებით 20 000-მდე სომეხი ლტოლვილი გადაადგილდება და მათზე ამერიკული კომიტეტი ზრუნავს, რომელიც უზრუნველყოფს მათ კვებასა და გადარჩენას. ამერიკული კომიტეტი სომეხ ლტოლვილებს ყოველდღიურად 7 უნცია (1 უნცია უდრის დაახლოებით 30 გრამს) პურს ურიგებს გამოსაკვებად და გარდა ამისა, აძლევს საშუალებას მიიღოს

ხელფასი კომიტეტის ქარხანაში მუშაობისთვის. ეს არის საქსოვი ქარხანა, რომელშიც მუშაობენ სომეხი ლტოლვილები. აქ არის 4000-მდე სომეხი ობოლი ბავშვი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან საკვებით და საცხოვრებილით, ისინიც მუშაობენ საქსოვ ქარხანაში". ავტორს ამის საილუსტრაციოდ ფოტოც აქვს მოყვანილი, რომელზეც ასახულია სომხების მუშაობა თბილისის საქსოვ ქარხანაში (ჩეთერი 1919: 404-405). ამის შემდეგ ავტორი ასრულებს საქართველოზე საუბარს და მხოლოდ სომხეთზე და სომხებზე წერს.

შეჯამების სახით მოცემულ ორ სტატიაზე შეიძლება ითქვას, რომ მელვილ ჩეთერის და მეინარდ ოუენ უილიამსის მოგზაურობა საქართველოში და მათი ცნობები მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამერიკული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიმართულებით. National Geographic-ის ფურცლებზე ამოკითხული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ცნობები უნდა ყოფილიყო საქართველოს ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკის შესახებ, არამარტო რიგითი ამერიკელი მოქალაქეებისთვის, არამედ პოლიტიკოსებისთვისაც. ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ჟურნალი მეტად პოპულარული იყო ამერიკულ საზოგადოებაში და მისთვის ცნობილი ამერიკელები წერდნენ სტატიებს. ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თუ კი სხვა ამერიკული პრესის ცნობების უდიდესი ნაწილი, რომლებიც საქართველოს შესახებ გვანვდიან ინფორმაციას, წარმოადგენენ სხვა გაზეთებიდან, წიგნებიდან თუ ა.შ, გადმონაწერ მასალას და ხშირ შემთხვაში მნიშვნელოვანი უზუსტობებით გამოირჩევა, ამას ვერ ვიტყვით მოცემულ სტატიებზე. მოცემულმა ავტორებმა საკუთარი თვალით ნახეს რეალობა, რაც საქართველოში დახვდათ, სხვა შემთხვევებში კი ხშირად ადგილი ჰქონდა საქართველოს შესახებ ინფორმაციის უტრირებული სახით გადმოცემას, რაც მეტად საინტერესოს, ეგზოტიკურს და მიმზიდველს ხდიდა საქართველოს ამერიკელების (და არა მარტო მათ) თვალში.

დამოწმებანი

ვაჩნაძე , გურული 2005: მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. რუსეთის ისტორია (XX საუკუნე, ნაწილი პირველი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005.

თეთვაძე 1998: შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. „სომხები საქართველოში". თბილისი, გამომცემლობა „საქართველო".

ლოურენსი 1968: H. C. Lawrence, with Collaboration by the Williams Family. – Mayard Owen Williams – A Distinguished Career in Journalism and Brotherhood 1888-1963. Collection held by Upjohn Library Kalamazoo College, Kalamazoo, Michigan.

საქართველო 1917ა: გაზ. *„საქართველო"*, 1917 წ. 1 ოქტომბერი (ძვ. სტ.).

საქართველო 1917ბ: გაზ: *„საქართველო"*. 1917 წ. 3 ოქტომბერი (ძვ. სტ.).

უილიამსი 1918: Maynard Owen Williams. Russia'S Orphan Races. ჟურ: *"National Geographic"*. October, 1918.

ჩეთერი 1919: M. Chater. The Land of The Stalking Death. ჟურ: *"National Geographic"*. November, 1919.

ჰოვანესიანი 1971: R. Hovannisian. The Republic of Armenia: The first year, 1918-1919. University of California press, Berkely, Los Angeles, London.

TWO ARTICLES ON GEORGIA IN *NATIONAL GEOGRAPHIC*: ISSUES OF 1918 (OCTOBER) AND 1919 (NOVEMBER)

Pavle Jagunava

The purpose of our research is to study the US public opinion towards the Democratic Republic of Georgia (1918-1921) according to the US press material. In the introductory part of the paper is outlined the informative value of periodicals in the historical research. Then are discussed two articles of popular American magazine *National Geographic* about Georgia and Georgians. The authors of this article are Melville Chater and Maynard Owen Williams, who were travel-journalists of this magazine and visited Georgia in 1917-1919.

The basic goal of the research is to reveal the material, which illustrates and the interests of the US public towards Georgia by the end of the second decade of the 20th century.

The above-mentioned issues are less visited topic in Georgian scholarship which was the major motivation for us to focus on them.

საერთაშორისო პრეზენტაცია
INTERNATIONAL PRESENTATION

DAVID THE BUILDER IN MEDIEVAL AND MODERN NARRATIVES[1]

Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

History vs. Memory, role of Collective Memory in consolidation of Nations are well elaborated topics of current scientific literature. We do not intend to theorize them, we only want illustrate general conclusions through Georgian experience.

We expect to achieve two goals: to internationalize facts of Georgian history and to reveal specific features of Georgian case so that to help to further investigation of the general problems.

For our investigation we have chosen the King David the Builder who is one of the most revered medieval rulers of Georgia. He was a first King of Georgia canonized by Georgian Apostolic Church not for being martyred, but for the contribution in safeguarding of Georgian independence and promoting important reforms. Being yet teenager (sixteen years old) in 1089 he inherited weakened country. After his death in 1125 David left powerful state, actually, Georgian Empire. The political ascendance of Georgian Kingdom was accompanied with important cultural achievements. This transformation was a result of innovations initiated by the King in all spheres of societal life: administrative structure of the state, court of justice, army, church, education, finances, healthcare etc. were reformed.

However, in the present contribution our main concern will be memory of this epoch and not actual happenings of David's epoch. Many excellent investigations are devoted to representation of King David's reign and his personality, however, memorization of this fact is almost ignored topic.

The sources used by us are of various types: historical writings, literary fictions, cover stories of books, data of social networks, memories, etc.

In 1972 (i.e.in period of Soviet Georgia) Georgian poet Murman Leabanidze published poem "Ask me and I will answer!" The poet was considering the issue of the most important actors of Georgian history. According him the first pillar of Georgian identity was David the Builder, the second one was Ilia Chavchavadze. At the end of the poem Lebanidze was expressing his disappointment with current life of Georgia and asking God to grant to Georgians the third pillar.

1972 was an year of Shevardnadze's coming in power (he became first Secretary of Communist Party of Georgia). As it seems to us this ambitious communist leader saw himself as the "third pillar". Because of this the publication of above poem with negative attitude to Soviet Georgia's present, became possible. Anyway this is very interesting text for our investigation. The poet lists the pillars of Georgian identity in chronological sequence. Ilia Chavchavadze (1837-1907) to whom he gives second place, was an eminent Georgian writer and public figure. Nineteenth century was time of shaping of modern Georgian nation. This process was predated and then accompanied with making of idea of Georgian nation. Chavchavadze was main designer of the idea of Georgian nation. For his unparalleled contribution in consolidating of Georgian national community, Chavchavadze was referred as "Father of Georgians" and "King of Georgia without Crown".

So, for us is easy to agree with the poet when he sees in Chavchavadze one of the pillars of Georgian identity. We should agree with Lebanidze regarding evaluation of David's epoch too. This was time of emergence of Georgian pre-modern nation: medieval peak of political and cultural unification.

Thus, our choice to illuminate above mentioned general problems through the history of David the Builder is reasonable. His contribution in making of Georgian identity was indeed pivotal.

Of course, ordinary Georgians know nothing about this analysis regarding the King David's role in making of Georgian identity. They think that their identity is naturally given primordial phenomenon and glorious King strengthened it further. Despite this misperception the life of every Georgian starting from times of being pupil of primary school until passing away is paradoxically full of facts associated with the King. Main streets of many Georgian cities and villages, airport of Kutaisi (second in regards of cultural importance after Tbilisi city of Georgia), educational and cultural centers, awards, prizes and orders are named after him. Many conferences, collections of papers, competitions are dedicated to David the Builder. The banknote (500 lari) with his image is a highest nominal of Georgian national currency. Very often on cover pages of text-books in national history one can find portraits of David the Builder. The interesting thing is that the front cover page of the periodical of Georgian National Academy of Sciences also presents portrait of David the Builder. The cover story of the journal of the institute of Georgian History at the Tbilisi State University contains picture with coin issued by the King David. The image of the King is on the coin. Being influenced by this attitude non-Georgian scholars too, those who study history of Georgia are keen to use in design of the books David's portrait of the Gelati Monastery's wall painting: the back of the recently published book *Edge of Empires. History of Georgia* (Reaktion books, 2012) by Donald Rayfield is an eloquent testimony to this assertion.

First Georgian University which is Ivane Javakhishvili Tbilisi State University was founded on Saint David's Memorial Day, i.e. January 26, 1918. David the Builder is a patron of the church built in 1990s in the University yard. It would be not out of place to mention here that the university (in popular usage sometimes referred as "white temple") from the very beginning was perceived as sacral place. The yard is pantheon: there are buried some of the University's founders. Thus, according to Georgian perception this is special environment. The church of David the Builder represents part of this sacral space.

In his sermons Catholicos Patriarch of all Georgia his holiness and beatitude Ilia II (who is the very respected person of Georgian society) is frequently mentions King David and his contribution in Georgian history and culture.

The following example would be helpful too: the government consisted of member of National Movement Party decided to move the monument of the King from the city center to suburb and placed it in more open square at the beginning of David the Builder's Highway. This fact was met with great protest from side of some social groups and political bodies. The debates were very unfriendly and mutually offensive; the sides accused each other in no respect to the King and even entire Georgian history.Georgia was challenged by serious problems; however, the society was occupied with the problem of place for David's monument. Recently in the internet we came across the information, which is very interesting for understanding the social weight given to the memory of King David in Georgian community: I mean petition to new Georgian authorities (representatives of political coalition *Georgian Dream*) to restore justice and move back the monument! And this petition is signed by many well-known representatives of Georgian intelligentsia. Taking into account the problems facing Georgia now, this petition, as well as changing place of the monument, seems to us inadequate, in certain degree, even comic.

It would not out of place to say a few words on modern Georgian politicians' attitudes to David: for example Mikhail Saakashvili –the ex-president of Georgia, in 2004 in terms of the ceremony of his inauguration visited the grave of David the Builder and swore on oath to follow David's way. Why did the leader of the party which promised essential renewal and democratic changes, thought that the path of medieval autocrat would be exemplary for modernGeorgian society? It easy to answer this question: he knew well the place of King David in Georgian worldview.

Saakashvili was not first who saw Georgian future in David's epoch: in 1990s at the eve of breakup of Soviet Union, by Georgian leaders of national-liberation movement were proposed motto: "Let's go forward to David the Builder".

The attitude of Eduard Shevardnadze (at first Soviet Georgia's Communist Party leader, then Soviet Union's minister of foreign affairs – and then the president of independent Georgian state) to the King David is very interesting as well. He was first who established David's order for successful service in militant forces.

The attitude of Stalin too is thought provoking: Stalin (Ioseb Jugashvili) was ethnic Georgian; however, he was internationalist and evaluated Georgia's pre-soviet history and ethnic heritage nihilistically. But in some sources there are preserved evidences attesting Stalin's special attitude to David the Builder. The grave of David the Builder according to the King's will is situated at the entrance of Gelati Monastery with purpose that everyone before entering the monastery has to step his grave. This is expression of self-humiliation of the pious King. Stalin, so that to demonstrate the great respect to the King David, did not step the grave when he visited the Monastery. After this visit he even decided to make King's monument and had consultation with well-known Soviet sculptors concerning the project of this monument. Only because of his death this project was not accomplished. In 1942 during the Soviet Union's war with Germany, eminent Georgian writer (not without encouraging from side of Soviet authorities) Constantine Gansakhurdia published his novel "David the Builder". It was momentary translated into Russian and circulated through out the country. It is not difficult to guess why: to forge ideal of strong leader- the precursor of Stalin.

To the King David belongs the poem "Hymns of Repentance" in which he speaks about his sins. Some years ago there were debates among Georgian literary critics about understanding this poetic writing: most of them were arguing that here the King mentions not his own sins, but speaks about human sins in general. This is poetical writing and of course one should not expect that all facts in it are biographical details of the author, however, these debates themselves are very meaningful: Georgian scholars are not able to recognize the sinfulness of the King. It is impossible to fit feature of human sinfulness with David the Builder's established iconic image, image of a Saint.

We are mentioning these facts in order to show that the King David the Builder is inseparable part of Georgian collective memory. At least from the previous century there exists national consensus regarding his evaluation: Georgian politicians of all labels as well as all members of Georgian community share the positive view on King David and his epoch.

Thus, David the Builder is an image of collective memory. His name is associated with education, tolerance, strong statehood and political success (he used to be sculptured as worrier, as horseman), sacredness, domestic order."Omnipresence" (school, university, academy, church, publishing houses, politics, culture etc.) of King David in Georgian life is fact.

As it turned out the modern conceptualization of King David has deep roots in pre-modern history of Georgia.

Let us trace these roots. 19th century is an epoch of Georgian national consolidation. As it was already mentioned the idea of Georgian nation predates the emergence of Georgian nation. Almost all representatives of Georgian cultural elite took part in making of this idea. The principal contribution belongs to above mentioned Ilia Chavchavadze. In canvas of national history just he placed the vivid image of King David.

We intend to consider briefly Chavchavadze's article dedicated to the King David the Builder published in the periodical *Iveria* (# 17, 1888). The article begins with discourse on importance of collective memory for nation:

> we do not know what others think, but as for us, falling and dishonoring of nation begins when nation, to its misfortune, forgets its history. As it is impossible to refer as a man to homeless beggar who does not remember who is he and from where does he come from and where does he go to, likewise, it is impossible to name as nation those nations which do not remember own history. What is a history? History tells us who we were, who we are and who we might be in future. History leaves imprint on nation's spirit and thoughts and through them mirrors the nation's power and ability for longevity.

Then Chavchavadze asserts that those who are best representatives of nation can express the desires of the nation. Actually, they are creators of history. Because of this they should be always remembered. In addition to their great contribution in life of nation, they can serve to future generation as vivid examples of human's noble features. The wellbeing of nation depends just on number of these examples. With support of them we can measure nation's ability and power: "if yesterday were men of my blood and flash endowed with such noble features, I can expect that the men of this sort would appear in future too".

Then he makes quotation from Seneca about prominent persons who are able to help us to come to perfection and forge our personality with their examples. "How happy might be those who are able to make us better not only because of the fact of his/hers presence, but also because the memory of deeds accomplished by them", mentioned Chavchavadze.

According to Chavchavadze, David the Builder was one of those happy individuals who are able only by recalling of their names to make us better.

Chavchavadze discussed the issue of David's canonization, his contribution in building of state, defeating enemies. But, according to Chavhavadze we should venerate David not only as King, but first of all as human with noble features of character. He was fond of his nationality and Orthodox Christianity; however, he respected other nationalities and religions as well. He tolerated others even after he became omnipotent ruler. Here Chavchavadze underlined that David lived in 12th century, i.e. in the epoch characterized by overall cruelty and intolerance.

Chavchavadze concluded his article with referring to Georgian folk saying: "human should have two names: one for leaving here, in this world, other for taking away to that world". Chavchavadze underlined that no one among Georgians was able to accomplish this popular will as fully as David: here he had left his name as Builder, as King, and there he had taken name of noble human and Saint crowned with greatest glory.

Thus, in 19th century which is a time of creating of idea of Georgian nation, was elaborated image of David the Builder in full: as successful King and as a Saint. This was King Messiah, the Savior of Georgian nation, exclusive marker of Georgian identity. According to Chavchavadze nation is not only political community, but also the community of shared moral obligations. The image of King Savor, Saint Ruler was well fitted with his understanding of phenomenon of nation.

Many themes in Georgian national narrative were essentially new, without any links to the past, however, conceptualization of King David had deep roots in pre-modern epoch. Chavchavadze only enhanced already existed image of King Savior.

In this regard are interesting brief Vitas included in 18th century Synaxarion. At first hagiographer underlines David's genealogical links with Biblical David. Then he mentions that after his coming in power David found the country without population. This was result of devastating invasions of enemies. David managed to return scattered population in their places and as a father and priest strengthened faith. He consolidated and purified *eri* (nation) and because of this he was called as Boulder.

Thus, already in 18th century's texts King David was presented as contributor to nation's revitalization. The term *eri* in pre-modern times was mostly used for designating of socially marked groups (people vs. aristocracy) and not for group based on collective cultural identities (ethnie, nation). However, in above mentioned context *eri* should be understood as group based on collective cultural identity. It is why we are translating it as a nation.

According to hagiographer the King was named as "the Builder" because of his contribution in making national community with shared values, place of abidance and moral obligations.

If we would continue looking deeper through centuries, we will be able to figure out the full picture of the process of David's conceptualization. In one of Georgian Synodicon after the two great Georgian Kings (King Mirian and King Vakhtang Gorgasali) is mentioned David the Builder. This notice is made by the same calligrapher, but for the text on

David are used larger characters to visualize special importance given by the calligrapher to this notice. This notice is dated by the first half of 15th century. So, at least from this century David was attributed as Builder and revered more than King Mirian (4th c) and King VakhtangGorgasali (5th c). King Mirian established Christianity as an official religion of Georgian Kingdom while the King Vakhtang contributed to political and cultural strengthening of Georgia; he founded capital city of Tbilisi.

14th century Georgian historian Zhmtaagmwereli though did not refer to David as Builder, but called him as greatest and most distinguished King of Georgia. Another Georgian historian of 13thcentury referred to him as Great David.

But how did David the Builder was perceived in his lifetime?

For answering this question we should consider the collection of Georgian historiographical writings "Kartlis Tskhovreba" (the *Life of Kartli* /History of Georgia). It was composed just in David's epoch. It contains the compilation devoted to David's biography. The name of the author is unknown, however in the compilation are kept evidences which allow us to conclude that the author was close to the King person, his fan and eyewitness of the most displayed facts. It is an authentic source; however, as it seems to us, it is already a memory and not history. King David had had full control over memory. The history of his epoch presented in the "Life of David the Builder" without any doubt reflects the reality, but it reflects the will of the King as well: he wanted that he was remembered just in this way.

Anonymous historian did not present King as Saint, because by this time David was not canonized yet, but he depicts him as deeply pious man, who was not able to stop tears when was looking at ill people. The King was concerned with charity and his permanent preoccupation was to help beggars. He was fond of reading and was very educated, but at the same time he was excellent hunter, skillful horsemen and warrior and always personally leaded his troops to attacks. The historian compared David with Alexander the Great and at the same time with Saint Anton the Hermit.

Thus, there is no great discrepancy between medieval and modern conceptualizations of David the Builder. In both cases we have iconic image of King without any negative features.

The historian himself was well aware about discrepancy between the historical happenings and theirs representations and selective nature of historical representation: He refers to the words by Alexander the Great: "Achilles you were not so great yourself, but you met great eulogizer – Homer". The historian realizes that through words he was able to present only a shadow of the real man.

King David is perfection spiritually and physically: this was main message come from his biography. As it was already mentioned autocrat King was able to control memory, so this mirrors his will: just in this way he wanted to be remembered.

He thought about himself as special person with divine mission and attempted to implement the idea of his divinity in his subjects. As a testimony for said assertion may serve the inscription on his sword: "Sword of Messiah " i.e. he acted on behalf of Messiah. This idea was cultivated within the population of Georgian state. The same message comes from his poetry. In the "Hymns of Repentance" David mentions with great regret that he crossed frontiers and united royal house to house, lands to lands. He places the actions like these in the lists of his sins. Again we look at his two faces simultaneously: on one hand, it is portrait of deeply determined believer, on another,of successful politician.

The medieval Georgian sources provide iconic portrait of David the Builder. In modern times the King becomes national hero and he is still represents icon contributing to Georgian nation's self-awareness. With the process of nation-formation his epoch began to be perceived as a "Golden Age" of Georgian past. Thus, if real King is linked with certain historical period of Georgian history, the remembered image of King has acquired the function of national identity marker.

Actually, David the Builder continues to control our memory. We still think about him according to portrait he had decided to pass to us.

In 2008 one of Georgian TV shows initiated questioning of the Georgian society regarding the issue who is the most important Georgian. First place was gone to Ilia Chavchavadze. David the Builder had occupied second place. Chavchavadze scored off the King only by one vote. First place for Chavchavadze might be expected. As I have already mentioned, he was liberal, democratic thinker and he actually created modern Georgia nation. But how should be explained popularity of the autocrat King? This is very important massage about Georgian society and it should be analyzed with due depth: Georgians are missing something very important for them, something which they are associating exclusively with David the Bolder, but what exactly? There might be many possible answers. But they are topics of another presentation and let us to stop here.

We would like to conclude our presentation with epigram to the well-known novel "Living to Tell the Tale" by Garcia Marquez: "life is not the days which are passed; what and how is remembered, only matters, so that to tell".

As you might guess, here is concerned the nature of interconnection between of actual happenings of the past and their representation in present. In fact, it is issue of history vs. memory. According to the novelist, social meaning should be ascribed only to memory.

Marquez wrote regarding the life of individuals, but his view might be useful for analyzing of groups too, at least for culturally based communities, like nations. Nations are mnemonic collectivities and collective remembering of past plays decisive role in forging of national identities. Our presentation was just about this: memory and the place of collective past in national present.

Note

The paper was read at International Medieval Congress. Leeds, United Kingdom, 2015.

დავით აღმაშენებელი შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ნარატივებში

მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი

სტატია წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც წაკითხულ იქნა მედიევისტთა საერთაშორისო კონგრესზე (2015 წელი, 6–9 ივლისი) ქალაქ ლიდსში.

ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების ურთიერთმიმართება მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს მთელს მსოფლიოში. ამ საკითხს ეძღვნება არაერთი თეორიული გამოკვლევა. ეს ძიებანი ეფუძნება სხვადასხვა ისტორიული გამოცდილებას და შედეგად გვაქვს ძალიან საგულისხმო, როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი ხასიათის დასკვნები.

ჩვენი მოხსენება წარმოადგენდა მცდელობას, აღნიშნული საზოგადო პრობლემა გამოკვლეულ ყოფილიყო ქართული მაგალითის საფუძველზე. ამისათვის ჩვენ შევარჩიეთ შე-11-12 საუკუნეების საქართველო და მეფე დავით აღმაშენებელი (1089-1125).

მეფე დავითი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მან ჩაიბარა დასუსტებული ქვეყანა. გარდაცვალების მერე კი მან დატოვა ძლიერი სახელმწიფო, ფაქტობრივად, ქართული იმპერია. ქართული სამეფოს პოლიტიკურ აღმასვლას თან სდევდა კულტურული მიღწევები. ეს ტრანსფორმაცია შედეგი იყო იმ ინოვაციებისა, რომლის ინიცირება მოახდინა მეფე დავითმა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში: სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა, სასამართლო, არმია, ეკლესია, განათლების სისტემა, საფინანსო სისტემა რეფორმირებულ იქნა.

მოხსენებაში ჩვენ მხოლოდ მოკლედ წარმოვაჩენთ ამ რეფორმების ფაქტობრივ ისტორიას (ანუ რა მოხდა სინამდვილეში), ძირითადად, კი ვჩერდებით იმაზე, თუ როგორ დაილექა ეს ვითარება ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში.

წყაროები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: გაანალიზებულია არა მარტო საისტორიო მწერლობა, არამედ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მემუარები, სოციალური ქსელების მასალა და სხვ.

შუა საუკუნეების ნარატივებში მეფე დავითი, როგორც პიროვნება,ნარმოდგენილია სრულიად დადებითად ანუ ხატად; მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თანამედროვე ნარატივებიც არსებითად იგივეს გვთავაზობს: ეროვნულ გმირი დავით მეფე კვლავაც ხატად გაიაზრება, ხოლო მისი მოღვაწეობის ეპოქა კონცეპტუალიზდება, როგორც საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა".

თუ რეალური დავით აღმაშენებელი ქართველი ერის ისტორიის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს უკავშირდება, კოლექტიური მახსოვრობაში გადასული დავით მეფე მის შემდგომ ყველა ეპოქას წვდება და მისი სახე ყოველთვის თავისებური შინაარსით, თუმც ყოველთვის უცვლელი ფუნქციით წარმოგვიდგება: იგი ქართული იდენტობის ფუნდამენტურ მარკერად გვევლინება.

თვალსაზრისი
STANDPOINT

გამოხმაურება წინანდლის პრემიის 2018 წლის დაჯილდოებაზე

ზურაბ თარგამაძე

საქართველოში არც თუ ისე ბევრი ორგანიზაციაა, რომელთა მიზანი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობაა. მათ შორის, ერთ-ერთი გახლავთ ზურაბ ჟვანიას ფონდი, რომელიც 1999 წლიდან ატარებს წინანდლის პრემიის კონკურსს. ბოლო პერიოდში ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ხელოვნების დარგებთან ერთად პრემია მიენიჭებინათ ჰუმანიტარულ და ზუსტ მეცნიერებებში მომუშავე ახალგაზრდებისათვისაც. გარდა იმისა, რომ სახელოვნებო და სამეცნიერო მიმართულებების წარმომადგენელთა ერთი კონკურსის ფარგლებში დაჯილდოება ცალსახად სნორი ხედვაა კულტურული პროცესის განვითარებისა, ამ ფონდის საქმიანობას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტიც, რომ ორგანიზატორები ახალისებენ სნორედ ახალგაზრდა ხელოვანებსა და მეცნიერებს. ახალი თაობის ხელშეწყობა აუცილებელი პირობაა ზოგადად წინსვლისათვის.

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი გახლდათ რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილება. პირველ რიგში, აპლიკანტი მონაწილეობის მიღებისას არ უნდა ყოფილიყო ოცდაათ წელს გადაცილებული, ასევე საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი მიმდინარე წელს უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული და მას უკვე უნდა ჰქონოდა ცნობადობა სამეცნიერო საზოგადოებაში.

გარდა იმისა, რომ ფონდის მიერ წამოყენებულ ყველა წინაპირობას ვაკმაყოფილებდით, კონკურსში მონაწილეობის მიღება ჩვენთვის, ისევე როგორც, ალბათ, სხვებისათვისაც, ერთგვარი გამოწვევაც გახლდათ. ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა ჯანსაღი კრიტიკის მოსმენა საკუთარი ნაშრომის შესახებ, კონკურსები, სადაც პროფესიონალი ჟიური იძლევა კომპეტენტურ შეფასებას, კარგი შესაძლებლობაა ამისათვის. ჩვენს გადაწყვეტილებას ზურგს უმაგრებდა ის ფაქტიც, რომ ჩვენი წიგნი „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები XVIII საუკუნე", შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (DO/351/1-10/14) ფარგლებში შესრულებული კვლევის შედეგია და ის გარემოებაც, რომ გამოქვეყნებამდე ის სათანადოდ იყო აპრობირებული. მონოგრაფიას საფუძვლად დაედო შესაბამის თემატიკაზე პროექტის ფარგლებში (და პროექტის გარეშეც) ჩვენ მიერ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები: 1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები"; მოხსენების სათაური: „ეკონომიკური ტენდენციები ქართული ნაციონალიზმის იდეების ფორმირების პერიოდის დამდეგს" (თბილისი, საქართველო, 2017); 2. International Symposium „St. Antim the Iberian (1716). the European and Caucasian Culture and Spirituality from late 17th century and Early 18th Century"; მოხსენების სათაური: „Outlining the Political Develpment of Georgia: from the Late Seventeenth Century until First Decades of the Eighteenth Century" (Romania, Ovidius University of Constanta, 2016); 3. International Conference "Dynamics and Policies of Prejudice from the Eighteenth to the Twenty-first Century"; მოხსენების სათაური: "Political Prejudices and Ethnic Conflicts: The Case of Georgia"(Italy, La Sapienza University of Rome, 2016); 4. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე – 180". მოხსენების სათაური: „ქართული საისტორიო სკოლა მისი ჩამოყალიბების პირველ პერიოდში" (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,2017); 5. ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენების სათაური: „თანამედროვე ისტორიის აქტუალური საკითხები" (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016); 6. დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენების სათაური: „ისტორია და სოციალური მეცნიერება" (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2015); 7. ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ისტორიის დამხმარე დისციპლინები-თანამედროვე ტენდენციები": მოხსენების სათაური: „ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსასˮ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პერსპექტივები" (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014).

მონოგრაფიის ცალკეულ მონაკვეთებში წარმოდგენილი კვლევა და დასკვნები სამეცნიერო საზოგადოებას გავაცანით ოთხი სტატიისა („Social and Legal Status of Women in Medieval Georgia. International Journal of Culture and History". Vol. #3 No 1. March 2017, გვ. 72-79. http://www.ijch.net/vol3/081-HF2002.pdf; „ისტორია და სოციალური მეცნიერება". გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის შრომათა კრებული #13, 2016, გვ. 402-418; „ეროვნული საკითხის ქართული ინტერპრეტაციები". ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XVII-XVIII. 2015. გვ. 225-244. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/151340/1/Qartuli-Wkarotmcodneoba-2015-2016-N17-18.pdf); „*Historia Pura* ნაციის ქმნადობისა და ნაციონალიზმის კონტექსტში", ქართული წყაროთმცოდნეობა ტ. XV-XVI, 2014. გვ. 65-71. http://dspace.nplg.gov.

ge/bitstream/1234/81518/1/Qartuli-Wkarotmcodneoba-2013-2014-N15-16.pdf) და საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული ერთი მოხსენების თეზისის სახით: „საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში" (მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, 2016, გვ. 178-180) მეშვეობით.

ამდენად, ჩვენი მონოგრაფია ეფუძნება მრავალწლიან წინასწარ კვლევას, რომლის შედეგების გაცნობა სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხდებოდა მუდმივ რეჟიმში.

განაცხადის გაკეთებისას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ნიგნის რედაქტორის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის სამეცნიერო ავტორიტეტსა და შეფასებებს. მისგან მივიღეთ რჩევები და შენიშვნები, როგორც კვლევასთან დაკავშირებით, ასევე წიგნის შედგენისას წამოჭრილი ტექნიკური საკითხების გადაჭრის თაობაზე. მათი უდიდესი ნაწილი გავითვალისწინეთ. ჩვენთვის დიდი სტიმულის მომცემი იყო აგრეთვე პროფესორ ეკა კვაჭანტირაძისა და პროფესორ გონელი არახამიას დადებითი რეცენზიები.

წიგნი შედგება 371 გვერდისაგან, აქედანც 16 გვერდი ეთმობა ინგლისურენოვან რეზიუმეს. მონოგრაფიაში დამოწმებული გვაქვს რამდენიმე ასეული მონოგრაფია თუ სტატია, გავეცანით და დავამამუშავეთ კიდევ უფრო მეტი, მათ შორის, უცხოენოვანი ლიტერატურა. რაც შეეხება მონოგრაფიის შინაარსს, ჩვენთვის ძალიან უხერხულია მის სამეცნიერო ღირებულებაზე საუბარი, თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშოთ, და, ვფიქრობთ, საკითხში გარკვეული მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ იმ კონცეფციისა (ეთნოსიმბოლიზმის) და იმ ისტორიოსოფიური პოზიციიდან, საიდანაც ჩვენ ვაკვირდებით შერჩეულ პერიოდში კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარებას, აქამდე არ ყოფილა შესწავლილი მეთვრამეტე საუკუნე. მონოგრაფიაში დიდი მოცულობის მასალა და არაერთი ისტორიული ფაქტი გააზრებულია ახლებურად, მათ შორის, ენის, რელიგიის, გენდერის პრობლემატიკა; სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან (კერძოდ, აფხაზებთან და ოსებთან) ქართული ერთობის დამოკიდებულების საკითხები. კვლევის შედეგად სხვა დასკვნებთან ერთად გამოვთქვით მოსაზრება, რომ ქართული ნაციონალიზმის დაბადების პერიოდად უნდა მივიჩნიოთ არა მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი ან 60-იანი ნლები, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულები.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ისტორიული მეცნიერების აქტუალური საკითხების შესახებ მსჯელობაც, გააზრებულია ქართული საისტორიო სკოლის გამოცდილება, ახსნილია ჩვენი დამოკიდებულებანი და ისტორიოსოფიური ხედვა. ამას ეძღვნება სწორედ პირველი თავი, რომელიც, ეფუძნება უახლეს თეორიულ ლიტერატურას. გვსურდა მკითხველისათვის შეძლებისდაგვარად დეტალური წარმოდგენა შეგვექმნა ჩვენი პოზიციის თაობაზე. ამ თავში განხილული თემების შესახებ დისკუსია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად მიგვაჩნია.

სწორედ ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა მოგვცა მოტივაცია წინანდლის პრემიის მოსაპოვებლად გვეცადა ბედი.

ნებისმიერი კონკურსისათვის რა თემატიკასაც არ უნდა ეხებოდეს ის და მით უფრო, როდესაც მიზანი მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობაა, უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალობისა და სამართლიანობის სტანდარტების დაცვა. როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი, ნაშრომებს უნდა გაევლოთ შეფასების ორი ეტაპი: კონკურსანტებს შორის სხვადასხვა მიმართულებით ჯერ ნომინანტები უნდა შეერჩია სამი წევრისაგან შემდგარ სპეციალურ დარგობრივ კომისიას, საბოლოო გადაწყვეტილება კი უნდა მიეღო ჟიურის. შეფასების ასეთი წესი საკმაოდ სანდოდ გამოიყურება და, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით შეკითხვები არ გაგვჩენია.

ჩვენთვის უცნობია სულ რამდენი განაცხადი იქნა წარდგენილი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, თუმცა დარგობრივი კომისიის მიერ (წევრები: ნინო წერეთელი, ანასტასია ზაქარიაძე და თეა ნითლანაძე) ნომინანტებად დასახელდნენ წინამდებარე სტატიის ავტორი მოხსენებული მონოგრაფიისათვის: „ქართველთა თვითცნობიერება ისტორიული ასპექტები. XVIII საუკუნე", თბილისი, მერიდიანი, 2018, 371 გვ.; კახაბერ ყალიჩავა სტატიისათვის „Between Kosovan and Georgian Breakaway Regions' Conflicts. Historical Analysis of the Differential Aspects of These Conflicts in the Post- Soviet Period". *Warsaw East European Review*, vol. VIII, 2018, გვ. 51-95; და ლევან ბებურიშვილი მონოგრაფიისათვის: „ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში". თბილისი, მერიადიანი, 2018, 238 გვ.

ცხადია, რომ ნომინირება ისეთ პრესტიჟულ კონკურში, როგორიცაა ნინანდლის პრემია, ჩვენთვის უაღრესად სასიხარულო გახლდათ. თუმცა, საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, როდესაც ორი მონოგრაფიის გვერდით დარგობრივმა კომისიამ შეარჩია სტატიაც. რა განსაკუთრებული ოსტატობით უნდა ყოფილიყო დაწერილი სტატია, რომ ის მონოგრაფიების დონეზე განეხილათ?! ბუნებრივია, დავინტერსდით და გავეცანით მას. გაირკვა, რომ არც არაფერი განსაკუთრებული. კ. ყალიჩავას სტატიას აქვს გარკვეული სამეცნიერო ღირებულება, თუმცა არსებითად ის მიმოხილვითი ხასიათისაა. მოცულობითაც არაა შესადარისი მონოგრაფიებთან: სულ 43 გვერდს შეადგენს. აქედან 5 გვერდი ეთმობა ბიბლიოგრაფიას (References) სტატიის ბოლოს. საინტერესოა, რომ იგივე ბიბლიოგრაფია ყოველ გვერდზე შენიშვნების (footnotes) სახითაცაა გატანილი. ამ შენიშვნების რაოდენობა კი 204 შეადგენს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის არა რაიმეს განმარტება, არამედ სნორედ ლიტერატურის

დამონმება. ანუ ფაქტობრივად, ერთი და იგივე ლიტერატურა სტატიაში გამეორებულია მინიმუმ ორჯერ. მარტო ეს რაოდენობრივი მონაცემი ბადებს კითხვას სტატიის ძირითადი ტექსტის რეალური ოდენობის შესახებ. ის სინამდვილეში უფრო მცირეა მოცულობით ვიდრე 43 გვერდი.

სტატიაში, ფაქტობრივად წარმოდგენილია პრობლემის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. ქართული კონფლიქტები და კოსოვოს მაგალითი შედარებულია ისტორიული ვითარების გათვალისწინებით. ჩვენთვის პირადად საკამათოა, რამდენად სწორი და ამასთან რამდენად მომგებიანია ქართული კონ-ფლიქტების ამ კონტექსტში განხილვა. კოსოვოსა და ქართული გამოცდილების შედარება, მაშინ, როდესაც დასავლურ სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში საკითხი ასე არც დასმულა, და 2008 წელსვე, როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობა იქნა გამოცხადებული, საგანგებოდ ხაზი გაესვა საქართველოს შემთხვევაში იგივე მიდგომის გამოყენების შეუძლებობასა და არავალიდურობას, არ გვგონია მართებული. კონფლიქტების შედარება კი მხოლოდ იმისათვის, რომ დავასკვნათ, რომ მათი შედარება არ შეიძლება, გაუგებარია; მით უფრო, როდესაც ეს წინასწარ ისედაც ცნობილი ფაქტია. რა საჭიროა ამგვარი კვლევა? სტატიის შეჯამება უფრო პოლიტიკური ექსპერტის მოსაზრებას წარმოადგენს, ვიდრე სამეცნიერო გამოკვლევის დასკვნას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის ვერც ერთ ნანილში ვერ სკობნის ჩვენს მონოგრაფიას, სავარაუდოდ, მეორე ნომინირებულ მონოგრაფიასაც. ჩვენ ამის მეტს ამ უკანასკნელის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან მესამე ნომინანტის – ლ. ბებურიშვილის – ნაშრომი შესრულებულია იმ სფეროში, რომელიც სცდება ჩვენს კომპეტენციას, თუმცა ფაქტია, რომ მისმა ავტორმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია იმავე თემაზე, რომელსაც ეძღვნება მისი მონოგრაფია.

მართალია, კ. ყალიჩავას სტატია დაბეჭდილია უცხოენოვან გამოცემაში, მაგრამ ამ ჟურნალს არ გააჩნია იმპაქტ-ფაქტორი და არც დიდი ტრადიციები: 2018 წლის გამოშვება, რომელშიც კ. ყალიჩავას სტატიაა დაბეჭდილი, სულ მერვე ნომერია. ამგვარად, ერთი მხრივ, ვერც შინაარსის და ვერც პროფესიული თვალსაზრისით ვერ ჩაითვლება სტატია განსაკუთრებულად ძლიერ ნაშრომად; მეორე მხრივ, ის ისეთ ჟურნალშიც არაა გამოქვეყნებული, რომ მის ავტორიტეტს დარგობრივი კომისიის წევრებისათვის რაიმე წინასწარი განწყობა შეექმნა. ამიტომ ჩვენთვის თავიდანვე შემაშფოთებელი იყო დარგობრივი კომისიის ეს გადაწყვეტილება და, დაგვრჩა განცდა, რომ კ. ყალიჩავას ნომინირება იყო მისდამი სუბიექტური დამოკიდებულების შედეგი; დარგობრივი კომისია მას აშკარად დაეხმარა, კონკრეტულად, ვფიქრობთ, მისი გულშემატკივარი გახლდათ თ. წითლანაძე, რომელიც დარგობრივ კომისიაში, აშკარად წარმოდგენილი იყო, როგორც თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მაგრამ რომელიც ამავე დროს არის თსუ მსოფლიო ისტორიის სასნავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. სწორედ იმ ინსტიტუტისა, რომლის აკადემიურ პროგრამებზე წლებია სწავლობს კ. ყალიჩავა. ამჟამად ის ამავე ინსტიტუტის პროფესორის თ. პაპასქირის დოქტორანტია. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში ჩვენი სწავლის პერიოდში არაერთხელ ნავწყდომივართ შემთხვევას, როცა პროფესორები მფარველობენ მათი მიმართულების სტუდენტებს და ხელს უწყობენ მათ მიერ საპრიზო ადგილების მოპოვებას სხვადასხვა კონკურსებში. ამის მიზეზი გარდა იმ ადამიანური სიახლოვისა, რომელიც ყალიბდება ერთად მუშაობის პროცესში, ხშირად არის არცთუ უანგარო: წარმატებული სტუდენტი წარმოადგენს გარანტს, რომ მიმართულების აკადემიური პროგრამების ფუნქციონირებას მომავალში არ შეექმნება პრობლემა და ამ პროგრამებზე სტუდენტების მოზიდვა უზრუნველყოფილი იქნება.

აღნიშნული გამოცდილების საფუძველზე აღმოცენებული ჩვენი შეშფოთება, სამწუხაროდ, უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ნომინირება არ ყოფილა მხოლოდ „ნამახალისებელი პრიზი" კ. ყალიჩავასათვის. ჟიურიმ სწორედ მისი სტატია ამჯობინა ორივე მონოგრაფიას და იგი გამოაცხადა წინანდლის პრემიის ლაურეატად. ამ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ექსპერტი კი გახლდათ მურმან პაპაშვილი, რომელიც, აგრეთვე, ზემოთ დასახელებული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორია! ანუ კვლავ პიროვნება, რომელიც კ. ყალიჩავას და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის განსაკუთრებული გულშემატკივარი „საინს-ტიტუტო სოლიდარობის" საფუძველზე.

დიდი ალბათობით, ფონდი სწორედ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობდა მეცნიერებების მიმართულებით დარგობრივი კომისიების დაკომპლექტების თუ ექს-პერტების შერჩევისას. ამ დეპარტამენტიდან მათთან საკონტაქტო პირმა ანუ ასოცირებულმა პროფესორმა თ. წითლანაძემ მათ მსოფლიო ისტორიის სასნავლო–სამეცნიერო ინსტიტუტიდან შესთავაზა დარგობრივი კომისიის წევრი (საკუთარი თავი) და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ექსპერტიც (მისივე კოლეგა ამავე ინსტიტუტიდან პროფ. მ. პაპაშვილი). ამ შემადგენლობით კი აღნიშნული ინსტიტუტის პროფესორის თ. პაპასქირის დოქტორანტს კ. ყალიჩავას გამარჯვება კონკურსში გარანტირებული ჰქონდა.

ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ შეფასება იყო არაობიექტური, მაგრამ გადავწყვიტეთ ბოლომდე გაგვერკვია ვითარება.

კონკურსის დასრულების შემდეგ, რამდენიმე დღეში ჩვენ შევეცადეთ ორგანიზატორებთან გარკვეული გარემოებების დაზუსტებას, თუმცა, სამწუხაროდ, რამდენიმე სატელეფონო საუბრის, მიღებული დაპირებისა

და წერილობითი მიმართვის შემდეგაც მათ ჩვენთან შესახვედრად ვერ მოიცალეს. სამაგიეროდ შევხვდით პროფ. მ. პაპაშვილს. ექსპერტის პოზიციის მოსმენამ, სამწუხაროდ, კიდევ უფრო გაგვიძლიერა განცდა და შეიძლება ითქვას, საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ კონკურსი ჩატარდა უსამართლოდ. ზოგადად შთაბეჭდილება, რომელიც ამ საუბრის შემდეგ შეგვექმნა პიროვნულად, ძალიან მძიმეა. პროფ. მ. პაპაშვილი საკმაოდ აგრესიულად შეხვდა ჩვენს ლეგიტიმურ შეკითხვებს. მისთვის ზედმეტი აღმოჩნდა ვრცელი თეორიული შესავალი ჩვენი ნიგნისა, რომელიც, სხვათა შორის, მოცულობით არ ჩამოუვარდება კონკურსში გამარჯვებულ სტატიას. მან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ძალიან გაუჭირდა არჩევანის გაკეთება ჩვენს მონოგრაფიასა და კ. ყალიჩავას სტატიას შორის. პროფ. მ. პაპაშვილს ამ ნაშრომების სამეცნიერო ღირებულება, რომ შეედარებინა ერთმანეთისათვის, ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი გამოწვევის წინაშე არ აღმოჩნდებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, სინამდვილე ამ ისტორიაში ის გახლავთ, რომ მისთვის არანაირი, მათ შორის, ფორმალური თვალსაზრისითაც არ გახლდათ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება დიდი პრობლემა. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც პროფ. მ. პაპაშვილმა აღნიშნა, მას არ მოეთხოვებოდა დეტალური შესწავლა ნაშრომებისა და ფონდისათვის საკმარისი მხოლოდ მისი გადაწყვეტილების გაცნობა იყო; ვერ დავუკარგავთ, რომ მან ჩვენთან მაინც სცადა საკუთარი არჩევანის დასაბუთება. თუმცა ძალიან უცნაური ლოგიკით: მისი ერთადერთი არგუმენტი გახლდათ აფხაზეთის თემის, როგორც მან უნოდა, მისი პირადი ტკივილის, განსაკუთრებული მნიშვნელობა. რამდენად ეშველა აფხაზეთის პრობლემას ამ სტატიით და ზოგადად რამდენად მართებულად თვლის ამ პრობლემის ასეთი სახით დასმას რეცენზენტი, ეს ჩვენთვის უცნობი დარჩა. თუმცა, ამ შემთხვევაში ამას ალბათ არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უფრო მნიშვნელოვანია გარემოებები, რომლებიც პროფ. მ. პაპაშვილთან საუბრის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა ჩვენთვის.

როგორც გაირკვა, პროფ. მ. პაპაშვილმა გამარჯვებული ნომინანტის სტატია ნაიკითხა ქართულად ისე, რომ მას თარგმნილისა და ორიგინალი ტექსტის შედარება არ მოუხდენია. ჩვენ, ბუნებრივია, ეჭვი არ გვეპარება ნომინანტის კეთილსინდისიერებაში და იმაში, რომ მან ზუსტი თარგმანი მიანოდა ექსპერტს, თუმცა ასეთ შემთხვევაში რაიმე ნესი რომ უნდა არსებობდეს ობიექტურობის უზრუნველყოფისათვის, ვფიქრობთ, ცალსახაა. რეცენზენტი, როგორც თავად აღნიშნა ჩვენთან საუბარში, პასუხისმგებლობას მის მიერ ნაკითხული ქართული ტექსტისა და დედნის იგივეობის შესახებ სრულიად იხსნის. ეს ფაქტი კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ არც ფონდის მხრიდან იყო რაიმე სტანდარტი დაცული და, სამწუხაროდ, არც თავად რეცენზენტს გასჩენია დამატებითი შეკითხვები ორგანიზატორების მიმართ ამასთან დაკავშირებით. ყველასათვის, ვისაც მონაწილეობა მიუღია კონკურსში, სადაც სამეცნიერო შრომების შეფასება ხდება, ცნობილია, რომ წარდგენილი დოკუმენტების სანდოობა და ნამდვილობა ის საკითხია, რომელსაც ორგანიზატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ალბათ თავისთავად ის ფაქტი ბევრზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ასეთი გარემოებისა პროფ. მ. პაპაშვილი მაინც დათანხმდა ექსპერტობას. თავის მხრივ, გასაკვირია თავად ორგანიზატორების პოზიციაც: რატომ არ ეცადნენ ისინი ისეთი ექსპერტის მოძიებას, რომელიც ინგლისურადაც შეძლებდა ნამუშევრების წაკითხვას. სურვილის შემთხვევაში ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ დარგში მოღვაწე ინგლისური ენის მცოდნე კვალიფიციური ექსპერტის მოძიება.

მეორე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ ის ფაქტი, რომ ფონდის წარმომადგენლებმა ისტორიკოსს მიანდეს ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით შესრულებული მონოგრაფიის ბედიც, რომელიც მანამდე, დარგობრივი კომისიის მიერ, სადაც შესაბამისი მიმართულების წარმომადგენელიც შედიოდა პროფესორ ნინო ნერეთლის სახით, დადებითად შეფასდა და, შესაბამისად, ნომინანტადაც დასახელდა. მოკლედ, მიუხედავად ყველაფრისა, ისტორიკოსმა პროფ. მ. პაპაშვილმა დაინუნა ის და კომპილაციურიც კი უნოდა მას ორგანიზატორებისათვის წარდგენილ რეცენზიაში. ფონდმა კი ეს გარემოება არაფრად მიიჩნია და საჭიროდ არ ჩათვალა დამატებითი ექსპერტიზა, თუნდაც იმის გამო, რომ ჟიურისა და დარგობრივი კომისიის შეფასება მკვეთრად წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა ამ ნაშრომთან დაკავშირებით. ჩვენ მხოლოდ იმის გარკვევა შევძელით, რომ თავად პროფ. მ. პაპაშვილს აღნიშნული გარემოება პრობლემად არ მიაჩნია და, რომ მისი ასეთი განწყობა ეფუძნება მრავალი ათეული წლის წინ (!) მიღებულ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დიპლომს. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას ისიც, რომ კვლევის სპეციფიკურობის გამო პროფ. მ. პაპაშვილი მიუხედავად მისი ისტორიკოსობისა, მაინცდამაინც არც ჩვენი მონოგრაფიის შემფასებლად გამოდგებოდა. რატომ მიუდგნენ ორგანიზატორები ექსპერტის შერჩევას ასე უპასუხისმგებლოდ, ჩვენთვის გაუგებარია. ექსპერტის მოქმედების მიზეზი კი გასაგები: ის დამატებითი ძიებით თავს არ იწუხებდა, რადგან გამარჯვებული ყოველგვარი ზედმეტი გარჯის გარეშეც უკვე გამოვლენილი ჰყავდა.

არ გვინდა მკითხველი გადავღალოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა მივაპყროთ მისი ყურადღება იმ დეტალებსაც, რომლებიც ერთი შეხედვით ტექნიკურ შეცდომადაც შეიძლებოდა მიგვეჩნია, თუმცა თუ განვითარებულ მოვლენებს კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ არც მთლად ასე უნდა ყოფილიყო საქმე. ნომინანტების გამოვლენის შემდეგ მედიის საშუალებით შევიტყვეთ, რომ ორგანიზატორებმა, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადშიც იყო ნიგნის სრული დასახელება მითითებული და მონოგრაფიის სამი

ეგზემპლიარიც გვქონდა მიტანილი ფონდში, ჩვენი ნაშრომის სათაური არასწორად და არასრულად მიუთითეს. ჩვენი თხოვნის შემდეგაც კი, გამოესწორებინათ აღნიშნული ხარვეზი, დაჯილდოების ცერემონიალზეც მონოგრაფიის არასრული სათაური იყო მითითებული. საგულისხმოა ისიც, რომ განსხვავებით სხვა მიმართულებებისაგან არც მანამდე და, არც ღონისძიებაზე, ხაზი არ გასმია იმას თუ, კერძოდ, რა სახის ნამუშევრები ჰქონდათ ნომინანტებს წარმოდგენილი. მათ შორის, არც მათ მოცულობას. საქმე ისაა, რომ თუ მაგალითად, ზუსტ მეცნიერებებში ამ გარემოებას შესაძლებელია არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ნაშრომის მოცულობა, ავტორის მიერ განეული შრომის შეფასებისათვის ერთ-ერთი აუცილებლი კრიტერიუმია. ასე ალბათ იმ უხერხულობის განეიტრალებას ან თავიდან აცილებას იმედოვნებდნენ, რომელიც ორი მონოგრაფიის გვერდით ერთი სტატიის ნომინირებას, შემდეგ კი მის გამარჯვებულად გამოცხადებას მოჰყვებოდა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ ჩვენ აბსოლუტურად არ ვიზიარებთ პროფ. მ. პაპაშვილის უსაფუძვლო და გაუგებარ მოსაზრებებს ჩვენი წიგნის შესახებ, რომ ის ეკლექტურია და, რომ მასში ბევრი *უცხო სიტყვაა* გამოყენებული. მით უფრო ვერ გავიზიარებთ „შენიშვნას", რომ ის ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც კარგადაა შესნავლილი. ვფიქრობ, რომ ჩვენს მონოგრაფიას, რედაქტორის, ასევე რეცენზენტების სახით, ბევრად უფრო კვალიფიციური და კომპეტენტური შემფასებელი ჰყავდა, ვიდრე პროფ. მ. პაპაშვილია ამ შემთხვევაში. როგორც მასთან საუბრისას გამოიკვეთა, გარდა იმისა, რომ ის სრულყოფილად არ გასცნობია ჩვენს მონოგრაფიას, როგორც ჩანს, მან ვერც ის გაიგო, რის შესახებაა ის. შენიშვნები, უფრო სწორედ უკმაყოფილება, რომელსაც ის გამოხატავდა ჩვენთან დაახლოებით ორმოცწუთიანი საუბრის განმავლობაში, წიგნის პირველ თავს, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა და მცდელობისა, ვერ გასცდა. თუმცა მას პირადადაც ვუთხარით, აქაც დავუდასტურებთ, რომ მზად ვართ, მისი მონაწილეობით, ნებისმიერ კვალიფიციურ ექსპერტთან, მათ შორის, ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებების წარმომადგენლებთან ერთად გავიაროთ მონოგრაფიაში განხილული თითოეული საკითხი, ვაჩვენოთ მისი სამეცნიერო ღირებულება და სიახლე. ასევე დიდი სიამოვნებით მივიღებთ და მოვისმენთ ნებისმიერ კვალიფიციურ და კოლეგიალურ შენიშვნას, თუმცა არა ისეთს, როგორც პროფ. მ. პაპაშვილს ჰქონდა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზატორების მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი სამართლიანობა და გამჭვირვალობა. ჩვენი აზრით, სრულიად უგულებელყოფილი იყო თავად პრემიის მიზანი: ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ახალგაზრდა მეცნიერების მიერ შეტანილი წვლილის, ნაშრომის ცნობადობისა და ქართული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის შესახებ ფონდის მოთხოვნებზე. ფაქტია, რომ გადაწყვეტილების მიმღები ექსპერტიც კი ვერ გაეცნო ერთ-ერთ ნაშრომს ორიგინალში. ჩვენ ძალიან გვიკვირს ორგანიზატორების გულგრილი დამოკიდებულება საკითხისადმი, ის უპირობო ნდობა, რომელიც მათ ჟიურის გამოუცხადეს. ფაქტია, რომ ფონდის წარმომადგენლებმა საჭიროდ არ ჩათვალეს ექსპერტის დასკვნის გადასინჯვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აუცილებელი იყო. თავის მხრივ, ამ შესაძლებლობის გამო, პროფ. მ. პაპაშვილმაც მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც მას სურდა და სამი ნომინანტიდან აირჩია მისთვის პიროვნულად სასურველი კანდიდატი. გვგონია, რომ ყველაფერთან ერთად რეცენზენტის გადაწყვეტილება იმ არაჯანსაღი ვითარების გამოძახილიც გახლავთ, რომელიც შექმნილია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. დასანანია, რომ ვხვდებით შერჩევით დამოკიდებულებას, მათ შორის, იმ ადამიანთა მხრიდან, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენს მომავალი თაობების აღზრდა და მათთვის გარდა პროფესიულისა, ასევე ადამიანური მაგალითის მიცემა. სამწუხაროდ კითხვები, რომლებიც წინანდლის პრემიის დაჯილდოების შემდეგ გაჩნდა, და ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილების გამო, გარდა იმისა, რომ პასუხებს მოითხოვს, ფაქტობრივად, ფარავს ამ ღონისძიების თავისთავად დადებით მნიშვნელობასაც. ამ თემაზე გამოხმაურებით მკითხველს არ შევაწყენდით თავს, რომ არ ვთვლიდეთ, რომ ზემოთ აღწერილი ამბის საწყისების ძიებას უფრო ფუნდამენტურ პრობლემამდე მივყავართ.

მკითხველს ალბათ არაერთხელ მოუსმენია, რომ ქართული საზოგადოების უმთავრესი პრობლემების სათავე მის წარსულში უნდა ვეძებოთ და, რომ ჩვენი მომავლისათვის აუცილებელია განვლილი ეპოქების გადააზრება და თავიდან დაბადებაც კი. დიახ! წარსულის გააზრებას სწორედ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის ანმყოს საჭიროებებიდან გამომდინარეობს, მხოლოდ ასე შეიძლება იქონიოს მან გავლენა თანამედროვეობაზე. წარსულის, ანმყოსა და თუ გნებავთ მომავლის ისტორიული ერთიანობის განცდისა და კონკრეტული კანონზომიერებების აღწერის მიღმა ისტორიკოსი მხოლოდ გარდასულ ამბავთა მთხრობელია, რომლის მოსმენაც ხშირად, არც სასიამოვნოა და, არც საჭირო. საკამათო არაა ისიც, რომ თუმცა ზოგი მის დავიწყებას ამჯობინემდა, დღევანდელობის უმთავრესი გამოწვევა საბჭოთა წარსულის გავლენებისაგან განთავისუფლება გახლავთ. ინტელექტუალური ბმა, რომელიც ქართველებს, ყოველ შემთხვევაში მის არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილს ჯერ კიდევ აქვს ფსევდო ღირებულებსა და ფასეულობებთან, ჭიპლარის მსგავსად, რომელიც ახალშობილს დაბადებისას მოჰყვება, უნდა გადაიჭრას. ვერ ვიტყვით, რომ რადიკალური ჩარევით

გავამარტივებთ პრობლემის მოგვარების პროცესს, თუმცა ამის გარეშე, რომ შეუძლებელი იქნება უკეთესი მომავლის აშენება, ეს ცალსახაა. მოგვნონს თუ არა მენტალური და ინტელექტუალური გაჯანსაღების პროცესი საჭიროსთან ერთად მტკივნეულიცაა. მტკივნეულია იმ აზრითაც, რომ ის შეეხება აბსოლუტურად ყველას და ყველაფერს. შეუძლებელია ამ პროცესის მიღმა დარჩეს უმნიშვნელო ნიუანსიც კი ჩვენი ცხოვრებისა.

დაბოლოს, ვფიქრობთ, რომ მეცნიერის ნებისმიერი აქტივობა, გარდა ამა თუ იმ დარგში უმაღლესი პროფესიული მოთხოვნების ფორმალური დაკმაყოფილებისა, საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული შინაგანი პასუხისმგებლობის ქონასაც გულისხმობს. ასეთ დროს ობიექტურობა, სამართლიანობა და პრინციპულობა უნდა იყოს უმაღლესი სტანდარტი, რომლის დაცვაც სავალდებულოა და ურომლისოდაც შეუძლებელია მეცნიერი ეწეოდეს პროფესიულ და, მით უფრო, პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან ისტორიული პროცესის, ასევე მისი როგორც პროფესიის არსის გადააზრება, ხელახალი წვდომა პირველი ნაბიჯია თავიდან დაბადების გზაზე. მხოლოდ ასე შეიძლება ახალი მომავლის აშენება, რომელიც სრულიად თავისუფალი იქნება საბჭოური მემკვიდრეობისაგან.

ამ წერილის ავტორისათვის წინადლის პრემიის ნომინანტობაც პატივი იყო, მიუღებელი არ იქნებოდა სამართლიან კონკურსში დამარცხებაც. მაგრამ მერჩევის არაობიექტური პროცესი და ამის შედეგად პრეტენდენტის გამარჯვება, ნამდვილად ინვევს ჩვენს აღშფოთებას.

იმედია, რომ ზურაბ ჟვანიას ფონდი მომავალში შეძლებს იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც ახლდა 2018 წლის კონკურსს.

NOTES ON TSINANDALI AWARD OF 2018

Zurab Targamadze

The main reason why we decided make some notes on Tsinandali Award of 2018 is the decision, according to which jury, namely, Prof. M. Papashvili, took the absolutely unfair solution. Before we will tell to the readers about principal issues, we would like to remind, that the nominees of this year in Humanities were: author of this paper (Zurab Targamadze) for the monograph: "Georgian Identity: Historical Aspects 18th Century". Tbilisi, Meridiani Publishers, 2018, 371 pp.; Kakhaber Kalichava for the article: "Between Kosovan and Georgian Breakaway Regions' Conflicts. Historical Analysis of the Differential Aspects of These Conflicts in the Post-Soviet Period". *Warsaw East European Review*. vol., VIII. 2018, pp. 51-95; and Levan Beburishvili for the monograph: "The Ethical Problems in Vazha Pshavelas Essays". Tbilisi, Meridiani Publishers, 2018, 238 pp.

Our monograph is dedicated to the issues of Georgian Identity. In it we discuss the topics which from the point of ethnosymbolist approach and from the historiosophical view we try to do it, were not observed yet. There are studied the cultural, socio-economical and political conditions from this viewpoint. We had rethink the several historical materials and development of the processes, among them language, religion and ethnical policy (the relations with Abkhazians and Ossetians). Unlike the existed opinions about timing of Georgian nationalism (1830s, 1860s) we think that, Georgian nationalism has been born in the last decades of 18th century and that time its main postulates were the cultural.

The monograph has been written by the financial support of Shota Rustaveli National Science foundation of Georgia with the Doctoral Program Grant (DO/351/1-10/14), during of which we were participated in seven international and national scientific conferences. Within the research four articles and one abstract were published; two more articles are still in process of publishing. In our case, applying of the nominee had the several preconditions. First of all, the comments and feedback on this book. Although, the crucial importance had the scientific prestige and evaluations of our editor Professor Mariam Chkhartishvili and of our reviewers Professor Eka Kvachantiradze and Professor Goneli Arakhamia. As far as we could took into consideration these comments, but despite of our wish we were not able to input all of these advises in this edition, although we are sure in the future we will able to do this.

Instead to take into the consideration the scientist value of the nominated works Prof. M. Papashvili had rely on only his personal sympathy and gave preference to the author of the article which is actually nothing but overview of the existed literature on subject. Prof. Papashvili has denied requirements according to which the works of nominats should be well known for the scientific society and that all of these publications must be accessible for the Georgian readers. As it turned out he even did not read K. Kalichava's article in original language i.e. in English. Among other things there was not protected minimum standard of objectivity and fairness. Unfortunately organizers could not prevent the conflict

of interest too: the historian member of the commission (this was the body nominating applicants) Accosiated Prof. Tea Tsitlanadze and the jury Prof. M. Papashvili who took the final decision, are the members of one and same institute i.e. Institute of World History. Even more: K. Kalichava studies at the educational programs of this institute several years under the supervision of Prof. T. Papaskiri who also is a member of this institute.

Prof. M. Papashvili took the decision, which does not have any connection with scientific judgment.

We hope the representatives of Zurab Jvania Foundation will take into consideration these facts and for the next time will improve the procedure of the competition. They should look at their activities with relevant responsibility in particular should be more careful in choosing of academic experts.

პოლემიკა
POLEMICS

„სომეხი ხალხის ისტორიის“ ქართული გამოცემის შესახებ

დავით მერკვილაძე

2016 წლის შემოდგომაზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (კსუ) გამოსცა წიგნი „სომეხი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან 1921 წლამდე". წიგნი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხისაა და უხვად არის ილუსტრირებული. ეს არის ჩვენი უძველესი და უახლოესი მეზობელი ხალხის ისტორიის პირველი გამოცემა ქართულ ენაზე, რაც უდავოდ ღირშესანიშნავი მოვლენაა. ამიტომ ამ გამოცემას, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

თუმცა მანამდე მოკლედ შევჩერდები ნიგნის გამოცემის წინა ისტორიაზე. კსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სომხეთის ისტორიით დაინტერესებული სტუდენტების მცირე ჯგუფს დაენიშნა სომხეთის ისტორიისა და სომხური ენის სალექციო კურსები. ვინაიდან მე შემომთავაზეს სომხეთის ისტორიის წაკითხვა, თავისთავად აღმოვჩნდი იმ სერიოზულ პრობლემის წინაშე, რასაც ამ მხრივ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს არარსებობა ქმნიდა. ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობაც ბუნებრივად დადგა დღის წესრიგში. ვიფიქრეთ, რასაკვირველია, რომ თავად დაგვეწერა საჭირო სახელმძღვანელო, მაგრამ ამგვარი საქმის განხორციელება, მისი მოცულობისა და ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე არსებული ფაქტობრივი ვაკუუმის გამო, დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომ კსუ-ს ხელმძღვანელობას შევთავაზე ქართულად გვეთარგმნა ერევნის უნივერსიტეტის მიერ 1980 წელს რუსულად გამოცემული წიგნი: „სომეხი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე".

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ მეჩერდა ჩვენი არჩევანი ამ ნიგნზე? ამ კითხვას შემდეგნაირად ვპასუხობთ: 1. ვინაიდან ეს წიგნი არის გამოცემული ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში, როცა მაშინდელი ცენზურა საკმაოდ მკაცრად აკონტროლებდა ბეჭდურ გამოცემებს, მასში შედარებით ნაკლებად არის ასახული სომხური ისტორიოგრაფიისათვის ასე თუ ისე დამახასიათებელი ტენდენციურობა და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ შორის სომხურ-ქართული ურთიერთობის თვალსაზრისით; 2. წიგნი არსებობდა რუსულ ენაზე, რაც გასაგები მიზეზების გამო მის ქართულად თარგმნას უფრო აიოლებდა (მაშინ ამ საქმის შესასრულებლად სომხური ენის სპეციალისტის სასწრაფოდ გამონახვა არ ხერხდებოდა); 3. ჩვენ ხელი მიგვინვდებოდა წიგნის ელ-ვერსიაზე, რაც თარგმანის პროცესის დაჩქარებას საშუალებას იძლეოდა. 4. აქ ერთ ნიგნში თავმოყრილი არის სომეხი ხალხის მთელი ისტორია უძველესი ეპოქიდან მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე, რაც ისტორიის თხრობის კომპაქტურობის თვალსაზრისით, ძალიან მოსახერხებელი ფორმატი იყო ჩვენი საჭიროებისათვის.

თუმცა ამავე დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომ „ისტორია" გადატვირთული იყო საბჭოთა მოძველებული კლიშეებით და ქართული გამოცემის რედაქტირებისას იგი შეძლებისდაგვარად განვტვირთეთ ამგვარი მოძველებული, ყავლგასული ჩანართებისაგან. საბჭოთა ხანის ისტორია კი საერთოდ ამოვიღეთ, რადგან იგი რედაქტირებასაც კი აღარ ექვემდებარებოდა და დასახული მიზნისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. ამ გარემოებით აიხსნება ნიგნის ქართული გამოცემის სახელწოდების გარკვეული განსხვავებაც მისი რუსული (და სომხური) დედნისაგან (ამის თაობაზე აღნიშნული გვაქვს ჩვენი გამოცემის წინასიტყვაობაშიც).

ნიგნი თარგმნა ისტორიკოსმა ერეკლე ხუციშვილმა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო თქვენმა მონა-მორჩილმა, რომელმაც ამ გამოცემას სამეცნიერო რედაქტორობა გაუწია. გამოცემის კონსულტანტი გახლავთ არმენოლოგი, პროფესორი ბონდო არველაძე. წიგნის პრეზენტაცია შედგა ზემოაღნიშნული უნივერსიტეტში სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან მოწვეული მკვლევარ-მეცნიერების, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა წინაშე. ტელევიზია „ერთსულოვნებამ" ორჯერ მიმინვია გადაცემა „ერთიანი

მშვიდობიანი კავკასია"-ში (წამყვანი თამარ ბელქანია) წიგნის შესახებ დაწვრილებით სასაუბროდ და მისი უფრო ფართო საზოგადოებისათვის უკეთ გასაცნობად.

„ლიტერატურული საქართველოს" 2017 წლის 26 მაისის ნომერში გამოქვეყნდა პროფესორ გურამ ყორანაშვილის წერილი: „წიგნი ჩვენი მეზობელი ხალხის ისტორიის შესახებ", რომელიც ჩვენი გამოცემის რეცენზიას წარმოადგენს. მასში აღნიშნულია, რომ „ჯობდა დასახელებული წიგნი უშუალოდ სომხურიდან თარგმნილიყო, მაგრამ, როგორც გაკეთდა, ისიც ფრიად მისასალმებელი მოვლენაა, რამეთუ... ქართულენოვან მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნონ ჩვენი უძველესი სამხრეთელი მეზობლის ტრაგიკულ, მაგრამ დიდად საინტერესო ისტორიას. დღემდე კი მსგავსი რამ გამოირიცხებოდა, რაც შეუსაბამობას წარმოადგენს". არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ რეცენზენტს, რომ, მართლაც, აჯობებდა წიგნი უშუალოდ სომხურიდან თარგმნილიყო, თუმცა ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რატომ მოგვიწია თარგმანის რუსული ვერსიიდან გაკეთება.

რეცენზენტი გამოთქვამს გარკვეულ შენიშვნებს წიგნის სომეხი ავტორების მისამართით: კერძოდ, რომ „წიგნში ბუნდოვნად არის გადმოცემული სომეხთა ეთნოგენეზის საკითხი"; სათანადოდ ვერ არის ახსნილი პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივი საზოგადოების ნარმოშობა-განვითარების პრობლემა; იგნორირებულია ისტორიული დემოგრაფია; „ირაციონალურად მოჩანს სომეხი ხალხის თავისუფალი მისწრაფების ფაქტორის მნიშვნელობა ეთნიკურ კონსოლიდაციაში"; გაზვიადებულად არის ნარმოჩენილი კლასობრივი ბრძოლის საკითხი; ტენდენციურად არის წარმოჩენილი სომხეთის პირველი რესპუბლიკის პერიოდი (1918-1920 წწ.) და სხვა.

წიგნში დაფიქსირებული შეხედულებების მიმართ გამოთქმული შენიშვნების ძირითად ნანილს ჩვენც ვიზიარებთ, ზოგიერთი მათგანის (მაგ., კლასობრივ ბრძოლაზე ზედმეტი აქცენტის გაკეთება, 1918-1920 ნლების ისტორიის ტენდენციურად გაშუქება) თაობაზე მითითებული გვაქვს კიდეც ჩვენს გამოცემაშიც, ზოგი რამ კი მკითხველის თავისუფალი განსჯის საგნად დავტოვეთ. გურამ ყორანაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, „რომელი ბერძენი ფილოსოფოსი იგულისხმება „ზენონში", რომელსაც თარგმნიდნენ V-VI საუკუნეებში". ამის თაობაზე უნდა განვმარტოთ, რომ რუსულ გამოცემაში მესაბამის ადგილას ნერია ფენონი (Фенон), რაც მექანიკურ შეცდომად მივიჩნიეთ (რადგან ასეთი სახელის მქონე ძველ ბერძენ ფილოსოფოსს ვერ მივაკვლიეთ) და გავასწორეთ „ზენონ"-ად. ამ სახელით ცნობილია ორი ფილოსოფოსი: ზენონ ელეიელი (ძვ. წ. V ს.), რომელსაც არისტოტელე პირველ დიალექტიკოსს უწოდებს და ზენონ სკიტიელი (ძვ. წ. IV-III სს.), სტოიციზმის მესაფუძვლე. როგორც ჩანს, მსგავსი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებოდა, სქოლიოში რუსული დედნისეული ვარიანტის მითითებასთან ერთად მკითხველისათვის იქვე მიგვენოდებინა განმარტება ამის თაობაზეც.

რეცენზენტის შენიშვნით, „ენობრივად კარგად გამართულ წიგნში" ზოგიერთი სიტყვის გადმოქართულება უკეთ იყო შესაძლებელი. მის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტთაგან ნანილს, როგორიცაა: „ურჩი მოვალე" („ვალის არგადამხდელის" ნაცვლად), „სავალო მონობა" („მოვალეობითი მონობის" ნაცვლად), „ჰარამხანა" („ჰარემის" ნაცვლად), „ფასდაუდებელი" („შეუფასებელის" ნაცვლად), სრულიად ვიზიარებთ.

პროფ. გურამ ყორანაშვილი ერთგან მიუთითებს: „აღნიშნული წიგნის გამოცემას ჩვენს საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი, მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ნანილმა იგი მიუღებლად მიიჩნია. მავანთაგან განსხვავებით, ვფიქრობთ, საგანგაშო ნამდვილად არაფერი მომხდარა, პირიქით – გამოსნორდა ხარვეზი, რაც უთუოდ წაადგება ქართულ კულტურას."

ზემოდასახელებულ რეცენზენტს უდავოდ მხედველობაში აქვს ა. აბდალაძის გამოსვლა ტელეკომპანია „ობიექტივის" ეთერში, სადაც მან ნამყვან ვაჟა ოთარაშვილთან უნისონში უსაფუძვლო კრიტიკის „კორიანტელი" დააყენა ჩვენი ზემოაღნიშნული წიგნისა და მისი გამომცემლების მისამართით. ასევე შეიძლება იგულისხმებოდეს ისევ ა. აბდალაძის ვრცელი ინტერვიუ სათაურით: „სკანდალი: სომეხი მეცნიერების აზრით, დიდგორის ომი სომხებმა და რუსებმა მოიგეს!!!", რომელიც ამის შემდეგ ცრუ სკანდალების მოყვარულ გაზეთ „ასავალ-დასავალში" (2017 წ. 17-23 აპრილი, #16) დაიბეჭდა.

ინტერვიუ ყოველნაირად სცილდება სამეცნიერო ეთიკის ფარგლებს, იგი უხვადაა გაჯერებული, ერთი მხრივ, არმენოფობიური და ფსევდოპატრიოტული ლექსიკით და, მეორე მხრივ, წიგნის გამოცემის მესვეურთა (კსუ-ს ხელმძღვანელობის, გამოცემის რედაქტორის, მთარგმნელის) მიმართ ცილისწამებათა მთელ ნყებას შეიცავს. აშკარაა, რომ საუბარი ნარმართულია ჩასაფრებული, დაბოღმილი კაცის პოზიციიდან, რომელიც ნებისმიერი საშუალებით, ტყუილით, დემაგოგიით, ცილისწამებითა და ფაქტების გაყალბებით ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი და შეუქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ამ წიგნის გამოცემა რაღაც საშინელი ანტიქართული გეგმის შემადგენელი ნანილია.

ინტერვიუს „ეჭვის" სახით წითელ ხაზად გასდევს პირდაპირი ცილისწამება, თითქოს ყველა, ვინც ამ წიგნის გამოცემაში მონაწილეობდა, „სომხური წრეებისაგან" ფინანსდებოდა. ამის თაობაზე შესავალშივე აღნიშნავს ხსენებული ინტერვიუს ამღები, გაზეთის ჟურნალისტი (დ. ჩუბინიძე), იგივე ცილინამება მთავარ თემად (სათაურის ფორმის მსხვილი შრიფტით) გამოტანილია გაზეთის შემდეგ გვერდზეც: „წიგნის თარგმნაში სომხურმა ნრეებმა ქართველებს ფული გადაუხადეს!". იგივე აზრი ა. აბდალაძის მიერ გატარებულია ინტერვიუს

ბოლოში: ვან ბაიბურთი ოციოდე წლის წინ ქართულ-სომხური ურთიერთობის შესახებ წერის შეწყვეტის (ანუ გაჩუმების) სანაცვლოდ მას თურმე თვეში 1000 დოლარს სთავაზობდა, თანხის მომატების პერპექტივით, რაც „მოუსყიდავ პატრიოტ მეცნიერს“ დამაჯერებლად აფიქრებინებს, როგორ შეიძლებოდა „სომეხი ხალხის ისტორიის“ ქართულად გამომცემლებისათვის არ გადაეხადათ „სომხებს“ ფული. ბოლოთქმაში კი უკვე ვ. ოთარაშვილის განცხადებაა მოყვანილი, რომ ზემოხსენებული სატელევიზიო გადაცემის გამო კხუ-ს კანცლერ ვახტანგ ნივწიკაძესთან უსიამოვნო სატელეფონო საუბარმა მას „კიდევ უფრო გაუმძაფრა ეჭვი, რომ ვახტანგ წივწიკაძესა და მის ამფსონებს ქვენა გრძნობები აკავშირებთ ამ წიგნის გამოცემასთან“. მართალია, ამ „ანტიქართული“ საქმისათვის გადახდილი თანხის რაოდენობის დასახელება „ერის ინტერესების დამცველებს“ არ ძალუძთ, სამაგიეროდ, ოთარაშვილს შეუტყვია, რომ მთარგმნელისათვის 24 000 ლარი ყოფილა გადახდილი.

ამ უსინდისობის საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ წიგნის გამოცემა მთლიანად დაფინანსდა კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის მიერ მისი დამფუძნებლისა და კანცლერის ვახტანგ ნივწიკაძის მოამაგეობით, რომელსაც ურცხვად იქით დააბრალეს ანგარება. მთარგმნელმა ერეკლე ხუციშვილმა კი ანაზღაურების სახით მიიღო მხოლოდ 2 (და არა 24) ათასი ლარი, რომელიც შესაბამისი დოკუმენტებით დასტურდება. რაც შეეხება, გამოცემის რედაქტორს, მოგახსენებთ, რომ მე ჩემი საქმე შეკასრულე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

3. ოთარაშვილის პირით, „ბოლოთქმაში“ მსხვილი ასოებით პირადად ჩემს მისამართით კიდევ ერთი ბინძური ცილისწამება ვრცელდება: თითქოს მე წიგნს კომენტარები (და ასეთი 350-მდეა) მხოლოდ „მოვალეობის მოხდის მიზნით გავუკეთე“, თორემ როგორც მას შეუტყვია, მე ნიკო მარისა და „სომეხი პატკანიანის“ იმ თეორიას ვიზიარებ, რომლის თანახმადაც თურმე „ტარ-კლარჯეთი სომხების ყოფილა და ქართველებს მათთვის ნაურთმევიათ“. დარწმუნებული ვარ, ჩემს შესახებ ეს „აღმოჩენა“ ოთარაშვილს ა. აბდალაძემ გაანდო, რათა მეცნიერისათვის შეუფერებელ თავის უკადრის გამოხტომებს „ერის მოღალატეთა“ წინააღმდეგ მამაცურად ბრძოლის ელფერი მიანიჭოს. მე გახლავართ 70-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის, არაერთი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი და საკითხავია, სად მიაგნეს მსგავსი აბსურდის, თუნდაც ნიშანწყალი დასახელებულმა პირებმა? ეს ვითარება კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ენის „უძვლობა“ შუბლის „უძარღვობაში“ ვლინდება.

აქვე დავძენ, რომ ა. აბდალაძე გამორჩეულად აგრესიულად არის განწყობილი წიგნის რედაქტორის მიმართ და წიგნის ცალკეული შინაარსობრივი საკითხების შესახებ მსჯელობების დროსაც კი, წიგნის ავტორთა კრიტიკის ნაცვლად, ხშირად პირადად ჩემსკენ იშვერს თითს. იქ ხშირად ვაწყდებით გამოთქმებს: „დავით მერკვილაძის „სომეხი ხალხის ისტორიაში“ ვკითხულობთ“, „მერკვილაძის გამოცემულ წიგნში წერია“ და ა. შ.,

ა. აბდალაძისათვის „სომეხი ხალხის ისტორიის“ ჩვენეული გამოცემა იმთავითვე მიუღებელია, რადგან მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, სომეხმა მეცნიერებმა სომხეთის ისტორია და ქართულ-სომხური ურთიერთობები ობიექტურად აღწერონ. აღშფოთებული ტონით ავტორი სამარცხვინოს უნოდებს, სომეხი მეცნიერების დაწერილი წიგნის (რომელიც თურმე „ქართველ ერს არ ესაჭიროება“) ქართულად თარგმნის ფაქტს, მაშინ როცა სომხების მიერ საქართველოს ისტორიის სომხურად თარგმნის შესაძლებლობასაც კი ხელაღებით გამორიცხავს. მეცნიერისათვის შეუფერებელი ამგვარი არასერიოზული და არმენოფობიური განცხადებები უკვე თავისთავად მეტყველებს ა. აბდალაძის უკიდურეს სუბიექტურობაზე და მოუმზადებლობაზე, მიუკერძოებლად იმსჯელოს დასახელებული წიგნის ავკარგიანობის თაობაზე.

მეტი სიცხადისათვის პუნქტობრივად მივყვეთ „ერის ინტერესების დამცველის“ მანტიამოსხმული ა. აბდალაძის მიერ შინაარსობრივი კუთხით გამოთქმულ ცრუ პრეტენზიებს. მკითხველი რომ არ გადავ-ტვირთოთ, ავტორის ვრცელი მსჯელობები მოგვყავს შეჯამებული სახით. „კრიტიკა“ მსურველებს სრულად შეუძლიათ იხილონ დასახელებული გაზეთის ფურცლებზე.

ა. აბდალაძე აცხადებს:

> მერკვილაძე ნინასიტყვაობაში წერს – „სომხეთს საქართველოსთან შედარებით რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა, სომხეთი საქართველოსთვის ზღუდეს წარმოადგენდა სამხრეთიდან და ამიტომ საქართველო თუ გადარჩა, ეს სომხეთის დამსახურება არისო!“ შემდეგ კი დემაგოგიურად აგრძელებს: სომხებს ჩრდილოეთიდან ყოველთვის დიდი საფრთხე ემუქრებოდათ სკვითების, კიმერიელების, სარმატების, ხაზარების მხრიდან და თავად საქართველო იყო ჩრდილოეთიდან სომხეთის ზღუდეო, მერკვილაძე კი ამაზე დუმსო. შემდეგ კი რიხიანად მისვამს „ჩამჭრელ“ კითხვას: სომხური სამეფოები გაქრნენ მე-11 ს-ში, ამიტომ „მიპასუხოს დავით მერკვილაძემ, 800 წლის განმავლობაში ვინ იცავდა საქართველოს სამხრეთიდან, სახელმნიფოებრიობაგამქრალი და არარსებული სომხეთი?“

ამ თემაზე გაცხარებულ საუბარს კი იმ დასკვნით ასრულებს, რომ „ქართველი ერი მეტად ბრძოლისუნარიანი იყო ვიდრე სომხები.

ამ ჩვეულებრივი დემაგოგიის საპასუხოდ უნდა ითქვას შემდეგი:

1. ნინასიტყვაობაში ხაზს ნამდვილად ვუსვამ ისტორიული სომხეთის ტერიტორიის სტრატეგიულ მნიშვნელობას და აღვნიშნავ, რომ „ამ გარემოებით განპირობებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ეს

ქვეყანა ერთდროულად ექცეოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიების დარტყმების ქვეშ;" ასევე, რომ იმ დროის უძლიერეს სახელმწიფოთა შორის უშუალოდ მოქცეული სომხეთი ამგვარი ვითარების გამო „დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებდა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას და ისიც მხოლოდ მე-11 ს-მდე". აქვე დასახელებული მიზეზებით არის ახსნილი ის გარემოება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა, სომხურისაგან განსხვავებით, „ნყვეტის გარეშე განაგრძობდა არსებობას მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში" (გვ.4). ვისაც ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ გეოგრაფიაზე მეტ-ნაკლები ნარმოდგენა აქვს, დამეთანხმება, რომ ისტორიულ სომხეთს ურთულესი გეოპოლიტიკური მდებარეობა ერგო. ობიექტური რეალობაა, რომ სამხრეთიდან მოძალებული დამპყრობლებისათვის ხელში ჩასაგდებ ქვეყანათაგან საქართველო ზურგით კავკასიონის ქედზე მიბჯენილ უკიდურეს განაპირა მხარეს ნარმოადგენდა. როცა ქართველები თავიანთი სამკვიდროს ამ გეოგრაფიულ მდგომარეობას თავისუფლებისათვის ბრძოლისას ნარმატებით იყენებდნენ, მტრისაგან დამორჩილებულ სომხეთს, ჩვეულებრივ, დამპყრობელი იმპერიების შიდა პროვინციად გადაქცევა ხვდებოდა ხოლმე წილად, რაც სომხების ბრძოლას თავისუფლებისათვის თავისთავად ძლიერ ართულებდა.

2. სომხებმა თავის დროზე (ძვ. ნ. II-I სს.) საკმაოდ დიდი და ძლიერი სახელმწიფო შექმნეს (მათ შორის, მეზობლების მინების მიტაცების ხარჯზე). მოგვიანებით, მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში და შემდეგაც სომხები ურთულეს ვითარებაში თავგანნირვით იბრძოდნენ უცხოელთა უღლისაგან თავის დასაღნევად (ამის დასადასტურებლად უამრავი ისტორიული ფაქტის მოყვანა შეიძლება). ამიტომ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სომხებმა სახელმწიფოებრიობა იმიტომ დაკარგეს, რომ ბრძოლიუნარიანობა არ ჰქონდათ, ან აკლდათ, ცალსახად არასერიოზულია. სნორედ სახელმწიფოებრიობის საბოლოო დაკარგვის შემდეგ, როცა სომხებს აღარც პოლიტიკური მართვის სადავეებზე მიუნვდებოდათ ხელი და სამხედრო საქმესაც მნიშნელოვნად ჩამოცილდნენ, მათში ძლიერი სტიმული ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას მიეცა. მითუმეტეს, სამშობლოდან უცხო ქვეყნებში გადახვენილ უმამულო სომხებში საქმიანობის ეს სფერო თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად იქცა. ამიტომ საქართველოში დასახლებული ვაჭარ-ხელოსანი სომხების შემხედვარე ქართველებში შედარებით გვიანდელ ხანაში მათ მიმართ გარკვეული (არამეომარი, ფულის შოვნაზე გადასული ხალხის) სტერეოტიპი ჩამოყალიბდა და ეს ლოგიკურიცაა. მაგრამ დაუშვებელია, ასეთი სახის მსჯელობას მთელ ხალხზე და მათი ისტორიის მთელ მანძილზე ამგვარად აზოგადებდეს მეცნიერი და, მითუმეტეს, არმენოლოგი. სხვა ქვეყნებში ჩასახლებული სომხების დიდმა ნაწილმა თაობათა განმავლობაში ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად გარკვეულწილად, მართლაც, განიცადა ერთგვარი მენტალური ცვლილებაც. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს იყო შედეგი და არა მიზეზი სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა. ერთობ მსგავსი ვითარება ნარმოიქმნა ებრაელი ხალხის შემთხვევაშიც, რის შესახებაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

3. ჩემ მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში არსად არ მაქვს ნახსენები, რომ სომხეთი საქართველოს ზღუდე იყო. საერთოდ, მსგავსი აზრი აქ ნაგულისხმევიც არ არის არსად. ეს ა.აბდალაძის მიერ შეთხზული სიყალბეა მკითხველისათვის წიგნზე არასწორი წარმოდგენის შესაქმნელად. წინასიტყვაობაში ერთგან აღვნიშნავ, რომ ქართველებსა და სომხებს ხშირად საერთო უცხოტომელი დამპყრობელი ჰყავდათ და „სამხრეთიდან შემოსული მტერი ჯერ სომხეთში შედიოდა და ამის შემდეგ მოადგებოდა ხოლმე საქართველოს მინა-წყალს." სომხეთის ტერიტორიის გამოვლით მოადგნენ ქართულ მინებს დასაპყრობად რომაელები, სასანიანთა ირანი, არაბები, სელჩუკები და კიდევ მრავალი სხვა (რომელი ერთი ჩამოვთვალო) და ეს უბრალოდ, ისტორიული ფაქტებია, რომლის გახსენებაც რატომღაც ასე აღიზიანებს ჩვენს კრიტიკოსს, რომელიც, სავარაუდოდ, ჩემი ზემოხსენებული წინადადების შეგნებულად დამახინჯებული ინტერპრეტაციის (რასაც ჩემს ნათქვამთან არაფერი საერთო არ აქვს) სამუალებით ცდილობს აღნიშნული გამოცემისა და მისი რედაქტორის მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი განწყობის შექმნას. ამიტომ ჩვენს გამოცემულ წიგნთან დაკავშირებით ჩემი მისამართით საკითხის ამდაგვარი დასმა ზემოთ დასმული შეკითხვის (აღარარსებული სომხეთი როგორღა დაიცავდა საუკუნეების მანძილზე საქართველოს?) სახით სრულიად უადგილო და არაკორექტულია.

4. რაც შეეხება სომხებისათვის ჩრდილოეთიდან მუდმივად მომავალ დიდ საფრთხეებს „სკვითების, კიმერიელების, სარმატებისა და ხაზარების მხრიდან", რის გამოც საქართველო თურმე სომხეთის ზღუდეს წარმოადგენდა ჩრდილოეთიდან და რასაც თითქოს მე შეგნებულად ავუარე გვერდი, კიდევ ერთი აბსურდია. აქ უკვე მიჭირს თქმა, ისტორიის არცოდნასთან გვაქვს ამჯერად საქმე, თუ მორიგ განზრახ ტყუილთან. ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთისაკენ სკვითებისა თუ კიმერიელების შემოჭრა ძალზე ადრეულ პერიოდს განეკუთვნება (ძვ ნ. VIII-VI სს.), რომელიც მნიშვნელოვნად უსნრებს საერთოდ სომხეთის სახელმწიფოს წარმოშობას. ამიტომ სომხეთის მიმართ მათგან მომდინარე საფრთხეებზე საუბარი შეუძლებელია. ხაზარების სამხრეთისაკენ შემოჭრა კი უკავშირდება ირანის წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობას (627-28 წლები) და ის ამ უკანასკნელთან შეთანხმებით ხორციელდებოდა (სხვათა შორის, იმჯერად ხაზართა მიერ თბილისიც იქნა აღებული). მანამდე, ძვ. ნ. I-II სს.ში ქართველი მეფეები ხშირ შემთხვევებში თავად იყენებდნენ ჩრდილოკავკასიურ სამხედრო ძალებს იმხანად რეგიონში გაბატონებული იმპერიების, რომისა და პართიის, პროვინციების დასარბევად. ამის გამო თვითონ სომხეთიც არაერთხელ დაზარალებულა. იგივე ძალა ქართველ მეფეთა მხრიდან ქართულ-სომხური საბრძოლო დაპირისპირებების დროს ხშირად

გამოყენებულა უშუალოდ სომხეთის მეფეთა წინააღმდეგაც. ასე რომ, გასაგები უნდა იყოს, რატომაც არაფერს ვამბობ ა. აბდალაძის გამოგონილ „სომხეთისათვის საქართველოს ჩრდილოეთი ზღუდეობის შესახებ“, რის გამოც იგი ასე თავდაჯერებულად მსაყვედურობს.

ა. აბდალაძე დარწმუნებით აღნიშნავს, რომ ძვ. წ. II ს-ში, როცა სომხეთი მეზობლების მიწების წართმევის ხარჯზე გაიზარდა, მან იმიტომ მოახერხა ქართველებისათვის ნაერთმია მიწა-ნყლის გარკვეული ნანილი, რომ „ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს უტევდნენ სარმატები და იბერიას ბრძოლა მოუხდა ორ ფრონტზე – სომხეთთან და სარმატებთან“.

აღნიშნულ ხანაში სომხეთი, არტაშესიანთა დინასტიით სათავეში, საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ იყო ჩამოყალიბებული, რომელმაც თავისი საზღვრები საკმაოდ გააფართოვა უკლებლივ ყველა მიმართულებით. მისი ექსპანსიის მოგერიება არცერთი მისი მეზობლისათვის იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. გასაკვირი არ არის, რომ ამ დროს სომხეთმა შეძლო მომიჯნავე ქართული ტერიტორიების დაუფლებაც. ამ მდგომარეობის ახსნა იბერია-ქართლის მიერ სარმატებთან ომის გამო „ორ ფრონტზე“ ბრძოლის სირთულით, ისტორიის კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილია. არც ერთი ისტორიული წყარო ამ ხანებში ქართლის მიერ სარმატებთან ომის წარმოებას არ ადასტურებს. „იბერია-სარმატების ომის“ თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არც არაფერია ცნობილი და, საერთოდ, საიდან მოიტანა ა. აბდალაძემ ეს „ქართველთა ორ ფრონტზე“ ბრძოლის თეორია, გაურკვეველია.

მიმაჩნია, რომ ესოდენ გაძლიერებული სომხეთის სახელმწიფოს წინაშე იმ დროისათვის დასუსტებული იბერიის დროებით მარცხში ჩვენთვის სამარცხვინო არაფერია. მით უფრო, რომ მომდევნო ხანებში (ახ.წ. I-II სს.) ამ ორ სახელმწიფოს შორის ძალთა თანაფარდობა რადიკალურად იცვლება (ამის თაობაზე ქვემოთ).

სომხების ბრძოლის უუნარობის შესახებ შემდგომ საუბრისას აბდალაძე აცხადებს: VI ს-დან, როცა სომხეთში სახელმწიფოებრიობა მოისპო, „სომხებმა, ფაქტობრივად, უარი თქვეს ბრძოლაზე“, „სომხეთის ნინამძღოლობა სომხეთის გრიგორიანულმა ეკლესიამ იტვირთა. სასანიდური სპარსეთი და შემდეგ არაბები ცდილობდნენ სომხური ეკლესიის გავლენა გაევრცელებინათ მთელ კავკასიაზე... სომხური ეკლესიის თავკაცები ჯერ სპარსელებს გაურიგდნენ, მერე არაბებს და თავიანთ მრევლს გამოუცხადეს – არ ღირს მტერთან ბრძოლა, უნდა დავმორჩილდეთ, ხარკი გადავიხადოთ“ და მშვიდობიანად ვიცხოვროთო. ხოლო თუ ვინმე იბრძოდა, უპირველ ყოვლისა – მამიკონიანები, რომლებიც ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებით, „წარმოშობით ჭანები იყვნენ, ანუ იგივე ქართველები“ და მერკვილაძეს ამის შესახებაც უნდა ეხსენებინაო.

1. სომხეთში სასანიდებმა სამეფო ხელისუფლება 428 წელს გააუქმეს, ანუ სახელმწიფოებრიობა იმჯერად V ს-ში მოსპობილა და არა VI ს-ში. მაგრამ ეს არაა მთავარი. ნუთუ არმენოლოგ ა. აბდალაძეს არაფერი მოეხსენება, რომ ამ ამბიდან მალევე 449-451 წლებში სომხეთში სასანიდთა ბატონობისა და ქვეყნის მაზდეანიზაციის ნინააღმდეგ მიმართული დიდი აჯანყების შესახებ, რომლის კულმინაცია იყო თავისი დრამატიზმით ცნობილი ავარაირის ბრძოლა (451 წლის 28 მაისის ამ ბრძოლის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს თვითმხილველი ისტორიკოსი ეღიშე). ეს განმათავისუფლებელი ბრძოლა გაგრძელდა 482-484 წლებში, რომელშიც უკვე ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვახტანგ გორგასლის მეთაურობით. აღარაფერს ვამბობ იმ ომებზე, რომლებიც სომხებმა შემდეგში უკვე ახალი დამპყრობლების, არაბების წინააღმდეგ ანარმოეს. ამიტომ ამ დროს სომხების მიერ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმა სიმართლისაგან ძალზე შორს დგას.

2. მართალია, რომ ამ საერთო ეროვნულ ბრძოლებსა და აჯანყებებს ძირითადად მამიკონიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ და ეს ბუნებრივია. მათ საგვარეულოს ხომ ტრადიციულად სპასპეტის, ანუ მთავარსარდლის თანამდებობა ეკავა. თუმცა უხეში შეცდომაა ამის გამო იმ დასკვნის გაკეთება, რომ სომეხთაგან თავისუფლებისათვის მხოლოდ (თუნდაც „უპირველეს ყოვლისა“) მამიკონიანები იბრძოდნენ.

3. მამიკონიანების ჭანეთიდან წარმომავლობის თაობაზე ისტორიოგრაფიაში, მართლაც, არსებობს ანგარიშგასაწევი მოსაზრება (ნ. ადონცის, კ. თუმანოვის, ჰიუსენის), თუმცა ეს მაინც მხოლოდ ვარაუდია, რომელიც ძირითადად ემყარება მოვსეს ხორენაცისა და სებეოსის ცნობებს მამიკონიანების „ჭენთა ქვეყნის მეფეებიდან“ წარმოშობის შესახებ. მაგრამ რას წარმოადგენდა ეს „ჭენთა ქვეყანა“, საბოლოოდ დაზუსტებული არ არის. მიმაჩნია, რომ შესაძლებელი იყო, ზემოხსენებული ვერსიის თაობაზე შენიშვნებში მცირე კომენტარიც ჩაგვერთო, მაგრამ ნიგნი ისედაც 350-მდე შენიშვნა-კომენტარს მოიცავს და, ცხადია, ყველა ამგვარ დეტალზე ცალკე ყურადღების გამახვილება არ მოხერხდა და იმ ჯერზე საჭიროდაც არ იქნა მიჩნეული.

4. სომხური ეკლესიის კაპიტულანტური პოლიტიკის წარმართვაზე აპელაციაც ისტორიის ნიაღში გამართლებას ვერ პოულობს. როგორც გამოცემის წინასიტყვაობაში აღვნიშნავთ, „სომხეთის ნაციონალური ეკლესია... ეროვნული სახელმწიფოსა და მეფობის ინსტიტუტის არარსებობის მძიმე პირობებში ერის ერთიანობის სიმბოლოდ იქცა“ და მას სომეხი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ძალზე დიდი დამსახურება აქვს. ჯერ ერთი 428 წელს სომხეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ სომხური ეკლესია აქტიურად მონაწილეობდა ზემოაღნიშნულ 450-451 წლების და შემდგომ აჯანყებებში. მხოლოდ ასიოდე წლის შემდეგ სასანიათა სპარსეთმა პოლიტიკა შეცვალა და ცეცხლთაყვანისმცემლობის აქტიური გავრცელების უშედეგო

პოლიტიკის ნაცვლად დამორჩილებულ ქრისტიანულ ქვეყნებში ბიზანტიაში დაგმობილ მონოფიზიტობის დანერგვის მცდელობაზე გადავიდა. მაშინ ძლიერი ზეწოლისა და მუქარის პირობებში სომხეთის ეკლესია იძულებული გახდა, მონოფიზიტური მრწამსი მიეღო. შაპის კარი იგივეს მიღნევას ცდილობდა ქართლის ეკლესიის შემთხვევაშიც და ამაში მთავარ იარაღად უკვე სომხურ ეკლესიას იყენებდა. სწორედ ამ პოლიტიკის ჩავარდნის შედეგი იყო ქართველ-სომეხთა ცნობილი საეკლესიო განხეთქილება. ეს იყო ხანგრძლივი ისტორიის უმცირესი მონაკვეთი, როცა სომხეთის ეკლესიას დამპყრობელი ძალის პოლიტიკის სამსახურში მოუნია ჩადგომა. „სომხური ეკლესიის თავკაცების" არაბებთან გარიგება და სომხებისათვის მათდამი მორჩილებისა და ბრძოლაზე უარის თქმის მოწოდებების ამბავი კი საიდან მოქვს ა.აბდალაძეს, ასევე გაურკვეველია. მეტიც, არაბთა ბატონობისაგან სომხების განთავისუფლების საქმეში სომხური ეკლესია უშუალოდ იყო ჩართული და საამისო მაგალითების მოყვანაც მრავლად შეიძლება (მათზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა).

ა.აბდალაძეს ნიგნის ქართული გამოცემის რედაქტორის მსუყე საკრიტიკო საგნად წარმოუდგენია მასში დაბეჭდილი რუკები, რომლებიც თურმე „კრიტიკას ვერ უძლებს". საგანგებოდ ჩერდება სამ მათგანზე. ერთ-ერთის კრიტიკისას კი დასძენს: „სომხებისა და დავით მერკვილაძის გასაგონად შეიძლება ვთქვათო: „ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყაო". ამით უსაფუძვლო ბრალს მდებს სომხებთან ერთად ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ ქართული მინების „განანილებაში".

სიცხადისათვის ცალ-ცალკე შევჩერდეთ თითოეულ რუკაზე.

რუკა 1.: „ძველი სომხეთის მხარეები ადრეული შუა საუკუნეების სომხური ტრადიციის მიხედვით". ა. აბდალაძე აღშფოთებულია, რომ ამ რუკის მიხედვით სომხეთი კასპიის ზღვაზე გადის და შავ ზღვასაც უახლოვდება. ასევე შეწუხებული აღნიშნავს, რომ კლარჯეთი შეიძლება სომხებს მცირე ხნით დაეპყროთ, მაგრამ მისი ცენტრი – არტანუჯი ხომ გორგასლის აშენებულიაო.

ამის თაობაზე უნდა განვმარტოთ: 1. ეს რუკა სომხური სახელმნიფოს ძლიერების ზენიტს (ძვ. წ. II-I სს.) ასახავს, როცა სომეხთა მეფეებმა მეზობელ ხალხებს (ალბანელებს, მიდიელებს, იბერებს, სირიელებს და ა.შ.) ტერტორიები ჩამოაჭრეს. იმ ხანებში ფაიტაკარანის დაპყრობის შემდეგ სომხეთი გავიდა კასპიის ზღვაზე, ხოლო პარიადრის მთისნინეთის იბერებისათვის ჩამოჭრის შემდეგ (ამას გვიზუსტებს სტრაბონი და რის შესახებაც სხვაგან თვითონ ა. აბდალაძეც მიუთითებს), სომხეთის სამეფოს ხელში გადავიდა მდ. ჭოროხის აუზი მთელი ტაო-კლარჯეთით. ცხადია, ამის შემდეგ სომხეთის საზღვარმა გადაინია პარიადრის, ანუ პარხლის ქედამდე, რომლიც შავი ზღვიდან დიდად დაშორებული არ არის და მის სანაპიროს გასნვრივაა გადაჭიმული.

2. ვახტანგ გორგასალის მიერ კლარჯეთში ციხე-ქალაქ არტანუჯის აგება ამ რუკასთან რა კავშირშია, გაუგებარია, ვინაიდან რუკა, როგორც უკვე დავაზუსტე, ვახტანგ გორგასალზე ბევრად ადრინდელ ეპოქას (ძვ. წ. II-I სს.) ნარმოადგენს.

3. ჩვენი მაკრიტიკებელი არმენოლოგი კარგად რომ დაკვირვებოდა რუკის სათაურს, შეამჩნევდა, რომ რუკა ამავე დროს ადრეული შუა საუკუნეების სომხური ტრადიციის მიხედვით არის წარმოდგენილი. ვფიქრობ, არ გვანყენს, ვიცოდეთ, როგორ წარმოედგინათ ძველ სომეხ ისტორიკოსებს (და ზოგ თანამედროვესაც) ძველი სომხეთის საზღვრები და მხარეები.

4. რაც შეეხება იმ ამბავს, რომ „ძველ სომხეთის" ამ რუკაზე ქართული მხარეებია ჩართული, იმავე გვერდზე სათანადო განმარტებებში დამატებით ცნობებს ვაწვდით მკითხველს ამ რუკაზე ნაჩვენებ „ძველი სომხეთის" 15-ვე მხარის შესახებ. აქ ტაიქის თაობაზე აღვნიშნავთ, რომ იგი არის *„ისტორიული ქართული მხარე ტაო"* (მართალია, ტაიქის ტერიტორია უშუალოდ ტაოს ფარგლებს სცდება კიდეც, მაგრამ მისი სახელწოდება მაინც „ტაო"-დან მოდის). გუგარქის შესახებ კი განვმარტავთ, რომ იგი არის ბერძნული ნყაროების გოგარენე, *მოიცავდა ძირითადად ქვემო ქართლის ტერიტორიას* და *ეჩოებით იქნა მიტაცებული ძვ. წ. II ს-ში სომხეთის მიერ.* მისი სახელნოდება უნდა წარმოდგებოდეს ქართული ტომის – გუგარების სახელისაგან. სხვათა შორის, გუგარქ-გოგარენე-გუგარეთის დაუფლება სომხეთის მიერ იმავე სტრაბონის ცნობითაც დასტურდება. მოგვნონს თუ არა, ეს ყველაფერი ისტორიული ფაქტებია და მათზე ისტორიკოსებმა თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმის გამო, რომ ისინი ჩვენს „გემოვნებაში" არ თავსდება.

რუკა 2. „ერვანდიანების პერიოდის სომხეთი (ძვ.წ. IV-II სს.)". ა. აბდალაძეს არ მოონნს რომ აქ ივრის ქვემო ნელისა და მტკვარს შორის ტერიტორია „დიდი სომხეთის" შემადგენლობაშია. უფრო ზუსტად, აპროტესტებს: ამ მხარის მიტაცება სომხების მიერ ძვ. წ. II ს-ში მოხდა და IV-III სს. რაღა შუაშიაო. სომხეთის საზღვრების მნიშვნელოვანი გაფართოება მართლაც, ძვ. წ. II ს-ში ინყება. მაგრამ აღნიშნული რუკის მიხედვით, არც ის უნდა დავასკვნათ, რომ მთელი ამ სამი საუკუნის განმავლობაში სომხეთის საზღვრები უცვლელი იყო. აქ ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ტერიტორიის სომხეთის შემადგენლობაში შესვლა ამ პერიოდის ერთ-ერთ მონაკვეთში განხორციელდა. შეიძლებოდა ამ რუკის მხოლოდ ძვ. წ. II ს-ით დათარიღებაც, თუმცა, ამის მიუხედავად, ვფიქრობ, აქ ასეთი საგანგაშო მაინც არაფერი შეიმჩნევა.

რუკა 3. „სომხეთის მეორე გაყოფა 591 ნელს". ამ რუკის შემხედვარე ა. აბდალაძემ ჩათვალა, რომ ჩემი „მამხილებელი" მორიგი უტყუარი ფაქტი შენიშნა. იგი ნერს: „ეს „გაყოფა" ისეა წარმოდგენილი, რომ იბერია მოქცეულია სომხეთის შემადგენლობაში".

აღნიშნულ რუკაზე წითელი ფერით, ოღონდ განსხვავებული პუნქტუაციით, ბიზანტიისა (რუკაზე Roman Emire) და სასანურ სპარსეთს (რუკაზე Sassanid Empire) შორის არსებული საზღვრებია დატანილი, ჯერ 387 წლისათვის, შემდეგ კი 591 წლისათვის, როგორც ამას სათანადო მითითება გვიხსნის რუკის ლეგენდაში. ამ ორ იმპერიას შორის სხვადასხვა დროის საზღვრების აღმნიშვნელი ტეხილს შორის არის წარწერა „სომხეთი“ (Armenia). უფრო შორს ჩრდილოეთისაკენ რუკის კიდისაკენ კი მიწერილია „იბერია“. როგორც ჩანს, ა. აბდალაძემ ამ რუკაზე ერთი ფერით აღნიშნულ საზღვრებს შორის პუნქტუაციით გამოხატული განსხვავება ვერ შეამჩნია და ისინი შეცდომით სომხეთის საზღვრად წარმოიდგინა, რომელშიც თურმე „უტიფრად“ შეგვყავს იბერია. ამ მცდარი ლოგიკით, „სომხეთის შემადგენლობაში“ ა. აბდალაძეს ლაზიკაც უნდა „აღმოეჩინა“, რომლის სახელიც ასევე ბიზანტია-ირანის ორ განსხვავებულ საზღვარს შორის არის მიწერილი რუკის კიდევ უფრო განაპირას. ეტყობა, ეს წარწერა მან ვეღარ შეამჩნია, თორემ ამის თაობაზეც „განგაშის ზარს“ შემოკრავდა. ისევე როგორც ვერ შეამჩნია საზღვრებს შორის პუნქტუაციური განსხვავება. ბოლოსდაბოლოს, ა. აბდალაძეს რომ შეემჩნია, რომ რუკის ლეგენდაზე ორივე განსხვავებული ტიპის საზღვარი ცალ-ცალკეა მითითებული შესაბამის თარიღთან ერთად, თავს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აღარ ჩაიგდებდა (და ამას ინგლისური ენის დიდი ცოდნაც არ სჭირდებოდა. ამ რუკის გადმოქართულება კი მასზე დატანილი დიდი ვერბალური ინფორმაციის გამო ვერ მოხერხდა).

ა. აბდალაძის მიერ ჩვენი მისამართით „ანტიქართველობაში“ ნამოყენებულ უსაფუძვლო ბრალდებათა მთელი წყებისაგან გამოვყოფ კიდევ რამდენიმეს (ყველაზე სათითაოდ შეჩერების საშუალებას ნერილის მოცულობა არ იძლევა).

თურმე ჩვენი გამოცემული „სომეხი ხალხის ისტორია“ ამკვიდრებს აზრს, რომ სომხეთის ზეგანი უცილობლად სომხური მიწაა. ტერმინი გეოლოგმა აბიხმა დაამკვიდრა და მასში მთელი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მოაქციაო – განაგრძობს აბდალაძე – ხოლო „მერკვილაძეს და მისთანებს სურთ მკითხველს ჩაუნერგონ აზრი, რომ ... „სომხეთის ზეგანი“ არის სომხური მიწა“.

დასახელებული გამოცემის *პიჰვეღივე კომენტარში* გასაგებად განვმარტავთ, რას ნიშნავს ეს გეოგ-რაფიული ტერმინი, როდის და ვის მიერ იქნა შემოღებული, მითითებული გვაქვს შესაბამისი ლიტერატურაც დაინტერესებული მკითხველისათვის და იქვე ხაზსაც ვუსვამთ, რომ „სომხეთის ზეგანში“ ისტორიული სომხეთზე მნიშვნელოვნად დიდი ფართობი მოიაზრება. აი ეს კომენტარიც: „სომხეთის ზეგანად იწოდება წინა აზიის ჩრდილოეთის მთიანი ნაწილი. ეს გეოგრაფიული ტერმინი შემოიღეს XIX ს-ის შუა ხანებში (იხ. Г. Мелик-Адамян, Х. Хачанов, «Герман Абих – первооткриватель «Армянского Нагорья»). აღსანიშნავია, რომ სომხეთის ზეგანში ნაგულისხმევი ტერიტორია ბევრად აჭარბებს ისტორიული სომხეთის ფარგლებს“.

ა. აბდალაძის გაცხადებით, ჩვენ გამოცემულ წიგნში თითქოს იკითხება შემდეგი: „სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა მსოფლიოში პირველად სომხეთში გამოცხადდა 301 ან 314-315 წლებში“. 313 წელს გამოცემულ მილანის ედიქტამდე რომს დაქვემდებარებულ ქვეყანაში კი ამის განხორციელება ზღაპარიაო. პირველი ქრისტიანი მეფე სირიის მეფე აბგარ მე-9 იყო, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, მერკვილაძე კი ეტყობა, „ხორენაცის მონაჩმახს“ ეთანხმება, რომ აბგარი სომეხთა მეფე იყო, რადგან ამაზე კომენტარი არა აქვსო.

არადა, ჩვენ მიერ გამოცემული წიგნის მე-80 გვერდზე ჯერ იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ 313 წლის მილანის ედიქტით იმპერიაში ქრისტიანობის დაკანონებაზეა საუბარი, ხოლო ამის შემდეგ აღნიშნულია, რომ სომეხთა მეფე „თრდატი უფრო შორსაც წავიდა და ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ეს მოხდა უშუალოდ მილანის ედიქტის შემდეგ, ალბათ 314 ან 315 წელს“. 301 წელი კი მითითებულია ფრჩხილებში, როგორც სომხეთის გაქრისტიანების ტრადიციული თარიღი. აქ ცხადად ჩანს, რომ ამ ბოლო თარიღს წიგნის ავტორებიც არ იზიარებენ. ხორენაცი და ედესის მეფე აბგარი აქ საერთოდ არ არიან ნახსენები. ა. აბდალაძე ალბათ მსაყვედურობს, რომ აბგარის, როგორც პირველი ქრისტიანი მეფის, შესახებ კომენტარებში აღნიშვნა არ მაქვს, რაც ჩემ მიერ მეფე აბგარის სომხობის აზრის გაზიარებას ავარაუდებინებს. რამდენად ადექვატურია ეს ვარაუდი, მკითხველმა თავად განსაჯოს.

მივადექით, აბდალაძის აზრით, წიგნის მთავარ საკითხს – დიდგორის ომს, რომელიც, მისი თქმით, წიგნში „უკუღმართად არის გაშუქებული“. დავით აღმაშენებელი კი, რომელიც წიგნის ავტორებს „თავის ადგილას ნახსენები არ ჰყავთ“, „უადგილოდ არის ჩაჩხერილი“ პარაგრაფში „სომხურ-რუსული ურთიერთობები“: რუსთა რაზმი „საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის არმიის შემადგენლობაში 1121 წელს მონაწილეობდა ქართველი და სომეხი ხალხების განმათავისუფლებელ ომში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ“ და აქ დიდგორის ბრძოლა ნახსენებიც არ არისო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდგორის ომის საკითხი წიგნის განხილვის თემის მთავარ და სკანდალურ სათაურად არის გამოტანილი: „სომეხი მეცნიერების აზრით, დიდგორის ომი სომხებმა და რუსებმა მოიგეს.“ ეს თემა, როგორც მთავარი კოზირი ჩვენი წიგნის წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ არის წამოწეული კრიტიკის ბოლოში ოთარაშვილის მიერ: „მიუღებელია მეცნიერული კომენტარის გარეშე იმის დატოვება, რომ თურმე დიდგორის ომი სომხებსა და რუსებს მოუგიათ და დავით აღმაშენებელი არავინ ყოფილა“.

აქ ტყუილ-მართალი ისეა ერთმანეთში არეული, გაზეთის მკითხველი წიგნის ამ ადგილს თუ უშუალოდ არ გაეცნო შესაბამისი კომენტარით, აუცილებლად თავ-გზა აებნევა. აბდალაძე-ოთარაშვილის მიზანიც ხომ ეს არის.

ამ მორიგი ბრალდების საპასუხოდ უნდა ითქვას: 1. ერთი მხრივ გასაგები უნდა იყოს, რომ საბჭოთა ხანაში დაწერილი წიგნის ავტორები ცდილობენ „ჩაგრული მცირე ერების“ უცხო უღლისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლებში როგორმე „დიდი მოძმე რუსი ხალხის“ დახმარების ხელი დაგვანახონ. ასე მოხვდა, მართლაც უადგილოდ, დიდგორის ომის თემა (თან ბრძოლის დასახელების გარეშე) სომხურ-რუსული ურთიერთობების ამსახველ ქვეთავში. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში სომეხ ავტორებს ნამეტანიც მოუვიდათ და „დახმარების ეს ხელი“ დახატეს იქ, სადაც ის არასდროს ყოფილა. 2. ამავე დროს აქ ნამდვილად არ წერია, რომ დიდგორის ომი სომხებისა და რუსების მოგებულია და აშკარაა, ეს საგანგებოდ, სკანდალის აგორების მიზნით ურცხვად შეთხზული დემაგოგიური ფორმულაა. 3. წიგნში შესაბამისი ეპიზოდის ნაკითხვის შემთხვევაში ვერავის დარჩება შთაბეჭდილება, რომ დავით აღმაშენებელი „არავინაა“. პირიქით, კონტექსტიდან პირდაპირ ჩანს, რომ ქართველთა საამაყო მეფე „თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველი და სომეხი ხალხების ბრძოლის“ წარმართველი მეთაურია. 4. აღნიშნულის მიუხედავად, რასაკვირველია, სომეხ ავტორებთან აშკარა ტენდენციურობა შეინიშნება, როცა 1121 წლის ომის წარმატებაში „სომეხი ხალხის“ ჩაზიარებასაც ცდილობენ. 5. სრული სიცრუეა, თითქოს ავტორთა ხსენებული ტენდენციური განცხადება კომენტარის გარეშე დამეტოვებინოს. მეტიც, სნორედ ჩემს კომენტარში აღვნიშნავ, რომ დასახელებულ ბრძოლაში დიდგორის ომი უნდა იგულისმებოდეს. მოკლედ, წიგნის მე-200 კომენტარში განვმარტავთ: „აქ დიდი ალბათობით 1121 წელს, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, საქართველოს ჯარის მიერ სელჩუკთა კოალიციურ ჯარებთან გადახდილი დიდგორის ომი იგულისხმება. თუმცა იმ დროს საქართველოს მეფის ჯარში რუსი მეომრების ყოფნის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება“. დავძენ, რომ აკადემიურ გამოცემას დართული ჩემი კომენტარებიც შესაბამისი (აკადემიური) ხასიათისაა და მათში თავს ვიკავებ ისეთი გამოთქმებისაგან, როგორიცა „სომეხი ავტორები ტყუიან“, „ეს სისულელეა“ და ა.შ. ამიტომაა ეს კომენტარები შედარებით „რბილი“ და მიუღებელი აბდალაძის ნაირი არმენოფობებისთვის.

P. S. 2017 წლის 5 ივნისს ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში კვლავ ვიხილეთ ჩვენი გამოცემის თემაზე სასაუბროდ მინვეული ა. აბდალაძე. ამჯერად მისი ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია იყო, რომ „სომეხი ხალხის ისტორიის“ ქართული გამოცემა გაცილებით ვრცელი და ფართო განმარტების შემცველი კომენტარების დართვას საჭიროებდა. უნდა ითქვას, რომ გამოცემის ფორმატი ასეთი მოცულობის კომენტარებს არ ითვალისწინებდა და არც ამის აუცილებლობა არსებობდა. ა. აბდალაძემ აღიარა, რომ „სომხეთის ისტორია“ ქართულად ნამდვილად უნდა არსებობდეს. მაგრამ იგი ღიად დაუპირისპირდა საკუთარ თავსაც, როცა ერთი მხრივ, ამბობდა, რომ სომეხი მეცნიერების დაწერილი ისტორია არ უნდა ითარგმნებოდეს და იგი ქართველმა არმენოლოგებმა უნდა დაწერონ (მისივე თქმით, თუკი თვითონ აქამდე ასეთი ისტორია არ დაწერა, თურმე იმის გამო, რომ თავის დროზე ეს არავინ შეუკვეთა, ახლა კი ამის ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნია); მეორე მხრივ, კი გამოთქვამს საყვედურს, რომ წიგნი სომხურიდან უნდა თარგმნილიყო და არა რუსულიდან და ასეთ შემთხვევაში სიამოვნებით მიიღებდა თარგმნაში მონაწილეობას. ასევე გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მისთვის იმთავითვე არ გახდა ცნობილი წიგნის გამოცემის განზრახვის თაობაზე. მოკლედ, მისდა უნებურად ა. აბდალაძემ ამ გადაცემაში გამოაშკარავა თავისი გულისწყრომის ნამდვილი მიზეზი: „სომეხი ხალხის ისტორია“ გამოსაცემად მის გარეშე მომზადდა და მასში მონაწილეობის მისაღებად ის არ იქნა მიწვეული.

ABOUT GEORGIAN EDITION OF "THE HISTORY OF ARMENIAN PEOPLE"

David Merkviladze

In the autumn of 2016, Caucasus International University (CIU) published the book "The History of the Armenian People from Ancient Times Until 1921". The book is edited by D. Merkviladze, comments and introduction are made by him as well, translation is made by E. Khutsishvili. The edition is of high printing quality and is rich in illustrations. This is the first edition of the history of the Armenian people in Georgian language, which definitely is a remarkable event. Therefore, this edition caused a great resonance and discussion among the Georgian academic community.

These discussions are reviewed in the present article and more detailed and relevant answers are given to the critical notes.

რას აღნიშნავს შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე გამოსახული ოთხწერტილიანი ჯვარი?

ლადო მირიანაშვილი

ნუმიზმატიკური მასალა შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, რომელსაც ქართველი მკვლევრებიც წარმატებით იყენებენ. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ქალბატონ ციალა ღვაბერიძის სტატიები, რომლებშიც ნუმიზმატიკური მასალა ქართულ-ირანული ურთიერთობების საკითხების შესასწავლად, აგრეთვე, ისეთი მნიშვნელოვანი თარიღების დასაზუსტებლადაა გამოყენებული, როგორიცაა მეფე თამარის გარდაცვალებისა და მეფე ვახტანგ III-ის გამეფების წლები. ეს მიდგომა მკვლევარმა თავის ახალ სტატიაშიც მოიხმო და შეეცადა ისტორიულ წარსულში საქართველოს სამეფო დროშის ხუთჯვრიანი დროშის სახით არსებობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება ქართული ნუმიზმატიკური მასალის გამოყენებით შეემაგრებინა (ღვაბერიძე 2016/2017: 44-58).

ავტორი სტატიის პირველ ნაწილში მიმოიხილავს იმ მატერიალურ მასალასა და კვლევის შედეგებს, რომელთა საფუძველზე საქართველოს ისტორიული სეფე დროშა თეთრ ფონზე გამოსახულ, წითელი ფერის ხუთი ჯვრის გამოსახულებიან დროშასთან გაიგივდა. ც. ღვაბერიძე, პორტულანებზე საქართველოს ტერიტორიის აღმნიშვნელი ხუთჯვრიანი დროშების გარდა, იმონმებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას, რომლის თანახმად ლაშა IV გიორგის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე აღმართული დროშა იყო „ჯვარცმის სახელზედ ქმნილი". ამის შემდეგ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხუთჯვრიანი დროშა და მისი ბუნიკი, რომელსაც დროშის თავს უწოდებს, XIII-XV საუკუნეების ქართულ ნუმიზმატიკურ მასალაშიც აისახა. ამ შემთხვევაში, მონეტებზე გამოსახული ჯვარი, მკლავებს შორის მოთავსებული თითო წერტილით, ხუთჯვრიანი დროშის პარალელად არის გააზრებული.

სტატიის მეორე ნაწილი საქართველოში მოჭრილი იმ რვა მონეტის აღწერას ეთმობა, რომლებზეც ოთხწერტილიანი ჯვარია გამოსახული. ც. ღვაბერიძე აზრით, განხილული ნუმიზმატიკური მასალით დასტურდება, რომ საქართველოს ისტორიული სახელმწიფო დროშა ხუთჯვრიანი იყო. ავტორმა დასანანი მეთოდოლოგიური შეცდომა დაუშვა, როდესაც გასაანალიზებლად მხოლოდ ქართული მონეტები მოიხმო და არ გაითვალისწინა, რომ ჯვარი, როგორც უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სიმბოლო, მთელ ქრისტიანულ სამყაროშია გავრცელებული და მას, საეკლესიო დანიშნულებით გამოყენებასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის მონეტებზეც გამოსახავდნენ. ამის გათვალისწინებით, მკვლევარს ოთხწერტილიანი ჯვრის გამოსახულებიანი ქართული მონეტები იმ უცხოური ნუმიზმატიკური მასალის ფონზე უნდა განეხილა, რომელზეც ჯვარია გამოსახული. ასეთ შემთხვევაში იგი დარწმუნდებოდა, რომ ოთხწერტილიანი ჯვარი უცხოეთის არაერთ ქვეყანაში მოჭრილ მონეტებზეც გვხვდება. საილუსტრაციოდ მომყავს რამდენიმე ასეთი მონეტის გამოსახულება, რომლებიც სხვადასხვა დროს შემდეგმა სუვერენებმა მოჭრეს: ფრანკთა მეფემ და საღვთო რომის იმპერატორმა ლუი I ღვთისმოსავმა (778-840 წწ.) (სურ. 1), ქალაქი-სახელმწიფო ნეიმეგენის (ამჟამინდელი ნიდერლანდები) მეფემ ჰაინრიხ II-მ (1002-1014 წწ.) (სურ. 2), წმინდა რომის იმპერატორმა ჰენრი II-მ (1014-1024) (სურ. 3), ინგლისის მეფემ უილიამ II-მ (1087-1100 წწ.) (სურ. 4), იერუსალიმის მეფემ ჰენრი I-მა (1192-1197 წწ.) (სურ. 5). ამ მონეტების გარდა, არსებობს ისეთი მონეტებიც, რომლებზეც ჯვრის მკლავებს შორის, წერტილების ნაცვლად, მცირე ზომის თითო ჯვარია გამოსახული: ასეთია, მაგალითად, კვიპროსისა და იერუსალიმის მეფე ჰენრი II-ისა (1285-1324) და ინგლისის მეფე ჰენრი II-ის (1154-1189 წწ.) მიერ მოჭრილი მონეტები (სურ. 6 და 7).

აღსანიშნაა ისიც, რომ ქართულ მონეტებზე გამოსახული ჯვარი ხან ტოლმკლავაა, ხანაც წაგრძელებული (ე.წ. ლათინური ტიპისა), რაც სამეფო დროშასთან მის გაიგივებას საეჭვოს ხდის. აქ მოყვანილი

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

ილუსტრაციებიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რამდენადაც ოთხწერტილიანი ჯვრის გამოსახულება, ქართული მონეტების გარდა, უცხოურ მონეტებზეც გვხვდება, მისი საქართველოს სამეფო დროშის გამოსახულებად გააზრება შეცდომაა, მით უფრო რომ არცერთი ზემორე ქვეყანა საქართველოს ვასალი არასდროს ყოფილა.

ოთხნერტილიანი ჯვარი, მონეტების გარდა, სხვადასხვა ტიპის მატერიალური კულტურის ძეგლებზეც გვხვდება, მაგალითად, შოტლანდიის სოფელ აბერლემნოში აღმართულ VII-VIII სს-ის ქვაჯვარსა (სურ. 8) და მონღოლეთში არსებულ, IX-XII სს-ის უამრავ ნესტორიანულ საფლავის ქვაზე (სურ. 9) (ჰალბერტსმა 2007: 150-166, ილუსტრაციები).

ხუთჯვრიანი, გნებავთ, ოთხწერტილიანი ჯვრის გამოსახულების სიმბოლიზმთან დაკავშირებით საყოველთაოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ ის ქრისტეს ხუთ ჭრილობას, ან ქრისტესა და ოთხ მახარობელს უნდა აღნიშნავდეს. ამიტომ, ამგვარ ჯვარს ხშირად მოიხმობდნენ. ის განსაკუთრებით პოპულარული ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ გახდა: როგორც ცნობილია, ჯვაროსნებმა ხუთჯვრიანი დროშა იერუსალიმის სამეფოს დროშად აქციეს. ამგვარი (იმ დროს ყვითელი ფერის ჯვრიანი) დროშის იერუსალიმის სამეფოს სიმბოლოდ პირველად გამოყენება ფრანკი რაინდის გოდფრი ბულონელის სახელს უკავშირდება, რომელიც იყო პირველი ჯვაროსანი, ვინც 1099 წელს თავის მეომრებთან ერთად იერუსალიმში შევიდა.

სტატიის მესამე ნაწილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ბაგრატიონთა ე.წ. საგვარეულო „საიდუმლო ნიშნის“ რაობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. ც. ღვაბერიძე იზიარებს მ. ბარათაშვილის ვარაუდს, რომ „საიდუმლო ნიშნის“ ქვედა მორჩი დროშის ბუნი, ანუ ტარია. მას მოჰყავს ქართველ მკვლევართა დაკვირვება, რომ ქართული დროშის ბუნიკი ორი სახის იყო: ჯვარი და შუბის პირი, ზოგჯერ კი – ორივეს კომბინაცია. შემდეგ, ც. ღვაბერიძე იმონმებს დ. კლდიაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „საიდუმლო ნიშანი“ „დროშის ბუნიკსაც, იმავე დროშას ნარმოადგენდა და მეფის პირადი სახელმნიფო დროშისთვის გამოიყენებოდა“, რის საფუძველზე თავადაც ასკვნის, რომ „საიდუმლო ნიშანი“ სახელმნიფო დროშის ბუნიკის გამოსახულება უნდა

სურ. 8

სურ. 9

იყოს. ეს ავტორისეული ხედვაა, რაშიც ვერ შევედავებით. თუმცა, ისმის ლოგიკური კითხვა: რატომ გამოსახეს ცალკე საქართველოს სახელმწიფო დროშა და ცალკე მისი ბუნიკი თამარ-დავითისა და დემეტრე II-ის მონეტებზე?

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე გამოსახული ოთხწერტილიანი ჯვრის საქართველოს ისტორიულ სახელმწიფო დროშასთან გაიგივების საფუძველი არ არსებობს, ამიტომ, ამ საკითხთან დაკავშირებით დღეისათვის არსებული მოსაზრების შესამაგრებლად ან უარსაყოფად სხვა საისტორიო წყაროების მოძიება და ანალიზია საჭირო.

დამოწმებანი

ღვაბერიძე 2016/2017: ციალა ღვაბერიძე, ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV-XV, თბილისი, თსუ გამომცემლობა .

Jalbertsma 2007: Tjalling Hidde Friso Halbertsma, Nestorian Remains of Inner Mongolia: Discovery, Reconstruction and Appropriation. Doctoral Thesis, Leiden, Leiden University.

WHAT DOES THE CROSS WITH FOUR DOTS FOUND ON GEORGIAN MEDIEVAL COINS DEPICT?

Lado Mirianashvili

This is a review of an article by Tsiala Gvaberidze "For the Flag of the United Georgian Kingdom" published in the Proceedings of the Institute of History and Ethnology, vol. XIV-XV, 2016-2017, pp. 44-58. The author attempts to prove that a Cross with four dots in the four quarters, found on a number of Georgian coins, is a depiction of the United Georgian Kingdom's flag. I argue that since the *Cross is the most widely* used Christian symbol, it had become a familiar sign not only in church environment, but also elsewhere – on coins, banners, and artworks throughout the Christian World. Therefore, it was methodologically erroneous to restrict oneself to the analysis of coins struck exclusively locally – in Georgia. Examples of medieval, non-Georgian coins and of other material evidences with a Cross with four dots in the four quarters are given, as well as the variation of the cross type on Georgian coins (sometimes Greek and sometimes Latin one) is noted and the conclusion of Ts. Gvaberidze is rejected. Symbolic meaning of the use of this type of cross is explained.

წიგნების მიმოხილვა
BOOK REVIEWS

SOME NOTES ON MARIAM CHKHARTISHVILI'S RECENT MONOGRAPH "GEORGIA IN 3RD- 5TH CENTURIES. HISTORY OF THE ROYAL FAMILY OF CHOSROIDS" (Nekeri Publishing, Tbilisi, 2018, 303 pp., ISBN 978-9941-457-96-8)

Giuli Alasania

A famous researcher, the author of more than 200 scholarly works (among them 11 books), the editor and publisher of a number of collections and books, a teacher with a longstanding experience, the supervisor of many doctoral dissertations, the organizer and participant of many scientific conferences is before us.

The scientific works by Mariam Chkhartishvili always draw attention with their original issues, along with herspecial style of writing, which is typical just of her, her high academic level. The author never avoids obstacles; on the contrary, for her research she selects the tasks which are difficult to overcome, and addresses the most complicated questions.

This time, the reviewed book researches one of the most complicated epochs in the Georgian history, which is studied not so well. The author realized the problem and responsibility set before her. Many years had passed since the time when the author started to think of the questions which are included and studied in the book and began to make related publications. Thus, the present book is the result of a long- standing research.

The main complicacy of the study of the history of Georgia of the 3rd-5th cc. is determined by the lack of sources which have, as a rule, reached up the present not as authentic, intact manuscripts, but as versions distorted by later copyists. Absence of chronology for the related times is also a problem for the scholars studying the epoch. Although the same two main written monuments are before the researchers – "Conversion of Kartli"("Moktsevay Kartlisay") and "The History of Kartli" ("Kartlis Tskhovreba") and the same parallel foreign sources – Armenian, Latin, Greek, which are not rich with the needed evidence, the different reading and interpretation of the sources give the possibility to restore frequently a completely different historic picture.

One of the advantages of the present work is that it reflects all achievements of the scholarly literature. The author doesn't miss any research concerning the surveyed issues whether of Georgian or of foreign historiography. The author avoids polemic with the opponents, with the authors who have different opinions and tries to focus on her own perceptions or assumptions bringing the related convincing arguments.

A greater part of the book is given to the analysis of the used sources, mostly of "Conversion of Kartli" and "History of Kartli ("KartlisTskhovreba"). Here are offered speculations concerning the time of their creation and editing, structure, significance of the "Conversion of Kartli" for "The History of Kartli", the level of reliability of each evidence from both monuments. The comparative study of these two monuments reveals in some cases the advantage of one, and in others – of the other. Such a work leads the author to the conclusion that the husband of the daughter of Ayet – Azo was put on the throne of Kartli by Alexander the Great and they jointly ruled the state for a while. The author shares the opinion that the king of Kartli Mirian, in whose reign Christianity was proclaimed as the state religion in Kartli, didn't belong to the Pharnavazid dynasty. According to her assumption, he was the illegitimate son of the Persian Shah (probably Hormizd-Ardashir's 272-273). He was the founder of Chosroid dynasty. A special place is given in the book to the life and activities of Mirian, to his family members, descendants. The author thinks that Bakur/Bakar was the grandson of Mirian and not his son. Meriban of the 4th century, in her opinion, was the same Trdat. Trying to find out who Varaz- Bakur was, the author comes to the conclusion that he was the son-in law of Trdat, the husband of his daughter Bakurdukhtya. The scholar broadly argues about the Great Bakur and comes to the conclusion that he was the brother of Trdat – Peter the Iberian's grandfather. The author determines the identity of Ultra. In her opinion, he was the son of Aspagur and his mother was the daughter of Mirian's daughter's son.

The author presumes that the father of Vakhtang Gorgasali was Mirdat/Ultra, the son of Varaz-Bakur from the first marriage, who was adopted by Archil. Along with that the author dates their activities.

The author offers an extensive review of the creation of the Georgian script, which is not her first attempt in this regard, either. The creation of the Georgian alphabet belongs to eternal issues. As it's known, the issue has been considered in scholarly literature many times. Nevertheless, one cannot consider the issue as resolved. Research in this direction is under way. Unlike some other researchers, the author attributes the creation of the Georgian alphabet to the Pharnavaz epoch (4th-3rd cc. BC). The author considers the evidence of Leonti Mroveli's chronicle as convincing. However, she notes that alphabet has passed different stages and its development and survival are the merit of different figures.

The present book is one more attempt to restore the Georgian history of the 3rdc-5th cc. Some conclusions made in the book will be the subject of debate and speculations in the future. Nevertheless, I think that it deserves attention not just of narrow scholarly circles, but of broader readers interested in the Georgian history.

„საქართველო III-V საუკუნეებში. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია“ (გამომცემლობა „ნეკერი“, 2018, 303 გვ., ISBN 978-9941-457-96-8) თაობაზე

გიული ალასანია

თავის რეცენზიაში პროფესორი გიული ალასანია აფასებს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის 2018 ნელს დასტამბულ მონოგრაფიას ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორიის შესახებ. რეცენზენტი საუბრობს წიგნში აღძრულ კონკრეტულ პრობლემებზე და მისი აზრი განსახილველი ნაშრომის შესახებ დადებითია. რეცენზია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში "Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies" (2018, №28, გვ. 281-282). მისი დაბეჭდვა „ქართულ წყაროთმცოდნეობაში" ხდება ჟურნალ Pro Georgia-ს რედაქტორის პროფესორ დავით ყოლბაიას თანხმობით.

ლავრენტი ჯანიაშვილის წიგნი „ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში“, თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2017, 186 გვ.

გიორგი მამარდაშვილი

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულ მრავალასპექტიან ჰიბრიდულ ომში დიდი ადგილი უჭირავს ეთნოისტორიული პროცესების ტენდენციურ ინტერპრეტაციას. მეცნიერთა ნაწილი ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთას, ისტორიის გაყალბების გზით აზვიადებს რეგიონში აფხაზების და ოსების როლს, არარეალურად აფართოებს მათ საცხოვრის ტერიტორიებს, რითაც აძლიერებს ეთნოცენტრისტულგანწყობებს, ხოლო კრემლის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტს და ამ მხარეების საქართველოსაგან ჩამოშორებას ისტორიული სამართლიანობის აღდგენად ნათლავს. ზოგი მათგანი, ამ მიმართულებით უფრო შორსაც მიდის და ქართველთა ისტორიული განსახლების ადგილზე ავტოქტონობის ანდაც ქართველებზე ადრე მოსულობის უსაფუძვლო იდეის არგუმენტებით გამაგრებას ცდილობს. ასეთი იდეაა აფხაზურ-ადიღეური სამყაროს ნაწილად ძველი კოლხეთის წარმოჩენის მცდელობა, აგრეთვე ოსური ეთნოსის მიერ ვითომცდა ქართლში ადრეული ხანიდან მკვიდრობა და ასევე მათი განსახლების ისტორიულ ტერიტორიებად მთიულეთისა და თრუსოს ხეობის წარმოჩენა. ოსები პრეტენზიას აცხადებენ დღევანდელი ყაზბეგის რაიონზე. სწორედ ხსენებულ პრობლემას იკვლევს ლ. ჯანიაშვილი წიგნში „ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში“.

ავტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს რამდენიმე საკითხი: ეთნიკური პროცესები თერგის ხეობის ზემო ნელში, ოსთა ჩამოსახლების ეპოქა და პირობები, ოსურ-ქართული ურთიერთობის კულტურულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები, ოსების ჩრდილო ოსეთში გადასახლების რეალური დრო და მიზეზები, რუსული ჰიბრიდული პოლიტიკის გავლენა ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივაზე და ა. შ. წიგნი შედგება სამი თავის და ვრცელი ინგლისური რეზიუმესაგან.

მონოგრაფიის პირველ თავში განახილულია ეთნოისტორიული პროცესები ხევსა და თრუსოში და ამ საკითხის შესახებ არსებული განსხვავებული შეხედულებები სამეცნიერო წრეებში. აღნიშნულია, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით რეგიონში მეორე საუკუნიდან ნანარები მკვიდრობდნენ, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, წანართა განსახლების ტერიტორიაზე დარჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები, ეპიგრაფიკული მასალა და წანარების მიერ შესრულებული პოლიტიკური როლი (ადრეფეოდალურ ეპოქაში ასრულებდნენ ქართული სამყაროს ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთაგან დაცვის და ქართული პოლიტიკური ერთეულის (კახეთის საქორეპისკოპოსოს) მაორგანიზებელ ფუნქციას) მოწმობს, რომ ისინი ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროს მიეკუთვნებოდნენ. დაახლოებით XVI-XVII საუკუნიდან თერგის სათავეში, დღევანდელ თრუსოში, შემოსვლა დაიწყეს დვალებმა. თავადაპირველად მაღრან-დვალეთიდან შემოსულმა კონტინგენტმა, დაიკავა სივრცე კასარამდე. მოგვიანებით კი, ოსთა



ზეწოლის გამო ისინი თერგის ხეობის გასწვრივ უფრო აღმოსავლეთითაც გადმოვიდნენ. ოსურმა ელემენტმა თანდათანობით თრუსოში ეთნიკური დომინანტობის მოპოვება და, სავარაუდოდ, ცალკე ტერიტორიული თემის ჩამოყალიბებაც შეძლო, მათ გარემოში მოხვედრილი დვალების დიდი ნაწილი კი გაოსდა.

ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ პოლიტიკურად თრუსო საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში ნაწილი გახლდათ და რუსთა გაბატონების დროისათვის აქ მცხოვრები ოსები, ქართულ სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში სრულიად იყვნენ ინტეგრირებული. XIX საუკუნის პირველ ხანებში ისინი ქართველ მეამბოხეთა მხარდამხარ იბრძოდნენ რუსული მმართველობის წინააღმდეგ, ოსთა აჯანყებები ცარისტული მპყრობელობის წინააღმდეგ სისტემატურ და შეურიგებელ ხასიათს ატარებდა. მოგვიანებით, რუსულმა სახელმწიფომ შეძლო მტრულად განწყობილი ოსები გადაებირებინა და დიდ კავკასიურ დაპირისპირებაში საკუთარ პოლიტიკურ იარაღად ექცია.

ლ. ჯანიაშვილი განიხილავს ოსურ სამეცნიერო წრეებში განვითარებულ ტენდენციას. აღნიშნავს, რომ ბ. კალოევის, ზ. ვანეევის, ლ. ჩიბიროვის და სხვათა საველე-ეთნოგრაფიული მასალა საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა თერგის ხეობის ზემოწელში ოსთა ჩამოსახლების დროის დასაზუსტებლად. თუმცა, ამ მასალის ინტერპრეტირების დროს იგივე ავტორიები ტენდენციურობას ამჟღავნებენ, რაც დასკვნებში აისახება. ოსთა ჩამოსახლების დაძველების მიზნით მაღრან-დვალეთს და თრუსოს ოსეთის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო დვალებს ეთნიკურ ოსებად (თუალებად) აცხადებენ. ოსთა ავტოქტონობის დასამტკიცებელი დებულებებისათვის აუცილებელი წერილობითი წყაროების სიმწირიდან გამომდინარე, ხსენებული ავტორები თავის ნებაზე გაიაზრებენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალას, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ გამოგონილი ფაქტები, ქმნიან ლიტერატურას, რომელიც ობიექტურობისაგან შორს დგას.

თერგის ზემო წელიდან ოსთა მასობრივი გადასახლების კვლევისას ლ. ჯანიაშვილი აანალიზებს ქართულ-ოსური ურიერთობის ეთნოკულტურულ ასპექტებს. აღნიშნავს, რომ მიგრაციის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები იყო: საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული ეთნიკური ექსპერიმენტები, ტრადიციული მეურნეობის და ურთიერთობების ფორმის რადიკალური ტრანსფორმირება, მკაცრი ბუნებრივ-ეკოლოგიური გარემო, რეგიონის განვითარების დაბალი ინტენსივობა, საკომუნიკაციო ქსელის თავისებურებები, დასაქმებისა და განათლების ნაკლებად ხელმისაწვდომობა, მეოცე საუკუნის ბოლოდან შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა. საველე-ეთნოგრაფიულ მასალით გამოირკვა, რომ რეგიონიდან ოსების პირველი მასობრივი მიგრაცია მაშინდელ ორჯონიკიძეში 1944 წელს ინგუშების დეპორტაციის შემდეგ განხორციელდა. ზემოაღნიშნული ფაქტორები აქედან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ ინტენსივობას ჩრდილოეთ ოსეთში შემდეგ ხანებშიც განაპირობებდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში თერგის ზემო წელს ოსები ძირითადად ზაფხულის საძოვრებად და სააგარაკოდ იყენებდნენ, მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ შემცირებული იყო ხევის ოსურ სოფლებშიც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რადიკალური პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე, რეგიონისათვის წამყვანი დარგის, მეცხვარეობის, მასშტაბი მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრები მიუწვდომელი გახდა. ეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად უპესპექტივო თრუსო მთლიანად დაიცალა.

ოსებში მიგრაციულ განწყობილებებს ხელს უწყობდა ეთნოკულტურული ვექტორის ცვლილებაც, რაც ქართული ორიენტაციის რუსულით ჩანაცვლებას გულისხმობდა. რუსეთის გაბატონებამდე ბუნებრივად ხდებოდა ოსების ქართულ სამყაროში ინტეგრაცია, რაც ქართული მატერიალური დ ასულიერი კულტურის კომპენენტების თანდათანობით შესისხლხორცება-გათავისებას გულისხმობდა. მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე თრუსოს ხეობისა და კობის ქვაბულის მოსახლეობის უმრავლესობას ქართული ყაიდის (შვილზე დაბოლოებული) გვარსახელები ჰქონდა. მოგვიანებით შეიმჩნევა ქართული ანთროპონიმიული მოდელის თანდათანობით ოსურ//რუსული მოდელით ჩანაცვლების ტენდენცია. მოიმატა ოსურ//რუსული ყაიდის (ოვ-ევ დაბოლოებიანი) გვარ-სახელებმა. 1905 წლიდან ეკლესიებში მეტრიკული წიგნების წარმოება დაწირვა-ლოცვაც რუსულ ენაზე დაიწყო. ჩანს, დაგეგმილი იყო ქართული ენა, თანდათან რუსულით შეცვლილიყო და საქართველოსაკენ მიმართული პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური ორიენტაცია რუსულს ჩაენაცვლე-

ბინა. შექმნილი ვითარება მე-20 საუკუნეში შექმნილ ქართულ სახელმწიფოში მათი ინტეგრაციისათვის წინაღობას წარმოადგენდა.

მეტად მნიშვნელოვანია ყაზბეგის მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა ოსების უკან დაბრუნების პერსპექტივის თაობაზე. გამოკითხულ რესპოდენტთა 46% შეუძლებლად მიაჩნია ემიგრირებული ოსების საკუთარ სახლებში დაბრუნება. 27% მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მათი ნანილობრივ დაბრუნება (მაგ. ზაფხულის პერიოდში), თუმცა მათი უმრავლესობის აზრით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ შეიცვლება პოლიტიკური რეალობა (მთავრობის კეთილი ნება, ოსებისთვის საქონლის შემოყვანის უფლების მიცემა და ა.შ.) ან გაუმჯობესდება საცხოვრებელ პირობები. აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სეპარატისტული პროცესების წაქეზება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესშია და ამით იგი ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს ფორმირებას.

წიგნში, ცალკე თავი აქვს მიძღვნილი თერგის ზემო წელში ოსური ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი მკვიდრობის და ეთნიკური ჰეგემონობის დამტკიცების მნიშვნელობას კრემლის სამხედრო თეორეტიკოსების მიერ შექმნილ, ჰიბრიდული, ანუ „მომავლის ომის“ სტრატეგიაში.

ნაშრომი გამოიცა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და მას როგორ სამეცნიერო, ისე პრაქტიკული დანიშნულება აქვს.

2017 წლის 14 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომათა დარბაზში ავტორმა წიგნი წარუდგინა სამეცნიერო საზოგადოებას. ლავრენტი ჯანიაშვილმა საზოგადოებას გააცნო კვლევის შედეგები. კერძოდ, პროექტის ფარგლებში მომზადდა შვიდი სამეცნიერო სტატია, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, შეხვედრა სემინარი, 2017 წლის ოქტომბერში პროექტის ფარგლებში მომზადებული მოხსნება „ინტერეთნიკური ურთიერთობანი სასაზღვრო რეგიონში – საქართველო და ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია“ წარდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციაზე (აშშ, ქალაქი სიეტლი); კვლევის ბაზაზე მომზადდა რეკომენდაციები, რომელიც დაეგზავნა სამთავრობო ინსტიტუტებს; პროექტის საბოლოო ეტაპზე გამოსაცემად მომზადდა ორი მონოგრაფია (ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში; ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში); მოპოვებული ვიდეო მასალის საფუძველზე მომზადდა სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

LAVRENTI JANIASHVILI. THE QUESTION OSSETIANS IN KAZBEGI REGION. Publishing House “Mtsignobari”, Tbilisi, 2017, 186 pp.

Giorgi Mamardashvili

The book is focused on historical and ethno-cultural issues related to Georgian-Ossetian relations in Kazbegi region. According to historical sources, originally Kazbegi region was inhabited by Georgian tribes – the Tsanars. Some of whom migrated to Kakheti in Eastern Georgian lowland. Later on (the 13th -14th centuries) Tsanars were replaced by the ethnographic group of Georgian origin Dvals; in the 17th century Ossetians penetrated to the source of the Tergi River and began to assimilate the Dvals who had migrated there. In the 19th century, as a result of ethnic processes, the area close to the upper reaches of the Tergi River (now Truso) were completely inhabited by Ossetians; below, the settlements from the village of Kobi to the village of Jaryah, were mostly inhabited by the Georgian mountaineers Mokheves. Ossetians were fully integrated in the Georgian social-political space and actively participated in the ongoing processes. Integration of Ossetians into the Georgian world occurred naturally, which implied gradual accaptance of components of the Georgian material and spiritual culture. Later Russia managed to entice Ossetians and use them as a political weapon against Georgia’s interests. In the second half of the 20th century, Ossetian population almost completely moved to North Ossetia from today’s Kazbegi region due to the ecological, socio-political and economic factors. However, some of the Ossetian organizations and political circles instigated by the Russian propaganda consider Kazbegi region as their historical homeland and declare political claims on the territory.

ბაქოში გამოცემული ნიგნისათვის – „XVIII საუკუნის კავკასია რუსეთის საიდუმლო აგენტის თვალით“

დავით მერკვილაძე

2017 ნელს გამომცემლობა „თეას პრესის“ (TEAS Press) მიერ ბაქოში გამოქვეყნდა ნიგნი: „XVIII საუკუნის კავკასია რუსეთის საიდუმლო აგენტის თვალით“. გამოცემა შეიცავს ს. ბურნაშევის სამ თხზულებას: 1. „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“, 2. „აზერბაიჯანული ქვეყნებისა სპარსეთში და მათი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“, 3. „მთიელ ხალხთა აღწერა“.

რუსეთის არმიის პოლკოვნიკი სტეფანე ბურნაშევი 1783 ნლის გაზაფხულიდან მოვლენილი იყო რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენლად ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო კარზე. მალე მასვე დაეკალა საქართველოში მოვლენილი რუსული ჯარის ნაწილის მეთაურობაც. 1787 ნლის სექტემბერში ს. ბურნაშევი რუსულ ჯართან ერთად საქართველოდან უკან გაინვიეს. ზემოაღნიშნული სამი აღწერილობითი ნაშრომი ავტორმა შექმნა საქართველოში ყოფნის პერიოდში, სამხრეთის მიმართულებით რუსეთის პოლიტიკის წარმართველ და იმპერიაში იმ დროისათვის ყველაზე გავლენიანი პირის, გენერალ-ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინის მითითებით.

პირველი ორი ნაშრომი ავტორმა გამოსცა კურსკში 1793 ნელს, სადაც გუბერნატორად იყო დანიშნული. ხოლო მესამე – ერთი ნლის შემდეგ იმავე ტიპოგრაფიაში. ს. ბურნაშევის „საქართველოს სურათის“ ჩვენი ქართული თარგმანი შესავლითა და შესაბამისი კომენტარებით გამოვაქვეყნეთ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ნინა ნომერში (იხ. მერკვილაძე 2016: 144-159). რაც შეეხება „აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერა“-ს, იგი დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა დაკარგულად და მოგვიანებით იქნა აღმოჩენილი. დასახელებული ნაშრომი ჩვენს მიერ უკვე ნათარგმნია ქართულად და კომეტარების დართვით უახლოეს მომავალში ვგეგმავთ მის გამოცემასაც.

ბაქოში განხორციელებული ზემოაღნიშნული გამოცემა ძალზე მნიშვნელოვანია წყაროთცმოდნეებისა და XVIII საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიის ისტორიის საკითხებზე მომუშავე ისტორიკოსებისათვის. იგი წარმოადგენს რუსი პოლკოვნიკის მიერ კურსკში გამოქვეყნებული ნაშრომების რეპტინტულ გამოცემას (ამის გამო ნაშრომის გვერდების ნუმერაცია დედნისეულია, ანუ თითოეული მათგანის გვერდების ათვლა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწყება), რაც მკვლევარებს წარმატებით უნევს დღესდღეობით ძალზე ძნელად ხელმისაწვდომი 1793-1794 ნლების ავტორისეული გამოცემების მაგივრობას.

აზერბაიჯანის დედაქალაქში შესრულებულ გამოცემის მიმართ გაგვაჩნია გარკვეული კრიტიკული შენიშვნებიც. დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ს. ბურნაშევის იმპერიის ოფიციალური წარმომადგენელი იყო სამხრეთ კავკასიაში და მისთვის „საიდუმლო აგენტის“ ნოდება (თუნდაც ამ პერსონის ირგვლივ მკითხველის თვალში მეტი ინტრიგის შეძენის მიზნით) მაინცდამაინც შესაფერისად ვერ გამოიყურება. ს. ბურნაშევმა საქართველოში დაჰყო დაახლოებით ოთხ-ნელიწადნახევარი. ასეთ ხანმოკლე პერიოდში შეუძლებელი იყო, მას „შეექმნა ფართო აგენტურული ქსელი“, რომლის საშუალებითაც იგი მოიპოვებდა ესოდენ დიდ ინფორმაციას სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულების, მათი მმართველებისა და ადგილობრივი ნაირგვარი მოსახლეობის შესახებ, როგორც ეს აღნიშნულია დასახელებული გამოცემის შესავალში. ცხადია, ს. ბურნაშევი ნარმატებით სარგებლობდა ერეკლე II-ის კარზე უკვე არსებული და კარგად აწყობილი ჯაშუშური ქსელით და მოპოვებულ „ცხელ-ცხელ“ სიახლეებს სასნრაფოდ საიპერატორო კარს აწვდიდა. მეზობელი პოლიტიკური ერთეულების შესახებ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დროთა განმავლობაში დაგროვილი დანარჩენი ინფორმაცია კი „მფარველი“ სახელმნიფოს

წარმომადგენელს ასევე უშურველად მიეწოდებოდა. კავკასიის ხაზის სარდალი გენერალ-პორუჩიკი პ. პოტიომკინი თავის წერილებში არაერთხელ ავალებდა ს. ბურნაშევს, რომ მას ერეკლესაგან მოეპოვებინა ამა თუ იმ სახის საჭირო ცნობები და შემდეგ მისთვის გაეგზავნა (იხ. ბურნაშევი 1901).

ზემოაღნიშნული გამოცემის შესავალს ხელს აწერენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ფუად ახუნდოვი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტთან არსებული კავკასიის ისტორიის ცენტრის დირექტორი, რიზვან ჰუსეინოვი (ბურნაშევი 2017: 5-17). შესავალში აღნიშნულია, რომ „კავკასიის ისტორიის ცენტრი“ საარქივო მასალებზე დაყრდნობით აწარმოებს კვლევებს აზერბაიჯანის ისტორიაში. ავტორთა განცხადებით, მოპოვებული დოკუმენტები მათ საშუალებას აძლევს, დასაბუთებული პასუხი გასცენ „უცხოეთის ზოგიერთ წრეებს“ (აქ ძირითადად სომხური სამეცნიერო წრეები უნდა იგულისხმებოდეს უთუოდ), რომლებიც ამტკიცებენ, რომ სამხრეთ კავკასიაში „აზერბაიჯანული მიწები“ არ არსებობდა და ცნება „აზერბაიჯანი“ აქ მხოლოდ 1918 წლიდან იღებს სათავეს.

იმის დასამტკიცებლად, რომ ცნება „აზერბაიჯანი“ ამიერკავკასიაში ადრიდანვე იყო დამკვიდრებული, ბაქოელ ავტორებს მოჰყავთ XVIII საუკუნის დოკუმენტები (ძირითადად რუსული), სადაც დასახელებულია აზერბაიჯანული სახანოები. შესამჩნევია ღია მინიშნებაც იმ გარემოებაზე, რომ ამ სახანოთა შორის ჩვეულებრივ ფიგურირებს ერევნისა და ყარაბაღის სახანოებიც. მათი სიტყვით, თითქოს *„ს. ბურნაშევი თავის ხაპოხტებში აღნიშნავს, ხომ აზერბაიჯანს, ხოგორც* ადმინისტრაციულ, გეოგრაფიულ და ისტორიულ ოლქს უკავია სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, მათ შორის ნაწილობრივ ქართული ტერიტორიები, მთელი თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკა თურქეთამდე, ირანის მთელი ჩრდილოეთი (სამხრეთი აზერბაიჯანი) და კასპიის ზღვის თითქმის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო“. ამას მოსდევს ს. ბურნაშევის მიერ აღწერილი სახანოების ჩამონათვალი. სხვაგან ისინი მიუთითებენ ასევე, რომ გიულისტანისა (1813 წ.) და თურქმენჩაის (1828 წ.) ხელშეკრულებებში რუსეთის ხელში გადასული მინაწყალი აზერბაიჯანულ ტერიტორიად მოიხსენიება, რის შემდეგაც, – დანანებით დასძენენ ავტორები, – ამ მიწებთან დაკავშირებით სახელწოდება „აზერბაიჯანის“ გამოყენება გამიზნულად შეწყდა.

ამასთანავე შესავალში მკითხველის ყურადღება მიქცეულია იმ გარემოებისკენ, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში ამ რეგიონში, „ძირითადად აზერბაიჯანულ მიწებზე“ თურქეთიდან, ირანიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსახლებულ იქნა მილიონზე მეტი სომეხი. სომეხი მწერლის, რაფის ნაშრომზე, „ხამსის სამელიქოები“ დაყრდნობით განმარტებულია, რომ ყარაბაღში სომხური მოსახლეობა კიდევ უფრო ადრე გაჩნდა, როცა სომეხი დიდგვაროვნები თავიანთი ქვეშევრომებითურთ დაესახლნენ ამ მხარეში და შემდეგ მელიქის ტიტულიც მიიღეს (ყარაბაღში სულ ხუთი ასეთი სომხური სამელიქო არსებობდა). ავტორები აღნიშნავენ, რომ ბურნაშევის ცნობით, მის დროს ყარაბაღის სახანოში, რომლის „ტერიტორიაც მაშინ ვრცელდებოდა ნახჭევნისა და ერევნის სახანოებზე და თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის თითქმის ნახევარზე,... იყო მხოლოდ 7 000 კომლი ქრისტიანი, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილი იყო სომხური“.

ამას გარდა ხაზგასმულია, რომ ს. ბურნაშევი ახსენებს ტერმინ „აზერბაიჯანელებს“, რითაც ავტორთა განმარტებით, რუსი მოხელე გვეუბნება, რომ აზერბაიჯანელები „წარმოადგენენ მეზობელი ოსმალო თურქებისა და სპარსელებისაგან განსხვავებულ ხალხს“.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს რომ ზემონახსენები აზერბაიჯანელი ავტორები ცალკეულ შემთხვევებში წყაროს მონაცემების ძალზე თავისუფალ ინტერპრეტაციას ახდენენ, რათა ხელოვნურად, ფაქტების დამახინჯებით მიიღონ მათთვის სასურველი დასკვნები და ამ გზით გამიზნულად შეცდომაში შეჰყავთ მკითხველი.

პირველ რიგში გავარკვიოთ, რა მნიშვნელობით იყენებს ს. ბურნაშევი ტერმინ „აზერბაიჯანს“ (Адрабижан). ეს საშუალებას მოგვცემს ნათელი მოეფინოს ბევრ საკამათო საკითხს. ამის თაობაზე საგულისხმოა რუსი ავტორის ერთი შენიშნავნა: „დერბენდის სამფლობელო თუმცა კი თავისი მდებარეობით უნდა მიეწერებოდეს დაღესტანს; მაგრამ ვინაიდან ქალაქი დერბენდი 450 წელია დაპყრობილია სპარსელთა მიერ და მათი ხელისუფლება შაჰ-ნადირის დროს [აქ] სავსებით გამყარდა, ხოლო მისი ამჟამინდელი მმართველი ფათალი-ხანი აზერბაიჯანში ფლობს ქალაქებს – ბაქოსა და სალიანს და მრავალ დასახლებას, ამიტომაც მიითვლება ის აზერბაიჯანის ხანთა რიცხვში“. მაშასადამე, რუს ავტორს კარგად ესმის, რომ ქალაქი დერბენდი და მისი მხარე ისტორიულ-გეოგრაფიულად დაღესტნის ნაწილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი შეჰყავს აზერბაიჯანული ქვეყნების რიცხვში. ამას კი იმით ხსნის, რომ 1. ბოლო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს მხარე ირანის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა; 2. იგი ეხლაც აზერბაიჯანელი ხანის, ყუბელი ფათ-ალი-ხანის ხელშია. უნდა ვიფიქროთ, რომ დერბენდი დაღესტნელი მთავრების ხელში რომ ყოფილიყო, ბურნაშევი მას აზერბაიჯანულ მხარედ არ განიხილავდა (აღსანიშნავია, რომ რუსი პოლკოვნიკი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ერთი მხრივ „აზერბაიჯანის ქალაქებს“ ბაქოსა და სალიანს და მეორე მხრივ დერბენდს, რომელიც „თავისი მდებარეობით დაღესტანს უნდა მიეწერებოდეს“ (ბურნაშევი 1793ბ: 3)).

სწორედ ამ მიზეზით, აზერბაიჯანული მხარეების აღწერაში არ მოხვდა ჭარ-ბელაქანი (იგი არც ქართლ-კახეთის შემადგენლობაში არ მოიაზრება, ვინაიდან ერეკლე მეფის ძალაუფლება მასზე ვერ ვრცელდებოდა), ვინაიდან იგი ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსულ დაღესტნურ თემებს ეკავათ. თუმცა კი ეს მხარე აკმაყოფილებდა

საამისო პირველ პირობას: შაჰ-აბას I-ის დროიდან ეს მხარე სეფიანთა ირანის ნაწილად განიხილებოდა. ამ უკანასკნელი პირობის არსებობა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ სეფიანთა ხანაში აზერბაიჯანი იყო ადმინისტრაციული სახელწოდება ირანის ჩრდილოეთი (ჩრდილო-დასავლეთი) ნაწილისა, სადაც, სხვათა შორის, თურქულენოვანი მოსახლეობა სჭარბობდა.

საგულისხმოა, რომ ს. ბურნაშევი ერთგან სხვათა შორის ასევე შენიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მინა-წყალიც ნარსულში აზერბაიჯანული მინების რიცხვში განიხილებოდაო. ცხადია, რუსეთის ნარმომადგენელს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ის პერიოდი, როცა ისევ შაჰ-აბას I-ის ქმედითი დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად აღმოსავლეთ საქართველო (ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთის გამოკლებით) ოფიციალურად ირანის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ქართლისა და კახეთის მმართველებად საუკუნეზე მეტ ხანს შაჰი გამუსლიმებულ ბაგრატიონებს ნიშნავდა გურჯისტანის ვალის ტიტულით და ისინი შაჰის მოხელეებად განიხილებოდნენ. მეტიც, ერთი ხანი კახეთი შაჰისაგან განჯის ხანებსაც კი ჰქონდა გადაცემული სამართავად. მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველო ბურნაშევისათვის „აზერბაიჯანული ქვეყნობის" ორივე პირობას აკმაყოფილებდა: დაპყრობილი იყო სპარსელების მიერ და მას შაჰის ხელქვეითი მუსლიმი მმართველები განაგებდნენ. სხვა საკითხია, რამდენად კორექტულია რუსი მოხელის ეს ცნობა, მაგრამ მეორეს მხრივ, ვხედავთ, რომ ს. ბურნაშევისათვის ეს მდგომარეობა მხოლოდ წარსულია: მას შემდეგ, რაც ქართლისა და კახეთის მეფეები ქრისტიანული წესით ეკურთხნენ და შემდეგ შაჰის ქვეშევრდომობიდანაც საბოლოოდ განთავისუფლდნენ, „აზერბაიჯანული მიწის" სტატუსი რუსი მოხელის თვალში მათთვის შეუფერებელი აღმოჩნდა.

ამრიგად, აზერბაიჯანულ მხარედ რომ განხილულიყო, აღმოსავლეთ კავკასიის და მის სამხრეთით მიმდებარედ არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს შემდეგი აუცილებელი პირობები უნდა დაეკმაყოფილებინათ: მათ ტერიტორიაზე თავიდან ირანის ძალაუფლება უნდა გავრცელებულიყო, ხოლო სეფიანთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ მათ სათავეში შაჰის ყოფილი მუსლიმი ქვეშევრდომები უნდა ჩადგომოდნენ. შედეგად ტერმინ აზერბაიჯანში ნარმოდგენილი იქნა მართლაც ვრცელი პოლიტიკურ-გეოგრაფიული არე აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ ირანში, სადაც ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ნარმოიშვა დამოუკიდებელი და ნახევრადდამოუკიდებელი ისლამური სახანოები, რომელთაც ხანის ტიტულით სათავეში ჩაუდგნენ შაჰის ყოფილი მოხელეები. რასაკვირველია, ამ აზრით, აზერბაიჯანულ მიწებად განიხილებოდა დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბაღის ტერიტორიებიც (ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, ამ გარემოებიდან სულაც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ მაშინდელ „აზერბაიჯანში" მოაზრებული ყველა დასახელებული მინა-წყალი დღევანდელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს „ისტორიული საკუთრებაა").

საინტერესოა, რა შეიძლება ვიგულისხმოთ ზოგად განცხადებაში, რომ ს. ბურნაშევი სახელწოდება „აზერბაიჯანში" მოიაზრებს „ნაწილობრივ ქართული ტერიტორიებსაც", როცა ავტორთა ამ ბუნდოვან განცხადებას არ ახლავს წყაროს კონკრეტული ადგილის მითითება და მითუმეტეს, მისი ციტირება. სომხეთის შემთხვევაში ყველაფერი ნათელია: ავტორები არაერთხელ უსვამენ ხაზს, რომ ერევნის, ნახჭევნისა და ყარაბაღის (შუშის) სახანოები ჩვეულებრივ რიგით აზერბაიჯანულ სახანოებს ნარმოადგენდნენ და ეს სადავო მართლაც ვერ იქნება. ამასთან საგულისხმოა, რომ სიტყვა „დღევანდელი" მათ მიერ, სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოს მიმართ არ გამოიყენება – ანუ ამ ლოგიკით, სომხეთის რესპუბლიკა შეიქმნა მე-18 საუკუნის გაგებით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ს. ბურნაშევი გარკვევით გვიჩვენებს თითოეული სახანოს საზღვრებს ყოველი მხრით და ამ მონაცემების მიხედვით, დღევანდელი საქართველოს არც ერთი გოჯი არც ერთი სახანოს საზღვრებში არ ექცევა. ამიტომ საფიქრებელია, პირიქით, ქართულ მინა-წყალზე მომხდარიყო მოგვიანო ხანაში „აზერბაიჯანის" განვრცობა.

მართლაც, ს. ბურნაშევი „აზერბაიჯანის ქვეყნების აღწერაში" იძლევა ერთ საინტერესო ცნობას. ნუხის ანუ შაქის სახანოს შესახებ საუბრისას იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ ეს სახანო „წარმოიქმნა 36 წლის ნინ, <u>უძველესი დროიდან საქართველოს კუთვნილ მიწებზე</u>, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში დაწყებული არეულობის დროს" (ბურნაშევი 1793ბ: 7-8). მან უთუოდ კარგად უწყის, რომ ერეკლეს სამეფოს უშუალო მომიჯნე ჭარ-ბელაქნის თემების მსგავსად, ამ უკანასკნელის კიდევ უფრო აღმოსავლეთით მდებარე შაქის მხარეც შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს (ისტორიული ჰერეთი) რომ წარმოადგენდა. თუ სწორედ ეს გარემოება ჰქონდათ მხედველობაში ბაქოელ ავტორებს (სხვა გარემოები ს. ბურნაშევის თზულებაში არანაირად არ იკვეთება), გასაგებია, რატომ შემოიფარგლებიან ამ ბუნდოვანი ორაზროვანი განცხადებით და რატომაც იკავებენ თავს წყაროს მათთვის „პოლიტიკურად ნამგებიანი" მონაცემის შემდგომი დაზუსტებისაგან.

საკითხის განხილვა გარკვევით გვიჩვენებს, რომ ხორონიმი „აზერბაიჯანი" ადმინისტრაციული და გეოგრაფიული გაგებით გამოიყენებოდა და მას ეთნიკური დატვირთვა არ ჰქონია. შესაბამისად, ტერმინ „აზერბაიჯანელით", ფართო გაგებით, ლოგიკურად შეიძლებოდა ამ მხარეში მოსახლე ადამიანთა ჯგუფს დარქმეოდა ზოგადად და არა ეთნიკური თვალსაზრისით, თუმცა აქაურ მკვიდრთა მიმართ, როგორც წესი, უფრო კონკრეტული სახელდებები გამოიყენებოდა: მაგ., თავრიზელები, ურმიელები, ერევნელები, ყარაბაღელები, შირვანელები და ა.შ. რაც შეეხება ავტორთა მიერ მოყვანილ მაგალითს ს. ბურნაშევის მიერ „აზერბაიჯანელე-

ბის“ ხსენების შესახებ: რუსი პოლკოვნიკი წერს, რომ ერეკლე მეფე ფულის საშუალებით „მოიზიდავს რა დაღესტნელებს თავის სამსახურში, შეუძლია არა მხოლოდ იოლად გაუმკლავდეს აზერბაიჯანელებს, არამედ ძველებურად შემოიმტკიცოს განჯა და ერევანი“ (ბურნაშევი 1793ა: 31-32; მერკვილაძე 2016: 152). ამ შემთხვევაში ს. ბურნაშევი უდიდესი ალბათობით არა ჩვეულებრივ ადგილობრივ მოსახლეებს, არამედ ერეკლეს მონინააღმდეგე აზერბაიჯანელ ხანებს გულისხმობს. ნებისმიერ შემთხვევაში „აზერბაიჯანელი“ ეთნიკური გაგებით არც აქ და არც ამ დროის სხვა დოკუმენტებში გამოყენებული არ არის. ამიტომ მცდარია ამ ცნობაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნა, რომ თითქოს ეს იმის მომასნავებელია, რომ „აზერბაიჯანელი“ აღნიშნავდა მათ მახლობლად მოსახლე თურქ-ოსმალებისაგან და სპარსელებისაგან განსხვავებულ ეთნოსს. საგულისხმოა ისიც, რომ „აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერაში“ ს. ბურნაშევი არსად იყენებს ტერმინს „აზერბაიჯანელი“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ს. ბურნაშევის ზემონახსენები ცნობა დამახინჯებული ფორმითა და ინტერ-პრეტაციით არის მიწოდებული მკითხველისადმი. ფ. ახუნდოვი და რ. ჰუსეინოვი მანამდე სწორად შენიშნავენ, რომ გეოგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო „ერთგვარ სამხედრო-პოლიტიკურ პლაცდარმად გადაიქცა, საიდანაც მეფის რუსეთი მთელი სამხრეთი კავკასიის დაპყრობის გეგმებს აგებდა.“ მაგრამ შემდეგში ვითარებას ისე სახავენ, თითქოს ბურნაშევი აზრით, საქართველოს საშუალებით რუსეთს შეეძლო „აზერბაიჯანელებთან გამკლავება და განჯისა და ერევნის ძველებურად შემომტკიცება“. როგორც ვხედავთ, ამონარიდი კონტექსტიდან ძალზე ამოგლეჯილად, ნინადადების საწყისის მოკვეთით არის წარმოდგენილი. ამ მიზეზით რუსული დედანით მოცემული ციტატა გრამატიკულადაც მეტად გაუმართავად გამოიყურება. შინაარსობრივად ხომ სულ გაუგებარია: როგორ შეეძლო განჯა-ერევნის „ძველებურად“ შემომტკიცება რუსეთს (თუნდა საქართველოს საშუალებით), როდესაც მისი გავლენაც კი ამ სახანოებზე მანამდე არასდროს არ ვრცელდებოდა. ჩანს, ავტორებს არ სიამოვნებთ იმის გახსენება, რომ ერეკლე II-მ აზერბაიჯანულ სახანოებზეც განავრცო თავისი ძალაუფლება ჯერ კიდევ გეორგიევსკის ხელშეკრულებამდე ბევრად ადრე და ამიტომ რუსი პოლკოვნიკის მიერ ერეკლე მეფის მიმართ გამოთქმული ზემონახსენები თვალსაზრისი მთლიანად რუსეთის იმპერიას მიანერეს თვითნებურად. ამის გამო, მკითხველისათვის მცდარი წარმოდგენის შესაქმნელად, მათ მოუნიათ, მოეკვეთათ ნინადადებისათვის დასაწყისი, სადაც გარკვევით არის ნახსენები მეფე ერეკლე და ასე გაუმართავად მოეწოდებინათ ამონარიდი.

სამაგიეროდ, შესავლის ავტორები გადაჭარბებულად წარმოადგენენ ყარაბაღის ხანის, იბრაჰიმ ხალილის ძალმოსილებას, რომლის გავლენას სახავენ მრავალ აზებაიჯანულ სახანოზე, მათ შორის ერევნისა და განჯის სახანოებზე. ავტორები გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ ერევნის ხანი ერეკლეს ქვეშევრდომი და მოხარკე იყო, ხოლო განჯის სახანოზე ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ-ხანის უზენაესობა ერთ ხანს თანაბრად ვრცელდებოდა. ორივე მათგანს განჯაში თავ-თავიანთი ნარმომადგენლები (მოურავები) ჰყავდათ დანიშნული აქაური ხანისაგან მასზე დაკისრებული ხარკის მიღების უზრუნველსაყოფად. იბრაჰიმ-ხანი მართლაც ერთ-ერთი გავლენიანი ხანი იყო სამხრეთკავკასიელ ხანთა შორის (ყუბის ფათ-ალი ხანთან ერთად), მაგრამ მის ამ გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი სწორედ ქართლ-კახეთის მეფის მოკავშირეობამ და თანადგომამ. მაგრამ ბაქოელ ავტორებს ამის თაობაზე სიტყვაც არ დასცდენიათ. აი, შუშის ხანის გავლენას კი ხელაღებით ავრცობენ ასევე, მათივე სიტყვით, „აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე: ყაზახზე, შამშადილზე, შამქორზე და ჭარ-ბელაქანზე“. მათ კარგად უწყიან, რომ ამ მხარეებს სახანოს სტატუსი არ ჰქონდათ, მაგრამ ისტორიული ფაქტების დაუფარავ დამახინჯებას მაინც არ ერიდებიან. ყაზახი და შამშადილი ამ დროს რაიმე პოლიტიკურ სუბიექტებს საერთოდ არ წამოადგენდნენ და უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, რაც იმთავითვე გამორიცხავდა ამ მხარეებზე რომელიმე ხანის რაიმე გავლენას. რაც შეეხება ჭარ-ბელაქანს, ეს მხარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზერბაიჯანულ ერთეულად არც კი განიხილებოდა. შემთხვევითი არაა, რომ „აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერაში“ ს. ბურნაშევი ამ მხარეს საერთოდ არ ეხება იმ დროს, როცა არც ერთ „აზერბაიჯანულ მიწას“ დაუხასიათებლად არ ტოვებს.

ყარაბაღის სახანოში სომხების რაოდენობის შესახებ მსჯელობისას კი ს. ბურნაშევის მონაცემები იმდენად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი, რომ ამას უბრალოდ ტექსტის არასწორ ინტერპრეტაციასაც ვერ ვუწოდებთ და მკითხველის განზრახ შეცდომაში შეყვანის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. ბაქოელი მეცნიერები წერენ: რუსეთის წარმომადგენლის აღნიშვნით, ყარაბაღის სახანოში „7000 ათასი კომლი ქრისტიანია, და რომ არიან კიდევ სომხები, რომლების იბრაჰიმ-ხანს ემსახურებიან. ეს კი ნიშნავს, რომ სომხები ყარაბაღის ქრისტიანული მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, – განაგრძობენ ისინი, – რომ ყარაბაღის სახანო მაშინ ვრცელდებოდა ნახჭევნისა და ერევნის სახანოებზე და ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის თითქმის ნახევარზე. ანუ მთელ ამ ვრცელ არეალში იყო მხოლოდ 7000 ქრისტიანული კომლი და მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი იყო სომხური“ (ბურნაშევი 2017: 13).

როგორც ვხედავთ, თუ აქამდე მეზობელ სახანოებზე ყარაბაღის ხანის გავლენის გავრცელებაზე საუბრობდნენ, ახლა უკვე მთელი მისი სახანო „მოურიდებლად“ განავრცეს თანამედროვე აზერბაიჯანის ნახევარზე. გარდა იმისა, რომ ამგვარი განცხადება შორს დგას ისტორიული სინამდვილისაგან, ავტორები არც იმას იმჩნევენ, რომ ს. ბურნაშევი ყოველ სახანოზე ცალ-ცალკე მსჯელობს და მათში მოსახლე ქრისტიანთა

რაოდენობას ასევე გამოყოფილად ასახელებს (მათ შორის ერევნისა და ნახჭევნის სახანოებშიც). ანუ ამ შემთხვევაში ბურნაშევი გვაწვდის უშუალოდ ყარაბაღში მოსახლე ქრისტიანთა რაოდენობის შესახებ მონაცემს და არა „ნახევარი აზერბაიჯანისას". მაგრამ მთავარი აბსურდი კიდევ წინაა. ს. ბურნაშევი ტრადიციულად თითოეულ სახანოზე საუბრისას ბოლოში მიუთითებს მათში მოსახლე ქრისტიანების კომლობრივ რაოდენობას. შესაბამისად, ყარაბაღის აღწერას ამთავრებს ცალკე აბზაცით გამოყოფილი ნინადადებით: „შუშის ხანის სამფლობელოში მოითვლება 7000 კომლი ქრისტიანი" (ბურნაშევი 1793ბ: 15). აქ საერთოდ არ არიან ნახსენები სომხები, რომლებიც თურმე ქრისტიანთა დასახელებული რიცხვის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ (საინტერესოა, ვინღა იყვნენ მაშინ ქრისტიანთა დანარჩენი უმრავლესობა?). საიდან შეიძლებოდა შესავლის ავტორებს მსგავსი აზრი შემოეთავაზებინათ?

ყარაბაღის შესახებ თხრობის პირველ ნაწილში იბრაჰიმ-ხანზე საუბრის დასაწყისში, ს. ბურნაშევი აღნიშნავს, რომ ამ ძლიერ ხანს „თავისი ჯარი სომხების ჩათვლით ჰყავს 7000-მდე" (ბურნაშევი 1793ბ: 12). დაუდევრობით თუ წინასწარ გამიზნულად ავტორებმა სრულიად სხვადასხვა ადგილას და სრულიად განსხვავებულ კონტექსტში ნახსენები ეს ორი სხვადასხვა ცნობა (ერთი – ჯარის რაოდენობის აღმნიშვნელი და მეორე – ქრისტიანთა რაოდენობისა) ერთმანეთში უტიფრად „ათქვიფეს" (აქოდა ორივეგან ერთიდაიგივე რიცხვია დასახელებულიო) და უნყება, რომ იბრაჰიმ-ხანის 7000-იანი ჯარში სომხები ერთი ნაწილს წარმოადგენდნენ გაუმართლებლად გასაღდა იმდაგვარად, თითქოს სახანოს 7000 ქრისტიანული კომლიდან „მხოლოდ მცირე ნაწილს" წარმოადგენდნენ სომხები. მერე ამასაც არ დასჯერდნენ და ყარაბაღის სახანოში რუსი მოხელის მიერ დაფიქსირებული ქრისტიანი მოსახლეობის აღნიშნული რაოდენობა (7 000) უკვე ნახევარ აზერბაიჯანზეც გადაიტანეს და ამდაგვარად, ერთი ხელის მოსმით „წარმატებით" შეამცირეს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანთა რიცხვი.

დასანანია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი წყაროების გამოცემას იმდაგვარი შესავალი აქვს წამძღვარებული, სამეცნიერო კვალიფიკაციის ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებაც რომ უჭირს, არადა მის ავტორებს რეგალიების ნაკლებობა არ ეტყობათ. თუმცა კი, ნებისმიერ შემთხვევაში ამ საგულისხმო წყაროთა გამოცემა (მით უფრო დედნისეული სახით) უდავოდ მისასალმებელია და გამოცემის ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები, რაც გამომცემელთა ნაწილობრივ არაკომპეტენურობის და ნაწილობრივ არაობიექტურობის შედეგი უნდა იყოს, ხელს ვერ შეუშლის მკვლევრებს, საჭიროებისამებრ ისარგებლონ ამ საინტერესო წყაროთა დასახელებული გამოცემით.

დამოწმებანი

ბურნაშევი 1793ა: Картина Грузии, или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго, Курск.

ბურნაშევი 1793ბ: Описание областей Адербижанских в Персии и их политическаго состояния, Курск.

ბურნაშევი 1901: Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев, под редакцией А. А. Цагарели, С.-Петербург.

ბურნაშევი 2017: Кавказ XVIII века глазами русского тайного агента, Баку.

მერკვილაძე 2016: სტეფანე ბურნაშევი და მისი ნაშრომი „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღნერა", ქართული ნყაროთმცოდნეობა, 2015-2017, თბილისი.

ABOUT THE BOOK PUBLISHED IN BAKU – "THE EIGHTEENTH CENTURY CAUCASUS THROUGH THE EYES OF A RUSSIAN SECRET AGENT"

David Merkviladze

In 2017, the TEAS Press published a book in Baku: "The Eighteenth Century Caucasus Through the Eyes of a Russian Secret Agent". The edition contains the Russian army colonel, S. Bursashev's three works: 1. "The Picture of Georgia, or the Description of the Political Situation of Kartli and Kakheti Kingdoms", 2. "The Description of Azerbaijani Countries in Persia and Their Political Situation", 3. "Description of the Mountain Peoples".

S. Bursashev wrote these works when he was in Georgia (1783-1787) and published them in Kursk in 1793-1794. The edition published in Baku is a reprint of the author's publication. It has an introduction of the Azerbaijani publishers. The above mentioned publication is very important for those who work on the history of the Caucasus of the second half of the Eighteenth century.

The present article gives some critical remarks about the recent publication in Baku.

ფათჰი ჰაბაშის „ისტორიის ფურცელი“

მარიამ ჩხარტიშვილი
ლევან ჩხარტიშვილი

2017 წელს კვებეკ-სიტიში ინგლისურ ენაზე გამოვიდა ლავალის უნივერსიტეტის ემერეტუს-პროფესორის ფათჰი ჰაბაშის წიგნი „ისტორიის ფურცელი“: F. Habashi. The History Page, 2017, Quebec City, Metallurgie Extractive Quebec, 474 pp.

ავტორი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერ-მეტალურგია, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ძირითადად დაკავებულია აკადემიურ და ინდუსტრიულ სექტორებში დასაქმებული ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სალექციო კურსების კითხვით და შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცნობარების შედგენით. ყოველივე ამას იგი ორგანულად უხამებს კვლევებს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და განათლების ისტორიაში. ეს ახლადგამოცემული წიგნი კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი ავტორის – ფათჰი ჰაბაშის – ასეთ ფართო სამეცნიერო ინტერესებს.



ფათჰი ჰაბაშის წიგნის „ისტორიის ფურცელი“ გარეკანი

პროფ. ფათჰი ჰაბაში წარმოშობით ეგვიპტიდანაა. მას დამთავრებული აქვს ქაიროს უნივერსიტეტი ქიმიური ინჟინერიის განხრით. სანამ ლავალის უნივერსიტეტს (კვებეკ-სიტი, კვებეკი, კანადა) შეუერთდებოდა, წლების განმავლობაში მუშაობდა ცნობილი სამრეწველო კომპანიის „ანაკონდა“ (თუსონი, არიზონა, აშშ) სამთო მეტალურგიის კვლევით დეპარტამენტში. მას ვენის უნივერსიტეტის (ავსტრია) მიერ არაორგანულ ქიმიურ ტექნოლოგიაში მინიჭებული აქვს ტექნიკის დოქტორის ხარისხი. გარდა ამისა, პროფ. ფათჰი ჰაბაში არის სანქტ-პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის (რუსეთი) და ლიმის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის (პერუ) საპატიო დოქტორი.

1993 წლიდან მოყოლებული რეგულარულად ტარდება საერთაშორისო მემკვიდრეობის სიმპოზიუმები თემაზე: „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების, სამთო საქმისა და მეტალურგიის კულტურული მემკვიდრეობა“ (International Erbe-Symposia “The Cultural Heritage in the Geosciences, Mining & Metallurgy”). მათი გეოგრაფია ძალზე ფართოა. საკმარისია ითქვას, რომ სხვადასხვა დროს ამ სიმპოზიუმებს 11 ქვეყანამ – ავსტრია (2-ჯერ), ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია (2-ჯერ), იტალია, კანადა, მექსიკა, ნიდერლანდები, რუსეთი, სლოვაკეთი (2-ჯერ) და სლოვენია (2-ჯერ) – უმასპინძლა. 2018 საიუბილეო 25-ე წელია და ამ წელს მე-14 სიმპოზიუმი ჩატარდა. პროფ. ფათჰი ჰაბაში მუდმივი საპატიო პრეზიდენტის რანგში ხელმძღვანელობს

მეცნიერების ისტორიაში საერთაშორისო სიმპოზიუმების ამ რეგულარულ სერიას. სერიის დაფუძნების შესახებ მოგვითხრობს მისი სტატია: F. Habashi. Cultural heritage in geosciences, mining, and metallurgy. Journal of Cultural Heritage, 2003, 4, 377-378.

წინამდებარე რეცენზიის ერთ-ერთი ავტორი (ლ. ჩხარტიშვილი) ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიის საერთაშორისო ჟურნალის Nano Studies მთავარი რედაქტორი და გამომცემელია. აქ პროფილის შესაბამისი კვლევითი სტატიების გარდა, სისტემატურად ქვეყნდება ნარკვევები მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორიიდან. სწორედ ფათჰი ჰაბაშიმ დაუდო სათავე ამ ტრადიციას 2011 წელს, როდესაც სპეციალურად ჟურნალის მკითხველი ნანომეცნიერებისათვის ოთხ სტატიაში ცალკ-ცალკე აღწერა მეტალურგიის ძირითადი დარგები და სამთო, პირო-, ჰიდრო- და ელექტრომეტალურგიული ტექნოლოგიების განვითარების მოკლე ისტორიები. შემდგომში ავტორმა ეს სტატიები გააერთიანა, შესავალი დაურთო და იმავე 2011 წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა: F. Habashi. Mineral Processing for Nano-Scientists, 2011, Quebec City, Metallurgie Extractive Quebec, 174 pp.

ჟურნალში Nano Studies მომდევნო ნლებშიც იბეჭდებოდა ფათჰი ჰაბაშის ნარკვევები მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების ისტორიიდან. მასვე ეკუთვნის იდეა, რომ გამოყოფილიყო ცალკე რუბრიკა: Science History Pages ანუ „მეცნიერების ისტორიის ფურცლები".

ახალი წიგნის სათაური მსგავსია, მაგრამ არა – იგივე. საქმე ისაა, რომ ამ წიგნის თავები ეძღვნება არა მხოლოდ მეცნიერების, ტექნოლოგიისა და განათლების ისტორიას, არამედ – საკუთრივ ისტორიასაც, დაწყებული უძველესი დროიდან და თანამედროვეობით დამთავრებული.

წიგნი 32 თავისაგან შედგება. მათი ერთი ნანილი ადრე სტატიების სახითაა გამოქვეყნებული, მათ შორის ჟურნალში Nano Studies. განსაკუთრებით აღსანიშნავია მადრიდში (ესპანეთი) გამომავალ ლითონების სპეციალიზებულ ჟურნალში ძველეგვიპტური ოქროსადმი მიძღვნილი სტატია: F. Habashi. Gold in Egypt. A historical introduction. De Re Metallica, 2014, 23, 85-92. წიგნის სხვა თავების შინაარსი კი დაბეჭდილა და მხოლოდ ელექტრონული ფორმით ვრცელდებოდა.





Preface

When Prof. Levan Chkhartishvili of the Department of Physics, Georgian Technical University, in Tbilisi and editor of *Nano Science* asked me to write in his journal, I told him that I can write only historical articles in what you may call "The History Page." He agreed and after writing some articles it became a regular feature of his journal. I also used my web site http://works.bepress.com/fathi_habashi/ to insert unpublished articles. With time, I found that these articles should be combined together in a book which I called *The History Page*. These historical articles are non-metallurgical. They discuss art and science, events of today, or subjects that I tried to find answers for them. The article on "Dubai" shows how a country rose from the Middle Ages to modern times in a very short time. The article on "Korea Today" is written at a time when North Korea challenged the whole world by its military establishment.

The article on "Decisive Battles in the Levant" shows how the Levant suffered from so many wars from ancient times to the present. When I wanted to find answers to some questions that bothers me, I wrote "The Bull and the Golden Calf," "The serpent," and "Sacrifice" after so much research. I admired very much "Beethoven" and "Sculpture" and these were the subject of intensive research. Some were published in *Nano Science* and others in different journals.

October 2017
Québec City

Fathi Habashi
Fathi.Habashi@arul.ulaval.ca

ფათჰი ჰაბაშის წიგნის „ისტორიის ფურცელი" ფლაერი და წინასიტყვაობა

მრავლისმეტყველია უშუალოდ მეცნიერების, ტექნოლოგიისა და განათლების ისტორიისადმი მიძღვნილი თავების სათაურები:

- ჩამოსხმულია თუ ამოკვეთილია პირამიდების ქვები?
- რამდენიმე რჩევა ჩვენს ახლად კურსდამთავრებულებს
- მეცნიერება გაცნობიერების გარეშე?
- როგორ გადაიქცა ინგლისური მეცნიერების ენად
- წარმოსახვა მეცნიერებაში
- ახალი მოვლენები მეცნიერებაში: როგორ იყვნენ ისინი ახსნილი
- ოთხასი წლის ნინათ: ლუი ებერტი კვებეკში
- ფრაიბურგის სამთო აკადემიის 250-ე ნლისთავი
- ალფრედ ნობელი: ასაფეთქებელი ნივთიერებები და საფოსტო მარკები
- ნობელიანტების ერთი მაგალითი: ფილიპ ლენარდი და იოჰან შტარკი

- ქალთა ბრძოლა უმაღლესი განათლების უფლებისათვის
- გამოგონება შემთხვევით
- კასიუსის მენამული: ნანო ოქრო თუ კოლოიდური ოქრო?
- ტიტანში ჩამოსხმული ქანდაკებები
- რკინის საძიებო სამუშაოები
- ვერცხლის გზა

არანაკლებ შთამბეჭდავია და ავტორის ფართო თვალსანიერზე მიუთითებს იმ თავების ჩამონათვალიც, რომლებიც მსოფლიოს ისტორიისა და თანამედროვეობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას ეხმაურება:

- ანტიკურობის კვლევეები
- გადამწყვეტი ბრძოლები ლევანტში
- ბეთჰოვენი: პატრიოტიზმი და სოციალური სამართლიანობა
- ეგვიპტური პირამიდები
- ჰილდესჰეიმი და ძველი ეგვიპტე
- ბარბაროსობა ეგვიპტეში
- მუსლიმთა სამხედრო ქვედანაყოფები გერმანულ რეიხში
- იაპონია: ჩაკეტილი საზოგადოება კარს უღებს დასავლეთს
- აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, ხოლო დასავლეთი – დასავლეთი და ისინი არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს
- დუბაი
- კორეა დღეს
- ხარი და ოქროს ხბო
- მსხვერპლშენირვა რელიგიაში
- გველი ხელოვნებასა და რელიგიაში
- როგორ გასწია ამერიკამ ბრიტანეთის იმპერია გვერდზე
- ქანდაკების მაგია

ამ უაღრესად საინტერესო სქელტანიანი წიგნის სრული შინაარსის გადმოცემა აქ შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ისეთ საკითხს შევეხებით, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მეცნიერების ისტორიასთან.

თავში, რომლის სათაურიცაა „რამდენიმე რჩევა ჩვენს ახლად კურსდამთავრებულებს", ავტორი მიმართავს რა ახალგაზრდა მეტალურგებს მოუნოდებს მათ, რომ საკუთარ კვლევას ყოველთვის მიუდგნენ ისტორიული თვალსაზრისით; დასვან კითხვები: ვინ მუშაობდა იმავე პრობლემაზე ადრე? რატომ? როგორ მიაღწიეს მათ წარმატებას ან რატომ განიცადეს მარცხი? დაწერონ წლიური ანგარიშები, ასევე – კონფერენციებისა და მოგზაურობების ანგარიშები, მაშინაც კი, როდესაც დამქირავებელი ამას არ მოითხოვს მათგან.

თავში „მეცნიერება გაცნობიერების გარეშე?", ავტორი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ უკვე უძველესი ისტორიული ჩანაწერები მოიხსენიებენ მეტალურგებს, რომლებიც ემსახურებოდნენ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ დღეს, როდესაც ტექნოლოგია ძალზე სწრაფად ვითარდება ამგვარი მოთხრობები წარსულის შესახებ, ერთი შეხედვით, მცირედ ფასეულია პროფესიონალებისათვის და ვერ პასუხობენ თანამედროვეობის გამოწვევებს. ისტორიისადმი ამჟამინდელი დამოკიდებულება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: „არც მისი ცოდნა მოგვიტანს რაიმე სარგებელს და არც მისი უცოდინარობა დაგვაზარალებს". ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება ამგვარ შეხედულებას.

გარდა პროფესიის წარმოშობისა და ტრადიციების მიმართ არსებული ბუნებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისა, ისტორია ბევრ სხვა სასარგებლო გაკვეთილსაც იძლევა. სტუდენტი, რომელიც ისე შეისწავლის მეტალურგიას, რომ ვერ აფასებს მისი ზრდის სიჩქარეს, ტექნოლოგიის სწრაფ ცვალებადობას და წარმოებაზე მოქმედ ეკონომიკურ ძალებს, არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადოდ მომზადებულად პროფესიაში.

უფრო მეტიც, იმის გამო, რომ მეცნიერება და ინჟინერია ადამიანის მიერ არის შექმნილი, პრაქტიკულად შეუძლებელია კონკრეტული დისციპლინის სწავლება იმ მეცნიერებისა და გამომგონებლების მოხსენიების გარეშე, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეიტანეს დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მაშასადამე, არსებითია ამ სახელების სისტემატური ჩართვა მეტალურგიულ კვლევებშიც.

ისტორიზმის გააზრებას შეუძლია სტუდენტს მიანიჭოს მოძრაობის, პროგრესისა და მეცნიერებისაგან განუყოფელი მუდმივი ცვალებადობის შეგრძნება. ისტორიის ჩართვას მეტალურგიის კურიკულუმში აგრეთვე შეუძლია გაუჩინოს სტუდენტს ფიზიკის, ქიმიის, მეტალურგიისა და სხვა ტექნოლოგიების მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის განცდა. ისტორიის ინტეგრირება მეტალურგიის კურსთან აღმოჩენათა ბუნების სწორად დანახვის საშუალებაც იქნება – სტუდენტი მათ აღარ აღიქვამს დიდი ადამიანების მიერ შექმნილ იზოლირებულ და ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებელ მოვლენებად.

ცნობილია, რომ დიდ გერმანელ პოეტს იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს, რომელიც მეცნიერებითაც

ინტერესდებოდა (მაგალითად, მან დაწერა წიგნი ფერების შესახებ), გაცნობიერებული ჰქონდა მეცნიერების ისტორიის დიდი მნიშვნელობა. ავტორი იშველიებს გოეთეს სიტყვებს, რომ „მეცნიერების ისტორია თავადაც მეცნიერებას წარმოადგენს".

უკანასკნელი ათწლეულები მოწმობენ, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარება კაცობრიობის მომავლის განმსაზღვრელი ფაქტორებია. ამდენად მომავლის ტექნოლოგიის პროგნოზირება თავადაც მეცნიერებად გადაიქცა. ამიტომ თვალნათელია, რომ მსჯელობა მომავლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის შესახებ შეუძლებელი იქნება მათი წარსული განვითარების ღრმა ცოდნის გარეშე. ამგვარი ექსტრაპოლაციისათვის კი არ არსებობს სხვა საწყისი წერტილი, გარდა იმ წარსულისა, რომელის გავლითაც მათ დღევანდელობამდე მოაღწიეს.

მაშასადამე, არსებითია გავარკვით, თუ როგორ კეთდებოდა დიდი აღმოჩენები; იყვნენ ისინი შემთხვევითი, თუ – წინარე ცოდნის გარდაუვალი შედეგი. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, აღმოჩენა „წმინდა" მეცნიერებამ მოიტანა, თუ – „გამოყენებითმა"; სად ჩატარდა ეს კვლევა – სამეცნიერო თუ საწარმოო ლაბორატორიაში. როგორ და სად ჩაისახა იდეა, რომელმაც აღმოჩენასთან მიგვიყვანა – მეცნიერების იმავე განშტოებაში, მასთან დაკავშირებულ, თუ სავსებით განცალკევებულ სფეროში? რა დრო დასჭირდა თავდაპირველი აღმოჩენის აღიარებას ანდა მის გამოყენებას პრაქტიკაში. პასუხები ამ და მსგავს კითხვებზე მომავლის დამგეგმავებმა მხოლოდ მეცნიერების ისტორიკოსებისაგან უნდა მიიღონ.

სავსებით შესაძლებელია პრაქტიკოსი მეტალურგ-ტექნოლოგის მომზადება მისთვის მეტალურგიის ისტორიის ცოდნის გადაცემის გარეშე, მაგრამ ძალზე ძნელია, თუ არა შეუძლებელი, ამგვარი განათლების გარეშე შემოქმედებითად მოაზროვნე მეტალურგის ჩამოყალიბება.

მართალია ისტორია წარსულის მოვლენებს შეეხება, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიაში ისტორია დღესაც იქმნება.

საბოლოოდ ავტორი დაასკვნის, რომ მისასალმებელია ბაკალავრიატის თითოეულ მეტალურგიულ დისციპლინაში შესაბამისი ისტორიული ფაქტების ჩართვა და კიდევ უფრო უმჯობესია ისტორიის დამოუკიდებელი კურსის შემოტანა.

წიგნის თავში „ქალთა ბრძოლა უმაღლესი განათლების უფლებისათვის" საინტერესოდაა გადმოცემული ამ გენდერული პრობლების მოკლე ისტორია. ავტორი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ნებისმიერ საზოგადოებასა და ეპოქაში ქალის მდგომარეობით განისაზღვრება ცივილიზებულობის მიღწეული დონე. კერძოდ, თუ ქალი განათლებულია, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალი თაობაც განათლებული იქნება და ეს საზოგადოება პროგრესირებს.

განხილულა კათოლიკური ავსტრიის ისტორია, სადაც „ქალის საქმე" იყო სამი „K": Kirche – Kinde – Kuche ანუ ეკლესია – ბავშვი – სამზარეულო. მას შემდეგ ქალებმა ბევრი ბარიერი გადალახეს და ზოგიერთ ქვეყანაში ინტელექტუალურ არენაზე ღირსშესანიშნავი წარმატებაც მოიპოვეს. თუმცა, ბევრგან ქალებისათვის დღემდე არაა ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება.

ასეთია ძალზედ მოკლედ ფათჰი ჰაბაშის ახალი წიგნი „ისტორიის ფურცელი". მისი გაცნობა უდავოდ სასარგებლო იქნება მეცნიერების, ტექნოლოგიისა და განათლების ისტორიის ქართველი სპეციალისტებისათვის. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული მაღალი ხარისხის ფერადი ფოტოებით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას მკითხველების ფართო წრისათვის.

"THE HISTORY PAGE" BY FATHI HABASHI

Mariam Chkhartishvili
Levan Chkhartishvili

In 2017, the Metallurgie Extractive Quebec publisher had released book "The History Page" authored by Fathi Habashi, Professor-Emeritus of the Laval University (Quebec City, Quebec, Canada). Prof. Fathi Habashi is an eminent researcher metallurgist, at the same time, actively working in history of science, technology and education. Recent book contains chapters devoted not only to the science history, but number of important pure historical issues starting from ancient up to contemporary history. Present review gives a short description of this very interesting book. "The History Page" is well-illustrated what makes it very attractive for wider audience of readers.

გვიანანტიკური პერიოდის ქართლის სამეფო სახლის ამბები
(ახალი ქართველოლოგიური კვლევა-ძიების კვალდაკვალ)

ვლადიმერ ჭელიძე
მარიამ (მაია) ნინიძე

მარიამ ჩხარტიშვილის, როგორც ცნობილი მეცნიერისა და მკვლევრის, პუბლიკაციები (სამეცნიერო სტატიებიცა და მონოგრაფიული ნაშრომებიც) განსაკუთრებულ ინტერესს ინვევდა და იწვევს. ამ მხრივ გამორჩეულია მისი ახლადგამოცემული სოლიდური ნიგნიც – „საქართველო III-V საუკუნეებში (ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია)".

ავტორის მიერ მონოგრაფიული შესწავლისა და დეტალური კვლევა-ძიების შედეგად ვლინდება, რომ III-V საუკუნეების ქართლის სამეფო „დინასტიის როლი საქართველოს ისტორიაში და ქართული იდენტობის დადგინებაში სრულიად განსაკუთრებულია". კერძოდ, „მეფე მირიანს უკავშირდება ქრისტიანობის ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება IV საუკუნის ოცდაათიან (ზოგი თვალსაზრისით, ოციან) წლებში". ის და მისი მემკვიდრეები იყვნენ სწორედ „ამ ფაქტით ბიძგმიცემული კულტურული ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პროცესის მესვეურებიც". მნიშვნელოვანია, რომ „ნაშრომში ახლებურადაა გააზრებული ადრე დადგენილად მიჩნეული არაერთი ფაქტი" (ჩხარტიშვილი 2018: 3).

დასმულ პრობლემებზე არსებით მსჯელობას ავტორი გამოკვლევის უმთავრესი საისტორიო წყაროების განხილვით იწყებს.

მკვლევარი იზიარებს „ზოგი მეცნიერის ... აზრს" ე. წ. „მატიანე ქართლისას" შესახებ. ის, კერძოდ, სრულიად სწორად მიუთითებს, რომ ეს საისტორიო „ტექსტი დამოუკიდებელი თხზულება კი არაა, არამედ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების" ნაწილია" (ჩხარტიშვილი 2018: 12).

მ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ „მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ბევრ ფაქტს არ აღნუსხავს და ხშირად უკიდურესი ლაკონიურობის მიზეზით ინფორმაციის ნანილი საერთოდაც გამოტოვებულია". მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ „საკმაოდ ზუსტია არსებული მონაცემები", რითაც ამ თხზულებას „შეუძლია გზამკვლევის ფუნქცია შეასრულოს მაშინ, როცა ჭირს მრავალფეროვან ფაქტებს შორის ორიენტირება და წინასწარი ჰიპოთეზების ჩამოყალიბება" (ჩხარტიშვილი 2018: 19).

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია მისი დაკვირვება ლეონტი მროველის შესახებ, რომლის „ცდომილებათა მიზეზი არის არა ის", რომ „ეფუძნება არასწორ მონაცემებს ან ცუდად ინფორმირებულ წყაროებს". მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსი „არ იმეორებს წყაროთა ინფორმაციას, არამედ თავად ცდილობს რეპრეზენტირებას"[1], რამაც განაპირობა, რომ „სწორი ამოსავალი მონაცემების[2] მიუხედავად,

ISBN 978-9941-457-96-8
9 789941 457968
ISBN 978-9941-457-96-8
ISBN 978-9941-457-96-8
ISBN 978-9941-457-96-8

„ქართლის ცხოვრების“ მიერ წარმოდგენილი სურათი განსხვავებულია“ (ჩხარტიშვილი 2018: 20).

ამ საისტორიო კრებულის წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული დახასიათებისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს მის ნაშრომში წარმოდგენილი კვლევისათვის აუცილებელ ფაქტებზე. აქვე აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შექმნა, კერძოდ, „ემსახურებოდა პან-კავკასიური ამბიციების მქონე ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებს“[3] (ჩხარტიშვილი 2018: 20-21).

მკვლევრის აზრით „სამეფო ოჯახები ძველ დროში განსაზღვრავდნენ არა მარტო ეთნიკური კოლექტივების პოლიტიკური განვითარების ვექტორებს“, არამედ, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, „მათ კულტურულ პროფილსაც“ (ჩხარტიშვილი 2018: 7).

ქართლის მეფეთაგან „მირიანი საკულტო პერფორმანსის დიდოსტატი იყო. როგორც უზენაესი ქურუმი, ჩანს, განასახიერებდა თავად არმაზს. ... ნანა დედოფალი კი აშკარად ქალი ქურუმია. ნანა არ უნდა იყოს მისი საკუთარი სახელი. ეს არის დედოფლის წოდება: დედოფალი არის ქვეყნის დედა, მის შვილებს წარმოადგენენ მისი ქვეშერდომები“ (ჩხარტიშვილი 2018: 57-58).

გარდა ამისა, მისიონერი ქალის სახელის ნინოს გააზრებას მნიშვნელოვან დაკვირვებამდე მიჰყავს მკვლევარი. კერძოდ, სახელი ნინო და ასევე „ძველ მსოფლიოში გავრცელებული დედა ღვთაების სახელნოდება ერთი და იგივეა“. ეს სახელი „უნდა იყოს ამ სიტყვის ნოდებითი ფორმა: „დედაო“ (ჩხარტიშვილი 2018: 63, 67).

საგულისხმოა, რომ ნაშრომში ვრცლად და მიზანმიმართულადაა წარმოჩენილი ის ძირითადი და უმთავრესი ფაქტორები, რომლითაც მისიონერმა ქალმა „ქართლის მეფეს ქვეყნის ქრისტიანიზაციის პერსპექტივა გადაუშალა“ (ჩხარტიშვილი 2018: 70).

თავის მხრივ, მკვლევრისათვის „სრულიად აშკარაა, რომ ქრისტიანობის სასარგებლოდ მეფის გადაწყვეტილების მიზეზი იყო ცნობა უფლის კვართისა და ელიას ხალენის შესახებ“ (ჩხარტიშვილი 2018: 71).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „ტრანსეთნიკური რელიგიაც შეიძლებოდა გამხდარიყო ქართული იდეოლოგიის მარკერი“. მირიანი „გრძნობდა ქართული ერთობის ფუნდამენტურ საჭიროებებს და მოქმედებდა შესაბამისად“ (ჩხარტიშვილი 2018:, 72).

როგორც ცნობილია, „შუა საუკუნეებში მცხეთა გაიაზრებოდა ახალ იერუსალიმად“. ეს გარემოება, მ. ჩხარტიშვილის აზრით, „სხვა არაფერია თუ არა მთელს საქრისტიანოში გავრცელებული პრაქტიკის ერთ-ერთი გამოვლინება, სხვადასხვა ადგილზე შეექმნათ წმინდა ქალაქის სივრცულ-ლანდშაფტური ხატი“, რასაც მკვლევარი განიხილავს „ქრისტიანული იდეოლოგიით ნასაზრდოები რელიგიური მოქცევის კონტექსტში“ (ჩხარტიშვილი 2018: 74-75).

მეტად საგულისხმოა, რომ „ახალ ადგილას ისტორიული იერუსალიმის ხატი ანუ „ახალი იერუსალიმი“ ქმნიდა ორიგინალის შესატყვის (თუ არა ტოლფას) სინმინდეს“ (ჩხარტიშვილი 2018: 79).

ნაშრომის ავტორი ნარმოაჩენს მთავარ ფრაზას, რომელშიც წმინდა ნინომ ყურადღება გაამახვილა ერთ გარემოებაზე. კერძოდ, „სამეფო ბაღი – სამოთხე მომავალში ზეციური სამოთხის ადგილი გახდება“ (ჩხარტიშვილი 2018: 79).

მკვლევარი მიუთითებს, რომ „მორწმუნე მყოფი სამოთხის კარზე – ეს არის სტერეოტიპული კადრი მთელ ქრისტიანულ ხატწერაში“, რომლის მიზანი „ლიმინარობის სახის შექმნაა“. ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ამ სახემ „ძალიან ორიგინალური გადაწყვეტა ჰპოვა“ (ჩხარტიშვილი 2018: 82).

გარდა ამისა, აღნიშნული თხზულების „დასაწყისში სვეტის შესახებ ეპიზოდების კონცენტრაცია უკავშირდება სწორედ იმ ჰიეროტიპიულ პროექტს, რომელიც მეფის ბაღს გაიაზრებდა ზეციურ იერუსალიმად“. საგულისხმოა, რომ „უკვე ამ დროიდან ნარმოჩნდება ქართული ქრისტიანობის სახე – უფლის კვართზე აღმოცენებული ცხოველმყოფელი სვეტი“ (ჩხარტიშვილი 2018: 87).

თავის ნაშრომში მ. ჩხარტიშვილმა ზედმინევნით სრულად და თანმიმდევრულად წარმოადგინა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მოღვაწეობის ერთიანი და მთლიანი სურათი. ავტორმა ფართოდ და მასშტაბურად განსაზღვრა აღნიშნული ისტორიული პირის უაღრესად მნიშვნელოვანი როლი და განსაკუთრებული ადგილი გვიანანტიკური ხანის საქართველოს თანადროულ სინამდვილეში. სწორედ „მირიანს უკავშირდება ახალი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბება,რომელიც ეფუძნება ქრისტიანულ მსოფლხედვას“. მისი ასეთი ინტელექტუალური ძალისხმევა „გამორჩეული იყო თავისი დახვენილობით: მან წმინდა წერილის შემოქმედებით ათვისების და ქრისტიანობის ნატურალიზაციის სრულიად უნიკალურ პროცესს დაუდო სათავე“ (ჩხარტიშვილი 2018: 90).

აღსანიშნავია, რომ „ამგვარი სულისკვეთება შეინარჩუნეს მისმა შთამომავლებმა“, რის შესახებაც ავტორი თავის ნაშრომში ვრცლად მსჯელობს. კერძოდ, ის ამ პერიოდის ქართლის სხვადასხვა მეფის მოღვაწეობას ცალკეულად ეხება და არსებულ მრავალ საკითხს სრულიად ახლებურ კონტექსტში განიხილავს, რითაც ბევრ პრობლემას განსხვავებულ ჭრილში და ორიგინალური კუთხით წარმოაჩენს (ჩხარტიშვილი 2018: 90, 91-129, 131- 209).

ძირითადი საკითხების პარალელურად ამ წიგნში ყურადღება გამახვილებულია ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების სხვადასხვა მონაცემებზე. ხოლო ავტორის მიერ აქ წარმოდგენილი მიგნებები და დაკვირვებები არსებითად გასათვალისწინებელია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტის ერთ-ერთი მონაკვეთის დეტალურად შესწავლამ და შესაბამისმა კვლევა-ძიებამ მკვლევარი იმ მეტად საგულისხმო აზრამდე მიიყვანა, რომ „აქ პიტიახშის სახელიცაა მოცემული და ეს არის „ბორზად" (ან „ბარზადურ') ანუ იგივე „ბარზაბოდი". აღნიშნული პიტიახში ქართული წყაროებისათვის კარგად ცნობილი პიროვნებაა", რადგან „ის იყო ვახტანგ გორგასლის პაპა დედის ხაზით". ამ თხზულების „ეს მონაკვეთი პოლიტიკური ისტორიის კუთხით საინტერესო რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა", მაგრამ „უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამტევია კულტურული ისტორიის თვალსაზრისითაც", რადგან აღნიშნულ ტექსტში დადასტურებულია „იმ ძნელბედობის ეპოქაში მცხეთაში ეკლესიის მშენებლობის ფაქტი" (ჩხარტიშვილი 2018: 129-130).

ასევე აღსანიშნავია მისი დაკვირვება „ამიანე მარცელინის ასფაგურის ანუ იგივე ვარაზ-ბაკურის ძეს ულტრას" შესახებ. ავტორი მიუთითებს, რომ „სახელი „ულტრა" უცხოა ქართული იმდროინდელი ქართული სამეფო ონომასტიკონისათვის, რომელიც ამ დროს სრულიად სპარსულია". შესაბამისად, „ეს უნდა იყოს რომელიღაც სპარსული ეპითეტ-სახელის თარგმანი" და შესაძლოა, რომ მას „სხვა სახელი ... ჰქონოდა" (ჩხარტიშვილი 2018: 205).

როგორც სნორად შენიშნავს მკვლევარი, ლეონტი მროველის თხზულების გარკვეული მონაკვეთები „შეიძლება ნყაროდ იქნეს გამოყენებული". ასეთია, კერძოდ, „ტექსტის ის ნანილი, რომელშიც საუბარია მირდატის სიყვარულის ძალიან პოეტურ ისტორიაზე". ქართლის უფლისნულს „გული შეუვარდა ... სპარსთა მეფის პიტიახშის ბარზაბოდის ქალიშვილზე". ამიტომ მამას ანუ არჩილს სთხოვა „ქალის შერთვის ნება". მიზნის მისაღწევად მირდატმა საკუთარ გრძნობებზე მეტად აქცენტი მათი ქორნინების სარგებლიანობაზე მიანიშნა, რაც „მშვიდობას მოუტანდა ქართლს". პიტიახშის ასულთან დინასტიური ქორნინება „ამ პერიოდის დიპლომატიურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს"', რადგანაც „ქვეყანამ შაჰის ადგილობრივ დიდმოხელესთან ურთიერთობის მოწესრიგების შედეგად დროებით შეძლო ირანის მხრიდან ზეწოლის შეჩერება" (ჩხარტიშვილი 2018: 208-209).

ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება „კულტურის ისტორიისათვის ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე", რასაც ეთმობა ავტორის მეტად საგულისხმო და ვრცელი მეცნიერული საუბარი. აქ კონკრეტულად და დეტალურადაა განხილული „სტეფანნმინდას მშენებლობა მცხეთაში" (ჩხარტიშვილი 2018: 209), რაც განპირობებულია იმით, რომ „ნმინდა სტეფანე ქრისტიანული ეკლესიის სრულიად განსაკუთრებული ფიგურაა" (ჩხარტიშვილი 2018: 211).

როგორც ცნობილია, „ნმინდა სტეფანე არის პირველ საუკუნეში მოღვაწე პიროვნება, მაგრამ მისი ღვანლი მთელი საქრისტიანოს მასშტაბით რეზონანასული გახდა მხოლოდ მეხუთე საუკუნის ათიანი წლებიდან". მცხეთაში ამ ნმინდანის სახელობის ეკლესიის მშენებლობის გამო „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა „არ შეიძლება იყოს შემთხვევითი", რადგან „ეს საქრისტიანოს ცენტრში მიმდინარე მოვლენების ექოა ქართლის დედაქალაქში" (ჩხარტიშვილი 2018: 216).

აღსანიშნავია, რომ „ქრისტიანული თვალთახედვით ეკლესიის სტატუსს დიდად განსაზღვრავს სწორედ ის თუ რა მნიშვნელობის წმინდა ნანილებს ან რელიკვიებს ფლობს ის". ქართლის სამეფოშიც „ძალიან აქტუალური უნდა ყოფილიყო ახლადგამოვლენილი ნანილების ფლობა". ხოლო ქართული „წყაროებით კარგად დასტურდება ... დაინტერესება ნმინდა ნანილებით" (ჩხარტიშვილი 2018: 216-217). შესაბამისად, ადრეული პერიოდიდან გახდა „ნმინდა სტეფანეს ნანილების მოპოვება უაღრესად აქტუალური" (ჩხარტიშვილი 2018, 217).

როგორც ჩანს, პეტრე იბერმა მოიპოვა „ქართლისათვის წმინდა სტეფანეს რომელიმე ნაწილი", რაშიც მისი დამხმარე „დედოფალი ევდოკია უნდა ყოფილიყო". მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „ქართლისა და ბიზანტიის ურთიერთობაში ამგვარი ტრადიცია ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის დროიდან არსებობდა". ნაშრომის ავტორის დაკვირვებით „მცხეთის სტეფანწმინდა გარკვეულად უკავშირდება პეტრე იბერს და მის მიერ მოპოვებულ წმინდა სტეფანეს ნანილს" (ჩხარტიშვილი 2018: 220).

მკვლევრის აზრით სტეფანწმინდა იყო „არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ეკლესია საქართველოში, არამედ განსაკუთრებული სინმინდის საფუძველზე აღმოცენებულ საკულტო კერაც"' (ჩხარტიშვილი 2018, 221).

გარდა ამისა, „თავისთავად ასე ადრეულ ეპოქაში წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძრის მცხეთაში აგება დიდი მოვლენაა", რაც „კარგად აჩვენებს ქართული ეკლესიის უმქიდროეს კავშირს დანარჩენ საქრისტიანოსთან". მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ეს ეკლესია დღემდე შემორჩენილია, მაშინ, როცა მისი თანადროული ეკლესია იერუსალიმში, აღარ არსებობს" (ჩხარტიშვილი 2018: 222-223).

მარიამ ჩხარტიშვილი თავის ამ ახალ ქართველოლოგიურ ნაშრომში საქართველოს წარსულის რეპრეზენტირებით მიდის ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ „საზოგადოდ ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აქვთ სამეფო ოჯახებს". მონარქები გვევლინებიან „ჯგუფის თვითიდენტიფიკაციის მთავარ ორიენტირად". ხოლო ქართლის „სამეფო სახლი ქართული ერთობის ცხოვრებაში ყოველთვის ასრულებდა განსაკუთრებულ როლს", რადგანაც სწორედ ის განსაზღვრავდა და აყალიბებდა ამ ქვეყნის „კულტურულ პროფილს" (ჩხარტიშვილი 2018: 229).

* * *

ასევე ძალზე საინტერესოა მარიამ ჩხარტიშვილის წიგნის ის ნანილი, რომლიც ეძღვნება ქართულ დამნერლობას. მასში მოცემულია ქრისტიანულ ეპოქაში ასომთავრულის შექმნის შესახებ ბესიკ ხუციდილავასა (ხუციდილავა 2003; ხუციდილავა 2009) და თამაზ გამყრელიძის (გამყრელიძე 1987; გამყრელიძე 1990) ნაშრომების

კრიტიკა (ჩხარტიშვილი 2018: 149-185; 259-280). მკვლევარი თითქოს ბოდიშს იხდის, პატივსაცემ პიროვნებას – ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილს დადებითი რეცენზია რომ არ დაეწერა (ნიკოლოზიშვილი 2016: 311-315) და ხოტბა არ შეესხა ბ. ხურცილავას პუბლიკაციებისთვის, მათ განხილვას ხელს არ მოვკიდებდიო. პირიქით, უაღრესად დადებითი მოვლენაა მნიშვნელოვან თემაზე დაწერილი თუნდაც არადამაჯერებელი ნაშრომის ანალიზი, რადგან საზოგადოების ფართო ფენებს სჭირდება პროფესიონალის დახმარება ერთადერთი და უტყუარი ჭეშმარიტების პრეტენზიით მინოდებული ამგვარი პუბლიკაციების რეფლექსირებისთვის.

ქართული ანბანის შესახებ შექმნილი ერთ-ერთი თეორია, რომლის კრიტიკულად გასაანალიზებლადაც ვერავინ მიიცალა, წლების განმავლობაში იბეჭდებოდა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში. ასეთსავე მეორე თეორიას კი მანამ არ გამოუჩნდა კრიტიკოსი, სანამ ბიბლიის ერთტომეულის ფორმატის მქონე უზარმაზარ წიგნად არ იქცა, უცხო ენებზე არ ითარგმნა და ჩვენი საზოგადოების გარკვეული წრეები ცრუპატრიოტული პათოსით არ აანთო (ნინიძე 2005: 13-18). ისიც გვახსოვს, როგორ იქმნებოდა ასეთ თეორიებზე ავტორთა ნაცნობ-მეგობრების (მეცნიერების) ვრცელი რეცენზიები. დროული ობიექტური კრიტიკა რომ არსებულიყო, ამ ცრუ პათოსს გასაქანს არ მისცემდა და კვლევას მეცნიერულ კალაპოტში დააბრუნებდა, მაგრამ ის, რომ ქართული დამწერლობათმცოდნეობა ამოვარდნილია აკადემიური ჩარჩოებიდან, ხან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს, ხან კი მისტიციზმშია გადაჭრილი, სწორედ ჯანსაღი კრიტიკის არქონის მიზეზია.

მართალია, პოსტსაბჭოური ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომ ცენზურა არ გვზღუდავს და ყველას ყველაფრის გამოქვეყნება შეგვიძლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეცნიერების ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნაშრომების რეფლექსირება შესაბამისი დარგის მეცნიერებს მაინც არ მოეთხოვებოდეთ. ისეთი ნაშრომების ანალიზი, რომლებშიც ერთ არამყარ ჰიპოთეზაზე მეორეა დაშენებული, მეორეზე – მესამე და ა. შ. ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებულისა. ამიტომ განსაკუთრებული მადლობა წიგნის ავტორს, რომ არ დაინანა დრო, საფუძვლიანად განიხილა ბესიკ ხურცილავას ნაშრომები და მკითხველს აჩვენა, სად წყდება მათი ლოგიკური ჯაჭვი და რატომ არ არის დამაჯერებელი მათში ნარმოდგენილი მსჯელობა.

მეტად საგულისხმოა ჟურნალ „მნათობში" ათწლეულების წინ ქართული დამწერლობის შესახებ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ნაშრომებთან დაკავშირებით მარიამ ჩხარტიშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატიების წიგნში შეტანა, რადგან ის თემები და ასპექტები, რომლებიც ამ პუბლიკაციებშია განხილული, ძალზე აქტუალურია დღესაც. როდესაც ილია ჭავჭავაძე აკაკი ნერეთელს ეკამათებოდა „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა ხასიათების მისეულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, ნერდა, რუსთაველი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ „მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთო". ჩვენი კულტურის ისტორიისა და იდენტობის ჩამოყალიბებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ დამწერლობას და, როცა ამ თემაზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომის არგუმენტირება უკმარისობის გრძნობას ტოვებს, დასკვნები კი არამყარია, ამაზე პოლემიკა ღირს აკადემიკოსებთანაც და საყოველთაო ავტორიტეტებთანაც კი. ვფიქრობთ, ქართული დამწერლობის ნარმოშობასთან დაკავშირებით ამდენი ოდიოზური თეორიის გაჩენის მიზეზი სწორედ ისაა, რომ წლების განმავლობაში ამ დარგის სპეციალისტების მეთოდოლოგია, არგუმენტირება და დასკვნები არ იდგა სათანადო პროფესიულ სიმაღლეზე.

არც მარიამ ჩხარტიშვილს და არც ჩვენ არ გვანუხებს ცრუპატრიოტული მიზანსწრაფვა, როგორმე უკან გადავწიოთ ქართული ანბანის შექმნის დრო, მაგრამ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და ბესიკ ხურცილავას ნაშრომები ქართული დამწერლობის ქრისტიანულ ეპოქაში ბერძნულის მიხედვით შექმნის თაობაზე ვერ გვთავაზობს ისეთ არგუმენტირებას, რომელიც მათ დასკვნებში დაგვარნმუნებდა. მივყვეთ განსახილველი წიგნის ავტორის კონკრეტულ შენიშვნებსა და შეფასებებს:

მარიამ ჩხარტიშვილი აბსოლუტურად ზუსტ აქცენტებს აკეთებს „არასწორად გაგებულ პატრიოტიზმზე" და „მნიშვნელოვანი სხვის" პრობლემაზე (ჩხარტიშვილი 2018: 150). ჩვენი აზრითაც, ბესიკ ხურცილავას ნაშრომების ხარვეზები გამოწვეულია მისი მიზანდასახულობით – დაამტკიცოს, რომ ქართული დამწერლობა ქრისტიანულ ეპოქაში შეიქმნა, მაგრამ არა მესროპ მაშტოცის მიერ.

მარიამ ჩხარტიშვილი აღნიშნავს: „არგუმენტის არქონა თვალში საცემია და ამის დაფარვას ცდილობს ვრცელი და კვლევისათვის უსარგებლო დისკურსით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამეცნიერო რეპრეზენტაციასთან" (ჩხარტიშვილი 2018: 157-158). თემიდან ასეთმა გადახვევებმა და სხვა საკითხებზე ენანყლიანობამ ბოლო ხანებში ძალიან მოიკიდა ფეხი ქართულ მეცნიერებაში. როდესაც ყველაზე პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით არაფერი აქვთ სათქმელი, მოჰყვებიან ხოლმე ვრცელ ისტორიებს საკითხის კვლევისთვის ნაკლებ მნიშვნელოვან ასპექტებზე, რაც არაპროფესიონალ მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს და ვერ ხვდება, რომ მკვლევარმა პრობლემური საკითხიდან გადაუხვია. მარიამ ჩხარტიშვილს არცერთი ასეთი გადახვევა არ დაუტოვებია რეაგირების გარეშე, რაც მკითხველს დაეხმარება ბესიკ ხურცილავას ნაშრომთა სწორ აღქმაში.

სავსებით ვეთანხმებით ნიგნის ავტორს იმაში, რომ სრულიად არამეცნიერულია ბესიკ ხურცილავას მსჯელობა „გრი ორმიზდისა" და „ჯალის" იგივეობასთან დაკავშირებით. მკვლევარი ნერს: „გრი ორმიზდის

შესახებ არათუ ანბანთან დაკავშირებული საქმიანობა, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად არაფერი ვიცით. რატომ უნდა იფიქრო ადამიანმა, რომ ეს პიროვნება იგივე ჯალია, რომელიც მესროპ მაშთოცის თანაშემწედ არის ნყაროში დასახელებული? ასე ხომ ყველაფერი შეიძლება იფიქრო და ნებისმიერ სახელთან გააიგივო გრი ორმიზდი"(ჩხარტიშვილი 2018:166-167). ბესიკ ხურცილავას მიერ საშუალო სპარსული სიტყვის „გრი" ახალ სპარსულ „ჯანთან", შემდეგ სომხურ ნყაროებში ბაკურთან ერთად მოხსენიებულ „ჯალასთან" და ბოლოს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის" ტექსტში ნახსენებ „ახალ ნინოსთან" დაკავშირება „კაცია – ადამიანის?!" ნინასიტყვაობის ერთ ეპიზოდს გვაგონებს, სადაც რუსული „ტინის" და ქართული „ტვინის" ფონეტიკური მსგავსებაა გაშარჟებული. ნებისმიერ ოთხ-ხუთასოიან სიტყვას შეიძლება მოეძებნოს სხვა ენებში მსგავსება, მაგრამ მხოლოდ ამაზე არგუმენტირების აგება არავითარ მეცნიერულ ჩარჩოებში არ ჯდება. წარმოუდგენელია ასეთი მეთოდებით ქართული დამწერლობის ისტორიის კვლევა და საერთოდ, რაიმეს კვლევა. ამიტომ სრულიად ადეკვატურად მიგვაჩნია მარიამ ჩხარტიშვილის სიტყვები: „ამ უკანასკნელად მოყვანილ მსჯელობას კი უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან სამეცნიერო გამოკვლევაში მისი განხილვა, მართლაც, ყოვლად უადგილო მგონია".

არაჩვეულებრივად ასაბუთებს მარიამ ჩხარტიშვილი ქართული დამნერლობის შექმნასთან მეფე ბაკურის შესაძლო კავშირის შესახებ ბესიკ ხურცილავასა და ხუან კოდონიერის დასკვნებს შორის სხვაობას. იგი ხაზს უსვამს, რომ კოდონიერი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ანბანის შექმნას დასჭირდებოდა სასახლის კარის მფარველობა, მაგალითად, ისეთი პირისა, როგორიც იყო ბაკური. ერთმნიშვნელოვანია, რომ იგი ბაკურს ანბანის შემოქმედად არანაირად არ მოიაზრებს და გარკვევით ნერს: „ჩვენ ალბათ ვერასოდეს შევიტყობთ თუ ვინ შექმნა ქართული ანბანი ან ვინ იყო ის უფლისწული ვინც მას ამ საქმეში დაეხმარა". შესაბამისად, ვერ ვიტყვით, თითქოს ხუან კოდონიერი ანბანის შექმნას ბაკურთან აკავშირებდა და მით უფრო ვერ ვიტყვით, თითქოს მას მიაწერდა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ასპექტები, რომლებსაც მ. ჩხარტიშვილი ხუან კოდონიერის თეორიიდან გამოყოფს. იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს, რომ IV-V საუკუნეებიდან მოყოლებული ბიზანტია ხელს უნყობდა მის პერიფერიებში არა მხოლოდ დამწერლობათა შექმნას, არამედ უკვე არსებული დამწერლობების ჩანაცვლებას ახლით ან არსებული დამწერლობების მოდიფიცირებული ფორმით (ჩხარტიშვილი 2018: 176-177). სირიული, გოთური, კოპტური და ეთიოპური დამწერლობების ბერძნულთან მიახლოებული ახალი ანბანური სისტემებით ჩანაცვლება მიანიშნებს, რომ ბიზანტიისთვის მთავარი იყო არა ზოგადად ანბანისა და ლიტერატურის შექმნა პერიფერიებისთვის, არამედ ბერძნულთან მიახლოებული დამწერლობების დამკვიდრება. ისინი უკვე არსებულ დამწერლობებს ბერძნულის მსგავსით ანაცვლებდნენ. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ პირველ საუკუნეში სირიელებს უკვე ჰქონდათ არამეულზე დამყარებული დამწერლობა. ამ ასო-ნიშნებით არის შესრულებული მაგალითად, 73 ნლის თარიღიანი საფლავის ქვის ნარნერა, ბიზანტიამ კი ხელი შეუნყო ბერძნულთან მიახლოებული ახალი დამწერლობის დამკვიდრებას. ანბანი ხალხების ცნობიერებაში დაუკავშირდა რელიგიას და სირიულში რელიგიური განშტოებების მიხედვით მოხდა დამწერლობების დიფერენციაციაც. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ისიც, რომ მოგვიანებით ქართული ხუცური დამწერლობა შემოინახა ეკლესიამ, მხედრული კი განვითარდა საერო მიმართულებით. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ რელიგიური მიზნებიდან გამომდინარე, სასულიერო ან საერო ხელისუფალთ გასჩენოდათ ნარმართული ქართული დამწერლობის ბერძნულთან მიახლოებულით შეცვლის სურვილი.

ხუან კოდონიერის ნაშრომის ანალიზის შედეგად მარიამ ჩხარტიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „ბაკურ თრდატის ძე ქართული ანბანის ისტორიას უკავშირდება, მაგრამ არა როგორც მისი შემქნელი, როგორც ამას ფიქრობს ბ. ხურცილავა, არამედ როგორც ფარნავაზისდროინდელი ქართული ანბანის შემნარჩუნებელი და „მომნათლავი". წიგნის ავტორი, სავარაუდოდ, ეყრდნობა რამაზ პატარიძის მოსაზრებას (პატარიძე 1980), რომ ასომთავრული დამწერლობის გრაფემათა ის მოხაზულობები, რომლებიც წარმოდგენილია, მაგალითად, ბოლნისის სიონის, პალესტინისა და იმავე პერიოდის სხვა წარწერებში, ნარმართულ სიმბოლოებს უკავშირდება და შექმნის შემდეგ არ შეცვლილა[6]. ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ ბიზანტიის იმპერიის პერიფერიებისთვის ახალი დამწერლობების შექმნის პროექტის ფარგლებში, რაზეც ვრცლად საუბრობს ხუან კოდონიერი მართლაც მომხდარიყო ქართული დამწერლობის რეფორმა ბერძნულის მიხედვით, რაც მოიაზრებს გრაფემათა კაპიტალიზაციას, ბერძნულ ანბანურ რიგზე განლაგებას და „ქ"და „ჯ" გრაფემებისთვის ჯვრის ფორმის მინიჭებას[7] (ნინიძე 2005: 39043). ასეთი სახის ცვლილებები ზუსტად შეესაბამება ხსენებული პროექტის მიზნებს[8] და ბაკურ თრდატის ძეს, კერძოდ, შეიძლებოდა მათი გატარებისთვის შეენყო ხელი. კაპიტალიზაციას და ბერძნულ რიგზე განლაგებას უფრო ადრეულ ხანაშიც ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ხსენებული ორი გრაფემის სახეცვლილება კი ცალსახად ქრისტიანულ ეპოქაში უნდა მომხდარიყო.

აქ დავამატებდით კიდევ ერთ არგუმენტს: ქართული დამწერლობა ბერძნულის მიხედვით რომ შექმნილიყო, მსგავსება იქნებოდა ერთნაირი ბგერების გამომხატველ ქართულ და ბერძნულ გრაფემებს შორის, ხოლო თუ ბერძნულის მიხედვით მოხდებოდა უკვე არსებული ქართული დამწერლობის სისტემური რეფორმა (სიმაღლეში გათანაბრება, ანბანურ რიგზე დალაგება, ბერძნულის მსგავს გეომეტრიულ ფორმებთან

მიმსგავსება), მაშინ ქართული ბერძნულს დაემსგავსებოდა იერით, მაგრამ მსგავსი ბგერების ამსახველი გრაფემების შედარებითი კვლევა გენეტიკურ ნათესაობას არ გამოავლენდა. რეალურად ზუსტად ასეთი სურათი გვაქვს, ქართულ ასომთავრულს თითქოს ბერძნული უნიფორმა აცვია, მაგრამ მასთან გენეტიკური მსგავსება არ ახასიათებს (ნინიძე 2005: 39-43; ნინიძე 2007).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არანაკლებ საინტერესოა მარიამ ჩხარტიშვილის კრიტიკული ნერილები აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ნაშრომებზე, რომლებიც დამატებების სახით ერთვის მის ნიგნს. პირველ მათგანში ავტორი უპირისპირდება მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ლეონტი მროველის პირველწყაროში ფარნავაზის მიერ „მწიგნობრობა ქართულის" შემოღება არა ორიგინალური დამწერლობის შექმნას, არამედ ქართული ტექსტების ჩასაწერად ალოგლოტოგრაფიის გამოყენებას მიანიშნებს. მ. ჩხარტიშვილს მოჰყავს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო ძლიერი არგუმენტი: „ლეონტი მროველი ფარნავაზის დროს, მართლაც, არამეულით ჩაწერის შემოღებას რომ გულისხმობდეს, მაშინ მემატიანეს IV-V სს. მიჯნაზე აღწერილი სხვა ფაქტების გვერდით, უთუოდ ეროვნული დამწერლობის შექმნაც უნდა აღენიშნა: რა თქმა უნდა, ნარმოუდგენელია, რომ ქრისტიან მნერალს წარმართულ ხანაში არაქართულად ჩაწერის შემოღება საგანგებოდ აღენიშნა, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ეროვნული ანბანის შექმნა კი სრულიად უყურადღებოდ დაეტოვებინა" (ჩხარტიშვილი 2018: 261-262).

ვერცერთ ნაშრომში, რომელიც ქართული დამწერლობის ქრისტიანულ ეპოქაში შექმნის დასაბუთებას ცდილობს, ვერ ვნახეთ მარიამ ჩხარტიშვილის ამ მოსაზრების კონტრარგუმენტი, არადა, როდესაც გარკვეულ აზრს მეცნიერულად ვეწინააღმდეგებით, აუცილებელია მის მომხრეთა არგუმენტების გაბათილება. საინტერესოა, იცნობს თუ არა მარიამ ჩხარტიშვილის ამ არგუმენტს ავსტრიელი მეცნიერი ვერნერ ზაიბტი, რომელიც ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელ ეპოქაში წარმოშობასთან დაკავშირებით წერს: „ჯობს თუ დავივიწყებთ ქართული დამწერლობის ასეთი ძველი წარმომავლობის შესახებ ისტორიებსო" (ზაიბტი 2011).

უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც საკითხის კვლევის ნინაისტორიას, მათ შორის, ნეკრესის, რუსთავისა და ნაზარეთის უკანასკნელი აღმოჩენების მნიშვნელობას მხოლოდ იმ ქართველ ავტორთა ნაშრომებით იცნობენ, რომლებიც თარგმნილია საერთაშორისო ენებზე, ვფიქრობთ, არა აქვთ საკმარისი საფუძველი სწორი დასკვნების გამოსატანად. უცხოელი მეცნიერები, რომლებსაც პირადად არ შეუძლიათ შეაფასონ, ფრაზაში „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" რა უფრო უნდა იგულისხმებოდეს, ალოგლოტოგრაფიის დამკვიდრება თუ დამწერლობის შექმნა, აუცილებლად მოექცევიან მათთვის ავტორიტეტული ქართველი მეცნიერის გავლენის ქვეშ და გაიმეორებენ მის ინტერპრეტაციას. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ხუან კოდონიერი და ვერნერ ზაიბტი არც დაფიქრებულან კითხვაზე: განა დასაჯერებელია, რომ ქრისტიან ბერს წარმართი მეფისთვის მიენერა ერის ისტორიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ქმედება, როგორიც დამწერლობის შექმნაა, თუ იგი რეალურად ქრისტიანობის გავრცელებას და მის მესვეურებს უკავშირდებოდა?

საინტერესო აქცენტს აკეთებს მარიამ ჩხარტიშვილი იმასთან დაკავშირებითაც, რომ ქართული ანბანით შესრულებული ჩანაწერების მსგავსად არ შემოგვრჩენია ალოგლოტოგრაფიით შესრულებულებიც. შესაბამისად, ის, ვინც ქრისტიანობამდელი ქართული დამწერლობის ძეგლების მოუღწევლობით ხსნის, რომ დამწერლობა არ გვქონდა, ალოგლოტოგრაფიული ძეგლების მოუღწევლობითაც მსგავსი დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ ისიც არ არსებობდა. რეალურად, არტეფაქტების მოუღწევლობა საიმედო არგუმენტი არ არის. ამასთან დაკავშირებითაც ვიზიარებთ წიგნის ავტორის აზრს: „წარსული სინამდვილე ანმყოში სრულად არ გვეძლევა, მაგრამ ეს გარემობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ არსებობდა მხოლოდ ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია" (ჩხარტიშვილი 2018: 262).

ალოგლოტოგრაფიასთან მიმართებით დავამატებდით კიდევ ერთ არგუმენტს. მე-19 საუკუნეში საქართველოში ადმინისტრირების სფეროში რუსული ენისა და დამწერლობის იძულებითმა გავრცელებამ სულ რაღაც ერთ საუკუნეში სახე უცვალა არაერთ ისეთ საკუთარ სახელსა და ტოპონიმს, რომლებიც რუსულისთვის უცხო ბგერებს მოიცავდა, თან ეს მოხდა იმ პირობებში, როცა ქართული დამწერლობა არსებობდა, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ქართულადაც გამოიცემოდა. ქართულს რომ ალოგლოტოგრაფიისათვის არამეული ან ბერძნული დამწერლობა რვა საუკუნის განმავლობაში გამოეყენებინა, ეს გავლენას იქონიებდა ქართული ენის ფონეტიკურ კორპუსზე, ათზე მეტი ბგერა, რომლებიც არამეულსა და ბერძნულში არ იყო, თუ ხმარებიდან მთლიანად არ გადავარდებოდა, ტოპონიმებსა და საკუთარ სახელებში მაინც დაიკარგებოდა (ნინიძე 2016: 90-92).

დავეთანხმებით წიგნის ავტორს, რომ ქრისტიანული რელიგიის მწიგნობრულობა სრულებით არ ნიშნავს სხვა რელიგიების არამწიგნობრულობას და ლიტერატურის არქონას და, ზოგადად ვიზიარებთ მის მოსაზრებას, რომ ანალოგიებით ისტორიული ფაქტების დადგენა ძალზე არასანდოა.

წიგნისთვის დართულ მეორე ადრეულ სტატიაში საუბარია ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ არსებულ ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროებზე. სომეხი სასულიერო პირის – მესროპ მაშთოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის მოსაზრების საწინააღმდეგოდ მარიამ ჩხარტიშვილს არაერთი არგუმენტი მოჰყავს.[9]

შენიშვნები

1 ლეონტი მროველი რომ „თავად ცდილობს რეპრეზენტირებას“, ამას მიანიშნებს „მეფეთა ცხოვრების“ გადმოცემა ქართლში ნებროთიანთა და არშაკუნიანთა მსგავსად ხოსროვანთა (ხოსროიანთა) მეფობის შესახებ, რაც ისტორიული ამბის თხრობის ეპიკური მანერით შეთხზული ლეგენდაა (ლიტერატურული ფიქცია) და არა სინამდვილე („ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა. და ამის-ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან სასანიანი, ... რომელი იცნობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ – ყაუხჩიშვილი 1955, 61). „ცხოვრება სპარსთა“, მკვლევართა აზრით (ვ. გაბაშვილი და სხვები), ნარმოადგენს მეათე საუკუნის სპარსული ისტორიკოსის აბუ ალი მუჰამედ ბალამის საისტორიო თხზულებას, რომელიც არაბი ისტორიკოსის მუჰამედ იბნ ჯარირ ალ-ტაბარის (839-923 წწ.) ცნობილი თხზულების „წინასწარმეტყველთა და მეფეთა ისტორიიის“ ახალსპარსულ ენაზე შესრულებული თავისუფალი თარგმანია. თავის მხრივ, ტაბარის თხზულების ძირითადი წყაროა მეხუთე საუკუნის ფალაური „ხვატაი ნამაკი“ („მეფეთა წიგნი“), რომელიც არაბულ ენაზე თარგმნა აბდ-ალაჰ იბნ ალ-მუყაფამ (ჩვ. წ. 757 წ.). სპარსთა მეფის სახელი „ქასრე“ სპარსულ-ფალაური სახელის „ხუასროს“ არაბულენოვანი ფორმაა.

2 სრულიად შესაძლებელია „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული „სწორი ამოსავალი მონაცემების“ წარმოჩენა და გათვალისწინება (არაფიქცია). კერძოდ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა ქართლის სამეფო ტახტისთვის ორი ადგილობრივი საგვარეულოს, ფარნავაზიანთა და სამშვილდის ერისთავთა წარმომადგენლების ურთიერთდაპირისპირება, რასაც, რეალური საგარეო საფრთხიდან გამომდინარე, უშუალო მთამომავლების – აბეშურასა და მირიანის ქორნინება მოჰყვა. სავარაუდოდ, მათი შვილი უნდა იყოს ბაქარი (ბაკური). როგორც ჩანს, აღნიშნული გარემოებითაა განპირობებული მირიანისა და მისი მეორე ცოლის ნანას ძის – რევის მემკვიდრეებთან ამ მეფის დინასტიური დაპირისპირება („მეფემან ბაქარ, შუამდგომელობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დანერა ჭელითნერილი ძმისწულთა მისთა და დედისა მათისა სალომესგან ესრეთ, ვითარმედ: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს ჰყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არა ოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა“. მაშინღა მოიყვანნა ძმისნულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“ – ყაუხჩიშვილი 1955: 130–131). მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა დინასტიურ წარმომავლობას, არამედ ძირითადად რა როლი შეასრულეს და, შესაბამისად, რა ადგილი უჭირათ III-V საუკუნეების ქართლის მეფეებს ქვეყნის ისტორიაში.

3 „პან-კავკასიური“ იდეის რეპრეზენტირების შედეგია ლეონტი მროველის მიერ ბალამის თხზულების მიხედეით ქართლში სასანიანთა (ხოსროვანთა) გამეფების ლეგენდარული ამბის შეთხზვა. კერძოდ, მას მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსის ეპოქის საქართველოს სამეფოს სახელმნიფოებრივი ინტერესები და ახალი ქართული სამეფო დინასტიის – ბაგრატოვანთა თვითმპყრობელობის იდეოლოგიური მიზანდასახულებები, კერძოდ, „ყოველი კავკასიის“ გაერთიანების მისნრაფებები უდევს საფუძვლად, რასაც მიზანმიმართულად გადმოსცემს „მეფეთა ცხოვრება“ („კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეინყნარა ვედრება ქართველთა. რამეთუ თჳთცა უკუთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია ... , რათა ... იპყრობდეს ყ ო ვ ე ლ თ ა კ ა ვ კ ა ს ი ა ნ თ ა. ... შეინყნარა მეფემან ქასრე ვედრება

ქართველთა, და შეკრთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას. და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი. ... და ნარვიდა მეფე და ნარიხუნა ყ ო ვ ე ლ ნ ი ჩ ე ვ ნ ი კ ა ვ კ ა ს ი ა ნ თ ა ნ ი და დასხნა ყოველგან მთავარნი, და უბრძანა მათ ყოველთა, რათა იყვნენ მორჩილ ძისა მისისა მირიანისსა" – ყაუხჩიშვილი 1955: 65).

4 „დიპლომატიურ მიღნეკად უნდა ჩაითვალოს" ასევე მირიანის მიერ ჰერეთის შემოერთება, რაც, კერძოდ, მისი ასულისა და ფეროზის (პეროზის) დინასტიურმა ქორწინებამ პირდაპირ განაპირობა („მირიან ... მოიყვანა სპარსეთით თუსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; ... და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თუსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად" – ყაუხჩიშვილი 1955: 68-69). „მეფეთა ცხოვრების" ეს ეპიზოდიც „შეიძლება წყაროდ იქნეს გამოყენებული", მიუხედავად იმისა, რომ ლეონტი მროველი ამ შემთხვევაშიც „თავად ცდილობს რეპრეზენტირებას" („მოიყვანა სპარსეთით თუსი მისი, ნათესავი მეფეთა"). მირიანის დიპლომატიური მოქმედება მისი მოღვაწეობის ისტორიულ დამსახურებათა შორის უდაოდ მნიშვნელოვანია. როგორც ცნობილია, ფარნავაზის დროს შექმნილ ქართლის სამეფოში ეს მხარე არ შესულა. ვახტანგ გორგასლის ნარჩინებულთა შორის ჰერეთის ერისთავი უკვე მოხსენიებულია.

5 „ქართლის ცხოვრების" ცნობაში სტეფანნმინდას ეკლესიის მშენებლობის შესახებ („არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-ნმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვსათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მასვე აღეშენნეს" – (ყაუხჩიშვილი 1955: 140) შესაძლოა იგულისხმება არა მცხეთა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული მხარე „ცხავატი" (ასეთივე ტოპონიმები ქართლის ტერიტორიაზე სხვა ადგილასაც დასტურდება უფრო სწორი სახელწოდებით ცხავათი, რადგან ამ სახელწოდებაში გამოიყოფა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ზანურ-ქართველური ბოლოსართი „-ათ-ი", რომლის შესატყვისი საკუთრივ ქართულში არის ბოლოსართი „-ეთ-ი"). „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერებში ხშირია გრაფიკულად სხვა მსგავსი სახელწოდებების ერთმანეთში აღრევის შემთხვევებიც. სავარაუდოდ, ეს საისტორიო ტექსტი („კართა ზედა არაგვსათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი") დარიალის ხეობაში მდებარე სტეფანნმინდას ეკლესიას მიანიშნებს. მაგრამ აღნიშნული გარემოება ნაშრომში დასმულ საკითხთან დაკავშირებით ავტორის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს სრულიადაც არ ცვლის. კულტურის ისტორიის განხილული ფაქტი „საქრისტიანოს ცენტრში მიმდინარე მოვლენების ექო" მთელ ქართლის სამეფოში და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მის რომელ მხარეშია აშენებული ეს ეკლესია.

6 ამ საკითხში ვერ დავეთანხმებით მკვლევარს. რამაზ პატარიძე V საუკუნის ძეგლებზე გამოსახული გრაფემების თითოეულ შტრიხს ისე განიხილავს და ისე უკავშრებს წარმართულ სიმბოლოებს, თითქოს მტკიცებულება ჰქონდეს, რომ ძველი ნელთაღრიცხვის III საუკუნიდან მოყოლებული, რვა საუკუნის განმავლობაში მათ არავითარი ცვლილება არ განუცდია, მაგრამ ნეკრესის, რუსთავისა და ნაზარეთის უკანასკნელი აღმოჩენები მონმობს, რომ ქართულ დამნერლობას არათუ რვა საუკუნის წინ, ადრექრისტიანულ ხანაშიც კი არ ჰქონდა ზუსტად ასეთი ფორმები (ნინიძე 2005: 36-39).

7 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არაერთ ადრეულ წარნერაში „ჯ"-ს არა აქვს ჯვრის ფორმა და, გარდა ამისა, არსებობს ასომთავრული „ჩ"-ს მოხაზულობის გრაფემა, რომელიც აშკარად არაქრისტიანულ სიმბოლოს უკავშირდება (ნინიძე 2018).

8 რაც შეეხება იმას, საქართველოში ეს მესროპ მაშთოცმა განახორციელა თუ ეინმე სხვამ, ამის შესახებ ვრცლად მექნება საუბარი ნაშრომში: „ქართული ასომთავრულის უნიკალური პრინციპი" (მ. ნ.).

9 მათგან ერთ-ერთი ემყარება იმას, რომ „ქართული ანბანი აღბეჭდილია ნარმართული მსოფლმხედველობით" და მას ქრისტიანი ბერი ქრისტიანულ ეპოქაში ვერ შექმნიდა. ეს არგუმენტი, სავარაუდოდ, ემყარება რამაზ პატარიძის თეორიას ქართული დამნერლობის ნარმოშობის შესახებ, რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებთ (ნინიძე 2005: 7-9), მაგრამ სავსებით დამაჯერებლად და საკმარისად მიგვაჩნია წიგნის ავტორის სხვა არგუმენტები. კერძოდ ის, რომ ანბანის შექმნა გულისხმობს ენის ლინგვისტურ ანალიზს, მესროპ მაშთოცმა კი ქართული არ იცოდა და ის, რომ ამ სომეხი ბერის მოღვაწეობამდე, IV საუკუნის შუა წლებში ქართლის მეფის – მირიანის რძალმა – სალომე უჯარმელმა ჩაიწერა მოგონებები ქართველთა განმანათლებლის – ნმინდა ნინოს შესახებ, რომლებიც შეტანილ იქნა ნმინდანის „ცხოვრებაში" და ჩვენამდეც არის მოღწეული.

10 კორიუნის ცნობასთან დაკავშირებით კი მარიამ ჩხარტიშვილი წერს: „უნდა ვილაპარაკოთ ძველი სომეხი ისტორიკოსის შეცდომის და არა ტენდენციურობის შესახებ" (ჩხარტიშვილი 2018: 272). მოხმობილი არგუმენტი ახსნას უძებნის იმას, თუ რატომ არ არის ამის შესახებ ინფორმაცია ლაზარე პარფელთან, მაგრამ ვერ ხსნის ინტერპოლაციის არსებობის მიზეზს – რატომ გახდა საჭირო წყაროებში ამ ინფორმაციის გვიან ჩამატება. თითქმის არავისში აღარ ინვევს ეჭვს, რომ ის ადგილი, სადაც მაშთოცის მიერ ქართული დამნერლობის შექმნაზეა საუბარი ყველა სომხურ წყაროში გვიანაა ჩაწერილი (ალექსიძე 1968). ამიტომ ძნელია, რომ ჩანართი მაშთოცის მიერ ქართული დამნერლობის შექმნის შესახებ მხოლოდ „შეცდომას" მივაწეროთ.

11 სასურველი იქნება, თუ მათგან ვინმე მაინც გამოეხმაურება ამ წიგნსა და ჩვენს სტატიას და შეეცდება გააბათილოს მათში მოხმობილი არგუმენტები.

დამოწმებანი

ალექსიძე 1968: ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, ძველი სომხური ტექსტი, თარგმანი და გამოკვლევა, თბილისი.

გამყრელიძე 1987: თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული", „ლიტერატურული საქართველო", 1987, 10 ნოემბერი.

გამყრელიძე 1990: თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, მეორე, შესწორებული გამოცემა, თბილისი.

ზაიბტი 2011: W. Seibt, The Creation of the Caucasian Alphabets as Phenomenon of Cultural History, Vienna.

კოდონიერი ხუან 2014: Juan Signes Codoñer, New alphabets For the christian nations: Frontier strategies in the byzantine Commonwealth between the 4th and 10th centuries. New Perspectives on Late Antiquity in the Eastern Roman Empire, Cambridge Scholars Publishing.

ნიკოლოზიშვილი 2016: ნ. ნიკოლოზიშვილი, დიდი ბაკური – ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ კელეეათა ჟურნალი კადმოსი, №8.

ნინიძე 2005: მ. ნინიძე, „ასომთავრულიდან პირველსახისკენ", თბილისი.

ნინიძე 2007: M. Ninidze, A New Point of View on the Origin of the Georgian Alphabet, Kartvelologist, 14, 2007, 122-134; Litinfo, volume 2, issue 1, 2008, https://www.litinfo.ge/volume-2/14%20dek.%20ingl%20anb.pdf

ნინიძე 2016: მ. ნინიძე, ნეკრესისა და რუსთავის ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა, ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII.

პატარიძე 1980: რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი, ტ.1.

ჩხარტიშვილი 2018: მ. ჩხარტიშვილი, საქართველო III-V საუკუნეებში, ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია, გამომც. „ნეკერი", თბილისი.

ხურცილავა 2003: ბ. ხურცილავა, დიდი ბაკური, ქართული ასომთავრულის ფუძემდებელი, თბილისი.

ხურცილავა 2009: ბ. ხურცილავა, ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ" და „გრი ორმიზდი". თბილისი.

ROYAL HOUSE OF KARTLI IN LATE ANTIQUITY (ANALYZING THE RECENT RESEARCH IN FIELD OF GEORGIAN STUDIES)

Vladimer Chelidze
Mariam (Maia) Ninidze

In the present article the authors provide analysis of the recent book by Prof. M. Chkhartishvili on Georgian Chosroids. Actuarially, it is not book review, but discussion on various problems of Georgian history in Late Antiquity. This discourse is inspired by above mentioned monograph. One of issues which is concerned by the authors is a time of origin of Georgian script. The authors fully agree with M. Chkhartishvili in placing of Georgian alphabet›s creation in pre- Christian era. They provide additional arguments to support this view.

მოდის ისტორია: ტანისამოსი, სიმბოლოები, კომუნიკაცია

სოფიო ქადაგიშვილი

რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი მკვლევრებს ანებივრებს საინტერესო საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებით, რომელიც ტრადიციადაც კი გადაიქცა. სამუშაო ჯგუფის წარმატების ნიშანია მონაწილეთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდა, რაც ხაზს უსვამს კონფერენციების მასშტაბურობას და მიმზიდველობას. აღსანიშნია, რომ კონფერენციები ინტერდისციპლინური ხასიათისაა და აერთიანებს მრავალი სხვადასხვა დარგის მკვლევრებს. ეს გარემოება კი ხელს უწყობს ერთიანი ტოტალური ისტორიის ქმნადობას, რომელიც დასმული საკითხების მრავალი რაკურსით გაშუქების საშუალებას იძლევა.

2015 წელს კონფერენცია მიეძღვნა შემდეგ თემას: „მოდის ისტორია. ტანისამოსი, სიმბოლოები, კომუნიკაცია". ანუ ფოკუსში იყო სოციალური ცვლილების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინდიკატორი – მოდა, გაანზრებული სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების პოზიციიდან, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და გეოგრაფიულ არეალში. სულ მუშაობდა 27 სესია, რომლის ფარგლებში აუდიტორიას საშუალება ჰქონდა მოესმინა სხვადასხვა კულტურის ტანისამოსის ანალიზი, განესაზღვრა მარგინალური ჯგუფების და ახალგაზრდული მოძრაობების სტილი.

კონფერენციის მუშაობის შედეგია 2017 წელს Cambridge Scholars Publishing-ის მიერ ორ ტომად გამოცემული მოხსენებათა კრებული, რომელიც 100-ზე მეტ სტატიას აერთიანებს. კრებული გამოიცა ჯოვანა მოტას და ანტონელო ბიაჯინის რედაქტორობით. ყველა სტატია დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე და ახლავს ბიბლიოგრაფია. იქიდან გამომდინარე, რომ ფართოა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების დიაპაზონი, ასევე საინტერესო და მრავალმხრივია მოხსენებათა ორ ტომიანი კრებულიც. მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს კვლევებს ბანქოს, სტატუეტებსა და ზღაპრებზე; ლურჯი ფერის მნიშვნელობას ლიტურგიკულ ტანისამოსზე; მამაკაცთა ტანისამოსის ცვლილებას, „დამზადებულია იტალიაში"- მითითების დანყებას ისტორიას; კავშირს იტალიურ მოდასა და იაპონიას შორის მეოცე საუკუნის 70-იან წლებში; მოდის ისტორიაში ზოლების სიმბოლიზმს; შუა საუკუნეების სკანდინავიურ ტანისამოსს; მსჯელობას ჩაცმასა და რელიგიურ იდენტობას შორის კავშირის შესახებ და ა.შ.

ათეულობით სტატიებს შორის მკითხველი შეხვდება ქართველი მკვლევრების სტატიებსაც. ეკა ლეკაშვილის, ლია ლურსმანაშვილის და ეკატერინე ტუხაშვილის ავტორობით დაბეჭდილია სტატია სათაურით: „აბრეშუმის პროდუქცია საქართველოში: ისტორია და განვითარების შესაძლებლობები"; მარიამ ჩხარტიშვილის, სოფიო ქადაგიშვილის და ზურაბ თარგამაძის ავტორობით დაბეჭდილ სტატიას „სამოსი და იდენტობა: ქართული მაგალითი".

კრებული გამორჩეულია იმითაც, რომ მასში გაერთიანებულია რამდენიმე თაობის მკვლევართა შრომები. ახალგაზრდებისათვის ეს გამოცდილების და სტიმულის მომცემია. თავად კრებული კი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ შეიძლება კონკრეტულ საკითხზე არაერთი ურთიერთგადამკვეთი და მრავალფეროვანი შრომები შეიკრიბოს; როგორი უნიკალურია სტატიები ცალ-ცალკე და ერთად; როგორი უნდა იყო მეცნიერება და მეცნიერთა მუშაობა ხვალ, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ინტერდისციპლინურობას.

FASHION THROUGH HISTORY COSTUMES, SYMBOLS, COMMUNICATION

Sopio Kadagishvili

The collection of papers – "Fashion Through History; Costumes, Symbols, Communication" – is based on international conference held at Sapienza University of Rome in 2015. Various of papers were gathered in terms of understanding fashion phenomenon through history, culture and geographical area.

Among more than 100 works there are surveys of Georgian researchers too: "Silk production in Georgia: History and development opportunities" with the authorship of Eka Lekashvili, Lia Lursmanashvili and EkaterineTukhashvili; and "Dress and identity: A Georgian Case" by Mariam Chkhartishvili, Sopio Kadagishvili and Zurab Targamadze.

ისტორია, მეხსიერება, მიძღვნა

სოფიო ქადაგიშვილი

2009 წელს პარიზში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც არაერთმა მკვლევარმა მოიყარა თავი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან თუ კვლევითი ცენტრიდან. კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მოხსენებათა სტატიების დაბეჭდვა, რომელიც გამოიცა 2016 ნელს სათაურით: „ისტორია, მეხსიერება, მიძღვნა". თოთხმეტი მკვლევრის სტატიათა უმეტესობა დაბეჭდილია ფრანგულ, ნაწილი კი ინგლისურ ენაზე, კრებული სულ მოიცავს 476 გვერდს.



საინტერესოა კრებულში წარდგენილი სტატიები. მკითხველს შეესაძლებლობა აქვს გაეცნოს სერბი წმინდა მეფეების კულტების ტიპოლოგიას შუა საუკუნეებში, იდეოლოგიის ქმნადობას მე-17 საუკუნის მოსკოვში, კვლევებს იმპერიული ლეგიტიმაციისა და რელიგიური გარანტიების, ვლახეთის პრინცის შენირულობების ბულგარეთის ტერიტორიაზე, რელიგიური თავდადების და ლოკალური პატრიოტიზმის შესახებ.

ათონის მთაზე გაშლილ საქმიანობას მიეძღვნა რამდენიმე სტატია. მათ შორის ვხვდებით ქართველი მკვლევრის, მარიამ ჩხარტიშვილის სტატიას სათაურით: „წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის წრთობა მე-11 საუკუნეში". სტატიაში ყურადღება გამახვილებლია ქართული ჩვენ-ჯგუფის რჩეულობაზე, ეროვნულ ღირსებასა და ხასიათზე, ენობრივ მარკერზე, საკრალურ ერთობაზე, აღნიშნული საკითხი არამხოლოდ საინტერესოდ წარმოაჩენს ქართულ ჩვენ-ჯგუფს უცხოელი მკითხველისთვის, არამედ კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში აჩვენებს ჰაგიოგრაფიული ტექსტისადმი ახლებურ მიდგომასაც.

HISTOIRE, MÉMOIRE ET DEVOTION

Sopio Kadagishvili

"Histoire, Mémoire et Devotion" (History, Memory, Devotion) is collection of fourteen papers gathered within international conference that was held in Paris, France. Most of papers are published in French and some in English. Totally the publication consists of 476 pages.

Among the papers in English there is paper of Georgian researcher Mariam Chkhartishvili " Saint George of Mtatsminda and the Forging of Georgian identity in 11th Century". The publication contains significant surveys for the specialists interested in identity issues, cults of the saints and in medieval history in general.

აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე

სოფიო ქადაგიშვილი

2016 წლის ივნისში რომის საპიენცას უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე". კონფერენციის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან თუ კვლევითი ცენტრებიდან მეცნიერთა თავმოყრა, რომლებიც იმსჯელებდნენ აკვაიტებული რწმენების მრავალსახოვან კონტექსტზე.

საკონფერენციო მუშაობის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს Cambridge Scholars Publishing-ის მიერ მოხსენებათა კრებულის გამოცემა, რომელიც საერთო ჯამში მოიცავს ოცდაცამეტ სტატიას. კრებულის რედაქტორია ჯუზეპე მოტა.

შინაარსის მიხედვით სტატიები განაწილებულია შემდეგ თემატურ თავებში: ანტისემიტიზმი, იდენტობის და ეროვნული შეგნების შექმნა, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, ბალკანიზაცია, რუსი მეზობელი, მულტიდისციპლინური პერსპექტივები, გენდერის საკითხი, დისკრიმინაციის გამოხმაურებები და ანალიზი.



წამოდგენილი კვლევები ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რომელიც ორ მეცნიერებას: ისტორიის და სოციოლოგიას აერთიანებს. მრავალმხრივად საინტერესო შრომებიდან იბადება კითხვები: რას წარმოადგენს რასა? რა არის იდენტობა? როგორ გამოვიყურებით სხვის თვალში? კრებულში ნარმოდგენილია არაერთი კომპარატივისტული სტატია. ვხდებით ისეთ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა: კოლონიალიზმი და განმანათლებლობის პარადოქსი მშვიდობაზე; სტერეოტიპების როლი ეროვნული ერთობის კონსოლიდაციაში; ებრაელები რუსეთში – იმპერიის და საბჭოთა პერიოდს შორის; მოდერნიზმსა და ნაციონალიზმს შორის, უნგრული ლიტერატურა და ეროვნული იდენტობის ძიება. ამ და სხვა ბევრ საინტერესო სტატიასთან ერთად, კრებულში დაბეჭდილია ქართველი მკვლევრის, მარიამ ჩხარტიშვილის სტატია: „სოციალური აკვიატებული რნმენების ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში". აქვე ვხვდებით ეკა ლეკაშვილის სტატიას: „კომუნისტური ექსპერიმენტი და ტრანსფორმაციული ეკონომიკური პოლიტიკა".

კრებული ძალზედ საინტერესო მასალას აწვდის მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია აკვიატებული რწმენების ფენომენის რაობით ფართო ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში.

DYNAMICS AND POLICIES OF PREJUDICE FROM THE EIGHTEENTH TO THE TWENTY-FIRST CENTURY

Sopio Kadagishvili

On the basis of international conference, held in Sapienza university of Rome in 2016 papers were published by Cambridge Scholars Publishing in 2018. The editor of the publication is Giuseppe Motta. Gathered various works in terms of anti-Semitism, ethnic conflicts, Russia and Balkans, Gender bias. Among thirty-three papers there are works of Georgian researchers: "Reflection of Social Prejudice in Georgian Literary Fiction" by Mariam Chkhartishvli; "The Communist Experiment and Transformational Economic Policy" by Eka Lekashvili.

ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგისეული რედაქცია,

ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი, 2017, 332 გვ.

ქეთევან ქუთათელაძე

მკვლევართა მიერ ერთხმად არის აღიარებული, რომ ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეების მანძილზე საქართველოს („ქართლის“ ფართო მნიშვნელობით) ისტორიის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, ამასთანავე ეს „წმიდა და პატიოსანი წიგნი“ ამოუწურავი საუნჯეა, რომელიც რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, ყოველთვის სიახლეს აღმოაჩენ.

2017 წელს გამოქვეყნდა წიგნი სათაურით – ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგისეული რედაქცია, ტ.I, რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელები დაურთო გონელი არახამიამ.

როგორც ცნობილია, ცნებები ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრება“ გაჩნდა XVIII ს. პირველ ნახევარში, როდესაც ვახტანგ VI-ის თაოსნობით შექმნილმა „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ რედაქტირება გაუკეთა და ახალი მასალით შეავსო მანამდე არსებული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, რომლის თხრობა XIV ს. დასაწყისზე მთავრდებოდა და დაწერა XIV-XVII სს. ისტორია. „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ამ ნაღვაწს და შემდგომი ხანის რედაქტორების საქმიანობის ნაყოფს ენოდა ახალი „ქართლის ცხოვრება“, შესაბამისად, ძველის სახელწოდება დაიმკვიდრა მანამდე არსებულმა.

ცნობილია ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემების ისტორია ახალი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის პუბლიკაციით დაიწყო. მხედველობაში გვაქვს 1849 წელს სანქტ-პეტრბურგში მ. ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ I ნაწილი, რომელიც ემყარება როგორც ვახტანგისეული რედაქციის ანუ „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ხელიდან გამოსულ (რუმიანცევისეული) და მასთან ახლოს მდგომ, მაგრამ დამოუკიდებელ (თეიმურაზისეული) ნუსხას, ისე გვიანდელი რედაქტორების საქმიანობის შემცველ ხელნაწერებს (ფალავანდიშვილისეული და ნინო დედოფლისეული). აქედან გამომდინარე ამ გამოცემას, მიუხედავად თავისი დიდი მნიშვნელობისა, ახლავს არსებითი ხასიათის ნაკლი: მასში ვახტანგისეული და გვიანდელი რედაქციების ტექსტები ისეა შერწყმული ერთმანეთთან, რომ მკითხველს არ ძალუძს მათი გამიჯვნა (უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ნაკლის თავიდან აცილება „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის იმ ეტაპზე შეუძლებელიც იყო). ამ გამოცემიდან ასი წლის მანძილზე „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიურ შესწავლაში მიღწეული შთამბეჭდავი შედეგები აისახა აღნიშნული ძეგლის 1955 და 1959 წლებში ს. ყაუხჩიშვილის მიერ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოცემულ I და II ტომებში. გამოცემაში წარმოდგენილია ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, ხოლო მისთვის დართულ შენიშვნებსა და სქოლიოებში გათვალისწინებულია ახალი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა ვარიანტებიც, აგრეთვე, მინაწერები. გარდა ამისა, ახალი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა განსხვავებული ადგილები განთავსებულია როგორც ძირითად ტექსტში (პეტიტით), ასევე სქოლიოებში. ამ გამოცემაში ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში შეტანილია მეფეთა ზეობის მიხედვით სათაურები, რაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. არახამია, ამ ფორმითა და შინაარსით მხოლოდ ახალი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებისთვისაა დამახასიათებელი. ამ პუბლიკაციასაც, მიუხედავად თავისი საეტაპო მნიშვნელობისა, მრავალ ღირსებასთან ერთად ახლავს ერთი არცთუ უმნიშვნელო ნაკლი: მასში საკმაოდ დიდი დოზით შერწყმულია ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ რედაქციები. თუმცა აღნიშნულმა გამოცემამ სათავე დაუდო კრებულის კვლევის შემდგომ ეტაპს, როდესაც ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ ცალ-ცალკე გამოცემის აუცილებლობა დადგა. ამ აუცილებლობის შედეგიც იყო 2008 წელს შემოქმედებითი ჯგუფის ძალისხმევით და აკადემიკოს რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოცემული ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. გ. არახამიას დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან იტვირთა ახალი „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე ადრინდელი რედაქციის – საკუთრივ ვახტანგისეული ანუ „მეცნიერ კაცთა კომისიის“ ხელიდან გამოსული რედაქციის ცალკე სახით და სრულად გამოცემა.



ნიგნის შესავალში მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა და საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე გ. არახამია მკაფიოდ გვისურათებს ახალი „ქართლის ცხოვრების“ წარმოშობის დროსა და ვითარებას, ფართოდ წარმოაჩენს ამ საქმეში ვახტანგ VI-ის განსაკუთრებულ დამსახურებას; მისი ინიციატივით შექმნილი „მეცნიერ კაცთა“ კომისიის რედაქციული და ისტორიოგრაფიული მოღვაწეობის ამოცანებსა და მათი განხორციელების ეტაპებს და ა.შ. გამოვყოფოდით გამოკვლევაში განხილულ რამდენიმე საკითხს. პირველ

ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებდით იმაზე, რომ გ. არახამია ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას ემყარება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და წყაროთმცოდნეობაში კარგად აპრობირებულ მეთოდებს, რომელთა შესახებ დანვრილებით საუბრობს ნიგნის შესავალში. იქვე დანვრილებით ეხება ახალი „ქართლის ცხოვრების" იმ ხელნაწერებს, რომლებზე დაყრდნობითაც ადგენს ვახტანგისეული რედაქციის ტექსტს. ესენია რუმიანცევისეული, ჯანაშვილისეული, ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული და სხვიტორული ნუსხები. ის დეტალურად განიხილავს აღნიშნულ ნუსხათა ტექსტის ისტორიის ისეთ საკითხებს, რომლებშიც სინათლის შეტანის გარეშე შეუძლებელია გამომცემლის მიერ დასახული ამოცანის ხორცშესხმა.

სანდო მეთოდიკაზე დაყრდნობით მკვლევარი მიჯნავს ძირითად და დამხმარე ნუსხებს, ნათლად განსაზღვრავს თითოეული მათგანის როლს ტექსტის დადგენის საქმეში. სწორედ ამის საფუძველზე ხდება დამაჯერებული მისი მოსაზრება, რომ ე.ნ. შესავალი მსოფლიო ისტორიაში, რომელიც დღეისათვის მხოლოდ ე. ნ. მარიამისეულ (გადანუსხულია XVII-XVIII სს. მიჯნაზე) და მაჩაბლისეულ ხელნაწერებშია (1736 წ.) დაცული და შინაარსობრივად არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაჩაბლისეულ ხელნაწერში დაცული რედაქციით პირველად „მეცნიერ კაცთა" კომისიას უნდა შეეტანა „ქართლის ცხოვრებაში" თავისი მუშაობის მეორე ეტაპზე, უფრო ზუსტად, ამ ეტაპის ამსახველ ჯანაშვილისეულ ნუსხაში (რომლის შესაბამისი ფურცლები მოგვიანებით დაიკარგა). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო ნიგნში აღნიშნულ შესავალს თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „შენიშვნების" შესახებ, რომელიც ერთვის ძირითად ტექსტს. მასში შეტანილია: რუმიანცევისეული ნუსხის პირველი რვეულის ტექსტი, რედაქტირებული თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ; ახალი „ქართლის ცხოვრების" ვახტანგისეულისაგან განსხვავებული რედაქციების ორიგინალური ვრცელი ჩანართები, რომლებსაც გვაწვდიან თეიმურაზისეული, ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული და ნინო დედოფლისეული ნუსხები, რითაც სრული წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ რა სიახლეები შეიტანეს მოგვიანო ხანის რედაქტორებმა ვახტანგისეულ რედაქციაში. გარდა ამისა, ახალი „ქართლის ცხოვრების" ყველა რედაქციის ნუსხათა მინანერები შეტანილია სქოლიოებში, რაც, მკვლევრის თქმით „აუცილებელია იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ ვახტანგისეული რედაქციის მინანერების განმეორების, ცვლილებისა თუ ახალი ინფორმაციით შევსების პროცესს „მეცნიერ კაცთა" შემდგომი რედაქტორების ნააზრევში მთელი XVIII საუკუნის მანძილზე". წყაროს ტექსტით სარგებლობას აადვილებს თემატური (პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები) პრინციპით დალაგებული საძიებლები.

გ. არახამია თავისებურად ხედავს „სნავლულ კაცთა" კომისიის ნევრებს შორის განაწილებულ სარედაქციო და ისტორიოგრაფიულ სამუშაოებს, კერძოდ, მკვლევრის მოსაზრებით, ერთ ჯგუფს დაეკისრა არსებული „ქართლის ცხოვრების" ტექსტის გამართვა, შევსება და სხვა სარედაქციო ხასიათის სამუშაოების განხორციელება, მეორეს, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ედგა სათავეში, დაევალა XIV-XVII სს. ისტორიის შედგენა. ამ ორი ჯგუფის ცალ-ცალკე შესრულებული ნამუშევრების გამთლიანება, ანუ ერთ ნიგნად გაერთიანება, გ. არახამიას აზრით, სამუშაოების დასრულებისთანავე განხორციელდა და ამ სახით მოხვდა ის მოსკოვში, ემიგრაციაში მყოფი ვახტანგ VI-ს ბიბლიოთეკაში.

წინადებარე ტომი მოიცავს ვახტანგისეული რედაქციის ახალი „ქართლის ცხოვრების"ტექსტს, სადაც გადმოცემულია ამბები უძველესი დროიდან 1125 წლამდე. მეორე ტომი, რომელიც გამოცემის პროცესშია, შევა 1125 წლიდან (დემეტრე I გამეფებიდან) 1318 წლამდე (გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე) ისტორია, მესამე ტომში კი XIV-XVII სს. ისტორია და ამავე საუკუნეების ვახტანგისეული რედაქციის გადაკეთებული ვარიანტი. ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანით ხელთ გვექნება ახალი „ქართლის ცხოვრების" ვახტანგისეული რედაქციისა და ამ უკანასკნელის შემდგომი გადამუშავების საფუძველზე წარმოქმნილი რედაქციებისსრული ტექსტები, რითაც ეს სამტომეული ღირსეულ ადგილს დაიკავებს „ქართლის ცხოვრების" სხვა გამოცემების გვერდით.

დღეს კი ჩვენს განკარგულებაში არსებული პირველი ტომი, თამამად შეიძლება ითქვას, ტექსტოლოგიის თანამედროვე სტანდარტების დონეზე შესრულებული პუბლიკაციაა, ხოლო წიგნისთვის ნამძღვარებული გამოკვლევა წინ გადადგმული ნაბიჯია ახალი „ქართლის ცხოვრების" მეცნიერული შესწავლის საქმეში.

"NEW" *KARTLIS TSKHOVREBA*. THE VERSION BY KING VAKHTANG.

Vol. 1. The critically established text, introduction, notes and appendix by Goneli Arakhamia, Tbilisi, 2017, 332 pp.

Ketevan Kutateladze

The review presents so called "New" *Kartlis Tskhovreba* (*The Life of Kartli* /History of Georgia) – one of the mosts important source of Georgian history and significant fact of Georgian historiography. According to the author of the review – Professor K. Kutateladze, the publicationby Professor G. Arakhamia is accomplished according to standarts of the modern textology ; as for research presented in the introduction of the book, it should be considered as very valuable contribution in study of *Kartlis Tskhovreba.*

ცნობილი ბულგარელი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული
Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov

მარიამ ჩხარტიშვილი

ნინამოდერნის ეპოქის კვლევების სპეციალისტებმა წლის ბოლოს ნამდვილად კარგი საჩუქარი მიიღეს: ეს არის ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიების კრებული ორ ტომად Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov (2018, გამომცემლობა „გუტენბერგი", ISBN 978-619-176-131-9; ISBN 978-619-176-130-2).

იოანის ა. ბოჟილოვი, რომლის ხსოვნასაც ეძღვნება ეს კრებული, იყო ცნობილი ბულგარელი მეცნიერი. ის გარდაიცვალა 2016 წელს.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორი არის იოანის ბოჟილოვის მოწაფე, საერთაშორისოდ ცნობილი მკვლევარი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ვარნას უნივერსიტეტის პროფესორი ივან ბილიარსკი (Ivan Biliarsky). ის არის ავტორი და თანაავტორი, რედაქტორ შემდგენელი არაერთი უაღრესად საინტერესო გამოკვლევისა, მათ შორის, ცნობილი გამომცემლობის „ბრილის" მიერ დასტამბული ორი, მართლაც ძალიან კარგად დაწერილი მონოგრაფიისა „სიტყვა და ძალაუფლება შუა საუკუნეების ბულგარეთში"(„Word and Power in Mediaeval Bulgaria"); „გადმოცემა წინასწარმეტყველ ესაიაზე. აპოკრიფული ტექსტის ბედისწერა და მნიშვნელობა" („The Tale of the Prophet Isaiah. The Destiny and Meanings of an Apocryphal Text").





ძალიან საინტერესოა საანალიზო კრებულის სახელწოდება, რომელიც წარმოადგენს ამონარიდს ანტიკური ხანის ცნობილი პოეტის ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნებიდან“ (*Ars Poetica*) და ის ქართულად ითარგმნება როგორც „მადიდებელი გარდასულ დროთა“. ანუ ფაქტობრივად ჰორაციუსის ამ შესანიშნავი სიტყვებით გამოხატულია კრებულის შემდგენლის დამოკიდებულება თავისი მასწავლებლისადმი.

ამ საერთო სათაურის გარდა, რომელიც მიძღვნას უკავშირდება, თითოეულ ტომს აქვს საკუთარი თემატური სათაური. პირველი ტომისათვის ეს არის: *ჩეღიგია, ისტორია* (Religio, Historia), მეორესათვის ესაა: *კანონი, იმპერია, სიტყვის ძალა, ხელოვნება და არქეოლოგია* (Ius, Imperium, Potestas Litterae, Ars et Archaeologia).

ორივე ტომი საკმაოდ მოცულობითია. პირველი ტომი ხუთ ასეულზე მეტ გვერდს მოიცავს, მეორე ტომი კი ექვს ასეულ გვერდზე მეტია. წარმოდგენილი ნაშრომების რაოდენობაც შთამბეჭდავია: პირველ ტომში ოცადაოთხი სტატიაა, მეორეში–ოცდათერთმეტი. ავტორთა შემადგენლობა ინტერნაციონალურია, შესაბამისად, სტატიები წარმოდგენილია მრავალ ევროპულ ენაზე. ნაშრომთა თემატიკაც უაღრესად მრავალფეროვანია: აქ არის კვლევები ძველი რომის რელიგიაზე, წმინდანთა კულტზე და ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაზე ბიზანტიური კულტურული ნრის ქვეყნებში, რელიგიური ცხოვრების სხვადასხვა ფაქტზე, ბიზანტიის პოლიტიკაზე, ხატმებრძოლობაზე და ამ საკითხის შესნავლის მდგომარეობაზე, ნინამოდერნული პერიოდის ბულგარეთის პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის მოვლენებზე, მეთორმეტე–მეთექვსმეტე საუკუნეების ვენეციაზე და სხვ. თავად კრებულის შემდგენელს პროფესორ ბილიარსკის ეკუთვნის სერბეთში მეფეთა კორონაციიის წესზე ძალიან საინტერესო გამოკვლევა.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, როცა პროფესორ ბილიარსკისაგან ამ ორიოდე ნლის წინ მივიღე შემოთავაზება სტატია გამომექვეყნებინა მისთვის უაღრესად ძვირფასი მასწავლებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში. ამის შედეგია, რომ ამ შესანიშნავ სამეცნიერო გამოცემაში მოხვდა ჩემი ნაშრომიც. ის გამოქვეყნებულია კრებულის მეორე ტომში და მისი სათაურია „ერისმთავარ სტეფანოზ I-ის ორი ვერბალური პორტრეტის შესახებ. ისტორიის წერის პრინციპები და პრაქტიკა შუა საუკუნეების საქართველოში“ (Two Verbal Portraits of Erismtavari Stephanoz I. *Discussing Principles and Practices of History Writing in Medieval Georgia*). ესაა საკმაოდ მოცულობითი სტატია, რომელიც ქართული ისტორიული აზრის განვითარების ერთ მომენტს წარმოუდგენს უცხოელ მკითხველს. აღნიშნული ნაშრომი დიდი ხანია მზადდებოდა ჩემ მიერ. პირველი იდეები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოქვეყნებულ ნაშრომებში მაქვს გამოთქმული, მაგრამ საბოლოოდ კვლევის ფოკუსი გამოვკვეთე ანალოგიური სახელნოდების მოხსენებაში, რომელიც წავიკითხე 2017 ნელს თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“.

ორივე ტომი შესანიშნავად არის გაფორმებული და გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. კრებული მალე გამოჩნდება საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდად და დაინტერესებულ ქართველ მკითხველს მისი შეძენის საშუალება მიეცემა.

THE COLLECTION OF RESEARCH PAPERS IN MEMORIAM OF EMINENT BULGARIAN ACADEMIC
Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov

Mariam Chkhartishvili

In this review the collection of research papers dedicated to the memory of the eminent Bulgarian academic Ioannis A. Božilov ("Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov" , 2018), is considered by Professor Mariam Chkhartishvili. The compiler and editor of this two volume edition containing in total more than 1000 pages, is Professor Ivan Biliarsky. Both volumes present valuable contribution in modern humanitarian studies. The papers are devoted to different issues of pre-modern European history. The international team of the authors presents very interesting kaleidoscope of facts and discourses.

The reviewer notes with great pleasure that thanks to Professor Biliarsky her paper on principles and practices of history writing in medieval Georgia is included in this excellent collection.

ქრონიკა
CHRONICLE

პროექტის „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული სახელმძღვანელოების მიხედვით“ ნინასწარი შედეგების პრეზენტაცია

სოფიო ქადაგიშვილი

2015 წლის 25 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 212 აუდიტორიაში ჩატარდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული სახელმძღვანელოების მიხედვით“ ნინასწარი შედეგების პრეზენტაცია. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, ძირითადი შემსრულებლები თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია“ 2014–2015 წლის ნაკადის სტუდენტები (აწ უკვე მაგისტრები): ნინო გოგრიჭიანი, ელა კაკავა, ეთერ მიქაძე, ნინო ტივაძე, ნუნუ ხარაიშვილი.

სხდომას უძღვებოდა პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. მანვე პირველმა დაიწყო პროექტის შუალედური შედეგების წარდგინება. პროფესორმა ისაუბრა პროექტის იდეაზე და აგრეთვე მისი მომზადების კონკრეტულ დეტალებზე. კერძოდ, მან აღნიშნა შემდეგი:

„2007 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა „საქართველოს ისტორია“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და რომლის ფარგლებშიც ჩემ მიერ ორი სემესტრის განმავლობაში იკითხება ათკრედიტიანი კურსი „ქართული იდენტობის ისტორია“. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა სანიმუშოდ კარგმა სტუდენტმა დაამთავრა ეს პროგრამა. გასული წელიც ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა: სამაგისტრო ჯგუფი მოტივირებული ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. როცა იდენტობის ისტორიის წყაროებს შევეხე, სხვა წყაროებთან ერთად დავასახელე სახელმძღვანელოებიც ეროვნულ ისტორიაში და დავალება მივეცი სტუდენტებს, რომ თითოეულ მათგანს შესაბამისი ინფორმაციის ამოსაღებად დაემუშავებინა რამდენიმე სახელმძღვანელო. სტუდენტებს მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდათ, როცა უნივერსიტეტში მიზნობრივი სამეცნიერო კვლევების ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. ეს კონკურსი ითვალისწინებდა პროფესორებისა და სტუდენტების თანამშრომლობას. გადავწყვეტე ამ კონკურსში მონაწილეობა მიმეღო ჩემს ხუთ სტუდენტთან ერთად. წარვადგინეთ პროექტი „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული სახელმძღვანელოების მიხედვით“. საბედნიეროდ, გრანტი მოვიპოვეთ და შესაბამისი გამოკვლევა ჩავატარეთ. სახელმძღვანელო, როგორც მედია საშუალება და როგორც კოლექტიური მეხსიერების რეპრეზენტატორი, საერთაშორისოდ იდენტიფიცირებული სამეცნიერო პრობლემაა და მისი მნიშვნელობა და აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. ცხადია, არც ისაა საკამათო, რომ ქართული მაგალითით უნდა გამდიდრდეს არსებული საერთაშორისო გამოცდილება. ამავე დროს საქართველოს ისტორიაც შეივსოს ახალი რაკურსით დამზერის შედეგად მოპოვებული ფაქტებით. მიუხედავად აქტუალობისა, საქართველოში ამ კუთხით ჯერ მაინც ცოტაა გაკეთებული, თუმც რაც არის, ძალიან საინტერესოა. არსებული გამოკვლევები ცალკეულ პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეული სახელმძღვანელოების შესწავლას და მათში წარმოდგენილი დისკურსის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას ისახავს მიზნად. ჩვენ გადავწყვიტეთ კვლევა დაგვეფუძნებინა უფრო ფართო წყაროობით ბაზაზე ანუ უფრო მეტი საკვლევი ობიექტი შემოგვეტანა, ამავე დროს გაგვეზარდა იმ ინდიკატორების რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც მასალას განვიხილავდით. თავიდან, განურჩევლად ქრონოლოგიისა, მოვიძიეთ, ყველა ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო, მაგრამ შემდეგ, რადგან პროექტი ძალიან მოკლევადიანი (რვა თვიანი) იყო, გადავწყვიტეთ შემოგვეფარგლა კვლევა მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიდრე ამ საუკუნის ათიან წლებამდე. ეს არის მეტად საინტერესო პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში. საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლა და ხელახლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა. ამ პერიოდში ყველაფერი არამყარი და დაულაგებელია, იდეოლოგია და სახელმწიფო ინსტიტუციები ამორფულია, სუსტია ხელისუფლება. ეს ვითარება, ცხადია, ასახვას პოულობს განათლების სისტემაზე და სახელმძღვანელოებზეც. სახელმძღვანელოები მრავლდება, რეკომენდებულია არა ერთი, არამედ რამდენიმე.

არსებული საერთაშორისო გამოცდილების ფართო გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა სახელმძღვანელოების განსახილველად შეგვერჩია მრავალი ინდიკატორი. ჩვენი მთავარი კითხვა იყო შემდეგი: რას ნარმოადგენს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, ეს ისტორიული რეპრეზენტაციის ცდაა თუ კოლექტიური მახსოვრობის ნარატივი? სხვაგვარი ფორმულირებით: როგორ მიენოდება ეს საგანი

მოსწავლეებს, როგორც სამეცნიერო დისციპლინაში დახელოვნების თუ როგორც პატრიოტიზმის იდეებით გამსჭვალვის საშუალება?

როგორც ითქვა, სხვა ერების გამოცდილება ამ კითხვებზე გარკვეული პასუხს იძლევა. საჭირო იყო ამ პასუხის შემონმება ქართული მაგალითით.

აუცილებელი იყო დავკვირვებოდით: ა) სახელმძღვანელოთა შესავალ ნაწილში განმარტებულ მიზანს; ბ) რეპრეზენტაციის სტილს: იყო ის ანალიტიკური თუ დესკრიფციული; დ) ინფორმაციას ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, მისი საზოგადობრივი ფუნქციების შესახებ; აგრეთვე, კონკრეტული ფაქტების რეპ-რეზენტაციის პარადიგმებს: მაგალითად, ეთნოგენეზისისა და ნაციათმშენებლობის პროცესების რეპრე-ზენტაციას; ავტორიტეტის პრობლემას: ანუ ავტორის მიერ საკუთარი აზრის და სხვისი აზრის დამოწმების სიხშირესა და მიმართებას; ავტორის კონტაქტს მკითხველთან და საკითხის პლურალისტულ ინტერპრეტაციის (თუ იყო ასეთი) შემთხვევებს. საქართველოს საზოგადოების მულტიეთნიკურობა და მულტიკონფესიურობა როგორ ასახვას პოულობდა სახელმძღვანელოში; საქართველოს ისტორიის საკითხების ნარმოდგენისას რამდენადაა გათვალისნინებული ისტორიული მეცნიერების თანამედროვე პრობლემატიკა (მაგალითად, გენდერული კვლევები, ოჯახის კვლევები, ყოველდღიურობის ისტორია, მენტალობის ისტორია, ტოტალური ისტორია) ან თუნდაც საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში ბოლოდროინდელი მიღწევები, ისინი, რომლებიც განსხვავებულია ქართული იდენტობის მარკერად ქცეული ი. ჯავახიშვილისეული „ქართველი ერის ისტორიის" ტომეულებში დაფიქსირებული თვალსაზრისისაგან; გმირებისა და ანტიგმირების რეპრეზენტაცია, მტრის ხატის რეპრეზენტაცია და ა.შ. ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აქვს, ერთი მხრივ, სამეცნიერო ინტერესი: ასე დახასიათებული სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში ქართული საზოგადოების სარკეა და ამ საზოგადოების რაობის შესახებ ყველაზე დამაჯერებელი მსჯელობის საშუალებას იძლევა; მეორე მხრივ, პრაქტიკული, რადგან მოსწავლის, სტუდენტის შემდგომი ცხოვრებისათვის და, შესაბამისად, იმ სახელმწიფოს ცხოვრებისათვის, რომლის მოქალაქეებიც ეს მოსწავლეები და სტუდენტები ხდებიან, გადამწყვეტია თუ პიროვნება სკოლის მერხიდანვე შეჩვეულია პლურალისტულ დისკურსს, შეჩვეულია იმ აზრს, რომ ისტორიის მონოპოლზება არ შეიძლება, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა; თუ მოსწავლემ, სტუდენტმა იცის რომ ყველა რეპრეზენტაციას ჰყავს ავტორი და ეს არაა *გამოცხადებით* მიღებული ცოდნა, დოგმა, რომელიც მხოლოდ ერთი და მხოლოდ სამუდამო უნდა იყოს ყველასათვის. ამის მცოდნე მოქალაქეთა სახელმწიფოში, ცხადია, სოციალური დაძაბულობა ნაკლებია.

ჩვენ მიერ განხილული სახელმძღვანელოების მიხედვით ზოგადი სურათი ასეთია: სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში ემსახურება მეხსიერების კოლექტიური ხატების ჩამოყალიბებას. ამის გამოა, რომ დისკურსის სტილი უმეტესწილად არის დესკრიფციული. ზოგ შემთხვევაში, მართალია, სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში არის საუბარი ისტორიის დისციპლინის და ისტორიული წყაროების, ისტორიის დამხმარე მეცნიერებების შესახებაც და გაკვეთილების ბოლოში წყაროებიდანაც არის ამონარიდები, მაგრამ ეს ყვე-

ლაფერი ვერ ცვლის საერთო სურათს: ცოდნა არ მიიღება ანალიტიკურად, არ არის ნაჩვენები თუ წარმოდგენილი სურათი როგორ აღადგინა ავტორმა, როგორი მუშაობა წარიმართა წყაროებზე, რა ეჭვები შეიძლება გაგვიჩნდეს მიღებულ დასკვნებთან დაკავშირებით, და სხვა რა გადაწყვეტა შეიძლება არსებობდეს. არსებული სახელმძღვანელოების უმეტესობა ეს არის არა ქართული მაგალითის მეშვეობით ისტორიის დისციპლინაში მოსწავლის დახელოვნების მცდელობა, არამედ ისტორიის კონკრეტული შემთხვევის თხრობა მხოლოდ. არ არის განსჯა რეპრეზენტაციის სტილის განსხვავებული მოდელების, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების პრობლემატიკის შესახებ, რაც აჩვენებდა მოსწავლეს, რომ ერთიდაიგივე ფაქტი სხვადასხგვარად შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რომ ისტორია როგორც პროცესი და ისტორია, როგორც მეცნიერული ნარატივი, ერთიდაიგივე არაა. წარმოდგენილი ისტორია არის ეთნიკური ქართველების ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სახელმძღვანელოს „საქართველოს ისტორია" ეწოდება. არც კონფესიური მრავალფეროვნებაა ასახული. ამ პერიოდის ნიგნებში წარმოდგენილია ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ მასალა, რაც ადრე არ იყო. მაგრამ ქართველი ერის ფორმირების შესახებ აქ მასალას ვერ ვხდებით. ანუ ფაქტობრივად, ეთნოგენეზისის და ერის ქმნადობა გაიგივებულია ერთმანეთთან. არ არის ყოველდღიურობის ისტორია, ლოკალური ისტორია. პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არ არის ინტეგრირებულად წარმოდგენლი. არაფერია ისტორიის გენდერულ ასპექტზე ნათქვამი. ამასთან ზოგჯერ შეინიშნება ტენდენციაც ჰეროიკული რეპრეზენტაციისაგან თავის გამიჯვნისა, მაგრამ ეს არ არის მაინც მიმართული იქითკენ, რომ მოხდეს ეროვნული ისტორიის მეშვეობით ისტორიის დისციპლინის უნარ-ჩვევების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, დაუფლება. ეს დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეული სახელმძღვანელოს ანალიზს ეფუძნება, ცხადია, საბოლოო მაინც ვერ იქნება. შემდგომი კვლევა ამ სურათს დააზუსტებს, ამჟამად გავლებულ ზოგ ხაზს მოშლის, ზოგს კი უფრო გამოკვეთს. მაგრამ ის მონახაზი, რაც მივიღეთ, სამეცნიერო ინტერესის მქონეა ძირითადი ტენდენციების საჩვენებლად თუ სამომავლო მუშაობისათვის ჰიპოთეზების გამოსაკვეთად".

ამის შემდეგ აუდიტორიის წინაშე სათითაოდ წარდგნენ პროექტის მონაწილენი და კონკრეტულად მათ მიერ განეული სამუშაოთა შესახებ ისაუბრეს.

სიტყვები წარმოთქვეს და პროექტის იდეას მხარი დაუჭირეს თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა მიხეილ ბახტაძემ, ამავე ფაკულტეტის დოქტორანტებმა მიხეილ ქართველიშვილმა, ლევან კოჭლამაზაშვილმა.

პროექტის განხილვა გაგრძელდა არაფორმალურ ვითარებაში ფურშეტზე.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ წინასწარი შედეგების პრეზენტაციაზე წარმოთქმული დანაპირები მონაწილეებმა პირნათლად შეასრულეს: ორიგინალური გამოკვლევა წარუდგინეს ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის თებერვალში, ხოლო რამდენიმე თვეში გამოსცეს მიღებული შედეგების ნაწილის ამსახველი მეტად საინტერესო წიგნიც „სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში როგორც საისტორიო წყარო".



PROJECT PRESENTATION: "IMAGES OF COLLECTIVE MEMORY OF GEORGIANS ACCORDING TO TEXTBOOKS IN NATIONAL HISTORY"

Sopio Kadagishvili

On November 25, 2015 the preliminary results of the project "Images of Collective Memory of Georgians According to Textbook in National History" were presented at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The project director TSU Professor Mariam Chkhartishvili started working with students of her MA Program "History of Georgia" Nino Gogrichiani, Ela Kakava, Eter Mikadze, Nino Tivade, Nunu Kharaishvili in terms of the grant project awarded by the University. A little later after the project presentation part of the results was published in monograph "Textbooks in National History as Historical Sources". The book is intended for students, school teachers and general reader.

საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია: ქრისტიანობიდან და ისლამიზაციიდან (ჰეტერო) ევროპეიზაციამდე. ტრანსფორმაციები და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა ევროპულ მარგინალიებზე

სოფიო ქადაგიშვილი

2016 წლის 30 მარტიდან 2 აპრილამდე ბულგარეთში, სოფიის უნივერსიტეტში გაიხსნა და მიმდინარეობდა საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია „ქრისტიანობიდან და ისლამიზაციიდან (ჰეტერო) ევროპეიზაციამდე. ტრანსფორმაციები და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა ევროპულ მარგინალიებზე". კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ ვენეციის კაფოსკარის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი გაგა შურღაია) და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი (წარმომადგენელი იორდან ლიუცკანოვი) და პარიზის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ინსტიტუტი (წარმომადგენელი თიმურ მუედინი). კონფერენციის თემატიკა, როგორც ეს ჩანს მისი სახელწოდებიდანაც, მკაფიოდ განსაზღვრული იყო. მონაწილეებს შეეძლოთ წარედგინათ მოხსენებები შემდეგ პრობლემებზე: კოლექტიური იდენტობები ევროპული მარგინალიებიდან მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, ფენომენი, რომელიც შეიძლება აქტუალურად ჩაითვალოს ევროპულობასთან მიმართებაში, ევროპის განაპირა ქვეყნებს შორის

კონტაქტები, საერთო ინტერესები და ურთიერთშეთანხმებები კულტურათა შორის.

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტს ჰყავდა წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებიდან, მაგალითად, მარსელის უნივერსიტეტიდან, მოსკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტიდან, კონსტანცას უნივერსიტეტიდან, თესალონიკის უნივერსიტეტიდან, ლევენის კათოლიკური უნივერსიტეტიდან, ერევნის რუსულ-სომხური უნივერსიტეტიდან, ბარის უნივერსიტეტიდან, თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტიდან, ციურიხის უნივერსიტეტიდან და სხვა.

მონაწილეთა შორის საკონფერენციო მოხსენებით წარსდგნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი და დოქტორანტები სოფიო ქადაგიშვილი და ზურაბ თარგამაძე.

ორგანიზატორებმა შექმნეს არაჩვეულებრივი გარემო კონფერენციის მონანილეთა შორის სამეცნიერო დისკუსიისთვის. ამასთან ერთად ეწყობოდა არაფორმალური შეხვედრები, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით უძღვებოდა იორდან ლიუცკანოვი.

კონფერენციის დახურვის დღეს ორგანიზატორებმა შეაფასეს სამეცნიერო მუშაობა და დასახეს სამომავლო გეგმები.



INTERNATIONAL INTERDISCIPLINARY CONFERENCE FROM CHRISTIANISATIONS AND ISLAMISATIONS TO (HETERO) EUROPEANISATIONS: TRANSFORMATIONS OF CULTURAL-HISTORICAL HERITAGE ON THE EUROPEAN MARGINS

Sopio Kadagishvili

International conference "From Christianisations and Islamisations to (Hetero)Europeanisations: Trasformations of Cultural-Historical Heritage on the European Margins" – took place in Sofia, Bulgaria, on March 31 – April 2, 2016. The conference was organised by Bulgarian Academy of Sciences (representative Yordan Lyutskanov) and Ca' Foscari University of Venice (representative Gaga Shurgaia). The conference had scholarly committee from different scientific and teaching centers.

The conference gathered scholars for sharing information and provoking debates from different countries creating favorable situation for scientific discourse. Despite hardworking hours organizers arranged informal meetings too.

Among international participants were Georgian scholars: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili and her two doctoral students – Sopio Kadagishvili and Zurab Targamadze.

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XVII–XVIII გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია

რუსუდანი ჭოლიკაური

2016 წლის 20 ივნისს 17.00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში გაიმართა ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XVII-XVIII გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია. პრეზენტაციას უძღვებოდა ჟურნალის რედაქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მარიამ ჩხარტიშვილი. ქალბატონმა მარიამ ჩხარტიშვილმა აუდიტორიას წარუდგინა „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი გამოცემა და მოკლედ მიმოიხილა ჟურნალის შედგენის პროცესი. კერძოდ, მან თქვა:

„ძვირფასო კოლეგებო, მეგობრებო, სტუდენტებო, მოგესალმებით! ყველას უღრმესი მადლობა მობრძანებისათვის! იცით ჩვენი შეკრების მიზეზი. ეს არის „ქართული წყاროთმცოდნეობის“ ახალი ნომრების წარდგინება. „ქართული წყاროთმცოდნეობა“ უკვე ნახევარი საუკუნეა არსებობს სამეცნიერო სივრცეში. 2015 წელი საიუბილეო იყო მისთვის. ამიტომ ეს წარდგინებაც განსაკუთრებულია. მაგრამ არის მეორე მიზეზიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი: ესაა სურვილი ერთმანეთთან შეხვედრის, აზრების გაზიარების, სამომავლო ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის. ამ ღონისძიების მასპინძლები, უპირველეს ყოვლისა, არიან ჟურნალის რედკოლეგიის წევრები. როგორც მოგეხსენებათ, ჟურნალის საგამომცემლო ხარჯებს მე ვფარავ. რედკოლეგიამ კი უკვე ტრადიციად აქცია ჟურნალის ახალი ნომრის გამოსვლა აღნიშნოს პატარა სუფრით. ამაში მე უკვე აღარ ვერევი. მასპინძლები არიან, აგრეთვე, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყاროთმცოდნეობის განყოფილების წევრები. „ქართული წყاროთმცოდნეობის“ გამოშვების იდეა სწორედ ამ განყოფილების წინაპარ განყოფილებაში დაიბადა 50 წლის წინ. ამიტომ „ქართული წყاროთმცოდნეობის“ საიუბილეო გამოშვება ამ განყოფილების ზეიმიც არის. მასპინძლებად უდავოდ შეგვიძლია განვიხილოთ თსუ სამაგისტრი პროგრამის „საქართველოს ისტორია“ სტუდენტებიც, მთელი დღე ზრუნვდნენ იმისათვის, რომ პრეზენტაცია სასიამოვნოდ გაგრძელდეს არაფორმალურ ვითარებაში. ჩვენი სტუმრებია ჩვენი ავტორები. მათი თანადგომის გარეშე არაფერი იქნებოდა. აქ არიან პოტენციური ავტორები და ექსპერტები. აგრეთვე, სხვადასხვა პერიოდული გამოცემების რედაქტორები და რედკოლეგიის წევრები. დაბოლოს, მადლობები: პირველ რიგში ჩემს თანარედაქტორს გიული ალასანიას მინდა ვუთხრა მადლობა. ყველა რედკოლეგიის ნევრი გარკვეულად მეხმარება სხვადასხვა

დოზით. თუმც ჯერ ისეა, რომ ძირითადი დატვირთვა რამდენიმე წევრზე მოდის. ამ ნომრების მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სოფიო ქადაგიშვილსა და ზურაბ თარგამაძეს. დიდი მადლობა მათ ამისათვის. ჩემი გამოსვლა მინდა დავამთავრო თხოვნით: ითანამშრომლეთ ჩვენთან, რადგან სამეცნიერო მედიის გამართული მუშაობა დიდნილად განაპირობებს მეცნიერების შესაბამისი დარგის განვითარებას. ამიტომ გთხოვთ, მოგვანოდეთ არა მარტო თქვენი ორიგინალური გამოკვლევები, არამედ ინფორმაციებიც სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ, ახალი გამოცემებისადმი მიძღვნილი რეცენზიები, მოგონებები. სულ რამდენიმე დღეში ჩვენი განყოფილება, როგორც მთელი ინსტიტუტი დატოვებს ამ შენობას, რომელიც მართალია, ძალიან დაზიანებულია სიძველის გამო, მაგრამ რადგან მრავალი წელი იყო ქართველი ისტორიკოსების სამყოფელი, მას ჩვენი თანამშრომლების ბევრი სასიამოვნო მოგონება უკავშირდება. ამგვარად, დღევანდელი წარდგინება ამითაც სამახსოვროა: ეს არის ბოლო ღონისძიება ამ შენობაში“.

„ქართული წყاროთმცოდნეობის“ ახალი ნომერი შინაარსობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია. მის დასაწყისში ვხვდებით რედკოლეგიის გულნრფელ მილოცვას რედაქტორისა და პროფესორის, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ჟურნალში ნარმოდგენილია სხვადასხვა პრობლემატიკაზე ორიენტირებული, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა სტატიები. აღნიშნული სტატიები თავმოყრილია რამდენიმე განყოფილებაში: *წყاროთა კვლევა და ისტორიული ჰერმენევტიკა; წყاროთა კვლევა, თარგმანი და პუბლიკაცია; ისტორიოგრაფია.* გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გაერთიანებული XVII-XVIII ტომები სხვა მეტად საინტერესო რუბრიკასაც მოიცავს. ესენია: *საერთაშორისო პრეზენტაცია; თვალსაზრისი; წიგნების მიმოხილვა; ქრონიკა; ხსოვნა.*

ჟურნალის შესახებ ვრცლად ისაუბრა თსუ პროფესორმა გიული ალასანიამ. ასევე, აზრი გამოთქვეს პროფესორმა ვაჟა კიკნაძემ, რედკოლეგიის ნევრმა დავით მერკვილაძემ, თსუ დოქტორანტმა მანუჩარ გუნცაძემ.

გაერთიანებული ტომების პრეზენტაციის ძირითადი ნანილის დასრულების შემდეგ, სტუმრებს აზრთა გაცვლა–გამოცვლის საშუალება არაოფიციალურ გარემოშიც მიეცათ. დამსწრე საზოგადოება განიხილავდა მეცნიერებაში არსებულ საჭირბოროტო საკითხებს, საუბრობდა „ქართული წყاროთმცოდნეობის“ დიდ ღირებულებაზე და სიამაყით იხსენებდა ჟურნალის შექმნის ისტორიას.

PRESENTATION OF SCIENTIFIC JOURNAL "GEORGIAN SOURCE-STUDIES" (VOLUMES XVII-XVIII)

Rusudani Tcholikauri

On June 20, 2016, at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology was presented scientific journal *Georgian Source-Studies* (vol. XVII-XVIII). The presentation was lead by the editor of journal Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor and head of the Department of *Medieval History of Georgia and Source – Studies* Mariam Chkhartishvili. She presented new issues of Georgian *Source-Studies* to the audience and briefly reviewed the editorial process of this journal. The new edition of *Georgian Source-Studies* as usual covers many topics. It consists of several sections: *Source-Studies and History Representations*; *Source-Studies, Translations and Publications*; *Historiography*; *International Presentation; Standpoint*; *Book Reviews*; *Chronicle*; *In Memoriam*. Volumes XVII-XVIII represent the articles focused at different questions. The articles are authored by Georgian, as well as, foreign researchers.

Among the guests of the event were the scientists of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Professors and research fellows from various educational institutes, also students of the MA and PhD programs ("History of Georgia"; "History of Georgia and Source-Studies" directed by M. Chkhartishvili) etc. After the presentation the audience had an opportunity to express their viewpoints. Namely, Professors Giuli Alasania, Vazha Kiknadze, Davit Merkviladze, PhD student Manuchar Guntsadze spoke about the journal. During the informal part of the presentation the audience discussed various issues existed in science, spoke about the great value of *Georgian Source-Studies* and recalled the history of this journal with sense of pride.

საერთაშორისო კონფერენცია „აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე“ რომი, 23-24 ივნისი, 2016

ეთერ ცერცვაძე

რომის ერთ-ერთ უძველეს ლა საპიენცას უნივერსიტეტში ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციების მოწყობას დიდი ტრადიცია აქვს. 2016 წელიც არ ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. ერთ-ერთი ასეთი ფორუმი იყო საერთაშორისო კონფერენცია „აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე“, რომელშიც მრავალმა ათეულმა მომხსენებელმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია მიმდინარეობდა 23-24 ივნისს. კონფერენცია მეტად წარმომადგენლობითი იყო, ნაკითხულ იქნა მრავალი ათეული მოხსენება. სესიები დაყოფილი იყო თემატურ პანელებად.

კონფერენციის მიზანი იყო ინტერდისციპლინარული კვლევების ხელშეწყობა და მეცნიერებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ერების აკვიატებული წარმოდგენები და სტერეოტიპული შეხედულებები სხვა ერის თუ სოციალური კლასების მიმართ. კონფერენციამ უზრუნველყო სხვადასხვა ქვეყნის პროფესორებისა და დოქტორანტების გაერთიანება, რომლებიც არაერთი დარგის (ისტორიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების) კუთხით ამდიდრებდნენ კონფერენციის თემატიკას.

კონფერენცია გაიხსნა 23 ივნისს. გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ ეუჯენიო გუადიო, ლა საპიენცას უნივერსიტეტის რექტორი; ჯიოვანი სოლიმინი – ლინგვისტურ-ფილოლოგიური და გეოგრაფიული მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სტეფანო ასპერტი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; ანტონელო ბიაჯინი – ლა საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; ჯუზეპე მოტა – ლა საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

უნდა აღინიშნოს ქართული მხარის ჩართულობა, როგორც კონფერენციის ორგანიზების, ასევე მონაწილეობის თვალსაზრისით. საქართველოდან მოხსენებებით წარსდგნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და დოქტორანტები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა და ამავე ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია

და წყაროთმცოდნეობა“ დოქტორანტმა ეთერ ცერცვაძემ წარადგინეს ერთობლივი მოხსენება თემაზე „აკვიატებული რწმენები და ნაციონალისტური დისკურსი მეცხრამეტე საუკუნეში. ქართული შემთხვევა“; თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ დოქტორანტებმა ზურაბ თარგამაძემ და მანუჩარ გუნცაძემ გააკეთეს მოხსენებები თემებზე: „პოლიტიკური აკვიატებული რწმენები და ეთნიკური კონფლიქტები: ქართული მაგალითი“ და „აკვიატებული რწმენები როგორც კონტროლის მეთოდი საბჭოთა კავშირში. მაგალითი საქართველოს უახლესი ისტორიიდან“. მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი რევაზ გველესიანი, ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი, ასისტენტ-პროფესორი მერაბ ხოხობაია; თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე წურწუმია.

პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი ამავე დროს გახლდათ კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ერთ-ერთი სხდომის („ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები“) თავმჯდომარე. მას იტალიელ კოლეგებთან ჰქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრები. სწორედ ამ შეხვედრების დროს იტალიის მხრიდან ხელმოწერილ იქნა რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ადრე მომზადებული ხელშეკრულების ტექსტი, რომლის საქართველოში ჩამოტანის პატივი წილად ხვდა სწორედ პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს. მან ეს დოკუმენტი გადასცა უნივერსიტეტის შესაბამისს დეპარტამენტს. აღნიშნული ხელშეკრულება ქართველი პროფესორებისა და სტუდენტებისათვის შლის ფართო თანამშრომლობის პერსპექტივებს ევროპის ისეთ უძველეს და დღეს უაღრესად წარმატებულ სასწავლო დანესებულებასთან, როგორიც რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტია.

პირველ დღესვე საღამოს შედგა კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის შეხვედრა, მათ შორის, გახლდათ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. შემდგომ უნივერსიტეტმა გამართა ბანკეტი კონფერენციის ყველა მონაწილესათვის, სადაც უკვე არაფორმალურ ვითარებაში გაგრძელდა მეცნიერთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კონფერენციამ მიაღწია თავის მიზანს: უმასპინძლა საერთაშორისო ექსპერტებსა და მეცნიერებს და გზა გაუხსნა დებატებს იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება აკვიატებულ რწმენებს.



Sapienza Università di Roma *LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

EXECUTIVE PROTOCOL
OF THE GENERAL CULTURAL AND SCIENTIFIC
COOPERATION AGREEMENT
BETWEEN
THE SAPIENZA UNIVERSITY OF ROME (ITALY)
AND
LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY (GEORGIA)

The Sapienza University of Rome, represented by the Rector Professor Eugenio Gaudio on the one hand and LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, represented by the Rector Professor Vladimer Papava on the other hand, agree on the following terms based upon the General Cultural and Scientific cooperation Agreement signed in 2015 between the two universities.

Article 1.
1. Scientific and educational cooperation between the Department of Modern and Contemporary History of the Sapienza University of Rome and the Institute of Georgian History of LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University shall be undertaken in the fields of:

a) Political History of South Caucasus and Georgia;
b) Cultural History, Ethnic and National Studies, Identity Studies;
c) Social and Economical History of Georgia and South Caucasus.

2. The cooperation between the Department of Modern and Contemporary History of the Sapienza University of Rome and the Institute of Georgian History of LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University shall be carried out on the basis of equal and mutual advantage.

Article 2.
1. In order to achieve the objectives set out in the above-mentioned first article, scientific and educational cooperation may be implemented in the following ways:

a) Exchange of academic staff;
b) Participation in research programmes;
c) Organizing scientific meetings, seminars and courses on subject(s) laid down in the agreement;
d) Exchange of scientific information and scientific materials;
e) Promotion of joint academic courses (MA and PhD).

Article 3
To realize the afore-mentioned paragraphs, it is possible to promote an exchange of scientific staff between both Universities, in accordance with the available budget. The exchange of academic staff shall, in all circumstances, be based on a condition of reciprocity.

Article 4
1. Two months prior to the intended starting date of planned activities, the respective representatives of both universities shall exchange all the necessary information about procedures, time and other details, required for the effective execution of the programme.
2. The respective representatives responsible for fulfilling the obligations under the present agreement will be Prof. Umberto Longo at the Sapienza University of Rome and Prof. Tedo Dundua and Prof. Mariam Chkhartishvili at the Institute of Georgian History of LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Article 5
Each contracting party shall ensure, in compliance with its respective laws and regulations, any kind of assistance and facilitations for scholars temporarily residing on its territory, allowing them to perform the assigned tasks under the provisions of this agreement.

Article 6
This executive protocol shall remain in force for one year, and shall be automatically renewed for an equal period, barring the communication expressed by either of the parties to withdraw, at least three months before its expiry.

Article 7
An arbitrators council, made up of one selected member from each contracting party and a jointly selected representative by both parties, shall resolve an eventual controversy concerning the interpretation and execution of this agreement.

Article 8
The present agreement has been drawn up in two original copies in English language, both have the equal legal power and are kept by the parties.

SAPIENZA UNIVERSITY OF ROME
Prof. Eugenio Gaudio
Rector

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
Prof. Vladimer Papava
Rector

Prof. Umberto Longo
Date: 26/02/2016

Prof. Tedo Dundua
Prof. Mariam Chkhartishvili
Date: 18.11.2015

INTERNATIONAL CONFERENCE “DYNAMICS AND POLICIES OF PREJUDICE FROM THE EIGHTEENTH TO THE TWENTY-FIRST CENTURIES”, Rome, June 23-24, 2016

Eter Tsertsvadze

One of the ancient universities in Europe – Sapienza University of Rome hosted international conference: “Dynamics and Policies of Prejudice from the Eighteenth to the Twenty-First Centuries”, on June 23-24, 2016. The conference papers were connected to dynamics of prejudice, xenophobia, and discrimination, ethnic and national conflict under historical perspectives. Conference had scientific board from Sapienza University of Rome, Bologna University, Laurentian University, Cyril and Methodius University of Skopje, Geneva University, University of Zagreb, University of Lisbon, Ivane Javakhishvili Tbilisi State university (representative: Prof. Mariam Chkhartishvili) and others.

Scientific committee welcomed not only experienced but young scholars for the conference. Conference days were full of interesting presentations and debates. Among participants were representatives from Ivane Javakhishvili Tbilisi State University: Prof. Mariam Chkhartishvili, Eter Tsertsvadze, Zurab Targamadze, Manuchar Guntsadze, Revaz Gvelesiani, Eka Lekashvili, Aleksandre Tsurtsumia.

Georgians visit to Rome was very successful. Prof. Mariam Chkhartishvili was given the memorandum that was signed earlier between Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Sapienza University of Rome foreseeing full-scale academic collaboration and student exchanges.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 60

მანუჩარ გუნცაძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი) ისტორია უკვე 60 წელს ითვლის, თუმცა მისი იდეა 1958 წლის 30 ივნისამდე – მის დაარსებამდე – უფრო ადრე გაჩნდა. მისი წინამორბედი ხელნაწერთა განყოფილება იყო, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 1930 წელს დაარსდა. განყოფილების მიზანი ხელნაწერების დაცვა, რესტავრაცია/კონსერვაცია, ფოტო ასლების შექმნა და, რაც მთავარია, შესწავლა გახლდათ.

ხელნაწერების მნიშვნელობიდან გამომდინარე და ასევე რაოდენობის ზრდის გამო, ცხადი შეიქმნა, რომ უმჯობესი იქნებოდა კვლევითი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რადგან მუზეუმის ბაზაზე არსებული განყოფილება საკმარისი აღარ იყო. თანაც ეს ხელს შეუწყობდა კვლევითი სამუშაოების გაზრდას და მეცნიერთათვის მასალებზე წვდომას.

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან აქტიურად დაიწყო ფიქრი ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებაზე. საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი ვ. ხატიაშვილი გზავნიდა წერილებს, როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან აკად. ნ. მუსხელიშვილთან, ასევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გ. ჯავახიშვილთან. ნერილებს ყოველთვის თან ახლდა მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელის ილია აბულაძის დასაბუთება.

მართალია, ხელნაწერთა ინსტიტუტი 1958 წელს დაარსდა, მაგრამ რამდენიმე წელი ის საქართველოს ეროვნული მუზეუმის შენობის ბაზაზე ფუნქციონირებდა. ინსტიტუტისათვის დაიწყო ახალი შენობის აშენება, რომელსაც არქიტექტორი გ. ლეჟავა ხელმძღვანელობდა. 1966 წელს კი ის ინსტიტუტს გადაეცა. ინსტიტუტის შენობა დაპროექტებული იყო მისი შემდგომში განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. დღევანდელ შენობას უნდა დამატებოდა მეორე, კიდევ უფრო მასშტაბური ნაგებობა, რომელიც ერთგვარი მასპინძლის როლს შეასრულებდა ცენტრში მოსული სტუმრებისათვის – იქნებოდა განთავსებული საგამოფენო სივრცეები, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკა და ა.შ.



ახალმა შენობამ, ინსტიტუტს მეტი მოქმედების საშუალება მისცა. სწორედ ამიტომ უფრო მეტი აქტიურობით დაიწყო ხელნაწერების შეგროვება. 1967 წელს გამოცემულ კრებულ „ძეგლის მეგობარში“ გამოქვეყნდა მოწოდება ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების შეკრებისაკენ, რომელსაც იმდროინდელი სამეცნიერო საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები აწერდნენ ხელს. მონოდების ნერილი ასე მთავრდება:

ახლად აღმოჩენილი უძველესი ნიგნი თუ სიგელ-გუჯარი – ეს ხომ ჩვენი წარსულის ახალი ფურცელია! ჩვენი დღევანდელი მეცნიერების ახალი წყარო! ჩვენი სულიერი კულტურის ახალი ძეგლი! მაშ, დავეხმაროთ ყველა!

ჩვენი ერთობლივი, საყოველთაო მოწოდებაც ამას ეხება: ან მაინც ნუ დავკარგავთ ნურც ერთ, ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერს! გულმოდგინედ ვეძიოთ, ხმა ვაწვდინოთ ყველას, შევაგონოთ, გამოვავლინოთ და შეკრიბოთ ხალხში გაფანტული ხელნაწერები, სხვა ნერილობითი ძეგლები, თუნდ ფრაგმენტებიც.

ვაცნობოთ ხელნაწერთა ინსტიტუტს, შევნიროთ, ან შესაძენად დავუთმოთ, რომ ჩვენს ნერილობით საუნჯეს მივუჩინოთ საიმედო ადგილი ეროვნულ საგანძურთსაცავში.

ჩვენც მოვიხადოთ ჩვენი ვალი ხელნაწერების ნინაშე!



მას შემდეგ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი რამდენიმე მიმართულებით განვითარდა. ცენტრში თავი მოიყარა, როგორც ისტორიული წყაროების მრავალფეროვანმა მასალამ ქართულ, აღმოსავლურ, დასავლურ ენებზე, ასევე ჩამოყალიბდა კვლევის რამდენიმე ძირითადი მიმართულება.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავები დაყოფილია რამდენიმე თემატიკით, სადაც უძველესი ხელნაწერებიდან მოყოლებული (პაპირუსები, ძველი პალიმსესტები და სხვ.) მეოცე და ოცდამეერთე საუკუნით დათარიღებული საარქივო მასალები ინახება. ცხადია, აღნიშნული მასალა თავისი შინაარსით და დატვირთვითაც მრავალფეროვანია, განსხვავებულია მათი როლი ისტორიაში და ზოგადად მეცნიერებაში. ის შეიძლება ასახავდეს როგორც ისტორიულ მოვლენებს, ასევე ნარმოდგენილი იყოს მეცნიერის ადამიანური მხარე, მისი განცდები, დარდები და იმედები. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირველი დირექტორის ილია აბულაძის საცავში დაცული დოკუმენტი, სახელნოდებით „ჩემი ანდერძი“:

ჩემი ანდერძი

ყველას ვთხოვ: ნურავინ დაინყებს იმის ძიებას, თუ რამ მომიღო ბოლო. ამაში არავის არ მიუძღვის ბრალი. ყველაფერი ჩემს ქკუისაგან არის. მე ვარ ჩემი თავის ბოლოს მომღები. ეს კი იმით იყო, რომ ეგოისტი გახლდით, გადაჭარბებით მიყვარდა ჩემიანები. მინდოდა ყველანი უკეთესზე უკეთესნი ყოფილიყვნენ, ამიტომ მათთვის არას ვიშურებდი. ეს კი მათ ანებივრებდა. შედარებითმა უზრუნველობამ ხასიათი გაუფუჭათ, თავისი ჟინის გატანას შეეჩვივნენ. სურვილი დაუოკებელი შეექმნათ. შივყევით ნებას, იქნებ მოითავონ-თქო, მაგრამ არა. თვითონ ჩვენ, მშობლები და ახლობლები მოგვათავეს. ეს კი, როგორც ვთქვი, მათი მიზეზით კი არ მომხდარა, არამედ ჩვენით, პირადად ჩემით. მე ვარ ბოროტების ძირი. ყველას გთხოვთ, ჩემს უბედურებაში ნურავის ადანაშაულებთ. ნუგეშად იქნებ ეს გამყვეს, რომ ანი მაინც ჩახვდებიან და კეთილ გზას დაადგებიან. ვისაც ჩემი ხათრი ან სიყვარული აქვს, ვთხოვ, ნუ მიტირებენ და მიგლოვენ, ისიც სახალხოდ. საკმარისია მხოლოდ ის თქვან ჩემზე, რომ „საცოდავო,

რა ახირებული იყავი, შეგენდოს შენი შეცოდებანიო". თუ სადმე ლხინებაა, ეს სიტყვები უფრო შემიმსუბუქებენ მე ცოდვათა ტვირთს, ვიდრე მოთქმა და ტირილი. გთხოვ ყველას, ეს ერთი შემისრულეთ: ნუ მიტირებთ, არამედ სიბრალულით მომეპყარით, შენდობა მიბოძეთ.

ქონება არაფერი მრჩება, ჩემი ავლა-დიდება ჩემი წიგნებია მხოლოდ. მათ კი ნუ გამიყიდით. დაიცავით დებმა და დისშვილებმა (ან გურამიმ და მისმა შვილებმა). იქნებ, თქვენში ვინმემ ქართული ან სომხური ისწავლოს და გამოიყენონ მათ ეს ბიბლიოთეკა. თუ მძიმე და საძნელო გახდება მისი დაცვა, მაშინც ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცით ჩემდა მოსაგონრად.

დაუბეჭდავი არაფერი მრჩება. ლექსიკონი მრჩება მხოლოდ, ისიც დაუმთავრებელი, ძვ. ქართულ-ახ. ქართული ლექსიკონი დავთრებში გადამქონდა სასტამბოდ. ბარათებზე კი ძველ ქართულ ძველი სომხურის მაქვს თავმოყრილი (აქედან ვკრებდი ძვ. ქართულ-ახ. ქართულს). ამას ვერავინ დაამთავრებს ჩემს გარდა. იქნებ, მომავალში ჩემიანებიდან ვინმე (დისშვილების ხაზით მაქვს იმედი, არ ეკარგაე ამას გურამის შვილების სახითაც) ისწავლოს ძველ ქართულ-ძველი სომხური და მათ გამოიყენონ ისინი.

მაპატიეთ, ხელცარიელი მოვედი ამ ქვეყნად და ხელცარიელი განვალ. ნუ მაგინებთ ამისთვის. იცის გამჩენმა, რომ არ მიფლანგავს, ჩემიანს ვახარებდი მხოლოდ.

ისევ და ისევ ვთხოვ, რასაკვირველია ჩემიანს, პირველ რიგში, – კურთხევით მომიხსენებდნენ.

სიბეჭე გამწახებული იღია
აბულაძე
1967.16.1.

სწორედ 60 წლის (რეალურად უფრო ადრე) წინ დაწყებული მასალის შეგროვების შედეგების და მათი კვლევის ნარმოსაჩენად, მიმდინარე წელს დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომელთა ნანილიც გათვლილი იყო ფართო საზოგადოებაზე, ხოლო ნანილი კი წმინდა სამეცნიერო ხასიათს ატარებდა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მიერ მომზადდა ოცდაათამდე ინფორმაციულ-შემეცნებითი ხასიათის ვიდეორგოლი. პროექტის სახელწოდება შინაარსობრივად სწორედ ცენტრის იუბილესთან იყო დაკავშირებული – „60 წლის 60 წამი". სიუჟეტში მოთხრობილი იყო საზოგადოებისათვის საინტერესო ამბები და ინფორმაციები როგორც ცენტრის საქმიანობასთან, ასევე აქ დაცულ მასალასთან დაკავშირებით.

სიუჟეტებში წარმოდგენილი მთხრობლები იყვნენ როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყველა თაობის ნარმომადგენელნი, ასევე სამეცნიერო საზოგადოების ცნობილი სახეები, სხვადასხვა სფეროს ცნობილი მოღვაწენი და, ზოგ შემთხვევაში, ასევე გამოყენებულ იქნა უკვე გარდაცვლილ პიროვნებათა საარქივო ჩანაწერი.

სატელევიზიო მედიის საშუალებით განხორციელებული მეორე პროექტი იყო „დღემდე მოტანილი ისტორია“, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია. პროექტის შედეგად შექმნილი ვიდეო რგოლების ტრანსლაცია აჭარის ტელევიზიაზე მიმდინარეობდა, რომლის მეშვეობითაც მაყურებელი ეცნობოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დანიშნულებას, იქ თავმოყრილი მასალის სახეობებსა და, კონკრეტულად მასალას, რომელთა ნინასნარ შერჩეული ერთეულებიც იყო ნაჩვენები.

ამას თან დაერთო მეორე აქტივობა – რა არის თქვენთვის ხელნაწერი? – რომლიც მეშვეობითაც ცნობადი თუ უცნობი პიროვნებები წარმოადგენდნენ თავიანთ დამოკიდებულებას, თუ რასთან ასოცირებოდა მათთვის ხელნაწერი:

ლევან ბერძენიშვილი – ხელნაწერი არის საგანძური, რომელიც არ იწვის;
დათო ტურაშვილი – ხელნაწერი საიდუმლოს ამოხსნაა;
რატი ამაღლობელი – ხელნაწერი ღმერთის ცა და ვარსკვლავებია, ადამიანებიც აქედან (ი)წერენ;
ლაშა ბუღაძე – ხელნაწერი ჩემთვის არის მეხსიერება, უწყვეტელობა;
ნიკოლოზ წულუკიძე – ხელნანერი ცნობიერების კარდიოგრამა;
დათო ევგენიძე – თუ რამე მაქვს აღსანერი, თვალწინ არის ხელნაწერი;
გიორგი შარვაშიძე – ხელნაწერი ჩვენი საუნჯეა;
ლაშა ბაქრაძე – ხელნაწერი არის განუმეორებელი, ინდივიდუალური გამოხატვის ფორმა;
და ა.შ.

პოპულარულ ხასიათს ატარებდა კიდევ ორი ღონისძიება. პირველი ეს იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო პავილიონის გახსნა 20 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით – რუსთაველის გამზირზე – სადაც ნებისმიერ გამვლელს შეეძლო დაეთვალიერებინა ცენტრში დაცული გამორჩეული მასალის მცირე ნანილი და ასევე დაეტოვებინა საკუთარი ხელნაწერი. ხოლო მეორე ღონისძიება, ეს იყო „ხელნაწერის კვირა“, რომელიც თბილისი მოლში (Tbilisi Mall) 30 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა. ღონისძიების ფარგლებში, მოხდა მიხაი ზიჩის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ილუსტრაციის გაცოცხლება 3D ფორმატში. თბილისი მოლის მთავარ სივრცეში წარმოდგენილი იყო გადაშლილი დიდი წიგნი, რომლის ფურცელიც წარმოადგენდა ფონს, რათა სტუმარს თავი წარმოედგინა მიხაი ზიჩის ილუსტრაციაში წარმოდგენილი თამარ მეფის ან და შოთა რუსთაველის როლში.





მთავარი ღონისძიება იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“ (28-30 ივნისი). კონფერენიცია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. კონფერენციის თემატიკა იყო: კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, ხელნაერი ნიგნის ხელოვნება, ხელნაერთა რესტავრაცია-კონსერვაცია.

აღნიშნული ჩამონათვალის გარდა, კონფერენციაზე ცენტრის თანამშრომლების მიერ აგრეთვე წარმოდგენილი იყო ანგარიშის ხასიათის მოხსენებები, სადაც აღნიშნული იყო ბოლო პერიოდის ის სამუშაოები, რომლებიც სხვადასხვა განყოფილებებში მიმდინარეობდა. კონფერენციის უცხოელი მონაწილეების უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ ის მკვლევრები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დაკავშირებულნი არიან ცენტრთან.

სამეცნიერო კონფერენციის დროს მუშაობდა შემდეგი სექციები: 1. ძველი ქართული ფილოლოგია; 2. წყაროთმცოდნეობა; 3. ხელოვნებათმცოდნეობა; 4. არქივთმცოდნეობა; 5. კულტურული მემკვიდრეობის კვლევის მეთოდოლოგია XXI საუკუნეში.

კონფერენციის ფარგლებში ასევე გაიმართა ორი პროექტის პრეზენტაცია. პირველი ეს იყო: „ქართული ხელნაწერი საზღვარგარეთ“, რომლის მონაწილეებიც არიან – მაია კარანაძე, ვლადიმერ კეკელია, ზურაბ სამარღანიშვილი, ლელა შათირიშვილი, ნესტან ჩხიკვაძე. ხოლო მეორე: „ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობა“. პროექტის მონაწილეები არიან: ეთერ ედიშერაშვილი, მაია კარანაძე, ნიკოლოზ ჟღენტი, მზია სურგულაძე, ლელა შათირიშვილი, ნესტან ჩხიკვაძე და ნათია ხიზანიშვილი.

ასევე მოეწყო წიგნების პრეზენტაციები:

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული კორპუსი, 7 ტომად, Brepols Publishers, 1998-2018, ნინო მელიქიშვილი;

უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში. ილუსტრირებული კატალოგი, თბილისი, 2018, შემდგენლები: ვლადიმერ კეკელია, ნათია მიროტაძე, თამარ ოთხმეზური, დალი ჩიტუნაშვილი. რედ. თამარ ოთხმეზური;

პუნქტუაცია ქართულ ხელნაწერებში (V-XII სს.) თბილისი, 2018, ლამარა ქაჯაია.

კონფერენციის პროგრამის და თეზისების ელექტრონული ვერსიები განთავსდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (www.manuscript.ge) , რომელთა ნახვაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენდა 30 ივნისს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენის – „ჩვენი მეხსიერება“ – გახსნა, რომლის მიზანიც იყო ცენტრში დაცული მრავალფეროვანი კოლექციის (ძველი ქართული ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები, აღმოსავლური და სხვა ენოვანი ხელნაწერები, საარქივო მასალა, რარიტეტული გამოცემები, საზოგადო მოღვაწეთა მემორიალური ნივთები, ფოტო, აუდიო, ვიდეო და მიკრო ფირები) საზოგადოებისათვის გაცნობა და ერთგვარად შეხსენება. საგამოფენო ექსპოზიცია ერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლისთვისაც შერჩეული იყო 40-მდე ექსპონატი. შერჩეულ მასალას შორის იყო: V საუკუნის პალიმფსესტები, ასტროლოგიური ტრაქტატი, ქიმიის წიგნი. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა, ბერძნული, სომხური, გერმანული, მონღოლური, ოსმალური და სხვა უცხოენოვანი ხელნაწერები, სხვადასხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწის პირადი არქივები და სხვა.

GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS 60

Manuchar Guntsadze

60 years passed after foundation of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. On the basis of Manuscript Department of National Museum new research centre was established in 1958. It had function of museum and warehouse as well. In a few years after the foundation separate building was built for the centre. That pushed to expand scientific researches and increased number of saved collections.

At present, numerous old Georgian manuscripts, oriental and others, historical documents, papyruses, personal archives of prominent figures in XIX-XX cc., photos and microfilms, old printed books and memorial possessions are preserved in Georgian National Centre of Manuscripts.

2018 was full of events because of 60th anniversary: organized exhibitions, prepared cognitive video clips. One of the main events was international conference dedicated to the 60thanniversary of the centre. The participants from many different countries represented various fields of researches.

ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის 23-ე კონგრესი

გიორგი მაჭარაშვილი

2016 წლის 22-27 აგვისტოს ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციამ (AIEB – Association International des Etudes Byzantines) მორიგი კონგრესი გამართა. ამჯერად ბიზანტინოლოგთა 23-ე საერთაშორისო კონგრესს (ICSB – International Congress of Byzantine Studies) სერბეთის დედაქალაქმა ბელგრადმა უმასპინძლა (ბელგრადში აღნიშნული კონგრესი 1927 წელსაც ჩატარდა). ეს არის მეტად ავტორიტეტული და ტრადიციული სამეცნიერო ფორუმი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად ბიზანტინოლოგთა მსოფლიო კონგრესი 1924 წელს გაიმართა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. თავდაპირველად იგი ორ-სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, 1961 წლიდან კი კონგრესი ყოველ მეხუთე წელს ტარდება სხვადასხვა ქალაქში (წინა, 22-ე კონგრესი 2011 ნელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა).

23rd
International Congress of
BYZANTINE STUDIES
Belgrade, 22-27 August 2016

ბიზანტინოლოგთა 23-ე საერთაშორისო კონგრესი გაიმართა სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და იუნესკოს პატრონაჟით. კონგრესის ოფიციალური სამუშაო ენები იყო ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, იტალიური და რუსული. მის მუშაობაში 50-მდე ქვეყნის მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლებიც იყვნენ.

კონგრესს მეტად დატვირთული და მრავალფეროვანი პროგრამა ჰქონდა. საზეიმო გახსნისა და პლენარული სხდომის შემდეგ კონგრესის მონაწილეებმა მუშაობა განაგრძეს თემატურ სესიებში, მოეწყო სადისკუსიო მრგვალი მაგიდები. ოფიციალურ გახსნაზე კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ტომისლავ ნიკოლიჩმა (Tomislav Nikolić); ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა იოჰანეს კოდერმა (Johannes Koder); სერბეთის ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტმა, ბატონმა ლიუბომირ მაქსიმოვიჩმა (Ljubomir Maksimović). კონგრესის საზეიმო გახსნას დაესწრო სერბეთის პატრიარქი, მისი უწმიდესობა ირინეოსი.

სერბეთის პრეზიდენტმა კონგრესის მონაწილეებს თავის სასახლეშიც უმასპინძლა. მოგვინებით სტუმრებს ოფიციალური მიღება გაუმართა ბელგრადის მერმა ბატონმა სინისა მალიმ (Siniša Mali).



კონგრესის ფარგლებში მოეწყო არაერთი გამოფენა, მუსიკალური საღამო, კინოჩვენება. გამოფენები მიეძღვნა სერბულ ხელნაწერებს, ბიზანტიურ არქიტექტურას, სერბულ ხატწერას, ჰიმნოგრაფიასა და საგალობლებს; ათონის მთას მიეძღვნა ორი გამოფენა; გაიმართა ასევე ნიგნების გამოფენა-გაყიდვა; მოეწყო შვიდი ექსკურსია.

კონგრესის სხდომები ჩატარდა ბელგრადის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კორპუსსა და სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიაში.

მრგვალი მაგიდები და თემატური სესიები მიეძღვნა ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის, კანონიკური სამართლის, ხელოვნების, არქეოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიოგრაფიის საკითხებს. ერთ-ერთი სექცია დაეთმო შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას.

საქართველოდან კონგრესის მუშაობაში შვიდი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. ნანა ბურჭულაძის მოხსენება სინურ ხატწერას შეეხებოდა; ეკატერინე გედევანიშვილმა იკვის ტაძრის ფრესკების შესახებ ისაუბრა; ირინე გივიაშვილმა ხახულის კარედთან დაკავშირებით გააკეთა მოხსენება; მარინე გიორგაძემ ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის შესახებ; ეკატერინე დუღაშვილმა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ძველ

ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით; ელისო ელიზბარაშვილმა ბიზანტიურ-ძველქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის შესახებ; ნათელა ვაჩნაძემ წმ. ათენაგენას ცხოვრების ძველ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით; ლერი თავაძემ ქართულ მონეტებზე წარმოდგენილი ბიზანტიური იკონოგრაფიის თაობაზე; ხათუნა თოდაძემ უცნობი ქართული ტიპიკონის შესახებ; ეკატერინე კვაჭატაძემ ძველი ქართული სატაძრო დეკორიის შესახებ; გიორგი მაჭარაშვილმა ქართულ ჰაგიოგრაფიაში დასავლეთის ქრისტიანებთან დაკავშირებული ცნობების შესახებ; ერეკლე ჟორდანიამ ბიზანტიურ პონტოსთან საქართველოს ურთიერთობების შესახებ; ქეთევან ტატიშვილმა ქართველი ათონელი მამების ჰიმნოგრაფიულ თხზულებებზე; ნინო ქავთარიამ გელათის სახარებასთან დაკავშირებით; ნინო ჭიჭინაძემ შუა საუკუნეების ქართველი ოსტატების გამოსახულებების შესახებ; ელგუჯა ხინთიბიძემ ვარლაამისა და იოასაფის შესახებ.

კონგრესზე საქართველოსა და ქართველების შესახებ ასევე არაერთმა უცხოელმა დელეგატმა ისაუბრა. ზოგიერთმა მათგანმა უშუალოდ ქართველოლოგიის ამა თუ იმ პრობლემას მიუძღვნა თავისი მოხსენება, ზოგიერთმა კი, მართალია, სხვადასხვა საკითხებზე წარმოადგინა პრეზენტაცია, მაგრამ მათში ქართველოლოგიის თემატიკასაც შეეხო. მოკლედ წარმოვადგენთ ინფორმაციას, თუ კერძოდ რა საკითხებზე ისაუბრეს უცხოელმა მომხსენებლებმა: პაოლო ანგელინი (Paolo Angelini / Department for Roman law and legal history, Faculty of law, KU Leuven) ბიზანტიური კანონიკური სამართლის ძეგლების ქართული თარგმანების შესახებ; არფინე ასრიანი (Arpine Asryan / National Academy of Sciences of Armenia, Institute of Art, Yerevan) ტაო-კლარჯეთის ტაძრების დეკორის შესახებ; ტანია ბარდაშოვა (Tanja Bardashova / University of Cologne, Germany) ტრაპიზონის იმპერიისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ; სიმონ ბენდელი (Simon Bendall / London) ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესახებ; ფრანკო დაიმი, ჯონგ დრაუშკე, იოჰანეს პალიჩი (Falko Daim, Jörg Drauschke / Römisch-Germanisches Zentralmuseum; Johannes Pahlitzsch / Johannes Gutenberg-Universität Mainz, Germany) ადრეული იერუსალიმური ევქოლოგიონის ქართული თარგმანის შესახებ; ალექსანდრა ევდოკიმოვა (Alexandra Evdokimova / Russian Academia of Sciences, Institute of Linguistic, Moscow) საქართველოში არსებული ბიზანტიური გრაფიტების შესახებ; ანდრეი ვინოგრადოვი (Andrey Vinogradov /National Research University, Moscow) საქართველოში არსებული ბიზანტიური ნარწერების შესახებ; მილოშ ზილკოვიჩი (Miloš Živković, Institute for Byzantine Studies, Serbian Academy of Sciences and Arts) მესტიის მუზეუმში დაცული ხატების შესახებ; ფლორა კარაგიანი(Flora Karagianni / European Centre for Byzantine and Post-Byzantine Monuments, Thessaloniki, Greece) ტაო-კლარჯეთის ტაძრების შესახებ; ანდელია კოზაკიევიჩი (Anđelija Kozakijević / University of Belgrade, Serbia) ქართული ფრესკების შესახებ; ალექსანდრა ნიკიფოროვა (Alexandra Nikiforova / Rheinische friedrich-Wilhelms-Universität, Bonn, germany) ქართული ლექციონარის შესახებ; კატერინა ნიკოლაუ (Katerina Nikolaou / National and Kapodistrian Universityof Athens, Athens, Greece) ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობისა და მეფე გიორგი პირველის შესახებ; ქრისტიან სანერი (Christian Sahner / St. John's College, University of Cambridge) ქართულ ხელნაწერებში ხატმებრძოლობის დროს წამებული

ნმინდანების შესახებ არსებულ ცნობებთან დაკავშირებით; ანკა მიხაელა საპოვიჩი (Anca Mihaela Sapovici / Institute of Linguistics, Romanian Academy) ანთიმოზ ივერიელის შესახებ; ეკატერინა სმირნოვა (Ekaterina Smirnova / Moscow State University) ზარზმის ეკლესიისა და ქართული სატაძრო არქიტექტურის შესახებ; მანია ერნა შირინიანი (Manya Erna Shirinyan / Yerevan State University, Institute of Ancient Manuscripts) სომხური, ეთიოპიური და ქართული წყაროების შესახებ იმასთან დაკავშირებით, როგორ ხდებოდა ადრეულ პერიოდში ეკლესიის მართვა; ერგა შნეურსონი (Erga Shneurson / Israel) ოშკის ტაძის ფასადის შესახებ; ელიზაბეთ ჩატზიანტონიუ (Elisabeth Chatziantoniou /Aristotle University of Thessaloniki, Greece) ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების შესახებ მე-11, მე-12 საუკუნეებში; ჟან-კლოდ ჩეინეტი (Jean-Claude Cheynet /// Université Paris Sorbonne, France) ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ მე-11 საუკუნის პალესტინის მაგალითზე; ზაქარია ჩიტვუდი (Zachary Chitwood / Humboldt-Universität zu Berlin) სირიაში შავ მთაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ; თინათინ ქრონზი (Tinatin Chronz / University of Cologne, Germany) ადრეული იერუსალიმური ევქოლოგიონის ქართული თარგმანის შესახებ; ქრისტიან ჰოგელი (Christian Høgel /Centre for Medieval Literature, University of Southern Denmark, Odense, Denmark) ბალავარიანის ქართული თარგმანის შესახებ. ბიზანტინოლოგთა მომდევნო, 24-ე საერთაშორისო კონგრესი გაიმართება 2021 ნელს ქალაქ სტამბულში.

23RD INTERNATIONAL CONGRESS OF BYZANTINE STUDIES

Giorgi Macharashvili

It has become a tradition that International Association of Byzantine Studies hosts international conferences. At this time the host country was Serbia and it was patronaged by UNESCO and president of Serbia. Official working languages were English, French, German, Greek, Italian and Russian.

Approximately 50 countries were involved to the conference. Participants were from Georgia as well. After opening and plenary sessions the congress continued working in different thematic sessions. It is announced that 24th international Byzantine Studies congress will be held in Istanbul, 2021.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „წმინდა ანთიმოზ ივერიელი (†1716) ევროპული და კავკასიური კულტურა და სულიერება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში“

ზურაბ თარგამაძე

2016 წლის 15-18 სექტემბერს რუმინეთში, ქალაქებში კონსტანცასა და რამნიქუ-ვალქეაში, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის იურიდიულ-კანონიკური სწავლებისა და სამი მონოთეისტური რელიგიის: მოსეს სჯულის, ქრისტიანობისა და ისლამის კვლევის ცენტრისა და სილეზიის კატოვიცეს უნივერსიტეტის (პოლონეთი) თანამშრომლობით, ჩატარდა წმინდა ანთიმოზ ივერიელის მოწამეობრივი აღსრულების სამასი წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი.

ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა პატივი მიაგეს წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსოვნას. აღნიშნეს მისი განსაკუთრებული სასულიერო, საგანმანათლებლო და კულტურული ღვაწლის შესახებ, როგორც რუმინეთის, ასევე საქართველოს წინაშე. მისი განსაკუთრებული ნვლილის შესახებ მღვდელმსახურებაში რუმინული ენის დანერგვის, მისი სალიტერატურო ფორმით განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, ანთიმოზ ივერიელის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ზოგადად კავკასიური და ევროპული კულტურების განვითარებაში.

კონფერენციის მონაწილეთა შორის გახლდნენ როგორც რუმინეთის, ასევე საქართველოს, მაკედონიისა და ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. პლენარულ სხდომებზე გამოსვლები მიეძღვნა ანთიმოზ ივერიელის ღვაწლისა და დამსახურების სხვადასხვა მომენტების აღნიშვნასა და ხაზგასმას.

15 სექტემბერს, სიმპოზიუმის გახსნის პირველ დღეს, სხდომის წამყვანი გახლდათ პროფესორი ნიკოლაი დურა. შესავალი სიტყვა „ანთიმოზ ივერიელი – სულიერი განმანათლებელი და წმინდა აღმსარებელი“ წარმოთქვა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრმა, ტომის არქიეპისკოპოსმა დოქტორმა თეოდოს პეტრესკუმ. გახსნის

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი დორუნ საბინ დელიონი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, რუმინეთში საქართველოს კონსული გიორგი ციკარიშვილი; ფილოსოფიის, თეოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ჟურნალისტიკის დეპარტამენტის პრეზიდენტი დოქტორი ანგელა ბოტეზი, მედიცინის მეცნიერებათა დეპარტამენტის პრეზიდენტი პროფესორი დან რიგა, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის კონსტანცას ფილიალის პრეზიდენტი პროფესორი ვიქტორ ჩუპინა, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის რექტორი და რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი სორინ რუჯინა, ქალაქ კონსტანცას მერი დეჩებალ ფაგადაუ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი. სიტყვით გამოვიდნენ რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ნიკოლაი დურა და რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი მიჰაი ბადესკუ.

პირველი პლენარული სხდომის ნამყვანები გახლდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე და პროფესორი დურუ საბინ დელიონი. პრეზენტაციები გააკეთეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მარიამ ჩხარტიშვილმა; არქიმანდრიტმა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა მამა ადამ (ვახტანგ) ახალაძემ; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან პავლიაშვილმა; თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა რამაზ შენგელიამ; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ბადრი ფორჩხიძემ.

მეორე პლენარულ სესიას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: ანგელა ბოტეზი და ვიქტორ ჩუპინა. პირველები მოხსენებით წარსდგნენ დოქტორები ანგელა და ვიქტორ ბოტეზები (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია). მათ შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს დოქტორებმა დან და სორინ რიგებმა (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია), პროფესორმა ვიქტორ ჩუპინამ (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია), დოქტორებმა ჰენრიეტა ანისორა შერბანმა (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერებათა ინსტიტუტი) და ელენა ლაზარიმ (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია), პროფესორმა მარინ პეტრისორმა (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტი), პროფესორმა მიჰაი ბადესკუმ (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, ტიტუ მაიორესკუს უნივერისტეტი). ბოლო მომხსენებელი გახლდათ პროფესორი იოან როშკა (ბუქარესტის სპირუ ჰარეტის უნივერსიტეტი).

მესამე პლენარული სხდომის მოდერატორები გახლდნენ პროფესორები დან და სორინ რიგები. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა ნისტორ ბარდუმ (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი), დოქტორმა კარმენ ჩორნამ (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი), პროფესორმა სტოიკა ლასკუმ (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტიდან, ასისტენტ პროფესორმა ანდრეი ტინუმ

და დოქტორმა კატალინა ბობოკმა (სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, ბუქარესტის ტიტუ მაირესკუს უნივერსიტეტი), პროფესორმა გეორგე დანიშორმა (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, კრაიოვას უნივერსიტეტი).

მესამე პლენარული სხდომის პერიოდში მიმდინარეობდა პარალელური სესიაც, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორი ბოგდან მოისე, ასოცირებული პროფესორები კატალინა მიტიტელუ და ბოგდან ჩირილუტა. მოხსენებები წამრმოადგინეს პროფესორმა თეოდოს პეტრესკუმ და ასოცირებულმა პროფესორმა ბოგდან ჩირილუტამ (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერისტეტი), პროფესორმა ბოგდან მოისემ (კონსტაცას ოვიდიუსის უნივერისტეტი), პროფესორმა დანუ პოპოვიჩმა (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერისტეტი), ნეჩიტა რანკანმა (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერისტეტი), პროფესორმა პიოტრ კროჟეკმა (პაპ იოანე პავლე მეორის სახელობის კრაკოვის უნივერსიტეტი), ასოცირებულმა პროფესორმა კატალინა მიტიტელუმ (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი), ასოცირებულმა პროფესორმა დამენ დორუმ (კონსტანტას ოვიდიუსის უნივერისტეტი), დოქტრომა იოსიფ გიულაი მურეშანმა (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი), დოქტორმა პანს ჰოსევმა (სკოპიის ოჰრიდის წმინდა კლემენტის სამართლამცოდნეობის ფაკულტეტი), დოქტორმა სტეფან ლეოკამ (კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტი), დოქტორმა პეტრიკა პირლამ (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი) და პროფესორმა ნიკოლაი დურამ (კონსტანცას ოვიდიუსის უნივერისტეტი). სესია დასრულდა მეგობრული ვახშმით.

16 სექტემბერს სიმპოზიუმის მონაწილეები, ქალაქ კონსტანცადან გაემგზავრნენ რამნიქუ-ვალქეაში. გზად ბუქარესტში მოინახულეს წმინდა ანთიმოზ ივერიელის მონასტერი და კურტა დე არჯეს მონასტერი.

სიმპოზიუმის მესამე დღეს, მეოთხე პლენარული სესიის გახსნის ღონისძიების მოდერატორი გახლდათ პროფესორი ნიკოლაი დურა. მონაწილეებსა და დამსწრეებს სიტყვით მიმართეს, დოქტორმა ვარსანუფიე გოჯესკუმ (რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი), პროფესორმა თეოდოს პეტრესკუმ, გიორგი კვესიტაძემ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა), მირჩა გატაუმ რამნიქუ-ვალქეას მერი) და პროფესორმა გიორგი ალიბეგაშვილმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე).

მეოთხე პლენარულ სესიაზე მოხსენებები წარმოადგინეს პროფესრმა გიორგი ალიბეგაშვილმა, საპარტიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორმა ზვიად ტყეშელაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის დოქტორანტებმა მიხეილ ქართველიშვილმა და ზურაბ თარგამაძემ.

სესიის დასრულების შემდეგ, შეჯამდა წარმოდგენილი მოხსენებები და სიმპოზიუმის მუშაობა. მონაწილეები დაესწრნენ ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ასევე მოეწყო გასვლითი კულტურული ტური ქალაქში. დღე დასრულდა მეგობრული ვახშმით. 18 სექტემბერს ოფიციალურად დაიხურა წმინდა ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი, გაიმართა გამოსამშვიდობებელი სადილი.

INTERNATIONAL SYMPOSIUM
"ST. ANTIM THE IBERIAN (†1716). THE EUROPEAN AND CAUCASIAN CULTURE AND SPIRITUALITY FROM LATE 17TH CENTURY AND EARLY 18TH CENTURY"

Zurab Targamadze

The International Symposium dedicated to the commemoration of 300 years since the martyrdom of St. Anthim the Iberian, organized by the Academy of Romanian Scientists, Georgian National Academy of Sciences, Centre for Religious and Juridical-Canonical Study and Research of the Three Monotheistic Religions: Mosaic, Christian and Islamic (Ovidius University of Constanta, Romania), in collaboration with the University of Silesia in Katowice (Poland). Symposium was held at Constanta and Rumnicu-Valcea on September 15-18, 2016.

Among Georgian participants were: Professor Giorgi Kvesitadze (President of Georgian National Academy of Sciences), Professor Giorgi Alibegashvili (Chairman of Tbilisi City Municipal Assembly), Archimandrite, Professor Adam (Vakhtang Akhaladze) (St. King Tamar University of Patriarchate of Georgia), Professor Mariam Chkhartishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Professor Ketevan Pavliashvili (St. King Tamar University of Patriarchate of Georgia), Assist. Prof. Zviad Tkeshelashvili (St. King Tamar University of Patriarchate of Georgia), PhD student Michael Kartvelishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), PhD student Zurab Targamadze, (Ivane Javakhishvili Tbilisi State University).

Participants attended the exhibition dedicated to the St. Antim the Iberian. There was also an outdoor tour in the city. The conference was ended with a friendly dinner. The scientific symposium dedicated to St. Antimos Iverieli was officially closed on September 18.

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველენი“

ზურაბ თარგამაძე

2017 წლის 27-29 იანვარს ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრის „უცნობი საქართველოს“ ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და თბილისის მერიის მხარდაჭერით გუდაურსა და თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის ფარგლებში მუშაობდა არქეოლოგიის, ეთნოლოგიის/ფოლკლორის/ტურიზმის, ისტორია/წყაროთმცოდნეობა/დემოგრაფიისა და ფილოლოგია/ენათმეცნიერების სექციები. მონაწილეთა შორის იყო საქართველოს, ინგუშეთის, ყარაჩა-ჩერქეზეთის, იაპონიის, შოტლანდიისა და პოლონეთის ოთხ ათეულამდე წარმომადგენელი.

II საერთაშორისო კონფერენცია „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველენი“ გახლდათ ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრის „უცნობი საქართველოს“ (თავმჯდომარე: ოქროპირ ჯიქური) ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელებული რიგით მეორე ღონისძიება. აღნიშული ორგანიზაციის წარმომადგენლები პროფესორ თემურ ჯოჯუას ხელმძღვანელობით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აწყობდნენ სამეცნიერო ექსპედიციებს ხადას ხეობაში. საველე სამუშაოების შედეგად გამოვლინდა საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა, რომელთა შესახებაც მოხსენებები ნაკითხულ იქნა პირველ და მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველენი“.

კონფერენცია მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, მისი სესიები მიმდინარეობდა სამეცნიერო დისკუსიებისა და კამათის ფონზე. კონფერენციის ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები ავტორთა მხრიდან წარმოდგენილი და განხილული გახლდათ კომპლექსურად, თითოეულმა მომხსენებელმა განსხვავებული რაკურსით გააშუქა საქართველოს მთიანეთის ისტორია და მის წინაშე მდგარი გამოწვევები, გამოიკვეთა მრავალი მნიშვნელოვანი გარემოება და კვლევის გაგრძელების აუცილებლობა.

2ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE "HISTORY AND ANTIQUITIES OF THE HIGHLANDS OF EASTERN GEORGIA"

Zurab Targamadze

On January 27-29, 2017 under the initiative of the Center of Young Scientists "Unknown Georgia" 2nd International Scientific Conference "History and Antiquities of the Highland of Eastern Georgia" was held in Gudauri and Tbilisi. International conference was supporting by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Children and Youth Development Fund and Tbilisi City Hall. During the conference worked out the sections of Archeology, Ethnology/Folklore/Tourism, History/Sociology/Demography and Philology/Linguistics. Among the participants were eighty-one representatives of Georgia, Ingushetia, Karachay-Cherkessia, Japan, Scotland and Poland.

The conference was the second event organized by the initiative of the Center of Young Scientists "Unknown Georgia" (Chairman: Okropir Jikuri). During the few last years, under the leadership of Professor Temur Jojua, representatives of mentioned center, organized scientific expeditions in Khada Gorge, where revealed many interesting and varied materials. Results of the expeditions were presented on the first and second international scientific conferences "History and Antiquities of the Highlands of Eastern Georgia".

The presentations were accompanied by discussions and debates. Presented works complexly analyzed the issues of history of the highlands of Eastern Georgia. All the contributors covered the history and modern challenges faced to these regions, from the different point of view. During the conference were outlined many important facts and necessity to continue research.

საერთაშორისო კონფერენცია „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“

მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი

ისტორია არის მეცნიერება, რომლის მიზანს წარმოადგენს წარსულის რეპრეზენტაცია. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი ისტორიული წყაროების ზედმიწევნით ცოდნა. წყაროთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავად ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ზემოთქმულიდან გამომდინარე ნარმატებული ისტორიული პრაქტიკისათვის აუცილებელია მაღალი დონის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები. წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის დარგში მიღებულ შედეგებს აქვთ ისტორიული რეპრეზენტაციისაგან დამოუკიდებელი სამეცნიერო მნიშვნელობაც.

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიებანი ისტორიის, როგორც ცოდნის გარკვეული სფეროს, ჩამოყალიბებისთანავე ჩნდება, თუმც მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მეცხრამეტე საუკუნიდან, როცა ისტორია გადაიქცევა სამეცნიერო დისციპლინად. საქართველოში სამეცნიერო დონეზე სპეციფიკურად წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევების დასაწყისი უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელს.

კონფერენციის ემბლემა.
ფსალმუნთა ქართული თარგმანის ფრაგმენტი მეათე საუკუნის ხელნაწერი. შესრულებულია ქართული ასომთავრულ დამწერლობით. სანერი მასალა: ეტრატი. დაცულია ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილების ხელნაწერთა ფონდში. 2015 წელს, ეროვნული არქივის შვიდ სხვა ხელნაწერთან ერთად, შეიტანეს იუნესკოს მსოფლიო შემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნული მიმართულებით ძიებანი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება. ამის მაჩვენებელია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოცემები, სპეციალური სამეცნიერო უჯრედების აღმოცენება, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო მედიის წარმოშობა, დისერტაციების დაცვისას ამ დარგების ცალკე სპეციალობად განსაზღვრა და მისთვის ისტორიისაგან განსხვავებული შიფრის მინიჭება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის დაფუძნებაც, რომელიც საქართველოს ისტორიის ქართულ და უცხოურ წყაროებს გამოსცემდა სპეციალურ სერიაში.

საქართველოში წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები წარმოებს არაერთ სასწავლო და კვლევით დაწესებულებაში. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ისტორიის განყოფილებების გარდა ცალკე არსებობდა წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის განყოფილებები. ინსტიტუტის რეორგანიზების შემდეგ დღეს ადრე არსებულთა ბაზაზე მუშაობას განაგრძობს „შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის“ განყოფილება.

მონაწილეთა რეგისტრაცია

კონფერენციის პირველი პლენარული სხდომის დაწყებამდე

ჯერ კიდევ ინსტიტუტის რეორგანიზებამდე წყაროთმცოდნეობის განყოფილების ეგიდით რეგულარულად ეწყობოდა ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციები. ისინი საქართველოს ისტორიის წყაროების კვლევის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნებოდა.

აკადემიკოს როინ მეტრეველის შესავალი სიტყვა

გასულ საუკუნეში წყაროთმცოდნეობითი კონფერენციების მთავარი ინიციატორი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ კიკნაძე. 1989 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ სულ ორიოდე ასეთი კონფერენცია ჩატარდა.

2013 წელს სწორედ რ. კიკნაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისი მონაფეების ინიციატივით გადაწყდა წყაროთმცოდნეობითი კონფერენციების ჩატარების განახლება. მართლაც, რ. კიკნაძის მოწაფეების ინიციატივით და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის და თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ძალისხმევით ჩატარდა კონფერენცია 2013 წლის 30–31 მაისს, რომელსაც სამეცნიერო ნრეებში ჰქონდა დიდი რეზონანსი. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა წამყვანი სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლებმა.

2013 წელს ჩატარებული კონფერენცია ტრადიციას აგრძელებდა, მაგრამ ის მნიშვნელოვანი სიახლის მატარებელიც იყო: წყაროთმცოდნეობას მიემატა ისტორიოგრაფია. ამის მიზეზი საორგანიზაციო ჯგუფის მიერ იმის გაცნობიერება გახლდათ, რომ ყველაზე ნაკლებად ქართულ საისტორიო მეცნიერებაში დღეისათვის სწორედ ისტორიოგრაფია არის განვითარებული. ეს დასკვნა საორგანიზაციო ჯგუფმა გააკეთა დეტალური კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდა საგრანტო პროექტის „ქართული ისტორიული აზრის ისტორია: ადამიანები, ფაქტები, იდეები" (სამეცნიერო ხელმძღვანელი მ. ჩხარტიშვილი მომზადების პროცესში. დღეს ეს პროექტი დაფინანსებულია და წარმატებით ხორციელდება კიდეც.

ტრადიციის შემდგომი გაგრძელება იყო 2017 წლის 18-21 ოქტომბერს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები," რომლის ინიციატორები და მთავარი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის *საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია* (თავმჯდომარე აკად. რ. მეტრეველი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის

აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის მისალმება

თსუ რექტორის მოადგილის
მიხეილ ჩხენკელის მისალმება

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის
პროფესორ ზურაბ ხონელიძის მისალმება

ვარშავის უნივერსიტეტის
პროფესორის რიჩარდ კულეშას მისალმება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის *შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის* განყოფილება (გამგე პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი). ორივე ეს უჯრედი ნლების განმავლობაში ინტენსიურად თანამშრომლობს და მათი ძალისხმევით არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული კონფერენცია იქნა ინიცირებული და ნარმატებით განხორციელებული გასული საუკუნის სამოცდაათიანი ნლებიდან მოყოლებული. ამ თანამშრომლობას საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა რევაზ კიკნაძემ.

პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის მისალმება

მონვეული მომხსენებლის აკადემიკოს ლიდოვის
პრეზენტაცია „ნმინდა სივრცეები როგორც საისტორიო
ნყარო: ჰიეროტოპიული მიდგომა“

საორგანიზაციო კომიტეტი აერთიანებდა უფროსი თაობის მეცნიერებს, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ არა მარტო სამეცნიერო კვლევის, არამედ მეცნიერების ორგანიზების და დამწყებ ისტორიკოსებს, თსუ ისტორიის მიმართულების დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. წევრები: ზაალ აბაშიძე, გონელი არახამია, ფელიქს კალანდარიშვილი, ბუბა კუდავა, ზურაბ თარგამაძე, რუსუდან ლაბაძე, დავით მერკვილაძე, სოფიო ქადაგიშვილი, გურამ ქარდავა, მარიამ ჩხარტიშვილი, ეთერ ცერცვაძე, ელზა ხაინდრავა, ლაშა ხართიშვილი, თემო ჯოჯუა.

მიღების სამზადისი

კონფერენციას ჰყავდა საერთაშორისო სამეცნიერო საბჭო, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად წარმოდგენილნი იყვნენ მეცნიერები საქართველოდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან. ეს საბჭო პასუხისმგებელი იყო საკონფერენციო მასალების მაღალ ხარისხზე. როინ მეტრეველი (საქართველო), გიული ალასანია (საქართველო),

პირველი სხდომის შემდეგ შესვენებაზე კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

შესვენებაზე პროფ. მ. ჩხარტიშვილი თსუ მაგისტრანტებთან

გონელი არახამია (საქართველო), ივან ბილიარსკი (ბულგარეთი), ვერნერ ზებტი (ავსტრია), ანდრეა კარტნი (იტალია), რიჩარდ კულეშა (პოლონეთი), ალექსეი ლიდოვი (რუსეთი), ჰაირაპეტ მარგარიანი (სომხეთი), მარიამ ჩხარტიშვილი (საქართველო).

მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და თეზისები წარმოადგინა ხუთ ათეულამდე მკვლევარმა საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი კვლევითი თუ საგანმანათლებლო ცენტრიდან. ესენი არიან პროფესორები, მკვლევრები, დოქტორანტები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან (საქართველოს ისტორიის სასნავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი,

შესვენების შემდეგ პირველ პლენარულ სესიაზე

პირველი დღის კულტურული პროგრამა: ექსკურსია ღამის თბილისში





მოხსენებები კონფერენციის სექციურ სხდომებზე

არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი) და განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტიდან, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან, ილიას უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტიდან და ინსტიტუტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, საქართველოს უნივერსიტეტიდან, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ეროვნული არქივიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტიდან, თბილისის სასულიერო აკადემიიდან. არიან დამოუკიდებელი მკვლევრებიც.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები საზღვარგარეთიდანაც, კერძოდ, რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტიდან, ვარშავის უნივერსიტეტიდან, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის და არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტებიდან, მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტიდან, რუსეთის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტიდან, თეირანის უნივერსიტეტიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კონფერენციის მოწვეული მომხსენებელი იყო რუსეთის ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსი ალექსეი ლიდოვი.



მოხსენებები კონფერენციის სექციურ სხდომებზე

მონაწილეთა რეგისტრაციის შემდეგ პირველი პლენარული სხდომა გაიხსნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობის საკონფერენციო დარბაზში. კონფერენცია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე; კონფერენციის მონაწილე, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ კულეშა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი.

დისკუსია

შესვენების შემდეგ გაგრძელდა კონფერენციის სასესიო მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გიული ალასანია და გონელი არახამია. მოხსენებები წაიკითხეს მარიამ ჩხარტიშვილმა (შუა საუკუნეების საქართველოში საისტორიო მნერლობის პრინციპებისა და პრაქტიკის ზოგი ასპექტის შესახებ), გონელი არახამიამ („ქართლის ცხოვრების" დადიანისეული ნუსხის შესახებ), რიჩარდ კულეშამ (ლეონიდასი, მითი და რეალობა), გიული ალასანიამ (სპარსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ზოგი მაგალითი), კრისტინ კოსტიკიანმა (სეფევიდური ირანის ზიმი სომეხი ქვეშევრდომების უფლებები და მოვალეობები

კონფერენციის შეჯამება

კონფერენციის შეჯამება

მატენადარანში დაცული სპარსული დოკუმენტების მიხედვით), იოლანტა სიკორსკა-კულემამ (დრო, როგორც კვლევითი კატეგორია მემუარული წყაროების სანდოობის შეფასებისთვის. მოსაზრებანი მეცხრამეტე საუკუნის ზოგი პოლონური მემუარის შესახებ), გოჰარ მხითარიანმა (ს. გმელინის საველე ჩანაწერები, როგორც საისტორიო წყარო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შესასწავლად). კონფერენციის პირველი დღის საქმიანი ნაწილი დასრულდა დისკუსიით.

ამავე დღის საღამოს გათვალისწინებული იყო კულტურული პროგრამა. ჩამოსულ სტუმრებს საშუალება მიეცათ მოენახულებინათ თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები. მეორე დღიდან კონფერენციის დახურვამდე სხდომები ტარდებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. მომხსენებლები იყვნენ სხვადასხვა კვლევითი დაწესებულების თუ უნივერსიტეტების ნარმომადგენლები. მრავალფეროვანი იყო მოხსენებათა შინაარსიც.

20 ოქტომბერს კონფერენციის მონაწილეებისათვის მოეწყო ექსკურსია კახეთში. სიღნაღის და ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მონახულების შემდეგ მოეწყო ვახშამი, სადაც სტუმრებმა დაუვინყარი საღამო გაატარეს. არაფორმალურმა შეხვედრამ ხელი შეუწყო მონანილეების დაახლოებას და სამეცნიერო იდეების გაცვლას. კონფერენცია დაიხურა 21 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში იმ იმედით, რომ კონფერენციის მონაწილეებს მალე ისევ ექნებათ საშუალება ერთად შეიკრიბონ და ერთმანეთს ახალი იდეები გაუზიარონ.

კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

კულტურული და სოციალური პროგრამა კახეთში

ბოლო სხდომაზე აზრი გამოთქვა კონფერენციის არაერთმა მონაწილემ და დამსნრემ. გადაწყდა, რომ კონფერენციის მასალები სათანადო რეცენზირების შემდეგ დაიბეჭდოს „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მომდევნო ტომში. გადაწყდა, რომ სომეხ კოლეგებთან ერთად მომზადდეს პროექტი, რომელიც იმუშავებს ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიის მეცნიერულ კვლევაზე. გადაწყდა, რომ მომზადდეს ერევნის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობითი პროექტი. ქართველი კოლეგები მიწვეულ იქნენ პოლონეთში გამომავალ სამეცნიერო საისტორიო სერიაში ACME მონაწილეობის მისაღებად.

A4 ფორმატის 80 გვერდს შეიცავს კონფერენციის პროგრამა და თეზისები. დაბეჭდილია ხუთ ათეულამდე თეზისი ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. აქ ნარმოდგენილია აგრეთვე ინფორმაცია ავტორების შესახებ.

მოხსენებების თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანია: არის ისტორიული, ისტორიოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი პროფილის მოხსენებები. ქართული და უცხოური წყაროებისა და გამოცდილებათა კვლევის ამსახველი ნაშრომები.

კონფერენცია არ ყოფილა მხარდაჭერილი რაიმე სპეციალური გრანტით; არც საკონფერენციო მოსაკრებელი იყო განსაზღვრული საორგანიზაციო კომიტეტის მიერ. ამიტომ კონფერენციის მთელი ხარჯი თავის თავზე აიღეს ორგანიზატორებმა: ინსტიტუციებმა და ინდივიდებმა, კერძოდ, საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დახმარებით მოხერხდა კონფერენციის მასალების (მოსანვევების, პროგრამისა და თეზისების, პოსტერების ბეჭდვა). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ პრეზიდუმის შენობაში უმასპინძლა კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომას. საქართველოს

კულტურული და სოციალური პროგრამა კახეთში

მეცნიერებათა აკადემიამ უზრუნველყო კონფერენციის მთავარი მომხსენებლის საქართველოში ცხოვრების დაფინანსებაც. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყო კონფერენციის მონაწილეებისათვის სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა, მათ შორის იყო ძალიან მაღალი ხარისხის (შინაარსის თუ გამოცემის თვალსაზრისით) წიგნები: ივანე ჯავახიშვილის „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“ (სერია პირველი ლექცია) (2015); „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“ (2017); „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“ (2015); „საუკუნის ნიშანსვეტი“ (2011).

თსუ ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა უმასპინძლა კონფერენციის სექციურ სხდომებს. კონფერენციის კულტურული პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (კონკრეტულად, გ. ჭეიშვილის) და თბილისის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის (კონკრეტულად ზ. ცინაძის) დახმარებით. სოციალური პროგრამა დააფინანსეს და ორგანიზაციულად უზრუნველყვეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა მ. ჩხარტიშვილმა, გ. არახამიამ, ს. ქადაგიშვილმა. კონფერენციის ყველა სხდომის და კულტურული და სოციალური პროგრამების თარჯიმნობა უსასყიდლოდ თავის თავზე აიღო ლადო მირიანაშვილმა. კონფერენციას ორგანიზაციულად დიდი დახმარება გაუწიეს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა თ. ჯოჯუამ, მ. გლოველმა, ლ. ხურციამ, მ. ქადაგიძემ, რ. ლაბაძემ, დ. მერკვი-

კულტურული და სოციალური პროგრამა კახეთში

ლაძემ. აგრეთვე, თსუ სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ სტუდენტებმა ს. ქადაგიშვილმა, ზ. თარგამაძემ, ე. ცერცვაძემ, ე. ხაინდრავამ, მ. მათითაშვილმა.

კონფერენცია ჩაითვალა 2017 ნელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საუკეთესო ღონისძიებად და სამეცნიერო ცხოვრების ამ გამორჩეული მოვლენის შესახებ პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს ეთხოვა ანგარიშის წარდგენა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დანესებულებების წლიური ანგარიშებისა და მიღწევების ფორუმზე, რაც მან კიდეც გააკეთა 2018 წლის 22 იანვარს.

კულტურული და სოციალური პროგრამა კახეთში

კონფერენციის შედეგების ნარდგენა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დანესებულებების ნლიური ანგარიშებისა და მიღნევების ფორუმზე 2018 ნლის 22 იანვარს

INTERNATIONAL CONFERENCE "RESEARCH IN SOURCE-STUDIES AND HISTORIOGRAPHY"

Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

On October 18-21, 2017, Georgian National Academy of Sciences and Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of history and Ethnology hosted international conference: "Research in Source-Studies and Historiography." The initiators and organizers of the conference were Commission for Georgian Historcal Sources at the Georgian National Academy of Sciences (Chair: Academician Roin Metreveli) and Department of Medieval History of Georgia & Source-Studies at the Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Head: Professor Mariam Chkhartishvili). Both these academic bodies intensively collaborated during many years and in result of their joint efforts many conferences were held. The ground to the fruitful cooperation was laid by the Academician Shota Dzidziguri and Doctor of Sciences in History Revaz Kiknadze since 1970s.

The conference was organized by conference organizing committee and conference international scientific council.

Papers were devoted to critical analysis of sources, history of historical thoughts. There was no restriction regarding chronology or region. The working language of the conference was Georgian; however, it was possible to make presentations in English or in Russian as well. Part of the papers that were read in sections are published in different pages of this issue of "Georgian Source- Studies".

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისია

დავით ყოლბაია
ოთარ ჯანელიძე

ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველო და პოლონეთი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს ე. წ. პოსტსაბჭოთა პერიოდში, რომელიც უკანასკნელ თითქმის სამ ათეულ წელს მოითვლის. თანამშრომლობა მრავალმხრივია, ნაყოფიერი და ცხოვრების ბევრ სფეროს წვდება. მისი სრულყოფილი ასახვა მომავლის საქმეა, ახლა კი ერთ კონკრეტულ პროექტზე ვისაუბრებთ, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია.

ამიერკავკასიის სეიმში 100 ნლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე

2017 ნლის გაზაფხულზე, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისია. მისი მთავარი ამოცანაა შეისწავლოს და წარმოაჩინოს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი, პირველ რიგში 1918-1921 ნლებში, ანუ იმ დროიდან, რაც ახლად შექმნილ ორ დამოუკიდებელ სახელმნიფოს შორის დიპლომატიური კავშირი დამყარდა და სათავე დაედო პარტნიორულ თანამშრომლობას ურთიერთ ინტერესების გათვალისნინებით. კომისია ხუთი ნლის განმავლობაში იმუშავებს პოლონეთისა და საქართველოს პრეზიდენტების საპატიო პატრონაჟით და მოამზადებს ვრცელ მონოგრაფიას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოაწყობს გამოფენებს, გამართავს სამეცნიერო ფორუმებს და სხვ. კომისიის პარტნიორები არიან: პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში, საქართველოს საელჩო პოლონეთში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი.

ბელვედერის სასახლეში

ი. პილსუდსკის ძეგლთან ვარშავაში

კომისიის სამუშაო შეხვედრა

კომისიის ქართველი წევრები საქართველოში პოლონეთის ელჩთან

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიაში შედიან: დავით ყოლბაია (თავმჯდომარე) – ვარშავის უნივერსიტეტი), ვოიცეხ მატერსკი (პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია), ანჟეი ფურიერი (შჩეჩინის უნივერსიტეტი), პაველ ლიბერა (პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი), პიოტრ ოლშევსკი (იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი, პიოტრკოვ ტრიბუნალის ფილიალი), გჟეგოჟ მაზური (იაგელონის უნივერსიტეტი), დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი (პოლონეთის მართლამდიდებლური ეკლესია); საქართველოს მხრიდან – გიორგი მამულია (პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა), ოთარ ჯანელიძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), მიხეილ ბახტაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ზაზა აბაშიძე (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ბექა კობახიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), დიმიტრი სილაქაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გიორგი ასტამაძე (კარლსრუეს უნივერსიტეტი). კომისიის მდივანია ალექსანდრა გრიჟლაკი (ვარშავის უნივერსიტეტი).

პოლონურ-ქართული კომისიის პირველი სხდომა 2017 წლის 27 მარტს, ვარშავაში, ცნობილ ჰოტოკკების სასახლეში შედგა. სხდომა საზეიმო ვითარებაში გახსნა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა იან მალიცკიმ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იან ჯეჯიჩაკი, პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველი ურშულა დორომევსკა, საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკევიჩი, პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის თავმჯდომარე ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი დავით ყოლბაია. სხდომას ესწრებოდნენ: პოლონეთ-საქართველოს საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე, პოლონეთის სეიმის დეპუტატი მალგოჟატა გოშევსკა, უნივერსიტეტის პროფესურა, სტუდენტები.

კომისიამ შეხვედრები გამართა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორთან, პოლონეთის უახლესი ისტორიისა (Akt Nowych) და სამხედრო არქივების ხელმძღვანელებთან. პოლონეთის სეიმის ვიცე-მარშალთან, პოლონეთის ეროვნულ მუზეუმის დირექტორთან, ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის თავმჯდომარესთან, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან. პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველმა კომისია მიიწვია ბელვედერის სასახლეში (მარშალ იოზეფ პილსუდსკის ყოფილ რეზიდენციაში), კომისიის ქართველი წევრები ესტუმრნენ საქართველოს საელჩოს ვარშავაში.

კომისიის წევრები თსუ-ში

კომისიის წევრები ოლივერ და მარჯორი უორდროპების ძეგლთან თბილისში

კომისიის ნევრები
პოლონეთის უახლესი ისტორიის არქივში

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში

კომისიის სამუშაო შეხვედრებზე დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა კვლევითი პრიორიტეტები. 2017 წლის მაისის ბოლოს კომისია თბილისში შეიკრიბა. შეკრება საქართველოში პოლონეთის პრეზიდენტის ანჯეი დუდას ვიზიტს დაემთხვა. პოლონეთის ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკევიჩმა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუმრად მისულ პრეზიდენტს წარუდგინა კომისიის ნევრები და გააცნო მათი მიზნები და ამოცანები.

კომისიის თბილისში გამართული შეხვედრებიდან აღსანიშნავია სტუმრობა პრეზიდენტის რეზიდენციაში, მიღება საქართველოს პარლამენტში, თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, ეროვნულ მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ეროვნულ არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში და სხვ. როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში გამართულ შეხვედრებზე ხაზი ესმებოდა კომისიის მუშაობის დიდ მნიშვნელობას.

კომისიის ნევრებმა სპეციალურ სემინარზე მოისმინეს სამეცნიერო კონფერენციისათვის მზადების საკითხი, განიხილეს მოხსენებათა თეზისები და კონფერენციის თარიღად ნოემბერი დათქვეს.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის პირველ კონფერენციას 2017 წლის 27-28 ნოემბერს ვარშავამ უმასპინძლა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში ილია დარჩიაშვილი და ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის დირექტორი პროფესორი იან მალიცკი. კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა და მოსმენილ იქნა 11 მოხსენება. კერძოდ: 1. პაველ ლიბერა, პოლონეთი საქართველოს დამოუკიდებლობის ნინამე 1918-1921 ნლებში. 2. გიორგი მამულია, პოლონეთის დიპლომატიური მისია კავკასიაში. ამოცანები და მიზნები (1920-1921). 3. ოთარ ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა პოლონეთში. 4. ვოიცეხ მატერსკი, პოლონეთ-საქართველოს სამხედრო ალიანსი – იოზეფ პილსუდსკის უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტი. 5. დიმიტრი სილაქაძე, საქართველო-პოლონეთის სამხედრო ისტორიის შეხების ნერტილები 1918-1921 ნლებში (საქართველოს საისტორიო არქივში დაცული უცნობი დოკუმენტების მიხედვით). 6. პენრიკ პაპროცკი, დავით ყოლბაია, გრიგოლ ფერაძის უცნობი დოკუმენტები და დღიურები. 1918-1921. 7. გიორგი ასტამაძე, მასალები პოლონურ-ქართული ურთიერთობების შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივის მიხედვით. 8. ზაზა აბაშიძე,

პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში

პოლონეთის სამხედრო ისტორიის არქივში

პოლონეთის სეიმში

პოლონეთში საქართველოს საელჩოში

შორენა მურუსიძე, ივანე ნანუაშვილის და პოლონელი ემიგრანტების საარქივო მემკვიდრეობა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. 9. პაველ ოლშევსკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ანტანტის ქვეყნების პოლიტიკაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. 10. ბექა კობახიძე, საქართველოს გასაბჭოების მცდელობა 1920 წელს და პოლონეთ-ბოლშევიკების ომი. 11. გეგეგოჟ მაზური, პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან მეორე მსოფლიო ომის დროს.

2017 წლის 29 ნოემბერს, ვარშავის ეროვნულ მუზეუმში მოეწყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის" შექმნის 830-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იგი ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, პოლონეთში საქართველოს საელჩოს და ვარშავის ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიების მიზანი პოლონეთის საზოგადოებისათვის შოთა რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემის – „ვეფხისტყაოსნის" წარდგენა, ამასთანავე, პოლონელთა ნინაშე ქართული კულტურის, ლიტერატურის, ეროვნული ღირებულებების სათანადოდ წარმოჩენა იყო. აღსანიშნავია, რომ საიუბილეო თარიღს დაუკავშირდა „ვეფხისტყაოსნის" ორი უნიკალური პოლონური გამოცემა, რომელიც მე-16 და მე-17 საუკუნეების მინიატურული ილუსტრაციებით არის შემკული.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის სეიმისა და სენატის დეპუტატებმა, ვარშავაში აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესურამ და სტუდენტობამ, პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის წევრებმა, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა და სხვ.

მოწვეული იყო „ვეფხისტყაოსანის" პოლონურ ენაზე მთარგმნელის პროფესორ იან ბრაუნის ოჯახის წევრები, სახელდობრ, ქალბატონი ევა ბრაუნი – ამერიკის კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი, ოსკარის მფლობელი. საღამოს უძღვებოდნენ იან მალიცკი და დავით ყოლბაია. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პოლონეთის ეროვნული მუზეუმის დირექტორმა

სამხედრო ისტორიის არქივში

კონფერენციის პროგრამა



კონფერენციის პროგრამა



ვეფხისტყაოსნის საიუბილეო საღამოს პროგრამა

პიოტრ რიპსონმა, საქართველოს ელჩმა პოლონეთში ილია დარჩიაშვილმა, პოლონეთის სეიმის დეპუტატმა მალგოჟატა გოშიევსკამ. მოხსენებებით გამოვიდნენ: დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი და დავით ყოლბაია, შედგა „ვეფხისტყაოსანის" პოლონურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია.

საიუბილეო საღამოზე მონვეული სტუმრებისთვის პოლონეთში საქართველოს საელჩომ საზეიმო მიღება გამართა.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა მეორე კონფერენცია 2018 წლის 24-25 აპრილს თბილისში ჩატარდა. მისი მთავარი თემა ამიერკავკასიის სეიმი და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა იყო, რომელთა შექმნიდან 100 ნელი შესრულდა. ორდღიან კონფერენციაზე ნაკითხულ იქნა 12 მოხსენება: 1. ვ. მატერსკი, რუსეთის იმპერიის კრახი და სახელმწიფოდან სახელმწიფოებში გადასვლის ფორმები. 2 ჰ. პაპროცკი, რუსული არგუმენტები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოებში მართლმადიდებელ ეკლესიათა ავტოკეფალიის აღიარების წინააღმდეგ. 3. ო. ჯანელიძე, ამიერკავკასიის სეიმი და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი. 4. დ. ყოლბაია, ამიერკავკასიის სეიმი და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის საკითხები ბერლინში (1916-1918 წწ.) გამომავალი „ქართული გაზეთის" მიხედვით. 5. გ. მამულია, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის წლებში(1914-1918). 6. მ. ბახტაძე, სამხედრო ოპერაციები ამიერკავკასიის სეიმის ფუნქციონირების პერიოდში (1918 წ. თებერვალი-მაისი). 7. დ. სილაქაძე, სამხედრო ფორმირებათა ჩამოყალიბება ამიერკავასიის სეიმისა და დემოკრატიული ფედერაციული რესუბლიკის არსებობის პერიოდში. 8. გ. მაზური, 1918-1921 წლების ამიერკავკასიის სინამდვილის ასახვა პოლონურ პრესაში. 9. ჰ. ლიბერა, ვაცლავ ოსტროვსკის დიპლომატიური მისია საქართველოში. 10. შ. მურუსიძე, ამიერკავკასიის სეიმის წევრები 1918 წლის ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე. 11. პ. ოლშევსკი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა. 12. ბ. კობახიძე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა და მისი მოსახლეობა ბრიტანულ დოკუმენტებში.

თბილისის სამეცნიერო ფორუმი რამდენიმე სხვა ღონისძიებამაც შეავსო. 24 აპრილს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში მოეწყო ექსპოზიცია „ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და სეიმის 100 წლისთავი", რომელიც დიმიტრი სილაქაძემ მოამზადა. წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის სეიმისა და ფედერაციული რესპუბლიკის შესახებ არქივში დაცული მნიშვნელოვანი

დოკუმენტები და ფოტოები. გაიმართა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალ „პრო გეორგიას" (რედაქტორი დავით ყოლბაია) ახალი, 2018 ნლის 28-ე ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალი 1991 ნელს ვარშავაში დაარსდა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ერთ-ერთ ნარმატებულ პერიოდულ გამოცემად ითვლება. 25 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში შედგა პოლონეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი გამოფენის ნარდგენა, რომელიც დავით ყოლბაის ავტორობით შეიქმნა. ექსპოზიციაში სახელნოდებით „ქართველი ოფიცრები პოლონეთის არმიაში" ნარმოდგენილი იყო უცნობის ფოტომასალები ქართული ემიგრაციის შესახებ პოლონეთში 1918-1939 ნლებში. როგორც კონფერენციის მუშაობა, ისე გამოფენები გაშუქდა პრესითა და ტელევიზიის მეშვეობით.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა მომდევნო, რიგით მესამე კონფერენცია დაგეგმილია 2018 ნლის დეკემბრისათვის და იგი ვარშავის უნივერსიტეტში გაიმართება.

INTERNATIONAL COMMISSION OF POLISH-GEORGIAN HISTORIANS

David Kolbaia
Otar Janelidze

The Commission of Polish-Georgian Historians was established with regards to the 100th anniversary of Georgia's proclamation of independence. The commission, which is funded by the Ministry of Foreign Affairs of Poland and the University of Warsaw, will be functional until 2021 and study the history of Georgia-Poland bilateral relations. Committee members are: David Kolbaia (University of Warsaw), Wojciech Materski (Institute of Political Studies, Polish Academy of Sciences), Andrzej Furier (Uniwersity of Szczeciń), Paweł Olszewski (The Jan Kochanowski University in Kielce/Branch in Piotrków Trybunalski), Paweł Libera (Institute of National Remembrance), Henryk Paprocki (Polish Orthodox Church), Grzegorz Mazur (Jagiellonian University), Zaza Abashidze (Georgian National Center of Manuscripts), Giorgi Astamadze (University of Karlsruhe), Mikheil Bakhtadze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Otar Janelidze (National Museum of Georgia), Beka Kobakhidze (Ilia State University), George Mamoulia (L'École des hautesétudesen sciences sociales, Paris), Dimitri Silakadze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University).

Within the framework of the commission was organized conference and exhibitions. Series of interesting projects are crucial for collaboration in future.

„როგორ დავწეროთ ისტორია“ – წიგნის პრეზენტაცია

სოფიო ქადაგიშვილი

2017 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა წიგნი „როგორ დავწეროთ ისტორია. შესავალი დისციპლინის ისტორიასა და პრაქტიკაში“ (მთარგმნელები: მარიამ ჩხარტიშვილი, სოფიო ქადაგიშვილი, ზურაბ თარგამაძე. შესავალი წერილი, თარგმანის საერთო რედაქცია, კომენტარები მარიამ ჩხარტიშვილისა). ეს არის თარგმანი წიგნისა „Making History. An Introduction to the History and Practices of a Discipline“(edited by Peter Lambert and Phillip Schofield, Routledge, 2004).

2017 წლის 17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფართო აუდიტორიის წინაშე გაიმართა აღნიშნული თარგმანის პრეზენტაცია.





ღონისძიება გახსნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა. მან ისაუბრა წიგნის მნიშვნელობაზე, მთარგმნელებს წიგნის გამოსვლა მიულოცა, შეფასა ჯგუფის მუშაობა, აღნიშნა თარგმანის გამართულობა, დახვეწილობა. კერძოდ, მან აღნიშნა შემდეგი:

„მოგეხსენებთ, ქართული სასწავლო სივრცის სერიოზული პრობლემაა სახელმძღვანელოები. ჩვენ მრავალ დარგში გვჭირდება ახალი, თანამედროვე სახელმძღვანელოები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს იმის საშუალებას, რომ უპასუხონ არსებულ გამოწვევებს. ამ რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტში განხორციელდა ძალიან კარგი პროექტი, რომელიც გულისხმობდა სახელმძღვანელოების თარგმნას. ფაკულტეტებმა მიიღეს დაფინანსება, რომ საწყის ეტაპზე თითოეულ ფაკულტეტს დაეფინანსებინა სამ-სამი სახლმძღვანელოს თარგმნა. ჩვენი ფაკულტეტის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტი იყო სწორედ ნარმოდგენილი წიგნის თარგმნა. პროექტი განახორციელა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა თავის ორ დოქტორანტთან – სოფიო ქადაგიშვილთან და ზურაბ თარგამაძესთან – ერთად.

ვისაც თარგმანთან საქმე ჰქონია, და ჩვენს გლობალურ ეპოქაში, დამეთანხმებით, რომ ბევრს ჰქონია, კარგად იცის, რომ თარგმანის დროს ძალიან მნიშვნელოვანია სათარგმნი წიგნის სწორად შერჩევა. უამრავი სახელმძღვანელო არსებობს და მათ შორის უნდა შეირჩეს ის, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება შენი კურსის, შენი უნივერსიტეტის მიზნებს. გამოცდილმა პროფესორმა ქალბატონმა მარიამ ჩხარტიშვილმა შეარჩია დარგში ინოვაციური წიგნი და სწორედ მის სათარგმნელად იტვირთა ეს ძნელი სამუშაო თავის დოქტორანტებთან ერთად.

მთარგნელებმა კოლოსალური შრომა გასნიეს. მე როგორც ფილოლოგს, განსაკუთრებით მომწონს მათი დამოკიდებულება ქართულ ენასთან, ნათარგმნი ტექსტის თითოეულ სიტყვასთან. შესანიშნავი ქართულია. ამასთან ეს არ არის უბრალოდ თარგმანი, ესაა სამეცნიერო თარგმანი აღჭურვილი სამეცნიერო აპარატით. კარგია უცხო ენაზე გამოსვლები, ნაშრომების უცხო ენაზე წერა და გამოქვეყნება, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ქართული ენის განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვა, რადგან ისე სწრაფად ვითარდება მეცნიერების თანამედროვე დარგები, რომ ჩვენი ენა ქართული, „ვეფხისტყაოსნის“ ენა უცებ შეიძლება ჩამორჩეს ამ განვითარებას. მთარგმნელებს შემოაქვთ არაერთი ახალი ლექსიკური ერთეული. ამ მიზეზითაც წიგნი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დარგის განვითარებას, ქართული სამეცნიერო ენის განვითარებას.

ეს თარგმანი გამიზნულია სტუდენტებისათვის, მაგრამ ის საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვისაც, დაეხმარება სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს. დიდი მადლობა მთარგმნელთა კოლექტივს გაწეული შრომისათვის. ვისურვებ, რომ მომავალშიც ჩვენს ფაკულტეტზე მომხდარიყოს ბევრი ასეთი წიგნის წარდგინება“!

ამის შემდეგ პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა სიტყვა გადასცა პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს.

მარიამ ჩხარტიშვილმა მადლობა გადაუხადა დეკანს წიგნის დადებითად დახასიათებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს იმისათვის, რომ სწორედ მას და მის გუნდს მიანდეს ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება. მანაც ყურადღება გაამახვილა სათარგმნი წიგნის შერჩევაზე: ძალიან ბევრი ამგვარი პროფილის წიგნი არსებობს დასავლეთში. მაგრამ ტრადიციულად ეს წიგნები ისტორიული დისციპლინის ჩამოყალიბების ისტორიას აღწერენ როგორც გამოჩენილ ისტორიკოსთა ბიოგრაფიების და მათ მიერ დაფუძნებული სკოლების ისტორიების სერიას. ეს წიგნი კი მიზნად ისახავს ისტორიის პროფესიონალიზაციის პროცესის რეპრეზენტაციას და ამით არის გამორჩეული და ინოვაციური, შესაბამისად, სათარგმნელადაც რთული.

მსმენელთა ყურადღება პროფესორმა ჩხარტიშვილმა მიაპყრო იმ ფაქტსაც, რომ სამუშაო შეასრულა მისივე დოქტორანტების მონაწილეობით, რაც მას, როგორც პედაგოგს, ანიჭებს, დიდ სიხარულს. ამ ძნელი პროექტის განხორციელება ამ სტუდენტებთან ერთად გადაწყვიტა იმიტომ, რომ იცოდა მათი მოტივირებულობის, კეთილსინდისიერების და სიბეჯითის შესახებ.

მარიამ ჩხარტიშვილმა აღნიშნა მუშაობის ძირითადი პრინციპი: ადეკვატური თარგმნა და დედნის ყველა ნიუანსის დანარჩუნება, არა მარტო შინაარსის, არამედ თავად დისკურსის ფორმისაც. საქმე ისაა, რომ დედნის სტილი რამდენადმე უჩვეულოა ქართულ სინამდვილეში არსებული პრაქტიკისათვის. წიგნის ავტორები უხვად იყენებენ მეტაფორებს, სხვადასხვა ლიტერატურული ნაწამოებების გმირთა სახეებს. მთარგმნელებს სურდათ, რომ ეს ნიუანსებიც დაენახა ქართველ მკითხველს და, მიუხედავად სირთულისა, ეს ყველაფერი დაინარჩუნეს და სათანადო კომენტარებიც დაურთეს.

მარიამ ჩხარტიშვილმა ისაუბრა წიგნის სტრუქტურაზე, რომელიც ავლენს ავტორთა მიერ საკითხების გააზრების სპეციფიკას: იმანენტური ფაქტორების გარდა აქ წარმოჩენილია ისტორიული დისციპლინის ფორმირების მეტამეცნიერულ იმპულსები, აგრეთვე, სამეცნიერო დანესებულებების მიღმა ისტორიის ნერის პრაქტი-

კაც არის გაშუქებული. წიგნისათვის დართული თარგმანის რედაქტორის მრავალრიცხოვან კომენტარებში განმარტებულია სხვადასხვა საკითხები დაკავშირებული შინაარსთან თუ თარგმანის პრობლემებთან. ასეთი სირთულე კი უამრავი იყო იმ მიზეზით, რომ ზოგი პროცესი, რომელიც აღწერილია წიგნში, უცხოა ქართული სინამდვილისათვის, ზოგი ლათინური თუ ბერძნული ნარმომავლობის სიტყვა ქართულში მიღებულია, მაგრამ სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ცალკე პრობლემას ნარმოადგენდა საკუთარ სახელთა გადმოღება, რომელთა დიდი ნანილი ამ ტექსტში ქართულ სინამდვილეში პირველად ფიქსირდება.

მარიამ ჩხარტიშვილმა მსმენელთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ არცერთი მთარგმნელი განათლებით არაა ინგლისური ენის სპეციალისტი, მაგრამ მან ხაზი გაუსვა იმას, რომ, მისი აზრით, სწორედ დარგის სპეციალისტებმა ანუ ამ შემთხვევაში ისტორიკოსებმა უნდა შეასრულონ სამეცნიერო თარგმანები, რადგან ამისათვის მარტოოდენ ენის ცოდნა არაა საკმარისი.

აშშ და ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე შუქდება წიგნში საკითხები. სწორედ ამ ქვეყნებში წარიმართა ისტორიის პროფესიონალიზაციის პროცესი და ამიტომ აუცილებლად უნდა იცოდნენ მის შესახებ ქართველმა სტუდენტებმა. თუმც ცხადია, თარგმანი სრულად ვერ ჩაანაცვლებს ადგილობრივ შექმნილ სახელმძღვანელოებს, რადგან ისტორიის სწავლება დიდი თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომ ისინი ერთად უნდა გამოვიყენოთ სწავლების პროცესში.

ეს იყო ძალიან შრომატევადი სამუშაო: დედანი 410 გვერდია, თარგმანი 432 გვერდი გამოვიდა. პროექტის განხორციელებას თითქმის სამი წელი დასჭირდა.

მარიამ ჩხარტიშვილმა თარგმანის ენაზეც გაამახვილა ყურადღება. ამასთან დაკავშირებით დიდი მადლიერება გამოხატა ქართული ტექსტის რედაქტორის პროფესორ გია ჯოხაძისადმი, რომელიც, მისი მითითებით, არის არა მარტო კარგი ისტორიკოსი, არამედ ისტორიკოსთა შორის გამორჩეული იმით, რომ განსაკუთრებით სათუთად ეპყრობა ქართულ ენას და, შესაბამისად, მისი წვლილი თარგმანის ტექსტის სტილისტურ დახვენაში ძალიან დიდია.

შემდეგ პროფესორმა ჩხარტიშვილმა სიტყვა გადასცა სოფიო ქადაგიშვილს და ზურაბ თარგამაძეს. მათ ისაუბრეს წიგნის თავისებურებებზე, მათ ჩართულობაზე პროექტში. ზ. თარგამაძემ გამოთქვა რწმენა, რომ წიგნი ხელს შეუწყობს სტუდენტთა დასპეციალიზებას და ბევრისთვის ის გახდება მომავალი კვლევის ინსპირაციის წყაროც. ს. ქადაგიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ყოველ თავს ერთვის დამატებითი საკითხავი, რომელიც უფრო მრავალფეროვანს ხდის წინ წამოწეულ საკითხს. მკითხველს საშუალება ეძლევა დამატებით მოიძიოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა თსუ გამომცემლობის თანამშრომელმა ქართული ტექსტის რედაქტორმა პროფესორმა გია ჯოხაძემ:

„თუნდაც პარადოქსად ჩამითვალეთ: ყოველთვის და ყველგან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისეთი წიგნების გამოცემა, რომლებიც ვერასოდეს გახდება ბესთსელერი; მეტიც: როგორც გამომცემლებს უყვართ ხოლმე თქმა, რომლებიც „არ იყიდება!“ მაინც დავიჩემებ: ასეთი წიგნების გამოცემის განსაკუთრებულობა ალტერნატივის შექმნაა: პოპლიტერატურის მკითხველის დარად, მეცნიერებით დაინტერესებულ მკითხველსაც ჰქონდეს თავის მისადრეკი ადგილი, შემდეგ კი ყველამ თავისი აირჩიოს. უფრო პროზაული ტერმინოლოგიით, ამას სათანადო ბაზრის შექმნასაც უნოდებენ.

წმინდა ინტელექტუალური თვალსაზრისით, ასეთი წიგნებით და მათი წაკითხვით მოწმდება, რომელ ადგილზეა მოცემული საზოგადოების ღირებულებათა სკალაში მოაზროვნე მკითხველი, კერძოდ, და აზროვნება, ზოგადად.

თუ საქმე ისე ნარიმართა, როგორც თითოეულ ჩვენგანს ეოცნებება, მარკ ბლოკის თქმისა არ იყოს, ეს ყველაზე თავშესაქცევი დისციპლინა გახდება აზროვნების, როგორც ასეთის, კატალიზატორი; მისი თემები და სტანდარტები კი, ანუ – წარსული, აწმყოში მომავლის შენების სანინდარი.

ეგებ დასამახსოვრებელიც იყოს: მოაზროვნე საზოგადოება, რომელიც გაექცა საცდურს, არ დარჩენილიყო ბრბოდ, ყოველთვის უფრო დანინაურებულია, რადგან ამ საზოგადოებაში პიროვნება თავისუფალია. ეგებ ეს არის ყველა უნივერსიტეტის მიზანიც: ადამიანი, რომელსაც მხოლოდ „ქაბუკად“ მოიხსენიებდნენ, აქციოს მონიფულ ინდივიდად, რომელიც პასუხს აგებს თავის არსებობაზე. ორპან ფამუქის შედევრში „თოვლი“ არის ერთი პასაჟი: პროვინციული ქალაქის მოჯაყჯაყე, ნახევრად ცარიელ ავტობუსში ადის კაცი – ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, მაგრამ... ავტორი ამჩნევს, რომ ის კმაყოფილია საკუთარი არსებობით, და ამიტომ სავსებით არაჩვეულებრივიცაა: შემდგარი, კმაყოფილი, კეთილმოსურნე, ღვთისა და კაცის მოყვარული... ვინ არ ინატრებდა ამ მდგომარეობაში ყოფნას და ჩვენს საზოგადოებაში ასეთთა სიმრავალეს?!

კაცი თავისი არჩევანითაც ფასდება. ამიტომ ყოველთვის რაღაცის მთქმელია, რას ვირჩევთ და რატომ ვირჩევთ. პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილისა და მისი გუნდის საქებრად უნდა ითქვას, რომ მათ ძალიან საჭირო წიგნი თარგმნეს. ის არა მხოლოდ სააზროვნოდ განგვანყობს, არამედ პრაგმატულიცაა: გვამცნობს, რა ხდებოდა და ხდება მსოფლიო ისტორიოგრაფიაში და რა წიგნები უნდა წავიკითხოთ, თუ ამა თუ იმ პრობლემის,

მოდელის, სქემის გამოყენებას განვიზრახავთ ქართული მასალის მსოფლიო სააზროვნო მიმოქცევაში ჩასართავად, მის ხელმეორედ და გამოწვლილვით წასაკითხად და გასაცოცხლებლად.

ამ წიგნის რედაქტორები – პიტერ ლამბერტი და ფილიპ სკოფილდი – ცნობილი უელსელი ისტორიკოსები არიან, აბერისთუითის უნივერსიტეტის – 2017 წლის მონაცემებით, ბრიტანეთის ტოპხუთეულში შემავალი უმაღლესი სასწავლებლის – პროფესორები.

მათ სტატიათაგან პირადად ძალიან დამაინტერესა ლამბერტის ტექსტებმა ისტორიულ კულტურაზე, მესამე რაიხის სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე, მის ჰეროიზაციასა და დემონიზაციაზე, მასობრივი დიქტატურის „ხსოვნის ადგილად" ქცევაზე, უფრო ნაკლებად – უელსსა და ბრიტანეთში ისტორიის პროფესიული ჩამოყალიბებაზე.

შუა საუკუნეების მკვლევარს მით უფრო დააინტერესებს სკოფილდის სტატიები შუა საუკუნეების ინგლისისა და უელსის სამართალსა და სასამართლოებზე; ცალკე აღნიშვნის ღირსი მგონია მისი ვრცელი და მწყობრი გამოკვლევა მეცამეტე საუკუნის ინგლისზე.

ამ წიგნის გამოსვლით, შესაძლოა, შემცირდეს ჩვენი კოლეგების გულწრფელ თუ ნათამაშევ ამოოხვრათა სერია, რომ, ინგლისურის უცოდინრობის გამო, ვერ შეძლეს მსოფლიო ისტორიოგრაფიული პროცესებისათვის თვალის მიდევნება.

ამ წიგნის გამოყენების ინტენსივობა იმასაც გაარკვევს, რამდენად დამკვიდრდება მთარგმნელთა მიერ შემოტანილი რამდენიმე პროფესიული ტერმინი ქართულ სააზროვნო სივრცეში.

ერთი სიტყვით, ამ წიგნსაც დიდი გზა ელის წინ და მის მკითხველსაც. მეც სნორედ გზას დავულოცავ ერთსაც და მეორესაც!"

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას მიეცა საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი თარგმანზე, სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე. აზრის გამომთქმელთა შორის იყვნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი აკაკი ყულიჯანაშვილი, რომელმაც მიუთითა ქართული ისტორიული სკოლისათვის მეთოდოლოგიის მნიშვნელობაზე და განსახილველი ნიგნის დადებით როლზე ამ კუთხით. სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი და მიწვეული ლექტორი მიხეილ ქართველიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გელა საითიძე, ისტორიის დოქტორი რუსუდან ლაბაძე. მათ ასევე ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობაზე და თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გამომსვლელებმა მთარგმნელებს ამ დიდი საქმის დასრულება მიულოცეს და ნიგნის ქართულ სივრცეში შემოსვლა დადებითად შეაფასეს. სჯა-ბაასი ნიგნის შესახებ და ზოგადად ქართული მეცნიერების შესახებ გაგრძელდა ფურშეტზე არაფორმალურ ვითარებაში

სახელმძღვანელო „როგორ დავწეროთ ისტორია" უკვე მკითხველებს ელოდება. პრეზენტაციაზე და მას შემდეგ არსებულმა გამოხმაურებებმა მთარგმნელთა ჯგუფი საბოლოოდ დაარწმუნა ამგვარი ნიგნების ქართულად არსებობის აუცილებლობაში.

"MAKING HISTORY" – BOOK PRESENTATION

Sopio Kadagishvili

On November 17, 2017 with the organization of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, faculty of humanities presented Georgian translation of book – Making History, An Introduction to the history and practices of a discipline (edited by Peter Lambert and Phillipp Schofield, Routledge, 2004). This book is so popular while studying development of historical sciences in different universities.

All hazo been started some years ago when Ivane Javakhishvili Tbilisi State University announced grants for translation of foreign textbooks into Georgian. Among winner projects was translation of *Making History* leaded by Professor Mariam Chkhartishvili with her doctoral students Sopio Kadagishvili and Zurab Targamadze.

Difficulties, peculiarities, experiences characterizing the translation process were mentioned at the presentation day by translators. The interest to this book was high that was clear from the audience attending the book presentation.

ჰუმანიტარ ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი

სოფიო ქადაგიშვილი

2017 წლის 20-23 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მასპინძლობდა ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომლის მიზანი იყო დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში სამეცნიერო მოტივაციის ზრდა და მათი კვლევების პოპულარიზება. კონფერენცია მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავს.

მოხსენებები წარმოადგინა 200-მდე დოქტორანტმა და ახალგაზრდა მეცნიერმა როგორც საქართველოს უმაღლესი და კვლევითი დაწესებულებებიდან, ასევე 30 სხვა ქვეყნის კვლევითი ცენტრებიდან და უნივერსიტეტებიდან. სექციური მოშაობა განაწილდა თემატიკის მიხედვით. მუშაობდა სექციები ისტორიისა და არქეოლოგიის; ენისა და ლიტერატურის; ფილოსოფიის, ეთიკის და რელიგიის; კულტურისა და ხელოვნების; ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით.

მომხსენებელთა კონფერენციაში ჩართვას წინ უსწრებდა მოხსენებათა შესარჩევი პროცესი, რომელიც გულისხმობდა გაგზავნილი თეზისების ფარულ რეცენზირებას. კონფერენციის გამოხმაურებიდან ცხადია, რომ კონფერენციამ ახალგაზრდა მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული და ინგლისური. სექციებს ხელმძღვანელობდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც კონფერენციის დასკვნით დღეს შეაჯამეს სექციური მუშაობა და ხაზი გაუსვეს კონფერენციის მნიშვნელობას.

სიმპოზიუმი ჩამოსული სტუმრებისთვის და ადგილობრივი მომხსენებლებისთვის არაფორმალურ შეხვედრებაც ითვალისწინებდა. ექსკურსია, ვახშამი, სექციებს შორის გამასპინძლება, კარგ გარემოს ქმნიდა ახალგაზრდებს შორის იდეების გასაზიარებლად და სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლად.

ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ აჩვენა ჰუმანიტარული კვლევების მნიშვნელობა და ამ მიმართულებით კვლევების წახალისების საჭიროება. მონაწილეთა აქტივობამ სიმპოზიუმის ორგანიზატორებს მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ ასეთი სიმპოზიუმი ტრადიცია გახდეს და ყოველი წლის ნოემბერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუდმივად იქცეს ჰუმანიტარული მეცნიერებებით დაინტერესებული პირების თავშეყრის ადგილად.

I INTERNATIONAL SYMPOSIUM OF YOUNG SCHOLARS IN HUMANITIES

Sopio Kadagishvili

On November 20-23, 2017 Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities hosted the I International Symposium of Young Scholars in Humanities.

The conference provoked high interest among young scholars. As it is evident from the title of the conference the main goal of organizers was to gather scholars interested in humanities and Georgian studies. Approximately 200 young delegates from different scientific and teaching centers were involved to this conference. Several sessions and sections worked in parallel regime. The chairmen of sections were already well experienced lecturers who summarized their sectional woks at the last day of the conference. The conference encouraged people for further collaboration.

გიორგი ჭეიშვილის მონოგრაფიის „ქუეყანა ანისისა“ პრეზენტაცია

ეკა კვაჭანტირაძე

2017 წლის 26 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართა ისტორიის დოქტორის გიორგი ჭეიშვილის მონოგრაფიის „ქუეყანა ანისისა“ პრეზენტაცია. წიგნი მომზადდა სსიპ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში, დაისტამბა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის საქართველო-სომხეთის სერიით. წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, სერიის რედაქტორი აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე.

გიორგი ჭეიშვილის ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ანი-შირაკის ისტორიული გეოგრაფია. კვლევის მიზანია საქართველოს კავკასიურ სახელმწიფოში არაქართული ტერიტორიების, ამ შემთხვევაში, სომხური მიწების, სტატუსის განსაზღვრა. მონოგრაფია მოიცავს: შესავალსა და ოთხ თავს, ინგლისურენოვან რეზიუმეს, შემოკლებათა განმარტებებს, ბიბლიოგრაფიას, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებს, ილუსტრაციებს.

ანისს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებოდა მედიევალური საქართველოს კავკასიურ სახელმწიფოში შემავალ სომხურ თემებს შორის, როგორც სტრატეგიული, ისე იდეოლოგიური თვალსაზრისით. ანისი ხომ ტერმინოლოგიურად მთელ სომხეთს ფარავდა, ანისი დაპირისპირებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს ნარმოადგენდა ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური მახლობელი აღმოსავლეთის გზასაყარზე, ანისი ქართველთათვის ბიზანტიელებზე უპირატესობის სიმბოლო იყო.

მონოგრაფიის ავტორი ძალზედ საინტერესოდ წარმოადგენს ანისის ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას ზოგჯერ ისტორიულ რეტროსპექტივაში, ზოგჯერ კი სხვადასხვა მიმართულებით – ესაა ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის, საეკლესიო თუ ეთნიკური გეოგრაფიის ასპექტები. აღსანიშნავია ავტორისეული წერის თავისებურებაც. თხრობა მრავალრიცხოვან და ტიპოლოგიურად განსხვავებულ წყაროთა კვალდაკვალ, მათი ენობრივ და სტილისტურ მახასიათებელთა შენარჩუნებით წარიმართება, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მონოგრაფიას. ესაა ნიჭიერი, ფართო დიაპაზონის წყაროთმცოდნისა და ისტორიული გეოგრაფოსის

ხელთ არსებული უდიდესი ისტორიოგრაფიული მასალის კომპაქტურად გადმოცემის საუკეთესო მაგალითი.

ფართო იყო ამ მონოგრაფიის განხილვისადმი ინტერესი, რასაც ადასტურებს გადაქედილი დარბაზი დიდი და მრავალფეროვანი დამსწრე საზოგადოებით. ისინი სხვადასხვა სამეცნიერო და სასნავლო დაწესებულებებს ნარმოადგენდნენ. აუდიტორიაში იყვნენ ახალგაზრდა მკვლევრებიც (მაგისტრანტები, დოქტორანტები).

პრეზენტაციას უძღვებოდა პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი. მონოგრაფიის ავტორმა გიორგი ქეიშვილმა ნაშრომის ნარდგენისას აღნიშნა, რომ კვლევა არ ისახავს მიზნად ანისის ქვეყნის სრულ და ამომწურავ შესწავლას. დასმული საკითხები გაანალიზებულია იმდენად, რამდენადაც ისინი კავშირშია საქართველოს ისტორიასთან, ქართულ სახელმწიფოებრიობასთან. თუმცა მინდა დავარწმუნო მკითხველი, რომ წიგნი საკითხების ბევრად ვრცელ სპექტრს მოიცავს. ფართო და ნარმომადგენლობითი იყო მონოგრაფიის შეფასების მსურველთა სამეცნიერო ნრე. ნაშრომის „ქუეყანა ანისისა“ შესახებ ისაუბრეს: ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა გიორგი შარვაშიძემ, აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა, აკადემიკოსმა ზაზა ალექსიძემ, პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა, გამომცემლობა „არტანუჯი“-ს დამფუძნებელმა, პროფესორმა ბუბა კუდავამ, პროფესორმა გიორგი გაგოშიძემ, პროფესორმა ვალერი ვაშაკიძემ, პროფესორმა ზაზა სხირტლაძემ.

ყველა გამომსვლელი ყურადღებას ამახვილებდა ქართული ისტორიოგრაფიისთვის მონოგრაფიის დიდ მნიშვნელობაზე, სამეცნიერო სიახლეზე, გამოყენებული ნყაროთმცოდნეობითი თუ ისტორიოგრაფიული ბაზის სიმდიდრეზე, ავტორის სკრუპულოზურ კვლევაზე.

ქართულმა მედიევისტიკამ მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი და, როგორც აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე გამოეხმაურა ამ მონოგრაფიას რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდზე, ესაა ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი ქართულ-სომხურ ურთიერთობათა კვლევაში.



PRESENTATION OF GIORGI TCHEISHVILI'S MONOGRAPH „HISTORY AND HISTORICAL GEOGRAPHY OF ANI"

Eka Kvachantiradze

In 2017, 26 of December Ivane Javakhishvili Tbilisi State University hosted book presentation. The book was published within the project granted by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Historical Geography of Ani in Georgian historiography is studied by Giorgi Tcheishvili. The goal of the research is to define the status of Armenian lands in Georgian political space. The monograph includes introduction and four chapters, English summary, bibliography and illustrations.

The book is considered as one of the best works dedicated to Georgian-Armenian relations. The book includes valuable information for researchers and students while working on that issue.

ზურაბ თარგამაძის მონოგრაფიის „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)“ პრეზენტაცია

სოფიო ქადაგიშვილი

2018 წლის 26 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და ნყაროთ-მცოდნეობა“ სტუდენტ ზურაბ თარგამაძის წიგნის — „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები XVIII საუკუნე“ (თბილისი, მერიდიანი, 2018) პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტის (DO/351/1-10/14) ფარგლებში.

სხდომას უძღვებოდა პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. სწორედ მან მოახსენა თავიდან აუდიტორიას წიგნის შესახებ თავდაპირველად. კერძოდ, მან თქვა შემდეგი:

„მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო, სტუდენტებო, სტუმრებო!

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ძალიან სასიამოვნო ფაქტის მიზეზით: ახალგაზრდა მკვლევრის დოქტორანტ ზურაბ თარგამაძის მონოგრაფია „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები. მეთვრამეტე საუკუნე“ უნდა წარმოგიდგინოთ. ზურაბის სამეცნიერო ხელმძღვანელი მე გახლავართ. ამ წიგნის რედაქტორიც მე ვარ. ამიტომ თავს უფლებას მივცემ ეს ღონისძიება მე ნარვმართო. თავიდან მე მოკლედ ვისაუბრებ წიგნისა და ავტორის შესახებ. მერე თავად ავტორს გადავცემ სიტყვას. მონოგრაფიის რეცენზენტები პროფესორები გონელი არახამია და ეკა კვაჭანტირაძე საპატიო მიზეზით ამ ღონისძიებას ვერ ესწრებიან. ამიტომ ავტორის შემდეგ თავად დამსწრე საზოგადოებას ვთხოვ აზრის გამოთქმას.

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთ გამოთქმას წავაწყდი ფეისბუქზე. მისი ავტორი არ ვიცი, მაგრამ ძალიან მომეწონა და გავიმეორებ: „მასწავლებელი გვიჩვენებს კარს, რომელშიც უნდა შევიდეთ, მაგრამ ამ კარში უნდა შევიდეთ თავად“. მე სწორედ ასე მესახება მასწავლებლისა და მოსწავლის ნამდვილი ურთიერთობა. ასეთია მე და ზურაბის ურთიერთობა. წიგნში აღძრული ყველა საკითხის იდენტიფიცირებაში თუ გარკვეული მიმართულებით კვლევაში ჩემი მნიშვნელოვანი ნვლილია. მე გარკვეულ შედეგს, ცხადია, მოველოდი. მაგრამ გულნრფელად ვიტყვი, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. როცა წიგნს გამოცემის შემდეგ კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი, გავიფიქრე, ნუთუ ეს ჩემგან მიღებული იმპულსებით შეიქმნა? ანუ ზურაბი არა მარტო თავად შევიდა იმ კარში, რასაც მეცნიერება ჰქვია, არამედ ამ სივრცის სრულუფლებიან წევრადაც მოახერხა გახდომა. ეს წიგნი ახლებურად იაზრებს საქართველოს ისტორიას მეთვრამეტე საუკუნეში. ის ფაქტებს ალაგებს ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში.

უნივერსიტეტი განებივრებულია კარგი დოქტორანტებით და მათი საინტერესო მონოგრაფიებით. ამ ფონის მიუხედავად ვიტყვი, რომ ზურაბის მონოგრაფიის შემთხვევა მაინც გამორჩეულია. ეს არის ძალიან მონიფული ნამუშევარი. რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს რას ვგულისხმობ, მოკლე ისტორიული ნიაღსვლა დამჭირდება და საკუთარ თავზე ლაპარაკი. ეს გარდაუვალია: ზურაბისა და ჩემი სამეცნიერო ბიოგრაფია ისე გადაეჯაჭვა ერთმანეთს, მათზე ცალკ-ცალკე საუბარი ალბათ შეუძლებელიცაა.

ვინც ჩემს სამეცნიერო შემოქმედებას იცნობს, იცის, რომ მე ძალიან კონკრეტული ვიწრო ტექსტოლოგიური

ძიებებით დავინყე ის. თეორია მაშინაც აქტუალური იყო ჩემთვის და ნყაროთმცოდნეობის მეთოდოლოგიურ საკითხებს ბეჯითად ჩავკირკიტებდი. მაგრამ თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი ნლებიდან, როცა, როგორც ერთ-ერთი საგრანტო პროექტის მონაწილეს, უნდა დამეწერა თემა „რელიგია და ქართველთა თვითცნობიერება". მაშინ მივხდი, რომ ამ თემას ახალი თეორიული მიდგომის გარეშე ვერ დავნერდი. დავინყე შესაბამისი დასავლური თეორიის ძიება. ყველას კარგად გვახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი ნლები და ძნელია მისახვედრი არაა, რომ ეს ძიებები არ იყო იოლი. საინტერნეტო რესურსები ჯერ კიდევ მწირი გახლდათ, ინტერნეტთან ნვდომა ძნელი, ხოლო ახალი წიგნები საქართველოს ბიბლიოთეკებში აღარ შემოდიოდა. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელი გარკვეული ნაწილის მოძიება და აღმოვაჩინე ჩემთვის სასურველი მიდგომა. „სასურველი" ვამბობ იმიტომ, რომ მისი საშუალებით შესაძლებელად ჩავთვალე ქართველი ერის გამოცდილების აღნერა ანუ ხანგრძლივი ეთნიკური ისტორიის მქონე ერისა. ეს იყო ეთნოსიმბოლიზმი, რომლის ფაქტობრივი დამფუძნებელი აწ განსვენებული ბრიტანელი მკვლევარი ენტონი დევიდ სმითია. ვთარგმნე კიდეც ქართულად, სხვათა შორის, მის მიერვე ჩემთვის ამ მიზნით შერჩეული და ნაჩუქარი წიგნი, რომელშიც მოკლედ გადმოცემულია ეთნოსიმბოლიზმის არსი. ეს იყო 2004 ნელს და ეს იყო ამ ავტორის პირველი ქართული თარგმანი. ეს ურთულესი ნიგნი სრულიად უსასყიდლოდ ვთარგმნე და მთელი ტირაჟი ასევე უსასყიდლოდ გავავრცელე კოლეგებში იმით იმედმოცემულმა, რომ მას სხვებიც გამოიყენებდნენ. სამწუხაროდ, ნაწილმა სრულიად უყურადღებოდ დატოვა ის, ნაწილი კი აშკარად აგრესიულად განეწყო მისდამი. სმითის თეორიას ზოგნი მოიხსენებდბენ როგორც „თეორიას, რომელსაც არ იზიარებენ", ან „რომელიც ქართული სინამდვილისათვის არ გამოდგებოდა". „იდენტობა", „მარკერი" ეს სიტყვები ასევე გამაღიზიანებლად მოქმედებდა ზოგ კოლეგაზე. რა იყო ამისი მიზეზი მართლა არ ვიცი: დასავლური თეორიის პრინციპული მიუღებლობა, სიახლის მიუღებლობა თუ ჩემგან მხარდაჭერილი თეორიის მიუღებლობა, თუ ეს ყველაფერი ერთად, ვერ გეტყვით.

ამიტომ ერთადერთი გზა მრჩებოდა: ამ იდეებით ახალგაზრდების ინპირირება მომეხდინა. სულაც არ ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობა თავად არის პიროვნების ღიაობის გარანტი: ბევრი ასაკოვანი ადამიანი თავისი განწყობით სიახლის მიღებისადმი უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ასაკით ახალგაზრდა. მაგრამ მაინც იმედი მქონდა. ამიტომ კურსი „ქართული იდენტობის ისტორია" ჩავრთე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაში „საქართველოს ისტორია", რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. პირველი თაობა მათი, ვისაც ვუკითხავდი ამ კურსს, საკმაოდ გულრილად შეხვდა მას, მეორე თაობა უფრო ინტერესით მოეკიდა. კურსი, რომელზედაც ზურაბი სწავლობდა, თუ არ ვცდები, ჩემი სამაგისტრო პროგრამის მესამე მიღება იყო. ეს კურსი განსაკუთრებით მიყვარდა არა მარტო იმიტომ, რომ ძალიან მოტივირებული ახალგაზრდები იყვნენ, არამედ იმიტომაც სიახლე კი არ აფრთხობდათ, არამედ იზიდავდათ. აი, პირველად მათმა ნაწილმა დაიჯერა ამ თეორიის პოტენცია და ზურაბი სწორედ მათ შორის არის.

ისტორიკოსებს გვიყვარს ფაქტებზე ცენტრირებული თხრობა, მეც მიყვარს და ჩემი ბოლოდროინდელი ნაშრომიც ხოსროვანთა სამეფო სახლის შესახებ სწორედ ემპრიცისტული რეპრეზენტაციის ნიმუშს წარმოადგენს. მაგრამ სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, როცა პროფესიონალი ისტორიკოსი უარყოფს რეპ-

რეზენტაციის სხვა სტილს, და კულტურულ ანთროპოლოგიურად ორიენტირებულ ისტორიულ რეპრეზენტაციის მნიშვნელობას ამცრობს.

ზურაბის ნაშრომი სტრუქტურირებულია ეთნოსიმბოლისტური თეორიის გათვალისწინებით. ამის დამატებით ორი თავი წარმოადგენს თეორიულ დისკურსს. ერთია ისტორიული პრაქტიკის საზრისზე და პრობლემებზე ზოგადად და, კერძოდ, საქართველოში. მეორე – ეთნოსიმბოლიზმის გადმოცემაა. დღეს ამ მიმართულებას უკვე ბევრი იცნობს საქართველოში და ბევრიც იყენებს, ბევრის გადმოცემაც მინახავს და მეც არაერთხელ გამიკეთებია ეს, მაგრამ შეიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ზურაბის გადმოცემა ერთ-ერთი საუკეთესოა. მას ღრმად ესმის აღნიშნული მიდგომა და სნორედ ეს აძლევს შესაძლებლობას სრულად გამოყენოს მისი თეორიული ინსტრუმენტარიუმი.

ნაციონალიზმი, როგორც სამეცნიერო პრობლემა, იგნორირებული იყო უახლოესი წინა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ან ფასდებოდა როგორც პოლიტიკური ექსტრემიზმი. სწორედ ე. დ. სმითის დამსახურებაა ნაციონალიზმის კულტურული ასპექტების ნარმოჩენა. ნაციონალიზმი არის კულტურის ფაქტი. ქართული ნაციონალიზმი არის ქართული კულტურის ფაქტი. ამიტომაა, რომ მისი იდეოლოგიის შემუშავებაში მონაწილეობდა ქართული კულტურული ელიტა სრულად. წიგნში არაერთ ასეთ მოღვაწეზეა საუბარი. ისინი ეროვნული იდეის მესაძირკვლედ არიან აქ წარმოდგენილნი.

წიგნი უაღრესად ინფორმაციულია. უბრალოდ შენიშვნებისათვის თვალის გადავლებაც აჩვენებს გამოყენებული ლიტერატურის შთამბეჭავ რაოდენობას. თავისებური სტილი რამდენადმე უჩვეულოა ქართული ისტორიოგრაფიული დისკურსისათვის. მომიჯნავე დარგში შესრულებული ბევრი კარგი ნაშრომის კითხვამ და, სავარაუდოდ, მისმა ფილოსოფოსის დიპლომმაც ეს გამოინვია. ერთხელ ზურაბმა მკითხა, დისერტაცია ალბათ სხვაგვარად უნდა დავნეროო. მე უარვყავი. დე, შეინარჩუნოს მან გამოხატვის ეს თავისებურება, რადგან სათქმელს ის ახლებურად ამბობს.

ზურაბის ნაშრომი არის პანორამული რეპრეზენტაცია. ჩემი სხვა დოქტორანტი იკვლევდა ქართულ იდენტობას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და ერთმა უადრესად არაობიქტურმა რეცენზენტმა მას უსაყვედურა, რომ ასეთი დიდი მონაკვეთის სათანადოდ დამუშავება სადოქტორო დისერტაციაში ვერ მოხერხდებოდა. ამ რეცენზენტის აზრით, დოქტორანტებმა მხოლოდ ძალიან ვიწრო პრობლემები უნდა იკვლიონ. ეს არის მცდარი შეხედულება. კარგი ნაშრომი ერთ კონკრეტულ ფაქტსაც შეიძლება ეხებოდეს და ეპოქასაც. როცა ეპოქას აღწერს ნაშრომი, ყველა კონკრეტული ფაქტი ვერ იქნება დეტალურად გაშუქებული, მაგრამ ეს მისი ნაკლი არ არის. ეს არის გამოკვლევის ფოკუსით განპირობებული გარემოება. კარგად აქვს თავად ზურაბს წიგნში შენიშნული: ცალკეული ფაქტების დეტალური კვლევა ხშირად ხელს უშლის ყველა ფაქტის ერთიანობაში დანახვას.

ზურაბი ნამდვილი მეცნიერია იმ გაგებითაც რომ ის ღიაა სიახლისადმი და კეთილგანწყობილი განსხვავებული აზრისადმი. დიდი მადლობა მას განვლილი წლებისათვის. ძალიან ბევრი რამ შემძინა ინტელექტუალურად და ემოციურად. მე, ცხადია, ვზრუნავ მასზე, მაგრამ ისიც ზრუნავს ჩემზე და ცდილობს შრომა შემიმსუბუქოს, მეხმარება, როგორც შეუძლია. ყველამ იცის, რომ აქტიურ (მოუსვენარ) მეცნიერთა რიცხვს განვეკუთვნები და ვცდილობ ხან სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას, ხან ჟურნალის გამოცემას. ამ საქმეში დამხმარე, როცა შავი სამუშაოს კეთებას ეხება საქმე, არავინ მყავს გარდა რამდენიმე მოხალისე სტუდენტისა. ერთ-ერთი უმთავრესი მათ შორის ზურაბია.

მართალია, არ ვიცნობ, მაგრამ ვხვდები როგორი მშობლები ჰყავს ზურაბს. ვიცნობ და უდიდესი სიმპათიით ვარ გამჭვალული მისი მეუღლის ნათიასადმი. ადვილი წარმოსადგენია, ორი შვილის დედას რამდენი რამ უნდა აეღო თავის თავზე, რომ ზურაბს ასეთი დიდტანიანი და ასეთი სერიოზული ნაშრომის წარმოდგენა შეძლებოდა. ასე რომ, დიდი მადლობა, ზურაბის ოჯახის წევრებს.

ჩემი მადლიერება მინდა გამოვხატო რუსთაველის სამეცნიერო ფონდისადმი. ორჯერ მოიპოვა ზურაბმა კვლევითი გრანტი: როგორც ახალგაზრდა მკვლევარმა და როგორც დოქტორანტმა. ამ გრანტმა მას საშუალება მისცა ჩემთან ერთად თუ ცალკე ემოგზაურა საზღვარგარეთ და მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო კონფერენციებში, ეყიდა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა და გამოეცა ეს წიგნი".

ამის შემდეგ პროფესორმა ჩხარტიშვილმა სასაუბროდ მოიწვია თავად ავტორი. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჩატარებული კვლევის შედეგები და წიგნის შინაარსი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მე-18 საუკუნე ქართული იდენტობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ეპოქაა: „კვლევისას ცხადი გახდა, რომ გარდა თავდაპირველად დასახული მიზნისა, აუცილებელი იყო ისტორიის დისციპლინის ნინაშე მდგარი ამოცანებისა და ზოგადად ქართული საისტორიო სკოლის გამოცდილების გაშუქებაც“. მისი განმარტებით სწორედ ამ მიზანს ემსახურება წიგნის პირველი თავი. ავტორის თქმით: „წიგნის თავები დალაგებულია იმ თემებისა და საკითხების მიხედვით, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად შესწავლილად მიიჩნევა“. ამგვარი გადაწყვეტილებით ის იმედოვნებდა, რომ საზოგადოება ნაცნობი სათაურების ქვეშ ამოკითხული განსხვავებული შინაარსის გაცნობით, უფრო თვალსაჩინოდ დაინახავდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თავისებურ ხაზსს.

ავტორის განმარტებით, კონცეპტუალურად განსხვავებული იყო მისი მიდგომა ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციისას. კერძოდ, თეორიულ ჩარჩო (ეთნოსიმბოლიზმი), რომელიც მან გამოიყენა კვლევისას, კონცენტრირებული გახლავთ სუბიექტივისტური მომენტების დაკვირვებაზე. ამ გარემოებამ კი მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი აჩვენა მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ვითარების შესახებ. გამოიკვეთა, რომ კულტურული მოძრაობა, მისი იდეური და იდეოლოგიური მიზანდასახულობა გულისხმობდა ერთიანი ქართული იდენტობის ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანას. იმდენად, რომ ქართული ნაციონალიზმის იდეების ფორმირება უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებს უნდა დავუკავშიროთ.

დასასრულ, ავტორმა დიდი მადლიერებით აღნიშნა მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის განსაკუთრებული წვლილი წინამდებარე კვლევის შესრულებისა და წიგნის გამოცემის საქმეში. მადლობა გადაუხადა რუსთაველის სამეცნიერო ფონდს მხარდაჭერისათვის და დამსწრე საზოგადოებას ღონისძიებაში მონაწილეობისათვის.

წიგნის შესახებ აზრი გამოთქვეს სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა კახა კვაშილავამ და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა აკაკი ჩიქობავამ. პირველმა მათგანმა გაიზიარა ავტორის პოზიცია ისტორიული დისციპლინის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და ქართული საისტორიო სკოლის პერსპექტივების შესახებ. მან წარმატებები უსურვა ავტორს და აღნიშნა კვლევა-ძიების გაგრძელების აუცილებელობის შესახებ. მეორე გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა ავტორის პოზიციაზე მეთვრამეტე საუკუნეში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია დამატებითი კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით.

წიგნისა და ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაგრძელდა არაფორმალურ ვითარებაში ფურშეტზე.



PRESENTATION OF ZURAB TARGAMADZE'S MONOGRAPH "GEORGIAN IDENTITY: HISTORICAL ASPECTS (18TH CENTURY)"

Sopio Kadagishvili

On April 26, 2018 Ivane Javakhishvili Tbilisi State University hosted book presentation: "Georgian Identity: Historical Aspects (18th century)". The author of the book Zurab Targamadze is PhD student of Javakhishvili Tbilisi State University enrolled at the doctoral programme: "Georgian history and Source-Studies". The book was published by financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. Editor of the book is Professor Mariam Chkhartishvili; reviewers are: Professors Eka Kvachantiradze and Goneli Arakhamia.

The book (371 pages) is young author's first serious step in scientific circle. It contains six chapters, conclusion and summery in English. There is possible to find information about theoretical foundation (multiple identities, nationalism), cultural movement, socio-economical relations, political fragmentation and its impact on development of Georgian community and about next stages of national identity development.

The presentation, desscution was led by Professor Mariam Chkhartishvili. She was the first who shared information about the book to audience. Then was the author himself and others from the audience. Professor Chkhartishvili emphasized the book's significance, validity, profundity. Zurab Targamadze thanked Professor Mariam Chkhartishvili as his academic superviser and editor of the book for scientific encouragement and support.

Debates about the book and Georgian historiography was continued at informal part of presentation.

პროექტის შედეგების პრეზენტაცია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში

ნინო ღამბაშიძე

2018 წლის 2 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტის: „შეუსწავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიებანი)" საბოლოო შედეგების და მონოგრაფიის პრეზენტაცია. შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი ნინო ღამბაშიძე და ამავე ინსტიტუტის არქივის პასუხისმგებელი პირი, პროექტის მონაწილე ნიკოლოზ გურგენიძე.

პროექტი ითვალისწინებდა ინსტიტუტის არქივში დაცული გრაფიკული ანაზომების დამუშავება-დიგიტალიზაციას და კომპიუტერული ბაზის შექმნას. ასევე, ანაზომებზე მოცემული საკულტო ნაგებობების ერთი ნაწილის შესწავლას ძველი და ახალი მონაცემების, გამოუქვეყნებელი ეთნოგრაფიული მასალების მეშვეობით.

ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცულია მრავალი გრაფიკული ანაზომი. ამ მასალის მოცულობის გამო, შერჩეული იყო მხოლოდ ის სამი რეგიონი, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი ეთნოლოგიური კუთხით. ესენია: გუდამაყარი, ხევი, თუშეთი.

ცხრამეტი პარამეტრის მიხედვით დამუშავდა 275 ერთეული გრაფიკული ანაზომი და შეიქმნა კომპიუტერული ბაზა. დამუშავების პროცესში არქივში აღმოჩნდა ერთი უცნობი გრაფიკული ანაზომი და ოთხი ანაზომი სწორად იქნა იდენტიფიცირებული. გაიშიფრა ზოგიერთი გრაფიკული ანაზომის შემსრულებელი არქიტექტორის სახელი და გვარი.

სამწლიანი კვლევითი სამუშაოები გამოიცა მონოგრაფიის სახით. მონოგრაფიის ერთი ნაწილი დაეთმო გრაფიკული მასალის აღწერას. მეორე ნაწილში ძველ და თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილია გუდამაყრის, ხევის, თუშეთის სალოცავები. სამივე კუთხის მთავარი სალოცავის (პირიმზე ფუძის ანგელოზი, გერგეტის სამება, ლაშარი) და მათი დღესასწაულების შესწავლისას, გამოიყო სხვადასხვა ისტორიულ პერიოდთნ დაკავშირებული ფენები, კერძოდ: ნინა ქრისტიანული და ქრისტიანული, რამაც შესაძლებელი გახადა ეთნოგრაფიული მასალის გარკვეულნილად დათარიღება. ქართველთა სარწმუნოების ისტორიაში გამოიყო ახალი, დღემდე უცნობი, პერიოდი, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის შემოღებას უკავშირდება. გამოითქვა მოსაზრება დღესასწაულ ათენგენობის რაობის შესახებ.

მონოგრაფიაში ცალკე თავი აქვს დათმობილი წმ. გიორგის სალოცავებს. ამ თავში პირველად გამოიცა ვერა ბარდაველიძის გუდამაყრისა და ხევის მასალები.

ნინო ღამბაშიძე
ქეთევან ალავერდაშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
ტრადიციული კულტურა

(გუდამაყრის, ხევის, თუშეთის სალოცავები)

მონოგრაფიის რედაქტორმა, ისტორიის მეცნიერებათ დოქტორმა, პროფესორმა ნინო მაისურაძემ შეაფასა მონოგრაფია და აღნიშნა მისი მნიშვნელობა. დამსწრეებმა გამოთქვეს აზრი და აღინიშნა, რომ გაწეული კვლევები იმსახურებს მაღალ შეფასებას.

საგრანტო პროექტის ფარგლებში მიღებული მედეგები მოხსენებულ იქნა სამ საერთაშორისო დარგობრივ კონფერენციაზე (ლონდონში, ვარშავასა და თბილისში) და გამოქვეყნდა სამი სტატია.

აქედან ერთი რეცენზირებად ჟურნალში, ხოლო მეორე ელექტრონულ კრებულში, რომელიც განთავსდა ინტერნეტში. მესამე სტატია შევიდა საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებულში. ადგილობრივ სამეცნიერო კრებულში გამოიცა ოთხი სტატია, ორი გადაცემულია გამოსაცემად.

PRESENTATION OF THE RESULTS OF RESEARCH PROJECT AT THE INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

Nino Gambashidze

On May 2, 2018 at Javakhishvili Tbilisi State University Institute of History and Ethnology was held the presentation of the outcomes of the project: "Unexplored Archive Materials and the Traditional Culture of the East Georgia Highland (Ethnological Studies)". Principal Investigator – Doctor of History Nino Ghambashidze. The speakers at the presentation were: Nino Ghambashidze and Nikoloz Gurgenidze, member of the project, the responsible person for the Institute of History and Ethnology archive. The project aimed to work out graphic archive materials about the East Georgia highland (Gudamakari, Khevi, Tusheti) preserved at the archive of the Institute.

275 graphical sketches were worked out by 19 parameters, digitalized and entire data base was formed. On the basis of these worked out material a monograph: "The Traditional Culture of the East Georgia Highland (Main Shrines of Gudamakari, Khevi, Tusheti)" was written.

The results of the project were presented at the international conferences (London, Warsaw and Tbilisi), one article was published in peer reviewed journal, second in an e-book and the third one in the proceedings of the conference: six articles were published in Georgian scientific journal.

The editor of the monograph, Professor, Doctor of History, Nino Maisuradze evaluated the presented work. The value of the investigation was acknowledged among the professionals and the audience.

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?"

ირაკლი ირემაძე

2018 წლის 25-30 ივნისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ეროვნულმა არქივმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და სამხრეთ კავკასიის კვლევის ამერიკულმა ინსტიტუტმა (ARISC) ერთობლივად გამართეს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?" ფორუმის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე, თანახელმძღვანელები პროფესორები სტივენ ჯონსი, ბექა კობახიძე და ოთარ ჯანელიძე, ხოლო კოორდინატორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკვლევარი ირაკლი ირემაძე.

სამეცნიერო ფორუმი ექვსდღიანი სამეცნიერო აქტივობებით იყო დატვირთული. ფორუმის სამი დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა, ხოლო ფორუმის თითო-თითო დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ეროვნულ არქივსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ფორუმის პირველი ორი დღე დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას რომელზეც მოხსენებები ქართველ მეცნიერებთან და მკვლევრებთან ერთად წაიკითხეს საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებმა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევენ, მათ შორის, რიჩარდ ჰოვანესიანმა – ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა, რონალდ სუნიმ – ჩიკაგოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა და მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა, სტივენ

ჯონსმა – მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორმა, შარლ იურევიჩმა – პარიზის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ინსტიტუტის ემერიტუს პროფესორმა, ვინფრიდ ბაუმგარტმა – მაინცის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა, შარლოტ ალსტონმა – ნიუკასლის ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროფესორმა, ენდრიუ ანდერსენმა – კანადის კალაგირის უნივერსიტეტის მკვლევარმა და ერიკ ლიმ – ცნობილმა მემარცხენე აქტივისტმა და ბლოგერმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე განხილულ იქნა არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკის გარშემო, კავკასიის რეგიონსა და ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები; განხილულ იქნა ქართული პოლიტიკური მოდელის საერთაშორისო მნიშვნელობა. საერთაშორისო კონფერენციაზე ცნობილ ქართველ და უცხოელ პროფესორებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ ახალგაზრდა მკვლევრები. კონფერენცია სესიების ფორმატში წარიმართა, თითოეულ სესიის ბოლოს იმართებოდა ვრცელი განხილვა და დისკუსია. კონფერენციაზე 22 მოხსენება იქნა წაკითხული.

ფორუმის მეორე ნაწილი, ოთხი სამუშაო დღე დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლას, რომელიც 30 აკადემიურ საათს მოიცავდა. საზაფხულო სკოლაზე ლექციები წაიკითხეს სამეცნიერო კონფერენციის მომხსენებლებმა. საზაფხულო სკოლის ფარგლებში ვრცლად იქნა განხილული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რესპუბლიკის რეფორმები, შეცდომები და მიღწევები.

საზაფხულო სკოლას მსმენელები ფორუმის გამართვამდე ოთხი თვით ადრე იქნენ შერჩეული სპეციალური კონკურსის შედეგად. საზაფხულო სკოლამ სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, კონკურსში განაცხადი ხუთ ათეულზე მეტმა აპლიკანტმა წარადგინა, რომელთაგანაც ცამეტი ქართველი და რვა უცხოელი კონკურსანტი იქნა შერჩეული. ფორუმის უცხოელი კონკურსანტები და საბოლოო მონაწილეები ევროპის წამყვან სასწავლებლებს წარმოადგენენ. მათ შორის კემბრიჯის, ოქსფორდის, ბერლინის თავისუფალ, ვარშავის, ტარტუსა და ჰელსინკის უნივერსიტეტებს.

ფორუმი, გარდა მოხსენებებისა და ლექციებისა, მოიცავდა პრაქტიკულ ღონისძიებებსაც, უცხოელ მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაეცნოთ დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ეროვნული არქივში დაცული წყაროები და მასალები. ასევე გაიმართა შემეცნებითი ტური მცხეთაში, ხოლო საინფორმაციო ღონისძიება ტაბახმელაში, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ფრონტის ხაზზე და სანგრებში სადაც უშუალოდ მიმდინარეობდა ბრძოლები.

ფორუმის უცხოელმა და ქართველმა მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, მსგავსი ფორუმების მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის გაფართოებისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ასევე ერთხმად იქნა აღნიშნული ფორუმის ორგანიზების მაღალი ხარისხი და ფორუმის შინაარსობრივი მხარე. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ფორუმის მომხსენებელთა ასაკობრივი მრავალფეროვნებას. ფორუმის დასკვნით ნაწილში გაიმართა მსჯელობა, მომავალში მსგავსი ფორუმის სისტემატურად განხორციელების და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების დაგეგმვის შესახებ.

ფორუმის მოხსენებების კრებული 2018 წლის ბოლოსათვის გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

"REMEMBERING THE GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC 100 YEARS ON: A MODEL FOR EUROPE"?

Irakli Iremadze

Regarding the centenary celebration of independence proclamation of Georgian Democratic Republic, Ivane Javakhishvili Tbilisi State University together with National Archive of Georgia, National Parliamentary library of Georgia, National Museum of Georgia and American Research Institute of the South Caucasus (ARISC) with support of Shota Rustaveli National Scientific Foundation organized a scientific forum entitled: "Remembering the Georgian Democratic Republic 100 Years On: A Model for Europe?". Conference was held on June 25-30, 2018.

The forum prolonged for six days. Within the forum were organized international scientific conference and International summer school. Twelve Georgian and ten foreign Professors and researchers participated in international scientific conference. The conference was focused not only on internal and foreign policy of Democratic republic of Georgia, but also on syncronous events occurred in Caucasus region and territory of former Russian empire.

„პონტოელი ბერძნები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა“ – წიგნის პრეზენტაცია

ზურაბ თარაგამაძე

2018 წლის 5 ოქტომბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წევრების მიერ მომზადებული მონოგრაფიის: „პონტოელი ბერძნები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა“ პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი: FR/491/2-153/13).

მონოგრაფიის ავტორები არიან: ფილოლოგი, პროფესორი მარინე გიორგაძე (მთავარი რედაქტორი); ისტორიკოსი, პროფესორი ნუგზარ მგელაძე; ისტორიკოსი, პროფესორი თემურ ტუნაძე; ისტორიის დოქტორი ნინო ძნელაძე; ისტორიკოსი, ასოცირებული პროფესორი მანუჩარ ლორია; დოქტორანტი თეონა აბულაძე და დოქტორანტი სოფიკო ჩხარტიშვილი-მაზმანიდი.



წიგნი გამოიცა 2017 წელს, ის მოიცავს A4 ფორმატზე დაბეჭდილ 560 გვერდს. შედგება ოთხი თავის, თხუთმეტი ქვეთავისა და დანართებისაგან. მონოგრაფიაში შესწავლილია აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნების დასახლების ისტორია, მათი მატერიალური და სულიერი კულტურა. ნაშრომს თან ახლავს ბერძენთა ცხოვრების ამსახველი ილუსტრაციები, დართული აქვს კომპაქტური დისკი, რომელშიც თავმოყრილია მათი ყოფა-ცხოვრების: აუდიო, ფოტო და ვიდეომონიტორინგის ამსახველი ფაილები. მონოგრაფია სრულდება ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეთი სადაც წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები.

წიგნში საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარაში მცხოვრები ერძნების ყოფა-ცხოვრება და ისტორია გაშუქებულია ინტერდისციპლინურ კონტექსტში. საგულისხმოა ისიც, რომ ავტორები საკითხის შესწავლას მიუდგნენ კომპლექსურად, ისინი არა მხოლოდ ადგილობრივი ბერძნების ყოფა-ცხვრებას დააკვირდნენ, არამედ მათ მეზობლ ქართულ მოსახლეობასაც. როგორც ისინი მიუთითებენ ამ გზით მათ შეძლეს ბერძნული და ქართული მოსახლეობის თანაცხოვრების შედეგად წარმოქმნილ კულტურულ ურთიერთგავლენებზე დაკვირვებაც. ავტორები აღნიშნავენ, რომ აჭარაში ჩასახლებულმა პონტოელმა ბერძნებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ადგილობრივების სულიერ და

მატერიალურ კულტურაზე, რაც აისახა კიდეც ადგილობრივი მოსახლეობის ლექსიკასა და სამეურნეო ცხოვრებაზე. ბერძნების ჩამოსახლებამ გარკვეული გავლენა იქონია დემოგრაფიულ სურათის ცვლილებაზეც. მონოგრაფიის ღირებულებას ერთიორად ზრდის ის ფაქტიც, რომ მასში ქართულ-ბერძნული ურთიერთობები ნარმოდგენილია პანორამულად. ის უდავოდ იპოვის მკითხველს ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, ფოლკლორისტთა და ლინგვისტთა ნრეში.

კვლევაში გათვალისწინებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ისტორიული დოკუმენტები, ასახულია სამეცნირო ექსპედიციების შედეგად გამოვლენილი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებიც.

ნიგნის წარდგენისას ავტორებმა აღნიშნეს და ჩვენ სრულიად ვიზიარებთ მათ დამოკიდებულებას, რომ აჭარაში ქართველებისა და ბერძნების თანაცხოვრების გამოცდილებაზე დაკვირვებას შეუძლია მნიშვნელოვანი ცოდნა მოგვცეს ზოგადად ქართულ სინამდვილეში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრების პერსპექტივაში ნარმოდგენისათვის. ჩვენ ჩვენი მხრივ დავამატებთ იმას, რომ ქართული ერთობის *სხვებთან* დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების შესნავლა, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ასპექტების განსაზღვრა, განსაკუთრებით კი ამ გამოცდილების ისტორიულ-რეტროსპექტული ანალიზი მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს მულტიკულტურული და მულტიეთნიკური ქართული საზოგადოების წინაშე არსებული გამონვევების მოგვარებას. ყოველ შემთხვევაში, ამ გამონვევების სწორად აღქმის, შეფასებისა და გადააზრებისათვის აუცილებელი რომ არის არსებული გამოცდილების ინტერკულტურულ ჭრილში წარმოდგენა ეს ცალსახაა. აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის მონოგრაფია: „პონტოელი ბერძნები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა“ იქნება მნიშვნელოვანი ინსპირაციის ნყარო.

უდავოა, მონოგრაფიის ღირებულება იმ ფაქტის დამსახურებაც გახლავთ, რომ ნიგნის ავტორები არიან ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებების ნარმომადგენლები. შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფია: „პონტოელი ბერძნები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა“ ერთ-ერთი იშვიათი და კარგი ნიმუშია ისტორიული წარსულის კვლევისას კომპლექსური მიდგომის უპირატესობისა.

ვფიქრობთ, რომ მკითხველი აუცილებლად უნდა გაეცნოს ამ წიგნს. ის არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს, ზოგადად დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს მიაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, მისი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ.

„PONTIC GREEKS IN AJARA: PAST AND PRESENT“ BOOK PRESENTATION

Zurab Targamadze

On October 5, 2018 Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Classical Philology, Byzantine and Modern Greek Studies hosted the presentation of the monograph: "Pontic Greeks in Ajara Past and Present" authored by the members of the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University. The book has been published by financial support of Shota Rustaveli National Science foundation of Georgia (Grant: FR/491/2-153/13).

The authors of the monograph are: Doctor of Philology, Professor Marine Giorgadze (editor-in-chief), Doctor of Historical Sciences, Professor Nugzar Mgeladze, Doctor of History, Professor Temur Tunadze, Doctor of History Nino Dzneladze, Doctor of History, Assoc. Professor Manuchar Loria, PhD student Teona Abuladze and PhD student Sophiko Chkhartishvili-Masmanidze.

The book was published in 2017, it covers 560 pages printed on A4 format. It consists of four chapters, fifteen subchapters and annexes. The monograph is a study of the history of the Pontic Greek settlement in Ajara, their material and spiritual culture. The work is annexed by illustrations depicting life of the Greeks, as well as a DVD in which are the: audio, photo and video monitoring recordes. The monograph ends with an extensive English resume where the main results of the research are presented.

The book studies the life and the history of the Greeks living on the territory of Ajara in the interdisciplinary context. Authors use the comprehensive approach; they are observing not only the life of the Greeks, but the neighboring Georgian population too. By this way they were able to study the intercultural influences arisen from their coexistence. As authors indicated the Pontic Greeks settled in Ajara had had a significant influence on the spiritual, material culture and on the lexical and agricultural lifestyle of the indigenous population. The settlement of Greeks even had some impact on the changing the demographic picture. The panoramic view of Georgian-Pontic Greek interrelations increases value of the book. Definitely it will find its readers among the historians, ethnographers, folklorists and linguists.

The research is based on the existing scholarly literature and historical documents, as well as the folklore-ethnographic materials revealed during the complex scientific expeditions.

During presentation event the authors had marked and we are fully agree with their attitude, that observation on cohabitation of Georgians and Greeks in Ajara can give us a significant knowledge in order to present together living perspectives of different ethnic groups in Georgia. In our turn we would like to add, that to study of the attitudes of Georgian unity with others, determination of the social, political and cultural aspects, especially historical and retrospective analysis of these experiences, will significantly facilitate to understand of the challenges faced to multicultural and multiethnic Georgian society. Anyway, it is clear, if we want to consider, evaluate and rethinking these challenges properly, we should represent existing experiences in the intercultural context. The monograph: "The Pontic Greeks in Ajara Past and Present" will be an important source of inspirations for a wide range of researchers and readers.

The fact that authors are representatives of the different fields of humanities undoubtedly increases the value of this book. It can be said that monograph "The Pontic Greeks in Ajara Past and Present" is one of the rare and good examples to prove the preference of complex approach in the research of historical past.

We think the readers should read this book. It will provide important insights not only for representatives of academic society, but to all readers interested in history of Georgia, its cultural and ethnical diversity.

ხსოვნა
IN MEMORIAM

მარიამ ლორთქიფანიძის გახსენება

ვალმოხდილი!

შალვა გლოველი

ძნელია წარსულში ისაუბრო ეპოქალურ მოღვაწეზე. ეს თითქოს ანაქრონიზმია. ასეთი ადამიანები ხომ გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებენ ცხოვრებას და მათი სახელები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ფიზიკურად იცხოვრეს ამ ქვეყნად. ასეთ მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნება აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე.

აღსანიშნავია, რომ მას ანიჭებდნენ სოლიდურ სახელმწიფო ჯილდოებს, წოდებებს, მედლებს, ორდენებს, სიგელებს... მაგრამ ყველაზე დიდი და გამორჩეული მაინც იყო თავად მისი სახელი – მარიკა, მარიამ ლორთქიფანიძე! ეს სახელი ჩრდილავდა ყველას და ყველაფერს. თუ შეიძლება ფენომენზე და ფენომენალურობაზე საუბარი, სნორედ ამ შემთხვევაში! მან შეძლო ის, რაც ფაქტობრივად ვერ შეძლო ვერც ერთმა მეცნიერმა. მას ყველა ცნობდა და პატივს სცემდა, მთელი ერი, მთელი ქვეყანა, მიუვალ სოფელში მაცხოვრებელიც კი ენდობოდა მას, მისი ყველას სნამდა, ყველას სჯეროდა, ის ყველას ეამაყებოდა და ეიმედებოდა. როგორ შეძლო, როგორ მოახერხა? ნუთუ მსგავსი მეცნიერი სხვა არ გვყოლია? ნუთუ კვლევის მასშტაბით მას სხვა ვერავინ შეედრებოდა ან ამდენი ნაშრომი არავის შეუქმნია? წოდებები და ჯილდოები განა სხვებს გაცილებით მეტი არა ჰქონიათ? რა თქმა უნდა, ბევრი სახელოვანი, მსოფლიო დონის მეცნიერი გვყავს, გვყავდა და მომავალშიც გვეყოლება, მაგრამ მარიამ ლორთქიფანიძის მსგავსი აღიარება, ვერავინ მოიპოვა.

უმკაცრესი და საოცრად ლმობიერი, დისტანციური და ამავდროულად უშუალო, თბილი და გულისხმიერი... როგორ ახერხებდა ამას? როგორი ჩანდა შორიდან და როგორი სხვანაირი იყო ურთიერთობაში... გიკვირდა და ამ კონტრასტის პასუხს ვერ ჰოულობდი. ან უბრალოდ, იმდენად მიუწვდომელი გეგონა, რომ ურთიერთობის დროს ვეღარ ცვლიდი მასზე ადრე შექმნილ წარმოდგენას.

არაერთი კოლეგა გვინახავს, რომელიც ბაძავდა, ცდილობდა ყოფილიყო მისნაირი, მაგრამ ყველა მცდელობა კარიკატურული იყო! მათ შეუმდგარ მარიკა ლორთქიფანიძეებს ვეძახდით! მისი მსგავსნი ძალიან იშვიათად იბადებიან! მსგავსი მარიამები ალბათ მხოლოდ მარიამობას იბადებიან!

მახსოვს 80-იანი წლები... ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, ახალი ტალღა, გამოფხიზლება, ისტორიის რეალური ფურცლების ახლად გაცნობა... ისმოდა ფრაზები: „საქართველო ოკუპირებული ყოფილა...“, „საქართველო ანექსირებულია...“, „ავტონომიები საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე შეიქმნა...“, „ქართული მინები რუსეთმა მიითვისა-გაასხვისა...“. მსგავსი ფრაზები ისმოდა ყველგან... ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიის წარსულ ფურცლებს ახლა ვეცნობოდით, ახლა ვიგებდით სიმართლეს, ახლად ვსნავლობდით ისტორიას. ვცდილობდით საბჭოეთის წყვდიადიდან გამოსვლას, სინათლის დანახვას. ამ ვითარებაში, მახსოვს, ყველა კითხულობდა: „მარიკა ლორთქიფანიძე რას ამბობს?“ „მარიკამ რა თქვა?“ მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ტელევიზიით ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევარი არაერთი მეცნიერი თუ პოლიტიკოსი გამოდიოდა და რეალურ ისტორიაზე ლექციებს გვიკითხავდა, ხალხი ერთადერთ ავტორიტეტს, ჭეშმარიტების ერთადერთ მქადაგებელს – მარიკა ლორთქიფანიძეს ელოდა! მალევე გაისმა ქუჩებში, მიტინგებზე, მანიფესტაციებზე: „გუშინ მარიკა გამოვიდა ტელევიზიით და თქვა...“; „დღეს დილით მარიკას ვუსმინე და...“. „ასეა, ნამდვილად ასეა, ეს მარიკამ თქვა...“. დიახ! ისტორიის ახალ ეტაპზე ერი მარიკამ გაანათლა, უახლესი წარსულის ნამდვილი ისტორია მან მოგვიყვა! მხოლოდ მისი სიტყვის სჯეროდა ყველას!

როცა უკვე ქვეყნის შიგნით მოხდა პოლიტიკური და-პირისპირება, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების

მქონენი კვლავ მას მიმართავდნენ, მას საყვედურობდნენ, მისგან არ მოსწონდათ მოვლენების განსხვავებული შეფასება, ეკამათებოდნენ მას და ესეც იმიტომ, რომ მისი აზრი არავისთვის იყო უმნიშვნელო და ყველას მისი თანამოაზრეობა სურდა.

ვინ იყო ჩვენთვის, თანამედროვეებისათვის მარიკა ლორთქიფანიძე?

– ის ჩვენი ეპოქა იყო...

– ის იყო უმთავრესი მეტრი და სიმბოლო მეცნიერის, ისტორიკოსის, პედაგოგის, სიბრძნის, მოღვაწის...

– მარიკა ლორთქიფანიძე იყო ჩვენი უნივერსიტეტის სიმბოლოც. იმ უნივერსიტეტის რომელიც, თავის მხრივ, სიმბოლოა ქართული სულის, ქართველობის, ცოდნის, გარჯის, განათლების, კულტურის და მეცნიერების; ჩვენ ხომ უნივერსიტეტის ხსენებაზე მარიკა ლორთქიფანიძე გვახსენდებოდა და პირიქით...

– ის იყო შესანიშნავი პედაგოგი და ასეთივე ორატორი; საოცრად აკადემიური და ერუდირებული, განსწავლული ადამიანი.

– ის იყო ქვეყნის სადარაჯოზე მყოფი ქომაგი! გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე საკუთარი პოზიციითა და შეხედულებით.

– ის იყო შესანიშნავი ოჯახის დედა, ისტორიის დედა, პატრიარქის თქმით, – „ქართლის დედა“.

ამ ყველაფერს, და გაცილებით მეტს, იტევდა მისი სახელი. ის იყო უბრალოდ – მარიკა, ჩვენი მარიკა ლორთქიფანიძე!

ურთულესი პერიოდები გამოიარა, ურთულესი ცხოვრების გზა განვლო. რევოლუციის შედეგები, ომი, სასტიკი რეჟიმი, რთული კარიერული გზა... ერთხელ მითხრა, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა თორემ სხვა ყველაფერი გამოიარა ჩემმა თაობამ. მერე გადმომხედა, 90-იანი წლების ბოლო პერიოდი იყო, შეწუხებული ხმით დასძინა, ისე თქვენც ჯერ კარგი არაფერი მოგსწრებიათო. ამ რთულ გზაზე, კეთილმოსურნეებთან ერთად, ბუნებრივია, მტრებიც ეყოლებოდა, მაგრამ პიროვნული სიძლიერით ყველა „ოპონენტი“ დაამარცხა! მან თავისი პიროვნული სიძლიერით საკუთარ ასაკსაც კი აჯობა; ზოგადად, ხანდაზმული ადამიანის მიმართ ისედაც განსაკუთრებული დამოკიდებულება, მონიწება და პატივისცემა გიჩნდება, მიუხედავად იმისა ვინ არის ის და რა ცხოვრებით უცხოვრია. ხანდაზმულობა ადამიანის ცხოვრებაში ერთი ცალკე ამბავია! მაგრამ, როდესაც მარიკა ლორთქიფანიძე თავისი ცხოვრების მასშტაბს თავზე 95-წლოვან გვირგვინსაც ადგამს – ეს უკვე ასაკობრივი კატეგორია აღარაა! განგებაა! ეს რჩეულთა ხვედრია! მაშინ როდესაც საკუთარ თავზე ამბობდა: „ამდენი ხანი არ უნდა იცოცხლოს ადამიანმაო“, ხალხში პასუხად ისმოდა: „მარიკასნაირები საერთოდ არ უნდა კვდებოდნენო“.

გარდაცვალება მარტო ადამიანის სულის ზეცაში ცხოვრების გაგრძელებას არ გულისხმობს, გარდაცვალება მისი სახელის მინაზე გარდასახული ცხოვრების გაგრძელებასაც გულისხმობს. გავა წლები, მისი სახელი მრავალ მოგონებაში გაგრძელდება და ჩვენ ყველანი ცხოვრების ბოლომდე ვიამაყებთ, რომ მასთან უშუალო ურთიერთობა გვქონდა, მასთან ერთად გვისაუბრია, გვიმსჯელია, მოგვილხენია, დავდარდიანებულვართ... ბევრიც უბრალოდ იმით იამაყებს სიცოცხლეში მისთვის სადმე თვალი თუ მოუკრავს, ბევრიც უბრალოდ იმით, რომ „მის ეპოქას“ მოესწრო და მისი თანამედროვეა.

რამდენიმე ეპიზოდი პირადი ურთიერთობიდან:

– ძალიან მკაფიოდ მახსოვს ის დღე, როცდესაც პირველად ვნახე ქალბატონი მარიკა. იყო 1989 წელი. ვიყავი 16 წლის, აბიტურიენტი. 9 აპრილის ტრაგედია ახალი მომხდარი იყო. ქალბატონი მარიკა მაშინ იყო ყველაზე დიდი ავტორიტეტი და ქომაგი ქართული სახელმნიფოებრიობის. მაშინ მეც, ჩემი იმდროინდელი ასაკიდან გამომდინარე, ყველაფერი ასმაგად გაიდეალებული მქონდა. იყო ივლისის დასაწყისი. ვემზადებოდი მისაღები გამოცდებისათვის. გამოვედი გაკვეთილიდან და ფეხით მოვუყვებოდი ქავჭავაძის გამზირს. მივუახლოვდი უნივერსიტეტს და ვხედავ, უნივერსიტეტის ბაღიდან გამოდის იმ დროის ყველაზე დიდი მოღვაწე, ყველაზე განათლებული, ისტორიის ყველაზე კარგად მცოდნე ადამიანი და ამას ვხედავ არა ტელევიზიით, არამედ ცხადად. ქალბატონი მარიკა გამოვიდა უნივერსიტეტის წინ, მოტრიალდა და აუყვა ქავჭავაძის გამზირს. მეც მაშინვე მოვტრიალდი და უკან გავყევი. ოთხი-ხუთი ნაბიჯით დაშორებული მივყვებოდი და ვცდილობდი კარგად დამემახსოვრებინა ეს წუთები. მახსოვს, რამდენიმე ადამიანს მიესალმა, მიუყვებოდა გზას უბრალოდ, ჩვეულებრივად, „მინიერად“ და ვერც კი წარმოიდგენდა თუ როგორი ემოციით მივყვებოდი მას უკან. ალბათ არც კი შევუმჩნევივარ. ასე გავიარეთ გარკვეული მანძილი, შემდეგ ქალბატონი მარიკა ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, მე კი ბედნიერი გამოვბრუნდი უკან – ის ხომ უკვე ნანახი მყავდა.

შემდეგ იყო სტუდენტობა. მისი გაცნობა, ლექციები, ურთიერთობა, ჩათვლები, გამოცდები... მეოთხე კურსზე სპეციალურ კურსს გვიკითხავდა საქართველოს ისტორიაში. დავალებებს გვაძლევდა. გვითხრა, ვინც დავალების ლექციაზე წაკითხვას მოასწრებთ, ჩათვლას პირდაპირ დაგიწერთ, ვინც ვერა – ჩათვლაზე ცალკე გამოხვალთო. სემესტრი ისე დამთავრდა, რომ ვერ მოესწრო ჩემი დავალების ლექციაზე წაკითხვა. შესაბამისად, ჩათვლისთვის დავიწყე მომზადება. „ქართლის ცხოვრებას“ გვიკითხავდა. თუ ოდნავი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა სტუდენტს, გასაგებია რა დონეზეც მოემზადებოდა ის ქალბატონ

მარიკასთვის გამოცდის ჩასაბარებლად. მისი მოხიბლვა ხომ ყველა სტუდენტის დიდი სურვილი იყო. მოვიდა ჩათვლის დღეც. ჩათვლა გვქონდა ქალბატონ მარიკას კაბინეტში. რამდენიმე ვიყავით, ჯგუფელები. ჯერ ერთი გავიდა საპასუხოდ, მერე მეორე. ჩემი დროც მოვიდა... დავჯექი მის წინ და ველოდები მისგან კითხვას, რის შესახებაც მომინევს საუბარი. უცებ მკითხა: „თქვენ ხომ გაქვთ ჩათვლილი?" გულისხმობდა ლექციაზე ნაკითხულ დავალებას. მე ვუპასუხე, რომ არ მქონდა ჩათვლა ანუ ლექციაზე არ ნამიკითხავს დავალება. ამაზე უკვე მკაცრი იმპერატივით მიპასუხა: „თქვენ ჩათვლილი გაქვთ!" გამომართვა ჩათვლის წიგნაკი და ჩათვლა გამიფორმა. გამეღიმა, მადლობა გადავუხადე და გამოვედი. ასეთი იყო, ლექციაზე გამოვლენილ მინიმალურ აქტივობასაც კი გიფასებდა.

– მერე იყო დისერტაციის პერიოდი. როდესაც დისერტაციის თემები ხელმძღვანელებზე ნაწილდებოდა დამიძახა ქალბატონმა მარიკამ და დამაზუსტებინა კონკრეტულად რა თემაზე ვაპირებდი მუშაობის გაგრძელებას. იმ დროს ქალბატონი მარიკა იყო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. მე ვუთხარი, რომ მინდოდა მემუშავა „აფხაზთა სამეფოს" თემაზე (ამ საკითხებზე დავწერე სადიპლომო ნაშრომი. მაშინ ჩემი ხელმძღვანელი იყო ასევე უაღრესად დიდი ისტორიკოსი, შესანიშნავი მეცნიერი და პიროვნება, ქალბატონ მარიკას კოლეგა და დიდი მეგობარი ბატონი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი). ქალბატონი მარიკა დაფიქრდა და მითხრა, – „კეთილი, მე ვიქნები თქვენი ხელმძღვანელი". „აფხაზთა სამეფოზე" სწორედ მას ჰქონდა კვლევები, ის სწავლობდა აფხაზეთის შუა საუკუნეების ისტორიას და ბუნებრივიც იყო, რომ სწორედ მას გაეწია ჩემთვის ხელმძღვანელობა. ამის მიუხედავად მაინც გამიკვირდა; ვერ ვიჯერებდი, რომ ეს დიდი მეცნიერი იქნებოდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი. თანაც, ცნობილი ფაქტი იყო, რომ საკმაოდ იშვიათად აპყავდა დისერტანტები. გარდა ამისა, აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ მან ფაქტობრივად დამიმტკიცა ის თემა, რომელზეც ადრე თავადვე მუშაობდა.

დისერტაციაზე მუშაობის პერიოდი იყო უაღრესად სასიამოვნო; ურთიერთობის ამ ეტაპზე სულ სხვა კუთხით დავინახე მისი, როგორც მეცნიერის და როგორც პიროვნების ხასიათი და თვისებები. ეს იყო ნამდვილი „მასტერ-კლასი". კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ჩემი არც ერთი, მისგან განსხვავებული მოსაზრება შეცდომად არ მიუჩნევია და ყველა განსხვავებულ შეხედულებას გულისყურით ეკიდებოდა. უფრო მეტიც, ცდილობდა, რომ ზედმეტად არ მოეხდინა ჩემზე ზეგავლენა და, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ჩემი პოზიცია არგუმენტირებულად დამეცვა. სამაგიეროდ, საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, დასვამდა რამდენიმე კითხვას (თან ისე, თითქოს შენ კი არ გეკითხება, არამედ ზოგადი საუბრის ჭრილში), რომლებზე პასუხის გაცემის დროსაც შეიძლება მთლიანად დანგრეულიყო შენი თეორიები და მიმხვდარიყავი, რომ ეს საკითხი გაცილებით სიღრმისეული კვლევის შესაძლებლობას გაძლევს და გეშლებოდა კვლევის არნახულად დიდი ასპარეზი. ამ მინიშნებისთვის მადლობასაც არ იღებდა, – „ამას შენ მიმხვდარხარ, მე რა შუაში ვარო". არადა, როგორც ნესი, სწორედ ეს მინიშნებები ხდებოდა თემის კვლევის მთავარი ქვაკუთხედი.

დისერტაციის დაცვის დროსაც აღვნიშნე მისი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი თვისების შესახებ, რაზეც თავის, როგორც ხელმძღვანელის, გამოსვლაში თქვა: „...მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს განსხვავებული შეხედულებები, განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ მე მივეკუთვნები მეცნიერთა იმ სკოლას, რომლის სათავეშიც იდგა ივანე ჯავახიშვილი, ჩემი უშუალო პედაგოგები იყვნენ სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი და არანაირი უფლება არ მქონდა საწინააღმდეგო აზრის გამო მისთვის რაიმე დაბრკოლება შემექმნა...". დიახ, ასეთი მეცნიერი იყო ქალბატონი მარიკა! ეს იყო მისი კრედო და მსოფლმხედველობა! ფაქტობრივად მან თავისი თემა გადმომაბარა, საკუთარი ნაშრომები მომანდო თავიდან გასააზრებლად, გასავრცობად, მონოგრაფიულად შესასანავლად. ბევრისაგან განსხვავებით მას შეეძლო ამის გაკეთება, რადგანაც ის იყო ნამდვილი მეცნიერი, დარგის გულშემატკივარი, მონოდებით პედაგოგი, დიდი პროფესიონალი და უბრალოდ – დიდი ადამიანი.

მუდამ მადლიერებით და დიდი სიამაყით მოვიხსენიებ მის სახელს!

P.S. აქვე ვაქვეყნებ ჩემი დისერტაციის დაცვის დღეს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, როგორც მეცნიერის სანიმუშო გამოსვლას და ქალბატონ მარიკასგან ჩემთვის დატოვებულ ფასდაუდებელ საჩუქარს:

„უნდა მოგახსენოთ, რომ როდესაც დადგა საკითხი შალვა გლოველისათვის სადისერტაციო თემის შერჩევისა, ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ დაგვემტკიცებინა აღნიშნული თემა – „აფხაზთა სამეფო". მიუხედავად იმისა, რომ მე თავად მაქვს საკმაოდ ბევრი ნამუშევარი ამ პრობლემის ირგვლივ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი შეეხო ამ თემას, აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ შექმნილიყო ვრცელი, მონოგრაფიული გამოკვლევა, ახლებური მიდგომით თემის პრობლემატურობის გათვალისწინებით. მოგეხსენებათ, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში რამდენად მნიშვნელოვნად წამოიწია აფხაზეთის თემამ ქართულ ისტორიოგრაფიაში, აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ ახალგაზრდა თაობის მიერ ახლებურად წარმოჩენილიყო მთელი წყება საკითხებისა და არჩევანიც სწორედ შალვა გლოველზე შეჩერდა. შალვა გლოველი თავიდანვე იყო ძალიან აქტიური სტუდენტი, სერიოზული, შრომისმოყვარე, ეტყობოდა, რომ ამ დიდ საქმეს გაართმევდა თავს და სწორედ მას მივანდეთ ამ თემის დამუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მე და მას გვაქვს აზრთა რადიკალური სხვადასხვაობა, მთელი პასუხისმგებლობით აღვნიშნავ, რომ შალვა გლოველმა ნარმოადგინა ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული სადისერტაციო შრომა. მან ჩაატარა უაღრესად შრომატევადი, სკრუპულოზური სამუშაო და ის ნამდვილად იმსახურებს საძიებო ხარისხს.

შალვა ძირითადად დამოუკიდებლად მუშაობდა, პერიოდულად იღებდა ჩემგან გარკვეულ მითითებებს, კონსულტაციებს, როგორც ვთქვი, მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს განსხვავებული შეხედულებები, განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ მე მივეკუთვნები მეცნიერთა იმ სკოლას, რომლის სათავეშიც იდგა ივანე ჯავახიშვილი, ჩემი უშუალო პედაგოგები იყვნენ სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი და არანაირი უფლება არ მქონდა საწინააღმდეგო აზრის გამო მისთვის რაიმე დაბრკოლება შემექმნა. უფრო მეტიც, შალვა გლოველმა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მოგვცა ნამდვილად ახლებური, ძალიან საინტერესო შედეგები, ბევრ რამეში შეიძლება მეც გარკვეულწილად შევიცვალე შეხედულებები და მხარი დავუჭირე მის მოსაზრებებს, ბევრ საკითხში ის დამეთანხმა მე და ამგვარი ნამდვილი მეცნიერული თანამშრომლობის საფუძველზე დღეს სახეზეა მართლაც მნიშვნელოვანი, მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული, სავსებით ახლებური მიდგომებით მდიდარი ნაშრომი. შალვამ შეძლო შემოეტანა ძალიან ბევრი ახალი ცნობა „აფხაზთა სამეფოს" ისტორიასთან დაკავშირებული, ბევრი ძველი ცნობის ახლებური ინტერპრეტაცია მოგვცა და მე, როგორც მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი, ძალზე კმაყოფილი ვარ" (ამონაწერი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს ისტორიის, საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სპეციალიზირებული სადისერტაციო საბჭოს (H 07. 01. CN 1) 2004 წლის 20 სექტემბრის №1 სხდომის ოქმიდან).

DESERVED!

Shalva Gloveli

The main research fellow of the National Center of Manuscript doctor of History Shalva Gloveli recalls Mariam Lordkipanidze as human and as academician. She was his academic supervisor. Gloveli publishes her review on his dissertation.

მაგალითი და უდიდესი ავტორიტეტი

როზეტა გუჯეჯიანი

დიდებული ქალბატონი – მარიამ ლორთქიფანიძე – ჩემი ლექტორი იყო. პირველი ლექციაც მან ჩაგვიტარა 1989 წლის თსუ ისტორიის ფაკულტეტის პირველკურსელებს. საზეიმო ღონისძიება დიდ დარბაზში მოგვიწყო ადმინისტარციამ. შემდეგ კი იყო პირველი ლექცია, რომლის მთაბეჭდილებაც მარადიულად მომყვება: 93-ე აუდიტორიაში შემობრძანდა ქალბატონი მარიკა, ის აქამდე მხოლოდ ტელევიზიით მენახა, შემობრძანდა და მოგვესალმა, დიდებული და მშვენიერი. აკადემიური და დარბაისლური ქართულით გვესაუბრა საქართველოს ისტორიის შესავლისა და ნყაროების შესახებ. ბოლო 15 ნუთი კი მოიტოვა ჩვენი გაცნობისა და შეკითხვებზე პასუხის გაცემისათვის. მერიდებოდა და ბოლოს გავბედე, ასურელი მამების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ვკითხე. გამიღიმა ქალბატონმა მარიკამ და დინჯად, მშვიდად ამიხსნა, რომ ამ საკითხზე ორგვარი მოსაზრება არსებობდა, მოკლედ მოგვიყვა ორივე თვალსაზრისის შესახებ, ბოლოს შემაქო, კარგი შეკითხვაა... ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც, ასე მგონია, რომ ამჟამადაც გრძელდება, რადგან ახლაც, როდესაც ის ზეციურ საქართველოშია, მე ყოველ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენას კვლავაც მისი თვალითაც ვუყურებ.

დიდი ადამიანი იყო ქალბატონი მარიკა, დიდი ოჯახიდან, დიდი ტრადიციული კულტურიდან მომდინარეობდა მისი ცხოვრების გზა და ეს ეტყობოდა მის გარეგნობას, მეტყველებას, ჟესტებს. ელეგანტური, გამორჩეულად სადა და მიმზიდველი ასეთივე ხიბლს ანიჭებდა უნივერსიტეტს.

უაღრესად სამართლიანი იყო როგორც ლექტორი. მახსოვს, გამოცდის დღეს სემინარების ლექტორმა შემონმების გარეშე ოთხიანის მისაღებად გამგზავნა ქალბატონ მარიკასთან. ქალბატონმა მარიკამ ბილეთზე პასუხების ამოწურვის შემდეგ რამდენიმე დამატებითი შეკითხვაც დამისვა და როცა ჩემი პასუხები მოენონა, გაკვირვებით მიმართა სემინარების ხელმძღვანელს, ოთხიანზე რატომ შეაფასეთ, ეს გოგონა, ფრიადს იმსაუხრებსო. გამიფორმა კიდეც ფრიადი. ეს დიდი მაგალითია ჩემთვის – ობიექტურობა სტუდენტზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და აყალიბებს მას მორალურად.

ქალბატონი მარიკა მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო, რადგან ის ღიად და პირდაპირ, მართალ და ქვეყნისათვის სასიკეთო სიტყვას ამბობდა. არასოდეს ეპუებოდა მმართველ პოლიტიკოსთა არამართებულ გადაწყვეტილებებს და ცდილობდა მათი ხედვის ქვეყნისთვის სასარგებლოდ შემობრუნებას.

ქალბატონი მარიკა ჩემთვის მაგალითი და უდიდესი ავტორიტეტია, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა, არამედ მისი პრინციპულობის, აკადემიურობისა და უღალატობის გამო.

მიხაროდა ისიც, რომ მუდამ ვეთანხმებოდი, რადგან მისი სიტყვა, მისი აზრი, მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ მოვლენასთან, ყოველთვის თანხვდებოდა ჩემს შინაგან ხედვას, ფიქრსა და გადაწყვეტილებას.

ქალბატონი მარიკა ბოლო წელსაც კი, როდესაც ფიზიკურად გაუსაძლისი ტკივილით იტანჯებოდა, უწყვეტად მუშაობდა. ვიცოდი ეს და დიდი მორიდებით გავუგზავნე ჩემი ნაშრომი, ვოცნებობდი, რომ ის ყოფილიყო რედაქტორი. ქალბატონმა მარიკამ წაიკითხა ნიგნი, გამინია რედაქტორობა და მომავლის პროგრამაზეც მესაუბრა. მისი სატელეოფონო ზარი, იყო უმნიშვნელოვანესი ჩემთვის – მიზნად დამისახა ორი მიმართულებით კვლევა: სვანეთის საისტორიო წერილების სოციალური და კულტურული ასპექტების სიღრმისეული ანალიზი და თურქეთის ქართველთა ყოფისა და კულტურის შემდგომი შესნავლა. მირჩია, კარგი იქნება, რომ ამ მიმართულებით მუშა ჯგუფი შეკრა უნივერსიტეტში, მისცე მას ინსტიტუციონალური ხასიათი და, თუ გნებავს, მე გაგინევ რეკომენდაციასო. ეს მითითება ცხოვრების ბოლომდე გამყვება და ჩემს შემდგომ მონოგრაფიას, რომელიც მზადდება და ეხება სვანეთის როლს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში, სწორედ ძვირფასი მასწავლებლის – აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ხსოვნას მივუძღვნი.

EXAMPLE AND GREAT AUTHORITY

Rozeta Gujejiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor Rozeta Gujejiani recalls academician Mariam Lordkipanidze. She describes the academician's attractive personality and shares with readers her feelings towards her. Gujejiani recalls facts which had taken place while accomplishing joint projects with Mariam Lordkipanidze.

ისტორიკოსთა მეტრი

გურამ ლეგაშვილი

საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი ბავშვობიდან მქონდა და ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს შორიდან ვიცნობდი, ისტორიაზე მომზადებული ტელეგადაცემებიდან. ამიტომ, ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო, როცა 2008 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ისტორიის მიმართულებით და პირველი კორპუსის 95-ე აუდიტორიაში (ეს იყო რემონტამდელი დანომვრა) ქალბატონმა მარიკამ გაცნობითი ხასიათის ლექცია ჩაგვიტარა ისტორიის მიმართულების სტუდენტებს.

შემდეგ უკვე, საქართველოს ისტორიის სამეცნიერო წრის ფარგლებში სტუდენტებმა: მე, ლაშა სახოკიამ, დათო ჯალალმა და სხვებმა – გადავწყვიტეთ სხვადასხვა ისტრიული ეპოქის დამუშავება ყველა ასპექტით. პირველ თემად შერჩეული გვქონდა ქართლ-კახეთის მეფის (1762-1798 წწ.) ერეკლე მეორის პერიოდი და რჩევა ვკითხეთ ქალბატონ მარიკას, რომელმაც ძალიან მოიწონა ჩვენი იდეები და შეგვიქო შემართება. მახსოვს ქალბატონმა მარიკამ ასეთი რამ გვითხრა მაშინ: „ახალგაზრდებო, ჩემმა პირადმა გამოცდილებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ჩვენი ისტორიკოსების კვლევის შედეგებს, ხშირად ჩვენი ქვეყნის მტრები, ჩვენსავე ნინააღმდეგ იყენებენო. ამიტომ არის საკითხები საქართველოს ისტორიაში, რომელთა შეფასებისას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გმართებთო!" სწორედ ამის გამო, გვირჩია მან, რომ ერეკლე მეორის რუსეთთან ურთიერთობებისა და მათთან გაფორმებული მფარველობითი ხელშეკრულების პრობლემატიკის ანალიზისას ყველაფერი კარგად გაგვეაზრებინა და ისე გამოგვეტანა დასკვნები.

უკვე მეორე კურსზე, III სემესტრში ქალბატონი მარიამი გვიკითხავდა ლექციებს საგანში: „მთიელთა ჩამოსახლების პრობლემა საქართველოში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში)", რომელიც გვიტარდებოდა V კორპუსის მესამე სართულზე 313 აუდიტორიაში. ვინაიდან ქალბატონ მარიკას უკვე ძალიან უჭირდა კიბეებზე ამოსვლა, ბიჭებს გვთხოვდა ხოლმე მივხმარებოდით. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისას, ქალბატონ მარიკას და მე შემოგვეშველა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ბატონი თედო დუნდუა, რომელსაც ქალბატონმა მარიკამ საყვედურნარევი ხუმრობით უთხრა: „თედო, უნივერსიტეტის წინაშე იმდენი დამსახურება მაინცარ მაქვს, რომ პირველ სართულზე გამომიყოთ აუდიტორია ლექციებისათვის, რადგან კიბეებზე ამოსასვლელად ყოველთვის სტუდენტების შეწუხება მიწევსო". რასაკვირველია, ჩვენ სულაც არ ვწუხდებოდით, პირიქით, გვეამაყებოდა მასთან ურთიერთობა. ბატონმა თედომაც ხუმრობით უპასუხა: „ქალბატონო მარიამ სტუდენტები რომ არ შევაწუხოთ, ყოველთვის მე ჩამოვალ მოსახმარებლადო". ამის შემდეგ პირველ სართულზე, აღმოსავლეთმცოდნეებიის ფლიგელში მეათე აუდიტორიაში გვიტარდებოდა ლექციები, სადაც ხშირად ჩვენ თხოვნას ითვალისწინებდა ქალბატონი მარიკა და დაპირების შემდეგ, რომ სალექციო თემებს ნიგნში ნავიკითხავდით, ის ლექციის ნაცვლად, ცოცხალ ისტორიებს გვიამბობდა. პროცესებს, რომელთა მონანილეც თავად იყო და მისთვის ისინი

მოგონებები გახლდათ გარდასულ დროთა, ხოლო ჩვენთვის, სტუდენტებისათვის, უკვე ქვეყნის ისტორიად იყო ქცეულიყო ეს ამბები. სწორედ ამავე აუდიტორიაში ჩაგვიტარდა ფინალური გამოცდაც, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის შემდეგ ფინალურ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ატარებდა და სტუდენტის ნაშრომი დაშიფრული მიდიოდა ლექტორთან გასასწორებლად. ეს ნესი სულ ახალი დამკვიდრებული იყო და ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ პრინციპული პოზიცია დაიკავა მის მიმართ. მას მიაჩნდა, რომ სტუდენტის ცოდნა და აზროვნების უნარი პირადად უნდა შეემოწმებინა, ამიტომ ქალბატონი მარიამის ავტორიტეტს ადმინისტრაციამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მანაც სხვადასხვა თემები გაგვინაწილა დასაწერად, რომლის დასრულების შემდეგ ყველა სტუდენტს სათითაოდ გაგვესაუბრა, თუ ქვეყნის რომელი კუთხიდან ვიყავით წარმოშობით, რომელი პერიოდი იყო ჩვენი სამომავლო კვლევის ინტერესის ობიექტი და სამი სააზროვნო კითხვა დაგვისვა ისტორიაში, რომ ჩვენი თვალსაწიერი შეემოწმებინა!

ამის შემდეგ, როცა კი შევხვდებოდი ხოლმე ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს, კონფერენციებზე, საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე თუ შრომების პრეზენტაციაზე დიდი პატივისცემით ვკითხულობდი მას და მახარებდა ის, რომ ისეთი სტუდენტი ვიყავი მისთვის, რომელმაც თავი დავამახსოვრე. სხვათა შორის, მას ძალიან მოეწონა ჩვენი წრის თავდაუზოგავი შრომისა და სტუდენტთა თვითმართველობის, უფრო კონკრეტულად კი, ჩვენი მეგობრის ვახო ზივზივაძის თანადგომით 2012 წელს გამოცემული ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების I ტომი, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების ანალოგიით გამოვიდა, ოღონდ ეს პუბლიკაცია, სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის იყო მხოლოდ. ამიტომ ქალბატონ მარიკას ძალიან გაუხარდა, რომ, მისივე სიტყვებს პერიფრაზი, რომ მოვახდინო, ასეთი მიზანდასახული და ბეჯითი თაობა, იზრდებოდა უნივერსიტეტის კედლებში.

ამრიგად, ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს ძალიან უხაროდა მომავალი თაობის ისტორიკოსების შრომისმოყვარეობა და ნარმატებები. ამიტომ ძალიან დამნყდა გული, როდესაც გავიგე ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის – ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი მოჰიკანის – გარდაცვალების ამბავი. მაგრამ ყოველთვის ამაყი ვიქნები იმით, რომ ასეთი დონის ისტორიკოსი იყო ჩემი პროფესორი და მომეცა შესაძლებლობა საქართველოში ვყოფილიყავი და უკანასკნელ გზაზე პატივიც მიმეგო მისთვის.

METER OF HISTORIANS

Guram Legashvili

Doctoral student of Sokhumi State University Guram Legashvili recalls Mariam Lordkipanidze, her lectures when he was undergraduate of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. He feels very proud that was a student of the meter of Georgian historians.

ჩემი და ჩემი მასნავლებლების მასნავლებელი

სოფიო ქადაგიშვილი

სანამ ბაკალავრიატში სწავლას დავიწყებდი ვიცოდი, რომ უნივერსიტეტში ისტორიის ლექციებს მარიკა ლორთქიფანიძე კითხულობდა. ახლადფეხშედგმული სტუდენტებისათვის იგი ასოცირდებოდა ისტორიის მიმართულებაზე მთავარ მასპინძლად. ალბათ, როგორც ძალიან ბევრი სტუდენტის ოცნება, ჩემი ერთ-ერთი ოცნება იყო, ქალბატონი მარიკას ლექციების მოსმენის საშუალება მეც მქონოდა. მე არ ვიყავი ერთადერთი. უზარმაზარ გაყინულ ოთახში უამრავი სტუდენტი იყრიდა თავს მთიელთა ჩამოსახლების ისტორიის მოსასმენად. ამ სალექციო კურსის გავლის შემდეგ თავს ამაყად ვგრძნობდი, რომ ჩავენერე იმათ სიაში, ვისაც მარიკა ლორთქიფანიძის ლექციები ჰქონდა მოსმენილი. ეს სტუდენტებში აღძრავდა გარკვეულ პრიორიტეტულობის გრძნობას ისეთ სტუდენტებთან მიმართებით, ვისაც ქალბატონ მარიკასთან პროფესიული შეხება არ ჰქონია.

შემდეგი შეხვედრა იყო უკვე მაგისტრატურაში სწავლების დროს. არასდროს იგვიანებდა, არც აცდენდა. სამი საათი გრძელდებოდა მისი ლექციები შესვენების გარეშე. გვინდოდა მისგან მეტი გაგვეგო, არამხოლოდ ქართლის ცხოვრებაზე, რაზეც იყო აგებული სალექციო კურსი, არამედ სხვა ძალიან ბევრ საინტერესო რამეზე, გვიყვებოდა ბავშვობიდან მოყოლებული გადამხდარ ამბებზე. ცოცხალ ისტორიას ვეძახდით. მომაჯადოებელი იყო მისი ლექციები და თვითონაც ძალიან სიამოვნებდა ეს პროცესი.

ქალბატონი მარიკა ყოველთვის გვერდში გვედგა სტუდენტებს, ეს იქნებოდა სტუდენტური ღონისძიების მომზადება თუ პროფესიული რჩევა. რთულია მეცნიერებაში იპოვო ადამიანი, რომელიც არამხოლოდ გაგიკვალავს პროფესიულ გზას, არამედ გვერდში დაგიდგება, როგორც ადამიანი, მზრუნველი მასწავლებელი. ასეთად დარჩა მარიამ ლორთქიფანიძე ჩემს მახსოვრობაში, მარიამ ლორთქიფანიძე ჩემი და ჩემი მასნავლებლების მასნავლებელი.

MY TEACHER AND TEACHER OF MY TEACHERS

Sopio Kadagishvili

Doctoral Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Sopio Kadagishvili describes her and friends' feelings towards Mariam Lordkipanidze. Part of university, unforgettable and unchangeable teacher for generations – Mariam Lordkipanidze passed away at the age 95 in 2018. Lots of students, her colleagues are recalling Professor Mariam Lordkpanidze with regret, with sense of proud being part of her lectures. She was always ready for helping the students and encouraged them to be the best in their professions.

Professor Mariam Lordkipanidze will always be in our hearts as great historian, researcher and teacher.

რევაზ კიკნაძის 95 წლისთავის გამო

მეცნიერის ღვაწლი

გიული ალასანია

საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარს, ცნობილ წყاროთმცოდნესა და მეცნიერების შესანიშნავ ორგანიზატორს რევაზ კიკნაძეს 2018 წელს 95 წელი შეუსრულდებოდა. რევაზ კიკნაძის სიცოცხლე იმ დროს შეწყდა, როდესაც მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. რ. კიკნაძე იყო ოთხმოცდაათამდე ნაშრომის, მათ შორის რვა მონოგრაფიის ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყاროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი ოცი წლის მანძილზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ისტორიის წყاროების და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიების თავმჯდომარის მოადგილე.

რევაზ კიკნაძე დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, სადაც ის გამორჩეულ მოსწავლედ ითვლებოდა. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში (1941-1945 წწ.), მსახურობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალთა რიგებში.

1946 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით დაამთავრა. 1951-54 წლებში რ. კიკნაძე სწავლობდა თსუ ასპირანტურაში მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით, ხოლო 1956 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ჰულაგუიდთა სახელმწიფოში“.

ამის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება ერთ დანესებულებას უკავშირდება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. მისი ორგანიზატორული მონაცემები არ დარჩენილა შეუმჩნეველი და 1961-63 წლებში რ. კიკნაძე უკვე ასრულებდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობას, ხოლო 1969 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყاროთმცოდნეობის განყოფილებას. ამ თანამდებობაზე მის ყოფნას ოცი წლის მანძილზე უკავშირდება წყاროთმცოდნეობის მეცნიერების თვალსაჩინო წარმატებები. ამ ხნის განმავლობაში რ. კიკნაძე იყო ამ დარგში ჩატარებული ყველა ღონისძიების ინიციატორი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

არჩეული სპეციალობისადმი ერთგულების და დიდი პასუხისმგებლობის გამო რ. კიკნაძეს არასოდეს უმუშავია თვით სასწავლო დაწესებულებებშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე პედაგოგი და ყველა ახალგაზრდისათვის შეუცვლელი დამრიგებელი იყო. მას არ ახასიათებდა ყველაფერზე გაკიდება ან მხოლოდ მოვალეობის გამო, ფორმალურად რაიმეს კეთება. თანმიმდევრულად და უხმაუროდ ემსახურებოდა საყვარელ საქმეს და არ ესწრაფოდა მაღალ ტიტულებს. მაგრამ ამ ერთადერთ საქმეში რ. კიკნაძე აღიარებული ლიდერი იყო და მისი მოღვაწეობა იშვიათი მრავალმხრივობით გამოირჩეოდა.



წყاროთმცოდნეობის დარგის ხელმძღვანელობას საქართველოს მასშტაბით ხელს უნყობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყاროების კომისია (1974 წლის რეორგანიზაციამდე უცხო წყاროების კომისია). რ. კიკნაძე ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ორი სექციის – ქართული ნერილობითი ძეგლების და ქართული წყاროების რუსულ ენაზე თარგმნის – ხელმძღვანელი იყო. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით ყოველწლიურად იმართებოდა წყاროთმცოდნეთა რესპუბლიკური, ხოლო სამ ნელინადში ერთხელ – საკავშირო სამეცნიერო სესიები, რომელთა მონანილეები გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს, ახალ გეგმებს სახავდნენ. სესიებზე წაკითხული მოხ-

სენებები იბეჭდებოდა რ. კიკნაძის რედაქტორობით გამოცემულ კრებულებში „ქართული წყაროთმცოდნეობა“ და „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“ (რუსულ ენაზე).

მიუხედავად იმისა, რომ რ. კიკნაძის ძირითადი მეცნიერული ინტერესი უკვე სტუდენტობის წლებში გამოიკვეთა, შემდგომი ნაშრომები მოწმობს მისი შემოქმედების როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ცვლილებებს. განათლებით აღმოსავლეთმცოდნე, რ. კიკნაძე მუდამ იჩენდა ინტერესს საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის და წყაროთმცოდნეობის საკითხებისადმი. იმ წლებში მისი კვლევის საგანია სელჩუკიანთა, ხორეზმშაჰთა, მონღოლთა, ილხანთა სახელმწიფოები. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა, შესაბამისი ტერმინოლოგია, ინსტიტუტები, მაგრამ ამავე დროს, თბილისის ისტორია, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობათა საკითხები. მისმა გამოკვლევებმა შეადგინა ერთ-ერთი სოლიდური მონაკვეთი კრებულისა „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“ (თბ. 1957); „ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X-XII საუკუნეებში“, „მონღოლთა შემოსევები“, „ილხანთა ირანი XIII საუკუნის მეორე ნახევარში“, „ქალაქები ილხანთა ირანში“. აღნიშნული კრებული 60-იან წლებში, როცა მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და შემდეგაც დიდი ხნის მანძილზე, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო. მოგვიანებით მისი ნანილი შევიდა ნიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (III, თბ. 1979). გამოკვლევები წყაროთა მდიდარ ბაზას ემყარება და წარმოაჩენს მათ ავტორს არა მხოლოდ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალისტს, არამედ იმთავითვე, როგორც დაკვირვებულ წყაროთმცოდნეს. „ნარკვევებში მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“ (1957) შესული გამოკვლევების ყველა ავტორს პირადად ვიცნობდი, მათი ნანილი ლექციებს მიკითხავდა. ერთადერთი, ვისაც მანამდე არ შევხვედროდი, იყო ბ-ნი რევაზ კიკნაძე, რომელსაც ყველა განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებდა. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ჩვენი შეხვედრა სულ რამდენიმე წლის შემდეგ მოხდებოდა, როდესაც მე, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სნორედ იმ განყოფილებაში აღმოვჩნდი, რომელსაც ბატონი რეზო ხელმძღვანელობდა, რომელიც გახდა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელიც. ძალიან მალე მივხვდი, რომ მე ბედმა გამიღიმა. უნივერსიტეტში სწავლისას თითქოს აქტიური სტუდენტი ვიყავი, ნაშრომებსაც ვნერდი, კონფერენციებშიც ვმონაწილეობდი, მაგრამ მეცნიერების ანბანი, აკადემიური წერა სნორედ წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ბატონი რეზოს ხელმძღვანელობით ვისწავლე.

ნებისმიერი ისტორიული პრობლემის კვლევა წყაროების შესწავლით იწყება. ასე იყო რ. კიკნაძის შემოქმედებაშიც, რომლის ბევრი ნაშრომი ქართული, სპარსული და არაბული წყაროების შესწავლაზეა დაფუძნებული. მეცნიერის ყურადღებას იქცევს ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის და ქართველი ჟამთააღმნერლის, ჰამდალაჰ ყაზვინისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებები და სხვ. ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი XIII საუკუნის ირანელი ავტორის ათა მალიქ ჯუვეინის ნაშრომით დაინტერესებასაც, რასაც საქართველოს შესახებ მისი ცნობების და მათი თარგმანის კომენტირებული გამოცემა მოჰყვა (1974 წ.). რამდენიმე წლის შემდეგ (1979 წ.) გამოიცა ამავე საუკუნის კიდევ ერთი ირანელი ანონიმის თხზულების „სამყაროს საკვირველებათა“ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები საქართველოს შესახებ.

მაგრამ რ. კიკნაძის დამსახურება სპარსული წერილობითი ძეგლების ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანის თვალსაზრისით მხოლოდ ამ გამოცემებით არ ამოინურება. არ გამოქვეყნებულა იმ წლებში სპარსული საისტორიო თხზულება, რომლის მომზადებაშიც რ. კიკნაძეს მეტ-ნაკლები ნვლილი არ შეეტანოს. აქვე უნდა ვახსენოთ ბატონი რევაზის კიდევ ერთი, ძალზედ მნიშვნელოვანი თვისება, რასაც ცდილობდა ჩვენთვის, მისი ახალგაზრდა თანამშრომლებისთვისაც გადმოეცა – ინტერესი თავისი პედაგოგებისა და კოლეგების საქმიანობისადმი და მათი წვლილის დაფასების უნარი. იგი მუდამ ფხიზლად ადევნებდა თვალს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის დარგში გამოცემულ ნაშრომებს და აქტიურად ეხმაურებოდა მათ. ეს კარგად ჩანს მისი რეცენზიებიდან და იმ სტატიებიდან, რომლებიც მან უძღვნა თავისი პედაგოგების და კოლეგების ვ. დონდუას, ნ. ბერძენიშვილის, ვ. ფუთურიძის, ვ. გაბაშვილის, ს. კაკაბაძის შემოქმედებას. ჩვენ, წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომლებს, კარგად გვახსოვს, რომ განყოფილების გამგის პირველი დავალება სნორედ ჩვენ დარგში გამოქვეყნებულ რაიმე ნაშრომზე

რეცენზიის დაწერა იყო ხოლმე. ეს, ერთი მხრივ, სამეცნიერო ნაშრომის წერას გვასწავლიდა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვების წვლილის დაფასებას. განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა მეცნიერი თავისი პედაგოგების გამოუქვეყნებელი ნაშრომების მიმართ, ხშირად საკუთარი საქმე გადაუდია და უფრო მნიშვნელოვნად მათი გამოქვეყნება მიუჩნევია. დიდი ამაგი დასდო მან ცნობილი ირანისტის, სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის გამოჩენილი სპეციალისტის ვ. ფუთურიძის მეცნიერული მემკვიდრეობის გამოცემას. ნიშანდობლივია, რომ სპარსული წყაროების გამოქვეყნებაც რ. კიკნაძემ ხნორედ ვ. ფუთურიძის ნათარგმნი ირანელი ავტორის ჰასან რუმლუს ცნობათა გამოცემით დაიწყო (1966 წ.). ამ ნაშრომს მან არა მხოლოდ რედაქცია გაუკეთა, არამედ შენიშვნებიც დაურთო. მისივე რედაქტორობით გამოქვეყნდა ასევე (1969 წ.) ვ. ფუთურიძის მიერ თარგმნილი ირანელი ავტორის ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. მოგვიანებით (1977 წ.) რ. კიკნაძის რედაქტორობით და წინასიტყვაობით დაისტამბა სპარსული ისტორიული საბუთების მორიგი – IV ნაკვეთი, რომლის გამოცემა მთარგმნელმა ვ. ფუთურიძემ სიცოცხლეში ვერ მოახერხა.

გარეგნულად დინჯი და განონასწორებული ბატონი რევაზი მდიდარი ემოციური ბუნების ადამიანი იყო და ეს მკაფიოდ გამოვლინდა მის მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომში „ულუღბეგი" (თბ., 1968). ეს წიგნი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ინერებოდეს ამ ჟანრის ნაშრომები. წერის მაღალი კულტურით და საკითხების ღრმა ცოდნით არის გაშუქებული თემურ-ლენგის და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა, აღმოსავლეთის კულტურა და მეცნიერება, კერძოდ, ასტროლოგიის ისტორია. ავტორი საოცარი დამაჯერებლობით ქმნის ისტორიულ პორტრეტებს, გადმოგვცემს თემურ-ლენგის შვილიშვილის, ცნობილი მეცნიერის და მავერანნაჰრის გამგებლის ულუღბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ნაშრომი დაწერილია წყაროების ღრმა ცოდნით, მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე და დიდი ინტერესით იკითხება.

რ. კიკნაძის შემოქმედებაში წყაროები თანდათან სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს, ხოლო გარკვეული პერიოდიდან ისტორიის ნამყვანი დარგი – წყაროთმცოდნეობა – მთელი მისი მრავალფეროვნებით შემოდის მკვლევრის ინტერესთა სფეროში. მისი საგანგებო დაკვირვების ობიექტი ხდება წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკა, საისტორიო წყარო, წყაროთმცოდნეობის საგანი, მისი ამოცანები და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. ყველა ამ საკითხზე არის მსჯელობა მოგვიანებით გამოცემულ წიგნში „წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები" (1988 წ.), რომელიც გ. ალასანიას თანაავტორობით გამოქვეყნდა. რ. კიკნაძის ნაშრომებში წყაროთმცოდნეობა განმარტებულია, როგორც კომპლექსური დარგი, რომელიც გამოავლენს, შეისწავლის, გამოსცემს ისტორიულ წყაროებს და შეიმუშავებს შესაბამის თეორიასა და მეთოდიკას. ამასთან, დიდი ადგილი ეთმობა ტექსტოლოგიისა და არქეოგრაფიის პრობლემატიკას. ქართული წერილობითი ძეგლების რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის მის მიერ შედგენილი წესები (1977 წ.) დღესაც სახელმძღვანელოდ რჩება ამ დარგის სპეციალისტებისთვის. ბატონი რევაზის ნაშრომები ამზადებდა საფუძველს იმისთვის, რომ შექმნილიყო ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემის პრინციპები. ყველგან და ყოველთვის რ. კიკნაძე იბრძოდა იმ პრინციპის გასატარებლად, რომლის მიხედვით წერილობითი ძეგლის გამოცემა მხოლოდ მისი ყოველმხრივი შესწავლის შედეგად არის შესაძლებელი. რ. კიკნაძის გამოცემული ყველა ძეგლი ამის მაგალითია.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი ნაშრომი ი. ჯავახიშვილის წყაროთმცოდნეობითი პრინციპების შესახებ. თავის დროზე ი. ჯავახიშვილი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა „ქართლის ცხოვრებაში" შესული თხზულებების გამოცემას და თვითონვე ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ

ამ თხზულებათა გამოცემა რ. კიკნაძის მომზადებული XIV საუკუნის ანონიმი ავტორის ე. წ. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანით" დაიწყო, რასაც წინ უძღოდა 35-წლიანი კვლევა. არცთუ ვრცელი შესავალი ამომწურავ ცოდნას იძლევა ძეგლის შესახებ. აქ განხილულია თხზულების შესწავლის ისტორია, მისი მიზანი, კომპოზიცია, ავტორის ვინაობა, განათლება, თხზულების სათაური, შედგენის და „ქართლის ცხოვრებაში" შეტანის დრო და სხვ. რ. კიკნაძე ისტორიული თხზულებების გამოქვეყნებისას ვრცელი შენიშვნების დართვის წინააღმდეგი იყო და თვით იცავდა ამ პრინციპს, მაგრამ მისი ძუნნი, დანურული განმარტებები მდიდარ ინფორმაციას გვანვდის როგორც წყაროზე, ასევე მონღოლთა ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ. აქვე დაცულია მის მიერ კრიტიკული გამოცემისთვის ჩამოყალიბებული სხვა პრინციპებიც. მეცნიერის აზრით, ასეთ გამოცემებში ტექსტი იბეჭდება ერთი ძირითადი ნუსხის მიხედვით, დანარჩენი ნუსხების წაკითხვები კი შენიშვნებშია ნაჩვენები. „ასწლოვანი მატიანის" ახალი გამოცემის საფუძველია ე.წ. მარიამისეული ნუსხა, ხოლო ყველა სხვა ნუსხის განსხვავებული ჩვენება სქოლიოშია ჩატანილი. ამასთანავე, ი. ჯავახიშვილის კვალდაკვალ რ. კიკნაძესაც დასაშვებად მიაჩნია ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, „ვინაიდან შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილი დამახინჯებით არის შემონახული გვიანდელ ნუსხებში". ძეგლის ამ გამოცემაში არაერთი ბუნდოვანი ადგილი გაიმართა და დაზუსტდა.

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც სულ უფრო ნაკლებია ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის დარგში ახალი წყაროს აღმოჩენის შესაძლებლობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უკვე ნაცნობი წყაროს ხელახალ ინტერპრეტაციას, რასაც ხელს უწყობს კვლევის ახალი მეთოდიკა ან ტრადიციული მეთოდების სრულყოფა. წყაროთმცოდნეობით მეთოდებს რ. კიკნაძე დიდ ყურადღებას უთმობდა. მისი ხელმძღვანელობით ინერგებოდა მათემატიკური მეთოდების გამოყენება წყაროების კვლევის საქმეში.

წყაროს ახლებურად წაკითხვისათვის მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „მეორად წყაროს". „ქართლის ცხოვრების" ორი თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და „ასწლოვანი მატიანე" – ტექსტების გამართვისათვის ნაყოფიერი აღმოჩნდა XVII საუკუნის მოღვაწის ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომის გამოყენება, ვინაიდან ისტორიკოსი, როგორც გამოირკვა, კრებულის დღეს არსებულთაგან განსხვავებულ ხელნაწერს იცნობდა. კონკრეტულ მაგალითებზე მოხდა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების კომპილაციური მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც დღემდე გამოცემულიც კი არ არის იმის გამო, რომ თავის დროზე ზედმეტად მკაცრად შეფასდა. რ. კიკნაძის ამ გამოკვლევების მნიშვნელობა მხოლოდ ტექსტოლოგიით არ განისაზღვრება. ამ წყაროების შინაარსის დაზუსტებით შესაძლებელი გახდა საქართველოს XII – XIII სს. ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის ახლებურად გააზრება, ხოლო ზოგ შემთხვევაში, საყურადღებო მოსაზრებების ან ვარაუდების გამოთქმა მათ დათარიღებასთან დაკავშირებით. მიღებულ ტექსტოლოგიურ შესწორებაზე დაყრდნობით მკვლევარს წყაროთა მთელი არსენალის მოხმობა და მათი ხელახალი შეჯერება მოუხდა.

ვინაიდან ყოველგვარი პროგრესი მეცნიერებაში წარსულ გამოცდილებას ემყარება, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიას რ. კიკნაძის ნებისმიერ ნაშრომში საგანგებო ადგილი ეთმობა.

როგორც უკვე აღინიშნა, რ. კიკნაძის, როგორც ღირსეული მოწაფის, ნიჭი გამოიხატა მისი დამოკიდებულებით საკუთარი პედაგოგების შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმართ. მას უნდა ვუმადლოდეთ ჰუმანიტართა ძველი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ვარლამ დონდუას ნაშრომთა დიდი

ნაწილის გამოქვეყნებას მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ და აგრეთვე, ვ. დონდუას კაბინეტის გახსნას ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, რომელშიც ბიბლიოფილი მეცნიერის უნიკალური და მდიდარი ბიბლიოთეკა ინახება. კაბინეტზე ფიქრი და მისი ახალი წიგნებით შევსება ბატონ რევაზს არასდროს შეუწყვეტავს. ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს ავალდებულებდა, თავიანთი გამოცემული წიგნების თითო ეგზემპლარი კაბინეტისათვის ეჩუქებინათ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რ. კიკნაძის ზრუნვა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაზეც.

განსაკუთრებული იყო ბატონი რევაზის დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ. ამიტომაც იზიდავდა მათ წყაროთმცოდნეობის განყოფილება, რომლის ძირითად ნაწილს სწორედ ახალგაზრდები შეადგენდნენ. განყოფილების გამგე მათ დიდი ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობოდა, თავიდანვე რთულ დავალებებს ანდობდა, მათი წარმატებები საკუთარ წარმატებებზე მატად ახარებდა. მის გვერდით მუდამ საქმიანი ატმოსფერო სუფევდა და ამას ყოველთვის სიმკაცრის გარეშე, ძირითადად, საკუთარი მაგალითით აღწევდა.

რ. კიკნაძე უბადლო რედაქტორი იყო. იშვიათად შეგხვდებათ ადამიანი, ასე რომ იცნობდეს საგამომცემლო საქმეს. სტუდენტობის ნლებშივე იგი უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიაში სამეცნიერო განყოფილებას განაგებდა. მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნები მაღალი აკადემიურობით და გემოვნებით გამოირჩევა. შემთხვევით არ არის ის ფაქტი, რომ ჟურნალ „მაცნეში" მოღვაწეობის გარდა, იგი ნლების მანძილზე უნარიანად უძღვებოდა ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობას. ამასთან ერთად, მის მაგიდაზე მუდამ იდო წასაკითხად ესა თუ ის ნაშრომი, რომლის არც რედაქტორი იყო და არც ხელმძღვანელი. ყველას და, განსაკუთრებით, დამწყების თანადგომა ცხოვრების წესად ჰქონდა ქცეული.

ერთთავად სხვებზე და საერთო საქმის ინტერესებზე ზრუნვა იყო იმის მიზეზი, რომ რ. კიკნაძეს არაერთი ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა. უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა ფარსადან გორგიჯანიძის რუსულ თარგმანზე, რომელიც თავისი პედაგოგისაგან ვ. ფუთურიძისაგან დაუმთავრებელი მიიღო. სამწუხაროდ, ნაშრომი კვლავ დაუმთავრებელი დარჩა და ასეთივე სახით, შენიშვნების გარეშე გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ (1990). დასანანია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაზე მრავალნლიანი მუშაობა მისი სრულყოფილი პუბლიკაციით ვერ დაგვირგვინდა.

ბატონი რევაზი არაჩვეულებრივად ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ. თანამშრომლების გასაჭირი ზოგჯერ მათზე კარგად ახსოვდა და ყოველთვის ცდილობდა დახმარებას.

ბატონი რევაზი იყო ნათელი პიროვნება, რომელიც სამუდამოდ დარჩება ინტელიგენტურობის და მეცნიერებისადმი უანგარო სამსახურის, საუკეთესო ადამიანური თვისებების მაგალითად.

ON 95TH ANNIVERSARY OF THE BIRTH OF REVAZ KIKNADZE

CONTRIBUTION OF THE SCHOLAR

Giuli Alasania

Professor Giuli Alasania provides brief overview of scientific legacy by eminent researcher Revas Kiknadze. As far as Kinkadze was her academic supervisor and during many years they collaborated intesilvelly, Professor Alasania recalls many many facts which can feature personality of her teacher .

რუსუდან ჯანაშიას მახსენება
ღირსეული და უაღრესად კეთილშობილი

ამირან ბასილაშვილი

უბიხური ენა ჩემი სასწავლო მოდულისთვის (კავკასიოლოგიის მიმართულების დაღესტნურ ენათა მოდული) სავალდებულო საგანი იყო. მეც ავირჩიე. საგანს რუსუდან ჯანაშია კითხულობდა. მე მას მხოლოდ შორიდან ვიცნობდი, როგორც კავკასიოლოგს და სიმონ ჯანაშიას ქალიშვილს. ისე მოხდა, რომ უბიხურისა და სხვა საგნის სალექციო საათები ერთმანეთს დაემთხვა, ამიტომ პირველ ორ ლექციაზე ვერ მივედი. აღმოჩნდა, რომ ჯგუფში სულ სამი სტუდენტი ვიყავით და არც დანარჩენები მისულიყვნენ ლექციაზე. ქალბატონი რუსუდანი მოდიოდა, გვიცდიდა, მიდიოდა. მესამე ლექციაზე მივედი. სტუდენტებიდან მარტო მე ვიყავი. გავეცანით ერთმანეთს. შესავალი ლექცია უბიხების ტრაგიკულ ბედს ეძღვნებოდა.

ქალბატონი რუსუდანი ლექციას ისე არ დაიწყებდა, თუ შოკოლადს არ შეგვაჭმევდა. შოკოლადი კი სხვა ტკბილეულთან ერთად ყოველთვის მოპქონდა. ლექციები არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმში გვიტარდებოდა. აქ ქალბატონი რუსუდანი იყო არა მხოლოდ ჩვენი ლექტორი, არამედ მასპინძელიც. ყველა სტუდენტსა და სტუმარს ყურადღებას აქცევდა, როგორც გულღია მასპინძელს შეეფერებოდა.

რუსუდან ჯანაშიას — სიმონ ჯანაშიას შვილს, ნიკო ჯანაშიას შვილიშვილს, ლაშა ჯანაშიას დას, არნოლდ ჩიქობავას ნათლულს, სოფიკო ჭიაურელის თანაკლასელს (სოფიკო მისი ხელისმომკიდეც იყო) ბევრი ჰქონდა გასახსენებელი და მოსაყოლი. ისიც არ იშურებდა საინტერესო ამბების მოყოლას. ამ ისტორიებს ვერც წიგნებში ამოიკითხავდით და ვერც სხვა ვინმე მოგიყვებოდათ, ქალბატონი რუსუდანის გარდა. მინდა ერთ ამბავი გავიხსენო მისი ნაამბობიდან. სკოლაში სწავლისას (თუ უკვე სკოლის დამთავრებისას) სოფიკო ჭიაურელი სკოლის ხელმძღვანელობას სხვა წარჩინებულ მოსწავლეებთან ერთად (მათ შორის იყო ქალბატონი რუსუდანიც) რაღაც ჯილდოზე წარუდგენია, არა იმდენად კარგი სწავლისათვის, რამდენადაც ცნობილი მშობლების შვილობისთვის. ეს დედამისს, ვერიკო ანჯაფარიძეს გაუგია და, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაანება თურმე სკოლის ხელმძღვანელობას თავისი შვილისთვის დაუმსახურებელი ჯილდოს გადაცემა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსუდან ჯანაშია იკვლევდა აფხაზურ-ადიღური ენების სტრუქტურის საკითხებს. 1977 წელს აკად. ქეთევან ლომთათიძის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია „რიცხვითი სახელები აფხაზურ-ადიღურ ენებში". რ. ჯანაშიას თარგმანით ქართულენოვან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ფრანგი კავკასიოლოგის, ჟორჟ დიუმეზილის მნიშვნელოვანი ნაშრომი „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში". განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რ. ჯანაშიას ღვაწლი რუსეთის იმპერიის „წყალობით" გამქრალი უბიხი ხალხისა და უბიხური ენის შესწავლაში. რ. ჯანაშიამ შექმა უბიხური ენის სახელმძღვანელო და თავად უძღვებოდა საუნივერსიტეტო კურსს უბიხურ ენაში. მისი დამსახურებაა, რომ დღესაც იკითხება უბიხური ენის კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რ. ჯანაშიამ შეადგინა უბიხური ფოლკლორის კრებული, რომელიც 2001 წელს გამოიცა.

ქალბატონი რუსუდან ჯანაშია ყოველთვის გამახსენდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და უაღრესად კეთილშობილი ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში შევხვედრივარ.

RECALLING RUSUDAN JANASHIA
WORTHY AND NOBLE

Amiran Basilashvili

More than a year have passed since the death of Professor Rusudan Janashia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University student Amiran Basilashvili recalls his lecturer as a worthy and noble person. Rusudan Janashia researched the issues of structure of Abkhazo-Adygian languages. She led the University course in the Ubykh language.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალ „ქართული წყاროთმცოდნეობაში“ კვლევითი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყاروთ-მცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ტერმინი „წყاروتمცოდნეობა“ გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყاروتა (და არა მხოლოდ წერილობითი წყاروების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, ჟურნალში დაიბეჭდება არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული შესაბამისი კვლევის ფოკუსის მქონე ნაშრომებიც. არც რეგიონის, არც ქრონოლოგიის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: კვლევა შეიძლება შეეხებოდეს უძველესი დროიდან დღემდე პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას და ნებისმიერი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას.

ჟურნალში კვლევითი სტატიების გარდა შესაძლებელია წყاروების ტექსტების გამოქვეყნებაც შესა-ბამისი ისტორიულ-წყاروتمცოდნეობითი კომენტარებით; მიიღება წყاروتა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანები, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, ნიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, ნეკროლოგები.

ჟურნალში სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემ-თხვევაში, რუსულად. სტატიას ქართულ ენაზე უნდა ახლდეს რეზიუმე ინგლისურად, სტატიას ინგლისურ ენაზე – ქართულად, სტატიას რუსულ ენაზე – ქართულად და ინგლისურად.

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და ილუსტრაციების, რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი რუბრიკისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. საინფორმაციო ან მიმოხილვითი სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

ფონტი უნდა იყოს სილფაენი ყველა ენისათვის. ციტირება და სამეცნიერო ლიტერატურის დამონმება უნდა მოხდეს ჩიკაგოს სტილის *author-date* ვარიანტის მიხედვით იხ. http://www.chicagomanualofstyle.org/tools–citationguide/citation-guide-2.html

ამ სტილის ქართული შემთხვევისათვის ადაპტირებული ვერსია წარმოდგენილია „ქართული წყاروთ-მცოდნეობის“ 2015/2016 წლის XVII-XVIII ნომრებში. იხ. „გზამკვლევი ავტორთათვის“, გვ.381-383.

სტატია უნდა გადაეგზავნოს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: mariam.chkhartishvili@tsu.ge

GUIDE FOR AUTHORS

Coverage.

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term *source* is understood in broadest sense of this word, accordingly journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers will be welcomed publications of texts of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered.

Language.

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian with summaries in Georgian and English.

The length.

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

References.

For references and citation authors should use Chicago style: *author-date system* citation guide.

htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools-citationguide.html

The papers should be sent to the editor Prof. Mariam Chkhartishvili: mariam.chkhartishvili@tsu.ge